

ენდრიუ ჰეივუდი

კოლიტეხა

მესამე გამოცემა

საქართველოს უნივერსიტეტი

საქართველოს მასშ

WWW.FACEBOOK.COM/GROUPS/ELLIB

რა არის პოლიტიკა?

„თავის ბუნებით, ადამიანი პოლიტიკური ცხოველია“

არისტოტელე, პოლიტიკა, წიგნი I



პოლიტიკა აზარტული რამაა — ჩვენ ხომ ყველაფერზე დაუა გვიყვარს! ვდავით იმაზე, როგორ ვიცხოვროთ, ვის რა და რამდენი ეკუთვნის, როგორ განაწილდეს ძალაუფლება თუ სხვა რამ მიწიერი სარგებელი; რას ემყარებოდეს საზოგადოება — თანამშრომლობასა თუ ურთიერთდაპირისპირებას და ა.შ. უკი არა, დავის გადაჭრის გზებზეც კი ვერ შევთანხმებულვართ როგორ მივიდეთ საერთო აზრამდე, ვის ეთქმის სიტყვა, რაოდენი გავლენა შეიძლება გააჩნდეს თითოეულ ჩვენგანს... სწორედ ამიტომ უწოდა არისტოტელემ პოლიტიკას “მეცნიერებათა მეცნიერება”: ანუ, არც მეტი, არც ნაკლები — ის, რისი მეშვეობითაც ადამიანები ცდილობენ ცხოვრება გაიმჯობესონ და სამართლიანი საზოგადოებაც შექმნან. პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი საქმიანობაა: მუდამ დიალოგია და მონოლოგს ვერ იტანს. რობინზონ კრუზოსაგეთ საზოგადოებას მოწყვეტილ ადამიანს მარტოვე მუყრ-ნეობის გაძლივაც შეუძლია და ხელოვნების ნიმუშების შექმნაც, ოღონდ პოლიტიკაში კი ვერანაირად ვერ ჩაერთვება — პოლიტიკა მხოლოდ მეორე ადამიანის, ქალი/მამაკაცი პარასკევას გამოჩენით იწყება.

ასეა თუ ისე, პოლიტიკის თანამდევი უთანხმოება პოლიტიკის, როგორც საგნის განსაზღვრაზეც ახდენს გავლენას და იმაზეც, თუ როგორ უნდა შევისწავლოთ იგი. ამ ორივე საკითხის ირგვლივაც კი არ არსებობს ერთიანი აზრი: რა არის ის, რაც საზოგადოებრივ ურთიერთობებს „პოლიტიკად“ აქცევს და როგორ უნდა მოხდეს თავად პოლიტიკური აქტივობის ანალიზი თუ ახსნა.

ამ თავში შემდეგი ძირითადი საკითხებია განხილული:

საკვანძო საკითხები:

- < პოლიტიკის, როგორც საქმიანობის განმსაზღვრელი ნიშან-თვისებები.
- < როგორ აღიქმებოდა პოლიტიკა სხვადასხვა დროის მოაზროვნეებისა თუ განსხვავებული ტრადიციების მიერ.
- < პოლიტიკა, როგორც ზოგიერთის, თუ ყოველი საზოგადოებრივი ინსტიტუტის საქმე.
- < რა და რა მიდგომა არსებობს პოლიტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის შესასწავლად.
- < შეიძლება თუ არა პოლიტიკის მეცნიერულად შესწავლა.
- < ცნებების, მოდელებისა და თეორიების მნიშვნელობა პოლიტიკური ანალიზისთვის.

პოლიტიკის რაობის განსაზღვრა

პოლიტიკა როგორც მართვის ხელოვნება.

პოლიტიკა როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობა.

პოლიტიკა როგორც დათმობა (კომპრომისი) და თანხმობა (კონსენსუსი).

პოლიტიკა როგორც ძალაუფლება.

პოლიტიკის შესწავლა

პოლიტიკის შესწავლის მეთოდები.

შესაძლებელია თუ არა პოლიტიკის მეცნიერულად შესწავლა?

ცნებები, მოდელები და თეორიები

შეჯამება/კითხვები განსასჯელად/ დამატებითი საკითხავი

პოლიტიკის რაობის განსაზღვრა

ფართო გაგებით, პოლიტიკა ის საქმიანობაა, რომლის მეშვეობითაც ადამიანები თანაცხოვრებისათვის აუცილებელ ზოგად წესებს ადგენენ, იცავენ ან ცვლიან. თუქცა “პოლიტიკა”, ამავე დროს, აკადემიური დისციპლინის დასახელებაცაა და ცხადია, საქმიანობის შესაბამისი სფეროს შესწავლასაც გულისხმობს. პოლიტიკა უცილობლად უკავშირდება ისეთ ცნებებს, როგორცაა **კონფლიქტი** და **თანამშრომლობა**: ერთის მხრივ, განსხვავებულ აზრთა შეხლა, მისწრაფებათა სხვადასხვაობა, მოთხოვნილებათა ჯიბრი და ინტერესთა დაპირისპირება თავისთავად ქმნის იმ საერთო წესებზე დავის წინაპირობას, რომელთა მიხედვითაც ცხოვრება გვიწევს; მეორეს მხრივ, ყველა ვხვდებით, რომ ამ წესებზე ზემოქმედებისა თუ მათი დაცვის უზრუნველსაყოფად, ადამიანებმა უნდა ვითანამშრომლოთ — სწორედ აქედან მომდინარეობს პოლიტიკური ძალაუფლების, როგორც „გუნდური თამაშის“ ჰანა არენდტისეული განსაზღვრა. აი ამიტომაც, პოლიტიკის დედაარსად ხშირად კონფლიქტების გადაწყვეტის პროცესს მიიჩნევენ, როცა განსხვავებული თვალსაზრისებისა და დაპირისპირებული ინტერესების კრიმანეთთან დაახლოება ხერხდება. თუქცა, ფართო გაგებით, პოლიტიკა უმჯობესია კონფლიქტის გადაჭრის გზის ძიებად მივიჩნიოთ და არა საბოლოო შეთანხმების მიღწევად, რამდენადაც ამა თუ იმ მიზეზის გამოისობით, ყოველთვის და ყველა კონფლიქტის გადაჭრა შეუძლებელია. რაკიდა ადამიანებს შორის არსებულ განსხვავებას ვერსად გავექცევით — ისევე, როგორც დაუქმყოფილებელ სურვილებს (საყოველთაო კეთილდღეობამდე ჯერ კიდევ შორია), დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკა კაცობრიობის არსებობის მუდმივ თანამდევად რჩება.

ნებისმიერი მცდელობა, ზუსტად განისაზღვროს “პოლიტიკის” არსი, ორ მთავარ პრობლემას აწყდება. პირველი — იმ ასოციაციების სიმრავლეა, რასაც სიტყვა პოლიტიკის ყოველდღიური ხმარება იწვევს: სხვაგვარად თუ ვიტყვი, ეს ცნება პირდაპირ “გამქმგილია” მნიშვნელობებით. მაშინ როცა ეკონომიკას, გეოგრაფიას, ისტორიას ან ბიოლოგიას, როგორც წესი, წმინდა აკადემიურ დისციპლინებად მივიჩნევთ ხოლმე, ცოტა თუ მოიძებნება ისეთი, ვისაც პოლიტიკის შესახებ წინასწარ აკვიატებული შეხედულებები არ გააჩნდეს. მაგალითად, ძალიან ბევრს რატომღაც ჰგონია რომ ისინი, ვინც პოლიტიკას სწავლობს ან ასწავლის, მეტნაკლებად მიკროძობულნი უნდა იყვნენ და ამ საგნის სუბიექტური დამოკიდებულების გარეშე შესწავლაც დაუჯერებლად მიაჩნიათ. უფრო მეტიც, პოლიტიკა ერთგვარ “ბინძურ საქმედაც” კი ითვლება, რომლის ხსენებაზე ზოგს ათასი უბედურება, არეულობა, შფოთი და ძალადობა ახსენდება, ზოგს კიდევ — სიცრუე, ფარული ინტრიგები და პოლიტიკანთა ცრუქმენტელობა. ამაში ახალი არაფერია: უკვე 1775 წელს სემუელ ჯონსონმა პოლიტიკისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება იმით გამოხატა, რომ განაცხადა: პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა ცხოვრებაში წარმატების მიღწევის საშუალებაო; ხოლო მე-19 საუკუნის ამერიკელმა ისტორიკოსმა, ჰენრი ადამსმა იგი “სისტემაში მოქცეულ სიძულვილად” მონათლა. აქედან გამომდინარე, “პოლიტიკის” განსაზღვრის ყოველი შემდგომი მცდელობა,

კონფლიქტი: წინააღმდეგობა დაპირისპირებულ მხარეთა შორის, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას, სურვილთა, მოთხოვნილებათა და ინტერესთა სხვადასხვაობას ასახავს.

თანამშრომლობა: ერთობლივი ქმედება; მიზნის მიღწევა კოლექტიური ძალისხმევის შედეგად.

თავისთავად ამ ტერმინის მსგავსი ასოციაციებისაგან გამოთავისუფლებასა და პოლიტიკის, როგორც ცნების „შებდალული სახელის“ აღდგენას, მისი, როგორც ღირსეული საქმიანობის სტატუსის დამკვიდრებას გულისხმობს.

მეორე თავსატეხი ისაა, რომ ყველაზე დიდი ავტორიტეტებიც კი დღემდე ვერ შეთანხმებულან, კერძოდ რას ეხება პოლიტიკის საგანი. ათასგვარი ახსნა არსებობს: პოლიტიკა როგორც ძალაუფლების განხორციელება, ხელისუფლების განმტკიცება, კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება, სასიცოცხლო რესურსების გადანაწილება თუ ხალხით მანიპულირება და ა.შ. ჩვენს მიერ შემოთავაზებულ განსაზღვრას — “პოლიტიკა ძირითადი საზოგადოებრივი წესების შემუშავება, უზრუნველყოფა და შეცვლა” — ერთი უპირატესობა გააჩნია: ის საკმარისად ფართოა, რათა შემოსხმებულ განმარტებათა უმრავლესობა მაინც მოიცვას. ოღონდ თუ ამ განსაზღვრასაც შეტისმეტად ჩავეძიებით, პრობლემები არ დაილგეა: ვთქვათ, პოლიტიკა საზოგადოებრივი თანაცხოვრების წესების შემუშავების, უზრუნველყოფისა თუ შეცვლის ერთი რაღაც კონკრეტული გზაა (ანუ მშვიდობიანად, მოლაპარაკებებისა და დებატების საშუალებით), თუ ნებისმიერი სხვა გზაც მისაღებია? ახევე, სად ტარდება პოლიტიკა: საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსა და ინსტიტუტებში განურჩევლად, თუ მხოლოდ რომელიმე კონკრეტულში?

ამ კუთხით “პოლიტიკა”, შესაძლოა, არსებითად სადაო ცნებაც იქნას იმ თვალსაზრისით, რომ არაერთი მისაღები თუ უბრალოდ, არსებობის უნების მქონე მნიშვნელობა გააჩნია. მეორეს მხრივ, შესაძლოა განსაზღვრათა სხვადასხვაობა მარტივად აიხსნას — ერთსა და იგივე ცნებას იმთავითვე განსხვავებული პოზიციიდან განმარტავენ ხოლმე.

მიუხედავად იმისა, ურთიერთგამომრიცხავ კონცეფციებთან გვაქვს საქმე თუ ალტერნატიულ ხედვასთან, პოლიტიკის რაობაზე მაინც ღირს კამათი, რადგან სწორედ ამ კამათში იკვეთება საგნის მეცნიერული შესწავლისას გაჩენილი ინტელექტუალური და იდეოლოგიური უთანხმოებანი: პოლიტიკის რაობაზე არსებული განსხვავებული შეხედულებების შესახებ კი ქვემოთ ვისაუბრებთ:

- ქპოლიტიკა, როგორც მართვის ხელოვნება
- ქპოლიტიკა, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობა
- ქპოლიტიკა, როგორც დათმობის (კომპრომისი) და თანხმობის (კონსენსუსი) უნარი
- ქპოლიტიკა, როგორც ძალაუფლებისა და რესურსების გადანაწილების ინსტრუმენტი.

ხელისუფლება

ამ ცნების ყველაზე მარტივი განმარტებაა “კანონიერი ძალაუფლება”. თუკი ძალაუფლება სხვათა ქცევაზე ზემოქმედებას გულისხმობს, ხელისუფლება ამგვარი მოქმედების კანონიერებას ნიშნავს. ამიტომაც ხელისუფლება მოვალეობის ვგნებულ გააზრებას უფრო ეფუძნება, ვიდრე იძულებასა თუ მანიპულირებას. ამ გაგებით, „ხელისუფლება“ კანონიერებითა და მართებულობით შემოსილი ძალაუფლებაა. იმისდა მიხედვით, თუ რას ემყარება ხელისუფლების გავლენა, მაქს ვებერი, სამ ტიპს განასხვავებდა: ისტორიულ ფესვებზე დაფუძნებულ ტრადიციულ ხელისუფლებას, პიროვნულ გავლენაზე დაყრდნობილ ქარიზმატულ ხელისუფლებასა და საერთო კანონებისა და წესების ერთობლიობის მიხედვით მოქმედ რაციონალურად კანონმორჩილ ხელისუფლებას.

პოლიტიკა როგორც მართვის ხელოვნება

„პოლიტიკა მეცნიერება კი არა, ხელოვნებაა...“ — ერთხელაც ასე განუცხადებია კანცლერ ბისმარკს გერმანიის რაიხსტაგში და სწორედაც რომ სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას, ანუ კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებისა და გატარების გზით საზოგადოებრივ ურთიერთობებზე კონტროლს გულისხმობდა. ეს არის ალბათ, პოლიტიკის ის კლასიკური განსაზღვრება, რომელიც ამ სიტყვის პირველადი, ანტიკურ საბერძნეთში შექმნილი მნიშვნელობიდან მომდინარეობს.

ტერმინი “პოლიტიკა” პოლისიდან წარმოსდგება (**polis**), რაც სიტყვასიტყვით “ქალაქ-სახელმწიფო” აღნიშნავს. ანტიკურ ხანაში საბერძნეთი დამოუკიდებელ პოლისებად იყოფოდა და ყოველ მათგანს მართვის საკუთარი სისტემა ჰქონდა. ამ “ქალაქ-სახელმწიფოებში” ყველაზე დიდი და გავლენიანი ათენი გახლდათ, რომელსაც ზშირად დემოკრატიული მმართველობის აკვნადაც სახავენ. ამგვარად, თვით ცნება პოლიტიკა შეიძლება პოლისის საქმიანობასთან მიმართებაში განვიხილოთ — ანუ “ის, რაც პოლისს ეხება”. ამ განსაზღვრების თანამედროვე ფორმულირება კი ამგვარი იქნებოდა: „ის, რაც სახელმწიფოს ეხება“. პოლიტიკის ასეთი გაგება ყველაზე ზშირად ისმის ყოველდღიურ საუბარში: “პოლიტიკაშიაო”, ჩვეულებრივ ამბობენ ხოლმე ადამიანზე, რომელსაც ესა თუ ის საჯარო თანამდებობა უკავია, ხოლო თუ ვინმე საჯარო თანამდებობის დაკავებას აპირებს, ასეთზე იტყვიან, პოლიტიკაში მოსვლა მონდომებიაო... სწორედ ამგვარი განსაზღვრის დამკვიდრებას ცდილობდა პოლიტიკური მეცნიერება მისი კლასიკური გაგებით.

დასკვნა, რომ “რაც კი სახელმწიფოს ეხება”, ყველაფერი პოლიტიკაა, დისციპლინის ტრადიციულ თვალსაზრისითა და ყურადღებას ძირითადად, სახელისუფლებო მანქანასა და მის მოხელეებზე ამახვილებს. პოლიტიკის შესწავლა არსებითად სახელმწიფო მმართველობის, უფრო ზოგადად — ხელისუფლების შესწავლას ნიშნავს. სწორედ ეს ტრადიციული გაგებაა ხაზგასმული ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, დევიდ ისტონის შრომებში, და პოლიტიკა განმარტებულია, როგორც “ღირებულებათა განკარგვა ხელისუფლების მიერ”. მისივე აზრით, პოლიტიკა სხვადასხვაგვარ ხერხებს გულისხმობს, რომელთა მეშვეობითაც მთავრობა ფართო საზოგადოების ზეწოლას პასუხობს — ყერძოდ კი წახალისებით, დაჯილდოებითა თუ პირიქით — დასჯის სახით. შესაბამისად, ლაპარაკია იმ ღირებულებებზე, რომლებიც სავსებით მისაღებია თავად საზოგადოებისათვის და მოქალაქეთა უმრავლესობისთვის საუაღდებულოდაც კი ითვლება. ეს მიდგომა პოლიტიკის გაგებას უფრო აახლოებს ინგლისურ ცნებასთან “policy”, რაც იმ ოფიციალური გადაწყვეტილებების ერთობლიობას ნიშნავს, რომელთა მეშვეობითაც ხელისუფლება საზოგადოებას მართავს.

პოლიტი:
საზოგადოების ორგანიზების ისეთი ფორმა, რომელიც ხელისუფლების მიერ პოლიტიკური გავლენის გამოყენებას ეფუძნება; არისტოტელესთან პოლიტი განმარტებულია, როგორც “მრავალთა მმართველობა ყველას საკეთილდღეოდ”.

პოლისი - ძველ ბერძნულად: ქალაქი-სახელმწიფო. დამკვიდრებული თვალსაზრისით, საზოგადოების ორგანიზების უმაღლეს და სასურველ ფორმად მიიჩნეოდა.

თუმცა, აღნიშნული მიდგომის ნაკლი მისი ცალმხრივობაა: გამოდის, რომ პოლიტიკა მხოლოდ **პოლიტის (polity)** ფარგლებში მოიაზრება, ანუ საზოგადოებრივი მოწყობის იმ სისტემაში, რომელიც სახელისუფლო მექანიზმებზეა ფოკუსირებული. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკა თითქოსდა

ნიკოლოზ მაკიაველი (1469-1527)

იტალიელი პოლიტიკოსი და მწერალი. ვეჩიოსი შეილი. საჯარო ცხოვრების შესახებ ცოდნა მან პოლიტიკურად არასტაბილურ ფლორენციაში მიიღო. მაკიაველის სახელმწიფო მდივნის თანამდებობა ვაცა (1498 -1512წწ.) და ამა თუ იმ მასიით საფრანგეთში, გერმანიასა თუ შიულს იტალიაში მოგზაურობდა. ხანმოკლე პატიმრობისა და მედიცინა მმართველობის აღდგენის შემდგომ, მაკიაველიმ საღიჭერ-

ატურო საქმიანობას მიჰყო ხელი. მისი ძირითადი ნაშრომი “მოთავარი” (1531) ჩეზარე ბორჯიას კარის პოლიტიკასა და მის მაშინდელ ძალისმიერ მეთოდებზე უშუალო დაკვირვების შედეგია. ნაშრომი დაწერილია როგორც სახელმძღვანელო — გაერთიანებული იტალიის მომავალი მმართველისათვის. ეპითეტი “მაკიაველური” დღემდე “ცბიერი და ორპირი” ქმედებების სინონიმად გამოიყენება.



მხოლოდ კაბინეტებში, საკანონმდებლო კულუარებსა თუ სხვადასხვა დეპარტამენტებში “კეთდება” და მასში ჩართულ ადამიანთა რიცხვიც შეზღუდულია — უმთავრესად პოლიტიკოსებით, საჯარო მოხელეებითა და ლობისტებით შემოიფარგლება. ამ გაგებით, ადამიანებისა და ინსტიტუტების, სხეულები, როგორც საზოგადოებრივი სფეროს მეტი წილი საერთოდ პოლიტიკის “თამაშგარეთ” რჩება. ბიზნესი, სკოლები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები, საზოგადოებრივი ჯგუფები, ოჯახები და ა.შ., ამ შემთხვევაში “არაპოლიტიკურ” სტრუქტურებად განიხილებიან, რადგან “ქვეყნის მართვაში” არანაირად არ მონაწილეობენ. ამავე ნიშნით, პოლიტიკის მხოლოდ სახელმწიფო საქმიანობად წარმოჩენას, ჩვენს ცხოვრებაზე სულ უფრო მზარდი გავლენის მქონე ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო თუ გლობალური ფენომენების უგულვებელყოფამდე მივყავართ, როგორებიცაა უკვე, ტრანსნაციონალური ტექნოლოგიები და მრავალეროვანი კორპორა-

მართვა

მართვა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მმართველობა, თუმცა ამ ცნებას ჯერაც არ შეუქმნია რაიმე დამკვიდრებული, ყველასათვის მისაღები განსაზღვრება. მართვაში საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვის სხვადასხვა საშუალება მოიაზრება. ამდენად, მმართველობა მართვის მხოლოდ ერთი ინსტიტუტთაგანია და “მართვა მმართველობის გარეშეც შესაძლებელია” (როუსი, 1996). მმართველობის მოთავარი ბერკეტებია: ბაზრის არსებობა, იერარქიული დაყოფა, კომუნიკაციური სისტემები.

აღნიშნული ცნების უფრო ფართო გაგებით გამოყენება სახელმწიფო/საზოგადოების გამიჯვნას აბუნდოვანებს, რადგან მართვის იმგვარ წარმებასაც მოიცავს, როგორც საზოგადოებრივის კერძოსთან თანამშრომლობა, კომუნიკაციური სისტემები და ზენაციონალური თუ უწრთოეროვნული ორგანიზაციებია (ე.წ. “მრავალსაფეხურიანი მმართველობა”). ზოგი მართვას ბრძანებისა და კონტროლის მექანიზმებიდან აქცენტის კონსულტაციებსა და მოლაპარაკებებზე გადატანასთან აკავებს; სხვანი კი ამას “ადმინისტრირების დონის კლებასა” და დაეისუფალი ბაზრისათვის უპირატესობის მინიჭებას უკავშირებენ.

არისტოტელე (384-322 ჩვ.წ.-მდე)

ბერძენი ფილოსოფოსი, არისტოტელე პლატონის მოწაფე (იხ. სურათი 2) და ახალგაზრდა ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი იყო. ჩვ.წ.-მდე 335წ. მან ფილოსოფიის საკუთარი სკოლა დააარსა ათენში და მას „პერი-პატეტური“ ეწოდა, რადგანაც საუბრისას აქეთ-იქით სიარული სჩვეოდა ხოლმე. ჩვენამდე მოღწეული მისი 22 ლექცია-ტრაქტატი ლოგიკის, ფიზიკის, მეტაფიზიკის, ასტრონომიის, მეტეოროლოგიის, ბიოლოგიის, პოლიტიკისა და ეთიკის სფეროებს მოიცავს. შუა საუკუნეებში არისტოტელეს ნააზრევი არაბულ ფილოსოფიას დაედო საფუძვლად, მოგვიანებით კი ქრისტიანულ თეოლოგიაშიც აისახა. არისტოტელეს უცნობილესი ნაშრომი “პოლიტიკაა”, იდეალური წყობი-ლების მისეული მოდელი.



ციები. ამგვარი ხედავ მაშინდელი გამოძახილია, როცა ერი-სახელმწიფო ჯერ კიდევ დამოუკიდებელ მოთამაშედ აღიქმებოდა საერთაშორისო ასპარეზზე. მეტიც, ამჟამად სულ უფრო მკვიდრდება მოსაზრება, რომ არაერთგვაროვან საზოგადოებებს არა მხოლოდ მთავრობები მართავენ, არამედ პროცესში უკვე საჯარო თუ კერძო სექტორის მთელი სპექტრია ჩართული. სწორედ ამის ანარეკლია მოსაზრებაც, რომ დღესდღეობით “სახელისუფლებო მართვის” ნაცვლად, უფრო ხშირად ტერმინი “მმართველობა” (governance) იხმარება.

შესაძლოა, ეს განსაზღვრება კიდევ უფრო დაკონკრეტდეს: ამის აშკარა მაგალითია პოლიტიკის გაიგვება პარტიულ პოლიტიკასთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთ შემთხვევაში “პოლიტიკურის” სფერო იმ სახელმწიფო მოღვაწეებამდე დაიყვანება, ვისაც საკუთარი იდეების ცხოვრებაში გატარება ამა თუ იმ ფორმალურ გაერთიანებებში — მაგალითად, პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანების გზით სურთ.

ამ გაგებით პოლიტიკოსები “პოლიტიზირებულებად” მიიჩნევიან, ხოლო საჯარო მოხელეები — ყოველ შემთხვევაში, სანამ თავიანთ პროფესიულ მოვალეობებს მიუკერძოებლად ასრულებენ — “არაპოლიტიკურებად”. არაპოლიტიკურ ფიგურებად განიხილებიან მოსამართლეებიც, ვიდრე მათ განაჩენზე პირადი განწყობა ან სხვა რამ მოტივაცია არ მოქმედებს — სხვა შემთხვევაში მათ, შესაძლოა, “პოლიტიზირებულობაშიც” კი დასდონ ბრალი.

ანტიპოლიტიკა:
ოფიციალური პოლიტიკითა და პოლიტიკური მექანიზმებით გამოწვეული იმედგაცრუება, გამოხატული სისტემის წინააღმდეგობი პარტიების მხარდაჭერით ანდა საერთოდ უარის თქმით პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობაზე.

სწორედ პოლიტიკასა და სახელმწიფო საქმეებს შორის არსებული კავშირით შეიძლება აიხსნას, რატომ იძენს ასე ხშირად სიტყვა პოლიტიკა უარყოფით თუ დამამცირებელ იმეჯს: უბრალო ხალხის თვალში პოლიტიკა პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმიანობასთან ასოცირდება. უხეშად რომ ვთქვათ, პოლიტიკოსებს ხშირად ძალაუფლებას მოწყურებულ ფარისევლებად სახავენ, რომელთა პოპულისტური რიტორიკის მიღმა, სინამდვილეში პირადი ამბიციების გარდა არაფერი დგას. მართლაც, პოლიტიკოსის ამგვარმა აღქმამ დღევანდელობაში უფრო მოიკიდა ფეხი — მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სულ უფრო და უფრო ეფექტურად აშუქებენ კორუფციისა და

უპატიოსნობის ფაქტებს, რითაც ანტიპოლიტიკის (antipolitics) ფენომენის გაჩენას უწყობენ ხელს. ტრადიციული პოლიტიკური მანქანისა და მისი მომსახურე პერსონალის მიმართ გაუცხოება იმ დრამად ფესვგამდგარი თვალსაზრისიდან მომდინარეობს, რომ პოლიტიკა თვითმკარი, ორპირი და უპრინციპო საქმიანობაა; სწორედ აქედან ჩნდება ცნობილი აგდებული ვაითუტებიც, როგორებიცაა “პოლიტიკანობა” და “კულუარული პოლიტიკა”. ამასთან დაკავშირებით, ხშირად ახსენებენ ხოლმე ნიკოლო მაკაიაევის ნაშრომს “მთაფარი”, სადაც მან “პოლიტიკის კეთების” უკიდურესად რეალისტური სურათი დახატა და ყურადღება პოლიტიკურ ლიდერთა სისასტიკეზე, ცბიერებასა და გაქნილობაზე გაამახვილა. რომ არ არსებობდეს ხელისუფლების მიერ ფასეულობათა განკარგვის რაიმე შექანისში, საზოგადოება უბრალოდ დაიშლებოდა და როგორც ადრინდელი სოციალური კონტრაქტის თეორეტიკოსები ამტკიცებდნენ, დაიწყებოდა სამოქალაქო ომი — “ყველა ყველას წინააღმდეგ”. შესაბამისად, საქმე ის კი არაა, მოესპოთ პოლიტიკოსები და ზოგადად პოლიტიკასაც მოეუღოთ ბოლო, არამედ უზრუნველვით მისი კონტროლისა და შეზღუდვის იმგვარ ჩარჩოებში მოქცევა, როცა ხელისუფლება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას ვეღარ მოახერხებს.

პოლიტიკა როგორც საზოგადოებრივი საქმიანობა

პოლიტიკის მეორე და უფრო ფართო გაგება სამთავრობო მართვის ვიწრო სფეროდან მის უფრო ვრცელ სიბრტყეზე გადატანას გულისხმობს, რასაც ჩვეულებრივ “საზოგადოებრივ საქმიანობას” ან “საზოგადოებრივ ურთიერთობებს” უწოდებენ ხოლმე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსხვავება “პოლიტიკურსა” და “არაპოლიტიკურს” შორის ზუსტად ემთხვევა ცხოვრებას არსებითად “საზოგადოებრივ” და “კერძო” სფეროებს შორის განსხვავებას. ამგვარი ხედვა ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსის, არისტოტელეს შრომებიდან იღებს სათავეს. “პოლიტიკაში” ის ამტკიცებს, რომ “ადამიანი პოლიტიკური ცხოველია” და ადამიანური ცხოვრება მხოლოდ პოლიტიკურ საზოგადოებაშია შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკა “ამართლიანი საზოგადოების” შექმნასთან დაკავშირებული ეთიკური ქმედება — ესაა დარგი, რომელსაც არისტოტელე “მეცნიერებათა მეცნიერებას” უწოდებს.

თუცა ჩნდება კითხვა: სად უნდა გაივლოს ზღვარი “საზოგადოებრივ” და “კერძო” ცხოვრებას შორის? ტრადიციული ზღვარი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების გამიჯნვას ემთხვევა. სახელმწიფო ინსტიტუტების (სამთავრობო მანქანის, სასამართლოების, პოლიციის, ჯარის, სოციალური დაცვის სისტემის და ა.შ.) “საზოგადოებრივად” მიჩნევა შესაძლებელია, ვინაიდან ისინი საზოგადოების თანაცხოვრების კოლექტიურ ორგანიზებაზე აგებენ პასუხს — ეგ კი არა, მათი დაფინანსებაც საზოგადოების ხარჯზე — გადასახადების მეშვეობით ხდება. თუად სამოქალაქო საზოგადოება კი პირიქით — ედმუნდ ბერკის ნათქვამს თუ ვირწმუნებთ — ერთგვარი “მცირე ჯგუფებისაგან” შედგება, ისეთი ინსტიტუტებისაგან, როგორებიცაა ოჯახი, სანაოსნო, კერძო საწარმოები, პროფესიული კავშირები, კლუბები, მოსახლეობა გაერთიანებები და სხვ. ისინი იმ გაგებით ითვლებიან

სამოქალაქო საზოგადოება

ცნება სამოქალაქო საზოგადოებას სხვადასხვანაირად განსაზღვრვენ ხოლმე. თუვადპირველად იგი “პოლიტიკურ საზოგადოებად” მოიაზრებოდა, რომელსაც კანონი მართავს. ჩვეულებრივ, სამოქალაქო საზოგადოებას სახელმწიფოსაგან მიჯნავენ და იმ კერძო ინსტიტუტებს უკავშირებენ, რომლებიც ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელია და ცალკეული პირების მიერ თავიანთი მიზნების მისაღწევადაა ორგანიზებული. ამდენად, სამოქალაქო საზოგადოება ავტონომიურ ჯგუფებსა და ასოციაციებს გულისხმობს: კომპანიებს, ინტერეს-ჯგუფებს, კლუბებს, ოჯახებს და ა.შ. თუცა პეველი განასხვავებს ოჯახს სამოქალაქო საზოგადოებისაგან, და ამ უკანასკნელს ევოიზონისა და თავკერძობის სფეროდ მიიჩნევს. ცნება “გლობალური სამოქალაქო საზოგადოება” კი უკვე იმგვარ ტრანსნაციონალურ ორგანიზაციებს მოიცავს, რომლებიც კერძოა, მოგებაზე არაა ორიენტირებული, თვითმართვადია და ნებუყოფლობით: ასეთებია, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოებრივი მოძრაობები.

“კერძოდ”, რომ მათი შექმნაც და დაფინანსებაც ცალკეულ მოქალაქეთა მიერ ხდება — საკუთარი და არა საზოგადოების ფართო ფენების ინტერესთა დასაკმაყოფილებლად. საზოგადოებრივის/კერძოს ამგვარი დიფერენცირების საფუძველზე, პოლიტიკა სახელმწიფოს ქმედებებთან და საჯარო მოხელეთა მკაცრად განსაზღვრულ მოვალეობებთანაა გაიგივებული. აქედან გამომდინარე, ცხოვრების ის სფეროები, რომელთა მართვა ადამიანებს თავად, საკუთარი ძალებით შუძლიათ (ეკონომიკური, სოციალური, საყოფაცხოვრებო, პირადი, კულტურული, შემოქმედებითი და სხვ.) აშკარად “არაპოლიტიკურია”.

ზოგჯერ “საზოგადოებრივად/კერძოდ” დაყოფა კიდევ უფრო მკვეთრად ემიჯნება ერთმანეთს, და ამ შემთხვევაში ზღვარი უკვე “პოლიტიკურ/პირადულზე” გადის (ნახ. 1.1.)

ნახ. 1.1.

საზოგადოებრივსა და პირადს შორის გამიჯნვის ორი გაგება

საზოგადოებრივი სახელმწიფო:	კერძოსამოქალაქო საზოგადოება
სახელმწიფო მართვის აპარატი	დამოუკიდებელი ინსტიტუტები: კერძო ბიზნესი, პროფკავშირები, კლუბები, ოჯახები და ა. შ.
საზოგადოებრივი	კერძო
საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო: პოლიტიკა, ვაჭრობა, შრომითი საქმიანობა, ხელოვნება, კულტურა და ა.შ.	პირადული სფერო: ოჯახი და პირადი ცხოვრება

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოება შეგვიძლია გავმიჯნოთ სახელმწიფოსაგან, ის მაინც მთელ რივ ინსტიტუტებს მოიცავს, რომლებიც, ფართო გაგებით, “საზოგადოებრივად” განიხილებიან — ღია სტრუქტურებია, მუშაობენ საჯაროობის პრინციპით და საზოგადოებისათვისაც მისაწვდომნი არიან. აქ ერთი მნიშვნელოვანი ამბავია, რაც “პოლიტიკურის” ჩვენეულ გაგებას აფართოებს — რაკილა ეკონომიკა კერძოდან საზოგადოებრივ სფეროში გადააქვს და ამგვარად, პოლიტიკის ამა თუ იმ გამოვლინებას ყველგან ხედავს — ნებისმიერ დაწესებულებაშიც კი; და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ისეთი ინსტიტუტები, როგორებიცაა კერძო საწარმოები, კლუბები თუ პროფესიული კავშირები, “საზოგადოებრივად” მიიჩნევა, ყველა ესენი პოლიტიკისათვის შეზღუდულ არეალში რჩებიან. პოლიტიკა არ ახდენს და არც უნდა ახდენდეს გვლენას “კერძო” საქმეებსა და ინსტიტუციებზე. მაგალითად ფემინისტურად განწყობილი თეორეტიკოსები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკა “სახლის ზღურბლზე” მთავრდება — ის არ ეხება არც ოჯახს, არც

ჰანა არენდტი (1906-75)

გერმანელი პოლიტიკის თეორეტიკოსი და ფილოსოფოსი, საშუალო შეძლების ებრაულ ოჯახში აღიზარდა. 1933წ. ნაცისტებისგან თავის დასაღწევად გერმანიიდან გაიქცა და საბოლოოდ ა.შ.შ.-ში დასახლდა, სადაც დაიგდო კიდევ სახელი. ჰანა არენდტის მრავალფეროვან და მრავალმხრივ გამორჩეულ ნაშრომებზე ჰაიდეგერის (1883-1976) და იასპერსის (1889-1976) ეგზისტენციალიზმში იქონია გავლენა, რასაც არენდტი "შეუზღუდავ აზროვნებად" ახასიათებს. მის საუკეთესო ნაშრომებს შორის აღსანიშნავია "ტოტალიტარიზმის საფუძვლები" (1951), სადაც ნაცისტურ გერმანიასა და სტალინისტურ რუსეთს შორისაა პარალელები გავლებული; მისი უდიდესი ფილოსოფიური ნაშრომებია "ადამიანური გარემო" (1958); "რევოლუციის თაობაზე" (1963) და აიჰმანი იერუსალიმში (1963). ამ უკანასკნელმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რაკიდა თავად აიჰმანის "ბანალურ ბოროტებად", ანუ რიგით ნაცისტ ჩინოსნად და არა — ფაშისტურად იდეოლოგიის ფანტიკოსად სახეც.



პირად ცხოვრებასა და არც პირად ურთიერთობებს. ამგვარი დამოკიდებულება აშკარა ხდება პოლიტიკოსთა სურვილით, პროფესიულ ქცევასა და პიროვნულ ჩვევებს შორის მკვეთრი ზღვარი გააგლონ: როცა, ვთქვათ, შუღლის დაღატს ან ბუეშებთან უხეშობას პირად საქმედ მიიჩნევენ, მსგავსი საქციელის პოლიტიკურ მნიშვნელობას იმ მოტივით უარყოფენ, ჩვენს საზოგადოებრივ საქმიანობაზე ყოველივე ეს არანაირად არ აისახებაო.

პოლიტიკის არსებითად საზოგადოებრივ საქმიანობად აღქმამ აზრით დადებითი თუ უარყოფითი წარმოდგენა გააჩინა. არისტოტელედან მომდინარე ტრადიციის თანახმად, პოლიტიკა, სწორედ მისი საზოგადოებრივი ხასიათის გამო, კეთილშობილურ და ქველ საქმიანობად განიხილებოდა ზედამ. სწორედ ამ პოზიციასზე იდგა ჰანა არენდტი, რომელიც თავის ნაშრომში "ადამიანური გარემო" (The human condition, 1958) ამტკიცებს, პოლიტიკა ადამიანთა მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ფორმაა, ვინაიდან თავისუფალ და თანასწორ მოქალაქეებს შორის ურთიერთობებს გულისხმობს — ცხოვრებას აზრს ანიჭებს და ყოველი ინდივიდის უნიკალურობასაც ადასტურებსო. მსგავს დასკვნამდე მივიდნენ ისეთი მოაზროვნეებიც, როგორებიც ვან-ვაკ რუსო და ჯონ სტიუარტ მილი იყვნენ — ისინიც ამტკიცებდნენ, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა უკვე თავისთავადი სიქველვაო. რუსო თვლიდა, რომ მხოლოდ პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეების უშუალო და მუდმივი მონაწილეობა მისცემს სახელმწიფოს შესაძლებლობას, საერთო კეთილდღეობას, ანუ მისივე თქმით, "საყოველთაო ნებას" ემსახუროს. მილის პირით კი, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობას საგანმანათლებლო ფუნქციაც ეკისრება, რამდენადაც ინდივიდის პიროვნულ, ზნეობრივ და გონებრივ განვითარებას უწყობს ხელს.

ზემოთქმულის მკვეთრად საპირისპირო თვალსაზრისის მიხედვით, პოლიტიკა, როგორც საზოგადოებრივი აქტიუობა, ადამიანის ცხოვრებაში ჩარევის არასასურველი ფორმაა და ლიბერალური წყობის მოაზროვნეები სამოქალაქო საზოგადოებას ყოველთვის სახელმწიფოზე მაღლა აყენებდნენ იმ საბაბით, “კერძო” ცხოვრება არჩევანის, პიროვნული თავისუფლებისა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სფეროდ უნდა დარჩეს. მათ “პოლიტიკურის” სფეროს შეზღუდვა და კერძო საქმიანობის ისეთი ფორმების პოლიტიკის მიღმა დატოვება სურთ, როგორცაა, ეთქვათ, ბიზნესი, სპორტი, ან ოჯახური ცხოვრება. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკა არაიდეალური მოვლენაა, რაკილა ხელს გვიშლის მოექცეთ ისე, როგორ გვსურს — შესაძლოა კერძო ბიზნეს-კომპანიების მართვის საქმეშიც ჩაერიოს, ჩვენს მაგივრადაც გადაწყვიტოს, საღ და ვისთან ვაგორთ ბურთი, ან როგორ გავზარდოთ შვილები...

პოლიტიკა, როგორც დათმობისა და თანხმობის უნარი

პოლიტიკის მესამე განსაზღვრება არა იმდენად მის სამოქმედო ასპარეზს განეკუთვნება, რამდენადაც გადაწყვეტილებათა მიღების გზას. ძირითადად, პოლიტიკა განიხილება როგორც საუკეთესო საშუალება კონფლიქტების მოსაგვარებლად: ანუ დათმობის, მოთათბირებისა და შეთანხმებების გზით და არა უხეში ძალის გამოყენებით. სწორედ ეს იგულისხმება, როცა პოლიტიკას “შესაძლებლის ხელოვნებას” უწოდებენ ხოლმე. პოლიტიკის ამგვარი განსაზღვრება ყოველდღიურ მეტყველებაშიც ისმის: მაგალითად, როდესაც საუბრობენ პრობლემის “პოლიტიკურ” გადაჭრაზე, მხედველობაში აქვთ მშვიდობიანი მოლაპარაკებები და არბიტრაჟი და არა ძალისმიერი გადაწყვეტილებები. ეიმეორებთ — პოლიტიკის ამგვარი შეფასება ჯერ კიდევ არისტოტელესაგან მომდინარეობს — კერძოდ, მისი რწმენიდან, რომ რასაც თავად ის “პოლიტის” უწოდებდა, მართვის იდეალურ სისტემაა: ესაა, შეიძლება ითქვას, “შერეული” ფორმა, რომელიც მმართველობის როგორც არისტოკრატიულ, ისე დემოკრატიულ ნიშანთვისებებს ატარებს. დღეს-დღეობით ამგვარი ხედვის ერთი მთავარი მიმდევრთაგანი ბერნარდ კრიკია (Bernard Crick). თავის კლასიკურ გამოკვლევაში “პოლიტიკის დასაცავად” (In Defence of Politics) იგი განმარტავს:

“... პოლიტიკაა, როდესაც წესების მოცემულ სისტემაში ინტერესთა კონფლიქტი თითოეული მხარისთვის იმ წვლილის პროპორციული ძალაუფლების გადაცემით წყდება, რაც მას საზოგადოების კეთილდღეობის საქმეში შეაქვს”.

ამ თვალსაზრისით, პოლიტიკის გასაღები ძალაუფლების ფართო გადანაწილებაა. იქიდან გამომდინარე, რომ ინტერესთა კონფლიქტს გარდაუვალად მიიჩნევენ, კრიკი ამტკიცებს, ძალაუფლებით აღჭურვილი საზოგადოებრივი თუ ინტერეს-ჯგუფები უცილობლად უნდა მორიგდნენ ერთმანეთში — მათი შეჯახება დაუშვებელია. სწორედ ამიტომ მოიაზრებს იგი პოლიტიკას, როგორც “წესრიგის პრობლემის ისეთ გადაწყვეტას, როდესაც არჩევანი

შთანხმებისა და შერიგების, და არა ძალადობისა და იძულების სასარგებლოდ კეთდება”. პოლიტიკის ამგვარი ხედვა ლიბერალურ-რაციონალისტური პრინციპებისადმი ერთგულებას ასახავს: ის ემყარება კამათისა და მსჯელობის ეფექტურობის ურყევ რწმენას, და ასევე დარწმუნებულებას, რომ უმჯობესი საზოგადოებას იმთავითვე კონსენსუსისადმი მიდრეკილება უფრო ახასიათებს, ვიდრე გადაუჭრელი კონფლიქტებისადმი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებული უთანხმოებანი შესაძლებელია ძალადობის ან მუქარის გარეშე გადაიჭრას. თუმცა, კრიტიკოსები იმასაც მიუთითებდნენ — კრიკი პლატიკას ცალმხრივად აღიქვამს და მისეული ხედვა მხოლოდ დასავლურ ლიბერალისტულ დემოკრატიებს ითვალისწინებს — ფაქტიურად, პოლიტიკა ამჟამინდელის ნებასა და პარტიულ მეტოქეობასთან გააიგივა და შედეგად, მისეული მოდელი ერთპარტიულ სახელმწიფოებთან ან სამხედრო დიქტატურებთან მიმართებაში, ვერაფერი გამოსადეგიაო.

პოლიტიკის ამგვარი ხედვა მაინც უდაოდ დადებით ხასიათს ატარებს: პოლიტიკა უტოპია არაა (კომპრომისი ყველა მხარის დათმობაზე წახლავს გულისხმობს, მაგრამ ბოლომდე ემყარებილი ჯერ არაა არასდროს დაიწყო) და მაინც, ის ბევრად სჯობს სხვა ალტერნატივებს — ძალადობასა და სისხლისღვრას. ამ გაგებით პოლიტიკა ცივილიზირებულ და ცივილიზაციის მომტან ძალად შეიძლება გაეიაზროთ. ხალხს უნდა ემსახუროს პოლიტიკის, როგორც საქმიანობის პატენისცემაცა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმაც. ოღონდაც, პოლიტიკის, როგორც კომპრომისისა და ურთიერთგაგების პროცესის თანამდევი სირთულეებისა და იმედგაცრუებების გაუაზრებლობამ (რაკილა ის სხვათა შეხედულებების გათვალისწინებასაც გულისხმობს), შესაძლოა განაპირობა კიდევ დემოკრატიული პოლიტიკისადმი სკეპსისის ზრდა განვითარებული მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში. სტოუკერის თქმით, “პოლიტიკა იმედგაცრუებებზეა აწყობილი — მხარდ მისი შედეგები ბუნდოვანი და ორაზროვანია, მაგრამ საბოლოო — რასოდეს”.

პოლიტიკა როგორც ძალაუფლება

პოლიტიკის მეოთხე განსაზღვრება ყველაზე ფართო და რადიკალურია: ამ შემთხვევაში პოლიტიკას ერთ რომელიმე კონკრეტულ სფეროს არ ვსაზღვრებენ — იქნება ეს სახელისუფლებო, სახელმწიფო, თუ საზოგადოებრივი — მიიჩნევა, რომ პოლიტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა “საზოგადოებრივ” ადწევს.

ადრიან ლეფტვიჩი (Adrian Leftwich) თავის ნაშრომში “რა არის პოლიტიკა — ანუ პოლიტიკური საქმიანობა და მისი კვლევა” (What is Politics? The Activity and Its Study, 1984) ამტკიცებს, რომ “პოლიტიკა ნებისმიერ კოლექტიურ საჯარო საქმიანობას უდევს საფუძვლად — ოფიციალურსა თუ არაოფიციალურს, საზოგადოებრივსა თუ კერძოს, ყოველ დაჯგუფებას, ინსტიტუტსა და გაერთიანებას”. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკა საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა დონეზე იქნის თავს — იქნება ეს ოჯახი, სამეცნიერო, თუ ერთი ან გლობალური გაერთიანება. ოღონდ ეგაა, ჩნდება

კონსენსუსი

ტერმინი “კონსენსუსი”, როგორც წესი, განსაკუთრებული ყაიდის თანხმობას ნიშნავს. ჯერ ერთი, იგულისხმება ფართო შეთანხმება, რომლის პირობებიც პიროვნებათა თუ გარკვეულ ჯგუფთა ფართო სპექტრისათვისაა მისაღები; მეორეც — ზუსტი და პირდაპირი შეთანხმებისაგან განსხვავებით, ის ფუნდამენტალურ და ძირულ პრინციპებზე მორიგებას გულისხმობს — სხვა სიტყვებით თუ ვიტყვი, კონსენსუსი წერილმან უთანხმოებებს არ გამოირიცხავს. ტერმინი “კონსენსუსის პოლიტიკა” ორი მნიშვნელობით გამოიყენება: **პროცედურული** კონსენსუსი — ეს კონსულტაციებისა და გარიგებების გზით გადაწყვეტილების მიღების სურვილია — პოლიტიკურ პარტიებს, ან მთავრობასა და ძირითად ინტერეს-ჯგუფებს შორის. **არსებითი** კონსენსუსი კი ორი ან მეტი პარტიის იდეოლოგიური პოზიციების თანხვედომას გულისხმობს — ძირითად პოლიტიკურ მიზნებთან დაკავშირებით. ამის მაგალითებია 1945 წლის შემდგომი სოციალურ-დემოკრატიული კონსენსუსი დიდ ბრიტანეთში და სოციალურ-საბაზრო კონსენსუსი — გერმანიაში.

საყურადღებოდ...

ძალაუფლების სახეობები:

როცა მაჟანი რაღაც ისეთს აკეთებინებს სხვას, რასაც ეს უკანასკნელი თავად არ გააკეთებდა, უკვე ძალაუფლებას იყენებს. თუცა ეს სხვადასხვაგვარად შეიძლება მოხდეს, რაც რამდენიმე სახის ძალაუფლების არსებობას განაპირობებს.

ძალაუფლება, როგორც გადაწყვეტილების მიღება:

ამგვარი ძალაუფლება იმ გაზრებულ ქმედებებს გულისხმობს, რომლებიც საბოლოო გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებენ. ამ სახის ძალაუფლების კლასიკური განმარტება მოცემულია რობერტ დალის (Robert Dahl) ნაშრომში “ვინ მართავს? დემოკრატია და ძალაუფლება ამერიკულ ქალაქებში” (1961), სადაც ავტორმა საბოლოო გადაწყვეტილებათა გააზრებითა და საქმეში გასულ მხარეთა წინდაწინვე ცნობილი ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვრა, თუ ვის ხელში იყო რეალური ძალაუფლება.

თავისთავად, გადაწყვეტილებათა მიღებაზე ათასგვარი ზემოქმედებაა შესაძლებელი: მაგ., ქით ბოულდინგი თავის წიგნში “ძალაუფლების სამი სახე” (1989), ჩამოთვლის “ჯოხს” (ძალის გამოყენება ან მუქარა), “შეთანხმებას” (ორმხრივ სახეირო გარიგება) და “ამბორს” (გაღლებულება, ერთგულება და ურთიერთ-გაგება).

ძალაუფლება, როგორც ბლოკირების ტაქტიკა:

მეორეგვარი ძალაუფლება, ბაქრაჰისა და ბარატის (Bachrach and Baratz, 1962) აზრით, სწორედ გარკვეული გადაწყვეტილებების შეფერხების საშუალებაა, ანუ ფაქტიურად, “საკითხის არდასმა”.

ეს პირველ რიგში იმგვარ პოლიტიკურ ტაქტიკას და კონტროლის უნარს მოითხოვს, რითაც სხვადასხვა თემებისა და საკითხების განხილვა ფერხდება. ასე მაგალითად, ყრძო კომპანიებს შეუძლიათ აშკარადაც გაილაშქრონ მომხმარებლის ინტერესების დამცველი კანონების წინააღმდეგ (ძალაუფლების პირველი სახეობა) და ასევე, პარტიებთან და პოლიტიკოსებთან ამა თუ იმ საკითხის ლობირების გზით, მომხმარებელთა უფლებებთან დაკავშირებული კანონპროექტების საჯარო განხილვა დაბლოკონ (მეორე სახეობა).

ძალაუფლება, როგორც არჩევანის კონტროლი.

ძალაუფლების მესამე სახეობაა სხვაზე ზემოქმედების მოხდენის უნარი საკუთარი აზრების, მოთხოვნებისა და სურვილების თავსმოხვევით. ესაა იდეოლოგიური ინდოქტრინაციითა და ფსიქოლოგიური კონტროლის მეშვეობით გამოხატული ძალაუფლება. სწორედ ამგვარი ტიპის ძალაუფლებას უწოდებენ (მაგ. **ლუკა**) ძალაუფლების რადიკალურ გაგებას და ის გარკვეულწილად “რბილ” ძალაუფლებას ემთხვევა. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ რეკლამა და მისი საშუალებით მომხმარებლის გემოვნებაზე გავლენის მოხდენა, რაც ხშირად რომელიმე საფერძო სახელის კულტივირებით ხდება. პოლიტიკურ ცხოვრებაში ამგვარი ძალაუფლების გამოყენების მაგალითია პროპაგანდა, ხოლო უფრო ზოგადად, იდეოლოგიური ზეგავლენა.

კითხვა: მაინც რითაა გამორჩეული პოლიტიკური საქმიანობა, რა განასხვავებს მას ნებისმიერი სხვა სოციალური ქცევისაგან?

ფართო გაგებით, პოლიტიკა გულისხმობს რესურსების შექმნას, გადანაწილებასა და გამოყენებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არსებითად,

პლატონი (427 – 347 წ. წ.-მდე)

სოკრატე ფილოსოფოსი. დაიბადა არისტოკრატთა ოჯახში. სოკრატეს მიმდევრად ითვლება — ეს უნდა იყოს მისი ეთიკური და ფილოსოფიური დოქტრინის მთავარი ფიგურა. სოკრატეს გარდაცვალების შემდეგ, 399 წ., პლატონმა საკუთარი ცდები დაარსა, ათენის ახალი მმართველი კლასის განათლებლად. პლატონის სწავლებით, მატერი-ალური სამყარო აბსტრაქტული და მარადიული იდეების არასრულყოფილი ანარეკლებისაგან შედგება. რესპუბლიკასა და კანონებში პლატონის მიერ აღწერილი პოლიტიკური ფილოსოფია, საბერძნეთის თვალსაზრისით იდეალური სახელმწიფოს აღწერის მცდელობაა. ორივე ნაშრომი მას მართლად ავტორიტარულია — არა მხოლოდ ათენში, არამედ მთელს მსოფლიოში. პლატონის ერთადერთი მკვეთრად განათლებული ელიტის წარმომადგენლები — პლატონის ფილოსოფიები ესაზღვრება. აქედან გამომდინარე, კრიტიკული თვალთვლით უნდა დემოკრატია. პლატონის ნააზრევმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ქრისტიანობაზე და ზოგადად ევროპულ კულტურაზე.



პოლიტიკა ძალაუფლება: ნებისმიერი ხერხის გამოყენებით სასურველი შედეგის მიღწევის უნარი. ეს ცნება მკაფიოდაა ჩამოყალიბებული პაროლდ ლასველის (Harold Lasswell) წიგნის სათაურში: “პოლიტიკა: ვის რა ერგება, ხერხი და როდის” (1936). ამ თვალთახედვით, პოლიტიკა ჭრელია და მუდამ პრაქტიკების ზღვარზე ბალანსირებს, და მაინც, მისი ძირითადი მნიშვნელობა რესურსების შეზღუდულობაა, რაც იმ მარტოე მიზეზით აიხსნება, რომ ადამიანის სურვილები და მოთხოვნილებები უსაზღვროა, ხოლო რესურსები დაკმაყოფილებისათვის საჭირო რესურსები — არასაკმარისი. ამიტომ, პოლიტიკა შეიძლება გაგებული იქნას როგორც ქიშპი შეზღუდული რესურსების გამო, ხოლო ძალაუფლება — ამ მოცილებების მთავარი ინსტრუმენტი.

სწორედ ძალაუფლებისადმი ამ მიდგომის მომხრეთა შორის არიან უმნიშვნელოებიცა და მარქსისტებიც. თანამედროვე ფემინისტებმა ყოველივე “პოლიტიკურის” მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს და ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ პოლიტიკა, ტრადიციული გაგებით, დღემდე კონცენტრირებულია ქალს პოლიტიკური ცხოვრებიდან — ცხოვრების იმ “კერძო” სფეროში ზღუდავს, რომელიც ოჯახისა და საოჯახო-საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით შემოიფარგლება. მეორე მხრივ, როგორც პოლიტიკაში, ისე ცხოვრების სხვა სფეროებში ოდითგანვე მამაკაცი დომინირებდა. ამის გამო უმნიშვნელოები უარყოფენ ყოველივეს “საზოგადოებრივ/კერძო” სფეროებად დაყოფას და ამტკიცებენ — პირადი ურთიერთობებიც კი პოლიტიკური. ეს ლოზუნგი მკაფიოდ ასახავს რადიკალურ-ფემინისტურ რწმენას, რომლის თანახმადაც ოჯახური თუ პირადი ურთიერთობებიც კი, იმეორებულად, პოლიტიკურია. ამგვარი, ოდონდ კიდვე უფრო რადიკალური ზღვა ხაზგასმული კვით მიღეს წიგნში “სქესთა პოლიტიკა” (Kate Millet,

Sexual Politics, 1969): პოლიტიკას იგი განმარტავს, როგორც “ძალაუფლებაზე დაფუძნებულ და იმგვარად ორგანიზებულ ურთიერთობებს, როცა ადამიანთა ერთ ჯგუფს სხვა ჯგუფი აკონტროლებს”. შეიძლება ითქვას, რომ ფემინიზმს “ყოველდღიურობის პოლიტიკა” უფრო აინტერესებს: მათი აზრით, ოჯახური ურთიერთობანი ქმარსა და ცოლს, ან მშობლებსა და შვილებს შორის იმდენადვე “პოლიტიკურია”, რამდენადაც ურთიერთობები დამჭირავებულსა და დაჭირავებულს, მთავრობასა და მოქალაქეს შორის.

მარქსისტები ტერმინ “პოლიტიკას” ორი მნიშვნელობით იყენებდნენ: თავად მარქსი პოლიტიკას კლასიკური გაგებით იაზრებდა და მას სახელმწიფო აპარატთან აკავშირებდა. “კომუნისტურ მანიფესტში” პოლიტიკურ ძალაუფლებას ის განიხილავს როგორც “ერთი კლასის ორგანიზებულ ძალას მეორის დასათრგუნად”. მარქსისათვის “პოლიტიკა, ისევე როგორც სამართალი და კულტურა, ერთგვარი “ზედნაშენის” ნაწილია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ჭეშმარიტი საფუძვლის — ეკონომიკური ბაზისისაგანაა გამომდინარეობს. ოღონდ, ის ბოლომდე მანაც არ გამოყოფდა ეკონომიკურ ბაზისს სამართლებრივი და პოლიტიკური ზედნაშენისაგან — დარწმუნებული იყო, რომ ზედნაშენი ეკონომიკური ბაზისიდან იღებდა სათავეს და მისი ანარეკლიც გახლდათ. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკური ძალაუფლება კლასობრივ სისტემაშია ფესვგადგმული. ხოლო ლენინის თქმით, “პოლიტიკა ეკონომიკის უკიდურესი ფორმაა” — იმ აზრის საწინააღმდეგოდ, თითქოსდა პოლიტიკა მხოლოდ ქვეყნის მართვისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ვიწრო სფერომდე დაიყვანებოდეს. მარქსისტებს შეეკვიდრათ თავად ეკონომიკის უკვე პოლიტიკად გამოცხადება მიუაწეროთ. ამ გადასახედისა, “კლასობრივი ბრძოლით დაღდასმული” სამოქალაქო საზოგადოება, პოლიტიკის გულიცხვლია.

ამგვარი მიდგომები პოლიტიკას მხოლოდ უარყოფით მოვლენად წარმოაჩენს. თავისთავად იგი, პირდაპირ ითქვას, დაქვემდებარებასა და დამორჩილებასთანაა დაკავშირებული. რადიკალური ფემინიზმის გაგებით, საზოგადოება პატრიარქალურია, რაც ქალის მამაკაცისადმი მორჩილებასა და უთანასწორობას განაპირობებს, მარქსისტები კი ჯიუტად ამტკიცებენ, კაპიტალისტურ საზოგადოებაში პოლიტიკას ბურჟუაზიის მიერ პროლეტარიატის ექსპლუატაცია ახასიათებს. მეორეს მხრივ, ამ უარყოფით შეხედულებებს პოლიტიკის, როგორც ჩაგვრის მომსპობ და სამართლიანობის აღმდგენ ინსტრუმენტად აღქმა აბათილებს: მარქსი მაგალითად, ექსპლუატაციის გაქრობას პროლეტარული რევოლუციის მეშვეობით წინასწარმეტყველებდა, რადიკალური ფემინიზმის მიმდევრები კი სქესთა შორის სამართლიანი წინასწორობის დამკვიდრებას გენდერული რევოლუციის გზით აპირებენ.

თუმცა ნათელია, რომ თუკი პოლიტიკას მხოლოდ უთანასწორობასა და უხეშ ძალაუფლებასთან გავაიგივებთ, საზოგადოებრივ ყოფაში მისი აუცილებლობაც უკვე აზრს კარგავს. ფემინისტების მოითხოვენ “სქესთა პოლიტიკას” ისეთი არასექსისტური საზოგადოების აშენებით მოელოს ბოლო, სადაც ადამიანების დაფასება არა სქესის, არამედ პირადი ღირსების

მხედვეთი მოხდება. მარქსისტებს კი სჯერათ, რომ უკლასო კომუნისტური საზოგადოების დამყარებასთან ერთად, "კლასობრივი პოლიტიკაც" ისტორიას წაბარდება და სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობაც აზრს დაკარგავს რაც თავის მხრივ, კლასიკური გაგებით პოლიტიკასაც მოუღებს ბეჭდს.

პოლიტიკის შესწავლა

პოლიტიკის შესწავლის მეთოდები

პოლიტიკური საქმიანობის ხასიათის შესახებ კამათი არანაკლებ მწვავეა ბოლო, ყიდრე პოლიტიკის, როგორც აკადემიური სამეცნიერო დისციპლინის, ვიდრე გაუთავებელი დაუა. პოლიტიკას, ინტელექტუალური კვლევის ამ ერთ-ერთ უძველეს სფეროს, თავდაპირველად ფილოსოფიის, ისტორიისა თუ სამართლის განხრად მიიჩნევდნენ. მის უმთავრეს მიზანს იმ პრინციპთა გამოვლენა წარმოადგენდა, რასაც საზოგადოება უნდა დაფუძნებოდა. თუმცა, XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, ამგვარი ფილოსოფიური დატვირთვა ინდივიდუალური პოლიტიკის ვიწრო მეცნიერულ დისციპლინად გადაქცევის შედეგობით შეიცვალა — განსაკუთრებით 1950-1960 წლებში, როდესაც დომინანტი ტრადიციის, როგორც უაზრო მეტაფიზიკის, სრული უარყოფა მოხდა. ოდონდ მერე ეს ენიოზიზმიც საგრძნობლად ჩაცხრა და კვლავ, უკვე ძველბრუნად გაიზარეს მარადიული პოლიტიკური ფასეულობებისა და ნორმატიული ხასიათის მოძღვრებების მნიშვნელობაც. თუკი ერთის მხრივ, დღესთვის ხელმისაწვდომ, უნივერსალურ ფასეულობათა ტრადიციული ხასიათის უარყოფილი, მეორეს მხრივ, ის მტკიცებულებაც გაუფასურდა, რომელიც კომუნიზმის წვდომის საშუალებას მხოლოდ მეცნიერებას აძლევს. დღესდღეობით, ამის შედეგად მიღებული დისციპლინა უფრო ნაყოფიერია და საინტერესოც, რადგან მრავალგვარ თეორიულ მიდგომასა და მათი შიგნით მეთოდს მოიცავს.

ფილოსოფიური ტრადიცია

პოლიტიკური ანალიზის სათავეები ძველ საბერძნეთსა და ჩვეულებრივ, "პოლიტიკურ ფილოსოფიად" მონათლულ ტრადიციას უკავშირდება. ეს ტრადიციები არსებითად ეთიკური, დედაქტიკური, თუ ნორმატიული საკითხების კვლევას — ანუ იმის წვდომისა და შეცნობის სურვილს, თუ რა და როგორ "უნდა იყოს" და არა იმას, რაც უკვე "არის". ამ ტრადიციის მნიშვნელოვან პლატონი და არისტოტელე ითვლებიან. შუა საუკუნეებში კი მათმა იდეებმა ისეთი მოაზროვნეების შრომებშიც იჩინა თავი, როგორებიც არიან ნეტარი ავგუსტინე (354-430) და თომა აკვინელი (1225-1274). ასე შეგვიძლია, პლატონი უმთავრესად არა არსებული, არამედ იდეალური საზოგადოების ბუნების ახსნას ეძიებდა და ასეთად სიქველის დიქტატურა, მეფე-ფილოსოფოსისა მმართველობა ესახებოდა.

ნორმატივი:
ფასეულობათა და ქცევის წესების განმსაზღვრელი: "ის, რაც სასურველია იყოს" და არა "ის, რაც არის".

სწორედ ამ ხასიათის ნაშრომებმა ჩამოაყალიბა პოლიტიკის შესწავლისადმი ე.წ. “ტრადიციული” მიდგომა, რაც ძირითადი იდეებისა და დოქტრინების ანალიტიკურ შესწავლას გულისხმობს. როგორც წესი, ეს ტრადიცია პოლიტიკური აზროვნების ისტორიად განიხილება, რომელიც გამოიწიელ მოაზროვნებებს (პლატონი იქნება თუ მარქსი) და “კლასიკური” ტექსტების მიუღ კორპუსს მოიცავს. ამგვარი მიდგომა რაღაცით ლიტერატურულ ანალიზს ემსგავსება: მას უფრო მეტად დიდმოაზროვნეთა გამონათქვამები, მათი სიმწვობრე და დასაბუთება აინტერესებს, ანთუ რა ინტელექტუალურ კონტექსტში “ჯდებიან” ისინი. რაოდენ კრიტიკულად და ზედმიწევნითაც არ უნდა მივუდგეთ ამგვარ ანალიზს, მეცნიერული თვალსაზრისით, ის მაინც ვერანაირად ვერ იქნება **ობიექტური**: ამ დროს ხომ არაერთი ნორმატიული ხასიათის შეკითხვა იბადება — რატომ უნდა დაუმორჩილდე სახელმწიფოს? ვის როგორ მიუზღოს სათანადოდ? ან, თუნდაც, სად გადის პიროვნული თავისუფლების ზღვარი?

ემპირიული ტრადიცია

მიუხედავად იმისა, რომ ემპირიული — ანუ სხვაგვარად, აღწერითი ტრადიცია. ნაკლებ იყო გავრცელებული ნორმატიულ მოძღვრებებთან შედარებით, მან პოლიტიკური აზროვნების დასაწყისშივე იჩინა თავი. მისი კვალი წყობილებათა კლასიფიკაციის არისტოტელესეულ მცდელობაშიც მოჩანს, სახელმწიფოს მართვის მაკიაგელისეულ რეალისტურ ხედვაშიც, და მართვისა და კანონმდებლობის მონტესკიესეულ სოციოლოგიურ თეორიაშიც. მრავალი თვალსაზრისით, სწორედ ამგვარმა მემკვიდრეობამ მოგვცა საფუძველი, დღეს ერთმანეთისაგან მკაფიოდ გაგვემიჯნა მმართველობის სხვადასხვაგვარი სახეობანი და სათავეც დაუდო პოლიტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინისადმი არსებითად ინსტიტუციონალურ მიდგომას. ასე მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მან უკვე წამყვანი, ანალიტიკური ტრადიციის სახეც კი შეიძინა. პოლიტიკური ანალიზისადმი ემპირიული მიდგომა, პოლიტიკური რეალობის ციფი გონებითა და მიუკერძოებლად აღქმას გულისხმობს, ხოლო “აღწერითია” იმდენად, რამდენადაც ანალიზსა და ახსნას ცდილობს. ნორმატიული მიდგომა, თავის მხრივ, “განსაზღვრებითა” იმ თვალსაზრისით, რომ განსჯის და რჩევებსაც იძლევა.

აღწერილობითმა პოლიტიკურმა ანალიზმა ფილოსოფიური მუხტი ემპირიზმისაგან მიიღო — XVII საუკუნის ისეთი ფილოსოფოსების შრომებიდან, როგორებიც **ჯონ ლოკი** და **დევიდ იუმი** (1711-1776) იყვნენ. ემპირიზმის დოქტორინამ კიდევ უფრო გაამყარა რწმენა იმისა, რომ ცოდნის ერთადერთი საფუძველი გამოცდილებაა და შესაბამისად, ნებისმიერი ჰიპოთეზა თუ თეორია სათანადო ცდით უნდა შემოწმდეს. უკვე XIX საუკუნეში მსგავსმა იდეებმა პოზიტივიზმის სახე შეიძინა — იმ ინტელექტუალური მიმდინარეობის, რომელიც **აგუსტ კომტის** (1798-1857) სახელს უკავშირდება. პოზიტივიზმის მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ არა მარტო სოციალური მეცნიერებანი, არამედ ფილოსოფიური კვლევის ნებისმიერი ფორმაც მკაცრად უნდა მისდევდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

ობიექტური:
ხილული, თვალსაჩინო;
გრძობებისგან,
ღირებულებებისაგან
დამოუკიდებელი,
მიუკერძოებელი.

მეცნიერებას. რაკი მეცნიერება ჭეშმარიტების დასადგენ ერთადერთ
ნაშთ წყაროდ იქნა მიჩნეული, პოლიტიკის მეცნიერულ საფუძვლებზე
გარდაუვალი გახდა.

მეცნიერული ტრადიცია

საზოგადოებრივი თეორიების, რომელიც პოლიტიკის აღწერას მეცნიერული
კრიტერიუმით შეეცადა, კარლ მარქსი გახლდათ. საკუთარი, ე.წ. "ისტორიის
სატრიალსტური კონცეფციის" გამოყენებით, მან სცადა ისტორიული
კანონების გამოძიება დაეღწია და იმ "კანონებზე" დამყარე-
ბული მძაფრი ეწინასწარმეტყველა, რომლებსაც სანდოობის თვალ-
საზრისად იგივე სტატუსი ექნებოდათ, რაც საბუნებისმეტყველო
კანონებს. მეცნიერული ანალიზის ტენდენციამ მე-19 საუკუნის
მოდერნულ მეთოდებზე იმოქმედა: 1870-იან წლებში "პოლიტიკური მეც-
ნიერება" კურსი ოქსფორდის, პარიზისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში
უკვე იმართებოდა, ხოლო 1906 წლიდან გამოიცემა American Political Science
Review ჟურნალი. ენთუზიაზმმა მწვერვალს 1950-60-იან წლებში მიაღწია,
კონკრეტულად ა.შ.შ.-ში, სადაც პოლიტიკური ანალიზის ის ფორმა
სამაგისტროდ, რომელიც ძირითადად ბიჰევიორალიზმის თეორიას
დევნებდა. ამან პირველად შესძინა პოლიტოლოგიას სარწმუნო მეც-
ნიერული ავტორიტეტი და ის, რასაც ადრე მოკლებული იყო: ნებისმიერი
კანონის შესამოწმებლად აუცილებელი ობიექტური და აღნუსხვადი
მნიშვნელობა. ისეთმა პოლიტოლოგებმა, როგორცაა მაგ. დევიდ ისტონი,
კონსტანსი, რომ შესაძლებელი გახდა პოლიტიკური მეცნიერების
სატრიალსტული მეცნიერებათა მეთოდოლოგიით აღჭურვა, რაც უკვე
მეცნიერულ სფეროში იქნებოდა გამოყენებული, სადაც რადიკალური კვლევის
მეთოდები სწორედ რომ უფრო უპრიანი: ვთქვათ — ამომრჩევლების, კანონ-
მდებრების, პოლიტიკოსებისა თუ ლობისტების სამოქმედო სფერო.

მაგრამ 1960-იანი წლებიდან ბიჰევიორალიზმი გარკვეულ
წინადადებებს აწყდებდა: გაისმა განცხადებები, რომ მან არსებითად
შეზღუდა პოლიტიკური ანალიზის საზღვრები, რითაც იგი უშუალოდ
დამატარებლის ფარგლებში მოაქციაო. ბიჰევიორალიზმმა, ეჭვგარეშეა,
დაბნულ შედეგებს მიაღწია პოლიტოლოგიაში და აღწევს კიდევ ისეთ
სფეროებში, როგორცაა ვთქვათ, საარჩევნო კვლევები, ოღონდ რადიკალ-
ური მეთოდების აკვიატებამ პოლიტიკის საგანი არც მეტი, არც ნაკლები,
მოლოდ ამ ვიწრო ელემენტარული საკითხების ანალიზამდე შეიძლება
დავინახოთ უარესი კიდევ ის არის, რომ ბიჰევიორალიზმმა პოლიტოლოგთა
შორის იარაღი ნორმატიული პოლიტიკური აზრის ტრადიციას ჩამოაშორა.
მეტერი ცნებები, როგორცაა "თავისუფლება", "თანასწორობა",
"სამართლიანობა" თუ "ადამიანის უფლებები", ხშირად იქნა უგულვებელ-
ყოფილი ვრთი საბაბით — არაერთარ ემპირულ შემოწმებას არ ექვემდებარე-
ბოდა. XX საუკ. 70-იან წწ. ჯონ როულზისა და რობერტ ნოუზიკის
საშრომების წყალობით, ნორმატიული განსჯისადმი გამოდევნილებულმა
მეტერი ბიჰევიორალიზმით უკმაყოფილება კიდევ უფრო გაამძაფრა.

ბიჰევიორალიზმი:

რწმენა, რომ სოციალური
თეორიები მხოლოდ და
მხოლოდ დაკვირებისა-
თვის იმ ხელმისაწვდომ
ქცევებზე უნდა აიგოს, რაც
კვლევისთვის აღნუსხვად
მონაცემებს იძლევა.

ემპირიული:

ექსპერიმენტსა და
დაკვირებაზე
დაფუძნებული; უშუალო
აღქმისა და გამოცდილების
საფუძველზე მიღებული
ცოდნა.

უფრო მეტიც, დროთა განმავლობაში, ბიპვეიორალიზმის მენიერული ღირებულებაც კი ეჭვის ქვეშ დადგა. მის პრეტენზიას ობიექტურობასა და საიმედოობაზე ხომ “ფასეულობათაგან თავისუფლება” ელო საფუძვლად, ანუ თითქოსდა ამ მეთოდით კვლევის შედეგებს არანაირი ეთიკური თუ ნორმატიული მრწამსი დაღს არ ასვამდა; თუმცა, თუკი ანალიზის უმთავრესი ინტერესი დაკვირვებისათვის ხელმისაწვდომი ქცევაა, მნელია არსებული პოლიტიკური ვითარების აღწერის გარდა, რაიმე სხვა შედეგს მიაღწიო, რაც თავისთავად უკვე status-quo-ს (არსებული მდგომარეობის) უკრიტიკოდ მიღებას ნიშნავს.

ღირებულებათა ამგვარი გადაფასება იმაშიც გამოჩნდა, რომ თავად “დემოკრატიაც”, არსებითად, ახლებურად იქნა გააზრებული დაკვირვებისათვის ხელმისაწვდომი ქცევის კუთხით; ამგვარად, დემოკრატის, როგორც “სახალხო თვითმმართველობის” ცნება (სიტყვა-სიტყვით “ხალხის მმართველობა”) დაპირისპირებული ელიტების მიერ საყოველთაო არჩევნების გზით ძალაუფლების მოპოვების პროცესამდე დავიდა. სხვაგვარად რომ ითქვას, დემოკრატია პრინციპში უკვე იმასთან იგიველება, რაც განვითარებული დასავლეთის დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებში ხდება.

უახლესი ტენდენციები

პოლიტიკისადმი უახლეს თეორიულ მიდგომებს შორისაა ე.წ. ფორმალური პოლიტიკური თეორიაც რომელიც ხან “პოლიტიკურ ეკონომიკად”, ხან “საზოგადოებრივი არჩევანის თეორიად”, და ხანაც “რაციონალური არჩევნის თეორიად” იხსენიება. ანალიზისადმი ამგვარ მიდგომას ბევრი აქვს ნასესხები იმ ეკონომიკური თეორიიდან, რომელიც მეთოდოლოგიურ წესებზე დაყრდნობით, მონაწილე მხარეთა რაციონალური პირადი ინტერესებით განპირობებულ ქცევის მოდელებს აგებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი და ძირითადად, ე.წ. “ვირჯინიის სკოლასთან” გაიგივებული ეს თეორია, იმ უაღრესად სასარგებლო ანალიტიკურ ინსტრუმენტს გვთავაზობს, რომელიც ნათლად წარმოგვიჩინს ამომრჩეველთა, ლობისტთა, ბიუროკრატთა თუ პოლიტიკოსთა ქმედებებს და ამავე დროს, სახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკის მოტივაციებსაც უძებნის ახსნას. საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის მეშვეობით ამ მიდგომამ დიდი ზეგავლენა მოახდინა პოლიტიკურ ანალიზზე. მომდევნო თავებში განვიხილავთ, თუ როგორ გამოიყენება იგი ისეთი აუტორების მიერ, როგორებიც არიან ენტონი დაუნზი, მანკურ ოლსონი და უილიამ ნისკანენი, რომლებიც თავიანთ გამოკვლევებში პარტიათა მეტოქეობის, ინტერესთა ჯგუფების ქცევებისა და ჩინოსანთა მიერ პოლიტიკური ბერკეტების გამოყენების ხერხებს განიხილვენ. ეს მეთოდი გამოვლინდა “თამაშის თეორიის” ფორმითაც, რაც მათემატიკის სფეროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე ეკონომიკისას, ხოლო პიროვნების უცნაური ქცევის ასახსნელად, აქსიომატურ ჭეშმარიტებებზე დამყარებულ ამოცანა-თავსატყუებს იყენებს. ყველაზე ცნობილი მაგალითი — “ტუსალთა დილემაა” (იხ. ნახ. 1.2.)

უმცა, ვერანაირად ვერ ვიტყვი, რომ პოლიტიკური ანალიზისად-
მი "რაციონალური არჩევანის" მიდგომამ საყოველთაო გაერცვლება ჰპოვა.
ამან როცა მომხრენი ამტკიცებენ, ამ ხერხს პოლიტიკურ ფენომენზე
შეფასების მქონე სიცხადე შემოაქვსო, კრიტიკოსებმა თავად მის ძირეულ
ფუნდამენტს შეიტანეს ეჭვი: ასეთ დროს, შესაძლოა, ზედმეტად ვენდოთ
დამან რაციონალურობას — არადა, ადამიანს იშვიათად გააჩნია სასურ-
ველ მხრის ნათელი ხედვა და ყოველთვის არც სრული და ზუსტი ცოდ-
ნის სფეროებზე იღებს გადაწყვეტილებებს. მეტიც, პიროვნების აბსტრაქ-
ტული მოდელიდან გამომდინარე, რაციონალური არჩევანის თეორია არასაკ-
მარს ვერაღებებს უთმობს სოციალურ თუ ისტორიულ ფაქტორებს, რაკილა
— არც სხვა რამესთან ერთად — არ სცნობს, რომ ადამიანის ფეისტური
მოქმედება შესაძლოა სოციალურად განპირობებული იყოს და არა მისი
შედეგად უპირობო მახასიათებელი. შედეგად, პოლიტიკის, როგორც
ადგილი დისციპლინის შესასწავლად, სხვადასხვაგვარი მიდგომების
ფუნდამენტს გაჩნდა.

ყოველფე ამან თანამედროვე პოლიტიკური ანალიზი უფრო გაამ-
დიდა და მრავალფეროვანიც გახადა. ტრადიციულ ნორმატიულ, ინსტიტუ-
ციონალურ და ბიპვეიორისტულ მიდგომებს ახლა არა მხოლოდ
რაციონალური არჩევანის თეორია, არამედ თანამედროვე იდეებისა და ტენ-
დენციების ფართო სპექტრიც დაემატა. მაგ., XXსუკ. 70-იანი წლებიდან
დამან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა გენდერულ განსხ-
ვლებას და პატრიარქალურ სტრუქტურებს, ამავე დროს, კითხვის ნიშნის
ქვეშ დაეწა "პოლიტიკურის" უკვე დადგენილი განსაზღვრებანი; რასაც
მთავრად "ახალ ინსტიტუციონალიზმს" ვუწოდებთ, ინსტიტუციების ფორ-
მალურ სტრუქტურული ასპექტებიდან აქცენტი უფრო ფართო კონტექს-
ტში მნიშვნელობაზე, მათ რეალურ საქმიანობებზე და პოლიტიკური პროცე-
სის შედეგზე გადაიტანა; "მწვანეთა" პოლიტიკამ გაბატონებულ ანტრო-
პოცენტრულ (ადამიანზე ფოკუსირებულ) პოლიტიკურ და სოციალურ
თეორიას ზღვარიანი გადაუგდო და ე.წ. პოლისტიკური (ანუ, გლობალის-
ტური ანუ "ერთობლიობის") გაგება წამოწია წინა პლანზე; ხოლო კრი-
ტიკულს თეორიამ, რომელმაც თავად კრიტიკის ცნება ნებისმიერ
სოციალურ საქმიანობაზე გააერცვლა, უამრავი ვინმე — მათ შორის, ფროი-
დი და ვებერც კი დააინტერესა. თავის მხრივ, პოსტმოდერნიზმმა ეჭვიქვეშ
დადგინა ძალიან ტურული და უნივერსალური ჭეშმარიტების იდეა და სხვა
მრავალი შორის, დისკურსის თეორიასაც მისცა ბიძგი. და ბოლოს, ზოგადი,
რთულად და მნიშვნელოვანი სიახლე ის გახლავთ, რომ პოლიტიკური
ფუნდამენტსა და პოლიტიკა — როგორც მეცნიერება — სულ უფრო და
უფრო ახლოსად აღიქმებიან კვლევის გარკვეულ მეთოდოლოგიად, მით
უფრო მეტად უკავშირდება: პირიქით, იღებს მათ, უბრალოდ, პოლიტიკური ცოდნის
ფუნდამენტს განსხვავებულ გზებზე მიიწვევენ.

დისკურსი:

ურთიერთობა ადამიანებს
შორის-განსაკუთრებით
კომუნიკაციური ხასიათისა;
დისკურსი შესაძლოა,
ძალისმიერი
ურთიერთობების გამოვლენ-
ნადაც იქცეს.

საყურადღებოდ...

ტუსაღთა დიღემა

ცალ-ცალკე საკანში მჯდომი ორი ბოროტმოქმედი არჩევანის წინაშე დგას — “ჩაუშვან” თუ არ “ჩაუშვან” ერთმანეთი. თუ მხოლოდ ერთი მათგანი აღიარებს დანაშაულს, ოღონდ მთელ პასუხისმგებლობას თანამონაწილეს დააკისრებს, მას უპირობოდ ანთავისუფლებენ, მეორეს კი ერთადერთ დამნაშაედ მიიჩნევენ და 10 წელს მიუსჯიან; თუ ორივე აღიარებს, თითოეული 6-6 წლით ჩაჯდება ციხეში; თუკი ორივე უარს იტყვის აღიარებითი ჩვენების მიცემაზე, მათ მხოლოდ მცირე სასჯელი ემუქრებათ — თითო-თითო წელი. ვველა შესაძლო ვარიანტი 1.2 სქემაზეა მოცემული.

წესით, ამგვარი დიღემის წინაშე მდგომმა ორივე პატიმარმა პირში წყალი უნდა ჩაიღუბოს, მაგრამ იმის შიშით — პარტნიორი აქეთ ჩამიშვებს და მაქსიმალურ სასჯელს ავიკიდებო, ორივე აღიარებაზე მიდის. ბედის ირონიით, “თამაშმა” გვიჩვენა, რომ სწორედ ვველაზე რაციონალურ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული და ტუსაღები 6-6 წლით სხდებიან დიღეშე. კაცმა რომ თქვას, ისინი თანამშრომლობის უუნარობამ და ერთმანეთისადმი ნდობის უქონლობამ დააღალატა. თუქცა, თუკი თამაში რამდენჯერმე გამეორდა, შესაძლოა მათაც ჭკუა ისწავლონ, ნდობა უნდობლობაზე მაღლა დააყენონ და ორივემ უარი თქვას აღიარებითი ჩვენების მიცემაზე.

პატიმარი ბ

	აღიარებს	არ აღიარებს
აღიარება	ა: ბ: 6, 6	ა: ბ: 0, 10
პატიმარი ა	ა: ბ: 10, 0	ა: ბ: 1, 1

ნახ. 1.2
“ტუსაღთა დიღემა”

შესაძლებელია თუ არა პოლიტიკის მეცნიერული შესწავლა?

არაჲინ კამათობს — პოლიტიკის, როგორც ზუსტი, კრიტიკული დისციპლინის შესწავლა ზოგადად — მეცნიერული უნდა იყოს; მაგრამ როგორც უკვე ვთქვით, ზოგი იმასაც ამტკიცებს, რომ მისი მეცნიერულობა უფრო მკაცრადაც განისაზღვრება და პირდაპირ შეუძლია, ვაღდებუღიკაა

საზღვრისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდოლოგიით “შეიარაღდეს”. ამ თვალსაზრისს, ძირითადად, მარქსისტი და პოზიტივისტი მეცნიერები ამტკიცებდნენ, ხოლო XX საუკ. 50-იანი წლებში იგი “ბიჰევიორისტული რევოლუციის” საყრდენადაც კი იქცა. პოლიტიკის, როგორც მეცნიერების საზღვარი: იგი “ტყუილ-მართალის” გარჩევის მიუკერძოებელ და საიმედო ხერხებს გვთავაზობს და პოლიტიკური სამყაროს შესახებ ობიექტური ცოდნის მიღების საშუალებად მოჩანს. ამ მიზნის მისაღწევად მთავარი ისაა, ელემენტარულად გავიგნოთ “ფაქტები” (ემპირიული მტკიცებულებანი) და “დირექტულები” (ნორმატიული თუ ეთიკური მრწამსი). ფაქტი — ობიექტურია იმ გაგებით, რომ მისი მოშველიება არაერთხელ და დამაჯერებლადაა შესაძლებელი და მისი დამტკიცებაც ხერხდება; დირექტულებს რაც შეეხება, სარწმუნო — ისინი იმთავითვე სუბიექტურია, ანუ კერძო თვალსაზრისს გამოხატავს ხოლმე.

თუმცა, პოლიტიკის მეცნიერებად მიჩნევის ნებისმიერი მცდელობა ამ წინააღმდეგობას აწყდება: მათგან პირველი — მონაცემთა ბაზას უკაფიოდ აკრძალავს არანაირი საშუალებაა არაა, ადამიანი მიკროსკოპის ქვეშ მოაქცევს ან ლაბორატორიულად გამოიკვლიოს — მას სულში ვერ “ჩაუჭრებო” და ვერც მუდმივი ექსპერიმენტების ობიექტად ვაქცევთ. ამდენად, რასაც ჩვენ პიროვნული ქცევის თაობაზე შევიტყობთ, უცალობლად მწირი იქნება და ზედაპირული. ზუსტი მონაცემების გარეშე კი ვერავითარი საიმედო ხერხით ჩვენს ვარაუდებს ვერ დავამტკიცებთ. ერთადერთი გზაა გვრჩება — სწრაფად უარი ვთქვათ მასზე, როგორც მოაზროვნე სუბიექტზე და შევხედოთ **დეტერმინიზმის** ტყვეობაში აღმოჩნდეთ. სწორედ ამის მაგალითია **ბიჰევიორალიზმი** (ბიჰევიორალიზმის საპირისპიროდ) — ფსიქოლოგიის ის მიმართულება, რომელიც ჯონ ბ. უოტსონის (1878-1958) და ბ.ფ. სკინერის (1904-90) სახელებს უკავშირდება. მათი მიმდევრები ამტკიცებენ, რომ საბოლოოდ უნდა აღადგინოს ქცევა პირობით რეაქციებსა და რეფლექსებამდე დაიყვანოს. კლასიკური მაგალითი — “დიალექტიკური მატერიალიზმი” — სსრკ-ში დამკვიდრებული მარქსისტული თვალთახედვა.

მეორე წინააღმდეგობა — “ფესვადგმულ” დირექტულებათა არსებობა. თუ კარგად დავეუკვირდებით, ძნელი დასაჯერებელია, თითქოსდა პოლიტიკის მოდელები და თეორიები დირექტულებებისაგან მთლიანად დამოუკიდებელი იყოს. ფაქტები და დირექტულებები ისე მჭიდროდ ქვლართებიან ერთმანეთს, ხშირად მათი ცალ-ცალკე შეფასება შეუძლებელიც კია. ეს იმიტომ, რომ თეორიები იმთავითვე ადამიანთა ბუნების, საზოგადოების, სახელმწიფოს როლისა და სხვა მსგავსი მოცემულობების გათვალისწინებით იქმნება, რასაც, თავის მხრივ, ფარული პოლიტიკური თუ იდეოლოგიური წინაპირობები გააჩნია. ვთქვათ, კონსერვატიულ დირექტულებათა ამოჩენება სოციალური ხდება ბიჰევიორალიზმში, რაციონალური არჩევანის, და სისტემური თეორიებში. ზუსტად ასევე, ფემინისტთა პოლიტიკური თეორიები, გენდერული დაყოფის ხასიათსა და მნიშვნელობაზე მათი წარმოდგენებიდან აღსანიშნავია.

დეტერმინიზმი:
რწმუნა იმისა, რომ ადამიანის ქმედება თუ არჩევანი გარე ფაქტორების ზემოქმედებითაა გამოწვეული და ამდენად, თავისუფალი ნება-ფიქციაა.

იდეალური ტიპი


განსაზღვრება, რომელიც უკიდურესად რთული რეალობის გააზრებას ლოგიკური ხატების მეშვეობით ცდილობს. იდეალური ტიპები პირველად ეკონომიკაში სრულყოფილი კონკურენციის აღსანიშნად გამოიყენეს. მაქს ვებერის მოსაზრებით, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განხრით იდეალური ტიპია ის ხელსაწყო, რომელიც რეალობას განმარტებით და არა მოდელირებით ხსნის; ის არც რეალობის ანარეკლია და არც უთიკური იდეალის მატარებელი. ვებერისეული მაგალითები ხელისუფლებისა და ბიუროკრატის სახეებსაც მოიცავს.

და ბოლოს, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებებში სრული მიუკერძოებლობა — მითია; ეს მხოლოდ საბუნებისმეტყველო დარგებშია შესაძლებელი, სადაც მიუკერძოებელმა მკვლევარმა ხშირად წინასწარ არც იცის, კიდევ რას აღმოაჩენს ახალს, პოლიტიკაში კი ეს, ფაქტიურად, შეუძლებელი გახლავთ. როგორც არ უნდა განისაზღვროს ცნება “პოლიტიკა”, ის მაინც იმ საზოგადოების წყობისა და ფუნქციონირების საკითხებს ეხება, რომელშიც ადამიანურები ცხოვრობენ: ოჯახური ტრადიცია, სოციალური გარემო, ეკონომიკური მდგომარეობა, პიროვნული მიდრეკილებები და სხვა მრავალი ფაქტორი ნებისმიერ ჩვენგანში წინდაწინვე აყალიბებს წარმოდგენებს პოლიტიკისა და ჩვენს გარშემო არსებული ვითარების შესახებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეცნიერული ობიექტურობა, აბსოლუტური მიუკერძოებლობისა თუ ნეიტრალურობის გაგებით, პოლიტიკურ ანალიზში მუდამ მიუღწეველ მიზნად დარჩება, კვლევის რა გინდა რა მეთოდები გამოიყენოთ. აქედან გამომდინარე, სარწმუნო ცოდნის შექმნას იმდენად მიკერძოება კი არ უშლის ხელს, რამდენადაც ყალბი განცხადებები პოლიტიკური მიუკერძოებლობის თაობაზე.

ცნებები, მოდელები და თეორიები

ცნებები, მოდელები და თეორიები პოლიტიკური ანალიზის ინსტრუმენტებია; თუმცა, როგორც ყველაფერ სხვას, მათაც სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ, როცა საქმე პოლიტიკას ეხება. მოდით, ჯერ ცნებები განვიხილოთ: ჩვეულებრივ, ესაა ერთი სიტყვით, ან სხარტი ფრაზით გამოხატული საერთო იდეა და გაცილებით მეტ დატვირთვას ატარებს, ვიდრე ნებისმიერი არსებითი სახელი, ან რაიმე სახელწოდება. მაგალითად, ერთია როცა ვსაუბრობთ რომელიმე კონკრეტულ კატაზე, და სულ სხვაა, თუ განვიხილავთ ზოგადად “კატის” ცნებას როგორც ასეთს. თვად კატის ცნება მატერიალურ ობიექტს არ წარმოადგენს — ის “იდეაა”, რომელიც ყველა კატისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა ატრიბუტს მოიცავს: “რბილბეჭვიანი არსება”, “შინაური ცხოველი”, “ზომით პატარა”, “ნადირობს ვირთხებსა და თაგვებზე” და ა.შ. ასევე, ვთქვათ, “თანასწორობის” ცნებაც წარმოადგენს პრინციპს, ან იდეალს და როცა ვამბობთ, რომ დღე და ღამე გათანასწორდა, ან ძმებმა თანასწორად გაიყვეს შემკვიდრეობა, ასეთ დროს მას არ ვგულისხმობთ ხოლმე; შესაბამისად, “პრეზიდენტის” ცნება განეკუთვნება არა კონკრეტულ პრეზიდენტს, არამედ იდეათა ერთობლიობას აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციის რაობაზე.

მაინც, რა ღირებულება აქვთ ცნებებს? როგორც უკვე ვთქვით, ცნება ის ინსტრუმენტია, რომელიც განსჯის, კრიტიკისა თუ ანალიზის დროს მოიხმარება. გარე სამყაროს უბრალო აღქმა თავისთავად არ იძლევა ცოდნას მის შესახებ — ამისთვის ჩვენ ის აზრობრივად უნდა “დაეტვირთოთ” და ამას სწორედ ცნებების მეშვეობით ვაკეთებთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კატა რომ კატად გავიანზროთ, უპირველესად მის მახასიათებლებზე უნდა გვქონდეს წარმოდგენა. გარდა ამისა, ცნებები იმაშიც გვეხმარება, რომ ერთსაზოგადი ობიექტები დავაჯგუფოთ — ამა თუ იმ მსგავსი ფორმებისა და



ნახ.1.3: პოლიტიკური სისტემა

ფუნქციების მიხედვით კატა, მაგალითად, ვიცით რომ კატისებრთა ოჯახს განეკუთვნება — შესაბამისად, ეს ცნება "ზოგადია" და მან შესაძლოა ობიექტების მთელი რიგი გააერთიანოს. ზუსტად იგივე ითქმის პოლიტიკის სფეროზე: ცოდნას აქვს ცნებების მეშვეობით ვღებულობთ, რაც მოვლენათა ერთობლების გააზრებაში გვეხმარება. ამ გაგებით, ცნებები "საკაცობრიო ცოდნას" ერთგვარი საშენი მასალაა.

მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ცნებებმა, შესაძლოა, ცუდი სამსახური გაგვიწიოს. დაიწყოთ იქიდან, რომ პოლიტიკური რეალობა, რომლის შენობასაც ვცდილობთ, რთულია თავისთავად და თან გამუდმებით სახვეველი. მუდამ რჩება საფრთხე, რომ იმგვარი ცნებებით მანიპულირებამ, მოერიცა თუნდაც "დემოკრატია", "ადამიანის უფლებები" ან "კაპიტალიზმი", ვალბი სიცხადე შეიტანონ იქ, სადაც სინამდვილეში ყველაფერი არც ახერხდება. თავის დროზე ამ სირთულის დაძლევის ცდილობდა მაქს ვებერი, რომელიც ზოგიერთ ცნებას "იდეალურ ტიპს" უწოდებდა — ანუ ისეთს, სადაც ამა თუ იმ მოვლენის მხოლოდ ყველაზე უფრო მთავარი, ფუნდამენტური თვისებებია გამოყოფილი, ხოლო ყველა დანარჩენი — მეორე რიგში გადატანება. მაგალითად, "რევოლუციის" ცნება იდეალურ ტიპად შეიძლება სათვლოს, რაკიდა ფუნდამენტურ და როგორც წესი, ძალადობით განხორციელებულ პოლიტიკურ ცვლილებებზე აკეთებს აქცენტს და სწორედ ამ ცნებას მეშვეობით ვიაზრებთ იმ საერთოს, რაც 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციასა და 1989-1991 წლების აღმოსავლეთ-ევროპულ რევოლუციებს ერთმანეთს ამსგავსებს. ოლონდ ნებისმიერ ცნებას დიდი სიფრთხილით უნდა შევადიოთ დიდა ხიფათი, მასში არსებული ორაზროვნების გამოისობით, რამწირი ინტერპრეტაციისაკენ გვიბიძგოს — ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ზოგადად რევოლუციების იდეოლოგიურ და სოციალურ ხასიათთან დაკავშირებით ამიტომაც სჯობს, კონცეფციები და იდეალური ტიპები არა მათ "უტყუარობის" ან "სიყალბის" ნიშნით, არამედ მათი მეტ-ნაკლები ზუსტობის მიხედვით შევაფასოთ.

პარადიგმა:

ზოგადი მნიშვნელობით, პარადიგმა ის მოდელი ან ქარგაა, რომელიც ამა თუ იმ მოვლენის არსებით თვისებას უსვამს ხაზს — “იდეალური ტიპის” პრინციპით თუძცა, კუნის (1962) მიხედვით, ის იმ ინტელექტუალურ ჩარჩოებში გამოიყენება, რომლებიც ურთიერთდაკავშირებული ფასეულობების, თეორიებისა და ვარაუდების მეშვეობით, გარკვეული ცოდნის მიღებას ემსახურება. ამდენად, “ჩვეულებრივი” მეცნიერული კვლევა ჩამოყალიბებულ ინტელექტუალურ ფარგლებში მიმდინარეობს, ხოლო “რევოლუციური” მეცნიერებაში ცდილობენ ძველი პარადიგმა ახლით ჩაანაცვლონ. კუნის თეორიის რადიკალიზში „ჭეშმარიტებისა” და “მცდარობის” საბოლოოდ დადგენის შეუძლებლობაში გამოიხატება — ერთიცა და მეორეც იმ მოცემულ პარადიგმაში გამოთქმული წინასწარი ვარაუდია, რომელიც საბოლოო ვაშში, უცვილობლად უნდა შეიცვალოს.

მოდელი:

ემპირიულ მონაცემთა თეორიული წარმოჩენა, რაც მიზნად ისახავს გაგების გაადვილებას უმთავრესის ხაზგასმით.

შემდეგი პრობლემა ისაა, რომ პოლიტიკური ცნებები ხშირად იდეოლოგიური წინააღმდეგობების საგნად იქცევა ხოლმე. პოლიტიკა, გარკვეულწილად, ტერმინთა და ცნებათა ლეგტიმურობისათვის ბრძოლადაა. დაპირისპირებულმა მხარეებმა შეიძლება იკამათონ, იჩხუბონ და იომონ კიდევ — “თავისუფლების”, “დემოკრატიის”, “სამართლიანობის” ერთი და იგივე ლოზუნგებით. პრობლემა ისაა, რომ ეს სიტყვები ყველას თავისებურად ესმის. როგორ დავადგინოთ, რომელია “ჭეშმარიტი” დემოკრატია, თავისუფლება ან სამართალი? პასუხი მარტივია — ვერანაირად ვერ დავადგენთ. პოლიტიკის არ იყოს, პოლიტიკური ცნებებიც ათასნაირად შეიძლება იქნას აღქმული. გალიმ (Gallie, 1955/56), ზუსტად ამოიცნო ამგვარი ცნებების არსებითად შეუთავსებადი ხასიათი. ზღვარი მათ შორის იმდენად თვალშისაცემია, რაიმე საყოველთაოდ მისაღებ თუ სახიარო ახსნაზე, ფაქტიურად, ფიქრიც ზედმეტია. რეალურად, ერთმა ტერმინმა შეიძლება რამდენიმე, ლამის ურთიერთსაწინააღმდეგო ცნება მოიცავს, და მათგან ვერც ერთი ვერ ჩაითვალოს “ჭეშმარიტი” მნიშვნელობის მქონედ. მაგალითად, პოლიტიკა სახელმწიფოებრივი საქმიანობაც, საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვაც, ღებატებიცა და მოლაპარაკებებიც, ძალაუფლებისა და რესურსების გადანაწილებაც.

ცნებასთან შედარებით, მოდელი და თეორია — ბევრად უფრო ფართო გაგებაა; ისინი არა ერთ, არამედ რამდენიმე იდეას აერთიანებენ. ჩვეულებრივ, მოდელი რაღაცის შემცირებულ ასლად აღიქმება ხოლმე; ამის მაგალითია თოჯინა ბარბის სახლი ან სათამაშო თვითმფრინავი. ამ გაგებით, მოდელის მიზანია მაქსიმალურად მიემსგავსოს ორიგინალს. თუძცა, კონცეპტუალური მოდელებისათვის ორიგინალთან მსგავსება არანაირად არაა აუცილებელი: აბსურდული იქნება სურვილი, ვთქვათ, ეკონომიკის კომპიუტერული მოდელი რეალური ეკონომიკის ფიზიკურ ანალოგად ვაქციოთ. მეტიც, კონცეპტუალური მოდელები წმინდა ანალიტიკური საშუალებებია — მათი მეშვეობით აზრი ეძლევა იმას, რაც სხვაგვარად ფაქტების უაზრო გროვად გამოჩნდებოდა. საქმე მარტყადაა: ფაქტი უნოა, მას ახსნა და კუთვნილი ადგილის მიჩნა სჭირდება. სწორედ ამ საქმის შესრულებაში გუქმარება ნებისმიერი მოდელი, რამდენადაც მისი მეშვეობით შეგვიძლია ემპირიული მონაცემების აზრი და მნიშვნელობა ავხსნათ. მაგალითად, პოლიტიკური ანალიზის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშად დეივიდ ისტონისეული (David Easton) პოლიტიკური სისტემის მოდელი ითვლება (იხ. ნახატი 1.3), რომელსაც მეტად ამბიციური მიზანი დაედო საფუძვლად — სისტემური ანალიზის საფუძველზე აეხსნა მთელი პოლიტიკური პროცესი — წამყვან პოლიტიკურ ფიგურათა საქმიანობის ჩათვლით. სისტემა ორგანიზებული, ან რთულად სტრუქტურირებული მთელია, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ნაწილების ერთობლიობა, რაც თავის მხრივ, ერთ მთლიანობას ქმნის. პოლიტიკურ სისტემაში პირდაპირი კავშირია ისტონისეულ “წვილსა” და “სარგებელს” შორის. პირველში საზოგადოების მხრიდან როგორც მოთხოვნების, ასევე თანადგომა-მხარდაჭერის აქტიური გაცხადება იგულისხმება. მოთხოვნები ათასგვარი შეიძლება იყოს: ცხოვრების დონის ამაღლება, უმუშევრობის შემცირება, სოციალური დანამრების ზრდა თუ პიროვნებისა და უმცირესობათა უფლებების დაცვა. მეორე მხრივ, მხარდაჭერა-თანადგომის ფორმები ის საშუალებებია, რომელთა

საზოგადოებას თავისი წვლილი შეაქვს პოლიტიკურ სისტემაში — გადასახდების გადახდის, ლოიალობის გამოხატვისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანამონაწილეობის მეშვეობით. "სარგებელში" კი იგულისხმება საზოგადოების გადაწვევტილებები და ქმედებები: პოლიტიკის განსაზღვრა, კანონების მიღება, გადასახდების დაწესება და საზოგადოებრივი სახსრების განაწილება. ადგილი მისახვედრია, რომ ამგვარი სარგებელი უკუკავშირს წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ ახალი მოთხოვნებისა და მხარდაჭერა-ინტერესების მიზეზი ხდება. ისტონის მოდელის მთავარი იდეა ისაა, რომ პოლიტიკური სისტემა მუდამ მდგრადობისაკენ — ე.ი. პოლიტიკური სტაბილურობისაკენ მიისწრაფვის, რადგან მისი კეთილდღეობა წვლილისა და სარგებლის თანხვედრითაა განპირობებული.

ამდროულად უნდა გვახსოვდეს, რომ კონცეპტუალური მოდელი უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ამარტივებენ სინამდვილეს — ისინი ამ სინამდვილის გაგებაში გვეხმარებიან და უცილობელ ჭეშმარიტებად მათ ვერ შეგვიძლია ვთქვათ, ისტონის მოდელში პოლიტიკური პარტიები და ინტერესთა ჯგუფები სახელდება როგორც "გამტარები", რომელთა მთავარი დანიშნულება — პოლიტიკურ სისტემაში შეტანილი "წვლილის" ხელს რეგულირებაა. იქნებადა, ეს საუბრით მისაღები გაგებაც იყოს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიები და პოლიტიკური ჯგუფები საზოგადოებრივ აზრსაც განაწყობენ და ამდენად, მოთხოვნათა ხასიათსაც განაპირობებენ. მოკლედ რომ ვთქვათ, "გამტარის" ინსტიტუტი სინამდვილეს ხერხად უფრო საინტერესო და რთულია, ვიდრე ეს მოდელშია წარმოდგენილი. უნდა აღვნიშნავთ, ისტონის მოდელი უკეთესად გვიხსნის თუ რატომ და როგორ რეაგირებს პოლიტიკური სისტემა საზოგადოებრივ ზეწოლაზე, ვიდრე ეს თუ რატომ მიმართავს რეპრესიებსა და ძალდატანებას — როგორც ეს, მაგრამ თუ ამ ხარისხით, ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში ხდება.

პოლიტიკაში "თორია" და "მოდელი" ხშირად სინონიმებად მოიხსენიება — ერთი და მეორეც პოლიტიკური ანალიზისას გამოსაყენებელი კონცეპტუალური კონსტრუქციებია. თუმცა, ვიწრო გაგებით, თორია უმარტიველბაა — იგი ემპირიულ მონაცემებს სისტემურ ახსნას უძებნის, ხოლო როდესაც მოდელი უბრალოდ ახსნა-განმარტების იარაღია და ჯერ კიდევ დასამტკიცებელ ჰიპოთეზას წააგავს. ამიტომაც ფასდება პოლიტიკოლოგიაში თორია მისი "ჭეშმარიტების", ხოლო მოდელი — "სარგებლობის" შესაბამისად. ამასთანავე ნათელია, რომ თორიები და მოდელები ხშირად ურთიერთკავშირში არიან, ხოლო რთული პოლიტიკური თორიების დეტალირება მოდელების მეშვეობითაც შეიძლება. მაგალითად, პლურალისტური თორია (იხ. თავები 4 და 5) შეიძლება აიხსნას როგორც სახელმწიფოს, საარჩევნო პროცესის, ჯგუფური პოლიტიკისა თუ სხვა რამ მოდელების გამოყენებით.

იდეაში, ნებისმიერი კონცეპტუალური ინსტრუმენტი, ანუ თორია/მოდელი, ფარული ღირებულებებისა თუ უკვე წინასწარნაგვიანდასმული დასკვნის შემცველია. ამიტომაცაა წმინდად ემპირიული თორიების აგება ასეთი საძნელო: ღირებულებებსა და ნორმატიულ რწმენებს უნდა გავუქცევით. ცნებების შემთხვევაში ეს ნათლად ჩანს ხალხის

"თორია:"
ემპირიულ მონაცემთა სისტემური განმარტება, როგორც წესი (ჰიპოთეზისაგან განსხვავებით), სარწმუნო წყაროს სახით მოწოდებული.

მოთხოვნებიდან, ხან აღმატებით ხარისხში ილაპარაკოს ვთქვათ, "დემოკრატიაზე", "თავისუფლებაზე", "სამართლიანობაზე", ხან კი უშვერი სიტყვებით ლანძღოს "დესტაბილიზაცია", "ანარქია", "იდეოლოგია" და საერთოდ, "პოლიტიკის მომგონიც" კი... გარდა ამისა, მოდულები და თეორიები იმთავითვე დატვირთულია ამა თუ იმ აჩემებული ტენდენციით. მაგალითად, მწელი დასაჯერებელია, თითქოსდა ზემოხსენებული რაციონალური არჩევანის თეორია ღირებულებების მიმართ ნეიტრალური იყოს, რამდენადაც იმთავითვე ადამიანთა თავკერძობასა და თვითკმარობას აღიარებს. აქედან გამომდინარე, აღარც ისაა გასაკვირი, კონსერვატიული ხასიათის პოლიტიკური დასკვნები რომ გამოაქვს. ასევე, მარქსისტული კლასობრივი მოძღვრებაც ისტორიისა და საზოგადოების შესახებ არსებულ უფრო ზოგად თეორიებს ეყრდნობა და, საბოლოო ჯამში, ისიც სოციალური ფილოსოფიის შემკვიდრებით საზრდობს.

ნახ: 1.4.

კონცეპტუალური ანალიზის სხვადასხვა დონე.



- მაგ: (ძალაუფლება, სოციალური კლასი, უფლებები, კანონმდებლობა)
- მაგ: (სისტემური ანალიზი, საზოგადოებრივი-არჩევანი, თამაშის თეორია)
- მაგ: (პლურალიზმი, ელიტიზმი, ფუნქციონალიზმი)
- მაგ: (ლიბერალიზმი, მარქსიზმი, ფემინიზმი)

არსებობს მოსაზრება, რომ იმგვარი ანალიტიკური ინსტრუმენტები, როგორც მოდულები და მიკროთეორიებია, უფრო ფართო, მაკროთეორიების საფუძველზე შენდება. პოლიტიკური ანალიზის უმნიშვნელოვანესი თეორიული "ხელსაწყო-იარაღები" სწორედ ისინია, რომლებიც ძალაუფლების საკითხსა და სახელმწიფოს როლს უკავშირდება: პლურალიზმი, ელიტიზმი, კლასთაშორისი ურთიერთობების ანალიზი და ა.შ. მე-4 და მე-5 თავებში სწორედ ეს თეორიებია განხილული. თუმცა, თუ უფრო ღრმად ჩაუკვირდებით, ამ მაკროთეორიებში ამა თუ იმ ძირითადი იდეოლოგიური ტრადიციის ანარეკლს დავინახავთ, ეს ტრადიციები კი, ერთგვარად, თომას კუნისეულ პარადიგმებს იმეორებენ. (იხ. მისი "მეცნიერული რევოლუციების სტრუქტურა" — The Structure Of Scientific Revolutions 1962). პარადიგმა — ურთიერთდაკავშირებული პრინციპების, დოქტრინებისა და თეორიების ერთობლიობაა, ინტელექტუალური კვლევაში მისი წარმართვაში რომ გვიწყობს ხელს. რეალურად, პარადიგმა ის ჩარჩოა, რომლის ფარგლებშიც ხდება კიდევ ცოდნის მოძიება: მაგალითად, ეკონომიკაში პარადიგმების ცვლას ჩვენ მონეტარიზმის მიერ კენზიანიზმის გამოდევნაში ვხედავთ (და

მუხ, მერე ისევ ნეო-კენზიანიზმისაკენ მობრუნებაშიც); სატრანსპორტო პოლიტიკის სისტემაში კი ეს "შწვანეთა" იდეების მხარდი გაგლენით გამოიხატა.

კუნის მიხედვით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მუდამ ერთი პარადიგმა ბატონობს; მთლიანობაში კი მეცნიერება "რევოლუციური" ვითარდება — ნახტომისებურად მიდის წინ და ძველ პარადიგმას მთლიანად უნაცვლება ხოლმე. თუმცა, პოლიტიკური და სოციალური საკითხების დღევანდელი განსხვავებული ხასიათისაა — რამდენადაც პოლიტიკაში ხშირად რამდენიმე პარადიგმა უპირსპირდება ერთმანეთს. ეს პარადიგმები სოციალური ფილოსოფიების ფორმებს ღებულობს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, პოლიტიკურ იდეოლოგიებს უწოდებენ — ლიბერალიზმი იქნება ეს, კონსერვატიზმი, სოციალიზმი, ფაშიზმი, ფემინიზმი, და ა.შ. ნებისმიერ მიზანს საზოგადოებრივი ცხოვრების საკუთარი სურათი უდგას თვალწინ და საბაროს თავისებურ ხედვას გვთავაზობს, მაგრამ ამ იდეოლოგიებზე საუბარი, როგორც მხოლოდ და მხოლოდ თეორიულ პარადიგმებზე, რასც ვთქვით, არ გულისხმობს რომ პოლიტიკური ანალიზი უცილებლად იდეოლოგიურია და კონკრეტული ფგუფების, ან კლასების ინტერესებს ემსახურება — არა, აქ მხოლოდ იმაზეა საუბარი, რომ პოლიტიკური ანალიზი, როგორც მეცნიერება, განსაზღვრული იდეოლოგიური ტრადიციების საფუძველზე ხდება. აკადემიური პოლიტოლოგია, მაგალითად, უმეტესწილად ლიბერალურ-რაციონალური პრინციპების საფუძველზე ვითარდებოდა და წინააღმდეგობას ამიტომ, საკუთარი ლიბერალური წარსულის აშკარა კვალი ეტყობა. კონსერვატორული ანალიზის სხვადასხვა დონე სქემატურად წარმოდგენილია ნახტვე: 14.

შეჯამება:

« პოლიტიკა იმ სახის საქმიანობაა, რომლის მეშვეობითაც ადამიანები საკუთარი ცხოვრების განმსაზღვრელ ზოგად კანონებს ქმნიან, იცავენ და ხეყვენ. ეს არსებითად საზოგადოებრივი აქტივობაა — ერთის მხრივ მრავალფეროვნებისა და კონფლიქტის არსებობასთან, ხოლო მეორეს მხრივ — თანხმობისა და თანამშრომლობის ნებასთანაა დაკავშირებული. პოლიტიკა კონფლიქტის გადაჭრის გზების ძიება უფროა, ვიდრე ამ მიზნის საბოლოო განხორციელება, რადგან ყოველი კონფლიქტის გადაჭრა თეორიულადაც კი წარმოუდგენელია.

« განსხვავებულ ტრადიციებზე აღზრდილ სხვადასხვა დროის მოაზროვნეებს, თავად პოლიტიკის ცნებაც კი სხვადასხვაგვარად ესმოდათ. მას განიხილაუდნენ, როგორც მართვის ხელოვნებას, “სახელმწიფოებრივ საქმეს”, საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვას, მოლაპარაკებებისა და დათმობების მეშვეობით კონფლიქტების გადაჭრის საშუალებას და ასევე — რესურსების შექმნის, განაწილებისა და გამოყენების უნარს — მთელი საკაცობრიო ისტორიის მანძილზე.

« “პოლიტიკურის” სფეროზე კამათი არა და არ წყდება. ვიწრო გაგებით, პოლიტიკა იმ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს მოიცავს, როლებსაც საზოგადოებრივი ყოფის კოლექტიური ორგანიზება ევალებათ; მაგრამ ძალაუფლებაზე დამყარებულ ურთიერთობათა კუთხით დანახული პოლიტიკა უკვე “კერძო” სფეროშიც იკავებს ადგილს.

« სხვადასხვა მიდგომა გამოიყენება პოლიტიკის, როგორც აკადემური დისციპლინის შესწავლისათვის. მათ შორის — პოლიტიკური ფილოსოფია, ანუ ნორმატიული თეორიის ანალიზი; ინსტიტუციებისა და სხვადასხვა სტრუქტურების შესწავლით დაკავებული ემპირიული ტრადიცია; ბიჰევიორული ანალიზის გავლენით შემოტანილი მკაცრად მეცნიერული მეთოდოლოგია; და რიგი თანამედროვე მიდგომები — რაციონალური არჩევნის თეორიის ჩათვლით.

« პოლიტიკის შესწავლა იმდენადაა მეცნიერული, რამდენადაც ფაქტებისა და ღირებულებების გამოჯვანით, პოლიტიკის სამყაროს შესახებ ობიექტური ცოდნის მიღება ხდება შესაძლებელი. ოღონდ საქმეს ართულებს სანდო მონაცემების მოპოვების პრობლემა, ფესვგადგმულ ღირებულებათა ზეგავლენა პოლიტიკურ მოდელებსა და თეორიებზე; და ბოლოს, ის ტენდენციურობა და მიკერძოებულობა, რაც იმთავითვე ემუქრება პოლიტიკური დისციპლინის ნებისმიერ მკვლევარს.

« კონცეფციები, მოდელები და თეორიები პოლიტიკური ანალიზის ის ხელსაწყოებია, რომელთა მეშვეობითაც ცოდნის საფუძვლები იგება. თუმცა, საბოლოო ჯამში, ისინი მხოლოდ ანალიზის საშუალებადვე რჩებიან — მართალია, საკითხის გააზრებას კი გვიადვილებენ, მაგრამ მაინც ნაკლოვანი არიან იმ რთულ და მოუხელთებელ რეალობებთან შედარებით, რომლის

აღწერასაც ვცდილობთ. საბოლოო ჯამში, მთელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხების კვლევაში ერთ რომელიმე ინტელექტუალურ ჩარჩოში თუ იდეოლოგიურ პარადიგმაში ექცევა.

კითხვები განსასჯელად:

- < თუკი პოლიტიკა არსებითად საზოგადოებრივია, რატომ არ ითვლება ნებისმიერი საზოგადოებრივი საქმიანობა პოლიტიკურად?
- < რატომ იწვევს პოლიტიკის ხსენება, უმეტესად, უარყოფით აზოციაციებს?
- < რას იტყვით პოლიტიკის, როგორც უაღრესად სასარგებლო და საპატიო საქმიანობის სასარგებლოდ?
- < პოლიტიკური აქტივობა გარდაუვალია თუ შესაძლოა, ოდესმე მასაც დაესვას წერტილი?
- < რა აქცევს პოლიტიკას, როგორც მეცნიერების ერთ დარგს, მიზნადეულად?
- < შესაძლებელია თუ არა პოლიტიკის ობიექტური და მიუკერძოებელი შეხსენება?

დამატებითი საკითხავი

- Ball, A. and B. Guy Peters, Modern Politics and Government (7th edn.) (Basingstoke: Palgrave Macmillan, 2005).
- Crick, B., In Defence of Politics (rev.edn.) (Harmondsworth and New York: Penguin, 2000).
- Hay, C., Political Analysis: A Critical Introduction (Basingstoke: Palgrave Macmillan, 2002).
- Heywood, A., Key concepts in Politics (Basingstoke: Palgrave Macmillan, 2000).
- Leftwich, A. (ed.) What is Politics? The activity and its study? (Cambridge: Polity Press, 2004).
- Marsh, D. and G. Stoker (eds), Theory and Methods in Political Science (2nd edn.) (Basingstoke: Palgrave Macmillan, 2002).
- Stoker, G., Why Politics Matters : Making Democracy Work (Basingstoke: Palgrave Macmillan, 2006).

მმართველობის ფორმები, სისტემები და რეჟიმები



შინაარსი

"ველაზე კარგი ის ხელისუფლებაა, რომელიც საერთოდ არ მართავს"
პენრი დევიდ თორო. სამოქალაქო დაუმორჩილებლობა (1849)

ანტიკური ხანიდან მოყოლებული, პოლიტიკური ანალიზის მთავარი საკითხი მმართველობის სხვადასხვა ფორმის კლასიფიკაცია გახლდათ. ჯერ კიდევ ჩვენდღეობის დროს IV საუკუნეში არისტოტელემ სცადა პოლიტიკური რეჟიმები ისეთი ცნებების გამოყენებით აღეწერა, როგორებიცაა "დემოკრატია", "ოლიგარქია" "ტირანია" და ეს ტერმინები დღემდე ფართოდ გამოიყენება. XVIII საუკუნიდან სახელმწიფოთა მონარქიებად ან რესპუბლიკებად, ავტოკრატიულ ან კონსტიტუციურ რეჟიმებად კლასიფიკაციის ტენდენცია ჩნდება. XX საუკუნეში ეს სხვაობები უფრო გამოიკვეთა: პოლიტიკური სისტემების "სამი სამყაროს" მოდელის მიხედვით დაყოფამ, რაც განსაკუთრებული პოპულარობით ე.წ. ცივი ომის დროს სარგებლობდა, ისეთი მსოფლიო პოლიტიკური სურათი შექმნა, რომელშიც უმთავრესად დემოკრატია და ტოტალიტარიზმს შორის ბრძოლა მიიჩნეოდა. დღესდღეობით ამგვარი კლასიფიკაცია მოძველებულად მოჩანს იმ მოვლენების ფონზე, როგორიცაა კომუნისმის კრახი, აღმოსავლეთ აზიის აღმავლობა და პოლიტიკური ისლამის ჩამოყალიბება. არადა, ჯერ კიდევ გაუგებარია თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს ცვლილებები: დასავლეთის ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფს, თუ თანამედროვე სამყაროს პოლიტიკურ დახლეჩას.

ამ თავში შემდეგი ძირითადი საკითხებია განხილული:

საკვანძო საკითხები

- < სხვაობა მმართველობის ფორმებს, პოლიტიკურ სისტემებსა და რეჟიმებს შორის.
- < მმართველობის სისტემების კლასიფიკაციის მიზანი.
- < რის საფუძველზე ხდება რეჟიმების კლასიფიკაცია.
- < თანამედროვე სამყაროს ძირითადი რეჟიმები.
- < დასავლური ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფი: ჰო თუ არა?

კლასიფიკაციის ტრადიციული სისტემები

რას გვაძლევს პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაცია?

კლასიკური ტიპოლოგიები.

"სამი სამყაროს" ტიპოლოგია.

თანამედროვე რეჟიმები. დასავლური პოლიარქიები.

ახალი დემოკრატიები.

აღმოსავლურ-აზიური რეჟიმები.

ისლამური რეჟიმები.

სამხედრო რეჟიმები.

შეჯამება/კითხვები
განსახილველად/ დამატებითი საკითხავი

მმართველობა:

ფართო გაგებით, მმართველობა ხელმძღვანელობას ან სხვათა კონტროლს გულისხმობს. ამდენად, იგი იმ მექანიზმებს მოიცავს, რომელთა მეშვეობითაც წესრიგის შენარჩუნება ხდება, მისი მთავარი ფუნქცია კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება და აღსრულებაა. ამდენად, მმართველობის ესა თუ ის ფორმა შეიძლება ყველა საზოგადოებრივ დონეზე გამოვლინდეს: იქნება ეს ოჯახი, სკოლა, ბიზნეს კომპანია, პროფგაერთიანება და ა.შ. ოღონდ "მმართველობა", "მართვისაგან" იმით განსხვავდება, რომ უმეტესად ფორმალურ და ინსტიტუციონალურ პროცესებს ეხება, რომლებიც უკვე სახელმწიფოებრივ დონეზე, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად და კოლექტიური საქმიანობის ხელშეწყობად მოქმედებს. ამგვარად, მმართველობას 3 ძირითადი ფუნქცია აკისრია: კანონთა შექმნა (საკანონმდებლო), მათი აღსრულება აღმასრულებელი და ინტერპრეტაცია (სასამართლო). ზოგიერთ შემთხვევაში აღმასრულებელი ფუნქციის მატარებელი მთავრობადაც იხსენიება, ან ადმინისტრაციად — საპრეზიდენტო სისტემებში.

სახელისუფლებო კრიზისი: ხელისუფლებაში ინსტიტუციონალური დაპირისპირების შედეგად გამოწვეული საგანგებო მდგომარეობა, ან საზოგადოების უკმაყოფილებაზე სათანადო პასუხის გაცემის უუნარობა.

კლასიფიკაციის ტრადიციული სისტემები

ვიდრე მართვის სისტემების არსებულ კლასიფიკაციებს შევისწავლიდეთ, ჯერ იმაზე დაეფიქრდეთ, რა ექვემდებარება კლასიფიკაციას და რისთვისაა იგი საჭირო. უპირველეს ყოვლისა, რა არის "მმართველობა" და რა განასხვავებს მას პოლიტიკური სისტემებისა თუ რეჟიმებისაგან? ტერმინი "მმართველობა" იმ ინსტიტუციურ პროცესებს უკავშირდება, რომელთა მეშვეობითაც კოლექტიური და როგორც წესი, შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებები მიიღება; მმართველობის სხვადასხვა ინსტიტუტებს წიგნის IV თავში განვიხილავთ. მეორე მხრივ, **პოლიტიკური სისტემა (Political System)**, ანუ რეჟიმი, უფრო ფართო ცნებაა, რომელიც არა მხოლოდ მმართველობის მექანიზმებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს მოიცავს, არამედ იმ სტრუქტურებსა და პროცესებსაც, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო საზოგადოებასთან ამყარებს ურთიერთობას.

პოლიტიკური სისტემა, ფაქტიურად, უფრო ფართო საზოგადოებრივი ორგანიზმის შემადგენელია. იგი "სისტემაა", რადგანაც მასში შემავალ ინსტიტუტებს შორის ურთიერთქმედებებს გულისხმობს; ხოლო "პოლიტიკურია" იმდენად, რამდენადაც ეს ურთიერთქმედებები საზოგადოებაში ძალაუფლების, სიმდიდრისა და რესურსების გადანაწილების მიზნით ხორციელდება. პოლიტიკური სისტემის მთავარ მახასიათებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ როგორც ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზება, ასევე ამ სისტემაში მოქმედი სახელისუფლებო მექანიზმები. ამგვარად, რეჟიმი მართვის ისეთი ფორმაა, რომელიც მთავრობის ცვლილების მიუხედავად, უცვლელი რჩება. მმართველთა შეცვლა შეიძლება მოხდეს არჩევნების, დინასტიების ცვლის, სახელმწიფო გადატრიალებების შედეგად და ა.შ., რეჟიმები კი მხოლოდ გარე სამხედრო ჩარევის ან ქვეყნის შიგნით რევოლუციური გადატრიალების შედეგად იცვლებიან.

რას ვაპძლევს პოლიტიკური სისტემების კლასიფიცირება

პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაცია ჩვენთვის ორი თვალსაზრისითაა საინტერესო. ჯერ ერთი, არსებითად გვიოხლებს პოლიტიკისა და სახელმწიფოებრივი მართვის გაგებას. პოლიტოლოგიაში, ისევე როგორც სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში, შექმენება ძირითადად შედარების საფუძველზე ხდება, ვინაიდან ექსპერიმენტული ხასიათის მეთოდები აქ ზოგადად, გამოუსადეგარია. მაგალითად, ექსპერიმენტით ვერ დაუდგენთ, გაუიოლდება თუ არა ა.შ.შ.-ს მთავრობას ამა თუ იმ სახელისუფლებო კრიზისის გადაჭრა — თუკი იგი ძალაუფლების დანაწილების პრინციპზე იტყვის უარს; ან გადარჩებოდა თუ არა კომუნიზმი, სსრკ-ს რეფორმები ერთი თაობით ადრე რომ წამოეწყო. საქმის გასაიოლებლად, ჩვენ შედარებებს ვიყენებთ ხოლმე — მართლაც, თუკი ერთი შეხედვით, ფაქტების უცნაურ გროვას მსგავსებათა და განსხვავებათა პრინციპიდან შევხედავთ, სწორედ რომ შედარება დაგვეხმარება დავინახოთ, რაა მნიშვნელოვანი მათში და რა — მეორეხარისხ-

ოვანი. ასეთ დროს ხდება სწორედ ჰიპოთეზების, კონცეფციებისა და თეორიების შექმნაცა და გარკვეულწილად, მათი მართებულობის შემოწმებაც. ლექსის დე ტოკვილის თქმით, "შედარებები რომ არა, გონება გაზარმაცდებოდა". ამდენად, მართვის სისტემათა კლასიფიცირების ცდა უბრალოდ საშუალებაა — შედარების პროცესისათვის მეტი მეთოდურობისა და ანალიზდევროლობის მისაცემად.

კლასიფიკაციის მეორე მიზანია, არა მხოლოდ მოვლენათა ანალიზში დაგვიხმაროს, არამედ მათი შეფასების საშუალებაც მოგვცეს. არისტოტელედან მოყოლებული, ხელისუფლების რაობაზე დაფიქრებულ ხალხს მარტო ხელისუფლების არსის ამოცნობა კი არ ეწადა, არამედ მის "გაუმჯობესებასაც" ისახავდა მიზნად. სხვაგვარად თუ ვიტყვით, შეფასებითი დამოკიდებულება მჭიდროდ უკავშირდება ნორმატიულ შეხედულებებს: კოსტა — "რაი არს" უშუალოდ ებმის კითხვას — რა უნდა იყოს. ამ პროცესში, "წრეგადასული გულმოდგინების" შემთხვევაში, შეიძლება მართვის "ხელსაღმურ" და ბოლო-ბოლო, უტოპიური სისტემების ძებნამდეც კი მიგვიყვანოს. ამის მაგალითებია სწორედ, პლატონის "სახელმწიფო", თომას მორის "უტოპია" (1516), პეტრე კროპოტკინის "მინდვრები, ქარხნები და საამქროები" (1917) და სხვა.

ოღონდაც, თუკი უკიდურესობაში არ გადავიჭრებით, სწორედ მსგავსი კლასიფიკაცია მოგვცემს საშუალებას გულდინჯად განესაჯოთ პოლიტიკური სტრუქტურებისა და მმართველობის ფორმების ავ-კარგი. მხოლოდ შედარების მეთოდის გამოყენებით თუ ვიპოვით დამაჯერებელ პასუხს ისეთ კითხვებზე, როგორიცაა, ვთქვათ — "ჩვენის მხრივ, მისასაღმებელი იქნებოდა თუ არა, რუსეთისა და სხვა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების არჩევანი ლბერალური დემოკრატიის სასარგებლოდ?" "უნდა თქვას თუ არა ინდოეთმა უარი ფედერალიზმზე — უნიტარული სისტემის, ან თუნდაც რეგიონთა დამოუკიდებლობის სანაცვლოდ?" "ბოლოს და ბოლოს, ელირსება თუ არა გართიანებულ სამეფოს საკუთარი კონსტიტუცია?"

თუმცადა, კლასიფიკაციის ყველა სისტემას თავისი ნაკლიც ახლავს. მარტო რიგში, როგორც ყველა ანალიტიკურ ინსტრუმენტს, მასაც უპარტიკულებიაკენ მიდრეკილება ახასიათებს: სხვადასხვა რეჟიმების ერთ მარტო მოჭრის შემთხვევაში, აქცენტი მათ მსგავსებებზე კეთდება და სხვაგვარად შესაძლებელია, სხვაობანი ყურადღების მიღმა დაგვრჩეს. იმის რისკიც არსებობს, რომ ერთსა და იმავე ფენომენს, განსხვავებული კონტექსტდან გამოძინარე, სხვადასხვა მნიშვნელობა მიენიჭოს. მაგალითად, ანალიზსა და მთელს შორეულ აღმოსავლეთში სიტყვა "სახელმწიფო", უმეტესად, ტიპობრივად და არსობრივად სხვაგვარად ესმოდეთ, ვიდრე დასავლურ სამყაროში. ამისდაკვალად, შედარებითი ანალიზის ჩატარებისას უნიცენტრიზმის ნიფათიც უთუოდ გასათვალისწინებელია. მეორეც, კლასიფიკაციის პროცესზე, შესაძლოა, დროთა განმავლობაში ფესვგადგმულმა დარბულებებმაც იქონიოს გავლენა. მაგალითად, როდესაც პოლიტოლოგები კომუნისტურ და ფაშისტურ რეჟიმებს ტოტალიტარნიზმის ნიშნით აიგვებდნენ, ისეთი სურათი იხატებოდა, თითქოსდა დასავლეთის ლბერალური დემოკრატია არსებითად ერთსა და იმავე მტერს ებრძოდა "ცვი ომშიც" და II

უტოპია, უტოპიზმი:

უტოპია (ბერძნული "ოუტ-ოპია", ანუ "არსად — ანდა "ეუტოპია", რაც "კარგ ადგილს" შეესაბამება)

სიტყვასიტყვით იდეალურ ან სრულყოფილ საზოგადოებას ნიშნავს. თუმცა, უტოპიათა უმეტესობა ნანატრის ასრულებას, ძალადობისა თუ ჩაგვრის მოსპობას, სრულ იდილიას გულისხმობს.

უტოპიზმი თეორიული პოლიტიკური აზროვნების ფორმია, რომელიც არსებულ წყობას აკრიტიკებს და იდეალური და სრულყოფილი ალტერნატივის მხოლოდ წარმოსახვით მოდელს გვთავაზობს. ამის თვალსაჩინო მაგალითებია ანარქიზმი და მარქსიზმი.

უტოპიური თეორიები, როგორც წესი, ადამიანური თვითგანვითარების უსასღვრო შესაძლებლობების რწმენას ეყრდნობა, ოღონდ ხშირად ამ ტერმინს ადებული დამოკიდებულების ელფერიც დაკრავს — ფუჭი მთოცნებებისა და მიუღწეველი მიზნებისადმი ღლტოლის გამოისობით.

პოლიტიკური სისტემა:

ურთიერთობათა სისტემა, რომლის საშუალებითაც მმართველობა "სარგებლის" სახით რეაგირებს საზოგადოების "წვლილზე" და მის მოთხოვნებსა თუ მზარდაჭერას კონკრეტული პოლიტიკური ნაბიჯებით ეპასუხება.

უნიცენტრიზმი:

საკუთარ კულტურაში არსებული მზა დირებულებებისა და თეორიების მორგება სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებსა თუ ეთნოსებზე. უნიცენტრიზმი თავისთავად მიკრძობებასა თუ მრუდ ხელვას გულისხმობს.

მმართველობის ფორმები, სისტემები და რეჟიმები 2.

მსოფლიო ომის დროსაც. შეიძლება ითქვას, რომ საბოლოოდ, კლასიფიკაციის ყველა სისტემას კიდევ ერთი უცვლელი ხინჯი ახასიათებს: ვერც ერთი ვერ ცდება სახელმწიფოს საზღვრებს და ყოველ კონკრეტულ ქვეყანას ცალკე აღებულ მთლიანობად განიხილავს. იქნებ ეს დიდი შეცდომა არც იყოს, ოღონდ კარსმომდგარი გლობალიზაციის ჭრილში, ამგვარი მიდგომა, საყოველთაო აზრით, უკვე არასაკმარისია.

კლასიკური ტიპოლოგიები

კლასიფიკაციათაგან უდაოდ ყველაზე ღირებულად ჩვ. წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში არისტოტელეს მიერ შემუშავებული სისტემა ითვლებოდა. ეფუძნებოდა რა იმდროინდელი 158 ბექნული პოლისის (ქალაქ-სახელმწიფოს) მართვის ანალიზს, იგი პოლიტიკურ ფილოსოფიაში კიდევ 2500 წელი ბატონობდა. არისტოტელეს მიაჩნდა, რომ მმართველობის ფორმები ორი კრიტერიუმით განიჩქევა: "ვინ მართავს", და "ვინ იგებს ამიჲ. მისი აზრით, მმართველობა შეიძლება იყოს ერთი ადამიანის, ადამიანების მცირერიცხოვანი ჯგუფის, ან მრავალი მოქალაქის ხელში. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ის ან თავად მმართველთა კერძო ინტერესებს, ან მთელი საზოგადოების კეთილდღეობას ემსახურება. ამგვარად, არისტოტელემ მმართველობის 6 ფორმა გამოყო (ნახ. 2.1).

ვინ მართავს?

ერთი კაცი უმცირესობა უმრავლესობა

ტირანია	ოლიგარქია	დემოკრატია	მმართველები
მონარქია	არისტოკრატია	პოლიტი	ვინ იგებს?
			ყველა

ნახ. 2.1.

მმართველობის ექვსი ფორმა არისტოტელეს მიხედვით.

თავად არისტოტელეს მიზანი ის იყო, ნორმატიულ საფუძვლებზე შეეფასებინა მმართველობის ყოველი ფორმის ავ-კარგიანობა, და მათ შორის „იდეალურში“ დაედგინა. არისტოტელემ ტირანიაც, ოლიგარქიაცა და დემოკრატიაც მმართველობის მახინჯ და უგვან ფორმებს მიაკუთვნა. მისი თვალთახედვით, ერთი ადამიანი იქნებოდა ეს, ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფი თუ მრავალნი — ყველანი საკუთარი ინტერესების კარნახით მართავდნენ და, შესაბამისად, სხვათა საზიანოდ. ამიტომაც უპირატესობა მონარქიას, არისტოკრატიასა და პოლიტს უნდა მიანიჭებოდა, რადგან ამგვარი მმართველობა — ერთი კაცი იქნება სათავეში, უმცირესობა თუ უმრავლესობა — მაინც ყველას საკეთილდღეოდ მართავს.

მმართველობის ფორმათა შორის უარესად არისტოტელემ ტირანია აღიარა, ვინაიდან მოქალაქეს იგი მონასთან ათანაბრებს. მეორეს მხრივ, მონარქია და არისტოკრატია უვარგისად შერაცხა, რაკილა ერთგვარ "ლიბერო ნებას" დანდობილი მმართველები, საკუთარი ინტერესების მიღევნას ამჯობინებენ საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ზრუნვასო. მმართველობის ყველაზე საიმედო ფორმად კი არისტოტელემ პოლიტიკურად მმართველობა ყველას საკეთილდღეოდ) მიიჩნია. თუმცა არისტოტელემ სახალხო მმართველობის გასაკრიტიკებლადაც არ დაიშურა სიტყვები — თუ მასებს მდიდარი მოქალაქეებისა შეშურდებათ, ისინი ადვილად მოექცევიან დემაგოგების გავლენის ქვეშო. ამიტომაც იგი უპირატესობას მმართველობის ერთგვარ "შერეულ" ფორმას ანიჭებდა, რომელიც დემოკრატიისა და არისტოკრატის ელემენტებს შეითავსებდა, ხოლო ძალაუფლება ე.წ. "საშუალო კლასის" — არცა მდიდრებისა და არც დაბნების - ხელში იქნებოდა თავმოყრილი.

არისტოტელეს სისტემა შემდგომში ისეთმა მოაზროვნეებმა განუითარეს, როგორებიც იყვნენ თომას ჰობსი და ჟან ბოდენი (1530-1596) — ოღონდ მათი ყურადღების ძირითად საგნად თვითმპყრობელობის პრინციპი იქცა — როგორც ნებისმიერი სტაბილური პოლიტიკური რეჟიმის საფუძველთა საფუძველი; თავის მხრივ, თვითმპყრობელობამ იმ "უმაღლესი და მარადიულ" ძალაუფლების მნიშვნელობა შეიძინა, რომელსაც სწორედ ამგვარი მმართველობის უზრუნველყოფა შეეძლო.

ბოდენმა თავის ნაშრომში "საყოველთაო კეთილდღეობის 6 წიგნი" (The Six Books of the Commonwealth, 1576) დეტალურად განიხილა, თუ ვის ეპყრა ძალაუფლება როგორც ანტიკურ, ისე თანადროულ სახელმწიფოებში და საბოლოო ჯამში ის დასკვნა გამოიტანა, რომ მმართველობის საუკეთესო ფორმად აბსოლუტიზმი უნდა მივიჩნიოთ. ასეთ დროს ძალაუფლება იმ მმართველის ხელთაა, ვინც კარნახობს კანონებს, ოღონდ თავად არც ერთი კანონით არაა შებორკილი. ბოდენის ძალსაზრისით, ძალაუფლების ერთ ხელში მოქცევის უპირატესობა ისაა, რომ თვითმპყრობელობას არანაირი დანაწევრება არ ემუქრება: შეიძლება აქცას, მას უზენაესი ხელისუფალის საბოლოო ბეჭედი აზის; ამასთანავე, მონარქიც შეზღუდულია - მისთვისაც არსებობს ზეგარდმო, ღვთიური ნება, ანთუ ბუნების კანონები. ჰობსი, თავის მხრივ, "ღვთაათნაშ" (1651) თვითმპყრობელობას უკიდევანო ერთმმართველობად სახავდა, და თვითმპყრობელის აბსოლუტურ შეუზღუდველობაში ეჭვიც არ შეჰქონდა.

მოგვიანებით ეს იდეები ადრეული ლიბერალური აზროვნების ისეთი წარმომადგენლების მიერ გადაიხინჯა, როგორებიც ჯონ ლოკი და მონტესკიე იყვნენ - კონსტიტუციური მმართველობის შეუკალი მომხრენი. თავის ნაშრომში "ორი ტრაქტატი მმართველობის თაობაზე" (Two Treatises of Government 1690) ლოკი ამტკიცებდა — თვითმპყრობელი თავად ხალხი უნდა იყოს, და არა მონარქიო; იგი შეზღუდული მმართველობის იმგვარ სისტემას უჭერდა მხარს, რომელიც სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების — ადამიანის ბუნებრივი უფლებების — განუხრელ დაცვას უზრუნველყოფდა. მონტესკიე თავის ფუნდამენტურ ნაშრომში "კანონთა გონი" (The Spirit of the

აბსოლუტიზმი:
 აბსოლუტიზმი შეუზღუდველი მართვის თეორია ან პრაქტიკაა, რომელიც ყველაზე ხშირად აბსოლუტურ მონარქიას გვახსენებს. აბსოლუტისტურ პრინციპს საფუძველად უფრო მართვის უსახლო უფლებათა პრეტენზია უძვეს, ("ღვთითობებული უფლებანი") ვიდრე წრეგდასული ძალაუფლების რეალური გამოვლინება. აბსოლუტური ძალაუფლების რაციონალისტური თეორიების თანახმად, მხოლოდ აბსოლუტურ ხელისუფლებას ძალუბს სოციალური სტაბილურობისა და წესრიგის გარანტია მოგვეცეს. ამისდა მიუხედავად, აბსოლუტიზმი უნდა განასხვავოთ ავტოკრატიისა და დიქტატურისაგან (იხ. გვ. 405). ოღონდ ჯაა — რელიგიურ თუ რაციონალურ პრინციპზე დაფუძნებული აბსოლუტიზმი, თვითნებურ და შეუზღუდავ ძალაუფლებას არ გულისხმობს.

დემაგოგი:
 პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ხალხის გარკვეულ მასას ისტერიული ენთუზიანზმის აგორების მეშვეობით აკონტროლებს.

Laws, 1734) საზოგადოების "მეცნიერული მიდგომით" კვლევას შეეცადა, რათა იმ წყობილების რაობა გაერკვია, რომელიც პიროვნული თავისუფლების საუკეთესოდ დაცვას მოახერხებდა. აბსოლუტიზმის შეურიგებელმა კრიტიკოსმა და ინგლისური პარლამენტარული ტრადიციების თავჯანსმცემელმა, მან პირველმა წამოაყენა კონტროლისა და დაბალანსების იდეა "ძალაუფლების გადანაწილების", ანუ ხელისუფლების აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებად დაყოფის გზით. მოგვიანებით, სწორედ ეს პრინციპი დაედო საფუძვლად ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას (1787), ხოლო შემდგომ, ზოგადად ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობის ერთ უმთავრეს მახასიათებლად იქცა.

XVIII საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, თანამედროვე საკონსტიტუციო სისტემების განვითარებამ სულ უფრო ნათლად წარმოაჩინა, რომ პოლიტიკურ სისტემათა არისტოტელესეულ ტიპოლოგიას უკვე ყავლი გასულია. 1775-83 წლების ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შემდგომ, იქ დამკვიდრებულმა კონსტიტუციურმა რესპუბლიკანიზმმა, 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის პერიოდის დემოკრატიულმა რადიკალიზმმა და გაერთიანებულ სამეფოში წარმოქმნილმა საპარლამენტო მმართველობამ, არსებითად განსხვავებული, გაცილებით უფრო რთული პოლიტიკური რეალობები წარმოშვა, ვიდრე ამას ადრეული ეპოქის მოაზროვნეები წარმოიდგენდნენ. პოლიტიკური მმართველობის კონსტიტუციური და ინსტიტუციონალური მხარეებისადმი მზარდმა ინტერესმა თანდათანობით ჩაანაცვლა კლასიფიკაციის კლასიკური სქემები. ყოველივე ეს მონტესკიეს მიერ ხელისუფლების სხვადასხვა შტოებად დაყოფის პრინციპს ეფუძნებოდა. ასე მაგალითად, მონარქია რესპუბლიკისაგან, საპარლამენტო მმართველობა — საპრეზიდენტოსაგან, ხოლო უნიტარული სისტემები — ფედერალურისაგან გაიმიჯნა.

რესპუბლიკანიზმი:
პრინციპი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური ხელისუფლება ხალხის თანხმობიდან იღებს სათავეს; მონარქიული და დინასტიური პრინციპების უარყოფა

სამოქალაქო საზოგადოება:
ავტონომიური ჯგუფებისა და გაერთიანებების ერთობლიობა; სახელმწიფო კონტროლისაგან დამოუკიდებელი; კერძო სფერო.

მთლიანი შიდა პროდუქტი:
ქვეყნის ეკონომიკაში წლიურად გაწეული მომსახურებისა და წარმოებული საქონლის ფინანსური ღირებულება.

"სამი სამყაროს" ტიპოლოგია

ისტორიის მსვლელობამ, XX საუკუნეში კიდევ ერთხელ შეცვალა პოლიტიკური კლასიფიკაციის საფუძვლები. ორ მსოფლიო ომს შუა პერიოდში გაჩენილმა ავტორიტარიზმის ახალმა ფორმებმა — სტალინურ რუსეთში, ფაშისტურ იტალიასა და ნაცისტურ გერმანიაში — ის აზრი გაამყარა, რომ მსოფლიო ორ, დემოკრატიულ და ტოტალიტარულ რეჟიმებად გაიხლიჩა. ფაშიზმისა და ნაცისტების დამარცხების მიუხედავად, კონტრასტი დემოკრატიასა და ტოტალიტარიზმს შორის იმდენად აშკარა იყო, მრავალი პოლიტოლოგის ცნობიერებაში სწორედ ეს დაყოფა იქცა ძირითად ფაქტორად მომავალი ათწლეულის ანმელობაში (1950-1960). და მაინც, მალე ყველა მიხვდა, რომ რსებითად, სწორედ "ცივი ომის" დროინდელი დაპირისპირება განაპირობებდა ამგვარ მიდგომას და კლასიფიკაციის ახალი, ღირებულებათა თვალსაზრისით ნეიტრალური და იდეოლოგიურად მიუკერძოებელი სისტემის ძიება გახდა აუცილებელი. დროთა განმავლობაში პოპულარობა მოიპოვა ე.წ. "სამი სამყაროს" კონცეფციამ — პოლიტიკური სამყაროს დაყოფამ სამ განსხვავებულ ბლოკად:

- † კაპიტალისტური "პირველი სამყარო"
- † კომუნისტური "მეორე სამყარო"
- † განვითარებადი "მესამე სამყარო".

სამე სამყაროს ამგვარ კლასიფიკაციას თავისი ეკონომიკური, იდეოლოგიური, პოლიტიკური და სტრატეგიული განზომილებები გააჩნდა. წმინდა ეკონომიკური მოსახრებით, დასავლეთის ინდუსტრიული რეჟიმები "პირველ სამყაროდ" გამოცხადდა, რადგან აქ მოსახლეობა ცხოვრების ყველაზე მაღალი დონით გამოირჩევა. 1983 წელს იმ ქვეყნებმა, რომელთა მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 15 % -ს შეადგენს, მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 63% აწარმოეს (მსოფლიო ბანკის მონაცემები. 1985წ.). კომუნისტური რეჟიმები "მეორე სამყაროს" იმ ნაწილს მიაკუთვნეს, რომ საკუთარ ქვეყნებში მათ სრული ინდუსტრიალიზაცია მოახდინეს და უნარი შესწევდათ, საკუთარი მოსახლეობის უმთავრესი მატერიალური მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ; ამ ქვეყნების მოსახლეობა მსოფლიოს 33% შეადგენდა და მშპ-ს 19% აწარმოებდა. აზიის, ლათინურ და ლათინური ამერიკის ნაკლებ განვითარებული ქვეყნები "მესამე სამყაროდ" მოიხატა, რაკილა ეკონომიკურად დამოუკიდებელი ვერ იყვნენ და მასობრივი სიღარიბის ზღვარზე არსებობდნენ. მათი მოსახლეობა სამყაროს მოსახლეობის 52% შეადგენდა და მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 18% აწარმოებდა.

"პირველსა" და "მეორე სამყაროს" შორის გააფთრებული იდეოლოგიური ბრძოლა მიმდინარეობდა. "პირველი სამყარო" წმინდად კაპიტალისტურ პრინციპებს აღიარებდა - კერძო მეწარმეობას, მატერიალურ სტიმულირებასა და თავისუფალ ბაზარს; "მეორე სამყარო" კი - "კომუნისტურ" პრინციპებს: კოლექტიურ შრომას, სოციალურ თანასწორობას და ცენტრალიზებული დაგეგმვის აუცილებლობას. ამგვარი იდეოლოგიური განსხვავებანი აშკარა პოლიტიკურ ელფერს ატარებდა: "პირველი სამყარო" ლიბერალურ-დემოკრატიულ პოლიტიკას მისდევდა, რაც არჩევნების დროს სარტყალად მეტოქეობაში გამოიხატებოდა; "მეორე სამყაროს" რეჟიმები კი ერთპარტიულ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, სადაც "მმართველი კომუნისტური პარტიები ბატონობდნენ. "მესამე სამყარო" ტიპიურად ავტორიტარული იყო და დინასტიური მონარქიების, დიქტატორების, ან უბრალოდ, სამხედრო რეჟიმების მიერ იმართებოდა. ამგვარი დაყოფა მთლად ნათლად მაინც ვერ ასახვდა ბიპოლარულ "მსოფლიო წესრიგს": როცა დასავლეთი, ა.შ.შ-ს დონორობით — საბჭოთა კავშირის გაუღების ქვეშ მოხვედრილ აღმოსავლეთს უბრუნდებოდა. ამ "წესრიგის" შენარჩუნება იორი მეტოქე სამხედრო ბრძოლის ხარჯზე ხდებოდა: ერთის მხრივ ნატო-ს, ხოლო მეორე მხრივ — ე.წ. "ვარშავის ბლოკის" არსებობით არცთუ იშვიათად, "მიუმხრობელმ" მესამე სამყარო, ამ გეოპოლიტიკური ბრძოლის ასპარეზად იქცეოდა ხოლმე, რითაც მისი პოლიტიკური და ეკონომიკური უსუსურობა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა.

მაგრამ 1970 წლიდან, კლასიფიკაციის მოცემული სისტემის შენარჩუნება სულ უფრო და უფრო გართულდა. ეკონომიკური განვითარების

ტოტალიტარიზმი:

დაშინებასა, სისასტიკესა და იდეოლოგიურ მანიპულაციანზე დამყარებული პოლიტიკური მართვის ყოვლისმომცველი სისტემა.

ტოტალიტარიზმი იმით განსხვავდება ავტოკრატიისა და ავტორიტარიზმისაგან, რომ "სრული

ძალაუფლების" მოპოვებას საზოგადოებრივი და ინდივიდუალური არსებობის ყოველი ასპექტის

პოლიტიზირებით ცდილობს. ავტოკრატიულ და ავტორიტარულ რეჟიმებს პოლიტიკური ძალაუფლების მონოპოლიზების შედარებით

უფრო ზომიერი შეზღუდვები ახასიათებთ, რაც ვუღუებრივ, მასების პოლიტიკადან გამოდევნაში გამოიხატება;

ტოტალიტარიზმი კი საშოქალაქო საზოგადოების სრულ განადგურებას და ყოველფე კერძოს"

მოსპობას გულისხმობს. ტოტალიტარულ რეჟიმებს ზოგჯერ ე.წ. "ექსპალიანო სინდრომით" (ფრიდრიხი და ბუჟენსკი 1963)

ახასიათებენ ხოლმე: < ოფიციალური იდეოლოგია

< ერთპარტიული სახელმწიფო, რომელსაც სათავეში ყოვლისშემძლე ლიდერი უდგას

< დაშინების პოლიტიკის" სისტემა

< მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სრული კონტროლი

< შეიარაღების საშუალებათა მონოპოლიზება

< სახელმწიფოს ზეგავლენა ეკონომიკური ცხოვრების ყველა ასპექტზე.

ლიბერალური დემოკრატია:

დემოკრატიული მართვის იმგვარი ფორმა, რომელიც საზოგადოებრივი თანხმობის იდეალსა და შეზღუდული მმართველობის პრინციპს აერთიანებს. მისი "ლიბერალური" თვისებები ხელისუფლებაზე მუდმივი კონტროლის მეშვეობით მოქალაქეთა თავისუფლების უზრუნველყოფასა და სახელმწიფოს მხრიდან მათი უფლებების დაცვაში ვლინდება, ხოლო "დემოკრატიულობა" — არჩევნების რეგულარულ და კონკურენტულ სისტემას ეფუძნება, სადაც განმსაზღვრელი საყოველთაო საარჩევნო უფლებისა და პოლიტიკური თანასწორობის პრინციპებია. ამავე ტერმინში შეიძლება პოლიტიკური მოძღვრებაც ვიგულისხმოთ, თუცა ზოგადად, "ლიბერალური დემოკრატია" მმართველობის კონკრეტულ ფორმასთან მიმართებით უფრო იხმარება. ამ ტიპის რეჟიმების განმსაზღვრელი ნიშან-თვისებებია:

- ◀ საკონსტიტუციო მმართველობა, რომელიც დადგენილ და, როგორც წესი, სამართლებრივ ნორმებს ეფუძნება.
- ◀ სამოქალაქო თავისუფლებისა და პიროვნული უფლებების უზრუნველყოფა.
- ◀ ხელისუფლების გადანაწილება და კონტროლისა და დაბალანსების სისტემა.
- ◀ რეგულარული არჩევნები, რომელიც ითვალისწინებს პრინციპს: "ერთი ამომრჩეველი — ერთი ხმაა და ყოველი ხმა თანაბრად ფასობს".
- ◀ პარტიული კონკურენცია და პოლიტიკური პლურალიზმი.
- ◀ სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფთა ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობა.
- ◀ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებზე ორიენტირებული კერძო მეწარმეობა.

ახალი სტრატეგიების გამოყენებით, "მესამე სამყაროს" მრავალმა ქვეყანამ - ახლო აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარმა სახელმწიფოებმა, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სწრაფად განვითარებადმა ქვეყნებმა და ნაწილობრივ, ლათინურმა ამერიკამ - ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ; ზოგიერთი ქვეყანა კი პირიქით, კიდევ უფრო გაღარიბდა — აფრიკის საპარის სამხრეთით მდებარე ვრცელი რეგიონი ახლა საერთოდ "მეთხე სამყაროდ" იწოდება. გარდა ამისა, 1980-90 წლების აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესები იმაზეც მიანიშნებდა, რომ "მესამე სამყაროს" რეჟიმები, ფორმალურად მაინც, სრულად ავტორიტარულად უკვე ვეღარ ჩაითვლებოდნენ. სიმართლე ითქვას, ბევრში ახლა უკვე გაღიზიანებასაც იწვევს "მესამე სამყაროს" ცნება — ერთგვარი დამამცირებელი ქვეტექსტის გამოიხიბით. აბიტომაც, დღესდღეობით ტერმინი "განვითარებადი სამყარო" უფრო მოიხმარება.

ექვგვარეშეა, რომ "სამი სამყაროს" კონცეფციას ყველაზე გამანადგურებელი დარტყმა 1989-91 წლების აღმოსავლეთ ევროპულმა რევოლუციებმა მიაყენა. სწორედ მათ განაპირობეს კომუნისტური იდეოლოგიის კრაზი სსრკ-სა და ყოფილი სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებში, და ამასთანავე, პოლიტიკურ ლიბერალიზაციასა და საბაზრო ეკონომიკის რეფორმებს დაუდეს სათავე. ამასთან დაკავშირებით, ფრენსის ფუკუიამამ

(1989) ისიც კი განაცხადა, მოვლენათა ამგვარი განვითარება ერთგვარ "ისტორიის დასასრულს" ნიშნავს — ანუ, სამყაროთა იდეოლოგიური დაპირისპირება, ფაქტიურად, დასავლური ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვებით დამთავრდაო. "შეორქ" და "მესამე სამყაროს" რეჟიმები მაშინ დაიშსხურნენ, როცა აღიარება მოუწიათ — მხოლოდ კაპიტალისტური შარველი სამყარო იძლეოდა ეკონომიკური აყვავებისა და პოლიტიკური სტაბილურობის რეალურ პერსპექტივას.

თანამედროვე რეჟიმები

პოლიტიკურ სისტემათა კლასიფიკაციის თვალსაზრისით, 1980-იან წლების ხილო ერთგვარი "ჩიხმ იყო. მოძველებული კატეგორიები, კერძოდ "სამ სამყაროდ" დაყოფის კონცეფცია კი უარყვეს, მაგრამ მსოფლიოს ახალი კონტურები პოლიტიკურ რუკაზე, ჯერაც ბუნდოანი რჩებოდა. "ისტორიის დასასრულის" სცენარი მხოლოდ ერთდღიანი პეპელა აღმოჩნდა, რომელიც კომუნისმის კრახისა და დემოკრატიზაციის ტალღის (XX საუკ. მიწურული) ღონზე გამოფარფატდა სამზეოზე. გასაგები ხდება, რომ მაშინდელი ეიფორია, სხვა არაფერი იყო, თუ არა "ცივი ომის" დასრულების შედეგად გამოწვეული აღტკინება. მართალია, დღემდე ბევრი ისევ საუბრობს "ლიბერალური დემოკრატიის სამყაროს" უპირატესობასა და განვითარების დასავლურ მოდელზე, ოღონდ ბოლომდე ვერ იაზრებენ, რომ ამ მოდელის უკან, არსებითად, მხოლოდ წმინდად ამერიკული გამოცდილება დგას და იმგვარი ღრუბულებანი, როგორც ინდივიდუალიზმი, ადამიანის უფლებები და პრინციპის თავისუფლებაა, ყველასთვის ასე ხელალებით მისადაგებელი ვერ იქნება. ამის ერთ-ერთი შედეგი კი ის გახლდათ, რომ ისლამური თუ კონფუციანური პოლიტიკური ტრადიციის მნიშვნელობა ვერ გაიაზრეს — ისინი უბრალო ცდომილებად ან უკონკურენტო ლიბერალური დემოკრატიისათვის წინააღდგომის უმწყო მცდელობად მიიჩნიეს.

ამგვარად, კლასიფიკაციის ახალი სისტემის ჩამოყალიბებას ისიც უშლის ხელს, რომ არ არსებობს ერთიანი კრიტერიუმები, რასაც იგი შეიძლება დაეყრდნოს. კლასიფიკაციის არცერთი სისტემა არ ემყარება ერთადერთ და ყოვლისმომცველ საფუძველს. თუმცა, როგორც წესი, განსხვავებული სისტემები კრიტერიუმთა სხვადასხვა ასპექტებს ანიჭებდნენ უპირატესობას. მათ შორის, უმნიშვნელოვანესი პარამეტრებია:

- < ვინ მართავს — ანუ, ქვეყნის მართვაში მხოლოდ საზოგადოების მაღალი წრეები და პრივილეგირებული ჯგუფები მონაწილეობენ, თუ მთელი მოსახლეობა?
- < როგორ მიიღწევა საზოგადოებრივი თანხმობა: ხელისუფლება ხალხს ძალისა და მუქარის ენით ელაპარაკება, თუ ყურს უგდებს და დათმობისთვისაც მზადაა?
- < ხელისუფლება ცენტრალიზებულია თუ გადანაწილებული? კონტროლისა და დაბალანსების რა ფაქტორები მოქმედებენ პოლიტიკურ სისტემაში?
- < რა გზით ხდება ძალაუფლების მოპოვება და გადაცემა? სისტემა ღიაა და



ფრენსის ფუკუიამა
(დაბ. წ. — 1952)

ამერიკელი ანალიტიკოსი და პოლიტოლოგი. დაიბადა ნიკაგოში, პროტესტანტი ლეთისმსახურის ოჯახში. სამეცნიერო მოღვაწეობის დაწყებამდე, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკური დაგეგმარების განყოფილებაში მუშაობდა. ამჟამად ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს. ამ თეგამოდებულ რესპუბლიკელს, საერთაშორისო აღიარება მოუტანა სტატიაში "ისტორიის დასასრული?" (1989), რომელიც მოგვიანებით მის ცნობილ წიგნად იქცა — "ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი" (1992). ფუკუიამა მიიჩნევს რომ, ასე ვთქვათ, "იდეათა ისტორია" ლიბერალური დემოკრატიის "უპირატეს და საბოლოო მმართველობის ფორმად" აღიარებისთანავე დასრულდა. თავის ორ მომდევნო ნაშრომში — "შრწამსი" (Trust) და "დიადი ნგრევა" (The Great Disruption) ფუკუიამა ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებრივ სიმტკიცეს შორის ურთიერთკავშირს იკვლევს. მოგვიანებით, 2006 წელს გამოცემულ წიგნში "ნეოკონსერვატორთა შექმნა" მან მამფრად გააკრიტიკა ამერიკის შვერთუბული შტატების საგარეო პოლიტიკა 11 სექტემბრის ტერაქტის მომდევნო პერიოდში.

- კონკურენტუნარიანი, თუ "ჩაკეტვით" და ერთპარტიული?
- ◀ რა დამოკიდებულება არსებობს სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის? როგორ ინაწილებენ უფლება-მოვალეობებს ხელისუფლება და მოქალაქეები?
- ◀ როგორია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე? როგორია საზოგადოების სოციალური მდგომარეობა და რამდენად თანაბრად ნაწილდება მატერიალური დოვლათი?
- ◀ რა პრინციპებს ემყარება ეკონომიკა — თავისუფალ ბაზარზე უჭირავს თვალი თუ ცენტრალიზებულ დაგეგმვაზე? რამდენად ერევა ხელისუფლება ეკონომიკურ ცხოვრებაში?
- ◀ რამდენად მდგრადია სისტემა? რამდენად ხანგრძლივი ისტორია აქვს ამა თუ იმ რეჟიმს? მზად თუა, ახალ მოთხოვნებსა და გამოწვევებს აუწყოს ფეხი?

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში კლასიფიკაციებში ჭარბობდა კონსტიტუციურ-ინსტიტუციონალური მიდგომა, რაც, თავის მხრივ, კლასიკური ტიპოლოგიებიდან იღებდა სათავეს. ამ შემთხვევაში, დაწერილ და დაუწერელ კონსტიტუციებს, საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემებს, ფედერალურ და უნიტარულ მმართველობებს შორის არსებულ სხვაობაზე მახვილდებოდა ყურადღება. 1950-60 წლებში, უკვე სისტემური თეორიის ზეგავლენით ჩამოყალიბებულ სტრუქტურულ-ფუნქციონალური მიდგომას დაედო სათავე. მსგავსი მიდგომის დროს არა იმდენად ინსტიტუციონალურ მოწყობაზე კეთდებოდა აქცენტი, რამდენადაც პოლიტიკური სისტემების რეალურ ქმედითუნარიანობაზე, კერძოდ იმაზე, თუ როგორ პასუხობდა სახელმწიფო "წვლილს" (input) "სარგებელით" (output). "სამი სამყაროს" კონცეფცია თავისი არსით ეკონომიკურ-იდეოლოგიური გახლდათ — რამდენადაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას სისტემის ეკონომიკური განვითარების დონეს და მის ზოგად იდეოლოგიურ ორიენტაციას ანიჭებდა.

ამ წიგნში შემოთავაზებული მიდგომა გარკვეულწილად განსხვავდება თითოეული ზემოგანხილული სამი მიდგომისაგან: აქ რეჟიმის სამი

მათარი მახასიათებელი - მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტები უნდა გაეითვალისწინოთ. ჩვენი მიდგომის უმთავრესი იდეა ისაა, რომ სისტემები არა იმდენად თავისი კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული პარამეტრებით განსხვავდებიან, რამდენადაც ერთ თუ როგორ ზემოქმედებენ და რეალურ ცხოვრებაში როგორ "გადაფარუნ" ისინი ერთმანეთს (იხ. ნახ. 2.2):

ნახ. 2.2 სისტემათა ძირითადი მახასიათებლები



უმთავრესი მიდგომის ღირსება ისაა, რომ იგი ხაზს უსვამს კონკრეტული კულტურული კონტექსტის მნიშვნელობას განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური პარამეტრების მიღებისას. მაგალითად, მრავალპარტიული არჩევნები და საბაზრო ეკონომიკა დასავლურ საზოგადოებათა ლიბერალური ტრადიციისა და არადასავლურ საზოგადოებათა კულტურულ გარემოში, შესაძლოა, სრულად სხვადასხვაგვარად აისახოს; ამასთანავე, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ XX საუკუნის ბოლოს მომხდარი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე, ნებისმიერი კლასიფიკაცია დროებითია. დღესდღეობით პოლიტიკური სისტემები ისე სწრაფად იცვლებიან, მათი კლასიფიცირება არცთუ ისე იოლია: ფაქტიურად, ეს მარად ცვალებადი პოლიტიკური რეალობის დაფიქსირების მცდელობაა. და მაინც, თანამედროვე მსოფლიოში რეჟიმების ხუთი ძირითადი ტიპი შეგვიძლია გამოვყოთ:

- † დასავლური პოლიარქიები
- † ახალი დემოკრატიები
- † აღმოსავლეთ-აზიური რეჟიმები
- † ისლამური რეჟიმები
- † სამხედრო რეჟიმები

დემოკრატიზაცია:

დემოკრატიზაცია ავტორიტარიზმიდან ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასვლას გულისხმობს. ამ პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება ძირეულ თავისუფლებათა უზრუნველყოფა და კერძოდ — პოლიტიკური უფლებების, საყოველთაო და თავისუფალი არჩევნების გამართვა და (განსაკუთრებით პოსტკომუნისტურ ქვეყნებში) საბაზრო რეფორმების გატარებაა. დემოკრატიზაცია სამ, ზოგჯერ ურთიერთდამთხვევად პროცესს მოიცავს. პირველი — როცა ძველი რეჟიმი ემხობა, ამახ ჩვეულებრივ, ლეგიტიმურობის დაკარგვა მოჰყვება ხოლმე, რასაც ეკონომიკის დაცემა, არმისა და პოლიციის ხელისუფლებისაგან განდგომა სდევს თან; მეორე — „დემოკრატიზაციაზე გადასვლის“ ეტაპს — ახალი, ლიბერალურ-დემოკრატიული სტრუქტურებისა და პროცესების ჩამოყალიბა ახასიათებს; და მესამე — „დემოკრატიული კონსოლიდაცია“ — უკვე ის ეტაპია, როცა ახალი სტრუქტურები და პროცესები იმდენად მყარად იდგამს ფეხს ულტიმისა და მასების შეწყებაში, რომ მათ შეცვლაზე უკვე ფიქრიც კი წარმოუდგენელია. ამგვარად, ა. პრუვეორსკის ფრთიან ფრაზას თუ გუიხსენებთ, დემოკრატია „ერთადერთ გართობად რჩება ქალაქში“ (the only game in town) (Przeworsky 1991)

დასავლური პოლიარქიები

"დასავლური პოლიარქიები" ფაქტიურად, იგუვება, რაც "ლიბერალური დემოკრატია" ან უბრალოდ, "დემოკრატია". ეს ის სისტემებია, რომელთა თავდაპირველ გეოგრაფიულ არეალს ჩრდილო ამერიკა, დასავლეთ ევროპა და ავსტრალია-ოკეანია წარმოადგენდნენ. პანთინგტონი ამ რეჟიმებში დემოკრატიზაციის პირველი ორი "ტალღის" შედეგს ხედავდა, რომელთაგან ერთი 1828-1926 წლების პერიოდს განეკუთვნებოდა და ა.შ.შ., საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი მოიცვა; მეორე "ტალღა" 1943-1962 წლებზე მოდიოდა და მან უკვე დასავლეთ გერმანიას, იტალიას, იაპონიასა და ინდოეთს "გადაუარა". იმის მიუხედავად, რომ ამ სისტემებმა დემოკრატიზაციისა და **ლიბერალიზაციის** გრძელი გზა გაიარეს, მოცემულ შემთხვევაში, ლიბერალურ დემოკრატიასთან შედარებით, უპირატესობას მაინც ტერმინ "პოლიარქიას" ვანიჭებთ, რასაც ორი მიზეზი განაპირობებს: ჯერ-ერთი, ლიბერალური დემოკრატია, უფრო პოლიტიკური იდეალის შემცველი ცნებაა და შესაბამისად, ზოგადი ფილოსოფიურ-ეთიკური შინაარსითა და ტვირთული; მეორეც, როდესაც ვამბობთ — "პოლიარქია", ვგულისხმობთ რომ მთლიანობაში, მსგავსი სისტემა ჯერაც ბოლომდე ვერ პასუხობს დასახულ იდეალს.

პოლიტიკური სისტემების აღწერისათვის ცნება "პოლიარქია" დალმა და ლინდბლომმა დაამკვიდრეს თავიანთ ნაშრომში "პოლიტიკა, ეკონომიკა და კეთილდღეობა" (Politics, Economics, and Welfare, 1953). შემდგომში დალმა იგი კიდევ უფრო გააღრმავა წიგნში "პოლიარქია: თანამონაწილეობა და წინააღმდეგობა" (Polyarchy: articpation and Opposition, 1971). ავტორთა თვალსაზრისით, პოლიარქიული რეჟიმები ორი ძირითადი ნიშანთვისების ამა თუ იმ კომბინაციით გამოირჩევა: პირველი — მათში მიღწეულია ოპოზიციისადმი ტოლერანტობის შედარებით მაღალი დონე, რომელიც საკმარისია იმისთვის, რომ საზოგადოებამ ხელისუფლების სათუო კურსის კორექტირება შეძლოს. პრაქტიკაში ეს მრავალპარტიული სისტემით, ინსტიტუციურად გარანტირებული და საიმედოდ დაცული სამოქალაქო უფლებებით, ენერგიული და ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების არსებობით ხორციელდება. მეორე თვისება ისაა, რომ პოლიარქიები საზოგადოებას პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ფართო შესაძლებლობას აძლევენ — ამ შემთხვევაში გადაწყვეტი ფაქტორი რეგულარული და კონკურენტული არჩევნებია; სწორედ ამ ინსტრუმენტის მეშვეობით შეუძლია ხალხს ზეგავლენა იქონიოს და, თუ საჭირო გახდა, შეცვალოს კიდევ ხელისუფლება. ამ თვალსაზრისით, პოლიარქიები ახლოსაა დემოკრატიული ელიტიზმის, იმ ფორმასთან, რომელიც ჯოზეფ შუმპეტერმა (Joseph Schumpeter) აღწერა ნაშრომში "კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია" (Capitalism, Socialism and Democracy, 1942). ოღონდ ლინდბლომიცა და დალიც აღიარებდნენ, რომ პოლიარქიებზე მეტისმეტად დიდი ზეგავლენა აქვთ წამყვან კორპორაციებს, ამიტომ ისინი ზოგჯერ ტერმინ "დეფორმირებულ პოლიარქიებსაც" კი მოიხმარდნენ.

ლიბერალიზაცია:
სახელმწიფო ძალაუფლების შიდა და გარე კონტროლი და/ან კერძო მქონეობისა და თავისუფალი ბაზრისაკენ აღებული კურსი.

ამგვარად გაგებული "პოლიარქიის" ცნება, უკვე სულ უფრო და უფრო მეტ რეჟიმს მიესადაგება. საზოგადოდ, სადაც კი მრავალპარტიული

არჩევნები ტარდება, ყველა იმ სახელმწიფოს შეგვიძლია, გარკვეული აზრით, პოლიარქიული ვუწოდოთ. ამასთანავე, დასავლური პოლიარქიები მკვეთრად გამოხატული სპეციფიკით გამოირჩევიან — არა მხოლოდ წარმომადგენლობითი დემოკრატიითა და კაპიტალისტური ეკონომიკური ორგანიზაციებით, არამედ კულტურული და იდეოლოგიური ორიენტაციითაც, რაც შეტწილად დასავლური ლიბერალიზმიდან იღებს სათავეს. ამ შემთხვევების უმთავრესი მახასიათებელი "ლიბერალური ინდივიდუალიზმი" (ე.ი. პიროვნული თავისუფლების) საყოველთაო აღიარებაა. ინდივიდუალიზმი, რასაც ხშირად დასავლეთის ყველაზე უფრო დამახასიათებელ ღრუბლებად სახავენ, თითოეული ადამიანის განუმეორებლობას უსვამს ხაზს და თვლის, რომ საზოგადოება ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, სადა თითოეულ პასუხობდეს მისი შემადგენელი ინდივიდების მოთხოვნებსა და ინტერესებს. ინდივიდუალიზმის პრინციპების ერთგულებამ — ადამიანის უფლებების დაცვამ (რასაც ხშირად მოგაუგებებზე მალდაც კი აყენებენ), საყოველთაო რწმენამ, რომ არჩევანი და კონკურენცია (როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში) ჯანსაღი რამაა, და ჩვეულებამ, ეჭვითა და სფეროთხილით მოეკიდონ ნებისმიერ ხელისუფლებას, როგორც ინდივიდის თავისუფლებისათვის შესაძლო საფრთხეს — მრავალხმრივი ზეგავლენა მოახდინა ზოგადად დასავლური პოლიარქიების პოლიტიკურ კულტურაზე.

თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ დასავლური პოლიარქია უნივერსალურია. ზოგიერთი მათგანი ცენტრალიზაციისა და უმრავლესობის მმართველობისაკენ იხრება, სხვები — ხელისუფლების გადანაწილებისა და პლურალიზმისაკენ. სწორედ ამ ფაქტს გაუსვა ხაზი ა. ლიუპპარტმა, როდესაც "მაჟორიტარულ" და "კონსენსუსურ" დემოკრატიები განასხვავა: უმრავლესობის (მაჟორიტარული) დემოკრატიები პარლამენტარიზმის პრინციპებზეა ჩამოყალიბებული — ე.წ. ვესტმინისტერის მოდელის მიხედვით. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი, რასაკვირველია, დიდი ბრიტანეთია, თუმცა ხსენებული მოდელის ბევრ ნიშან-თვისებას ახალი ზელანდიის, ავსტრალიის, კანადის, ისრაელისა და ინდოეთის პოლიტიკურ სისტემებშიც ვხვდავთ. მაჟორიტარული სისტემები ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ან შესაძლოა, ყველა პარამეტრს პასუხობდეს:

- ✦ ერთპარტიული მთავრობა.
- ✦ ძალაუფლების არასრული გადანაწილება აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს შორის.
- ✦ ერთპალატიანი, ანდა სუსტადგამოხატული ორპალატიანი პარლამენტი.
- ✦ ორპარტიული სისტემა.
- ✦ ერთმანდატიანი ოლქის ელექტორალური სისტემა, სადაც პრეტენდენტ-ტანსთვის ხმების უბრალო უმრავლესობაა საკმარისი.
- ✦ უნიტარული ან ცენტრალიზებული მმართველობა.
- ✦ დაუნერული კონსტიტუცია და სუვერენული პარლამენტი.

ამ მოდელისაგან განსხვავებით, სხვა ტიპის დასავლურ პოლიარქებს სახელისუფლებო და პარტიულ სისტემებში ძალაუფლების გადანაწილება ახასიათებთ. აშშ-ში პლურალისტური დემოკრატიის ამერიკული

პოლიარქია:
 პოლიარქია (სიტყვა-სიტყვით — "ბევრის მმართველობა"), როგორც წესი, თანამედროვე წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტებისა და პოლიტიკურ პროცესებთანაა დაკავშირებული. როგორც რეჟიმის ერთ-ერთი სახეობა, პოლიარქია უიუოდ განსხვავდება ყველა არადემოკრატიული და არასაკმარისად დემოკრატიული სისტემებისაგან, რომლებიც სახელმწიფოს მმართველობაში პირდაპირი მონაწილეობის კლასიკურ, ანუ ე.წ. ათენურ მოდელს ეფუძნებიან. პოლიარქიას შეიძლება "ნედლ" ან "უმიწფარ" დემოკრატიის ანალოგიც ვუწოდოთ, რამდენადაც ხელისუფალნი მეტ-ნაკლებად მაინც იმ ინსტიტუტების მეშვეობით მართავენ ქვეყანას, რომლებიც ხელისუფლებას ამომრჩეველთა ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას აიძულებენ. მისი ძირითადი თვისებებია:
 < ხელისუფლებას არჩეული თანამდებობის პირნი წარმოადგენენ.
 < არჩევნები თავისუფალია და სამართლიანი.
 < პრაქტიკულად ყველა სრულყოფიანს შეუძლია ხმის მიცემა.
 < საკუთარი კანდიდატურის წამოყენება არანაირად არ იზღუდება.
 < თავისუფალი აზრის გამოხატვა პრობლემას არ წარმოადგენს, ყველას აქვს კრიტიკისა და პროტესტის გამოხატვის უფლება.
 < მოქალაქეებს ხელი მიუწვდებათ ინფორმაციის ალტერნატიულ წყაროებზე.
 < სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები თუ ასოციაციები, ძირითადად, დამოუკიდებელი არიან ხელისუფლებისაგან.

დასავლეთი

ტერმინი დასავლეთის ორი ურთიერთგადამფარავი მნიშვნელობა გააჩნია. ზოგადად ტერმინი ევროპის კულტურულ და ფილოსოფიურ შემკვიდრებას უკავშირდება, რომელიც მიგრაციისა და კოლონიალიზმის შედეგად, დედამიწის სხვა ნაწილებშიც გავრცელდა. მისი ფესვები იუდეო-ქრისტიანული რელიგიიდან და რომისა და საბერძნეთის "კლასიკურ" მოძღვრებებიდან იღებს სათავეს, რამაც თანამედროვე ეპოქაში ლიბერალიზმის იდეებისა და ფასეულობების სახე მიიღო. ტერმინი აღმოსავლეთი ზოგადად აზიას და საერთოდ, აღმოსავლეთის ქვეყნებს გულისხმობს. უფრო ვიწრო, "ცფი ომის" დროს გაბატონებული გაგებით, "დასავლეთი" ნიშნავდა მთელს კაპიტალიზმურ ბლოკს, ა.შ.შ.ს მეთაურობით და იგი საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ მყოფ "აღმოსავლეთს" უპირისპირდებოდა. დღეს აღმოსავლეთ ევროპა, ამ გაგებით, უკვე აღარ მიეკუთვნება აღმოსავლეთს, თუმცა გაუგებარი რჩება, ეკუთვნის თუ არა რუსეთი დასავლურ სამყაროს.

ვესტმინისტერის

მოდელი:

მართვის სისტემა, სადაც აღმასრულებელი ხელისუფალი საკანონმდებლო ორგანოს შივრთა დამტკიცებული და (თუორიულად მაინც) ნგარიშვალდებულია მის წინაშე.

მოდელი უპირატესად ხელისუფლების ინსტიტუციონალურ გადანაწილებას ემყარება, რაც თავად კონსტიტუციითაა განპირობებული. სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით, კონტინენტურ ევროპაში, საბოლოო პოლიტიკური კონსენსუსისთვის მყარ საფუძველს პარტიებს შორის არსებული ურთიერთობები — მოლაპარაკებები, "ვაჭრობა" და ძალაუფლების ურთიერთგანაწილების ხანგრძლივი ტრადიცია ქმნის. ბელგიაში, ავსტრია-ასა და შვეიცარიაში ურთიერთთანხმობის დემოკრატია (consociational democracy) განვითარდა, რომელიც უფრო იმგვარი საზოგადოებები-სათვისაა შესაფერისი, სადაც აშკარაა დაყოფა რელიგიური, იდეოლოგიური, კულტურული, რეგიონალური თუ სხვა რამ განსხვავებების მიხედვით. კონსენსუსური, იგივე პლურალისტური ტენდენციებისათვის შემდეგი ნიშან-თვისებებია დამახასიათებელი:

‡ კოალიციური მთავრობა.

‡ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების გამიჯვნა.

‡ ძლიერი ორპალატიანი სისტემა.

‡ მრავალპარტიულობა.

‡ პროპორციული წარმომდგენლობა.

‡ ფედერალიზმი ან უფლებამოსილებათა დელეგირება. "კოდიფიცირებული" ("დაწერილი") კონსტიტუცია და უფლებათა დეკლარაცია.

ნებისმიერი პოლიტიკური სისტემაცა და პოლიარქიული რეჟიმიც უნიკალურია და თავისთავადი. ამერიკის შეერთებული შტატების თავისთავადობას (exceptionalism) ბევრ რამეში იმანაც შეუწყო ხელი, რომ ქვეყანას არ გაუგვლია ფეოდალიზმი, არც დაპყრობითი ომები უწარმოებია და არც გარე თავდასხმების საფრთხე განუცდია. ყოველივე ეს გასაგებს ხდის, თუ რატომაა აშშ-ში პოლიტიკური კულტურა ესოდენ ინდოვიდუალისტური, როგორ გამოიმუშავა ქვეყანამ ასეთი იმუნიტეტის სოციალისტური, ან ამ ტიპის ნებისმიერი სხვა მოძღვრების მიმართ. აშშ-ს მოსახლეობაში ყველაზე მაღალია რელიგიურობის დონე და დასავლურ სისტემებს შორის იგი ერთადერთია, სადაც ქრისტიანული ფუნდამენტალიზმიც კი მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად გარდაიქმნა.

ინდოეთი უფრო რთული ფენომენია და თავისი კულტურული, რელიგიური და ფილოსოფიური თვალსაზრისით, დასავლეთს არანაირად არ მიეკუთვნება. ევროპისა და ჩრდილო ამერიკის "განვითარებულ" პოლიარქიებისაგან განსხვავებით, ინდოეთის მოსახლეობა ძირითადად სოფლად ცხოვრობს და წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 50% არ აღემატება. და მაინც, 1947 წლიდან, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, ინდოეთი წარმატებით ვითარდება როგორც ტიპური პოლიარქიული სახელმწიფო, რომელმაც საკმაოდ იოლად გადაიტანა ინდირა განდის მიერ 1970 წლების ბოლოს მთელს ქვეყანაში შემოღებული "საგანგებო მდგომარეობა" კი. ინდოეთის პოლიტიკური სტაბილურობა, როგორც ჩანს, მრავალკასტიანი "ეროვნული კონგრესის" პარტიის არსებობამ და ნერუგანდის საგვარეულოთა ზიბლმა განაპირობა. თუმცა, პარტიის გავლე-

ნის შემცირებამ და ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა პოლიტიკური აპარეხიდან გაქრობამ, თანამედროვე ინდოეთი, სავარაუდოდ, უფრო "ურთიერთთანხმობის დემოკრატიის" მოდელს დაუახლოვა.

ახალი დემოკრატიები

სემუელ პანტიგეტონის თანახმად, დემოკრატიზაციის მესამე ტალღამ მსოფლიოს 1974 წელს გადაუარა. ამის მაგალითები იყო მექარჯვენე ყადის დიქტატორთა დამხობა საბერძნეთში, პორტუგალიასა და ესპანეთში, ვენერალთა დიქტატურის დასრულება ლათინურ ამერიკაში და ბოლოს, რაც მთავარია, კომუნისტების სრული კრახიც.

2003 წლისათვის, ქვეყნების იმ 63%-მა, რომელიც მსოფლიო მსახლეობის 70% მოიცავს, დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული მართვის სტილის ძირითადი ნიშან-თვისებები შეიძინა. უმთავრესად, ამ პროცესს მრავალპარტიული არჩევნების შემოღება და საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული რეფორმების წამოწყება განაპირობებდა. და მაინც, ბევრი მათგანი ჯერაც "გარდამავალ ქვეყნებად" — უფრო სწორად, **ახალ დემოკრატიებად**, ანუ **ნახევრად-დემოკრატიულებად** ითვლება; დემოკრატიული გარდაქმნის პროცესი რთულიც იყო და არა-ერთგვაროვანიც, სწორედ აქ გამოჩნდა, რომ მცდარია დემოკრატიის, როგორც თავნებობად, პიროვნული პასუხისმგებლობის უქონლობად აღქმა. ახალი დემოკრატიები მხოლოდ დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ნაკლებობას კი არ განაყენებდნენ, არამედ გლობალიზაციით განპირობებულ საგარეო პრობლემებსაც უნდა მორგებოდნენ და ძალზე სწრაფ სამინაო ცვლილებებსაც. ახალი დემოკრატიების მთავარ სისუსტედ პოლიტიკაში შეიარაღებული ძალების ჩარევა შეიძლება მივიჩნიოთ: ამის მაგალითებია სამხედრო გადატრიალებები პაკისტანში (1979წ.) და ტაილანდში (2006წ.). დემოკრატიზაციის გზაზე არაერთ სირთულეს წააწყდნენ პოსტკომუნისტური სახელმწიფოებიც.

მთავარ პრობლემად მათთვის კომუნისტური რეჟიმის მძიმე პოლიტიკურ-კულტურული მემკვიდრეობის დაძლევა იქცა — განსაკუთრებით, სტალინისტური ტოტალიტარიზმის სიმახინჯეების: უმკაცრესი ცენზურა და სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნა, რაც კომუნისტური პარტიის ერთპიროვნულ მმართველობას ახლდა თან, უკიდურესად ართულებდა ინამონაწილეობის, მოლაპარაკებების, თანხმობის პრინციპებზე ორიენტირებული სამოქალაქო კულტურის შექმნას. სწორედ ამის შედეგია სუსტი და დაქუცმაცებული პარტიული სპექტრის გაჩენა რუსეთში, რომელიც აშკარად ვერ პასუხობს იქაური საზოგადოების უმთავრეს ინტერესებს. პარადოქსია, მაგრამ ამგვარ სისტემებში ხშირად სტაბილურობის იდეის მტარებლები სწორედ კომუნისტური, თუ ყოფილი კომუნისტური პარტიები არიან. ვთქვათ, რუმინეთსა და ბულგარეთში, კომუნისტური საზოგადოების სწრაფი ინსტიტუტი მშვიდობიანად "გადაბარგდა" პოსტკომუნისტურ ეპოქაში: ხოლო უნგრეთში, პოლონეთსა და რუსეთში უკვე სოციალ-

ახალი დემოკრატიები: რეჟიმები, სადაც დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესი არ დამთავრებულია; ის ჯერ არ ქცეულა „ერთადერთ გართობად ქალაქში“ (Przeworsky 1991)

ნახევარ-დემოკრატია: რეჟიმი, სადაც დემოკრატიული და ავტორიტარული ელემენტები გვერდიგვერდ კვლინდება — გარკვეული მდგრადი კომპინაციის სახით.

ურთიერთთანხმობის დემოკრატია: (consociational democracy) დემოკრატიის ის ფორმა, რომელიც ძალის გადანაწილებისა და პარტიებსა თუ პოლიტიკურ ფორმირებებს შორის მჭიდრო ურთიერთობის პრინციპების თანახმად მოქმედებს.

თავისთავადობა: (exceptionalism) პოლიტიკური სისტემის ის თვისებები, რომელიც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი და უფრო ფართო კატეგორიების გამოყენებას ზღუდავს.

კომუნიზმი:

უმარტივესი მნიშვნელობით, სოციალური ყოფის საზოგადოებრივი ორგანიზება, რაც კოლექტიური საკუთრების ფლობას ეფუძნება. როგორც თეორიული იდეალი, უფრო ზშირად მარქსის ნააზრევთან ასოცირდება, ვისთვისაც კომუნიზმი უკლასო საზოგადოებას ნიშნავდა, სადაც დოვლათი საერთო იყო, წარმოებას მოთხოვნა განაპირობებდა, სახელმწიფოს არსებობა კი — საყოველთაო კეთილდღეობისა და პარმონიის პირობებში, აზრს კარგავდა. ეს ტერმინი აგრეთვე გამოიყენება იმ საზოგადოებებთან მიმართებაში, რომლებიც ლენინიზმისა და სტალინიზმის მიერ მარქსიზმის "კრიტიკულად გადააზრების" შედეგად ჩამოყალიბდნენ. „ორთოდოქსულ“ კომუნიზმის, როგორც რეჟიმის ძირითადი მახასიათებლებია:

- < მარქსიზმ-ლენინიზმი სახელმწიფო იდეოლოგიაა.
- < "დემოკრატიული ცენტრალიზმის" პრინციპებზე აწყობილი კომუნისტური პარტია ძალაუფლების ერთპიროვნული მპყრობელია.
- < კომუნისტური პარტია "მართავს" იმ გაგებით, რომ მის ხელთაა მთელი სახელისუფლებო მანქანა და შეერული სახელმწიფო-პარტიული აპარატი.
- < კომუნისტური პარტია "წამყვან და მწინავე" როლს ასრულებს საზოგადოებაში; ის აკონტროლებს ნებისმიერ ინსტიტუტს — ეკონომიკური, საგანმანათლებლო, კულტურული თუ ჯანდაცვის სფეროს ჩათვლით.
- < ეკონომიკური ცხოვრება სახელმწიფო კოლექტივიზაციას ეფუძნება და ცენტრალური დაგეგმარების სისტემის მეშვეობით ფუნქციონირებს.

დემოკრატიული პრინციპებით შეიარაღებული კომუნისტური პარტიები ისევე გავლენიან ძალად რჩებიან არჩევნებზე.

პრობლემათა მეორე წყება ეკონომიკური გარდაქმნების პროცესებს უკავშირდება: საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებულმა "შოკურმა თერაპიამ", ანუ ცენტრალიზებული დაგეგმვიდან თავისუფალ საბაზრო კაპიტალიზმზე უსწრაფესად გადასვლამ, უმუშევრობა და ინფლაცია გამოიწვია, არსებითად გააუარესა საზოგადოების მრავალი ფენის მატერიალური მდგომარეობა და სოციალური უთანასწორობაც გააღრმავა. XX საუკ. 90-იანი წწ. დასაწყისის ეიფორია, საბაზრო რეფორმების მიმართ გაჩენილი პროტესტის შედეგად, თანდათანობით ჩაცხრა და კომუნისტური თუ ნაციონალისტური ვადის პარტიებისადმი მხარდაჭერამაც მკვეთრად იმატა. და ბოლოს, არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების სისუსტით განპირობებული პრობლემებიც, და ეს სისუსტე განსაკუთრებით მაშინ ელინდება, როდესაც სახელმწიფოს კომუნისტური მმართველობის ხანაში დაუნდობლად ჩაწმობილი, ცენტრი-დანული ძალები უპირისპირდებიან. დღესდღეობით ეს ეთნიკურ და ეროვნულ დაპირისპირებებში გამოვლინდა. სსრკ-ში კომუნიზმის კრახმა ყიფილი საბჭოთა იმპერიის დაშლა გამოიწვია, რის შედეგადაც თხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდა, რომელთაგან რამოდენიმეში, რუსეთის ჩათვლით, მწკვეე ფორმით გრძელდება ეთნიკური კონფლიქტები.

... არსებობა შეწყვეტა ჩეხოსლოვაკიამ, რომელიც ჩეხეთისა და ... რუსუბლიკებად გაიყო. ბევრად უფრო დრამატული ფორმა ... ნაციონალურ-ეთნიკურმა კონფლიქტმა იუგოსლავიაში, სადაც 1991 ... ნამდვილ ომში გადაიზარდა — სერბიასა და ხორვატიას შორის, ... ბოსნიაში ოთხი წლის განმავლობაში სამოქალაქო ომი ... (1992-96წწ.).

ამკარაა მეტად მნიშვნელოვანი განსხვავებანი პოსტკომუნისტურ ... შორის: ყველაზე თვალსაჩინოა სხვაობა ერთის მხრივ, ცენ- ... ინდუსტრიულად დაწინაურებულ, "გადასავლურებულ" ... — ჩეხეთს, უნგრეთსა და პოლონეთს — და უფრო ... "ადმოსავლურ" ქვეყნებს — რუმინეთს, ბულგარეთსა და ... რუსეთს შორის. პირველ ჯგუფში საბაზრო რეფორმებმა ... და შედარებით მშვიდად ჩაიარა; მეორე ჯგუფში კი რეფორმები ... და არასრული იყო, ან სერიოზული პოლიტიკური ... საფუძველი გახდა. ეს 2004წ. ევროკავშირში ისეთი ... გაწევრიანებით აისახა, როგორცაა: ჩეხეთი, უნგრეთი, პოლო- ... სლოვაკია, სლოვენია და ბალტიის ქვეყნები (ესტონეთი, ლატვია, ... ბულგარეთი და რუმინეთი კი ევროკავშირს 2007 წელს ... ბალკანეთის სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებს რაც შეეხება — ... ალბანეთს, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და სერბიას — ისინი ... განან. განსხვავებაა იმ ქვეყნებს შორისაც, სადაც კომუნიზ- ... მსოფლიო ომის შემდეგ, წითელმა არმიამ ძალით "დანერგა" და ... "შოკაჟირე რესპულიკათა" შორისაც. თუ ბალტიისპირეთის სახ- ... არ ჩეთვლით, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები დიდხანს ... კომუნისტური მმართველობის ქვეშ და უფრო ადრე, ცარილტული ... იმპერიის შემადგენლობაშიც შედიოდნენ. და ბოლოს, არც იმის ... შეიძლება, რომ რუსეთი თავისებურად უნიკალური ქვეყანაა, ... შესაძლოა, იმპერიული წარსული და რუსული ნაციონალ- ... ეტორიტარული და ექსპანსიონისტური ბუნებაც იყოს. ისიც ... აღსანიშნავია, რომ პეტრე დიდის დროიდან მოყოლებული, აქ ... ორიენტაცია და სლავური "მეობა" უპირისპირდებოდა ... სავარაუდოდ, სწორედ ამიტომაც უჭირს ქვეყანას, საკუთარი ... პოლიტიკური ბედიბალი განსაზღვროს.

კონფუციანიზმი:

კონფუცისა (551-479 წ. წ. აღ-მდე) და მისი მოწაფეების მიერ შექმნილი ეთიკური სისტემა, რომელმაც "კრებულის" (The Analects) სახით მოაღწია ჩვენამდე. კონფუცის ნაზრები, ძირითადად, ორ ჯგუფდნ თემს — ადამიანურ ურთიერთობებსა და პიროვნული "შქ-ს სრულყოფას მოიცავს. ე.წ. "რუნ" (კაცთმოყვარობა ან სიყვარული) გაგებულია როგორც იმგვარი ტრადიციული იდეებისა და ფასეულობებისადმი ერთგულება, როგორცაა უფროსისადმი მოწიწება, პატივისცემა, ერთგულება და რიდი; ხოლო "ჯუნცა" (ხათი ადამიანი) ცოდნის შეძენის გზით პიროვნული განვითარებისა და სრულყოფის შესაძლებლობას გულისხმობს. კონფუციანიზმს, ტაოიზმსა და ბუდიზმს ჩინური აზროვნების სამ უმთავრეს სისტემად მიიჩნევენ, თუმცა ბევრი კონფუცის მომდევნებელი ზოგადად ჩინურ ცივილიზაციასთან აიგივებს.

აღმოსავლურ-აზიური რეჟიმები

ვერ გამოვრიცხავთ, რომ საბოლოოდ, XX საუკუნის დასასრულს აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების აღმავლობა უფრო მნიშვნელოვანი მსოფლიო-ისტორიული პროცესი აღმოჩნდეს, ვიდრე კომუნიზმის კრახი. ამ პერიოდში, მსოფლიო ეკონომიკის სასწორი საგრძობლად გადაიხარა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. XX საუკ. უკანასკნელ ორ ათწლეულში წყნარი ოკეანის აუზის დასავლეთ სანაპიროზე ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები საშუალოდ ორჯერ-ოთხჯერ აღემატებოდა ევროპისა და ჩრდილო ამერიკის განვითარებული ეკონომიკის მაჩვენებლებს. მიუხედავად ამისა, რაღაც განსაკუთრებული, აღმოსავლეთ-აზიური პოლიტიკური სისტემის არსებობაზე ჯერაც არავინ ლაპარაკობს — როგორც წესი, მოდერნიზაციას ვესტერნიზაციით ხსნიდნენ ხოლმე. პოლიტიკურ ენაზე ეს ნიშნავდა, რომ სამრეწველო კაპიტალიზმი და ლიბერალური დემოკრატია თითქოსდა მუდამ ფეხაწყოებით მიაბიჯებენ. ამ თვალსაზრისის მომხრეები იმოწმებდნენ პოლიტიკურ პროგრესს იაპონიაში — მას შემდეგ, რაც ა.შ.შ. გავიდა იქიდან და ქვეყანას 1946 წლის კონსტიტუცია უანდერძა; ასევე მიუთითებენ მრავალპარტიული საარჩევნო სისტემების წარმატებულობაზე ტაილანდში, სამხრეთ კორეასა და ტაივანში (1980-1990წწ.) ოდონდაც, ამგვარი მიდგომით მაინც ვერ ავხსნივთ, რატომ ფუნქციონირებს აზიური პოლიარქიული ინსტიტუციები სხვაანაირად, ვიდრე ეს დასავლურ სამყაროში ხდება: როგორც ჩანს, ვერ ვითვალისწინებთ, რა განასხვავებს კონფუციანურ იდეებსა და ფასეულობებს დაფუძნებულ კულტურებს დასავლური ინდივიდუალიზმის გაგენით ჩამოყალიბებული კულტურებისაგან. ასე ჩანს, იმის აღიარება მოგვიწევს, რომ განსაკუთრებული, დასავლეთისაგან მკვეთრად განსხვავებული აზიური ფასეულობები მაინც არსებობს.

ყველა აღმოსავლეთ-აზიურ რეჟიმს აქვს რაღაც საერთო: ჯერ ერთი, ისინი უფრო ეკონომიკურ მიზნებზე არიან ორიენტირებულნი, ვიდრე პოლიტიკურზე; მათი მთავარი ამოცანა ის კი არაა, დასავლური გაგებით პიროვნული თავისუფლებისა და სამოქალაქო უფლებათა არეალი გააფართოვონ, არამედ დოვლათის შექმნასა და დაგროვებას შეუწყონ ხელი. ეს უაღრესად პრაქტიკული მიდგომა აღმოსავლეთ აზიის "ხუთი ვეფხვის" ეკონომიკურ აღმავლობაშიც შეინიშნება (სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონკონგი, სინგაპური და მალაიზია). მაგრამ იგივეს, ერთპიროვნული კომუნისტური მმართველობის პირობებში, ჩინეთის საბაზრო ეკონომიკის მოულოდნელ განვითარებაშიც ვხედავთ (გვიანი 1970-იანი წწ.). მეორეც, ყველა ამ ქვეყანაში ძლიერი მმართველობის მოთხოვნილება შეინიშნება — გავლენიანი "მმართველ პარტიები მაინც გარკვეული ნდობით სარგებლობენ და სახელმწიფოს მიმართაც საყოველთაო რიდი იგრძნობა. გადასახადებისა და საზოგადოებრივი ხარჯების არცთუ მაღალი დონის მიუხედავად (ჩვეულებრივ, მშპ-ს 30% არ აღემატება), დასავლური წელგამართული სახელმწიფოების პოლიტიკური მმართველობის ანალოგიას აქ მაინც ვერ ვხედავთ. აქ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო "მამა-მარჩენალის" როლს უნდა თამაშობდეს, ნებისმიერ კერძო თუ საზოგადოებრივ გადაწყვეტილებას იღებდეს და ქვეყნის განვითარების საერთო-სტრატეგიულ გეზსაც თავად განსაზღვრავდეს. და შესაძლებელია კონფუციანური ტრადიციის თანახმად,

მომართ მოწიწება აქ ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი — ხელის ხედვით, ყველაფერ ამაში ავტორიტარიზმის ფარული თუ აშკარა მანიპულაციები შეინიშნება. და ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელი — მათთვის მნიშვნელოვანი და სოციალური კავშირები უაღრესად ფასეულია — რაც იმას ნიშნავს, რომ მათთვის გადასწავლები მნიშვნელობის მინიჭებით გამოიხატება. ეს უნდა იყოს წარმოსახვა ის, რასაც იაპონელები "ერთად ფიქრს" უწოდებენ. ეს არის ბაკუოდ ზღუდავს იმგვარი ცნებების არეალს, როგორც (ყოველ შემთხვევაში, დასავლურად გაგებული) ინდივიდუალიზმი და ადამიანის უფლებები.

თუმცა, აღმოსავლეთ-აზიურ რეჟიმებშიც ვიპოვით განსხვავებებს. მათგან უნიშვნელოვანესი — ჩინეთის კაპიტალიზმისაკენ გადახრაა, რამაც მას და მის მემკვიდრებს შორის მკვეთრი სხვაობა კი წაშალა, მაგრამ მათვე პოლიტიკურ გამიჯვნას მაინც ვერაფერი მოუხერხა. ჩინეთი, პოლიტიკური თვალსაზრისით მაინც, ხოლო ჩრდილოეთ კორეა — როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური გაგებითაც — უდაოდ კომუნისტური რეჟიმებია, სადაც სახელმწიფო მანქანას ჯერაც ერთმმართველი კომუნისტური პარტია უნდა იყოს. ჩინური "საბაზრო სტალინიზმში" მკვეთრად განსხვავდება იაპონიის მართა და წარმატებული, არჩევითი დემოკრატიისაგან. უფრო მეტიც, სხვა აღმოსავლეთ-აზიური სახელმწიფოების ინდუსტრიალიზაციისა და მზარდი უნივერსიტეტის ფონზე, ჩინეთი, თავისი სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, დღემდე აგრარულ ქვეყნად რჩება და სწორედ ამით შეიძლება აიხსნას მისი ეკონომიკური განვითარების განსხვავებული ხასიათი. იაპონიისა და ჩინეთის "ქვეყნების" ეკონომიკაში, როგორებიცაა ტაივანი და სინგაპური, განვითარება მთელი უკანასკნელი დროის განმავლობაში ტექნიკურ ინოვაციებს, განათლებასა და მუშათა პროფესიულ მომზადებას ეფუძნებოდა, მაშინ როდესაც ჩინეთი თავისი იაფი მუშახელის იმედად იყო. და ერთი კიდევ: აღმოსავლეთ-აზიური კულტურული განსხვავება სრულად ჩინურენოვან სახელმწიფოებსა (ტაივანი და საკუთრივ ჩინეთი), და იაპონიასა თუ ეთნიკურად ჩინურ ქვეყნებს შორის (ეთიოპია, სინგაპური და მალაიზია). მაგალითად, სინგაპურის სკოლებში კონფუციის სწავლებისგან იმ მოტივით შეიკავეს თავი, რაზეც მალაელი და ინდოელი მოქალაქეების უკმაყოფილება არ გამოიწვევით. მსგავსი სიტუაცია შეიქმნა მალაიზიაშიც, სადაც ყველაფერს იტყობდნენ იმისათვის, რომ ჩინური ზავაულები შეეზღუდათ და მალაური კულტურის ისლამური ელემენტები წამოეწიათ წინ.

ახლამური რეჟიმები

ახლამის, როგორც პოლიტიკური ძალის აღმავლობამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ჩრდილო აფრიკის, აზიის ნაწილისა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ არეალზე. ზოგ შემთხვევაში, გასამხედროებული ისლამური რეჟიმები არსებულ რეჟიმებს დაუპირისპირდნენ და XX საუკ. 70-იანი წლებიდან, მარქსიზმ-ლენინიზმით საყოველთაო იმედგაცრუების ფონზე, წარუღოთა ინტერესების დამცველებად ახლა საკუთარი თავი გამოაცხადეს. სხვა შემთხვევებში უკვე თავად რეჟიმები ყალიბდებოდა — ან სახეს იცვლიდა — ისლამური იდეოლოგიის კვალად. 1932 წლიდან, ანუ სახელმწიფო

თუოკრატია:

(სიტყვა-სიტყვით: "ღვთის მმართველობა"). ესაა პრინციპი, რომლის მიხედვითაც სასულიერო ხელისუფლება საეროზე მაღლა უნდა იდგეს. ამგვარად, თუოკრატია ის რეჟიმია, სადაც სახელისუფლებო თანამდებობები იმისდა მიხედვით ნაწილდება, თუ რა ადგილი უკავია პიროვნებს სასულიერო იერარქიაში; საერო სახელმწიფოში კი პოლიტიკური და სასულიერო თანამდებობები მკვეთრად გამიჯვრული. თუოკრატული მმართველობის ფორმა ორი თვალსაზრისითაა არალიბერალური — უპირველესად, იგი არ ცნობს ზღვარს კერძო და საზოგადოებრივ სფეროებს შორის, ხოლო რელიგიურ კანონებსა და დოგმებს როგორც პირად, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაშიც წარმმართველად მიიჩნევს. მეორეც, იგი პრაქტიკულად უსაზღვრო ძალაუფლებას ანიჭებს პოლიტიკურ ხელისუფლებას, რამდენადაც მიწიერ ძალაუფლებას სულიერი სიბრძნეიდან ნასაზღვროდ სახავს და მის საზოგადოებრივ თანხმობაზე დაფუძნებასა თუ მხოლოდ კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცევას გამოირიცხავს.

ავტორიტარიზმი:

ესა სახელმწიფოს "ზემოდან მართვის" რწმენა ან პრაქტიკა, სადაც უფლებამოსილება საზოგადოებისგან თანხმობის მიუხედავად ხორციელდება. ამგვარად, ავტორიტარიზმი (Authoritarianism) ხელისუფლების (Authority) კლასიკური გაგებისაგან განსხვავდება: ეს უკანასკნელი ლეგიტიმურობას ეყრდნობა და ამ მნიშვნელობით იგი "ქვემოდან" ხორციელდება. ავტორიტარული რეჟიმი ხელისუფლებისადმი საკუთარ სწრაფვას პიროვნების უფლებებზე მაღლა აყენებს. თუმცა, როგორც წესი, ავტორიტარიზმი ტოტალიტარიზმისაგან მაინც განსხვავდება: სახელმწიფოს "ზემოდან მართვა" — მონარქიული აბსოლიტიზმის, ტრადიციული დიქტატურებისა თუ სემიფერო რეჟიმების დროს — უფრო მეტად ოპიზიციისა და პოლიტიკური თავისუფლების შეზღუდვაში გამოიხატება, ვიდრე რადიკალური საბოლოო მიზნით — მთლიანად წაშლის ზღვარი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის; ამიტომ ავტორიტარული რეჟიმი გარკვეულ ეკონომიკურ, რელიგიურ თუ სხვა სახის თავისუფლებებს ხშირად უკუება ხოლმე.

შარიათი:

გადმოცემით, ღვთაებრივ გამოცხადებაზე დაფუძნებული ისლამური კანონი, რომლის ძირითადი წყაროებიც ყურანი და ჰადითია (ე.წ. "მუჰამედის შეგონებანი").

გამოცხადების დღიდან, საუდის არაბეთი პირწმინდად ისლამურ ქვეყნად რჩება; სპარსეთის 1979 წლის რევოლუციის შედეგად, აიათოლა პომენიმ (1900-1989) ირანის ისლამური რესპუბლიკა შექმნა და მოგვიანებით ამ მაგალითს სუდანმა და პაკისტანმაც მიბაძეს. ისლამის მეტად თავისებური და საკამათო ინტერპრეტაცია დაედო საფუძვლად ისეთი ქვეყნის პოლიტიკას, როგორცაა კადაფის ლიბია.

ოლონდ ეგაა, ისლამი არაა და არც არასოდეს ყოფილა მხოლოდ რელიგია. ის უფრო ცხოვრების წესია, რომელიც როგორც ადამიანების, ისე სახელმწიფოების ეთიკური, პოლიტიკური და ეკონომიკური ქცევის ნორმებს განსაზღვრავს. "ისლამის გზა" მუჰამედ მიციქულის (570-632) მოძღვრებას ეფუძნება, რომელიც ყურანშია გადმოცემული. მას, როგორც ღვთის გაცხადებულ სიტყვას, ყველა მუსლიმი მიაგებს პატივს; ისლამის მეორე საფუძველთა-საფუძველი "სუნაა" (ანუ, "გატკეპნილი ბილიკი"), მართლმორწმუნე მაჰმადიანთა მიერ დაცული ადათ-წესების კონა, რაც, გადმოცემით, თავად მუჰამედის ცხოვრების წესიდან იღებს სათავეს. პოლიტიკური ისლამი იმგვარი თეოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად, სადაც იმგვარი თეოკრატიული თუ სხვა ნებისმიერი საკითხი უზენაესი რელიგიური პრინციპებისა და შესაბამისად იქნებოდა დარეგულირებული. თუმცა, პოლიტიკურმა ისლამმაც, დროთა განმავლობაში, სახე იცვალა და ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ფორმები შეიძინა — შეურიგებელი ფუნდამენტალიზმიდან, პოლიტიკურ პლურალიზმთან საესებით შეთავსებად მოდელდებად.

ისლამის ფუნდამენტალისტური განხრა, ჩვეულებრივ, ირანთან ასოცირდება. სიკვდილამდე, მთელი ათი წელი, აიათოლა პომენი სათავეში ედგა კლერიკალური მმართველობის ინსტიტუციონალურ სისტემას — თხუთმეტი უმაღლესი სასულიერო პირისაგან შემდგარ "ისლამური რევოლუციის საბჭოს". მართალია, ქვეყანაში არსებობს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი — "ისლამური სათათბირო ასამბლეის" სახით, ყველა კანონს მაინც "კონსტიტუციის დაცვის საბჭოს" ამტკიცებს — ისლამის დოგმებთან მათი შესაბამისობისა და კვალად. **შარიათის სამართალი** აქ დღემდე რჩება გაბატონებულ სამართლებრივ და მორალურ კოდექსად. რევოლუციურმა ფუნდამენტალიზმმა კიდევ უფრო რადიკალური სახე მიიღო 1997-2001 წლებში, ავღანეთში ჩამოყალიბებული თალიბთა რეჟიმის პირობებში, რომელმაც მკაცრი თეოკრატიული მმართველობა შემოიღო, და მთლიანად გამორიცხა ქალების მონაწილეობა განათლების, ეკონომიკისა და, საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

ფუნდამენტალიზმი არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს საუდის არაბეთში, სადაც მან, ფაქტიურად, აბსოლუტიზმის ელფერი შეიძინა, თუმცა ქვეყნის კონსერვატიული სუნიტური რეჟიმი მაინც უფრო რბილი ფორმებით გამოირჩევა, ვიდრე შიიტური ირანის რევოლუციური პოპულიზმი. თუმცა თავად მაჰმადიანებს ნებისმიერი ისლამური რაჟიმის "ფუნდამენტალისტურად" შეფასება მეტისმეტად აღინიანებით და ამაში მარადიულ დასაყვლურ ცრურწმენას ხედავენ — "უცხო" და "დამორღუწველი აღმოსავლური დესპოტიზმის" მიმართ. პოლიტიკურ პლურალიზმთან ისლამის

შედეგად მისი ნიშნები მალაიზია გამოდგება: თუმცა ისლამი აქ ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენს და ქვეყნის უმაღლესი მმართველი, ჯაიდოულად, საერო და სასულიერო ლიდერად გვევლინება, ქვეყანაში მაინც მრავალპარტიული სისტემის გარკვეული ნაირსახეობა ჩამოყალიბდა, ერთგვარი "პოლიტიკური დემოკრატის" მსგავსი, რომელსაც, იგივე მრავალპარტიული სისტემის ჩარჩოებში, "მალაიზიელთა გაერთიანებული ეროვნული ორგანიზაცია" (სეკო) წარმართავს — ყველაზე გავლენიანი, ბარისან ნასიონალად წოდებული კოალიციის მოთავეობით. 1981 წლიდან მოყოლებული, მგეო მკაცრად ისლამისტურ და პრომალაურ სტრატეგიას მისდევს და ეკონომიკური განვითარების საბუნური მოდელის გამოცდებს ცდილობს. თუმცა, უკვე 1988 წლიდან აშკარად ევროპულ ტენდენციებში იჩინა თავი — დაჭერების ტალღისა და მკაცრი ეკონომიკური შეზღუდვების შემდეგ, ქვეყანაში საერთოდ მოიშალა დამოუკიდებელი სასაბუნო სისტემა.

ისლამისა და დემოკრატის თანაარსებობის საინტერესო მაგალითია თურქეთი: 1923 წელს მუსტაფა ქამალ ათათურქის (1881-19) მიერ დაფუძნებული თურქეთის რესპუბლიკა საერო მმართველობის პრინციპებს არ დალატობს. თურქეთი, 1990-იანი წლებიდან ისლამისტური პოლიტიკური პარტიები მასთან ერთად იკრებდნენ ძალას და 1996 წლიდან სამთავრობო კოალიციას წარუდგინა ერთი მათგანი, "კეთილდღეობის პარტია" ედგა სათავეში, სანამ სამხედროებმა თავად ეს კოალიცია არ დაშალეს. 2002 წლის საყოველთაო არჩევნებში კი დამაჯერებელი გამარჯვება უკვე მისმა მექვიდრემ, "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიამ მოიპოვა, რომელიც, თავისი ადამიანობის ფესვების მიუხედავად, პოლიტიკურ პლურალიზმსა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უჭერს მხარს.

სამხედრო რეჟიმები

სამხედრო რეჟიმთა უმრავლესობა, როგორც წესი, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და იდეოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით იმართდება. თუმცა, მსოფლიოში მხოლოდ სამხედრო ძალაზე დამყარებული რეჟიმები არსებობს, ერთთავად ძალადობასა და რეპრესიებზე რომ უჭირავთ. სამხედრო რეჟიმები ზოგადად "ავტორიტარულ" რეჟიმების ერთგვარ ნაირსახეობადაც შეიძლება ჩაითვალოს. სამხედრო ტიპის ავტორიტარიზმი უმეტეს შემთხვევაში ახლად დასრულებულ აშკარად აშკარად აღმოსავლეთში, აფრიკაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, სამხედრო დიქტატურამ ესპანეთში, პორტუგალიასა და საბერძნეთში იჩინა თავი. როგორც წესი, სამხედრო რეჟიმების დროს ძალაუფლება სამხედროთა ხელში გადადის — სამხედრო სარდლობის იერარქიაში მათი მდგომარეობის შესაბამისად; ამასთანავე, ჩვეულებრივი პოლიტიკური და კონსტიტუციური საქმიანობა შეჩერებულია, ხოლო პარლამენტი და პრესა, რომელთა მეშვეობითაც საჯარო ოპონირება შესაძლებელია, ან დახუსტებულია, ანდა სულაც აკრძალულია.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო მმართველობის ნებისმიერი ფორმა რეპრესიულია, მათ შორის მაინც შესაძლებელია რამდენიმე ქვესახეობის გამოყ-

ოფა. ზოგიერთი სამხედრო რეჟიმის პირობებში არმია უშუალო კონტროლს ახორციელებს მთავრობაზე და ასეთი სახესხვაობის კლასიკურ ფორმას ლათინური ამერიკისათვის დამახასიათებელი სამხედრო **ხუნტა** წარმოადგენს: ესაა კოლექტიური სამხედრო მმართველობის ფორმა, როცა ყველა გადაწყვეტილებას სამხედრო მეთაურთა საბჭო ღებულობს. ჩვეულებრივ, იგი ჯარის სამი სახეობითაა წარმოდგენილი (სახმელეთო, საზღვაო და სამხედრო-საჰაერო). ხუნტაში ხშირად ხდება ზოლმე დაპირისპირება ზემოაღნიშნული ჯარების სარდლობათა შორის, რასაც ძალაუფლების ხელიდან ხელში გადასვლა მოსდევს.

სამხედრო რეჟიმის მეორე ფორმა სამხედროთა მხარდაჭერით უზრუნველყოფილი პიროვნული დიქტატურაა (იხ. გვ. 405). მსგავს შემთხვევაში წინა პლანზე ერთი რომელიმე პიროვნება გამოდის და მისი ქარიზმატული გავლენის საფუძველზე ე.წ. პიროვნების კულტი (იხ. გვ. 375) ყალიბდება. ამის მაგალითებად გამოდგებიან პოლკოვნიკი პაპადოპულოსი საბერძნეთში (1974-1980წწ.), 1973 წლის გადატრიალების შემდეგ ჩილეს სათავეში მოსული გენერალი პინოჩეტი და გენერალი აბაჩა — ნიგერიაში (1993-1998 წწ.). და ბოლოს, ისეთი სამხედრო რეჟიმებიც არსებობს, როცა ხელისუფლების სიმყარეს შეიარაღებული ძალების ლოიალობა განაპირობებს, თუმცა თავად სამხედრო მეთაურები ჩრდილში რჩებიან და ასე აკონტროლებენ ვითარებას. სწორედ ამგვარი რამ მოხდა ბრაზილიაში 1945 წელს, როცა არმიამ, ხელისუფლებისათვის ლეგიტიმური სახის შესანარჩუნებლად, ამჯობინა პოლიტიკური და სამხედრო ორგანოები, ფორმალურად მაინც, ურთიერთგამიჯნული დაეტოვებინა. ოღონდ ამგვარმა გამიჯვნამ, შესაძლოა, შემდგომში უკვე რეალური კონსტიტუციური და წარმომადგენლობითი პოლიტიკური ინსტიტუტების მოთხოვნილებაც გააჩინოს, სამხედრო რეჟიმის უშუალო გავლენა შეასუსტოს და პოლიარქიული ტენდენციებიც წახალისოს. სამხედრო რეჟიმების ხასიათს, უფრო დაწვრილებით, მე-18 თავში განვიხილავთ.

ხუნტა (Junta):

სიტყვა-სიტყვით — საბჭო. როგორც წესი, სამხედროთა ჯგუფი, რომელიც ძალაუფლებას რეველუციის ან შეიარაღებული გადატრიალების გზით იღებს ხელში.

შეჯამება

« მარქვილობა დადგენილი წესრიგის უზრუნველყოფის მექანიზმია, და მისი მთავარი თვისება — კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებისა და აღსრულების უნარია. თუმცა, პოლიტიკური სისტემა ან რეჟიმი არა მხოლოდ მარქვილობის მექანიზმებს და სახელმწიფოს ინსტიტუტებს გულისხმობს, არამედ იმ სტრუქტურებსა და პროცესებსაც, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო ურთიერთქმედებს საზოგადოებასთან.

« პოლიტიკურ სისტემათა კლასიფიკაცია ორ მიზანს ემსახურება: ფაქტების კონკრეტულ მსგავსებებისა და განსხვავებების გამოკვეთით სისტემების არსის გაგებას და ასევე, პოლიტიკურ სისტემათა ქმედითობის შეფასებაშიც ეხმარება.

« ზეპირი კლასიფიკაციის სხვადასხვა კრიტერიუმები არსებობს: არის-ფორმალურიდან მომდინარე "კლასიკურ" ტიპოლოგიები უმთავრეს ყურადღებას სახელმწიფოთა წყობასა და მართვის ფორმებს უთმობდა; რაც შეეხება "სამი სამყაროს" კონცეფციას, აქ აქცენტი კაპიტალისტურ ("პირველ"), კომუნისტურ ("მეორე") და განვითარებად ("მესამე") სამყაროთა შორის არსებულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ განსხვავებებზე კეთდება.

« კონტინენტის კრახმა და დემოკრატიის პროგრესმა თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური კონტურების გამოკვეთა საკმაოდ გაართულა. ტრადიციული სისტემები და კლასიფიკაციები მოძველდა — დღეს პოლიტიკურ სისტემათა კლასიფიკაცია იმის მიხედვით ხდება, თუ რეალურად როგორ ურთიერთმოქმედებენ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები — მით უმეტეს რომ, სახელმწიფო კლასიფიკაციები მუდამ დროებითი ხასიათისაა.

« "სტრუქტურის დასასრულის" თეორეტიკოსები აცხადებენ, რომ ისტორია დასრულდა, ან ძალე დასრულდება დასავლური ლიბერალური დემოკრატიის მარქვილობის სრულ გამარჯვებასთან ერთად. მართლაც, თანამედროვე სამყაროს პოლიტიკურ სისტემათა უმრავლესობა დემოკრატიის ამა თუ იმ სახესხვაობას ემსახურება. ოღონდ ისიც ნათელია, რომ მმართველობის "კლასიკურ" მარქვილობის სრულ უფრო და უფრო მეტ მრავალფეროვნებასა და სირთულეს იძენენ. ეს იმგვარაა მნიშვნელოვანი განსხვავებები დასავლურ პოლიარქიებს, ახალ დემოკრატიებს, აღმოსავლეთ-აზიურ, ისლამურ და სამხედრო რეჟიმებს შორის.

კითხვები განსასჯელად

« შენამატუნა თუ არა მნიშვნელობა სახელმწიფოთა კლასიფიკაციის არისტოტელური სისტემამ თანამედროვე სამყაროში?

« ენ "შესამე სამყაროს" ცნება კიდევ არსებობს? ორამდენად დასძლიეს პოლიტიკურ სისტემათა რეჟიმებმა საკუთარი კომუნისტური წარსული?

« რაოდენად აღმოსავლურ — დემოკრატიული სტრუქტურები ესოდენ

მიმზიდველი და წარმატებული?

< რამდენად დემოკრატიულია დასავლური პოლიარქიები?

< რამდენად ძალუძთ კონფუციანიზმსა და ისლამს, დასავლური ლიბერალიზმის სერიოზულ ალტერნატივად წარმოჩინდნენ?

დამატებითი საკითხავი

Brooker, P., *Non-Democratic Regimes; Theory, Government and Politics* (Basingstoke: Macmillan, and New York: St Martin's Press, 2000). A Useful and wide-ranging survey of the different forms of non-democratic regime.

Hadenius, A. (ed.), *Democracy's Victory and Crisis* (New York and Cambridge: Cambridge University Press, 1977). An excellent reader that examines the global resurgence of democracy and reflects on its implications.

Hague, R. and M. Harrop, *Comparative Government and Politics: An Introduction*, 6th edn. (Basingstoke: Palgrave Macmillan 2004). A succinct and stimulating introduction to comparative politics that adopts a genuinely international approach.

Lijphart, A., *Patterns of Democracy: Government Forms and Performance in Thirty-Six Countries* (New Haven, CT: Yale University Press, 1999). An updated version of a classic and highly influential attempt to distinguish between forms of democratic rule.

პოლიტიკური იდეოლოგიები

3 თავი

შინაარსი

„დედოსოფოსები სამყაროს სხვადასხვაგვარ ახსნას გვთავაზობენ, მიზანი კი — მისი შეცვლაა“

კარლ მარქსი. თეზისები ფოიერბახის თაობაზე (1845)

ბევრი ხედავს სამყაროს იმგვარად, როგორც ის სინამდვილეშია — მას უნდა გამოეყოფა იმგვარი წარმოდგენებისა და თეორიების პრიზმაში ალექსანდრე ბუაკოვიჩი. დაკვირვება და აღქმა ერთმანეთისგან განუყოფელია: როდესაც ვხედავთ სამყაროს, იმავედროულად ამა თუ იმ მნიშვნელობასაც ვანიჭებთ, რაც გადამწყვეტი ფაქტორია პოლიტიკის შესწავლისას — უნდა გავხსნათ და პოლიტიკურ პროცესის თაობაზე აკვიატებული აქსიომები და წინააღმდეგობა ჩამოყალიბებული იდეები გადავიხსნათ. ნებისმიერი საზრისის იდეები მუდამ არსებულ თუ წარსულ პოლიტიკურ ტრადიციებშია ჩაბნელებული, რომელთაც, ჩვეულებრივ, "პოლიტიკური იდეოლოგიებს" ვხედავთ. ყოველგვარი "იზმ" — იქნება ეს ლიბერალიზმი, სოციალიზმი, კონსერვატიზმი, ფემინიზმი, ფაშიზმი და ა.შ., საკუთარ ინტელექტუალურ მართლებას თუ პარადიგმას ქმნის და პოლიტიკური რეალობის, სამყაროს აღქმის თავისებურ ხედვას გვთავაზობს. ოღონდ ვგაა, სერიოზული დავის საგანს როგორც იდეოლოგიების არსი, ასევე ის სასიკეთო თუ უარყოფითი როლი, რასაც ისინი პოლიტიკურ ცხოვრებაში ასრულებენ.

ამ თავში შეძვეტი ძირითად საკითხებია განხილული:

სადავო საკითხები:

- < პოლიტიკური იდეოლოგიის რაობა.
- < ძირითადი იდეოლოგიების მთავარი თემები, თეორიები და პრინციპები.
- < არსებული იდეოლოგიების დამახასიათებელი ურთიერთსაპირისპირო ტრადიციები და შინაგანი წინააღმდეგობები.
- < იდეოლოგიათა ცვლილებები დროთა განმავლობაში.
- < იდეოლოგიების აღზევებისა და დაკნინების მიზეზები.
- < იდეოლოგიათა ბატონობის დასასრული: ფაქტი თუ ვარაუდი.

რა არის პოლიტიკური იდეოლოგია?

ლიბერალიზმი
ლიბერალიზმის დამახასიათებელი ნიშნები. კლასიკური ლიბერალიზმი. თანამედროვე ლიბერალიზმი.

კონსერვატიზმი
კონსერვატიზმის დამახასიათებელი ნიშნები. პატერნალისტური კონსერვატიზმი. ახალი მემარჯვენეობა.

სოციალიზმი
სოციალიზმის დამახასიათებელი ნიშნები. მარქსიზმი. სოციალ-დემოკრატია. მესამე გზა.

სხვა იდეოლოგიური მოძღვრებები
ფაშიზმი. ანარქიზმი. ფემინიზმი. ინვაირონმენტისმი. რელიგიური ფუნდამენტალიზმი.

იდეოლოგიის დასასრული?

შეჯამება/კითხვები
განსახილველად/დამატებითი საკითხავი

რა არის პოლიტიკური იდეოლოგია?

"იდეოლოგია" პოლიტიკური ანალიზის ერთი ყველაზე საკამათო საკითხთაგანია. დღესდღეობით ეს ტერმინი ნეიტრალური მნიშვნელობით იხმარება — ამა თუ იმ სოციალური ფილოსოფიისა და მსოფლმხედველობის აღსანიშნად, მაგრამ იგი უარყოფითი და კინობითი მნიშვნელობითაც ხშირად გამოუყენებიათ — როგორც პოლიტიკური იარაღი მოწინააღმდეგეთა გასანადგურებლად.

ეს ტერმინი 1796 წლიდან ფრანგმა ფილოსოფოსმა, დე ტრესიმ დაამკვიდრა (Destutt de Tracy, 1754-1836), რომელმაც იდეოლოგიას "მეცნიერება იდეების შესახებ" უწოდა (სიტყვა-სიტყვით: *იდეოლოგია*) და მას იდეებისა და ცნებების წარმომავლობის შესასწავლად იყენებდა. დე ტრესი იმედოვნებდა, რომ საბოლოო ჯამში, მის მიერ შექმნილი ახალი მეცნიერებაც ისეთივე სტატუსს შეიძენდა, როგორც, ვთქვათ, ზოოლოგიასა და ბიოლოგიას ჰქონდათ. და მაინც, ეს ტერმინი იმ მნიშვნელობით შემოგვრჩა, რაც მას XIX ს-ში კარლ მარქსმა მიანიჭა: მარქსი იდეოლოგიას "მმართველი კლასის" იმგვარ იდეებთან აიგივებდა, რომელთა ერთობლიობაც, საბოლოოდ, საზოგადოების უცილობელ კლასობრივ დაყოფასა და ექსპლოატაციის გარდუვალობას ქადაგებდა. თავიანთ ადრეულ ნაშრომში, "გერმანული იდეოლოგია" (1846) მარქსი და ენგელსი წერდნენ:

... ნებისმიერ ეპოქაში, მმართველი იდეები მმართველი კლასის იდეებია — ანუ ის ფენა, რომელიც საზოგადოების ყოფას განაგებს, იმაგდროულად წარმართველ ინტელექტუალურ ძალადაც გვევლინება: ვის ხელშიცაა წარმოების საშუალებები, გონებრივი შრომის ნაყოფსაც ის აკონტროლებს (Marx and Engels, 1846).

მარქსისტული გაგებით, ზოგადად იდეოლოგია სიყალბეა, და მისი ერთი უმთავრეს მიზანთაგანი — საზოგადოების ჩაგრული ფენების მოტყუებაა: იმ დაპირისპირებათა შენიღბვის მცდელობა, რაც ნებისმიერი კლასობრივი საზოგადოების საფუძველთა-საფუძველია. კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მესაკუთრე კლასი, ანუ ბურჟუაზია (და მისი იდეოლოგია) პროლეტარიატს "ყალბ ცნობერებასა" და ათასგვარ ილუზიებს ახვევს თავს — ჩაგრულ კლასს საშუალებას არ აძლევს საკუთარი ექსპლუატირებული მდგომარეობა გააცნობიეროს. ამასთანავე, მარქსს სულაც არ მიაჩნდა, რომ ყველა პოლიტიკური შეხედულება უეჭველად იდეოლოგიური ხასიათისაა: ასე მაგალითად, კაპიტალიზმის მისეულ კვლევას, თავად "წმინდად მეცნიერულს" უწოდებდა. მარქსის აზრით, ყოველთვის შეიძლება მეცნიერების — იდეოლოგიისაგან, ზოლო ჭეშმარიტების — სიყალბისაგან გამოიჯვანა. გვიანდელი მარქსისტების — ლენინისა თუ გრამშის თხზულებებში ეს საკითხი უკვე თავისებურად იქნა გაგებული: ერთიცა და მეორეც უკვე არა მარტო "ბურჟუაზიულ", არამედ "სოციალისტურ" და "პროლეტარულ" იდეოლოგიაზე ლაპარაკობდა — ანუ ისეთ ცნებებზე, რომლებსაც თავად მარქსი ალბათ, აბსურდულად მიიჩნევდა.

იდეოლოგიის ცნების განსხვავებული ხედვა ლიბერალებმა და კონსერვატორებმაც შეიმუშავეს. ტოტალიტარული დიქტატურების აღმოცენებამ და მათი მოხდის შემდეგ, იდეოლოგიის ახლებური ინტერპრეტაციები პარობები შექმნა: ლიბერალური ორიენტაციის ისეთი ავტორები, როგორებიც კარლ პოპერი (Karl Popper, 1902-1994), ჯ.ლ. თალმონი (J.L. Talmon) და ჰანა არენდტი იყვნენ, იდეოლოგიას სოციალური კონტროლის, საზოგადოებაში თანხმობისა და მორჩილების უზრუნველყოფის იარაღად აღიქვამდნენ. ამ ტერმინის "ცივი ომის" დროინდელი ლიბერალური გაგება — დემოკრატიული და კომუნისტური რეჟიმების მაგალითზე — იდეოლოგიას საბოლოო ჭეშმარიტების ფლობის პრეტენზიის მქონე, აზროვნების "ჩაკეტილ" სისტემად მიიჩნევდა, განსხვავებულ აზრსა თუ საპირისპირო მოსაზრებას უწინააღრდეგად რომ ვერ ეგუება. ამ ფონზე ლიბერალიზმი, რომლის უმთავრესი პრინციპი პიროვნების თავისუფლების აღიარებაა, და ლიბერალიზმი თავიდანვე წინააღმდეგობას კონსერვატივიზმს და დემოკრატიული სოციალიზმს, მკაცრად არ წარმოადგენენ იდეოლოგიებს. ისინი პირიქით — "ღია" სისტემები, ვინაიდან არათუ დასაშვებად მიიჩნევენ, "მოითხოვენ" კიდევ განსხვავებული აზრის არსებობას, საჯარო კამათს, რჩევასა თუ შენიშვნას.

"იდეოლოგიის" მკვეთრად კონსერვატული გაგება მაიკლ ოუკშოტის (Michael Oakeshott) სახელს უკავშირდება და რაციონალიზმისადმი ტრადიციულ კონსერვატულ სკეპტიციზმს ასახავს. მისი აზრით, სამყაროს სრულყოფილ მიუწვდომელია ადამიანის გონებისათვის და პოლიტიკაში ბუნებრივად, თავისთავად, "უკიდევანო ოკეანეში ცურვას წაგავს". ამ დროს აზრით, იდეოლოგიები "აზროვნების აბსტრაქტული სისტემებია": იდეების გროვა, რომლებიც პოლიტიკურ რეალობას ამახინჯებენ, რადგანაც თავიდანვე აუხსნელი ამოხსნა სურთ. ამიტომაც ამტკიცებდნენ კონსერვატორები — ჩვენი მრწამსი იდეოლოგია კი არა, უფრო "გონების განწყობაა" და წყნის მხრივ, პრაგმატიზმს, ტრადიციასა და ისტორიულ გამოცდილებას უფროდობით.

იდეოლოგიისადმი ზემოჩამოთვლილ მიდგომათა ნაკლი ისაა, რომ ნებისმიერი მათგანი უცილობლად ნეგატიურ შინაარსს ანიჭებს მას და ამდენად, თავად ცნების გამოყენების სფეროსაც ზღუდავს. მეტიც, ყოველი ნებისმიერი შეხედულება ამა თუ იმ პოლიტიკური დოქტრინის ნიშნითაა დადგინებული. არადა, გაუიხსენოთ რომ მარქსი დაფინებით ამტკიცებდა — წინ იდეები მეცნიერული ხასიათისაა, და არა იდეოლოგიური; არც ლიბერალებს საიმოვნებდათ მათი ფილოსოფიის იდეოლოგიად მოხსენიება და კონსერვატორებიც ჯიუტად იმეებენ პოლიტიკის პრაგმატული და არაიდეოლოგიზირებული სტილისადმი ერთგულებას. "იდეოლოგიის" მეტ-ნაკლებად მისაღები განმარტება (ყველა პოლიტიკურ ტრადიციას რომ მიესადაგებოდეს) მიუკერძოებელი უნდა იყოს: არც უნდა იფიქროს, რომ ესა თუ ის იდეოლოგია თავისთავად "კარგია" ან "ცუდია", "ჭეშმარიტია" ან "ყალბია", განმარტების უფლებელი ან დამთრგუნველი. სწორედ ესაა იდეოლოგიის, როგორც ტერმინის, თანამედროვე გაგების ღირსება — იგი ურთიერთდაკავშირებულ იდეათა ერთობლიობაა, მრწამსზე მორგებული იმეგარი სისტემა, სადაც უმთავრესად ქმედება მიიჩნევა და რაც, თავის მხრივ, უკვე პოლიტიკური აქტივობისაკენ გვიბიძგებს.

რაციონალიზმი:
მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც სამყაროს შეცნობა და ახსნა შესაძლებელია რაციონალური მიდგომის შედეგად.

პრაგმატიზმი:
პრაქტიკულ გარემოებებსა და მიზნებზე ორიენტირებული მოძღვრება ან მისი პრაქტიკული გამოვლინება; პრაგმატიზმისთვის სარგებლიანობის პრინციპია მთავარი და აბსტრაქტულ იდეებს არ ცნობს.

ლიბერალიზმი

იდეოლოგია

სოციალურ-სამეცნიერო-თვალსაზრისით, იდეოლოგია თანმიმდევრულ იდეათა ერთიანობაა, ორგანიზებული პოლიტიკური მოქმედებების საფუძველი — მიუხედავად იმისა, თუ რას ისახავს ეს მოქმედება მიზნად: მართვის არსებული სისტემის შენარჩუნებას, მოდიფიცირებას თუ შეცვლას. ამიტომ ყველა იდეოლოგია გუთავაზობს: ა) არსებული წყობის ანალიზს, უფრო ხშირად — გარკვეული "მსოფლხედვის" ფორმით; ბ) სასურველი მოძვლის მოძღვრებას; გ) პოლიტიკური ცვლილებების განხორციელების კონკრეტულ გზებს. თუმცა, იდეოლოგია აზონების ჰერმეტიკულად დახურული სისტემა არაა. ის უფრო აზონების დინამიური სისტემაა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, სხვა სისტემებსაც ენათესავება. თეორიულ დონეზე იდეოლოგიები პოლიტიკურ ფილოსოფიებს ემსგავსება, ხოლო პრაქტიკულად — როგორც წესი — პოლიტიკური მოძრაობის ფორმას იძენენ ხოლმე (ხელიკერი, 1976).

მეტაიდეოლოგია:

ზეიდეოლოგია, საფუძველი მსჯელობისათვის უფრო კერძო იდეოლოგიური პრობლემების გარშემო.

პოლიტიკურ იდეოლოგიათა ნებისმიერი ჩამონათვალი ლიბერალიზმით უნდა იწყებოდეს — ესაა, არსებითად, სამრწველო დასავლეთის იდეოლოგია, ანუ **მეტაიდეოლოგია**, რომელიც ურთიერთსაპირისპირო ღირებულებებსა და შეხედულებებს მოიცავს. XIX საუკუნის დასაწყისამდე ლიბერალიზმს მწყობრი პოლიტიკური მიმდინარეობის სახე არ მიუღია, ლიბერალიზმის თეორიები და პრინციპები თანდათანობით, 300 წლის მანძილზე იკრებდნენ ძალას. ლიბერალიზმი ფეოდალიზმის დაშლისა და საბაზრო, ანუ კაპიტალისტური საზოგადოების შექმნის შედეგი გახლდათ. ადრეული ლიბერალიზმი სწორედაც რომ აღძვალა სამრწველო საშუალო კლასის მისწრაფებებს გამოხატავდა და მას აქეთ ლიბერალიზმი და კაპიტალიზმი, შეიძლება ითქვას, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან. თავდაპირველად ლიბერალიზმი წმინდა პოლიტიკური დოქტრინა იყო, რომელიც აბსოლუტიზმის ფეოდალურ პრეილეგიებს აკრიტიკებდა და მას კონსტიტუციურ, მოგვიანებით კი წარმომადგენლობით მმართველობას უპირისპირებდა. XIX საუკუნის დასაწყისისათვის კი *ეკონომიკურმა ლიბერალიზმმა* იწყო განვითარება, რომელიც თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებს უწევდა პროპაგანდას და ეკონომიკაში ხელისუფლების ნებისმიერი ფორმით ჩარევას გამოხდა. სწორედ ეს ჰიპოთეზა იქცა კლასიკური, XIX-ის ლიბერალიზმის — ქვაკუთხედად. თუმცა, XIX-ის დასასრულს სოციალური ლიბერალიზმის ფორმაც გაჩნდა, რომელიც მეტ უპირატესობას სოციალური კეთილდღეობის რეფორმებს ანიჭებდა და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევაც დასაშვებად მიიჩნდა. თანამედროვე, XX ს-ის ლიბერალიზმსაც სწორედ ასეთი აქცენტები ახასიათებს.

ლიბერალიზმის დამახასიათებელი ნიშნები

ინდივიდუალიზმი (იხ. გვ. 196) — ლიბერალური იდეოლოგიის ძირითადი პრინციპი, რომლის თანახმადაც არც ერთი ცალკეული პიროვნების ინტერესები არ შეიძლება სოციალური ჯგუფისა თუ კოლექტივის ინტერესებს შეეწიროს. ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, *პიროვნებებად* განიხილებიან — ნებისმიერი მათგანის სიცოცხლე ერთნაირად ფასეულია, თუმცა ყველა უნიკალურია და განუმეორებელი. ამიტომ ლიბერალიზმი იმკვარი საზოგადოების შექმნას ესწრაფვის, რომელიც ინდივიდის კეთილდღეობას უზრუნველყოფს. ნებისმიერ პიროვნებას უნდა მიეცეს შანსი, სრულად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები და თავად განსაზღვროს, რა არის მისთვის სასიკეთო. ამასთან დაკავშირებით, ზოგჯერ იმასაც ამბობენ, რომ ზნეობრივი თვალსაზრისით ლიბერალიზმი მიუკერძოებელია: იგი იმ წესების ერთობლიობაა, რომელთა მიხედვით ინდივიდს საკუთარი ზნეობრივი არჩევანის ნება ეძლევა.

თავისუფლება — პიროვნული თავისუფლება, ლიბერალიზმის უმთავრეს ღირებულებათაგანია და მას, ზოგჯერ, თვით თანასწორობასა თუ სამართლიანობაზე მაღლაც კი აყენებენ. ეს თავისთავად გამომდინარეობს

რელიგიისადმი რწმენიდან — მას საშუალება უნდა ჰქონდეს, საკუთარი შეხედულებისა და არჩევანის კარნახით იმოქმედოს. თუმცა, ლიბერალები "კანონის ფარგლებში თავისუფლებას" ქადაგებენ, რაკილა კარგად ესმით, რომ ერთი კერძო ადამიანის სრული თავისუფლება, შესაძლოა, სხვათა თავისუფლებას დაემუქროს და წრეგადასულ თავნებობად იქცეს. ამიტომაც, რელიგიი თავისუფლების იმ მაქსიმუმს უნდა ფლობდეს, რომელიც სხვის თავისუფლებას არ შეზღუდავს.

წინა — ლიბერალები ირწმუნებიან, სამყარო გონიერულადაა მოწყობილი და მას შეეცნობა მხოლოდ კრიტიკული აზროვნებით, საღი განსჯითაა შესაძლებელიო. აქედან, მათი ურყევი რწმენა: პიროვნებას მართებული აღწვეტილებების მიღების უნარი გააჩნია და როგორც წესი, საკუთარი ხელს საუკეთესო განმსჯელიცაა; ლიბერალებს სჯერათ **პროგრესის** — დარწმუნებულები არიან, რომ ადამიანებს ნებისმიერი უთანხმოება შეუძლიათ მოგვლიან გზით — არა ძალადობითა და ომით — არამედ დისკუსიებითა და მოლაპარაკებებით მოაგვარონ.

თანასწორობა: ინდივიდუალიზმში ადამიანთა იმთავითვე საყოველთაო თანასწორობას გულისხმობს — ჩვენ "თანასწორნი ვიბადებით — ყოველ შემთხვევაში, თითოეული ჩვენგანის სიცოცხლის ფასეულობის თვალსაზრისით მანც; აქედან გამომდინარე, ლიბერალიზმში თანაბარი უფლებების პრინციპს აღიარებს: თანასწორობას სამართლისა (*თანასწორობა კანონის წინაშე*) და პოლიტიკის (*ერთი კაცი — ერთი ხმა; ყველა ხმა თანაბრად ფასობს*) საფუძველში. თუმცა, ვინაიდან ადამიანები განსხვავებული ნიჭისანი არიან და მათი სპეციფიკურობითაც განსხვავდებიან, ლიბერალიზმისთვის მიუღებელია სოციალური თანასწორობის, ანუ თანაბარი ანაზღაურების იდეა. მისთვის უფრო მისაღებია "თანაბარი შესაძლებლობებში" — რაც ყველას ერთნაირ შანსს აძლევს საკუთარი უნარის გამოსავლენად. ლიბერალიზმს შეეკვიდილა, მერიტოკრატიის (*meritocracy*) პრინციპის ანალოგიით, ერთგვარი "მერიტოკრატია" დაეწამოთ, სადაც უნარი მუყაითობაზე გამრავლებული ნიჭის ტოლად.

მემორანდუმობა: ლიბერალებს სჯერათ, რომ შემწყნარებლობა (ანუ *ტოლერანტობა* — განსხვავებული აზრის, სიტყვის თუ ქცევის დათმენის უნარი) პიროვნების თავისუფლების გარანტიაცაა და საზოგადოების მრავალფეროვნებას პირობაც. მათივე მტკიცებით, ზნეობრივ, კულტურულ თუ პოლიტიკურ მრავალფეროვნებაში გამოვლენილი პლურალიზმი საზოგადოების სავსებით უტყუარი ნიშანია და იმ აზრთა გაცვლა-გამოცვლას უწყობს ხელს, რომელთა ავ-კარგიანობის შემოწმებაც მხოლოდ იდეათა თავისუფალ დაპირისპირება შესაძლებელი. მეტიც, ლიბერალიზმს სწამს, რომ უმთავრესაპირისპირო თვალთახედვაშიც მოიძებნება თანხვედრის წერტილები და ე.წ. "მოუგვარებელ კონფლიქტებს" არ ცნობს.

შედეგობა: ლიბერალური თვალსაზრისით, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ურთიერთობები მუდამ მოლაპარაკებებსა და შეთანხმების სურვილს უნდა ვერდნობოდეს; ნებისმიერ მმართველობას "მართულთა თანხობა" უნდა უზღვევდეს და სწორედ ამიტომ ემხრობა ლიბერალიზმში დემოკრატიისა და

პროგრესი: განვითარების უფრო მაღალი საფეხური საკენ სწრაფვა, კაცობრიობის წინსვლა და გრძელვადიანი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე.

მერიტოკრატია: უნარიანთა მმართველობა; პრინციპი, რომლის თანახმად, ჯილდოცა და საზოგადოებრივი მდგომარეობაც ადამიანს პიროვნული ღირსებების მიხედვით ერგება.



ჯონ ლოკი (1632-1704)

ინგლისელი ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი. დაიბადა ინგლისში, სამერსეტში. 1661 წ. შეფტსბერის გრაფის — ენტონი ეშლი კუპერის მდივობამდე, ლოკი ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლობდა მედიცინას. ჯ. ლოკის პოლიტიკური ხედვა ინგლისის 1688 წლის რევოლუციის ფონზე ჩამოყალიბდა და უილიამ ორანჯელის თაოსნობით აბსოლუტიზმის დამხობისა და კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრების გამართლების მცდელობად მიიჩნევა. ზოგადად, ჯონ ლოკი ადრინდელი

ლიბერალიზმის მამათვარად მიიჩნევა: იგი "თანდაყოლილ", ღმრთივ ბოძებულ უფლებებზე ამახვილებს ყურადღებას — ანუ, სიცოცხლის, თავისუფლებისა და კერძო საკუთრების საყოველთაო უფლებებზე. ლოკს, როგორც წარმომადგენლობითი მმართველობისა და ტოლერანტობის მედროშეს, ზოგნი ამერიკის რევოლუციის იდეოლოგიურ მამადაც კი სახევენ. მისი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ნაშრომებია "შემწყენარებლობისა გამძ" (1689) და "ორი ტრაქტატი მმართველობის თაობაზე" (1690).

პოლიტიკური წარმომადგენლობის დოქტრინას. ასევე, ნებისმიერი საზოგადო ინსტიტუტი თუ ჯგუფი გარკვეული "სახელშეკრულებო ურთიერთობების" საფუძველზე იქმნება და კერძო ინტერესების მქონე ადამიანები ნებაყოფლობით ერთიანდებიან. ამგვარად, ხელისუფლება ყოველთვის "ქვემოდან მომდინარეობს" და ლეგიტიმურობას ემყარება.

კონსტიტუციონალიზმი: მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალური იდეოლოგიისათვის ხელისუფლება მუდამ საზოგადოებრივი წესრიგისა და სტაბილურობის უმთავრეს გარანტიად რჩება, მაინც სულ იმის შიშში არიან — პიროვნებისთვის ხელისუფლება ტირანიად არ იქცეს (ლორდ ექტონის თქმით, "ძალაუფლება რყენის") და ამიტომაც შეზღუდული მმართველობისაკენ იხრებიან. ამ მიზნის მიღწევა, ლიბერალური თვალსაზრისით, ხელისუფლების გადანაწილებით — ანუ კონტროლისა და დაბალანსების ხარჯზე უნდა მოხდეს, და ასევე, კოდიფიცირებული, ანუ წერილობითი კონსტიტუციის, რომელიც სახელმწიფოს და ინდივიდს შორის ურთიერთობებს დაარეგულირებს.

ატომიზმი:

წარმოდგენა, რომლის თანახმადაც საზოგადოება, უმთავრესად, თვითკმარი ინდივიდებისგან შედგება — მათ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვთ და ერთმანეთის მიმართ მცირედ, ან სულაც არანაირ ვალდებულებას არ გრძნობენ.

„თამამი

ხელისუფლება“: ასე, ჩვეულებრივ, იმგვარ ხელისუფლებას ახასიათებენ, რომელიც ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩარევის მიმდევარია.

კლასიკური ლიბერალიზმი

კლასიკურ ლიბერალიზმს უკიდურესი ინდივიდუალიზმი ახასიათებს: ამ ტრადიციის მიხედვით, ადამიანები ვგოისტურნი არიან, მათ მხოლოდ პირადი მიზნები ამომრავებთ და უმთავრესად, საკუთარ თავს არიან დანდობილი. ამგვარ შეხედულებას ქ. ბ. მაკფერსონმა "მესაკუთრის ინდივიდუალიზმში" უწოდა, როცა პიროვნება არანაირ ვალდებულებას არ გრძნობს არც საზოგადოების, არც სხვა ადამიანების წინაშე და თავადვე საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. საზოგადოების ამგვარ ატომისტურ ხედვას "უარყოფით" თავისუფლების გაგება განაპირობებს — როდესაც პიროვნებისათვის "მის საქმეში ცხვირის ჩაყოფა" თუ ნებისმიერი სახის შეზღუდვა — დაუშვებელია. იგულისხმება, რომ იგი უკიდურესად მტრულადაა განწყობილი სახელმწიფოს მიმართ და ხელისუფლების მხრიდან ჩარევა ლამის ავადმყოფურად აღიზიანებს.

ტომ პეინის (Tom Paine) თქმით, სახელმწიფო — "აუცილებელი საბრტყია", და აუცილებელია იმდენად, რამდენადაც საზოგადოებაში სტაბილურობას, უსაფრთხოებასა და "თამამის დადგენილი წესების" შესრულებას უზრუნველყოფს; ბოროტება კი იმდენად, რამდენადაც საზოგადოებას კოლექტიურ ნებას ახვევს თავს, რითაც ყოველი ცალკეული საზოგადოების თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას ზღუდავს. კლასიკური ლიბერალიზმის იდეალი მინიმალური, ე.წ. "გუშაგზ" სახელმწიფოა და მისი უფრო მეტი საქმე — ნებისმიერი მოქალაქის სხვა თანამოქალაქეთაგან დაცვა კონომიკური ლიბერალიზმში ამ პოზიციას კიდევ უფრო ამყარებს. თანამედროვე ბაზრის მექანიზმებისადმი ნდობა და ის ურყევი რწმენა, რომ კონომიკური ხელისუფლების ჩარევის გარეშე, გაცილებით უკეთ იმართება. კონომიკური ლიბერალიზმის თვალსაზრისით, თავისუფალი კაპიტალიზმში საზოგადოების კეთილდღეობის ზრდის გარანტია, პიროვნული თავისუფლების ქვაკუთხედი, და ადამიანთა უნარიდანვე გამომდინარე — მათი უფრო მეტი თუ დაცემის წინაპირობა — თავისთავად ერთადერთი გზაა საზოგადოების სიმართლიანობის მისაღწევად.

თანამედროვე ლიბერალიზმი

თანამედროვე ლიბერალიზმი გაცილებით ლოიალურია სახელმწიფოს მიმართ. ა.შ.შ.-ში დღესდღეობით "ლიბერალებად" იწოდებიან ისინიც კი, ვინც არა "სოკრძალვებულ", არამედ "თამამ" მმართველობას ("big government") უჭერს მხარს. ასეთ რადიკალურ ცვლილებას აზროვნებაში თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს: სამრეწველო კაპიტალიზმში სოციალური უსამართლობის ახალი ფორმები დაამკვიდრა და მოსახლეობის ფართო მასები თავისუფალი ბაზრის საკონკრეტო შეჯახბა. ჯ.ს. მილის (J.S. Mill) ზეგავლენით, ე.წ. "ახალმა ლიბერალმა" — თ. ჰ. გრინმა (T.H. Green, 1836-1882), ლ.თ. ჰობსონმა (L.T. Hobson, 1864-1929) და ჯ.ა. ჰობსონმა (J.A. Hobson, 1858-1940) თავისუფლების უფრო ფართო, ასე ვთქვათ, "პოზიტიურ" ხედვა ჩამოაყალიბეს: თანამედროვე თავისუფლება ადამიანის ბედის ანაბარა მიტოვებას კი არ გულისხმობს, არამედ ის, საბოლოოდ, მშვიდ თავისუფლებამდეც შეიძლება მიიყვანოს, არამედ ინიციატივის წახალისებასა და თვითრეალიზების შესაძლებლობას.

ეს მიდგომა ე.წ. სოციალურ, ანუ "კეთილდღეობის" ლიბერალიზმს უწოდებენ. ასეთი ტიპის ლიბერალიზმის მთავარი იდეა ისაა, რომ სახელმწიფოს ჩარევით, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდაში, ადამიანის თავისუფლებას მეტი ასპარეზი ეძლევა და იგი სოციალური მანკიერებებისაგანაც უფრო მეტადაა დაცული: 1942 წ. დიდ ბრიტანეთში, ე.წ. ბევერიჯის მოხსენებაში ხუთი უმთავრესი "მანკიც" კი იყო ჩამოთვლილი: მიუსაფრობა, სიდუხჭირე, უმეცრება, დაუსაქმობა, დაუცველობა. ისიც ითქვას, თანამედროვე საბაზრო კაპიტალიზმისადმი ლიბერალიზმის რწმენასაც თანდათანობით წყალი შეუდგა და ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ჯ.მ. ქენზის თეორიამ ითამაშა. ქენზიანიზმის მიხედვით, ეკონომიკური წინსვლა და კეთილდღეობის მიღწევა მხოლოდ "მართლმად" ანუ რეგულირებადი კაპიტალიზმის პირობებშია შესაძლებელი,

ეკონომიკური ლიბერალიზმი:
თავისუფალი ბაზრის, როგორც თვითრეგულირებადი მექანიზმის, კონცეფცია — ამგვარ ბაზარს თავად შეუძლია უზრუნველყოს ყველასთვის თანაბარი პირობები და საზოგადო კეთილდღეობაც.

ჯონ სტიუარტ მილი (1806-73)



ბრიტანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი და პოლიტიკოსი. მილს მოუწია მამის - უტილიტარისტი თეორეტიკოსის, ჯეიმზ მილის (1773-1836) დესპოტური აღმზრდელითი სკოლის გამოვლა, რაც 20 წლის ასაკში, მძიმე სულიერი ტრავმის მიზეზი გახდა. კოლრიჯის და გერმანელი იდეალისტების ზეგავლენით, შემდგომ მან უფრო ჰუმანიტარული ფილოსოფია შეიმუშავა და მისმა ნაშრომებმა: "თავისუფლების თაობაზე" (1859), "მოსაზრებანი წარმომადგენლობითი მმართველობის შესახებ" (1861), "ქალთა უფუფლებობა" (1869) — უდიდესი გავლენა იქონია

ლიბერალური აზროვნების განვითარებაზე. მილმა ნათლად წარმოაჩინა სხვაობა კლასიკურ და თანამედროვე ლიბერალიზმს შორის და მისი უნდობლობა სახელმწიფო ჩარევის მიმართ XIX საუკუნის პრინციპებიდან მომდინარეობს. თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება პირადი ცხოვრების საკითხებისადმი (რაც "პიროვნულობის" აქცენტირებაში გამოიხატა), ისევე როგორც იმეგარი საკითხებით დაინტერესება, როგორცაა ქალთა ხმის უფლება და მუშათა გაერთიანებები — აშკარად XX საუკუნის მოვლენებს უსწრებდა წინ.

როცა ძირითად ეკონომიკურ ამოცანებისთვის თავზე ხელისუფლება იღებს, ამავე დროს, თანამედროვე ლიბერალები მზად არიან ხელისუფლების ჩარევის იდეას, მხოლოდ გარკვეული პირობებით დაუჭირონ მხარი. მათი მთავარი საზრუნავი საზოგადოების უკიდურესად დაუცველი და მიუსაფარი ფენაა; ძირითადი მიზანი კი — ადამიანებისთვის ისეთი პირობების შექმნა, როცა საკუთარი ცხოვრების მოწყობასა და თავისუფალი არჩევანის გაკეთებას დამოუკიდებლად შესძლებენ. ლიბერალიზმის კეთილდღეობასა და **ხელახალი გადანაწილების** პოლიტიკასთან შეთანხმების ყველაზე დამაჯერებელი მცდელობა, დღესდღეობით, ჯონ როულზის თეორიული ტრაქტატები გახლავთ.

კონსერვატიზმი

კონსერვატული იდეები და დოქტრინები პირველად XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა, როგორც უკურეაქცია საფრანგეთის რევოლუციით გამოწვეულ რადიკალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებზე. ამ თვალსაზრისით, კონსერვატიზმი გარკვეულად, **ძველი რეჟიმისაკენ** იხრებოდა და ლიბერალიზმის, სოციალიზმისა და ნაციონალიზმის ტოტალური შემოტევის პირობებში, კონსერვატიზმი ჯიუტად ებლაუჭებოდა ტრადიციულ სოციალურ წესრიგს. თუმცა, კონსერვატულ აზროვნებაში იმთავითვე შეინიშნებოდა არაერთსულოვნება: კონტინენტურ ევროპაში წარმოიშვა მიმდინარეობა, რომელსაც სათავეში ჟოზეფ დე მესტრი (Joseph de Maistre, 1753-1821) ედგა — ნებისმიერი რეფორმის უარყოფელი ამ ტიპის კონსერვატიზმი, მკვეთრი ავტოკრატიულობითა და რეაქციულობით გამოირჩეოდა. მეორეს მხრივ, კონსერვატიზმის უფრო ფრთხილი, მოქნილი და აქედან გამომდინარე, სიცოცხლისუნარიანი ფორმა დიდ ბრიტანეთსა და

ედმუნდ ბერკი (1729-97)

ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტიკური ფილოსოფოსი, რომელსაც ხშირად კონსერვატიული ფილოსოფოსი უწოდებდნენ. მისი იდეოლოგია, ძირითადად, რამდენიმე პრინციპს შეეხება — განსაკუთრებით კრიტიკული პათოსით მიხედვით "განსჯანი რევოლუციის თაობაზე" კრიტიკული რევოლუციისადმი. საპარტიო საპარტიო მისიუხედავად, ბერკი უკაცრად უდგებოდა სახელმწიფო მომდინარე იმ პრინციპების ხელოვნურად დანერგვის

მცდელობას, როგორცაც თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა; ამტკიცებდა, სიბრძნის ერთადერთი წყარო გამოცდილება, ტრადიცია და ისტორია. თუმცა, ასევე მიაჩნდა, რომ საფრანგეთის მონარქია თავად იყო დამნაშავე საკუთარ უბედურებაში, ვინაიდან არ მოისურვა "შეცვლილიყო, რათა შეენარჩუნებინა". ბერკი იჭენებულად უყურებდა ზოგადად ხელისუფლებას და მიიჩნევდა, ამ უკანასკნელს ბოროტების აღკვეთა შეუძლია მხოლოდ, სიკეთის თესვა კი — იშვიათად. საგულისხმოა, რომ საბაზრო ურთიერთობებს ბერკი "ბუნებრივ წესრიგად" მიიჩნევდა.



შეიქმნა, ხოლო მისი არსი ედმუნდ ბერკის (Edmund Burke) ერთი მხრით ფრაზით გამოიხატა: "შეცვალეთ, რათა შეენარჩუნოთ". XIX საუკუნეში ასეთმა მიდგომამ კონსერვატორებს შესაძლებლობა მისცა, სოციალური რეფორმები "ერთიანი ერის" პატერნალისტური ლოზუნგის ფონზე აეტაცათ. დიდ ბრიტანეთში ამ მოძრაობამ მწვერვალს XX საუკუნის 50-იან წლებში მიაღწია, როდესაც იქაური კონსერვატიული პარტია პარლამენტს და ბოლოს შეურიგდა ომის შემდგომ რეალობას და ქენზინგემის სოციალური დემოკრატიის საკუთარი ვერსია შემოგვთავაზა. მაგრამ ამ დღესაც უკვე XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, სულ უფრო სერიოზული წინააღმდეგობა ხდება "ახალი მემარჯვენეობის" სახით — კონსერვატიზმის წინააღმდეგოდ ანტიისტაბილური და ანტიპატერნალისტური ხედვა, უფრო ახლოსაა კლასიკური ლიბერალიზმის თემებსა და პრინციპებს.

კონსერვატიზმის დამახასიათებელი ნიშნები

დღეისა: კონსერვატიული აზროვნების მთავარი საყრდენი ბერკისეული "კონსერვატიზმის სურვილია". კონსერვატიზმი პათვისციემით ეყრდნობა ყველაფერს, რამაც დროის გამოცდას გაუძლო — ტრადიციებს, ადამიანებს და ინსტიტუტებს. კონსერვატორთა აზრით, სწორედ ტრადიცია ასახავს მართლსა დაგროვილ სიბრძნეს: ინსტიტუტები და ურთიერთობანი "დროთა გამოცდილი" და მათი შენარჩუნება არა მარტო დღევანდელი, მომავალი თაობების სასიკეთოდაა აუცილებელი; ტრადიცია ფასეულია სტაბილურობისა და დაცულობის თვალსაზრისითაც — იგი ადამიანებს საკუთარი საზოგადოებრივი და ისტორიული მიკუთვნებულობის განცდას უზრუნველყოფს.

მომავალში: კონსერვატორები მუდამ მიუთითებენ ადამიანის გონის არასრულყოფილებაზე, რასაც, თავის მხრივ, ჩვენი სამყაროს უსაზღვრო

3. პოლიტიკური იდეოლოგიები

სირთულე განაპირობებს. აქედან მომდინარეობს მათი ინსტიტუტური უნდობლობა აბსტრაქტული პრინციპებისა და თეორიების მიმართ. ისინი მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილებას, ისტორიას და, რაც მთავარია, პრაგმატიზმს ურდობიან: იმ რწმენას, რომ ქმედებას მუდამ პრაქტიკული გარემოება და პრაქტიკული მიზანი უდევს საფუძვლად და შესაბამისად, შედეგზეა ორიენტირებული. საკუთარ შეხედულებებს ისინი არა იდეოლოგიად, არამედ "გონების წყობად" თუ "ცხოვრებისადმი მიდგომად" მიიჩნევენ, თუმცა არც იმ ბრალდებებს იზიარებენ, თითქოს ეს უპრინციპობისა და "შედროვეობის" ტოლფასი იყოს.

ადამიანის არასრულყოფილება: კონსერვატიული შეხედულება ადამიანის ბუნებაზე ღრმად პესიმისტურია: მათი თვალსაზრისით, ადამიანი შეზღუდული, სხვაზე დამოკიდებული და მფარველობის მაძიებელი არსებობს, რომელიც მხოლოდ ათასჯერ ნაცადს უნდობა და მშვიდ, მოწესრიგებულ საზოგადოებაში ცხოვრებას ებღაუჭება. გარდა ამისა, ზნეობრივადაც მოიკოჭლებს — თავკერძობა, სიხარბე და ძალაუფლების ჟინი კლავს. ამდენად, დანაშაულებისა და არეულობის ფესვები სწორედაც ადამიანში, და არა საზოგადოებაშია საძიებელი. ამიტომ, წესრიგის შენარჩუნებისთვის ძლიერი სახელმწიფო, მკაცრი კანონები და დანაშაულის შესატყვისი სასჯელია აუცილებელი.

ორგანიციზმი: კონსერვატიული აზროვნების ჭრილში საზოგადოება წარმოგვიდგება არა როგორც ადამიანთა მოღვაწეობის შედეგი, მათი გონების ნაყოფი, არამედ როგორც ორგანული მთლიანობა — ცოცხალი ორგანიზმი. შესაბამისად, საზოგადოებაც ბუნებრივი აუცილებლობის შედეგად გვესახება და სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებს — ოჯახს, თემს, ერსა და ა.შ. — თავ-თავისი წვლილი შეაქვთ ჯანსაღი და სტაბილური საზოგადოების ჩამოყალიბებაში. საზოგადოება მარტოოდენ ინდივიდთა უბრალო არითმეტიკული ჯამი არაა — მეტაფორა "სასიცოცხლოდ აუცილებელი," საერთო კულტურასა და ტრადიციულ ფასეულობებსაც მოიცავს, რომელთა გარეშეც საზოგადოებრივი თანხმობისა თუ თავად ადამიანთა ერთობის შენარჩუნება, უბრალოდ, შეუძლებელია.

იერარქია: კონსერვატიული თვალსაზრისით, ადამიანთა სოციალური მდგომარეობისა და სტატუსის მიხედვით დაყოფა ბუნებრივი და გარდაუვალი ამბავია. ადამიანებს სხვადასხვა როლი თუ მოვალეობა აკისრიათ — კომპანიის პრეზიდენტსა თუ მუშას, მასწავლებელსა თუ მოწაფეს, მშობელსა თუ შვილებს. მაგრამ ამგვარი იერარქია და უთანასწორობა კონფლიქტის მიზეზი არ ხდება, ვინაიდან საზოგადოება საერთო პასუხისმგებლობითა და ურთიერთვალდებულებითაა განმტკიცებული: ვისაც ცხოვრებაში გაუმართლა, ანდა მაღალი სტატუსი დაბადებითვე თან დაჰყვა, მას მეტის გაღებაც მოეთხოვება.

ხელისუფლება: კონსერვატორები ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლება, გარკვეული თვალსაზრისით, ყოველთვის "ზემოდან" ხორციელდება და იმათ წინამძღოლობას (იხ. გვ. 372), მეგზურობას და მხარდაჭერას ნიშნავს, ვისაც სათავისოდ გონიერული გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება —

კონსერვატიზმის და გამოცდილების ნაკლებობის გამო — არ შეუძლია (ამის ნათელი მაგალითი შშოპოლისა და შეილეს ურთიერთობაა). დრო იყო, როდესაც „ბუნებითი არისტოკრატის“ იდეა საყოველთაოდ ბატონობდა, მაგრამ უმეტესობით ხელისუფლობასა და ლიდერობას უკვე გამოცდილება და ცოდნა განაპირობებს. ხელისუფლების ღირსება ისაა, რომ იგი საზოგადოებრივ ინტერესებს უზრუნველყოფს და ადამიანებს ეხმარება გააცნობიერონ, რომ რაიმე და რა მოეთხოვებათ. ამდენად, თავისუფლება მუდამ პასუხისმგებლობას უნდა გადაეჯავჭვოს და მოვალეობებისა თუ ვალდებულებების ნებაყოფლობით აღიარებას ემყარებოდეს.

სკანდინავია: კონსერვატიზმი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საკუთრებას — ამას რასაც ადამიანისთვის უსაფრთხოება მოაქვს, განაპირობებს მის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას ხელისუფლებისაგან, აიძულებს მას კანონსა და სხვათა საკუთრებას სცეს პატივი. საკუთრება, გარკვეულწილად, პიროვნების დამოუკიდებლობის საზომიცაა: ინდივიდის ეგოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს — როგორ სახლში ცხოვრობს, ან რა მანქანით დადის; ამავე დროს, საკუთრება უფლებებთან ერთად, მოვალეობასაც გულისხმობს: გარკვეული თვალსაზრისით, წყნარ მხოლოდ დროებით ვფლობთ იმ ქონებას, რაც წინაპრებისგან დედასა და მამას შექმნილი უნდა გქონდეთ. (მაგ. "მამა-პაპისეული ოქრო-ვერცხლზე", და რაც უნდა შეამოძველობისთვისაც ფასეული უნდა იყოს.

პატერნალისტური კონსერვატიზმი

კონსერვატიული აზროვნების პატერნალისტური მიმდინარეობა სრულ შესაბამისობაშია კონსერვატიზმის ისეთ ნიშან-თვისებებთან, როგორებიცაა ორგანიზაციის, იერარქია, პასუხისმგებლობა და იგი ტრადიციული კონსერვატიზმის განშტოებადაც შეიძლება ჩაითვალოს. ამ მიმართულების უმეტესობა ბენჯამინ დიზრაელი ითვლება (Benjamin Disraeli, 1804-1881), რომელიც ურყევი პრინციპებისა და კეთილგონიერების შერწყმის მომხრე გახდა. ის ხედავდა რა, რომ გაერთიანებული სამეფო ორად იხლიჩებოდა — უმდიდრესად და ღარიბებად — დიზრაელი სოციალური რევილუციის საფორმის წინასწარმეტყველებდა. მისი აზრით, გაცილებით მომეებიანი იქნებოდა "რეფორმა ზევადან", ვიდრე "რევილუცია ქვევადან" და მმართველ კლასებს, მათივე ინტერესთა სასიკეთოდ, კეთილგონიერებისაკენ მოუწოდა. მის პოზიციას პასუხისმგებლობისა და სოციალური ვალდებულების პრინციპები ედო საფუძვლად — იმგვარი ნეოფეოდალური იდეები, როგორიცაა **noblesse oblige**. სხვანაირად რომ ვთქვათ, პასუხისმგებლობა პრივილეგიების საფასური უნდა ყოფილიყო: საზოგადოების ერთიანობისთვის უნდა უზრუნველყოფილიყო ძალაუფლებისა და საკუთრების მქონე ადამიანების ზრუნვა მათზე, ვინაც ნაკლებად უზრუნველყოფილთა ფენას განეკუთვნება. სწორედ ამას შედეგად "ერთიანი ერის" პრინციპი **თორთა** პარტიის (Tory) დოქტრინის საკუთრებად ჩამოყალიბდა. ამ დოქტრინაში არა იმდენად სოციალური თანასწორობის იდეალი, რამდენადაც ორგანულად გაწონასწორებული, მანკანად შეკრული და სტაბილური იერარქიის შექმნის პერსპექტივა აისახა.

„ბუნებითი არისტოკრატია“: ცნება, რომლის თანახმადაც, ნიჭი და საზოგადოებრივი მდგომარეობა ადამიანის თანდაყოლილი თვისებებია და მათი განვითარება თვით-სრულყოფის გზით შეუძლებელია.

პატერნალიზმი:

ურთიერთობა, ან მართვის იმგვარი წესი, რომლის პრინციპიც მათზე ზრუნვაა, ვისაც დამოუკიდებლად საკუთარი თავის გატანა უჭირს (ვთქვათ, შშოპლისა და შეილის ურთიერთობა).

Noblesse oblige (ფრანგ.):

სიტყვასიტყვით — „გვარი-შვილობა გვავალდებულებს“; ზოგადი გაგებით - პრივილეგირებულთა პასუხისმგებლობა უიღბლო და ნაკლებად უზრუნველყოფილი ადამიანების ბედის გამო.

თორიზმი (Toryism):

კონსერვატიზმის დოქტრინა, რომლისთვისაც იერარქიის რწმენა, ტრადიციის მნიშვნელობა, მოვალეობისა და ორგანიზაციის მხარდაჭერაა დამახასიათებელი.

3. პოლიტიკური იდეოლოგიები

აქედან მოყოლებული, "ერთიანი ერის" ტრადიცია არა მარტო სოციალური რეფორმებისათვის მზადყოფნას გამოხატავს, არამედ ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკისადმი არსებითად პრაგმატულ მიდგომასაც გულისხმობს. ეს ყველაფერი საბოლოოდ ნათლად გამოჩნდა იმ "შუალედური გზის" ძიებაში, რაც XX საუკუნის 50-იანი წლების ბრიტანელ კონსერვატორებს ახასიათებდათ. მათ ეკონომიკური ორგანიზების ორივე მოდელზე თქვეს უარი — თავისუფალ საბაზრო კაპიტალიზმზეც და ცენტრალიზებულ დაგეგმვაზე აწეობილ სახელმწიფო სოციალიზმზეც. პირველი იმის გამო უარყვეს, რომ იგი "ჯუნგლის კანონს" ეყრდნობოდა, საზოგადოებრივ მთლიანობას უქმნიდა საფრთხეს და შედარებით სუსტებსა და დაუცველებს "თამაშგარეშ" სტოვებდა; მეორე — იმიტომ, რომ სახელმწიფოს კულტს ამკვიდრებს და ეკონომიკური დამოუკიდებლობისა თუ ინიციატივის ყოველგვარ ფორმას უარყოფს. "ოქროს შუალედში" საბაზრო კონკურენციისა და სახელისუფლო რეგულირების ნაზავი აღმოჩნდა: "კერძო მეწარმეობა — თავკერძობის გარეშე!" (პ. მაკმილანი).

II მსოფლიო ომის შემდგომ, თითქმის იმავე დასკვნებამდე მივიდნენ კონტინენტური ევროპის კონსერვატორებიც და ქრისტიანული დემოკრატიის პრინციპები გაითავისეს, რამაც ყველაზე მკაფიოდ გერმანულ ქრისტიან-დემოკრატთა "სოციალური ბაზრის" ფილოსოფიაში იჩინა თავი. ეს ფილოსოფია საბაზროა იმდენად, რამდენადაც კერძო მეწარმეობისა და კონკურენციის ღირსებებს აღიარებს; ხოლო სოციალურია, რამდენადაც ამ გზით მიღწეულ კეთილდღეობას მთელი საზოგადოების მონაპოვრად მიიჩნევს. მსგავსი ზედა კათოლიკური სოციალური თეორიიდან იღებს სათავეს, რომელიც საზოგადოებას იმ მთლიანობად აღიქვამს, სადაც სოციალური პარმონიაა გადაწყვეტი. ქრისტიან-დემოკრატიების თვალთახედვით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმგვარ სამუალებო ინსტიტუტებს, როგორც "სოციალური პარტნიორობის" ნიშნით შეკავშირებული მრევლი, პროფესიული გაერთიანებები თუ სხვადასხვა ბიზნეს-ჯგუფებია. თანამედროვე კონსერვატიული მოძღვრების პატერნალისტურ განმტკიცებას ხშირად "თანამგრძნობი კონსერვატიზმის" იდეასაც უკავშირებენ ხოლმე.

ახალი მემარჯვენეობა

ახალი მემარჯვენეობა კონსერვატიული მსოფლმხედველობის ის ნაირსახეობაა, ერთის მხრივ ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის ტენდენციას, მეორეს მხრივ კი — ლიბერალური და პროგრესული სოციალური ღირებულებების გაერთიანებას რომ უპირისპირდება. XX საუკ. 70-იანი წწ. მოყოლებული, ახალი მემარჯვენეობის იდეები ერთგვარი ხიდია ქენზიანური სოციალური დემოკრატიის მარცხსა და საზოგადოებაში ხელისუფლების როლის დაკნინებაზე წუხილს შორის. ეს იდეები ნათლად წარმოჩინდა 80-იანი წწ. გაერთიანებულ სამეფოსა და შვედეთულ შტატებში, და შესაბამისად, ტეიჩერიზმისა და რეიგანიზმის სახე მიიღო. მათი გავლენა თითქმის საყოველთაოდ გავრცელდა და ეკონომიკის ორგანიზების უფრო ახალ — არა სახელმწიფოზე, არამედ ბაზარზე ორიენტირებულ ფორმებს დაუდო სათავე. საქმე ისაა, რომ ახალი მემარჯვენეობა იმდენად მყარ და

ქრისტიანული დემოკრატია:

ევროპული კონსერვატიზმის იდეოლოგიური მიმდინარეობა, რომელიც სოციალური ბაზრის პრინციპებისა და ეკონომიკაში სახელმწიფოს გონივრული ჩარევისაკენ იხრება.

ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი (1899-1992)

ავსტრიელი ეკონომისტი და პოლიტიკოსი ფილოსოფოსი; სხვადასხვა კონსტიტუციებს კითხულობდა ჰაიეკის ეკონომიკის სკოლასა, ჰაიეკის, ფრაიბურგისა და ზალცბურგის უნივერსიტეტებში. 1974 წელს ნობელის პრემია მიენიჭა ეკონომიკის დარგში, როგორც ე.წ. "ავსტრიული სკოლის" წარმომადგენელს ჰაიეკს დრმად სწამდა ინდივიდუალიზმისა და საბაზრო ფორმების ღირებულებანი და მათი რაზმებდა სოციალიზმს. მისი

“გზა მონობისაკენ” (1948) პირველი ნაშრომია, რომელიც ეკონომიკაში ინტერვენციონალიზმს უპირისპირდება; შემდგომ, უკვე პოლიტიკური ფილოსოფიის თემატიკას ეძღვნება მისი "თავისუფლების კონსტიტუცია" (1960) და "კანონი, კანონმებლობა და თავისუფლება" (1979). ჰაიეკის ფილოსოფიურ-პოლიტიკურმა მემკვიდრეობამ უდიდესი ზეგავლენა იქონია ახალი მეგრეკენობის ჩამოყალიბებაზე.



ავსტრიულ ფილოსოფიას არ წარმოადგენს, რამდენადაც ორი განსხვავებული ტრადიციის — ნეოლიბერალიზმისა და ნეოკონსერვატიზმის შედეგების ცდაა. მართალია, ამ ორ მიმდინარეობას შორის გარკვეული კავშირები და იდეოლოგიური დაპირისპირება შეინიშნება, მათი კომბინაცია მაინც შესაძლებელია — თუკი, ენდრიუ გემბლის თქმით, "თავისუფალი ეკონომიკასა და ძლიერ სახელმწიფოს ესაზავთ იდეალად".

ნეოლიბერალიზმი

ნეოლიბერალიზმი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის განახლებულ ვარიანტია და იგი თავისუფალი ბაზრის ისეთმა თეორეტიკოსებმა განავითარეს, როგორც ფრიდრიხ ჰაიეკი (Friedrich Hayek) და მილტონ ფრიდმენი იყვნენ, და გრუთვე, ფილოსოფოსი რობერტ ნოუზიკი.

ნეოლიბერალთა ორი საყრდენი — თავისუფალი ბაზარი და ინდივიდუალური მიზანი — სახელმწიფოს "თავის ტყავში დატევა", რადგან მათ არარეგულირებადი საბაზრო კაპიტალიზმი თვითონ მოიტანს ეკონომიკურ ეფექტს, დოვლათსა და საყოველთაო კეთილდღეობას. მათი აზრით, სახელმწიფო ჩარევა პირად ინიციატივას ახშობს და აფერხებს შექარქმობას; რა კეთილი სურვილებიც არ უნდა ამოძრავებდეს, სახელმწიფო მაინც თრეუნავს პიროვნების საქმიანობას — სწორედ ასე ხედავს ნეოლიბერალი ახალი მეგრეკენობა "საკუთრების პოლიტიკას" და ამიტომაც უპირატესობას კერძო მექარქმობას ანიჭებს — სახელმწიფო წარმოებასა და ნაციონალიზაციასთან შედარებით. მოკლედ, "კერძო კარგია, საზოგადო — უარვისმ". მხგაგსი იდეები ახლოს დგას მარგერიტ ტუთჩერის ცნობილ ფიქსილებასთან: "არ არსებობს ცნება საზოგადოება, არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური პიროვნება და ოჯახი". **მედი-სახელმწიფო** აღიქმება როგორც ტრადიციული კულტურის წინაპირობა, საფრთხე იმ თავისუფლებისათვის, რაც კონკურენტულ ბაზარზე სწორი არჩევანის უნარით უნდა გამოიხატოს;

„მედი-სახელმწიფო“:
ანუ, იმეგარი სახელმწიფო, რომელსაც მრავალი სოციალური ვალდებულება აქვს ნაკისრი; მეტაფორა გულისხმობს, რომ მხოლოდ ნაირგვარი სოციალური პროგრამების იმედად ყოფნა, საბოლოო ჯამში, დამამცირებელია მოქალაქისთვის.

3. პოლიტიკური იდეოლოგიები

ამიტომ, ერთადერთ იმედად "ხელის გამოღება", პიროვნული პასუხისმგებლობა და საქმიანი ალლო მიიჩნევა. ამგვარი იდეები ფართოდ გავრცელდა გლობალიზაციის პროცესში, რასაც ზოგი ნეოლიბერალურ გლობალიზაციადაც კი ნათლავს.

ნეოკონსერვატიზმი

ნეოკონსერვატიზმმა, ფაქტიურად, XIX საუკუნის კონსერვატიზმის სოციალური პრინციპები აიტაცა. კონსერვატიული ახალი მემარჯვენეობა ცდილობს, ხელისუფლებას უწინდელი ხიბლი დაუბრუნოს და ოჯახს, სარწმუნოებასა თუ ეროვნულობასთან დაკავშირებული ტრადიციული ღირებულებებიც ააღორძინოს. ხელისუფლება მათთვის სოციალური სტაბილურობის გარანტია, წესრიგისა და პატივისცემის საფუძველთა-საფუძველი, ხოლო საერთო ღირებულებები და ერთიანი კულტურა — საზოგადოებრივი თანაცხოვრებისა და ცივილიზებული არსებობის უმთავრესი წინაპირობა. თუმცა, ნეოკონსერვატიზმს თავისი მოწინააღმდეგენიც ჰყავს — XX საუკ. 60-იან წლებში დამკვიდრებული ფასეულობები, ანუ თვითნებობა, მეობის კულტი და პრინციპი "ჩემი საქმისა მე ვიც" — და კაცმა რომ თქვას, ბევრი დღევანდელი ამერიკელი ნეოკონსერვატორი, კენედი-ჯონსონის ხანის პროგრესული რეფორმებით განხიბლული ყოფილი ლიბერალია. ნეოკონსერვატიზმის კიდევ ერთი მახასიათებელი — მრავალკულტურული და მრავალრელიგიური საზოგადოებისადმი იმ საფუძველზე გაჩენილი ეჭვია, რომ მას, თითქოსდა, კონფლიქტისა და დესტაბილიზაციისაკენ მიდრეკილება ახასიათებდეს. იგივე ასაზრდოებას ნაციონალიზმის უკიდურეს ფორმებსაც, მათ სკეპტიციზმს როგორც მრავალკულტურულობის, ასევე იმგვარი ზეეროვნული გაერთიანებების მზარდი გავლენის მიმართ, როგორცაა გაერო თუ ევროკავშირი. ნეოკონსერვატიზმი საგარეო პოლიტიკისადმი თავისებურ მიდგომადაც კი ჩამოყალიბდა, განსაკუთრებით ა.შ.შ.-ში და ამ საკითხს, უფრო დაწერილებით, VII თავში შევხებით.

სოციალიზმი

სოციალისტური იდეების ნიშნები ჯერ კიდევ XVII საუკუნეში, ე.წ. "ლევალერების" (*გამთანაბრებლების*) და "დიგერების" (*მიწის მთხრელების*) დროს გაჩნდა; და უფრო მეტიც — მათ კვალს ვხედავთ თომას მორის "უტოპიამში" (1516) და თქვენ წარმოიდგინეთ, პლატონის "სახელმწიფოშიც" კი. თუმცა, როგორც პოლიტიკური დოქტრინა, სოციალიზმი მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. იმთავითვე, ეს იყო პასუხი სამრეწველო კაპიტალიზმის გაჩენაზე და სამრეწველო საქონლის სწრაფი მატებით შემფოთებული ხელოსნებისა და წვრილი მეწარმეების ინტერესებს გამოხატავდა. მალე ამ მოძღვრებით მზარდი მუშათა კლასიც შეიარაღდა. თავდაპირველად, სოციალიზმს მკვეთრად ფუნდამენტალისტური, უტოპიური და რევოლუცი-

თვითნებობა:

მორალური გადაწყვეტილების სრულიად დამოუკიდებლად მიღების სურვილი; დადგენილი ღირებულებებისაგან თავისუფლების მოთხოვნა.

XX საუკუნის დაკრავდა. მისი მიზანი საბაზრო გაცვლა-გამოცვლაზე დამ-
კარგული კაპიტალისტური ეკონომიკის მოსპობა და მისი თვისობრივად გან-
საკლები, საერთო საკუთრების პრინციპზე აგებული სოციალისტური
საზოგადოებით ჩანაცვლება იყო. სოციალიზმის ამ განშტოების ყველაზე
დღევანდელი წარმომადგენელი კარლ მარქსი გახლდათ, ვისმა ნააზრევმაც XX
საუკუნის სოციალისტურ მოძღვრებებს ჩაუყარა საფუძველი.

თუმცა, XIX საუკუნიდან მოყოლებული, სოციალიზმში რეფორმის-
მხარე მიმართულებაც გამოიკვეთა, და იგი კაპიტალისტურ საზოგადოებაში
რუსთა კლასის თანდათანობითი ინტეგრაციის ფაქტს ასახავდა — რაც
პრობას პირობების გაუმჯობესებით, შრომის ანაზღაურების ზრდით,
პროცენტუალებისა და სოციალისტური ტიპის პოლიტიკური პარტიების
გაძლიერებით გამოიხატა. ამ ყაიდის სოციალისტების განცხადებით,
საბრძანებლო გზით სოციალიზმზე მშვიდობიანი, თანდათანობითი და
უტყუარად გადასვლა იყო შესაძლებელი. რეფორმისტული სოციალიზმი
თუ წაროთი საზრდოობდა: ერთი მათგანი — რობერტ ოუენის (1771-1858),
მარტინ ფურკის (1772-1837) და უილიამ მორისის (1854-1896) სახელებთან
დაკავშირებული — ეთიკური სოციალიზმის ჰუმანიტური ტრადიციაა; მეორე
კი პრაქტიკული, ედუარდ ბერნშტაინის მიერ შეთხზული რევიზიონისტული
მარქსიზმის ფორმა.

თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში, სოციალისტური
მარქსიზმმა ამ ორ, მოქიშპე ბანაკად იყო გაყოფილი: ლენინისა და
სტალინის მიმდევარი რევოლუციური მიმართულების სოციალისტები
სულთნად თავს კომუნისტებს უწოდებდნენ, ხოლო კონსტიტუციური პოლი-
ტიკის მომხრე რეფორმისტი სოციალისტები, დროთა განმავლობაში,
სოციალ-დემოკრატებად მოინათლნენ. დაუკამათი არა მხოლოდ სოციალ-
დემოკრატებისა და სოციალისტების გზებზე მიმდინარეობდა, არამედ თვით სოციალიზმის
საბოლოო მიზნის თაობაზეც. სოციალ-დემოკრატებმა გადაჭრით უარყვეს
რევოლუციური ხასიათის მოთხოვნები, როგორცაა საერთო საკუთრება
და საბრძანებლო დაგეგმარება — მათ სოციალიზმის ცნება კეთილდღეობის,
დამსახურებისა და გონივრული ეკონომიკური მართვის ტემინებით გაამ-
დიან. XX საუკუნის ბოლოს ორივე მიმდინარეობა მწვავე კრიზისში
დასწვდა, რამაც ბევრს "სოციალიზმის სიკვდილსა" და პოსტსოციალის-
ტური საზოგადოების გაჩენაზე ლაპარაკის საღერდელი აუშალა. ამ
დღესასწაულისთ, ყველაზე დრამატული მომენტი 1989-1991 წლების
დემონსტრაციულ ევროპული რევოლუციებით გამოწვეული კომუნისმის კრაზი
დასწვდა, თუმცა აშკარა ხდებოდა სოციალ-დემოკრატების თანდათანობითი
გამორბევა ტრადიციული პრინციპებისაგან და თანამედროვე ლიბერალიზმ-
თან მისი სულ უფრო ხშირი გაიგივება.

რევიზიონიზმი:

ფუძემდებლური იდეების
გადასინჯვა; ტერმინი
ადრინდელი პრინციპებისა
და მოსაზრებების უარყ-
ოფასაც გულისხმობს.

სოციალიზმის ელემენტები

ერთობა (community): სოციალიზმი კაცობრიობას საერთო თვისებებით შეკავშირებულ, საზოგადოებრივ არსებათა ერთიანობად განიხილავს. როგორც ჯონ დონი წერდა თავის ქადაგებებში: "არა კაცი არაა ზღვაში ჩაკარგული კუნძული — ადამიანი ერთიანი კონტინენტის ნაწილია მხოლოდ. ეს ერთობის მნიშვნელობაზე მიათითებს — ანუ, რამდენადაა პიროვნული მეობა საზოგადოებრივი ჯგუფების წევრობასა და მათ ურთიერთქმედებაზე დამოკიდებული. სოციალისტები ბუნების დამორჩილებაზე აკეთებდნენ აქცენტს დაშესაბამისად, პიროვნული ქცევის ახსნას სოციალური ფაქტორებით უფრო ცდილობდნენ, ვიდრე თანდაყოლილი თვისებებით. **ძმობა:** რაკილა ადამიანებს ერთნაირი ნიშან-თვისებები ახასიათებს, ამხანაგობის თუ ძმობის (არასისხლისმიერი, არამედ ზოგადკაცობრიული) განცდა გაერთიანებისაკენ უბიძგებთ: ამიტომაც ანიჭებენ უპირატესობას თანამშრომლობას და არა კონკურენციას, ამიტომ აყენებენ კოლექტივიზმს ინდივიდუალიზმზე მაღლა. ამგვარი გაგებით, კოლექტივიზმი თითოეული ადამიანის ძალისხმევას უყრის თავს და ერთობად გარდაქმნის; მაშინ როცა კონკურენცია პიროვნებებს აპირისპირებს და ქიშკს, დაპირისპირებასა და მტრობას ბადებს.

სოციალური თანასწორობა: თანასწორობა სოციალიზმის უმთავრესი ფასეულობაა და ხშირად მას ეგალიტარიანიზმის — სხვა ღირებულებებთან შედარებით, თანასწორობის უპირატესობის — ერთ-ერთ გამოვლინებადაც კი მიიჩნევენ. სოციალისტებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ სოციალურ თანასწორობას აქვს, ანუ თანასწორობას არა შესაძლებლობების, არამედ კეთილდღეობის თვალსაზრისით. მათი აზრით, სოციალური თანასწორობის დონე განსაზღვრავს საზოგადოების სტაბილურობასა და თანხმობას; და ასევე, სამართლებრივი და პოლიტიკური უფლებების საფუძველთა საფუძველია.

მოთხოვნილება: სოციალური იდეოლოგიის თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, მატერიალური ქონება საზოგადოებაში უნდა გადანაწილდეს მხოლოდ მოთხოვნილების, და არა უნარისა თუ შრომის მიხედვით. ამ პრინციპის კლასიკური გამოხატულებაა განაწილების მარქსისტული, კომუნისტური ფორმულა: "თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით." აქედან გამომდინარე, ადამიანის პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (შიშხილის, წყურვილის, საკუთარი ჭერის, უსაფრთხოების და ა.შ.), ღირსეული არსებობისა და საზოგადოებრივი თანაცხოვრების წინაპირობაა. თუმცა კი ამკარაა, რომ დოვლათის გადანაწილება მოთხოვნილებათა შესაბამისად, ადამიანისაგან ზნეობრივ მოტივაციას უფრო მოითხოვს, ვიდრე მატერიალურს.

სოციალური კლასი: ხშირად სოციალიზმს კლასობრივი პოლიტიკის ფორმადაც მიიჩნევენ ხოლმე. ჯერ ეს ერთი, სოციალისტებს სხველათ საზოგადოებრივი ცხოვრების ანალიზი შემოსაუღებისა თუ დოვლათის განაწილების თვალსაზრისით განეხილათ და სოციალური კლასი საზოგადოებრივი დაყოფის უმნიშვნელოვანეს ელემენტად მიეჩნიათ. მეორეც, ტრადიციულად, სოციალიზმი ჩაგრული და ექსპლოატირებული მუშათა კლასის ინტერესებთან იგოვდებოდა, და თავად მოძღვრებაც არა მარტო გარდაქმნების, არამედ სოციალური რევოლუციების მამოძრავებელ ძალად სწორედ

კარლ მარქსი (1818-83)

გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი და პოლიტიკური მოაზროვნე, რომელიც კომუნისტების მამამღ მიიჩნევა. ცოტა ხანს უფროს ტექნიკში ასწავლიდა, შემდეგ ჟურნალისტობა დაიწყო და აქტიურად მუშაობდა სოციალისტურ მოძრაობაში. მის წესს საფრანგეთში გადავიდა, სადა პოლიტიკური უკვე რუსეთიდან დაიწყო მუშაობა, მარქსი სამუდამოდ დასახლდა ლონდონში. მარქსს მუდმივად მისი ჯგუფის მემბერი და მისი მარქსიზმის ფრიდრიხ ენგელსი. 1864 წ.

მარქსმა დიდი წვლილი შეიტანა პირველი ინტერნაციონალის ჩამოყალიბებაში, რომელმაც უკვე 1871 წელს შეწყვიტა არსებობა მის მომხრეებსა და ბაკუნინის ანარქისტებს შორის გაჩენილი ანტაგონიზმის გამო. კარლ მარქსის ნაწერების მეტი წილი მის სიკვდილამდე არ გამოქვეყნებულა. კლასიკურ ნაშრომად სამი ტომისაგან შემდგარი "კაპიტალის" ითვლება, ყველაზე ცნობილი და გავრცელებული კი — "კომუნისტური მანიფესტა".



მარქსიზმს სახედა. თუმცა, ნებისმიერი კლასობრივი დაყოფა, მათი მხრივ, დროებითია: ისინი ხომ საბოლოოდ, ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის სრულ მოსპობას ისახევენ მიზნად.

საერთო საკუთრება: საკითხი, თუ როგორ უნდა გადაიჭრას საკუთრების პრობლემა, სოციალისტური იდეოლოგიისთვისაც საკამათოა. ზოგისთვის ეს ადვილად სოციალიზმის აღსასრულს ნიშნავს, სხვები კი ამაში მხოლოდ საფუძვალს თანასწორობის მიღწევის გზას ხედავენ. საერთო საკუთრების სოციალისტური ხედვა (გნებავთ საბჭოური ტიპის კოლექტივიზაცია თუ სხვა) ნაციონალიზაცია — იგივე "შერეული ეკონომიკა") მატერიალური საკუთრების საერთო ყულაბაში თავმოყრას გულისხმობს და კერძო საკუთრებას ისე უყურებს, როგორც ეგოიზმის, მომხვეჭელობისა და სხვა მატერიალური უთანაბრობის გამომწვევს მიზეზს. ოღონდაც, თანამედროვე სოციალისტური საკუთრების ცნების ამგვარ, ცალმხრივ გაგებას უკვე აშკარად უნდა უარს ეთქვას.

მარქსიზმი

როგორც თეორიული სისტემა, მარქსიზმი მუდამ კრიჭაში ედგა ლიბერალურ ნაციონალიზმს — რომელსაც, თავის მხრივ, გაბატონებული მდგომარეობა უნდა თანამედროვე დასავლეთის კულტურასა თუ მეცნიერულ აზროვნებაში; ხოლო როგორც პოლიტიკური ძალა, მარქსიზმი დასავლური კაპიტალიზმის დაუმჯობესებელ მტრად რჩებოდა სულ ცოტა, 1917-დან 1991 წლამდე. მარქსიზმის გაგებას უკიდურესად ართულებს განსხვავება, ერთის მხრივ, კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის (1820-95) სოციალ-ფილოსოფიურ ნაშრომებსა და XX საუკ. კომუნისტების იმ ფენომენს შორის, რომელიც საკმაოდ დაშორდა თავის პირველწყაროს. კომუნისტების კრაზი მარქსიზმის, როგორც პოლიტიკური იდეოლოგიის აღსასრულს სულაც არ ნიშნავს; პირაქით — ლენინიზმისა და სტალინიზმისაგან გამონათვისუფლებულმა მარქსიზმმა ახალი სასიცოცხლო ძალაც კი შეიძლება შეიძინოს.

3. პოლიტიკური იდეოლოგიები

გარკვეულწილად, პრობლემის არსი მარქსის ნაშრომთა ნაირ-გვარობასა და მათი ხასიათის სირთულეშია: ზოგი მას დეტერმინისტ ეკონომისტად, სხვანი კიდევ ჰუმანისტ სოციალისტად მიიჩნევენ. განსხვავებას მის ადრეულ და გვიანდელ ნაწერებშიც პოულობდნენ და ზოგ-ზოგნი, ასე განსაჯეთ, "ახალგაზრდა" და "დაღვინებულ" მარქსსაც კი განასხვავებდნენ. ერთი რამ ცხადია: თავად სჯეროდა, რომ სოციალიზმის ახალ, მეცნიერულ მიმდინარეობას დაუდო საფუძველი, რამდენადაც საზოგადოებრივი და ისტორიული განვითარების არსის ამოცნობა ეწადა და არა მხოლოდ კაპიტალიზმის მანკიერებათა კრიტიკა — ასე ვთქვათ, ზნეობრივი პოზიციებიდან. მარქსის იდეები, განსაკუთრებით მისი სიკვდილის შემდგომ გახდა პოპულარული — მისი მუდმივი თანაავტორის, ენგელსის, გერმანელი სოციალისტის, კარლ კაუცკისა (1854-1938), და რუსი თეორეტიკოსის, პლენანოვის (1856-1918) შრომების წყალობით. ორთოდოქსული მარქსიზმი, ჩვეულებრივ, **დიალექტიკურ მატერიალიზმად** წოდებული, მოგვიანებით სწორედ საბჭოურ კომუნისტს დაედო საფუძვლად და ამ ვულგარულმა გადააზრებამ გაცილებით მეტი გავლენა იქონია *მექანიცისტურ თეორიებსა* და ისტორიულ დეტერმინიზმზე, ვინემ თავად მარქსის ნაწერებმა.

მარქსიზმის დამახასიათებელი ნიშნები

ისტორიული მატერიალიზმი: მარქსიზმის ქვაკუთხედი ისაა, რასაც ენგელსმა "ისტორიის მატერიალისტური გააზრება" უწოდა. იგულისხმება ეკონომიკური ცხოვრების მნიშვნელობა და ის პირობები, სადაც ადამიანები თავიანთ საარსებო საშუალებებს ქმნიან წარმოებისა და კვლავწარმოების გზით. მარქსის მტკიცებით, ეკონომიკური "ბაზისი" (წარმოების ფორმა ანუ ეკონომიკური სისტემა) იდეოლოგიურ და პოლიტიკურ "ზედაშენს" განაპირობებს. ამრიგად, საზოგადოებრივი და ისტორიული განვითარება ეკონომიკური და კლასობრივი ფაქტორებით განისაზღვრება. მოგვიანებით, მარქსისტებმა ეს მექანიკურად გაიაზრეს როგორც უპირობო მოცემულობა, თითქოსდა ეკონომიკური "კანონები" ისტორიის სვლას ადამიანთა ჩარევის გარეშე წარმართავენ.

დიალექტიკური ცვლილება: ჰეგელისა არ იყოს, მარქსსაც სჯეროდა, რომ ისტორიას დიალექტიკა ამოძრავებდა და დაპირისპირებულ ძალთა ურთიერთობის შედეგად საზოგადოება განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ავიდოდა. მატერიალისტური გაგებით, ეს მოდელი ისტორიულ ცვლილებას კლასთა ანტაგონიზმის სახედ, შინაგან დაპირისპირებად აღიქვამს. მართლმორწმუნე მარქსიზმი ("დიალექტიკური მატერიალიზმი") დიალექტიკას იმ ზოგად ძალად განიხილავს, რომელიც ბუნებრივ თუ საზოგადოებრივ პროცესებს წარმართავს.

გაუცხოება: ეს ცნება "ადრეულ" მარქსის უმთავრეს პრინციპთაგანია. კაპიტალიზმის პირობებში, შრომა უბრალოდ მექანიკური, მოსაბუხრებელი და უგულო საქმიანობაა. ამ გაგებით, მუშებს არც თავიანთი შრომის ნაყოფი აინტერესებთ, არც თავად შრომის პროცესი, და საბოლოოდ, საკუთარ თავს ვეღარც სოციალურად აქტიურ, შემოქმედ არსებებად აღიქვამენ. შესაბამისად, პიროვნული სრულფასოვნების და თვითრეალიზების უმთავრეს წყაროდ შემოქმედებითი, *განპიროვნებული* შრომა გვევლინება.

კლასთა ბრძოლა: კაპიტალისტურ საზოგადოებაში დაპირისპირების უმთავრესი მოხეზი — კერძო საკუთრების არსებობაა. სწორედ ამ ნიშნით

გაუცხოება (alienation): "განპიროვნებულობის" პროცესი ან მდგომარეობა; პიროვნების ჭეშმარიტი და არსებითი ბუნებისაგან განდგომა.

დიალექტიკური მატერიალიზმი: მარქსიზმის სახეობა, რომელიც მკაცრი დეტერმინიზმით ხასიათდება. ორთოდოქსურ კომუნისტურ ქვეყნებში, სახელმწიფო დონეზე თითქმის ოფიციალურ ფილოსოფიად იყო გამოცხადებული.

წინა დროს წარმოების საშუალებათა მფლობელ ბურჟუაზიას, იგივე კონტრაქტისტთა კლასსა და პროლეტარიატს შორის, რომელსაც საკუთრება და საკუთარი შრომის გაყიდვით გააქვს თავი. ბურჟუაზია მარჯული კლასია: სიმდიდრის წყალობით, მას ძალაუფლების კონტრაქტური ბერკეტები გააჩნია; სახელმწიფოს მეშვეობით — პოლიტიკურად თავად წარმართავს; ხოლო საყოველთაოდ "გაბატონებულ" იდეებით მარჯობა — იდეოლოგიურად ზეობის საშუალებასაც აძლევს.

ზღვრები ღირებულება: შუილი ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არსებულ კონფლიქტთანაა, რადგან მარქსიზმის თვალთახედვით, კონტრაქტის პირობებში მუშათა კლასი უცილობლად ჩაგრულია. თავად მარქსი აზრით, ყოველგვარი ღირებულება დოვლათის შექმნაზე დახარული შრომის თანაფარდია — ანუ, მოგებას დახარბებული კაპიტალისტი ღირებულებას იმით ქმნის, რომ თავის მუშებს იმაზე ნაკლებს უხდის, ვიდრე ისინი გამოიმუშაებენ. ამიტომაცაა კაპიტალიზმი საფუძველშივე განადგურებული — პროლეტარიატი მუდმივ ჩაგვრასა და დამცირებას ვერ შეუძლებს.

პროლეტარული რევოლუცია: მარქსის ურყევი რწმენით, კაპიტალიზმს დიდი ხანი უნდა გასდევდეს და პროლეტარიატის სახით მას საკუთარი „მესაფლავე“ უნდა მისი სიტყვით, კაპიტალიზმს ჯერ კიდევ გასაუღლელი ჰქონდა პროლეტარიატის არა ერთი და ორი სერიოზული კრიზისი, რასაც პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოს. მარქსს პროლეტარული რევოლუცია გარდაუვლად მიაჩნდა და მას წინასწარმეტყველებით, ეს რევოლუცია სწორედ წარმოების საშუალებების დასაუფლებლად ამტყდარი ჯანყის სახით განხორციელდებოდა. უცა, სიცოცხლის მიწურულს, უკვე სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის თეორიულ შესაძლებლობასაც არ გამოირიცხავდა.

კონკრეტული: მარქსი თვლიდა, რომ პროლეტარული რევოლუცია გარდამავალ პერიოდს უნდა გასდევდეს, როცა უფლებაყრებილი ბურჟუაზიის კონტრაქტული ქმედებთა გასაუფლებლად, „პროლეტარიატის დიქტატურა“ გახდება აუცილებელი. თუმცა, კლასობრივი დაპირისპირების განვითარება და მთლიანად კომუნისტური საზოგადოების გაბატონების უნებლად, ამგვარი პროლეტარული სახელმწიფოს არსებობაც თავისთავად უნდა დასრულდეს. კომუნისტური საზოგადოება უკლასო უნდა ყოფილიყო, სადა დოვლათი საყოველთაო საკუთრებად იქცეოდა, ხოლო „დოვლათისათვის“ შრომა — "სარგებლისთვის შრომად" გადაიქცეოდა და მარქსის დააკმაყოფილებდა ადამიანის ყოველგვარ მთხოვნილებას. მარქსის წინასწარმეტყველებით, ამით დასრულდებოდა, ადამიანსაც პირველი ნაბიჯი უნდა გადაეწყობა საშუალება, საკუთრი შესაძლებლობები სრულად გამოიყენებინა თავად განესახდვრა საკუთრი ბედობალი: "ყოველი ჩვენგანის უფლებაა თავისი უნარი გამოიყენოს, საყოველთაო განვითარების წინაპირობაა" (მარ-

კლასობრივი ცნობიერება: — მარქსისტული ტერმინი, რომელიც პიროვნების მიერ იმ კლასის ინტერესთა გაცნობიერებაზე მიუთითებს, რომელსაც მიეკუთვნება; მის შზადყოფნაზე, დაიცვას ეს ინტერესები. კლასობრივი ცნობიერების სინონიმი — "კლასობრივი თვითშეგნება".

შუილი მარქსიზმი

შუილი მარქსიზმის თეორიული მოძღვრება ცხოვრებაში საბჭოური უფროსი სახით გამოვლინდა — უპირველეს ყოვლისა, ორი საბჭოთა

3. პოლიტიკური იდეოლოგიები



იოსებ სტალინი (1879 - 1953)

სსრკ-ს პოლიტიკური ლიდერი 1924-53 წწ. (სტალინი მეტსახელია და "ფოლადის ადამიანს" ნიშნავს); გორელი ხარაზის შვილი. რევოლუციური საქმიანობისათვის სემინარი-იდან გაირიცხა და 1903 წელს ბოლშევიკებს შეუერთდა. 1922 წელს სტალინი კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად დაინიშნა. ლენინის გარდაცვალების შემდეგ სტალინიმა ტოტალიტარული დიქტატურა და "პიროვნების კულტმ" დაამყარა. მისი იდეოლოგიური

მემკვიდრეობა ახლოსაა დოქტრინასთან — "სოციალიზმ ერთ ცალკეულ ქვეყანაში, რომლითაც ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის, ანუ კულაკების (შექლებული გლეხობის) განადგურება გაპაროლებულია "კაპიტალიზმის მტრული ბანაკის" არსებობით. ამდენად, სტალინიმა თავისებურად გაგებულ იმარქსისტული "კლასობრივი ბრძოლის" იდეა, ტრადიციულ რუსულ ნაციონალიზმს მთარგო.

ლიდერის — ვ.ი. ლენინისა და იოსებ სტალინის უშუალო ძალისხმევით, ბოლო-ბოლო, XX საუკუნის კომუნიზმი მარქსიზმ-ლენინიზმად გარდაიქმნა და ამ საქმეში ლენინის წვლილი ის გახლდათ, რომ პარტიას "რევოლუციური და მქინავე რილი დააკისრა. როგორც ჩანს, პროლეტარიატის დიდი ბელადი შიშობდა, ბურჟუაზიული იდეებით დაბანგული მუშათა კლასი საკუთარ რევოლუციურ პროტენციას ვერ გაიაზრებს და "დახვსებულ პროფკავშირულ ცნობიერებას" აყოლილი, საერთოდ ვეღარ განვითარდება — საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას გადაყვება და კაპიტალიზმის დასაფლავების საკითხიც იქით დარჩებაო. აი, სწორედ აქ იყო აუცილებელი მარქსიზმით შეიარაღებული რევოლუციური პარტია — როგორც "მუშათა კლასის ავანგარდმ". ეს სრულიად ახალი ფაიდის პარტია უნდა ყოფილიყო: არა მრავალრიცხოვანი, არამედ ერთ მუშტად შეკრული, იდეოლოგიური წინამძღოლობისათვის შესაფერისი, პროფესიონალი რევოლუციონერებით დაკომპლექტებული ჯგუფი. ორგანიზაცია დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს უნდა დაფუძნებოდა, — აზრის გამოთქმა ყველას შეეძლო, ოღონდ ქმედება უნდა ყოფილიყო ერთიანი. მართლაც, როცა ლენინის ბოლშევიკებმა, 1917 წ. ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, თავი მქინავე, მუშათა კლასის ინტერესთა დამცველ პარტიად გამოაცხადეს.

თუმცა, 30-იანი წლების სტალინურმა „მეორე რევოლუციამ“ სსრკ-ს სახის შესაქმნელად მეტი გააკეთა, ვიდრე 1917 წლის ბოლშევიკურმა რევოლუციამ. სტალინიმა ორთოდოქსული კომუნიზმის ის ქარგა მოიგონა, რაზედაც II მსოფლიო ომის მერე მთელი აღმოსავლეთ ევროპა და ჩინეთი, ჩრდილო კორეა და კუბა გამოიჭრა. ე.წ. "ეკონომიკური სტალინიზმმ" 1928წ. დაიწყო "პირველი ხუთწლედის" შემოღებით, როცა ერთბაშად და მთლიანად მოისპო კერძო მეწარმეობა.

1928წ. ამას უკვე სოფლის მეურნეობის "კოლექტივიზაცია" მოჰყვა — ყოველი რესურსი სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარა და "ცენტრალური დაგეგმვის" პრინციპი შემოიღეს. სტალინისეული "პოლიტიკური გარდაქმნებიც" არანაკლებ ტრაგიკული იყო: 1930-იან წწ. სტალინიმა საბჭოთა

მარტინ ჰარკუზე (1898-1979)

პოლიტიკოსი, პოლიტიკოლოგი, პოლიტიკური თეორეტიკოსი, პოლიტიკის სკოლის დამფუძნებელი. პიტლერის გერმანული მარკუზე, 1934 წელს ა.შ.შ.-ში ცხოვრობდა. მან საზოგადოების იმგვარი ფორმა შეიქმნა, რომლისთვისაც მარტინ ჰარკუზე იყო ფროიდი და ჯეის ნაზარევი. 1960-იან წლებში მარკუზემ სახელი დაიდო მარტინ ჰარკუზე და მემარცხენეების მხარეზე გადავიდა და სტუდენტური მარტინ ჰარკუზე გერმ. განვითარებულ მარტინ ჰარკუზე საზოგადოებას მარტინ ჰარკუზის ყოფილი მომცე-

ელ სისტემაზე ზატავდა, რომელიც კამათსა და განსხვავებულ აზრს არ ცნობს და ოპოზიციას თრგუნავს. მარკუზეს იმედები უკავშირდებოდა არა პროლეტარიატს, არამედ მარგინალიზებულ ჯგუფებს — ისეთებს როგორებიცაა: სტუდენტობა, ეთნიკური უმცირესობები, ქალები ან თუნდაც, მესამე სამყაროს ქვეყნები. მისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომებია: "კონი და რეკლუცია" (1941), "ეროსი და ცივილიზაცია" (1958), ერთგანზომილებიანი ადამიანი: "განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოების იდეოლოგიის შესწავლა" (1964)



საკუთარ დიქტატურას დაუქვემდებარა და სამისოდ უამრავი მარტინ ჰარკუზის ფიზიკურ განადგურებასაც არ მოერიდა — პარტიის წევრების სახელმწიფო ჩინოვნიკებისა თუ სამხედრო პირების ჩათვლით. გამუდმებული თვითგაღების, დაშინებისა და რეპრესიების შედეგად, სტალინმა მარტინ ჰარკუზად, კლასიკური ტოტალიტარული დიქტატურა დაამ-

მარტალია, ორთოდოქსული კომუნიზმის სისასტიკე 1953წ. სტალინის ხელისუფლებიდან ერთად დასრულდა, მაგრამ ლენინური პარტიის უმთავრესი მარტინ ჰარკუზე (იერარქიული ორგანიზაცია და დისციპლინა) და ეკონომიკური მარტინ ჰარკუზე (სახელმწიფო კოლექტივიზაცია და ცენტრალური დაგეგმვა) მარტინ ჰარკუზედ ქვინააღმდეგებოდა რეფორმების აუცილებლობას. ეს მარტინ ჰარკუზე გამოჩნდა გორბაჩოვისეული პერესტროიკის დროს (1985-91), როცა მარტინ ჰარკუზე გვემიური ეკონომიკის სისუსტეების გამოვლენა და წნეხის ქვეშ მარტინ ჰარკუზე მყოფი პოლიტიკური ძალების გამონთავისუფლება მოხერხდა. ყოველ მარტინ ჰარკუზე საბჭოური კომუნიზმს იქ მიუჩინა ადგილი, რასაც ტროცკი თავის მარტინ ჰარკუზე და ხელ სხვა მისამართით, "ისტორიის სანაგვეს" უწოდებდა. ოღონდ მარტინ ჰარკუზე სტალინიზმის სული ჯერ კიდევ ტრიალებს როგორც საბაზრო მარტინ ჰარკუზეზე ორიენტირებულ ჩინეთში, ისე ჯერაც ორთოდოქსულ მარტინ ჰარკუზეში ჩარჩენილ ჩრდილოეთ კორეაში.

მარტინ ჰარკუზე

დასავლეთ ევროპაში მარტინ ჰარკუზის უფრო „რაფინირებული“ ფორმა გავრცელდა: საბჭოური მარტინ ჰარკუზის მექანიციური, ერთი შეხედვით მეცნიერული დებულებების საპირისპიროდ, დასავლური მარტინ ჰარკუზის ჰეგელიანობის

პერესტროიკა (გარდაქმნა): ლოზუნგი და კონცეფცია, რაც ლიბერალიზაციის და დემოკრატიზაციის მცდელობას გულისხმობდა — ოღონდ საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ძველ, სოციალისტურ ჩარჩოებში

3. პოლიტიკური იდეოლოგიები



ედუარდ ბერნშტეინი (1850-1932)

გერმანელი სოციალური პოლიტიკოსი და თეორეტიკოსი, იმთავითვე გერმანული სოციალ-დემოკრატიული პარტიის (SDP) წევრი, ბერნშტეინი რევოლუციონიზმის ერთი მქეიანვე ამცველთაგანი იყო. იგი ორთოდოქსული მარქსიზმის გადაზრებასა და გათანამედროებას შეეცადა. ბერნშტეინზე გავლენა იქონია ბრიტანულმა ფაბიანიზმმა და კანტის ფილოსოფიამ. ბერნშტეინის ემპირიული

კრიტიკა ხაზს უსვამს კლასობრივი ბრძოლის არარსებობასა და ოციალზმზე შვეიღობიან, თანდათანობით გადასვლას წინასწარმეტყველებს. მისი მთავარი ნაშრომია "ევოლუციური სოციალიზმი" ([1898]. ედუარდ ბერნშტეინი ხშირად მიიჩნევა თანამედროვე სოციალდემოკრატიის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

მიმართულებით ვითარდებოდა და აქცენტს მარქსისეულ „ადამიან-შემოქმედზე“ აკეთებდა. ამ ტრადიციის თანახმად, ადამიანები ისტორიის შემოქმედნი არიან და არა მაროიონეტები, რომლებსაც ზეპიროვნული მატერიალური ძალები აკონტროლებენ. დასავლეთის მარქსისტები არ უარყოფდნენ, რომ არსებობს ურთიერთქმედება ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის, ცხოვრების მატერიალურ პირობებსა და ადამიანის უნარს შორის — განსაზღვროს საკუთარი ბედი. ოღონდ, მიუხედავად ამისა, თანამედროვე მარქსისტებმა მოახერხეს „ბაზის-ზედნაშენის“ უხეში ფორმულაზეც ეთქვათ უარი და ის თვალსაზრისიც უარყვეს, თითქოს კლასობრივი ბრძოლა სოციალური ანალიზის თავი და თავი იყოს. მსგავს იდეებს ზოგჯერ ნეომარქსიზმადაც მოიხსენიებენ ხოლმე.

ერთ-ერთი პირველი, ვინც მარქსიზმის ახლებურად, ჰუმანიტურ ფილოსოფიად გადაზრებას შეეცადა, უნგრელი გეორგ ლუკაში იყო (1885-1971). მას განსაკუთრებით აღიზიანებდა „განსაგნების“ პროცესი, როცა კაპიტალიზმი მუშის პიროვნების დეჰუმანიზაციას ახდენს, პასიურ ობიექტად, ანუ საბაზრო საქონლად აქცევს და მარქსის კვალად, ადამიანში მასაც შემოქმედის დანახვა სურდა. მარქსიზმის ხელახალი ინტერპრეტაცია სცადა იტალიელმა ანტონიო გრამშიმ, რომელმაც თავის „ციხის ჩანაწერებში“ მიუთითა, რომ კაპიტალიზმის სიმყარეს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თუ კულტურული ფაქტორებიც მნიშვნელოვნად განაპირობებს და ამ მოვლენას „იდეოლოგიური ჰეგემონია“ უწოდა.

მარქსიზმის უფრო მკვეთრად ჰეგელიანური განშტოება ე.წ. „ფრანკ-ფურტის სკოლაში“ ჩამოყალიბდა, რომლის მთავარმა წარმომადგენლებმა, თეოდორ ადორნომ (1903-1969), მაქს ჰორკჰაიმერმა (1895-1973) და ჰერბერტ მარკუზემ ე.წ. „კრიტიკული თეორია“ შექმნეს — მარქსისტული პოლიტიკონომიის, ჰეგელიანური ფილოსოფიისა და ფროიდისტული ფსიქოლოგიის ერთგვარი ნაზავი. მათმა შრომებმა XX საუკუნის 60-იანი წლების „ახალ მემარცხენეობაზე“ იქონია მნიშვნელოვანი ზეგავლენა. ფრანკ-ფურტის სკოლის კიდევ ერთი საყურადღებო წარმომადგენელია იურგენ ჰაბერმასი.

სოციალ-დემოკრატია

სოციალ-დემოკრატია არ არის თეორიულად ისეთი ერთიანი და მონოფორმული მიმდინარეობა, როგორც, ვთქვათ, კლასიკური ლიბერალიზმი ან ფუნდამენტალისტური სოციალიზმი. მაშინ როცა პირველი — იდეოლოგიულად ბაზარსა მიჯაჭვული, მეორე კი — საერთო საკუთრების იდეას ხელს უწყობს, სოციალ-დემოკრატია ბაზრისა და სახელმწიფოს როლის გაწონასწორებას ცდილობს, ბალანსის დაცვას პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. სოციალ-დემოკრატია ერთგვარი კომპრომისია — დოვლათის პოლიტიკის ერთადერთ საიმედო მექანიზმად ის კაპიტალიზმს აღიარებს, თუმცა სურს, ეს დოვლათი უფრო ზნეობრივი პრინციპებით გადაანაწილოს, ვიდრე საბაზრო კანონების მიხედვით. სოციალისტებისათვის საბაზრო ეკონომიკებზე გადასვლა რთული, ზოგჯერ შეუძლებელი პროცესიც აღიქვამდა — უფრო პრაქტიკული გარემოებებით და საარჩევნო პერიოდებში განპირობებული, ვიდრე იდეოლოგიური რწმენით. XX საუკუნე დასაწყისში, ამ ვითარების ნათელი გამოხატულება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეფორმისტული გეზი იყო, რაც პირველ რიგში ისეთი რევიზიონისტი მარქსისტების გავლენას უკავშირდება, როგორც ვლუარდ ბერნშტეინი გახლდათ. 1959წ., ბადგოდესბურგის კონგრესზე ამ პარტიამ ოფიციალურად უარყო მარქსიზმი და სრულიად ახალი ლიბერალიზმით გამოაცხადა: "კონკურენცია იქ, სადაც ეს შესაძლებელია, დაგვეტოვა — სადაც აუცილებელია. მსგავსი ცვლილებები შეინიშნებოდა იმ "ეთიკურ" (ეტიკურ) სოციალისტურ პარტიებშიც, მარქსიზმის შეუვალ ავტორიტეტს მარცხდამაინც არც არასოდეს რომ არ აღიარებდნენ. მაგალითად, ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტია, რომელიც მუდამ იზიარებდა ინდივიდუალური გარდაქმნების იდეას, 50-იანი წლებისთვის საკუთარი სოციალისტურობა ნაციონალიზაციის მოთხოვნებიდან თანასწორობის მოთხოვნაზე გადასვლით გამოხატა.

თანამედროვე სოციალ-დემოკრატთა უმთავრესი საზრუნავი საზოგადოებაში გარიყულთა და დაჩაგრულთა პრობლემებია. თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომ სოციალ-დემოკრატთა სოციალიზმის განხორციელებისთვის ხელაღებით ვერ გაეაიგივებთ მისთვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი თანამშრომლობისა და თანაგრძობის სოციალისტურ გაგება, ისე ლიბერალური თავისუფლებისა და თანაბარი შესაძლებლობების მოთხოვნებიც და აბსტრაქტულად, არც კონსერვატული პატერნალისტური ზრუნვის იდეაა უცხო, რაც არ უნდა იყოს, საყოველთაო კეთილდღეობის, სამართლიანი განაწილებისა და სოციალური თანასწორობის იდეებს იგი ყოველთვის უმხრობოდა და თანაც, დაწინაურებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში "დაცავთიფილებული უმრავლესობის" (გელბრაიტი, 1992) წარმომოხადა, სოციალისტური იდეების რევიზიის შემდგომი პროცესის აუცილებლობაც განაპირობა. ანუ, II მსოფლიო ომის მერე ფართოდ გავრცელებული ქეზნიანური სოციალ-დემოკრატის მიზანი კაპიტალიზმის "გადადამიანურება" გახდა — სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევის მეშვეობით; სჯეროდათ, რომ კომუნისტური ეკონომიკური პოლიტიკა უმუშევრობას მთლიანად მოსპობდა, უმრავლესი ეკონომიკური მოდელი მთავრობას საქმიანობის რეგულირებაში დაეხმარებოდა და ე.წ. პროგრესული დაბეგვრის გზით, მდიდრებსა და



ჯონ როულზი (1921-2002)

ამერიკელი მეცნიერი, პოლიტოლოგი. მისი მთავარი ნაშრომი — "სამართლის თეორია" (1970), საუკეთესოდ მიიჩნევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისურ ენაზე პოლიტიკური ფილოსოფიის დარგში შექმნილ ნაწარმოებთა შორის. მან ერთნაირად დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე ლიბერალებსა თუ სოციალ-დემოკრატებზე. როულზმა "სამართლის, როგორც სამართლიანობის" თეორია შემოგვთავაზა, რომელიც იმ რწმენას ეყრდნობა, რომ სოციალური უსამართლობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამართლდეს, თუკი ნაკლებად პრივილეგირებულითა სასარგებლოდა დაშვებული (ეთქვათ, მათთვის მუშაობის სტიმულის მისაცემად).

როულზისეული სამართლიანობის გაგება მისი რწმენიდან მომდინარეობს: იმ ადამიანთა დიდ ნაწილს, ვინაც წინდაწინ არაფერი იცის საკუთარი უნარისა და შესაძლებლობების თაობაზე, არა-ეგალიტარულ საზოგადოებაში ცხოვრებას ეგალიტარულში ცხოვრება ურჩევია; და რადგან ადამიანთა უმეტესობას, გამდიდრების სურვილზე მეტად, სიღარიბის შიში კლავს, სიმდიდრის გადაწაწილებისა და საყოველთაო კეთილდღეობისაკენ მოწოდებანი, შესაძლოა, სწორედაც რომ სამართლიანობის პრინციპს დაეყრდნოთ. როულზის ადრეულმა, უნივერსალისტურმა შეხედულებმა გარკვეულწილად ხირი იცვალა მის "პოლიტიკურ ლიბერალზიზმში" (1993)

ღარიბებს შორის განსხვავებას შეამცირებდა. თუმცა, ჩვენში დარჩეს, შემდგომ ეს თვალსაზრისიც გადასახედი და გადასასინჯი გაუხდათ.

საერთოდ, სოციალ-დემოკრატიის სოციალისტური ბუნება მუდამ საკამათო იყო. ზოგი სოციალისტი "სოციალ-დემოკრატის" სულაც საღანძღვ სიტყვად ხმარობდა და მასში უპრინციპო კომპრომისსა და თავად იდეის ღალატის ნიშნებსაც კი ხედავდა. სხვანი, ენტონი ქროსლენდის (1918-77) კვალად, ამტკიცებდნენ, რომ მათ ახალი ისტორიული რეალობისათვის უნდა გაესწორებინათ თვალი და ამიტომაც ხალხისთ აიტაცეს იმგვარი ლიბერალური თეორეტიკოსების ნააზრევი, როგორც ჯონ როულზი გახლდათ. თუმცა, XX საკ. 80-იანი წლებიდან მოყოლებული, სოციალ-დემოკრატიის პოზიციები აშკარად შეირყა და ამას მრავალი მიზეზი განაპირობებდა: უპირველესად, თავად კლასობრივ სტრუქტიურაში მომხდარმა ცვლილებებმა, თუნდაც ახალ პროფესიათა გაჩენისა და ეკლესიის შზარდი გავლენის განხრით, მუშათა ინტერესებზე დაფუძნებულ მათ საარჩევნო რიტორიკას საფუძველი გამოაცალა; მეორეც, გლობალიზაციამ ეკონომიკის სახელმწიფო მართვის ქენზიანური ფორმები უვარგისად წარმოაჩინა; მესამეც — ნაციონალიზირებული მრეწველობა და ეკონომიკური დაგეგმვა სრულიად არაეფექტური აღმოჩნდა, განვითარებულ ქვეყნებში მაინც; მეოთხე: კომუნისტების კრახმა არა მარტო სახელმწიფო კოლექტივიზაციის იდეური და ინტელექტუალური უდღეურობა გამოავლინა, არამედ საერთოდ ნებისმიერი სოციალისტური იერარქიული მოდელისაც. სწორედ მაშინ გაჩნდა ე.წ. "მესამე გზის" იდეა, რაც იქვე აიტაცეს პოლიტიკოსებმაცა და პოლიტოლოგებმაც.

მწარმეობის თეორია (entrepreneurialism): ფესულობები და გამოცდილება, რომლებიც მოგებაზე ორიენტირებული ბიზნესის საქმიანობასა და კომერციული რისკის გაწვევას უკავშირდება.

„მესამე გზა“ საკმარისად ბუნდოანია და მისი ახსნა სხვადასხვა-
 მხრივ შესაძლებელია. ეს მოძრაობა თავიდანვე განსხვავებულ იდე-
 ატურ ტრადიციებს ემყარებოდა — თანამედროვე ლიბერალიზმს,
 „მესამე გზის“ კონსერვატიულ პრინციპებსა თუ მოდერნიზებულ სოციალ-
 იზმს; ამასთანავე, „მესამე გზის“ კონცეფციები სხვადასხვა ქვეყნებში
 განსხვავებულმა პოლიტიკურმა ძალებმა წამოაყენეს: ა.შ.შ.-ში —
 „დემოკრატიკა“ და ბილ კლინტონმა, დიდ ბრიტანეთში „ახალმა
 ლაიბერალიზმმა“ და ტონი ბლერმა; თანდათანობით ეს იდეები გერმანიაში,
 იტალიასა და ახალ ზელანდიაშიც პოპულარული გახდა. ამგ-
 ევრივ განხილვის მიუხედავად, „მესამე გზის“ რამდენიმე ძირითადი
 მახასიათებელი მაინც შეიძლება გამოიკვეთოს: უპირველეს ყოვლისა,
 მისი მიზანია, როგორც იერარქიული სახელმწიფოს ჩარევის ფორმა, წარ-
 კვეთოს. ამასთანავე, გლობალიზაციაც თავის გზით მიდის — კაპი-
 ტალიზმს ეწინააღმდეგება და ეკონომიკაში გარდაიქმნა და მთავარი როლი საინფორმა-
 ციულ ტექნოლოგიებს, პიროვნულ უნარს, შრომისა და ბიზნესის გონივრულად
 მართვას უნიჭობა. მეორეც, ნეო-ლიბერალიზმისაგან განსხვავებით, ეს „მესამე
 გზა“ უპირობოდ აღიარებს სახელისუფლებო მართვის გადამწყვეტ როლს
 ეკონომიკაში და საზოგადოების ფუნქციონირებაში. თუმცა ახლა ეს როლი
 უფრო დაკონკრეტებულია: უმთავრესად, საზოგადოებაში განათლებისა და
 უსამუშაოების დანერგვის იმ დონის უზრუნველყოფა ევალება, რაც ქვეყანას
 კონკურენტუნარიანს გახდის საერთაშორისო ბაზარზე. ამ გაგებით, „მესამე
 გზა“ არა ლიბერალური საზოგადოებრიობის განხრავს, და მისი „ახალი
 ლიბერალიზმში“ ერთის მხრივ, უფლებებისა და მწარმეობის, ხოლო
 მეორის მხრივ — საზოგადოებრივი ვალდებულებებისა და ზნეობრივი პასუხ-
 ვალდებულების გაწინასწორებას მოითხოვს.

და ბოლოს, „მესამე გზის“ იდეოლოგიის კიდევ ერთ თავისებურებას
 სოციალისტური ევალიტარიზმის (ასე ვთქვათ, „გამთანაბრებლობის“
 იდეოლოგიის) უარყოფა, თანაბარი შესაძლებლობებისა და მერიტოკრატიის
 სოციალური პრინციპების აღიარება წარმოადგენს; მის მიმდევრებს კი
 უფროდ საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად გამიზნულ რეფორმებზე
 უფრო მეტი აქცია. მათ არც ნეოლიბერალთა „ორივე ფეხით მყარად დგომის“
 იდეას ზიზღავთ, არც სოციალ-დემოკრატთა „სიკვდიმდე ზრუნვის“
 კონსერვატიული ეჭაბუკობა გულზე; სამაგიეროდ, თანამედროვე იბერალთა
 იდეას — „ხალხს დაეხმარე, საკუთარ თავს დაეხმაროს“ მათვის
 უფრო ატრაქტიულია და ბილ კლინტონის თეზაც — „კაცს ხელი კი არ
 უჭერო, ხელი გამოადებინე!“ — ლამის ლოზუნგად აქვთ ატაცებული.
 მეტი მათი გაგებით, სახელმწიფო ფუნქციის სკას უნდა დაემსგავსოს —
 „საუფლოლო შრომა“ უნდა სუფევდეს და ხელისუფლება აუცილებელი
 ცხოვრების მიღებასა და თავის რჩენის საშუალებას უნდა იძლეოდეს,
 თანამედროვე კი უკვე პიროვნულ უნარზეა დამოკიდებული. „მესამე გზის“ კრი-
 ტიკოსები მიუთითებენ, რომ აქ შინაგანი წინააღმდეგობაა: იგი ერთსა და
 იმავე დროს თავისუფალი ბაზრის დინამიურობას უწყევს რეკლამას და თან
 მისი თანამედროვე სოციალური გათიშულობით გვაშინებს — ე.ი. ეს მიმდინარე-

მესამე გზა

მესამე გზა კაპიტალიზმისა
 და სოციალიზმის
 თავისებურ ალტერნატივას
 წარმოადგენს. იგი ისეთ
 იდეოლოგიურ პოზიციაზე
 ამხვილებს ყურადღებას,
 რომელიც მუდამ იზიდავდა
 სხვადასხვა ტრადიციის
 პოლიტიკურ მოაზროვნეებს
 — ფაშისტებს, სოციალ-
 დემოკრატებს, მოგვიანებით
 კი პოსტ-სოციალისტებსაც.
 თანამედროვე ფორმით,
 მესამე გზა ძველებური
 სოციალური დემოკრატიისა
 და ნეოლიბერალიზმის
 ალტერნატივაცაა.
 სოციალური დემოკრატია
 უარყოფილია სახელმწიფო
 სტრუქტურებთან მისი
 კავშირის გამო, რაც
 თანამედროვე ცოდნაზე
 დაფუძნებული და ბაზარზე
 ორიენტირებული ეკო-
 ნომიკისათვის მიუღებელია;
 ხოლო ნეოლიბერალიზმზე
 უარის თქმა კი — იმ
 „შეტისმეტი თავი-
 სუფლების“ მიზეზით რაც
 საზოგადოების მორალურ
 საფუძვლებს უთხრის ძირს.
 მესამე გზისთვის ძირითადი
 ფასეულობებია: ყოველი
 ადამიანისთვის შანსის
 მიცემა, მისი პასუხის-
 მგელობა და
 საზოგადოებაში
 თანაცხოვრების უნარი.
 მართალია, მესამე გზას
 ხშირად „ახალ“ ან მოდერ-
 ნიზებულ სოციალ-დემოკრა-
 ტიად იხსენიებენ, მისი
 კრიტიკოსები მაინც ამტ-
 კიცებენ, რომ ის
 საბოლოოდ გაემიჯნა
 სოციალისტურ ტრადიციას
 და მილიანად საბაზრო და
 კერძო სექტორის პოლი-
 ტიკისაკენ გადაიხარა.

3. პოლიტიკური იდეოლოგიები

ადოლფ ჰიტლერი (1889-1945)



გერმანელი ნაცისტი დიქტატორი, ავსტრიელი მეზაჟის შვილი. 1919 წელს შევიდა "გერმანელ მუშათა პარტიაში" (შემდგომში — გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია) და 1921 წელს მისი ლიდერიც გახდა. 1933 წელს ჰიტლერი გერმანიის კანცლერად აირჩიეს, უკვე მომდევნო წელს, ერთპარტიული დიქტატურის დამყარებისთანავე, მან თავი ფიურერად (ბელადად) გამოაცხადა. ჰიტლერის მსოფლმხედველობის არსი, რაც მის

Mein Kampf-Sia [1925] გადმოცემული, გერმანული ექსპანსიონისტური ნაციონალიზმისა და ძლიერი ანტისემიტიზმის შერწყმის მცდელობაა — ისტორიის ისეთი თეორიის შესაქმნელად, სადაც ებრაელებსა და გერმანელებს, ანუ - ბოროტ და კეთილ ძალებს — შორის მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს. ჰიტლერის პოლიტიკის უშუალო შედეგი იყო მეორე მსოფლიო ომის და ე.წ. პოლოკოსტიც ("ებრაელთა სასაკლავო").

ობა არათუ მემარცხენე-ცენტრისტული არაა, პირიქით — მკვეთრად იხრება მემარჯვენეობისაკენ. ასევე, მას ნეოლიბერალიზმთან არშიფობასაც საყვედურობდნენ, განსაკუთრებით — გლობალური კაპიტალიზმის ქადაგებასა და ფარული ავტორიტარიზმის მხარდაჭერაში სდებდნენ ბრალს: აქაოდა, ოჯახის როლის წინ წამოწევა სურთ და საზოგადოებრიობის მოთხოვნას აყოლილები, "ძლიერი ხელის" პოლიტიკას ემხრობიანო.

სხვა იდეოლოგიური მოძღვრებები

ფაშიზმი

ლიბერალიზმის, კონსერვატიზმისა და სოციალიზმის ისტორია XIX საუკუნიდან იღებს სათავეს, ფაშიზმი კი XX საუკ. პირშმოა. ზოგის აზრით, ეს პირწმინდად ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში გაჩენილი ფენომენია; მართალია, ფაშიზმის ელემენტები XIX საუკ. ბოლოსაც შეინიშნებოდა, მაგრამ მათი გაერთიანება მხოლოდ I მსოფლიო ომისა და უშუალოდ ომისშემდგომი კატაკლიზმებით მდიდარ ეპოქაში მოხდა. ამ მოძღვრების ორი ძირითადი გამოვლინება მუსოლინის ფაშისტური დიქტატურა იყო 1922-43წწ. და ჰიტლერის ნაცისტური დიქტატურა — 1933-45წწ. ნეო-ფაშიზმისა და ნეონაციზმის სხვადასხვა ფორმამ, ეკონომიკური კრიზისისა და პოლიტიკური არასტაბილურობის ერთობლიობის სახით, XX საუკ. მიწურულს — კომუნისმის კრახის შემდგომაც იჩინა თავი.

მრავალი თვალსაზრისით, ფაშიზმი, ზოგადად, საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ დასავლეთის პოლიტიკურ აზროვნებაში გაბატონებული იდეებისა და ღირებულებების წინააღმდეგ მიმართული ჯახყი იყო და იტალიელ ფაშისტთა დევიზი — "1789 წელი მოკვდა!" — ფარზე ჰქონდა ატანილი. ისეთი ღირებულებები, როგორცაა რაციონალიზმი, გონიერება, პროგრესი, თავისუფლება და თანასწორობა, ახლა ახალი ღირებულებების —

ჰენრი უოლსტონკრაფტი (1759-97)

ინგლისელი სოციალ-თეორეტიკოსი და ფემინისტი. მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა რუსოს ფემინისტულმა რადიკალიზმმა. კლარკ საარჩევნო უფლებებისათვის ბრძოლის დაწყებამდე 50 წლით ადრე პირველმა შეიმუშავა სისტემაური ფემინისტური მიდგომა. მის უძველეს ნაშრომს — "ქალთა უფლებების დასტურად" [1792]

ლოკისეული ლიბერალიზმის კვალი ემჩნევა და ხაზგასმულია სქესთა თანაბარუფლებიანობა, განსაკუთრებით კი ქალთა უფლება განათლებაზე, რაც "პიროვნულობის" ცნებითაა განპირობებული. სხვათა შორის, მერი უოლსტონკრაფტი ცნობილი ანარქისტის, უილიამ გოდვინის მეუღლე და ფრანკენშტეინის ავტორის, მერი შელის დედა იყო.



სუბორბის, ბელადობის, ძალაუფლების, გმირობისა და ომის სახელით ფრაგმენტი. ამ გაგებით, ფაშიზმი "ანტიმოდერნობა" და მისი მთავარი მახასიათებელი კი — დაპირისპირება: კაპიტალიზმთან, ლიბერალიზმთან, ინდივიდუალიზმთან, კომუნისმთან და ა.შ. უმთავრესი, რაც მის ნებისმიერ კონტრასტსთან სდევს, "ძალის ერთობის" რწმენით გამოიხატული ორგანული ერთეული მთლიანობის მოდელია, ხოლო პიროვნება, როგორც ასეთი, თავის ნაშნავს — ის მთლიანად უნდა გაითქვიფოს საზოგადოებასა თუ სახელმწიფო სოციალურ ჯგუფში. ფაშიზმის იდეალი "ახალი ადამიანია" — ერთიანი მოვლესაც მოვლევობა, ღირსება და თავგანწირვა ამოძრავებს; მზადაა ემსახუროს რასის სადიდებლად დაუფიქრებლად გაწიროს თავი და უზენაესი ღირსების ნებასაც უყოყმანოდ დაემორჩილოს.

შეგრამ არც ფაშიზმშია სრული ერთობა: იტალიური ფაშიზმი, მსგავსად სტალინიზმის უკიდურესი გამოვლინება იყო და ტოტალიტარული სახელმწიფოს უპირობო პატივისცემას, აბსოლუტურ ერთგულებას ემყარებოდა. როგორც ფაშისტ-ფილოსოფოსი ჯენტილე (1875-1944) ამბობდა, "საბოლოო სახელმწიფოსთვის; არაფერი მის საწინააღმდეგოდ; არაფერი — არც კარგაა".

მეორეს მხრივ, გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი, უმთავრესად, მისივე თეორიაზე იყო აწყობილი. მის ორ უმთავრეს გამოვლინებას წარმოადგენდა არიანიზმი (გერმანული რასის უზენაესობის რწმენა და მის მიერ "უფლებილი ბატონობის" პრეტენზია) და უკიდურესი ანტისემიტიზმი (იხ. გვ. 100) — ებრაელთა იმთავითვე ყოველგვარი ბოროტების წყაროდ დასახვა და მათი მზანძმობაროული განადგურება. ეს ბოლო თეზა ე.წ. "საბოლოო გადაწყვეტის" გეგმაშიც გამოიხატა.

ანარქიზმი

პოლიტიკურ იდეოლოგიებს შორის ანარქიზმი უნიკალურია ერთი თვალსაზრისით - არც ერთი ანარქისტული პარტია არასოდეს ყოფილა ხელისუფლების სათავეში, სულ მცირე ეროვნულ დონეზეც კი. მიუხედავად ამისა, ანარქიზმი საკმაოდ გავლენიან მოძრაობას წარმოადგენდა, ეთქვას, ესპანეთში, საფრანგეთში, რუსეთსა თუ მექსიკაში. ანარქიზმი დღემდე ჯიუტად ამტკიცებს იმ შეხედულებას, თითქოსდა საზოგადოებას კანონის, ხელისუფლებისა და სახელმწიფოს გარეშე შექმლოს არსებობა. ანარქიზმის მთავარი თემა — პოლიტიკური ხელისუფლების ნებისმიერი გამოვლინების უარყოფაა, განსაკუთრებით კი, სახელმწიფოს სახით („ანარქია“ — სიტყვასიტყვით — „მმართველობის არარსებობას“ ნიშნავს). ანარქისტების აზრით, შესაძლებელია საზოგადოების არსებობა სახელმწიფოს გარეშე, როდესაც ადამიანები თავად მოაწყობენ საკუთარ ბედს ერთმანეთთან ნებაყოფლობითი თანამშრომლობის საფუძველზე და ეს მოსაზრება ორი, ურთიერთ საწინააღმდეგო ტრადიციის გამოძახილია: ლიბერალური ინდივიდუალიზმისა და სოციალისტური საზოგადოებრიობის. ასე რომ, ანარქიზმი ერთგვარი საშუალებო რგოლია ლიბერალიზმსა და სოციალიზმს შორის — „ულტრალიბერალიზმსა“ და „ულტრასოციალიზმის“ თავისებური ნაზავი.

ლიბერალიზმის მხრივ სახელმწიფოსათვის წაყენებული მოთხოვნა ინდივიდუალიზმსა და მაქსიმალურ თავისუფლებას, არჩევანის შეუზღუდაობას გულისხმობს. ლიბერალთაგან განსხვავებით, ანარქიზმის თეორეტიკოსები, ეთქვას, უილიამ გოდენი (1756-1836) მიიჩნევენ, რომ თავისუფალი და რაციონალური ადამიანები მშვიდობიანად და სწრაფად მოახერხებენ საკუთარი საქმეების მოგვარებას, სახელმწიფო კი უბრალოდ ხელს შეუშლით ამაში. თანამედროვე ინდივიდუალისტები ხშირად იშველიებენ ბაზრის ცნებას, იმის ასახსნელად, თუ როგორ შეიძლება საზოგადოების მართვა სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე და „ანარქოკაპიტალიზმის“ — თავისუფალი ბაზრის ამ უკიდურესი ფორმის მოდელს გეთავაზობენ. თუმცა, უფრო ცნობილი და აღიარებული ანარქისტული ტრადიციაც არსებობს, რომელიც თანამეგობრობას, თანამშრომლობას, თანასწორობასა და საზოგადოებრივი საკუთრების სოციალისტურ იდეებს ემხრობა. ამ ყაიდის ანარქისტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებას სოლიდარობისადმი, რაც კაცის, გულდია, გახსნილი, არსებითად თანამშრომლობის მოსურნე ხასიათიდან მოდის. ამისდა კვალად, ფრანგი ანარქისტი პიერ-ჟოზეპრუდონი შეეცადა განვეითარებინა „ურთიერთმოსურნეობის“ (mutualism) თეორია, რომელშიც ამტკიცებდა, რომ გლეხების და ხელოსნების პატარა-პატარა ამხანაგობებს სავსებით შეუძლიათ თავიანთი საქმეები პატიოსანი და თანაბარი, ნატურალური აღებ-მიცემობის საფუძველზე მოავგარონ, და ყოველგვარი კაპიტალისტური ექსპლოატაცია თუ უსამართლობა აცილონ თავიდან. მეორე ცნობილი ანარქისტი, რუსი პიოტრ კროპოტკინი (1842-1921), ანარქოკომუნის თეორეტიკოსია. მისი მთავარი პრინციპები საერთო საკუთრება, დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობაა. ანარქიზმის თანამედროვე მიმდევრები არიან აგრეთვე, ნიამ ხომსკი და ამერიკელი ლიბერტალისტი და სოციალ-ეკოლოგისტი მიურეი ბუქჩინი (1921-2006).

ფემინისტური განწყობილებები ჯერ კიდევ ძველ ჩინეთში ჩანდა, ხოლო მის უკვე თეორიად ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მერი ჯონსტონ კრაფტის წიგნმა "ქალთა უფლებების დასტურად" (1702წ.). ამ წიგნს განსაკუთრებით ფართო აუდიტორია 1840-1850 წლებში მოიპოვა, როცა დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში სუფრაჟისტების მოძრაობამ იჩინა თავი და ან ფემინიზმის პირველი ტალღაც აგორდა. ოღონდ XX საუკუნის პირველ ნახევარში, საარჩევნო უფლებების მოპოვებამ დასავლეთის ბევრ ქვეყანაში, კვლავ მოძრაობა საკმაოდ დაამორა თავის პირველად მიზანს და უმთავრეს შემთხვევაში 1960 წლიდან კი იწყება "ფემინიზმის მეორე ტალღა". ამ დროიდან კვლავ განათავისუფლებული მორაობა უფრო რადიკალური, ზოგჯერ — სულაც მითხოვნილობის კი გამოირჩევა. ფემინიზმის თეორიები და პრაქტიკა საკმაოდ წინააღმდეგობრივია, თუმცა ერთი ნიშანი ყველას ერთნაირად — საზოგადოებაში ქალის როლის გაზრდის მოთხოვნაა. ფემინისტური პრაქტიკებს ერთი აკვიატებული იდეა ახასიათებს — სქესობრივი უთანასწორობა, მამაკაცის ქალზე ბატონობის სისტემა — ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაინგრესო.

თავლმისაცემია სულ ცოტა, სამი ურთიერთსაპირისპირო ფემინისტური ტენდენცია: ისეთი თავგადაკლული ლიბერალ-ფემინისტები, როგორებიც არიან ჯონსტონ კრაფტი და ბეტი ფრიდენი ქალთა დაქვემდებარებულ მდგომარეობას ძირითადად, საზოგადოების მიერ უფლებებისა და შესაძლებლობების უთანასწორო გადანაწილებაში ხედავენ. ეს "თანასწორ-უფლებანობის ფემინიზმი" არსებითად რეფორმისტული ხასიათისაა — მას უარტყდა, საჯარო სფეროს რეფორმირება აინტერესებს, ანუ ქალთათვის სამართლებრივი და პოლიტიკური სტატუსის გათანაბრების სურვილი, თუმცა განათლებისა თუ სამსახურობრივი წინსვლის შესაძლებლობის უზრუნველყოფა და არა პირადი თუ ოჯახური ცხოვრების ახალ თარგზე გადასვლა ამის საწინააღმდეგოდ, სოციალისტ-ფემინისტები, როგორც წესი, კვლავ დაქვემდებარებულ მდგომარეობასა და წარმოების კაპიტალისტურ წესს უარს ეყრდნობენ ამაზვილებენ ყურადღებას: დიასახლისი ქალი, ზოგადად, უნაღობის ზერზემალაია, ვინაიდან მშრომელ კაცს საოჯახო ტვირთისაგან თავისუფლებს, პროლეტარიატის ახალ თაობებს ზრდის და თავადაც მშობლთა არმიის რეზერვის ფუნქციას ასრულებსო.

ხოლო რადიკალ-ფემინისტებს უკვე მიაჩნიათ, რომ პოლიტიკური უთანასწორობის საზოგადოებაში უმნიშვნელოვანეს წინააღმდეგობას გენდერული დაყოფა ქმნის. როგორც ამტკიცებენ, ნებისმიერი საზოგადოება — კაპიტალიზმისა და თანადროულიც — პატრიარქალურია და კვიტ მიღეს თუ დაუტკობს, "კაცობრიობის მდგომარეობაზე ნახევარზე მუდამ მამრი მეორე ნახევარი ბატონობდა". ამრიგად, ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აუცილებელია "სულადური რევოლუცია", რაც პირად, კერძო თუ ოჯახურ ცხოვრებას კარზე დააყენებდა და რადიკალური ფემინიზმის ლოზუნგიც სწორედ ასე უნდა იყოს: "ყოველივე პირადი — უკვე პოლიტიკაა". ოღონდ ისიც კი მხოლოდ იმის უკიდურეს გამოვლინებებში თუ აცხადებს, რომ მამაკაცი "ქალის მტერია" და "მამრი საზოგადოებიდან" ქალთა განსვლას მოითხოვს. ისე, ამგვარიც კვლავ და ეს უკვე ლამის პოლიტიკური ლესბიანობის ფორმას იღებს.

3. პოლიტიკური იდეოლოგიები

ინვაირონმენტიზმი

ეკოლოგია, ეკოლოგიზმი

(ბერძნული Oikos და Logos, სიტყვა-სიტყვით "საცხოვრებლის შესწავლას" ნიშნავს); ეკოლოგია ცოცხალ ორგანიზმებსა და მათ სარსებო გარემოს შორის ურთიერთობათა შესწავლაა. ამდენად, მას სიცოცხლის ნებისმიერი ფორმა და ბუნებაში მიმდინარე ურთიერთ-დაკავშირებული პროცესები აინტერესებს. ეკოლოგია (ეს ტერმინი პირველმა ერნსტ ჰეკელმა გამოიყენა 1873წ.) მეცნიერებად, შეფასებით პრინციპად, და ასე განსაჯეთ, მორალურ ფასეულობადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. ეკოლოგიზმი პოლიტიკური დოქტრინა ან იდეოლოგიაა, რომელიც

ეკოლოგიური ვარაუდების საფუძველზე იგება, განსაკუთრებით კი ვარაუდზე ადამიანთა მოდგმასა და ბუნებრივ სამყაროს შორის არსებითი კავშირის შესახებ: ადამიანი ბუნების ნაწილია და არა მისი "შბრძანებულმ". ხშირად ეკოლოგიზმს იმით განასხვავებენ ინვაირონმენტალიზმისაგან, რომ პირველი მხოლოდ ბიოცენტრულ ანუ ეკოცენტრულ პოზიციას აღიარებს, ხოლო მეორეში, უპირატესად, ბუნების დაცვა იმ კუთხით მოიაზრება, რომ საბოლოო ჯამში, ეს ისევ ადამიანის კეთილდღეობას ემსახუროს.

იმის მიუხედავად, რომ ინვაირონმენტიზმს (Environmentalism) ჩვეულებრივ, ეკოლოგიურ, ანუ სხვანაირად, "მწვანეთა მოძრაობის" გაჩენას უკავშირებენ და სრულიად ახალ იდეოლოგიად მიიჩნევენ, მისი წარმოშობა, კაცმა რომ თქვას, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, ინდუსტრიალიზაციის საწინააღმდეგო გამოსვლებს უკავშირდება. ზოგადად, "მწვანეთა" იდეოლოგია იმ ზიანის წინააღმდეგ იმართლებს ხმას, რაც მზარდმა ეკონომიკურმა განვითარებამ მიაყენა ბუნებრივ გარემოს (განსაკუთრებით, XX საუკ. მეორე ნახევრიდან, როცა დედამიწას ბირთვული ტექნოლოგიები, მკვება-წვიმები, ოზონის ზგრეული, გლობალური დათბობა და სხვა ათასი საფრთხე დაემუქრა); გარემოს დამცველთა იდეოლოგიის თანახმად, დღის წესრიგში უკვე საერთოდ ადამიანის არსებობის საკითხი დგას, ოღონდ მსგავსი პრობლემების დასმა ხშირად ჩვეულ იდეოლოგიურ კლიშეებს ვერ ცდება: მაგალითად, *ეკოსოციალიზმი* გარემოს განადგურებას კაპიტალიზმის სიხარბით ხსნის, ხოლო *ეკოკონსერვატიზმი* საკუთარ მოთხოვნებს — გარემოს თუნდაც დღევანდელი სახით შენარჩუნებას — ტრადიციული ღირებულებებისა და წეს-ჩვეულებათა ერთგულებით ამართლებს.

რაც შეეხება *ეკოფემინიზმს*, ეკოლოგიური კრიზისის მიხედვით იგი მამაკაცთა ძალაუფლებას ხედავს — აკი ის ნაკლებ მგრძობიარეა, და შესაბამისად, ქალზე ნაკლებ ადარდებს ბუნებაში მიმდინარე კატაკლიზმებში.

ისიც ითქვას, ინვაირონმენტიზმი სხვა იდეოლოგიებისათვის დამახასიათებელი *ანთროპოცენტრისტული* ანუ, ადამიანზე დაციკლული მიდგომის თავისებური ალტერნატივაა, და მას ბუნებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება არ ახასიათებს, პირიქით — ადამიანს იგი ბუნების მხოლოდ ერთ შემადგენელ ნაწილად განიხილავს. ამ სფეროში ყველაზე ცნობილ თეორიათაგანი ჯეიმზ ლავლოკისეული, ე.წ. "გაიას" ჰოპოთეზაა — დედამიწა ერთიანი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც თავად ზრუნავს საკუთარი თავის გადარჩენაზე. სხვანი — აღმოსავლურ რელიგიებს იშველიებენ და *დაიზმისა* თუ *ძენ ბუდიზმის* კვალად — ერთიანი სიცოცხლის პრინციპს აღიარებენ. არარადიკალ ეკოლოგისტებს, ანუ ე.წ. "ღია-მწვანეებს" სჯერათ, რომ ადამიანს პირადი ინტერესი და საღი აზრი მიიყვანს ეკოლოგიურად გამართლებულ პოლიტიკასა თუ ცხოვრების ჯანსაღ წესამდე. ხოლო უფრო რადიკალური ფრთა, ანუ "მუქი-მწვანეებმ" ამტკიცებენ, ძირეული რეფორმებისა და აქცენტების სრული გადანაცვლების გარეშე, პლანეტაც დაიდუქება და შესაბამისად, ადამიანიცო, სხვათა შორის, ორივე ამ ფრთის წარმომადგენლებს ნახავს კაცი იმ "ანტიპოლიტიკურ" მწვანეთა პარტიების რიგებში, მთელს ევროპაში სოკოებივით რომ მომრავლდნენ XX საუკ. 70-იანი წლებიდან.

რელიგიური ფუნდამენტალიზმი

რელიგიასა და პოლიტიკას ბევრი აქვთ საერთო და უმთავრესი იდეოლოგიური ტრადიციების შექმნაშიც ლომის წილი უდევთ. ეთიკური სოციალიზმი, მაგალითად, სხვადასხვა რელიგიური წყაროდან საზრდობდა და მუშავდა ქრისტიან-სოციალიზმის, ისლამური სოციალიზმისა და სხვა რწმენის სახით გამოვლინდა. პროტესტანტულმა რწმენამ პიროვნული პატივების შეფასებისა და საკუთარი თავის სრულყოფის იდეების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი — შედეგად, პოლიტიკური თვალსაზრისით, ის უკვე რუსიკურ ლიბერალიზმში გაცნაურდა. ოღონდაც, რელიგიური ფუნდამენტალიზმი, ამის საწინააღმდეგოდ, პოლიტიკას (და ასევე, პიროვნული თუ საზოგადოებრივი არსებობის ნებისმიერ გამოვლინებას) მეორადად მიიჩნევს რელიგიური დოქტრინით "გაცხადებულ" ჭეშმარიტებასთან შედარებით. ამ მხრივ, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება მხოლოდ იმ საზღვრებში უნდა აშენდეს, რაც მრწამსის ძირითად პრინციპებს ესადაგება. რადგან ამგვარი პრინციპების უკვე გარკვეულ მსოფლმხედველობად გარდაქმნა შესაძლებელია, თავის მხრივ, რელიგიური ფუნდამენტალიზმიც დღევანდელი რელიგიისაგან იფარება.

საიდან იღებს სათავეს რელიგიური ფუნდამენტალიზმი და რით მუშაობს აიხსნას მისი გააქტიურება XX საუკ. მიწურულს? არსებობს ორი ურთიერთდაპირისპირებული აზრი, რომ ა) ეს უბრალოდ, ერთგვარი გადახრაა, საზოგადოების მყისიერი რეაქციაა თანადროულ სეკულარულ (საერო) კულტურაზე; ბ) ფუნდამენტალიზმი მუდმივი მოვლენაა, ზოგადად სეკულარიზმის მარცხის ბუნებრივი შედეგი, რადგან ის, ადამიანის უფრო მაღალი, ანუ "სულიერი ჭეშმარიტებისაკენ" ლტოლვას ვერ აკმაყოფილებს.

რელიგიურმა ფუნდამენტალიზმმა მსოფლიოს არაერთ კუთხეში აიხსნა თავი. ქრისტიანული ფუნდამენტალიზმი, მაგალითად, ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობის სახით, XX საუკუნის 70-იანი წლების შეერთებულ შტატებში გამოვლინდა. მისი მიმდევრები აბორტის აკრძალვას, სკოლებში ლოცვების კითხვასა და საზოგადოების ტრადიციული, ოჯახური ფასეულობებისაკენ შემობრუნებას მოითხოვდნენ. ისრაელში, ებრაული ფუნდამენტალიზმი მას შემდეგ გაძლიერდა, რაც პალესტინელებმა ისრაელისაგან აღთქმული მიწის ნაწილის დათმობა მოითხოვეს. ინდუისტური ფუნდამენტალიზმი დასავლური სეკულარიზმის პროტესტის ნიშნად კი გაჩნდა, თუმცა, იმავე დროს, არც მეტოქე სარწმუნოებებთან — სიქიზმთან და ისლამთან — შეუწყვეტია ბრძოლა.

თანამედროვე ფუნდამენტალიზმის ყველაზე დიდ პოლიტიკურ ძალად, უდავოდ მაინც ისლამური ფუნდამენტალიზმი რჩება. თავად იდეა, რომ ისლამი "მებრძოლი სარწმუნოებაა" და მთელი პოლიტიკაც ამ სარწმუნოებრივ პრინციპებზე უნდა აიგოს, ნათლად გამოჩნდა საიდ კუტბის (1906 — 1966) მსგავს მოაზროვნეთა ნაწერებსა და მუსლიმი ძმების სახელით ცნობილი ორგანიზაციის პრაქტიკულ ქმედებებში. ისლამური ფუნდამენტალიზმის ძირისძირი იდეა, შარიათის კანონებზე დაფუძნებული სრულიად ისლამური ქვეყნიერებაა. პოლიტიკური ისლამის აღმასვლას დიდად შეუწყო ხელი 1979

სეკულარიზმი:

თვალსაზრისი, რომ რელიგია საერო საქმიანობაში არ უნდა ეროდეს; როგორც წესი, ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის მცდელობა.

ანთროპოცენტრიზმი:

შეხედულება, რომლის თანახმადაც ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებებსა და სურვილებს, როგორც ზნეობრივი, ფრევე ფილოსოფიური თვალსაზრისითაც, უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება; ეკოცენტრიზმის საპირისპირო პოზიცია.

ფუნდამენტალიზმი

(ლათინური სიტყვიდან fundamentum, რაც "საფუძველს" ნიშნავს). ფუნდამენტალიზმი აზროვნების სტილია, როცა გარკვეული პრინციპები, მათი შინაარსის მიუხედავად, "სრულ და საბოლოო ჭეშმარიტებადაა" მიჩნეული. ფუნდამენტალიზმის სხვადასხვაგვარ გამოვლინებებს ერთმანეთთან არაფერი, ან თითქმის არაფერი აქვთ საერთო — ასე ვთქვათ, ყველა მხოლოდ საკუთარ სიმართლეს აღიარებს. მიუხედავად იმისა, რომ ფუნდამენტალიზმს ხშირად რელიგიასა და საკრალური ტექსტებისეულ "ჭეშმარიტებას" უკავშირებენ, იგი პოლიტიკური მოვლენაცაა. შეიძლება ითქვას, რომ ლიბერალური სკეპტიციზმიც კი ვერ გადაურჩა იმ ფუნდამენტალისტურ რწმენას, რომ ყველა თორია (თავად ამ სკეპტიციზმის გარდა) კითხვის ქვეშ უნდა დადგეს. თუმცა ცნება ფუნდამენტალიზმი ხშირად გამოიყენება უარყოფით მნიშვნელობით მოუქნელობის, სიხისტის, დოგმატიზმისა და ავტორიტარულობის აღსანიშნად, ის ასევე შეიძლება თვითმოყოფადობის პრინციპებისადმი ერთგულებას გამოხატავდეს.

წლის ირანულმა რევოლუციამ, რომლის შედეგადაც, აიათოლა ხომეინის (1900-89) თაოსნობით, პირველი ისლამური სახელმწიფო შეიქმნა. ამ ტიპის ფუნდამენტალიზმი მალე მთელ ახლო აღმოსავლეთს, ჩრდილო აფრიკასა და აზიის კონტინენტის გარკვეულ ნაწილსაც მოედო. ისლამი, ზოგადად, ყოველთვის იყო ანტი-დასავლური აზროვნების გამოვლინება და დასავლური თავისუფლებებისა და მატერიალიზმის დაუძინებელი მტერი. ამის უკიდურესი გამოვლინება გახლდათ თალიბანთა რეჟიმი ავღანეთში (1997-2001) და **ჯიჰადისტთა** დაჯგუფებების გაჩენა (მაგ., ალ-ქაიდა), რომელთა სულიერი მისწრაფებები მუდამ "იარაღის პოლიტიკასთან", შეიარაღებულ დაპირისპირებასა და მოწამებორთვი სიკვდილის კულტთან იყო გააიგივებული.

იდეოლოგიის დასასრული?

XX საუკუნის ბოლოს დიდი კამათი იმართებოდა იმის თაობაზე, თითქოსდა იდეოლოგიამ საკუთარი თავი ამოწურა და უწინდელი მნიშვნელობაც დაკარგა. მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის დამარცხებისა და დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში კომუნისტური იდეოლოგიის კრახის შემდეგ, "იდეოლოგიის აღსასრულზე" კი ალაპარაკდნენ. ამერიკელი სოციოლოგი დენიელ ბელი თავის ნაშრომში „იდეოლოგიის დასასრული?: 50-იან წლებში პოლიტიკური იდეების ამოწურვის თაობაზე“ ამტკიცებდა, პოლიტიკური იდეების მარაგი დაიღია, ეთიკურმა და იდეოლოგიურმა დისკუსიებმა დრო მოჰკამა და ამიერიდან დასავლეთის პოლიტიკური პარტიები მხოლოდ ეკონომიკური და მატერიალური კეთილდღეობის დაპირებებით იბრძვიან ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად. მოკლედ, ეკონომიკამ ბეჭეებზე დასდო პოლიტიკა. თუმცა, რეალურად, ბელის მიერ დახატული სურათი არა იმდენად იდეოლოგიის აღსასრულს გამოხატავდა, რამდენადაც პარტიების იდეოლოგიურ თანხმობას (იხ. გვ. 10), ანუ დროებით იდეოლოგიურ ზავს. XX საუკ. 50-იან-60-იან წლებში ერთგვარი "კეთილდღეობის კაპიტალიზმის ბატონობდა, რამაც დიდ ბრიტანეთსა და მთელს დასავლურ სამყაროში ამგვარი კაპიტალიზმის ადვოკატებსა და ქენზიანისტებს შორის თანხმობა ჩამოაგდო.

ჯიჰადი:

ძირითადად, თარგმნიან როგორც "წმინდა ომს"; უფრო ზუსტად — "საღვთო ბრძოლა" ან "ძალისხმევა" — რაც ისლამური იდეალებისადმი უსაზღვრო, ყოვლისმომცველ ერთგულებას ნიშნავს.

ისტორიის, პოსტმოდერნოლოგია

ისტორიის არაერთაზროვნად და თავისთავად საკამათო ცნებაა, რომელიც ხელს უწყობს ზელოვნებაში, არქიტექტურასა და ზოგადად, კულტურის სფეროში მიმდინარე კლასიციზმის დიქტონების აღსანიშნავად გამოიყენეს. როგორც სოციალური და პოლიტიკური ანალიზის ინსტრუმენტი, პოსტმოდერნიზმი ხაზს უსვამს ინდუსტრიული რევოლუციისა და კლასობრივი სოლიდარობის საფუძველზე აგებული საზოგადოებრივი სტრუქტურის დასუსტებას, უფრო დანაწევრებულ და პლურალისტურ, ინფორმაციულ საზოგადოებებზე გადასვლის ფაქტს. ადამიანები მწარმოებლებიდან მომხმარებლებად გადაიქცევიან და ინდივიდუალიზმში ენაცვლება კლასობრივ, რელიგიურ თუ ეთნიკურ მემკვიდრეობას. ამ თვალსაზრისით, ტრადიციული პოლიტიკური იდეოლოგიების, მათ შორის მარქსიზმისა და ლიბერალიზმის უარყოფა ახსნილია როგორც მოდერნიზმის პროცესში შექმნილი "დიდი ზღაპრები" ე.წ. მეტა-ნარატივებისაგან თავის დაღწევის მცდელობა. პოსტმოდერნიზმი ამტკიცებენ, რომ არაფერია ბოლომდე სარწმუნო: საჭიროა აბსოლუტური და საყოველთაო სიმართლის შესახებ არსებული იდეალური მოსაზრების უკუგდება, ვინაიდან ეს სხვა არაფერია, თუ არა თავის მოტყუება. ამ ნიშნით პოსტმოდერნიზმი "ანტი-ფუნდამენტალიზმი" მაგალითია — მისთვის განსაკუთრებული აზრის გამოხატვის შესაძლებლობა და საერთოდ, დემოკრატიული კრიტიკის სასიცოცხლოდ აუცილებელი.

მოგვიანებით, ფრენსის ფუკუიამამ თავისი ცნობილი წერილით "ისტორიის დასასრული?" (1989) მეტი სიციხადე შეიტანა ამ დავა-კამათში. ფუკუიამა სულაც არ ამტკიცებდა ზოგადად პოლიტიკური იდეოლოგიის უარყოფლობას, უბრალოდ მიუთითებდა, რომ ლიბერალურმა დემოკრატიამ დაიკარგა მეტოქე დაამარცხა — ერთხელ და სამუდამოდ. ოღონდ ესეცაა, წერს ფუკუიამა, ხოლო ფუკუიამამ ეს მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც მსოფლიო პოლიტიკური მნიშვნელობის იდეოლოგიის, საბოლოო დასამარცხებლად მიიჩნია. მისი საწინააღმდეგოდ, ენტონი გიდენსი აცხადებდა — გლობალიზაციით, ტრადიციების დაკნინებითა და სოციალური მგრძობილობით აღბეჭდილ საზოგადოებებში, ნებისმიერი იდეოლოგია ერთნაირად გამოუსადეგარია — ატყუებს ის შემარცხენე თუ შემარჯვენე ყაიდისაო. შემდგომ, უკვე პოსტმოდერნიზმიც გვთავაზობს თავისებურ ხედვას: უმთავრესი იდეოლოგიები, ანუ "დიდი ზღაპრები," მოდერნიზაციის პერიოდის თანმდევი ნაყოფია და ჩვენ ეს კარგა ხნის წინ გავიარეთ. თუმცა, იმის მტკიცება, თითქოს ისტორიის, იდეოლოგიისა თუ მოდერნიზმის კვლევა გარდუვალია, უკვე თავად იქნის ერთგვარ იდეოლოგიურ დატვირთვას. მსგავსი განცხადებები არათუ იდეოლოგიის დასასრულის მომასწავებელია, არამედ სწორედ იმის დასტური, რომ იდეოლოგიები ცოცხლობს, ვითარდება და ეს პროცესი, საზოგადოდ, უდასრულოც კია.

სოციალური

მგრძობიარობა:

ადამიანთა მიერ უკიდურესი დამოუკიდებლობის შენარჩუნება, საზოგადოებაში თანაცხოვრებისა და ერთმანეთის მიმართ ვალდებულებების დაცვის პირობებში.

3. პოლიტიკური იდეოლოგიები

შეჯამება

« იდეოლოგია წინააღმდეგობრივი პოლიტიკური ტერმინია და ხშირად უარყოფით ელფერსაც ატარებს. საზოგადოებრივ მეცნიერებათა თვალსაზრისით, პოლიტიკური იდეოლოგია მეტ-ნაკლებად გამოკვეთილ იდეათა იმგვარი ერთობლობაა, რასაც მოწესრიგებულ-დადგენილი პოლიტიკური საქმიანობა ეფუძნება. მისი ძირითადი მახასიათებლებია: არსებული მმართველობითი ურთიერთობების სისტემა, სასურველი მომავლის ხედვა და მკაფიო გეგმა, როგორ შეიძლება და უნდა განხორციელდეს კიდევ პოლიტიკური ცვლილებები.

« ზოგადად ყველა იდეოლოგია, პოლიტიკურ თეორიას პოლიტიკის პრაქტიკასთან აკავშირებს. ერთის მხრივ, იდეოლოგია პოლიტიკურ-ფილოსოფიას ჩამოჰკავს, ისიც გარკვეული მსოფლმხედველობით ნაკარნახევი ღირებულებების, თეორიებისა და დოქტრინების მატარებელია; თუმცა, მეორეს მხრივ, იგი პოლიტიკური მოძრაობის ფორმასაც იძენს და პოლიტიკური ლიდერების, პარტიებისა და ჯგუფების ქმედებებში ვლინდება.

« ყოველი იდეოლოგია საკუთარი პრინციპებითა და იდეებით ხასიათდება. მართალია, ეს იდეები ერთობლიობაში მოიაზრება, მათი სისტემურობა და ურთიერთკავშირი მხოლოდ ფარდობითია, რადგან ყოველი იდეოლოგია საკუთარ თავში დაპირისპირებულ ტრადიციებსა და შინაგან წინააღმდეგობებსაც მოიცავს. ამიტომ, ზოგჯერ შიდა იდეოლოგიური განხეთქილებანი უფრო მწვავეა ხოლმე, ვიდრე თავად იდეოლოგიათა ჯახი.

« არ შეიძლება იდეოლოგიების პერმეტიულად დახშულ და უცვლელ სააზროვნო სისტემებად წარმოდგენა — ბევრ საკითხში ისინი ურთიერთს გადაფარავენ და საერთო ცნებებითა თუ ლექსიკონითაც კი სარგებლობენ. მათ მუდმივი განახლება ახასიათებთ — როგორც პოლიტიკური, ისე ინტელექტუალური თვალსაზრისით; ჯერ ერთი, ერთიმეორეზე ახდენენ გავლენას, და მეორეც, ისტორიულ ცვლილებებსაც უცილობლად ირეკლავენ.

« ამა თუ იმ იდეოლოგიის მნიშვნელობა იმისდა მიხედვით იცვლება, თუ რამდენად მიესადაგება იგი გარკვეულ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ თუ ეკონომიკურ გარემოებებს; რამდენადაა მზად თეორიული განახლებისათვის. იდეოლოგიათა ჯახი XX საუკუნეში, აიძულებდა უმთავრეს მიმდინარეობებს ლიბერალიზმს, კონსერვატიზმსა თუ სოციალიზმს, საკუთარი ტრადიციული პრინციპებისათვის გადაეხედათ, რამაც უკვე ახალი იდეოლოგიების (ფემინიზმი, ეკოლოგიზმი, რელიგიური ფუნდამენტალიზმი) დაწინაურებას შეუწყო ხელი.

« იდეოლოგიის აღსასრულზე კამათი არა და არ ცხრება. ჯერ კიდევ II მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო იმაზე საუბარი, ფაშინიზმისა და კომუნიზმის აღსასრული დადგა და იდეოლოგიური დოგმების ადგილი, ეკონომიკურმა საკითხებმა დაიკავაო; მერე იყო და "ისტორიის დასასრულის" თეზისმა ლიბერალური დემოკრატიის საყოველთაო ზეობის ამბავი გვაძენო;

საზოგადოებრივში კი ამტკიცებს — ყველა არსებული იდეოლოგია ყავლგა-
ზულა როგორც ადრეული მოდერნიზაციის პერიოდის ნაყოფი.

კითხვები განსასჯელად

- < რატომ იწვევდა ცნება „იდეოლოგია“ უარყოფით ასოციაციებს?
- < ღრმად თუ არა რაიმე ზღვარი ლიბერალიზმსა და სოციალიზმს შორის?
- < რატომად ქინა აღმდეგება „ახალი მემარჯვენეობისა“ და ტრადიციული კონ-
სერვატიზმის იდეები ერთმანეთს?
- < რატომად თავისთავადი და მწვობრი იდეოლოგიური სისტემაა ე.წ. „მესამე
გზა“?
- < რატომ თუ არა მარქსიზმს მომაგალი?
- < რა ავტორიულმა გარემოებებმა შეუწყვეს ხელი ფაშიზმის აღზევებას?
- < მარქსისტები შეუძლებელს მოითხოვენ?
- < რამ განაპირობა ფემინიზმის, ეკოლოგიზმისა და ფუნდამენტალიზმის
განვითარება? შეძლებენ კი ისინი ტრადიციული პოლიტიკური იდეოლოგიების
წინააღმდეგობას?
- < შესაძლებელია თუ არა იდეოლოგიის გარეშე არსებობა?

დამატებითი საკითხავი

Freedman, M., Ideology: A Very Short Introduction (Oxford: Oxford University
Press, 2003)
Heywood, A., Political Ideologies: An Introduction; 4th edn. (Basingstoke and
New York: Palgrave Macmillan, 2007)

დემოკრატია

4

თავი

შინაარსი

თუკი სხვა, უკვე ნაცად ხერხებს არ ჩავთვლით, დემოკრატია მართველობის ყველაზე უვარგისი ფორმაა".

უინსტონ ჩერჩილი, თემთა პალატაში წარმოთქმული სიტყვიდან (1947)

დემოკრატის განსაზღვრებისაკენ სწრაფვა, პოლიტიკოსებისა და პოლიტიკოების ერთი ყველაზე ნიშანდობლივი მოვლენათაგანია. ძველ საბერძნეთშიც კი, თავად დემოკრატიული იდეის აკენად რომ ითვლება, ამ ცნებას ზშირად უარყოფითი მნიშვნელობით იხსენიებდნენ ხოლმე. პლატონიც და არისტოტელეც, დემოკრატის მასების მმართველობის იმგვარ ფორმად მიიჩნევდნენ, რასაც გონიერებაც ეწირებოდა და ქონებაც. აგერ, XIX საუკუნემდე, ტერმინმა ვერა დ აგერ მოიშორა "ბრბოს მმართველობაზე" მიმანიშნებელი, დამაკინებელი ელფერი. თუმცა დღეს ყველანი გავდემოკრატდით — ლიბერალებიც, კონსერვატორებიც, სოციალისტებიც, და ასე განსაჯეთ, კომუნისტებიცა თუ ფაშისტებიც კი ყელს იხევენ დემოკრატის მიკეთებზე ქადაგებით და ყოველ ნაბიჯზე საკუთარი "დემოკრატიულობის" დაშირებას ცდილობენ. კაცმა რომ თქვას, XX საუკ. მიწურულს, უმთავრესი დემოკრატიული სისტემის კრიზისისა და კრახის ფონზე, დემოკრატის უქუტუტები თითქოს მართლაც ყველაზე შორს და ძლიერად ანათებს. სოციალისტმა ხიბლი დაკარგა, კაპიტალიზმის ღირსებებიც შეილახა, დემოკრატია კ, ალბათ, ერთადერთ მყარ და გამძლე პრინციპად რჩება ჩვენს პოსტმოდერნისტულ პოლიტიკურ რეალობაში.

ამ თავში შემდეგი ძირითადი საკითხებია განხილული:

საკვანძო საკითხები:

- < რა აზრით იხმარებოდა ცნება "დემოკრატია"?
- < რა საკითხები იწვევდა დემოკრატის ბუნებაზე კამათს?
- < დემოკრატიული მმართველობის რომელი მოდელები გამოდგა ყველაზე გამძლე?
- < რა ღირსება-ნაკლოვანებანი ახასიათებს თითოეულ ამ მოდელს?
- < რაგვარად მოქმედებენ დემოკრატიული სისტემები?
- < მართლა თუ უზრუნველყოფს დემოკრატია ხალხის მმართველობას?

დემოკრატის განსაზღვრება რას ნიშნავს ხალხი?

რას ნიშნავს სახალხო მმართველობა?

სად გადის "ხალხის ძალაუფლების" ზღვარი?

დემოკრატის მოდელები

კლასიკური დემოკრატია.

დამცავი დემოკრატია ხელშემწყობი დემოკრატია.

სახალხო დემოკრატია.

დემოკრატია მოქმედებაში: საპირისპირო შესუდეულებები

პლურალისტური ხედვა.

ელტიისტური ხედვა.

კორპორატიისტული ხედვა.

ახალი მემარჯვენეობის ხედვა.

მარქსისტული ხედვა.

შეჯამება/კითხვები განსაჯელად/დამატებითი საკითხავი

დემოკრატიის განსაზღვრება

დემოკრატიის სათავეები ანტიკურ საბერძნეთშია საძიებელი. "კრატიაზე" დამთავრებული ნებისმიერი ცნებისა არ იყოს, (აეტოკრატია, არისტოკრატია, ბიუროკრატია და სხვ. მრავალი) დემოკრატიაც ბერძნული *kratos*-იდან მომდინარეობს, რაც თავის მხრივ, ძალას ან მართვას ნიშნავს. ამრიგად, "დემოკრატია" ითარგმნება როგორც დემოსის მმართველობა (*demos* - "ხალხს" აღნიშნავს, თუმცა თავად ძველი ბერძნები ამ სიტყვით "ღარიბებს" ან "მრავალთ მოიხსენიებდნენ). ასეა თუ ისე, თავისთავად "ხალხის მმართველობა" ბევრს არაფერს გვეუბნება — ეს ცნება ყველას თავისებურად ესმის, რაც მის პოლიტიკურ კონცეფციად გამოყენებას უკიდურესად ართულებს. ლამის უკამათოდ მისი "კარგ რამედ" აღიარებამ *დემოკრატია* ერთგვარ შეძახილად აქცია, ბრმა აღტაცების გამოსახატავად ამა თუ იმ იდეებისა თუ მმართველობის ფორმის მიმართ. ბერნარდ კრიკის (1993) ნათქვამი რომ მოვიშველიოთ: "დემოკრატია ალბათ ყველაზე მიმზიდველი სიტყვაა საზოგადოებრთ ურთიერთობათა ლექსიკონში. ხოლო როცა სიტყვა ნებისმიერი ადამიანისთვის ნებისმიერ რამეს შეიძლება ნიშნავდეს, არსებობს საფრთხე, რომ მან საერთოდ დაკარგოს აზრი. იმ მრავალთა შორის, რასაც კი დემოკრატიას მიაწერენ, შემდეგი ნიშან-თვისებებია საგულისხმო:

† ღარიბთა და უპოვართა მმართველობა

† მმართველობის იმგვარი ფორმა, როცა ხალხი პირდაპირ და უწყვეტად მართავს საკუთარ თავს — პროფესიონალი პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მოხელეთა დაუხმარებლად.

† თანაბარ შესაძლებლობებსა და პიროვნულ უნარს დაყრდნობილი საზოგადოება, სადაც იერარქიისა და პრივილეგიების ადგილი არაა.

† სოციალური უთანასწორობის შესამცირებლად გამიზნული, კეთილდღეობის მიღწევისა და გადანაწილების ერთგვარი სისტემა.

† გადაწყვეტილებათა მიღების იმგვარი წესი, რაც უმრავლესობის მმართველობას ეფუძნება.

† უმრავლესობის ძალაუფლებაზე კონტროლის განმხორციელებელი, უმცირესობის უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფელი სისტემა.

† საჯარო მოხელეთა არჩევა ამომრჩეველთა ხმების მოპოვების გზით.

† მმართველობის სისტემა, რომელიც ადამიანთა ინტერესებს ემსახურება იმისდა მიუხედავად, მონაწილეობაენ თუ არა ისინი პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მაგრამ ყველაზე უპრიანი გასახსენებელი, ალბათ მაინც ებრაჰამ ლინკოლნისეული "გეტისბერგის მიმართვა" (1864წ.) — გაგანია სამოქალაქო ომის დროს რომ წარმოთქვა და დემოკრატიის უმთავრეს ღირსებად დაასახელა "ხალხის მმართველობა, ხალხისვე მიერ, და ისევე ხალხის საკეთილდღეოდ". ამ შემთხვევაში აშკარაა მმართველობისა და ხალხის ურთიერთკავშირი, რაც რამდენიმე სახით შეიძლება გამოვლინდეს: ხალხის მმართველობად, ხალხისვე მიერ, და ისევე ხალხისთვის. დემოკრატიული მმართველობის არსის განსაზღვრა გაცხოველებული იდეოლოგიური და პოლიტიკური განსჯის საგნად რჩებოდა მუდამ. ამ თავში დემოკრატიის

სწავლასზე მოდელზე ვისაუბრებთ და იმ ისტორიულ გარემოებებზე, რაც თავად დემოკრატიის ცნების თაობაზე იწვევდა დავა-კამათს. საბოლოო ჯამში, სამი უმთავრესი კითხვა გამოიკვეთა:

- † რას ნიშნავს ხალხი?
- † რას ნიშნავს სახალხო მმართველობა?
- † სად გადის "ხალხის ძალაუფლების" ზღვარი?

რას ნიშნავს "ხალხი"?

დემოკრატიის ერთი უმნიშვნელოვანეს ნიშან-თვისებათაგანია პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა — ძალაუფლების რაც შეიძლება ფართოდ და თანაბრად განაწილების პრინციპი; თუმცა, ჩნდება კითხვა — რა ინსტიტუტებსა და ჯგუფებს შორის უნდა მოხდეს ეს განაწილება? ანუ, ბოლოსდაბოლოს, ვინაა "ხალხი"? ერთი შეხედვით, პასუხი მარტოა — "დემოსი" ანუ ხალხი, "ყველა ადამიანის" ერთობლიობას — ქვეყნის მთელ მოსახლეობას ნიშნავს. არადა, ნებისმიერი დემოკრატიული სისტემა ზღუდავდა მმართველობაში განურჩევლად ყველას პოლიტიკურ მონაწილეობას და ზოგჯერ, ძალიან მკაცრადაც .

როგორც ვთქვით, ძველი ბერძენი ავტორები სიტყვა დემოსს ხშირად "შრავლთა" მნიშვნელობითაც მოიხმარდნენ, ანუ დაჩაგრულთა და როგორც წესი, უქონელ უმრავლესობასთან დაკავშირებით. ამდენად, დემოკრატია პოლიტიკურ თანასწორობას კი არა, ღარიბთა მიმართ დამოკიდებულებას გულისხმობდა. ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში პოლიტიკური აქტივობა მოსახლეობის მხოლოდ შეზღუდული რაოდენობისთვის იყო დაშვებული — 20 წელს გადაცილებული, მოქალაქეობის უფლების მქონე მამაკაცებისათვის, მაშინ როცა ყველა ქალს, მონებს და უცხოთომელებს ამის უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ. არჩევნებში მონაწილეობის თვალსაზრისით, მკაცრი შეზღუდვები არსებობდა დასავლეთის სახელმწიფოებშიც — თვით XX საუკუნის ჩათვლით: ჩვეულებრივ, ქონებრივი ცენზის დაწესებისა და ქალთა უფლებების შეკვეცის სახით. მაგალითად, საფრეულთაო საარჩევნო უფლება დიდ ბრიტანეთში მხოლოდ 1928 წლიდან შემოიღეს, როცა ქალებისა და მამაკაცების საარჩევნო უფლებები გათანაბრდა; ა.შ.შ-ში აფრო-ამერიკელებს ბევრ სამხრეთულ შტატში ხმის მიცემა 1960 წლამდე აკრძალული ჰქონდათ, შვეიცარიაში კი სულაც 1971წ. მიუხედავად ქალები საარჩევნო ურნებთან. სხვათა შორის, ყველა დემოკრატიულ სისტემაში ჯერაც არსებობს მნიშვნელოვანი შეზღუდვები: მაგალითად, ბავშვებს პოლიტიკურ ცხოვრებას არ აკარებენ — თუმცა ასაკობრივი პეზრუდვები 21-დან 15 წლამდე მერყეობს (ვთქვათ, ირანის საპრეზიდენტო არჩევნებში სწორედ ამ ასაკიდან შეუძლიათ ხმის მიცემა); არსებობს სხვა, ტექნიკური ხასიათის შეზღუდვებიც — სულით ავადმყოფთათვის და პატიმრებისათვის.

დღესდღეობით "ხალხი" პრაქტიკულად მთელს ზრდასრულ მოსახლეობას მოიცავს, ოღონდ არც ეს გაგებაა საყოველთაო და ამომწურავი:

პოლიტიკური თანასწორობა

ზოგადად, პოლიტიკური თანასწორობა პოლიტიკური ძალაუფლებისა და გავლენის თანაბრად განაწილებას ნიშნავს, ამდენად, იგი შესაძლოა, დემოკრატიის უმთავრეს პრინციპადაც მივიჩნიოთ: როგორც არ უნდა განუმარტოთ ცნება "ხალხი", ნებისმიერ პიროვნებას მაინც ერთნაირი წონა აქვს — ყველას ხმა თანაბრად ფასობს; ანუ, ლიბერალური დემოკრატიის თეორია პოლიტიკური უფლებების თანაბარ განაწილებას გულისხმობს, რაც შემდეგ პრინციპშია ასახული: "ერთი ადამიანი — ერთი ხმა და ყველა ხმა თანაბრად ფასობს". ოღონდ სოციალისტური პოლიტიკურ გავლენას ეკონომიკური რესურსების კონტროლსა და კომუნიკაციის საშუალებების ხელმისაწვდომობას უკავშირებენ. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკური თანასწორობა არა უბრალოდ საარჩევნო უფლებების გათანაბრებაა, არამედ სოციალური თანასწორობის მაღალ ხარისხსაც მოითხოვს.

4. დემოკრატია

ხალხი ერთიან, მთლიან, საერთო ინტერესებით შეკავშირებულ ორგანიზ-
მადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ. ამ კუთხით დანახული დემოკრატიის მოდ-
ელი, რუსოს თეორიის მსგავსად, ყურადღებას "საზოგადო", ანუ "კოლექტიურ
ნებაზე" ამახვილებს, და არა ცალკეული პიროვნების კერძო ინტერესებზე.
მეორეს მხრივ, რამდენადაც დაყოფა და უთანხმოება ადამიანთა ნებისმიერ
ერთობას ახასიათებს, სინამდვილეში "ხალხი" შეიძლება მხოლოდ "უმრავლეს-
ობასაც" კი აღნიშნავდეს. ასეთ დროს, დემოკრატია **უმრავლესობის
მმართველობის** მკაცრი პრინციპის ერთგული ხდება და გამორიცხული არაა,
"უმრავლესობის ტირანიის" მახინჯ გამოვლინებადაც გარდაიქმნას; და
ბოლოს, ისეთ საკითხსაც ვერ აუუვლით გვერდს, როგორცაა ხალხის რა
რაოდენობა უნდა მოიცავს ჭეშმარიტად დემოკრატიულმა პოლიტიკამ, ანუ
— სად, რა ფარგლებში უნდა "დაიფაროს" დემოკრატია? პოლიტიკური
ნაციონალიზმის ძლევამოსილების გამო, "ხალხის" რაობა ხომ, ჩვეულებრივ,
ეროვნული ნიშნით განისაზღვრება ხოლმე — ამ ბოლო დროს კი, გლობალ-
იზაციის გაუღენით, უკვე კოსმოპოლიტური დემოკრატიის ცნებაც საკუთარ
უფლებებს აცხადებს...

უმრავლესობის მმართველობა:

პრინციპი, რომლის
თანახმადაც უმრავლესობის
ან რიცხვობრივი უპირატე-
ლობის მქონე ჯგუფის ნებას
ენიჭება უპირატესობა —
უმცირესობის ნებასთან
შედარებით, რაც იმას
ნიშნავს, რომ ამ უკანა-
ნსკენელ მოუწვეთ უმრავ-
ლესობის ნებას დაეთა-
ნხმონ.

კოსმოპოლიტური დემოკრატია:

დემოკრატიის ისეთი ფორმა,
რომელიც მმართველობის
შესახელმწიფოებრივ დონეზე
ოპერირებს და ტრანს-
ეროვნული და გლობალური
მოქალაქეობის იდეას
ეფუძნება.

ტოტალიტარული დემოკრატია

აბსოლუტური დიქტატურა
დემოკრატიის ნიღბით,
ჩვეულებრივ ემყარება ლიდ-
ერის მისწრაფებას დაამტკი-
ოს, რომ პოლიტიკურ
სიბრძნეზე მონოპოლიას
სწორედ იგი ფლობს.

რას ნიშნავს სახალხო მმართველობა?

დემოკრატიის თითქმის ყველანაირი გაგება "სახალხო მმართველობის"
პრინციპს ეყრდნობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანები რეალურად,
თავადვე არიან მმართველობის წყარო — უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილე-
ბების მიღებაშიც მონაწილეობენ და საკუთარი საზოგადოებების ავ-კარ-
გინობასაც განაპირობებენ. ეს სხვადასხვა სახით გამოიხატება: პირდაპირი
დემოკრატიის შემთხვევაში, სახალხო მონაწილეობა გადაწყვეტილებათა
მიღებაზე პირდაპირი და მუდმივი შემოქმედებით იწინებს თავს — რეფერენდუ-
მის, მასობრივი მიტინგების, თუ "ცოცხალ ეთურში" ტელეფამოკითხვების
სახით; განსხვავებული და უფრო გავრცელებული ფორმაა ხმის მიცემა — ე.წ.
"წარმომადგენლობითი დემოკრატის" უმთავრესი ნიშანი. ხმის მიცემისას
მოქალაქეები არა იმდენად მათი ცხოვრების მოსაწყობად აუცილებელ
გადაწყვეტილებებს იღებენ, რამდენადაც საკუთარ რჩეულებს ანდობენ ამ
საქმის მოგვარებას; ოღონდაც არჩევნების დემოკრატიულობა იმით
განისაზღვრება, რომ საყოველთაოდ მიღებული "შეჯიბრის" პირობებში,
ადამიანებს უდიდესთა გამოხშირვა შეუძლიათ და პოლიტიკოსთა იძულება,
ანგარიშვალდებულად იგონონ თავი საზოგადოების წინაშე.

არსებობს ისეთი მოდელებიც, რომლებიც ხალხისთვის მმართვე-
ლობის პრინციპს იშველიებენ, ოღონდ ძალიან ცოტა ადგილს უტოვებენ
საზოგადოებას მართვაში პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილე-
ობისათვის. ამის ყველაზე გროტესკული მაგალითებია ფაშისტი დიქტა-
ტორების — მუსოლინისა და ჰიტლერის ე.წ. **ტოტალიტარული დემოკრა-
ტიები**. მსგავსი რეჟიმების დემოკრატიული შემაღენელი იმ განცხადებას
ემყარებოდა, თითქოსდა ერის ბელადი და სხვა არავინ გამოხატავდა ხალხის
სანუკვარ ნებას, რაც "ჭეშმარიტ დემოკრატიას" ფაქტიურად, აბსოლუტურ
დიქტატურასთან აიგივებდა. ასეთ დროს, სახალხო მმართველობა სხვა
არაფერია, თუ არა

საურადღებოდ...

პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატია

პირდაპირი დემოკრატია (ზოგჯერ, "თანამონაწილეობის დემოკრატიადაც" რომ იხსენიება) მოქალაქეთა პირდაპირ, უშუალო და მუდმივ თანამონაწილეობას გულისხმობს მმართველობით საქმიანობაში. ამრიგად, იგი მიჯნავს მმართველებსა და მართულთ, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას. სახალხო თვითმმართველობის ეს სისტემა ჯერ კიდევ ანტიკურ ათენში შექმნა სახალხო კრების ფორმით, დღეს კი მისი ყველაზე აშკარა გამოვლენებაა რეფერენდუმი. პირდაპირი დემოკრატის უმთავრესი ღირსებებია:

- < მოქალაქეებს საკუთარ ბედზე მეტი კონტროლის საშუალებას აძლევს.
- < უკეთ გათვინობიერებული და პოლიტიკურად გამოვლენილი საზოგადოების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და ამდენად, საგანმანათლებლო ღირსებებიც გააჩნია.
- < საშუალებას აძლევს მოქალაქეებს თვითკმარი პოლიტიკოსების გარეშე გამოხატონ საკუთარი აზრი და ნება.
- < უზრუნველყოფს მმართველობის კანონიერებას, რამდენადაც ხალხი საკუთარ გადაწყვეტილებებს სცემს პატივს.

წარმომადგენლობითი დემოკრატია დემოკრატის შეზღუდული და არაპირდაპირი ფორმაა — შეზღუდულია იმდენად, რამდენადაც მმართვეობაში ხალხის მონაწილეობა წვევტილია და ხანმოკლე, და მხოლოდ რამდენიმე წელიწადში ერთხელ, არჩევნებში მონაწილეობით გამოიხატება; ხოლო არაპირდაპირია, რადგან საზოგადოება თავად არ ახორციელებს მმართველობას — უბრალოდ, მმართველებს ირჩევს. მართვის ეს ფორმა მეტ-ნაკლები დემოკრატიულობით ხასიათდება: წარმომადგენლობითობა მხოლოდ საიმედო და ქმედითი ჯაჭვის როლს ასრულებს მმართველ/მართულთა შორის და ხშირად სწორედ ამას უწოდებენ ხოლმე "სარჩევნო მანდატს". შევკვიდრდეთ ჩამოთვალთ წარმომადგენლობითი დემოკრატის ძლიერი მხარეები:

- < იგი დემოკრატის მოქნილი ფორმაა (პირდაპირი და სახალხო თანამონაწილეობა მხოლოდ ადამიანთა მცირე ერთობებშია შესაძლებელი).
- < რიგით მოქალაქეებს გადაწყვეტილებათა მიღების ტვირთისაგან ათავისუფლებს და შესაძლებელს ხდის შრომის განაწილებას პოლიტიკურ ასპარეზზე.
- < როგორც წესი, ქვეყნის მართვას უფრო განათლებულ, საქმის მცოდნე და გამოცდილ ხალხს აბარებს.
- < რიგითი მოქალაქეების პოლიტიკადან გამიჯვრით, სტაბილურობას ინარჩუნებს, და ამით საზოგადოებრივ თანხმობასაც აღწევს

წოდლისშემძლე ბელადის ნების რიტუალიზებული მორჩილება — მრავალრიცხოვანი, ხმაურიანი ზეიმებით, ღონისძიებებითა და მსვლელობებით. ამას ზოგჯერ პლებისციტურ დემოკრატიადაც უწოდებდნენ ხოლმე. ტოტალი-

4. დემოკრატია

პლებისციტური დემოკრატია:

პლებისციტური დემოკრატია დემოკრატიული მმართველობის ისეთი ფორმაა, რომელიც მმართველსა და მართულს შორის პლებისციტის (ან რეფერენდუმის) სახით უშუალო კავშირს გულისხმობს. ეს საზოგადოებას საკუთარი აზრის პირდაპირ/უშუალოდ გამოხატვის შესაძლებლობას აძლევს. ამგვარად, პლებისციტური დემოკრატია პირდაპირი, თანამონაწილეობის დემოკრატიის ნაირსახელოა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პლებისციტურ დემოკრატიაში ხშირად იმის საფუძველზე აკრიტიკებენ, რომ ის დემაგოგიისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის (ისეთი პოლიტიკური ლიდერების მმართველობა, რომლებიც მჭკვრეტელობით აზერებენ მასებით მანიპულირებას, მათ ენებებსა და ცრურწმენაზე თამაშით). ამ ტიპის დემოკრატია დიდად არ განსხვავდება მასობრივი ექსტაზისაგან, რომელიც დიქტატურას პოპულისტურ პეწს სძენს, თუმცა კი განსხვავდება რეფერენდუმის ჩატარების პრაქტიკისაგან, რაც წარმომადგენლობითი დემოკრატიის სისტემის სრულყოფას ემსახურება.

რადიკალური დემოკრატია:

დემოკრატიის ფორმა, რომელიც ხელს უწყობს დეცენტრალიზაციას, საზოგადოების პოლიტიკურ მონაწილეობას და პოლიტიკური ძალაუფლების მაქსიმალურად დანაწილებას.

ტარულმა დემოკრატიებმა ამკარად დაამახინჯეს დემოკრატიული მმართველობის საყოველთაო გაგება და გამოავლინეს, თუ რა შინაგანი წინააღმდეგობა შეიძლება არსებობდეს "ხალხის მმართველობას" (მოქალაქეთა თანამონაწილეობას) და "ხალხისთვის მმართველობას" (მართვას ხალხის საკეთილდღეოდ) შორის. მაგალითად, წარმომადგენლობითი დემოკრატიის დამცველები ცდილობდნენ პოლიტიკაში ხალხის მონაწილეობა მხოლოდ ხმის მიცემის პროცედურამდე დაეყვანათ, რადგან შიშობდნენ, საზოგადოებას მთლიანობაში არც გამჭრიახობა, არც განათლება და არც გამოცდილება არ ეყოფა, ქვეყნის გონივრულად სამართავადო.

სად გადის "ხალხის ძალაუფლების" ზღვარი?

რაკილა გადავწყვიტოთ, რაი არს ხალხი, და როგორ უნდა მართოს მან ქვეყანა, ახლა იმაზეც დაუფიქრდეთ, სად უნდა გავიდეს მისი ძალაუფლების ზღვარი. განა რა არის დემოკრატიის სივრცე? რა საკითხები უნდა გადაწყვიტოს თავად ხალხმა, და რა უნდა დაუტოვოს გადასაწყვეტად ცალკეულ მოქალაქეს? ლიბერალურ ინდივიდუალიზმზე აღმოცენებული დემოკრატიული მოდელები, ჩვეულებრივ, დემოკრატიას ვიწროდ გაგებულ "პოლიტიკურ ცხოვრებაში" ატყდნენ. ამ თვალსაზრისით, დემოკრატიის მიზანი — ხალხის თანამონაწილეობის სხვადასხვა ფორმით — იმ კანონთა ჩარჩოების დადგენაა, რითაც პიროვნებას თავისი ცხოვრების მოწყობა და კერძო ინტერესთა განხორციელება შეუძლია. ამდენად, დემოკრატიული გადაწყვეტილებანი მხოლოდ ერთიან საზოგადოებას ეხება — სხვა ვითარებაში, იგი თავისუფლების შემკვეცია. არცთუ იშვიათად, დემოკრატიისადმი ამგვარი უნდობლობა მის როგორც პირდაპირ, ასევე თანამონაწილეობითი ფორმების უარყოფაშიც არაერთხელ გამოვლენილა.

დემოკრატიის ალტერნატიულ გაგებას სოციალისტები და რადიკალი დემოკრატები გეთავაზობენ: რადიკალური დემოკრატია, თავისთავად, არა იმ კანონთა ერთობლიობაა, რომელთა მიხედვითაც პიროვნებებს საკუთარი საქმის კეთება შეუძლიათ, არამედ ერთიანი პრინციპი საზოგადოებრივი არსებობის ყველა სფეროსთან მიმართებაში. ადამიანებს დაბადებისთანავე აქვთ მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება, დემოკრატია კი, უბრალოდ, ის ერთობლივი პროცესია, რითაც ამ გადაწყვეტილებათა მიღება ხორციელდება. ამის ნათელი მაგალითია სოციალისტთა მოთხოვნები ქონების კოლექტივიზაციისა თუ მუშათა თვითმმართველობის თაობაზე, რაც მათი თვალსაზრისით, ეკონომიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის აუცილებელი პირობაა. უბრალოდ, პოლიტიკური დემოკრატიის წახალისების ნაცვლად, სოციალისტები ერთთავად "სოციალურ დემოკრატიას" და "ინდუსტრიულ დემოკრატიას" ლაპარაკობენ. მათ მსგავსად, ფემინისტებიც ოჯახური ცხოვრების დემოკრატიზაციას მოითხოვენ, რაც მათთვის საშინაო საქმესა თუ პირად ცხოვრებაში თანაბარი ხმის უფლებას ნიშნავს. ამ გადასახედოდან,

დემოკრატია უფრო თავისუფლების "მეგობარია", ვინემ მისი "მტერა" — ჩაგვრა და ძალდატანება მხოლოდ ამ პრინციპის უგულებელყოფის შემთხვევაში პოულობს ნიჟიერ ნიადაგს.

დემოკრატიის მოდელები

ძალზე ხშირად, დემოკრატიას განუყოფელ, ერთგვაროვან ფენომენად მიიჩნევენ ხოლმე. მრავალთა აზრით, დასავლური დემოკრატია (მუდმივი და მრავალპარტიული, საყოველთაო ხმის უფლებაზე დაფუძნებული არჩევნები) დემოკრატიის ერთადერთი, ყოველ შემთხვევაში, ლეგიტიმურობის მხრივ, მისაღები ფორმაა. ხანდახან დემოკრატიის ამ გაგებას ტერმინ "ლიბერალურსაც" უმატებენ ხოლმე, და უკვე ლიბერალურ დემოკრატად იხსენიებენ. არადა, სინამდვილეში, დემოკრატიის არაერთი განსხვავებული თეორია თუ მოდელი არსებობს და ყოველი მათგანი სახალხო მმართველობის საკუთარ ვერსიას გეთავაზობს. აქ არა მხოლოდ დემოკრატიული ფორმებისა და შექანინების მრავალფეროვნებაზეა ლაპარაკი, არამედ — და სწორედ ესაა მთავარი — იმ ნიადაგთა ნაირგვარობაზეც, დემოკრატიულმა მმართველობამ რომ შეიძლება "გაიხაროს". თავად ლიბერალური დემოკრატიაც კი არახუსტი ცნებაა — რადგან დემოკრატიული მოწყობის არაერთი, ურთიერთდაპირისპირებული ლებერალური თვალსაზრისი არსებობს. დემოკრატიის ოთხი განსხვავებული მოდელი შეიძლება გამოვყოთ:

- † კლასიკური დემოკრატია
- † დამცავი დემოკრატია
- † ხელშემწყობი დემოკრატია
- † სახალხო დემოკრატია

კლასიკური დემოკრატია

დემოკრატიის კლასიკური მოდელი ძველბერძნული პოლისია, ანუ "ქალაქი-სახელმწიფო"; კერძოდ, მმართველობის ის სისტემა, რაც ძველი საბერძნეთის ყველაზე დიდ და ძლევამოსილ ქალაქ-სახელმწიფოში, ათენში განვითარდა. ჩვ.წ. აღ-მდე V-IV საუკუნეებში იქ გავრცელებული პირდაპირი დემოკრატიის ფორმას, ხშირად სახალხო მმართველობის ერთადერთ შეუძღვრველ და იდეალურ სისტემად მიიჩნევენ ხოლმე. მართალია, ამ მოდელმა მნიშვნელოვნად იმოქმედა გვიანდელი ეპოქების ისეთ მოაზროვნეებზე, როგორებიც იყვნენ რუსო და მარქსი, ათენური დემოკრატია მაინც ბოლომდე პირდაპირი სახალხო მმართველობის უნიკალურ ნაირსახეობად დარჩა და მისი გამოძახილი საკმაოდ უმნიშვნელო იყო თანამედროვე სამყაროში. ათენში დემოკრატია სახალხო კრების სახით ვლინდებოდა — ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მოქალაქეთაგან შემდგარი სახალხო კრება, ანუ Ecclesia იღებდა და იგი სულ ცოტა, წელიწადში ორმოცჯერ მაინც იკრიბებოდა. საჯარო მოხელეებს ისევ მოქალაქეთა რიგებიდან ირჩევდნენ, გარკვეული



ჯერემი ბენტამი (1748-1832)

ბრიტანელი ფილოსოფოსი, სამართლის რეფორმატორი და უტილიტარიზმის ფუძემდებელი. ჯ. ბენტამმა შეიმუშავა ზნეობრივ-ფილოსოფიური სისტემა, რომელიც იმ მოსაზრებას ეფუძნებოდა, რომ ადამიანები ბუნებით რაციონალურად ევოლუციურ არსებები არიან და მათი მიზანი სარგებლიანობის მაქსიმალიზაციაა. ჯ. ბენტამს სჯეროდა, რომ აღნიშნული თვისება სამართლისა და პოლიტიკის სფეროებში რეფორმების სამეცნიერო საფუძვლად შეიძლება ქცეულიყო. "მეტე კმაყოფილების" პრინციპზე დაყრდნობით, მისმა მიმდევრებმა — ფილოსოფოს-რადიკალებმა, მე-19 საუკუნის დიდ

ბრიტანეთში არაერთი რეფორმას დაუდეს სათავე სოციალური მართვის, სამართლის, მმართველობისა და ეკონომიკის სფეროებში. თავისუფალი ბაზრის (laissez-faire) პრინციპების მომხრე, ჯ. ბენტამი მოგვიანებით პოლიტიკური დემოკრატის მტკიცე მიმდევარიც გახდა. მისი უტილიტარისტური ხედვა კარგად ჩანს ნაშრომში "ჩანაწერები მმართველობის თაობაზე" [1776], ხოლო უფრო სრულად - "ზნეობისა და კანონდებლობის პრინციპებში" (1789).

ვადითა და კენჭისყრით, თანამდებობაზე ყოფნა დროებითი იმიტომაც იყო, რომ რაც შეიძლება მეტ მოქალაქეს მიეღო მონაწილეობა მმართველობაში. სახალხო კრების აღმასრულებელი საკრებულო, 500 მოქალაქისაგან დგებოდა და მას 50 კაციანი საბჭო წარუდგენდა ხოლმე იმ დღისთვის განსახილველ საკითხთა სიას. საბჭოს თავი მხოლოდ იმ ერთი დღით ირჩეოდა და არც ერთ ათენელს არ შეეძლო ამ თანამდებობის ორგზის დაკავება. ერთადერთი გამონაკლისი სამხედროთათვის დაიშვებოდა, სხვა საჯარო მოხელეებისაგან განსხვავებით, ერთ თანამდებობაზე მათი რამდენიმეგზის არჩევა იყო შესაძლებელი.

ძირითადი, რაც ათენურ დემოკრატიას გამოარჩევდა, მისი მოქალაქეების პოლიტიკური აქტივობის ხარისხი გახლდათ. ისინი არა მარტო მუდმივად ესწრებოდნენ საერთო კრებას, ყოველი მათგანი მზად იყო, მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობაც ეტვირთა. დემოკრატის ამგვარი ფორმის შეურიგებელ კრიტიკოსად თავად პლატონმა გვევლინება. პოლიტიკური თანასწორობის იდეას იგი იმ მოსაზრებით უარყოფდა, ადამიანთა დიდ უმრავლესობას მართვისთვის აუცილებელი არც ჭკუა-გონება ეყოფა, არც გამოცდილებაო. თავის *რესპუბლიკაში* პლატონმა გამოსავალიც შემოგვთავაზა — მან მმართველობა მეფე-ფილოსოფოსებს (ანუ *მეურვეთ*) გადააბარა და ერთგვარი "განათლებული დიქტატურის" მოდელიც დაგვიჩვენა. თუმცადა, ათენურ დემოკრატიას სხვა პრინციპული ნაკლიც ახასიათებდა: ამგვარი მმართველობა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს პოლიტიკური საქმიანობიდან მიჯნავდა — მმართველობაში თანამონაწილეობისათვის მხოლოდ ათენშივე დაბადებული, 20 წელს გადაცილებული მამაკაცები დაიშვებოდნენ; მონებს (მოსახლეობის უმრავლესობას), ქალებს, და უცხო-ტომელებს საერთოდ არანაირი პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდათ. ამასთანავე, ათენელ მოქალაქეებს იმიტომაც რჩებოდათ ამდენი დრო პოლიტიკისთვის, რომ მონობის ინსტიტუტი მძიმე ფიზიკური შრომისაგან ათავისუფლებდათ და საოჯახო ცხოვრების მთლიანად ქალებისთვის გადააბარებაც, ბევრ ყოფით საზრუნავს აცილებდათ თავიდან. ამ კუთხით,

ათენური პოლისი დემოკრატიული იდეალის სრულ ანტითეზადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. და მაინც, პოლიტიკურ ცხოვრებაში პირდაპირი და მუდმივი თანამონაწილეობის კლასიკური მოდელის ანარეკლი მსოფლიოს არაერთ კუთხეში შეინიშნება — ვთქვათ, ა.შ.შ.-ში, სადაც ახალი ინგლისის ქალაქებში დღესაც საერთო კრება წვევტს მნიშვნელოვან საკითხებს და ასევე, შვეიცარიის მცირე კანტონების სათემო გაერთიანებების მმართველობაშიც. აქედანვე მოდის რეფერენდუმების საყოველთაო პრაქტიკა, კერძოდ — საკონსტიტუციო საკითხებთან დაკავშირებული გამოკითხვები თუ ახალი დემოკრატიული ექსპერიმენტები — ეგზით-პოლებისა და ინტერნეტ-გამოკითხვების სახით.

დამცავი დემოკრატია

დემოკრატიულმა იდეებმა ახალი სიცოცხლე XVII-XVIII საუკ. შეიძინა; თუმცა ისინი უკვე საკმაოდ განსხვავდებოდნენ ანტიკური საბერძნეთის კლასიკური დემოკრატიის მოთხოვნებისაგან. კერძოდ, დემოკრატია ნაკლებად აღიქმებოდა როგორც საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში თანამონაწილეობის მექანიზმი — ის ახლა უფრო იმ საშუალებად მოიაზრებოდა, რითაც მოქალაქეებს ხელისუფლების მოთოკვა შეეძლოთ. აქედან — "მეურვე დემოკრატიის" ცნება.

ამგვარ თვალსზრისს იზიარებდნენ იმ დროის ლიბერალი მოაზროვნეები, ვინც უპირველეს ყოვლისა, პიროვნული თავისუფლების სამოქმედო არეალის გაფართოებას ისახავდნენ მიზნად. ყოვლისშემძლე ხელისუფლებისაგან პიროვნების დაცვის სურვილი მოჩანს ალბათ, იმ ვგელაზე ადრეულ, სწორედაც რომ დემოკრატიულ განწყობაში, რაც არისტოტელესეულ კონტრ-შეკითხვაში გამოსჭვავის: 'quis custodiet custodes?' ("თავად მეურვეებს ვინლა გაუწევს მეურვეობას?")

იგივე, "ნებას მიშვებულმ" ძალაუფლების საკითხი აფიქრებდა ჯონ ლოკსაც. მისი ღრმა რწმენით, არჩევნებში საყოველთაო მონაწილეობა **თანდაყოლილი უფლებებიდან** გამომდინარეობდა და უშუალოდ უკავშირდებოდა **საკუთრების უფლებას**. თუკი ხელისუფლება იმგვარად დაბეგრავდა მოსახლეობას, საბოლოო ჯამში მისთვის საკუთრების ჩამორთმევაც რომ შესძლებოდა, მაშინ მოქალაქეებსაც უნდა ჰქონოდათ საშუალება, გაუსაძლისი ბეგარისაგან კანონიერად დაეცვათ თავი. სხვა სიტყვებით, დემოკრატია "შეთანხმებული მმართველობის" სისტემასთან გაიგივდა და ის უკვე წარმომადგენლობითი ასამბლეის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო. აღსანიშნია, რომ თავად ლოკი სულაც არ გახლდათ დემოკრატი დღევანდელი გაგებით; მიაჩნდა, რომ ხმის მიცემა მხოლოდ შესაკუთრებებს უნდა შესძლებოდათ, რადგან სწორედ მათ თანდაყოლილ უფლებას უქმნიდა საფრთხეს ხელისუფლების თავგასულობა. საყოველთაო საარჩევნო უფლების უფრო რადიკალური მოთხოვნები XVIII საუკ.-დან მოყოლებული გაისმის და ისეთი თეორეტიკოსების სახელებს უკავშირდება, როგორებიც იყვნენ ჯერემი ბენტამი და ჯეიმზ მილი (1773-1836). მაგრამ

უტილიტარულობა (სარგებლიანობა): გამართლებული ხარჯი; რაიმეს მატერიალური მოხმარებით გამოწვეული დაკმაყოფილება.

თანდაყოლილი უფლებანი: ადამიანი სათვის უძირითადესი, უვითვბოძებული, ხელშეუხებელი უფლებები.

დემოკრატის წმინდა გამოყენებით, უტილიტარული გაგება პიროვნების ინტერესთა დაცვასა და ხელშეწყობასაც გულისხმობს. ბენტამს სწამდა, რაკი ნებისმიერი ადამიანი სიამოვნებას ესწრაფვის და ტკივილის თავიდან აცილებას ცდილობს, საყოველთაო საარჩევნო უფლება (რაც იმდროისათვის მამაკაცთა პრივილეგია იყო მხოლოდ) ერთადერთი გზაა — მეტი ადამიანის მეტად დასაკმაყოფილებლად.

მაგრამ, დემოკრატის მართლოდენ დამცავი ფუნქციის აღიარებით, იმავე დემოკრატიული მმართველობის მხოლოდ ცალმხრივ სურათს თუ დავინახავთ მოკლედ, დამცავი დემოკრატია ამ ფართო ცნების მხოლოდ შეზრუდული და არაპირდაპირი გამოვლინებაა. ხელისუფლებისადმი ნდობა საყოველთაო და მრავალპარტიულ არჩევნებში მონაწილეობით გამოიხატება. სწორედ ამით მიიღწევა მმართველთა ანგარიშვალდებულება ამომრჩეველთა მიმართ. პოლიტიკური თანასწორობა ამ დროს უბრალოდ ტექნიკური ტერმინია, თანაბარი საარჩევნო უფლებების გამოსახატავად. მეტიც, ეს კონსტიტუციური დემოკრატის იმგვარი სისტემაა, რაც ფორმალური თუ არაფორმალური წესების შეასაბამისად, ხელისუფლების მიერ ძალაუფლების გამოყენებას აკონტროლებს. თუკი ხმის მიცემის უფლება პიროვნული თავისუფლების დაცვის საშუალებაა, თავისუფლება, ამავე დროს, გარანტირებული უნდა იქნას ხელისუფლების მკაცრი გადანაწილებითაც — საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის; ამასთანავე, აუცილებელია ფუნდამენტური თავისუფლებების შენარჩუნება — იქნება ეს სიტყვისა თუ გადაადგილების თავისუფლება, ანდა უდანაშაულობის პრეზუმფცია. საბოლოო ჯამში, დამცავი დემოკრატია მიზნად ისახავს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მოქალაქეს, იცხოვროს არჩეული ცხოვრების წესით. შესაძლებელია თავისუფალ საბაზრო კაპიტალიზმთან მისი შედარებაც — ვინაიდან ამგვარი დემოკრატია აღიარებს პიროვნების სრულ პასუხისმგებლობას საკუთარი ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო. აქ აშკარაა თანხვედრა როგორც კლასიკურ ლიბერალიზმთან, ისე თანამედროვე ახალ მემარჯვენობასთანაც.

ხელშეწყობი დემოკრატია

ადრეული დემოკრატიული თეორია უმთავრეს მნიშვნელობას პიროვნების უფლებებისა და ინტერესების დაცვას ანიჭებდა, მაგრამ მალე განსხვავებული თვალსაზრისიც გამოიკვეთა: პიროვნებისა და საზოგადოების შემდგომი განვითარების აუცილებლობა. შედეგად, დემოკრატიული მმართველობის ახალი მოდელებიც გაჩნდა, რომლებსაც ზოგადად "ხელშეწყობი დემოკრატის" (developmental democracy) სისტემა შეიძლება ეწოდოს. მათგან უახლესი და ყველაზე რადიკალური, ჟან-ჟაკ რუსოსეული მოდელია. მრავალი თვალსაზრისით, რუსოს იდეებმა დემოკრატის გაბატონებული ლიბერალური გაგება შეარყია და შემდგომში მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია როგორც მარქსისტულ თუ ანარქისტულ ტრადიციებზე, ასევე ახალი მემარცხენეობის მიმდინარეობაზეც. რუსოსთვის დემოკრატია სხვა არაფერი იყო, თუ არა იარაღი, რითაც ადამიანს თავისუფლება და დამოუკიდებლობა

ჟან ჟაკ რუსო (1712-78)

ფრანგი მორალისტი და ფილოსოფოსი, საფრანგეთის რევოლუციის უმთავრესი ინტელექტუალური შთამაგონებელი. რუსო თვითნასწავლი გახლდათ, თუმცა 1741 წ. პარიზში ჩასული, მალევე დაუახლოვდა ფრანგული განმანათლებლობის კორიფეებს — განსაკუთრებით დენი დიდროს. ჟან ჟაკ რუსოს ნაშრომები ისეთ სფეროებს სწევდა, როგორებიცაა ლიტერატურა, განათლება, ხელოვნება, მეცნიერება და ფილოსოფია; განმსჭვალულია ღრმა რწმენით "ბუნებრივი ადამიანის" სიკეთესა და "სოციალური ადამიანის" უვარგისობაში. რუსოს პოლიტიკური

სწავლებანი განზოგადებული და ჩამოყალიბებულია წიგნში "ემილი ანუ ახალი ელიზა" (1762) და "ცნობილ სოციალურ კონტრაქტში" ([1762] 1913). რუსო დემოკრატიის რადიკალური ფორმის აპოლოგეტად გვევლინება, რამაც გავლენა მოახდინა ლიბერალურ, სოციალისტურ, ანარქისტულ და — ზოგიერთის მტკიცებით — ფაშისტურ ფილოსოფიაზეც კი. ავტობიოგრაფიულ "აღსარებებში" (1770) მან გასაოცარი გულწრფელობით მოგვითხრო საკუთარ ცხოვრებაზე და არც ცოლვა-სისუსტეების დაფარვა უცდია.

უნდა მოეპოვებინა — "საკუთარი თავისთვის დაწესებულ კანონთა მორჩილების" თვალსაზრისით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოქალაქე მხოლოდ მაშინაა "თავისუფალმ, როცა თავადვე განუწყვეტლივ და უშუალოდ მონაწილეობს საკუთარი თემის ცხოვრებაში. ეს იდეა საკმაოდ სცილდება არჩევითი დემოკრატიის საყოველთაოდ მიღებულ გაგებას და პირდაპირი დემოკრატიის უფრო რადიკალური იდეალის დამცველად გვევლინება. მართლაც, რუსო ბრიტანული ტიპის არჩევნების შეურიგებელი კრიტიკოსი გახლდათ, თავის *სოციალურ კონტრაქტში* (1762) იგი წერდა:

ინგლისელები ფიქრობენ, თავისუფლები ვართო, თუმცა მწარედ ცდებიან — ინგლისელი მხოლოდ მაშინაა თავისუფალი, როცა პარლამენტის წევრს ირჩევს; არჩევანი გაკეთდება და ხალხიც ისევ მონობას უბრუნდება. მათი "თავისუფლება" — წამიერი ილუზიაა, არადა, ზეირიანად ამ ერთადერთ წამსაც ვერ იყენებენ — და მე თუ მკითხავთ, ახიცაა მათზე...

რუსოს მოდელის სიახლე კი მისი დაჟინებული მტკიცებაა, რომ თავისუფლება, საბოლოო ჯამში, **საერთო ნების** მორჩილებას ნიშნავს. რუსო სწორედაც ამ "საერთო ნებაში" ხედავდა თითოეული მოქალაქის ჭეშმარიტი ნების გამოვლინებას და არა მათ კერძო თუ სათავისო სურვილებში. როცა მოქალაქე საერთო ნებას ემორჩილება, ის უბრალოდ, თავისივე "ნამდვილი" ბუნების კარნახსაა აყოლილი — საკუთარი ეგოიზმის დაძლევის შემთხვევაში, იგი სწორედაც რომ ასე მოიქცეოდა. რუსოს თუ დაუფიქრებთ, ხელშემწყობი დემოკრატიის რადიკალური გამოვლინება არა მარტო პოლიტიკურ თანასწორობას, არამედ ეკონომიკური თანასწორობის შედარებით მაღალ ზარისხსაც მოითხოვს. მართალია, კერძო საკუთრების მომხრე არასოდეს უფიქლა, მაგრამ რუსო მაინც კატეგორიულად აცხადებდა: არც ერთი მოქალაქე არ უნდა იყოს იმდენად მდიდარი, მეორეს ყიდვა შეეძლოს და არც ერთი — ისე ღარიბი, თავის გაყიდვა მოუწიოსო.

თანხმობა: დასტური ან ნებართვა; პოლიტიკაში, ჩვეულებრივ, სახელმწიფოს მართვის უფლების მინიჭებას ნიშნავს.

საყოველთაო ნება: საზოგადოებრივი ერთობის ჭეშმარიტი სურვილი, რაც თავისთავად, საყოველთაო სიკეთეს უტოლდება; ყველას ნება, როცა ამ ერთობის თითოეული წევრი კერძოზე მაღლა დადგომას ახერხებს.

სწორედ რუსოს ნააზრევი დაედო საფუძვლად თანამონაწილეობის დემოკრატიის იდეას, რომლის მედროშეებადაც XX საუკ. 60-70-იან წლებში ახალი მემარცხენეები მოგვევლინენ. ამ შემთხვევაში "თანამონაწილე საზოგადოების" ღირსებებია გამკვეთილი და ყოველ ცალკეულ მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევა, თავისი ცხოვრება საკუთარ ჭკუაზე მოაწყო. ამ მიზნის მიღწევა კი მხოლოდ საზოგადოების უმთავრესი ინსტიტუტების ანგარიშვალდებულებებსა და დეცენტრალიზაციის შემხვევამია შესაძლებელი. მსგავსი მოდელის გულის-გული "ღრმად ფესვგადგმულ" დემოკრატი-აა — ანუ მისი იმგვარი ფორმა, როცა პოლიტიკური ძალაუფლება რაც შეიძლება უფრო დაბალ ფენებშიც უნდა ვრცელდებოდეს. და მაინც, თავად რუსოს თეორიები არაერთხელ გამხდარა მკაცრი კრიტიკის საგანი მოქალაქეთა "ჭეშმარიტ" ნებისა და მათ მიერ "განცდილ" სუბიექტური სურვილების გამიჯვნის გამო: აქ ხომ ერთი საფრთხე იმალება — თუკი მოქალაქეთა უბრალო გამოკითხვით ვერ გაირკვა, რა არის ის საერთო ნება (კაცს ხომ ხშირად კერძო ინტერესი აბრმაუებს ხოლმე), იგი შესაძლოა ზემოდანაც იქნას თავსმოხვეული — ეთქვას, მკვანი დიქტატორის მიერ, ვინც თავს საზოგადოების ჭეშმარიტი ინტერესების გამომხატველად გამოაცხადებს. სხვათა შორის, ალბათ ამიტომაც უწოდებენ ხოლმე რუსოს, ე.წ. ტოტალიტარული დემოკრატიის არქიტექტორს (ტალმონი, 1952).

მოგვიანებით გაჩნდა ხელშემწყობი დემოკრატიის შედარებით ზომიერი ფორმაც, რომელიც წარმომადგენლობითი მმართველობის ლიბერალურ მოდელთან ამჟღავნებს სოახლოვეს და სათავეს ჯონ სტიუარტ მილის ნაწერებიდან იღებს. მილისთვის დემოკრატიის უმთავრესი ღირსება პიროვნული შესაძლებლობების "უკიდურესი და ჰარმონიული განვითარების" ხელშეწყობა გახლდათ. პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობით, მოქალაქეები თვითშეგნებასაც იმაღლებენ, პოლიტიკურ აღლოსაც იძენენ და საერთოდ, პიროვნულად გამოიჯეკებიან ხოლმეო. მოკლედ, მისი აზრით, დემოკრატია არსებითად "გამომწრთობ" ფენომენია. შედეგად, მილმა უკვე პოლიტიკურ საქმიანობაში ხალხის უფრო ფართო ფენების თანამონაწილეობის იდეა წამოაყენა და საარჩევნო ხმის უფლება მოითხოვა ყველასთვის, გარდა წერა-კითხვის უცოდინრებისა. იმ დროისთვის საკმოდ რადიკალურად ჩანდა მისი განცხადება არჩევნებში ქალთა მონაწილეობის თაობაზეც. ამავე დროს, მილი ძლიერ და დამოუკიდებელ ადგილობრივ ხელისუფლებასაც უჭერდა მხარს — მისი აზრით, სწორედ ეს იქნებოდა ქვეყნის მმართველობაში სულ უფრო მეტი სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ჩართვის წინაპირობა.

მეორის მხრივ, ლიბერალებთან ზოგადი თანხმობის მიუხედავად, მილი კარგად აცნობიერებდა დემოკრატიის საფრთხეებს, რის გამოც ზოგჯერ კრიჭაშიც ედგა მათ და a priori პოლიტიკური თანასწორობის იდეას ჯიუტად უარყოფდა. პლატონის მსგავსად, არც მილს სჯეროდა, თითქოსდა ყველა პოლიტიკური შეხედულება თანაბრად ღირებულია — აქედან გამომდინარე, საარჩევნო ხმების გადანაწილებას ემხრობოდა: შავ მუშებს ერთი ხმა მიეცემოდათ, ოსტატებს — ორი, ხოლო ნასწავლ ხალხსა და სპეციალისტებს — ხუთიც ან ექვსიც. თუცა, დემოკრატიისადმი მისი ძირითადი უნდობლობა მაინც ტიპიური ლიბერალური შიშიდან მომდინარეობდა იმის

მართა რასაც ალექსის დე ტოკვილმა მოსწრებულად "უმრავლესობის ტირანია" უწოდა: სხვაგვარად რომ ვთქვათ, დემოკრატია ყოველთვის შეიცავს სახალხოს. ხალხის სახელით მსხვერპლად გაიღოს პიროვნული თავისუფლება და უმცირესობათა უფლებებიც. მილი შიშობდა, რომ დემოკრატია, უმრავლესობის ნების სასარგებლოდ, აზრთა ჭიდილზე, კრიტიკულ მიდგომებზე და საერთოდ, ინტელექტუალურ ცხოვრებაზე იტყვოდა უარს და, შესაბამისად, ერთგვაროვნებასა და განუსჯელ კონფორმიზმს დანერგავდა. მარტივად თუ ვიტყვით, უმრავლესობა ყოველთვის როდია მართალი და ხელის უბრალე აწვეით გადაწყვეტილების მიღებაც გონიერულობის საბოლოო ვერ გამოდგება; მილი ამიტომაც უფრო ქიმაგობდა ე.წ. **სათათბირო დემოკრატია**ს, ანუ საპარლამენტო წყობას.

სახალხო დემოკრატია

ცნება "სახალხო დემოკრატია" მას შემდეგ გაჩნდა, რაც საბჭოური ტიპის რეჟიმებმა წამოყვეს თავი. თუმცა, ჩვენ აქ უფრო ფართო გაგებით მოიხმართ ამ ტერმინს — მარქსისტულ ტრადიციანზე დამყარებული სხვადასხვა დემოკრატიული მოდელების აღსანიშნად. ყველა ისინი ერთმანეთისგან კი განსხვავდებიან, მაგრამ მაინც ერთნაირად უპირისპირდებიან ლიბერალურ-დემოკრატიულ მოდელებს. მარქსისტებს მუდამ ახასიათებდათ ლიბერალური, ანუ საპარლამენტო დემოკრატიისადმი აგრესიული დამოკიდებულება, მისი "ბურჟუაზიულობისა" თუ "კაპიტალისტურობის" გამოიხიბით. თუმცა, დემოკრატიის კონცეფცია თუ იდეალი, მისი ამკარა ევალიტარული ბუნებიდან გამომდინარე, მარქსისტებმაც აიტაცეს — ამინი ხომ საბოლოო მიზანს საერთო საკუთრების გზით, სოციალური ბრძანსწორების მიღწევაში ხედავდნენ ("სოციალ-დემოკრატია", თავისი პარტიული გაგებით); ოღონდ უკაა, "პოლიტიკურ" დემოკრატია, როგორც ბრძანსწორების მხოლოდ შელამაზებულ ფასადს, მაინც ბოლომდე უბრძანსპირდებოდნენ.

მარქსს სჯეროდა — კაპიტალიზმის დამხობა ჭეშმარიტი დემოკრატიის აყვავებას მოიტანსო. მისი აზრით, მთლიანად კომუნისტური საზოგადოება მხოლოდ "პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურის" არამდვილი პერიოდის შემდეგ ჩამოყალიბდებოდა და "ბურჟუაზიულ" დემოკრატიის სისტემა სრულიად განსხვავებული, "პროლეტარულ" დემოკრატით შეიცვლებოდა. მართალია, მარქსს კონკრეტულად არ დაუხატავს რაგვარი იქნებოდა ეს გარდამავალი საზოგადოება, თუმცა იმ დროისათვის თუ ვიმსჯელებთ, რასაც 1871წ. პარიზის კომუნისადმი უბრძანსპირდებოდა, ძნელი არაა წარმოვიდგინოთ, როგორ ესახებოდა "ნათელმდობი".

XX საუკ. კომუნისტური დემოკრატია, კაცმა რომ თქვას, ვი. ლენინისაგან უფრო იყო დავალებული, ვიდრე მარქსისაგან. 1917 წლის დეკემბერში "ხელისუფლება — საბჭოებს", სწორედ რომ კომუნური დემოკრატია — ამ მოთხოვნა იყო, ოღონდ მალე იმავე ლენინის მიერ "მუშათა კლასის ავანგარდის" წოდებულმა კომუნისტურმა პარტიამ, თავი პროლეტარიატის

საპარლამენტო დემოკრატია საპარლამენტო დემოკრატია დემოკრატიული მმართველობის ის ფორმაა, რომელიც ხალხის მიერ არჩეულ საბჭოს ეფუძნება, და ხალხსა და მთავრობას შორის კავშირს უზრუნველყოფს. ამ გაგებით დემოკრატია პასუხისმგებლობისა და წარმომადგენლობითობის პრინციპზე დამყარებულ მმართველობას გულისხმობს. ამდენად, საპარლამენტო დემოკრატია საზოგადოების თანამონაწილეობას და ელიტის მმართველობას აბალანსებს; მთავრობა არა უშუალოდ ხალხის, არამედ მისი მიერ არჩეული წარმომადგენლების წინაშე ანგარიშვალდებული. აღნიშნული სიტემის უპირატესობა ისაა, რომ არჩეულ წარმომადგენლებს — პროფესიული ცოდნისა თუ განსჯა-განხილვის შესაძლებლობის წყალობით — სავარაუდოდ, ხალხზე უკეთესად შეუძლიათ საზოგადოების ინტერესების განსაზღვრა. საპარლამენტო დემოკრატიის კლასიკურ ვარიანტში, რომელიც ჯ. ს. მილისა და ბერკის სახელებს უკავშირდება, დეპუტატებს, მათი ამომრჩევლების ინტერესებიდან გამომდინარე, ევალდებათ ფიქრისა და მოქმედებაც. თუმცა, დღევანდელმა პარტიულმა პოლიტიკამ გააზუნდოვანა სხვაობა საპარლამენტო და სამანდატო დემოკრატიებს შორის.

სათათბირო

დემოკრატია:

დემოკრატიის ფორმა, რომელშიც საზოგადოებრივ ინტერესთა განსაზღვრისთვის დიდი მნიშვნელობა მსჯელობასა და კამათს ენიჭება.



ვლადიმერ ილიას ძე ლენინი (1870 - 1924)

მარქსიზმის რუსი თეორეტიკოსი და რევოლუციონერი. ბოლშევიკების ლიდერი, ლენინი სათავეში ჩაუდგა 1917 წლის რევოლუციას რუსეთში და სსრკ-ს პირველი ხელმძღვანელი გახდა. მარქსიზმში ლენინის წვლილი — რევოლუციური ანუ ავანგარდული პარტიის თეორიაა (“რა ვაკეთოთ?” 1920), კოლონიალიზმის — როგორც ეკონომიკური ფენომენის — ანალიზი (“იმპერიალიზმი - კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხური,” 1916) და

მისი ერთგულება ცნობილი პრინციპის მიმართ “სოციალიზმისაკენ — აჯანყების გზით” (“სახელმწიფო და რევოლუცია,” 1917). ლენინს ზოგი სტალინისტური წნეხის მამად, ზოგიც კიდევ — ბიუროკრატის კრიტიკოსად და პოლიტიკაში ჯანსაღი კამათისა და განსჯის მომხრედ მიიჩნევს...

ინტერესთა ერთდერთ ჭეშმარიტ დამცველად და მარქსიზმ-ლენინიზმის მედროშედ გამოაცხადა, რაც შემდგომ უსიტყვოდ იქნა აღიარებული ყველა ორთოდოქსი კომუნისტური რეჟიმის მიერ, შესაბამისი ადგილობრივი რეაქციების გათვალისწინებით. ოღონდ საქმეც ეგაა, რომ თავად კომუნისტური პარტიისათვის, ანთუ მისი ლიდერებისათვის ლაგამის ამომდები, ანუ რაიმე მაკონტროლებელი ორგანო აღარ არსებობდა. მოკლედ, არისტოტელეს ნათქვამი რომ მიფუსადაგოთ — ვინდა გააკონტროლებდა თავად კომპარტიას?

დემოკრატია მოქმედებაში:საპირისპირო შებენულებები

დღემდე არ წყდება კამათი — რომელია დემოკრატიის ყველაზე სასურველი ფორმა; თუმცა თანამედროვეობისათვის უფრო მნიშვნელოვანი მაინც იმის გამორკვევაა, როგორ მოქმედებს დემოკრატია რეალურად, და რას გულისხმობს "დემოკრატიზაცია". ცხადია, რომ უკვე არსებობს დემოკრატიის ძალზე ფართო, ლამის საყოველთაოდ აღიარებული ერთი კერძო მოდელი, რასაც ზოგადად ლიბერალურ დემოკრატიას უწოდებენ. გარკვეული დაპირისპირებული ტენდენციები ამ საყოველთაო კატეგორიასაც ახასიათებს, თუმცა მისი ძირითადი ნიშან-თვისებები მაინც აშკარაა:

- < ლიბერალური დემოკრატია მმართველობის არაპირდაპირი და წარმომადგენლობითი ფორმაა, ხელისუფლება არჩევნებში მიღწეული წარმატების შედეგად ყალიბდება და პოლიტიკური თანასწორობის საფუძველზე ხორციელდება.
- < ლიბერალური დემოკრატია კონკურენციისა და არჩევანის პრინციპებს ემყარება, რაც პოლიტიკური პლურალიზმის, ურთიერთშემწეარებლობისა და საერთო თანხმობის გზით მიიღწევა. ამავე დროს, მისთვის სრულიად ბუნებრივია საპირისპირო სოციალური მოძღვრებების და მეტოქე პოლიტიკური მოძრაობებისა თუ პარტიების თანაარსებობაც.

ლიბერალური დემოკრატია მკვეთრად მიჯნავს სახელმწიფოს სამოქალაქო საზოგადოებისაგან, რაც დამოუკიდებელი ჯგუფებისა და ცენტრების არსებობითა და ეკონომიკური ცხოვრების საბაზრო პრინციპებით ორგანიზებაში გამოიხატება.

ამისდა მიუხედავად, მაინც საკმაო უთანხმოებაა ლიბერალური დემოკრატიის რაობისა და მნიშვნელობის თაობაზე: ვთქვათ, მართლა თუ არა ლიბერალური დემოკრატია პოლიტიკური ძალაუფლების სრულ და ფართო განაწილებას? ანაზღაურებს თუ არა ეს დემოკრატიული პროცესები მართლა შორსგაშიშნულ შედეგებს? თუ არა, თუ საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნებას ესწრაფვის მხოლოდ? რამდენად შესაძლებელია პოლიტიკური თანასწორობისა და ეკონომიკური უთანაბრობის გვერდიგვერდ არსებობა? მოკლედ, დემოკრატიაში მფორმას სხვადასხვა თეორეტიკოსი სხვადასხვა კუთხით განიხილავს და შედეგ ძირითად მახასიათებლებს ჩამოთვლის:

- ✦ პლურალიზმი
- ✦ ჯატიზმი
- ✦ კორპორატიზმი
- ✦ აბალი მემარჯვენეობა
- ✦ მარქსიზმი

პლურალისტური ხელვა

პლურალისტური იდეები ადრეული ლიბერალური ფილოსოფიიდან იღებს სათავეს და უპირატესად ლოკისა და მონტესკიეს სახელებს უკავშირდება. თუმცა, სისტემურ ხასიათს ამგვარი ხელვა მაინც ჯეიმზ მედისონს (იხ. გვ. 344), ცნობილი “ფედერალური ჩანაწერების” ერთ-ერთ თანაუტორს, უნდა უმაღლოდეს (Hamilton, Jay and Madison, The Federal Papers [1787-89]). როდესაც ამერიკის არამყარი კონფედერაციის ფორმიდან, ლიბერალურ პრინციპებზე მოწყობილი შეერთებული შტატების მოდელზე გადასვლას ანიჭებდა უპირატესობას, მედისონს ყველაზე მეტად ე.წ. “ფრაქციონალიზმის პრობლემა” აფრთხობდა. სხვა ლიბერალთა მსგავსად, ისიც ამტკიცებდა, რომ გაუწონასწორებელი დემოკრატიული მმართველობა შესაძლოა, ბოლოს უბრალო მაჟორიტარიანიზმად (უმრავლესობის ნების დიქტატად) გადაქცეულიყო — როცა პიროვნების უფლებები გაითვლებოდა და ზალხის სახელით საკუთრების ჩამორთმევის მანკიერი პრაქტიკაც დაინერგებოდა. მედისონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საზოგადოებაში მრავალგვარი ინტერესისა და განსხვავებული ჯგუფების არსებობას — თუ ილია რომ, სანამ ყოველ ამგვარ ჯგუფს საკუთარი “პოლიტიკური ხმა” არ ეწეებოდა, წესრიგისა და სტაბილურობის მიღწევა, უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, მან საზოგადოებას დანაწილებული მმართველობის, ძალაუფლების გადანაწილების ორპალატიანი და ფედერალური პრინციპი შესთავაზა — რაც სახელმწიფოს მართვაში მეტი და მეტი განსხვავებული ინტერეს-ჯგუფების მონაწილეობას შეუწყობდა ხელს. ამის შედეგად შექმნილი, უმცირესობათა სიმრავლით მართული სისტემა ხშირად

პლურალიზმი

ცნება პლურალიზმი ორგვარ, ფართო და ვიწრო მნიშვნელობით გამოიყენება. ფართო გაგებით, პლურალიზმი არის მრავალფეროვნების და სხვადასხვაგვარობის (მრავლის არსებობის) აღიარება; როგორც ტერმინი, პლურალიზმი პარტიებს შორის არსებული კონკურენციის (პოლიტიკური პლურალიზმი), ზნეობრივ ფასეულობათა სხვადასხვაობის (ზნეობითი პლურალიზმი), და კულტურულ ნორმათა განსხვავებულობის (კულტურული პლურალიზმი) აღსანიშნავად გამოიყენება. როგორც ნორმატიული ცნება, პლურალიზმი სხვადასხვაგვარობის სასურველობას გულისხმობს — იცავს პიროვნულ თავისუფლებას და განხილვას, დებატებსა და ურთიერთგაგებას უწყობს ხელს. უფრო ვიწრო გაგებით, პლურალიზმი პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილების თეორიაა, რომლის მიხედვითაც ძალაუფლება საზოგადოებაში ფართოდ და თანაბრად ნაწილდება და ერთი ელიტის ან მმართველთა კლასის ხელში არაა მოქცეული. ამ გაგებით, პლურალიზმი განიხილება როგორც ჯგუფური პოლიტიკა, სადაც ცალკეული პირები ორგანიზებული ჯგუფების სახითაა წარმოდგენილი და საჯარო პროცესიც ყველა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომია.

"მედისონისეულ დემოკრატიად" იხსენიება. რამდენადაც იგი საზოგადოებაში არსებულ მრავალფეროვნებას არა მხოლოდ აღიარებს, არამედ მიესალმება კიდევ, მედისონის მოდელი ფაქტიურად, პლურალისტური პრინციპების პირველი სერიოზული განაცხადია.

პლურალისტური თეორიის ყველაზე გავლენიანი თანამედროვე მიმდევარი რობერტ დალია, რომელიც თავის წიგნში "კინ მართავს? დემოკრატია და ძალაუფლება ამერიკულ ქალაქებში" (1961), შეეცადა — კონკრეტული შტატის ქალაქ ნიუ-ჰეივენის მაგალითზე — ემპირიულად შეესწავლა, მუნიციპალურ დონეზე როგორ გადანაწილდება ძალაუფლება და დაასკვნა: პოლიტიკურად პრივილეგირებულ და ეკონომიკურად წელ-გამართულ წრეებს, ჩვეულებრივ მოქალაქეებთან შედარებით მეტი ძალაუფლება კი აქვთ, მაგრამ პოლიტიკურ პროცესებზე ბატონობის შესაძლებლობა არც ერთ მმართველ თუ ტრადიციულ ელიტას არ გააჩნიაო. მისი დასკვნით, "ნიუ-ჰეივენი — დემოკრატის შუქურაა, თავის ყველა ნაკლითა და ღირსებით. დალი კარგად აცნობიერებდა, რომ თანამედროვე დემოკრატიული სისტემები ანტიკური საბერძნეთის კლასიკური დემოკრატიებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, და ჩარლზ ლინდბლომთან ერთად, მოიგონა ტერმინი "პოლიარქია", რითაც მრავალთა მმართველობა გაიმიჯნა საერთო-სამოქალაქო მმართველობისაგან. პლურალისტური დემოკრატის ამგვარი წყობის მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ არჩევნების დროს, პარტიათაშორისი ქიშპი და სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფთა უფლება, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი ნება, თავისებურ ხიდს დებს ხელისუფლებასა და მართულთა შორის. მართალია, ეს შეიძლება ძალიანაც შორს იდგეს სახალხო თვითმმართველობის იდეალისაგან, მისი მომხრეები მაინც ამტკიცებენ — მსგავსი მოდელი ანგარიშვალდებულების საკმარის მძალად ხარისხს შეიცავს და მმართველობაში ხალხის თანამონაწილეობის თვალსაზრისითაც, თამამად შეიძლება, სრულად დემოკრატიულად ჩაითვალოსო.

თუმცა ერთიცაა — ამ შემთხვევაში პლურალიზმი და დემოკრატია მთლად მშვიდობიანად ვერ მოვენ ერთად: მაგალითად, მედისონისეული სისტემის ერთი საკამათო მიზანთაგანი, შესაძლოა, დემოკრატის მოთოკაც იყო, საკუთრების დაცვის საბაბით; ანუ, იმის შიშით, ჭრული უმცირესობის მმართველობა, შესაძლოა, საბოლოო ჯამში, უმრავლესობის (არამესაკუთრე მასების) პოლიტიკურ თამაშგარე დატოვებას მომსახურებოდა. გარდა ამისა, კიდევ ერთი პრობლემა ე.წ. "პლურალისტური უძრაობის" საფრთხეცაა: იგი მაშინ იჩენს თავს, როცა ორგანიზებული ჯგუფები და ეკონომიკური ინტერესები იმდენად ძლიერდება, ყველას მორიგება აღარ ხერხდება და ხელისუფლებასაც ებნევა თავგზა. მსგავს ვითარებაში პლურალისტური სისტემა შესაძლოა, უბრალოდ, უმართავიც გახდეს. თავის გვიანდელ ნაშრომში — "ეკონომიკური დემოკრატის შესავალი" (1985) დალიც იმას ამტკიცებს, ეკონომიკური რესურსების არათანაბარი ფლობის პირობებში, პოლიტიკური ძალაუფლებაც უმცირესობის ხელში ხვდება და უმრავლესობა კი თამაშგარე მდგომარეობას უნდა დასჯერდესო.

პოლიტიკური ხელვა

პოლიტიკაში ჩამოყალიბდა როგორც იმგვარი თანასწორობის იდეების კრიტიკა, როგორცაა დემოკრატია და სოციალიზმი. მისთვის მთავარია ელიტარული წესრიგი, და არა სოციალურ დახმარებებზე აგებული გასაცოდავებული ელფი პირველი ელიტისტები — ვილფრედო პარეტო (1848-1923), გაეტანო მოსკა (1857-1941) და რობერ მიშელი (1876-1936), სწორედაც იმ თვალსაზრისს იზიარებდნენ — მათთვის დემოკრატია სულელური ზღაპარი იყო. რადგან პოლიტიკურ ძალაუფლებას, როგორც წესი, პრივილეგიებული უმჯობესობა, ანუ ელიტა ფლობს. მაგალითად, მოსკა, თავის "მმართველ კლასში" (1896) ამტკიცებდა, — ნებისმიერ საზოგადოებაში ჩნდება დაბალითა ორი კლასი: ერთი მართავს, მეორე კი მუდამ მართულიაო. მისი აზრით, მმართველობისათვის აუცილებელი რესურსები და საშუალებები ხელმ უთანაბროდაა განაწილებული და ერთ მუშტად შეკრული უმცირესობა, თვით საპარლამენტო დემოკრატიის პირობებშიც კი, ყოველთვის მოახერხებს მასების მართვასა და გაკონტროლებას.

თავის მხრივ, პარეტო მართვისთვის საჭირო ორ ფსიქოლოგიურ ტიპს გამოყოფდა: "მელიებს" (ვინც ეშმაკობით ცდილობს მასების მოაფლავს და თავის ჭკუაზე ტარებას) და "ლომებს" (ვინც იძულებითა და ძალადობით ამყარებს საკუთარ ბატონობას); რაც შეეხება მიშელს, მისი აზრით, ნებისმიერ ორგანიზაციას, თუნდაც ერთი შეხედვით დემოკრატიულს, ძალაუფლების მცირე ჯგუფის ხელში თავმოყრა ახასიათებს, რასაც იგი "ოლიგარქიის რკინის კანონს" უწოდებს. ბიუროკრატიული ძალაუფლების შექმნა შემდგომში ჯეიმზ ბარნემამაც გაიზიარა: თავის ნაშრომში "მენეჯერთა რევილუცია" (1941) იგი ამტკიცებდა, რომ ტექნიკური და მეცნიერული წოდებით, ადმინისტრაციული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი "მენეჯერების კლასი" ერთნაირად იბატონობს ნებისმიერ ინდუსტრიულ საზოგადოებაში — როგორც კაპიტალისტურში, ასევე კომუნისტურშიც.

კლასიკური ელიტისტური თეორიების მიხედვით, დემოკრატია ყოველთვის მითად რჩებოდა, თანამედროვე თვალსაზრისით კი ელიტისტები ცდილობენ აჩვენონ, რამდენად დაშორდა ეს თუ ის პოლიტიკური სისტემა დემოკრატიულ იდეალს. ამის კარგ მაგალითს იძლევა რაიტ მილზი თავის უნდაშენებელ გამოკვლევაში "სახელისუფლო ელიტა" (1956) — ნაშრომში შეერთებული შტატების სახელისუფლო სტრუქტურის შესახებ. ძალაუფლების დემოკრატიული, ფართო გადანაწილების პლურალისტური პრინციპის საპირისპიროდ, მილზი შეერთებულ შტატებში ძალაუფლების კონცენტრაციას რამდენიმე დაწინაურებული ჯგუფის ხელში ხედავდა. მისი თვალსაზრისით, სახელისუფლო ელიტას დიდი ბიზნესის (ძირითადად ფინანსების ინდუსტრიის), სამხედრო ძალების და პრეზიდენტის უშუალო პოლიტიკური გარემოცვის ტრიუმვირატი ქმნის: ეკონომიკური ძალაუფლების, ბიუროკრატიული ბერკეტებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების კონტროლის გზით, სახელისუფლებო ელიტას შეუძლია "ისტორიულ" გადაწყვეტილებები მიიღოს, კერძოდ, ფინანსებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროში და ამავე დროს, სტარტგეიუ-ვრედაც განსაზღვროს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა. თუკი ეს ასეა,

პლურალისტული დემოკრატია

ცნება პლურალისტური დემოკრატია ხშირად ლიბერალური დემოკრატიის სინონიმად გამოიყენება — იმგვარი დემოკრატიული სისტემის აღსანიშნად, რომელიც პოლიტიკურ პარტიათა შორის საარჩევნო კონკურენციას ეფუძნება. უფრო ზუსტად, ეს ცნება დემოკრატიის იმ ფორმას გულისხმობს, რომელიც საზოგადოების მოთხოვნების გასახ-მოყვანებლად და მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, ორგანიზებული ინტერეს-ჯგუფების პოტენციალს იყენებს. ამგვარად, პლურალისტური დემოკრატია შესაძლებელია საპარლამენტო დემოკრატიის ან რომელიმე სხვა მაჟორიტარული ფორმის ალტერნატივად ჩაითვალოს. ჯანსაღი პლურალისტული დემოკრატიის პირობებია:

- < პოლიტიკური ძალაუფლების ფართოდ გადანაწილება კონკურენტულ ჯგუფებს შორის და ელიტარული ჯგუფების არარსებობა. შიდა ანგარიშვალდებულების მაღალი დონე, ჯგუფის ლიდერების ანგარიშვალდებულება წევრთა წინაშე.
- < მიუკერძოებელი სახელმწიფო მანქანა, საკმარისად დანაწევრებული საიმისოდ, რათა ქვეყნის მართვის პროცესზე ინტერეს-ჯგუფებსაც რაც შეიძლება მეტად მიუწევდებოდეთ ხელი.

4. დემოკრატია

ელიტა, ელიტიზმი

თავდაპირველად ცნება ელიტა უმადლესის, საუკეთესოს, ჩინებულის მნიშვნელობით იხმარებოდა. თუმცა, სხვა გაგებით, "ელიტა" იმ უმცირესობას აღნიშნავს, რომლის ხელშიაც ძალაუფლება, პრივილეგიები და სიმდიდრე დამსახურებულად ან დაუშვსახურებლად მოქცეული; ხოლო ელიტიზმი ელიტის მმართველობის სურვილს ან მის პრაქტიკულ განხორციელებას ნიშნავს. ნორმატიული ელიტიზმის თანახმად, ელიტის მმართველობა დადებითი მოვლენაა: პოლიტიკური ძალაუფლება ხომ გონიერი და ნასწავლი უმცირესობის ხელშია თავმოყრილი. კლასიკური ელიტიზმი კი (რომელსაც მოსკამ, პარეტომ და მიშელმა დაუდეს სათავე), ემპირიულ გამოცდილებაზე აცხადებდა პრეტენზიას (თუმცა ნორმატიულ ელემენტებს ამ შემთხვევაშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა) და ელიტის მმართველობას გარდაუვალ მოვლენად, სოციალური არსებობის მუდმივ ფაქტორად განიხილავდა. თანამედროვე ელიტიზმმა ასევე ვერ აუარა გვერდი ემპირიულ ანალიზს, თუმცა ის უფრო კრიტიკულია და ელიტარულ მმართველობაში უთანაბრობის გამოვლინებასაც ამჩნევს. თანამედროვე ელიტიზმის წარმომადგენლები, როგორცაა, მაგ., რაით მილსი (1916-62) ელიტიზმის მნიშვნელობის ხაზგასმით, არა მარტო მის ახსნას, არამედ მისი ნაკლოვანებების გამოშვებულებასაც ისახევენ მხნად.

მსგავსი ელიტის არსებობა ფაქტიურად, შეერთებულ შტატებში ლიბერალური დემოკრატიის მოჩვენებითობას ნიშნავს. საარჩევნო წესის ხელისუფლების საშუალო რგოლი (კონგრესი, შტატის ხელისუფლება, და ა.შ.) ატრიალებს, ხოლო პროფესიული კავშირებს, მცირე ბიზნესს და მომხმარებელთა უფლებების დამცველებს მხოლოდ პოლიტიკური პროცესის აუტსაიდერობაზე თუ მიუწვდებათ ხელი. ელიტისტებს თუ დაუუჯერებთ, დალის ემპირიული კვლევებიც იმიტომ იძლეოდა პლურალიზმის სასარგებლო დასკვნის საფუძველს, რომ ე.წ. "ბლოკირების ტაქტიკას", როგორც ძალუფლების გამოვლინებას საერთოდ არ ითვალისწინებდა.

თუმცა, ზოგიერთი ელიტისტი-თეორეტიკოსი მაინც მიიჩნევს, რომ დემოკრატიული ანგარიშვალდებულების გარკვეული ხარისხი სავსებით მისაღებია ელიტარული წესრიგისათვისაც. მართალია, ელიტარული ძალაუფლების მოდელი ელიტას საერთო თუ მსგავსი ინტერესებით გამოვლიანებულ ერთ ორგანიზმად სახავს, კონკურენტული ელიტიზმი (ზოგჯერ დემოკრატიულ ელიტიზმადაც რომ იხსენიება) მაინც წარმოაჩენს ელიტათა დაპირისპირების (იხ. ნახ. 4.1) უდიდეს მნიშვნელობას. სხვაგვარად თუ ვიტყვით, რამდენიმე კონკურენტული ჯგუფის მთავარი ფიგურებისგან შემდგარი ელიტა, პრინციპში არაერთგვაროვანია. მსგავსი შეხედულება ხშირად გვაგონებს ჯოზეფ შუმპეტერის მიერ მის ნაშრომში "კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია" [1942] წარმოდგენილ "რეალისტურ" მოდელს:

"დემოკრატიის მეთოდი ინსტიტუციონალური გზით პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში მდგომარეობს, როცა პიროვნებებს მინიჭებული აქვთ უფლება, ნებისმიერი დაუა ამომრჩეველთა ხმებისთვის ბრძოლის საშუალებით მოავგარონ."

ამომრჩეველს მხოლოდ ის შეუძლია გადაწყვეტოს, რომელმა ელიტამ მართოს, თუმცა ვერსად გაექცევა ფაქტს, რომ ძალაუფლება მუდამ ამა თუ იმ ელიტის ხელში დარჩება. კონკურენტული ელიტიზმის ეს მოდელი ენტონი დაუნსმა (1957) "დემოკრატიის ეკონომიკურ თეორიად" გარდასახა. სინამდვილეში, საარჩევნო კონკურენცია იგივე პოლიტიკური ბაზარია. სადაც პოლიტიკოსები ძალაუფლების ხელში ჩაგდების მოსურნე შეწარმეებს არიან, ცალკეული ამომრჩეველები კი — მომხმარებლები, და მათთვის სასურველ პოლიტიკას "ყიდულობენ" ამა თუ იმ პარტიის საგანო. ღია და კონკურენტული არჩევნების სისტემა, იგივე დაუნსის აზრით, დემოკრატიული მმართველობის გარანტიაა: ძალაუფლებას ის პარტია იღებს, რომლის ფილოსოფიაც, ღირებულებებიცა და პროგრამაც ამომრჩეველთა ყველაზე ფართო ფენების მოთხოვნებს აკმაყოფილებს. შუმპეტერის თქმით, "დემოკრატია — პოლიტიკოსების მმართველობა".

როგორც დემოკრატიული პოლიტიკის მოდელს, კონკურენტულ ელიტიზმს ერთი ღირსებაც გააჩნია: საკმაოდ უახლოვდება ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მეთოდებს. მართლაც, იგი უფრო დემოკრატიული პროცესის მოქმედების აღწერის ცდაა, ვიდრე გარკვეულ ღირებულებათა ან პრინციპთა რეცეპტის გამოწერის სურვილი — პოლი-

ტყუარი თანასწორობა იქნება ეს, მმართველობაში ხალხის მონაწილეობა თუ სულაც, პიროვნული თავისუფლება. ამ მხრივ, დემოკრატია მხოლოდ პოლიტიკურ მეთოდად მოჩანს: გადაწყვეტილებების მიღების საშუალებად არჩევნებში გამარჯვების შეძღვომ. როცა ეს მოდელი მხოლოდ მუშაობს, პოლიტიკური ძალაუფლების უმეტესი წილი ნასწავლი, უმჯობესი, პოლიტიკურად აღდგომიანი ხალხის ხელში ხვდება. მეორეს მხრივ, მართალია ძალაუფლებისთვის ბრძოლა ანგარიშვალდებულების გარეშე ხარისხს კი მოითხოვს, მაგრამ კონკურენტული ელიტიზმი უკეთეს მუშაობაშიც კი, დემოკრატის მხოლოდ სუსტ ფორმად შეიძლება სათვალოს. ასეთ დროს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ელიტის მეორით წარმართვა ხდება, და საზოგადოების ძირითადმა ნაწილმა (რომელიც რამდენიმე წელიწადში ერთხელ წვეკეტს, რომელ ელიტას მიანდოს საკუთარი ხელის ბოლოს შეიძლება გული აიცრუოს და არჩევნებზე საერთოდ ჩაიქნოს ხელი).

კორპორატიული ხედვა

კორპორატიზმის სათავე ფაშისტურ იტალიაშია საძიებელი, სადაც მართვის პროცესში როგორც მენეჯერების, ისე მუშების ჩართვით, ე.წ. "კორპორატიული სახელმწიფოს" მოწყობა სცადეს. რაც შეეხება **ნეოკორპორატიზმს**, ანუ **ლიბერალურ კორპორატიზმს**, მან ე.წ. "სამწვეროვან" მმართველობას მასცა ბოძა, როცა სახელმწიფო იმგვარად იმართება, რომ მოხელეების, ბიზნესმენებისა და პროფესიული გაერთიანებების ერთმანეთში უშუალო ურთიერთქმედებას უწყობს ხელს. ზოგადად, სახელმწიფოს მართვაში კონსოციური ინტერესების შემოტანა (ასერიგად დამახასიათებელი II მსოფლიო ომის შემდგომი შვედეთის, ნორვეგიის, ჰოლანდიისა და ესტონიისათვის), აქცენტების ეკონომიკურ მართვაზე გადატანას ნიშნავდა. რამდენადაც ხელისუფლება ეკონომიკური ცხოვრების გაძლიერებასა და სულ უფრო და უფრო მეტ სოციალური პროგრამების განხორციელებას ისახავდა მიზნად, იძულებული ხდებოდა უმთავრეს ეკონომიკურ "მოთამაშებთან" თანამშრომლობისა და თანაარსებობის გარკვეული წესები დაემყარებინა. იქ, სადაც ეკონომიკური პოლიტიკის სახელმწიფო ჩარევისაგან დაცვა სცადეს და გეზიც თავისუფალი ბაზრისაკენ აიღეს (როგორც დიდ ბრიტანეთში 1979წ.), კორპორატიზმის გავლენა აშკარად შესუსტდა.

დემოკრატიული პროცესების თვალსაზრისით, კორპორატიზმის პიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. ასე მაგალითად, ბრიტანელი "ამქრული სოციალიზმის" წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ სწორედ კორპორატიზმი უწყობს ხელს ჯგუფური წარმომადგენლობითობის გაჩენას, როდესაც პიროვნების შეხედულებები და ინტერესები არა კონკურენტული არჩევნების მექანიზმის მეშვეობით ვლინდება, არამედ მათი გამომხატველი ის ვიწრო ჯგუფი ხდება, რომელსაც ეს პიროვნება მიეკუთვნება. შესაბამისად, ე.წ. "კორპორატიული პლურალიზმი" ზემოხსენებულ **სამწვეროვანობას** იმგვარ მექანიზმად მიიჩნევს, რაც საზოგადოების ძირითად ინტერეს-ჯგუფებს უკვე სახელისუფლებო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში ემარება. ოლონდ ვეცაა, მკვლევართა უმეტესობა კორპორატიზმში, უმთავრესად, დემოკრატიისათვის

ნეოკორპორატიზმი:
ტენდენცია, რომელიც დასავლურ პოლიარქიებში შეინიშნება: გულისხმობს ორგანიზებულ ინტერეს-ჯგუფთათვის პრივილეგიების მინიჭებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინსტიტუციურ მონაწილეობას.


4. დემოკრატია

ერთიანი, თანხმიერი ელიტა



4.1. მმართველი ელიტის მოდელი:

კონკურენტული ელიტის მოდელი: დაყოფილი ელიტა



არსებულ საფრთხეს ხედავს. უპირველეს ყოვლისა, კორპორატივში მხოლოდ იმ პრივილეგირებულ ჯგუფებს ევრდნობა, რომელთაც მმართველობაზე მიუწვდებათ ხელი. პოლიტიკური ხმა მხოლოდ "შინაურებს" ეძლევათ, ხოლო "უცხოებს" განზე რჩებიან; მეორეც, კორპორატივში ხელისუფლების სასარგებლოდ უფრო მუშაობს, ვიდრე ეკონომიკის ასაყვავებლად, ანუ სახელმწიფოს მიერ შერჩეულ ფაუორიტ-ჯგუფებს, ხელისუფლების იმედით, შეუძლიათ საკუთარ რიგებში მკაცრი წესრიგი დაამყარონ და რადიკალური მოთხოვნებიც ძირშივე აღმოფხვრან.

„ფაუორიტ-ჯგუფები:“
 ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც მთავრობა საქმიანი წრეების ან მუშების ძირითადი თუ საერთო ინტერესების გამოხმატველად აღიარებს.

და ბოლოს, კორპორატივში არჩევითი თუ საპარლამენტო დემოკრატიის "დაჩმორების" საფრთხესაც შეიცავს. პოლიტიკა "კეთდება" ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მძლავრი ეკონომიკური დაჯგუფებე-

საქართველო ურთიერთგარიგების შედეგად და წარმომადგენლობითი
ორპარტიული სისტემის დანერგვას დაიწყო. ამგვარად,
ორპარტიულობის გავლენა პოლიტიკური ძალაუფლების ტოლფასი ხდება,
რადგან მან, თავნებობისა და მინც, საერთოდ არ იყენებდა საზოგადოების
მხარე არაპარტიულდებულნი.

მეორე მემარჯვენეობის ხელვა

XX საუკ. 70-იანი წწ. დღემდე, ახალი მემარჯვენეობა მეტად
დასუსტდა აკრიტიკებს დემოკრატიულ პოლიტიკას და მათ შიშს ე.წ.
დემოკრატიის საფრთხე იწვევს: ანუ პოლიტიკური სისტემის დაშლად,
რაც შესაძლოა, ამა თუ იმ მოუთოკავი ჯგუფის ქმედებისა თუ მთლიანად
საზოგადოებრივი წესების შედეგად მოხდეს. ამავ დროს, ახალი მემარჯვენეობის
ფორმისთვის თავისუფალი ბაზრის მხურვალე მხარდამჭერებად გვევ-
ლინება, რადგან სჯერათ, რომ ეკონომიკა ყველაზე უკეთ მართავს მუშაობს,
რაც მასში ხელისუფლება არ ერევა. ამ თვალსაზრისით, კორპორატიზმის
საზოგადოებრივი ცალკეული ეკონომიკური ინტერეს-ჯგუფებისათვის "სასათბურე"
მემარჯვენეობის შექმნაა, რაც მათ საშუალებას აძლევს, ხელისუფლებისაგან
მემარჯვენეობის პრივილეგიები მოითხოვონ. სინამდვილეში, რეალურ ძალა-
უფლებას უკვე ეს ჯგუფები იგდებენ ხელში და საკუთარი პირობების კარ-
ნახს აწევენ. ახალი მემარჯვენეობის შეხედულებით, ყოველთვის ამას
ეკონომიკაში ხელისუფლების სულ უფრო მეტი ჩარევისა და საბოლოო
ფორმის ტრანსპარენციის მიყვარათ (ოლსონი, 1982).

"ჭარბი" მმართველობა შეიძლება საარჩევნო პროცესის შედეგით
უფრო სწორედ ამგვარ ვითარებას უწოდა ბრიტანმა (1977) "დემოკრატიის
ეკონომიკური გამოცდები". ამ თვალსაზრისის თანახმად, საარჩევნო პოლი-
ტიკა თვითგამანადგურებელი პროცესია, როცა ხელისუფლებას მოწყობი-
ლ პოლიტიკოსები, ერთმანეთის ჯიბრით, სულ უფრო და უფრო
მარჯალურ დაპირებებს სთავაზობენ ამომრჩევლებს. თუმცა, ამ დროს ორივე
მხარე ტყუის: ამომრჩეველი ანწუხზე ეგება, "ემში შესულ" პოლიტიკოსები
კარაქის მთებსა და თაფლის მდინარებს პირდებიან მათ. ამ შემთხვევაში,
მართალია თუ ვერწმუნებით, მოუთოკავი დემოკრატიის ეკონომიკური შედეგი
რეალური მაღალი ხარისხი და ის საგადასახადო ტვირთია, რაც წარმოე-
სებას ატარებს და ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვნად აფერხებს. ოლსონი,
მარტინი (1988) თქმით, ახალ მემარჯვენეობას მეტად თავისებური
შეხედულება აქვს დემოკრატიანზე: მათთვის ის იგივეა, რაც ბავშვისთვის
შოკოლადი — მუდამ სასურველი და მცირე დოზებით — უვნებელიც, დიდით
კ — მხამი. ამდენად, ახალი მემარჯვენეობის თეორეტიკოსები დემოკრატიას
შეცდრად დამცველ ფუნქციას ანიჭებენ: მასში უფრო ხელისუფლების
შეხედულების საშუალებას ხელავენ, და არა სოციალური გარდაქმნების
შეხედულებელ ძალას.

მარქსისტული ხედვა

რაც შეეხება მარქსისტებს, ისინი დემოკრატიული პოლიტიკას ისევ და ისევ კლასობრივ სარჩულს უდებენ. მათი აზრით, პოლიტიკური ძალაუფლება არ შეიძლება საარჩევნო უფლების, ანთუ განსხვავებული ჯგუფების მიერ საკუთარი ინტერესების სხვადასხვა გზით გამოხატვის შესაძლებლობამდე დაეფიციანთ. მარქსიზმი პოლიტიკური ძალაუფლების გამოხატულებას ეკონომიკური ძალაუფლების განაწილებაში, კერძოდ — წარმოებულ საქონლის უთანასწორო ფლობაში ხედავს. ლიბერალურ დემოკრატიასაც დემოკრატია და კაპიტალიზმის მუდმივი შეუთავსებლობის პრიზმიდან აკრიტიკებს: ტოლობის ნიშანს ვერ სვამს ლიბერალურ-დემოკრატიულ პოლიტიკურ თანასწორობასა და კაპიტალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელ სოციალურ უთანასწორობას შორის. ლიბერალური დემოკრატია მისთვის "კაპიტალისტურ", ანუ "ბურჟუაზიულ" გამოვლინებაა, სადაც მხოლოდ მმართველი კლასის ნებაა განმსაზღვრელი.

მარქსიზმი პლურალისტური დემოკრატია აშკარა კრიტიკაა. ის შეუძლებლად მიიჩნევს საზოგადოებაში ძალაუფლების ფართოდ და სამართლიანად განაწილებას, რადგან თავად კლასთა უფლებებია უთანასწორო. ბევრ რამეში მარქსიზმი პლურალიზმის ელიტიისტურ კრიტიკას ემთხვევა. ორივეს აზრით, საბოლოოდ მთელი ძალაუფლება მცირე ჯგუფების ხელში იყრის თავს, ოღონდ თუ ერთისთვის ეს ჯგუფი "ძალაუფლებით აღჭურვილი ელიტაა", მეორე მას "მმართველ კლასს" უწოდებს. თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობაც — ჯერ ერთი, ელიტიზტები ამტკიცებენ, ძალაუფლება შეძლება რამდენიმე წყაროდან მომდინარეობდესო (განათლება, სოციალური სტატუსი, თანამდებობრივი მდგომარეობა, პოლიტიკური კავშირები, სიმდიდრე, და ა.შ.); მარქსისტები კი, უმთავრესად ეკონომიკურ ფაქტორებზე ამახვილებენ ყურადღებას — ძირითადად წარმოების საშუალებებზე საკუთრებასა და მათ კონტროლზე. მეორეც, ელიტიზტების აზრით, სხვადასხვა ელიტური ჯგუფების არსებობის შემთხვევაში, კონკურენცია დემოკრატიული პროცესების განვითარების საშუალებას იძლევა, მაშინ როცა მარქსისტების თვალსაზრისით, მმართველი ელიტა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობს და დროებით დათმობებზეც მხოლოდ ამ ინტერესთა დასაცავად თუ მიდის.

რაც შეეხება თანამედროვე ვეროკომუნიზტებს, მათ უარყვეს რეკოლუციის იდეა და ახლა სოციალიზმზე მშვიდობიან გადასვლას ქადაგებენ. ამის თაობაზე დაწერილებით X თავში გვექნება საუბარი.

მმართველი კლასი:

იმ კლასის აღმნიშვნელი მარქსისტული ცნება, რომელიც საწარმოო საშუალებების ფლობის წყალობით სხვა დანარჩენ კლასებზე და ზოგადად საზოგადოებაზეც დომინირებს.

ვეროკომუნიზმი:

კომუნიზმის "შერბილებულ" ფორმა, რომელიც მარქსიზმის ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპებით "გაზავებას" ისახავდა მიზნად.

შეჯამება

« დემოკრატიის ცნების პოპულარობამ თავად ამ სიტყვის გამოყენების არე-
ულ გააბუნდოვანა და ფაქტიურად, ლოზუნგის მნიშვნელობა შესძინა.
შესაძლებელია დემოკრატია უმრავლესობის მმართველობის სისტემას, ქვე-
ყვეყნის მართვაში მოსახლეობის ფართო ფენების უშუალო ჩართვასა და
საყოველთაო არჩევნების გზით პარტიული კონკურენციის ფორმასაც
შეაქვას ნიშნავდეს.

« დემოკრატიის არსზე კამათი სამ ძირითად საკითხს მოიცავს ხოლმე: 1. ვინ
არის ხალხი და რამდენად ფართოდ უნდა გადანიშნავდეს პოლიტიკური
მართვა უფლება; 2. მართლა ხალხმა უნდა მართოს საკუთარი თავი თუ ხელისუ-
ფლება ხალხის ბედზე ზრუნვის პრეტენზიის მქონე პარტიებსა და პოლი-
ტიკოსებს უნდა გადააბაროს; 3. რა მეთოდებია ხელსაყრელი, დემოკრატი-
ული პროცესების მეშვეობით ერთობლივი გადაწყვეტილებების მისაღებად?

« არსებობს დემოკრატიის რამდენიმე განსხვავებული მოდელი და ყოველი
მოდელი სახალხო მმართველობის საკუთარ ხედვას გვთავაზობს. მათ შორის:
კლასიკური დემოკრატია, რაც სახალხო თვითმმართველობის პრინციპს
შეუძნება; ლიბერალიზმის ინდივიდუალისტურ შეხედულებებზე ადმოცენე-
ბული დამცავი დემოკრატია; მეტი თანამონაწილეობის პრინციპის გამტარე-
ბული ხელშემწყობი დემოკრატია; და სახალხო დემოკრატია, რომელიც
განსაკუთრებულ მნიშვნელობას კლასთა შორის ძალაუფლების გადანაწილე-
ბას ანიჭებს.

« ანტიკური საბერძნეთის პოლიტიკურ სისტემაზე დაფუძნებული
კლასიკური დემოკრატია, ხალხის მიერ მმართველობის საუკეთესო ფორმად
მიიჩნევა; დამცავი დემოკრატია მოქალაქეს ყველაზე მეტ საშუალებას
აძლევს, თავის ნებაზე იცხოვროს; ხელშემწყობ დემოკრატია ის ღირსება
გაჩნდის, რომ თანამონაწილეობის ხარისხსაც ამადლებს, მეტ თავისუფლე-
ბასაც მოითხოვს და პიროვნების ზრდასაც უწყობს ხელს; სახალხო
დემოკრატია უფრო ეკონომიკურ გათანაბრებას ისახავს მიზნად, ვიდრე
პოლიტიკური უფლებების უბრალო გაფართოებას.

« საყოველთაო აღიარებით კი მხოლოდ დემოკრატიის ერთი კონკრეტული,
ლიბერალურ დემოკრატიად წოდებული მოდელი სარგებლობს. მისი
ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ არაპირდაპირი დემოკრატიის
წარმომადგენლობით ფორმას ანიჭებს უპირატესობას და არჩევნების დადგე-
ნულ წესს ეყრდნობა. იგი პარტიულ კონკურენციასა და არჩევანის უფლებას
აღიარებს, მკვეთრად მიჯნავს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას
და იცავს როგორც ცალკეულ დამოუკიდებელ ჯგუფებს, ისე კერძო
საკუთრებას.

« ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემების პრაქტიკა სხვადასხვაგვარ
შეესაბამება იმსახურებს: პლურალისტებისთვის უმთავრესი მათ მიერ სახ-
ალხო წარმომადგენლობისა და საჯარო ანგარიშვალდებულების უზრუნვე-

4. დემოკრატია

ლყოფა; ელიტისტები მხარს უჭერენ პოლიტიკური ძალაუფლების პრივილეგირებული უმცირესობის ხელში გადასვლას; კორპორატისტებს ხელისუფლებაში ცალკეული ინტერეს-ჯგუფების ჩართვა მოსწონთ; ახალ მემარჯვენეობას — ჭარბი დემოკრატიის შესაძლებლობა აფრთხობს; მარქსისტები კი დემოკრატიისა და კაპიტალიზმის მუდმივ შეუთავსებლობაზე ლაპარაკობენ.

კითხვები განსასჯელად

- < რით დაიძახებოდა დემოკრატია საყოველთაო აღიარება?
- < რამდენად მისაღებია პირდაპირი დემოკრატია თანამედროვე პირობებში?
- < რა არის დემოკრატიის მთავარი ღირსებები?
- < რა ნაკლი ან ხიფათი ახლავს დემოკრატიას?
- < დემოკრატიის რომელი მოდელი უფრო მიმზიდველი და რატომ?
- < რამდენად "დემოკრატიულია" თანამედროვე წარმომადგენლობითი დემოკრატია?
- < რა საფრთხეები ემუქრება დემოკრატიას თანამედროვე საზოგადოებაში?

დამატებითი საკითხავი

- Arblaster, A., *Democracy*, 2nd edn (Milton Keynes: Open University Press, Minneapolis: University of Minnesota Press, 1994).
- Dahl, R., *Democracy and its Critics* (New Haven, CT: Yale University Press, 1989).
- Gill, G., *The Dynamics of Democratization: Elite, Civil Society and the Transition Process* (Basingstoke: Palgrave Macmillan, 2000).
- Held, D., *Models of Democracy*, (Oxford: Polity, 2006).
- Macpherson, C.B., *The Life and Times of Liberal Democracy* (Oxford: Oxford University Press, 1977).

სახელმწიფო

"სახელმწიფოს მიზანი მუდამ ერთია: მოათენიეროს, დაიმორჩილოს და დათრგუნოს პიროვნება".

მაქს შტირნერი, "მე და ჩემი" [1845]

სახელმწიფოს დადი ადამიანის ლამის ყოველგვარ საქმიანობას ატყევი: აღზრდა-განათლებიდან მოყოლებული, ყოფის ყველა სფეროს — ეკონომიკას, სოციალურ კეთილდღეობას, საოჯახო ატმოსფეროსა თუ თავდაცვას. სახელმწიფო ყველაფერს საზღვრავს და აკონტროლებს, ზედამხედველობს და წარმართავს, თაოსნობს და მოძღვრავს — ჩვეულებრივ, ცხოვრების ყველაზე კერძო და ინტიმური საკითხებიც კი (ქორწინება-განქორწინება, აბორტი, სარწმუნოება) საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს "საზრუნავზე" ხდება ხოლმე. ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, რომ პოლიტიკა ხშირად ესმით როგორც "სახელმწიფოს შესწავლა", ანუ სახელმწიფოს რაობის კვლევა; იდეოლოგიური დება-კამათიცა და პარტიული პოლიტიკაც მუდამ ამ საკითხებს უტრიალებს: ბოლო-ბოლო, რა ევალევა სახელმწიფოს და რა რჩება გასაკეთებელი ცალკეულ პიროვნებას, ან ამა თუ იმ საზოგადოებრივ ჯგუფს? პოლიტიკური ანალიზისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად კი სახელმწიფო ძალაუფლების არსის განსაზღვრა იქცა.

ამგვარად, ამ თავში შემდეგი ძირითადი საკითხებია განხილული:

საკანძო საკითხები:

- < რაა სახელმწიფო და რით განვასხვავთ იგი ხელისუფლებისაგან?
- < რა კუთხით იკვლევდნენ და რა ახსნას უძებნიდნენ ხოლმე სახელმწიფო ძალაუფლებას?
- < ზოგადად რომ ვთქვათ, სახელმწიფო სიკეთის წყაროა თუ ბოროტების?
- < რა როლს ანიჭებდნენ სახელმწიფოს, როგორ ნაწილდებოდა პასუხისმგებლობა მასსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის?
- < რა კვალი დაამჩნია გლობალიზაციამ სახელმწიფოს როლსა და ძალაუფლებას?

შინაარსი

რა არის სახელმწიფო?

სახელმწიფოთა ტიპები
 პლურალისტური სახელმწიფო.
 კაპიტალისტური სახელმწიფო.
 "ლევიათან" სახელმწიფო.

პატრიარქალური სახელმწიფოს როლი
 მინიმალისტური სახელმწიფოები.
 პროგრესირებადი სახელმწიფოები.
 სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოები.
 "კოლექტივიზირებულ" სახელმწიფოები.
 ტოტალიტარული სახელმწიფოები.
 სახელმწიფო და გლობალიზაცია.

სახელმწიფოს როლი გლობალიზაციის ეპოქაში
 "სახელმწიფოს" სახ-ეცვლილება

შეჯამება/კითხვები
 განსასჯელად/დამატებითი საკითხავი



გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი (1770-1831)

გერმანელი ფილოსოფოსი. ითვლება თანამედროვე იდეალიზმის ფუძემდებლად. გამოთქვა მოსაზრება, რომ ადამიანის ცნობიერება და მატერიალური საგნები სინამდვილეში ერთი მთლიანობაა. "გონის ფენომენოლოგიაში" (1807) ჰეგელი შეეცადა ჩამოეყალიბებინა მწყობრი რაციონალური სისტემა, რომელიც ტრადიციულ ქრისტიანობას ჩაენაცვლებოდა, ხოლო აბსოლუტური გონების თვითრეალიზაციისკენ მისწრაფებაში, საკაცობრიო ისტორიისა და ფაქტიურად, თავად სამყაროს ახლებურად გადაზრების გზას ხელაფდა. მისი

თქმით, ისტორია არსებითად, საკაცობრიო გონის სვლაა სასრული წერტილისაკენ. თავის მთავარ პოლიტიკურ ნაშრომში, "სამართლის ფილოსოფია" (1821), სახელმწიფოს ის ზნეობრივ იდეალად და ადამიანის თვისუფლების უზენაეს გამოხატულებად წარმოაჩენს. ჰეგელმა უდიდესი გავლენა მოახდინა მარქსსა და ე.წ. "ახალგაზრდა ჰეგელიანელებზე", ისევე როგორც მოგვიანებით — ე.წ. "ფრანკფურტის სკოლაზე". მან ასევე განაპირობა როგორც ფემინისტური იდეოლოგიის, ასევე იმპერალიზმის მრწამსის ჩამოაყალიბება, როგორც იყო, ვთქვათ, თ. პ. გრინი (1836-82).

რა არის სახელმწიფო?

რალას არ აღნიშნავდნენ ცნებით "სახელმწიფო" — ინსტიტუციების ერთობლიობას, ტერიტორიულ ერთეულს, ფილოსოფიურ იდეას, ჩაგერისა თუ გაერთიანების საშუალებას და სხვ. და სხვ. ამგვარ განსხვავებებს, ნაწილობრივ, ისიც განაპირობებდა რომ სახელმწიფოს რაობა სამი სხვადასხვა თვალსაზრისით ესმოდათ — *იდეალისტური, ფუნქციონალური და ორგანიზაციული* გაგებით. იდეალისტური გაგება ყველაზე ნათლად გ.ვ.ფ. ჰეგელის ნაშრომებში მოჩანს. ჰეგელი საზოგადოებრივი არსებობის სამ "დონეს" გამოყოფდა: ოჯახს, სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს. იგი ამტკიცებდა, რომ ოჯახს "თავისებური ალტრუიზმში" ახასიათებს, როცა ადამიანი — შვილებისა თუ მშობლების სასიკეთოდ — საკუთარ ინტერესებს უგულებელყოფს; ამის საპირისპიროდ, სამოქალაქო საზოგადოებას ჰეგელი "საყოველთაო ეგოიზმის" სფეროდ მიიჩნევს, სადაც უმთავრესი პიროვნების "კერძო" ინტერესია; ხოლო სახელმწიფო იმგვარი ზნეობრივი მთლიანობაა, რასაც საფუძვლად ურთიერთთანაგრძნობა, ანუ — "საყოველთაო ალტრუიზმში" უძვეს. თუმცა, იდეალიზმის ხინჯიც ისაა, რომ უპირობოდ აღიარებს სახელმწიფოს ზეობას და მასზე ზნეობრივი კატეგორიებით საუბრისას, ვერ ახერხებს, მკვეთრად გამოიჯნოს სახელმწიფოს შემადგენელი და მის მიღმა მყოფი ინსტიტუციები.

სახელმწიფოსადმი ფუნქციონალური მიდგომა მთავარ ყურადღებას სახელმწიფო ინსტიტუტების დანიშნულებასა და მიზანს უთმობს, ხოლო მის უმთავრეს ამოცანად "სოციალური წესრიგის" შენარჩუნებას მიიჩნევს. ამგვარად, სახელმწიფო განისაზღვრება, როგორც საზოგადოებაში წესრიგისა და სტაბილურობის დამცველი ინსტიტუტების ერთიანობა. ამგვარი რამ ახასიათებთ სწორედ თანამედროვე მარქსისტებს, რომელნიც თვლიან, რომ სახელმწიფო ჩაგერის ინსტრუმენტია კაპიტალისტური სისტემის ხელში და

წესრიგის დამყარებით მხოლოდ საკუთარ არსებობას იხანგრძლივებს. ფუნქციონალიზტების ძირითადი სისუსტე ისაა, რომ წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით ინსტიტუტს (თუნდაც ოჯახს, მას-მედიას, პროფგაერთიანებებს და სხვა) თავად სახელმწიფოსთან აიკავებენ. ამიტომაც, სახელმწიფოს რაობის განსაზღვრისას, თუკი საწინააღმდეგო საგანგებოდ არ იქნა შთითებული, ამ წიგნში ჩვენ მხოლოდ ორგანიზაციულ მიდგომას განვიხილავთ.

ამ თვალსაზრისის თანახმად, სახელმწიფო მმართველობის აპარატმა ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, ანუ — იმ ინსტიტუციათა ერთობლიობა, რომელნიც საზოგადოებრივი ყოფის ორგანიზაციაზე აკებენ პასუხს და ხალხის ვიბიდან ფინანსდებიან. ამგვარი განმარტების ერთი ღრსება ისიცაა, რომ სახელმწიფოს ცნება მკვეთრად იმიჯნება სამოქალაქო საზოგადოებისაგან. სახელმწიფო მმართველობის მრავალგვარ ინსტიტუტს უერთიანებს: ბიუროკრატიას, შეიარაღებულ ძალებს, პოლიციას, სასამართლოს, სოციალური დაცვის სისტემასა და სხვ., ანუ — მთელ "პოლიტიკურ ორგანიზმს", და სწორედ ამის წყალობით მოხდა იმგვარი ცენტრალიზებული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება XV-XVI საუკუნეებში, რომელმაც ყველას და ყველაფრის დაქვემდებარება მოახერხა — გინდა სულიერი, გინდა მიწიერი ცხოვრების სფეროში. მართლაც, თვითმპყრობელი სახელმწიფოებრიობის თანამედროვე გაგება ჯერ კიდევ 1648წ. "კესტფალიის ზავის" პირობებში აისახა. სხვათა შორის, ორგანიზაციული მიდგომა შესაძლებლობას იძლევა სახელმწიფოს როლის ზრდასა თუ დაკნინებაზეც ვისაუბროთ, იმისდა მიხედვით, იზრდება თუ მცირდება მისი პასუხისმგებლობა; ფართოვდება თუ იზღუდება ინსტიტუციონალური შექანიზმების არეალი.

ასე და ამგვარად, შეგვიძლია სახელმწიფოს 5 ძირითადი ნიშანთვისება ჩამოვთვალოთ:

< სახელმწიფო "უზენაესია" და იგი აბსოლუტურ და შეუზღუდავ ძალაუფლებას ახორციელებს, რამდენადაც ნებისმიერ საზოგადოებრივ გაერთიანებასა თუ ჯგუფზე მალდა დგას. თომას ჰობსმა სახელმწიფოს ეს იდეა ბიბლიური *ლევიათანის*, ანუ, გიგანტური "გველეშაპის" ალეგორიად წარმოსახა.

< სამოქალაქო საზოგადოების "კერძო" ინსტიტუტებისგან განსხვავებით, სახელმწიფო ინსტიტუტები იმთავითვე "საჯარო" ხასიათისაა: სახელმწიფო დაწესებულება პასუხს აკებს კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებაზეც და განხორციელებაზეც, მაშინ როცა ოჯახი, კერძო ბიზნესიცა და პროფგაერთიანებაც პიროვნული ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება.

< სახელმწიფო — კანონიერების აღსრულებაა. მისი გადაწყვეტილებები, ჩვეულებრივ, თუცა არა ყოველთვის, საზოგადოების ნების გამოხატულებაა და იგულისხმება, რომ ისინი საყოველთაო კეთილდღეობაზე ზრუნვითაა განპირობებული; ამდენად, სახელმწიფო საზოგადოების მუდმივი ინტერესების დამცველად ითვლება.

< სახელმწიფო ბატონობის საშუალებაა. მისი ავტორიტეტი იძულებას

სახელმწიფო:

სახელმწიფო — პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც დამოუკიდებელ იურისდიქციას აერცვლებს გარკვეულ ტერიტორიულ საზღვრებში და ხელისუფლებას მუდმივმოქმედი ინსტიტუციების მეშვეობით ახორციელებს; ეს ის დაწესებულებებია, რომლებიც "საჯაროა" იმდენად, რამდენადაც სწორედ ისინი აგებენ პასუხს საზოგადოებრივი ცხოვრების კოლექტიურ ორგანიზებაზე და საზოგადოების მიერვე ფინანსდებიან. ამგვარად, სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ინსტიტუტს მოიცავს, თუმცა ის ასევე გულისხმობს სასამართლო სისტემას, ნაციონალიზირებულ ინდუსტრიას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების სისტემებსა და ა. შ.; შესაძლებელია ასევე, მისი გაიგივება მთელს "სახელისუფლებო პოლიტიკასთან". გერმანული სოციოლოგი მაქს ვებერის თანახმად, სახელმწიფო "კანონიერი ძალადობის" საშუალებებზე მონოპოლიით განისაზღვრება. დაჯ-კამათი სახელმწიფოს ძალაუფლების რაობასა და თავად სახელმწიფოს როლზე არა და არ წყდება.

კონსტიტუციური მმართველობა: მმართველობის ფორმა, რომელიც საკანონმდებლო და ინსტიტუციური შეზღუდვების პირობებში ხორციელდება, რომელნიც ძალაუფლებასაც კვეციენ და პიროვნულ თავისუფლებასაც უზრუნველყოფენ.

ემყარება — მას უნდა შესწევდეს უნარი, სათუოდ არ გახადოს არც კანონის მორჩილება, არც კანონდამრღვევთა დასჯა. შესაბამისად, "კანონიერი ძალადობის" (მაქს ვებერი) მონოპოლია სახელმწიფოს უზენაესობის პრაქტიკული გამოვლინებაა.

< სახელმწიფო ტერიტორიალური გაერთიანებაა; მისი იურისდიქცია-გეოგრაფიულადაა განსაზღვრული და ვრცელდება ყველაზე, ვინც მის საზღვრებში სახლობს — სულ ერთია, ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან ისინი, თუ არა. საერთაშორისო დონეზე, სახელმწიფო (თორიულად მაინც), ავტონომიურ ერთეულად განიხილება.

სახელმწიფო არა მარტო სამოქალაქო საზოგადოებისგანაა გამოყოფილი, ის შინაგანადაც დაყოფილია და არაერთი განშტოებისა თუ ნაწილისაგან შედგება: სახელმწიფო აპარატი მოიცავს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ანუ "მთავრობას", საკანონმდებლო სახალხო კრებას ან პარლამენტს, სასამართლოს, ბიუროკრატიულ აპარატს, შეიარაღებულ ძალებს, პოლიციას, თვითმმართველობის ადგილობრივ და რეგიონალურ ინსტიტუტებს. ყველაზე მნიშვნელოვანი აქ მაინც "სახელმწიფოსა" და "ხელისუფლების" ცნებებს შორის სხვაობაა (არადა, მათ ხშირად ურვევენ ერთმანეთში) და განსხვავება მხოლოდ მეცნიერული ხასიათისა არაა — იგი უშუალოდ უკავშირდება შეზღუდული და კონსტიტუციური მმართველობის იდეას. მოკლედ, სახელისუფლებო ძალაუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოითხოვება, თუკი არსებული ხელისუფლება სახელმწიფოში დაუსაზღვრავი და შეუზღუდავი მმართველობის დამყარებას ვერ შესძლებს.

ხელისუფლებასა და სახელმწიფოს შემდეგი ნიშან-თვისებანი განასხვავებთ:

< "სახელმწიფო" უფრო მეტია, ვიდრე "ხელისუფლება" — იგი როული კავშირია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ინსტიტუტს მოიცავს და ქვეყნის ყველა მოქალაქეს აერთიანებს; ხელისუფლება კი სახელმწიფოს მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილია.

< სახელმწიფო დროში გაქვლილი, შეიძლება ითქვას, უწყვეტი ფენომენია. ხელისუფლება — დროებითია: მთავრობები მოდიან და მიდიან, მმართველობის სიტემებიც იცვლებიან და იხვეწებიან.

< ხელისუფლება მხოლოდ საშუალებაა, რითაც სახელმწიფოს პოლიტიკა ცხოვრებაში ხორციელდება. ამ საქმეში ხელისუფლება ქვეყნის "გონია" და იგი სახელმწიფოს არსებობას აზანგრძლივებს.

< სახელმწიფო განუპიროვნებელ ნებას ამკვიდრებს — მისი დაწესებულებების თანამშრომლები მოხელეებად ირჩევიან და იწვრთნებიან, და როგორც წესი, პოლიტიკურად მიუკერძოებელი უნდა დარჩნენ, რათა სახელმწიფო დაწესებულებები არსებული ხელისუფლების იდეოლოგიურ ალტკინებას არ აყვეს.

< სახელმწიფო, თორიულად მაინც, საზოგადოების მუდმივ ინტერესებს გამოხატავს; ანუ — საერთო, საყოველთაო ნებას; ხელისუფლება კი იმათ მომხრეთა სიმპათიებს, ვინც ამჟამად იმყოფება ქვეყნის სათავეში.

სახელმწიფოთა ტიპები

რაკილა გავარკვეით, თუ რას ნიშნავს "სახელმწიფო", ახლა სხვა პრობლე-
მასაც შევხებით: როგორია სახელმწიფო ძალაუფლების ბუნება და რას ემსახ-
ურება იგი? ზოგადი გაგებით, სახელმწიფო — "იმთავითვე საკამათო" ცნებაა.
არსებობს უამრავი თეორია, და ყოველი მათგანი სახელმწიფოს საფუძვლებს,
ფუნქციონირების გზებსა და საზოგადოებაზე მის გავლენასაც განსხვავებულად
აზრებს. მართლაცდა, ჯერ კიდევ საკითხავია, სრულად ავტონომიურია და
საზოგადოებისაგან დამოუკიდებელი ეს თუ ის სახელმწიფო, თუ სწორედაც
რომ საზოგადოების ნაყოფი და ძალაუფლებისა და რესურსების უფრო
ფართო გადანაწილების გამოვლინება. მეტიც — საყოველთაო, კოლექტიურ
ეთილდღეობას ემსახურება, თუ ერთ ცალკეულ ჯგუფს ან რომელიმე გაბა-
რუნებულ კლასს? ასევე, საკითხავია — დადებითი და კონსტრუქციულია
სახელმწიფო, და შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობაც უნდა გაიზარდოს
თუ პირიქით — უარყოფითი და დამანგრეველი მოვლენაა და არათუ მისი
შეზღუდვა, იქნებ საერთოდ მასზე უარის თქმაც იყოს უმჯობესი. გამოყოფენ
სახელმწიფოთა 4 სხვადასხვაგვარ ტიპს:

- † პლურალისტური სახელმწიფო
- † კაპიტალისტური სახელმწიფო
- † "ლევიათან" სახელმწიფო
- † პატრიარქალური სახელმწიფო

პლურალისტური სახელმწიფო

პლურალისტური სახელმწიფოს თეორეტიკოსებს აშკარა ლიბერალური
ზღაპა ახსიათებთ. მათი გაგებით, სახელმწიფო უფრო თამაშის წესების დამ-
ცველი "მსაჯია", და არა საზოგადოების მსაჯული. ამგვარი გაგების კვალი
"ტვიპია, ზოგადად, ლამის მთელს ანგლო-ამერიკულ პოლიტიკურ აზროვნე-
ბას, როცა ნიველირებულია სახელმწიფოსა და მისი ორგანიზაციების როლი
და ყურადღება "მმართველობის ფორმაზე" გადააქვთ. მართლაც, ამ
თეორეტიკოსებისთვის, სახელმწიფო როგორც აბსტრაქცია, უკანა პლანზე იწევს,
ზოლო მისი ინსტიტუტები — სასამართლოები, სამოქალაქო სამსახურები,
შეიარაღებული ძალები — დამოუკიდებელ მოთამაშეებად გვევლინებიან, და
არა უფრო ზოგადი, სახელმწიფო მანქანის ნაწილებად. ანუ, სახელმწიფოს
უპოვებელყოფა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუკი არსებული
ხელისუფლების ნებასთან იგოვდება და მიუკერძოებელი არბიტრისა თუ
მსაჯის როლს ვედარ ასრულებს.

სახელმწიფოს ამ ანგლო-ამერიკული თეორიის ფუძემდებლებად
XVII საუკ. ფილოსოფოსები, თომას ჰობსი და ჯონ ლოკი ითვლებიან და
მათთვის უმთავრესი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხია: ის მიზეზე-
ბი, თუ რატომ უნდა დაემორჩილოს პიროვნება სახელმწიფოს, რატომ უნდა
ხცეს პატივი. მათი მტკიცებით, სახელმწიფო ნებაყოფლობითი შეთანხმების,

პოლიტიკური

ვალდებულება:

მოქალაქის ვალდებულება
სახელმწიფოს წინაშე; სახ-
ელმწიფო მმართველობის
უფლების საფუძველი.

საყურადღებოდ...

"სოციალური კონტრაქტის" თეორია

ეს თეორია საზოგადოებასა თუ სახელმწიფოში ცალკეულ პიროვნებათა ნებაყოფლობით ურთიერთშეთანხმებას გულისხმობს. პობსის, ლოკისა და რუსოს სახელებთან დაკავშირებული "სოციალური კონტრაქტის თეორია" დღესაც აქტუალურია ისეთი თეორეტიკოსებისათვის, როგორც ჯონ როულზი; ოლინდაც, მას თითქმის არასოდეს ანიჭებენ განსაკუთრებული ისტორიული მოვლენის მნიშვნელობას — უფრო იმ საზომად მიიჩნევენ ხოლმე, რითაც მმართველობის ამა თუ იმ ფორმის აკარგიანობა განისაზღვრება. სოციალური კონტრაქტის თეორეტიკოსებისათვის იდეალური იმგვარი საზოგადოებაა, როცა ყოველი ცალკეული პიროვნება ისე ცხოვრობს, თითქოს თავად ჰქონდეს ხელსაყრელი კონტრაქტი დადებული სახელმწიფოსთან. კლასიკური გაგებით, ეს თეორია სამ პირობას უნდა პასუხობდეს:

- < არსებობს რაღაც წარმოსახული, სახელმწიფოს გარეშე საზოგადოება (ე.წ. "ბუნებრივი მდგომარეობა") სადაც, უსაზღვრო თავისუფლების პირობებში, სიცოცხლე "მოსაწყენი, უაზრო, უსიხარულო, დაუნდობელი და ხანმოკლეა" (პობსი).
- < შესაბამისად, ხალხი ცდილობს თავი დააღწიოს ბუნებრივ მდგომარეობას და სოციალური კონტრაქტი გააფორმოს — აღიაროს, რომ მხოლოდ უზენაესი ძალაუფლებაა წესრიგისა და სტაბილურობის გარანტი.
- < სოციალური კონტრაქტი მოქალაქეებს ავალდებულებს, პატივი სცენ და დაემორჩილონ სახელმწიფოს — იმ უსაფრთხოების მისღწევად, რასაც მხოლოდ პოლიტიკური მმართველობის სისტემა უზრუნველყოფს.

ანუ სოციალური კონტრაქტის შედეგია, რომელსაც პიროვნება მას შემდეგ "აფორმებს", როცა ხედება, რომ **ბუნებრივი მდგომარეობის** საფრთხეების, განუკითხაობისა და სისასტიკისაგან მისი დაცვა, მხოლოდ უზენაეს ძალაუფლებას შეუძლია. სახელმწიფოს გარეშე ადამიანები ერთმანეთს შეურაცხყოფენ, ჩაგრავენ და იმონებენ, სახელმწიფო კი წესრიგისა და ცივილიზებული თანაარსებობის გარანტი და თავისუფლების დამცველია. ლოკის თქმით, "სადაც კანონი არ კანონობს, იქ აღარც თავისუფლებაა".

"ბუნებრივი მდგომარეობა":

საზოგადოების ყოფაცხოვრება, რომლისთვისაც უცხოა პოლიტიკური ხელისუფლება და პიროვნების შეზღუდვა ნებისმიერი იურიდიული კანონებით ფაქტიურად, მხოლოდ თეორიული მოცემულობაა.

ანარქია:

სიტყვა-სიტყვით — მმართველობის გარეშე; ცნება "ანარქია" ხშირად გამოიყენება უარყოფით კონტექსტში — დესტაბილიზაციისა და ქაოსის აღსანიშნავად.

ლიბერალური თვალსაზრისით, სახელმწიფო საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულ ჯგუფებს შორის მიუკერძოებელი მსაჯვის როლს უნდა ასრულებდეს მხოლოდ და ცალკეული პიროვნების ყველა სხვა თანამოქალაქისაგან დაცვა შეეძლოს; მისი მიუკერძოებლობა კი იმაში უნდა ჩანდეს, რომ ყველა მოქალაქის ინტერესებს თანაბრად ითვალისწინებდეს და ამდენად, საყოველთაო სიკეთისა თუ საზოგადოების გამომხატველიც იყოს. პობსის თანახმად, სტაბილურობასა და წესრიგს მხოლოდ შეუზღუდავი სახელმწიფო მმართველობა დაიცავს და მისი ძალაუფლება არც ეჭვს და არც ზედმეტ შეკითხვებს არ უნდა ბადებდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოქალაქემ არჩევანი აბსოლუტიზმსა და ანარქიას შორის უნდა გააკეთოს. თავის მხრივ, ლოკი უფრო ტიპიურად ლიბერალური პოზიციებიდან იცავდა შეზღუდული სახელმწიფოს იდეას: მისი აზრით, სახელმწიფოს მიზანი უადრესად სპეციფიურია და მხოლოდ თანდაყოლილი, "ღვთიებრძოლებული" პიროვნული უფლებების დაცვა მოეთხოვება; კერძოდ — სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების. ამ შემთხვევაში, ერთმანეთისაგან ამკარადაა გამოიჯნული სახ-

წიფოსა და ცალკეული მოქალაქის პასუხისმგებლობა, მაგრამ რაკიდა სახელმწიფოს როგორც თანდაყოლილი უფლებების დაცვა, ისე მათი ფუნქციონირება შეუძლია, მოაქალაქებებსაც უნდა გააჩნდეთ სახელმწიფოსაგან მოთხოვნის გარკვეული მექანიზმები და ამგვარ რამეს ლოკი კონსტიტუციურ-მომადგენლობით მმართველობაში ხედავდა.

XX საუკუნეში სწორედ ეს იდეები გარდაისახა სახელმწიფოს პლურალისტურ თეორიად. როგორც საზოგადოების არსებობის ფორმა, პლურალიზმი გულისხმობს, რომ ლიბერალურ დემოკრატიაში ძალაუფლება ერთად და სამართლიანადაა დანაწილებული. როგორც სახელმწიფოს არსებობის ფორმა, პლურალიზმი სახელმწიფოს მიუკერძოებლად იმდენად მიიჩნევს, რამდენადაც მას შეუძლია შეითავსოს განსხვავებული ინტერეს-ჯგუფებიცა და ყველა სოციალური კლასიც. შვარცმანტელის (1994) თქმით, სახელმწიფო "საზოგადოების მსახურია და არა ბატონობს. ამგვარად, სახელმწიფო ის "ჭურჭელია", შიდა პროცესების დუდილს რომ გადახარშავს და ეს შედეგდება ორ უმთავრეს პრინციპს ემყარება: ჯერ ერთი, სახელმწიფოს ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებას გონივრული აუცილებლობა უნდა განაპირობებდეს — არაარჩევითი ინსტიტუტები, როგორცაა საჯარო სამსახური, მართლმსაჯულება, პოლიცია, შეიარაღებული ძალები და ა.შ., არაპოლიტიზირებულია და საერთო ხელმძღვანელობას ემორჩილება. ამდენად, სახელმწიფო აპარატი საჯარო სამსახურისა და პოლიტიკური აქტიურობის მართვა-პყრობის მოთხოვნილებებს უნდა პასუხობდეს. მეორე პირობა დემოკრატიული პროცესის წარმატება და შეუქცევადობაა — ანუ, პარტიული კონკურენცია და ინტერეს-ჯგუფთა აქტიურობა, ასე ვთქვათ, ხელისუფლების მხრივ საზოგადოებრივი აზრის მიმართ მგრძობიარობასა და ჯერადლებას უზრუნველყოფს. საბოლოო ჯამში, სახელმწიფო მხოლოდ ამ ფუნქციონირებს, რომლისთვისაც ქარის დანიშნულებას საზოგადოებრივი მოთხოვნები უნდა ასრულებდეს.

თუმცა, დღევანდელი ე.წ. "ნეოპლურალისტებმა" როგორც წესი, სახელმწიფოს მიმართ ბევრად უფრო კრიტიკულნი არიან ხოლმე. მაგ. რობერტ ლი, ჩარლზ ლინდლომი და ჯ.კ. გელბრაიტი ამტკიცებენ — თანამედროვე ინდუსტრიული სახელმწიფოების სტრუქტურა ბევრად გართულდა და ხალხის მოთხოვნებსაც გაცილებით ნაკლებად ითვალისწინებენ, ვიდრე ამას კლასიკური პლურალიზმი მოითხოვს; და ასევე, ხელისუფლებასთან ურთიერთობაში ბიზნესი იმ პრივილეგიებით სარგებლობს, რასაც სხვა ჯგუფები ნამდვილად ვერ ელირსებიათ. თავის "პოლიტიკასა და საბაზრო ურთიერთობებში" (1997) ლინდლომი მიუთითებდა, რომ როგორც მთავარი დამფინანსებელი და საზოგადოების უდიდესი დამსაქმებელი, ბიზნესი აშკარა გავლენით სარგებლობს ნებისმიერ ხელისუფლებაში — რა იდეოლოგიურ საფუძველსა თუ პლატფორმაზეც არ უნდა იდგეს ეს უკანასკნელი. მეტიც, სახელმწიფოს საკუთარი ვიწრო ინტერესებიც გააჩნია: სახელმწიფო ელიტა, რომელიც თანამდებობის პირებისაგან, მოსამართლეებისაგან, პოლიციის მაღალ-ჩინოსნებისაგან, სამხედრო სარდლობის წარმომადგენელთაგან შედგება, ან თავ-თავიანთი სფეროს ბიუროკრატიულ ინტერესებს მისდევენ, ანდა საკუთარი "კლიენტურისას". და მართლაც, თუკი სახელმწიფოს დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოთამაშედ მივიჩნევთ, მაშინ ის თავისთავად

ნეოპლურალიზმი:

საზოგადოებრივი საკითხების თეორიული ხედვა, რომელშიაც პლურალისტური ფასეულობებისადმი ერთგულებაა შენარჩუნებული და კლასიკური პლურალიზმის გადახედვის საჭიროებაც მოიპოვება — ელიტარობის, მარქსიზმისა თუ ახალი მემარჯვენეობის თეორიათა გათვალისწინებით ნეოპლურალიზმი შეხედულებათა და პოზიციათა ფართო სპექტრს კი მოიცავს, მაგრამ ძირითადი თემების გამოყოფა მაინც შესაძლებელია: პირველი — ეს თანამედროვე ტენდენციების ახსნის მცდელობაა, ვითქვამთ, პოსტინდუსტრიული ან პოსტკაპიტალიზმური საზოგადოებების წარმოშობის საკითხი; მეორე — იმისდა მიუხედავად, რომ კაპიტალიზმს უდავო უპირატესობა ენიჭება სოციალიზმთან შედარებით, მაინც მოძველებულად მიიჩნევა თავისუფალი ბაზრის ეკონომიკის დოქტრინები; და მესამე — დასავლური დემოკრატიები "მანინჯ პოლიარქიებამ" განიხილება, სადაც დიდი კორპორაციები წრფადასული ზეგავლენით სარგებლობენ.

საზოგადოების ძლევამოსილ (და ალბათ, უძლიერეს) ინტერეს-ჯგუფებად მოგვევლინება. მსგავსმა მსჯელობამ ერიკ ნორდლინგერი (1981) ლიბერალური დემოკრატიის იმ სახელმწიფოცენტრულ მოდელამდე მიიყვანა, რომლის საფუძველსაც "დემოკრატიული სახელმწიფოს ავტონომიურობა" წარმოადგენს.

კაპიტალისტური სახელმწიფო

მარქსისტული ხედვით, კაპიტალისტური სახელმწიფო მკვეთრად განსხვავდება იმ პლურალისტური წარმოდგენისაგან, როცა იგი მიუკერძოებელ მსაჯად, არბიტრად ისახებოდა. მარქსისტებს თუ დაუუჯერებთ, საზოგადოების ეკონომიკური წყობის განუხილველად, სახელმწიფოს რაობის განსაზღვრა უბრალოდ, წყლის ნაყვად და ამგვარი თვალსაზრისი იმ კლასიკურ დებულებას იშველიებს, რომ ნებისმიერი სახელმწიფო მხოლოდ და მხოლოდ კლასობრივი ჩაგვრის იარაღია: იგი კლასობრივი სისტემის პირმშოა და, გინდა-არგინდა, ამავე სისტემას ეფუძნება. თუმცა, ბოლო ხანებში გამართული მწვავე დებატების შედეგად, მარქსისტებმაც იცვალეს ნირი და ამ "კლასიკურ" განსაზღვრებასაც საკმაოდ დაშორდნენ. კაცმა რომ თქვას, ეს კიდევ იმითაც გახლდათ განპირობებული, რომ საკუთარ ნაწერებში თავად მარქსიც მეტად ბუნდოვან მითითებებს იძლეოდა სახელმწიფოს რაობის თაობაზე და არც რაიმე დამაჯერებელი თეორია შემოუთავაზებია ამ საკითხთან დაკავშირებით.

ზოგადად, სახელმწიფოს მარქსი ერთგვარ "ზესტრუქტურად" ანუ ზედნაშენად მიიჩნევდა, რომელიც ეკონომიკურ "ბაზისზე" დაყრდნობილი, და სწორედ ეს ბაზისია საზოგადოების საფუძველთა-საფუძველი. თუმცადა, ურთიერთკავშირი ამა ბაზისსა და მის ზედნაშენს (ანუ, ჩვენს შემთხვევაში, სახელმწიფოსა და წარმოების კაპიტალისტურ წესს შორის) არცთუ მთლად ნათელია და ცხადი. რაც შეეხება კონკრეტულად სახელმწიფოს რაობაზე მარქსის შეხედულებებს, ორი ამგვარი მოსაზრება მოიპოვება მის "კომუნისტურ მანიფესტს" (1848) და "ლუი ბონაპარტეს 18 ბრემიერში" (1852). პირველში იგი აცხადებს, რომ: "თანამედროვე სახელმწიფოს როლი მისი აღმასრულებელი საბჭოს მიერ ბურჟუაზიის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაა მხოლოდ. ამ გაგებით, სახელმწიფო მთლიანად საზოგადოებასა და მის მმართველ კლასზე დამოკიდებული, კაპიტალისტური წყობის დროს კი ეს კლასი ბურჟუაზიაა. შესაბამისად, შეუვალე მარქსისტი ლენინიც სახელმწიფოს მხოლოდ "ჩაგრულთა ექსპლუატაციის ინსტრუმენტად" განიხილავდა.

რაც შეეხება მეორე დებულებას, მას მარქსის მიერ 1848-1851წწ. საფრანგეთში განვითარებული რევოლუციური მოვლენების ანალიზისას ვაწყდებით: მისი მტკიცებით, სახელმწიფოს, ნაპოლეონის ხელში, კლასობრივი სისტემისაგან მხოლოდ "მოჩვენებითი ავტონომიის" მიღწევა შეუძლია, და ისიც იმის ხარჯზე, რომ საკუთარ ნებას ახვევს საზოგადოებას და "უგვანი პარაზიტის გამოვლინებად" იქცევა. და თუკი სახელმწიფო მაინც აცხადებდა პრეტენზიას რომელიმე კლასის მოთხოვნათა განსიტყვებაზე, ასეთად ბურჟუაზია კი არა, მხოლოდ და მხოლოდ წერილი გლქობა თუ რჩებოდა.

ბურჟუაზია:

მარქსისტული ტერმინი, რომელიც კაპიტალისტური საზოგადოების მმართველ კლასს, წარმოების საშუალებების მფლობელებს აღნიშნავს.

მხარედ, ირკვევა რომ მარქსი სახელმწიფოს ავტონომიურობას მხოლოდ ფაქტობრივად განიხილავს, და მოქმედებას შორის მომრიგებლად კლასის პრეტენზიით, თავად ამ კლასობრივი სისტემის დამცველად გვევლინება.

როგორც ვხედავთ, ორივე ეს დებულება მკვეთრად განსხვავდება სახელმწიფო ძალაუფლების ლიბერალური თუ პლურალისტური მოდელებისაგან. მარქსის მიხედვით, კლასთა უთანაბრობის გათვალისწინების გარეშე სახელმწიფოს რაობაზე ლაპარაკს აზრი ეკარგება; ხოლო თავად იგი კაპიტალიზმის საზოგადოების პირშეშა და ან ჩაგვრის იარაღი — გაბატონებული კლასის ხელში — ანდა კლასთაშორისი დაპირისპირების მექანიზმი. ოღონდ, ერთი ითქვას — სახელმწიფოსადმი მარქსის დამოკიდებულება სულაც არაა ხელმძღვანელობითი: კაპიტალიზმიდან კომუნისტურად გადასვლის პერიოდში, მისი მტკიცებით, სახელმწიფო კონსტრუქციულ როლსაც შეასრულებდა — ან "პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურის" სახით კაპიტალიზმის გადაგდება კი ავტომატურად გამოიწვევდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს ნგრევასა და ახალი, ჯერ უნახავი, პროლეტარული ქვეყნის შექმნას.

მაგრამ ეგვიპა — როცა "პროლეტარიატის დიქტატურის" სახელმწიფოზე ლაპარაკობს, მარქსი საკუთარ თავს ეწინააღმდეგება და რაკი ნებისმიერ სახელმწიფოს იგი მხოლოდ და მხოლოდ ჩაგვრის იარაღად სახავს, გაბატონებული კლასი (ამჯერად — პროლეტარიატი) თავად გამოყავს შუამდგომლობას მხაგრელის როლში და შესაბამისად, ნებისმიერი სახელმწიფო, მარქსს თუ დავუჯერებთ, კლასობრივი დიქტატურის გამოხატულებაა. იქნებ სწორედ ამიტომაც, შემდგომ იგი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო როგორც სახელმწიფო, სულაც არაა აუცილებელი სოციალური წყობა და რომ, კლასობრივი დიქტატორის გავრცელებისთანავე, სახელმწიფოც "დასაფლავდება". ამგვარად, მარქსის აზრით, "ჰეგემონიკი კომუნისტური საზოგადოება სახელმწიფო ფორმის გარეშეც იოლად გავიდოდა და რაკილა სახელმწიფო კლასობრივი წყობის შედგოა, ამა სისტემის გაქრობისთანავე ისიც დაკარგავდა აზრსა თუ ფუნქციას.

მარქსის არაერთგვაროვანმა შემკვიდრებამ თანამედროვე მარქსისტებს, ანუ ნეომარქსისტებს, საკმარისზე მეტი საფუძველი მისცა სახელმწიფო ძალაუფლების რაობის შემდგომი ანალიზისათვის. ამ კვლევას იტალიელი მარქსისტი, ანტონიო გრამშის ნაწერებმაც შუწყობა ხელი. იგი ამტკიცებდა, რომ მმართველი კლასის ბატონობა უფრო იდეოლოგიურ მანიპულირებაზეა დამოკიდებული, ვიდრე ღია დაპირისპირებაზე. ამ თვალსაზრისით, ბურჟუაზიის ბატონობა ძირითადად განპირობებულია "ჰეგემონიის" შემკვობით: ინტელექტუალური წინამძღოლობითა თუ კულტურული კონტროლით, რაშიც მნიშვნელოვან როლს სწორედ სახელმწიფო ასრულებს. 1960-70-იან წწ. სახელმწიფოს თაობაზე მარქსისტულ კამათში ორი დაპირისპირებული შეხედულება გამოიკვეთა: რაღაც მილიბენდისა და ნიკოს პულანცასის (1936-79). დაუა დიდხანს გაგრძელდა და ორივე მხარეც არაერთხელ გადახედა საკუთარ პოზიციებს, თუმცა ერთი — ბოლომდე სახელმწიფოს ინსტრუმენტალისტური, ხოლო მეორე — სტრუქტურალისტური თვალსაზრისის ერთგული დარჩა.

ნეო-მარქსიზმი

ნეო-მარქსიზმი, რომელსაც ხანდახან თანამედროვე მარქსიზმადაც მოიხსენიებენ — მარქსის კლასიკური იდეების გადახედვისა და გადამუშავების მცდელობას, და ამავდროულად, მარქსიზმის იდეებისა და მეთოდოლოგიის გარკვეული ასპექტებისადმი ერთგულებას გულისხმობს. როგორც წესი, ნეო-მარქსისტები "ჰემშირტების" მარქსიზმის იდეურ მონოპოლიას უარყოფენ და სხვა თეორიებსაც ეტანებიან: ჰეგელიანურ ფილოსოფიას, ლიბერალიზმს, ანარქიზმს, ფემინიზმს და კონიერული არჩევანის თეორიასაც კი. თუმცა, აქ ორი ძირითადი თემის გამოყოფა შესაძლებელია: პირველი — ნეო-მარქსისტები შეეცადნენ კლასიკური მარქსიზმის მექანიცისტური და დეტერმინისტური იდეებისათვის მოეძებნათ შემცვლელი და ეკონომიკის პირველადობისა და პროლეტარიატისათვის უპირატესი როლის მონიჭების დებულებები უარყოფდნენ მთლიანად — შეეცადნენ მარქსის წინასწარმეტყველებების წარუმატებლობა, მის მიერ იდეოლოგიისა და სახელმწიფო ძალაუფლების ანალიზის მცდარობით აეხსნათ.

თავის წიგნში "სახელმწიფო კაპიტალისტურ საზოგადოებაში" (1969) მილიბენდმა სახელმწიფო მმართველი კლასის იარაღად გამოაცხადა და განსაკუთრებით იმ ფაქტს გაუსვა ხაზი, რომ სახელმწიფო ელიტა, სრულიად უსამართლოდ, პრივილეგირებული და შეძლებული ფენების წარმომადგენლებისაგან ყალიბდება. სახელმწიფოს მხრიდან კაპიტალიზმის გაფეტიშებაც სწორედ იქიდან მომდინარეობს, რომ ერთის მხრივ ქვეყნის საჭესთან საჯარო მოხელეები და სხვა ჩინოსნები დგანან, მეორეს მხრივ კი — ბანკირები, მსხვილი მეწარმეები და სხვა ბიზნეს-ლიდერები; ე.ი. ორივე ჯგუფი კაპიტალისტური კლასის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. თავის მხრივ, "პოლიტიკურ ძალაუფლებასა და სოციალურ კლასებში" (1968) პულანცასმა უარყო ამგვარი სოციოლოგიური მიდგომა და პირიქით — ხაზი გაუსვა, რამდენად ზღუდავს სახელმწიფოს ავტონომიურობას ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ძალაუფლების ესა თუ ის სტრუქტურა. ამგვარად, მან ივარაუდა, რომ არსებული სოციალური სისტემის შენარჩუნების გარდა, სახელმწიფოს სხვა არაფერი გზა არ რჩება: კაპიტალისტური სახელმწიფოს შემთხვევაში, მისი ფუნქცია კაპიტალიზმის დროში გაწეული ინტერესების სამსახურამდე დაიყვანება, გინდაც ამგვარ მიზანს თავად კაპიტალისტთა კლასის ესა თუ ის სუგემენტი არც ეთანხმებოდეს. ამის მაგალითია დემოკრატიული უფლებებისა და სოციალური რეფორმების ზრდა, რაც თავად მუშათა კლასის მონაპოურია, თუმცა კაპიტალისტური სისტემის სიკეთედ კი ცხადდება ზოლმე.

თანამედროვე მარქსიზმის მიღწევებმა მნიშვნელოვნად დააახლოვა პლურალისტური და მარქსისტული თეორიები: როგორც პლურალისტებმა თანდათანობით აღიარეს კორპორატიული ძალაუფლების მნიშვნელობა, ასევე ნეომარქსისტებიც იძულებულნი გახდნენ უარი ეთქვათ იმ იდეაზე, თითქოსდა სახელმწიფო, უბრალოდ, კლასობრივი სისტემის ანარეკლი იყოს. რაც მთავარია, ნეომარქსისტებმა ისიც აღიარეს, რომ თანამედროვე პირობებში კლასიკური ორკლასიანი მოდელი (ბურჟუაზია — პროლეტარიატის წინააღმდეგ) უადრესად გამარტივებული და ხშირ შემთხვევაში, სრულიად უსარგებლოა. პულანცასის კვლავ, ნეომარქსისტები უკვე აღარც მალავენ, რომ მნიშვნელოვნად გადანაწილდა თავად მმართველი კლასიც (მაგ. ფინანსური კაპიტალი ერთია და საწარმოო — სხვა) და არჩევითი დემოკრატიის წარმოშობამ საკმაო ძალა შესძინა მმართველი კლასის მიღმა დარჩენილ ინტერეს-ჯგუფებს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა სახელმწიფოსადმი ბობ ჯესოპისეულ (1982) მიდგომაში, რომელიც სახელმწიფოს კლასთა დაპირისპირების შერბილების მეშვეობით კაპიტალიზმის არსებობის გახანგრძლივების იარაღად კი არ მიიჩნევდა, არამედ "პოლიტიკური სტრატეგიების კრისტალიზაციის" საშუალებად: ანუ, იმ ინსტიტუციათა შეკავშირებად, რომელთა მეშვეობითაც ურთიერთ-დაპირისპირებული ინტერეს-ჯგუფები ბატონობისა თუ ჰეგემონიისათვის იბრძვიან. ამ კუთხით, სახელმწიფო აღარ არის გაბატონებული ჯგუფისა თუ მმართველი კლასის მიერ შემართული "იარაღი". ის უფრო თავისებური ერთობაა, რომელიც საზოგადოების ამა თუ იმ ეტაპზე ძალთა ბალანსს ასახავს.

ლეკიათანმ სახელმწიფო

სახელმწიფოს ლეკიათანად (ანუ, ხარბ და მომხვეჭელ, თვითკმარ უმჯობლად) აღქმა თანამედროვე პოლიტიკაში უპირატესად, ახალ მემარჯვენეობასთან იგოდება. თუმცა, ამგვარი თვალსაზრისი ადრეული, ანუ ლიბერალიზმიდან მომდინარეობს — კერძოდ, ინდივიდუალიზმის რადიკალური მოძღვრებებიდან. ახალი მემარჯვენეობა — ყოველ მემარჯვენეობაში, მისი ნეო-ლიბერალური ფრთა — ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევისადმი განსაკუთრებული უფრთხილობით გამოირჩევა, რადგან იმთავითვე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო პარაზიტული წარმონაქმნია და როგორც პიროვნულ თავისუფლებას, ისე ეკონომიკურ დამოუკიდებლობასაც ემუქრება. პლურალისტების-განსხვავებით, მათთვის მიუღებელია სახელმწიფოს აღქმა მემარჯვენეულ არბიტრად, სახელმწიფო მათთვის "შხრუნველი და მეტიხარა მხარე" — რომელიც ვერ ითმენს და ყველაფერში ცხვირს ყოფს. მათი აზრით, სახელმწიფოს ინტერესები სრულიად ცალკე დგას საზოგადოების ინტერესებისაგან, და ეს ინტერესები სახელმწიფოს როლისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრულ ზრდას მოითხოვს. ამდენად, ახალი მემარჯვენეობა ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო ჩარევის XX საუკ. დამკვიდრებული ტენდენცია, არა მარტო ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების მოთხოვნილებამ მოიტანა, და არც კლასობრივი დაძაბულობის შეზღუდვით კაპიტალიზმის ზღვრადობის შენარჩუნების სურვილმა, არამედ, სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოების დინამიკამ.

ახალი მემარჯვენეობის თეორეტიკოსები სახელმწიფო ძალა-უფლების ექსპანსიონისტურ გამოვლინებებს მასზე როგორც *მოთხოვნის*, ასევე *მიწოდების* მხრიდან განხორციელებული წნეხის მიზეზით ხსნიან. მოთხოვნის წნეხი თავად საზოგადოების ხელთაა და ჩვეულებრივ, არჩევითი დემოკრატიის მექანიზმებით ხორციელდება. IV თავში უკვე აღვნიშნეთ, რომ ახალი მემარჯვენეობის აზრით, საარჩევნო ციებ-ცხელებისას პოლიტიკოსები ერთმანეთს ეჯიბრებიან და მოსახლეობას არარეალურ დაპირებებს სთავაზობენ — იმის გაუთვალისწინებლად, საბოლოო ჯამში, როგორ აისახება ეს ყოველივე ქვეყნის ეკონომიკაზე. რაც შეეხება მიწოდების წნეხს, იგი თავად სახელმწიფოს შიდა პრობლემაა, სახელმწიფო ინსტიტუტებსა და წინოსნებს უკავშირდება და ამდენად, "ჭარბი მმართველობის" თეზისს ეხმიანება.

ეს თეზისი, ჩვეულებრივ, საზოგადოებრივი არჩევანის იმ თეორეტიკოსებთან ასოცირდება, ვისი აზრითაც საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებებს, ამ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი პიროვნებების კარგად გააზრებული კერძო ინტერესები განაპირობებს ხოლმე. ასე მაგალითად, ნისკანენი (1971) ამტკიცებდა, ამერიკის კონგრესისმაგვარ საკანონმდებლო ორგანოებში, საბიუჯეტო კონტროლი როგორც წესი, მოიკოჭლებს და ქვეყნის ბიუჯეტის "შეკერასაჭ", ძირითადად, სახელმწიფო სააგენტოებისა და უმაღლესი თანამდებობების ბიუროკრატების ინტერესები განსაზღვრავს. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ხელისუფლება სახელმწიფოს ექვემდებარება (სახელმწიფო

5. სახელმწიფო

ელიტა სათავისოდ განაწყოებს არჩევითი პოლიტიკოსების გუნება-განწყობას) და ამიტომაც, საზოგადოებრივი არჩევანის მოდელსა და უკვე განხილულ მარქსისტულ თვალსაზრისს შორის არსებულ გარკვეულ პარალელებზე შეიძლება ვილაპარაკოთ. თუმცა, სხვაობაც ნათელია და ის იმ ინტერესს უკავშირდება, რაც სახელმწიფო აპარატს შეიძლება ამომრავებდეს. მარქსისტები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო — ეს კლასთა და საერთოდ, საზოგადოებრივ ინტერესთა ჭიდილის ანარეკლია, ახალი მემარჯვენეობა კი სახელმწიფოს დამოუკიდებელ და ავტონომიურ, საკუთარი ინტერესების გამტარებელ ერთობად აღიქვამს. ამ გადასახედიდან, ბიუროკრატიული კერძო ინტერესი უთუოდ გულისხმობს "გაზვიადებულ" ხელისუფლებას და სახელმწიფო ჩარევასაც აპართლებს, რადგან სწორედ ასე უზრუნველყოფს იგი თავად ბიუროკრატიის რიგების გაფართოებას, დასაქმების ზრდას ამ სფეროში, ხელფასების მატებას, სახელისუფლებო პროგრამების გატანას და საერთოდ, საჯარო მოხელეების მნიშვნელობის ხაზგასმას. საკუთარ თავზე მზრუნველი ბიუროკრატის ამგვარი ტიპი აშკარად ვერ თავსდება იმ პლურალისტურ წარმოდგენებში, რომელთა თანახმადაც სახელმწიფო მანქანა საზოგადოების სამსახურისა და მკაცრი პოლიტიკური კონტროლის პრინციპებზე იგება.

პატრიარქალური სახელმწიფო

დღესდღეობით, პატრიარქალურ სახელმწიფოზე საუბრისას, ფემინისტური თეორიის მოსაზრებებს ვერანაირად ვერ გავუქცევით. თუმცა, არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს სახელმწიფოს თაობაზე რაიმე გამოკვეთილი, მაინც-დამაინც ფემინისტური ხასიათის მწყობრი სისტემა არსებობდეს. შესაძლოა თავში ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ ფემინისტური თეორია ტრადიციებისა და პერსპექტივების ფართო სპექტრს მოიცავს და ამდენად, სახელმწიფო ძალაუფლებისადმი რამდენადმე განსხვავებული მიდგომითაც გამოირჩევა. მეტიც, როგორც წესი, ფემინისტები სახელმწიფო ძალაუფლების არსს არც კი მიიჩნევენ უმთავრეს პოლიტიკურ საკითხად და უფრო სხადასხვა ინსტიტუტებში — ოჯახი იქნება ეს თუ ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური სისტემა — ჭარბად დაგროვილი მამაკაცური ძალაუფლების უფრო ღრმა ფესვების კვლევით არიან დაკავებულნი. მართალია, ზოგიერთი ექვსის თვალთ უყურებს სახელმწიფოს რაობის საყოველთაოდ მიღებულ განსაზღვრებებს და იმას ამტკიცებს, თითქოს სახელმწიფოს მხრიდან კანონიერი ძალადობის განხორციელება ოჯახსა თუ ყოველდღიურ ყოფით ურთიერთობებში გამეფებული ჩვეულებრივი ძალადობისა და უთანაბრობის მახინჯი ანარეკლი იყოს. და მაინც, ზოგჯერ ნებისთ, ზოგჯერ კი უნებლიედაც, ფემინისტებმა საკმაოდ გამოაცოცხლეს კამათი სახელმწიფოს რაობასთან დაკავშირებით და სახელმწიფო ძალაუფლების ახლებური ხედვაც შემოგვთავაზეს.

იმ ლიბერალმა ფემინისტებმა, რომელთა აზრითაც, სქესობრივი ანუ გენდერული თანასწორობა შესაძლოა გამათანაბრებელი რეფორმების გზით დამყარდეს, თანდათანობით სახელმწიფოს არსებობად პლურალისტური გაგებისაკენ წაიწიეს; ბოლოს კი სულაც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თუკი

ქლებს ჩამორთმეული აქეთ საკანონმდებლო და პოლიტიკური, განსაკუთრებით — სარჩევნო უფლებები, სახელმწიფო უთუოდ გადაიხრება მამრობითი პრიმატისაკენ. თუმცა, სახელმწიფოს მიუკერძოებლობისადმი მათი უპირობო რწმენა იმითაა გამოხატული, რომ ნებისმიერი მსგავსი მახინჯი გადახრის რეფორმებით გამოსწორებისა სჯერათ. ამ თვალსაზრისით, ლიბერალ-ფემინისტებს მიაჩნიათ, რომ საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს (ქლების ჩათვლით) თანაბრად მიუწევდება ხელი სახელმწიფო ძალაუფლებაზე და ეს ძალაუფლებაც სამართლიანობასა და საყოველთაო უფიქრობის დამკვიდრებას ემსახურება. ამდენად, ლიბერალ-ფემინისტები, როგორც წესი, სახელმწიფოს დადებით ფენომენად აღიქვამდნენ და მისი მხრიდან ჩარევასაც გენდერული უთანაბრობის მოგვარებისა და ქალთა რილის გაზრდის საშუალებად მოიაზრებდნენ. ამის გამოხატულებაა სწორედ ის არაერთი კამპანია — ხელფასის გათანაბრების, აბორტის დაშვების, მშობლების მხრიდან შვილებზე ერთნაირად ზრუნვის, სოციალური შედეგებისა თუ სხვა რამ მოთხოვნებით. თუმცა, რადიკალი ფემინისტები უფრო კრიტიკულად და ზოგჯერ უარყოფითადაც კი აფასებენ სახელმწიფოს ფუნქციას და ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო ძალაუფლება — პატრიარქალური ყოფისთვის დამახასიათებელი, ღრმა ფესვების მქონე ჩაგვრის გამოვლინებააო.

სახელმწიფო ძალაუფლების შეფასებისას, რადიკალური ფემინიზმი დიდ მსგავსებას აქვს მარქსიზმთან. ასე მაგალითად, სახელმწიფოს არც ერთი არ მიიჩნევენ საკუთარი ინტერესების მქონე ავტონომიურ ერთობად. სახელმწიფო და მისთვის დამახასიათებელი გადახრები, მათთვის ზოგადად საზოგადოებაში ძალაუფლების "ღრმა" სტრუქტურის გამოვლინებაა. მაშინ როდესაც მარქსიზმი სახელმწიფოს ეკონომიკურ კონტექსტში აღიქვამს, რადიკალური ფემინიზმისთვის მთავარი გენდერული უთანასწორობის კონტექსტია და სახელმწიფო, არსებითად, მამრთა ძალაუფლების ინსტიტუტს წარმოადგენს. საერთო კი ისაა აქეთ, რომ ფემინისტური მოძღვრებაშიც გამოვლენილია ინსტრუმენტალისტური და სტრუქტურალისტური მიმდინარეობები. ინსტრუმენტალისტთა ხედვით, სახელმწიფო მხოლოდ საშუალება ან ხარაღია, რასაც მამაკაცები საკუთარი ინტერესების დასაცავად და პატრიარქალური ყოფის შესანარჩუნებლად იყენებენ. მსგავსი მოსაზრება ფემინისტთა უმთავრესი რწმენის გამოვლინებაა, რომლის თანახმადაც პატრიარქალურობას ცხოვრების საჯარო და კერძო სფეროებად საზოგადოების მკვეთრი დაყოფა ახანგრძლივებს. ქალთა დაჩაგრული მდგომარეობა, ტრადიციულად, გამოწვეული იყო მათი მიჯაჭვით კერძო, საოჯახო სფეროსადმი, ისინი მხოლოდ დედებად და დიასახლისებად რჩებოდნენ და საჯარო საქმიანობაზე — პოლიტიკა იქნებოდა ეს თუ ეკონომიკა — ხელი არ შეუწვდებოდათ. მარტივად თუ ვიტყვით, ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს მამაკაცები მართავენ და ისიც სათავესოვ.

მაშინ როდესაც ინსტრუმენტალისტები ყურადღებას სახელმწიფო აპარატის ჩინოსნებზე, იგივე ელიტაზე ამახვილებენ, ხოლო სტრუქტურალისტები უმთავრესად იმას მიიჩნევენ, თუ სახელმწიფო ინსტიტუტები რადონითაა ჩართული უფრო ფართო პატრიარქალურ სისტემაში, დღევანდელი რადიკალი ფემინისტები განსაკუთრებულ ყურადღებას საყოველთაო

პატრიარქატი

სიტყვა-სიტყვით, "მამის მმართველობას", ანუ ოჯახში ქმრისა თუ მამის ბატონობასა და ცოლისა და ბავშვების მისდამი დაქვემდებარებას ნიშნავს. როგორც წესი, უფრო ზოგადი გაგებით "მამაკაცების ბატონობის" აღსანიშნავად გამოიყენება — მამაკაცების მიერ ქალების ჩაგვრისა და ექსპლუატაციაზე ყურადღების გასამახვილებლად. ამგვარად, ცნება "პატრიარქატი" ზოგადად საზოგადოებრივ სისტემაში მამაკაცთა ძალაუფლებას გულისხმობს. პატრიარქატი რადიკალური ფემინისტური ანალიზის ძირითადი ცნებაა, რადგან მასში სქესთა შორის არსებული უთანასწორობის მუდმივობა, დაკანონება და ყოვლისმომცველობაა ხაზგასმული. სოციალისტ-ფემინისტები კი სქესთა უთანასწორობასა და კერძო საკუთრებას შორის კავშირზე ამახვილებენ ყურადღებას და პატრიარქატსა და კაპიტალიზმს ჩაგვრის ტყუპ სისტემებად განიხილავენ.

რადიკალური ფემინიზმი:

ფემინიზმის ფორმა, რომელიც გენდერულ დაყოფას საზოგადოებრივი უთანაბრობის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ფაქტორად მიიჩნევს და მის მიზეზებს ოჯახური ცხოვრების წყობაში ეძიებს.

კეთილდღეობის სახელმწიფოს გაჩენას უთმობენ და რაც არ უნდა უცნაური გეგვენოთ, მასში ისევ ახალი ტიპის პატრიარქალური ძალუფლების გამოვლინებას ხედავენ. მათი აზრით, *საყოველთაო კეთილდღეობა შესაძლოა კვლავ პატრიარქალურობის გამოვლინებად იქცეს, თუკი ოჯახზე მიბმას სახელმწიფო ინსტრუქტებზე დამოკიდებულება შეცვლის: მაშინ ქალები, უბრალოდ, სამუშაო ძალის რეზერვისტები გახდებიან.*

სახელმწიფოს როლი

სახელმწიფო ძალაუფლების განსხვავებული გაგება მისსავე როლისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრის მცდელობიდან მომდინარეობს: რა უნდა აკეთოს სახელმწიფომ, რა ფუნქცია-ამოცანები უნდა შეასრულოს და რა მიანდოს კერძო პირთ? ანარქისტების გარდა, რომელნიც სახელმწიფოს იმთავითვე ბოროტ და უსარგებლო წარმონაქმნად სახავენ, ყველა სხვა პოლიტიკური ხედვა მას უცილობლად მიიჩნევს. თვით რევოლუციონერი სოციალისტებიც კი, სახელმწიფოს ნგრევის ლენინიური ღოზუნგიით შთაგონებულნი, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლისას დროებითი პროლეტარული სახელმწიფოს არსებობის საჭიროებას მაინც აღიარებენ. სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმათა შორისაა:

- † მინიმალისტური სახელმწიფო
- † პროგრესირებადი სახელმწიფო
- † სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო
- † "კოლექტივიზირებულ" სახელმწიფო
- † ტოტალიტარული სახელმწიფო

სამუშაო ძალის

რეზერვისტები:

მუშა-მოსამსახურეთა ის კატეგორია, რომელიც პირველ რიგში ხდება შემცირების მსხვერპლი; ამ ტიპის "რეზერვისტების" შრომითი უფლებები დაუცველია და საბაზრო ეკონომიკის პირობებში მათ არავითარი წონა არ გააჩნიათ.

უფლებები:

ზნეობრივი ან კანონიერი ნორმა, რაც ადამიანის ქცევას ან მის მიმართ დამოკიდებულებას განსაზღვრავს; ერთმანეთისაგან განასხვავებენ სამოქალაქო და ადამიანის უფლებებს.


მინიმალისტური სახელმწიფო

მინიმალური სახელმწიფო კლასიკური ლიბერალიზმის იდეალია, რამდენადაც სწორედ მის მიზანს — პიროვნების მაქსიმალური თავისუფლების მიღწევას უწვობს ხელს. ეს თვალსაზრისი *სოციალური კონტრაქტის* თეორიიდან მომდინარეობს და სახელმწიფოს უმთავრეს ღირსებად ადამიანთა იმგვარად მოთხოვას მიიჩნევს, რომ ერთი პიროვნების უფლებებმა სხვათა თავისუფლებებს არ შეუქმნას საფრთხე. სახელმწიფო, უბრალოდ, დამცავი მექანიზმია — მას მშვიდობისა და სოციალური წესრიგის იმ საზღვრების დადგენა ევალება, რომელშიც მოქალაქეები თავიანთთვის საუკეთესოდ მოიწყობენ ცხოვრებას. ლოკის ცნობილი გამონათქვამი რომ მოვიშველიოთ, "სახელმწიფო ღამის გუშაგია, რომლის დახმარებაც მხოლოდ საფრთხის გამოჩენის შემთხვევაში ხდება საჭირო". მინიმალისტურ, თუ გნებავთ, გუშაგ-სახელმწიფოს, სამი უმთავრესი დანიშნულება აქვს: პირველი და უმთავრესი, იგი საშინაო წესრიგის უზრუნველსაყოფად არსებობს, მეორე — ზრუნავს ცალკეულ მოქალაქეთა შორის დადებული შეთანხმებების შესრულებაზე და მესამე — საგარეო თავდასხმისაგან იცავს ქვეყანას. აქედან გამომდინარე, მინიმალისტური სახელმწიფოს ინსტიტუციონალური აპარატი პოლიციამდე,

რობერტ ნოზიკი (1938 - 2002)

ამერიკელი მეცნიერი და პოლიტიკური მოაზროვნე. მისი მთავარი ნაშრომი — "ანარქია, სახელმწიფო და უცხოება" (1974) პოლიტიკურ ფილოსოფიის სფეროში ინსტიტუციონალიზმის მნიშვნელოვან მონაწილედ აღიარებული და მან უფლები გაუღენა მოახდინა ახალი პოლიტიკური თეორიების და მათში. ნოზიკმა განავითარა ლოკის დოქტრინის მთავარი ლიბერტარიანობის მოდელი, სადაც ასევე აისახა XIX აშშ-ის ინდივიდუალისტური სუბსტანციის (1808-87) და ტაკერის (1854-1939) გავლენა. იგი საკუთრების უფლებების დამცველად გვევლინება

და - თუკი, რა თქმა უნდა, ქონება, სამართლიანი გზით იქნა დაგროვილი ან ნაანდერძევი. ეს პოზიცია მინიმალური მმართველობის და მინიმალური დაბეგერის აშკარა მხარდაჭერაა — კეთილდღეობისა და გადარჩევის იდეათა საწინააღმდეგოდ. ნოზიკისეული, უფლებებზე ორიენტირებული სამართლიანობის თეორია, გარკვეულწილად, ჯონ როულზთან კამათის გამოძახილია. მოგვიანებით, მან საგრძობლად შეაბრძოლა საკუთარი უკიდურესი ლიბერტარიანობაში.



სამართლო სისტემამდე და ამა თუ იმ სახის შეიარაღებულ ძალებამდე დაიყვანება. ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ზნეობრივი და სხვა სხეულისმკვებლობები პიროვნების საქმეა და შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების საზრუნავი.

დღესდღეობით მინიმალისტური სახელმწიფოს იდეა ახალმა მემარჯვენებმა აიტაცეს: ძირითადად თავისუფალი ბაზრის, ანუ კლასიკური ეკონომიკური თეორიების საფუძველზე, მათ სახელმწიფოს "საზღვრების შეწყვეტა" დაისახეს მიზნად. რობერტ ნოზიკის გამოკვლევებში ეს ლოკისეული ლიბერალიზმის გადამღერებაა და პიროვნების უფლებათა — განსაკუთრებით საკუთრების — დაცვას ანიჭებს უპირატესობას. თავისუფალი ბაზრის აბოლიგეტი ეკონომისტებიც, როგორც ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი და მილტონ ფრიდმანი არიან, სახელმწიფო ჩარევას იმ "რკინის ხელად" თვლიან, რაც კონკურენციას, წარმოების ეფექტიანობასა და ნაყოფიერებას ზღუდავს. ახალი მემარჯვენეობის თვალსაზრისით, სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში მხოლოდ ორ ფუნქციამდე დაიყვანება: გარკვეულ პარამეტრებში შეინარჩუნოს საბრუნავი ფულის მასა (დაბალი ან ნულოვანი ინფლაცია) და ანტიმონოპოლიური კანონების ამოქმედებით, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას შეუწყოს ხელი.

პროგრესირებადი სახელმწიფო

თუკი მინიმალისტური სახელმწიფოს საუკეთესო ისტორიულ მაგალითებად XIX საუკ. ბოლოს, ადრეული ინდუსტრიალიზაციის პერიოდის დიდ ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები შეგვიძლია მივიჩნიოთ, იაპონიაცა და გერმანიაც იმთავითვე პროგრესირებად სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ, დანქარებული პროგრესის გზას დაადგენ და სახელმწიფოს ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩარევას საწარმოო ზრდით, სწრაფი ეკონომიკური განვითარების მიზნებით ამართლებდნენ. ცხადია, ეს არ ნიშნავს ბაზრის ჩანაცვლებას დაგეგმვისა და კონტროლის სოციალისტური სისტემით, ლაპარაკია პარტნიორული ურთიერთობების დამყარების მცდელობაზე სახელმწიფოსა და უმთავრეს ეკონომიკურ ინტერეს-ჯგუფთა შორის, რასაც ხშირ შემთხვევაში, კონსერვატული და ეროვნული პრიორიტეტები ელო საფუძვლად.

ამგვარი პროგრესირებადი სახელმწიფოს კლასიკური მაგალითი იაპონიაა. 1868—1912 წლებში, მეიძის პერიოდში, იაპონიის სახელმწიფომ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ძაიბუცუსთან — უდიდეს საოჯახო ბიზნეს-იმპერიებთან, რომლებსაც მთელი იაპონური ეკონომიკა ეჭირათ ხელში ლამის მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე. 1945 წლიდან, იაპონიის სახელმწიფოს პროგრესირებადი როლის აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ როგორც ქვეყნის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, ასევე იაპონიის ბანკი, და მათ ერთობლივად შეიმუშავეს კერძო ინვესტიციების პროგრამა — მიზნად დაისახეს მთელი ეკონომიკა საერთაშორისო თვალსაზრისით კონკურენტუნარიანად ექციათ. პროგრესირებადი ჩარევის მსგავსი მოდელი მუშაობდა საფრანგეთშიც, სადაც მემარცხენე თუ მემარჯვენე მთავრობები, ერთიანად აღიარებდნენ ეკონომიკური დაგეგმვის აუცილებლობას, სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატი კი საკუთარ თავს ეროვნული ინტერესების დამცველად მიიჩნევდა. ავსტრიაში და, გარკვეული თვალსაზრისით, გერმანიაშიც — ეკონომიკურ პროგრესს ე.წ. "პარტნიორული სახელმწიფოს" შექმნის შედეგად მიაღწიეს: მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა ერთის მხრივ სახელმწიფოს, მეორეს მხრივ კი, უმთავრეს ეკონომიკურ ინტერეს-ჯგუფებს შორის. უკვე ახლახანს, ეკონომიკურმა გლობალიზაციამ "კონკურენტული სახელმწიფოების" გაჩენას შეუწყო ხელი, რის თვალნათელ მაგალითად აღმოსავლეთ აზიის **ხუთი ვეფხვის ეკონომიკა** გამოდგება: ტრანსნაციონალური კონკურენციის გაძლიერების პირობებში, ამ ქვეყნებმა საკუთარ თავზე აიღეს ეროვნული კეთილდღეობის სტრატეგიათა შემუშავება და განხორციელება.

სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო

"ხუთი ვეფხვის" ეკონომიკა: იაპონურ ყაიდაზე მოჭრილი, სწრაფმზარდი და ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკები (ტაივანი, სინგაპური, სამხრ. კორეა, ჰონკონგი, მალაიზია...).

თუკი პროგრესირებადი სახელმწიფოები ეკონომიკაში ჩარევას პროგრესის უზრუნველყოფის გამო არ ერიდებიან, სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოები ამ პრაქტიკას უფრო სხვა გამართლებას უძებნიან და როგორც წესი, პატიოსნების, თანასწორობის და **სოციალური სამართლიანობის** პრინციპების შესაბამისად, საზოგადოების საფუძვლიან სახეცვლილებაზე საუბრობენ ხოლმე. ასე მაგალითად, ავსტრიაში და შედეგში სახელმწიფო

სრულ პროგრეს პროგრესირებადი, ისე სოციალ-დემოკრატიული პრიორიტეტების კარნახით ხდებოდა; ოღონდ უკაა, პროგრესირებადი ტენდენციები და სოციალ-დემოკრატია ყოველთვის ვერ ეწყობიან ერთმანეთს. მარკანის (1988) თქმით, II მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ბრიტანეთმა გარკვეული სოციალ-დემოკრატიული სიმპათიები კი გამოავლინა, მაგრამ პროგრესირებადი სახელმწიფოს მოდელი მისთვის ტრადიციულად მიუღებელი აღმოჩნდა. სოციალ-დემოკრატიულ სახელმწიფოს ერთი განმასხვავებელი ნიშანი აქვს: მისთვის ზოგადად სახელმწიფოს ცნება აუცილებელ ბოროტებას აღარ წარმოადგენს და გარკვეულ დადებით ელფერსაც კი იძენს, რამდენადაც თავისუფლების ხარისხის ზრდისა და სამართლიანობის დაცვის მიზნად განიხილება. აქედან გამომდინარე, სწორედ ამგვარი სახელმწიფოა პროგრეს თანამედროვე ლიბერალების, ასევე სოციალ-დემოკრატების იდეალი.

სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო არამარტო ზოგადი წესრიგის პირობებს ქმნის, არამედ აქტიურადაც მონაწილეობს საბაზრო ეკონომიკის უთანასწორობისა და უსამართლობის შესარბილებლად. მისთვის მთავარი არა იმდენად დოვლათის დაგროვებაა, რამდენადაც ამ დოვლათის თანაბრად და სამართლიანად განაწილება. პრაქტიკულად, ეს სიღარიბის მოხაზობისა და სოციალური უთანაბრობის შემცირების მცდელობამდე დაიყვანება. სწორედ ამიტომ, სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს ორი უმთავრესი მახასიათებელი ქენზიანიზმი და სოციალური კეთილდღეობაა. თუ გავხსოვთ, ქენზიანიზმის ეკონომიკური პოლიტიკა კაპიტალიზმის "მართვას" გულისხმობს და საბოლოო მიზნად ეკონომიკურ წინსვლასა და სრულ დასაქმებას ისახავს. ამგვარი პოლიტიკა იქნებ დაგვემკის ელემენტებსაც შეიცავდეს, თუმცა კლასიკური ქენზიანიზმის სტრატეგია მაინც უფრო "მოთხოვნის" რეგულირებას გულისხმობს — ფისკალური პოლიტიკის, ანუ — საზოგადოებრივი ხარჯებისა და დაბეგვრის დონეების მოწესრიგების ხარჯზე. საზოგადოებრივი კეთილდღეობის პოლიტიკის გატარებამ ე.წ. კეთილდღეობის საზოგადოების გაჩენას შეუწყო ხელი, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო თავისი მოქალაქეების სოციალური უზრუნველყოფის ტვირთი. ამ თვალსაზრისით, სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო "ხელისშეწყობა", და პიროვნების დირსეული არსებობის პრინციპს მიიჩნევს უმთავრესად.

კოლექტივიზირებული სახელმწიფო

თუ პროგრესირებადი და სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ძირითადად კერძო ეკონომიკის დასაცავად ერევიან, კოლექტივიზირებული სახელმწიფოები ეკონომიკას მთლიანად საკუთარ გავლენას უქვემდებარებენ. ამის საუკეთესო მაგალითები საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ვეროპის გასაბჭოებელი ქვეყნებია: მათ ბოლო მიუღეს კერძო მწარმოებას და დარგობრივი სამინისტროებისა თუ საგვემო კომიტეტების დიდი ქსელის მიერ მართული ეკონომიკის ცენტრალიზებული სისტემა შექმნეს. ეს გახლდათ ე.წ. "მბრძანებლური ეკონომიკა", რომელიც "ხეშიდან" იგვემეზობა და კომუნისტური პარტიის უმაღლესი ემელონების მხრიდან

სოციალური

სამართლიანობა:

მატერიალური ამონაგების ზნეობრივად გამართლებული გადანაწილება. სოციალურ სამართალში, ხშირად თანასწორობის სასარგებლოდ მიკროეობასაც გულისხმობენ ხოლმე.

სტიტიზმი

(სახელმწიფოებრიობა); სტიტიზმი (ფრანგულად "etatisme") ემყარება მოსაზრებას, რომ სახელმწიფო ჩარევა ყველაზე უპრიანი გზაა პოლიტიკური პრობლემების გადასაწყვეტად თუ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობად. სახელმწიფოს, როგორც საყოველთაო კოლექტიური ქმედების ორგანიზებისა და საერთო მიზნების მიღწევის უმთავრეს მექანიზმად აღიარება, მსგავს შეხედულებას კიდევ უფრო ამყარებს. ამგვარად, სახელმწიფო ეთიკურ იდეალად (პეგელის მიხედვით), და "საყოველთაო ნების", ანუ საზოგადოებრივი ინტერესის მსახურად მიიჩნევა. ყველაზე ამკარად სტიტიზმი იმ სახელმწიფო პოლიტიკაში ვლინდება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას არეგულირებს და აკონტროლებს: ეს პოლიტიკა შეიძლება იყოს შერჩევითი ნაციონალიზაციაც და ეკონომიკური მართვაც, როგორც ლიბერალური, ისე ფაშისტური კორპორატიზმიც თუ საბჭოური სტილის სახელმწიფო კოლექტივიზაციაც.

კოლექტივიზაცია:

კერძო საკუთრების გაუქმება საერთო თუ საზოგადოებრივი მფლობელობის სისტემის სასარგებლოდ.

კონტროლდებოდა. სახელმწიფოს **კოლექტივიზაციას** საფუძველს უმაგრებდა სოციალიზმის ფუნდამენტური პრინციპი — კერძო საკუთრებასთან შედარებით, საერთო საკუთრების უპირატესობის თაობაზე.

თავის დროზე, ცხადია, ნაციონალიზაციას არც მარქსი და ენგელსი გამოიციხავდნენ: ენგელსი, მაგალითად, ამტკიცებდა, რომ "პროლეტარიატის დიქტატურის" დამყარებისთანავე, ფაბრიკა-ქარხნები, ბანკები და მთელი ტრანსპორტი სახელმწიფო მეთვალყურეობას უნდა დაქვემდებარებოდა; თუმცა, პროლეტარული სახელმწიფო მხოლოდ დროებითი მოვლენა იქნებოდა და კლასობრივი დაპირისპირების მოსპობასთან ერთად, ისიც შეწყვეტდა არსებობას. რეალობაში, საქმე სხვანაირად დატრიალდა და საბჭოური კოლექტივიზირებული სახელმწიფოც საკმაოდ გამძლე, ძლიერ ბიუროკრატიულ მონსტრად ჩამოყალიბდა. სტალინის მმართველობისას სოციალიზმი ფაქტიურად **სტიტიზმთან** (სახელმწიფოებრიობასთან) გაიგივდა და ამ წყობის მთელი "ავ-კარგმ" უბრალოდ სახელმწიფო აპარატის შეუზღუდავი უფლებებისა და ძალის დემონსტრირებაში გამოვლინდა: 1962 წელს, ხრუშჩოვის მიერ პროლეტარიატის დიქტატურის დასრულებულად გამოცხადების შემდეგ, სახელმწიფო, ფორმალურად, "მთელი საბჭოთა ხალხის" ინტერესების გამომხატველად იქცა.

ტოტალიტარული სახელმწიფო

ჩარევა, თავისი უკიდურესი ფორმითა და დონებით, ტოტალიტარულ სახელმწიფოებს ახასიათებთ. **ტოტალიტარიზმის** არსი იმგვარი ყოვლისმომცველი სახელმწიფოს შექმენაა, რომლის გავლენაც ადამიანის არსებობის ნებისმიერ სფეროზე აისახება. სახელმწიფო თავის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ აქცევს არა მარტო ეკონომიკას, არამედ განათლებას, კულტურას, რელიგიას, ოჯახურ ყოფასა და ა.შ. ისტორიულად ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია ჰიტლერის გერმანია და სტალინის სსრკ. თუმცა, მსგავსი რამ სადამ პუსეინის ერაყსაც ახასიათებდა. ასეთი რეჟიმის მთავარი საყრდენი მუდმივი ძალადობისა და დაშინების პოლიტიკაა, იდეოლოგიური მანიპულირების მკაცრი სისტემა და ერთიანი კონტროლი. მსგავსი ტიპის სახელმწიფოები არ ცნობენ სამოქალაქო საზოგადოებას და "კერძო" სფეროსაც უკიდურესად ზღუდავენ. თუმცა, ამაზე ხმამაღლა მხოლოდ ფაშისტები ლაპარაკობდნენ, პიროვნული მეობის საზოგადოებრივ მთლიანობაში გათქვეფას რომ ისახავდნენ მიზნად. ზოგჯერ იმასაც ამტკიცებენ, თითქოს ტოტალიტარული სახელმწიფოს ცნება ჯერ კიდევ პეგელიდან მომდინარეობს, ვისაც სახელმწიფო იმ "ეთიკურ ერთობად" მიაჩნდა, სადაც საყოველთაო ალტრუიზმი და ურთიერთანაგებობა დაისადგურებდა. ტოტალიტარიზმის თვალსაზრისით, გამოდის რომ ცივილიზაციის განვითარება სახელმწიფოს ძლიერების შეუზღუდავ ზრდასა და მისი პასუხისმგებლობების გაფართოებას უკავშირდება.

სახელმწიფოს როლი გლობალიზაციის ეპოქაში

სახელმწიფო და გლობალიზაცია

გლობალიზაციის მოძალეებამ უფრო გააცხოველა კამათი სახელმწიფოს ძალაუფლებასა და მნიშვნელობაზე გლობალიზებულ სამყაროში. გამოიკვეთა სამი განსხვავებული პოზიცია: ზოგიერთმა თეორეტიკოსმა თამამად განაცხადა, რომ გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს, როგორც ანტიშეგასწვევი მოთამაშის როლი, უცილობლად დაკნინდება: ძალაუფლება სახელმწიფოდან გლობალურ ბაზრებზე და ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე გადაინაცვლებს. ამ თვალსაზრისის ყველაზე თავგამოდებული დამცველები, ე.წ. "პიპერგლობალისტებმა" აცხადებენ — სახელმწიფო ისე "გამოიფიტა", სინამდვილეში ცარიელ სახელადღა დარჩაო. თუმცა, სხვები არ იზიარებენ იმ აზრს, თითქოს გლობალიზაციამ არსებითად შეცვალა მსოფლიო პოლიტიკა — დამოუკიდებელი სახელმწიფოები, მათი აზრით, დღესაც მთავარი მოქმედი პირები არიან საკუთარ საზღვრებში და ამდენად, მსოფლიო არენაზეც ჯერ კიდევ წამყვან როლს ასრულებენ. ამ კუთხით, გლობალიზაცია და სახელმწიფო არც ერთმანეთისაგან გამიჯნული, და მით უმეტეს, არც დაპირისპირებული ძალები არ არიან: პირიქით, საკითხავი ისაა, გლობალიზაციის პროცესს რამდენად შეუწყო ხელი თავად სახელმწიფოს არსებობამ და რამდენად ითვალისწინებს ეს პირველი — მეორის ინტერესებს. ამ ორი შეხედულების გარდა, არსებობს მესამეც, რომლის თანახმადაც გლობალიზაციამ ხარისხობრივად შეცვალა სახელმწიფოს როლიცა და მნიშვნელობაც, გარკვეულად აისახა დამოუკიდებლობის არსზეც, მაგრამ უფელფე ამან მხოლოდ სახელმწიფოს სახეცვლილება გამოიწვია და არა მისი ძალაუფლების კლება თუ ზრდა.

თუმცა, როცა საუბარია სახელმწიფოს ძალაუფლებისა თუ არსის ცვლილებაზე, ძირითადად ეკონომიკური გლობალიზაციის გავლენას ვულისხმობენ ხოლმე და ამ გავლენის მთავარი მახსიათებელი "ზეტერიტორიალურობის" ცნების გაჩენაა. ესაა პროცესი, როდესაც ეკონომიკური საქმიანობა სულ უფრო და უფრო აქტიურად მიმდინარეობს "უსაზღვრებო" მსოფლიოში. ეს განსაკუთრებით ფინანსურ ბაზართან მიმართებაშია თვალსაჩინო: იგი პრაქტიკულად სრულიად გლობალიზებულია იმ თვალსაზრისით, რომ კაპიტალი აშკარად და დაუბრკოლებლად მიედინება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და არც ერთი სახელმწიფო აღარაა დაცული სამყაროს ნებისმიერ ადგილას შექმნილი სერიოზული ფინანსური კრიზისის შედეგებისაგან. ასევე აშკარაა გავლენის გადანაცვლება ტერიტორიული სახელმწიფოებიდან "დეტერიტორიალიზებულმა" ტრანსნაციონალური კორპორაციების სასარგებლოდ. სწორედ ამ კორპორაციებს შეუძლიათ ინვესტიციებისა და პროდუქციის მსოფლიოს სხვა კუთხეში გადატანა, თუკი სახელმწიფო პოლიტიკა ხელს არ უწყობს მათი მოგების ზრდას და ზოგადად, მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება. მეტიც, გლობალიზაცია შეიძლება რეგიონალიზაციის ტენდენციასაც დაუეკავშიროთ, რაც აისახა კიდევ იმგვარი რეგიონალური საეკონომიკური ბლოკების მნიშვნელობის ზრდით, როგორებიცაა ევროკავშირი და ჩრდილო-ამერიკული თავისუფალი

ზეტერიტორიულობა:
ტრადიციული გეოგრაფიის გადაზრება, რაც სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობის დაკნინებამ, "მანიძილების შემცირებამ" და საერთოდ, პლანეტის "დაპატარავებამ" მოითქანა.

სავაჭრო შეთანხმება (NAFTA).

როცა საზღვრები პირობითი ხდება და ძველი გეოგრაფიული მოცემულობებიც იცვლება, სახელმწიფოს დამოუკიდებლობაც, ტრადიციული გაგებით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ამიტომაცაა, რომ XXI საუკუნეში, მმართველობამ მკვეთრად "დამოუკიდებლობის შემდგომ ხასიათი შეიძინა. ძალზე ძნელია ერთმანეთს შევუთანხმოთ **ეკონომიკური დამოუკიდებლობა** და გლობალიზებული ეკონომიკა. ეკონომიკური ცხოვრების დამოუკიდებლად კონტროლი მხოლოდ შეზღუდული ეროვნული ეკონომიკების პირობებში ხერხდებოდა, ერთი მთლიანი, გლობალიზებული ეკონომიკის ასებობა კი თავისთავად უკარგავს აზრს ეკონომიკური დამოუკიდებლობას. და მაინც, უსაზღვრო, გლობალურ ეკონომიკაზე ლაპარაკმა მეტიმეტად არ უნდა გაგვიტაცოს: სხვა თუ არაფერი, სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი აღიარებს საბაზრო ეკონომიკის წარმატებულობას მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი საკანონმდებლო და საზოგადოებრივი წესრიგის პირობებში (ფუკუიამა, 2005). მართალია, თუკი დამოუკიდებლად მოთამაშე სახელმწიფოებს ძალიან ცოტა შანსი აქვთ ტრანსნაციონალური ეკონომიკის გასაკონტროლებლად, გაერთიანების შემთხვევაში, ისინი ამას წარმატებით ახერხებენ, რისი მაგალითებიცაა "დიდი შვიდიანისა" თუ "დიდი რეიანის" , *მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის* არსებობა.

ეკონომიკური

დამოუკიდებლობა:

სრული გაგენა, რასაც სახელმწიფო მის ფარგლებში მიმდინარე ეკონომიკურ ცხოვრებაზე ახორციელებს — ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, ვაჭრობისა და ფულის მასის ბრუნვის კონტროლის ჩათვლით.

პოლიტიკური

გლობალიზაცია:

იმ საერთაშორისო ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების მნიშვნელობის ზრდა, რომელთა იურისდიქციაც საერთაშორისო დონეზე, რამდენიმე სახელმწიფოს მასშტაბით ვრცელდება.

მრავალსაფეხურიანი მართვა:

რთული პოლიტიკური პროცესი, რომლის დროსაც ხელისუფლება ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად გადანაწილებული მმართველობის ადგილობრივ, სახელმწიფო და შესახველმწიფოებრივ დონეებზე.

სახელმწიფოთა ძალაუფლებასა და მნიშვნელობაზე ასევე პოლიტიკური გლობალიზაციის პროცესმაც იმოქმედა, თუმცა მისი გაგენა საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივიც კი აღმოჩნდა. ერთის მხრივ, ისეიმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორცაა გაერო, ევროკავშირი, ნატო და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, შეასუსტა სახელმწიფოთა უნარი, თვითმმართველ პოლიტიკურ ერთეულებად ემოქმედათ. ხომ აშკარაა, რომ ევროკავშირის წევრობა ასუსტებს სახელმწიფო ძალაუფლებას, რადგან სულ უფრო და უფრო მეტ გადაწყვეტილებას (სავალუტო პოლიტიკა იქნება ეს, სასოფლო-სამეურნეო, თავდაცვითი თუ საგარეო), სწორედ ზოგადევროპული ინსტიტუტები იღებენ და არა ცალკეული წევრი ქვეყნების მთავრობები. ყოველივე ამის შედეგია **მრავალსაფეხურიანი მმართველობის** ფენომენის გაჩენაც. ჩვენში დარჩეს და, "წმინდად" ეროვნული მმართველობა ყოველთვის მითი იყო (სორენსენი, 2004), და ახლა მით უმეტეს. მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია თავის მხრივ, საერთაშორისო სავაჭრო დავეს განიხილავს და აგვარებს; მეორეს მხრივ, პოლიტიკური გლობალიზაცია არა მარტო ზღუდავს სახელმწიფოს როლს, ახალ-ახალ შესაძლებლობებსაც სთავაზობს. ასე მაგალითად, ევროკავშირის მინისტრთა საბჭო — ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ორგანიზმი — უპირატესად წევრი ქვეყნების მიერაა შექმნილი და სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსებს ტრიბუნას სთავაზობს გადაწყვეტილებათა ზეეროვნულ დონეზე მისაღებად. მათ საშუალება ეძლევათ დამოუკიდებლობის უფრო მაღალ დონეზე გავიდნენ: ევროკავშირით უზრუნველყოფილი დამოუკიდებლობის ხარისხი გაცილებით მეტია, ვიდრე მონაწილე სახელმწიფოთა დამოუკიდებლობების ჯამი.

სახელმწიფოს სახეცვლილება

სახელმწიფო — ისტორიული ინსტიტუტია: მისი წარმოშობა და განვითარება იყო XVI საუკუნეში ევროპაში მიმდინარე მოვლენებზე და მას შემდეგ იგი მნიშვნელოვნად ირეკლავს და პასუხობს ცვალებად რეალობას. XIX საუკუნეში, ევროპული სახელმწიფოების შექმნის შემდეგ, მთელი XX საუკუნის განმავლობაში, განსაკუთრებით კი II მსოფლიო ომის შემდგომ, სახელმწიფოებში უფრო და უფრო მეტ ეკონომიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას იკავებდა, რამაც სოციალ-დემოკრატიული, ანუ კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელზე მიგვიყვანა კიდევ. თუმცა, XX საუკუნის 80-იან წლებიდან, სხვადასხვა ქვეყანაში და მეტ-ნაკლები სისწრაფით დაიწყო სხვადასხვა სახელმწიფოს როლის დაკნინება, რაც ჩაურევლობის პოლიტიკას, პრაგმატიზმსა და ყველა სფეროში საბაზრო რეფორმების დანერგვას მოყვება. მართალია, ამგვარ ტენდენციებს იდეოლოგიური მოსაზრებებიც უწყობდა ზურგს (ახალი მემარჯვენეობა) მათ სხვა, უფრო ძლიერი ძალებიც უწყობდა: გლობალური კონკურენციით გამოწვეული წნები და უფრო ეფექტური საშუალებების გამოძიების აუცილებლობა საჯარო პოლიტიკისა თუ საზოგადოების სფეროში. ბევრისათვის ეს მმართველობის "მართვით" (იხ. გვ. 10) შეცვლას მოასწავებდა. რამდენადაც საზოგადოება უფრო რთული და დინამიური გახდა, დრომ მართვის ახალი მეთოდების აუცილებლობაც მოითხოვდა. ყურადღება მიექცა არა იმდენად სახელმწიფოს იერარქიულ ინსტიტუტებს, არამედ ინფორმაციულ ქსელებსა და თავისუფალ ბაზარს, და ამდენად, თანდათანობით წაშალა დაყოფა საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის.

ზოგიერთის აზრით, ამ მოვლენებმა ახალი — კონკურენტული, საბაზრო, ასე ვთქვათ, პოსტ-მოდერნული ტიპის სახელმწიფოს შექმნას შეუწყო ხელი. ფილიპ ბობიტი იმდენად შორსაც კი წაიდა, განაცხადა — კონკურენტული სახელმწიფოდან საბაზროზე გადასვლით მსოფლიო პოლიტიკა მარჯვესიანად შეიცვალა და ლიბერალისმს, ფაშიზმსა და კომუნისმს შორის ამ "უსასრულო ომსაც" წერტილი დაესვაო. საბაზრო სახელმწიფოს მართვით ნიშანი ეკონომიკის ვერტიკალურ მართვაზე უარის თქმაა: წამოიღო საზღვრების პირობებში, ბაზარი ეკონომიკური ორგანიზების ერთადერთ საიმედო პრინციპად გვევლინება. საბაზრო სახელმწიფოს განსაკუთრებული ფორმა ე.წ. "აზიური ვეფხვების" ეკონომიკაში გამოვლინდა და მას კონკურენტული სახელმწიფოს სახელით იხსენიებენ ხოლმე. ამ შემთხვევაში, უპირატესი მნიშვნელობა განათლებასა და პროფესიონალიზმს უკავია, რაც წარმატების მთავარი გარანტია ახალი, უკვე ტექნოლოგიებზე და არა ნედლეულზე დამოკიდებული ეკონომიკებისათვის.

სამხრეთ კორეის, ტაივანის, და — სილათაქის და უნიგურობის შემდეგ მაღალი დონის მიუხედავად — ინდოეთის მაგალითზე, განვითარებადი სამყაროს სახელმწიფოებმა სწრაფად აიტაცეს ეკონომიკური მოდერნიზაციის სტრატეგია. თუმცა, ბევრი სხვა ქვეყანა ჯერაც "სუსტ", "კაზმ", "ვერშემდგარ" სახელმწიფოებად იწოდება. ეს განსაკუთრებით იმგვარ აღიქვამენ ქვეყნებზე ითქმის, როგორებიცაა სომალი, სიერა-ლეონე, აჭირიკულ ქვეყნებზე ითქმის, როგორებიცაა სომალი, სიერა-ლეონე, ლიბერია და კონგო. მათ სისუსტეს ერთი მიზეზი აქვს: ვერ მოხერხდა სახ-

კეთილდღეობის სახელმწიფო:

სახელმწიფო, რომელიც უპირველეს ყოვლისა მოქალაქეთა სოციალურ კეთილდღეობაზე კისრულობს პასუხისმგებლობას და უმოთხრეს საზრუნავად სოციალური უსაფრთხოების, ჯანდაცვის, განათლების და სხვა მსგავს სფეროებს მიიჩნევს (რაც სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვაგვარად ვლინდება).

კონკურენტული სახელმწიფო:

სახელმწიფო, რომელიც თანამედროვე გლობალიზებულ ეკონომიკაში გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის სტრატეგიას ირჩევს და ახორციელებს კიდევ.

თოფოსობა

(უორლორდინში):

მდგომარეობა, რომლის დროსაც სუვერენული სახელმწიფოს არარსებობის პირობებში, ადგილობრივი შეიარაღებული დაჯგუფებები გაუთავებლად იბრძვიან ძალაუფლებისათვის.

სუსტი სახელმწიფო

სუსტია სახელმწიფო, რომელსაც უნარი არ შესწევს ეფექტურად შეასრულოს მთელი რიგი სახელმწიფოებრივი ფუნქციები. ამგვარი სახელმწიფო, როგორც წესი, არაქმედითუნარიანი და კორუმპირებული ადმინისტრაციული სტრუქტურებით ხასიათდება და მოქალაქეთა უსაფრთხოებისა თუ საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას ვერ ახერხებს. ჩამორჩენილ სუსტ სახელმწიფოს, ლეგიტიმურობის დაბალი დონეც გამოარჩევს, და ბოლოს, მას უმნიშვნელო გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაზეც - ძალზე ხშირად მხოლოდ გარეშე ეკონომიკურ ინტერესებზე რჩება დამოკიდებული. თუმცა, სახელმწიფოს სისუსტეს სხვა მიზეზებიც იწვევს: შესაძლებელია, იგი სუსტი იყოს სამხედრო თვალსაზრისითაც, იმისდა მიხედვით, რამდენად შეუძლია ზეგავლენის მოხდენა მეზობლებზე, ანდა - რაც უფრო მნიშვნელოვანია - სხვათა აგრესიისგან თავის დაცვა. შესაძლებელია სახელმწიფო ეკონომიკურადაც ჩაითვალოს სუსტად, თუკი მისი სტრუქტურების როლი ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების მართვაში უმნიშვნელოა (ამ გაკებით, იქნებ შეერთებული შტატებიც "სუსტ" სახელმწიფოდ ჩაგვეთვალო, თუმცა, რა თქმა უნდა, არა სხვა რომელიმე პარამეტრით).

ელმწიფო ძალაუფლების მთავარი გამოცდის ჩაბარება — ადამიანის უსაფრთხოებისა და ქვეყნისშიდა წესრიგის უზრუნველყოფა. ეს კი, თავის მხრივ, კოლონიალიზმის შემდგომი ფორმალური პოლიტიკური დამოკიდებლობის პირობებში, ძალაუფლების პოლიტიკურად, სოციალურად, და ეკონომიკურად უმწიფარი ინსტიტუციებისათვის გადაცემამ გამოიწვია. მსგავსი ტიპის ქვეყნებს რობერტ კუპერმა "თანამედროვეობამდელმა სახელმწიფოები უწოდა, რადგან იქ ხსენებული სახელმწიფო სტრუქტურები ვერ ახერხებენ "ძალის გამოყენებაზე კანონიერი მონოპოლიის დაყარებას" და თოფოსნების თარეშსა და ზოგადად კრიმინოგენურ სიტუაციას ვერ უმკლავდებიან — საზოგადოების გამთლიანებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

შეჯამება

« სახელმწიფო — პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელი დამოუკიდებელი იურისდიქციას ახორციელებს გარკვეულ ტერიტორიულ საზღვრებში. მისი ერთ-ერთი შემაღვენელი ნაწილის — ხელისუფლებისაგან განსხვავებით — სახელმწიფო ყველა საჯარო ინსტიტუტს აერთიანებს და განუპიროვნებულ ძალაუფლებას ფლობს — როგორც საზოგადოების ინტერესების მუდმივი გამომხატველი და არა რომელიმე ცალკეული პოლიტიკური ჯგუფისა.

« არსებობს სახელმწიფოს რაობის რამდენიმე განსხვავებული თეორია: პლურალისტები მას საზოგადოების დაპირისპირებულ ჯგუფთა ინტერესების მიუკერძოებელ არბიტრად მიიჩნევენ; მარქსისტების მტკიცებით, სახელმწიფო კლასობრივ სისტემას ამყარებს ჩაგრულთა დაბეჩავების, ან უკეთეს შემთხვევაში, კლასობრივი კონფლიქტის შერბილების გზით; ახალი მემარჯვენეობისთვის სახელმწიფო "თვითმკმარი ურჩხულია", რომელსაც მხოლოდ მოხვეჭა და გამდიდრება აინტერესებს; რადიკალი ფემინისტები კი იმ პატრიარქალურ ცრურწმენებზე მიუთითებენ, რაც მამაკაცთა ძალაუფლებას აძლიერებს სახელმწიფოში.

« სახელმწიფოს იდეის მომხრეები მასში ან პიროვნების თანამოქალაქეებისაგან დაცვის იარაღს ხედავენ, ან იმ მექანიზმს, რომელმაც კოლექტიური ქმედებების ორგანიზება უნდა მოახერხოს. თუმცა კრიტიკოსები ამტკიცებენ — სახელმწიფო, უბრალოდ, გაბატონებული სოციალური ჯგუფების ინტერესებს ემსახურებაო.

« სახელმწიფოები მუდამ განსხვავებულ როლს ასრულებდნენ: მინიმალისტური სახელმწიფოები მხოლოდ წესრიგის უზრუნველყოფაზე ზრუნავდნენ, პროგრესირებადი სახელმწიფოები დოვლათის შექმნასა და ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას ესწრაფვოდნენ; სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოები უთანასწორობის მოსპობასა და საბაზრო ეკონომიკის უსამართლობის აღმოფხვრას ისახავდნენ მიზნად; კოლექტივიზირებული სახელმწიფოები საკუთარ კონტროლს უქვემდებარებდნენ ქვეყნის მთელ ეკონომიკას; ტოტალიტარულ სახელმწიფოებს ყოვლისმომცველი პოლი-

ტაზირება ახასიათებთ და ფაქტიურად, სამოქალაქო საზოგადოების პრობლემას ესწრაფვიან.

« თანამედროვე სახელმწიფოები დიდ გავლენას განიცდიან ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაციის მხრივ, თუმცა დღემდე საკამათოა, ამის გამო რამდენად შესუსტდა თვით სახელმწიფო ძალაუფლება. ახლად შექმნილი საბაზრო სახელმწიფოები ნაკლებად იწუხებენ თავს "ეკონომიკურ სიკეთებზე" ფიქრით და მაქსიმალურად ცდილობენ, ინიციატივის გამოჩენის შუტი შესაძლებლობები მისცენ მოქალაქეებს. თუმცა, დღემდე ცალკე პრობლემად რჩება ყოფილი კოლონიური ქვეყნები, რომლებიც სახელმწიფოებად ჩამოყალიბებას ვერაფრით ახერხებენ — იქ გამეფებული მუდმივი არეულობის გამო.


კითხვები განსაჯელად:

- < მართლა ასეთი "უსიხარულო, დაუნდობელი და ხანმოკლე" იქნებოდა ბუნებრივ მდგომარეობაში სიცოცხლე?
- < ხელისუფლება აკონტროლებს სახელმწიფოს, თუ პირუკუ?
- < შეიძლება თუ არა სახელმწიფო საზოგადოები "მიუკერძოებელ არბიტრაჟ" მიეჩინოთ?
- < სახელმწიფო ელიტის არსი და წარმომავლობა უცილობლად განაპირობებს თუ არა მის "აჩემებებს"?
- < რაში ვლინდება ხოლმე ჯანსაღი ურთიერთობა სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის?
- < ნიშნავს თუ არა გლობალიზაცია სახელმწიფოს როლის შემცირებას?
- < მოხდა თუ არა ეროვნული სახელმწიფოს გარდაქმნა საბაზრო სახელმწიფოდ?

დამატებითი საკითხავი:

- Hay, C., M. Lister and D. Marsh, *The State: Theories and Issues* (Basingstoke and New York: Palgrave Macmillan, 2006).
- Jessop, B., *State Theory: Putting Capitalist States in Their Place* (Oxford: Polity Press, 1990).
- Pierre, J. and B. Guy Peters, *Governance, Politics and the State* (Basingstoke: Palgrave Macmillan, 2000).
- Schvarcmantel, J., *The State in Contemporary Society: An Introduction* (London and New York: Harvester Wheatsheaf, 1994).
- Sorensen, G., *The Transformation of the State: Beyond the Myth of Retreat* (Basingstoke and New York: Palgrave Macmillan, 2004).

ერები და ნაწილობრივი



2
ნაწილი

ერები და გლობალიზაცია



6
მსოფლიო

ერები და ნაციონალიზმი

ნაციონალიზმი საყმაწვილო სახელია — ასე ვთქვათ, კაცობრიობის ტენორუსა".

ალბერტ აინშტაინი, წერილი (1921)

სილი ორასი წლის მანძილზე ერი განხილვებდა როგორც სამართავად ყველაზე შესაფერისი (და იქნებ, ყველაზე შესაბამისი) პოლიტიკური ერთეულია. კაცმა რომ თქვას, საერთაშორისო სამართალიც იმაზეა გათვლილი, რომ ნებისმიერ ერს — პიროვნების მსგავსად — პოლიტიკური დამოუკიდებლობისა თუ თვითგამორკვევის ხელშეუხებელი უფლებები უნდა ჰქონდეს, და ნაციონალიზმის აღმავლობაც სწორედ ამ რწმენას უკავშირდება. თუმცა, მრავალი ომისა თუ რევოლუციების, ახალი სახელმწიფოების გაჩენისა თუ იმპერიების დაშლის, საზღვრების გადაკეთება-გადმოკეთების, არსებული რეჟიმების სახეცვლილებისა თუ მათივე გამყარების მიზეზადაც იგივე იქცა. და მაინც, ბევრი ფიქრობს, რომ ერების დრო უკვე წარსულს წაშარდა: ეროვნული სახელმწიფოს თვით იდეა, რომელზედაც ნაციონალიზმის მთელი თაობები აღიზარდნენ, ახლა როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი წინააღმდეგობის ქვეშ აღმოჩნდა.

ამგვარად, ამ თავში შემდეგი ძირითადი საკითხებია განხილული:

საკვანძო საკითხები:

- < რა არის ერი?
- < რითი განსხვავდება ერთურთისაგან კულტურული და პოლიტიკური ნაციონალიზმი?
- < რითი აიხსნება ნაციონალიზმის გაჩენა და ძალმოსილება?
- < რა პოლიტიკურ ფორმებს იღებს ნაციონალიზმი და შესაბამისად, რა მიზნებს ისახავს?
- < რა ხიბლი და რა არგუმენტები აქვს ეროვნული სახელმწიფოს მოდელს?
- < აქვთ თუ არა მომავალი ეროვნულ სახელმწიფოებს?

6

თავი

შინაარსი

რა არის ერი?

ერი როგორც კულტურული ერთობა.

ერი როგორც პოლიტიკური ერთობა.

ნაციონალიზმის ნაირსახეობანი.

ლიბერალური ნაციონალიზმი

კონსერვატიული ნაციონალიზმი.

ექსპანსიონისტური ნაციონალიზმი.

ანტიკოლონიალური ნაციონალიზმი.

რა ბედი ელის ეროვნულ სახელმწიფოს?

შეჯამება/კითხვები განსასჯელად/დამატებითი საკითხავი

რა არის ერი?

ერი/ნაცია

(ლათინური სიტყვიდან nasci, რაც "დასაბადებელს" ნიშნავს). რთული ფენომენი, რომელიც კულტურული, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების ერთობლიობით ყალიბდება. კულტურული კუთხით ერი იმ ადამიანთა ჯგუფია, რომელნიც საერთო კულტურას, ენას, ისტორიასა და ტრადიციებს იზიარებენ, თუმცადა ერებს კულტურული ერთგვაროების სხვადასხვა დონე ახასიათებს. პოლიტიკური გაგებით ერი იმ ადამიანთა ჯგუფია, რომლებიც თავს ბუნებრივ პოლიტიკურ საზოგადოებად ითვლიან. მიუხედავად იმისა, რომ კლასიკურად ეს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების და შენარჩუნების სურვილის სახით ვლინდება, ამ მოვლენამ შესაძლოა სამოქალაქო ცნობიერების ფორმაც მიიღოს. ფსიქოლოგიური გაგებით, ერი იმ ადამიანთა ჯგუფია, რომელსაც საერთო მიკუთვნებულობა და შეობა გამოარჩევს — როგორც წესი, პატრიოტიზმის სახით. თუმცა, ამკვარი განცდა ამა თუ იმ ერის "შეილობის" აუცილებელი წინაპირობა როდია: გამოარჩეული ეროვნული სიამაყის არმქონე ადამიანებიც კი, შესაძლოა, თავს საკუთარი ერის წარმომადგენლებად აღიარებდნენ.

ეთნიკური ჯგუფი:

საერთო ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მქონე ადამიანთა ჯგუფი, რასაც საერთო წარმომავლობის რწმენა უდევს საფუძვლად.

იმ მრავალ წინააღმდეგობებს შორის, რაც "ეროვნულობის" ფენომენს ახლავს თან, უმთავრესი თავად ამ ცნების განსაზღვრაა: იმდენად ფართოდ გამოიყენება, რომ ხშირ შემთხვევაში, მის მახასიათებლებს აღარც უფიქრდებიან და მათზე იშვიათად თუ კამათობენ — იგი საყოველთაოდ მიღებულ ცნებადაა მიჩნეული. არადა, ვითარება ხშირად საწინააღმდეგოზე მიგვანიშნებს: მას ხან სახელმწიფოს, ხან ქვეყნის, ხანაც ეთნიკური ჯგუფისა თუ სულაც მთელი რასის აღსანიშნად მოიხმარებენ ხოლმე. ვთქვათ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამკარად მცდარი სახელწოდებაა, ვინაიდან იგი სახელმწიფოებს წარმოადგენს, და არა ეროვნებებს. მაშ, რაღაა "ერის", როგორც ასეთის, სრული მახასიათებელი? რა განასხვავებს მას სხვა სოციალური ჯგუფებისა თუ ერთობებისაგან?

"ერის" ცნება რთული განსასაზღვრი იმიტომაცაა, რომ ყველა ერი ობიექტური და სუბიექტური ნიშან-თვისებების ერთგვარი ნაზავია — კულტურული და პოლიტიკური მახასიათებლების მთელი სპექტრი. ობიექტური თვალსაზრისით, "ერმ" კულტურული მთლიანობაა — ენით, რელიგიით, საერთო წარსულითა და სხვა ფაქტორებით შეკავშირებული, და მსგავსი ფაქტორები უთუოდ უწყობს ხელს ნაციონალისტურ პოლიტიკას: კვებეკელი კანადელების ნაციონალიზმს, მაგალითად, მნიშვნელოვნად განაპირობებს განსხვავება მათ ფარანგულენოვნობასა და დანარჩენ, ინგლისურად მოლაპარაკე კანადას შორის; ნაციონალისტურ დამაბულებას ინდოეთში ამკარად რელიგიური საფუძველი უდევს — ერთის მხრივ პენჯაბელი სიქები დამოუკიდებელი ხალისტანისთვის იბრძვიან, ქაშმირელი მაჰმადიანები კი ამ რეგიონის პაკისტანთან გაერთიანებას მოითხოვენ... და მაინც, შეუძლებელია მხოლოდ ობიექტური ფაქტორებით განვსაზღვროთ, თუ რა არის "ერმ", რადგან თითოეულ მათგანს გარკვეული კულტურული, ეთნიკური და რასობრივი მრავალფეროვნება ახასიათებს: შვეიცარიელები მტკიცე და სიცოცხლისუნარიან ერად რჩებიან, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სამი სახელმწიფო ენა (ფრანგული, გერმანული, იტალიური) და უამრავი ადგილობრივი დიალექტი არსებობს; კათოლიკეებად და პროტესტანტებად დაყოფა, რამაც სასტიკი ნაციონალიზმი შვა ჩრდ. ირლანდიაში, დანარჩენ ბრიტანეთში, ფაქტიურად, უმტკივნეულოა, ხოლო გერმანიის მსგავს ქვეყნებში სულაც სიმბოლური მნიშვნელობისაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იბადება დასკვნა, რომ საბოლოოდ ერის რაობა მხოლოდ სუბიექტურად შეუძლიათ განსაზღვრონ მისივე წარმომადგენლებმა. გამოდის, რომ ერი ფსიქოპოლიტიკური წარმონაქმნია — ნებისმიერი სხვა ჯგუფისა თუ ადამიანთა გაერთიანებისაგან, მას საკუთარი წევრების სწორედ ამ წარმონაქმნისადმი მიკუთვნებულობა გამოარჩევს. და რას ნიშნავს ეს? ერი, ამ გაგებით, საკუთარ თავს ცალკე პოლიტიკურ ერთობად განიხილავს — სწორედ ამით განსხვავდება ერი ეთნიკური ჯგუფისაგან. ამ უკანასკნელს უთუოდ გააჩნია საერთო მემობა და კულტურული სიამაყის განცდა, თუმცა, ერისაგან განსხვავებით, მას კოლექტიური პოლიტიკური მიზანსწრაფვა არ ახასიათებს. ტრადიციულად, მსგავსი მისწრაფებ-

მან გოტფრიდ ჰერდერი (1744-1803)

გერმანელი პოეტი, კრიტიკოსი და ფილოსოფოსი, რომელსაც ხშირად კულტურული ნაციონალიზმის მამად მოიხსენიებენ. ლუთერან-ღვთისმსახური, ჰერდერი პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა; მან მთელი ევროპა მოიარა და ბერლინის — 1776 წელს, ვაიმარში დაბნულდა, სადაც დიდი საპერტუოვოს სახელდუღობას ჩაუდგა სათავეში. მუხედუღ იმისა, რომ ახალგაზრდა ჰერდერზე დიდი გუღუნა იქონია კანტის (გვ. 129), რუსოსა (გვ. 79) და მონტესკიეს (გვ. 336) ნაშრომებმა, სწორედ ჰერდერი გვეღინება ანმანათღებღობის მოღარ ინტელექტუალურ ოპონენტად და

სწორედ მან მოახღინა გაღამწვეღები გუღუნა გერმანული რომანტიკული მოღრახობის გაღღიერებახე. ერის - როგორც განსხვავებული კულტურის, ერის და "სუღლის" მქონე ორგანული ერთობის — ჰერდერისეულმა ხედვამ ხელი შუღწყო როგორც კულტურის ისტორიის დისციპღინის ჩამოღვღიბებას, ასევე ნაციონალიზმის ისეთი ფორმის წარმოშობასაც, რომელშიც ეროღნული კულტურის თაღისთავადი ფასეუღობაა ხაზგასმული.



მა პოღიტიკური დამოუკიდებღობის, სახელმწიფოებრიობის მოპოვებისა თუ შინაზღუნების მოთხოვნების ფორმას იძენს ზოღმე, ნაკღები პრეტენზიის შემოხვევაში კი — გარკვეული აუტონომიით, ფედერაციისა თუ კონფედერაციის წვეღობით კმაყოფიღდება.

თუღცა, სირთულეღები ამით არ ამოიწურება: ეროღნუღობა რთული პოღიტიკური ფენოღმენია, ნაწიღობრივ იმიტომაღც, რომ სხვადასხვა ტრადიციად ერის კონცეფციას სხვადასხვავარად მოიზრებს. განსაკუთრებით მნიშვნეღოღანი ორი საპირისპირო თვალსაზრისია: ერთის თანახმად, იგი მხოლოდ კულტურული ერთობაა და აქცენტი ეთნიკური და ნათესაური კუღმირების მნიშვნეღობახე გადააქვს; მეორე კი პოღიტიკურ ერთობას მაინც უმთავრესად და სამოქალაქო ურთიერთობებისა და მაკუთენებუღობის მნიშვნეღობას უსვავს ხაზს. ეს განსხვავებული შეხედუღებები არა მარტო ერების წარმოშობის აღტერნატიულ ახსნას გუთავაზობს, არამედ ეროღნუღობის სრულიად განსხვავებულ გამოხატუღებებსაც.

ერი, როგორც კულტურული ერთობა

ერის არსებითად ეთნიკურ თუ კულტურულ ერთობად გააზრების მნიშვნეღობას განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი ლაფონმა, 1968 წელს. თუღცა მსგავსი შეხედუღლება ჯერ კიდევ XVIII საუკუნის გერმანიაშიც გამოითქვა ჰერდერისა და ფიხტეს (1762-1814) მიერ. ჰერდერისათვის ნებისმიერი ეროღნული ჯგუფის თანდაყოღილ ხასიათს, საბოლოო ჯამში, გარემო, ჰავა და ფიზიკური გეოგრაფია განაპირობეღდა, რაც განსაზღვრავღდა კიდევ როგორც ცხოვრების ნირს, ასევე შრომით ჩვევებს, წესებსა და აღათებს.

უწინარესად, ის ენას ანიჭებდა გადამწვევტ მნიშვნელობას, რადგან, მისი აზრით, სწორედ დედენა ასახავდა ადამიანთა ძირეულ განსხვავებებს და ისტორიულ მქსიერებას. ამ გაგებით, ყოველ ერს საკუთარი **Volkgeist** გააჩნია, რაც ხალხურ სიმღერებში, მითებსა და ლეგენდებში იჩენს თავს და სასიცოცხლო ძალას მატებს მას. ამდენად, ჰერდერისეული "ეროვნულობა" კულტურალიზმის ერთგვარი ფორმაა, როცა ყურადღება არა ამკარად პოლიტიკური სახელმწიფოებრიობის მოპოვებაზე მახვილდება, არამედ ეროვნული ტრადიციებისა და კოლექტიური მქსიერების გააზრებასა და ერთგულებაზე. ასეთმა იდეებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა XIX საუკ. გერმანიის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებაზე და ეს ყოველივე უძველესი მითებისა და ლეგენდების გადააზრებაში აისახა — ვთქვათ, ძმები გრიმების ზღაპრებისა თუ რიჰარდ ვაგნერის (1813-83) ოპერების სახით.

ჰერდერისეული კულტურალიზმის ამოსავალი წერტილი ერების "ბუნებრივ" ანუ ორგანულ ერთობებად მიჩნევა: მათი კვალი უძველესი დროიდან მოჩანს და იმავე ნიშნით, არსებობაც მანამ გაგრძელდება, სანამ კაცობრიობა არ გადაშენდება. მსგავს თვალსაზრისს ადგანან თანამედროვე სოციალური ფსოქოლოგიის მკვლევარნიც, რომელთა აზრით, ადამიანებს იმთავითვე დაჯგუფებისადმი მიდრეკილება ახასიათებთ, რათა უსაფრთხოდ იგრძნონ თავი და ერთიანობისა და მიკუთვნებულობის განცდა გაუჩნდეთ. ამ გადასახედიან, კაცობრიობის ერებად დაყოფა სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება იმათ დაუახლოვდეს, ვისთანაც საზიარო კულტურა, ისტორიული გამოცდილება, ადათ-წესები აკავშირებს. ოლონდ ვეა — ამგვარი ფსიქოლოგიური კვლევა ვერ გვიხსნის ეროვნულობას, როგორც ისტორიულ ფენომენს: ანუ მოვლენას, რომელსაც გარკვეულ დროსა და გარკვეულ ადგილას დაელო საფუძველი: კერძოდ, XIX საუკ. დასაწყისის ევროპაში.

თავის "ერებსა და ნაციონალიზმში" (1983) ერნსტ გელნერმა ყურადღება მიაქცია, რამდენად უკავშირდება ნაციონალიზმი მოდერნიზაციისა და, განსაკუთრებით, ინდუსტრიალიზაციის პროცესს. გელნერის აზრით, თუკი თანამედროვეობამდელი, "მიწას მიჯაჭვულ" საზოგადოებები ფეოდალური წყობის უფლება-მოვალეობებით იყვნენ გაერთიანებულნი, ინდუსტრიული საზოგადოებების გაჩენამ ადამიანი შეჩვეულ ყოფას მოწვევტა, გადადგილების მეტი საშუალება მისცა და საქმიანობის ახალ-ახალი დარგებიც შეუქმნა. სწორედ ეს გახდა საზოგადოებაში ახალი კულტურული ერთობების გაჩენის მიზეზი, რაც უკვე ერად შედუღაბებას მოითხოვდა. ამგვარად, ნაციონალიზმი ახალი საზოგადოებრივი გარდაქმნების გამოხატულება იქცა. მეორის მხრივ, გელნერის თეორია იმაზეც მიანიშნებს, რომ ნაციონალიზმი შეუქცევადია, რამდენადაც ფეოდალურ-გვაროვნულ ურთიერთობებთან მიბრუნება დღეს უკვე წარმოუდგენელია. თუმცა, ენტონი სმიტი "ერთა ეთნიკურ ძირებში" (1986) საკამათოდ ხდის კავშირს ნაციონალიზმსა და მოდერნიზაციას შორის და იმ უწვევტობაზე მიათითებს, რაც თანამედროვეობამდელ ეთნიკურ ერთობებს, ანუ ეთნოსებსა და დღევანდელ ერებს აკავშირებთ. მისი აზრით, ერები ისტორიულად ჩაკირულნი არიან, ფესვი საერთო კულტურულ მემკვიდრეობასა და ენაში აქვთ გადგმული, რაც, თავის მხრივ, გაცილებით წინ უსწრებს თავად სახელმწიფოებრი-

Volkgeist: (გერმ.) - სიტყვა-სიტყვიით „ხალხის სული“; ერის ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც მის კულტურასა და ენაში ულინდება

მომავალს. ეთნიკურმა ნაციონალიზმის წინამორბედი კია, მაგრამ მხოლოდ სახით ერები მხოლოდ მას შემდეგ ჩამოყალიბდნენ, რაც ესა თუ არსებული ეთნოსი პოლიტიკური დამოუკიდებლობის დოქტრინამ შექმნა. მსგავსი რამ ევროპაში XVII საუკ. ბოლისა და XIX საუკ. დასაწყისში მოხდა, აზიასა და აფრიკაში კი — XX საუკუნეში.

საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ერი, მისი ნაციონალისტურობის გამოვლინებებს მაინც მკვეთრად კულტურული და არა პოლიტიკური ბუნება ახასიათებს; კულტურული ნაციონალიზმი, ჩვეულებრივ, თვითდამკვიდრების სახეს იღებს ხოლმე; ესაა საშუალება, რითაც დამაინებს შეუძლიათ უფრო ნათლად გაიაზრონ საკუთარი მეობა და კულტურულ სიამაყესა თუ საკუთარი თავის პატივისცემას გაუსვან ხაზი. ეს კარგად ჩანს უელსური ნაციონალიზმის მაგალითზე, რომელიც ყურადღებას უღელს ენისა და ზოგადად, კულტურის დაცვაზე ამახვილებს, და მაინც არც ფიქრობს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევას, კულტურული ხასიათისაა აგრეთვე, შვედური ნაციონალიზმი ა.შ.შ.-ში, კარბის ზღვის აუზში, და ევროპის ბევრ ქვეყანაში. ის გამოკვეთილად გამოიხატა შვედების ჩამოყალიბებასა და ეროვნული ღირსების გრძობის დაცვაში (ცდილობს; მარკუს გარვიმ და მალკოლმ X-მა (1926-65) ეს მცდელობა აფრიკის, როგორც სულიერი და კულტურული სამშობლოს ხელახალ აღმოჩენას დაუკავშირეს. მსგავსი პროცესი შეინიშნება თანამედროვე ავსტრალიაში და, მეტ-ნაკლებად, ახალ ზელანდიაშიც. ავსტრალიელ ტახტპყრობის კელთა მოძრაობა, მაგალითად, ერის სურვილის აშკარა გამოხატულებაა, ხელახლა — პოლიტიკურად და კულტურულად — დიდი ბრიტანეთისაგან განსხვავებულ ერთობად გაიაზროს საკუთარი თავი. ავსტრალიელთა დამკვიდრების ეს პროცესი "ძირძველ" ავსტრალიელის ტიპის ჩამოყალიბებამ, აბორიგენებთან საერთო ენის გამოჩახვამ და ადგილობრივ აბორიგენებთან ფოლკლორის პოპულარობამაც განაპირობა.

გერმანელი ისტორიკოსი, ფრიდრიხ მაინეკე ცოტათი კიდევ უფრო წინ წაიდა და საერთოდ გამიჯნა ერთმანეთისაგან "კულტურული" და "პოლიტიკური" ერები. კულტურული ერები ეთნიკური ერთგარონების მაღალი ხარისხით ხასიათდებიან — ფაქტიურად, ეროვნული და ეთნიკური მეობა, ამ შემთხვევაში, გაიგივებულია. მაინეკემ კულტურული ერების მაგალითებად ბერძნები, გერმანელები, რუსები, ინგლისელები და ირლანდიელები დაასახელა, თუმცა ამ კატეგორიაში ისეთი ეთნიკური ჯგუფებიც შეიძლება მოიაზროთ, როგორებიცაა ქურთები, თამილები და ჩინელები. ამგვარი ერები შესაძლოა "ორგანულ" ერთობებად ჩაითვალოს, რამდენადაც მათი ჩამოყალიბება უფრო ბუნებრივი და ისტორიული მიზეზების შედეგია, ვიდრე პოლიტიკური ფაქტორების. კულტურული ერების სიძლიერე მათი შეკავშირებულობაა — ეროვნული ერთობის ძლიერი და ისტორიულად განპირობებული განცდის შედეგად. ისინი საკუთარ თავს გამოიჩენებოდაც მიიჩნევენ ხოლმე; მსგავსი ერის შეილება არა ნებაყოფლობითი პოლიტიკური არჩევანის შედეგია, არამედ მემკვიდრეობით მიღებული ეთნიკური მეობის. ისინი თავს საერთო წარმომავლობის, ნათესაური კავშირებით შედუღებულ ჯგუფებად თვლიან. ამ გაგებით, შეუძლებელია "გახდეს" გერმანელი, რუსი ან ქურთი მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ენაზე ალაპარაკდენ ანდა ამ ხალხების

კულტურული ნაციონალიზმი:

ნაციონალიზმის ისეთი ფორმა, რომელიც უმთავრეს ამოცანად ისახავს ერის, როგორც განსაკუთრებული ცივილიზაციის — და არა კონკრეტული პოლიტიკური მოღიანობის — აღორძინებას. კულტურული ნაციონალიზმის წარმომადგენლები სახელმწიფოს შშირად მეორეხარისხოვან, მტრულ ორგანიზმადაც კი მიიჩნევენ, იმ დროს როდესაც პოლიტიკური ნაციონალიზმი "რაციონალურ" და ჩვეულებრივ, მოწესრიგებულა, კულტურულ ნაციონალიზმს ერთგვარი "მისტიურობა" ახასიათებს, რაც ერის, როგორც საკუთარი სულის მიერ გაცოცხლებული უნიკალური, ისტორიული და ორგანული მოღიანობის რწმენას ეფუძნება. კულტურული ნაციონალიზმი ნაციონალიზმის ერთგვარი "ამოტრიალებულ" ფორმაა, რომელიც უფრო ხალხურად ადასტოვებს, ტრადიციებსა და თქმულებებს ეფუძნება და არა ელიტარულ, ე.წ. "მაღალ" კულტურას. თუმცა კულტურული ნაციონალიზმი თავისი ბუნებით "ჩამორჩენილია", ზოგჯერ ის შესაძლოა გათანამედროვეობის საშუალებადაც კი იქცეს — იმდენად, რამდენადაც ერს ყოველ ახალ ეპოქაში ახალ სასიცოცხლო ძალას მატებს.

მრწამსი გაიზიარო. მსგავსი განსაკუთრებულობის განცდა ნაციონალიზმის კარჩაკეტილ და დრომოჭმულ ფორმების გაჩენას უწყობს ხელს, და ართულებს განსხვავების დანახვას ერსა და რასას შორის.

ერი როგორც პოლიტიკური ერთობა

როდესაც ერს არსებითად პოლიტიკურ ერთობად მიიჩნევენ, ამ დროს აქცენტი უფრო მეტად მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ მიკუთვნებულობაზე გადააქვთ, ვიდრე კულტურულ მეობაზე. ამგვარად, ერს უპირველეს ყოვლისა, საერთო მოქალაქეობრიობით შეკავშირებულ ადამიანებად მიიჩნევენ, მათი კულტურული, ეთნიკური თუ სხვა მახასიათებლების მიუხედავად. ერის ამგვარ გაგებას ბევრი ჟან-ჟაკ რუსოს სახელსაც უკავშირებს, რომელსაც ზოგჯერ თანამედროვე ნაციონალიზმის "მამადაც" კი იხსენიებენ. მართალია, რუსოს განსაკუთრებულად არ უკვლევია ერის რაობის საკითხი და ნაციონალიზმის ფენომენი, მაგრამ მის "საყოველთაო ნებაში" გამოხატული ხალხის უზენაესობის იდეა ის მარცვალი აღმოჩნდა, საიდანაც ამოიზარდა კიდევ საფრანგეთის 1789წ. რევოლუციის ნაციონალისტური შეხედულებები. როდესაც რუსო ხელისუფლებას მოუწოდებდა დაყოლოდა საყოველთაო ნებას, ამით მას ფაქტიურად, სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა მონარქიული ძალაუფლებისა და არისტოკრატიული პრივილეგიებისათვის. საფრანგეთის რევოლუციის დროს, რადიკალური დემოკრატიის ეს პრინციპი იმაში გამოიხატა, რომ ფრანგი ხალხი შეუვალა უფლებებითა და თავისუფლებით აღჭურვილ "მოქალაქეებად" იქცა და უკვე აღარ იყო ტანტის მორჩილი, უუფლებო სუბიექტი. ამრიგად, უზენაესი ძალაუფლების მყრობელად ახლა "ფრანგი ერმ" გამოცხადდა. ასე და ამგვარად, საფრანგეთის რევოლუციის შედეგად წარმოქმნილი ნაციონალიზმის ფორმა გულისხმობდა ადამიანთა თუ მთელი ერის თვითმმართველ ორგანიზმად ქცევას და უშუალოდ იყო დაკავშირებული ძმობის, ერთობისა და თავისუფლების პრინციპთან.

მოსაზრება, რომ ერი არა ეთნიკური, არამედ პოლიტიკური ერთობაა, ნაციონალიზმის არაერთმა თეორეტიკოსმა აიტაცა. ასე მაგალითად, ერიკ ჰობსბაუმმა (1983) ერის ცნება "გამონაგონი ტრადიციების" ნაყოფად გამოაცხადა. მისი აზრით, თანამედროვე ერების ჩამოყალიბება ხანგრძლივი არსებობის მქონე ერთობების განვითარების შედეგი არ ყოფილა: ანუ, ისტორიული უწყვეტობა და კულტურული თავისთავადობა მითი გახლდათ და რაც მთავარია, თავად ნაციონალიზმის მიერვე შექმნილი. მისი თქმით, ერებს ნაციონალიზმი ქმნის, და არა პირიქით. ასე მაგალითად, ეროვნულობის ლამის საყოველთაო განცდა (ზოგჯერ "სახალხო ნაციონალიზმად" რომ იხსენიებენ) XIX საუკ. ბოლომდე ფაქტიურად არ არსებობდა და მის გაჩენას, ალბათ, ეროვნული ჰიმნებისა და დროშების შემოღებამ და ასევე, დაწყებითი განათლების ფართოდ დანერგვამ შეუწყო ხელი. მართლაცა, დედაენის იდეა თაობიდან თაობას კი გადაეცემოდა, ოღონდ რამდენადაა ეს საერთო კულტურის გამოხატულები, მეტად საეჭვოა: სინამდვილეში, ნებისმიერი ენა ცოცხლობს და ვითარდება იმისდა მიხედვით,

როგორ იყენებს მას ესა თუ ის თაობა. მეტიც — შუა საუკუნეების ევროპაში "ქრონული ენის" ცნებაც კი არ არსებობდა, რამდენადაც, XIX საუკუნემდე ხალხის უდიდეს უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა წიგნიერ, ლიტერატურულ ენაზე და როგორც წესი, სხვადასხვა ადგილობრივ დიალექტზე საუბრობდა, რასაც განათლებული ელიტის მეტყველებასთან არაფერი ჰქონდა საერთო.

ბენედიქტ ანდერსონმა (1983) თანამედროვე ერის ცნება ლამის ფუქციად შერაცხა და მას "წარმოსახვითი ერთობა" უწოდა. მას თუ ლეჟენდებზე, ერები უფრო წარმოდგენილი ხატების სახით არსებობენ, და არა ადამიანთა იმ ხელშეხებაზე გაერთიანებებად, სადაც საერთო მეობის მიხედვით, უშუალო ურთიერთობის რაღაც დონე აუცილებელია. ნებისმიერ ერში პიროვნება შემოფარგლულია თანამომქმეთა განსაზღვრული, მცირე რაოდენობით, ვისთანაც იგი ეროვნულ მეობის საფუძველზე აიგივებს თავს. არადა, თუკი ერები მართლა არსებობენ, მათ იმ წარმოსახული ხატებების კვალს ატყეიანთ, რომელთაც განათლების სისტემა, მას-მედია და პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი გვქმნის. მაშინ როცა რუსოს აზრით, ერს სიცოცხლეს დემოკრატიისა და პოლიტიკური თავისუფლების იდეები ანიჭებს, წარმოსახული თუ გამოცხადებული ერთობების ცნება უფრო მარქსიზმს უახლოვდება, რომლისთვისაც ნაციონალიზმი ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებაა. ორთოდოქსული მარქსიზმის გადასახედიდან, ნაციონალიზმი სოციალური რევოლუციის საფრთხის გასანეიტრალებელი საშუალებაა — რადგან მმართველი კლასი ცდილობს საზოგადოება დააჯეროს, რომ ეროვნული ერთიანობა კლასობრივ სოლიდარობაზე ძლიერია და ამ გზით პროლეტარიატი არსებული მმართველობის სისტემას შეაგუოს.

თავისუფლებისა და დემოკრატიის სურვილის ნაყოფია ერები თუ უბრალოდ, პოლიტიკური ელიტების ან მმართველი კლასების ემპირიული გამოჩანაგონი, ბევრი ერი მაინც უთუოდ პოლიტიკური ხასიათის წარმონაქმნია. მაინც კვს თანახმად, ამგვარ ერებს "პოლიტიკურ ერებად" იხსენიებენ და ამ კლასიფიკაციაში ის ერები მოიაზრება, რომლის მოქალაქეობასაც უფრო პოლიტიკური მიზანშეწონილობა განაპირობებს, ვიდრე ეთნიკური წარმომავლობა; ჩვეულებრივ, პოლიტიკურ ერებს რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი აყალიბებს და ამდენად, მათ კულტურული არაერთგვაროვნებაც ახასიათებთ. პოლიტიკური ერების კლასიკურ მაგალითად დიდი ბრიტანეთი, შეერთებული შტატები და საფრანგეთი ითვლება. ბრიტანეთი 4 ამგვარი "კულტურული ერის" გაერთიანებაა: ინგლისელების, შოტლანდიელების, უელსელებისა და ჩრდ. ირლანდიელების (ეს უკანასკნელი კიდევ ორ შემადგენლად შეიძლება დაიყოს — პროტესტანტ-უნიონისტებად და კათოლიკე რესპუბლიკელებად). თუმცა არსებობს გამორჩეულად ბრიტანული ეროვნული თვითშეგნებაც, რაც ისეთ პოლიტიკურ ფაქტორებს ემყარება, როგორიცაა ტახტისადმი საერთო ერთგულება, უესტმინსტერის პარლამენტისადმი პატივისცემა და ბრიტანელი ხალხის ისტორიული უფლებებისა და თავისუფლებების რწმენა. როგორც "ემიგრანტთა სამშობლო", ა.შ.შ. გამოკვეთილი მრავალეთნიურობითა და მრავალკულტურულობით ხასიათდება, რაც შეუძლებელს ხდის მისი ეროვნული მეობის საერთო კულტურულ და ისტორიულ კავშირებზე დაფუძნებას. პირიქით — ამერიკული ეროვნულობის განცდა მიზან-

6. ერები და ნაციონალიზმი

მიმართულად განვითარდა განათლების სისტემის მეშვეობით და რამდენიმე საერთო ღირებულების აღიარების ნიადაგზე დაფუძნდა: ეს გახლდათ დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და ამერიკის კონსტიტუციაში გაცხადებული ღირებულებები. ასევე, ფრანგული ეროვნული მეობა მჭიდროდ უკავშირდება 1789წ. საფრანგეთის რევოლუციის ტრადიციებსა და პრინციპებს.

თორიულად, ხსენებულ ერებს ერთი რამ აახლოვებს: გარკვეული პრინციპებისა და მიზნების ნებაყოფლობითი აღიარება — არსებული კულტურული მეობის საპირწონედ. ზოგჯერ იმასაც ამტკიცებენ, რომ მსგავს საზოგადოებებში გაჩენილი ეროვნულობის განცდა ტიპიურად შემწყნარებლური და დემოკრატიულია: თუ ერთი იმთავითვე პოლიტიკური ერთობაა, იგი უფრო გახსნილია, და მისი წევრობა არ იზღუდება ამა თუ იმ ენობრივი, რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა რამ მსგავსი კრიტერიუმით. კლასიკური მაგალითებია ა.შ.შ. — როგორც "მოთუხთუხე ქვაბის" ანალოგია და დღევანდელი სამხრეთ აფრიკა — მისი "ნაირფერმ" საზოგადოებით. მეორის მხრივ, პოლიტიკურ ერებს ზოგჯერ შესაძლოა აკლდეთ კიდევ ორგანული ერთობისა და ისტორიული ფესვების განცდა, ასე დამახასიათებელი "კულტურული ერებისათვის". შეიძლება ესეც იყოს მიზეზი დიდ ბრიტანეთში "ზოგად-ბრიტანულ" ნაციონალიზმის სისუსტისა შოტლანდიურ თუ უელსურ, ანდა წმინდად ინგლისურ, ე.წ. "კუნძულელთა" ნაციონალიზმთან შედარებით.

განვითარებადი სამყაროს სახელმწიფოები განსაკუთრებულ პრობლემებს წააწყდნენ ეროვნული თვითშეგნების მიღწევის გზაზე: მათ ორი თვალსაზრისით შეიძლება "პოლიტიკური ერებმ" ვუწოდოთ — ჯერ ერთი, რომ დამოუკიდებლობას მათ მხოლოდ კოლონიალური მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად მიაღწიეს, და ამ მხრივ, მათ ეროვნულ თვითშეგნებას დიდად განაპირობებს გაერთიანებული ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამდენად, მესამე სამყაროს ნაციონალიზმს აშკარა ანტიკოლონიალური ხასიათი აქვს. მეორეც — ამ ერების ჩამოყალიბებას, ხშირ შემთხვევაში, ყოფილი კოლონიზატორების მიერ დადგენილმა საზღვრებმაც შეუწყო ხელი და ეს განსაკუთრებით, აფრიკის მაგალითზე ჩანს. აფრიკული "ერებმ" უმეტეს შემთხვევაში, უამრავი ეთნიკური, რელიგიური და რეგიონალური ჯგუფის უბრალო ჯამია, და მათ გამთლიანებას მხოლოდ საერთო კოლონიური წარსული უდევს საფუძველად. ევროპული "კულტურულმ" ერებისაგან განსხვავებით, რომლებმაც სახელმწიფოებრიობას უკვე არსებული ეროვნული მეობის საფუძველზე მიაღწიეს, აფრიკაში პირიქით — ცდილობდნენ ერები უკვე არსებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების "ბაზაზე" შეექმნათ. შედეგად, პოლიტიკური და ეთნიკური მეობის ერთმანეთისაგან აცილებამ განაპირობა უსასრულო შიდა დაპირისპირებანი ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ნიგერია, სუდანი, რუანდა-ბურუნდი — და ეს კონფლიქტები სხვა არაფერია, თუ არა უძველესი ტრაიბალიზმის ანუ "ტომობრიობის" გამოხატულება — ზოგადად, კოლონიური წარსულიდან შემორჩენილი "დაყოფისა და ბატონობის" პოლიტიკის გამოძახილი.

ნაციონალიზმის ნაირსახეობანი

ნაციონალიზმის პოლიტიკური არსი დიდი დავა-კამათის საგანია: ერთის მხრივ, ის შესაძლოა პროგრესული და გამათავისუფლებელი ძალა გამოდგეს, პროგრესული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის მიღწევის გზა; მეორის მხრივ — ირაციონალური და რეაქციული ქმედებებისაკენ გვიბიძგოს. პროლაცდა, ნაციონალიზმი პოლიტიკურად ერთი-ერთში იმეორებს ფაშისტურაში ცნობილ "პიროვნების გაორების" სინდრომს: სხვადასხვა დროს იგი პროგრესულიც ყოფილა და რეაქციულიც, დემოკრატიულიც და ავტორიტარულიც, გამათავისუფლებელიცა და დამთრუნველიც, მემარცხენეც და მემარჯვენეც. სწორედ ამიტომ, უმჯობესია ნაციონალიზმი კრიზილთ არა როგორც ერთი მუდმივი ფენომენი, არამედ როგორც "გამოვლინებათა წყება": ესაა მიდგომათა აბურდული გორგალი, რომელსაც კრადერთი საერთო მახასიათებელი გააჩნია — ყოველი მათგანი თავისებურად აღიარებს ერის უზენაესობას პოლიტიკური თვალსაზრისით.

დავა-კამათი ნაწილობრივ უკვე ნახსენები წინააღმდეგობებიდან მომდინარეობს: როგორ გავიზნოთ თავად "ერის" ცნება, და რა კრიტერიუმი — კულტურული თუ პოლიტიკურია განმსაზღვრელი ამ შემთხვევაში. კაცმა რომ უთქვას, ნაციონალიზმის ხასიათს ერთდროულად თავად ნაციონალისტური მსწრაფებების წარმომშობი გარემოებანიც ამჩნევს კვალს და ის პოლიტიკური მიზნების, რომლებსაც ის ისახავს. ამგვარად, როცა ნაციონალიზმი უბრუ ბატონობის თუ კოლონიური მმართველობის საპასუხო რეაქციაა, მას გამათავისუფლებელი მიზანი აქვს და სამართლიანობასა და დემოკრატიას უმსახურება; როცა სოციალური ნიშნით მიგრაციისა და დემოგრაფიული ცვლილებების შედეგია, იგი კარნაკტილი და აგრესიული ხდება და რასიზმისა თუ ქსენოფობიის იერს იძენს. და ბოლოს, ნაციონალიზმს მისი მდროშეების პოლიტიკური იდეალებიც თავის დაღს ასვამს: სხვადასხვა სახით, ნაციონალიზმი ახასიათებდათ ლიბერალებსაც, კონსერვატორებსაც, სოციალისტებსაც, ფაშისტებსა და კომუნისტებსაც კი (ძირითადი იდეოლოგიებიდან, მთლიანად მხოლოდ ანარქიზმი თუ გაემიჯნა ნაციონალიზმს). ამ მხრივ, ნაციონალიზმი ფართო მოხმარების იდეოლოგიაა და შეკვიძლია მისი უმეტესი პოლიტიკური გამოვლინებებიც ჩამოეთვალათ:

- † ლიბერალური ნაციონალიზმი
- † კონსერვატიული ნაციონალიზმი
- † კლასიციზმის ნაციონალიზმი
- † ანტი-კოლონიალური ნაციონალიზმი.

ლიბერალური ნაციონალიზმი

ლიბერალური ნაციონალიზმი ევროპული ლიბერალიზმის კლასიკურ ფორმად შეკვიძლია მივიჩნიოთ. მისი გაჩენა საფრანგეთის 1789წ. რევოლუციას უკავშირდება და ბევრი მაშინდელი ღირებულების ნიშან-თვისებასაც ატარებს. მართლაც, უკვე XIX საუკ. შუა ხანებში, კონტინენტურ ევროპაში

ქსენოფობია:

შიში ან სიძულვილი უცხოტომელთა მიმართ; პათოლოგიური სახით გამოვლენილი ეთნოცენტრიზმი.



ჯუზეპე მაზინი (1805-72)

იტალიელი ნაციონალისტი და ლიბერალური რესპუბლიკანიზმის მებაირახტრე. მაზინი იტალიაში, ქ. გენუაში დაიბადა, ექიმის ოჯახში. მაზინის პირველი შეხება რევოლუციურ მოძრაობასთან საიდუმლო პატრიოტული ორგანიზაცია კარბონარებთან გაწვევრიანებას უკავშირდება, რასაც შედეგად მისი ჯერ დამატიმდება, ხოლო შემდგომ სარანგეთში, იქიდან კი დიდ ბრიტანეთში გადასახლება მოჰყვა. 1848 წლის რევოლუციების დროს მაზინი მცირე ხნით ბრუნდება იტალიაში, სადაც მილანის გათავისუფლებაში მონაწილეობს და დღენაკლულ, ე.წ. "რომის რესპუბლიკას" უდგება სათავეში. თავადაკლულ რესპუბლიკელ მაზინის გავლენა მას მერე

სუსტდება, რაც ნაციონალიზმის სხვა ლიდერები, მათ შორის გარიბალდი (1807-82) იტალიის გაერთიანების მიზნით, სავის საგვარეულო დინასტიის აღდგენასაც კი თანხმდებიან. თუმცა მაზინი ოფიციალურად აღარასდროს დაბრუნებულა იტალიაში, მისი ლიბერალური ნაციონალიზმის იდეები უდიდესი გავლენით სარგებლობდა როგორც მთელს ევროპაში, ისევე ა.შ.შ.-ში გადახვეწილ ევროპელ იმიგრანტთა შორისაც.

ნაციონალისტობა თავისთავად ნიშნავდა ლიბერალობას და პირიქით. მაგალითად, 1848წ. რევოლუციური მღელვარებები არა მარტო შეზღუდული და კონსტიტუციური მმართველობის მოთხოვნით, არამედ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და გამთლიანებისთვის ბრძოლითაც იყო გამოწვეული. ყველაზე აშკარად ეს იტალიის მაგალითზე გამოჩნდა, როცა იტალიის გაერთიანების მედროშემ, ჯუზეპე მაზინიმ Risorgimento, ანუ ქვეყნის "ახლად დაბადების" ლოზუნგი ისროლა. იგივე პრინციპებს იზიარებდა სიმონ ბოლივარიც (1783-1830), რომელიც XIX საუკ. დასაწყისში, ლათინური ამერიკის განმანათავისუფლებელ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში და კონტინენტიდან ესპანელები გააძევა. ლიბერალური ნაციონალიზმის ალბათ ყველაზე ნათელი გამოხატულებაა ამერიკის პრეზიდენტის, ვუდრო უილსონის ე.წ. "14 პუნქტ" — 1918წ. შექმნილი ეს დოკუმენტი I მსოფლიო ომის შემდგომ, დანგრეული ევროპის აღდგენა-მოწყობის საფუძველი გახდა.

ნაციონალიზმის ნებისმიერი სხვა გამოვლინებისა არ იყოს, ლიბერალური ნაციონალიზმიც უპირატესად იმ მოსაზრებას ეყრდნობა, რომ კაცობრიობა ბუნებრივად დაყოფილი მრავალ ერად და ყოველ მათგანს საკუთარი მეობა გააჩნია. ამრიგად, ერები იმთავითვე ბუნებრივი ერთობებია, და არა პოლიტიკური ლიდერებისა თუ მმართველი კლასების ხელოვნური გამონაგონი; თუმცა, ლიბერალური ნაციონალიზმის განმასხვავებელი ის გახლავთ, რომ ერის ცნებას — რუსოს კვალად — ისიც ხალხის ხალხის ნების უზენაესობის რწმენას უკავშირებს, რაკილა მრავალეროვნული იმპერიები, რომელთაც XIX საუკ. ევროპული ნაციონალიზმი ებრძოდა, თვითმპყრობელურ და აქედან გამომდინარე, მჩაგვრელ ინსტიტუტებს განასახიერებდნენ. ასე მაგალითად, მაზინი არა მარტო იტალიური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების გამთლიანობაზე

ოცნებობდა, არამედ ავტოკრატიული ავსტრიის უღლის გადაგდებაზეც. მსგავსი ტიპის ნაციონალიზმის მთავარი იდეა **ეროვნული თვითგამორკვევა** — მიზნად ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ისახავს, სადაც მმართველობის საზღვრები რაც შეიძლება უფრო მეტად ემთხვევა ეროვნულობის საზღვრებს. ჯ. ს. მილის (1861) თქმით, როცა ეროვნულობის განცდა ამ თუ იმ ძალით იჩენს თავს, უმთავრესი საკითხი ამ ეროვნების ყველა წარმომადგენლის ერთი მმართველობის ქვეშ თავმოყრაა — ეს კი იმას ნიშნავს, რომ მმართველობის საკითხი თავად მართულთა გადასაწყვეტია.

ლიბერალური ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალიზმის ყველაზე სამართლიანი ფორმაა, რაკილა ერთი ერის ინტერესებს სხვისაზე წინ არ აყენებს — პირიქით, ნებისმიერი ერის დამოუკიდებლობასა და თვითგამორკვევის უფლებას აღიარებს. ამ გაგებით, ყველა ერი თანასწორია და აქედან გამომდინარე, ლიბერალური ნაციონალიზმის საბოლოო მიზანიც სუვერენულ, დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოებად დაყოფილი მსოფლიოა. თავის დროზე მაძინიმ, გაერთიანებული იტალიის იდეის განსახორციელებლად, იტაკიქეშა ორგანიზაცია "ახალგაზრდა იტალია" შექმნა, თუმცა იმავე დროს "ახალგაზრდა ევროპაც" დაარსა იმ იმედით, რომ ნაციონალიზმის იდეები მთელს კონტინენტს მოუღვნიდა. როდესაც პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, უუდრო უილსონმა თვითგამორკვევის პრინციპები წამოაყენა, მას არა მარტო ამერიკისთვის ბელსაყრელი, ევროპული იმპერიების დაშლის სურვილი ამოძრავებდა, არამედ იმის რწმენაც, რომ პოლონელებიც, ჩეხებიც, სერბებიცა და უნგრელებიც ისევე იმსახურებდნენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, როგორც ვთქვათ, მანამდე ამერიკელი ხალხი.

ამ თვალსზრისით, ნაციონალიზმი არა მარტო პოლიტიკური იდეისუფლების ხარისხის ზრდის საშუალებაა, არამედ მშვიდობიანი და სტაბილური მსოფლიო წესრიგის უზრუნველყოფის მექანიზმიც. ასე მაგალითად, უილსონს მიაჩნდა, რომ I მსოფლიო ომი ე.წ. *ძველი წესრიგის* — დაპყრობასა და ომზე ორიენტირებული, თვითმპყრობელი და მილიტარისტული იმპერიების ბატონობის შედეგი იყო მხოლოდ: მისი აზრით, დემოკრატიული ეროვნული სახელმწიფოები მშვიდობისმოყვარენი იქნებოდნენ, რამდენადაც კულტურული და პოლიტიკური ერთიანობის პირობებში, საბაბი აღარ ექნებოდათ ომი წამოეწყათ და სხვა ერები დემორჩილებინათ. მსგავსი შეხედულება გამორიცხავს ნაციონალიზმის, როგორც უნდობლობის, ეჭვისა და მტრობის წყაროდ აღქმას; პირიქით — ცალკეული ერის გამთლიანებასა და ერთა შორის თანხმობას უწყობს ხელს — ეროვნული უფლებებისა და თვითმყოფადობის ურთიერთპატივისცემის საფუძველზე.

თუმცა, აქ კიდევ ერთი რამაა გასათვალისწინებელი: ერი ლიბერალიზმისთვის საბოლოო კატეგორია მაინც არაა — და ამას თავისი მიზეზი გააჩნია: ლიბერალთა ინდივიდუალიზმისკენ მიდრეკილება გულისხმობს, რომ ნებისმიერ ადამიანს თანასწორი ზნეობრივი ღირებულება

ერის თვითგამორკვევის უფლება:
პრინციპი, რომლის თანახმადაც ერი — სუვერენული ერთიანობაა; თვითგამორკვევა როგორც ეროვნულ დამოუკიდებლობას, ასევე დემოკრატიულ მმართველობასაც გულისხმობს.

6. ერები და ნაციონალიზმი

გააჩნია (რასის, წარმომავლობის, სოციალური მდგომარეობისა და ეროვნების მიუხედავად); ამდენად, იგი უნივერსალიზმისაკენ იხრება და სამყაროს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებ პიროვნებას ერთმანეთისაგან არ ანსხვავებს. დღესდღეობით ამგვარი მიდგომა **ადამიანის უფლებების** ცნებაში პოულობს გამოხატულებას. როცა პიროვნებას ერზე მაღლა აყენებენ, ლიბერალები — უნდათ-არუნდათ, ახლა სახელმწიფოს სრული დამოუკიდებლობის საფუძვლების მორყევას უწყობენ ხელს — ამის მაგალითად სამხრეთ აფრიკაზე განხორციელებული საერთაშორისო ზეწოლა გამოდგება, როცა იქ არსებული "თეთრმ რეჟიმში აიძულეს, აპარტეიდზე ეთქვა უარი. თავისუფლება მუდამ კანონს უნდა მორჩილებდეს, და ეს მოსაზრება როგორც ცალკეულ პიროვნებაზე, ისე მთელს ერზეც ვრცელდება. სწორედ ამის შდეგად ჩაუდგნენ ლიბერალები სათავეში იმ მოძრაობას, რომელიც *ერთა ლიგის, გაეროს, და ევროკავშირის* მსგავსი ზეეროვნული ორგანიზაციების მეოვალყოფრობით, საერთაშორისო სამართლის მთელი სისტემის შექმნას ისახავდა მიზნად. ასე რომ, ნაციონალიზმი ერთის მხრივ, კარნაკტილობისა და გამორჩეულობის, ხოლო მეორეს მხრივ — კარსმოდგარი *კოსმოპოლიტიზმის* გამაწონასწორებელ იარაღად უნდა ვაქციოთ.

ლიბერალურ ნაციონალიზმს ორი კუთხით აკრიტიკებენ ხოლმე: ჯერ ერთი, გულუბრყვილობასა და რომანტიულობას სწამებენ — ლიბერალი ნაციონალისტები მხოლოდ ამ ფენომენის პროგრესულ და დადებით მხარეს ამჩნევენ და როგორც ჩანს, თვალს ხუჭავენ ნაციონალიზმის უარყოფით თვისებებზე — ჩვენთანებად და უცხოელებად დაყოფის **"ტრაიბალისტურ"** ტენდენციებზე; თანაც, ლიბერალები ნაციონალიზმს საყოველთაო პრინციპად კი აღიარებენ, ოღონდ მისი ემოციური ძალის ნაკლებად სჯერათ, არადა, ომიანობის დროს, სწორედ ამ ძალას შეუძლია ადამიანებს იარაღი ააღებინოს ხელში და მტყუან-მართალზე დაუფიქრებლად, "საკუთარი ქვეყნისათვის" თავიც გააწირინოს, ანუ — "ჩვენთან არს ღმერთი!"

მეორეც, ლიბერალური ნაციონალიზმის ზემოხსენებული საბოლოო მიზანი — ეროვნულ სახელმწიფოებად დაყოფილი მსოფლიო — ვინძლო, ძირუელად მცდარი აღმოჩნდეს. ევროპის რუკის შემცველი, უილსონისეული ნაციონალიზმის შეცდომა ის გახლდათ, რომ თითქოსდა ერები მათთვის მიჩენილ, გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში სახლობდნენ და სახელმწიფოებიც ამა არეალისდა შესაბამისად შეიძლებოდა დასაზღვრულიყო. სინამდვილეში, ყოველი ევრუწოდებული "ეროვნული სახელმწიფო" რამდენიმე ენობრივ, რელიგიურ, ეთნიკურ და რეგიონალურ ჯგუფს აერთიანებს, რომელთაგან ზოგი თავს ერადაც შეიძლება მიიჩნევდეს. ამის ნათელი დადასტურებაა ყოფილი იუგოსლავია — ქვეყანა, რომელსაც ვერსალის ზავის ინიციატორები "სლავთა მიწად" განიხილავენ. არადა, რეალურად, აქ თანაარსებოდა განსხვავებული ეთნოსები, რელიგიები, ენები და ისტორიაც კი. უფრო მეტიც, როგორც XX საუკ. 80-იან წლებში იუგოსლავიის დანაწევრებამ დაადასტურა, მასში შემავალი

ადამიანის უფლებები:

უფლებები, რომლებიც ადამიანს გააჩნია თუნდაც უკვე იმიტომ, რომ ადამიანად დაიბადა; ანუ — ძირული და საყოველთაო უფლებები.

ტრაიბალიზმი:

ჯგუფური ცხოვრების წესი, რომელიც კარნაკტილობითა და გაუცხოებით ხასიათდება; ჩვეულებრივ, მტრულადაა განწყობილი სხვა ჯგუფების მიმართ.

ყოველი რესპუბლიკა განკერძოებულ ეთნიკურ თავისთავადობას წყველობდა და თურმე, პოლიტიკურად შეკრული, კულტურულად ერთგვაროვანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის ერთადერთი გზა ეთნიკური წმენდა ყოფილა, რასაც ადრე ნაციისტები, მოგვიანებით კი ბოსნიელი სერბები გაიმახონდნენ.

კონსერვატიული ნაციონალიზმი

ისტორიულად, კონსერვატიული ნაციონალიზმი უფრო გვიან ჩამოყალიბდა, ვიდრე ლიბერალური ნაციონალიზმი. XIX საუკ. ბოლომდე, კონსერვატიული ყაიდის პოლიტიკოსები ნაციონალიზმს დამანგრეველ და რეკლუციურ მოძღვრებადაც კი მიიჩნევდნენ. თუმცა, გავიდა დრო და სულ უფრო და უფრო მეტად გამოიკვეთა კავშირი კონსერვატიზმსა და ნაციონალიზმს შორის: მაგალითად, დიზრაელის "ერთიანი ერის" იდეალსა თუ ბისმარკის სურვილში, გერმანული ნაციონალიზმი პრუსიის იმპერიის გაფართოების მიზნებისთვის გამოეყენებინა, აგრეთვე რუსეთის მეფე ალექსანდრე III-ის მიერ პან-სლავური ნაციონალიზმის განდიდებაში. ზღვსდღეობით, ნაციონალიზმი უკვე ძალზე ბევრი კონსერვატორის მრწამსის განუყოფელ ნაწილად იქცა. გაერთიანებულ სამეფოში ყველაზე შკაფიოდ ეს გამოვლინდა მარგერიტ ტეტჩერის რეაქციით ფოლკლენდის ომში მოპოვებულ გამარჯვებაზე 1982წ. და ამის გამოხატულებაა აგრეთვე, კონსერვატორი მემარჯვენეების ჯიუტი ევროსკეპტიციზმი — კეძოდ, "ფედერალური ევროპის" კონცეფციის მიმართ, ნაციონალიზმის მსგავსი ფორმა უცხო არ იყო არც ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკისათვის, როცა რიგანის ბრძანებით, ამერიკის საზღვაო ქვეითები გრენადაში შეიჭრნენ, ან როცა ბუშმა პანამაში გადასხა ჯარი.

კონსერვატორთათვის ერი ბუნებრივ ერთიანობაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანთა ლტოლვა მათკენ, ვისაც მისწარივე შტედულებები, ადათ-წესები, ცხოვრების ნირი და ხასიათი აქვს. მოკლედ, ეროვნული მთლიანობის წვერობით, ადამიანები უსაფრთხოებასა და თავისთავადობას ეძიებენ. ამ თვალსაზრისით, პატრიოტიზმი და ეროვნულობის შეგნება საერთო წარსულის იდეას უკავშირდება, და ნაციონალიზმს ისტორიით გამოცდილი ღირებულებებისა და ინსტიტუტების დაცვად გარდასახავს. ამრიგად, ნაციონალიზმი უკვე ტრადიციონალიზმის ერთგვარი ფორმა ხდება და ამიტომაც ახასიათებს კონსერვატიულ ნაციონალიზმს გამოკვეთილად ნოსტალგიური და წარსულისაკენ მიმართული ხედავა. ამერიკელი კონსერვატორებისათვის ესაა "ახალმოსახლე მამების", დამოუკიდებლობისათვის ომის, ფილადელფიის შეთანხმების, და სხვა მსგავსი ისტორიული თემები; ინგლისელთათვის კი ეროვნული პატრიოტიზმი — მონარქიის ინსტიტუტთან დაკავშირებული სიმბოლოებისადმი ერთგულებაში ვლინდება: გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო ჰიმნი "ღმერთო ფარვიდე დედოფალსა" — საერთო სამღერია და სამეფო ოჯახიც დიდ როლს ასრულებს სხვადასხვა ეროვნული დღესასწაულების

ეთნიკური წმენდა:

"უცხო" ხალხთა იძულებით გადასახლება ან განადგურება; ხშირად იმპარება უფრო მძაფრი ტერმინის — "გენოციდის" მაგიერ.

6. ერები და ნაციონალიზმი

პატრიოტიზმი

(ლათინური სიტყვიდან პატრია, რაც სამშობლოს ნიშნავს). ესაა გრძობა, ერთგვარი ფსიქოლოგიური წინასწარგანწყობა, რომელიც ადამიანს საკუთარი ქვეყნისადმი გააჩნია („სამშობლოს სიყვარული“). ხშირია პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის ცნებების აღრევა. ეს უკანასკნელი დოქტრინულ ხასიათს ატარებს — იმას ამტკიცებს, რომ ერი პოლიტიკური მოწყობის უმთავრესი პრინციპია; პატრიოტიზმი კი ამ მრწამსის ემოციურ საფუძველს უზრუნველყოფს. პატრიოტიზმი ნაციონალიზმის ყველა ფორმას ასაზრდოებს — მხელად წარმოსადგენია ეროვნული ჯგუფი, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას რომ ითხოვდეს და ამავდოულად, პატრიოტული ერთგულების ან ეროვნული თვითშეგნების ერთ რომელიმე ნიშანს მაინც არ ატარებდეს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ყველა პატრიოტი ნაციონალისტი როდია: არცთუ ყველა, ვინც საკუთარ თავს ამა თუ იმ ერთან აიგივებს, იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ იგი, ამავე დროს, პოლიტიკური მოთხოვნების დეკლარირების საშუალებაცაა.

აღნიშვნისას. კონსერვატიული ნაციონალიზმი უფრო ხშირად უკვე ჩამოყალიბებულ ეროვნულ სახელმწიფოებში იჩენს ხოლმე თავს და მას, როგორც წესი, ეროვნული საფრთხის განცდა ასაზრდოებს — გარეგანი თუ შიდა. შიდა საფრთხედ, ტრადიციულად, კლასობრივი ანტაგონიზმი და საბოლოო ჯამში, სოციალური რევოლუცია მოიაზრებოდა; ამ თვალსაზრისით, კონსერვატორები ნაციონალიზმში სოციალიზმის მქამრიდს ხედავდნენ: როცა პატრიოტული აღტკინება კლასობრივ სოლიდარობას გადაწონის, მუშათა კლასიც ერის განუყოფელი ნაწილი ხდება. ამდენად, კონსერვატიული აზროვნების დამახასიათებელი თვისება ეროვნული მთლიანობისაკენ მიწოდება და უყოყმანო პატრიოტიზმის სამოქალაქო ღირსებად გაცხადებაა. ეროვნული თვითმყოფადობის გარეგან საფრთხეებად კი იმიგრაცია და ზე-ეროვნულობა ცხადდება.

იმიგრაციის საფრთხეს კონსერვატორები იმაში ხედავენ, რომ იგი საუკუნოვან ეროვნულ კულტურასა და ეთნიკურ თვითმყოფადობას ემუქრება და შესაბამისად, მტრობასა და გაუცხოებას უწყობს ხელს. მსგავსი შიში XX საუკ. 60-იან წწ. ინგლისშიც გამოთქვა ენოქ პაუელმა, რომელმაც ჯერ კიდევ მაშინ გაგვაფრთხილა — ბრიტანეთის თანამეგობრობის სხვადასხვა ქვეყნიდან შემდგომი იმიგრაცია რასობრივი დაპირისპირებისა და ძალადობის მიზეზი გახდებაო. მსგავს თემებზე საუბრობდა 1979წ. მარგერიტ ტეტჩერიც, და გაერთიანებული სამეფოს იმიგრანტთაგან წალეკვის საფრთხეს უსვამდა ხაზს. ინგლისში, საფრანგეთსა თუ გერმანიაში აგორებული ანტი-იმიგრაციული კამპანიები სულ კონსერვატიული ნაციონალიზმით იყო შთაგონებული. სხვანი კიდევ გაიძახიან — ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას ზე-ეროვნული ორგანიზაციების გაძლიერება და კულტური გლობალიზაცია ემუქრებაო. ანუ, ბრიტანეთისა და ფროსკაჟშირის ზოგიერთი სხვა წევრი ქვეყნების მხრიდან ერთიანი ვალუტის შემოღების წინააღმდეგ გამოსვლა არამარტო ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის შიშით აიხსნება, არამედ იმ რწმენითაც, რომ ეროვნული ვალუტა გამორჩეული თვითმყოფადობის ერთი სიმბოლოთაგანია.

კონსერვატიულ ნაციონალიზმი ხშირად კი გამხდარა სამხედრო კონფლიქტებისა და მიწების დატაცების მიზეზი, მაგრამ თავისი ბუნებით ის უფრო კარჩაკეტილობისა და თვითნაღრმავებისკენაა მიდრეკილი. თუკი ესა თუ ის კონსერვატიული ხელისუფლება იყენებს კიდევ საგარეო პოლიტიკას საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ამის მიზეზი უბრალოდ, პოლიტიკური ოპორტუნისებია და არა კონსერვატიული ნაციონალიზმის თავისთავად აგრესიული ბუნება. ამიტომაც აკრიტიკებენ მას როგორც მმართველი ელიტის მხრიდან იდეოლოგიური მანიპულირების საშუალებას. თუ ასე შევხედავთ, "ერა" შეიძლება მართლაც მივიჩნიოთ პოლიტიკური ლიდერებისა თუ მმართველი ელიტის გამონაგონად, საზოგადოებრივი სიშვედისა და პოლიტიკური პასიულობის უზრუნველყოფის მიზნით. უხეშად თუ ვიტყვი, ნებისმიერი, წყალწადებული ხელისუფლება "ეროვნულობის" ხაზს ეჭიდება ხოლმე. უფრო სამართლიანი კრიტიკა კი მისი შეუწყნარებლობისა და შეუვალობის მისამართით გაისმის. თვითმკარი ნაციონალიზმი ერის მხოლოდ ვიწროდ კულტურულ გაგებას აღიარებს: ერი მოიაზრება როგორც განსაკუთრებული ეთნიკური ჯგუფი, რაღაც "დიდი ოჯახის" მსგავსი.

მკვეთრი ზღვარია გავლენული ჩვენთან და უცხოთ შორის. კულტურულ შეურყენელობასა და ტრადიციათა ერთგულებაზე საუბრისას, კონსერვატორებმა იმიგრანტები და საერთოდ, უცხოელები შეიძლება სერიოზულ საფრთხედაც მიიჩნიონ და ამდენად, რასიზმი და ქსენოფობია კანონის რანგშიც კი აიყვანონ.

ექსპანსიონისტური ნაციონალიზმი.

ნაციონალიზმის მესამე ნაირსახეობას აგრესიული, მილიტარისტული და ექსპანსიონისტური ბუნება ახასიათებს. იგი ფაქტიურად, თანასწორი უფლებებისა და თვითგამორკვევის პრინციპების უარყოფა და ლიბერალური ნაციონალიზმის ანტიიუზა. ნაციონალიზმის აგრესიულმა ბუნებამ პირველად XIX საუკ. მიწურულს იჩინა თავი, როცა ვეროპულმა სახელმწიფოებმა, ეროვნული დიდების მოსახვეჭად და "შვის ქვეშ ადგილის მოსაპოვებლად", აფრიკის გასაყოფად დაეროვნენ ერთმანეთს. იმ დროის ვეროპული იმპერიალიზმი იმით განსხვავდებოდა უფრო ადრინდელი, კოლონიური დაპყრობებისაგან, რომ სახალხო ნაციონალიზმის ალტკინებას აყოლილი, იგი ეროვნულ ღირსებას იმპერიალისტურ მისწრაფებებთან აიგივებდა და ყოველი ახალი კოლონიის დაპყრობას საერთო-სახალხო დღესასწაულად — **ჯინგოიზმად** გადააქცევდა ხოლმე. საბოლოო ჯამში, ორივე მსოფლიო ომი ნაციონალიზმის ამ ექსპანსიონისტური ფორმის შედეგი გახლდათ. როდესაც 1914 წ. აგვისტოში, გამალეხული შეიარაღებისა და საერთაშორისო კრიზისების მთელი სერიის შემდეგ, I მსოფლიო ომი დაიწყო, ახალი მიწების დაპყრობისა და სამხედრო ძლევამოსილების პერსპექტივებმა ვეროპის ყველა მთავარ დელაქალაქში ერთდროული სახალხო ალტკინება გამოიწვია. II მსოფლიო ომი ძირითადად, იაპონიის, იტალიისა და გერმანიის ნაციონალიზმით შთაგონებული, იმპერიალისტური მისწრაფებების გამოხატულება იყო. ნაციონალიზმის ამ ფორმის ყველაზე დამანგრეველი თანამედროვე მაგალითი ვეროპაში, სერბების მისწრაფება აღმოჩნდა "დიადი სერბეთის" შესაქმნელად.

უკიდურესი გამოვლინებით, მსგავსი ნაციონალიზმი ისტერიული ეროვნული ალტკინების ფონზე ჩნდება, რასაც ზოგჯერ *ინტეგრალურ ნაციონალიზმად*აც იხსენიებენ. ამ ტერმინის დამკვიდრებას ფრანგ ნაციონალისტს, ფრანგული წინააღმდეგობის მემარჯვენე ფრთის წინამძღოლს, შარლ მორას (1868-1952) მიაწერენ — რომლის მთავრი დებულება ერის უზენაესი მნიშვნელობის აღიარებაში მდგომარეობდა. მისი თქმით, "ერი—ყველაფერია, პიროვნება — არაფერა. ანუ, ერი არსებობს და მარადიულ მნიშვნელობას ინარჩუნებს ნებისმიერი ცალკეული პირვნების სიკვდილის შემდეგაც; პიროვნების არსებობას კი მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა ის ერის ერთიანობასა და კეთილდღეობას ემსახურება. ამგვარ ფანატიზმამდე მისული პატრიოტიზმი განსაკუთრებით ძლიერ ზეგავლენას ახდენს მიუსაფარ, გარიყულ, უძლურ ადამიანებზე, ვისთვისაც ნაციონალიზმი საკუთარი სიამაყისა საკუთარი თავისადმი დაკარგული პატივისცემის აღდგენის საშუალებად იქცევა ხოლმე. თუმცა, ინტეგრალური ნაციონალიზმი დემოკრატიასა და ნაციონალიზმს შორის გადებულ ხიდს ამსხვრევს: "ინტეგრალური ერმა საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტილი ეთნიკური

ჯინგოიზმი:

უკიდურესი, ანუ "ურა-პატრიოტულმა ენთუზიაზმის გამოხატულება, რომელიც სამხედრო გამარჯვებებსა და ახალი ტერიტორიების შემოერთებას მოსდევს.

რასობრივი თეორია, რასიზმი

ეს ცნებები ხშირად ურთიერთმონაცვლეა. ამგვარი თეორიების მიმდევართა აზრით, კაცობრიობა ერთმანეთისგან ბიოლოგიურად განსხვავებულ რასებად იყოფა და სწორედ ეს განაპირობებს მათს ნებისმიერ პოლიტიკურ თუ კულტურულ შეხედულებებს; რასისტული თეორიები ორ საზრისს ეყრდნობა: ა) გენეტიკური განსხვავებები კაცობრიობას სხვადასხვა რასებად ერთობლივად აქცევს; ბ) კულტურული, ინტელექტუალური და ზნეობრივი განსხვავებები სწორედ ამ, ძირეული გენეტიკური სხვადასხვაობის შედეგია. პოლიტიკური კუთხით, რასიზმი სერეგაციის (აპარტეიდის) მოთხოვნებში მქადაგებდა. მისთვის დამახასიათებელია "წმინდა" სისხლის დოქტრინებიც: ვთქვათ, არიანიზმი და ანტისემიტიზმი. ვიწრო გაგებით, რასიზმი შეიძლება ნიშნავდეს ცრურწმენას თუ მტრობას ადამიანთა რასობრივი წარმოშობის ნიადაგზე.

წარმონაქმნია, სადაც ადამიანები წარღვნამდელი წეს-ურთიერთობებით არიან შეკავშირებულნი და არა ნებაყოფლობითი პოლიტიკური ერთობით. მისთვის უცხოა თავისუფალი დებატები და ღია, კონკურენტული ბრძოლა ძალაუფლებისათვის — ის მხოლოდ დისციპლინას და ერთი, უზენაესი ბელადისადმი მორჩილებას მოითხოვს. ეტყობა, ამიტომაც მიანჩნა მორას დემოკრატია სისუსტისა და კორუფციის წყაროდ და მონარქიული აბსოლუტიზმის აღდგენას მოითხოვდა.

ნაციონალიზმის ეს მილიტარისტული და აგრესიული ფორმა აშკარა მსგავსებას ავლენს შოვინისტურ მრწამსთან და შეხედულებებთან. ნაპოლეონისა და "ფრანგული საქმის" თავგადაკლული ჯარისკაცის, ნიკოლა შოვინის გვარიდან მომდინარე ეს ცნება (*შოვინიზმი*) საკუთარი გვარ-ტომის უზენაესობისადმი გაუაზრებელი რწმენას გულისხმობს. ამდენად, ეროვნული შოვინიზმი უკვე უარყოფს ერების თანასწორობის იდეას და ერების განსხვავებულ ხასიათსა და თვისებებს, შესაბამისად, მათ განსაკუთრებულ "მისსიას" აღიარებს; აქედან გამომდინარე, ზოგი ერი თურმე მმართველად იბადება, ზოგი კი — სამართადად. მსგავსი შეხედულებები, როგორც წესი, ეთნიკური თუ რასობრივი უზენაესობის თეორიებად ყალიბდება ხოლმე და შესაბამისად, ნაციონალიზმის რასიზმად ქცევას უწყობს ხელს. შოვინისტისათვის საკუთარი ერი ერთადერთი და განუმეორებელია, გარკვეული თვალსაზრისით, რჩეულიც კი. მაგალითად, ფიხტესა და იანისათვის, პირველი გერმანელი ნაციონალისტებისთვის, ჭეშმარიტ "ხალხად" მხოლოდ გერმანელები მოიაზრებოდნენ — აქაოდა, მხოლოდ მათ მოახერხეს წმინდა სისხლის შეურყვნელად შენარჩუნება და ენის სიწმინდის დაცვაო. მორასათვის კი, საფრანგეთი — შეუწონავი სასწაული გახლდათ, ყოველი ქრისტიანული თუ ანტიკური სიქველის განსახიერება.

ამ ტიპის ნაციონალიზმისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია განსხვავებული ერისა თუ რასის მტრის ხატად დასმა: მტრის წინააღმდეგ ერი ერთ მუშტად იკვრება და საკუთარი მეობისა და მნიშვნელობის განცდით დამუხტული, ერთგვარი "უარყოფითი ერთსულოვნების" თვისებას იძენს. აუცილებელია მკვანი "უცხო" სიძულვილი, რათა გამოიკვეთოს "ჩემიანის" განცდა. შესაბამისად, მსოფლიოც დაყოფილია: ჩვეულებრივ, რასობრივი კატეგორიების მიხედვით — "მინაურებად" და "გადამთილებად". *შინაურთა* ყველა უბედურება და ვასაჭირი გადამთილებს ბრალდება და ამის ყველაზე ნათელი დადასტურება გერმანული ნაციზმის თავი და თავი — შეურიგებელი ანტი-სემიტიზმი გახლდათ. ჰიტლერის "ჩემს ბრძოლაში" (1925) ისტორია წარმოდგენილია როგორც მანიქველური ბრძოლა არიელებსა და ებრაელებს შორის, რომლებიც, შესაბამისად, სინათლისა და სიბნელის, სიკეთისა და ბოროტების ძალებს განასახიერებენ.

ექსპანსიონისტური ნაციონალიზმის უცვლელი თემა ეროვნული აღორძინება, ანუ ერის "ახლად დაბადება". ნაციონალიზმის ეს ფორმა ზოგადად წარსული დიდების და ეროვნული სიდიადის მითვბით საზრდობს. მუსოლინი და იტალიელი ფაშისტები ერთთავად რომის იმპერიის დღეებს იხსენებდნენ ხოლმე. გერმანელმა ნაციისტებმაც, როცა საკუთარ რეჟიმს "მესამე რაიხმ" უწოდეს, მემკვიდრეობის უწყვეტობას გაუსვეს ხაზი — ბის-

მარკის მეორე და კარლოს დიდის დროინდელ "რომის საღვთო იმპერიას" პირველ რაიხტანს. წარსულში ამგვარი ჩაღრმავება სამომავლო მზრუნველს იხსნავს და ერის დანიშნულებაზე მიუთითებს. თუკი ნაციონალიზმი დიდების დაბრუნებისა და ეროვნული სიდიადის აღდგენის იარაღი ხდება, იგი უცილობლად იძენს მილიტარისტულ და დიქტატორული ხასიათს. მოკლედ, ერისთვის საჯილდაო ქვა ომი ხდება. რევოლუციური ნაციონალიზმის გულისგულში ხშირად იმპერიული მრავლები დევს ხოლმე — მიწების გაფართოებისა თუ ახალი კოლონიების დაპყრობის უნტი. სწორედ ამის გამოხატულებად **პან-ნაციონალიზმი**, რომლის საუკეთესო მაგალითიც კვლავ და კვლავ ნაცისტური გერმანიაა. ჰიტლერის ნაშრომებში ჩამოყალიბებულია სამსაფეხუროვანი დიქტატორული პროგრამა: პირველ ეტაპზე ნაცისტებს სურდათ შეექმნათ "მედიტერანეული გერმანია" და გაფართოებული რაიხის ფარგლებში ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ეთნიკურად გერმანელებით დასახლებულ რეგიონები მოექციათ. შემდგომ აპირებდნენ უკვე საკუთრივ გერმანულენოვანი იმპერიის შექმნას — თვით რუსეთის ტერიტორიის ნაწილს და ბოლოს, ჰიტლერი მთელს სამყაროზე არიული რაიხის გაბატონებას უსწრავოდა.

ანტიკოლონიური ნაციონალიზმი

მეორე მსოფლიო ომის დასრულებამ სამყარომ ნაციონალიზმის სხვადასხვა ფორმის დასაბრუნება და ყოველ მათგანს კოლონიალური მმართველობის დასაბრუნებელი ბრძოლა მატებდა ძალას. ბედის ირონიაც ისაა, რომ ნაციონალიზმის ამ ფორმამ ის ღოზუნგები და პრინციპები აიტაცა, რაც ნაციონალიზმად სწორედ ევროპაში, "სახელმწიფოთა მშენებლობის" განხორციელებისას დასაბრუნებელი იყო. სხვა-ნაირად თუ ვიტყვით, კოლონიალიზმმა წარმატებით გადააქცია ნაციონალიზმი გლობალური მნიშვნელობის მსოფლმხედველობად. მისი მიზანმიმართული გამოვიდა ეროვნულობის განცდა აზიასა და აფრიკაში, და პირველად დამოუკიდებლობის სურვილიც. მართლაც, XX საუკუნის დასაწყისში, სწორედ ანტიკოლონიალიზმმა შეცვალა მსოფლიოს დიპლომატიის პოლიტიკური გეოგრაფია. ორ მსოფლიო ომს შორის ნაციონალიზმი წამოწვებულმა გამათავისუფლებელმა მოძრაობებმა II მსოფლიო ომის შემდეგ ახალი მუხტი შეიძინეს და ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, პორტუგალიის ვრცელმა იმპერიებმა დაიწყეს დათმეს პოზიციები მზარდი ნაციონალიზმის წინაშე.

მაგალითად, ინდოეთის დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ II მსოფლიო ომის დროს ჩანდა გარდაუვალი, რაც 1947წ. ოფიციალურად დადასტურდა კიდევ. ჩინეთმა გაერთიანება და დამოუკიდებლობის მოპოვება 1949 წელს კომუნისტური რევოლუციის შემდგომ მოახერხა — იაპონელ იმპერატორთან 8-წლიანი ომის შედეგად. იმავე წელს, ჰოლანდიასთან დასრულებული ომის დასრულებისთანავე, ინდონეზიელებმაც საკუთარი რესპუბლიკად გამოაცხადეს. შეიარაღებულმა გამოსვლებმა 1945 წელს ინდონეზია დაიწყო, ვიეტნამიდან წასულიყო, თუმცა, საბოლოო

ანტისემიტობა

ბიბლიური ტრადიციის თანახმად, სემიტები ნოეს შვილის — სემის შთამომავლები არიან. სემიდატები ახლო აღმოსავლეთის ხალხთა უმრავლესობას მოიცავენ. რაც შეეხება ანტისემიტობას, იგი ებრაელთა მიმართ სიძულვილს ან იმთავითვე უარყოფით დამოკიდებულებას ნიშნავს. უფრო ადრეული — სისტემური ფორმით — ანტისემიტობაში რელიგიურ ხასიათს ატარებდა და ებრაელთა მიმართ ქრისტიანების მტრულ განწყობას ასახავდა, რაც ქრისტეს მოკვლეობაში ებრაელთა მონაწილეობასა და მათ მიერ ქრისტეს, როგორც ღვთის ძედ აღიარების უარყოფას უკავშირდება. ეკონომიკური ანტი-სემიტობაში შუა საუკუნეებში წარმოიშვა და ებრაელებისადმი, როგორც მეფეაშუებისა და ჩარჩებისადმი სიძულვილში გამოიხატა. შედეგად ხდებოდა ებრაელთა გამოძევება ხელოსანთა ამკრებიდან თუ მათთვის მიწის საკუთრებაში გადაცემის აკრძალვა. მეცხრამეტე საუკუნეში ვაგნერიასა და ნიშენერის (1855-1929) თხზულებათა სახით გაცხადდა რასობრივი ანტისემიტობა, რაც მთელ ებრაელობას გამოხდა და წყველიდა, როგორც ძირშივე ბოროტ და დამანგრეველ ერს. სწორედ ანიშნულმა იდეებმა მოუშვა იდეოლოგიური საფუძველი გერმანულ ნაციონალ და ჰოლოკოსტის უაზრო სისასტიკეს.

პან-ნაციონალიზმი:

ნაციონალიზმის უკიდურესი გამოხატულება, რომელშიც ყველაფერი ერთ მიზანს ემსახურება — მონათესავე ხალხები ექსპანსიის ან პოლიტიკური გამოთქანებისკენ მოწოდების გზით შეაკავშიროს (წინდებული პან ნიშნავს „ყოველს“, „ითითებულს“).

6. ერები და ნაციონალიზმი

კოლონალიზმი

უცხო ტერიტორიაზე კონტროლის დამყარებისა და მისი კოლონიად ქცევის თეორია ან პრაქტიკა. ამდენად, კოლონალიზმი იმპერიალიზმის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს და როგორც წესი, ახალშენების მოწყობა და ტერიტორიის ეკონომიკური დამორჩილება ახასიათებს. აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, როგორც წესი, კოლონიალური მმართველობა ადგილობრივ მოსახლეობისაგან ეთნიკურად განსხვავებული, "შშობელ" ქვეყნიდან გადმოსახლებულთა მიერ ხორციელდებოდა. ფრანგული კოლონალიზმისათვის კი კოლონიები "შშობელ" ქვეყნის ნაწილად მოიაზრებოდა, რაც კოლონიის მოსახლეობისათვის მოქალაქეობის ფორმალური უფლებების მინიჭებას მაინც გულისხმობდა. საპირისპიროდ, ნეოკოლონალიზმი არსებითად ეკონომიკური მოუღვნაა, რომელიც განვითარებული ქვეყნიდან ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალის ექსპორტს ეფუძნება — (მაგ. ე.წ. "დოლარის იმპერიალიზმ" ლათინურ ამერიკაში).

განთავისუფლება და ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამის გაერთიანება მხოლოდ 1975წ. მოხდა — ამერიკის შეერთებულ შტატებთან 14-წლიანი ომის შემდეგ. აზიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაშიც მისცა ბიძგი მსგავს მოვლენებს: განელი ნკრუმა, ნიგერიელი აზიკიე, ტანგანიკელი ჯულიუს ნიერერი, და მალაეელი პასტინგ ბანდა — სათავეში ჩაუდგნენ გამათავისუფლებელ მოძრაობებს თავთავიანთ ქვეყნებში. დეკოლონიზაციის ბუმი აფრიკაში XX საუკ. 50-იანი წწ. ბოლოზე მოდის: ნიგერია ბრიტანეთისაგან დამოუკიდებლობას 1960წ. მიაღწია, 62-ში, საფრანგეთის წინააღმდეგ ხანგრძლივი ომის შემდეგ — დამოუკიდებელი გახდა ალჟირიც. კენია — 1963წ., ხოლო ტანზანია და მალაე — 1964-ში. აფრიკის ბოლო კოლონია, ე.წ. სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა, 1990წ. დამოუკიდებელ ნამიბიად იქცა.

ოლონდ ისიც უნდა ითქვას, რომ აფრიკისა და აზიის ეს ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოები დიდად განსხვავდებოდა XIX საუკ. ევროპული ეროვნული სახელმწიფოებისაგან. აფრიკისა და აზიისათვის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის სურვილი სოციალური განვითარებს, ევროპისა და ამერიკის ინდუსტრიული სახელმწიფოების გავლენისაგან განთავისუფლების სურვილთან იყო დაკავშირებული. ეროვნული გათავისუფლების მიზანი, ამდენად, არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ ელფერსაც ატარებდა. ამით აიხსნება ანტი-კოლონიალისტური მოძრაობების არა ლიბერალ-იზმისაკენ, არამედ სოციალიზმისაკენ, კერძოდ — მარქსიზმ-ლენინიზმისაკენ მიდრეკილებაც, რადგან ამ მოძღვრების აღიარება ნაციონალისტური ამბიციების ყველაზე იოლი გამოხატულება გახლდათ. არადა, ერთი შეხედვით, ნაციონალიზმი და სოციალიზმი თითქოს შუთავსებული პოლიტიკური მოძღვრებებია: სოციალისტები, ტრადიციულად, ინტერნაციონალიზმს ქადაგებდნენ, რამდენადაც კაცობრიობას ერთ მთლიანობად განიხილავდნენ და მისი ერებად დაყოფა მხოლოდ ეჭვისა და მტრობის წყაროდ მიაჩნდათ.

განვითარებად სამყაროში სოციალიზმის პოპულარობა იმანაც განაპირობა, რომ თანაცხოვრების სოციალისტური იდეები ღრმადაა ფესვგადგმული ტრადიციულ, პრე-ინდუსტრიულ საზოგადოებებში. ამ კუთხით, ნაციონალიზმი და სოციალიზმი იმდენადაა ურთიერთ-დაკავშირებული, რამდენადაც ორივე სოციალურ სოლიდარობასა და კოლექტიურ ქმედებას ანიჭებს უპირატესობას. ასეთიანად გავებული ნაციონალიზმი შეიძლება უბრალოდ სოციალიზმის "სუსტ" ფორმადაც კი მივიჩნიოთ: ერთი სოციალურ პრინციპებს ერის დონეზე ნერგავს, მეორე კი ცდილობს, ამ პრინციპების გავლენა მთელ კაცობრიობაზე გაავრცელოს. ზოგადად სოციალიზმს, განსაკუთრებით კი მარქსიზმს, უთანასწორობისა და ექსპლუატაციის მიზეზებით კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ ამბოხის ახსნა ახასიათებს: როგორც ექსპლუატირებული პლორეტარიატი ხელავს ხსნის გზას კაპიტალიზმის რევოლუციურ დამხობაში, ასევე მესამე სამყაროს ნაციონალიზმსაც შეიარაღებული ბრძოლა პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალებად მიაჩნია და ამგვარად ურევს ერთმანეთში პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და სოციალური რევოლუციის მიზნებს. ჩინეთში, ჩრდ., კორეაში, ვიეტნამსა და კამბოჯაში ანტიკოლონიალისტური მოძრაობები ამკარად მარქსიზმ-ლენინიზმის ნიშნით

ხორციელდებოდა, ხოლო ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, ამ ქვეყნებში სრული ნაციონალიზაცია მოხდა და საბჭოური ტიპის გეგმიური ეკონომიკა ამოქმედდა. აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ნაციონალისტური ფაიდის სოციალიზმის ნაკლებიდეოლოგიური ფორმა დაიწერა — ეთქვით, ალჟირში, ლიბიაში, ზამბიაში, ერაყსა სამხრეთ იემენში. ამოქმედდა ალიარბულმა "სოციალიზმმა" ერთიანი ეროვნული ინტერესების გამოხატველი, ქარიზმატული ლიდერის მიღვენა ამჯობინა.

თუმცა, განვითარებადი სამყაროს ნაციონალიზმის ენა დიდად განსხვავდებოდა დასავლურად გაგებული სოციალიზმისა თუ მარქსიზმისაგან. განსაკუთრებით XX საუკ. 70-იანი წწ. მარქსიზმ-ლენინიზმს ბევრგან რელიგიური ფუნდამენტალიზმი და კერძოდ, მისი ისლამური ნაირსახეობა სწრაფდა. ამან განვითარებად სამყაროს აშკარად არადასავლური, რეალურად კი — ანტიდასავლური იერი შესძინა. თეორიულად მაინც, ისლამი ეწოდება "ხე-ეროვნული პოლიტიკური მეობა შეადუღაბოს, ერთად მოუგაროს ყველას თავი, ვინც კი "ისლამის გზასა" და წინასწარმეტყველ მუსამედის სწავლებას აღიარებს — ანუ, ერთიანი ისლამური ერი შექმნას. ოღონდ ეგაა, 1979 წლის ირანის რევოლუციამ, რომლის შედეგადაც ქვეყნის სათავეში აიათოლა პომეინი მოვიდა, ნათლად წარმოაჩინა ისლამური ფუნდამენტალიზმის, როგორც ეროვნული და სულიერი აღორძინების რწმენის, პოტენციალი. ისლამური რესპუბლიკის შექმნა მიზნად ისახავდა ტრადიციული ღირებულებებისა და შარიათში, ანუ "ღვთაებრივ ისლამურ კანონში" დადებული პრინციპებისაკენ დაბრუნების გზით, ირანის გათავისუფლებას დასავლური მატერიალიზმის "გამხრწნელი გავლენისაგან" — იგივე "დიდი ეშმაკისაგან" (იგულისხმება ა.შ.შ.). ნოუმცა, ისლამურ ნაციონალიზმს არანაირი გამაერთიანებელი ხასიათი არ გააჩნია: მაგალითად, სუდანსა და პაკისტანში ისლამიზაცია ელიტების მმართველობის გასაძლიერებლად გამოიყენეს მხოლოდ. მიუხედავად ამისა, რევოლუციური ისლამური მოძრაობები დაიწყო ეკვატორსა და ალჟირშიც, სადაც სულ უფრო ხშირად გაიშის "ხნეობრივი განახლებებისა" და "პოლიტიკური განწმენდის" ღოზუნგები.

რა ბედი ელის ეროვნულ სახელმწიფოს?

თითქმის მთელი XX საუკ. განმავლობაში ისმოდა განცხადებები, ნაციონალიზმის ხანა დასრულდაო. და არა იმიტომ, რომ ნაციონალიზმი უფრო "შალალმა", ზე-ეროვნულმა გაერთიანებებმა შეცვალა, არამედ მან უბრალოდ, თავის საკმე მოათავა და ახლა მსოფლიო ეროვნული სახელმწიფოებრიობის სამყაროდ გადაიქცაო. ფაქტიურად, ეროვნული სახელმწიფო პოლიტიკური მმართველობის ერთადერთი კანონიერ სუბიექტი გახდა. მართლაც, 1789 წლიდან, მსოფლიო ძირფესვიანად გამოიჭრა სახელმწიფოებრივი საზღვრების ქარგაზე. 1910წ. დედამიწაზე არსებობდა მხოლოდ 15 იმ 192 სახელმწიფოდან, რომლებიც შემდგომ **გამარომ** საკუთარ წევრებად ცნო. ლამის მთელი XX საუკ. განმავლობაში, მსოფლიო ხალხთა დიდი უმრავლესობა

ეროვნული სახელმწიფო

პოლიტიკური გაერთიანების ფორმა და ერთგვარი პოლიტიკური იდეალი. პირველ შემთხვევაში, იგი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთობაა, რომელიც მოქალაქეობისა და ეროვნების ურთიერთგადასმარავე კავშირებითაა შეკრული; ამდენად, ეროვნული სახელმწიფო მრავალეროვანი იმპერიების და ქალაქ-სახელმწიფოების ალტერნატივად გვევლინება, რაც აისახა მაშინის პრინციპში „თითოეული ერი — სახელმწიფო, და მხოლოდ ერთი სახელმწიფო — მთელი ერისათვის“. ეს პრინციპი ერების, როგორც ბუნებრივად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ერთობების — რწმუნას ეხმარება, და რომ მისი სიცოცხლისუნარიანობაც სამოქალაქო და კულტურული ურთერთკავშირებიდან მომდინარეობს. ეროვნული სახელმწიფოს ორი განსხვავებული ხედვა არსებობს: ლიბერალებისათვის და სოციალისტთა უმრავლესობისათვის იგი სამოქალაქო უფლებამოსიანობების ერთგულეობით ვლინდება, კონსერვატორებისა და ინტეგრალური ნაციონალიზმის მიმდევართათვის კი — ეროვნული სახელმწიფოს ცნება ეთნიკურ და ორგანულ ერთიანობას უკავშირდება.

ჯერაც ევროპული იმპერიების კოლონიებში სახლობდა. ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის 65 სახელმწიფოდან 1910 წლამდე მხოლოდ სამი არსებობდა, 1999 წ. შემდეგ კი არც მეტი, არც ნაკლები, 107 ახალი სახელმწიფო შეიქმნა. ეს ცვლილებები, რასაკვირველია, ეროვნული დამოუკიდებლობის სურვილმა განაპირობა და ახალმა სახელმწიფოებმაც სწრაფად მოიხრეს ეროვნული სახელმწიფოების ატრიბუტიკა.

ისტორია უთუოდ ეროვნული სახელმწიფოს მხარესაა: XX საუკუნის უმთავრესი გეოპოლიტიკური მოვლენა (I და II მსოფლიო ომი; ასევე, კომუნისტების კრაზი აღმოსავლეთ ევროპაში) მნიშვნელოვნად უმატებდა ზურგს ეროვნული სახელმწიფოს, როგორც უმთავრესი პოლიტიკური ორგანიზმის კონცეფციას. 1991 წლიდან, მხოლოდ ევროპაში 18 ახალი სახელმწიფო შეიქმნა (მათგან 14 — სსრკ-ის დაშლის შედეგად — და ყოველი მათგანი თავს სწორედ ეროვნულ სახელმწიფოდ აცხადებს). ამ ტიპის სახელმწიფოს დიდი ძალა იმაში მდგომარეობას, რომ როგორც კულტურული ერთიანობის, ასევე პოლიტიკური სიმტკიცის შესაძლებლობას იძლევა. როცა საერთო კულტურული და ეთნიკური მეობით გამოდიანებული ხალხი თვითმმართველობის უფლებას მოიპოვებს, ამა თუ იმ ქვეყნის მცხოვრები, იმავედროულად, მოქალაქეც ხდება და ამიტომაც მიაჩნიათ ნაციონალისტებს, რომ დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების შემქმნელი ძალა ბუნებრივია და შეუქცევადი, და რომ არც ერთ სხვა სოციალურ გაერთიანებას არ ძალუძს ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ერთობის შექმნა. თავის მხრივ, ეს თვალსზრისი თავისთავად გულისხმობს, რომ ზე-ეროვნული ორგანიზაციები — ეთქვამთ, ევროკავშირი — ვერასოდეს გაუწევს მეტოქეობას ეროვნულ ხელისუფლებებს ლეგიტიმურობისა და ხალხის მხრიდან ნდობის თვალსაზრისით. ამიტომაც, ევროპული ინტეგრაციის პროცესი მეტ-ნაკლებად შეზღუდულია — განსხვავებული ენის, კულტურისა და ისტორიის მქონე ხალხები ვერასოდეს მოიპოვებენ თავს ხელეწიურად გაერთიანებული პოლიტიკური თანამეგობრობის "შვილებად".

ამავე დროს, გარკვეული ძალები ეროვნული სახელმწიფოს მომაკლეს სერთოდ ეჭვის თვალთ უყურებენ: გარეგანი და შინაგანი წინააღმდეგობანი ხომ ნებისმიერი ეროვნული სახელმწიფოს კრიზისს უწყობს ხელს. შინაგანად, ეროვნული სახელმწიფო ცენტრიდანული პროცესების მძევალია, როგორიცაა, ეთქვამთ, ეთნიკური, რეგიონალური და მრავალკულტურული შიდა დაპირისპირებანი. ამან კიდევ უფრო განამტკიცა რწმენა, რომ ეთნიკურ და კულტურულ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილებამ, შესაძლოა, ეკონომიკური და კულტურული გლობალიზაციის კონტექსტში, სულაც დააკარგინოს ერებს ერთიანობის განცდა: რამდენადაც კულტურული მრავალფეროვნება ნებისმიერი ეროვნული სახელმწიფოსთვისაა დამახასიათებელი, ეთნიკური ფესვების ჯიუტი ერთგულება სხვას არაფერს მოიტანს თუ არა "ერთიანი ერის" ცნების გაუფასურებას, ვინაიდან ყოველივე ამან, შესაძლოა, ეროვნულობა მულტიკულტურალიზმით ჩაანაცვლოს. ერებისაგან განსხვავებით, ეთნიკური, რეგიონალური თუ კულტურული ჯგუფები თავისთავად პოლიტიკურ ერთობებს არ წარმოადგენენ და პოლიტიკური ნაციონალიზმის ალტერნატივის გამოსანახავად ფედერალიზმისა თუ კონფედერაციის ფორმებს მიმართავენ ხოლმე. ასე მაგალითად,

ფორმების ფარგლებში ბელგიის ორმა პროვინციამ — ფლანდრიამ და
ვალონიამ, თვითმმართველობის ისეთ ხარისხს მიაღწია, რომ დღეს ბელგია
ფორმალურად თუღა რჩება ეროვნულ სახელმწიფოდ. VIII თავში,
ცენტრიდანული ძალების ბუნებაზე უფრო დაწვრილებით
დასაუბრებო.

გარეგან საფრთხეებად კი უნდა მივიჩნიოთ ტექნოლოგიური
ბრძოლები, განსაკუთრებით — ატომური ხანის რეაქტივები, რამაც მსოფლიო
შედეგობისათვის ზე-ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების
შედეგობის ზრდა მოითხოვა. სწორედ ამის შედეგი იყო ჯერ ერთა ლიგის,
შემდეგში კი **ბაზროს** შექმნა. ასევე, გასათვალისწინებელია ეკონომიკური
ბრძოლების მზარდი გლობალიზაციაც: ბაზრები დღეს მსოფლიო ბაზრად
გაერთიანდნენ, ბიზნესი ტრანსნაციონალური კორპორაციების ხელშია, და
გლობალიზაც თვალის დახამხამებაში გადადის დედამიწის ერთი კუთხიდან —
საქარში. გაჩნია თუ არა ეროვნულ სახელმწიფოს რაიმე პერსპექტივა იმ
საქარში, სადაც არც ერთ ეროვნულ ხელისუფლებას აღარ შეუძლია სრუ-
ლად განაგოს თავისი ქვეყნის ეკონომიკური ბედი? არც ის უნდა დაგვავი-
წყდეს, რომ ეროვნული სახელმწიფო შეიძლება გარე სამყაროს საფრთხედ და
გლობალური ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის მიზეზადაც იქცეს:
გლობალური სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ სტრატეგიულ და
ეკონომიკურ ინტერესებს მისდევს და ნაკლებად ითვალისწინებს საკუთარი
შედეგების ეკოლოგიურ შედეგებს. ამის გამოხატულება იყო ჩერნობილის
კატასტროფა უკრაინაში 1986წ., რამაც ბირთვული რადიაციის იმ ოდენობით
გაჟონვა გამოიწვია, რომ უახლოეს 50 წელიწადში, მოსალოდნელია,
მნიშვნელოვნად გაიზარდოს სიმსივნის შედეგად სიკვდილიანობის მონაცემე-
ბი თუნდაც შუაგულ კეროპაში.

და ბოლოს, გამორჩეული ეროვნული კულტურისა და ტრადიციის,
როგორც ყოველი ეროვნული სახელმწიფოს განმასხვავებელი ნიშნის, გავლენა
თანდათანობით შესუსტდა ტრანსნაციონალური და გლობალური კულ-
ტურის ფენომენის გაჩენის შედეგად. ამის გამოხატულებად იქცა
საერთაშორისო ტურიზმის მაშტაბების არნახული ზრდა და საკომუნიკაციო
ტექნოლოგიების გასაოცარი ბუმი. როდესაც ამერიკულ ფილმებსა თუ
ტელეპროგრამებს მთელს მსოფლიოში უყურებენ, როცა ჩინური თუ ინდური
სამზარეულო ისევე პოპულარულია ევროპაში, როგორც ადგილობრივი
კერძები, ადამიანებს კი იმაზე უფრო სწრაფად შეუძლიათ ოკეანის გადაფრე-
ნა, ვიდრე ადრე მეზობელ ქალაქში ჩააღწევდნენ ხოლმე, ვითომ ინარჩუნებს
კია ეროვნული სახელმწიფო უწინდელ მნიშვნელობას? ამ და ამავე თემასთან
დაკავშირებულ საკითხებზე, როგორც მოგახსენეთ, უფრო წვრილად VII
თავში მოგახსენებთ.

შეჯამება

« ერს მრავალი კულტურული და პოლიტიკური ფაქტორი ახასიათებს. კულტურულად, ესაა საერთო ენით, რელიგიით, ისტორიითა და ტრადიციებით შეკავშირებული ადამიანთა ჯგუფი. თუმცა, საბოლოო ჯამში, ერები თავადვე განსაზღვრავენ საკუთარ თავს ზიარი სამოქალაქო თვითშეგნების საფუძველზე, რისი კლასიკური გამოხატულებაც სახელმწიფოებრიობის მოპოვება თუ დაცვაა.

« არსებობს ნაციონალიზმის მკაფიოდ გამოხატული კულტურული და პოლიტიკური ფორმები. კულტურული ნაციონალიზმი ყურადღებას ერის, როგორც გამოკვეთილი ცივილიზაციის უწყვეტ არსებობაზეა მახვილებს, რაც იმის რწმენას ემყარება, რომ ეს ფენომენი უნიკალური ისტორიული და ორგანიზებული მთლიანობაა. მეორეს მხრივ, პოლიტიკური ნაციონალიზმი ერს განიხილავს როგორც ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ საზოგადოებრივ ორგანიზმს და მას დამოუკიდებლობისა და თვითგამორკვევის იდეებთან აკავშირებს.

« პოლიტიკის ზოგიერთი თეორეტიკოსი ნაციონალიზმს თანამედროვე ინდუსტრიალიზაციასა და მზარდ დემოკრატიასთან დაკავშირებულ ფენომენად მიიჩნევს, მაშინ როცა სხვები მის ფესვებს თანამედროვეობამდელ ეთნიკურ მიკუთვნებულობასა და მეობაში ხედავენ. ნაციონალიზმის ბუნება არსებითად შეიცვალა, რაზეც როგორც მისმა წარმომშობმა ისტორიულმა გარემოებებმა, ასევე იმ პოლიტიკურმა მიზნებმაც იმოქმედა, რისთვისაც მას იყენებდნენ ხოლმე.

« არსებობს პოლიტიკური ნაციონალიზმის რამდენიმე განსხვავებული გამოვლინება: *ლიბერალური ნაციონალიზმი* თვითგამორკვევის საყოველთაო უფლების რწმენას ემყარება; *კონსერვატიული ნაციონალიზმი* მისთვის ყველაზე ფასეული "ეროვნული პატრიოტიზმის" მეშვეობით საზოგადოებრივი თანხმობისა და პოლიტიკური ერთიანობის უზრუნველყოფის უნარია; *ექსპანსიონისტური ნაციონალიზმი* — აგრესიისა და იმპერიული დაპყრობების საშუალებაა; *ანტი-კოლონიალურ ნაციონალიზმს* ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას უკავშირებენ, რაც ხშირად სოციალური განვითარების სურვილსაც ემთხვევა.

« მსოფლიო მასშტაბით, ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზების ყველაზე ფართოდ აღიარებული ფორმა ეროვნული სახელმწიფოა — ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური მმართველობის ერთადერთი ლეგიტიმური სუბიექტი. მისი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ერთდროულად როგორც კულტურული ზიარობის, ასევე პოლიტიკური მთლიანობის შესაძლებლობას გულისხმობს, და საერთო-კულტურული თუ ეთნიკური მეობის მქონე ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს, დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის უფლებით ისარგებლონ.

◀ ეროვნულ სახელმწიფოს დღეს რამდენიმე საფრთხე ემუქრება: ეთნიკური პოლიტიკის გააქტიურებამ იგი ცენტრიდანული პროცესების ობიექტად აქცია; გარედან იგი ზე-ეროვნული ორგანიზაციებისა და ეკონომიკური თუ კულტურული გლობალიზაციის მუქარას გრძნობს; ხოლო ბოლო ხანებში, გარემოს დაცვის პრობლემებიც სერიოზულ თავსატეხად ექცა.

კითხვები განსასჯელად

- ◀ სად იწყება ერი? ბუნებრივი წარმონაქმნია იგი თუ ხელოვნური?
- ◀ ასე რატომ ფასობს ეროვნული სიამაყე და სამშობლოს ერთგულება?
- ◀ განა მართლა მხოლოდ წარსულისაკენ ექაჩება ერს კულტურული ნაციონალიზმი?
- ◀ რაში გამოვლინდა ნაციონალიზმის პოლიტიკური ძალა?
- ◀ ნაციონალიზმი უცილობლად გულისხმობს კარჩაკეტილობასა და დაპირისპირებას?
- ◀ არის თუ არა ეროვნული სახელმწიფო პოლიტიკური მმართველობის ერთადერთი კანონიერი წყარო?
- ◀ რამდენად რეალურია მსოფლიო ეროვნული სახელმწიფოების გარეშე?

დამატებითი საკითხავი

- Brown, D., Contemporary Nationalism: Civic, Ethnocultural and Multicultural Politics (London and New York: Routledge, 2000).
- Gellner, E., Nations and Nationalism (Ithaca, NY: Cornell University Press, 1983).
- Hearn, J., Rethinking Nationalism: A Critical Introduction (Basingstoke and New York: Palgrave Macmillan, 2006).

გლობალური პოლიტიკა

“ომი — ჩვენს მეცნიერულად განვითარებულ ხანაში — ადრე თუ გვიან, საყოველთაო განადგურებას მოასწავებს”.

ბმრტრან რასმლი, უხიამო ესეები, (1950)

XX საუკ. მიწურულს ყველამ გააცნობიერა რომ მსოფლიო, მარშალ მაკლუ-
ნის თქმით, მართლაც ერთ დიდ — “გლობალურ სოფლად” იქცა. გლობალ-
იზაციის ფენომენმა მთლიანად შეცვალა პოლიტიკის არსებული გაგებაცა და
ჩვენი წარმოდგენებიც პოლიტიკური ურთიერთობების თაობაზე. კლასიკური
შტრუქტურა ყველგან და ყველაფერში სახელმწიფოს დომინირებას გულისხ-
მობდა: ცენტრალური ხელისუფლება მთავარ პოლიტიკურ ფიგურად იყო
შეგნებული, მთავრობის საქმიანობა — შიდა სახელმწიფოებრივ დონეს არ
გაღებოდა. აქედან გამომდინარე, არსებობდა დიდი ზღვარი საშინაო და
საგარეო პოლიტიკას შორის: ის, რაც ხდებოდა ქვეყნის შიგნით, არ ეხებოდა
საზღვრებს გარეთ მიმდინარე პროცესებს, და პირიქით. საგარეო პოლიტიკის
გასაანალიზებლად, სპეციალური დარგიც კი შეიქმნა — “საერთაშორისო
ურთიერთობები”. გლობალიზაციამ კი არათუ შეამცირა, თითქმის გააქრო
დაქვეყნეს სხვაობა “საშინაოსა” და “საგარეოს” შორის და შედეგად, როგორც
ბევრი ვარაუდობს, მალე სრულიად ახალ - მსოფლიო საზოგადოებას მივი-
ღებთ. მართალია, ვერჯერობით ეროვნული სახელმწიფოები მაინც
ანარჩუნებენ წამყვან როლს მსოფლიო რუკაზე, მაგრამ არ შეიძლება არ
აღინიშნოს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ზე-ეროვნული სტრუქ-
ტურების მზარდი გავლენაც.

ამ თავში შემდეგი ძირითადი საკითხებია განხილული:

საკვანძო საკითხები

- ◀ რა და რა კუთხით იკვლევენ და იაზრებენ საერთაშორისო თუ მსოფლიო პოლიტიკას?
- ◀ როგორ იმოქმედა მსოფლიო წესრიგზე “ცივი ომის” დამთავრებამ და “ტერორიზმთან ომის” გამოცხადებამ?
- ◀ რა არის გლობალიზაცია? რას მოასწავებს იგი ეროვნული სახელმწიფოსათვის?
- ◀ კუთილისმყოფელი ძალაა იგი თუ — დამანგრეველი?
- ◀ რა მომავალი ელით ზენაციონალურ რეგიონალურ ორგანიზაციებს?
- ◀ რეალურია თუ არა “მსოფლიო მთავრობის” ჩამოყალიბების იდეა?

7

თავი

შინაარსი

მსოფლიო პოლიტიკის საზრისი

- იდეალიზმი.
- რეალიზმი.
- პლურალიზმი.
- მარქსიზმი.

XXI საუკ. მსოფლიო წესრიგი

ორპოლუსიანობიდან ერთპოლუსიანობამდე.
“ომი ტერორიზმთან”.
მრავალპოლუსიანობის პერ-სპექტუა.

გლობალიზაციის დინამიკა

გლობალიზაციის ტენდენ-ციები.
გლობალიზაცია: თეორიები და დისკუსიები.

რეგიონალიზაცია

ეროკავშირი.

გლობალური მმართველობა

გზა “მსოფლიო მთავრობისაკენ”?
ბამრწო.

შეჯამება/კითხვები

განსაჯულად/დამატებითი საკითხავი

მსოფლიო პოლიტიკის საზრისი

ის, რომ პოლიტიკა ფართო ცნებაა და საერთაშორისო სფეროში უნდა განვიხილოთ, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების ჭიდილში გამოჩნდა. თუმცა, დღევანდელმა საერთაშორისო სისტემამ მხოლოდ XVI-XVII საუკუნეების ბოლოს იწყო ჩამოყალიბება, როცა ცენტრალიზებული სახელმწიფოები გაჩნდა რუკაზე. პროცესი 1648 წელს, ვესტფალიის ზავის დადებით დასრულდა, და ამით წერტილი დაესვა 30 წლიან ომს, რომელშიც სახელმწიფოებმა უკვე ოფიციალურად აღიარეს თითოეული ვეროპული ქვეყნის სუვერენიტეტი. ამის შემდეგ მსოფლიოს პოლიტიკურ სივრცეში ა.შ.შ. და იაპონია ჩნდებიან, შესაბამისად – საერთაშორისო სისტემაც ფართოვდება. შეერთებული შტატების ჰეგემონიის აღიარება 1898 წელს მოხდა, როცა ამერიკელებმა ესპანელები დაამარცხეს, იაპონიისა კი მას შემდეგ, რაც 1904-05 წლებში რუსეთს გაუსწორდა. XIX საუკუნის ბოლოს, იმპერიალიზმმა და ვეროპელთა შორის კოლონიებისათვის ჯახმა კი უკვე ნამდვილად მისცა საერთაშორისო სისტემას გლობალური სახე.

ასე რომ, XX საუკუნე ახალი მსოფლიო პოლიტიკის ჩამოყალიბების მოწმე გახდა და კონფლიქტებიც საერთაშორისო ხასიათს იღებს; თანამშრომლობა სახელმწიფოებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის მთელი მსოფლიოს მასშტაბით იზრდება. ეს ყველაფერი ნათლად გამოჩნდა როგორც I (1914-18) და II (1939-45) მსოფლიო ომების, ასევე ე.წ. “ცივი ომის” დროს. XX საუკუნის დასასრულს ყალიბდება წარმოდგენა, რომლის თანახმადაც – თავად პოლიტიკური ცხოვრების პარამეტრებია შეცვლილი. უფრო რადიკალური შეფასებების მიხედვით, ჩნდება კითხვა: არსებობს კია ზღვარი საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგებს შორის? მსოფლიო პოლიტიკაში სწორედ ამ კომპლექსურ და მრავალსაპექტიან ცვილებებს ეწოდა “გლობალიზაცია”.

იმისათვის, რომ ესა თუ ის პროცესი გავაანალიზოთ, პირველ რიგში აუცილებელია მომოვიხილოთ, თუ ტრადიციულად, რა სფეროში განიხილებოდა ხოლმე საერთაშორისო და მსოფლიო პოლიტიკა. საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი თეორიული “სკოლებია”:

- † იდეალიზმი
- † რეალიზმი
- † პლურალიზმი
- † მარქსიზმი

ამანუელ კანტი (1724-1804)

გერმანელი ფილოსოფოსი. კონიგსბერგის უნივერსიტეტის ლოგიკისა და მეტაფიზიკის პროფესორი. მისი ფილოსოფიის კრიტიკული ბუნებიდან გამომდინარე, კანტის აზრით, ცოდნა არა მარტო “გრძნობითი შთაბეჭდილებების” შედეგად მიიღებოდა, არამედ ადამიანური გონების სააზროვნო მექანიკაზეც ეფუძნებოდა. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ზნეობრიობის განსაკუთრებული მნიშვნელობის

იდეის გაკვლით ჩამოყალიბდა. მისი რწმენით, გონების კანონები ე.წ. “იმპერატიულ კატეგორიებს” გვკარნახობს, რომელთა შორის გადამწვევტი “სხვა ადამიანის თავისთავად მიზნად, და არა მხოლოდ საშუალებად აღქმაა”. კანტის უცნობილესი ნაშრომებია “წმინდა გონების კრიტიკა” (1781), “პრაქტიკული გონის კრიტიკა” (1788) და “განსჯის კრიტიკა” (1790).



იდეალიზმი

იდეალიზმი საერთაშორისო პოლიტიკას მორალური ღირებულებებისა და კანონთა ნორმების ფარგლებში განიხილავს – ეს მისი მთავარი მახასიათებელია. როგორც წესი, ის უფრო მეტ ყურადღებას ნორმატიულ ანალიზს უთმობს (ანუ, როგორ უნდა იქცეოდნენ პოლიტიკური მხარეები) ვიდრე ემპირიულს (ანუ, სინამდვილეში როგორ იქცევიან ეს მხარეები). სწორედ ამიტომაც, ხანდახან იდეალიზმი – უტოპიზმის ერთ-ერთ სახეობადაც აღიქმება. ცნობილია უამრავი იდეალისტური თეორია – მაგალითად, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, თომა აქვინელი (1224-74) შეცვალა “სამართლიანი ომის” იდეა განეხილა და იმჟამინდელ მონარქთა საერთაშორისო ურთიერთობანი მორალურ კონტექსტში გაეანალიზებინა. ომს იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში ამართლებდა, თუკი 3 აუცილებელი პირობის თანხვედრა ხდებოდა: პირველი – ომის გამოცხადება უნდა შეძლებოდა მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მონარქს; მეორე – ბრძოლის მიზეზი უნდა ყოფილიყო სამართლიანი, რამიც ბოროტებასთან დაპირისპირება იგულისხმება, და მესამე – საომარი მდგომარეობის გამოცხადებას ერთადერთი მიზანი უნდა ჰქონოდა – სიკეთის დათესვა ან ბოროტების განდევნა, და არავითარ შემთხვევაში – სიხარბე თუ სისასტიკე. იმანუელ კანტმა, თავის მხრივ, *მსოფლიო მთავრობის* ადრეული ხედვა ჩამოაყალიბა. მისი აზრით, ზნეობა და სალი აზრი, საბოლოოდ, იმ დასკვნამდე მიგვიყვანდა, რომ ომი თავისთავად დაუშვებელია – რაც “საყოველთაო და ხანგრძლივი მშვიდობის” გარანტიას მისცემდა კაცობრიობას.

იდეალიზმის უმეტესი ფორმები ინტერნაციონალიზმს ეყრდნობა: გლობალური პოლიტიკა – კერძო, ეროვნული ინტერესებიდან კი არა, უნივერსალური პრინციპებიდან უნდა გამომდინარეობდეს, და ეს იმ რწმენის გამოხატულებაა, რომ ადამიანთა საქმიანობა – საშინაო თუ საგარეო დონეზე – თანწყობითა და თანამშრომლობით ხასიათდება. იდეალიზმის ერთი უმნიშვნელოვანეს დებულებათაგანი ლიბერალიზმშიც იჩენს თავს: მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალებს, ტრადიციულად, მთავარ პოლი-

ტიკურ სუბიექტად ერი მიაჩნიათ, მათ ურთიერთდამოკიდებულებისა და თავისუფალი ვაჭრობის მნიშვნელობაც ასევე აღიარეს და ამგვარ პოზიციას მარტივად ხსნიდნენ – “ომს ხეირი არ მოაქვს”. ინტერნაციონალიზმის კიდევ ერთი გამოხატულება – კოლექტიური თავდაცვისა და საერთაშორისო სამართლისადმი რწმენაა, რასაც დღეს სწორედ იმგვარი ორგანიზაცია ეფუძნება, როგორცაა **ბაპრო**. მაგალითად, **ა.შ.შ.**-ს პრეზიდენტ უდრო უილსონის აზრით, I მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზი – მრავალეროვნული იმპერიების ძველი სამხედრო პოლიტიკა გახდა, რომელიც მილიტარიზმისა და ექსპანსიონიზმისაკენ იყო მიმართული. მისი აზრით, საუკეთესო კონტრ-იარაღი ომის წინააღმდეგ, ახალი მსოფლიო სისტემის შექმნა იქნებოდა, რომელშიც დემოკრატიული ერი-სახელმწიფოები საერთო ინტერესების შესაბამისად თანამშრომლებდნენ და მხოლოდ კერძო გამორჩენაზე არ ეჭირებოდნენ თავად.

რეალისტი თეორეტიკოსების მიერ აბუხად აგდების, დაცინვისა და უგულვებლყოფის წლების შემდეგ, XX საუკუნის ბოლოს იდეალიზმმა კვლავ წამოიღო თავი და ის, რასაც ჩვეულებრივ **ნეო-იდეალიზმს** უწოდებენ ხოლმე, სუპერ-ძალების ეპოქის ამორალური, ძალისმიერი პოლიტიკისაგან განთავისუფლების მისწრაფებას ასახავს. ერთ-ერთი ადრეული მაგალითი 1970-იან წლებში პრეზიდენტ კარტერის მიერ იმის ხაზგასმაც იყო, რომ **ა.შ.შ.**-ს მხრიდან ნებისმიერი ეკონომიკური თუ სამხედრო დახმარება ამა თუ იმ ქვეყანას, მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხის გათვალისწინებით გადაეცემოდა. ამით კარტერი შეეცადა საგარეო პოლიტიკისათვის კვლავ ზნეობრივი განზომილება მიეცა ურთიერთ-თანამშრომლობისა და საერთო თავდაცვის თემებს უფრო გაბედულად 1980-იან წლებში მიუდგნენ, როცა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა, მიხაილ გორბაჩოვმა, “საერთო ევროპული საზღვის” იდეა ჩამოაყალიბა და განაცხადა – ადამიანის უფლებების დოქტრინამ ის ოლოგიური მტრობა დაირღია, რაც კომუნისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის არსებობდა.

შეიძლება ითქვას, რომ ბირთვული ომის საფრთხემ (წლების განმავლობაში როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მხრიდან, სამხედრო ხარჯების ესკალაციის შედეგმა) იდეალისტურ თეორიებს კვლავ უფრო დიდი ბიძგი მისცა და იმ საერთაშორისო სამშვიდობო მოძრაობის ჩამოყალიბებაში ჰპოვა ასახვა, რამაც პაციფისტური ფილოსოფია წახალისა, დევიზით: “არა—ომის და არა — ძალადობას!” ნეო-იდეალისტურ პოზიცია “მსოფლიო საზოგადოების” ცნებას დაუკავშირდა, რომელიც ტრადიციულ დიპლომატ და სწავლულ ჯონ ბარტონთან (1972) ასოცირდება. მსოფლიო საზოგადოების პერსპექტივა ეროვნული სახელმწიფოს ცნების უარყოფს – როგორც ყველგასულს, ხოლო თავად ბარტონი ამას ვერ უარყოფს – “აბლაბუდას სქემით” გამოხატულ კომპლექსურობისა და ურთიერთდამოკიდებულების ნიშნით ხსნის. ამ შეხედულების მიხედვით, წარსულში ძალის პოლიტიკამ ასპარეზი ახლა საერთაშორისო კონფლიქტების არაძალადობრივი, თანამშრომლობის მეთოდით გადაჭრას დაუთმო.

ნეო-იდეალიზმი:

საერთაშორისო პოლიტიკის იმგვარი ხედვა, რომელიც განსაკუთრებულად ზნეობრივ ფასეულობებზე, კერძოდ – ადამიანის უფლებებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პატივისცემაზე ამახვილებს ყურადღებას.

რეალიზმი

რეალიზმის ტრადიცია, იგივე “პოლიტიკური რეალიზმი”, საერთაშორისო პოლიტიკის თეორიებიდან უძველესია. თუკიდრეს მიერ მოთხრობილი გლოპონესის ომის ისტორია (431 წ. ქრ.მ.-მდე) რეალისტური მიდგომის უძველეს ნიმუშად მიიჩნევა; დაახლოებით იმავე დროს კი, ჩინეთში, სუნ ტუმ სამხედრო სტრატეგიის დარგში კლასიკურ ნაშრომად მიჩნეული წიგნი – “ომის ხელოვნება” დაწერა. სხვა მნიშვნელოვან ფიგურებიდან, რეალისტური ტრადიციის განხრით, შეგვიძლია მაკიაველი და თომას ჰობსი დავასახელოთ. თუმცა, რეალიზმი საერთაშორისო პოლიტიკის ხედვაში მხოლოდ მეოცე საუკუნეში, I და II მსოფლიო ომებისგან მიღებული გამოცდილების შედეგად გაბატონდა. მაშინ როცა იდეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობების ზნეობრივი ნორმებით წარმართვას მოითხოვს, რეალიზმი ნაციონალურ ინტერესებს ეფუძნება და აქცენტს სწორედ **ძალის პოლიტიკაზე** აკეთებს – მისი ღერძული იდეა ისაა, რომ სახელმწიფო, როგორც ასეთი, მთავარი მოქმედი პოლიტიკური სუბიექტია და ქვეყნის სუვერენულობიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად უნდა იღებდეს. მეტიც, ნაციონალიზმის აღზევებამ და თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ, ნებისმიერი ქვეყანა ერთიან პოლიტიკურ ერთობად აქცია, რომლის შიგნით ყველა და ყველაფერი უნდა სახელმწიფოს ინტერესებს უნდა ექვემდებარებოდეს.

რეალიზმის თეორეტიკოსები – ე. ჰ. კარი (1939) და ჰანს მორგენტაუ (1948) ყოვლად მიუღებლად მიიჩნევენ იდეალისტურ რწმენას – ინტერნაციონალიზმისა და ბუნებრივი ჰარმონიის შესახებ. ომებს შუა პერიოდში, საერთაშორისო სამართლისა და კოლექტიური თავდაცვის პაპისტური რწმენა, უბრალოდ, ხელს უშლიდა პოლიტიკურ მოღვაწეებს ატლანტიკის ორივე მხარეს, გაეაზრებინათ და რეალისტურად აღექვათ გერმანიის ექსპანსიო – ამტკიცებდა კარი. რეალისტების აზრით, რაკილა არ არსებობს სუვერენულ სახელმწიფოზე უზენაესი ძალაუფლება, საერთაშორისო პოლიტიკა არა ჰარმონიულობით, არამედ სწორედ ანარქიულობით ხასიათდება, როცა სახელმწიფო იძულებულია პრიორიტეტი ეროვნულ ინტერესებს დაუთმოს – მარტვიად რომ ვთქვათ, მხოლოდ თავის გადარჩენასა და ტერიტორიის დაცვაზე იზრუნოს.

სწორედ ამიტომაც, 1) რეალისტები დიდ ყურადღებას უთმობენ საერთაშორისო პოლიტიკაში ძალის მნიშვნელობას, და 2) ძალის მნიშვნელობა ესმით, როგორც სამხედრო სიმძლავრე თუ ტექნიკური არსუნალი. თუმცა, ამის მიუხედავად, საერთაშორისო ანარქია მაინც არ ნიშნავს დაუსრულებელ კონფლიქტებსა და ომებს – პირიქით, რეალისტების მტკიცებით, კონფლიქტები თუ თანამშრომლობა სახელმწიფო სისტემებს შორის, დიდწილად **ძალთა ბალანსის** კონცეფციაზეა დამოკიდებული; ნაციონალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოები აღიანსებს ქმნიან, რომლებიც თავის მხრივ, ერთმანეთის საპირწონეობის შემთხვევაში, შესაძლოა ხანგრძლივი საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტიად იქცნენ. თუმცა, ამასთან ერთად, ამ ტიპის

ინტერნაციონალიზმი

ზე-ეროვნულ თუ გლობალურ თანამშრომლობაზე დამყარებული თეორია ან პრაქტიკული პოლიტიკა. **ლიბერალური** ხასიათის ინტერნაციონალიზმი ინდივიდუალურ ეფუძნება და მიაჩნია, რომ ადამიანის საყოველთაო უფლებები უფრო მაღალი სტატუსით უნდა სარგებლობდეს, ვიდრე ერი-სახელმწიფოს უზენაესობაა; **სოციალისტური** ინტერნაციონალიზმი კი კლასთა საერთაშორისო სოლიდარობის იდეას, ანუ ე.წ. “პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს” აღიარებს უმთავრესად. ინტერნაციონალიზმის საკუთარი გაგება გააჩნით აგრეთვე, ფემინისტებსა თუ გარემოს დამცველ “შევა-ნეებს”.

ძალთა ბალანსი:

სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების იმგვარი ფორმა, როცა ექსპანსიისა თუ აგრესიის გამოყენებას აზრი ეკარგება

ძალის პოლიტიკა:

პოლიტიკისადმი იმგვარი მიდგომა, როცა მიზნის მიღწევის გადამწყვეტ ფაქტორად ძალა მიიჩნევა.

7. გლობალური პოლიტიკა

საერთაშორისო სისტემისათვის დინამიურობაა დამახასიათებელი, და თუ ძალთა ბალანსი ირღვევა, ყველაზე საფარაულო შედეგი — მაინც ომი...

რაკილა ძალა, სიმდიდრე და რესურსები ქვეყნებს შორის არათანაბრადაა გადანაწილებული, რეალისტები აცნობიერებენ რომ მსოფლიო წესრიგი ჯერ კიდევ არაა კლასიკური “ბუნებრივი მდგომარეობა”. ტრადიციულად გავლენიანმა მოთამაშეებმა **მძლავრი სახელმწიფოების** (“ცივი ომის” დროს — *ზესახელმწიფოს*) სტატუსი მოიპოვეს. შედეგად მივიღეთ იერარქია, რომელიც ასეთ საერთაშორისო წესრიგს ასახავს: დომინანტი ძალა მასზე დამოკიდებულ სუბიექტზე გარკვეულ კონტროლს აწესებს — იქნება ეს საჯარო გარიგებები, სხვადასხვა “ზეგავლენის სფეროები”, თუ ამკარა კოლონიზაცია. ამან ცივი ომის პერიოდში ბიპოლარული (ორპოლუსიანი) სისტემის ჩამოყალიბება გამოიწვია, რომელშიც საბჭოთა კავშირისა და ამერიკის მოკავშირეთა ბლოკების დაპირისპირებამ მსოფლიოს დიდი ნაწილი მოიცვა. თუმცა, რეალისტები მზად იყვნენ ემტკიცათ, რომ ეს სისტემაც მშვიდობის შენარჩუნებას ემსახურებოდა, სამხედრო ხარჯები კი — ეფექტური ბირთვული თავდაცვის სისტემის შექმნას, და რომ ის განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც 1960-იან წლებში “გარდაუვალი ურთიერთგანადგურების” (MAD) კონცეფცია ჩამოყალიბდა. ოღონდ ეგეცაა — აღიარებულ პრინციპებსა და მიღებულ ნორმებზე დაფუძნებულ იერარქიული წყობას ანარქიისგან თავი შორს ეჭირა და რეალისტებმაც ახლა “ანარქიული საზოგადოების” თაობაზე ჰედლი ბულის (1977) ასე ვთქვათ, მოდიფიცირებული იდეის გაზიარება მოუხდათ.

1980-იან წლებში უოლცის (1979) და სხვათა ზეგავლენით, **ნეო-რეალიზმმა** (იგივე *სტრუქტურულმა რეალიზმმა*) იწყო განვითარება. ნეო-რეალისტები კვლავ აღიარებენ ძალის მნიშვნელობას — როგორც გადამწყვეტს, ოღონდ ისინი მოვლენათა განვითარებას არსებული საერთაშორისო სისტემის გლობალური პერსპექტივიდან გამომდინარე აფასებენ, და არა კერძო სახელმწიფოს მიზნებისა თუ გაცხადებული დეკლარაციების მიხედვით.

მძლავრი სახელმწიფო:

სახელმწიფოთა იერარქიულ სისტემაში დაწინაურებული ქვეყანა, რომელიც პოლიტიკურ გავლენას ახდენს უფრო მცირე სახელმწიფოებზე.

ნეო-რეალიზმი:

საერთაშორისო პოლიტიკის იმგვარი ხედვა, რომელიც ძალის პოლიტიკის მოდელის სახეცვლილებას გულისხმობს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურების გავლენათა გამოკვეთის გზით.

რეალიზმს მწვავე კრიტიკაც ხშირად განუცდია და აქ მთავარი ობიექტი ისაა, რომ რეალისტური დოქტრინა — პოლიტიკისა და ზნეობის დაცილების პროცესში — სამხედრო ესკალაციისა და *ზეძალის მქონე ქვეყნების* ჰეგემონური მისწრაფებების ლეგიტიმაციას ახდენს. ასევე, ძალის პოლიტიკა არა იმდენად მშვიდობას ინარჩუნებს, რამდენადაც ბირთვული კატასტროფის ზღვარზე ამყოფებს სამყაროს. რეალიზმს კრიტიკას არც ფემინისტები აკლემენ: რეალისტებს ისინი ძალაუფლებიდან მისწრაფებაში აღანაშაულებენ, ნაციონალური უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდეების აკვიატებაში, რაც საბოლოოდ, შესაძლოა, მსოფლიოში მამრობითი სქესის პოლიტიკოსების ზეობაში აისახოს, რადგან მათი მისწრაფებები მუდმივად აგრესიული და მეტოქეობრივია. რეალისტური თეორიების ემპირიული სისუსტე კი მაინც სახელმწიფოზე, როგორც მთავარ საერთაშორისო სუბიექტზე ყურადღების გამახვილება და XX

სუვერენულობა

უმარტვესი გაგებით, ესაა აბსოლუტური და უსაზღვრო ძალაუფლების პრინციპი. განასხვავებენ პოლიტიკურ და იურიდიულ სუვერენიტეტს და ასევე, მის საშინაო თუ საგარეო ფორმებს: იურიდიული თვალსაზრისით, სუვერენულობა უზენაეს საკანონმდებლო ხელისუფლებას, ანუ — კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში მორჩილების უპირობო მოთხოვნის უფლებას ნიშნავს. საპრინციპოდ, პოლიტიკურ სუვერენიტეტში შეუზღუდავი პოლიტიკური გავლენა იგულისხმება, ანუ — მორჩილების უზრუნველყოფა, რაც იძულების საშუალებათა მონოპოლიზებით მიიღწევა. “საშინაო” სუვერენულობა ხელისუფლების უზენაესი ძალაუფლებაა, რაც ყველა პირსა თუ ჯგუფზე ვრცელდება მოცემული ქვეყნის საზღვრებში. “საგარეო” სუვერენულობა აღნიშნავს სახელმწიფოს ადგილს საერთაშორისო წესრიგში და მის უნარს, როგორც დამოუკიდებელმა სუბიექტმა იმოქმედოს მსოფლიო არენაზე.

საკუ. ბოლოდან მოყოლებული, საერთაშორისო პოლიტიკის წამყვანი პლურალისტური ტენდენციების იგნორირებაა. ასე რომ, “კლასიკურმა” რეალიზმმა, საბოლოოდ, გზა მაინც ნეო-რეალიზმს დაუთმო.

პლურალიზმი

საერთაშორისო პოლიტიკის პლურალისტური პერსპექტივა, ფაქტიურად, 1960-70-იან წწ. ა.შ.შ.-ში გაჩნდა და მთლიანად ლიბერალურ იდეებსა და ლიბერულებებს ეყრდნობოდა. ტრადიციული გაგებით, პლურალიზმი ერთგვარი სოციოპოლიტიკური თეორიაა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ძალის გადანაწილებას მოპაექრე ორგანიზაციებსა თუ ჯგუფებში. პლურალიზმი, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის თეორია კი ფურადღებას ქვეყნის “ლიაობას” აქცევს, და რეალისტთა ერი-სახელმწიფოს მოდელის ალტერნატივას უზრუნველყოფს. ჯონ ბარტონმა (1972) ამ მიდგომის შეზღუდულობა ბილიარდის მაგიდასთან შედარებით გამოსახა: რეალიზმი ისე უყურებს სახელმწიფოს, როგორც ბილიარდის ბურთებს, ანუ როგორც შეუღწევად და დამოუკიდებელ ერთეულებს, რომლებიც მხოლოდ გარეგანი ძალის გამოყენებით ახდენენ ერთმანეთზე ზეგავლენას. ასე რომ, მსოფლიო ანარქიულ სისტემაში ურთიერთქმედი სუვერენული სახელმწიფოები ბილიარდის ბურთებს ემსგავსებიან, რომლებიც მაგიდის გარშემო მოძრაობენ და ერთმანეთს ეჯახებიან. პლურალისტების აზრით კი, ეს შედარება საერთაშორისო პოლიტიკის საზრისს ამახინჯებს: პირველ რიგში იმით, რომ ზე-ეროვნული სუბიექტების — მრავალეროვნული კორპორაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენის მზარდ მატებას უყურადღებოდ ტოვებს; და მეორე — ის ვერ ახერხებს ურთიერთდამოკიდებულების, განსაკუთრებით კი ეკონომიკურ სექტორში სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის მნიშვნელობის სრულად გააზრებას.

იმპერიალიზმი

ზოგადად, ესაა ამა თუ იმ ქვეყნის ძალაუფლებისა თუ მმართველობის გაფართოების პოლიტიკა საკუთარ ფარგლებს გარეთ. ადრე იმპერიალიზმი, როგორც იდეოლოგია, ხელს უწყობდა დაპყრობით ომებსა და იმპერიულ მისწრაფებებს — მათი ნაციონალისტურ თუ რასისტულ საბურველში გახვევით. დღესდღეობით, ეს ცნება უფრო ეკონომიკური და პოლიტიკური ზეგავლენის გავრცელების მცდელობებთან დაკავშირებით მოიხმარება.

შედგებად მიღებული პლურალისტური პერსპექტივა იმგვარ შერეულ მოდელს გვთავაზობს, რომელიც ეროვნულ ხელისუფლებას კი აღიარებს, მაგრამ მიიჩნევს, რომ საერთაშორისო პოლიტიკას გაცილებით ფართო ინტერესთა სფეროები და ჯგუფები აყალიბებენ. სულ მცირე, რეალიზმში არსებული მთავარი აქცენტი სრულ საგარეო სუვერენიტეტზე, ამ შემთხვევაში უფრო მოკრძალებული — ავტონომიის ცნებით იცვლება. ანუ, ეს ნიშნავს რომ ვთქვათ, მწვანეთა მოძრაობა, პალესტინის განთავისუფლების პარტია, კოკა-კოლა, რომის კათოლიკური ეკლესია ისეთივე საერთაშორისო პოლიტიკური სუბიექტების სტატუსს იღებენ, როგორც ვთქვათ, საფრანგეთისა თუ არგენტინის სახელმწიფოებს აქვთ სინამდვილეში კი, დაბრკოლებებისა და შებოჭილობის ის რეჟიმი, რომელშიც ყველა სუბიექტი (სამთავრობო იქნება ეს, თუ არა-სამთავრობო) მოქმედებს, ნებისმიერ დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოძრაობას ამუხრუჭებს და ძალის გადანაწილების პლურალისტური მოდელი, კითხვის ნიშნის ქვეშ, სწორედ ავტონომიური მოქმედების გაგებას აყენებს. მაგალითად, ამ შეხედულებამ ელისონს (1971) შესაძლებლობა მისცა, 1962წ. კუბის კრიზისის განხილვისას, ვარაუდი გამოეთქვა რომ გადაწყვეტილებები უფრო ხშირად ბიუროკრატიულ-პოლიტიკურ კონტექსტში მიიღება და არა — ეროვნული ინტერესების “რაციონალურ” ძიებაში.

და ბოლოს, საერთაშორისო პოლიტიკისადმი პლურალისტური მიდგომის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, მისი მიერ ძალის პოლიტიკისა და ნაციონალური განდიდებისაგან თავის შორს დაჭერაა. ეს კი არა იმდენად იდეალისტური რწმენის აბსტრაქტულ პრინციპებში აისახება, რამდენადაც იმ დებულებაში, რომლის თანახმადაც, როცა ძალაუფლება ფართოდაა გადანაწილებული, ნებისმიერი მეტოქეობა, როგორც წესი, მარცხისათვისაა განწირული. საბოლოო ჯამში, პლურალისტები იმას ამტკიცებენ, სულ უფრო მეტად და მეტად ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში, თანამშრომლობისა და გაერთიანების ტენდენცია — ადრე თუ გვიან — უალტერნატივო გახდება.

მარქსიზმი

მარქსიზმი საერთაშორისო პოლიტიკის ისეთ პერსპექტივას გვთავაზობს, რომელიც საყოველთაოდ მიღებული ნიმუშებისგან მკაფიოდ განსხვავდება: საერთაშორისო კაპიტალის მნიშვნელობისა და ეკონომიკის ძალის ხაზგასმა კი ისაა, რაც მარქსისტულ მიდგომას გამორჩეულს ხდის. მართალია, მარქსი ძირითადად ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არსებული დაუძლეველი წინააღმდეგობის ანალიზით იყო დაკავებული, მის ნაშრომებში ერთაშორისი მომავალიცაა ნაგულისხმევი. ეს ნათლად გამოჩნდა მარქსის თვალსაზრისში, რომ “კლასობრივი ერთიანობა ეროვნულ მიჯნებს გადაფარავს” — რომელმაც, მოგვიანებით, მას შესაძლებლობა მისცა კომუნისტური პარტიის მანიფესტი (1848), ცნობილი

ლბენგით დაესრულებინა: “პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შე-
კრდიით”. სხვა სიტყვებით, მაშინ როცა ლიბერალი და რეალისტი
ფორტიკოსები ძალაუფლების შეველ მოდელს აღიარებენ და აქედან
გამომდინარე, მსოფლიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ყოფენ, მარქ-
სისტული ერთიან, ინტერნაციონალურ კლასზე დაფუძნებულ თარაზული
სურათტურის მქონე მოდელს გვთავაზობს. თუმცა, კაპიტალიზმის
საერთაშორისო სისტემად ჩამოყალიბების მნიშვნელობა ბოლომდე გააზრე-
ულ მაინც არ იყო, სანამ ლენინის “იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალ-
ისტული უშაღლესი სტადია” (1917) არ გამოქვეყნდა. ლენინის თქმით,
იმპერიალი ექსპანსია შედეგია კაპიტალიზმის სურვილისა, მოგების
დონოს შესანარჩუნებლად, ჭარბი კაპიტალის ექვეყნის საზღვრებს გარეთ
გაიტანოს და ამით განამტკიცოს საკუთარი გავლენა — რამაც თავის მხრივ,
საბუნძი სახელმწიფოები დააპირისპირა ერთმანეთთან. ასე რომ, I
მსოფლიო ომი იმპერიალისტურად უნდა ჩაითვალოს, რაკიდა აფრიკაში,
შანსა თუ სხვაგანაც ბრძოლები მხოლოდ კოლონიებზე კონტროლის
დასაფუძნისათვის მიმდინარეობდა.

თუმცა, თანამედროვე მარქსისტები, იგივე ნეო-მარქსისტები, კარ-
გად აცნობიერებენ კლასიკური მარქსისტ-ლენინისისტური მოდელის
საზღვრებებს: ერთი ის რომ, ადრეული მეოცე საუკუნის იმპერიალიზმი
— კაპიტალიზმის უშაღლესი (ანუ საბოლოო) სტადია არ აღმოჩნდა, და
მეორე: ნებისმიერი სახელმწიფო პოლიტიკა, როგორც მხოლოდ კაპიტალ-
ისტური ინტერესების ასახვა — საფუძველს მოკლებულ ვარაუდად დარჩა.
შროლავ, რადგან ისინი სახელმწიფოს მხოლოდ “შეფარდებით ავტო-
ნომიურობას” აღიარებენ, ნეო-მარქსისტული თეორია დიდწილად
შუახლოვდა კიდევ იმ პლურალისტურ თვალთახედვას, რომ მსოფლიო
რეკაზე გავლენას სხვადასხვა (ეთნიკური, ეროვნული, საერთაშორისო)
სუბიექტები ინაწილებენ. მაშინ როცა კლასიკური მარქსიზმი აქცენტს
მხოლოდ კაპიტალისტური ქვეყნების მეტოქეობაზე აკეთებდა, XX
საუკუნის ნეო-მარქსიზმი ყურადღებას გლობალური კაპიტალისტური
სისტემის განვითარებას აქცევს, და მისი განმასხვავებელი ნიშანიც სწორედ
ესაა.

ნეო-მარქსისტული შეხედულებით, ამ სისტემის მთავარი
ძახასიათებელი — ე.წ. ზე-ეროვნული ჯგუფების ჩამოყალიბებით კლასო-
ბრი ინტერესების საერთაშორისო დონეზე გადატანაა. ასეთი ჯგუფები
რათუ მთავარი მოთამაშის სტატუსს ართმევენ დამოუკიდებელ სახ-
ელმწიფოებს, თავად ამ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზა-
ციებს — გლობალური კაპიტალიზმის გრძელვადიანი ინტერესების
დასაცავად — საკუთარი გავლენისა თუ შემოქმედების საშუალებებად
აქცევენ. ნეო-მარქსისტებს მიაჩნიათ, რომ წარმოებისა და გაცვლა-
ვაშოცვლის თანამედროვე მეთოდებმა მსოფლიო “ცენტრალურ” და “პერ-
ფერიულ” რეგიონებად დაყო. ცენტრალური რეგიონები — ეთქვამთ,
განვითარებული ჩრდილოეთი — ტექნოლოგიური სიახლეებითა და ინვეს-
ტიციების გარანტირებული მაღალი დონით სარგებლობს, პერიფერიული,
ანუ — ნაკლებად განვითარებული სამხრეთი კი იაფ მუშახელს უზრუნველყ-

“ცივი ომე

ცნება 1944წ-იქნა შემოღებული და იმ მდგომარეობას აღნიშნავდა, როცა დაპირისპირებული ქვეყნები თუ ქვეყანათა ჯგუფები ნამდვილი ომის ზღვარზე იმყოფებოდნენ გარკვეული დროის პერიოდში. ეს ძირითადად, კაპიტალისტური და სოციალისტური ბლოკების ქვეყნებს მოიცავდა — ა.შ.შ.-სა და სსრკ-ს ლიდერობით. პრეზიდენტ რიგანის დროს ამერიკის სამხედრო ტექნოლოგიების განვითარებამ, ზოგიერთის აზრით, ე.წ. “II ცივი ომი” (1981-90წწ.) გამოიწვია, რაც საბჭოთა კავშირის დაშლით დამთავრდა.

ოფს, მაშინ როცა თავად ფულად დახმარებაზე დამოკიდებული. ასეთი გლობალური შეუსაბამისობები რეგიონულ დონეზე — ნაციონალურ ეკონომიკაზეც აისახება და თუ ცენტრალური რეგიონები გლობალურ ეკონომიკურ პროცესებშია ჩართული, პერიფერიები პირიქით — განცალკევებულია და ხშირად ეთნიკური ნაციონალიზმის გამოხდომებისთვისაა განწირული. აქედან გამომდინარე, სრული ეკონომიკური გლობალიზაციის შემთხვევაში, ეროვნული სახელმწიფოების მსოფლიო რუკიდან წაშლაც გარდაუვალია.

XXI საუკუნის მსოფლიო წესრიგი

ორპოლუსიანობიდან — ერთპოლუსიანობამდე

1989 წლის 9 ნოემბერს, აღმოსავლეთ გერმანიის მოზიემი დემონსტრანტები ბერლინის კედელს შემოერთებენ და ცივი ომის ეპოქის მთავარ სიმბოლოდ ქცეული ნაგებობის განადგურებას შეუდგნენ. 1990 წლის გაზაფხულზე კი, კუვეიტის კრიზისისას, როცა ერაყის წინააღმდეგ საერთაშორისო ალიანსი შეიქმნა, ა.შ.შ.-ს პრეზიდენტმა ბუშმა “ახალი მსოფლიო წესრიგის” ჩამოყალიბება გვამცნო. 1990 წლის ნოემბერში, ვარშავის პაქტისა და ნატო-ს წარმომადგენლები — აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირების მთავარი სამხედრო მოთამაშეები — პარიზში შეიკრიბნენ, რათა მტრობის დასასრული უკვე ოფიციალურად გაეფორმებინათ. თუმცა კი, საერთოდ რამ გამოიწვია ცივი ომის დაწყება? და რა მოიტანა მისმა დასრულებამ? ვინ გაიმარჯვა ამ ომში? და რა კავშირი ჰქონდა მის დასასრულს მსოფლიო წესრიგის შეცვლასთან?

ცივი ომის წარმოშობაზე დავა-კამათს ისევ იმ იდეოლოგიურ დაპირისპირებასთან მიეყვართ, რაც მთელს ეპოქას ფონად გასდევდა. ტრადიციული, ასე ვთქვათ, “ორთოდოქსული” განმარტება ბრალს საბჭოთა კავშირს სდებს. საბჭოელების მიერ აღმოსავლეთ ევროპის მისაკუთრება აღიქმება როგორც რუსების ძირძველი იმპერიული ამბიციების გამოხატულება, რომელსაც ახალი ბიძგი მარქსისტ-ლენინისტურმა დოქტრინამ მისცა. თუმცა, მოგვიანებით გებრიელ კოლკომ (1988) და ზოგმა სხვაგვარად გადასინჯული პოზიციები გაამჟღავნეს. კოლკომ საბჭოელთა პოლიტიკა შეაფასა, როგორც თავდაცვითი — და არა აგრესიული; იგი ყურადღებას ამაერიკელების ექსპანსიონისტურ პოლიტიკასაც უთმობდა. ამ შეხედულების მიხედვით, ა.შ.შ.-ს პოლიტიკის მიზანი საყოველთაო ამერიკული მშვიდობის (Pax Americana) დამყარება იყო.

რომელიც მსოფლიო ბაზარზე ამერიკული კაპიტალიზმისათვის ყველა კერს ხსნიდა. მოგვიანებით, ერთგვარი “პოსტ-რევიზიონისტული” თეორიებიც ჩამოყალიბდა, რომლებიც ორივე ზესახელმწიფოს ჰეგემონურ ამბიციებს აღიარებენ, და ამტკიცებენ — ორი **ზესახელმწიფოს** გამოჩენამ პოლიტიკა გარდაუვალი დაძაბულობასა და მეტოქეობის რეჟიმში გადაიყვანაო. აქედან გამომდინარე, **ბიპოლარული** მსოფლიო წესრიგი მოსალოდნელი მტრობისათვის წინასწარ იყო განწირული, და ეს მტრობა ძალის ბალანსით უნდა შეკავებულიყო.

ცივი ომის დასასრული ისეთივე საკამათო თემაა, როგორიც მისი წარმოშობა. ერთ-ერთი ვერსია ცივი ომის დასრულებას რონალ რიგანს მიაწერს, მის მიერ 1980 წლების დასაწყისში ა.შ.შ.-ს სამხედრო პოტენციალის განახლება-გაფართოებას. საბჭოთა კავშირი ძალაუნებურად სამხედრო რბოლაში ჩაება, მისი გეგმიური ეკონომიკა კი ამას ვეღარ უძლებდა. სწორედ ამგვარი ხედვა დამუშავდა ფრენსის ფუკუიამას (1992) წიგნში. მიერ. ფუკუიამას გახმაურებული წიგნი — “ისტორიის დასასრული” დასაუღეს, კერძოდ ა.შ.შ.-ს თვლის საბოლოოდ გამარჯვებულად, იქიდან გამომდინარე, რომ მხოლოდ ამერიკული სტილის ლიბერალური დემოკრატია გვთავაზობს სიცოცხლისუნარიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემას.

სხვა ვერსიების მიხედვით, უფრო დიდი მნიშვნელობა საბჭოთა ცენტრალური სისტემის მოუქნელობას, დროული რეფორმების დაგვიანებას, დასავლური სტილის პოლიტიკურ თავისუფლებასა თუ სამომხმარებლო საქონელზე მზარდი მოთხოვნის უკმაყოფილებას ენიჭება — ეს ის მიზეზებია, რომლებმაც საბჭოთა და აღმოსავლეთი ევროპის სხვა კომუნისტური რეჟიმების ლეგიტიმურობა ეჭქვეშ დააყენა. 1985 წლიდან წამოწყებულია გორბაჩოვის რეფორმებმა, კომუნისტური პარტიის შესუსტებით, გზა გაუხსნა იმ ძალებს, რომლებმაც 1991 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლას ჩაუყარეს საფუძველი.

ცივი ომის დასასრული — გარდამავალი პერიოდი მსოფლიო ისტორიაში, რომელსაც კაპიტალიზმისა და კომუნისტური იდეოლოგიური ბრძოლა ფონად გასდევდა. ფილიპ ბობიტის (2002) აზრით, როგორც იქნა დასრულდა ხანგრძლივი “ომი ეროვნულ სახელმწიფოებს შორის”, რომელიც 1914-დან 1990-მდე გრძელდებოდა. სინამდვილეში, ეს ‘ომი’ იყო ბრძოლა ფაშიზმს, კომუნისტურ და ლიბერალურ პარლამენტარიზმს შორის, ერი-სახელმწიფოს კონსტიტუციური სტრუქტურის დასადგენად, რომელშიც საბოლოოდ პარლამენტარიზმმა გაიმარჯვა. კვლავ გლობალურ კრიზისში, როგორც კუპერის (2004) აზრით, 1989 წელი იმ ევროპული სახელმწიფო სისტემის დასასრულით აღინიშნა, რომელიც 1648 წლის ვესტფალიის ზავიდან მოყოლებული არსებობდა. მსოფლიო წესრიგის პერსპექტივიდან კი, ცივი ომის დამთავრება მოჩანს როგორც “**უნიპოლარული** ფაქტორი”, სუპერძალების ბიპოლარულობის დასასრული, და ახალი მსოფლიოს დაბადება, რომელშიც ა.შ.შ.-ს ერთადერთი სუპერძალის —

ექსპანსიონიზმი:

ტერიტორიული გაფართოების მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესია.

ზესახელმწიფო:

ჩვეულებრივ, ძლიერ სახელმწიფოზე უფრო გავლენიანი ქვეყანა, რომელსაც გლობალური ინტერესები, დიდი სამხედრო პოტენციალი და საკუთარი იდეოლოგიური უპირატესობის რწმენა ახასიათებს.

ბიპოლარულობა:

საერთაშორისო სისტემის ტენდენცია, დაჯგუფდეს ორი პოლუსის (ძირითადი სამხედრო ბლოკების) ირგვლივ; ამგვარი ორპოლუსიანობა მსოფლიოში წინასწორობასა და სტაბილურობას გულისხმობს.

უნიპოლარულობა:

საერთაშორისო სისტემა, სადაც გავლენის ერთი პოლუსია გამოკვეთილი, ანუ — ერთი **ზემძლავრი** სახელმწიფო დომინირებს.

7. გლობალური პოლიტიკა

“ზემპლავრი სახელმწიფოს” ანუ “მსოფლიო ჰეგემონის” პოზიცია უჭირავს. თუმცა, ამ ერთპოლუსიანი მსოფლიო წყობის ნიშნები მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ ჩამოყალიბდა.

ცივი ომის შემდგომ პერიოდს ახალი მსოფლიო წესრიგის მოლოდინი ახლდა თან. მაშინ როცა ცივი ომი იდეოლოგიურ კონფლიქტებსა და გარე საფრთხის დაბალანსებაზე იყო დამყარებული, ზესახელმწიფოების მტრობის დასრულებამ, საერთაშორისო სტანდარტებსა და მორალის ნორმებზე დაფუძნებულ “ლიბერალური მშვიდობის” დამყარებას გაუხსნა გზა. ამ ახალი მსოფლიო წესრიგის საფუძვლები შემდეგია: კონფლიქტების გადაჭრის მხოლოდ მშვიდობიანი გზის აღიარება, წინააღმდეგობის გაწევა აგრესიისა და ექსპანიზიონიზმისადმი, საბრძოლო არსენალის შემცირება და კონტროლი, ადამიანის უფლებების პატივისცემა და მოსახლეობისათვის სამართლიანი მოპყრობის გარანტიის მიცემა. აღსანიშნავია, რომ ცივი ომის შემდგომმა მსოფლიო წესრიგმა თავისი პირველი სერიოზული გამოცდები შედარებით ადვილად ჩააბარა. 1990 წელს ერაყის მიერ კუვეითის ანექსიამ ფართო დასავლურ-ისლამისტური

საყურადღებოდ:

ჰუმანიტარული ჩარევა

ესაა სამხედრო ჩარევის ის ფორმა, რომელიც ჰუმანურ და არა სტრატეგიულ მიზნებს ისახავს. ამგვარი ჩარევის შემთხვევების განშირება იმიტაცა გამოწვეული, რომ სულ უფრო ფართოდ გრცელდება ადამიანის უფლებების მსგავსი ზოგადსაკაცობრიო დოქტრინები და საომარი მოქმედებების ამგვარი მხარდაჭერაც მხოლოდ ზნეობრივი მოსაზრებების არსებობის დროსაა შესაძლებელი.

ჰუმანიტარული ჩარევა გამართლებულია შემდეგ შემთხვევებში:

როცა უხეშად ირღვევა ადამიანთა უფლებები (ნადგურდება ან იღვევება დაუცველი ხალხის დიდი რაოდენობა)
როცა მსგავსი დარღვევები მეზობელი სახელმწიფოების უსაფრთხოებასაც ემუქრება

როცა დემოკრატიის არარსებობა ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპს არღვევს

როცა ყველა დიპლომატიური საშუალება ამოწურულია და ჩარევა ჩაურევლობაზე ნაკლებ დანაშაულად მოჩანს.

თუმცა, ჰუმანიტარული ჩარევის მოწინააღმდეგეები სხვა მომენტებზეც ამახვილებენ ყურადღებას:

ზემპლავრი სახელმწიფო:
სახელმწიფო, რომელსაც მის ნებისმიერ პოტენციურ მეტოქესთან შედარებით, გაცილებით დიდი ძალა გააჩნია.

სახელმწიფოს სუვერენიტეტის ნებისმიერი ხელყოფა მსოფლიო წესრიგის დადგენილ წესებს არღვევს
ზოგადად ყველა აგრესია ჰუმანიტარული მოსაზრებებით მართლდება ხოლმე (პიტლერისა თუ მუსოლინის მაგალითების ჩათვლით)
სამხედრო ჩარევა არაოთხ აუმიჯობებს, როგორც წესი, აუარესებს საქმეს და მონაწილე მხარეებსაც დიდი ხნით ითრევს კონფლიქტში.

ლანსის შექმნა გამოიწვია, რომელმაც 1991 წლის სპარსეთის ყურის
მის დროს ერაყის ძალების სრული განადგურება მოახერხა.
საერთაშორისო ურთიერთობებში გაჩნდა ახალი ზნეობრივი ცნობიერება,
რომელიც აშკარად აისახა “კომუნიტარული ჩარევის” პოლიტიკაში, უფრო
კონკრეტულად, ნატო-ს მიერ განხორციელებულ საპარეო დაბომბვის
პრაქტიკაში, რომელმაც 1999 წელს კოსოვოს მხარე სერბი სამხედროების
განჯაბავისუფლა.

ამის მიუხედავად, ცივი ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის
დინამიკური განმარტებებიც გამოჩნდა. ზოგიერთი მათგანი უკვე არა
მსოფლიო წესრიგის, არამედ მსოფლიო უწესრიგობის ჩამოყალიბებას
განცნობდა. ამის ერთი მიზეზთაგანი, ცივი ომის პერიოდისათვის
დამახასიათებელი დაძაბულობის განცდისა და სიფრთხილის გრძნობის
ბოლოა. უკიდურესი საფრთხის (საერთაშორისო კომუნიზმი იქნებოდა ეს
თუ კაპიტალიზმის თავს მოხვევა) სურათის შენარჩუნებით, ცივი ომი –
ერთი გამთლიანებას უწყობდა ხელს და საერთო მიზანსაც უჩენდა საზოგადოებას.
ამ საფრთხის გაქრობამ სხვა სახის აგრესიის აღმოცენება გამოიწვია,
რომელიც როგორც წესი, ეთნიკური, რასისტული, ან რელიგიური
დაპირისპირებების სახეს იღებდა. მოვლენების ასეთი განვითარება
განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც
1990-იან წლებში სერბების, ხორვატებისა და ყოფილი იუგოსლავიელი
ბოსნიელების სისხლიან დაპირისპირებას შეესწრო. ასევე აღსანიშნავია
1994 წელს დაწყებული ომი რუსეთსა და სეპარატისტულ ჩეჩნეთს შორის.
სამართალსა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული წესრიგის
დაპირისპირობა, კოსოვოს კრიზისამდე საერთაშორისო საზოგადოება
შეიძადად უცქერდა, როგორ გააჩაღეს სერბებმა ყოფილ იუგოსლავიაში
განაშაულებრივი, II მსოფლიო ომის ტიპის, გენოციდის პოლიტიკაზე
დაფუძნებული ომი.

სხვა ანალიტიკოსებმა, განსაკუთრებით, რეალისტური სკოლის
წარმომადგენლებმა, ერთპოლუსიანი სისტემის შესახებ თავიანთი
შეფასება გააჩნდნენ. ცივი ომის ორპოლუსიანი სისტემა, გარდაუვალი
ურთიერთ-განადგურების (MAD) მდგომარეობიდან გამომდინარე, დაბალ-
ანხებისა და სტაბილურობისკენ იხრებოდა, ერთპოლუსიანი კი ქაოტური,
რასტაბილური სიტუაციის წინაპირობაა: როცა ერთადერთი ზემოქმადრი
სახელმწიფო არსებობს, იგი პირველ რიგში უნდობლობასა და გაღი-
ხანებას იწვევს სხვა ქვეყნებში. პოტენციურად, მას შეუძლია არაფრად
საგდოს ის მრავალმხრივი ბერკეტები, რომლებიც ზოგადად სახელმწიფოს
პოქმედების თავისუფლებას ზღუდავენ. ეს ყველაფერი კარგად გამოჩნდა
2000 წელს ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობიდან დაწყებულ ა.შ.შ.-ს უნილატ-
ერალისტულ საგარეო პოლიტიკაში. თუმცა, 2001 წლის 11 სექტემბრის –
ანუ, როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ – 9/11-ის მოვლენებმა
წინაშეწოდებულ შეცვალა ა.შ.შ.-ს საგარეო პოლიტიკის მიმართულება და
შედეგად გამომდინარე, წესრიგის წონასწორობაც მსოფ-ლიოში.

გენოციდი: მასობრივი
მკვლელობების, იძულებით
გადასახლების, ხელოვნურად
დამშვივებისა თუ სტერილი-
ზაციის გზით ხალხის
განადგურება ეროვნული,
რასობრივი, ეთნიკური ან
რელიგიური ნიშნით.

**გარდაუვალი
ურთიერთგანადგურება:**
მდგომარეობა, როცა ორ
დაპირისპირებულ სახ-
ელმწიფოდან თითოეულს
მეორის გასანადგურებლად
საკმარისი ბირთვული ძალა
გააჩნია – იმის მიუხედავად,
პირველი ვინ გამოიყენებს
მას.

უნილატერალიზმი:
ცალმხრიობა; პოლიტიკური
კურსი, რომელსაც ერთი
სახელმწიფოს ინტერესები
და მიზნები განსაზღვრავს და
მათ ვერც ერთი სხვა ქვეყანა
თუ ორგანიზაცია ვერ
ზღუდავს.

“ომი ტერორიზმთან”

2001 წლის 11 სექტემბერს, 4 გატაცებული თვითმფრინავის გამოყენებით, ა.შ.შ.-ს წინააღმდეგ და მისსავე ტერიტორიაზე, კორდინირებული ტერორისტული შეტევების სერია განხორციელდა. ორი გიგანტური ავიალაინერი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორ ცათამბჯენს – ე.წ. “ტყუპებს” შეეჯახა ნიუ-იორკში, და მთლიანად გაანადგურა; მესამე – ვაშინგტონში, პენტაგონის – თავდაცვის დეპარტამენტის შენობას დაეცა; მეოთხე კი პიტსბურგის მიდამოებში, მინდორში ჩამოვარდა, თუმცა მისი საბოლოო დანიშნულების ადგილი თეთრი სახლი იყო. ტერორისტულმა შეტევამ ჯამში დაახლოებით 3000 კაცი იმსხვერპლა. 2001 წლის ოქტომბერში გავრცელებულ ვიდეო-ფირში თავდასხმაზე პასუხიმგებლობა აღ-ქაიდას ლიდერმა, ოსამა ბინ ლადენმა აიღო და საკუთარ მომხრეებს “ისლამის გუშაგები” უწოდა. დაუხანებლად, პრეზიდენტმა ბუშმა საომარი მდგომარეობა გამოაცხადა, თავად ეს ომი კი მონათლა როგორც “ომი ტერორიზმთან”. ბერესათვის, 9/11 მსოფლიო ისტორიაში გადამწყვეტი მომენტი გახდა: ეტაპი, როცა ცივი ომის შემდგომი პერიოდის ნამდვილი ბუნება გამოჩნდა, და საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოში მოულოდნელობით სავსე, დაპირისპირებისა და არასტაბილურობის ხანას. მეორეს მხრივ, შესაძლოა 9/11-ის მნიშვნელობა გაზვიადებულიც იყოს. როგორც რობერტ კაგანმა (2004) თქვა, “ამერიკა არ შეცვლილა 11 სექტემბერს – უბრალოდ, უფრო მეტად თავკერძა გახდა”.

გლობალური ტერორიზმისა და ტერორის წინააღმდეგ ომის ხასიათის ასახსნელად მრავალი თეორია ჩამოყალიბდა. ყველაზე გავლენიანი და ფართოდ განხილული სემუელ ჰანთინგტონის “ცივილიზაციათა შეხლაა”. ჰანთინგტონი ამტკიცებდა, რომ XXI საუკუნის კონფლიქტები “განსხვავებულ ცივილიზაციებთან” – კულტურული, და არა ეკონომიკური ან იდეოლოგიური ხასიათის მატარებელი იქნებოდა; ხოლო ძირითადი ცივილიზაციები (დასავლური, ჩინური, იაპონური, ჰინდუ, მაჰმადიანური, ბუდისტური, ლათინო-ამერიკული, და ორთოდოქსულ-ქრისტიანული),

საყურადღებოდ:

“ომი ტერორიზმთან”

ესაა აშშ-სა და მისი მთავარი მიკავშირეების მცდელობა, აღმოაჩინონ და გაანადგურონ საერთაშორისო ტერორიზმში მხილებული დაჯგუფებები და ორგანიზაციები. 9/11 მოვლენების შედეგად არჩეული ეს გრძელვადიანი სტრატეგია მიზნად ისახავს ის ისტორიულად ახალი საფრთხეები გააუ-ენებელყოს, რასაც კაცობრიობას და XXI საუკ. მსოფლიო წესრიგს უქმნის არასახელმწიფოებრივი დამოუკიდებელი ტერორისტული დაჯგუფებები, ე.წ. “სარისკო” ქვეყნები, მასიური განადგურების იარაღის წარმოება, თუ რადიკალური ისლამის აგრესიული თეორიები. ოღონდ ბევრი ეჭვობს, რამ-დენად შესაძლოა ომის წარმოება თავისთავად საკმაოდ ბუნდოვანი და აბსტრაქტული ცნების წინააღმდეგ.

გლობალიზაციის საპასუხოდ, მსოფლიო პოლიტიკაში მთავარი მოამაშეები გახდებოდნენ. ამგვარი ანალიზი სრულიად უპირისპირდება "სტორიის დასასრულს" თეორიის მომხრეთა, ასე ვთქვათ, "გულუ-სნიველო" მოლოდინს, რომ პოლიტ-კულტურული განსხვავებები საბო-ლოდ გაქრებოდა, მთელი მსოფლიო კი ლიბერალ-დემოკრატიული ღირებულებებისა და სისტემების გარშემო შეიკრებოდა. იქნებ ამიტომაც, პანინგტონის თეზისი კრიტიკას ვერ გადაურჩა და უმთავრესი აქ ისაა, რომ იგი გლობალიზაციისა და სხვა ძალების უკვე მიღწეულ შედეგს – მსოფლიოს დიდ ნაწილში კულტურული განსხვავებების გაბუნდოვნებას, არ ენობს. მაგალითად, ცნებები "ისლამური" და "დასავლური" ცივილიზა-ცია ვერ ახერხებენ ამ "ცივილიზაციებში" არსებული პოლიტიკური, კულ-ტურული თუ სოციალური განსხვავებების, ან თუნდაც, ისლამისა და დასავლეთის ერთი-მეორეზე გაყვანის ასახვას. უფრო მეტიც, საეჭვოა კუბური კულტურულ განსხვავებებსა და პოლიტიკურ ანტაგონიზმს შორის – იმების უმეტესი ნაწილი სწორედ ერთი და იგივე ცივილიზაციის ქვეყნებს შორის ხდება. და ბოლოს, კონფლიქტი ცივილიზაციებს შორის, არსებული ეკონომიკური თუ პოლიტიკური უსამართლობის გამომხატველება უფრო იქნება. ვიდრე მტრობა კულტურებს შორის. მაგალითად, მეგრძოლი ძალადის აღზევება, კოლონიალიზმის გადმონაშთებით, ისრაელ-პალესტინ-ის კონფლიქტით, ნავთობით მდიდარი ავტოკრატიული რეჟიმების არსებობით, უმუშევრობითა და სიღარიბით უფრო აიხსნება, ვიდრე ქრის-ტიანული და მაჰმადიანური ღირებულებების შეუთავსებლობით.

ალტერნატიული განმარტებები უფრო დიდ ყურადღებას მსოფლიო წესრიგში მომხდარ ცვლილებებს უთმობს. რობერტ კუპერის (2004) მიხედვით, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებულმა დანარჩენებმა გზა ახალ, 3 ნაწილად დაყოფილ მსოფლიოს გაუხსნა და ახლა ვ.წ. "თანამედროვეობამდელ" მსოფლიოში – უწესრიგობა და ქაოსი იკონსოვს. კუპერი იმ პოსტ-კოლონიურ ქვეყნებს გულისხმობს, რომლებმაც ვერ პოლიტიკური სტაბილურობით იხიერეს, და ვერც ეკონომიკური განვითარებით — სომალი, ავღანეთი და ლიბერია ისეთივე სუსტ, ფაქტიუ-რად არსებდნენ, ანუ — "სარისკო" ქვეყნებად დარჩნენ.

დანარჩენ — "გათანამედროვეებულ" მსოფლიოში კი სახელმწიფოე-ბის მათა გადანაწილების პრინციპს ეყრდნობა — ერთი ქვეყნის მთავრობებსა და ამბიციებს, მეორის შესაძლებლობები აბალანსებს. აქ კუპერი ძირითადად ევროპასა და ევრო-კავშირს გულისხმობს, სადაც უკვე იქნეს ომსა და ძალის პოლიტიკაზე, უსაფრთხოების მთავარ გარან-ტიას მრავალმხრივი ხელშეკრულებები, საერთაშორისო სამართალი, და სახელმწიფოებრივი მმართველობა აღიარეს. თუმცა, მსოფლიო წეს-რიგის ასეთი ხელვა ახალ გამოწვევებსა და საფრთხეებსაც ქმნის. გაჩნდა უკვე ფაქტორი — მასობრივი განადგურების იარაღი (WMD), რომე-რით "თანამედროვეობამდელ" სამყაროში შესაძლებელია რომელიმე "სარისკო" სახელმწიფოს, ან გარეშე ტერორისტულ დაჯგუფებას ჩაუვარ-დოს ხელმა. შემფოთება ბირთვული იარაღის გავრცელების საფრთხის

სარისკო სახელმწიფოები: ის ქვეყნები, რომელთა საგარეო პოლიტიკაც საფრთხეს უქმ-ნის უშუალო მეზობელ თუ სხვა სახელმწიფოებს — აგრესიულობის, მოლი-ტარისტული სულისკვეთებისა თუ ტერორ-იზმისაკენ მიდრეკილების გამო.

მასობრივი განადგურების იარაღი: განსაკუთრებული, არა ჩვეული შეიარაღების არსენალი (ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური თუ რადიოლოგიური).



სემუელ პ. ჰანიჩიონი (დაბ. 1927)
ამერიკელი მეცნიერი და პოლიტიკის
თეორეტიკოსი. დიდი წვლილი შეიტანა
პოლიტიკური ანალიზის დარგის
განვითარებაში; მისი საყოველთაოდ ცნო-
ბილ ნაშრომში — *“ცივილიზაციათა
შეხლა და მსოფლიო წესრიგი”* (1996)
წამოაყენა დებულება, რომ XXI
საუკუნეში მსოფლიოს უმთავრეს
ცივილიზაციათა

შორის დაპირისპირება უცილობლად
ომებსა და საერთაშორისო არეულობამდე
მიგვიყვანს.

თაობაზეც, მით უმეტეს როცა ე.წ. “ბირთვული კლუბის” ხუთეულს (ა.შ.შ.,
რუსეთი, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და ჩინეთი) 4 ახალი წევრი
— ინდოეთი, პაკისტანი, ისრაელი და ჩრ. კორეა უერთდება. მიუხედავად
იმისა, რომ ვეროპა „მშვიდ ზონად” რჩება, მის გარეთ ხიფათი და ქაოსი
სუფევს, “სარისკო” ქვეყნების არასტაბილურობა კი საფრთხეს როგორც
“თანამედროვე” ისე “თანამედროვეობამდელ” სამყაროს უქმნის.

ასეთი ანალიზი, დიდწილად ემთხვევა ნეოკონსერვატორული ხედ-
ვის მთავარ საკითხებს — იმ იდეებს, რომლებსაც 9/11-ის მომდევნო წლებში
ბუშის ადმინისტრაციაზე ჰქონდათ გავლენა, და რაც 2002 წლის ივნისში,
ე.წ. “ბუშის დოქტრინაში” აისახა. ნეოკონსერვატიზმის მთავარი საყრდენი
საგარეო პოლიტიკაში იმგვარი სტრატეგიის შექმნა იყო, რომელიც ა.შ.შ.-
ს საშუალებას მისცემდა, ცივი ომის დასრულებით მიღებული საყოველთაო
გავლენა და ძალა — სათავისოდ გამოეყენებინა. ეს კი, პირველ რიგში,
ამერიკის “კეთილმოსურნე გლობალური ჰეგემონიის” (კრისტოლი და
კაგანი, 2004) კიდევ უფრო გაძლიერებას და გამყარებას ნიშნავდა. ამგვარი
ჰეგემონიის შენარჩუნება 3 მთავარ საკითხზე აგებული “ახალი ტიპის”
იმპერიალიზმით უნდა მომხდარიყო: 1) ამერიკელებს უძლიერესი,
უკონკურენტო სამხედრო ძალა უნდა შეექმნათ, როგორც მტრის აგრესიის
შეკავების, ასევე ზეგავლენის არეალის გაზრდისთვისაც. კამპანია ბუშის
არჩევისთანავე დაიწყო, მაგრამ 9/11-ს შემდეგ განსაკუთრებით დაჩქარდა.
2007 წლისათვის, ა.შ.შ.-ს სამხედრო ბიუჯეტი თითქმის მთელი
მსოფლიოს სამხედრო დანახარჯის ნახევარს უტოლდება; 2) ნეო-კონსერ-
ვატიზმში გარეკვეულწილად უილსონისტურ ინტერნაციონალიზმსაც ყრდ-
ნობა — რწმენას, რომ დემოკრატია ომისა და აგრესიის საუკეთესო
წამალია და ამერიკული სტილის დემოკრატიის საყოველთაო გავრცელებას
ნიშნავს; 3) ნეო-კონსერვატორები მკაცრ საერთაშორისო პოლიტიკას
ლობობენ, რომელიც ლიბერალური-დემოკრატიული მმართველობის
უზრუნველსაყოფად, “რეჟიმის შეცვლას”, თუ საჭირო გახდა, არც სამხე-
დრო ჩარევით გამოირიცხავს. თუმცა, ყველაზე საკამათო საკითხი, ე.წ.
“შემაკავებელი დარტყმის” სტრატეგიის არჩევა გახდა.

9/11-ის შემდეგ, ტერორისტების წინააღმდეგ ომისადმი ა.შ.შ.-ს
მიდგომამ მალევე მიიღო ის ფორმა, რაც ბუშის დოქტრინაში იყო დასახ-

შუშაკაგებელი დარტყმა

სამხედრო ქმედება, რაც მოსალოდნელი აგრესიის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად. გარკვეულწილად, ესაა აქტიური თავდაცვა – წინასწარი თავდასხმის გზით. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოიკვეთა XX საუკუნის 90-იანი წწ., როცა სულ უფრო იმატა “სარისკო” ქვეყნების ვალუტისწინებელი ქმედებებისა და ტერორიზმის საფრთხემ. თუმცა, კლასიკური განზრახვითა მიუხედავად, მსგავსი ტიპის ოპერაციების მხარდაჭერა არც თუ იხე იხილი მოსაპოვებელია სამინიო თუ საერთაშორისო საპარეზზე.

უღი. პირველი მოქმედება ავღანეთზე სამხედრო იერიში იყო, რასაც სულ რამდენიმე კვირაში თალიბანის რეჟიმის ჩამოგდება მოჰყვა. 2002 წლის ანარში, პრეზიდენტმა ბუშმა ერაყს, ირანს და ჩრკორეას “ბოროტების ღრში” უწოდა. მოგვიანებით ამ სიას კუბა, სირია, და ლიბიაც დაემატა, მაგრამ ცხადი ხდებოდა ერთი რამ – ადმინისტრაციის შემდეგი მთავარი მიზანი, ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის “გამოცლა” იყო. შედეგად ვლუბულობთ 2003 წლის ერაყის ომს, რომელშიც ა.შ.შ. და გაერთიანებული კოალიცია იბრძოდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი მიზანი – სადამ ჰუსეინის ჩამოგდება და მისი რეჟიმის შეცვლა – მალევე შესრულდა, ერაყის ომი ბევრად უფრო პრობლემატური და გაწელილი აღმოჩნდა, უდრე სასურველი იყო. ერაყში, ისევე როგორც ავღანეთში, ადრეული მნიშვნელოვანი გამარჯვებების მიუხედავად, ამერიკა და მისი მოკავშირეები ძალაუვნებურად პარტიზანულ ომში ჩაერთვნენ, რომელშიც მეამბოხე შტერი – ტერორისტული შეტევებით, ხელნაკეთი ბომბებითა და თანამედროვე კამიკაძებით დაუპირისპირდა უპირატეს ამერიკულ ძალას. მიზანი – ერაყის, და შორეულ პერსპექტივაში მთელი არაბული სამყაროს განახლება-დემოკრატიზაცია – თითქმის შეუსრულებადი აღმოჩნდა. ისტორიული მტრობა შიიტ არაბებსა (რომელთაც მხარს ირანი უჭერს) და სუნიტ (როგორც წესი, ბათისტურ რეჟიმთან და მეზობლ ისლამისტებთან დაკავშირებულ არაბებს) შორის, ქვეყანას მოსალოდნელი სამოქალაქო ომისა და დანაწილების საფრთხის ქვეშ ამყოფებს. 2004 წელს, პრეზიდენტ ბუშის მეორედ არჩევის მიუხედავად, ამერიკელებმა, შეიძლება ითქვას, დისტანცირება იწყეს ნეო-კონსერვატორული საგარეო სტრატეგიისაგან, და ეს პროცესი განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც ბუშის რუსუბლიკურმა პარტიამ 2006 წლის ნოემბრის არჩევნების შემდეგ, კონგრესზე კონტროლი დაკარგა.

ბუშის ადმინისტრაციის საბრძოლო სტრატეგიის კრიტიკოსებმა რამდენიმე ბრალდება წამოაყენეს. კონკრეტულად, არასრულფასოვანი ტაქტიკა, ომის დასაწყისში გაწვეული ჯარისკაცების არასაკმარისი რაოდენობა, და დასახული მიზნების შეუსრულებლობის შემთხვევაში – გამოსასვლელი გზის არქონა. განსაკუთრებული ყურადღება სამ პრობლემას ეთმობა: 1) ამერიკელებმა თავიანთი სამხედრო ძალის ეფექტურობა

7. გლობალური პოლიტიკა

ჭარბად შეაფასეს: ვიეტნამის მსგავსად ერაყშიც დამტკიცდა – მრავალრიცხოვანი, კარგად აღჭურვილი და ძლევამოსილი მტრის წინააღმდეგ, პარტიზანული ტაქტიკა ამართლებს და ძალიანაც მომგებიანია; ამის გარდა, სამხედრო ძალის გამოყენებამ, ამერიკული გავლენა პირიქით – შეასუსტა, ახლო აღმოსავლეთში რეპუტაცია შეულახა და მაჰმადიანური სამყაროს ზომიერი ნაწილის პოზიცია სრულიად შეარყია. გარკვეულწილად, იმის საფრთხეც კი გაჩნდა, რომ ა.შ.შ. ზუსტად ისეთ ექსტრემისტულ პოლიტიკას წამოიწყებდა, რისი განადგურებაც დაისახა მიზნად. 2) სტაბილური დემოკრატიული ინსტიტუტები, როგორც წესი, არსებულ დემოკრატიულ კულტურას ეყრდნობა და სოციო-ეკონომიკური განვითარების ხარისხით გამოირჩევა – ამის არ გათვალისწინება და დემოკრატიის ძალით “თავს მოხვევის” სტრატეგია, რბილად რომ ვთქვათ, მართლაც გულუბრყვილო გამოდგა. დემოკრატიზაცია მცდარი გზით მაშინაც შეიძლება წაყიდეს, თუკი ხალხის მიერ არჩეული მებრძოლი ისლამისტები განახლებული ერაყის შესახებ ამერიკელების ხედვას არ იზიარებენ. 3) პალესტინის საკითხის გადაუჭრელობა, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში კვლავ შემაფერხებელი ფაქტორია. ნეო-კონსერვატორები ისრაელისკენ იზრებთან, თქმცა, ამან ახლო აღმოსავლეთში საზოგადოებრივი აზრი კიდევ უფრო დაუპირისპირა ამერიკასა და დასავლეთს, და შეამბოხე ისლამისადმი მხარდაჭერაც გააძლიერა.

სხვა ტიპის კრიტიკა არა ტაქტიკურ ან სტრატეგიულ, არამედ იდეოლოგიურ და სტრუქტურული ხასიათისაა. ა.შ.შ.-ს საგარეო პოლიტიკა, ზოგის მტკიცებით, მისი იმპერიალისტური ამბიციებით იყო ნაკარნახევი, და მსოფლიო ეკონომიკაში ამერიკის პირველობის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. მისი უზარმაზარი სამხედრო რესურსი და უნილატერალ-იზმისაკენ გადახრა მას, გარკვეული აზრით, თავად აქცევს “სარისკო სუპერ-ძალად”. ამ პერსპექტივიდან, ეს “ომი ტერორიზმთან” უბრალო შირმაა, ორი ფარული მიზნის განსახორციელებლად: პირველ რიგში, იგი ა.შ.შ.-ს უფრო ღრმა ამბიციებს – ნავთობის მარაგებისა და რესურსების განადიდებას ნიღბავს – ახლო აღმოსავლეთზე პოლიტიკური გავლენის გაზრდით, და ასევე, რეგიონის რეკონსტრუქციის სურვილს – ამერიკული ბიზნესისათვის უფრო ფართო შესაძლებლობების მიცემის იმედით. მეორე: არსებობს ვარაუდი, რომ გლობალური ტერორიზმის საფრთხის ხაზგასმით, “ომი ტერორიზმთან” ცივი ომის დასრულებისთანავე გამქრალ იდეოლოგიური მტრის ხატს ქმნის, ეს კი ამერიკული კაპიტალიზმის კონსოლიდაციისათვის საუკეთესო საშუალებაა.

მულტი-პოლარული სისტემის აღზევება?

ვეველად მისაღებად, “უნიპოლარული ეპოქა” უფრო გრძელვადიანი პროცესის მხოლოდ შუალედურ ფაზად შეიძლება ჩაითვალოს: ამგვარი ერთპოლუსიანი სისტემისათვის არასტაბილურობაა დამახასიათებელი, რაც მოგვიანებით შეიძლება №1 ძალის შეწინააღმდეგების სურვილში გადაიზარდოს, გლობალური ლიდერის ფუნქციის შესრულება შეუძლებელი

მეიქნას და, საბოლოო ჯამში, ყველაფერმა ამან მსოფლიო წესრიგის ხანალი ცვლილებაც გარდაუვალი გახადოს. ამ შეთხვევაში ა.შ.შ.-მ, შესაძლოა, ადრეულ სახელმწიფოებში გავრცელებული (ზოგი “ამერიკულ მკერძას” უკვე ძველი რომის იმპერიასაც ადარებს) ე.წ. “ჭარბი იმპერიულობის (კენედი, 1989) ტენდენცია გაიზიაროს. მართალია, ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი დანარჩენი მსოფლიოს სამხედრო დანახარჯის ნახევარს უტოლდება, მაგრამ სინამდვილეში, “ორმაგი დეფიციტის” გამო ამერიკის ეკონომიკური ზრდა მყიფეა: მთავრობის დანახარჯი გადასახადებზე მეტად მეტია, იმპორტი კი მნიშვნელოვნად უსწრებს ექსპორტს. და ხილოს, საერთაშორისო არენაზე ახალმა ძალებმა გამოჩინამ და სხვა ცვლილებებმა, რასაც ხშირად გლობალიზაციასთან აკავშირებენ, ძალთა მულტიპოლარული (მრავალპოლუსოვანი) ტენდენციები დაგვანახა – სახეობა 5 ან კიდევ უფრო მეტი სრულფასოვანი მსოფლიო მოთამაშე. ზოგადად, მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგის დამყარებას მომდევნო უტორობები განაპირობებენ:

- † ჩინეთის, ინდოეთისა, და სხვა ქვეყნების გაძლიერება
- † არასახელმწიფოებრივი საერთაშორისო თუ ტრანსნაციონალური ორგანიზაციების ძალაუფლებისა და ზეგავლენის მატება
- † ძალის პოლიტიკისა და სამხედრო ურთიერთობათა ხასიათის ცვლილებები.

იმათგან, ვისაც ამერიკასთან დაპირისპირების ძალა შესწევთ, ჩინეთი უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვანია. მართლაც, ბევრი მიიჩნევს, რომ XX საუკუნე “ამერიკული” იყო, XXI უკვე “ჩინელების საუკუნე” იქნება. ჩინეთის ზემოქმედრი სახელმწიფოს სტატუსი სწრაფ ეკონომიკურ ზრდისგან გამომდინარეობს, რომელიც 1970-ან წლებში განხორციელებულ სანაზრო რეფორმებს მოჰყვა. მსოფლიო ბანკის პროგნოზით, თუ ასეთი ტემპისა და ზრდის შენარჩუნებას შეძლებს, 2020 წლისათვის ჩინეთს მსოფლიოში უძლიერესი ეკონომიკა ექნება. მოსახლეობა ქვეყანას, შეიძლება ითქვას, ამოუწურავი იაფ-მუშახელით ამარაგებს, რითიც მას მსოფლიო ეკონომიკის სამრეწველო ცენტრად აქცევს. ასევე აღსანიშნავია ჩინეთის მზარდი სამხედრო ძალა – სამხედრო დანახარჯით იგი მსოფლიოში მხოლოდ ა.შ.შ.-ს ჩამორჩება, თუმცა ამ უკანასკნელის ბიუჯეტი 7-ჯერ მეტია. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, XXI საუკუნის პირველ ნახევარში მაინც, მსოფლიო პოლიტიკა ჩინურ-ამერიკულმა ურთიერთობამ გვიკარნახოს. ასეთი პერსპექტივა, გარკვეულწილად, ბიპოლარული სისტემის დაძაბულობის და კონფლიქტების რეჟიმში გვაბრუნებს – თუნდაც ტაივანის საკითხთან დაკავშირებით. შესახელმწიფოების სიაში ასევე შედიან: ინდოეთი – რომელმაც კვლავაც არსებული სიღარიბისა და უანათლების სისტემის პრობლემების მიუხედავად, XXI საუკუნის დასაწყისში ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება და თითქმის ჩინეთთან მიახლოება მოახერხა; ბრაზილია, რომელსაც სამხრეთ ამერი-

ჭარბი იმპერიულობა:
ექსპანსიონისტური პოლიტიკის არამდგრადობა სამხედრო მოთხოვნილებების ადგილობრივ ეკონომიკასთან შეუთანხმებლობის გამო.

მულტიპოლარულობა:
საერთაშორისო სისტემა, სადაც სამი ან მეტი გავლენის პოლუსი არსებობს, რაც თავისთავად, არამდგრადობის მიზეზი ხდება.

იძულება/დაყოლების პოლიტიკა

მსოფლიო პრაქტიკაში ხელ უფრო ხშირად განასხვავებენ ეროვნული საგან იძულების ძალისმიერ და დაყოლების შემპარავ პოლიტიკას. მართალია, იძულებისა და დაყოლების ტაქტიკა ხშირად ერთდროულად და გვერდიგვერდ გამოიყენება, დაყოლების პოლიტიკამ მაინც შეიძლება მინიმუმადე დაიყვანოს იძულების პოლიტიკა, და მის გარეშეც შიდაწილის სასურველ მიზანს. ამის მაგალითობა სწორედ ვატიკანის, დალაი ლამასა თუ კანადის ხელისუფალთა მშვიდობიანი ძალისხმევა.

კაში უდიდესი მოსახლეობა ჰყავს და საკუთარი უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების გამოყენებას ცდილობს; რუსეთი, რომლის აღორძინება XXI საუკუნეში დიდწილად ნათობის მარაგს უკავშირდება; იაპონია და ევროკავშირი გერმანიის წინამძღოლობით, რომლებიც ანგარიშგასაწვეი ძალის პოზიციას იმ შემთხვევაში შეინარჩუნებენ, თუ მაქსიმალურად გლობალ-იზებულ ეკონომიკაში თავიანთი ზეგავლენისა და უპირატესობის ადღგენას შეძლებენ.

გლობალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანი ისაა, რომ მსოფლიო პოლიტიკაში სახელმწიფოს პოზიციები სუსტდება, სხვადასხვა საერთაშორისო ჯგუფებს კი მეტი მნიშვნელობა ენიჭებათ. მულტიპოლარული ტენდენციები ახალი ძალების გამოჩენის გარდა, ძალის საერთაშორისო სუბიექტებზე გადანაწილებაშიც შეინიშნება. მაგალითად, მსოფლიო ეკონომიკა უფრო და უფრო ეყრდნობა ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, რომლებიც მსოფლიო პროდუქციის 50%-ზე მეტს აწარმოებენ და საერთაშორისო ბაზრების ტვირტბრუნვის 70% უკავიათ. ინვესტიციებისა და პროდუქციის დაბლოკვის შესაძლებლობის გამო, ასეთი ჯგუფების პოლიტიკური გავლენა ძალიან დიდია. იგივე შეიძლება ითქვას 1980-ანი წლებიდან მომრავლებულ არასამთავრობო ორგანიზაციებზეც, რომლებსაც ევროკავშირისა და გაეროზეც კი აქვთ გავლენა. არასამთავრობო ტრანსნაციონალური კორპორაციების დაბალანსების გარდა, ხელისუფლებისათვის რჩევების მიცემის, ასევე კრიტიკისა და ხშირად მასთან დაპირისპირების მისიაც აკისრიათ. სხვა არასახელმწიფოებრივი სუბიექტები, რომლებსაც მსოფლიო პროცესებზე დიდი გავლენა აქვთ — პოლიტიკურ-სამხედრო დაჯგუფებებია. ჰამასი, კესბოლა, ალ-ქაიდა და სხვა კრიმინალური ორგანიზაციები ძირითადად ან მთლად გადატაკებულ, ან ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში ბუდობენ და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ნარკოტიკებითა თუ ადამიანებით ვაჭრობაზე სწორედ ისინი აგებენ პასუხს.

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ — სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ჯგუფებს შორის ძალთა გადანაწილების წესრიგი შეიცვალა და შეიცვალა ისე, რომ განსაკუთრებული აქცენტი აქამდე არარსებულ ან უმნიშვნელო ფაქტორებზე გაკეთდა: 1) თანამედროვე ახალი ტექნოლოგიების, გლობალური კომუნიკაციებისა და ინფორმაციის ეპოქაში მსოფლიო პოლიტიკის “კეთებისას” საიმიჯო — ანუ “დაყოლების პოლიტიკა” ისეთივე მნიშვნელოვანი ხდება, როგორც ძალისმიერი. ეს უკანასკნელი კი მართალია, კვლავაც აქტუალურია, მაგრამ სათანადო კამპანიის გარეშე — უშედეგო. მაგალითად, ამერიკელების მიერ აგრესიული სამხედრო პოლიტიკის წარმოებაზე უმეტესად, საპირისპირო შედეგი გამოიღო, ანუ კიდევ უფრო გაამძაფრა დაპირისპირება კოალიციურ ქვეყნებსა და არაბულ/მუსულმანურ სამყაროებს შორის. 2) ახალმა ტექნოლოგიებმა, შეიძლება ითქვას, გააქრეს ბალანსი საზოგადოებაში თუ საზოგადოებებს შორის, რამაც ტრადიციულად სუსტს ახალი ძალა შესძინა და ახლა ბირთვული ან სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღების გავრცელებამ, ისეთ ქვეყნებს როგორცაა ჩრდ კორეა, შესაძლებლობა მისცა თუნდაც ა.შ.შ.-ს ზეწოლისათვის გაეძლიოთ 9/11-ის მოვლენების შემდეგ ასევე აღსანიშნავია ალ-ქაიდას გავლენა

მსოფლიო პოლიტიკაზე, რაც ამ ტერორისტული ორგანიზაციის სახსრებისა და რესურსებიდან გამომდინარე, სრულიად არაადეკვატურია. ისე კი, ალ-ჰაიდას სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიებმა გაუხსნეს ყველა კარი: კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარებამ, მობილურმა ტელეფონებმა და ინტერნეტმა ცუდად ორგანიზებული ჯგუფების – რამაც ტერორისტები, პროტესტანტული თუ სახალხო მოძრაობები იგულისხმება – თავმოყრასა და კოორდინაციას შეუწყო ხელი. და ბოლოს, საზოგადოებრივი აზრის მძოვლიანობა და გარკვეულწილად, ხელისუფლების ქმედებანიც, ტელე-ჰაქსელებობისა და კაბელური არხების საყოველთაო, უსწრაფეს გავრცელებას დაექვემდებარა. იქნება წინაპირობა, რომ ვთქვათ, გაუბედურებული, დატანჯული ადამიანის კადრები – იქნება ეს წამების, სტიქიური უბედურებისა, თუ სიღარიბის შედეგი – მთელი მსოფლიოს ტელევიზიებს აუცილებლად მოივლის.

ჩნდება კითხვა: რა ტიპის მსოფლიო წესრიგს უნდა ველოდოთ? ომს თუ მშვიდობას? XXI საუკუნე მაინცადამაინც მულტიპოლარული ხასიათისა უნდა იყოს? ამ მოდელის შესახებ კი ორი რადიკალურად განსხვავებული წარმოდგენა არსებობს: პირველ შემთხვევაში, დიდ ქვეყნებს შორის ძალაუფლების დანაწილების ტენდენციას საყოველთაო არეულობასა და ჭოსთან მიყვარათ – მოთამაშეები ცდილობენ დანარჩენების უყურადღებობით ისარგებლონ და რაც შეიძლება მეტი მოიხვეჭონ. სავარაუდო პერსპექტივა – ალიანსებად თუ კოალიციებად დაყოფილი მსოფლიო, მიზანი – აგრესიის შეკავება, ან პირიქით, სუსტი ქვეყნებისა და ჯგუფების დამორჩილებაა. XX საუკუნეში, სწორედ მულტიპოლარულ სამყაროში, ამბიციური ქვეყნები – საპირწონე ძალის არარსებობის გამო – თავიანთი ექსპანსიონისტური მიზნების განხორციელებას არ მოერიდნენ, შედეგად კი I და II მსოფლიო ომები მივიღეთ. მეორე, უფრო ოპტიმისტური მოდელი **მულტილატერალიზმს** ეფუძნება. თუმცა, ასეთი წესრიგი პირველ რიგში გლობალური პოლიტიკის ყველა მოთამაშესთან საერთო შეთანხმებით ჩამოყალიბებული თამაშის წესების აღიარებას მოითხოვს. “ანარქიული” მულტიპოლარობისაგან განსხვავებით, მულტილატერალისტური სისტემის შექმნა 3 ფაქტორზეა დამოკიდებული. აუცილებელია: 1) ბირთვული, მასობრივი განადგურების იარაღებისა და ანარქიის სხვა საფრთხეების გაცნობიერება. 2) მსოფლიო წესრიგი დიდწილად გლობალიზაციის მომავალს ემყარება, რომელიც სახელმწიფოებს შორის ურთიერთკავშირსა და თანამშრომლობას ან კიდევ უფრო გაზრდის, ან პირიქით – ახალ ბზარებსა და კონფლიქტებს გააჩენს. და ბოლოს, 3) მულტილატერალიზმის პერსპექტივები უმეტესად რეგიონალური თუ გლობალური მმართველობის სისტემებზეა დამოკიდებული, რომელთა მთავარი მიზანი კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა და საერთაშორისო თუ შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრაა.

მულტილატერალიზმი:

(მრავალმხრიობა); შეთანხმებულ ურთიერთობათა სისტემა სამ ან მეტ სახელმწიფოს შორის, რაც ხელკშეკრულებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებებით განსაზღვრული ქცევის ნორმებს ემყარება.


გლობალიზაციის დინამიკა

გლობალიზაციის ტენდენციები

გლობალიზაცია არაერთგვაროვანი, მაცდური ცნებაა. ამ თემისადმი 1980 წლიდან მოყოლებული უდიდესი ინტერესის მიუხედავად, მისი ზუსტი მნიშვნელობა დღემდე არაა დადგენილი. ასე რომ, თანაბრად იხმარება პროცესის, პოლიტიკის, მარკეტინგული სტრატეგიის, მდგომარეობის, ან თუნდაც იდეოლოგიის აღსანიშნავად. პრობლემა ისაა რომ გლობალიზაცია გადაბმული და ურთიერთდაკავშირებული პროცესების ერთობლიობაა, მაგრამ ამავე დროს, ეს პროცესები შეიძლება ხშირად ერთმანეთის სრულიად საპირისპირო და საწინააღმდეგოც აღმოჩნდეს. მისი განსაზღვრის საუკეთესო მცდელობა ალბათ მაინც კენიჩი ომაეს (1989) “მსოფლიო საზღვრების გარეშე”. ეს სახელმწიფოებს შორის ტრადიციული საზღვრების იგნორირებისა და თავისუფალი მიმოსვლის ტენდენციის ჩამოყალიბების გარდა,

გლობალიზაცია

ესაა ურთიერთგადახლართულ კავშირთა ერთობლიობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ცხოვრებაზე სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენს მანძილით დიდად დაშორებულ ადგილებში მომხდარი მოვლენები თუ მიღებული გადაწყვეტილებები. შესაბამისად, გლობალიზაციის უმთავრესი ნიშანი მანძილის ფაქტორის გაუფასურებაა და სახელმწიფოთა შორის არსებული საზღვრებიც, ფაქტიურად, სიმბოლურ დანიშნულებას ასრულებს. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ “ადგილობრივი” თუ “ეროვნული”, უბრალოდ, მსხვერპლად ქვითება “გლობალურს”. გლობალიზაცია პოლიტიკური პროცესის როგორც გაღრმავებას, ისე გაფართოებასაც მოასწავებს იმ თვალსაზრისით, რომ ადგილობრივი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და გლობალური მოვლენები მუდმივად ახდენენ ზეგავლენას ერთმანეთზე. სწორედ ამ ზეგავლენის მაჩვენებელია ნახ. 7. 1.



ნახ. 7.1 ურთიერთდამოკიდებულებათა სისტემა

სადასხვა ქვეყნების ხალხთა დაახლოებასაც ასახავს – წარსულში არსებულ სივრცის გადალახვის პრობლემა დღესდღეობით, ფაქტიურად, აღარც არსებობს. იან შოლტე (2005) გლობალიზაციას სოციალური სივრცის გადაფასებასთან აკავშირებდა და ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო კავშირებისა თუ კონტაქტების გამო ტერიტორიის ცნება სულ უფრო და უფრო კარგავს თავის პირვანდელ მნიშვნელობას. მაგალითად, კომპიუტერის ერთი მარტივი ოპერაციის მეშვეობით მსოფლიოს გარშემო უდიდესი რაოდენობის ელექტრონული ფული ტრიალებს, საფინანსო ბირჟები და ბაზრები უსწრაფესად რეაგირებენ მსოფლიოში მომხდარ ნებისმიერ ეკონომიკურ პოლენაზე; ამჟვე დროს, ანძები და სატელიტური დანადგარები სატელეფონო გზავნილებისა და სატელევიზიო პროგრამების მყისიერ გადაცემას უზრუნველყოფენ.

არსებული წარმოდგენის მიხედვით, გლობალიზაციის მიზანი საერთო გლობალური სისტემის შექმნაა, რომელიც მსოფლიოს ყველა წილში აისახება. ამ შეხედულებით, ასეთი მიზანი **ჰომოგენიზაცია**, ანუ კულტურული, სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური განსხვავებების გაქრობა და ისეთ სამყაროში ცხოვრებაა, სადაც ჩვენ ყველა ერთნაირ სატელევიზიო პროგრამებს უყუყურებთ, ერთნაირ პროდუქტებს შევისყიდით და ა.შ.

თუმცა, გლობალიზაცია მულტიკულტურალიზმის, ლოკალიზმისა და რეგიონალიზაციის პროცესებსაც მშვენივრად ქწყობა. ამისათვის კი რამდენიმე ხელისშემწყობი ფაქტორი არსებობს: პირველ რიგში, ერი-სახელმწიფოების უუნარობა, მყარი ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება მოიწყონ, არასტაბილურ ვითარებას ქმნის. შედეგად, პატრიოტიზმი ან თუნდაც პოლიტიკური ნაციონალიზმი თანდათან ქრება და მის ადგილს ადგილობრივი უნიკური თუ რელიგიური ჯგუფები იკავებენ. აქედან გამომდინარე, რელიგიური ფუნდამენტალიზმი შეიძლება გლობალიზაციის საპასუხო რეაქციადაც ჩავთვალოთ. მეორე ფაქტორი **ჰომოგენიზაციის** საფრთხეა – განსაკუთრებით მაშინ, როცა ის იმპერიალიზმის ნაირსახეობად აღიქმება – რაც კულტურულ და პოლიტიკურ წინააღმდეგობას წარმოშობს. ბრძოლა გლობალიზაციის წინააღმდეგ შსაძლოა, მომაკვდავი ენებისა და უძველესი კულტურების გადარჩენის ინტერესშიც აისახოს. აღსანიშნავია ახალი “ანტი-კაპიტალისტური” და თავისუფალი გაჭრობის მოწინააღმდეგე მოძრაობების გააქტიურებაც. მესამე მიზეზი ისაა, რომ საიდანადაც ახალი გლობალური მონოკულტურის გაჩენის და თავსმოხვევის მაგორად, გლობალიაცია ძველი მრავალფეროვანი კულტურების კომპლექსურ ნაზავს გეთავაზობს და ჯერცვლებს კიდევ მიუღს მსოფლიოში. განვითარებად ქვეყნებში, დასავლური სამომხმარებლო პროდუქციისა და ჩვევების საკუთარ კულტურაში გადამუშავება **ინდიგენიზაციის** პროცესის მეშვეობით მოხერხდა. ვერც განვითარებული დასავლური ქვეყნები გაექცნენ კულტურული გაცვლა-გამოცვლის ზემოქმედებას და კოკა-კოლის, მაკდონალდსისა და ემ-თი-ვისი სამაგიეროდ, აღმოსავლური რელიგიები, სამედიცინო თერაპია, ხელოვნება, მუსიკა და ლიტერატურა მიიღეს.

ჰომოგენიზაცია:

(გაერთიანება); ყველა მხარისა თუ შემადგენელი ნაწილის (ამ შემთხვევაში, ქვეყნების) ტენდენცია, დაემგანონ ან გაიგონენ ერთმანეთთან.

ინდიგენიზაცია:

(შეთვისება); პროცესი, რომლის შედეგადაც უცხოური ნაწარმი თუ ცხოვრების წესი გათავისდება ადგილობრივ მოთხოვნილებებსა თუ გარემოებებზე მორგების გზით.

7. გლობალური პოლიტიკა

როგორც წესი, გლობალიზაციის რამდენიმე დამახასიათებელ ასპექტს გამოყოფენ. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- † ეკონომიკური გლობალიზაცია
- † კულტურული გლობალიზაცია
- † პოლიტიკური გლობალიზაცია

ეკონომიკური გლობალიზაციის იდეა საერთო გლობალურ ეკონომიკას ემყარება. დღესდღეობით დამოუკიდებლად ვერცერთი ქვეყნის ეკონომიკა ვერ იარსებებს – უკლებლივ ყველა სახელმწიფო, მეტად თუ ნაკლებად, მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაზეა გადაბმული. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) გლობალიზაცია შეაფასა როგორც “ნაბიჯი დამოუკიდებელი სახელმწიფო ეკონომიკების სამყაროდან – გლობალურ ეკონომიკაში, სადაც პროდუქცია საერთაშორისოა, კაპიტალი კი ქვეყნებს შორის დაუბრკოლებლად და უსწრაფესად მოძრაობს”. კომუნისტური ბანაკის დაშლამ ეკონომიკურ გლობალიზაციას დიდი ბიძგი მისცა – კაპიტალისტურ სისტემას სახელმწიფოების ის ერთადერთი ბლოკი შეუერთა, რომლებიც აქამდე მის საზღვრებს გარეთ იყვნენ. ეკონომიკურმა გლობალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო შედეგი ისაა, რომ უმეტესწილად, სახელმწიფო ხელისუფლებამ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკაზე სრული კონტროლი დაკარგა.

კულტურული გლობალიზაცია – ინფორმაციის, საერთო ღირებულებების, ტრადიციებისა თუ ჩვეულებების გაცვლა-გამოცვლით – ერებს, რეგიონებსა და ადამიანებს შორის განსხვავებების გაქრობის საფრთხეს აჩენს. **მაკრონაღდების** პროცესი ამის საუკეთესო მაგალითია. კულტურის გლობალიზაციას ხელს ე.წ. საინფორმაციო რევოლუციაც უწყობს, ანუ, სატელევიზიური კომუნიკაციის, ტელეკომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის განვითარება. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კულტურას გლობალიზაციის მხარდაჭერის გარდა, მისი შეკავებაც შეუძლია და პოლიუდური ფილმების, ნაიკის ფირმის სპორტული აღკაზმულობისა თუ სტარბაქსის ყავის სახლების მოძრაობებასთან ერთად, ადგილობრივი კულტურისა და ჩვეულებების გათალისწინებაც აუცილებელია.

პოლიტიკური გლობალიზაცია აშკარად გამოიხატება საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობისა და ზეგავლენის ზრდაში. ორგანიზაციები ზენაციონალურია იმ გაგებით, რომ კონკრეტულ ქვეყნებზე ძალაუფლება არა აქვთ, მაგრამ ამავე დროს, რიგი სახელმწიფოებისგან შემდგარ საერთაშორისო სივრცეს საკუთარი იურისდიქციის ქვეშ აქცევენ. რამდენიმე ასეთი ორგანიზაცია 1945 წლის შემდეგ ჩამოყალიბდა: **ზამრო**, **ნატო**, ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობა, ევროპის გაერთიანება, ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. იდეალურ ვარიანტში საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფოებს თანამშრომლობისა და ერთობლივი მმართველობის ისეთ მექანიზმს სთავაზობენ, რომლითაც სახელმწიფოს არც ძალაუფლება აკლდება და არც სუვერენიტეტი ელახება, მეორე მხარეს კი ზე-ეროვნული ჯგუფებია, რომელთაც ერი-სახელმწიფოზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ. იქედან გამომდინარე, რომ პოლიტიკური

მაკრონაღდების:

როცა ე.წ. “სწრაფი კვების” ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი კომერციული და მარკეტინგული პრაქტიკა ეკონომიკისა და ცხოვრების სულ უფრო მეტ სფეროში იკიდებს ფეხს.

გლობალიზაცია ინტერნაციონალიზმისადმი იდეალისტურ მისწრაფებებსა და პრაგმატიზმს შორის დაპირისპირებად, მსოფლიო მთავრობის იდეაში აისახება, სახელმწიფოების დამოკიდებულებაზე გაკეთებული აქცენტები, ეკონომიკურ თუ კულტურულ გლობალიზაციის პროცესებთან შედარებით, მას საკმაოდ აფერხობს მაშინ როცა საერთო სახელმწიფოს იდეა ჯერ მაინც შორეულ პერსპექტივაში რჩება, ტრანსნაციონალური კორპორაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა საერთაშორისო ჯგუფების მოღვაწეობაზე დაფუძნებული გლობალური საზოგადოების არსებობა, ძალიანაც მნიშვნელოვანია...

გლობალიზაცია: სადავო და საკამათო

გლობალიზაცია თავისთავად, მეტად საკამათო საკითხად იქცა. მაშინ როცა სახელმწიფოების მეთაურთა უმრავლესობა გლობალიზებული ეკონომიკის დასაყრდენად გამოყენებას ცდილობს, ხალხში (ძირითადად განვითარებულ, იშვიათად — განვითარებად ქვეყნებში) ანტიგლობალისტური მოქმედებები ვლინდება. ასეთმა დანაწილებამ, შეიძლება ითქვას, ტრადიციულ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის — მემარცხენეებისა და მემარჯვენეების დაპირისპირება შეცვალა. თუმცა, კამათი მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის მაინც ძალიან გავს ძველ, კარგად ნაცნობ იდეოლოგიურ ბრძოლას. გლობალიზაციის საერთო — თავისუფალი ბაზრისა და კომერციის საფუძვლები, პრაქტიკულად ნეო-ლიბერალების საფაქრო პოლიტიკას იმეორებს. მაგრამ, გლობალიზაცია იდეოლოგიურ ხასიათს იძენს, კაპიტალიზმი კი კვლავ აქტუალურ თემად რჩება. ე.წ. “გლობალისტები” კაპიტალიზმს საუფლებლო სიმდიდრისა და ფართო შესაძლებლობების პერსპექტივაში ხედავენ და მათი აზრით, გლობალური კაპიტალიზმი უბრალო ხალხს მთელი მსოფლიოს გარშემო ამ შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას მისცემს. მოწინააღმდეგეები კაპიტალიზმს უთანასწორობასა და ძალიან მძიმე სიმდიდრეებს და გლობალიზებულ სამყაროსაგან კიდევ უფრო მეტ სიღატაკესა და უსამართლობას ელიან. ძველ დავა-კამათს ერთი ახალი შტრიხი მაინც დაემატა: პოსტ-სოციალისტურ სისტემაში უკვე აღიარებული საფაქრო ნორმებისა და კაპიტალისტური ორგანიზაციების ალტერნატივა აღარ არსებობს და შედეგად, გლობალურ კაპიტალიზმს რეალური მეტოქე ვერც მოეძებნება — არცხად ახლა მხოლოდ ნეო-ლიბერალებსა და მართვად გლობალიზაციებს შორისაა.

პირველი საკამათო საკითხი ზოგადად გლობალიზაციის და მისი გამოძრავებელი ძალების არსებობაა. “მორწმუნეებს” (ეს როგორც პროცესის მომხრეებს, ისე მოწინააღმდეგეებს აერთიანებს) დასტურად 1980 წლიდან კულტურის, ეკონომიკის, მეცნიერების თუ პოლიტიკის სფეროებში წამოწყებული ინტენსიური, თითქმის რევოლუციური ცვილებები მოჰყავთ. აღსანიშნავია თავისუფალი ვაჭრობის ზრდა, ანუ საფინანსო გარიგებებისა და უფლადი გადარიცხვების სიმრავლე; საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება და საერთო მოთხოვნის საქონლის გამოჩენა, რომელსაც მყიდველი ყველა ქვეყანაში ჰყავს. უკიდურეს შემთხვევაში — **ჰიპერგლობალიზმი** —

ჰიპერგლობალიზმი: საზრისი, რომ ახალი, გლობალიზებული ეკონომიკური და კულტურული რეალიები გარდაუვალია — სამომავლო ინფორმაციული თუ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წყალობით.

7. გლობალური პოლიტიკა

საყოველთაო ტექნოლოგიური განვითარება — ძალაუნებურად გლობალიზაციას უწყობს ხელს და აქედან გამომდინარე, პროცესიც გარდაუვალი ხდება. თუმცა, 1990 წლის (განსაკუთრებით კი — 9/11-ის) შემდეგ — გლობალიზაციას მაინც მოუწია ტემპის დაგდება, რაც მსოფლიო ეკონომიკის ცვლილებებში და სასაზღვრო დაცვის გამკაცრებაში აისახა.

მეორეს მხრივ, სკეპტიკოსები, ანუ ის ხალხი ვინც კაპიტალიზმის ტრადიციულ ან ძველ მემარცხენე განსაზღვრებას იზიარებს, გლობალიზაციაში რაიმე ახალს და რევოლუციურს ან საერთოდ ვერაფერს ხედავს, ან მას პოლიტიკური მიზეზების გამო გაზვიადებულად მოვლენად მიიხედავს. კარლ მარქსი, რომელიც ახლა უკვე ლამის გლობალიზაციის ექსპერტადაც აღიქმება, კაპიტალისტური მოწყობის ინტერნაციონალურ ხასიათს ყურადღებას ვერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში უთმობდა. თავის დროზე კი ჯონ ჰობსონმა (1858-1940) და ლენინმა ადრეული XX საუკუნის კაპიტალიზმში იმპერიალიზმთან დააკავშირეს. ბოლო პერიოდში გლობალური ეკონომიკის შესამჩნევი ზრდის საპასუხოდ, სკეპტიკოსებს “შიდა” სახელმწიფოებრივი ეკონომიკა მოჰყავთ, სადაც განვითარების ტემპი ისეთივეა, თუმცა საქმიანობა ქვეყნის საზღვრებს არ სცდება. აქედან გამომდინარე, შიდა ეკონომიკა არც თუ ისე უმნიშვნელო ამბავია, როგორც გლობალისტებს ჰგონიათ. ამ შეხედულების მიხედვით, გლობალიზაცია კარგავს რევოლუციური ეკონომიკური თუ ტექნოლოგიური პროცესის სტატუსს და უფრო მეტად ნეო-ლიბერალი პოლიტიკოსებისა და თეორისტების იდეოლოგიური იარაღად აღიქმება — კორპორატიული ინტერესების დასაცავად (პირსტი და თომპსონი, 1999). საბოლოო ჯამში, გლობალიზაციის ორი მთავარი უპირატესობა იკვეთება: პირველ რიგში, რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია — შრომის გადანაწილება, პროფკავშირების დასუსტება, საჯარო დანახარჯებისა და სოციალური ბიუჯეტის კონტროლი და ბიზნესზე სახელმწიფოს შეზღუდვების შემცირება — ადრე თუ გვიან, გარდაუვალია. მეორეს მხრივ ცხადი ხდება, რომ ეს პროცესები დამოუკიდებელია და ვთქვათ, რომელიმე დაინტერესებული ბიზნეს-გიგანტი, ან ნებისმიერი სხვა პიროვნება თუ ორგანიზაცია მის ერთპიროვნულ მართვას ვერ მოახერხებს.

ყველაზე მეტი კრიტიკა მაინც გლობალიზაციის შედეგს ეხება — რაც, მოწინააღმდეგეთა აზრით, გარდუვალი სიღატაკე და მკვეთრად გამოხატული უთანასწორობა იქნება. მათი შეფასებით, გლობალიზაცია თამაშია; გამარჯვებული მხარე დამარცხებულს ჩაგრაავს. ზოგადად, ამ თამაშში გამარჯვებულად მრავალნაციონალური კორპორაციები და განვითარებული ქვეყნები, მაგრამ მთლიანობაში მაინც ა.შ.შ. იგულისხმება. წაგებული კი განვითარებადი ქვეყნები რჩება, სადაც ხელფასები ძალიან დაბალია, საფინანსო შეზღუდვები — მცირე ან საერთოდ არარსებული და სადაც გლობალური ბაზრები უფრო და უფრო მეტ გავლენას იძენს. მაშინ როცა ამერიკა და სხვა დასავლური ეკონომიკის სახელმწიფოები 1980 წლიდან უდიდეს პროგრესს აღწევენ, ღარიბ ქვეყნებში ცხოვრების სტანდარტი უკიდურესად ეცემა. აღსანიშნავია ცენტრალური აფრიკა, სადაც მოსახლეობის 40%-ზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა. მარქსისტულ განსაზღვრებაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც კაპიტალიზმს თავიდანვე “შჩაგერული” იდეოლოგია ჰქონდა, ვალერშტეინმა (1984) ეკონომიკის მსოფლიო სისტემაში “ცენტრალურ” და “პერიფერიულ” სამეკაროებს შორის ამხელა სხვაობის წარმო-

მსოფლიო ეკონომიკური სისტემა:

თორია, რომლის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკა უმჯობესია განვიხილოთ როგორც საერთაშორისო დონეზე მომუშავე, ერთგვარი “დახურული” კაპიტალისტური სისტემა.

დადგენილებები:

სამართლებრივი-სამხრეთად დაყოფა: სიმაართლე ითქვას, ამგვარი დაყოფა უფრო ხელსაყრელად დადგენილია, ვიდრე გეოგრაფიულად გამართლებული; ძირითადად, ეს ინდუსტრიულად განვითარებულ ჩრდილო ნახევარსფეროს ქვეყნებსა და სამხრეთ ნახევარსფეროს ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების აღსანიშნად გამოიყენება.

ქმნის მიზეზები გამოიკვლია; მისი აზრით, ამიერიდან მსოფლიოში მთავარი არა აღმოსავლეთ-დასავლეთის, არამედ ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაპირისპირება ხდება.

ლიბერალურ-პლურალისტური შეხედულებით, გლობალური ეკონომიკა და თავისუფალი ვაჭრობა მისასაღებელია, რადგან ყველა ქვეყანას ეძლევა შესაძლებლობა ის პროდუქტი აწარმოოს, რაშიც საუკეთესოა. შედეგად, ასეთი დანაწილებით ყველა მოგებულ რჩება. მაგალითად, პროდუქციის ექსპორტი განვითარებული ქვეყნიდან განვითარებადში: პირველი ასეთი გზით წარმოების დაფალ ფასებს ინარჩუნებს, მეორეს კი შემოსავლებისა ზრდისა და სხვა ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობა უძლევა. ასეთ პერსპექტივაში, ერთადერთი ვისაც გლობალიზაციისგან გამოჩინება არა აქვს, მის გარეთ დარჩენილი ქვეყნებია.

კრიტიკას გლობალიზაციის არასტაბილური, სარისკო გარემოც იმსახურებს. გლობალისტები აღიარებენ, რომ დინამიზმი ნებისმიერი კონკურენტუნარიანი სავაჭრო სისტემისათვისა დამახასიათებელი, მაგრამ ამჟამად დროს იმასაც აღნიშნავენ, რომ საბაზრო პრინციპებიდან გამომდინარე, საბოლოო ჯამში პროდუქციის მოწოდება მოთხოვნის შესაბამისი ხდება, ანუ — გლობალური ეკონომიკის გავრცელებასთან ასოცირებულ საზიფათო, ქაოტურ გარემოს დროთა განმავლობაში სტაბილური ეკონომიკა ჩანანაცვლებს. ამის მიუხედავად, შემოთება მანაც არსებობს, განსაკუთრებით კი შემდეგი საკითხებია აღსანიშნავი: როგორც წესი, არასტაბილური გლობალური საფინანსო ბაზრების (რომლებიც მხოლოდ მოკლევადიანი გათვლებით ხელმძღვანელობენ) გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე უფრო და უფრო იზრდება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ასეც ითქვას — კომპანიების, ინდუსტრიების, ქვეყნების ეკონომიკისა და რეგიონების ბედი ბაზრის "ხუმტურებაზე" დამოკიდებული. მექსიკის (1995) და აზიის (1997-99) საფინანსო კრიზისები შესაძლოა, მხოლოდ მომავალი, კიდევ უფრო კრიზისული და ამოუხსნელი მსოფლიო ეკონომიკის ადრეული გამოხატულებაც იყოს. ჯორჯ სოროსმა (1998) მოვლენების ასეთ განვითარება ღია საზოგადოებისადმი საფრთხედ შეაფასა და მისი აზრით, პროცესის შეჩერება მხოლოდ რეგულაციის გამკაცრებით და შესაბამისად, სავაჭრო არხების გაკონტროლებით თუ იქნებოდა შესაძლებელი.

მეორე საკითხი ულრიხ ბეკის (1992) ე.წ. "რისკის საზოგადოების" მოწყობის თეორიაშია ასახული. მისი აზრით, როცა ყველაზე დიდი პიროვნელობა პიროვნებას ენიჭება, ტრადიციებისა და დამკვიდრებული წესულებების ფასი კი ეცემა, ასეთი საზოგადოება რისკის ქვეშაა — ადამი-

7. გლობალური პოლიტიკა

ანის მთავარ ღირებულებებსა და თვითობას საფრთხე ემუქრება. შედეგად, სიტუაცია უაღრესად დაძაბულია, ეკონომიკური თუ სოციალური გარემო — არაპროგნოზირებადი. არასტაბილურობის კიდევ ერთი გამოხატულება გარემოს დაბინძურებისა და განადგურების პრობლემაა. ეკოსოციალისტები კაპიტალიზმს ეკოლოგიური საკითხების სრული იგნორირების გამო ადანაშაულებენ, უფრო რადიკალ ეკოლოგებს კი გლობალიზაცია მხოლოდ ინდუსტრიალიზმის (ეკონომიკური სისტემა, რომელიც მსხვილი მრეწველობით, კაპიტალის დაგროვებითა და დაუნდობელი კონკურენციით ხასიათდება) გაგრძელებად მიაჩნიათ. ინდუსტრიალიზმი — მატერიალიზმის გავრცელებითა და მეცნიერებისა თუ ტექნოლოგიების აბსოლუტური რწმენით — ადამიანურ ღირებულებებსა და გარემოსადმი პასუხისმგებლობის გრძნობას აკნინებს. რეფორმისტი ეკოლოგები მსოფლიოს ამ საკითხის გარშემო გაერთიანებისა და ბუნების დაცვისაკენ მოუწოდებენ. თუმცა, როგორც კლიმატური ცვლილების შესახებ მიღებული 1997 წლის “კიოტოს პროტოკოლის” შესრულების ხანტი პროცესი გვიჩვენებს, როცა ფსონზე ეკონომიკური წარმატებებია დადებული, ამ საკითხზე ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება თუ შესრულება — უაღრესად რთული საქმეა.

გლობალიზაციასთან კიდევ ერთი საკამათო თემა დაკავშირებული — მისი გავლენა დემოკრატიაზე. სინამდვილეში, პროცესი მხოლოდ ხელს უწყობს დემოკრატიაზაციას — ამტკიცებენ გლობალიზაციის მომხრეები. ერთ-ერთი ყველაზე ოპტიმისტური თეორია ფრენსის ფუკუიამას ეკუთვნის, რომლის მიხედვითაც, საბოლოო ჯამში, გლობალიზაცია “ისტორიის დასასრულის” კონცეფციამდე მიდის — ანუ, ადრე თუ გვიან, გლობალური კაპიტალიზმი ლიბერალ-დემოკრატიული პრინციპებისა და ინსტიტუტების საყოველთაო აღიარებას გამოიწვევს. იქიდან გამომდინარე, რომ საბაზრო ეკონომიკის კომპლექსურ ზეწოლასა თუ ზემოქმედებას მხოლოდ ღია და დემოკრატიული საზოგადოება უძლებს, შეგვიძლია ვთქვათ — ეკონომიკის თავისუფლებისათვის პოლიტიკური თავისუფლებაც აუცილებელია. თუმცა, ამის მიუხედავად, გლობალიზაცია 2 საკითხში მაინც უპირისპირდება დემოკრატიას. პირველი: ეკონომიკური და შესაბამისად, პოლიტიკური ძალაუფლება ზე-ეროვნული კორპორაციების (TNCs) ხელში გადადის. დღესდღეობით მსოფლიო ბაზრებზე სწორედ ისინი დომინირებენ: General Motors, Ford, Esso, Shell, BP, McDonald's, AT&T, News Corporation... მაგალითად, მხოლოდ ჯერერალ მოტორსის წლიური შემოსავალი ირლანდიის, ახალი ზელანდიის, ურუგვაის, შრი-ლანკას, კენიის, ნიკარაგუას, ნამიბიისა და ჩადის მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) ჯამს უტოლდება. ეკონომიკური და ფინანსური ძალაუფლება მომხმარებელთა გემოვნებით მანიპულირების გარდა, კორპორაციებს ახალი ბრენდების შექმნით, მომხმარებლობის წახალისების საშუალებასაც აძლევს. ამავე დროს, აღსანიშნავია ტრანს-ნაციონალური კორპორაციების უნარი, ბიზნესი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში აწარმოონ, რაც მათ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევს — კონფლიქტური სიტუაციის შემთხვევაში მარტივად შეიძლება დემოკრატიული კონტროლისგან თავის დაღწევა. განვითარებადი ქვეყნებისათვის საკითხი განსაკუთრებულად მტკივნეულია — ისინი იაფი

რეგულაციისა და პროდუქციის წყარო ხდებიან, საპასუხოდ კი კორპორაციები არც გრძელვადიანი ინვესტიციების ჩადების ვალდებულებას იღებენ და არც სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა რჩებათ.

შედეგი: ის ფაქტი, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის ტემპი პოლიტიკური გლობალიზაციისაზე ბევრად მაღალია, დემოკრატიის წინააღმდეგოდ მეტყველებს. მაშინ როცა ეკონომიკა სახელმწიფოს საზღვრებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს, პოლიტიკისათვის ეს თემა ძალიან მნიშვნელოვანია. მართალია, არსებობენ საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგრამ მათი საქმიანობა გლობალური კაპიტალიზმის აღზევებად ვერ ჩაითვლება. ასეთ სიტუაციაში დემოკრატიის ახალი, კოსმოპოლიტიკური კონცეფცია ჩნდება (ჰელი, 1995). დემოკრატიული პროცესებისა და ინსტიტუტების საზღვრებს გარეთ გატანა, *ევროსაბჭოსა და გასამოსტის* ორგანიზაციების გაძლიერების გარდა, შემაფერხებელი — *ე.წ. დემოკრატიული დეფიციტის* აღმოფხვრასაც მოითხოვს. ამას გარდა, გლობალური ეკონომიკის მმართველობას — ვთქვათ, მსოფლიო ბანკს, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა თუ *„დიდ შვიდიანს“* — მულტი-ნაციონალური კორპორაციების ინტერესებისაგან დისტანცირება და უფრო მეტად ადამიანების უფლებებზე, ეკონომიკურ სამართლიანობასა და გარემოს დაცვაზე ზრუნვა მოუწევთ.

ტრანსნაციონალური კორპორაციები

ზენაციონალური კორპორაცია ის კომპანიაა, რომელიც ორ ან მეტ ქვეყანაში ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას — შეიღობილი კომპანიების მეშვეობით ბოლო დროს ამ ტერმინს უფრო მოიხმარენ, ვიდრე *ძრავალეუროვნულ კორპორაციას*, რათა ხაზი გაუსვან, რომ კორპორატიული სტრატეგია და საქმიანობა საზღვრების მხოლოდ უპრობლემოდ კვეთას კი არა, მათ სრულ მოშლას ისახავს მიზნად.

რეგიონალიზაცია

გერცელებული წარმოდგენის მიხედვით, გლობალიზაცია მშვიდობისა და თანამშრომლობის სასარგებლოდ იხრება, ანუ მსოფლიოს ქვეყნებს შორის ინტეგრაციისა და ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების გაზრდისაკენ მიიხრავის. თუმცა, არსებობს ალტერნატიული განმარტებაც, რომლის მიხედვითაც გლობალიზაცია დაძაბულობისა და კონფლიქტის ახალ პრეცედენტებს ქმნის. მაშინ როცა სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტურობა უფრო და უფრო ეცემა, ასეთი დაძაბულობა **რეგიონალიზაციის** პროცესის გააქტიურებაში იგრძნობა. კლასიკური ერი-სახელმწიფო უსაფრთხოების, სტაბილურობისა და წარმატების გარანტიად უფნას პრაქტიკულად ვეღარ ახერხებს — დღესდღეობით ამ მიზნების მიღწევა მხოლოდ მოკავშირე, მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის შედეგად ხდება რეალური. ყველაფრის მიუხედავად, გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის ურთიერთკავშირი მაინც ბუნდოვანია და რეგიონალიზაცია შეიძლება მხოლოდ გლობალიზაციის ერთ-ერთ ქვე-საფეხურადაც ჩათვალოთ: ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკის ზრდა, საბოლოო ჯამში, რეგიონალურ ხასიათს მიიღებს — რეგიონალურ ორგანიზაციებს ერი-სახელმწიფოებსა და გლობალურ ძალებს შორის ურთიერთობის დარეგულირების შესაძლებლობა ეძლევათ. მეორეს მხრივ, რეგიონალიზაციაში ხაწინააღმდეგო, ანტი-გლობალისტური მიმართულებაც შეიძლება

დემოკრატიის უკმარისობა: აღმასრულებელ ორგანოთა არასაკმარისი ანგარიშვალდებულება არჩევითი ინსტიტუტების წინაშე; ანდა პოლიტიკაში სახალხო წარმომადგენლობისათვის არათანაბარი შესაძლებლობების შენარჩუნება.

რეგიონალიზაცია: ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავება ერთი რეგიონის სახელმწიფოთა შორის.

7. გლობალური პოლიტიკა

აღვიქვით, რის დასტურადაც XIX საუკუნეში ეკონომიკური ნაციონალიზმის გაერცვლებით გამოწვეული საერთაშორისო ღია ეკონომიკური სისტემის განადგურების მაგალითი გამოდგება. **პროტექციონიზმი** და კონკურენტი ბაზრების ჩამოყალიბებამ საყოველთაო დაძაბულობის ფონის შექმნაშიც ითამაშა მნიშვნელოვანი როლი, რასაც საბოლოოდ I მსოფლიო ომი მოჰყვა. ასე რომ, თუ სახელმწიფო ეკონომიკის განვითარების, უსაფრთხოებისა თუ მისი სხვა ინტერესების უზრუნველყოფას ვეღარ ახერხებს, სავარაუდოდ მომავალში ეს მისია უკვე მთლიანად რეგიონს დაეკისრება.

რეგიონალიზაციის განვითარებას ხელი სტრატეგიულმა თუ ეკონომიკურმა ფაქტორებმაც შეუწვევეს. რეგიონალური დაცვის ორგანიზაციები ძირითადად 1945 წლის შემდგომ პერიოდში დაარსდა და ცივი ომის უკიდურესი დაძაბულობის გარემოშიც შეიტანეს თავისი წვლილი. ამათვან ყველაზე მნიშვნელოვანი **ნატო** და **ვარშავის პაქტი** (თუმცა ამავე პერიოდში სხვა ორგანიზაციებიც ჩამოყალიბდნენ, მაგ. **სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია** – SEATO). თუმცა ცივი ომის დასრულებასთან ერთად, **ნატო**-ს დანიშნულებისა და ფუნქციის შეცვლა მოუხდა – საბჭოთა საფრთხის არარსებობის პირობებში, მისი როგორც რეგიონალური დაცვის ორგანიზაციის საქმიანობის გაგრძელება, სრულიად უპერსპექტიფო იყო. ამის მიუხედავად, მოსალოდნელი დაშლის მაგივრად **ნატო** გაფართოვდა: 1999 წელს ჩეხეთი, უნგრეთი და პოლონეთი მიიღო, 2004-ში კი სლოვენიას, სლოვაკეთს, ბულგარეთსა და რუმინეთს გაუღო კარი. უფრო მეტიც, უსაფრთხოების დაცვა – მშვიდობის შენარჩუნებაზე ზრუნვითა და ჰუმანიტარული ჩარევის (ბოსნიისა და კოსოვოს ოპერაციები 1990-იან წლებში) პოლიტიკით შეიცვალა. 2003-ში, **ნატო** უკვე ევროპის საზღვრებსაც გასცდა და ავღანეთში საერთაშორისო მშვიდობისმყოფელთა ძალებს ჩაუდგა სათავეში.

ყველაფრის მიუხედავად, საერთაშორისო რეგიონალიზაციის მთავარი საყრდენი მაინც ეკონომიკაა. საერთაშორისო ვაჭრობამ შეიძლება ერთის მხრივ ინტერესთა შეჯგერებას შეუწყოს ხელი, მეორეს მხრივ კი – დიდი უნდობლობა და აღშფოთებაც გამოიწვიოს. მართალია, სახელმწიფოები ყოველთვის ცდილობენ სხვა ქვეყნის ბაზრების დაპყრობას. მაგრამ ამავე დროს, საკუთარი ბაზრის უცხოური კონკურენციისგან დასაცავადაც იგოვე ენერჯიას ხარჯავენ. თავისუფალი ვაჭრობის ცნებას სათავესოდ, როგორც წესი, დომინანტი ძალები იყენებდნენ (დიდი ბრიტანეთი XIX საუკუნეში და ა.შ. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან). მაშინ როცა საკუთარი ბაზრის დაკარგვის შიში მათთვის სრულიად უცხო იყო. საერთო ჯამში, იგი შეიძლება პროტექციონიზმის გაჩენასაც უწყობდეს ხელს – ნაკლებად განვითარებული ქვეყნები საკუთარი თავის ეწინააღმდეგეობით უსამართლო კონკურენციისგან დაცვას ცდილობენ: მაგალითად, XIX საუკუნის ბოლოს ევროპაში ეკონომიკური ნაციონალიზმის განვითარება აღიარებულია როგორც რეაქცია ბრიტანეთის უპირატესობის წინააღმდეგ და რაკიდა დღეს ნაციონალური პროტექციონიზმი ეფექტურ

პროტექციონიზმი:

ადგილობრივ მწარმოებას დაცვის მიზნით იმპორტის შესწავლა ქვოტებისა თუ ტარიფების დაწესების მეშვეობით.

საერთაშორისო:

რეგიონალური ეკონომიკური გაერთიანებები

ჩრდილო ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის პაქტი (NAFTA): შეთანხმებას კანადას, მექსიკასა და ა.შ.შ.-ს შორის 1993წ. მოეწერა ხელი და ნაწილობრივ, ეს იყო პასუხი ევროპის დაჩქარებულ გაერთიანებაზე. ეს ორგანიზაცია ჰიზნად ისახავს საფუძველი დაუდოს ფართო ეკონომიურ თანამშრომლობას ჰიული დასავლეთ ნახევარსფეროს მასშტაბით.

ფროკაში (EU): შეიქმნა 1993წ., უკვე არსებული ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საფუძველზე. თავიდან მასში 6 სახელმწიფო შედიოდა, დღესდღეობით კი მის რიგებში უკვე 27 წევრია.

აზია-წყნარი ოკეანის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობა (APEC): 1989წ. შექმნილი ეს არაფორმალური გაერთიანება დღესდღეობით 21 წევრისაგან შედგება, და დედამიწის მოსახლეობის 40%, ზოლო მსოფლიოს მთლიანი ეროვნული შემოსავლების 50% მოითვლის.

მერკოსური: ეს ორგანიზაცია ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის უდიდესი კავშირია.

ამერიკათაშორისი თავისუფალი ვაჭრობის არეალი (FTAA): ჩრდილო და ლათინური ამერიკის 34 სახელმწიფოს გამაერთიანებელი ორგანიზაცია, სადაც ა.შ.შ. და კანადა დომინირებენ.

აღარ ითვლება, რეგიონალური ხასიათის ეკონომიკური თანამშრომლობა უფრო და უფრო მიმზიდველი ჩანს როგორც საერთაშორისო ვაჭრობის გამარტივებისათვის, ისე მზარდი გლობალური კონკურენციისგან თავის დასაცავად.

ზოგიერთი რეგიონალური სავაჭრო ბლოკი, მაგ. EEC — მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას ჩამოყალიბდა, მაგრამ უმეტესობა 1990 წლის შემდეგ, ეკონომიკური გლობალიზაციის საპასუხოდ დაარსდა: NAFTA, APEC, და FTAA. დღესდღეობით მსოფლიო ვაჭრობის 1/3-ზე მეტი ამ 4 რეგიონზე მოდის: ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა, ევროპა, აზია და ოკეანია, აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი. ეკონომიკური რეგიონალიზაციის მომავალი ამგვარ სავაჭრო ბლოკების სტრატეგიასზე დამოკიდებული: გლობალიზაციას შეეწინააღმდეგონ და ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემა ააწყონ, თუ გლობალურ დია ეკონომიკაში რეგიონის ინტეგრაცია მოახდინონ. საბოლოო ჯამში, მთავარი ისაა, რამდენად გაამართლებს გლობალური ეკონომიკის მმართველობა — ახლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზანი — ლიბერალური ეკონომიკის გაურცელებაა.

ევროკავშირი

“ერთიანი ევროპის იდეა” (რომლის თანახმადაც ისტორიული, კულტურული თუ ენობრივი განსხვავებების მიუხედავად, ევროპა ერთიან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს) 1945 წლამდე დიდი ხნით ადრე გაჩნდა. XVI საუკუნეში, ჯერ კიდევ რეფორმაციის პროცესის დაიწყებამდე, რომის პაპის “ზე-სახელმწიფოებრივი” ძალაუფლება თითქმის მთელ ევროპაზე ვრცელდებოდა. მას შემდეგაც კი, რაც ევროპაში სუვერენული სახელმწიფო სისტემები ჩამოყალიბდა, ისეთი განსხვავებული მოაზროვნეები, როგორცაა ჟან-ჟაკ რუსო, ანრი დე სენ-სიმონი (1760-1825) და ჯუზეპე მაძინი, სხვადასხვა დროს ევროპული ნამშრომლობისა და საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციების დაარსების იდეებს ავითარებდნენ; ოღონდაც, XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ასეთი იდეები მხოლოდ უიმედო და უტოპიური იყო. II მსოფლიო ომის დასრულებისას კი ევროპა ისტორიულად უპრეცედენტო ინტეგრაციის პროცესის მომსწრე გახდა – ზოგის აზრით, იქმნებოდა ის, რასაც 1946 წელს უინსტონ ჩერჩილმა “ევროპის შეერთებული შტატები” უწოდა. მართლაც, მაშინ როცა ერი-სახელმწიფოს ნაკლოვანებები უკვე ამკარაა, ევროპული ინტეგრაციის ასეთი მოდელი მსოფლიოს პოლიტიკური მოწყობის უნივერსალურ მაგალითს გვთავაზობს.

ცხადია, პროცესის დაჩქარებას თავისი მიზეზებიც ჰქონდა. მნიშვნელოვანია მოვლენების სწრაფი და, შეიძლება ითქვას, უალტერნატივო განვითარება 1945 წლის შემდგომ ევროპაში. აქ აღსანიშნავია შემდეგი:

ომებით დაუძლურებულ ევროპაში ეკონომიკური რეკონსტრუქციისა და ფართო ბაზრის შექმნის აუცილებლობა.

საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების სურვილი, რაც თავის მხრივ, ფრანგულ-გერმანული კონფლიქტის განმუხტვაში გამოიხატა.

იმის აღიარება, რომ ე.წ. “გერმანიის პრობლემა” მხოლოდ გერმანიის ევროპაში ინტეგრირების გზით შეიძლება გადაწყდეს.

თავდაცვის უზრუნველყოფა საბჭოთა ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ; დამოუკიდებელი როლის დამკვიდრება ბიპოლარულ მსოფლიო წესრიგში.

ავკავებული და გაერთიანებული ევროპა ა.შ.შ.-ს ინტერესებშიცაა: პირველ რიგში, როგორც ბაზარი ამერიკული საქონლისათვის და ასევე, როგორც ძლიერი იარაღი კომუნიზმის წინააღმდეგ.

საყოველთაო თანხმობა, განსაკუთრებით კონტინენტურ ევროპაში: დამოუკიდებელი ერი-სახელმწიფო მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას ევრ ახერხებს.

“გერმანიის პრობლემა”:

გაერთიანებული გერმანიის გაძლიერებით, ევროპულ სახელმწიფოთა სისტემაში წარმოქმნილი სტრუქტურული არასტაბილურობა.

გარკვეულწილად, ევროპული ინტეგრაციის ასეთი ტემპი შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა: 1) ინტერნაციონალიზმის იდეალისტური რწმენა და 2) ერი-სახელმწიფოთთან შედარებით, საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი ნდობის მაღალი ხარისხი. ნათელი მაგალითია ჟან მონესა და რობერტ

შუმანის (1886-1963) შემოთავაზებული ფედერალისტური წარმოდგენები ევროპული ინტეგრაციის შესახებ. თუმცა, ადრეული ოცნებები “ფედერალურ ევროპაზე”, რომელშიც ერი-სახელმწიფოები გაერთიანდებოდნენ, თუნდაც ნაწილობრივ, საბოლოოდ, ამ გაერთიანებისაკენ **ფუნქციონალიზტი** გზა ჩაისახა. შედეგად, ევროპულ მოდელში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ქვეყნების მიერ აღიარებულ აუცილებელ და ამავე დროს, საკმაოდ საკმაოდ საკითხს – ეკონომიკურ თანამშრომლობას მიენიჭა. 1951 წელს საფრანგეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, **ჟან შუმანის** მრჩევლის, **ჟან მონეს** ინიციატივით, “ევროპის **ფუნქციონალიზტი** და ფოლადის გაერთიანებას” (European Coal and Steel Community) ჩაეყარა საფუძველი. 1957 წლის რომის ხელშეკრულების **შედეგად** უკვე “ევროპის ეკონომიკური კავშირი” (European Economic Community) იქმნება. ეს ყველაფერი საერთო ევროპული ბაზრის შექმნასა და **შემდგომ** მიზანს – “ევროპელი ხალხის კიდევ უფრო დაახლოვებას” – ემსახურებოდა. მოგვიანებით, **ნეოფუნქციონალიზმი** უკვე ფასდება **ევროპული** და **ზოგადად რეგიონალური ინტეგრაციის** ყველაზე **ეფექტური** თეორია.

ECSC (ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება), EEC (ევროპის ეკონომიკური კავშირი) და Euratom (ევროპის ატომური ენერჯის თანამშრომლობა) 1967 წელს ჩამოყალიბდნენ და ევროპის **თანამშრომლობა** (EC) შექმნეს. მართალია, 1973 წელს თანამშრომლობის **საზღვრებს** (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ჰოლანდია, ბელგია, **დანიამ** შეუერთდა) გაერთიანებული საშფო, ირლანდია და დანიაც დაემატა, **სადაც** 1970-იანი წლები მაინც “უძრავობის” პერიოდს ითვლება. ინტეგრაციის პროცესი არ შეჩერებულა, თუმცა 1986-ში ერთიანი ევროპული **ქტის** მიღებამ, ქვეყნებს შორის პროდუქციისა და ადამიანების თავისუფალ მიმოსვლაზე კონტროლი გაამკაცრა. 93-ში საბოლოოდ მიღებული **მაასტრიხტის ხელშეკრულების** თანახმად, მუშაობას უკვე ევროკავშირი იწყებს. პოლიტიკური გაერთიანების გარდა, 15 წევრს შორის (9 არსებულ წევრს ემატება საბერძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი, ავსტრია, ფინეთი და შვედეთი) მოლაპარაკებები საერთო ვალუტის შექმნის შესახებაც იწყება. “ევროს” შესახებ შეთანხმება მიღწეულია 1999 წელს, თავად ფული კი მიმოქცევაში 2002 წლიდან შემოდის. 2004 წელს ევროკავშირი გაფართოების რადიკალურ ფაზას იწყებს: თავის რიგებში ხმელთაშუაზღვისპირეთის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყანას იღებს და ამით წლების განმავლობაში მათ გამყოფ “რკინის ფარდას” ხსნის. 2007-ში გაერთიანებას ბულგარეთი და რუმინეთიც ემატებიან. მოლაპარაკებები ხორვატიასთან, მაკედონიასთან და თურქეთთან მიმდინარეობს; პოტენციური კანდიდატების სიაში ბოსნია-ჰერცეგოვინა, ჩერნოგორია და სერბეთიც შედიან.

მწელი სათქმელია, პოლიტიკური ორგანიზაციის რა კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ ევროკავშირი. მისი წევრების სუვერენიტეტი იმთავითვე ჩაიღო ე.წ. “ლუქსემბურგის შეთანხმებაში” (1966წ.) და მათ **ვეტოს** უფლებაც მიენიჭათ – საკუთარ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან

ფუნქციონალიზმი:
თეორია, რომლის თანახმადაც ხელისუფლება პირველ რიგში ხალხის მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს; ასევე, იგი რეგიონალური თანამშრომლობისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს მოითხოვს – გარკვეულ სფეროებში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას მეგობარი ქვეყნების აზრის გათვალისწინებით.

ნეო-ფუნქციონალიზმი:
თეორია, რომლის თანახმადაც მსოფლიოს ერთ კუთხეში მიმდინარე რეგიონალიზაციის პროცესი, სხვაგანაც იგივე ტენდენციების გაქნას უწყობს ხელს.

7. გლობალური პოლიტიკა

სახელმწიფო ინტერესების დასაცავად. ასევე, გავლენიანი უმრავლესობის პრინციპით კენჭისყრის გამოყენება იმის საშუალებას იძლევა, დიდი ქვეყნების მოთხოვნებიც კი დაიბლოკოს. შედეგად, მივიღეთ ორგანიზაცია, რომელსაც როგორც სამთავრობოთაშორისი, ისე შესახელმწიფოებრივი ნიშან-თვისებები ახასიათებს. პირველი აშკარად მქდღვნდება მინისტრთა საბჭოს საქმიანობაში, მეორე კი — უპირატესად, ევროკომისიისა და ევროსასამართლოს დონეზე. მართალია, ევროკავშირი ფედერალური ევროპის მოდელად ჯერაც არ ქცეულა, მაგრამ რამდენადაც ზოგადევროპული კანონმდებლობა უზენაესია წვერი ქვეყნების სახელმწიფო-კანონმდებლობებთან შედარებით, ალბათ, მაინც უპრიანი იქნებოდა ევროპის “ფედერალიზაციაზე” საუბარი. დღის წესრიგში უკვე დადგა საკითხი ევროკავშირის დაწერილ კონსტიტუციაზეც კი, და იგი ალბათ მალე გადაიჭრება დადებითად, თუმცა 2005წ. პოლანდიამ და საფრანგეთმა, რეფერენდუმების გზით, ჯერ-ჯერობით უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს.

საყურადღებოდ:

ევროკავშირის ინსტიტუტები

« **ევროკომისია:** ევროკავშირის აღმასრულებელ-ბიუროკრატიული ორგანო, რომელსაც წვერი ქვეყნების წარმომადგენელი 27 კომისარი და პრეზიდენტი ხელმძღვანელობენ. მას საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება, ევროკავშირის ხელშეკრულებების შესრულების მეთვალყურეობა და პოლიტიკური კურსის გატარება ევალება.

« **მინისტრთა საბჭო:** გადაწყვეტილებათა მიმღები ორგანო, რომელიც თავიანთი ქვეყნების პარლამენტებისა და მთავრობების წინაშე ანგარიშვალდებულ 27 მინისტრს აერთიანებს; თავმჯდომარე ყოველ 6 თვეში ერთხელ იცვლება, შეთანხმებები კი გავლენიანი ან უბრალო უმრავლესობის წესით მიიღება.

« **ევროსაბჭო:** ესაა შეხვედრების უმთავრესი ადგილი, სადაც წვერი-ქვეყნების მთავრობის მეთაურები, საგარეო საქმეთა მინისტრებთან და ორ კომისართან ერთად, ევროკავშირის საქმიანობის ყველა მიმართულებაზე მსჯელობენ.

« **ევროპარლამენტი:** 785 წვერისაგან შემდგარი სამეთვალყურეო და არა საკანონმდებლო ფუნქციებით აღჭურვილი ასამბლეა; მის უფლება-მოსილებაშია ევროკავშირის ბიუჯეტის დამტკიცება, ევროკომისიის დათხოვნა და მრავალი სხვა.

« **ევროსასამართლო:** ევროკავშირის ყველა წვერი-ქვეყნის წარმომადგენელი 27 მოსამართლისა და 8 თავი ადოკატი-საგან შედგება, რომლებიც მრჩვეულთა ფუნქციებს ასრულებენ. ევროსასამართლოს კანონმდებლობა უპირატესობით სარგებლობს წვერი-სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობებთან შედარებით.

ვეტოს უფლება:

ამა თუ იმ გადაწყვეტილებისა თუ ქმედების ბლოკირების კანონიერი უფლება.

გავლენიანი უმრავლესობის პრინციპი:

კენჭისყრის სისტემა, როდესაც სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტას სხვადასხვაგვარი უმრავლესობა სჭირდება; როცა ამა თუ იმ სახელმწიფოს “ხმა”, უხეშად რომ ვთქვათ, მისი სიდიდის სათანადო წონის მატარებელია.

რა თქმა უნდა, როგორც ეკონომიკური, ფულად-საკრედიტო და მნიშვნელოვანწილად, პოლიტიკური ნებაყოფლობითი გაერთიანება, იგი წინააღმდეგობრივი ორგანიზაციაა. გაერთიანებიდან კავშირზე გადასვლამ არა მარტო მთავრობათაშორისი თანამშრომლობა გააღრმავა ისეთ სფეროებში,

საყურადღებოდ:

ვეროინტეგრაცია: დადებითი და უარყოფითი მხარეები

ვეროინტეგრაციის სასარგებლოდ, შემდეგ მოსაზრებებს გამოთქვამენ:

◀ კოსმოპოლიტური ხედვის წახალისებით, ის ვეროპის ხალხებს ეიწრო, კარნაკტილი ნაციონალიზმისაგან ათავისუფლებს.

◀ ეკონომიკური, საფინანსო და პოლიტიკური ურთიერთობები იმდენად აკავშირებს სახელმწიფოთა ინტერესებს ერთმანეთთან, რომ ვეროპაში რომი ან რაიმე სერიოზული დაპირისპირება წარმოუდგენელი ხდება.

◀ მთელი კონტინენტის მასშტაბის მქონე ბაზრის შექმნა უზრუნველყოფს მატერიალური კეთილდღეობის ზრდას და ვეროპის უსაფრთხოებას გლობალური ეკონომიკის პირობებში.

◀ “ზიარი” სუვერენტი იმ ერთადერთი გზაა, რაც ვეროპულ სახელმწიფოებს საშუალებას მისცემს წამყვანი როლი და დამოუკიდებელი თამაში ითამაშონ მსოფლიო სცენაზე.

◀ პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი ურთიერთგადახლართულია, ანუ — ერთიანი ბაზრის მართვა საერთო წესებითა და გადაწყვეტილებებით ხდება შესაძლებელი.

◀ ვეროპის მოქალაქეობა პიროვნებას უფრო ფართო და ხშირად, უფრო მყარ სისტემას სთავაზობს — მისი თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

თუმცა, არსებობს ვეროინტეგრაციის კრიტიკული ხედვაც:

◀ ეროვნული სუვერენიტეტის დაკნინება გადაწყვეტილებების მიღებისას, ეროვნული ინტერესებისა და მოთხოვნილებების უგულებელყოფას იწვევს.

◀ ეროვნული, ენობრივი და კულტურული განსხვავებანი შეუძლებელს ხდის ერთიანი პოლიტიკური ხედვის ჩამოყალიბებას ვეროკავშირის წევრ-ქვეყნებს შორის.

◀ ვეროკავშირის ინსტიტუტებსა და ვეროპის ხალხებს შორის არსებული “უფსკრული”, დემოკრატიულობის დეფიციტის აღმოფხვრას სამომავლოდაც კი შეუძლებელს ხდის.

სუბსიდირება:

პოლიტიკური გაგებით, ესაა გადაწყვეტილების მიღების უფლების გადაცემა ცენტრიდან უფრო დაბალ დონეებზე; გერმანიის მსგავს სახელმწიფოებში იგი დეცენტრალიზაციასა და მმართველობაში სახალხო თანამონაწილეობას გულისხმობს, რაც ფაქტიურად, ადგილობრივი და რეგიონალური ინსტიტუტების მხარდაჭერას ნიშნავს. თუმცა, ანტი-ფედერალისტები მასში იმ კონსტიტუციურ პრინციპსაც ხედავენ, რომელიც სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ვეროკავშირის ინსტიტუტების ზეგავლენისაგან იცავს.

7. გლობალური პოლიტიკა

როგორცაა საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა, საშინაო საქმეები და იურისპრუდენცია, იმიგრაცია და წესრიგის დაცვა, არამედ ევროკავშირის მოქალაქეობის ცნებაც დაამკვიდრა, რაც ნებისმიერ წევრ-ქვეყანაში ცხოვრების, მუშაობისა და პოლიტიკური აქტიუობის შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ყვალაფერ ამის მიუხედავად, ევროკავშირის შორს დგას ნაოცნებარი ევროპული სუპერსახელმწიფოს მოდელისაგან.

ინტეგრაციის პროცესს, ძირითადად, პოლიტიკური ელიტები და კორპორატიული ინტერესები განაპირობებს და ისინი ხელაწინააღმდეგობა უწევენ ევროპის ხალხებში მხარდაჭერის მოპოვებას ახალი ევროპის იდეისადმი.

ინტეგრაცია უპირველეს ყოვლისა, დიდ და ეკონომიკურად მძლავრ სახელმწიფოებს აძლევს ხელს და საბოლოოდ, ევროპის კონტინენტზე გერმანიის დომინირებამდე მიგვიყვანს.

ევროპული კავშირის წარმატებები აშკარაა, თუმცა მას ჯერ კიდევ მოუწევს რამდენიმე გამოცდის ჩაბარება: პირველ რიგში, ეს საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას ეხება — საქმე ისაა, რომ ჯერაც უამრავი ფული იხარჯება ზოგიერთ ქვეყანაში არაკონკურენტუნარიან ფერმერობის დასხმარებად. ამ პოლიტიკის გადახედვის აუცილებლობაზე თითქმის აღარაფერ დაობს, მაგრამ საერთო ენის გამონახვა ფრანგ და გერმანულ ფერმერთა გავლენიან ლობისტან — ვერა და ვერ მოხერხდა. კიდევ ერთი პრობლემა ე.წ. “დემოკრატიის დეფიციტია”: იგულისხმება ევროპარლამენტი, რომელიც ერთადერთი არჩევითი ორგანოა მთელს ახალ ევროპულ სისტემაში. შესამეც, ევროკავშირის გაფართოებამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია: ინტეგრაციის ძლიერი მოლოდინი მაშინ გაჩნდა, როდესაც ეს ორგანიზაცია უფრო კომპაქტური იყო, და მხოლოდ დამფუძნებელი “ექვსეულისაგან” შედგებოდა. შემდგომში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით გაფართოების პროცესმა სერიოზული დაძაბულობა წარმოქმნა ე.წ. “გაფართოებისა” და “კავშირების გაღრმავების” მომხრეთა შორის. რამდენადაც დღეს ევროკავშირის პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში გაცილებით ბევრი სახელმწიფო მონაწილეობს, გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ გართულდა და შესაძლოა, საერთოდ შეუძლებელიც კი გახდეს. სწორედ ამან დაბადა ერთიანი ევროკავშირის კონსტიტუციის შექმნის აუცილებლობა, მაგრამ მისი რატიფიცირების ჩაშლამ ევროკავშირს ბევრი ინსტიტუციური ხასიათის თავსატეხიც გაუჩინა.

გლობალური მართვა

გზა “მსოფლიო მთავრობისაკენ”?

“მსოფლიო მმართველობის“ იდეაც იმავე ლოგიკითაა განმტკიცებული, რაც სახელმწიფოს კლასიკურ-ლიბერალურ გამართლებას უდევს საფუძვლად, ანუ — საზოგადოებრივი კონტრაქტის თეორიით. ზუსტად ისევე, როგორც განსხვავებული ინტერესების მქონე პიროვნებათა შორის წესრიგისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალება სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაა, საკუთარი ეროვნული ინტერესების მქონე სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების თავიდან არიდებაც უზენაესი “მსოფლიო ხელისუფლების” მეშვეობით იქნება შესაძლებელი. თუმცა, გინდაც ამგვარი მთავრობის შექმნის პრაქტიკული პრობლემები მოგვარდეს კიდევ, მას სულ ცოტა, 3 დიდი ხინჯი მაინც ექნება: ჯერ ერთი, ისევ და ისევ ლიბერალური მსოფლმხედველობის გადასახედიდან, მსოფლიო მთავრობის არსებობა შეუზღუდავი და გაუკონტროლებელი ხელისუფლების ხიფათს შეიცავს. მსოფლიო მმართველობა, შესაბამისად, მსოფლიო ტირანიად შეიძლება გვექცეს. მეორე — საკითხავია, რამდენად მოხერხდება იმ მსოფლიო მოქალაქეობრიობის ცნების დანერგვა, რის გარეშეც ამგვარი მმართველობა, უბრალოდ, წარმოუდგენელი იქნება — ხალხები ხომ საკუთარი კულტურული, ენობრივი, რელიგიური თუ სხვა განსხვავებების მიხედვით არიან დაყოფილნი ჩვენს სამყაროში. და მესამე: გეოგრაფიული და ინსტიტუციური სიშორე ხელისუფლებასა და ხალხებს შორის ძნელად წარმოსადგენს ხდის, როგორ მოხერხდება წარმატებული დემოკრატიული ანგარიშვალდებულების განხორციელება მსოფლიო მმართველობის სისტემის ფარგლებში.

და მაინც, XX საუკ. ორი მსოფლიო ომის გამოცდილებამ, განსაკუთრებით კი სამხედრო ტექნოლოგიების უკიდურესმა განვითარებამ, გადაუდებელ ამოცანად დასახა იმგვარი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომლებიც საერთაშორისო თანამშრომლობას წახალისებდა და ხელს შეუწყობდა კიდევ. გლობალური მართვის მცდელობის პირველ ექსპერიმენტად შეიძლება 1919წ. შექმნილი უილზონის ერთა ლიგა ჩაითვალოს, რომელმაც, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა საკუთარი სახელწოდება გაემართლებინა. ა.შ.შ.-ს პრეზიდენტ უილსონის დიდი მცდელობის მიუხედავად, კონგრესმა მაინც არ დაუჭირა მხარი ამერიკის გაწევრიანებას ამ ორგანიზაციაში. I სოფლიო ომში დამარცხებული გერმანია ერთა ლიგაში კი მხოლოდ 1926წ. “შეუშვეს”, თუმცა, 1933წ. ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ისევ გარიცხეს.

II მსოფლიო ომის დასასრულს, მსოფლიო მმართველობის იდეამ ახალი სასიცოცხლო ძალა შეიძინა: 1944წ., ბრეტონ-ვუდში (ა.შ.შ.) 44 ქვეყანა იმაზე შეთანხმდა, რომ საჭირო იყო ახალი წესები და ინსტიტუტები — ომისშემდგომ მსოფლიოში საერთაშორისო ვაჭრობისა და ფულად-საკრედიტო სისტემების სამართავად. სწორედ ამ შეთანხმებას მოჰყვა მყარი

თავისუფალი ვაჭრობა

ესა ტარიფებითა თუ პროტექციონიზმის სხვა ფორმებით შეუზღუდავი ვაჭრობის სისტემა სახელმწიფოთა შორის. ეკონომიკური თვალსაზრისით, იგი სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, მათთვის ყველაზე ხელსაყრელი სამრეწველო დარგები და მომსახურების სფეროები განავითარონ, გაიწაფონ ამ მიმართულებით და საერთო სარგებელი ნახონ. პოლიტიკურად, თავისუფალი ვაჭრობა ურთიერთდამოკიდებულობა და კონსოლიდაციის უწყობს ხელს, რაც ფაქტიურად, კონფლიქტებსა და ომებს შეუძლებელს ხდის. კრიტიკოსთა აზრით, თავისუფალი ვაჭრობა ეკონომიკურ უთანასწორობას აღრმავეს, რადგან ძლიერი სახელმწიფოები სუსტი ქვეყნების ბაზრებს იკუმშავენ, თავად კი გარე კონკურენციისაგან სრულიად დაცულად გრძნობენ თავს. თავისუფალი ვაჭრობის საკითხი ძირითადად გლობალიზაციის აუ-კარგიანობაზე და მის გავლენებზე კამათის დროს.

უომინგტონური თანხმობა: პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა პაკეტი, რაც ბაზარზე შეჭრის შესაძლებლობათა შემცირებას ისახავს მიზნად — სახელმწიფოს მხრივ ჩაურევლობის, პრევალიზაციისა და ფისკალური წინაღობების შემცობით.

თინანსური პირობების დადგენა და იმ ავთარკიული და პროტექციონისტული პოლიტიკის უარყოფა, რამაც უკიდურესად მოშინა საერთაშორისო ურთიერთობები ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში. მსოფლიო ეკონომიკის რეგულირებისათვის დაფუძნდა სამი ახალი ინსტიტუტი: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება (GATT) და მსოფლიო ბანკი (WB). ამ გაგებით, შეთანხმება უფრო მერკანტილიზმისაკენ იხრებოდა, ვიდრე კლასიკური ეკონომიკის ფუძემდებელთა მიერ ნაქადაგები კომერციული ლიბერალიზმისაკენ და დადგენილი გაცვლითი კურსის სისტემის შექმნას მოითხოვდა, რამდენადაც ცვალებადი ნიხრები იმთავითვე არამყარია და ეროვნული ეკონომიკის გრძელვადიან დაგვეგვას უშლის ხელს.

თუმცა, XX საუკ. 70-იანი წწ. დასაწყისში, მთელი ეს სისტემა დაირღვა მას შემდეგ, რაც ა.შ.შ.-მ გადაწყვიტა “მიეშა” დოლარი და ამან, თავის მხრივ, დადგენილი გაცვლითი ნიხრის რეჟიმი მოარღვია. საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი მისი მთავრი ფუნქციის გარეშე დატოვა. ამ ნაბიჯის გადადგმა ამერიკას შხარდმა საშინაო ეკონომიკურმა სირთულეებმა აიძულა, ხოლო “მცოცავი” გაცვლითი ნიხრის შემოღებამ ქვეყანაში სერიოზულ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ცვლილებებს დაუდო სათავე. პოლიტიკური თვალსაზრისით, ყოველივე ამან ე.წ. “უომინგტონური თანხმობა” წარმოშვა, ხოლო იდეოლოგიურ შედეგებს რაც შეეხება, საერთაშორისო სავალუტო ფონდმაც, ბატ-მაც და მსოფლიო ბანკმაც, XX საუკ. 70-იანი წწ. უკვე იმგვარი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის იდეები აიტაცეს, რაც თავისუფალ ბაზრისა და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს დაემყარებოდა. 1995წ., ბატ-ის ნაცვლად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაარსებამ (WTO) კიდევ უფრო გააძლიერა ეს ტენდენცია და ეკონომიკური გლობალიზაციის დაჩქარებულ წინსვლას შეუწყო ხელი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (ბაპრო)

ბაპრო II მსოფლიო ომის მიწურულს, 1945წ. აპრილ-თენისში შეიქმნა სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე და იმთავითვე მიზნად ისახავდა “ერთა ლიგის” შეცდომების თავიდან აცილებას. **ბაპრო I** რეალიზმისა და იდეალიზმის ერთგვარი ნაზავია — მისი ქარტია საერთაშორისო ნორმების უმაღლეს სტანდარტებს უწესებს მასში გაწვერიანების მსურველ სახელმწიფოებს. იგულისხმება ძალის გამოყენებაზე უარის თქმა (თუკი საქმე თავდაცვას არ ეხება), საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით მოგვარება, თანაშრომლობა ადამიანის უფლებებისა და ძირეულ თავისუფლებების უზრუნველსაყოფად, და ეროვნული დამოუკიდებლობისა და თვითგამორკვევის უფლების აღიარება. ყოველივე ამის საფუძველი — კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპი და იმის რწმენაა, რომ ერთობლივი ქმედება იმ “ძველი პოლიტიკის” ალტერნატივას მოიტანს, რომელიც მხოლოდ ეროვნულ ინტერესებს ითვალისწინებდა და ძალთა

სტანსის შენარჩუნებას ცდილობდა. თუმცა, ალბათ საკამათო არ იქნება უკუტყვიით, რომ მის დამფუძნებელთა ოცნებებს აღსრულება არ უწერიათ - უკვე შემთხვევაში, სრულად მაინც.

გაეროს სტრუქტურის თავი და თავი — გენერალური ასამბლეა, რომელშიც ყველა წევრი ქვეყანა შედის და თითოეულ მათგანს თითო ხმის უფლება გააჩნია. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას წევრთა 2/3 მჯობრდება, ოღონდ ამ გადაწყვეტილებებს უფრო რეკომენდაციის ხასიათი აქვთ ვიდრე იძულებითი საერთაშორისო კანონებისა. გაეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანო უსაფრთხოების საბჭოა, რომელიც პასუხისმგებელია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაზე და შენაძრამისად, სწორედ ის ახორციელებს გაეროს, როგორც მომრიგებლის, დამკვირვებლის, მშვიდობისმყოფელისა და, თუ საჭიროა, მშვიდობის აღდგენით უზრუნველყოფელის ფუნქციებს. საბჭოში 15 წევრია; ე.წ. „დიდი ხუთეული“ (ა.შ.შ., რუსეთი, ჩინეთი, გაერთიანებული სამეფო და საფრანგეთი) მუდმივად მონაწილეობს მასში და ვეტოს უფლებითაა აღჭურვილი. დანარჩენ ათს — მუდმივი წევრის სტატუსი არ გააჩნიათ და გენერალური ასამბლეის მიერ ირჩევიან ორი წლის ვადით.

კოლექტიური

უსაფრთხოება: ამ დებულების აზრი ისაა, რომ აგრესიის მოგერიება რამდენიმე გაერთიანებული სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევით უკეთ ხერხდება.

გაეროს იურიდიულ ფუნქციებს ე.წ. “მსოფლიო სასამართლო” ახორციელებს. იგი 9 წლით არჩეული 15 მოსამართლისაგან შედგება, რომელთაც როგორც უსაფრთხოების საბჭოს, ასევე გენერალური ასამბლეის უმრავლესობა ირჩევს. გაეროს აღმასრულებელი შტოა სამდივნო, რომელსაც სათავეში გაეროს გენერალური მდივანი უდგას. მას, როგორც, ასე ვთქვათ, “მსოფლიოს პრეზიდენტს”, ბუერის გაკეთება შეუძლია ამ ორგანიზაციის სტატუსის ასამაღლებლად და სამოქმედო პოლიტიკის გასაფართოებლად. აღსანიშნავია გაეროს ეკონომიკური და საზოგადოებრივი საბჭოს მნიშვნელობაც, რომელიც მთელ რიგ დარგობრივ ორგანიზაციებს ზედამხედველობს — ისეთებს, როგორებიცაა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, (WHO) ბავშვთა დაცვის ფონდი (UNICEF), განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) და ლტოლვილთა უმაღლესი კომისია (UNHCR).

ავთარკია: (სიტყვა-სიტყვივით თვითმმართველობა); ჩვეულებრივ, განმარტავენ როგორც იმ ეკონომიკურ თვითმმართველობას, რომელიც ან კოლონიური დაპყრობებით, ანდა საერთაშორისო ვაჭრობაზე უარის თქმით მიიღწევა

მერკანტილიზმი:

ეკონომიკური თეორია, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოს როლს საერთაშორისო ვაჭრობისა და ქვეყნის უზრუნველყოფის საქმეში.

გაეროს სურვილი, ერთგვარ “მსოფლიო მთავრობად” იქცეს, მკაცრად და დასაზღვრული მისი წევრი ქვეყნების, განსაკუთრებით — უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრის ნებით. მაგალითად, გაერომ დიდ წარმატებას მიაღწია ცეცხლის შეწყვეტის საქმეში ინდოეთსა და პაკისტანს შორის — 1959 წელს; წარმატებით დამთავრდა მისი აქტიურობა ბელგიის კონგოში (ახლანდელი ზაირი) 1960 წელს, ასევე, 1962 წელს, ახალი გვინეის თაობაზე დანისა და ინდონეზიის დაპირისპირებისას. ოღონდაც, უმეტეს შემთხვევებში, მაინც შესახელმწიფოების წარმომადგენელთა ნება გადაძალადა ხოლმე: გაეროს ჯარების შესვლა კორეაში 1950 წელს მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ საბჭოთა კავშირი მისი შემადგენლობიდან პროტესტის ნიშნად უკვე გასული იყო (კომუნისტური ჩინეთის გარიცხვასთან დაკავშირებით). რაც შეეხება 1962 წლის კუბის სარაკეტო კრიზისს, ბამრ(ი) მხოლოდ უნიათო მაყურებლად რჩებოდა და

საერთაშორისო

სამართალი

ესა სახელმწიფოებისთვის დადგენილი,

სახელმძღვანელო წეს-კანონთა სისტემა, რითაც მათ შორის ურთიერთობები განისაზღვრება. ერთი საერთაშორისო საკანონმდებლო ორგანოს არარსებობის პირობებში, საერთაშორისო სამართალი რამდენიმე წყაროთი საზრდოობს: იქნება ეს ხელშეკრულებები, ზოგადი პრინციპები თუ საერთაშორისო სასამართლოები.

მან ასევე ვერაფერი გააწყო საბჭოეთის ინტერვენციების წინააღმდეგ უნგრეთში (1956), ჩეხოსლოვაკიაში (1968) და ავღანეთში (1979). რაც შეეხება 1948, 56, 67, 73 წწ. არაბულ-ებრაულ დაპირისპირებებს, გაეროს მცდელობები მხოლოდ მეტ-ნაკლებად წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ცივი ომის დასასრულმა, ბევრის აზრით, ახალი პერსპექტივები გაუხსნა ამ ორგანიზაციის საქმიანობას. 1990-91 წლებში კუვეიტიდან ერაყის ჯარების გაძევებამ, ხოლო შემდგომ შვედეთზე შტატებზე გაეროს ზეწოლით ომის არულის შემოფარგვლამ, მისი ავტორიტეტი განუზომლად აამაღლა. მაგრამ უკვე 1994 წელს, რუანდაში მომხდარმა გენოციდმა, სადაც გაეროს ძალები მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსით შემოიფარგლნენ, და 1995 წელს, სომალიდან სამარცხვინო უკანდახვეის შემდეგ — ამ ორგანიზაციის იმიჯი უკვე საკმაოდ შეილახა. ასევე, ყოფილ იუგოსლავიაში გაეროს ევდით მიმდინარე მოლაპარაკებებისა და ოპერაციების ნულოვანმა შედეგმა და შეერთებული შტატების მიერ, გაეროს წინააღმდეგობის მიუხედავად, ომის განახლებამ ერაყში, მისი იმდროინდელი თავმჯდომარე კოფი ანანი სრულიად უმწყო, ერთ რიგით დიდჩინოსნად წარმოაჩინა.

მაინც, რა მოხდა? საქმეც ისაა, რომ ჯერ არნახული, ასე ვთქვათ “მსოფლიო მთავრობად” ქცევის ნაცვლად, **ბამრო** სრულიად ახლებური პრობლემებისა და კონფლიქტების წინაშე დადგა. დასავლეთ-აღმოსავლეთის ქიშპობის ხანის დასასრულმა ბევრ წევრ ქვეყანას სურვილი გაუქრო — კოლექტიური უსაფრთხოების მოტივით, საკუთარი ჯარები ეგზავნა ქვეყნის დასალიერზე და სწორედ ამ ახალმა “იზოლაციონიზმმა” შეუშალა ხელი ბოსნიაში სამშვიდობო ძალების ერთობლივ მოქმედებას და თავის დროზე, არც შეერთებულ შტატებს მისცა საშუალება, დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა ერაყში. ამას გარდა, არსებობს უამრავი შიდა უთანხმოებაც: ისევე, როგორც შეერთებულ შტატებს აღარ სურს ხარჯების უდიდესი წილის საკუთარ მხრებზე გადატანა, აღარც გაეროს ბევრ წევრ ქვეყანას სურს ხელ-ფეხი გაუხსნას იმავე შეერთებულ შტატებს, ანუ — თანხმობა მისცეს ისე იმოქმედოს, როგორც საკუთარი გლობალური უსაფრთხოებისათვის ჩათვლის საჭიროდ.

შეჯამება

«საერთაშორისო პოლიტიკა ყოველთვის მრავალმხრივი ანალიზის საგანი იქნება. იდეალიზმი ზნობრივ ღირებულებებსა და კანონის ნორმებზე დამყარებულ თვალსაზრისს იზიარებს; რეალიზმი ძალისმიერი პოლიტიკის მარტოობაზე ამახვილებდა ყურადღებას; ნეორეალიზმი საერთაშორისო სისტემის სტრუქტურულ არასრულყოფილებაზე მიათითებდა; პლურალიზმი — ძალუფლების მზარდ გადანაწილებაზე, მარქსიზმი კი — ეკონომიკურ უარსაწირობაზე გლობალურ კაპიტალისტურ სისტემაში.

«XXI საუკ. მსოფლიო წესრიგი ნაირგვარად ესმით ერთნი ამტკიცებენ, ობოლუსიანმა წესრიგმა ადგილი დაუთმო ერთობლუსიანს, სადაც ერთდროს ზესახელმწიფოდ ა.შ.შ. მოიაზრება და სწორედ მის მიერ აღიარებულმა “ტერორიზმთან ომმა” დიდად შეუწყო ხელი ახლებური წესრიგის დამყარებას, რამდენადაც სწორედ ამერიკამ გამოუცხადა ბრძოლა ტერორიზმის მკვებად ფარულ ძალებსო; მეორენი კი გაიძახიან — ახალ-ბრძოლა სახელმწიფოების გაჩენას, არასახელმწიფოებრივ ჯგუფთა მზარდ ძლენასა და თავისთავად ძალუფლების ხასიათის სახეცვლილებას, ანდათანობით იმავე მრავალპოლუსიანობასთან მივყავართო.

«გლობალიზაცია ფრიად წინააღმდეგობრივი პროცესია. ისიც კი საკმაოდ დაა გამხდარი, საერთოდ ხდება თუ არა იგი და/ან რა ძალები მართლთავე მას. გლობალიზაციის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ის დემოკრატიზაციის პროცესს, კეთილდღეობის მიღწევასა და განვითარების კვების ძიებას უწყობს ხელს, აფართობს არჩევანისა და ინიციატივის ახარებას; მოწინააღმდეგეები კი მზარდ უთანასწორობაში, გარემოს დაბინძურებაში, კორპორაციების დემოკრატიული კონტროლისაგან გათავისუფლებაში სდებენ ბრალს.

«რეგიონალური გაერთიანებებისაკენ ტენდენციებმა შესაძლოა, გლობალიზაციის საპირწონე შექმნას, რადგან ბევრი იმასაც ამტკიცებს, რეგიონალ-ბრძოლა ახლა ნაციონალიზმის ჩანაცვლების უნარი შესწევსო. რეგიონალური გაერთიანების ყველაზე წარმატებული მცდელობა ევროკავშირის შექმნა აღმოჩნდა, რომელმაც როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური გაერთიანების მაგალითი მოგვცა.

«მსოფლიო მმართველობის გამართლებას, ძირითადად, იმით ცდილობენ, რომ თუკი გლობალური სახელმწიფო არ შეიქმნა, საერთაშორისო სისტემა იმავე “ბუნების კანონებით” იხემდღვანელებსო. სამწუხაროდ, ამგვარი მმართველობისათვის ბაშრო ვერ აღმოჩნდა მზად, რადგან მის წევრ-ქვეყნებს დიდი ხალისი არ ეტყობათ, რუსურსები გაიღონ კოლექტიური უსაფრთხოების მისაღწევად. ამჟამინდელ საერთაშორისო სისტემაშიც მასხვისმგებლობები არათანაბრადაა გადანაწილებული და ვერც გაერო ხოულობს თავისთვის იმ ახალ როლს, რაც აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების შემდგომდროინდელ მსოფლიოს მიესადაგებოდა.

7. გლობალური პოლიტიკა

კითხვები განსასჯელად

- ◀ მსოფლიო პოლიტიკის რაგვარი ხედვა აგვახსნევინებს უკეთესად თანამედროვე გარდაქმნებს?
- ◀ არის თუ არა “ტერორიზმთან ომი” ცივილიზაციათა უკვე დაწყებული ჯახის მაჩვენებელი?
- ◀ არასტაბილური იქნება თუ არა მრავალპოლუსიანი მსოფლიო?
- ◀ გლობალიზაცია — მითი თუ სინამდვილე?
- ◀ გლობალიზებული ეკონომიკა ყველასთვის თანაბარ შესაძლებლობებს შექმნის თუ მეტ საფრთხეს წარმოშობს და უთანასწორობასაც გააღრმავებს?
- ◀ ევროკავშირი გამონაკლისია თუ რეგიონალური გაერთიანების სამომავლო მოდელი?
- ◀ თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში, რა როლი შეიძლება ან უნდა იკისროს გაერომ?
- ◀ რამდენად მომხიბვლელი პერსპექტივაა ერთიანი, მსოფლიო მმართველობა?

დამატებითი საკითხავი

- Baylis, J. and S. Smith (eds), *The Globalization of World Politics: An Introduction to International Relations* (Oxford: Oxford University Press, 2005).
- Chomsky, N., *Hegemony and Survival: America's Quest for Global Dominance* (New York: Owl Books, 2004).
- Scholte, J.A., *Globalization: A Critical Introduction* (Basingstoke and New York: Palgrave Macmillan, 2005).

ცენტრალიზაცია თუ დეცენტრალიზაცია?

ვევლა თანამედროვე სახელმწიფო, ტერიტორიულ საფუძველზე, ცენტრალურ (ნაციონალურ) და პერიფერიულ (რეგიონალურ, პროვინციულ თუ ადგილობრივ) ინსტიტუციებადაა დაყოფილი. ამას მრავალი მიზეზი გააჩნია: კონსტიტუციური ჩარჩოები, რომლის ფარგლებშიც ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობები იმართება, სახელისუფლებო მმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის უფლება-მოვალეობების განაწილება. მოხელეთა შერჩევისა და დანიშვნის წესები, პოლიტიკური, ეკონომიკური, ადმინისტრაციული თუ სხვა ბერკეტები, რაც ცენტრმა პერიფერიაზე საკუთარი გავლენის კონტროლისათვის შეიძლება გამოიყენოს და ასევე, დამოუკიდებლობის ის ხარისხი, რაც პერიფერიულ ორგანოებს აქვთ მინიჭებული. თუმცა, ერთი რამ ცხადია — არც ცენტრალურ და არც პერიფერიულ ინსტიტუციებს უერთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ.

ცენტრალური ხელისუფლების გარეშე, ვერც ერთი სახელმწიფო, უბრალოდ, ვერავითარი როლის შესრულებას ვერ მოახერხებს საერთაშორისო პოლიტიკის სცენაზე. მას არანაირი მექანიზმი არ ექნება სტრატეგიულ კავშირებში გასაერთიანებლად, სავაჭრო ხელშეკრულებების გასაფორმებლად, საერთაშორისო შეხვედრებსა და კონფერენციებზე მონაწილეობის მისაღებად თუ შესახელმწიფოებრივ ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად. სწორედ ამიტომაც ცენტრალური ხელისუფლება მთლიანად პასუხისმგებელი სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებზე, რისი გამოხატულებაცაა მის მხრიდან საგარეო, დიპლომატიურ და თავდაცვის პოლიტიკაზე განხორციელებული კონტროლი. უფრო მეტიც, ცენტრალური ხელისუფლების ესა თუ ის ფორმა აუცილებელია პერიფერიულ ორგანოთა შორის შუამავლობისთვისაც, რათა საერთო ინტერესების სფეროებში თანამშრომლობა იქნას უზრუნველყოფილი. ძირითადად, ეს იმას ნიშნავს, რომ ცენტრალური ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების სრულ ზედამხედველობას ახორციელებს და თვითონ აგვარებს საგარეო ვაჭრობის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სფეროებთან დაკავშირებულ საკითხებს. თუმცა, პერიფერიულ ინსტიტუციათა ხარჯზე ცენტრალური ხელისუფლების კიდევ უფრო გაძლიერების არაერთი სერიოზული არგუმენტი არსებობს.

ცენტრალიზაციის სასარგებლოდ შემდეგი ფაქტორები მეტყველებს:

ეროვნული მთლიანობა: მთელის და არა ნაწილების ინტერესების გამოხატვა მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას შეუძლია: ანუ, ის მთელი ერის და არა ცალკეული სოციალური, ეთნიკური თუ რეგიონალური ჯგუფების სადარაჯოზე დგას. ძლიერი ცენტრი ხელისუფლების მიერ მთელი საზოგადოების ინტერესის დაცვის წინაპირობაა, სუსტი კი — ქიშპობისა და უთანხმოების საფუძველი.

ცენტრალიზაცია:
მთელი სახელისუფლებო ძალის თავმოყრა მმართველობის უმაღლეს, სახელმწიფო დონეზე.

საფუძვლათობა: მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას შეუძლია იმ საფუძვლათო კანონებისა და საჯარო სამსახურების შექმნა, რაც ადამი-
ანებს ქვეყნის ერთი ნაწილიდან მეორეში გადაადგილებას გაუადვილებს.
ფორაფიული მობილურობა უთუოდ შესუსტდება, თუკი ქვეყანაში განსხ-
ვებული საგადასახადო ტარიფები და საკანონმდებლო, საგანმანათლებ-
ლო თუ სოციალური დაცვის სისტემები იმოქმედებს.

თანასწორობა: დეცენტრალიზაციას მნიშვნელოვანი ნაკლი ახასიათებს —
პერიფერიულ ინსტიტუტებს იძულებულს ხდის, მხოლოდ ადგილო-
ბრი თუ რეგიონალური რესურსების იმედად იყვნენ, უთანასწორობების
დამოფხვრა კი მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას შეუძლია, რადგან
სოციალურად ყველაზე შეჭირვებული რეგიონები, თავისთავად, ყველაზე
საღარიბო შემოსავლების მობილიზებას ახერხებენ.

ლოკალიზაცია: ეკონომიკური განვითარება და ცენტრალიზაცია მუდამ
ერთმანეთთანხვედრი პროცესებია. ასე მაგალითად, ერთიანი ვალუტის
შესრულება, კეთილდღეობის შეუწელებელ ზრდაზე გათვლით საგადასახადო
და სოციალური პოლიტიკის კონტროლი და, აუცილებლობის
შეზღვევაში, გზატკეცილების, რკინიგზებისა თუ აეროპორტების სახით
ინფრასტრუქტურის შექმნაც — მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების
მოქმედებაა.

პირველ მხრივ, არსებობს ცენტრალიზაციის შესაძლო თუ სასურველი
დონის გარკვეული ზღვარიც. უბრალოდ, აბსურდულიც კი იქნებოდა იმის
წარმოდგენა, თანამედროვე სახელმწიფოში მხოლოდ ცენტრიდან როგორ
ამართება ათობით და ხშირად ასობით მილიონი მოქალაქის ყოველდღიური
ჭრუა-ცხოვრება. და მართლაც, თუკი თანამედროვე მთავრობათა ყველა
ფუნქციონალური სამსახური ერთიანი ცენტრიდან იქნება ადმინისტრირე-
რებული, შედეგად უცილობლად უთაბობლობასა და ბიუროკრატიულ ქაოსს
შეიქმნება, იმის ნათელ დადასტურებას, რასაც ეკონომისტები
„მასშტაბების არაეკონომიურობას“ უწოდებენ. ზოგადად, პერიფერიულ
ინსტიტუტებზე დაკისრებული პასუხისმგებლობა „საშინაო“ იმ
თვალსაზრისით, რომ უმთავრესად ადგილობრივი მაცხოვრებლების
მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება: იქნება ეს განათლება,
ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა თუ დაგეგმარება. თუმცა, ცენ-
ტრალური ხელისუფლებიდან გარკვეულ გადაწყვეტილებათა მიღების
უფლებამოსილების პერიფერიულ ორგანოებზე გადანაცვლებაც შეტად
საფურადღებო საკითხია.

დეცენტრალიზაციის გამამართლებელი ფაქტორებია:

თანამონაწილეობა: ადგილობრივი თუ რეგიონალური ხელისუფლება
მართლაც ცენტრალურზე უფრო ეფექტიანია, როცა საქმე მოქალაქეთა
საკუთარ სათემო პოლიტიკურ ცხოვრებაში თანამონაწილეობის
შესაძლებლობათა გაფართოებას ეხება. პოლიტიკური თანამონაწილეობის

დეცენტრალიზაცია:
უმაღლესი სახელმწიფო
ორგანოებიდან
ძალაუფლების და პასუხის-
მგებლობების დელეგირების
გზით ადგილობრივი
ავტონომიის გაფართოება.

8. საშინაო პოლიტიკა

ხარისხის ზრდა კი უფრო გათვითცნობიერებული და პოლიტიკურად მომზადებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ხელმისაწვდომობა: პერიფერიული ინსტიტუტები, როგორც წესი, უფრო “ახლოს” არიან ხალხთან და მისი მოთხოვნების გაგებაც უფრო სწრაფად შეუძლიათ. ეს თავისთავად აძლიერებს დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებას და იმის წინაპირობასაც ქმნის, რომ ხელისუფლება არა მარტო საზოგადოების ერთიანი ინტერესების დაცვაზე იზრუნებს, არამედ ამა თუ იმ სათემო გაერთიანების კონკრეტულ პრობლემებსაც უკეთ გაითავისებს.

კანონიერება: ცენტრალური ხელისუფლებისაგან ფიზიკური სიშორე, პოლიტიკურ დაშორიშორებასაც იწვევს და იმაზეც ახდენს გავლენას, რამდენად სამართლიანად ან მისაღებად იქნება მიჩნეული მისი გადაწყვეტილებები. მაგრამ როცა ესა თუ ის გადაწყვეტილება “ადგილობრივ” დონეზეა მიღებული, მეტი შანსია ხალხმა იგი უფრო გასაგებად და, აქედან გამომდინარე, კანონიერადაც აღიაროს.

თავისუფლება: ვინაიდან ძალაუფლება რყვნის, არსებობს საფრთხე, ცენტრალიზაციამ ხელისუფლება ტირანად და ყოველი ცალკეული პიროვნების თავსატეხად აქციოს. დეცენტრალიზაცია კი — სახელისუფლებო ძალის დანაწილებით — თავისუფლებას იცავს და კონტროლისა და ბალანსის მთელ სისტემას ქმნის. პერიფერიული ორგანოები არა მარტო ერთიმეორეს, არამედ ცენტრალურ ხელისუფლებასაც უწვევენ მეთვალყურეობას.

ურთიერთობები ცენტრსა და პერიფერიას შორის

ცენტრალიზაციასა და დეცენტრალიზაციას შორის წონასწორობას ერთი და იმავე სახელმწიფოს ფარგლებში, ისტორიულ, კულტურულ, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოებათა ფართო სპექტრზე განაპირობებს. მათ შორის უმთავრესი სახელმწიფოს კონსტიტუციური მოწყობაა, კერძოდ კი — პოლიტიკურ სისტემაში ხელისუფლების წყაროს საკითხი. ძირითადად მაინც სწორედ კონსტიტუციური წყობა აყალიბებს იმ ჩარჩოებს, რომლებშიც ცენტრისა და პერიფერიების ურთიერთობანი ხორციელდება. თანამედროვე მსოფლიოში ტერიტორიული მიწყოების ორეველაზე გავრცელებული ფორმა არსებობს — ფედერალური და უნიტარული. მესამე ფორმა, ანუ კონფედერაცია, ისტორიული გამოცდებით, სიცოცხლისუნარიანი ვერ გამოდგა. **კონფედერაციები** ქმნიან პოლიტიკური გაერთიანებების ყველაზე უფრო არამყარ და მაქსიმალურად დეცენტრალიზებულ სახეობებს, სადაც სახელისუფლებო ძალა პერიფერიულ ორგანოებს სრულად აქვთ მინიჭებული, და გასაკვირიც აღარაა რომ ამ მოდელის თავგამოდებულ დამცველებად ანარქისტები გამოდიოდნენ. კონფედერაციულ პრინციპებზე უფრო ხშირად საერთაშორისო ორგანიზაციები იქმნება, მაგალითად — ნატო, გაერო, ერთიანი აფრიკის ორგანიზაცია.

კონფედერაცია:

სახელმწიფოთა გარკვეული ტიპის კავშირი, როცა ყოველი სუბიექტი საკუთარი დამოუკიდებლობის ხარისხს ინარჩუნებს წინასწარი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

პეტრ ვოხოვე პრუდონი (1809-65)
 ფრანგი ანარქისტი, თვითნასწავლი
 მწერარი. სანამ 1847 წელს პარიზში
 დასახლდებოდა, ლიონში ცხოვრობდა
 და აქვე დაინტერესდა რადიკალური
 პოლიტიკური იდეებით. 1848 წელს,
 როდესაც საკანონმდებლო ასამბლეის
 წევრმა, ღიად გაილაშქრა კონსტიტუცი-
 ი პრინციპების წინააღმდეგ, მოგვიანებით,
 სან წლით დააპატიმრეს და აქტიურ
 პოლიტიკაზე გულაცრეუბულმა,
 ბრიტანულად თეორიული ნაშრომების

წერას მიჰყო ხელი. მისი ყველაზე ცნო-
 ბილი ნაწარმოები — “რა არის კერძო
 საკუთრება?” (1840) ანარქიზმის უპი-
 რატესობის პირველი სისტემური
 დასაბუთების მცდელობაა და ავტორის
 აზრით, “კერძო საკუთრება მხოლოდ
 ნაქურდალია — სხვა არაფერი”. 1863
 წელს დაწერილ “ფედერალურ
 პრინციპში” პრუდონმა ოდნავ შეარბილა
 საკუთარი ანარქისტული რადიკალიზმი
 და “მინიმალური სახელმწიფოს” არსე-
 ბობის შესაძლებლობაც დაუშვა.



ნაზიჯი და სხვ. კონფედერაციის მოდელზე მორგებული სახელმწიფოების
 რიცხვი კი უაღრესად მცირეა: ადრე, მეფერამეტე საუკუნის მიწურულს,
 კონფედერაციას წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატები,
 დღესდღეობით კი ამგვარი მოწყობით 1991 წელს საბჭოთა კავშირის ნან-
 კრეფებზე აღმოცენებული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
 (დსთ) გამოირჩევა. ერთი რამ ხაზგასმით უნდა ითქვას: ქმედითუნარიანი
 ცენტრალური ხელისუფლების გარეშე, კონფედერაცია ან ამერიკის
 შტატებს, ფედერალურ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთა ერთობლიობად
 გარდაიქმნება, ანდა-ცენტრიდანული ტენდენციების ზეგავლენით, სრული
 დეცენტრალიზაციის გზას დაადგება, რაც იგივე დსთ-ს ემართება ბოლო
 დროს.


ფედერალური სისტემები

დღეს მსოფლიოს მოსახლეობის მესამედზე მეტი ისეთ სახელმწიფოებში
 ცხოვრობს, სადაც ამა თუ იმ ტიპის ფედერალური მოწყობაა. ამ
 სახელმწიფოთა შორისაა ა.შ.შ., ბრაზილია, პაკისტანი, ავსტრალია,
 ბექსიკა, შვეიცარია, ნიგერია, მალაიზია და კანადა. მართალია, არ არსე-
 სობს ორი სრულიად ერთნაირი ფედერალური მოწყობის მოდელი, ოღონდ
 ყოველი მათგანის უმთავრესი ნიშან-თვისება მაინც ცენტრალურ და პერ-
 იფერიულ ინსტიტუციებს შორის ხელისუფლების განაწილებაა, რაც
 თეორიულად მაინც უზრუნველყოფს იმას, რომ მმართველობის არც ერთ
 დონეზე უფლებამოსილებათა უხეში ხელყოფა არ ხდება. ამ
 თვალსაზრისით, ფედერაცია პოლიტიკური ორგანიზების ერთგვარი გარ-
 დამავალი ფორმაა კონფედერაციას (როდესაც სრული ხელისუფლებით
 პერიფერიული ორგანოები არიან აღჭურვილნი) და უნიტარულ სახ-
 ელმწიფოს შორის (სადაც ძალაუფლება ცენტრალური ინსტიტუტების
 ხელშია თავმოყრილი). ფედერალური სისტემების საფუძველს წარმოად-
 გენს წონასწორობა ერთიანობასა და რეგიონალურ მრავალფეროვნებას,
 ქმედითუნარიანი ცენტრალური ხელისუფლების აუცილებლობასა და ამ
 ხელისუფლების “მოთოკვისა” თუ კონტროლის მოთხოვნილებას შორის.

ფედერალიზმი

ფედერალიზმის ცნება საკანონმდებლო და პოლიტიკური სტრუქტურების მიერ ძალაუფლების ტერიტორიულ განაწილებას გულისხმობს ერთი სახელმწიფოს ფარგლებში. როგორც პოლიტიკური მოწყობის ფორმა, ის მმართველობის ორი განცალკევებული დონის არსებობას მოითხოვს, რომელთაგან არც ერთი არ ექვემდებარება მეორეს — როგორც პოლიტიკური, ისე საკანონმდებლო თვალსაზრისით; ანუ — ფედერალიზმის უმთავრესი ნიშანი ურთიერთზიარი სუვერენიტეტია. ამ განმარტების საფუძველზე, “კლასიკური” ფედერალიზმში მხოლოდ რამდენიმე ქვეანაში გვხვდება (ა.შ.შ., შვეიცარია, ბელგია, კანადა, ავსტრალია), თუმცა ფედერალიზმის ნიშანთვისებები გაცილებით მეტ სახელმწიფოს ახასიათებს.

ნახ. 8.1. ფედერალური სახელმწიფოები



რატომ ფედერალიზმი?

ფედერალური პრინციპი სხვადასხვა სახელმწიფოსათვის მეტ-ნაკლებად შეესაფერის. უპირველეს ყოვლისა, ისტორიული თავისებურებანია საჯაროდებო. ასე მაგალითად, ფედერაციები ხშირად იმ რამდენიმე ჩამოყალიბებული პოლიტიკური ერთობის შეკავშირების შედეგად იქმნებიან რომელნიც ამის მიუხედავად მაინც აპირებდნენ საკუთარი გამორჩეული მუშაობისა და, გარკვეული თვალსაზრისით, დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. ეს ნათლად გამოჩნდა მსოფლიოს პირველი ფედერალური სახელმწიფოს ა.შ.შ.-ს შემთხვევაში. მართალია, ბრიტანეთის 13 ყოფილი კოლონია ამერიკაში სწრაფადვე მიხვდა კონფედერაციული მოწყობის უპერსპექტივობას, მაგრამ ყოველ მათგანს მაინც ახასიათებდა ის გამოკვეთილი პოლიტიკურ მეობა და ტრადიციულ ფასეულობათა სისტემა, რის დაცვასაც ახალ უფრო ცენტრალიზებულ კონსტიტუციურ ჩარჩოებშიც ეპირებოდნენ. მართლაც, ისეთი პრივილეგიებული კოლონიები, როგორებიც იყო რიუაილენდი და კონექტიკუტი, ბრიტანეთის სამეფო ტახტისაგან იმ დონის დამოუკიდებლობას იყენენ შეჩვეულნი, რომ მათი კოლონიური დროის ტრადიციები კიდევ დიდხანს ასრულებდნენ ორივე ამ შტატის კონსტიტუციის დანიშნულებას.

ძლიერი ეროვნული ხელისუფლების საკითხისადმი ყოველ კოლონიების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ნათლად გამოჩნდა 1776 წლის ფილადელფიის საკონსტიტუციო კრებაზე, სადაც დიდი დავა-კამათი გაიმართა შემოთავაზებული კონსტიტუციის პროექტის მიღებასთან

დაკავშირებით. რატიფიცირების მომხრე, ასე ვთქვათ, ეროვნულ პოზიციას "ფედერალისტი" გამოხატავდა — ელიგზანდერ ჰემილტონის, ჯეიმზ მედისონის და ჯონ ჯეის მიერ 1787-89 წლებში ერთობლივად შექმნილი და პუბლიკის ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატიების კრებული. ამ ავტორთა რწმენით, ძლიერი ცენტრალიზებული მმართველობის შემოღება, უნდა, ამავე დროს, ყოველი შტატისა თუ კერძო პიროვნების თავისუფლებას განუხრელი დაცვა იყო აუცილებელი. რატიფიკაცია საბოლოოდ 1789 წელს იქნა მიღწეული, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხსენებული პრინციპები უკმაყოფილო და, განსაკუთრებით, მისი მეთათე შესწორების მიზნით იქნა უზრუნველყოფილი. ამ დოკუმენტების თანახმად, "ყველა ხელმძღვანელი, რაც კი ფედერალური ხელისუფლებისათვის არ იქნებოდა დაცემული, შტატებისა და ხალხის ხელთ რჩებოდა." სწორედ ამან უნდა კადეც კონსტიტუციური საფუძველი ამერიკულ ფედერალიზმს. მისი პროცესი მიმდინარეობდა გერმანიის მიხედვით: მართალია, 1871 წელს ამ ქვეყნის გამოქვეყნება გამოკვეთილი პრუსიული ნიშნით ხდებოდა, მაგრამ სწორედ ფედერალურმა მოწყობამ გააქარწყლა იმ დანარჩენი 38 გერმანული სახელმწიფოებრივი ერთეულის შიშები ცენტრალიზებული დიქტატის გამო, რადგან იგი ადრე ხანგრძლივ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას იყენებდა. ნაციისტების ხანმოკლე მმართველობის დროს გაწყვეტილი ფედერალური ავტონომიის ეს ტრადიცია 1949 წელს მიღებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციით იქნა დაკანონებული; ამ კონსტიტუციის თანახმად, მაშინ თერთმეტივე გერმანულ მიწას (1990 წელს, როდესაც გერმანიის გაერთიანების შემდეგ, მათი რიცხვი თექვსმეტამდე გაიზარდა) საკუთარი კონსტიტუციების შექმნის უფლება მიენიჭა.

ფედერაციითა შექმნის სურვილის გამამდიერებელი მეორე ფაქტორი საგარეო საფრთხის არსებობა, ანდა საერთაშორისო ურთიერთობებში უპროპორციულად ჩართვის მოთხოვნილება. ასე მაგალითად, მცირე, სტრატეგიულად დაუცველ სახელმწიფოებს ძალიან უნდათ ხოლმე უფრო დიდ პოლიტიკურ კავშირებად გაერთიანება. ამერიკული კონფედერაციის ერთი მიზეზი იხიცი აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებულების მიღების შემდეგ მან შეატყავეს ვერ მიანიჭა ის მკაფიო დიპლომატიური უფლებამოსილებანი, რის გამოც ძალზე გართულდა სხვადასხვაგვარი ხელშეკრულებების დადება, კერძოების შეკვრა და სხვა მრავალი. რაც შეეხება გერმანიას, იქ მეცხრამეტე საუკუნეში ფედერაციული კავშირის შექმნა და არაორაზროვან "პრუსიულ-გერმანულ" დათანხმება დიდად განაპირობა ძლიერ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების დაძაბვამ, კერძოდ კი გერმანული მიწებისათვის ორი მხრივი კონსტიტუციური და საფრანგეთიდან ერთდროულად წარმოქმნილმა საფრთხემ. სხვათა შორის, ფედერალური ევროპის იდეაც, რასაც ჯერ 1952 წელს "ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების", 1957 წელს კი "ევროპის ეკონომიკური გაერთიანების" ჩამოყალიბებით დაედო საფუძველი, ევროპის მხრივ საბჭოური აგრესიის შიშით, მეორეს მხრივ კი ორპოლუსიანი მსოფლიო წესრიგში ევროპის გავლენის შენარჩუნების სურვილით იყო განპირობებული.

შესამე ფაქტორი, ქვეყნის გეოგრაფიული მასშტაბებია. შემთხვევითი უნდა, რომ ტერიტორიულად მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოები

ელიგზანდერ ჰემილტონი
(1755—1805)



ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე: ე.წ. “ფედერალისტის ჩანაწერების” (1787-89) ერთ-ერთი თანაავტორი — ჯეიმზ მედისონთან და ჯონ ჯეისთან ერთად. ჰემილტონი აქტიურად იბრძოდა ამერიკული რეფორმაციის დროს და ერთი ხანობა ჯორჯ უოშინგტონის ადიუტანტის მოვალეობასაც ასრულებდა. იურიდიული განათლების მიღების შემდეგ, იგი კონგრესის წევრიც გახდა, 1789-95 წლებში კი ამერიკის პირველი ფინანსთა მინისტრის პოსტი ეკავა. მოგვიანებით მან ფედერალისტური პარტია ჩამოაყალიბა და სიკვდილამდე

(დუელი აარონ ბერთან) თავმჯდომარეობდა კიდევ. ჰემილტონის ფედერალიზმს გამოარჩევდა დემოკრატიისადმი უნდობლობა, ქმედითუნარიანი ცენტრალური ხელისუფლების ბლობის რწმენა და მრავალგანვითარების სურვილი — ძლიერ ელემენტარული ფისკალური და ეკონომიკური პოლიტიკის გზით. შესაბამისად, “ჰემილტონიანიზმის” იდეა ძლიერ ეროვნულ ხელისუფლებას გულისხმობს ფართო აღმასრულებელი უფლებამოსილებებით — სახელმწიფო ეკონომიკის მხარდაჭერის უზრუნველყოფად.

სწორედ ფედერალურ სისტემებს ანიჭებენ უპირატესობას. ასე იყო მაგალითად, ამერიკის შემთხვევაში და იგივეს თქმა თამამად შეიძლება კანადის (ფედერაციულ მოწყობის წესზე გადავიდა 1867წ.), ბრაზილიის (1891), ავსტრალიის (1901), მექსიკისა (1917) თუ ინდოეთის (1947) შესახებაც. გეოგრაფიულად დიდ ქვეყნებს კულტურული მრავალფეროვნება და ძლიერი ადგილობრივი ტრადიციები ახასიათებს, რაც თავისთავად აჩენს დეცენტრალიზაციის და ძალაუფლების განაწილების გაცილებით იმაზე ძლიერ აუცილებლობას, ვიდრე ეს უნიტარული სისტემის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. ფედერალიზმის წამახალისებელი ბოლო ფაქტორი კი — კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნებაა. მოკლედ თუ ვიტყვით, ფედერალიზმი ხშირად საზოგადოებრივ დაყოფასა და სხვადასხვაგვარობაზე გაცემული ინსტიტუციური პასუხია. მაგალითად, კანადის ათ პროვინციად დაყოფაში გათვალისწინებულია არა მარტო დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული რეგიონალური ტრადიციები, არამედ ენობრივი და კულტურული განსხვავებანიც ქვეყნის ინგლისურ და ფრანგულენოვან ნაწილებს შორის. ინდოეთში 25 თვითმმართველი შტატის შექმნის საფუძველი ძირითადად ენობრივ მომენტზე გახდა, თუმცა ფენჯაბისა და ქაშმირის შემთხვევებში, რელიგიური სხვაობებიც იქნა გათვალისწინებული. ცხრამეტეშტატთან ნიგერიაში, ფედერალური კონსტიტუცია ასევე ითვალისწინებს ქვეყანაში არსებული ტომობრივი და რელიგიური მრავალფეროვნების ფაქტორებს.

ფედერალიზმის დამახასიათებელი ნიშნები

ყოველი ფედერალური სისტემა განუმეორებელია იმ თვალსაზრისით, რომ ურთიერთობებს ფედერალურ (სახელმწიფო) და ადგილობრივ (რეგიონალურ) ხელისუფლებათა შორის, არა მარტო კონსტიტუციური ნორმები, არამედ უპირატესი პოლიტიკური, ისტორიული, გეოგრაფიული, კულტურული და

სოციალური გარემოება განსაზღვრავს. ზოგ შემთხვევაში, პარტიული სისტემის საბაზისო ისეთივე მნიშვნელოვანი მსაზღვრელი ხდება, როგორც მმართველობის ყოველი დონისათვის კონსტიტუციურად მინიჭებული უფლებამოსილებანი. ვთქვათ, ყოფილ საბჭოთა კავშირში, სადაც ცენტრალიზებული მმართველი პარტია და უმკაცრესად იერარქიზირებული ცენტრალური დეკრეტის სისტემა არსებობდა, ფედერალური მოწყობა აშკარად ფიქტიური უბედათ, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შტატებისგან განსხვავებით, საბჭოეთში რესპუბლიკას ჰქონდა მინიჭებული გამოყოფის ფორმალური უფლება. მსგავსი მდგომარეობა შეინიშნება მექსიკაშიც, სადაც ინსტიტუციონალურ-რეგულაციური პარტიის ერთპიროვნული “ბატონობა”, აშკარად წინააღმდეგობაშია ფედერალურ სისტემასთან, რომელიც თითქოსდა მშანმომართულად ამერიკულ თარგზეა გამოჭრილი. მეორეს მხრივ, თავად ამერიკაში, კანადაში, ავსტრალიასა და ინდოეთში, დეცენტრალიზებული პარტიული სისტემები პრაქტიკულად ადგილობრივი ხელისუფლებების დამკვიდრებად გვევლინებიან.

ერთმანეთისგან განსხვავებიან ფედერალური მოწყობის მოდელები ე.წ. პარტიული ტიპის საპრეზიდენტო სისტემებსა და საპარლამენტო სისტემებში. პარტიულ შემთხვევაში, სახელისუფლებო პასუხისმგებლობანი, როგორც ტერიტორიულად, ისე ფუნქციების თვალსაზრისითაც, გადანაწილებულია, ოღონდ ხელისუფლების ორივე დონეზე შეხების მრავალი წერტილი არსებობს საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების ორგანოთა შორის. რაც შეეხება საპარლამენტო სისტემებს, ვთქვათ კანადურსა თუ ავსტრალიურს, აქ ხრათადად “აღმასრულებელი ფედერალიზმია” გავრცელებული და ფედერალური წინასწარობა უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების ყველა დონეზე სწორედ აღმასრულებელთა ურთიერთობებითაა განპირობებული.

და მაინც, გარკვეული ნიშან-თვისებები ყველასთვის თუ არა, ფედერალური სისტემების უმრავლესობისათვის მაინც საერთოა:

◀ მმართველობის ორი, მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი დონე:
 როგორც ცენტრალურ (ფედერალურ), ისე რეგიონალურ (ადგილობრივ) ხელისუფლებას თავ-თავისი პასუხისმგებლობების განსაზღვრული სფერო მოვაუება და არცერთ მათგანს არა აქვს მეორისაში “შეჭრის” უფლება. ყველ მათგანს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საკუთარი ორგანოები, გადასახადების მობილიზების თავისი საშუალებები და, შესაბამისად, ფისკალური დამოუკიდებლობის სათანადო ხარისხი გააჩნია. ესადა, ხელისუფლების თითოეული დონის იურისდიქციაში შემავალ სფეროთა ნაირგვარობაცა და ამ დონეთა ერთმანეთზე ზეგავლენის ხასიათიც განსხვავებულია. მაგალითად, გერმანიასა და ავსტრიაში მოქმედებს “ადმინისტრაციული” ფედერალიზმის სისტემა, სადაც პოლიტიკის ძირითად ხაზს ცენტრალური ხელისუფლება განსაზღვრავს, ადგილობრივი ხელისუფლებანი კი ამ პოლიტიკის განხორციელების მხოლოდ დეტალებზე არიან პასუხისმგებლებნი.

◀ დაწერილი კონსტიტუცია: სახელმწიფო მმართველობის ორივე დონის უფლება-მოვალეობები კოდიფიცირებული, ანუ დაწერილი კონსტიტუციითაა დადგენილი. შესაბამისად, ურთიერთობა ცენტრსა და პერიფერიას შორის,

აღმასრულებელი ხელისუფლება:
 ხელისუფლების შტო, რომელიც კანონისა და პოლიტიკური კურსის დაცვა-გატარებაზეა პასუხისმგებელი.

საკანონმდებლო ხელისუფლება:
 ხელისუფლების შტო, რომელსაც კანონმდებლობის შემუშავება ევალება.

დაწერილი კონსტიტუცია:
 ქვეყნის უმთავრესი დოკუმენტი, რომელიც სახელისუფლებო ორგანოთა შორის უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს ანაწილებს; “უზენაესი” კანონი.

8. საშინაო პოლიტიკა

იმთავითვე კანონიერ ჩარჩოებშია მოქცეული. ხელისუფლების ორივე დონის დამოუკიდებლობა, როგორც წესი, იმითაა უზრუნველყოფილი, რომ ცალმხრივად არცერთს არ შეუძლია კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა. ამერიკაში, მაგალითად, საკონსტიტუციო შესწორებისათვის აუცილებელია კონგრესის ორივე პალატის ორი მესამედის თანხმობა და 50 შტატის საკანონმდებლო ორგანოთა სამი მეოთხედის მხარდაჭერა. ავსტრალიასა და შვეიცარიაში კი, დამატებით, რეფერენდუმის ჩატარებაც.

«**საკონსტიტუციო სასამართლო:** საკონსტიტუციო ნორმებს განმარტავს უზენაესი სასამართლო, რომელიც იმაედროულად არბიტრის როლს ასრულებს ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ დონეთა შორის წარმოქმნილ სადავო საკითხებში. ფედერალურ სისტემებში, სწორედ ორივე დონის უფლებამოსილებათა მკაფიოდ განმსაზღვრელ სასამართლოს შეუძლია განაპირობოს ფედერალიზმის პრინციპების რეალური ქმედითუნარიანობა და აქტიური მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ პროცესში. ცენტრალიზაციის ის ტენდენციაც, რაც მეოცე საუკუნეში ყველა ფედერალურ სისტემას ახასიათებს, აშკარად სასამართლოთა მიერაა წახალისებული.

«**დამაკავშირებელი ინსტიტუტები:** ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა თანამშრომლობის და ურთიერთგაგების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისას რეგიონებსა და პროვინციებსაც უთუოდ უნდა ჰქონდეთ ხმის უფლება. ჩვეულებრივ, ამ მიზანს ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოები ემსახურება, სადაც მეორე ან ზედა პალატა სწორედ ადგილობრივი ინტერესების გამომხატველია ხოლმე.

ფედერალიზმის შეფასება

ფედერალიზმის ერთი უმთავრეს ღირსებათაგანი ისაა, რომ უნიტარული სისტემებისაგან განსხვავებით, იგი რეგიონალურ და ადგილობრივ ინტერესებს კონსტიტუციით უზრუნველყოფილ პოლიტიკურ წონას ანიჭებს. შტატები თუ პროვინციები ავტონომიურ უფლებამოსილებათა ფართო სპექტრით სარგებლობენ და ცენტრალურ ხელისუფლებაში გარკვეული წარმომადგენლობაც ჰყავთ ფედერალური საკანონმდებლო ორგანოების მეორე პალატის სახით. მეორეს მხრივ, ფედერალიზმი ვერც ზოგადად მეოცე საუკუნისათვის დამახასიათებელ ცენტრალიზაციის ტენდენციას გადაურჩა. ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის მინიჭებული გარანტიების მიუხედავად, ცენტრალური ხელისუფლების გაფლენა მაინც გაძლიერდა და ამის მიზეზი, ძირითადად, მზარდი ეკონომიკური და სოციალური ჩარევა გახდა, ისევე, როგორც შემოსავლების მზარდი მობილიზების უნარი.

ასე მაგალითად, თაყდაპირველად ამერიკული სისტემა “ორმაგი ფედერალიზმის” პრინციპის თანახმად მოქმედებდა, როცა ფედერალური და შტატის ხელისუფლებების პოლიტიკური სფეროები გამიჯნულიც იყო და ურთიერთგაუღწევისაგან დაცულიც. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, ხდებოდა ამ სისტემის ჩანაცვლება ე.წ. “თანამშრომლობის ფედერალიზმის” მოდელით, რაც ფედერალური ხელისუფლების მხრიდან ადგ-

დობრივი ხელისუფლებისათვის “დახმარების ხელის გაწვდენას” და მზარდ ლობიონებსა თუ შემწეობებს გულისხმობდა. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლებები სულ უფრო მეტად ხდებოდნენ დამოკიდებულნი ცენტრიდან წამოსულ ფინანსებზე და ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა XX საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც “ახალი კურსის” პოლიტიკის შედეგად, უპირაძე ეკონომიკური და სოციალური პროგრამა ამუშავდა. თუმცა, XX საუკუნის 60-იანი წლების შუახანებიდან, ეს მოდელიც შეიცვალა ე.წ. “ძულებითი ფედერალიზმით” — სისტემით, რომლის მეშვეობითაც ცენტრი უკვე კანონმდებლობის მეშვეობით ახვევს შტატებს საკუთარ ნებას და გარკვეულ ჩარჩოებსაც უწესებს.

ფედერალიზმის მეორე უპირატესობა ხელისუფლებათა გამიჯვნის წყალობით კონტროლისა და ბალანსის იმგვარი სისტემის ჩამოყალიბებაა, რაც პიროვნული თავისუფლებების დაცვა-გაფართოებას უწყობს ხელს: უკიდურეს მდინისონის ნათქვამს თუ გავიხსენებთ — “ამბიციან ისევ ამბიციამ უნდა ზეკავოს”. ცენტრალიზაციისაკენ საყოველთაო ტენდენციის მიუხედავად, ისეთ ფედერალურ სისტემებში, როგორებიცაა ა.შ.შ.-ში, ავსტრალიასა და კანადაშია, მაინც უფრო წარმატებით მოხერხდა პოლიტიკოსთა მოთოკვა, ვიდრე უნიტარულ სისტემებში. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მმართველობის სისტემაში ჯანსაღი დაპირისპირების შესაქმნელად გამოიხსნის სტრუქტურებს, ამავე დროს იმედგაცრუებისა თუ საქმიანობის პარალიზების საფრთხეც ახლავთ თან. ფედერალური სისტემების ერთ-ერთი სისუსტე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრალური ხელისუფლების ამბიციების მოთოკვით, უკიდურესად რთულდება ფართომასშტაბიანი ეკონომიკური თუ სოციალური პროგრამების გატარება. ასე მაგალითად, ფ. ლ. რუზველტის “ახალი კურსი” ამერიკაში მნიშვნელოვნად დააზარალა უზუნაესი სასამართლოს ისეთმა გადაწყვეტილებებმა, რომლებიც მიზნად ახაზავდნენ არ დაეშვათ ფედერალური ხელისუფლების “შეჭრა” შტატების პასუხისმგებლობის სფეროებში.

და ბოლოს, ფედერალიზმი გვთავაზობს ინსტიტუციურ მექანიზმს, რომლის გამოყენებითაც დახლეჩილი საზოგადოებების გამთლიანება და შეკავშირება ხერხდება ხოლმე. ამერიკული ფედერალიზმის განსაკუთრებულობა ის კი არ არის, რომ მან თავდაპირველად არსებული ცამეტი შტატის გაერთიანების საფუძველი შექმნა, არამედ იმ ინსტიტუციური მექანიზმის შემუშავება, რამაც მეცხრამეტე საუკუნის შუახანებიდან მოზღვავებული იმიგრაციის კალაპოტში ჩაყენება უზრუნველყო. თუმცა, ფედერალიზმს გარკვეული საფრთხეც სდევს თან: ხელისუფლების დანაწილებისაკენ სწრაფვამ, შესაძლოა, ცენტრიდანული ტენდენციები უაღრესად გააძლიეროს და საბოლოოდ ქვეყნის დაშლაც კი გამოიწვიოს. თუკი ფედერალიზმის ავ-კარ-გაიანობაზე, თუნდაც კანადის მაგალითით ვიმსჯელებთ, შეიძლება ვთქვათ რომ მოსახლეობის ფრანგულად და ინგლისურად მოლაპარაკე ნაწილების პოლიტიკური გაერთიანება იქ ვერ მოხერხდა. ფრანგულენოვან კვებეკის პროვინციაში **სეპარატიზმის** გაძლიერების პასუხად, კანადა XX საუკუნის 80-იანი წლებიდან უშედეგოდ ცდილობს იმ კონსტიტუციური ფორმულის მოძებნას, რაც კვებეკს ფედერაციის სრულუფლებიან წევრად ჩათვლავინებდა თავს.

8. საშინაო პოლიტიკა


ყოველივე ზემოთქმულიდან გამონდინარე, შეიძლება გავიზიაროთ კიდევ მკვანთა მოსაზრება, რომ ფედერალური მოწყობა იმთავითვე არამდგრადია და ან იმ გარანტირებული ერთიანობისაკენ ამჟღავნებს მიდრეკილებას, რისი შემოთავაზებაც მხოლოდ უნიტარულ სისტემას შეუძლია, ანდა — კიდევ უფრო ძლიერი დეცენტრალიზაციისა და, საბოლოო ჯამში, ქვეყნის დაშლისაკენ.

უნიტარული სისტემები

თანამედროვე სახელმწიფოთა უდიდეს უმრავლესობაში მმართველობის უნიტარული სისტემებია გაერცელებული და უმაღლესი ხელისუფლება ერთი. ზოგადსახელმწიფოებრივი ინსტიტუტის ხელშია კონცენტრირებული. გაერთიანებულ სამეფოში ამგვარ ინსტიტუტს პარლამენტი წარმოადგენს, რომელიც, თორიულად მაინც, უპირობო და უზენაესი საკანონმდებლო უფლებამოსილებითაა აღჭურვილი. მას საკუთარი სურვილისამებრ შეუძლია მიიღოს ან არ მიიღოს ნებისმიერი კანონი; მის ძალაუფლებას არ ზღუდავს არავითარი დაწერილი კონსტიტუცია; გაერთიანებულ სამეფოში არ არსებობს სხვა დონის არცერთი საკანონმდებლო ორგანო; პარლამენტის კანონები უპირატესობით სარგებლობს ინგლისური და შოტლანდიური კანონმდებლობების ნებისმიერ სხვა ნორმებთან შედარებით. რამდენადაც უნიტარულ სისტემაში კონსტიტუციური უზენაესობა ცენტრსა აქვს მინიჭებული, პერიფერიული თუ ადგილობრივი მმართველობის ყოველგვარი სისტემა ცენტრისავე ნებასურვილით იქმნება (იხ. ნახ. 8.2).

ნახ. 8. 2 უნიტარული სახელმწიფოები

დამოუკიდებლობა (კონსტიტუციის უზენაესობა)



სებარატიზმი: არსებული პოლიტიკური წესრიგიდან გამოყოფის სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მიზნით.

შებენ, აქტიურობის უკონტროლო ცენტრალიზაციის შემთხვევასთან დაკავშირებით, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს ადგილობრივი ინსტიტუტების სახეცვლილება, რეორგანიზება თუ საერთოდ გაუქმებაც კი; მათი უფლებამოსილებების შეკვეცაც ისევე იოლია, როგორც გაფართოება. თუმცა, განსაკუთრებით, ურთიერთობა ცენტრსა და პერიფერიას შორის უნიტარულ სისტემებშიც ისეთივე არაერთგვაროვანია, როგორც ფედერალურში და პოლიტიკურ, კულტურულ და ისტორიულ გარემოებებსაც კონსტიტუციური და დღევანდელი ნორმებზე არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებათ. უნიტარულ სისტემას პერიფერიული ხელისუფლების ორი ინსტიტუციური ფორმა განსაზღვრავს: ადგილობრივი მმართველობა და დელეგირებული საკრებულო, რომელიც მათგანი კი სწორედ რომ განსაკუთრებულ ხასიათს ანიჭებს ცენტრსა და პერიფერიის ურთიერთობას.

ადგილობრივი მმართველობა

ადგილობრივი მმართველობა, უმარტივესი გაგებით, ესაა ამა თუ იმ დასახლებული ადგილის — სოფლის, დაბის, პატარა თუ დიდი ქალაქის ან რაიონის უშუალო ხელისუფლება. უფრო კონკრეტულად კი, ეს მმართველობის ფორმაა, რომელსაც დამოუკიდებლობის არანაირი ხარისხი არ გააჩნია და მთლიანადაა დაქვემდებარებული ცენტრალურ ხელისუფლებას (ფედერალურ სისტემებში — შტატისა თუ რეგიონალურ ხელისუფლებას). სხვათა შორის, მმართველობის ეს ყველაზე დაბალი ფორმა საყოველთაოდაა გავრცელებული და როგორც უნიტარულ, ასევე ფედერალურ თუ კონფედერაციულ სისტემებსაც ახასიათებს. ასე მაგალითად ა.შ.შ.-ს ადგილობრივი მმართველობის 86 000 ორგანოში, 11 მილიონი ადამიანია დასაქმებული, მაშინ როცა ფედერალურ და შტატების დონეებზე ერთად — 8 მილიონზე ნაკლები. რაც შეეხება უნიტარულ სისტემებს, აქ ადგილობრივი მმართველობის მნიშვნელობას ისიც აძლიერებს, რომ ის ცენტრს დაცლებული ხელისუფლების ერთადერთ ფორმას წარმოადგენს და შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს ადგილობრივი მმართველობების კონსტიტუციურად დაქვემდებარებული მდგომარეობა, მხოლოდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აკნინებდეს. თუნდაც მხოლოდ მათი საყოველთაო არსებობა ადასტურებს, რომ ადგილობრივი მმართველობები დამინისტრაციულად აუცილებელნი არიან და უფრო ხელმისაწვდომნიც — სხვათა შორის მეტი “სიახლოვის” გამო. მეტიც, ადგილებზე არჩეულ პოლიტიკოსებს დემოკრატიული ლეგიტიმაციის ისეთი ხარისხი გააჩნიათ, რაც საკუთარი ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობების გაფართოების საშუალებას აძლევს. ხშირად ეს იმასაც ნიშნავს, რომ ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთობა უფრო გარიგებებისა და მოლაპარაკებების გზით ხორციელდება, ვიდრე ზემოდან დიქტატის მეშვეობით. ცენტრსა და პერიფერიებს შორის წონასწორობას ასევე განაპირობებს პოლიტიკური კულტურა (კერძოდ, ადგილობრივი ავტონომიების ჩამოყალიბებული ტრადიციები და რეგიონალური ნიშან-თვისებები) და პარტიული სისტემის ხასიათი. ასე მაგალითად, ადგილობრივი პოლიტიკის მხარდნი ტენდენციაა “დეცენტრალიზაციისაკენ”, იმ თვალსაზრისით, რომ ამ სფეროში სულ უფრო

მეტად იზრდება ზოგადდეროვნული პარტიების გავლენა, თავისთავად უწყობს ხელს მეტ ცენტრალიზაციას. როცა ფედერალური სისტემებისაგან განსხვავებით, უნიტარულ სისტემებში არ არსებობს ჩამოყალიბებული კონსტიტუციური ჩარჩოები, ადგილობრივი ავტონომიის დაცვა თავიდან ბოლომდე იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მოინდომებს და მოახერხებს ცენტრი თავის მოთხოვას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნიტარულ სისტემებში დეცენტრალიზაციის ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავებულია როგორც ისტორიულად, ისე ქვეყნების მიხედვითაც. ამის ნათელ მაგალითად გაერთიანებული სამეფოსა და საფრანგეთის სრულიად სხვადასხვაგვარი გამოცდილება გამოდგება.

გაერთიანებულ სამეფოში ტრადიციულად შედარებით დეცენტრალიზებული ადგილობრივი მმართველობის სისტემა არსებობდა, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მნიშვნელოვნად თავისუფლებით სარგებლობდნენ პარლამენტის მიერ დადგენილ კანონიერ ჩარჩოებში. მართლაც, გაერთიანებულ სამეფოში ადგილობრივი დემოკრატიის პატივისცემა იმთავითვე მიაჩნდათ დაუსწრელი კონსტიტუციის ერთ-ერთ უმთავრეს დამახასიათებელ ნიშნად. ჯ.ს. მილიდან მოყოლებული, ადგილობრივ მმართველობებს ბრიტანეთში მუდამ ცენტრალური ხელისუფლების ძლიერ მაკონტროლებლად და სახალხო წარმომადგენლობის გაფართოებისა და, აქედან გამომდინარე, მეტი პოლიტიკური გათვითცნობიერების საშუალებადაც მიიჩნევდნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების ზრდასთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლებას სულ უფრო და უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებების ადგილებზე აღსასრულებლად. თუმცა, ამგვარი პარტნიორული ურთიერთობანი ცენტრსა და პერიფერიებს შორის მოულოდნელად დაირღვა XX საუკუნის 80-90 წლებში — კონსერვატორების ზეობის დროს, რომლებიც ადგილობრივ მმართველობებს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა შუალედურ რგოლს, ზედმეტ წინააღმდეგობას მიიჩნევდნენ საკუთარი რადიკალური, ბაზარზე ორიენტირებული პოლიტიკური კურსის გასატარებლად.

80-იანი წლების ფისკალურმა რეფორმებმა ადგილობრივ ხელისუფლებებს უმნიშვნელოვანესი უფლება ჩამოართვა — დაბეგვის ადგილობრივი ტარიფების დადგენა მათ უკვე აღარ შეეძლოთ და ვედარც საკუთარ ხარჯვით პოლიტიკას შეიმუშაებდნენ. რიგი ადგილობრივი ორგანოები საერთოდ გაუქმდა და მათი უფლებამოსილებები მუნიციპალურ და საოლქო საბჭოთა უფრო დაბალ დონეებსა და ათასი ჯურის მანქანებზე გადაიწილა. ადგილობრივი მმართველობების უფლებამოსილებანი კიდევ უფრო შეიკვეცა ზოგადდეროვნული სასკოლო პროგრამებისა და იმგვარი კანონების შემოღებით, რომლებიც სკოლებს საშუალებას აძლევდა თავად გადაწყვიტათ, დარჩენილიყვნენ თუ არა ადგილობრივი ხელისუფლების ეგიდის ქვეშ. ამ პოლიტიკის საბოლოო მიზანს ადგილობრივი მმართველობების სრული გარდაქმნა და იმ ე.წ. “უფლებამოსილ” საბჭოთა

ადგილობრივი დემოკრატია: პრინციპი, რომელიც ადგილობრივი ავტონომიურობის იდეებსა და სახალხო წარმომადგენლობითობის მიხედვს აერთიანებს.

მხრავლება წარმოადგენდა, რომლებიც თვითონ კი არ გაწვედნენ ამა თუ იმ სახის სამსახურს, არამედ მხოლოდ ზედამხედველობას გაუწვედნენ ამგვარი საქმიანობით დაკავებულ კერძო სტრუქტურებს. ბევრმა ეს პოლიტიკურადგილობრივ დემოკრატიასზე თავდასხმად შეაფასა და მართლაც, ერთის მხრივ, ადგილობრივი მმართველობების უფლებამოსილებათა მეტი წილი დეცენტრალურ ხელისუფლებას გადაეცა, მეორეს მხრივ კი ადგილობრივი ხელისუფლებები, უბრალოდ, თემის წევრების “მომხმარებლებად” და “დღეგრძელებად” გადაქცევის შედეგად, სერიოზული საბაზრო წნეხის ქვეშაც მუშაობენ.

დაახლოებით იმავე პერიოდში, საფრანგეთში სრულიად საპირისპირო მოვლენები განვითარდა. პრეზიდენტი მიტერანი მიზანმიმართულად ცდილობდა შეეცვალა ფრანგული საზოგადოებრივი წყობის ხასიათი და, განსაკუთრებით, იაკობინელებიდან და ნაპო-ლეონიდან მომდინარე ცენტრალიზაციის ტრადიცია. მან პოლიტიკური დეცენტრალიზაციის მთელი პროგრამა შეიმუშავა, რომლის განხორციელებაც 1982-86 წლებში შინაგან საქმეთა და დეცენტრალიზაციის მინისტრმა ითავა. ტრადიციულად, საფრანგეთში ცენტრისა და პერიფერიების ურთიერთობას მკაცრი ადმინისტრაციული კონტროლი ახასიათებდა, რასაც ძირითადად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დანიშნული და უშუალოდ ამ სამინისტროსადმი პასუხისმგებელი პრეფექტები ახორციელებდნენ. 96-ივე ფრანგულ დეპარტამენტში სწორედ პრეფექტები წარმოადგენდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს პირებს, რის გამოც სისტემა იერარქიულ-მარტინელურ ნიშან-თვისებებს ატარებდა. რეფორმებმა მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა ადგილობრივი მმართველობები და მათი ადმინისტრაციების უფლებამოსილებანიც გააფართოვა. პრეფექტთა აღმასრულებელი ხელისუფლება ადგილებზე არჩეულ თავმჯდომარეებს გადაეცა, ხოლო თავად პრეფექტის ინსტიტუტი რესპუბლიკის კომისარებმა შეცვალეს რიგგარეშე ამოცანასაც უპირველეს ყოვლისა, საკუთარი რეგიონის გეოგრაფიკური საკითხების დაგეგმვა წარმოადგენდა. სწორედ ამ და მსგავსი საბაზრო შედეგად, საფრანგეთში გაცილებით უფრო დეცენტრალიზებული სახელმწიფო სტრუქტურა ჩამოყალიბდა, ვიდრე ოდესმე 1789 წლის რევოლუციის შემდეგ.

დელეგირება

ესა ცენტრალური ხელისუფლების მიერ უფლებამოსილებათა გადაცემა დაქვემდებარებული რეგიონალური ორგანიზაციისთვის. შესაბამისად, დელეგირებული ორგანოები წარმოადგენენ შუალედურ დონეს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა შორის. ოღონდაც დელეგირების პრინციპი იმით განსხვავდება ფედერალიზმისაგან, რომ დელეგირებულ ორგანოებს დამოუკიდებლობის არანაირი ხარისხი არ გააჩნიათ. დელეგირების ვეგლაზე სუსტი, ადმინისტრაციული ფორმა ადგილობრივი ორგანოების მიერ სხვაგან მიღებული გადაწყვეტილებების მხოლოდ შესრულებას ნიშნავს; მეორე, საკანონმდებლო ფორმის თანახმად კი შესაძლებელია არჩევითი რეგიონალური საბჭოების შექმნა, რომელთაც პოლიტიკის “კეთების” გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებათ და მცირეოდენი ფისკალური დამოუკიდებლობაც ენიჭებათ.

დელეგირება

დელეგირება ცენტრალურ სისტემაში, უფლებამოსილებათა გადაცემა-დელეგირება დეცენტრალიზების იმ მაქსიმალური ზღვარის დადგენას ემსახურება, რაც მას ფედერალურ სისტემად გადაქცევას არ გამოიწვევს. ბოლო დროს მსგავსი, უფრო ავტონომიური საკანონმდებლო ორგანოები სახელმწიფოებში ცენტრიდანული ტენდენციების პასუხად იქმნებოდა და ეს არსებითად, გააქტიურებული რეგიონალური ძალების დაოკებისა თუ უნიკური წინააღმდეგობების დაძლევის მცდელობით აიხსნებოდა.

ვააო:

იმიფრება, როგორც ვითომ ავტონომიური არასამთავრობო ორგანიზაცია — საზოგადოებრივი გაერთიანება, სადაც არა პოლიტიკოსები ან საჯარო მოხელეები, არამედ დანიშნული პიროვნებები მსახურობენ. (იხილეთ კვან-გი)

ეთნიკურობა

ესა გარკვეულ მოსახლეობასთან, კულტურულ ჯგუფთან თუ ტერიტორიასთან მიკუთვნებულობის განცდა. ტერმინი არაერთგვაროვანი შინაარსის მატარებელია, რამდენადაც როგორც რასობრივ, ისე კულტურულ ნიუანსებს შეიცავს. ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის წევრებს ზმირად, სამართლიანად თუ უსამართლოდ, საერთო წინაპრის მემკვიდრეებად და შესაბამისად, სისხლით ნათესაობით დაკავშირებულ ერთ დიდ "სანათესაოდ" მიიჩნევენ ხოლმე. უფრო ზოგადი გაგებით, ეთნიკურობა სიღრმისეულ ემოციურ ღონეზე განცდილი კულტურული მეობის ფორმად განიხილება. "ეთნიკური" კულტურა მოიცავს ღირებულებებს, ტრადიციებსა და ადრთ-ჩვეულებს, მაგრამ ამავე დროს, სამწუხაროდ, იგი ადამიანებს გამორჩეული მეობის განცდასა და განსაკუთრებულობის რწმენასაც უღვივებს — როგორც წესი, წარმოშობისა და "ფესვების" ხაზგასმის ფორმით.

ეთნიკური ნაციონალიზმი:

ნაციონალიზმის ფორმა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ეთნიკურ გამორჩეულობას ანიჭებს და ყოველნაირად ცდილობს მის შესარჩუნებას.

როგორც წესი, ამ სახის საკანონმდებლო ორგანოებს კონსტიტუციური ძალა არ გააჩნიათ, მაგრამ ისინი შექმნისთანავე იმტკიცებენ გარკვეულ ფუნქციებს. უფლებებს იფართოებენ და ნათლად გამოკვეთილ "დემოკრატიულ ღვეტიმურობასაც" იძენენ, რაც შემდგომში პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მათ გაუქმებას. გამონაკლისს, ალბათ, მხოლოდ ჩრდილოეთ ირლანდიის სთორმონტის პარლამენტი წარმოადგენდა. ის 1972 წელს დაშალეს და ლონდონიდან, უესტმინსტერის პარლამენტიდან პირდაპირი მმართველობის წესიც დაადგინეს, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა რომ ხსენებულ საკანონმდებლო ორგანოში პროტესტანტულ-უნიონისტური პარტიების დომინირების გამო, იგი ვერ შეძლებდა ჩრდილოეთ ირლანდიის აგორებული მასობრივი ძალადობის ტალღის შეკავებას, რაც, თავის მხრივ, სამოქალაქო ომის საფრთხეს ზრდიდა.

დელეგირების პრაქტიკა, ისტორიულად ყველაზე ადრე ესპანეთში დაინერგა. მართალია, 1570 წლიდან დღემდე ეს ქვეყანა უნიტარულია, მაინც 50 პროვინციადაა დაყოფილი და თითოეული მათგანი რეგიონალურ თვითმმართველობის გარკვეული უფლებებით სარგებლობს. 1975 წელს გერარალ ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ, ესპანეთი დემოკრატიულ მმართველობის გზას დაადგა, რისი ერთ-ერთი გამოხატულება დელეგირების პროცესის გაფართოება და 17 ავტონომიური ტერიტორიის შექმნაც იყო. ადგილობრივი მმართველობის ეს ახალი დონეები არჩეული საკანონმდებლებების მიერ იმართებიან და მათ საშინაო პოლიტიკის ზედამხედველობა საკმაოდ ფართო უფლებები აქვთ მინიჭებული. თუმცა, ბასკეთის მხარეს ამან საქმეს მაინც ვერ უშველა და სეპარატისტულმა მოძრაობამ მტკიცური ტერორიზმის ახალი ტალღა ააგორა. დელეგირება ხორციელდება საფრანგეთშიც, სადაც მთავრობა ამ გზით ცდილობდა გადაქცეული ეროვნული უმცირესობებისა თუ რეგიონალური სეპარატიზმის პრობლემების რომლებიც ბევრგან უკვე ეთნიკური ნაციონალიზმის ფორმას იძენდა. აღსანიშნავია, რომ სწორედ საფრანგეთში, ხსენებული რეფორმის საკვანძო მომენტს აღმინისტრაციული დელეგირებიდან საკანონმდებლო დელეგირებად გადასვლა წარმოადგენდა. სწორედ ამავე დროს, ადგილობრივი სეპარატიზმის გასანელებლად და ტერორიზმის ტალღის ჩასახშობად, კუნძულ კორსიკას ფართო თვითმმართველობის უფლება და "კოლექტიური ტერიტორიის" განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭა. მთლიანობაში, დეცენტრალიზაციისაკენ მიმართულ ტენდენციებს ვეროკუპირში მიმდინარე პროცესებმაც უბიძგა, სადაც 1980 წელს "რეგიონების ვეროპის" იდეა გახშირდა. დროიდან მოყოლებული, რეგიონალური თუ ადგილობრივი ხელისუფლებები ფართოდ სარგებლობენ "რეგიონალური განვითარების ევროპული ფონდებიდან" ფინანსური დახმარების უშუალოდ მიღების შესაძლებლობით და ცდილობენ, საკუთარი წარმომადგენლები იფილიონ ბრიუსელში, რეგიონალური ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში უფრო აქტიურ როლს ჩასართავად.

შედარებით ნელა მიმდინარეობდა დელეგირების პროცესი გაერთიანებულ სამეფოში — მსოფლიოს ალბათ ყველაზე ცენტრალიზებული უნიტარულ სახელმწიფოში. აქ დელეგირების თემა პოლიტიკურ დისკუსიაში მას შემდეგ დადგა, რაც XX საუკუნის 60-იან წლებში კვლავ

ზურაბ გარეი (1887-1940)

ამაიკელი პოლიტიკური აქტივისტი და უფლებათა დამცველი, “შავი ნაციონალიზმის” იდეის მომხრე. 1914 წელს “შოფლიოს შუკანიანთა განვითარების ასოციაცია” დააფუძნა. 1916 წელს ამაკიდან ნიუ-იორკში გადასახლდა, სადაც შუკანიანთა ღირსებების დაცვისათვის მის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უამრავი მომხრე შესძინა, განსაკუთრებით პარლემსა და ზანგებით დასახლებულ სხვა რაიონებში. მართალია, მან ვერც შუკანიანთა საზნებში მასიურად ჩართვის გეგმები განაზოციელა და

ვერც აფრიკაში დაბრუნების მისმა მოწოდებებმა გამოიღო რაიმე შედეგი, მაგრამ როგორც შუკანიანთა სიამაყის გრძნობის გამომღვივებელმა და აფრიკის “დედასამშობლოდ” გამოცხადებულმა, გარემომდინარე კარგი საძირკველი მოუზნა მოგვიანებით წამოწყებულ “შავი ძალისა” და ე.წ. რასტაფარიან-იზმის მოძრაობას. 1923 წელს გარეი ფოსტაზე თავდასხმისთვის დააპატიმრეს, შემდეგ ამერიკიდანაც გაასახლეს და ლონდონში გარდაიცვალა, ყველასაგან მიეწყებულა.



ფოტოდა შოტლანდიური და უელსური ნაციონალიზმი; 1978-79 წლებში ლეიბორისტულმა უმცირესობამ მთელი რიგი პროგრამები წარმოადგინა ამ სფეროში, თუმცა უფლებამოსილებების რეალური გადაცემა ადგილებზე, შიშოდ 1999 წლიდან დაიწყო. ახლადშექმნილ ორგანოთაგან ყველაზე წარმომადგენლობითი და გავლენიანი შოტლანდიის პარლამენტია, რომელმაც საგადასახადო ტარიფების საკუთარ შეხედულებებისამებრ დადგენისა და საშინაო საკითხებში უპირატესი ძალის მქონე კანონების მიღების უფლება მიიპყრა. ცხადია, საკონსტიტუციო საკითხების გადაწყვეტა, თავდაცვის სფერო, საგარეო პოლიტიკა, ეროვნული უსაფრთხოება და ევროკავშირთან ურთიერთობა — ჯერაც უესტმინსტერის პარლამენტის გამგებლობაში რჩება. ადმინისტრაციული დელეგირების ნიმუშია უელსის საკანონმდებლო კრება, რომელსაც დაბევრის საქმე არ ეხება და მხოლოდ “მეორადი” კანონმდებლების უფლებამოსილება გააჩნია. “შშვიდობიანი პროცესის” წარჩობში და ე.წ. “კეთილი პარასკევის შეთანხმების” თანახმად, დაარსდა წრილოეთ ირლანდიის ასამბლეაც; მან პირველადი კანონმდებლობის პარკვეული უფლება მიიღო, თუმცა დაბევრის ნორმების დაწესება არ შეუძლია. ასეა თუ ისე, შეიძლება ვეფარაუდოთ, რომ მთლიანობაში, საშვიდობო პროცესის წარმატების შემთხვევაში, ჩრდილოირლანდიური ასამბლეის უფლებამოსილება მაინც გაფართოვდება ე.წ. “საფეხურბრივი” დელეგირების ჩარჩობში. დელეგირების მომხრეთა რწმენით, შოტლანდიის, განსაკუთრებით კი უელსისათვის თვითმმართველობის უფლების მინიჭებით, გართიანებულ სამეფოში წარმატებით გადაიტრება სეპარატიზმის პრობლე-მები და ცენტრიდანული ტენდენციებიც შენელდება. თუმცა, სკეპტიკოსები ფჭრობენ (და შოტლანდიაში იმედოვნებენ კიდევც), რომ დელეგირება, საბოლოო ჯამში, გაერთიანებული სამეფოს დაშლას გამოიწვევს.

ეთნიკური და სათემო პოლიტიკა

ეთნიკური პოლიტიკის გამოცოცხლება

პოლიტიკური დეცენტრალიზაციის პროცესებს, ზოგჯერ კი საერთოდ სახელმწიფოთა დაშლასაც, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ისეთმა ახალმა ფაქტორებმა, როგორებიცაა ეთნიკური პოლიტიკა თუ რეგიონალური თვითშეგნება. გარკვეული აზრით, ეთნოპოლიტიკის გამოცოცხლება XX საუკუნის ბოლოს ძალიან ჰგავს ნაციონალიზმის აღმასვლას XIX საუკუნეში და შესაძლოა, მომავალში ნაციონალიზმის მსგავსი შორს მიმავალი შედეგებიც გამოიღოს. თუ ნაციონალიზმმა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას და მრავალეროვანი იმპერიების რღვევას დაუდო სათავე, ეთნოპოლიტიკის ფენომენს შეუძლია თავად ერთა სიცოცხლისუნარიანობა დააყენოს კითხვის ქვეშ. სხვაგვარად თუ ვიტყვი, ნაციონალიზმს შესაძლოა მრავალკულტურულობა ჩაენაცვლოს. რით უნდა აიხსნას ამ ახალი ფენომენის გაჩენა და რა პოლიტიკური თავისებურებები ახასიათებს მას?

ეთნიკური თვითშეგნების გამძაფრება დასავლურ სამყაროში განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კერძოდ კი XX საუკუნის 60-იანი წლებიდან შეინიშნება და უნდა ითქვას, რომ ეს მოვლენა ბევრი ანალიტიკოსისათვის აღმოჩნდა მოულოდნელი. თითქმის საყოველთაო გავრცელებული აზრის თანახმად, თანამედროვე ეპოქამ მთლიანად წაშალა ყოველგვარი ეთნიკური განსხვავებანი; ივარაუდებოდა, რომ მსოფლიოში ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების გავრცელება თავისთავად გამოიწვევდა დაპირისპირების ატავისტური ფორმების გაქრობას და თემურ სოლიდარობაზე უარის თქმას. არადა, XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანის დასაწყისში, დასავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ბევრ რეგიონში ისეთი მოძრაობები გაჩნდა, რომლებიც აშკარად ეთნიკური ხასიათის ლოზუნგებით იყვნენ შეიარაღებულები. ამის ყველაზე ნათელი მაგალითებია კვებეკი კანადაში, შოტლანდია და უელსი გაერთიანებულ სამეფოში, კატალონია და ბასკეთის მხარე ესპანეთში, კორსიკა საფრანგეთში და ფლანდრია ბელგიაში. მსგავსი ეთნიკური მოძრაობები დეცენტრალიზაციის გამოძვევდ ქლიერ ფაქტორებად იქცა და ზოგან უფრო ღრმა პოლიტიკური ცვლილებები — კონსტიტუციების რადიკალური გადასინჯვაც კი გამოიწვია. მსგავსმა პროცესმა XX საუკუნის 90-იან წლების იტალიაშიც იჩინა თავი, როდესაც ლომბარდიის პროვინციაში “ჩრდილოეთის ლიგა” ჩამოყალიბდა. ეთნიკური აქტიუობა შეინიშნებოდა კანადისა და ა.შ.შ.-ს მკვიდრ მოსახლეობაშიც. ავსტრალიელ აბორიგენთა და ახალზელანდიელ მართა შორისაც, რამაც ყოველ შემთხვევაში ბოლო ორი მაგალითის გათვალისწინებით, ეროვნულ თვითშეგნების საფუძვლიან გადასინჯვას შეუწყო ხელი.

ეთნოპოლიტიკის წინამორბედად და პროტოტიპად “შავი” ნაციონალიზმი შეიძლება ჩაითვალოს. “შავი თვითშეგნების” სათავეები XX საუკუნის დასაწყისიდან შეინიშნება, როცა ჩამოყალიბდა მოძრაობა “უკან — აფრიკისაკენ”. მაგრამ ამ ე.წ. “შავმა პოლიტიკამ” აპოგეას გასული საუკუნის 60-იან წლებში მიაღწია, სწორედ ამ დროს გააქტიურდა მისი რეფორმისტული, ისე რევოლუციური ფრთაც. რეფორმისტები, მარტინ ლუთერ კინგისა (1929-1968) და “ფერადკანიანი მოსახლეობის უფლებების ნაციონალური ასოციაციის” თაოსნობით, სამოქალაქო უფლებებისათვის იბრძოდნენ და ამ ბრძოლამ მალე მთელი ა.შ.შ. მოიცვა. მოგვიანებით შექმნილმა ორგანიზაციამ “შავი ძალა”, უკვე აშკარად თქვა უარი მხოლოდ სამოქალაქო დაუმორჩილებლობისა და არაძალადობრივი პროტესტის სტრატეგიაზე, “შავი სეპარატიზმისაკენ” მოწოდებებს აუბა მარი და 1966 წელს დაარსებულ “შავი აფაზის” პარტიასთან ერთად, ძალადობისა და შეიარაღებული ბრძოლის გზას დაადგა. უფრო მეტიც, მტკიცედ პოლიტიკაში სერიოზულად გაიმაგრა პოზიციები მოძრაობამ “შავი მამკადიანები”, რომელიც უკიდურესი სეპარატიზმის იდეებს ქადაგებდა და ამტკიცებდა, თითქოს შავკანიანი ამერიკელები უძველესი მამკადიანური ტომის შთამომავლები იყვნენ. ეს მოძრაობა ჯერ კიდევ 1929 წელს შეიქმნა, 40 წელზე მეტხანს მას სათავეში ელიჯა მუჰამადი ედგა, ხოლო მის აქტივისტებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა მალკოლმ ექს (1925-1965).

“შავი” ნაციონალიზმი ნათლად მიანიშნებს ეთნიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მოტივზე — ეთნიკურ თუ პოლიტიკურ მარგინალიზაციასთან დაკავშირებულ დისკრიმინაციასთან შეურიგებლობაზე. ამ თვალსაზრისით, ეთნოპოლიტიკა გათავისუფლებისკენ სწრაფვს, რასაც საზოგადოების ტრეპტურული არასრულყოფილება და მუდმივი უთანასწორობა უძლის ღრს. ეთნიკური თვითშეგნების ამალეობამ ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის შავკანიან მოსახლეობას შესაძლებლობა მისცა გაბატონებულ თეთრ კულტურას დაპირისპირებოდნენ, რომელიც ტრადიციულ ზანს უსვამდა მათ დაბალ კულტურულ განვითარებას და შესაბამის მორჩილებასაც მოითხოვდა.

რაც შეეხება წმინდად რეგიონალურ მოძრაობებს, მათი აღმოცენება უპირატესად “შიდა კოლონიალიზმზე” რეაქციით აიხსნება — ანუ, იმ ვითარებაზე როცა “ძირძველი რეგიონები”, იგივე ცენტრი, ექსპლუატაციას უწევენ “განაპირა რეგიონებს”, ანუ პერიფერიას. ასე მაგალითად, შოტლანდიისა და უელსის ნაციონალიზმი გარკვეულწილად იქიდანაც იჭრება სათავეს, რომ ეკონომიკურად ეს რეგიონები ინგლისზე არიან “შიბ-ბუნი”, განსაკუთრებით მის სამხრეთ-აღმოსავლეთ სამრეწველო ნაწილზე. ამ მხარესთან შედარებით, შოტლანდიასა და უელსში მართლაც გვიღებთ განუვითარებელია მძიმე მრეწველობა, მაღალია უმუშევრობა და შემოსავლებიც ნაკლებია. პრაქტიკულად იგივე შეიძლება ითქვას ისეთ რეგიონებზე, როგორიცაა ბრეტანი საფრანგეთში, ანდა კატალონია და ბასკეთი ესპანეთში. შემთხვევითი არაა, რომ აქ ეთნიკური ნაციონალიზმი

სათემო გაერთიანება

ესაა გარკვეულ ადგილას — სოფელში, დაბაში, ქალაქსა ან თუნდაც ქვეყანაში გვერდგვერდ მცხოვრებ ადამიანთა ერთობლიობა. თემცა, როგორც სოციალური ან პოლიტიკური პრინციპი, ეს ტერმინი ისეთ სოციალურ ჯგუფს აღნიშნავს, რომელსაც შეგობრობის, ერთგულებისა და ურთიერთვალდებულების საფუძველზე დამყარებული კოლექტიური მეობა გამოარჩევს. ტრადიციულ საზოგადოებებში არსებობს სათემო გაერთიანებები, რომელთაც ბუნებრივი შინაგანი სიმტკიცე და ურთიერთპატივისცემა ახასიათებთ; მეორეს მხრივ, ქალაქებსა და ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებებში უფრო სუსტად შეკავშირებული, ხელოვნურად შექმნილი და საკონტრაქტო პრინციპით გამთლიანებული ჯგუფები გვხვდება.

მემარცხენეობისაკენ იხრება და მას სოციალისტური მიმართულების პარტიები და მოძრაობები სათავეს იყენებენ.

და პირიქით, როდესაც ენებები უკვე თავად ცენტრში გიზგიზებს — პერიფერიული რეგიონებისათვის ამა თუ იმ პრივილეგიების მინიჭების ან უფლებების გაფართოების მოთხოვნით, ეთნოპოლიტიკა უკვე მემარჯვენე ხასიათს იძენს ხოლმე. ასე მოხდა მაგალითად, ბელგიაში, როდესაც უპირატესად ფრანგულენოვანი ვალონიის ეკონომიკურმა “წამოწყვამ” ლამის ნეოფაშისტური მოძრაობები გააღვივა ფლანდრიაში.

ოლონდ ეგეცაა — თავისთავად ვერც სტრუქტურული უთანასწორობანი და ვერც შიდა კოლონიალიზმის ფაქტორი ბოლომდე ვერ ახსნის, თუ რამ გამოიწვია ეთნიკური და რეგიონალური პოლიტიკის გამოცოცხლება. რატომ შეიძინა ეთნიკურმა თუ რეგიონალურმა კუთვნილებამ ასეთი მნიშვნელობა მაინცდამაინც XX საუკუნის ბოლოს, როცა იმ უსამართლობათა ფესვები, რის აღმოფხვრასაც ეთნოპოლიტიკა ცდილობს, მრავალი თაობისა და საუკუნის იქითაა საძიებელი? პასუხი პოსტმოდერნიზმის ფენომენში უნდა ვეძებოთ. როგორც თავის დროზე ნაციონალიზმმა კულტურული ერთიანობის განცდის ჩამოყალიბება უზრუნველყო, ახლა შესაძლოა, ეთნიკურ თვითშეგნება იქცეს იმ ძალად, რომელიც ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს შეაკავშირებს. პოსტმოდერნიზმი ხომ თავისთავად ასუსტებს ტრადიციულ სოციალურ კავშირებს და მათ ნაცვლად “მეობის” განსაზღვრის სრულიად ახალ წესებს ადგენს. ასე მაგალითად, სოციალური მობილურობისა და “საბაზრო” ინდივიდუალიზმის ზრდამ, როგორც ჩანს, კლასობრივი სოლიდარობისა თუ ბევრი სხვა ტრადიციული პოლიტიკური გაგების არსებობას დაუსვა წერტილი. ამავდროულად, ერების მიერ საკუთარი იდენტურობის განცდა ეკონომიკის, კულტურისა და პოლიტიკის სფეროების გლობალ იზაციის შედეგადადაც მეტნაკლებად სუსტდება. ამ ისტორიულ ვითარებაში, ეროვნულ-სახელმწიფოებრივის ნაცვლად, სოციალური ინტეგრირების მთავარი საშუალება სწორედ ეთნიკური კუთვნილება ხდება. ამ უკანასკნელის ძალა, ეტყობა, იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარ თავს ერთობის უფრო ღრმა და “ძირძველ” გაგებას მოიცავს, ვიდრე “სამქალაქო” უფლება-ვალდებულებებით გამთლიანებულ თანამედროვე ერებს გააჩნიათ.

სათემო პოლიტიკა?

თუკი ეთნოპოლიტიკა, როგორც წესი, პოპულისტური მოძრაობების სახით “ქვემოდას” აღმოცენდება, სათემო პოლიტიკის საკითხი ძირითადად პოლიტიკური ელიტის თეორიული ინტერესის საგანს წარმოადგენს ხოლმე. თეორეტიკოსები და მკვლევარები საზოგადოების სულიერ დაკნინებასა და ხელქმედებას უფრო ფართო მნიშვნელობის მოვლენას — თემის როლის დაკნინებას უკავშირებენ. ამაზე დავა-კამათი დიდი ხანია მიმდინარეობს. თემცა პრობლემის აქტუალობამ მწვერვალს XX საუკუნის 90-იან წლებში მიაღწია, როცა ე.წ. “კომუნტარიზმის” თეორია შეიქმნა და მალე იმდენად ყოვლისმომცველ პოლიტიკურ ფილოსოფიადაც იქცა, მის ფონზე ლამაზად

მემარჯვენეობა-მემარცხენეობად დაყოფამაც აზრი დაკარგოს. ამ თეორიის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ ჯანსაღი საზოგადოებისათვის, უპირველეს ყოვლისა ერთიანობის განცდაა სასიცოხლოდ აუცილებელი და ეს განცდა დღეს უადრესად შესუსტებულია.

სათემო პოლიტიკისადმი ინტერესის გაღვივება და ზოგადად “ადგილობრივ-ის” მნიშვნელობის ხელახალი გააზრება, გლობალიზაციის პროცესების სარალელურად ხდება. საერთოდ, გლობალიზაციაც და მისი საპირისპირო, ანუ ვთქვათ, “ლოკალიზაციის” (ადგილობრივი ფაქტორის გაძლიერების) ტენდენციაც შეიძლება ერთდროულ და ერთმანეთთან დაკავშირებულ რეაქციებად ჩათვალოს ერი-სახელმწიფოს შესუსტებაზე. სათემო პოლიტიკის დიპლომატიურ წინაპირობად კლასიკური ანარქიზმის ის ტრადიცია მიაჩნიათ, სადაც განსაკუთრებული ყურადღება თვითმმართველობასა და თანამშრომლობას ექცეოდა. როგორც ცნობილია, ანარქიზმის თვალსაჩინო ფორტიკოსები — პრუდონი, პიოტრ კროპოტკინი (1842-1921) და გუსტავ ლანდაუერი (1870-1934) განსაკუთრებული მონდომებით ასაბუთებდნენ სტარა დეცენტრალიზებული თემების, იგივე **კომუნების** ღირსებებსა და უპირატესობებს; მიაჩნდათ, რომ მსგავს თემებში ცხოვრება, ასე ვთქვათ, დღისათვის “ლაგდება” — ხალხი უთანხმოებებსაც კი სხვის ჩაურევლად, საკუთარი პირადი ურთიერთობებით აგვარებს. სხვათა შორის, თავის დროზე მიუთითებდა იდეებით იყენებ შთაგონებულნი ებრაული კიბუცების შემქმნელებიც მარაქლში. ისეთი თანამედროვე ანარქისტების აზრით, როგორიცაა მგელთაიდ დიურეი ბუქინი, დღეს თემის საჭიროება კიდევ უფრო მეტია, ვიდრე XIX საუკუნეში: დღევანდელი ქალაქი ხომ მეტისმეტად მოსაწყენი და უსასურთი გახდა. სწორედ ამიტომ, ბუქინმა “ნათესავ-მოკეთათა” ჯგუფის, როგორც თანამედროვე საზოგადოების საძირკველის, იდეა წამოაყენა. ამ ჯგუფმა საკუთარ ხელში უნდა აიღოს თვით ისეთი საკითხების მოგვარებაც როგორიცაა ქალაქის დაგეგმარება, უარი თქვას ერთნაირ, მახინჯ, მრავალსართულიან ნაგებობებზე, საერთოდ მასშტაბურ პროექტებზე და გეზი აქვს “ზომიერად ურბანიზებულ სოფლებზე” აიღოს. მსგავს იდეებს ქადაგებს გერმანელი ეკონომისტი ფრანც შუმპერიც: თავის ცნობილ წიგნში, “მცირე — მშვენიერია; ეკონომიკის იმგვარი ხედვა, თითქოს ხალხს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს” (1973) იგი ეკონომიკური და საზოგადოებრივი პროცესების ისეთ ფორმებზე გადასვლის აუცილებლობაზე მიუთითებდა, რომელთაც “ადამიანური მასშტაბები” ექნებოდათ და პატარ-პატარა შრომით კოლექტივებს, საერთო სათემო საკუთრებასა და რეგიონალურ წარმოებას დაეფუძნებოდნენ.

“თემის იდეა” სხვა მეცნიერებმაც აიტაცეს: მაგალითად, მაიკლ სანდელმა და ჯონსდერ მაკინტაირმა, რომლებმაც ის ლიბერალური ინდივიდუალიზმის წარმატებლობის კრიტიკული ანალიზისას გამოიყენეს. მსგავსი შეხედულების მომხრეები ამტკიცებენ, რომ ლიბერალიზმი, რომელიც თავ და თავად პიროვნებას აღიარებს და მას საზოგადოებასთან მიმართებაში განსაკუთრებულად მოიაზრებს, სინამდვილეში თავკერძობასა და ეგოიზმს განიჭებს და სათანადო ყურადღებას არ უთმობს საყოველთაო კეთილდღეობის საკითხს. მსგავსმა შეხედულებებმა, ამიტაი ეციონის შრომების წყალობით, სერიოზული ზეგავლენა მოახდინა პრეზიდენტ ქლინტონის

კომუნტარიანიზმი

ესაა რწმენა, რომ პიროვნება სხვებთან თანაარსებობის პირობებში ყალიბდება და მას, ასე ვთქვათ, საკუთარი სათემო გაერთიანება სასიკეთო კვალს აშენებს, რისთვისაც მუდმივად მისი მაღლიერი და პატვისმცემელი უნდა იყოს. კომუნტარიანიზმი ლიბერალურ ინდივიდუალიზმთან აშკარა წინააღმდეგობაშია და რამდენიმე პოლიტიკური ფორმით ვლინდება: მემარცხენე კომუნტარიანიზმი ამტკიცებს, რომ სათემო თანაცხოვრებისათვის შეუზღუდავი თავისუფლება და სოციალური თანასწორობა აუცილებელი (ანარქისტული ხედვა); ცენტრისტული კომუნტარიანიზმი ერთმანეთის უფლებებისა და ვალდებულებების დაცვა-აღიარების აუცილებლობას უსვამს ხაზს; მემარჯვენე კომუნტარიანიზმი კი ხელისუფლების და დადგენილ ფასეულობათა სისტემის პატვისმცემას ქადაგებს.

კომუნა (თემი):

მცირერიცხოვანი კოლექტიური ორგანიზაცია, რომელიც ქონებისა და ძალაუფლების ურთიერთგანაწილების პრინციპს ემყარება.

ადმინისტრაციასა და ასევე, გაერთიანებული სამეფოს როგორც ლეიბორისტულ, ისე კონსერვატიულ პარტიებზეც. ეციონის აზრით, სოციალური კავშირების რღვევა და საზოგადოების კრიზისი, მნიშვნელოვანწილად, პიროვნების საკუთარ უფლებებზე გამუდმებულმა ზრუნვამ და სხვა ადამიანთა მიმართ მისი პასუხისმგებლობისა და მოვალეობების უგულებელყოფამ განაპირობა. თავის მხრივ, კრიტიკოსები კომუნიტარიზმსაც ჰყავს და მათი აზრით, თუკი მოვალეობებს უფლებებზე წინ დაჟაყენებთ, ამით შესაძლოა ძალიან დაეშორდეთ პიროვნების თავისუფლების იდეას და, არსებითად, ავტორიტარიზმის ქადაგებამდეც მივიდეთ. უფრო მეტიც, სათემო პოლიტიკის წრეგადასულ პროპაგანდაში კრიტიკოსები კონსერვატიულ ქვეტექსტებსა და საზოგადოებრივი სტატუს ქვოს ხელშეუხებლობის საფრთხესაც ხედავენ.

შეჯამება

« ცენტრალიზაციასაც და დეცენტრალიზაციასაც გარკვეული ღირსებები გააჩნია. ცენტრალიზაცია სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედებას უადვილებს, იძლევა ეკონომიკური ცხოვრების უკეთ ორგანიზების საშუალებას, ქვეყნის მთლიანობის განმტკიცებას და რეგიონალური უთანაბრობის დაძლევის უწყობს ხელს. თავის მხრივ, დეცენტრალიზაცია აფართოებს პოლიტიკური ანამონაწილეობის სპექტრს, მეტად “აახლოებს” ხელისუფლებასა და ხალხს, უფრო გასაგებს ხდის პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მართებულობას და უზრუნველყოფს კონტროლსა და ბალანსს ხელისუფლების შიგნით.

« ტერიტორიული მოწყობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია ფედერალური და უნიტარული სისტემები. ფედერალიზმი “ზიარი” სუვერენიტეტის იდეას ემყარება, როცა ხელისუფლება მმართველობის ცენტრალურ და პერიფერიულ დონეთა შორის ნაწილდება; უნიტარიზმი კი მთელ ძალაუფლებას ერთ, ზოგადეროვნულ ინსტიტუტს ანიჭებს, რომელიც თავად წყვეტს, რა ტერიტორიული პრინციპით მოაწყოს სახელმწიფო.

« ტერიტორიულ მოწყობაზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას: პარტიული სისტემა და პოლიტიკური კულტურა, ეკონომიკური წყობა და საზოგადოების მატერიალური განვითარების დონე, სახელმწიფოს გეოგრაფია და მასში კულტურულ, ეთნიკურ თუ რელიგიურ მრავალფეროვნებათა ხარისხი. თუ ყველას არა, ძალიან ბევრ სისტემას მაინც, ცენტრალიზაციისაკენ უჭირავს თვალი; ეს კი იმის გამო ხდება, რომ მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას გააჩნია ეკონომიკური ცხოვრების მართვისა და სოციალური კეთილდღეობის მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფის რესურსებიცა და სტრატეგიული ხედვაც.

« პოლიტიკური დეცენტრალიზაციისკენ მიდრეკილებას ეთნიკური თვითშეგნებისა და რეგიონალური “მეობის” გამოცოცხლება აძლიერებს. ეთნიკური პოლიტიკის აღმავლობა, თავის მხრივ, ეთნიკური განცდისთვის დამახასიათებელ იმ უნარს უკავშირდება, რომელიც ადამიანში “ძირქველი” მეობის მნიშვნელობის უპირატესობას აღვივებს — სახელმწიფოებრივ

აზროვნებისათვის აუცილებელ “სამოქალაქო” უფლება-მოვალეობებთან შედარებით. გარკვეული თვალსაზრისით, ეთნიკური ნაციონალიზმის მოძალეა გლობალიზაციის წინააღმდეგობის მოტივითაც აიხსნება.

◀ ბოლო დროს ხშირად გამოითქმის შემოფოთება ადამიანებში “ერთობის” ურბნობის შესუსტების გამო და “ადგილობრივისადმი” ინტერესის აშკარა ზრდაც შეინიშნება. კომუნიტარიზმი ფაქტიურად რადიკალურ დეცენტრალიზაციასა და თვითმმართველობასთან ასოცირდება, და მასში ადამიანთა შორის უფლება-მოვალეობების უკეთ გათვალისწინების გზასა და ხელისუფლების პატივისცემის განმტკიცებისა თუ ტრადიციული ფასეულობებისა და კულტურის დაცვის საშუალებასაც ხედავენ.

კითხვები განსასჯელად

- ◀ როგორ შეიძლება ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის “მორიგე-ბა”?
- ◀ ფედერალური მოწყობის პრინციპი ყველა სახელმწიფოს შეიძლება მოერ-ვოს, თუ მხოლოდ ზოგიერთს?
- ◀ რა შედეგებითი უპირატესობები გააჩნია ფედერალიზმს და დელეგირებას?
- ◀ შესაძლებელია თუ არა თანამედროვე სახელმწიფოთა ცენტრალიზაციისაკ-ენ მიხსწრაფების შეკავება?
- ◀ ემუქრება თუ არა ეთნიკური პოლიტიკის გამოცოცხლება სახელმწიფო-ებრიობის განცდას?
- ◀ უცილობლად კონსერვატიულ ხასიათს ატარებს თუ არა თემის გაბლიერების მცდელობები?

დამატებითი საკითხავი

- Bookchin, M., *Remaking Society* (Montreal: Black Rose, 1989).
- Denters B. and L.E. Rosa (eds), *Comparing Local Governance: Trends and Developments* (Basigstoke and New York: Palgrave Macmillan, 2005).
- Fenton, S., *Ethnicity* (Cambridge: Polity, 2003).

ეკონომიკა და საზოგადოება

„ეკონომიკაა ყველაფერი, ტუტუც!“

პოსტერი ბილ კლინტონის სამუშაო მაგიდაზე.

პოლიტიკა თითქმის ყველა დონეზე ეკონომიკასთან და საზოგადოებრივ ცხოვრებასთანაა გადახლართული. იდეოლოგიური დაჟა-კამათი, ტრადიციულად, ორი დაპირისპირებული ეკონომიკური ფილოსოფიის — კაპიტალიზმისა და სოციალიზმის პაექრობას უკავშირდება. არჩევნების ხასიათსაც საზოგადოებრივი დაყოფა-დანაწევრება განაპირობებს: პარტიები ძალაუფლებისათვის ბრძოლისას ეკონომიკური ზრდის, ინფლაციის შემცირების, სტაბილურობის დაძლევის და სხვა მსგავსი დაპირებებით ცდილობენ ამომრჩეველთა გულის მოგებას. როგორც პრეზიდენტმა კლინტონმა აღნიშნა, არჩევნების შედეგებს ხშირად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავს: თუ ეკონომიკა ყვავის, ხელისუფლება არჩევნებს იგებს, ხოლო თუ საქმე პირიქითაა — მარცხდება. ორთოდოქსი მარქსისტები უფრო მხრსაც მიდიან და ამტკიცებენ — პოლიტიკა, უბრალოდ, ეკონომიკური უნებისთ გაწირობებული "ზედნაშენის" დანამატია და პოლიტიკური პროცესიც სხვა არაფერია, თუ არა კლასობრივი სისტემის ანარქალიზმი. მართალია, დღეს ამ უკიდურესად გამარტივებულ ხედვას ცოტანი თუ ახარბენ (მარქსისტების ჩათვლით), მაგრამ პოლიტიკური ანალიზისას სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობას მაინც ვერაფერ უარყოფს. პოლიტიკის გააზრება ეკონომიკური და საზოგადოებრივი კონტექსტის ყურადღისწინებლად, უბრალოდ, შეუძლებელია.

ამ დღეში შემდეგი ძირითადი საკითხებია განხილული:

საკვანძო საკითხები:

- < როგორ და რამდენად განსაზღვრავს ეკონომიკა პოლიტიკას?
- < რომელი მთავარი ეკონომიკური სისტემები არსებობს დღევანდელ სამყაროში? რაშია მათი ძალა თუ სისუსტე?
- < რამდენად უნდა აკონტროლოს ხელისუფლებამ ეკონომიკა?
- < ეკონომიკური თვალსაზრისით, რა უმთავრესი ეკონომიკური და სოციალური პრობლემები არსებობს თანამედროვე საზოგადოებებში?
- < რამდენად დიდია კლასის, რასისა თუ სქესის გავლენა პოლიტიკური ცხოვრების ხასიათზე?

ეკონომიკური სისტემები

კაპიტალისტური ქვეყნები.

სოციალიზმის ნაირსახეობანი.

არსებობს თუ არა ეკონომიკური "შესამეგზა"?"

საზოგადოების სტრუქტურა და დაყოფა

სოციალური კლასი. რასა. სქესი.

შეჯამება/კითხვები განსასჯელად/დამატებითი საკითხავი

ეკონომიკური სისტემები

ეკონომიკური სისტემა ორგანიზების იმგვარი ფორმაა, რომელიც საქონლისა და მომსახურების წარმოებას, დანაწილებასა და გაცვლა-გამოცვლას უწყობს ხელს. მარქსისტები ეკონომიკურ სისტემებს "წარმოების სახეობებს" უწოდებენ. ოღონდ საქმეც ისაა, რომ კაპიტალიზმი, მაგალითად, ზშირად განიხილება არა როგორც უბრალოდ ეკონომიკური სისტემა, არამედ თავისთავადი იდეოლოგიაც, რომელიც განსაკუთრებით კერძო საკუთრებას იცავს, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს კონკურენციის დადებით მხარეებს და მიიჩნევს, რომ საყოველთაო კეთილდღეობა მხოლოდ კერძო ინტერესის შედეგი შეიძლება იყოს. სოციალიზმის შემთხვევაში, ორგვარი გაგება კიდევ უფრო თვალსაჩინოა: ეს ტერმინი როგორც ღირებულებათა, თეორიათა და შეხედულებათა გამოკვეთილ ერთიანობას, ასევე ეკონომიკური მართვის იმგვარ სისტემასაც აღნიშნავს, რომელმაც ეს ღირებულებები უნდა დაამკვიდროს. ამ თავში ძირითადად ეკონომიკური სისტემების ძლიერ და სუსტ მხარეებზე ვისაუბრებთ, თუცა უფრო სოციო-ეკონომიკური ორგანიზების და არა ნორმატიული პოლიტიკური თეორიის კუთხით. ამ საკითხებთან დაკავშირებული იდეოლოგიური დავის უფრო სრული ანალიზი III თავში შეგიძლიათ იხილოთ.

თითქმის ორასი წელია, კაპიტალიზმი და სოციალიზმი ეკონომიკური მართვის საკითხებზე დაობენ. უთანხმოება იმდენად გაღრმავდა, რომ ამან თავად სამყაროს პოლიტიკურ სპექტრზეც კი ჰპოვა ასახვა და ფაქტიურად, პოლიტიკური შეხედულებანი იმ საკითხის გადაჭრამდე დაიყვანა, თუ ეკონომიკური ორგანიზების რომელ ფორმას მიენიჭოს უპირატესობა. მემარცხენეობა, როგორც წესი, სოციალიზმს ემხრობოდა; მემარჯვენეობა — კაპიტალიზმის მხარდაჭერით გამოირჩეოდა მუდამ. დაპირისპირებულ სისტემათა ამგვარი ძირეული შეუთავსებლობა კიდევ უფრო ამძაფრებდა განხეთქილებას.

ჩვეულებრივ, კაპიტალისტურ ეკონომიკას შემდეგი უმთავრესი ნიშან-თვისებებით ახასიათებდნენ:

- < არსებობს ზოგადი საქონელწარმოება, და ეს საქონელი — ნაწარმისა თუ მომსახურების სახით — გაცვლა-გამოცვლისთვისაა გამიზნული, ანუ — საბაზრო ღირებულება გააჩნია.
- < საწარმოო ქონება ("წარმოების საშუალებები") ძირითადად, კერძო მფლობელობაშია.
- < ეკონომიკური ცხოვრება საბაზრო პრინციპების თანახმადაა მოწყობილი და მოთხოვნა-მიწოდების კანონებს ემორჩილება.
- < მატერიალური დაინტერესება და მეტი მოგების მიღების სურვილი მწარმოებისა და დაუღალავი შრომის სერიოზული მოტივაციაა.

საკირისპიროდ, სოციალისტურ ეკონომიკებს შემდეგი პრინციპების მატარებლებად მიიჩნევდნენ:

ბაზარი

ბაზარი სავაჭრო გაცვლა-გამოცვლის იმგვარი სისტემაა, რომელიც გარკვეული საჭიროებისა თუ მომსახურების მიღების მსურველს მიმწოდებელთან აკავშირებს. თუ ვეღვაზე პრიმიტიულ ფორმებს არ ჩაეთვლით, ნებისმიერ ბაზარზე გაცვლა-გამოცვლის ყველაზე ხელსაყრელ საშუალებად ფული ითვლება და არა ბარტერი. ბაზარი განუპიროვნებელი მექანიზმია იმ თვალსაზრისით, რომ მას ფასების ცვლა არეგულირებს, რაც თავის მხრივ, ე.წ. "საბაზრო ძალების" — მოთხოვნისა და მიწოდების — წონასწორობის ანარეკლია.

ბაზრის მომხრეები მის შემდეგ უპირატესობებს აღიარებენ:

- < ვფექტიანობას იგი სარგებლის მიღების სურვილით აღწევს.
- < ხელს უწყობს მუდმივ განახლებას, როგორც ახალ-ახალი პროდუქციის შექმნის, ასევე წარმოების პროცესის გაუმჯობესების პროცესის თვალსაზრისით.
- < მწარმოებლებსაც და მომხმარებლებსაც საკუთარი ინტერესების დაცვის საშუალებას აძლევს და არჩევანის თავისუფლებასაც უზრუნველყოფს.
- < იგი უამრავი განსხვავებული აზრისა და გადაწყვეტილების დაბალანსებას ახერხებს.

თუმცა, კრიტიკოსები ბაზრის სერიოზულ ნაკლოვანებებზეც მიათითებენ:

- < იგი გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს, რამდენადაც ადამიანთა ყოფას მათგან დაპოუცილებელი ძალები განსაზღვრავენ.
- < აღრმაებს მატერიალურ უთანაბრობას და გაღარიბების მიზეზიც ხდება.
- < ამძაფრებს სინარბესა და ეგოიზმს და საზოგადოების ფართო მოთხოვნებს არ ითვალისწინებს.
- < ეკონომიკის პერიოდული ზრდის და ვარდნის გამო, არასტაბილურობის განცდას აჩენს.

< სისტემა საჭიროებს აწარმოებს *მომხმარებლისთვის*, და თეორიულად მაინც, მხოლოდ ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად.

< საწარმოო საშუალებები, უმეტეს წილად, საზოგადო ან "საერთო" საკუთრებაა.

< ეკონომიკა დაგეგმვას ემყარება, ანუ — რესურსების განაწილების წინასწარ გათვლილ პროცესს.

< შრომა კოლექტიური ქმედების გამოხატულებაა და საყოველთაო კეთილდღეობას ისახავს მიზნად.

რეალურად კი ეკონომიკური სისტემები გაცილებით უფრო რთული დასახარისხებელია. ჯერ ერთი, მცდარია აზრი, თითქოს როდისმე არსებობდა კაპიტალიზმის თუ სოციალიზმის ერთი, საყოველთაოდ აღიარებული რაიმე მოდელი; სინამდვილეში, ყოველი საზოგადოება კაპიტალიზმისა თუ სოციალიზმის საკუთარ მოდელს ქმნის — ეკონომიკური და პოლიტიკური

9. ეკონომიკა და საზოგადოება

გარემოებებიდან გამომდინარე და საკუთარი კულტურული თუ ისტორიული შემკვიდრების გათვალისწინებით ამდენად, უძველესი იქნება "კაპიტალიზმების" და "სოციალიზმების" თაობაზე ვისაუბროთ. ვგეგ არ იყოს, გამარტივებული მოდელი "კაპიტალიზმი — სოციალიზმის წინააღმდეგ" — სრულიად ამახინჯებს ორ სისტემას შორის არსებულ რეალურ განსხვავებებს.

1989-91წწ. ევროპული რევოლუციების შემდგომ, ცენტრალიზებული დაგეგმვის პოლიტიკის სწრაფმა აღსასრულმა არა მარტო **სახელმწიფო სოციალიზმის** სისტემა დაასამარა, არამედ ნათლად აჩვენა "წმინდად" სოციალისტური და "წმინდად" კაპიტალისტური სისტემების არსებობის მითიურობა. არც ერთი კაპიტალისტური სისტემა არაა თავიდან ბოლომდე თავისუფალი "სოციალისტურ" მინარევებისაგან — როგორცაა შრომითი კანონმდებლობა თუ საარსებო მინიმუმის ცნება; ასევე არასოდეს არსებულა იმგვარი სოციალისტური სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელი არ ყოფილიყოს შრომის ბაზარი და "შავი ეკონომიკის" ესა თუ ის ფორმა. არაერთი მცდელობა იყო, შეექმნათ რაღაც გამორჩეული, კაპიტალიზმისაგან და სოციალიზმისაგან განსხვავებული მოდელი, ეპოვათ ე.წ. "შესამე გზა": *კორპორატიზმი* ფაშისტურ იტალიაში, *პერონიზმი* არგენტინაში თუ შეედური სოცალ-დემოკრატია სწორედ ამ მცდელობის გამოხატულებებია. თავის მხრივ, ხმა აღიმალღეს გარემოს დამცველებმაც — მათი აზრით, კაპიტალიზმი და სოციალიზმი ასეებითად ერთი და იგივეა — ორივე წარმოებაზე ორიენტირებული და მომხვეჭელობის ჟინით შეპყრობილი ეკონომიკური სისტემაა: "მწვანეთა" ეკონომიკური მოდელი კი გულისხმობს ეკონომიკური პრიორიტეტების მკვეთრ გადანაცვლებას გარემოს უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის სასარგებლოდ.

კაპიტალისტური ქვეყნები

ეკონომიკის კაპიტალისტური ფორმები თავდაპირველად XVI-XVII საუკ. ევროპაში გაჩნდა, ძირითადად ფეოდალური საზოგადოებების შიგნით, რომელსაც მიწათმფლობელთა მიერ დადგენილი სოციალური იერარქიისა და უფლება-მოვალეობების მკაცრი კოდექსის მოთხოვნებთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოება ახასიათებდა. კაპიტალიზმი თავდაპირველად სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობაში გამოვლინდა — ყმა-გლეხების ნაცვლად, ის დაქირავებული მუშახელის გამოყენებას და ბაზრის განვითარებას გულისხმობდა. საბაზრო მექანიზმები — ახლად ჩასახული კაპიტალისტური სისტემის გულისგული — ამკარად უწყობდა ხელს ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

სახელმწიფო სოციალიზმი:

სოციალიზმის ნაირსახეობა, როდესაც სახელმწიფო საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებას აკონტროლებს და წარმართავს, თეორიულად მაინც — ხალხის ინტერესების შესაბამისად.

ადამ სმიტი (1723-90)

ბელანდიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი, რომელსაც ე.წ. "შეკაცრი ზეინერების", ანუ თანამედროვე ეკონომიკის, ფუძემდებლადაც კი მიიჩნევენ. გლახგოს უნივერსიტეტში ჯერ ლოგიკის, ხოლო მოგვიანებით, კოპის ფილოსოფიის კათედრის ხელმძღვანელობას თავგანებებული, სმიტი პერცოვ ბაკლის კერძო მასწავლებელი გახდა, რამაც მას საფრანგეთსა და შვეიცარიაში მოგზაურობისა და საკუთარი ეკონომიკური თეორიაზე მუშაობის შესაძლებლობა მისცა. *ზნეობრივი წინააღმდეგობების*

თეორიაში (1759) სმიტი შეეცადა ეპოქის მოტყუაცია, რაც ადამიანის კერძო დაინტერესებასა და თავისუფალ საზოგადოებრივ ყოფას დააზავებდა. სმიტის ყველაზე ცნობილი თხზულება — *ერთა სიმდიდრე* [1776] შრომის დანაწილების მნიშვნელობის ხაზგასმისა და ეკონომიკის საბაზრო ცნებებით ახსნის პირველი სისტემატიური მცდელობაა. თავისუფალი ბაზრის თეორეტიკოსად კი ითვლებოდა, მაგრამ სმიტი, ამავე დროს, მის ნაკლოვანებებსაც კარგად ხედავდა.



XVIII საუკ. შუა ხანებში ჯერ დიდ ბრიტანეთში, შემდგომ კი ამერიკის შერთულ შტატებსა და ევროპაშიც, დაიწყო ინდუსტრიული რევოლუცია, რომელმაც მთლიანად შეცვალა საზოგადოება — მანქანა-იარაღებზე დამოკიდებული მანუფაქტურული წარმოების განვითარებასთან ერთად, თანდათან მოწყვეტა ადამიანები მიწას და ქალაქებში მიიზიდა. კაპიტალიზმი და ინდუსტრიალიზმი მართლაც იმდენად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ *ინდუსტრიულ კაპიტალიზმს*, ხშირად ამ ფორმაციის კლასიკურ გამოვლინებად მიიჩნევენ. დღევანდელ სამყაროში კაპიტალიზმური სისტემის სამი ტიპი უნდა გამოვყოთ:

- † საწარმოო კაპიტალიზმი
- † სოციალური კაპიტალიზმი
- † კოლექტიური კაპიტალიზმი

საწარმოო კაპიტალიზმი

საწარმოო კაპიტალიზმს ძალიან ბევრი, განსაკუთრებით, ანგლო-ამერიკულ სამყაროში, "წმინდა" კაპიტალიზმად აღიარებს: ანუ, თავისებურ იდეალად კაპიტალიზმის ნებისმიერი სხვა გამოვლინებისათვის. არადა, ისიც აშკარაა, რომ ეს მოდელი მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში იქნა უარყოფილი, ა.შ.შ.-ს გარდა, და II მსოფლიო ომის შემდგომ, კენზიანურ სოციალ-დემოკრატიასთან ხანმოკლე ფლირტის მიუხედავად, დიდი ბრიტანეთშიც. *საწარმოო კაპიტალიზმი* კლასიკური ეკონომიკის ფუძემდებლების, ადამ სმიტისა და დევიდ რიკარდოს (1772-1823) იდეებს ემყარება, რომლებიც თავის მხრივ, თანამედროვე თეორეტიკოსებმა, მილტონ ფრიდმენმა და ფრიდრიხ ფონ ჰაიეკმა განავითარეს. მისი მთავარი ნიშანი საბაზრო კონკურენციის შეუქცევადობაა, და იმ რწმენას ემყარება,

9. ეკონომიკა და საზოგადოება

რომ ბაზარი თვითრეგულირებადი მექანიზმია, ანუ — თუ ადამ სმიტის სიტყვებს მოვიშველიებთ — "უხილავი ხელი". ამ შეხედულებას ნათლად გამოხატავს იმავე ადამ სმიტის ცნობილი ფრაზაც: "სადილზე ხორცი, ლუდი და პური მხოლოდ იმიტომ გვაქვს — ვასახს, მელუდესა და ხაბაზსაც რომ უნდათ ჭამა." თავისუფალი ბაზრის ამგვარმა პრონციპებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში მინიმუმამდე დაიყვანა საზოგადოებრივი საკუთრება და საყოველთაო კეთილდღეობაზე ზრუნვაც, ფაქტიურად, სოციალური დაცვის სფეროთი შემოფარგლა. ნებისმიერი ამერიკული ბიზნესი ტიპიურად მოგებაზეა ორიენტირებული, და უმთავრეს მიზნად შრომის ნაყოფიერებასა და ეფექტიანობას სახავს. პროფესიული კავშირები, როგორც წესი, სუსტია, რაც იმ შიშის გამოხატულებაა, რომ მუშათა ძლიერი გაერთიანებები მაქსიმალური მოგების შემაფერხებელი ფაქტორია. წარმოებისა და მოგების ზრდაზე ყურადღების გამახვილება იმითიცაა გამოწვეული, რომ ამერიკაში საწარმოო საშუალებებს ძირითადად ფინანსური ინსტიტუტები, სადაზღვევო კომპანიები და საპენსიო ფონდები ფლობენ, და შესაბამისად დაინტერესებულნი არიან, რაც შეიძლება მეტგზის ამოიგონ დანახარჯი.

ამერიკის შეერთებული შტატების უდაო ეკონომიკური სიძლიერე საწარმოო კაპიტალიზმის სიცოცხლისუნარიანობის ცხადი დასტურია. ზრდის ტემპების შედარებითი ვარდნის მიუხედავად (1945 წლისთვის ამერიკა ლამის იმდენივე პროდუქციას აწარმოებდა, რასაც მსოფლიოს ნახევარი; ოღონდ 1990 წ. კი ეს მაჩვენებელი 1/5-ს გაუტოლდა), საშუალო პროდუქტიულობის მხრივ ის მაინც უსწრებს გერმანიასა თუ იაპონიას. ამერიკა ამკარად სარგებლობს იმ უპირატესობებით, რაც საბაზრო პრინციპების ერთგულებამ განაპირობა: კერძოდ, მთელი კონტინენტის მასშტაბის შიდა ბაზრით, უმდიდრესი წიაღისეულით, და იმ უაღრესად ტრადიციული ინდივიდუალისტური კულტურით, რასაც "საკუთარი თავის მოიძებნე" იდეოლოგიასაც ეძახიან. ასეა თუ ისე, ამერიკის წარმატება მხოლოდ ბაზრის დამსახურებად ვერ ჩაითვლება: მაგალითად, ამ ქვეყნის შეილებს ეროვნული მიზნის ძლიერი და ამკარა განცდა გამოარჩევთ მარეგულირებელ ინსტიტუტთა მთელი ქსელი კი პრაქტიკულად ანეიტრალებს კონკურენციის მახინჯი გამოვლინებების შედეგებს.

ეკონომიკური გლობალიზაციის გავლენით, საწარმოო კაპიტალიზმის პრინციპები ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გასცდა და **მარკეტინგის** სხვადასხვაგვარ გამოვლინებას შეუწყო ხელი. მაგალითად, დაძაბულმა საერთაშორისო კონკურენციამ აიძულა მთავრობები, უარი ეთქვათ ეკონომიკის რეგულირებაზე თავიანთ ქვეყნებში და საგადასახადო ტარიფებიც დაქრათ საგარეო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. შეიზღუდა საზოგადოებრივი დანახარჯები — კერძოდ, სოციალური დაცვის განხრით, რაკილა ინფლაციის შეკავება უფრო მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა, ვიდრე სრული დასაქმების პროგრამები. მეტიც, პროდუქციისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მოთხოვნილებამ საჭირო გახადა პროფკავშირების აქტიუობის უკვე კანონმდებლობითა და სხვა მსგავსი

ეკონომიკური

გლობალიზაცია:

ზე-ეროვნული წარმოებისა და კაპიტალის დაუბრკოლებელი მოძრაობის შემდეგობით, ეროვნული ეკონომიკების გაერთიანება "უსაზღვრებში", გლობალური ეკონომიკის ფარგლებში.

მარკეტინგაცია:

საკუჭრო საქონელბრუნვასა და მატერიალურ დაინტერესებაზე აკებულ საბაზრო ურთიერთობათა გავრცობა — ეკონომიკისა და შეძლებისდაგვარად, მთელი საზოგადოების მასშტაბით.

ზომებით გაკონტროლება. ამ ხასიათის იძულებითმა ნაბიჯებმა, საბოლოო ჯამში, ე.წ. "ახალ" პოლიტიკური ეკონომიკა გამოკვეთა: ეკონომიკური მართვის დეპოლიტიზირებული ფორმა, სადაც სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევა მნიშვნელოვნადაა შეზღუდული და ეკონომიკური ცხოვრების საყრდენი უკვე ბაზარი ხდება. ასეა თუ ისე, ამ "ახალ" პოლიტიკურ ეკონომიკას სულ ცოტა, ორი სხვა ნიშანიც გამოარჩევს: პირველი — ტექნოლოგიური ზიახლეებისა და ინოვაციების მნიშვნელობის ზრდა; უფრო კონკრეტულად, საინფორმაციო და კავშირგაბმულობის ტექნოლოგიების ფართო გამოყენება. ამგვარი ტექნოლოგიების განვითარებამ, განსაკუთრებით კი ამერიკაში, XX საუკ. 90-იან წწ. "ტურბოკაპიტალიზმად" ცნობილი მოვლენაც კი წარმოშვა. მეორე ნიშანი ის გახლავთ, რომ ხელისუფლებებმა სულ უფრო მეტი ინვესტიციების დაბანდება იწყეს "ადამიანურ რესურსში" — იმ მოსაზრებით, რომ განათლებისა და პროფესიონალობის მაღალი დონე სასიკეთოდ აისახება ეკონომიკის მიწოდების მხარეზე, მოქალაქეებს მეტი ინიციატივის შანსს მისცემს და მეტად გაუფართოებს სამოქმედო არეალს.

თუმცა, საწარმოო კაპიტალიზმს სერიოზული ნაკლოვანებებიც ახასიათებს: მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ, ქონებრივი უთანასწორობისა და საზოგადოებრივი გათიშულობის ტენდენციებია. ეს ნათლად ჩანს ამერიკაში, სადაც აბსოლუტური სიღატაკის იმგვარ მაგალითებს წაუწყდებით, რაც ევროპაში ფაქტიურად, წარმოდგენილია. ასევე ბევრია იქ უსწავლელი და მხოლოდ სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებული, ე.წ. "ქვედა ფენის" ადამიანი.

სოციალური კაპიტალიზმი

სოციალური კაპიტალიზმი ძირითადად ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა. მის საშობლოდ გერმანია ითვლება, თუმცა სოციალური კაპიტალიზმის პრინციპები, სხვადასხვა ფორმით დაინერგა აუსტრიაშიც, ბენილუქსის ქვეყნებსა, საფრანგეთსა თუ შვედეთში. ამ შემთხვევაში, უფრო მეტად ფრიდრიჰ ლისტის (1789-1946) ყაიდის ეკონომისტების მოქნილი და პრაგმატული იდეები იყო განმსაზღვრელი, და არა სმიტისა და რიკარდოს მიერ ჩამოყალიბებული, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის მკაცრი საბაზრო პრინციპები. ლისტის მხარს უჭერდა პოლიტიკისა და პოლიტიკური ძალაუფლების როლის ზრდას ეკონომიკაში — ასე მაგალითად, იგი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელი იყო უცხოური კონკურენციისაგან სუსტი ინდუსტრიების დასაცავად. ამ მოდელის შთაჯარი აზრი სოციალური ბაზრის არსებობაა: ანუ, საბაზრო კონკურენციის მოთხოვნების შეჯვარება საზოგადოებრივი თანხმობისა და ერთსულოვნების საჭიროებასთან.

გერმანიაში ეს სისტემა ინდუსტრიული და ფინანსური კაპიტალის დაკავშირების შედეგად აღმოცენდა: მას შემდეგ, რაც ბიზნეს-კორპორაციების ინტერესები მჭიდროდ გადაიხლართა იმ რეგიონალური ბანკების

სოციალური ბაზარი:

"სოციალური საბაზრო ეკონომიკის" იდეა 1950-იანი წლების გერმანიაში გაჩნდა. იდეა მისაღები აღმოჩნდა ქრისტიან-დემოკრატი პოლიტიკოსებისთვისაც, და კერძოდ, მათი მოთავე ლულფ-ვიგ ერჰარდისათვის. სოციალური ბაზარი ეკონომიკის საბაზრო პრინციპებსა აგებული სისტემაა, მთავრობის მხრე ჩარევისაგან თავისუფალი და იმ საზოგადოებაში "მუშაობს", სადაც ერთიანობა საყოველთაო კეთილდღეობის მიზანსა და კარგად გაწყობილ საჯარო სამსახურს ეფუძნება. ბაზარი არა იმდენად თვითმიზანი, რამდენადაც დოქტრინის შექმნის საშუალებაა, საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად. სოციალური თავისუფალი ბაზრისგან იმით განსხვავდება, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას პარტ-ნიორობას, თანამშრომლობასა და სუბ-სიდირებას აქცევს. სოციალური ბაზრის სტრატეგიის წყალობით გერმანია იმ პოლიტიკურ თანხმობას ინარჩუნებს, რაც კონსერვატიულ და სოციალურ ხედვას არიგებს ერთმანეთთან და რასაც ევროკავშირის წევრმა არაერთმა სახელმწიფომ მიბაძა.

9. ეკონომიკა და საზოგადოება

ინტერესებთან, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, მსგავსი კორპორაციების მსხვილ აქციონერებსაც წარმოადგენენ ხოლმე. სწორედ ამ ღერძზე ბრუნავს მთელი გერმანული ეკონომიკა, II მსოფლიო ომიდან მოყოლებული, და უფრო ხანგრძლივ ინვესტიციებზეა გათვლილი, ვიდრე სწრაფ მოგებაზე. ე.წ. "რეინ-ალპიურ" კაპიტალიზმის ბიზნესის ორგანიზება ასევე განსხვავდება ანგლო-ამერიკული კაპიტალიზმისაგან, რამდენადაც საზოგადოებრივ პარტი-ნილორობას ირჩევს თავის საყრდენად: პროფკავშირები მართვაში მონაწილეობენ საწარმოთა საბჭოების მეშვეობით, და ამა თუ იმ დარგის ყოველ-წლიურ სახელფასო განაკვეთების დადგენაშიც ეთქმით სიტყვა. ურთიერთობების მსგავსი ფორმა სოციალური დაცვის სერიოზულ მექანიზმებს გულისხმობს და მუშებსა თუ სხვა "დამოკიდებულ" ჯგუფებს მნიშვნელოვანი სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფს. ამგვარად, ამან "აქციონერთა კაპიტალიზმის" ფორმის გაჩენას შეუწყო ხელი, რომელიც არა მარტო მუშების, არამედ საერთოდ საზოგადოების ფართო ფენების მოთხოვნილებებს ითვალისწინებს. ეს მკვეთრად განსხვავდება იმ "მწილეთა კაპიტალიზმისაგან", რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთშია გავრცელებული (ჰატონი, 1995).

სოციალური კაპიტალიზმის უპირატესობანი ამგვარად გამოვლინდა იმ "ეკონომიკურ სასწაულში", რამაც ნაომარი გერმანია 1960 წლისათვის ევროპის უმძლავრეს ეკონომიკურ სახელმწიფოდ აქცია: მყარი კაპიტალდა-ბანდებების მაღალმა დონემ, განათლებისა და პროფესიონალიზმის მნიშვნელობის გააზრებასთან ერთად, გერმანია ევროპის მეწინავე ქვეყნების რიგში ჩააყენა. თუმცა, სოციალური საბაზრო მოდელის ღირსებები მაინც არ არის საყოველთაოდ აღიარებული: მისი ერთი ნაკლი ის გახლავთ, რომ მოლა-პარაკებების, შეთანხმებებისა და აზრთა ხშირი გაზიარების მიუხედავად, მას მაინც გარკვეული სიხისტე ახასიათებს და ცვლად საბაზრო მოთხოვნილებებსაც როგორც ეგუება. სხვა ნაკლიც ისაა, რომ სოციალური დაცვის მაღალი დონე ასევე მაღალ გადასახადებსაც განაპირობებს, რითიც არა მარტო დამქირავებლები, არამედ დამქირავებულნიც ზარალდებიან. ერთის მხრივ, სოციალური ბაზრის დამცველები აცხადებენ, რომ საზოგა-დოება და ბაზარი იმთავითვე ურთიერთკავშირშიაო, კრიტიკოსები კი გაიძახიან — სოციალური კაპიტალიზმი უკვე თავისთავად ტერმი-ნოლოგიური აღრევააო. მათი აზრით, მარად მზარდი სოციალური პროგრამე-ბის დაფინანსება ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას აქვეითებს და ეკონომიკის, როგორც დოვლათის შემქნელი ფუნქციის, დასუსტებას იწვევსო.

კოლექტიური კაპიტალიზმი

კაპიტალიზმის მესამე ფორმა ყველაზე მკაფიოდ II მსოფლიო ომის შემდგომ იაპონიაში გამოვლინდა. ესაა მოდელი, რომელიც აღმოსავლეთ აზიის "ვეფხვებმა" (სამხ. კორეა, ტაივანი, სინგაპური და ა.შ.) დიდ ხალხით აიტაცეს და რომელმაც, მოგვიანებით, დიდი გავლენა იქონია კაპიტალის-ტური ელემენტების ჩასახვაზე დღევანდელ ჩინეთშიც. კოლექტიურ კაპი-

ტალიზმს ხანგრძლივ ურთიერთობებზე გათვლილ თანამშრომლობისაკენ მიდრეკილება გამოარჩევს. ამის შედეგად, ეკონომიკა იმართება არა თავისთავადი ფასწარმოქმნის მექანიზმებით, არამედ ე.წ. საზიარო ბაზრით. მაგალითად გამოდგება წარმოებასა და ფინანსებს შორის მჭიდრო კავშირი იაპონიაში: ტოკიოს საფონდო ბირჟაზე გამოტანილი აქციების 40%-ს სამრეწველო ჯგუფები ფლობენ, რომლებსაც არაერთი შვილობილი ფირმა გააჩნიათ. საზიარო მფლობელობის მთელი ქსელი სამრეწველო კონცერნებს სხვადასხვა ქვეკონტრაქტორებთან აკავშირებს და უკვე მათზე მოდის ტოკიოს ბირჟის აქციათა 30%. საკუთრების ამგვარი სტაბილური ფორმები იაპონურ ფირმებს ჭარბი კაპიტალის შექმნის შესაძლებლობას აძლევს და დროში გათვლილი ინვესტიციების მარაგს უქმნის.

თავად ფირმები იაპონური საზოგადოებრივი ყოფის ქვაკუთხედაა. თანამშრომლები (კერძოდ, კომპანიებში დასაქმებული მამაკაცები) ამა თუ იმ ფირმის "წვერებად" ითვლებიან, რაც ამერიკასა თუ სოციალური ბაზრის მომხრე ევროპაში, სრულიად წარმოუდგენელია. ერთგულების, თავდადებისა და მუყაითი შრომის სანაცვლოდ, თანამშრომლებს, როგორც წესი, სიცოცხლის ბოლომდე არ ემუქრებათ დათხოვნა, უზრუნველყოფილი არიან პენსიით, სოციალური დაცვით, და არც დასვენებასა თუ მკურნალობაზე არაფერი აქვთ სანერვიულო. იაპონიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გუნდურობასა და კოლექტიური ცნობიერების ჩამოყალიბებას, რასაც ხელს უწყობს შედარებით მცირე განსხვავება მენეჯერებისა და მუშების ხელფასებს შორის. მსგავსმა ვითარებამ იაპონურ სისტემას "ხალხურობის" სახელიც კი შესძინა. ამ ეკონომიკური კოქტეილის ბოლო შტრიხი ხელისუფლებაა — მართალია, საზოგადო ხარჯებისა და დაბეგვრის დონე, საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით, დაბალია (სადღაც, მთლიანი ეროვნული შემოსავლის 30%), სახელმწიფო დიდ როლს თამაშობს ინვესტიციების "მიმართვასა" თუ საფაქრო გადწვევტილებების მიღებაში. ამ საქმის მოთავე საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროა, რომელიც დღემდე უწევს მეთვალყურეობას ქვეყნის მთელ ეკონომიკას — ე.წ. "ინდიკატორულმ", ანუ საორიენტაციო დაგეგმვის სისტემის მეშვეობით.

მრავალი თვალსაზრისით, მეორე მსოფლიო ომამდელი იაპონიის ეკონომიკა საწარმოო კაპიტალიზმის ნიშან-თვისებებს ატარებდა — მაქსიმალურ მოგებაზეც იყო ორიენტირებული და მოკლევადიან კაპიტალდაბანდებასაც არ ერიდებოდა. თუმცა, სწორედ ომამდე ცოტა ხნით ადრე წამოწყებულია და შემდგომში აქტიურად განხორციელებულმა ეკონომიკის სრულმარესტრუქტურისაზიარო, გასაოცარი შედეგები მოიტანა. იაპონურმა "ეკონომიკურმა სასწაულმა" ისეთი სამრეწველო პოტენციალი შეუქმნა ქვეყანას, რომ ინვესტიციების ამჟამინდელი დონის შენარჩუნების შემთხვევაში, სულ მალე იაპონია ალბათ ეკონომიკურად ვველაზე განვითარებულ სახელმწიფოდ იქცევა მსოფლიოში. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, იაპონური წარმატებები ცოტა ხანში ჩინეთის სულ უფრო და უფრო მზარდმა ეკონომიკურმა მიღწევებმა დაჩრდილოს, რომლის ზრდის ტემპებმა უკვე აღმოსავლეთ აზიური "ვეფხების" რეკორდიც კი მოხსნა. და მაინც, მსგავსი წარმატებები გარკვეულ "მსხვერპლსაც" მოითხოვს: ერთიანობისა და თანამშრომლობის მიძინდველი ფასადის მიღმა, იაპონური ეკონომიკური

თავისუფალი ბაზარი
(ფრანგ. Laissez-fair, რაც სიტყვა-სიტყვით „ნებაზე მიშვებას“ ნიშნავს). სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ჩაურევლობის პრინციპი. ამ დებულების თავი და თავი ისაა, რომ ეკონომიკა უკეთ მაშინ მუშაობს, როდესაც საქმეში ხელისუფლება არ ერევა. ტნების წარმოშობა მე-18 საუკუნის ფრანგ ფიზიოკრატებს უკავშირდება — სწორედ ამ უკანასკნელებმა ისროლეს მაქსიმა "Laissez-faire est Laissez passer" (ანუ, აცალეთ ადამიანს და ნურც საქონლის თავისუფალ ბრუნვას შეუშლით ხელს). კლასიკური ეკონომიკის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორებიც დევიდ რიკარდო და ალფრედ მარშალს იყვნენ (1842-1924), აღნიშნული იდეა ადამ სმიტისაგან ისესხეს. აქ მთავარი საზრისი ისაა, რომ ბაზრის ეკონომიკა — თუკი მას გარედან არ მართავ — თავისთავად მოწესრიგდება, და ამას, როგორც წესი, "სამართლიანი კონკურენციის" თეორიით ხსნიან. ამ გაგებით, ეკონომიკაში ხელისუფლების ჩარევა მანკიერად მიიჩნევა, თუკი მხოლოდ საბაზრო კონკურენციის ხელშეწყობის ზომებით არ შემოიფარგლა; მაგ., მონოპოლიებზე კონტროლითა და სტაბილური ფასების შენარჩუნებით.

ჯონ მეინრად კეინზი (1883-1946)

ბრიტანელმა ეკონომისტმა კეინზიმ რეპუტაცია ვერსალის შეთანხმების გაკრიტიკებით მოიპოვა თავის ცნობილ ნაშრომში "მშვიდობის ეკონომიკური შედეგები" (1919). მისი უმთავრესი თხზულება — "დასაქმების, დაინტერესებისა და ფულის ზოგადი თორია" [1936], მნიშვნელოვანწილად განსხვავდება ნეოკლასიკურული ეკონომიკური თეორიებისაგან. კეინზიმ დიდი წვლილი შეიტანა იმ დისციპლინის ჩამოყალიბებაში, რომელიც ამჟამად მაკროეკონომიკის სახელითაა

ცნობილი. Laissez-faire

პრინციპებთან დაპირისპირებით, მან "მოთხოვნათა მართვის" პოლიტიკას დაუდო თეორიული საფუძველი, რაც ფართოდ გამოიყენა ბევრმა დასავლურმა ხელისუფლებამ უშუალოდ II მსოფლიო ომის შემდგომ. კეინზიანურმა თეორიებმა უდიდესი გავლენა მოახდინა თანამედროვე ლიბერალიზმსა და სოციალურ დემოკრატიაზე.

მოდელი საკმაოდ მძიმე მოთხოვნებს უყენებს დასაქმებულებსაც და მათ ოჯახებსაც. გრძელი სამუშაო დღე და შრომის მკაცრად დისციპლინირებული პირობები შეიძლება ინდივიდუალიზმის წაშლის საფრთხეს შეიცავდეს, ხოლო ადამიანის ცხოვრებაში შრომა აკვიტებულ თვითმიზნადაც კი გადაიქცეს. სხვათა შორის, ამა თუ იმ ფირმის "ერთ ოჯახად" მიჩნევა, იაპონური საზოგადოების ცნობიერებაში ვალდებულების ნეოფეოდალური განცდის სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე მეტად, სწორედ მოვალეობებს აღიარებს. კრიტიკოსები იმასაც ამბობენ, კოლექტიურ კაპიტალიზმს უდავოდ ავტორიტარიზმი ასაზრდოებსო და ამის ნათელ დადასტურებას ჩინეთის მაგალითზე ხედავენ, სადაც მზარდი კაპიტალისტური ეკონომიკა და მყარად ფესვგადგმული ერთპარტიული კომუნისტური მმართველობა გვერდიგვერდ თანაარსებობს. არადა, საბაზრო ეკონომიკისა და სტალინური პოლიტიკური კონტროლის მსგავსი ნაზავი, მაინც საოცრად ეფექტიანი გამოდგა მუდმივი ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, რასაც იაფი მუშახელის დიდი რაოდენობა და ეკონომიკის ინფრასტრუქტურაში მასიური კაპიტალდაბანდებებიც უწყობს ხელს.

მრავალჯერადობის ფენქტი:
მეკანიზმი, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერი ცვლილება ერთიან მოთხოვნაში მზარდ გავლენას ახდენს ეროვნულ შემოსავალზე და მილიანად ეკონომიკაში ფულის უფრო მეტი მასის ბრუნვას უზრუნველყოფს.

მართული თუ თვითრეგულირებადი კაპიტალიზმი?

როგორც მსოფლიოს კაპიტალისტური ქვეყნების ეს მიმოხილვაც ადასტურებს, ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი საკითხი ზუსტი ბალანსის დადგენაა პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის — შესაბამისად, სახელმწიფოსა და ბაზრის "გაწონასწორება". სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის გარეშე უკეთ მუშაობს კაპიტალისტური ეკონომიკა თუ სტაბილური ზრდისა და საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა მხოლოდ ეკონომიკური მართვის სისტემების მეშვეობითაა შესაძლებელი? რეალურად, ეს კითხვა ორი საპირისპირო ეკონომიკური სტარტუგის — *კეინზიანიზმისა და მონეტა-*

მილტონ ფრიდმენი (1912-2006)

ამერიკელი მეცნიერი, ეკონომისტი. 1948 წლიდან, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი და ე. წ. "ჩიკაგოს სკოლის" დამაარსებელი. ფრიდმენი Newsweek-ის ეკონომიკური გვერდის წამყვანი და ა.შ.შ.-ს პრეზიდენტის ერთ-ერთი მრჩეველიც იყო. 1976 წელს ნობელის პრემია მიენიჭა ეკონომიკის დარგში, მონეტარიზმისა და თავისუფალი ბაზრის აპოლოგეტი, ფრიდმანი კეინზის თეორიისა და "დაბეგვრისა და

ხარჯვის" სახელისუფლებო პოლიტიკის დაუძინებელი კრიტიკოსი გახლდათ, რითაც დიდი წვლილი შეიტანა 1970-იანი და 1980-იანი წლების ამერიკული და ბრიტანული ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების შეცვლაში. მისმა ნაშრომებმა "კაპიტალიზმი და თავისუფლება" (1962) და "არჩევანის უფლება" (1980), უდიდესი გავლენა იქონია ახალი მემორანდუმების ეკონომიკურ შეზღუდვებზე.



რიზმის შეფასებამდე დაიყვანება: თავის ნაშრომში — "დასაქმების ინტერესისა და ფულის ზოგადი თეორია" — (1936), კეინზი ეწინააღმდეგება კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის პრინციპებს და უარს ამბობს თვითრეგულირებად ბაზარზე დამყარებული, ბუნებრივი ეკონომიკური წესრიგის იდეაზე. მისი მოსაზრებით, თავისუფალი საბაზრო პოლიტიკა (იხ. გვ. 149), რამაც მკვეთრად გამოიწვია ხელისუფლება და ეკონომიკა, საბოლოო ჯამში, არასტაბილურობისა და უმუშევრობის მიზეზი გახდა და ამის ყველაზე ნათელი დადასტურება XX საუკ. 30-იანი წწ. "დიდი დეპრესია" აღმოჩნდა.

კეინზის თვალსაზრისით, კაპიტალისტური ეკონომიკის ეს კონკრეტული დაღმასვლა უმუშევრობის ზრდამ და ხელფასების შემცირებამ გამოიწვია, რამაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეამცირა მოთხოვნილება საქონელზეც და მომსახურებაზეც. იგი მკაცრად აკრიტიკებდა თავისუფალი ბაზრის ორთოდოქსულ შეზღუდვებს და ამტკიცებდა, რომ ეკონომიკური აქტივობის ხარისხი განპირობებულია "ერთიანი მოთხოვნით, ანუ მოთხოვნათა მთლიანი დონით ეკონომიკაში, რის მართვასაც ხელისუფლება დაბეგვრისა და ხარჯვის პოლიტიკის საშუალებით ახერხებს — ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდის, ანდა გადასახადების შემცირების გზით. კეინზის ვარაუდით, ამ შემთხვევაში წარმოქმნილი საბიუჯეტო დეფიციტი კრიტიკულ დონეს ვერ მიაღწევს, რამდენადაც ამ გზით მიღწეულ ეკონომიკურ ზრდას, თავის მხრივ, დაბეგვრის შედეგად ამონაგების მატება მოაქვს და ხელისუფლებას აღარ მოუწევს ხაზინიდან ფულის გამოტანა. მეტიც, ეკონომიკის ყოველი მსგავსი სტიმულირება მრავალჯერადობის ეფექტს იძლევა.

II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, კეინზიანური მართული მოთხოვნის თეორია ეკონომიკურ პოლიტიკაში რევოლუციური გარდაქმნების მიზეზი გახდა და ბევრი სახელმწიფოს ხელისუფლებას მისცა საშუალება, მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და სულ უფრო მეტი კეთილდღეობისთვის

9. ეკონომიკა და საზოგადოება



მიეღწიათ. უმრავლესობისათვის სწორედ კენზიანიზმი აღმოჩნდა XX საუკ. 50-60-იანი წწ. "დიდი ბუმის" მთავარი გასაღები. თუმცა, კენზიანიზმის სანდობა ძლიერ შეარყია XX საუკ. 70-იანი წწ. "სტაგფლაციამ" — უმუშევრობისა და ინფლაციის ერთდროულმა ზრდამ, რასაც თავად კენზი თეორიულადაც კი ვერ დაუშვებდა და ვერც ახსნას მოუძებნიდა. პოლიტიკურად, კენზიანიზმი იდეები დაბეჭვრისა და ხარჯვის იმგვარმა ტაქტიკამ გააუფასურა, რაც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მომხრეთა აზრით, აფერხებდა წარმოებას, პირად ინიციატივას ზღუდავდა და მიდმოვად მაღალი ინფლაციის გამო, ხელს უშლიდა ეკონომიკურ ზრდას. მსგავს ვითარებაში ახალი სიცოცხლე შეიძინეს უფრო ადრეულმა მონეტარისტულმა იდეებმა, განსაკუთრებით, მემარჯვენეთა შორის.

მონეტარიზმის აღმავლობა — კერძოდ, ფრიდრიჰ ფონ ჰაიეკისა და მილტონ ფრიდმენის ნაშრომების მზარდი პოპულარობა, ეკონომიკური პრიორიტეტების აშკარა გადანაცვლების ნიშანი გახლდათ — უმუშევრობის შემცირებიდან, ინფლაციის კონტროლის მიმართულებით. იმ კამპანიების შედეგად, რასაც XX საუკ 80-იან წწ. ბრიტანეთში ტეტჩერის მთავრობა, ამერიკაში კი რიგანის ადმინისტრაცია აწარმოებდა, ხელისუფლებათა უმთავრეს ეკონომიკურ პასუხისმგებლობად "მყარი ფულის" უზრუნველყოფა გამოიკვეთა. მთავრობის საქმე ეკონომიკური სისტემიდან ინფლაციის აღმოფხვრა გახდა, ხოლო ისეთი საკითხები, როგორცაა ეკონომიკური ზრდა, დასაქმება და შრომის ნაყოფიერება, ბაზრის ბუნებრივ სიცოცხლისუნარიანობას იქნა მიხდობილი. მონეტარიზმის თვალსაზრისით, ინფლაცია "ყოველთვის და ყველგან მხოლოდ და მხოლოდ ფულის ამბავია" (ფრიდმენი). მონეტარისტები გულისხმობენ, რომ ხარჯების ზრდისა და უმუშევრობის შემცირებისაკენ მიმართული კენზიანიზმი პოლიტიკა, უბრალოდ, ინფლაციას აძლიერებს, რაკი ხელისუფლებას მეტი და მეტი ფულის "მოჭრას" აიძულებს. შესაბამისად, გამოსავალი *მოთხოვნის* პოლიტიკიდან *მიწოდების* პოლიტიკისკენ გადახრაა, რამდენადაც პირველი მომხმარებელს მეტის მოხმარებისკენ, მეორე კი მწარმოებელს მეტის წარმოებისკენ უბიძგებს. მონეტარისტებისთვის მსგავსი გამოსავალი ეკონომიკის მართვაზე უთუოდ უარის თქმასა და გადასახადების შემცირებას ნიშნავს.

მონეტარიზმი:

თორია, რომლის თანახმად, ინფლაციის მიზეზი ფულადი ემისია ხდება, ანუ — "ზედმეტი ფული ცოტას ვიდულობს".

სოციალური კაპიტალი:

ის კულტურული და მორალური რესურსი, რაც საფუძვლად ედება საზოგადოებრივ თანხმობას, პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ კეთილ-დღეობას ედება საფუძვლად

თუმცა, ფართო გაგებით, თანამედროვე ეკონომიკა უკვე გაცდა როგორც კენზიანიზმის, ისე მონეტარიზმის გამარტოებულ გაგებას და ბევრად უფრო რთული ეკონომიკური სტრატეგიები — შეიძლება ითქვას, "ახალმა პოლიტიკური ეკონომიკა — შეიმუშავა. სხვა თუ არაფერი, მონეტარიზმმა მოახერხა კენზის მიმდევრები დაერწმუნებინა, თუ რამდენად დიდ როლს თამაშობს ეკონომიკაში ინფლაცია და *მიწოდების ფეროშენი*. კენზიანიზმმა ვერც ეკონომიკური გლობალიზაციის გამოცდას გაუძლო, რამდენადაც XX საუკ. 50-60-იანი წწ. ეკონომიკური მართვის სტილი ცალკეული ეროვნული ეკონომიკების არსებობას ეყარებოდა. მეორეს მხრივ, ვერც არარეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის იდეების პირველადი სახით შენარჩუნება მოხერხდა, იმიტომ რომ ამ ტიპის ეკონომიკას ახასიათებს ინვესტიციების დაბალი დონე, მიკლევადიან პერსპექტივებზე გათვლა და საზოგადოების გახლეჩა თუ კრიზისები. როგორც ფრენსის ფუკუიამამ შენიშნა, ნებისმიერი სახით ქონების დაგროვება დამოკიდებულია **საზოგა-**

დღებზე კაპიტალზე, რაც თავის მხრივ ნდობის გამოხატულებაა და არა ურალოდ, განუპიროვნებელი საბაზრო ძალებისა. შესაბამისად, გაჩნდა "ხალხი კვინზიანიზმში, რომელიც უარს ამბობს ეკონომიკის ვერტიკალურ მართვაზე, მაგრამ იმასაც აცნობიერებს, რომ შიშველ საბაზრო ურთიერთობების განვითარებას გარკვეული დაუცველობა, უთანასწორობა და ცოდნის განსხვავებული დონეც ბორკავს.

სოციალიზმის ნაირსახეობანი

დამედროვე სოციალისტები უკვე მზად არიან აღიარონ, რომ დოვლათის დეტალების ერთადერთი საიმედო საშუალება კაპიტალიზმია. შედეგად, ისინი უკვე კაპიტალიზმის არა მოსპობას, არამედ მის რეფორმირებას, თუ გნებავთ, "გადამიანურებას" ისახავენ მიზნად; ამას კი ბუნებრივად მოჰყვება ზოლმე კვინზიანიზმისა და სოციალურ-საბაზრო იდეებისაკენ გადახრა. ტრადიციულად, ისინი კაპიტალისტური საბაზრო ურთიერთობების ალტერნატივის შექმნას ცდილობენ და სოციალიზმსაც კაპიტალიზმისაგან ხარისხობრივად განსხვავებულ ეკონომიკურ ფორმაციად მიიჩნევენ. მსგავსი მცდელობები იმ მიზნად ემყარება, რომ სოციალიზმი გაცილებით უკეთესია, ვიდრე კაპიტალიზმი — როგორც ზნეობრივი, ისე წარმოების ეფექტიანობის მხრივ. სოციალიზმის თეორეტიკოსებს ყოველთვის აინტერესებდათ ეკონომიკური მოდელები — სენ-სიმონი, მაგალითად, "ტექნოკრატიულ ინდუსტრიალიზმში" დაკაპარაკობდა, კროპოტკინი კი — ეკონომიკის დეცენტრალიზებულ თვითმმართველობაზე. თუმცა, ყველაზე მყარი მოდელის შექმნა მაინც მარქსისტულ ტრადიციას უკავშირდება. ოღონდ ეგაა — ნებისმიერ სოციალისტურ მოდელს ერთი თვისება გამორჩევეს: საბაზრო მექანიზმი უცილობლად ეკონომიკური დაგეგმარების ამა თუ იმ ფორმით უნდა შეიცვალოს.

სამწუხაროდ, მარქსმა არ დაგვიტოვა მომავლის სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური ორგანიზების კონკრეტული ნიმუში და მხოლოდ რამდენიმე ძირეული პრინციპის ჩამოთვლით შემოიფარგლა. თუმცა კი აწინასწარმეტყველა, რომ კერძო საკუთრებას კოლექტიური მფლობელობის სისტემა შეცვლიდა, ეკონომიკაც უპირატესად საზოგადოების მატერიალური მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მოემსახურებოდა და არა "წოდვისშემძლე" ბაზარს. მიუხედავად იმისა, რომ მმართველობაში ხალხის მონაწილეობას უჭერდა მხარს და, ამავე დროს, კომუნისმის სრული გამარჯვების შემდეგ, სახელმწიფოს "გაქრობასაც" ქადაგებდა, მარქსი მაინც ემიჯნებოდა სახელმწიფო კოლექტივიზაციასა და ცენტრალური დაგეგმვის იმგვარ გამოვლინებებს, რაც XX საუკ. საბჭოურ ეკონომიკებს ახასიათებდათ.

დროთა განმავლობაში სოციალისტური ეკონომიკის ორი, საკმაოდ განსხვავებული მოდელი ჩამოყალიბდა:

† სახელმწიფო სოციალიზმი

† საბაზრო სოციალიზმი

დაგეგმა

ესაა ეკონომიკის იმგვარი ორგანიზება, როცა დასახული ამოცანების შესაბამისად, რესურსების მიზანმიმართული განაწილება ხდება და წარმოება, გასაღება და ვაჭრობაც ან ნაწილობრივ, ან მთლიანად წინასწარგანსაზღვრულია. რეალურად, დაგეგმვის სხვადასხვა სისტემა ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. სახელმწიფო სოციალიზმის რეჟიმების პირობებში, ზემოდან პირდაპირი დაგეგმვის სისტემა მოქმედებს, რომელიც მთელ სამრეწველო პოტენციალს აერთიანებს და ცენტრალიზებულად იმართება პარტიულ-სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ; ე.წ. ინდიკატორული დაგეგმა კი კაპიტალისტურ საფრანგეთში, ჰოლანდიასა და იაპონიაში არსებობდა, სადაც ეკონომიკა სწორედ რომ ეკონომიკური ბერკეტებით იმართებოდა და არა სახელმწიფო დირექტივების მეშვეობით.

დაგეგმვას შემდეგი უპირატესობები გააჩნია:

- < ამ დროს ეკონომიკა ადამიანის "ხელთაა" და ბაზრის განუპიროვნებელ და ზოგჯერ, ჭირვეულ გუნება-განწყობაზე ნაკლებადაა დამოკიდებული.
- < მისთვის უმთავრესი ადამიანთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაა და არა პირადი მოგების მაქსიმალური ზრდა.
- < ბაზართან შედარებით, იგი მეტადაა დაცული რყევებისა და კრიზისებისაგან.
- < დაგეგმვას მატერიალური თანასწორობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა შეუძლია.

თუმცა, მოწინააღმდეგეები მიუთითებენ, რომ:

- < თანამედროვე ინდუსტრიალიზებული ეკონომიკის სირთულეებს დაგეგმა თავს ვერ ართმევს.
- < შეგნებულად თუ შეუგნებლად, იგი ავტორიტარულია, რადგან ეკონომიკის ცენტრალიზებულ მართვას გულისხმობს.
- < ზედაფენის აზრს სავალდებულოდ აქცევს მასისათვის და მომხმარებელთა მოთხოვნილებებს უგულვებელყოფს.
- < ვერ ახერხებს წარმოების წახალისებას და ბიუროკრატიული უძრავობისკენ მიდრეკილება ახასიათებს.

სახელმწიფო სოციალიზმი

1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის შემდგომ, საბჭოთა კავშირი იყო ის ქვეყანა, რომელიც ეკონომიკური ორგანიზების გამოკვეთილად სოციალისტურ მოდელს იყენებდა. თუმცა, ეს მოდელი საბოლოო სახით მხოლოდ XX საუკ. 30-იანი წწ. სტალინისეული ე.წ. "მეორე რევოლუციის" შემდეგ ჩამოყალიბდა, როცა საბაზრო პრინციპებთან დაზავებული ლენინის ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (NEP) საბოლოოდ აღმოიფხვრა. სტალინისეულ

ვარიანტი შემდგომში აღმოსავლეთ ევროპაშიც იქნა ექსპორტირებული და მთელ ორთოდოქსულ კომუნიზმის სამყაროში ბატონობდა II მსოფლიო ომის შემდგომ — ე.წ. "ეკონომიკური სტალინიზმის" სახით. ეს სისტემა სახელმწიფოს სრულ კოლექტივიზაციას ემყარებოდა და პარტიულ-სახელმწიფო აპარატის კონტროლისადმი ეკონომიკური რესურსების სრულ დაქვემდებარებას გულისხმობდა.

1989-91 წწ. სახელმწიფო სოციალიზმის აშკარა კრახმა ნათლად გამოავლინა ცენტრალური დაგეგმვის თანდაყოლილი მანკიერებანი და საერთოდ, ამგვარი დაგეგმვის იდეაც კი ეჭვის ქვეშ დააყენა. თუმცა, არ შეიძლება ბოლომდე დავივიწყოთ საბჭოური დაგეგმვის შედეგად მიღწეული წარმატებებიც: ასე მაგალითად, სწორედ მისი წყალობით მიაღწია **სსრკ-მ** მძიმე მრეწველობის განვითარებას, რამაც II მსოფლიო ომში ქვეყნის წარმატება განაპირობა. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმარებამ საზოგადოება დასავლური ტიპის სამომხმარებლო სიკეთეებით ვერ უზრუნველყო, მისი მეშვეობით საბჭოთა კავშირსა და მთელს აღმოსავლეთ ევროპაში მაინც მოისპო უბინობა და სრული სიღატაკე — რაც დღემდე რჩება ბევრი კაპიტალისტური სახელმწიფოს მოუგვარებელ საზრუნავად. ქრონიკული ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიუხედავად, კუბაში მაგალითად, წერაკითხვის მცოდნეთა რიცხვმა 98% გადააჭარბა და პირველადი სამედიცინო დახმარების სისტემა ბევრ დასავლურ ქვეყანას არაფრით ჩამოუვარდება.

და მაინც, ცენტრალიზებული დაგეგმვის უბედურებაც ის იყო, რომ თუმცა საბჭოთა მშრომელები სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფილნი კი იყვნენ, მაგრამ დიდი უმრავლესობას საქმე მაინც არ ჰქონდა. საბოლოოდ, ცენტრალურმა დაგეგმარებამ საზოგადოების ახალი ფენა წარმოშვა, რომელიც პოლიტიკურ ან ბიუროკრატიულ ზედა ემელონებს განეკუთვნებოდა. მილოვან ჯილასის (1957) თქმით, ეს "ახალი კლასი" იმგვარივე პრივილეგიებით სარგებლობდა და ისეთსავე პოზიციებს იკავებდა, რასაც კაპიტალისტები დასავლეთში. საყოველთაო აზრით, საბჭოთა გეგმიურობამ, ფაქტიურად, **სახელმწიფო კაპიტალიზმი** შვა.

საბაზრო სოციალიზმი

როგორც მოუქნელი ცენტრალიზებული საბჭოური მოდელის ალტერნატივა, გაჩნდა მისი საბაზრო კონკურენციასთან "მეჯვარების" სურვილიც. ამგვარი რამ მოხერხდა იუგოსლავიაში, პრეზიდენტ ტიტოსა და სტალინის 1949 წლის განხეთქილების შემდგომ და უნგრეთშიც, მას შერე რაც 1956 წ. საბჭოთა კავშირმა სისხლში ჩააღრჩო პოლიტიკური ჯანყი. მსგავსი იდეები გაჩნდა თავად საბჭოთა კავშირშიც, როდესაც მიხეილ გორბაჩოვმა, 1985-1990 წწ. "პერესტროიკის" (ე.წ. გარდაქმნის) და ეკონომიკური რესტრუქტურისაციის იდეები წამოაყენა. "გარდაქმნის" ეს პროგრამა თვალაპირველად გულისხმობდა კოოპერატივებისა და ინდივიდუალური მეწარმეობის ხელშეწყობას

სახელმწიფო

კაპიტალიზმი:

სახელმწიფო საკუთრების სისტემა, როცა ეკონომიკური ძალაუფლებით პარტიულ-სახელისუფლებო ზედაფენის ხელში მოქცევილ, კაპიტალისტური კლასობრივი წყობის მახინჯი ანალოგი იქმნება.

ცენტრალურიზებული დაგეგმვის სისტემის დანამატის სახით, თუმცა, საბოლოოდ, მან საბჭოურ წარმოებებს ნება დართო, დაგეგმვის სისტემას საერთოდ გამოყოფოდნენ და თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების გზას გაუყენეს.

საბაზრო სოციალიზმის მიმზიდველობა ისაა, რომ ცენტრალური დაგეგმვის ბევრი სერიოზული დეფექტის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. საბაზრო გარემო არა მარტო მომხმარებლის ინტერესებს ემსახურება, არამედ ბიუროკრატიულ ბარიერებსაც ასუსტებს. თუმცა, ვერც იმას ვიტყვით, რომ სოციალისტური ბაზარი ბოლომდე ამბობდეს უარს დაგეგმვასა და "ზემოდან" მართვაზე; სხვათა შორის, დიდი იმედების მიუხედავად, ვერც იუგოსლავიამ და უნგრეთმა შექმნეს საბჭოური ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემაზე უფრო წარმატებული თუ გამძლე რაიმე მოდელი. საბაზრო სოციალიზმის ერთი უმთავრესი სისუსტეც ისაა, რომ ეკონომიკური თვითმმართველობა საბაზრო დისციპლინასთან შეუთავსებელია.

კრიტიკოსთა აზრით, მხოლოდ იერარქიულად მოწყობილ კერძო ბიზნესს ძალუძს სასურველი შედეგის მოტანა, რამდენადაც მხოლოდ იგი პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს და ნებისმიერ სხვა მიზანთან შედარებით მაქსიმალურ მოგებას ანიჭებს უპირატესობას.

არსებობს თუ არა ეკონომიკური "მესამე გზა"?

ეკონომიკური "მესამე გზის", როგორც კაპიტალიზმის, ასევე სოციალიზმის ალტერნატივის იდეა, მომხიბვლელი იყო ბევრი სხვადასხვა წარმომავლობის პოლიტიკური მოაზროვნისათვის. ასე მაგალითად, ამ თემას ვიუტად უტრიალებდა ფაშისტური იდეოლოგია. ამას გულისხმობდა მუსოლინი, როცა კორპორატიზმის დანერგვას ცდილობდა; მოგვიანებით კი — მოზლი ინგლისსა და პერონი — არგენტინაში. ფაშისტური კორპორატიზმი, მისი ლიბერალური ვარიანტისაგან განსხვავებით, გულისხმობს რომ ბიზნესი და შრომა ერთი ბუნებრივი, გნებავთ, სულიერი მთლიანობაა. ოღონდ სინამდვილეში, იტალიური კორპორატიზმი იმ იარაღად იქცა, რითაც ფაშისტურმა სახელმწიფომ დამოუკიდებელი პროფკავშირები გაანადგურა და შეეცადა საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია ქვეყნის უმთავრესი ბიზნეს-ინტერესები. საკმაოდ განსხვავებული, კენზიანური სოციალ-დემოკრატიის ტიპის "მესამე გზა" წარმატებულად გამოინახა II მსოფლიო ომის შემდგომ შედეგებში. შედეგური ეკონომიკური მოდელი როგორც სოციალიზმის, ასევე კაპიტალიზმის ელემენტების შერწყმას ცდილობდა: წარმოების საშუალებები ძირითადად, კერძო საკუთრებას წარმოადგენდა, თუმცა სოციალური დაცვის უპრეცედენტო სისტემისა და მსოფლიოში ყელაზე მაღალი გადასახადების მეშვეობით, აქ სოციალური სამართლიანობის მაღალი დონეც უზრუნველყვეს. ამ თვალსაზრისით, სოციალ-დემოკრატიული "მესამე გზა" სოციალური კაპიტალიზმის მემარცხენე ვარიანტადაც შეიძლება განვიხილოდ, თუმცა როგორც სოციალური ბაზრის მოდელის შემთხვევაში, აქაც ჩნდება კითხვები — რამდენად მოხერხდება სოციალური დაცვის ასეთი მაღალი დონის შენარჩუნება მზარდი გლობალური კონკურენტული ეკონომიკის

ე. ფ. შუმახერი (1911-77)

გერმანიაში დაბადებული ბრიტანელი ეკონომისტი და ენვირონ-მენტალიზმის თეორეტიკოსი. "ფრიტ შუმახერი ბრიტანეთში 1930 წელს გადასახლდა და ოქსფორდში გააგრძელა სწავლა. სამეცნიერო მოღვაწეობამდე მან ბიზნესმენის, ფერმერისა და ჟურნალისტის გზა გაიარა. შუმახერი "ბრიტანეთის კონტროლის კომისიისა" (1946-50) და "ქვანახშირის მოპოვების ბრიტანული საბჭოს" (1950-70) ეკონომიკური მრჩეველი იყო. მისი ფუძემდებლური ნაშრომი "სიმ-

ცირის მშენიერება:

ეკონომიკის, როგორც ვითომდა ხალხზე ზრუნვის შესწავლისათვის" (1973) ზოგადსაკაცობრიო მასშტაბის, ადამიანთა მოთხოვნებს მორგებულ, ე.წ. "ბუდისტური ეკონომიკის ფილოსოფიას" გვთავაზობს, რომელშიც ზნეობრიობისა და "სწორად ცხოვრების" პრინციპებია ხაზგასმული. მოგვიანებით, საკუთარი იდეების გასავრცელებლად, შუმახერმა "ტექნოლოგიის განვითარების საშუაშაველო ცენტრიც" კი დააფუძნა.



პირობებში. საფრთხე თავად შვედეთშიც იგრძნეს და XX საუკ. 80-90-იან წწ. საერთაშორისო კონკურენციის წნების გავლენით, თანდათანობით უარი თქვეს საყოველთაო კეთილდღეობის პრიორიტეტულ ტენდენციებზე. ეკონომიკური ორგანიზებისადმი სრულიად განსხვავებული მიდგომა გარემოს დამცველთა თეორიებშია საძიებელი. მათი აზრით, კაპიტალიზმშიცა და სოციალიზმშიც ერთი და იგივე, "სუპერ-იდეოლოგიის", ინდუსტრიალიზმის გამოვლინებაა. სხვა სიტყვებით, ორივე ეს ალტერნატიული გზა თანაბრად ანადგურებს ბუნებას კაცობრიობის მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. "მწვანეებ" — ალტერნატივის სახით — იმგვარ ეკონომიკურ პრიორიტეტებს გვთავაზობენ, რაც პლანეტის გადარჩენას და მასზე სიცოცხლის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. მათი აზრით, გარე სამყაროს ნგრევა-დაბინძურებაში ერთნაირად მიუძღვით წვლილი როგორც მოგებას გამოკიდებულ კაპიტალიზმს, ასევე სოციალისტურ რეჟიმებსაც. გარე სამყაროს გადარჩენის პრინციპის თანახმად, საკუთრების ფლობისა თუ მართვის საკითხები მეორადია, უმთავრესი კი კაცობრიობისა და სამყაროს ურთიერთობაა: ეკონომიკაზე წინ ეკოლოგია უნდა დაფუძნდეს, ხოლო მატერიალიზმზე წინ — ზნეობა. სწორედ ამას უწოდებს ე.ფ. შუმახერი "ბუდისტურ ეკონომიკას".

საზოგადოების სტრუქტურა და დაყოფა

პოლიტიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება მუდამ მჭიდროდაა გადახლართული. პოლიტიკა, თავისი არსით, საზოგადოებრივი საქმიანობაა და ბევრი მას უბრალოდ იმ პროცესად მიიჩნევს, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებრივი დაპირისპირებები ვლინდება და ზოგჯერ, გვარდება კიდევც. ამ თვალსაზრისით, საზოგადოება უკვე არა მხოლოდ "კონტექსტია", არამედ თავად პოლიტიკის ძირისძირი. თუმცა, ცნებები "საზოგადოებრივ" და "პოლი-

ინდუსტრიალიზაცია:

ეკონომიური თეორია ან პრაქტიკა, რომელიც სრულმასშტაბიან ქარხნულ წარმოებასა და კაპიტალის უსასრულო დაგროვებას ეფუძნება.

ინდივიდუალიზმი, კოლექტივიზმი

ინდივიდუალიზმი პიროვნების უპირატესობის რწმენაა ნებისმიერ სოციალურ ჯგუფთან თუ კოლექტიურ ორგანიზაციისთან შედარებით, და გულისხმობს რომ ყოველი პილიტიკური თეორიისა თუ სოციალური განმარტების თავი და თავი — კერძო პიროვნებაა. ეს თვალსაზრისი ისტორიულად კლასიკურ ლიბერალიზმს, დღესდღეობით კი ახალ მემარჯვენეობას ახასიათებს. ამგვარად, ნებისმიერ საზოგადოებაზე საუბრისას, ყოველთვის მის შემადგენელ პიროვნებებს უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება; უხეშად რომ ვთქვათ, "საერთოდ არ არსებობს ისეთი რამ, როგორცაა საზოგადოება" (მარგრიტ ტეტჩერი). როგორც წესი, მსგავსი შეხედულება იმ რწმენითაცაა გამაგრებული, რომ ადამიანებს ბუნებრივად ახასიათებთ კერძო ინტერესი და ისინი მეტწილად მხოლოდ საკუთარი თავის იმედად არიან — ნიჭისა და უნარის თვალსაზრისით, მათ საზოგადოებისა არაფერი მართებთ.

კოლექტივიზმი ყურადღებას ერთობლივი ქმედებებისაკენ ადამიანთა მიდრეკილებაზე ამახვილებს — მათ სურვილზე არა ცალ-ცალკე, არამედ ერთობლივად მიაღწიონ დასახულ მიზანს. კოლექტივიზმი იმ რწმენიდან მომდინარეობს, რომ ადამიანის ბუნებას საზოგადოებრივი გაერთიანებისკენ ლტოლვა გამოარჩევს და ნებისმიერი ჯგუფი (თავად "საზოგადოების" ჩათვლით) ანგარიშგასაწევი პოლიტიკური მთლიანობაა. ასეთი გაგება მოჩანს როგორც სოციალისტების მიერ აქცენტირებულ კლასობრივ ანალიზში, ასევე ფემინისტებისეულ გენდერულ კატეგორიებად დაყოფაშიც. იგი უცხო არაა არც ნაციონალისტური და არც რასისტული მოძღვრებებისათვის. ზოგჯერ კოლექტივიზმს სტეიტიზმთანაც აკავშირებენ, თუმცა ეს კავშირი არანაირად არ შეიძლება გადამწვევტად მივიჩნიოთ.

ტიკურში — ურთდაკავშირებულ, მაგრამ მაინც განსხვავებულ სფეროებს აღნიშნავს. რას ვგულისხმობთ საზოგადოებაში? ყველაზე ფართო გაგებით საზოგადოება ერთ ტერიტორიულ არეალში მცხოვრები ხალხის კრებულაა; თუმცა, ადამიანთა ყველა ჯგუფი როდესაც ქმნის საზოგადოებას — ეს სოციალური ურთიერთქმედების მუდმივი მახასიათებელია და საზოგადოებრივი სტრუქტურის გარკვეულ ფორმებს მოიცავს. უფრო მეტიც, "საზოგადოებრივ" ურთიერთობები ურთიერთნდობას და თანამშრომლობის გარკვეულ ხარისხს მოითხოვს. ასე მაგალითად, ერთმანეთთან მეომარი ტომები საზოგადოებას ვერ ქმნიან — მიუხედავად იმისა, რომ გვერდიგვერდ სახლობენ და მუდმივად "ეჯახებიან" ერთმანეთს. საზოგადოებებს სოციალური დაყოფაც ახასიათებს და ამ დაყოფის შედეგად, არათანაბარი სტატუსის, ქონების, თუ ძალაუფლების მატარებელი ჯგუფები და ინდივიდები საზოგადოებაში განსხვავებულ პოზიციას იკავებენ. ამგვარი დაყოფისა თუ გახლეჩის ხარისხი, ისევე როგორც ამა თუ იმ კლასობრივი, რასობრივი, სქესობრივი, ასაკობრივი რელიგიური თუ სხვა რამ ჯგუფის მნიშვნელობა სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვაგვარია.

სოციალური კლასი

ფართო გაგებით, კლასი — მსგავსი საზოგადოებრივი და ეკონომიკური მდგომარეობით გავრთიანებულ ადამიანთა ჯგუფია. მარქსისტები კლასის ცნებას ეკონომიკურ ძალაუფლებას — ანუ, პიროვნების წარმოების საშუალებებთან მიმართებას უკავშირებენ. ამ თვალსაზრისით, კლასობრივი დაყოფა, ესაა დაყოფა "კაპიტალსა" და "შრომას" შორის — შესაკუთრე ბურჟუაზიასა და საკუთარი შრომის გაყიდვით თავის გამძღან პროლეტარიატს შორის. კლასის ნეომარქსისტული განმარტება, ჩვეულებრივ, დასაქმებულ ადამიანთა შემოსავლისა და სტატუსის განსხვავებას ეფუძნება. ამის მაგალითი საშუალო კლასისა ("თეთრსაყვლოიანებმ") და მუშათა კლასის ("ლუჯსაყვლოიანებმ") — იგივე გონებრივად და ფიზიკურად მშრომელების — გამოჯვნაა. საბაზრო ურთიერთობებით გაჩენილი, უფრო გართულებული დაყოფა ერთმანეთისაგან ანსხვავებს სპეციალისტებს (ა), მენეჯერებს (ბ), სამღვდელოებას (გ-1) მუშა-ოსტატებს (გ-2), ქვეოსტატებსა და შავ მუშებს (დ) და მათ, ვისაც სამსახური არ გააჩნიათ, ან საერთოდ არ შეუძლიათ მუშაობა (ე).

ყველა შემთხვევაში, საზოგადოება რამდენიმე ნიშნით ახდენს გავლენას პოლიტიკაზე:

- † დოლათისა და სხვა რესურსების განაწილება განაპირობებს სახელმწიფო ძალაუფლების ხასიათს.
- † საზოგადოება ზეგავლენას ახდენს ადამიანთა შეხედულებებზე და ზოგადად პოლიტიკურ კულტურაზე.
- † საზოგადოებრივი დაყოფა და შიდა დაპირისპირება განაპირობებს პოლიტიკურ ცვლილებებს რეფორმებისა თუ რევოლუციების სახით.
- † საზოგადოებრივი სტრუქტურა მოქმედებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, ანუ იმაზე, ვინ და როგორ აძლევს ხმას, ვინ რომელ პარტიაში ერთიანდება და ა.შ.

ოღონდ, საზოგადოების ბუნება პოლიტიკური და იდეოლოგიური დებატების ერთ-ერთი ურთულესი სფეროა, რამდენადაც ეს თუმა არანაკლებ წინააღმდეგობრივია, ვინემ თავად ადამიანის ბუნების შეცნობის მცდელობა. ასე მაგალითად, თუკი მარქსისტები და არამარტო ისინი, საზოგადოების დამახასიათებელ თვისებად გადაუჭრელ კონფლიქტს მიიჩნევენ, ლიბერალები მუდმივად ამტკიცებენ, რომ თვით მეტოქე ინტერეს-ჯგუფებსაც კი შეუძლიათ ჰარმონიული თანაარსებობა. სწორედ ასევე, ლიბერალები საზოგადოებას ინდივიდთა მიერ მათი სხვადასხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად — ანუ საგანგებოდ, მიზანმიმართულად შექმნილ ფენომენად მიიჩნევენ; კონსერვატორები კი, ტრადიციულად, მას ბუნებრივ, სწორედაც რომ ორგანულ მთლიანობად აღიქვამენ. და მაინც, ყველაზე გაცხოველებული კამათი იმის თაობაზეა, რა ურთიერთობა არსებობს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის და საერთოდ, თუ არსებობს ბუნებაში იმგვარი მთლიანობა, რასაც ჩვენ "საზოგადოებად" მოვიხარებთ. მოკლედ, ამ საკითხის მთავარი წინააღმდეგობა საზოგადოებაზე ორგვარი თვალსაზრისისა: ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური.

კლასობრივი პოლიტიკის აღმავლობა და დაცემა

კლასობრივი პოლიტიკის თეორიის მთავარი დამცველები იმ მარქსისტულ ტრადიციის მიმდევრები არიან, ვინც კლასს ძირეულ, პოლიტიკურად ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საზოგადოებრივ დანაყოფად მიიჩნევს. როგორც მარქსი თავის "კომუნისტური მანიფესტის" შესავალში წერდა, ნებისმიერი არსებული საზოგადოების ისტორია — კლასობრივი ბრძოლის ისტორიაა. ამ გამონათქვამიდან ნათლად ჩანს რომ მარქსი პოლიტიკას, ისევე როგორც კანონმდებლობას, კულტურას, ხელოვნებასა და რელიგიას, ეკონომიკური ბაზისით განსაზღვრული თუ განპირობებული ზედნაშენის შემადგენელ ნაწილად სახავდა. უხეშად რომ ვთქვათ, მისთვის პოლიტიკური პროცესი უბრალოდ, კლასობრივი დამაბულობისა და დაპირისპირების გამოხატულებაა, რასაც თავის მხრივ, კერძო საკუთრების ინსტიტუტი განპირობებს.

ამ თვალსაზრისით, კაპიტალისტურ სისტემაში მესაკუთრეთა მმართველი კლასი (ბურჟუაზია) ჩაგრავს და ბატონობს დაქირავებული მუშახელის კლასსზე (პროლეტარიატზე). ამ შეხედულებიდან მომდინარეობს ინდუსტრიული კაპიტალიზმის ორკლასიანი მოდელი, რომლისთვისაც უმთავრესი მახასიათებელი — კონფლიქტი და მზარდი პოლარიზაციაა. მარქსის შეხედულებით, პოლიტიკურ სცენაზე მთავარი მოქმედი პირები სწორედ კლასებია და მათ ისტორიის შექმნის უნარიც გააჩნიათ. მისი მტკიცებით, პროლეტარიატი "კაპიტალიზმის მესაფლავის" ფუნქციით იყო აღჭურვილი და ამ ფუნქციას მაშინ ადასრულებდა, როდესაც "კლასობრივ თვითშეგნებას" შეიძენდა — ანუ საკუთარ კლასობრივ ინტერესებს გააცნობიერებდა და ჩაგრულ მდგომარეობასაც თავს დააღწევდა. აქედან გამომდინარე, პროლეტარიატი როგორც "თავისთავადი კლასი" (ეკონომიკური კატეგორია) გარდაიქმნებოდა "სათავისო კლასად" (რეოლუციურ ძალად). მარქსის რწმენით, სწორედ ეს იქნებოდა კაპიტალიზმის გაღრმავებული კრიზისისა და მუშათა კლასის სულ უფრო მზარდი გადატაკების საბოლოო შედეგი.

თუმცა, მარქსის წინასწარმეტყველებას საფუძვლიანად შეუყენა წყალი კლასთაშორისი ბრძოლის არარსებობამ ჩვენს დროში. უკვე XIX საუკ. ბოლოსთვის ნათელი გახდა, რომ ინდუსტრიული საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა სულ უფრო რთულდებოდა და დროთა განმავლობაში, განსხვავებულ ფორმებსაც იძენდა. მაქს ვებერი პირველი იყო, ვინაც ეს ტენდენცია შეამჩნია და მრავალშრიანობის თეორიაც წამოაყენა. ვებერი ეკონომიკურ თუ კლასობრივ განსხვავებას კი აღიარებდა, მაგრამ ასევე, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი სტატუსის მნიშვნელობასაც ითვალისწინებდა. მან სტატუსს, როგორც ამა თუ იმ ჯგუფის ცხოვრების სტილში გამოხატულ "ღირსების სოციალურ გაემოვლინებას", განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და დასაქმებულთა კლასის ცნება შემოიტანა, რასაც დღეს ფართოდ იყენებენ სოციალური თუ პოლიტიკური საკითხების მკვლევარები. უხეში, ორკლასიანი მოდელის დახვეწას თანამედროვე მარქსისტებიც შეეცადნენ: თუმცა მათ საკუთრების მფლობელობის მნიშვნელობა არ უარუყვიათ, მაგრამ ისიც აღიარეს, რომ გაჩნდა მენეჯერთა და ტექნიკოსთა გარკვეული "გარდამავალი" კლასი, და რომ აგრეთვე არსებობს შიდა დაყოფაც

ჯონ კენეთ გელბრაითი (1908 - 2006)



კანადელი ეკონომისტი და სოციალურ მეცნიერებათა თეორეტიკოსი, ეკონომიკის პროფესორი ჰარვარდის უნივერსიტეტში. 1961-63 წწ. გელბრაითის ა.შ.შ.-ს ელჩის თანამდებობა ეკავა ინდოეთში. ითვლება კეინზიანური ეკონომიკის ერთ-ერთ უთვალსაზიროეს მიმდევრად და **სოციალური** თეორიების ყველაზე გამოჩენილ ინტერპრეტატორად მიიღეს შერეულ შტატებში. მის უდიდეს ნაშრომთა შორისაა: "დოვლათიანი საზოგადოება" (1958), "ახალი ინდუსტრიული სახელმწიფო" (1967), "დაკმაყოფილების კულტურა" (1992). "დოვლათიანი საზოგადოებაში" გელბრაითი პირად

დოვლათსა და საზოგადოების ზნეობრივ სიდუხჭირეს შორის არსებულ წინააღმდეგობას გამოკვებს და ამტკიცებს, რომ ეკონომიკური რესურსები ხშირად უაზრო, ყოველდღიურ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად გამოიყენება. "ახალი ინდუსტრიული საზოგადოება" კი, ძირითადად, ამერიკის კორპორატიული ძალაუფლების კრიტიკაა.

— თავად ბურჟუაზიისა თუ პროლეტარიატის რიგებში. ასე მაგალითად, დაპირისპირებაა ფინანსურსა და ინდუსტრიულ კაპიტალს, დიდ ბიზნესსა და მცირე მეწარმეთა შორის, აგრეთვე იმ მუშებს, ვისაც სხვებზე მეთვალყურეობა ევალებათ და მათთადაც დაქვემდებარებულ კოლეგებს შორისაც.

ზოგიერთისათვის, XX საუკ. მიწურული კლასობრივი პოლიტიკის საბოლოო მოსაზრებით აღინიშნა. ამ საუკუნის 60-იან წწ. ჰერბერტ მარკუზეს მსგავსი ნეომარქსისტები ქალაქის პროლეტარიატის დერადიკალიზაციაზე წუწუნებდნენ, და რევოლუციურ პოტენციალს უფრო სტუდენტობაში, ქალებში, ეთნიკურ უმცირესობებში და "მესამე სამყაროს" მოსახლეობაში ეძიებდნენ. ტრადიციული კავშირი სოციალიზმსა და მუშათა კლასს შორის, ფაქტიურად, უარყოფილ იქნა იმ ტიპის ნაშრომებში, როგორცაა ვოქვათ, ანდრე გორცის "მშვიდობით, მუშათა კლასო!" (1982). იმავე პერიოდში, საარჩევნო პროცესებზე დაკვირვებამ კლასობრივი განმჭიდროების ტენდენცია გამოავლინა, კავშირის შესუსტება საზოგადოებრივ კლასსა და პარტიულ მხარდაჭერას შორის. აღმოჩნდა, რომ ზმის მიცემა სულ უფრო და უფრო მეტად გადაიქცა კერძო ინტერესების საქმედ, და პიროვნებისთვის მთავარი მატერიალური მიზანშეწონილობა გახდა და არა კლასობრივი სოლიდარობის განცდა.

ბევრი ანალიტიკოსის აზრით, კლასის პოლიტიკური მნიშვნელობის შესუსტება დეინდუსტრიალიზაციის ფენომენმა და "განათლებული ეკონომიკის", ანუ ინფორმაციული საზოგადოების გაჩენამ განაპირობა. **დეინდუსტრიალიზაცია** იმ ტრადიციულ, შრომატევად დარგებში მუშახელის მნიშვნელობის დაქვეითებაა, როგორც ქვანახშირის მოპოვება, მეტალურგია თუ გემთმშენებლობა. შესაბამისად, ეკონომიკის სამომსახურეო სექტორის განვითარებამ უფრო ინდივიდუალისტური და ინსტრუმენტალისტური

დეინდუსტრიალიზაცია: წარმოების ბაზის საერთო შემცირების პროცესი ეკონომიკაში, რაც მძიმე მრეწველობის დაკნინებით გამოიხატება.

მიდგომების წახალისებას შეუწყო ხელი. თავიანთ ნაშრომში "მეორე ინდუსტრიული მიჯნა: კეთილდღეობის შესაძლებლობანი" (1984) პიორე და სეიბელი გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ ეკონომიკაში მსგავსი ხასიათის ცვლილებები ფორდიზმიდან "ფორდისშემდგომ" ეპოქაზე გადასვლის მანიშნებელი გახლდათ. მასობრივი წარმოებისა და მასობრივი მოხმარების ფორდიზმისათვის დამახასიათებელი სისტემის რღვევა კი უფრო მრავალმხრივი კლასობრივი სტურქტურის გაჩენის მიზეზი გახდა. პოლიტიკურ სფეროში ეს კლასებზე დაფუძნებული პოლიტიკური პარტიების გავლენის შესუსტებაში გამოვლინდა — გაჩნდა ახალი სოციალური მოძრაობები, რომლებიც ძირითად უკვე ფემინიზმის, მსოფლიო მშვიდობის, ცხოველთა უფლებებისა თუ გარემოს დაცვის იდეების პროპაგანდას ისახავდნენ მიზნად.

რა არის "ქვედა ფენა"?

თუმცა, უნდა ითქვას რომ მითქმა-მოთქმა კლასთა გარდაცვალების თაობაზე მაინც გაზვიადებულია. სოციალისტთა ჩივილს ამ თემაზე მწარე იმედგაცრუების ელფერი დაჰკრავს, ხოლო ლიბერალთა და კონსერვატორთა მხრივ, ეს უფრო არსებულის სასურველად მიჩნევას ჰკავს. დღევანდელი ინდუსტრიული, თუ გნებავთ, "ფორდისშემდგომ" საზოგადოებები უკლასოდ ვერ ჩაითვლება ვერც საკუთრების კოლექტიური ფლობის მარქსისტული თვალსაზრისით და ვერც შესაძლებლობების თანასწორობის ლიბერალური გაგებით. ასე მაგალითად, 2002 წელს, დიდ ბრიტანეთში მდიდართა 1% საბაზრო ღირებულების მქონე ფასეულობათა 35%-ის ფლობდა (საცხოვრებლის გამოკლებით), ხოლო შეძლებული მოსახლეობის 50% — სიმდიდრის 98%; და ეს იმ დროს, როცა 12 000 000 ადამიანი (მოსახლეობის 22%) საშუალო შემოსავლის 50%-ზე ნაკლებით კმაყოფილდებოდა. რეალურად, ძველი კლასობრივი დაყოფის ნაცვლად, ახლა უთანაბრობისა და უთანასწორობის ახალი პარამეტრები გაჩნდა.

ამ ცვლილებების და მათი პოლიტიკური მნიშვნელობის კვლევის ერთ-ერთი სერიოზული მცდელობაა ჯ.კ. გელბრაიტის ნაშრომი "დაკმაყოფილების კულტურა" (1992). გელბრაიტი მიათითებს, რომ თანამედროვე საზოგადოებებში, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურად აქტიურებში, გაჩნდა "მაძღარი უმრავლესობა", რომელსაც მატერიალური მდგომარეობა და ეკონომიკური უსაფრთხოება პოლიტიკურ კონსერვატიზმისკენ უბიძგებს. სწორედ ამგვარი უმრავლესობაა ის საარჩევნო ბაზა, რომელიც, როგორც წესი, სოციალური ხარჯების ზრდის პლიტიკას მხარს არ უჭერს. მოსახლეობის უმცირესობაში სიღარიბისა და უთანასწორობის კონცენტრირება აისახა ე.წ. "2/3 და 1/3" გამიჯნული საზოგადოების კონცეფციაში. თუმცა, თუ უილ პატონს ვერწმუნებით, დიდი ბრიტანეთის საზოგადოებაში შეძლებულთა და შედარებით ხელმოკლეთა ეს პროპორცია 3/5 და 2/5 ნაწილდება. სოციალურ უთანასწორობის თაობაზე დავა-კამათი ძირითადად იმ თემას შეეხება, რასაც დღეს "ქვედა ფენად" იხსენიებენ ხოლმე.

რასა

იმ ფიზიოლოგიური და გენეტიკური ნიშნების ერთობლიობა, რომლითაც ადამიანთა ერთი ჯგუფი ვითომდა ბიოლოგიურად განსხვავდებოდეს მეორისაგან: მკვ. კანისა თუ თმის ფერი, ფიზიკური აგებულებით, სახის ნაკეთობით. ამდენად, რასა იმ ხალხთა ჯგუფია, რომელთაც საერთო წინაარსები ჰყავდათ და "ერთი სისხლში აქვთ. თუმცა, ეს ცნება როგორც პოლიტიკური, ასევე მეცნიერული გაგებითაც სადაჟოა. ანუ, სამეცნიერო მონაცემებს თუ დავეყრდნობით, არ არსებობს ისეთი ფენომენი, რომელიც ხალხებს ერთმანეთისაგან თვისობრივად განასხვავებდეს. პოლიტიკურად, რასობრივი დაყოფა სტერეოტიპულ წარმოდგენებს ეფუძნება, რაც საუკეთესო შემთხვევაში — პრიმიტიული, ხოლო უარეს შემთხვევაში — ავადმყიფური აზროვნების შედეგია. მის მაგივრად ზოგჯერ ცნება "ეთნიკურობას" მოიხმარენ, რადგან იგი კულტურულ და სოციალურ სხვაობებს გულისხმობს, და არა არარსებულ ბიოლოგიურ განსხვავებებს.

ტერმინი "ქვედა ფენა" თავისთავად საკმაოდ ბუნდოვანია და პოლიტიკური გაგებითაც წინააღმდეგობრივი. ზოგადად მასში ის ადამიანები მოიაზრება, ვისაც მრავალი ყოფითი პრობლემა აწუხებს (უმუშევრობა თუ დაბალი ხელფასი, უვარგისი საცხოვრებელი პირობები, არასაკმარისი განათლება და ა.შ.). ისინი სოციალურადაც მარგინალიზირებულნი არიან — ასე ვთქვათ, "გარიყულნი". თუმცა, მემარჯვენე თეორეტიკოსები — მაგალითად, ჩარლზ მიურეი — ამ კლასის წარმოშობას ძირითადად, უხერხემლობასა და პიროვნულ უნიათობას უკავშირებენ. ამ კუთხით, სახელმწიფოს მხრიდან გაწეული სოციალური დახმარება პრობლემას კი არ აგვარებს, პირიქით — უფრო აღრმავებს მას. ამგვარი თვალსაზრისით, სხვისი ხელის შეწყველების ჩვევა დამღუპველია და საფუძველშივე კლავს პიროვნულ ინიციატივას, ადამიანს საკუთარი თავის პატივსაცემას უკარგავს და უფუნქციობის განცდას უჩენს. მიურეი კიდევ უფრო შორს მიდის და იმასაც ამტკიცებს, რომ სოციალური დახმარებების არსებობა, მართალია, ქალებს "მარჩენად" მამაკაცებზე ნაკლებად დამოკიდებულს ხდის, მაგრამ ამავე დროს, ოჯახური განხეთქილებების უმთავრეს მიზეზადაც იქცევა ხოლმე. მისი აზრით, ამ "ქვედა ფენის" რიგები ძირითადად, მარტოხელა დედებითა და უმამო ბავშვებით ივსება. რიჩარდ ჰერსტინთან ერთად დაწერილ წიგნში — "გაუსის მრუდი: ინტელექტი და კლასობრივი სტრუქტურა ამერიკულ ყოფაში" (1995) მიურეი წერს, რომ სოციალური გაჭირვება ამერიკელი ზანგობის თანდაყოლილ უუფლებობასაც უშუალოდ უკავშირდება.

თავის მხრივ, მემარცხენეები ქვედა ფენას გლობალური ეკონომიკის სტრუქტურული უთანასწორობისა და ცვალებადი წონასწორობის შედეგად განიხილავენ. მათი აზრით, პრობლემის თავი და თავი ალბათ მოსალოდნელი უმუშევრობაა, რამდენადაც ტექნოლოგიური ნოვაციებისა და საერთაშორისო კონკურენციის გამკაცრების პირობებში, დღესდღეობით, არცთუ ბევრი ქვეყანა მოახერხებს სამსახურით უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეების დიდი რაოდენობა. გეღბრაიტიისათვის ქვედა ფენა "ფუნქციონალური კატეგორიაა", და მისი გაჩენა განპირობებულია ყველა ინდუსტრიული სახელმწიფოს საჭიროებით, მრავლად ჰყავდეს დაბალანაზღაურებადი მუშები იმგვარ სამუშაოთა შესარულკებად, რასაც მათზე "თავმოყვარენი" არ დათანხმდებიან და იუკადრიისებენ კიდევ. რამდენადაც ამგვარ ანაზღაურებას მეტწილად ეთნიკური უმცირესობები და იმიგრანტი მუშები თანხმდებიან, "ქვედა ფენა" ხშირად ორგანიზაციის ჩაგვრის ობიექტი ხდება ხოლმე — იგი ერთდროულად საზოგადოებრივი გარიყულობისა და რასობრივი ცრურწმენის მსხვერპლად იქცევა.

რასა

რასობრივი და ეთნიკური დაყოფა ბევრი თანამედროვე საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია, თუმცა რასასა და პოლიტიკას შორის კავშირი ნამდვილად არაა ახალი მოვლენა. პირველი, ამკარად რასობრივი პოლიტიკური თეორიები XIX საუკ. შეიქმნა, ეროვნული იმპერიალიზმის ფონზე. ისეთმა ნაშრომებმა, როგორებიც გახლდათ გობინოს "საკაცობრივი რასების უთანასწორობის თაობაზე" [1855] და ჰ.ს. ჩემპერლენის "XIX საუკუნის

ქეკუთხედი" [1899] ცდილობდნენ ფსევდომეცნიერული მოსაზრებებით ჭკუპართლებინათ ვეროპისა და ჩრდ. ამერიკის "თუთრ" რასების ბატონობა აფრიკისა და აზიის "შაჟ", "ყავისფერ" თუ "ყვითელ" ხალხებზე. XIX საუკ. ბოლოს, გერმანიაში, ავსტრიაში და რუსეთში ანტი-სემიტური (იხ. გვ. 121) პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები გაჩნდა, ამგვარი სიმახინჯის ყველაზე თვალნათელი გამოხატულება XX საუკ. გერმანული ნაციზმი იყო, რომელიც ვ.წ. "საბოლოო გადაწყვეტის" პროექტის მეშვეობით ცდილობდა ევროპული უბრაულობის სრულ განადგურებას. 1948-1994წწ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდი (აფრიკანერთა გამორჩეულობის პოლიტიკა) უფლებრივად მკაცრად მიჯნავდა ერთმანეთისაგან თუთრკანიანებსა და აბორიგენ არაიუთრკანიანებს. სხვა ქვეყნებში, რასიზმი არსებობას აგრძელებდა იმიგრანტთა საწინააღმდეგო კამპანიების სახით, რასაც (მაგ. ბრიტანეთში) ბრიტანეთის ნაციონალური პარტია თაოსნობდა, საფრანგეთში კი — ლეპენის ნაციონალური ფრონტი.

ბევრ დასავლურ საზოგადოებაში ეთნიკური უმცირესობები ძალზე ხშირად არიან წარმოდგენილნი პოლიტიკურ ელიტებში, უფრო ხშირად რჩებიან დაუსაქმებელნი და სოციალურადაც მეტად არიან დაჩაგრულნი — ადგილობრივ თუთრკანიან მოსახლეობასთან შედარებით. ასე მაგალითად, ამერიკელი შვეკანიანების 31.9% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, მაშინ როცა თუთრკანიანთათვის ეს 8.8%-ია. რასობრივი და სოციალური უთანაბრობის მსგავსმა გამოვლინებებმა პოლიტიკური გააქტიურების სხვადასხვაგვარ ფორმებს მისცა ბიძგი: XX საუკ 60-იან წწ. ამერიკაში არამაღადობრივი პროტესტის მოძრაობა დაიწყო მარტინ ლუთერ კინგის (1929-68) ხელმძღვანელობით, რომელიც სამოქალაქო უფლებების გათანაბრებას ისახავდა მიზნად. თუმცა, სწორედ ამ პერიოდში გააქტიურდა გასამხედროებული "შავი ხელისუფლების" მოძრაობაც, რომელიც რევოლუციური გარდაქმნების მოწოდებებით გამოირჩეოდა და მალკოლმ X-ისა (1926-65) — "შვეკანიანი მაჰმადიანების" შემთხვევაში, ვინაც რასობრივი სეგრეგაციისაგან მოუწოდებდა თავის მიმდევრებს. სხვა ორგანიზაციები ცდილობდნენ რასიზმის წინააღმდეგ დარაზმულიყენენ და საპროტესტო მსვლელობებისა თუ სხვა მშვიდობიანი გზებით წინააღმდეგობდნენ ნეო-ფაშისტურ გამოვლინებებს. დიდ ბრიტანეთში ეს საქმე ანტი-ნაციისტურმა ლიგამ იკისრა, რომელიც "ნაციონალური ფრონტის" საპირისპიროდ შეიქმნა 1970წ. და შემდგომ, 90-იან წწ. უკვე ბრიტანეთის ნაციონალურ პარტიას დაუპირისპირდა. XX საუკ. 80-იან წწ. საფრანგეთში ჩამოყალიბდა მოძრაობა "SOS — რასიზმი!" რომელიც ასევე ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია ლეპენის ნაციონალური ფრონტი-სათვის. მსგავსი ქმედებები, როგორც წესი, ორგანიზაციულად არანაირ პარტიულ სისტემაზე არაა ხოლმე მიბმული, რადგან სერიოზული პარტიები შიშობენ, რომ რასიზმთან აშკარა დაპირისპირებით, შესაძლოა ამომრჩეველთა დიდი რაოდენობა დაკარგონ. დღესდღეობით, ეთნიკური და რასობრივი ჰარმონიის მიღწევის გზად, ჩვეულებრივ, მულტიკულტურალიზმის იდეის პროპაგანდას ხედავენ, რაზეც უფრო ვრცლად X თავში მოგახსენებთ.

სქესი, გენდერი
 თუშცა ეს ცნებები ყოველდღიურ ხმარებაში ხშირად ერთმანეთის სანაცვლოდ გამოიყენება, მათ შორის სხვაობა მეტად მნიშვნელოვანია. სოციალურ და პოლიტიკურ თეორიებში გენდერის ცნება მამაკაცებსა და ქალებს შორის არსებულ სოციო-კულტურულ სხვაობებს გულისხმობს; ხოლო ცნება სქესი — ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებულ ბიოლოგიურ სხვაობებს. ამდენად, გენდერი სოციალური წარმონაქმნია, რომელიც მამაკაცისა და ქალის ქცევასთან დაკავშირებით არსებულ სტერეოტიპებს ეფუძნება. ფემინისტური თეორიები, როგორც წესი, ამ ცნებებს შორის სხვაობას უსვამენ ხაზს, რათა დაამტკიცონ, რომ ფიზიოლოგიური და ფიზიკური (სქესობრივი) განსხვავება ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულ სოციალურ როლებსა და ადგილს, ანუ — გენდერულ უთანასწორობას სულაც არ გულისხმობს. მოკლედ რომ ვთქვათ, გენდერული თანასწორობის მოთხოვნა იმის რწმენას ასახავს, რომ სქესობრივ სხვაობებს რაიმე პოლიტიკური თუ სოციალური მნიშვნელობა არ გააჩნიათ. ანტიფემინისტური პოზიციები კი ხშირად სქესსა და გენდერს შორის სხვაობის უარყოფაზეა დამყარებული, რაც მათთვის იმას ნიშნავს, რომ "ბიოლოგია — ბედისწერაა".

სქესი

საზოგადოების სქესთა მიხედვით — ანუ გენდერული დაყოფა — ტრადიციულად ნაკლები ყურადღებით სარგებლობდა, ვიდრე ვთქვათ, კლასობრივი განსხვავებები. უპირატესად მამრობითი სქესის მეცნიერი და მკვლევარები ან ვერ ახერხებდნენ ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობის ფესვგარეობი ან ვერ ახერხებდნენ, ანდა უბრალოდ ამას ბუნებრივ და გარდაუვალ მოცემუბი გაეშინებინათ, ანდა უბრალოდ ამას ბუნებრივ და გარდაუვალ მოცემუბი ლობად თვლიდნენ. ფემინიზმის "მეორე ტალღამ" XX საუკ. 60-იან წწ., მდგომარეობა ამკარად შემოაბრუნა და ნათლად წარმოაჩინა სქესის პოლიტიკური მნიშვნელობა. თვით გაეროც აღიარებს, რომ გენდერული უთანასწორობის შემცირების მიუხედავად, მსოფლიო მასშტაბით მთელი დახარჯული შრომითი საათების 66% ქალებზე კი მოდის, მაგრამ ისინი მსოფლიო შემოსავლის მხოლოდ 10% გამოიმუშავენ, და მთელი ქონების მხოლოდ 1% ფლობენ. დიდ ბრიტანეთში თავი კომპანიების მმართველ ელიტაში ქალების რიცხვი 4% არ აღემატება. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო ხმის უფლება ქალებმა 1918წ. მოიპოვეს, 2006წ. პარლამენტის წევრ მანდილოსანთა რაოდენობა ზოგადად 20% არ აღემატებოდა.

ისეთ ტრადიციულ საზოგადოებებში, როგორცაა ვთქვათ, იაპონური, ჯერაც არსებობს მკაცრი, თუმცა დაუწერელი (და ზოგჯერ, დაწერილიც კი) კანონები, რომელთა თანახმადაც ქალებმა უნდა მიატოვონ სამსახური და ოჯახს დაუბრუნდნენ — გათხოვების, დაორსულების, თუ 30წლის ასაკის მიღწევისთანავე. ისლამურ სახელმწიფოებში ქალებს პირბადის ტარება და ჩაცმულობის სხვა პირობების მკაცრი დაცვა მოეთხოვებათ; ხშირად მათ იძულებითაც ამწყვდევენ შინ და საერთოდ უკრძალავენ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას. თვით პროგრესულ სკანდინავიაში, სადაც ქალებმა მნიშვნელოვანი გარღვევა მოახდინეს პოლიტიკური წარმომადგენლობის თვალსაზრისით, ეროვნულ ასამბლეაში მათი რაოდენობა 1/4-დან 1/3-მდე მერყეობს.

კეიტ მილესა და მერი დეილის მსგავსი რადიკალი ფემინისტების აზრით, სოციალურ განსხვავებათა შორის გენდერული დაყოფა ყველაზე თვალშისაცემი და პოლიტიკურად მნიშვნელოვანია, რადგან ყოველი თანამედროვე თუ ძირძველი საზოგადოება ატრიარქალურობით ხასიათდება. ამ კუთხით, გენდერულ უთანაბრობას წერტილი მხოლოდ სექსუალურმა რევოლუციამ თუ შეიძლება დაუსვას, რომელიც კულტურულ და პიროვნულ ურთიერთობებს, ისევე როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური მოწყობის დღეს არსებულ ფორმებს, ძირფესვიანად შეცვლის.

თუმცა, ქალთა ბევრი პოლიტიკური ორგანიზაცია უფრო ლიბერალური და რეფორმისტული მოთხოვნებით გამოირჩევა. ისინი მხოლოდ პოლიტიკურ, მმართველობით და პროფესიონალურ თანამდებობებზე ქალთა მეტ წარმომადგენლობას მოითხოვენ და იმ უსამართლობის აღმოფხვრას ცდილობენ, რასაც აბორტის სსაწინააღმდეგო კანონმდებლობა და ბავშვებზე ზრუნვის არათანაბარი გადაწევა გულისხმობს — ანუ, მათთვის უფრო რეფორმების გზაა მისაღები, ვიდრე სქესთა ომი ქალსა და მამაკაცს შორის.

შეჯამება

« ეკონომიკა თითქმის ყველა დონეზე განაპირობებს პოლიტიკას და პარტიებიც ეკონომიკური კეთილდღეობის მომხიბლავი ღიმილებით ეჯიბრებიან ერთმანეთს. ამომრჩევლის გადაწყვეტილებები ძირითადად, კლასობრივი დაყოფისა და საზოგადოებრივი უთანხმოებების ანარეკლია და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაც უთუოდ ახდენს გავლენას არჩევნების შედეგებზე. იდეოლოგიური განხეთქილებანიც, როგორც წესი, საკუთრებისა და ეკონომიკური მოწყობის თაობაზე კამათის შედეგია ხოლმე.

« ისტორიულად, კაპიტალიზმსა და სოციალიზმს მკაფიოდ გამიჯნულ ეკონომიკურ ფორმაციებად მიიჩნევდნენ. კაპიტალიზმს დოგლათის დაგროვება, კერძო საკუთრება და ეკონომიკური ცხოვრების საბაზრო პრინციპებით მართვა ახასიათებდა; სოციალიზმი კი საზოგადოებრივი თუ საერთო საკუთრების დაგეგმვაზე დამყარებულ მოდელს წარმოადგენდა და არა ბაზრის, არამედ ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილით ხელმძღვანელობდა.

« თუმცა, "წმინდა" სახით არც კაპიტალიზმი და არც სოციალიზმი არსებულა ოდესმე. მსოფლიო კაპიტალიზმის სისტემათა შორის გეხვდება ისეთები, რომლებიც აქცენტს წარმოებასა და საბაზრო ინდივიდუალიზმზე აკეთებენ; ისეთებიც, რომლებიც სოციალური სამართლიანობის მნიშვნელობასაც აღიარებენ და ისეთებიც, სადაც მთავარი ერთობლივი, ხანგრძლივ დროზე გათვლილი ურთიერთობებია. ხოლო სოციალისტური სისტემები ან სახელმწიფო კოლექტივიზმის სახეს იძენდნენ, ანდა ბაზართან მორგებას ცდილობდნენ მართული თუ რეგულირებადი კაპიტალიზმის ფორმით.

« გარკვეული თვალსაზრისით, ყველა საბაზრო სისტემა რეგულირებადია და რეგულირების მომხრეები ამტკიცებენ, ეკონომიკური მართვა გადაწყვეტია ბაზრის არასტაბილურობის თავიდან ასაცილებლად. თუმცა ოპონენტები გვაფრთხილებენ, რომ ეკონომიკურმა მართვამ შესაძლოა ბაზრის მყიფე წონასწორობა დაარღვიოს, კონკურენციას და ეფექტიანობას შეუქმნას საფრთხე და შედეგად, უკონტროლო ინფლაცია მოიტანოს.

« საზოგადოების სტრუქტურა, კერძოდ — მისი დაყოფა, სხვადასხვავებულად ახდენს გავლენას პოლიტიკაზე და დოგლათის განაწილებაც სახელმწიფო ძალაუფლების ხასიათს განაპირობებს. თავის მხრივ, საზოგადოება საერთო აზრს ქმნის და პოლიტიკურ კულტურას აყალიბებს. სწორედ საზოგადოებრივი კონფლიქტები გვეხმარება ცვლილებების განხორციელებაში — რეფორმებისა თუ რევოლუციების გზით. საზოგადოებრივი სტრუქტურა კი განსაზღვრავს პოლიტიკური ქმედებებისა და მართვაში თანამონაწილეობის ნებისმიერ ფორმას.

« თანამედროვე საზოგადოებაში, სოციალური დაპირისპირებების თვალსაზრისით, კლასობრივი, რასობრივი და გენდერული დაყოფებია ყველაზე მნიშვნელოვანი. კლასობრივი პოლიტიკა იქნებ გახუნდა კიდევ "პოსტ-

9. ეკონომიკა და საზოგადოება

ფორდიზმის" ეპოქაში, თუმცა "ქვედა ფენის" სერიოზული გავლენის გამო, ჯერაც ბოლომდე არ აღმოფხვრილა. სამოქალაქო და ქალთა უფლებების დამცველი მოძრაობების გააქტიურებამ დაადასტურა, რომ ერთ დროს უგულბელყოფილი რასობრივი და გენდერული დაყოფა დღეს საყოველთაოდაა აღიარებული და არანაკლებ მნიშვნელოვანია — კლასობრივ დაყოფასთან შედარებით.

კითხვები განსასჯელად

- < რატომ დაიყვანება პოლიტიკური საკითხები ასე ხშირად ეკონომიკურ პრობლემებამდე? განა ეს ნორმალურია?
- < კაპიტალისტური სისტემის რომელი ტიპი მოსჩანს ყველაზე სიცოხლისუნარიანად XXI საუკუნეში?
- < იმთავითვე ახასიათებს თუ არა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას არასტაბილურობა და უთანასწორობისაკენ მიდრეკილება?
- < კვლავ თუ ინარჩუნებენ მნიშვნელობას სოციალისტური ეკონომიკური მოდელები?
- < რა უნდა გამოარჩევდეს ეკოლოგიურად მდგრად ეკონომიკას?
- < გადაიჭრა თუ უბრალოდ შეინიღბა კლასობრივი კონფლიქტები თანამედროვე საზოგადოებებში?
- < რამდენად სერიოზული პოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია რასობრივი და გენდერული დაყოფის აღიარებამ?

დამატებითი საკითხავი

- Hall, P and D. Soskice (eds), Varieties of Capitalism: The Institutional Foundations of Comparative Advantage (Oxford University Press, 2001).
- Hampden-Turner, C. and F. Trompenaars, The Seven Cultures of Capitalism (New York: Palgrave Macmillan, 2007).
- O'Brien, R. and M. Williams, Global Political Economy, 2nd edn (Basingstoke and New York: Palgrave Macmillan, 2007).
- Rush, M., Politics and Society: An Introduction to Political Sociology (Hemel Hempstead: Harvester Wheatsheaf, 1992).

პოლიტიკური კულტურა, თვითგამორკვევა და ლეგიტიმურობა

"ღონეს ფასი არა აქვს, თუ უფლება ძალად არ აქციე, მორჩილება კი — მოვალეობაა".

ჟან-ჟაკ რუსო, სოციალური კონტრაქტი (1862)

პოლიტიკა, ძირითადად, გონების ნაყოფია: ანუ, ერთის მხრივ მას კვალს აძენს ჩვენი წარმოდგენები, შეფასებები და სურვილები საზოგადოების მოწყობასთან დაკავშირებით და მეორის მხრივ — ჩვენი მოლოდინი, იმედი და შიში მმართველობის ფორმების თაობაზე. საბოლოო ჯამში, საზოგადოების ჩვენეული შეფასება ვინძლო უფრო მნიშვნელოვანიც კი აღმოჩნდეს, ვიდრე თავად სახელისუფლებო სტრუქტურის რაობა და ამ სტრუქტურაში რესურსებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი გადანაწილება. აღქმა რეალობაზე არა მარტო უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, შესაძლოა იქცეს კიდევ ამ რეალობად. ზემოთქმული ნათლად წარმოაჩენს, რამდენად სასიცოცხლო როლს ასრულებს ე.წ. "პოლიტიკური კულტურა" საზოგადოების ცხოვრებაში: ადამიანის რწმენა, ფასეულობები და ღირებულებები აყალიბებს როგორც მის დამოკიდებულებას პოლიტიკური პროცესებისადმი, ასევე მის თვალსაზრისს იმ რეჟიმის თაობაზე, რომელშიც უწევს ცხოვრება — ანუ, მაინა თუ არა ეს რეჟიმი კანონიერად, აღიარებს თუ არა მის ლეგიტიმურობას. შესაბამისად, სწორედ ლეგიტიმურობა ითვლება პოლიტიკური მდგრადობის უმთავრეს პირობად, ისაა რეჟიმის არსებობისა და სიმტკიცის წარმო.

ამ თემაში შემდეგი ძირითადი საკითხები განხილული:

საკვანძო საკითხები:

- < რა აყალიბებს პიროვნებისა თუ ჯგუფის პოლიტიკურ შეხედულებებსა და ღირებულებებს?
- < რამდენადაა დამოკიდებული დემოკრატიული რეჟიმი რაღაც განსაკუთრებული "სამოქალაქო კულტურის" არსებობაზე?
- < თანამედროვე საზოგადოებებს ღირებულებათა და იდეათა თავისუფალი კონკურენცია ახასიათებს თუ ერთი გარკვეული კულტურის "ბატონობა"?
- < როგორ აღწევენ რეჟიმები ლეგიტიმურობას?
- < ემუქრება თუ არა თანამედროვე საზოგადოებებს ლეგიტიმურობის კრიზისი?
- < რა ხდება ლეგიტიმურობის დაკარგვის შემთხვევაში? რა იწვევს რეგულაციებს?

10

თავი

შინაარსი

პოლიტიკური კულტურა
სამოქალაქო კულტურა თუ იდეოლოგიური წნეხი? სოციალური კაპიტალის გაუფასურება?

თვითგამორკვევა, პოლიტიკა და მრავალკულტურულობა
თვითგამორკვევის პოლიტიკის აღზვევა. მრავალკულტურულობის გამოვლინებები. მრავალკულტურულობის ნაკლოვანებანი.

ლეგიტიმურობა და პოლიტიკური მდგრადობა
ძალაუფლების ლეგიტიმაცია. ლეგიტიმაციის კრიზისი. რა იწვევს რეგულაციებს?

შეჯამება/კითხვები
განსახეველად/დამატებითი საკითხავი

პოლიტიკური კულტურა

პოლიტიკური კულტურა:

ფართო გაგებით, კულტურა აღმამიანთა ცხოვრების წესია. სოციოლოგები და ანთროპოლოგები "კულტურას" "ზუნებისაგან" განასხვავებენ. მათი მოაზრებით, კულტურა ყოველივე იმას გულისხმობს, რაც თაობიდან თაობას სწავლით გადაეცემა და არა — ბიოლოგიურად. თუმცა პოლიტოლოგები ამ ცნებას უფრო ვიწრო გაგებით — აღმამიანთა ფსიქოლოგიური ორიენტაციის აღსანიშნად — ხმარობენ, ხოლო პოლიტიკურ კულტურას გარკვეული შეხედულებებით, სიმპოლოებითა და ღირებულებებით გამოხატულ დამოკიდებულებად მიიჩნევენ პარტიების, ხელისუფლებისა თუ კონსტიტუციების მიმართ. პოლიტიკური კულტურა იმით განსხვავდება საზოგადოებრივი აზრისაგან, რომ მას ძირმეველი ფასეულობები აყალიბებს და არა იმწამიერი რეაქცია კონკრეტულ პოლიტიკურ მოვლენებსა თუ პრობლემებზე.

ყოველი ეპოქის ნებისმიერი პოლიტიკური მოაზროვნე აღიარებდა პიროვნულ დამოკიდებულებათა, შეფასებთა და მრწამსთა მნიშვნელობას. თუმცა, ისინი ყოველივე ამას "პოლიტიკური კულტურის" შემადგენელ ნაწილებად როდემი იჩინებდნენ. ასე მაგალითად, ბერკი ადათ-წესებსა და ტრადიციებზე საუბრობდა, მარქსი — იდეოლოგიაზე, პერდერი კი — "ეროვნულ სულზე". ოლონდ ვეცა — არც ერთს არ გაუხდია საკამათოდ, რომ ღირებულებები და მრწამსი გადამწყვეტ როლს თამაშობს რეჟიმთა მდგრადობისა და სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით. პოლიტიკურ მეცნიერებაში "პოლიტიკური კულტურის" იდეისადმი ინტერესი XX საუკ. 50-60-იან წწ გამოიკვეთა და მან იმ ბიპეივიორისტული ანალიზის ფუნქცია შეიძინა, რამაც ხსენებული საკითხის უფრო ტრადიციული, ინსტიტუციონალური კვლევა ჩაანაცვლა. ამ თვალსაზრისით, კლასიკური აღმოჩნდა ელმონდისა და ვერბას "სამოქალაქო კულტურა" (1963), რომელმაც სუბიექტურ შეფასებათა გამოკითხვის საფუძველზე გაანალიზა საზოგადოების განწყობა და დემოკრატიულობის ხარისხი 5 სახელმწიფოში: აშშ, ბრიტანეთი, დას. გერმანია, იტალია და მექსიკა. ნაწილობრივ, ამ კვლევას განაპირობებდა სურვილი — აეხსნათ, რამ გამოიწვია წარმომადგენლობითი მმართველობისადმი ნდობის დაკარგვა ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდის იტალიასა და გერმანიასა თუ სხვა ქვეყნებში და რატომ ვერ მოიკიდა დემოკრატია მყარად ფეხი 1945წ. შემდეგ ახლადგაჩენილ დამოუკიდებელ, განვითარებად სახელმწიფოებში. მართალია, პოლიტიკური კულტურისადმი ინტერესი საგრძნობლად შესუსტდა XX საუკ. 60-80-იან წწ., მაგრამ 90-იანი წწ შემდგომ ამ თემაზე დავა-კამათმა ახალი ძალით იფეთქა მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის ნანგრევებზე დემოკრატიის მშენებლობა წამოიწყეს, ამერიკის მსგავს მყარ დემოკრატიულ სახელმწიფოებში სოციალური კაპიტალისა და სამოქალაქო აქტივობის გარკვეულ დაცემას ალაპარაკდნენ. კამათობენ იმაზეც, თუ რამდენად ატყობს თავის კვლას პოლიტიკურ კულტურას "ხედა ფენის" ელიტარული ჯგუფების იდეები ინტერესები. თავის მხრივ, სწორედ ამ დავა-კამათმა გააჩინა განსხვავებულ მოსაზრებები მას-მედის როლზე და იმაზე, თუ რამდენად შეუძლია ხელისუფლებას ინფორმაციის საშუალებებით მანიპულირება.

სამოქალაქო კულტურა თუ იდეოლოგიური წნეხი?

პოლიტიკური კულტურის რაობაზე კამათი, ხშირად სამოქალაქო კულტურაზე კამათში გადადის ხოლმე, ამ ცნებას კი, თავის მხრივ, ელმონდისა და ვერბას ნაწერებს უკავშირებენ. მათ პოლიტიკური კულტურა დემოკრატიული პოლიტიკის მთავარ მონაპოვრად აღიარეს და მისი სამი ზოგადი ტიპი გამოყვეს: თამანონაწილეობის, ქვეშევრდომობისა და კუთხურობის განცხადებით.

"თანამონაწილქ მოქალაქე პოლიტიკას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს — მართვაში ხალხის მონაწილეობას სასურველადც მიიჩნევს და შედეგის მომტანადაც; "ქვეშევრდომქ მოქალაქე უფრო პასიურია და იმთავითვე აღიარებს ხელისუფლებაზე ზემოქმედების ძალზე შეზღუდულ შესაძლებლობას; "კუთხურობითი გამორჩეულ ამომრჩეველს საერთოდ არ გააჩნია მოქალაქეობრივი განცდა და საკუთარ თავს არა მთელ ერთან, არამედ მხოლოდ თავისი კუთხის წარმომადგენლებთან აიგივებს, პოლიტიკაში მონაწილეობის არც სურვილი აქვს და არც შესაძლებლობა. მართალია, ელმონდმა და ვერბამ თანამონაწილეობა დემოკრატიის იდეალთან ყველაზე უფრო მიახლოებულ ვარიანტად მიიჩნიეს, მაინც იმას ამტკიცებდნენ — "სამოქალაქო კულტურა" სამივე ტიპის ნახაია, რამდენადაც პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობა აუცილებელია ხელისუფლებისთვისო. მათი აზრით, დემოკრატიის მდგრადობას იმეგარი პოლიტიკური კულტურა განამტკიცებს, რასაც მოქალაქეთა მხრიდან აქტიურობისა და პასიურობის ნარევი ახასიათებს, ხელისუფლების მხრიდან კი — წინასწარობის დაცვა ვალდებულებებსა და ქმედებებს შორის.

მათივე აზრით, სამოქალაქო კულტურას ყველაზე მეტად დიდ ბრიტანეთში მიუახლოვდნენ, სადაც როგორც თანამონაწილეობის, ასევე ქვეშევრდომობის მკვეთრად გამოხატული ტენდენციები შეინიშნებოდა. სხვაგვარად თუ ვიტყვი, ბრიტანელებს სჯეროდათ, რომ შეეძლოთ ზეგაულენა მოქმდინათ ხელისუფლებაზე, და ამავე დროს, მისი მორჩილების აშკარა სურვილსაც ამჟღავნებდნენ. მაღალი შეფასება დაიმსახურა ამერიკის შვერთებულმა შტატებმაც, თუმცა აქ ერთგვარი სისუსტეც გამოვლინდა — "თანამონაწილეობის" ხარისხი აქ აშკარად აღემატებოდა "ქვეშევრდომობისას", მაგრამ ამერიკელები განსაკუთრებული კანონმორჩილებით ვერ დაიკვეხნიდნენ; დას. გერმანიასა და იტალიაში საკმაოდ გართულდა სამოქალაქო საზოგადოების შექმნა თუ აღდგენა, ვინაიდან ფაშიზმის დამარცხებიდან 15 წლის შემდეგ, ამ ქვეყნებში არ არსებობდა ძლიერი თანამონაწილეობის კულტურა. აქ უფრო ქვეშევრდომობისკენ იხრებოდნენ, იტალიაში კი კვლავ ძლიერი რჩებოდა კუთხურობის გავლენა. ელმონდისა და ვერბას უფრო გვიანდელ გამოკვლევაში (1980) რამდენიმე ცვლილება იქნა ზაზგასმული: კერძოდ, ეროვნული სიამაყისა და რწმენის შესუსტება დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შვერთებულ შტატებში და ამის საპირისპიროდ, სამოქალაქო თვითშეგნების გაძლიერება გერმანიაში.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური შეზღუდვებისა და ღირებულებების სამოქალაქო კულტურის კუთხით შესწავლა სერიოზული კრიტიკის საგნად რჩებოდა. უპირველეს ყოვლისა, ბერ კითხვას ბადებს თუად მოდელი, რომლის მიხედვითაც სტაბილური დემოკრატიის წინაპირობა ფსიქოლოგიური წინასწარგანწყობა შეიძლება იყოს. კერძოდ, იმ მოსაზრების დამცველნი, რომ პოლიტიკური თანამონაწილეობა დემოკრატიული მართველობის არსთა-არსია, აქცენტების გადატანას პასიურობაზე და ხელისუფლებისადმი მორჩილების ჯანსაღ მოვლენად აღიარებას — ზედებლად მიიჩნევდნენ. ელმონდმა და ვერბამ წამოაყენეს დემოკრატიული კულტურისათვის დამახასიათებელი, ე.წ. "მთვლემარე ძაღლის" თეორია, რაც იმას გულისხმობს, რომ თანამონაწილეობის დაბალი ხარისხი არსებული

ჰეგემონია - (ბერძნული სიტყვიდან hegemonia, რაც "წინამძღოლობას" ნიშნავს). როგორც პოლიტიკური ტერმინი, გულისხმობს ამა თუ იმ სისტემის ერთ-ერთი ელემენტის უპირატესობას ყველა დანარჩენთან მიმართებით (მაგალითად, რაიმე ლიგასა თუ კონფედერაციაში ერთი სახელმწიფოს დომინირება). მარქსისტულ თეორიაში ცნება ჰეგემონია უფრო სპეციფიური გაგებით მოიხმარება. ანტონიო გრამსის ნაწერებში "ჰეგემონია" ახსნილია როგორც გაბატონებული კლასის უნარი, ისე მიიმხროს კლასობრივად ჩაგრული ფენები, ზედმეტად არ დაჭირდეს უხეში ძალის გამოყენება. როგორც კლასობრივი ბატონობის არაძალადობრივი ფორმა, ჰეგემონიაში იმ კულტურულ ან იდეოლოგიურ პროცესს გულისხმობენ, რომელიც საზოგადოებაში ბურჟუაზიული ფასეულობების და რწმენის გავრცელებას ემყარება. თუმცა ჰეგემონიას ეკონომიკური და პოლიტიკური განზომილებებიც აქვს: თანხმობის უზრუნველყოფა შესაძლებელია ხელფასების მატებისა თუ სოციალური და პოლიტიკური რეფორმების გზითაც.

ბურჟუაზიული იდეოლოგია: მარქსისტული კლიშე, რომლითაც ის იდეები და თეორიები აღინიშნება, თითქოსდა კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობებს რომ ნიღბავენ და ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებიან.

მმართველობით ზოგადი ემყოფილების მანიშნებელია და პოლიტიკოსებმა ცათაის მხრივ, ყველაფერი უნდა იღონონ მსგავსი ვითარების მისაღწევად. მეორეს მხრივ, როცა ზრდასრული მოსახლეობის თითქმის ნახევარი თავს არ იწუხებს არჩევნებში მონაწილეობით — ამერიკაში კი თითქმის მუდმივად ასე ხდება — ეს მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო გაუცხოებასა და სრულ გულგრილობაზე მიანიშნებს.

მეორეც, სამოქალაქო კულტურის თეზისი იმ შეუძომწმებელ განცხადებას ემყარება, თითქოს ქცევას პოლიტიკური შეხედულებები და ღირებულებები განაპირობებს, და არა პირიქით. მოკლედ, სამოქალაქო კულტურა შესაძლოა უფრო დემოკრატიის პირმშოდ მივიჩნიოთ, და არა მშობლად. და თუ ეს სიმართლეს შეეფერება, პოლიტიკურმა კულტურამ შეიძლება დემოკრატიის სიჯანსაღის ხარისხი კი განსაზღვროს, მაგრამ ვერანაირად ვერ გახდება მყარი დემოკრატიული მმართველობის უზრუნველყოფ საშუალებად. და ბოლოს: ელმონდისა და ვერბასავე თვალსაზრისით, პოლიტიკურ კულტურას ერთგვაროვან ფენომენად, ანუ იგივე ეროვნულ კულტურისა თუ ეროვნული ხასიათის სიმბოლოდ წარმოაჩენს და ამიტომ, მცირე ყურადღებას უთმობს პოლიტიკურ ქვეკულტურებს, რითიც საზოგადოებაში არსებულ განხეთქილებებს ნიღბავს. ამის საწინააღმდეგოდ პოლიტიკური კულტურის რადიკალური ხედვა, კლასებზე, რასებსა თუ გენდერულ სხვაობებზე დაფუძნებული საზოგადოების დანაწევრებას ააშკარავებს.

ამ განხრით მეტად განსხვავებული აზრი ჩამოაყალიბა მარქსისტულმა ტრადიციამ: მარქსი კაპიტალიზმს ჩაგვრისა და ექსპლოატაციის საშუალებად კი წარმოაჩენდა, მაგრამ ასევე აღიარებდა იდეების ღირებულებებისა და რწმენის ძალას. როგორც მარქსი და ენგელსი "გერმანულ იდეოლოგიაში" (1846) წერდნენ: "მმართველი კლასის იდეები ყველ ეპოქაში გაბატონებული იდეებია, ანუ — კლასი, რომელიც საზოგადოების მატერიალურ ძალებს განკარგავს, წარმართავს ინტელექტუალურ ძალებსაც. მარქსის აზრით, იდეებიცა და კულტურაც იმ "ზედნაშენის" ნაწილებია, რასაც ეკონომიკური "ბაზისი" განაპირობებს.

ამგვარმა იდეებმა მარქსიზმში კულტურის ორი თეორია წარმოშვა: პირველის თანახმად, კულტურა არსებითად, კლასობრივია: რამდენადაც ერთი და იმავე კლასის წევრები მსგავსი გამოცდილების მატარებლები არიან და ერთნაირი მდგომარეობა და ინტერესები ახასიათებთ, მათ იდეები, ფასეულობები და რწმენაც მსგავსი უნდა ჰქონდეთ. მარქსის თქმით, "ადამიანთა ყოფიერებას ცნობიერება კი არ განაპირობებს, არამედ — პირიქით შესაბამისად, საგარაუდოა რომ პროლეტარული კულტურა და იდეები ნიშნდობლივად უნდა განსხვავდებოდეს ბურჟუაზიულისაგან. კულტურა მეორე თეორია ხაზს უსვამს, რამდენად ზემოქმედებს მმართველი კლასის იდეები (ანუ მარქსისტული "იდეოლოგია") საზოგადოებაზე, და როგორ იქცევა "ეპოქის წარმმართველ" იდეებად. ამ აზრით, პოლიტიკური კულტურა გენებავთ სამოქალაქო კულტურაც, ბურჟუაზიული იდეოლოგიაა და სხვა არაფერი. მარქსისტული თვალსაზრისით, იდეოლოგიის დანიშნულება ჩაგრული კლასის საკუთარ მდგომარეობასთან შეგუებაა პროპაგანდის

ანტონიო გრამში (1891-1937)

იტალიელი მარქსისტი და საზოგადოებათმცოდნეობის თეორეტიკოსი. წვრილი მოხელის შილი. 1913 წ. გრამში სოციალისტურ პარტიას შეუერთდა, ხოლო 1921 წელს ახლადრამოფალიზებული იტალიური კომპარტიის გენერალური მდივანი გახდა. პარლამენტის წევრობის მიუხედავად, 1926 წელს

მუსოლინის ბრძანებით დააპატიმრეს და მთელი დარჩენილი ცხოვრება პატიმრობაში გაატარა. "ციხის ჩანაწერებში," გრამში შეცვალა ორიოდოქსული მარქსიზმის "მეცნიერული დეტერმინიზმ" პოლიტიკური და ინტელექტუალური ბრძოლის აუცილებლობით გაეზავებინა.



ტული მითების, ტყუილებისა და გამონაგონის მეშვეობით (ენგელსისეული "მალბი ცნობიერება"). მოგვიანებით მარქსისტებმა ეს პროცესი "ბურჟუაზიული ჰეგემონიის" (იხ. გვ. 201) ტერმინოლოგიითაც ახსნეს.

XX საუკ. ეს საზრისი ყველაზე აქტიურად ანტონიო გრამშიმ აიტად. მან იმ ფაქტს მიაქცია ყურადღება, რომ კლასობრივ სისტემას არა უბრალოდ უთანასწორო ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება უმჯობრება საფუძველს, რამდენადაც ბურჟუაზიული იდეოლოგიის წნეხი. ეს კი მმართველი კლასის სულიერ და კულტურულ ზეობაში გამოინატებოდა, რის დამტკიცებასაც სამოქალაქო საზოგადოებისათვის, ბურჟუაზიული ფასეულობებისა და ღირებულებების მეშვეობით ცდილობდნენ მედია, ეკლესია, ახალგაზრდული მოძრაობები და სხვ. და სხვ. გრამშის ანალიზის მნიშვნელობა ისაა, რომ მისი აზრით, აუცილებელი გახლდათ კონტრ-იდეების, ფასეულობებისა და ღირებულებების შექმნა პროლეტარიატის იდეურად შესაიარაღებლად.

გაბატონებული იდეოლოგიის მოდელი პოლიტიკურ კულტურაში, ამჟამად დროს, თანამედროვე საზოგადოებებში არსებული ფასეულობებისა და რწმენათა ერთგვაროვნების ილუზიას გვიქმნის. მაშინ როცა "მმართველ" იდეოლოგია ზედა ფენას თვითრწმენასა და საკუთარი მნიშვნელობის განცდას უმძფრებს, საკმაოდ საკამათოა, რამდენად წარმატებით ეწერებიან ღირებულებათა ამ სისტემაში დაქვემდებარებული კლასები. და ბოლოს, მარქსიზმში კი ცდილობს გარკვეული კავშირი იპოვოს უთანასწორო კლასობრივ ძალაუფლებასა და კულტურულ თუ იდეოლოგიურ ცრურწმენებს შორის, მაგრამ რეალურად, მხოლოდ იმ ტენდენციას აღწერს, რაც ნებისმიერ საზოგადოებას ახასიათებს, როცა ძალაუფლების მქონე ჯგუფები მათთვის სასიკეთო იდეების პროპაგანდას ცდილობენ. რამდენად წარმოადგენს ეს ღირებულებათა გაბატონებულ სისტემას, როცა მას-მედია, სკოლა თუ ეკლესია ყველასათვის მისაღებ გზავნილით მიმართავს საზოგადოებას, ეს კიდევ საკითხავია.

სოციალური კაპიტალის გაუფასურება?

1990 წლიდან, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა გარდაქმნებმა ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოებში, კვლავ განაახლა ინტერესი პოლიტიკური კულტურის თემის მიმართ. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ სახელმწიფოს მუდმივმა კონტროლმა რამოდენიმე თაობის ცხოვრებაზე, აშკარად მოშალა საზოგადოებრივი ურთიერთობები და დემოკრატიული პროცესებისათვის აუცილებელი, სამოქალაქო პასუხისმგებლობის განცდაც დააჩლუნგა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაჩნდა სამოქალაქო საზოგადოების ხელახლა აშენების გაცნობიერებულ მოთხოვნილება — ბიზნესის, ინტერეს-ჯგუფების, კლუბებისა და სხვა დამოუკიდებელი ჯგუფებისა თუ ასოციაციების სახით. ამგვარი იდეებისა და მოთხოვნილებების კვალს ალექსის დე ტოკვილთან მივყავართ რომელმაც XIX საუკ. ამერიკული ევალიტარული ინსტიტუტებისა და დემოკრატიული ურთიერთობების სათავედ თანამონაწილეობისა და სამოქალაქო გაერთიანებისაკენ ამერიკელთა ფესვგამდგარი მიდრეკილება მიიჩნია. სხვათა შორის, როგორც კი პოსტ-კომუნისტურ საზოგადოებებში პოლიტიკური კულტურისადმი ინტერესი გაჩნდა, ბევრმა პრობლემამ მყარ დემოკრატიების ქვეყნებშიც იჩინა თავი — თანაც, ახალი კუთხით.

რობერტ პატნემი (1993) მაგალითად, ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი მმართველობის განსხვავებული ხარისხი იტალიის სხვადასხვა რეგიონში, სამოქალაქო თანამონაწილეობის ტრადიციის არსებობითა თუ არარსებობით იყო გამოწვეული — იქნებოდა ეს ამომრჩევლთა მეტ-ნაკლები აქტიუობა, პრესისადმი განსხვავებული ინტერესი, საფეხბურთო გულშემატკივრობისა თუ სიმღერის სხვადასხვა სტილისადმი მიდრეკილება. პატნემმა ყურადღება მიაქცია "სოციალური კაპიტალის" გაუფასურებას ამერიკის შვერთებულ შტატებში და ამტკიცებდა, ეს ტენდენცია სხვა ინდუსტრიული სახელმწიფოებისთვისაც გარდაუვალიაო. მისი აზრით, "პოსტ-მოქალაქეობრივ" თაობის გაჩენაც სწორედ ამის გამოხატულება იყო — ათასწიერი კლუბებისა და ასოციაციების წევრთა რაოდენობის 25-50% კლება 1965 წ. შემდეგ. ასევე იკლო მონალისეთა რიცხვმა საჯარო საქალაქო თუ სასკოლო შეკრებებზე, ისევე როგორც პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანებულ თუ მათი დამხმარე მონალისეთა რაოდენობამ. იმავე პატნემის აზრით, რომელსაც *კომუნტარიანიზმის* ალალი გავლენა ატყუებდა, სოციალური კაპიტალიზმის გაუფასურებას რამდენიმე მიზეზი აქვს: ქალაქების ზრდა და ყოველდღიურ სამსახურში მისასვლელად გაზრდილი მანძილი იმგვარი ოჯახების მატება, სადაც ორივე მშობელი მუშაობს — რაც ბავშვებთან ურთიერთობებზე აისახება; ტელევიზიის ტენდენცია, მთლიანად დაიპყროს ადამიანების თავისუფალი დრო, თავის თარგზე მოჭრას საზოგადოებრივი აზრი, სწავლა-განათლებისათვის ნაკლები დრო დაუტოვებს ბავშვებს. თუმცა საპირისპირო, ვთქვათ, სოციალ-დემოკრატიული გადასახლება, სამოქალაქო აქტიურობის კლება სამომხმარებლო კაპიტალიზმის ტრიუმფითა და მატერიალისტური და ინდივიდუალისტური ფასეულობების საყოველთაო გავრცელებით აიხსნება.

რაც შეეხება კონსერვატორებს, ისინი კარგა ხანია ჯიუტად იცავენ საკუთარ შეხედულებას სოციალურ კაპიტალზე, რომელიც მათთვის

რობერტ პატენმი (დაიბ. 1940).

ამერიკელი პოლიტოლოგი და მიმომხილველი. პატენმიამ გამოაცოცხლა ინტერესი პოლიტიკური კულტურის მიმართ და ყურადღება "სოციალურ კაპიტალზე" გაამახვილა: ანუ თანამშრომლობისა და ნდობის იმ დონეზე საზოგადოებაში, რამაც ცალკეული "შე — კრებით "ჩვენ"-ად უნდა აქციოს. თავის ცნობილ ნაშრომში "მარტოკაცი სუფრასთან: ამერიკული საზოგადოების ნგრევა და აღორძინება" (2000) პატენმი გამოიყენებს ცალკე — თანამეინახეების გარეშე — მოქიფვე

კაცის სიმბოლოს, როგორც ამერიკულ საზოგადოებაში პოლიტიკური აქტიურობისა და საზოგადოებრივი თანაცხოვრების შესუსტების მაგალითს. მოქალაქეთა პოლიტიკური "გაზარმაკების" მიზეზთა შორის კი ტელევიზორზე მიჯაჭვას, ოჯახური კავშირების შესუსტებასა და საცხოვრებელი ადგილის ხშირ ცვლას ასახელებს.



ტრადიციის კერძოდ კი "ტრადიციული ღირებულებების" ფორმითაა გამოხატული. ესაა ის ღირებულებები და რწმენა, რაც საუარაუდოდ, თაობიდან თაობას გადმოეცა და შესაბამისად, კულტურის ერთგვარ ქვაკუთხედად იქცა. კონსერვატორი პოლიტიკოსები მუდმივად მოუწოდებენ ამ ღირებულებების "განმტკიცებისა" და "დაცვისაკენ", რამდენადაც სწორედ მათში ხედავენ საზოგადოებრივი თანხმობისა და პოლიტიკური სტაბილურობის ამოსავალს. ასე მაგალითად, XX საუკ. 80-იანი წწ. დიდ ბრიტანეთში, მარგრიტ ტეთჩერი მოსახლეობას ე.წ. "ვიქტორიანული ღირებულებების" აღდგენისაკენ მოუწოდებდა, ხოლო ჯონ მეიჯორის იმ დროის წარუმატებელი, ე.წ. "საფუძვლებისკენ დაბრუნების" ინიციატივა უკვე 90-იან წლებში ისახავდა იგივე მიზანს. შეერთებულ შტატებში რონალდ რიგანმა "ახალმოსახლეთა იდეოლოგია" აიტაცა, რაც ამერიკული დასავლეთის ათვისებას, თვით-დამკვიდრებას, მუყაით შრომასა და თავგადასავლების მაძიებელთა სულს

სოციალური კაპიტალი

კულტურული და მორალური ფაქტორების ის ერთობლიობა, რაც დოვლათის წარმოქმნას უწყობს ხელს. 70-იანი წებიდან მოიხმარება სამოქალაქო აქტიურობის უზრუნველმყოფი კავშირების, ნორმებისა საზოგადოებაში ურთიერთნდობის აღსანიშნავად და ამგვარად, ჯანსაღი საზოგადოებისა და გონივრული მართვის წინაპირობაა. ეკონომიკური კაპიტალის მსგავსად, ისიც შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს, როგორც წესი, განათლების დონისა თუ მოქალაქეობრივი აქტიურობის შესაბამისად. თანამედროვე საზოგადოებებში სოციალური კაპიტალის შედარებით კლებას ხშირად გულგრილობას, ინდივიდუალიზმის მოჭარბებასა და სამეზობლოსა თუ სამეგობროს ხშირ ცვლას უკავშირებენ. ამ ცნების კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ სოციალური კაპიტალი დემოკრატიული მმართველობის შედეგი უფროა, ვიდრე მისი წინაპირობა, და იმაზეც მიათითებენ, რომ იგი არ ითვალისწინებს ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელობას სამოქალაქო თვითშეგნების ჩამოყალიბებაში.

მაიკლ ოკშოტი (1901-90)



ბრიტანელი პოლიტიკის თეორეტიკოსი. 1951 წლიდან 1968 წლამდე "ლონდონის ეკონომიკის სკოლაში" ასწავლიდა პოლიტოლოგიას. კონსერვატიულ ტრადიციონალიზმში ოკშოტის მიერ შეტანილ უდიდეს წვლილად მიიჩნევა მისი თხზულებათა კრებული "რაციონალიზმი პოლიტიკაში და სხვა ესეებში" (1962) და შედარებით უფრო სისტემური ნაშრომი პოლიტიკურ ფილოსოფიაში — "ადამიანურ

ურთიერთობათა თაობაზე" (1975). ოკშოტი ხაზს უსვამდა სამოქალაქო ერთიანობის მნიშვნელობას და პოლიტიკის სფეროს მკაცრ დასაზღვრას მოითხოვდა. ლიბერალი და პოლიტიკისადმი არაიდეოლოგიური მიდგომის მომხრე ოკშოტის იდეების გავლენა ახალი მემარჯვენეობის არაერთ წარმომადგენელს ეტყობა.

გამოხატა. ძალზე ხშირად, მსგავსი ღირებულებები უშუალოდ ოჯახის, ეკლესიის და თავად ერის ცნებებს უკავშირდება — ანუ, იმ დროით გამოცდილ ინსტიტუტებს, რომლებიც, სავარაუდოდ, სიმტკიცისა და მარადიულობის ღირებულებებს განასახიერებენ.

თავის ესეიში "პოლიტიკის რაციონალიზმში (1962) მაიკლ ოკშოტმა კიდევ უფრო უკეთ დაასაბუთა ტრადიციის უწყვეტობისა და "მარადიული ღირებულებების" ერთგულების აუცილებლობა. მისი გაგებით, ადამიანი ზოგადად ტრადიციას უფრო ენდობა, ვიდრე სიახლეს, და უჩვეულოს

პოსტმატერიალიზმი

ესაა თეორია, რომელიც პოლიტიკური შეხედულებებისა და ღირებულებების რაობას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კუთხით განიხილავს. გარკვეულწილად ის ემყარება ებრაჰამ მასლოუსეულ (1908-70) "მოთხოვნათა იერარქიას", სადაც თავის მხრივ, დაფასებასა და თვითდამკვიდრებას მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მატერიალურ და ეკონომიკურ მოთხოვნილებებს. პოსტმატერიალიზმის თანახმად, მატერიალური დაუკმაყოფილებლობა ეგოიზმისა და მომხვეჭელობის ხელშემწყობი პირობაა, და პოლიტიკაშიც უმთავრესი — სწორედ ეკონომიკური საკითხები ხდება. ხოლო საყოველთაო კეთილდღეობის პირობებში ადამიანები უკვე მეტ ინტერესს იჩენენ "პოსტმატერიალურ" თუ "არაყოფით" საკითხების მიმართ. სწორედ ამგვარ საკითხთა შორის მოიაზრება ზნეობრიობაზე, პოლიტიკურ სამართლიანობასა და პიროვნულ სრულყოფაზე ზრუნვა; რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ პრობლემებზე, როგორცაა ფემინიზმი, მსოფლიო მშვიდობა, რასობრივი ჰარმონია, ეკოლოგიისა თუ ცხოველთა უფლებების დაცვა. ხშირად პოსტმატერიალიზმით ხსნიან ისეთ ფაქტებსაც, როგორც ვთქვათ, კლასთა შორის დაზავება თუ ახალ-ახალი საზოგადოებრივი მოძრაობების მომრავლება.

შეჩვეული ურჩევნია. ოპოტიის აზრით, კონსერვატიულობა ნიშნავს "უცნობს ნაცნობი ამჯობინო, გამოუცდელს — ნაცადი, იდუმაღს — ცხადი, სავარაუდოს — ნადდი, უსახვდროს — განსახვდრული და ა.შ., დაუსრულებლად".

ტრადიციულ ღირებულებებსა და ძვალ-რბილში გამჯდარ რწმენათა დაცვა ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო ნეოკონ-სერვატიზმის-თვისაც, რომელსაც შტატებში ისეთმა თორეტი-კოსებმა ჩაუყარეს საფუძველი, როგორებიც დენიელ ბელი და ირვინგ კრისტოლი გახლდათ. თავიანთ ნაშრომებში ისინი საზოგადოებას აფრთხილებდნენ, რომ სულიერ ღირებულებებს დამანგრეველი საფრთხე ემუქეროდა როგორც საბაზრო წესის, ასევე "თავის ნებაზე" მიშვების მზარდი ტენდენციის სახით. თუმცა ამ პოზიციასაც ახასიათებს სერიოზული ნაკლი - რამდენადაც ამოსავალ წერტილად ის ავტორიტეტული ზნეობრივი სისტემა მიაჩნია, რომელსაც, ნეოკონსერვატორთა აზრით, უნდა ეფუძნებოდა წესრიგისა და სტაბილურობაც. მარტვი ფაქტია: თანამედროვე მრავალკულტურულ და მრავალრელიგიურ საზოგადოებებში საეჭვოა, ღირებულებათა რომელიმე სისტემა ვეულებასთვის ერთნაირად ავტორიტეტულად ჩაითვალოს. ესა თუ ის ღირებულება "ტრადიციულად", "ძირძველად" ანუ — "საყოველთაოდ" რომ უდიდროთ, ამისათვის უბრალოდ რომელიმე ზნეობრივი სისტემის მთელს საზოგადოებაზე ხელოვნურად მორგება მოგვიწევს. ემპირიული გამოცდილება კი იმ მოსაზრებას ამტკიცებს, რომ პოლიტიკური კულტურა სულ უფრო დანაწევრებული ხდება და დღეებში საზოგადოებებსაც მზარდი ზნეობრივი და კულტურული მრავალფეროვნება ახასიათებს.

სოციალურ კაპიტალზე დაუკამათისას, საპირისპირო შეხედულებაც იკვეთება, რომლის თანახმად არა სამოქალაქო თანამონაწილეობის გაუფასურება მოხდა, არამედ მისი ფორმები შეიცვალა მხოლოდ. მაგალითად, ინგლჰარტის აზრით, მსგავსი ცვლილებები "კეთილდღეობის საზოგადოებასა" და "პოსტ-მატერიალურ" ინტერესების გაკლენის ზრდას უკავშირდება — განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. ახალი თაობები XX საუკ. 60-იანი წწ. მდგრადი ღირებულებების განვითარებულ, ინდუსტრიულ ქვეყნებში გაიზარდნენ — ეკონომიკური უზრუნველყოფის პირობებში და მათთვის "ტრადიციულ" იდეები ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორიცაა სექსი, რელიგია "თამამა" იდეებმა ჩაანაცვლა. ამავე დროს, შესუსტდა ტრადიციული კულტურული კავშირ-ურთიერთობები და ხშირ შემთხვევაში, მათი ადგილი ახალი საკითხებისადმი გაზრდილმა ინტერესმა დაიკავა, როგორიცაა ფემინიზმი, ბირთვული განიარაღება, ცხოველების თუ გარემოს დაცვა და ა.შ.. უფრო გამომდინარე, იქნებ იკლო კიდევ პარტიებში გაწევრიანებისა და მნიშვნელობაში მონაწილეობის მსურველთა რიცხვმა, მაგრამ გაიზარდა კონკრეტული საკითხებისადმი საპროტესტო გამოსვლების მოსურნეთა რაოდენობა. უფრო ღირებულების თორეტიკოსთა მტკიცებით, მსგავსი კულტურული ცვლილებები შეუქცევადია, რამდენადაც იმ მასშტაბურ ეკონომიკურ და კულტურ ორგანიზაციულ ცვლილებებს უკავშირდება, რაც მოწინააღმდეგე და ინდივიდუალური ზნის მატებას განაპირობებს.

თვითგამორკვევის პოლიტიკა და მრავალკულტურულობა

თვითგამორკვევის პოლიტიკის აღზევება

თანამედროვე პოლიტიკის ერთ განმსაზღვრელ ნიშან-თვისებად, საზოგადოებაში კულტურული განსხვავებების მნიშვნელობის აღიარება იქცა, რასაც ხშირად "თვითგამორკვევის" ანდა "სხვადასხვაობის" პოლიტიკასაც უწოდებენ ხოლმე. თუმცა, თავისთავად ამაში ახალი არაფერია: IX თავში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმ კავშირების შესახებ, რაც პოლიტიკასა და ისეთ საზოგადოებრივ განხეთქილებებს შორის არსებობს, როგორებიც კლასობრივი რასობრივი და გენდერული დაპირისპირებებია. ოღონდ ვგაა — თუკი "საზოგადოებრივი განხეთქილება" დაყოფასა და დანაწევრებას გულისხმობს, თუ გვაიძულებს, ესა თუ ის საზოგადოებრივი ჯგუფი ან გაერთიანება თავისთავად მთლიანობად განვიხილოთ, "თვითგამორკვევა" უკვე პიროვნულს საზოგადოებრივთან აკავშირებს და კონკრეტულ ინდივიდს — ამა თუ იმ კულტურულ, სოციალურ, ინსტიტუციურ და იდეოლოგიურ კონტექსტში "აჯენს". თვითგამორკვევა, მეობა — პიროვნული განსაკუთრებულობის განცდას იძლევა, მაგრამ ამავე დროს იმაზეც მიანიშნებს, რომ ადამიანების თვითშეფასება იმ საზოგადოებრივი თუ სხვა სახის ურთიერთობების ანარეკლია, რაც მათ სხვათაგან გამოარჩევს. "მეობა" შესაძლოა რამდენიმე შრეს გულისხმობდეს (ანუ — ისეთ ფაქტორებს ემყარებოდეს, როგორებიცაა სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, რელიგიური რწმუნა, მოქალაქეობა და ა.შ.) და განსაკუთრებით, დასავლურ საზოგადოებებში, მას სულ უფრო და უფრო მეტად განსაზღვრავს არჩევანის შესაძლებლობა. ე.ი. — პოლიტიკური აქტიუობა განაპირობებს ცხოვრების სტილის არჩევანს და მაინც, ნებისმიერად გაგებული ეს "მეობა" მაინც განსხვავებას გულისხმობს: სწორედ განსხვავების აღიარება ამაფერებს ჩვენი მეობის განცდას. ამგვარმა აზროვნებამ მიგვიყვანა ე.წ. "აღიარების პოლიტიკამდე", რომლის თავი და თავი მეობის სრული და კანონიერი ცნობაა, და განსხვავება არა მარტო მისაღებად, არამედ მისასაღებლადაც კი მიიჩნევა. ამ თვალსაზრისით თვითგამორკვევის პოლიტიკა უნივერსალიზმიდან, ასე ვთქვათ, პარტიკულარიზმისკენ გადახრის გამოვლინებაა.

უნივერსალიზმი: თურია, რომლის მიხედვითაც არსებობს ადამიანთა მეობის განმსაზღვრელი ზოგადი საწყისი, რომელიც ყველასათვის ერთია.


პარტიკულარიზმი: თურია, რომლის თანახმად, მეობა კერძო და არა ზოგად მახასიათებლებშია ფესვგადგმული. აღნიშნულ თურიაში ისეთი ფაქტორებს ესმება ხაზი, როგორებიცაა წარმომავლობა, კულტურა და ეთნიკურობა

თვითგამორკვევის პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული მრავალკულტურულობის იდეების საფუძველი II მსოფლიო ომის შემდგომ ევროპული იმპერიების რღვევის პერიოდში გაჩენილმა პოსტ-კოლონიურმა თეორიებმა მოამზადა. მათი მნიშვნელობა კი ის გახლდათ, რომ იმპერიულ მმართველობისთვის დამახასიათებელი კულტურული განსხვავებების აღმოფხვრასა და არადასავლური, ხშირად კი ანტი-დასავლური პოლიტიკური იდეებისა და ტრადიციების დანერგვას ისახავდა მიზნად. ამ პაგალითად, ფრანც ფანონი (1926-61), მარტინიკაში დაბადებული ფრანგ რევოლუციონერ-თეორეტიკოსი, კოლონიური ჩაგვრის ფსიქოლოგიურ ანტი-ქტებს გამოყოფდა: მისთვის დეკოლონიზაცია უბრალოდ პოლიტიკური პრაქტიკის კი არ იყო, არამედ ადამიანის ახალი "სახეობის" შექმნის ცეცხლი კი არ იყო, არამედ ადამიანის ახალი "სახეობის" შექმნის

ედუარდ საიდი (1935-2003)

იერუსალიმში დაბადებული ამერიკელი მეცნიერი და ლიტერატურის კრიტიკოსი, პალესტინელთა უფლებების დამცველი და პოსტკოლონიური თეორიის შემქმნელი. 1970-იანი წლებში საიდმა დასავლური განმანათლებლობა პუმანისტური პოზიციებიდან გააკრიტიკა — ამტკიცებდა მის კავშირს კოლონიალიზმთან და კულტურულ და იდეოლოგიურ მიკროებულობას, რაკიდა არადასავლურ, "უცხო" ერთობებზე წარმოჩინებით, იგი სხვა ერებს აკნინებდა. საიდის სახელი ხშირად ე.წ. "ორიენტალიზმის", ცნების

შემოტანასთან ასოცირდება, რაც მისი განსაზღვრებით, "არაბი და ზოგადად მაჰმადიანური კულტურებისა და ხალხების მიმართ გამიზნული, თანმიმდევრული ვეროცენტრისტული უარყოფითი დამოკიდებულებით" ხასიათდებოდა. საიდის უმთავრეს ნაშრომებს განეკუთვნება "ორიენტალიზმ" (1978) და "კულტურა და იმპერიალიზმი" (1993).



შესაძლებლობა. მისი მტკიცებით, მხოლოდ ძალადობის "განმწმენდ" გამოცდილებას შეუძლია თურმე, ფსიქო-პოლიტიკურ განახლებამდე მიგვიყვანოს. თავის მხრივ, ედვარდ საიდმა მკაცრად გააკრიტიკა **ვეროცენტრიზმი** და მის საპირწონედ ორიენტალიზმის თავისებური გაგება შემოიტანა. მისი "ორიენტალიზმი" ცდილობს გამოავლინოს, რამდენად ვერცელდება დასავლური კულტურული და პოლიტიკური გავლენა დანარჩენ მსოფლიოზე მხოლოდ იმის წყალობით, რომ სულ ახალ-ახალ სტერეოტიპებს იკონებენ "არადასავლელთა" დასამცირებლად და მათი კულტურის დასაყინებლად. ამის გამოვლინებებია იმგვარი კლიშეები, როგორებიცაა "ამოუხსნელი აღმოსავლეთი", "გაუგებარი ჩინეთი", თუ "ვერაგი თურქი". თვითგამორკვევის პოლიტიკამ ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა შეერთებულ შტატებშიც, სადაც XX საუკ. 60-იან წწ. "შავი ცნობიერების" მოძრაობამ იჩინა თავი. ამ პერიოდში ამერიკელი ზანგური კულტურის აფრიკულ ძირებზე მიუთითებდნენ, როგორც მაგალითად, მარკუს გარვი. ამავე დროს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაჩნდა ეთნიკური ნაციონალიზმის ფორმით გამოვლენილი პოლიტიკური ჯგუფები, რაზეც უკვე ვისაუბრეთ VIII თავში, ეთნიკური პოლიტიკის გააქტიურებასთან დაკავშირებით.

და მაინც, თვითგამორკვევის პოლიტიკისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბების ზრდას ჰქონდა XX საუკ. 50-იანი წლებიდან. ამ პროცესის შედეგად, სულ უფრო და უფრო მეტმა საზოგადოებამ შეიძინა ამკარად მრავალკულტურული ხასიათი და იმგვარი უადრესად ერთგვაროვანი სახელმწიფოები, როგორიცაა ეთიოპია, იაპონია, გამონაკლისებად აქცია. იმპერიების რღვევამ და ხელისუფლებების მცდელობამ, იათი უცხოელი მუშახელი ეშვავთ, ევროპის ბევრ ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობების მთელი ანკლავები შექმნა. დიდ ბრიტანეთს, მაგალითად, ემიგრანტები ძირითადად, უესტ-ინდოეთისა და სამხრეთ აზიის ფოფილი კოლონიებიდან მიაწყდნენ. რაც შეეხება საფრანგეთს, აქ ალჟირელები, მაროკოელები და ტუნისელები ჭარბობდნენ. დასვლეთ გერმანიაში, ჩვეულებრივ, ე.წ. "გასტროლიორ" მუშებს ქირაობდნენ —

ვეროცენტრიზმი:

კულტურის თვალსაზრისით მიკრობული მიდგომა, რომლის თანახმადაც ვეროცენტრული თუ ზოგადად, დასავლური იდეები, ფასეულობები და დოქტრინები იმთავითვე "ჭეშმარიტად" მიიჩნევა.

ზე-ეროვნული საზოგადოება

ესაა საზოგადოება, რომლის კულტურული თვითმყოფადობა, პოლიტიკურა მიკუთვნებულობა და ფსიქოლოგიური განწყობა ვერ ეტყევა და არ "ცნობს" სახელმწიფო საზღვრებს. იგი ნაციონალიზმის ცნების პირდაპირი ანტიპოდი და მისთვის უცხოა პოლიტიკურ-კულტურული მეობის გარკვეულ ტერიტორიაზე, ანუ "სამშობლოზე" მიბმა. შესაბამისად, ამ ტიპის საზოგადოება შეიძლება "უმიწაწყო ერაღ", ან "შსოფლიო მოდგმაღ" მონათლოს. თუმცადა, ყველა დიასპორა ზე-ეროვნულ ერთობად ვერ ჩაითვლება, რამდენადაც დიასპორას წევრები ზშირად ინარჩუნებენ "შშობელს" ქვეყნის ერთგულებას და არა მარტო აინტერესებთ, აქტიურადაც მონაწილეობენ იქაურ პოლიტიკურ მოვლენებში. ამგვარი ერთგულება კი როგორც მიგრაციის გამომწვევ მიზეზებზე, ასევე ახალ ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული. თუმცა, ზე-ეროვნულ ერთობებს, როგორც წესი, გაორებული დამოკიდებულება ახასიათებთ როგორც ძველ, ასევე ახალი სამშობლოს მიმართ — რაც ზშირად ორმაგი მოქალაქეობის სტატუსის მიღებით გამოიხატება.

თურქეთიდან და იუგოსლავიიდან. XX საუკ. 70-იანი წლებიდან ა.შ.შ.-საც მიაწყდა იმიგრანტთა ტალღა მექსიკიდან და ლათ. ამერიკის სხვა ქვეყნებიდან.

თუ ეს პროცესი დღევანდელი ტემპით გაგრძელდა, 2050 წლისათვის ამერიკის შერეული შტატების მოსახლეობის თითქმის 1/4 "ლათინოსებ" (ესპანურენოვანი) იქნებიან.

გასული საუკ. 80-იანი წწ. მიგრაციულმა პროცესებმა ლამის მთელ მსოფლიო მოიცვა და ე.წ. ზე-მობილური სამყაროს სურათი დაგვიხატა. ამას ორი მთავარი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, კომუნიზმის კრაზი აღმოსავლურ ევროპაში 1989-91წწ. და ომებს, ეთნიკურ კონფლიქტებსა და პოლიტიკურ კატაკლიზმებს გამოიხიზნული ხალხის რაოდენობა ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა ალჟირი, უგანდა, რუანდა, ბანგლადეში და ავღანეთი (პიკს კი 1993წ. მიადწია, როცა ლტოლვილების რაოდენობამ 18 მილიონს გადააჭარბა). მეორეც, ეკონომიკურმა გლობალიზაციამ საერთაშორისო მიგრაციის ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა — გაჩნდა მოთხოვნილება დაბალანაზღაურებად, გაუნაფავ უცხოელ მუშახელზე, რომელიც ამ სამუშაოს ასრულებდა, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა თაკილობდა ხოლმე.

მრავალკულტურულობის გამოვლინებები

დღეს უკვე ბევრი სახელმწიფო აღიარებს საკუთარი მოსახლეობის ეთნიკურ, რელიგიურ თუ კულტურულ სიჭრელეს და შესაბამისად, ცდობს ეს სიჭრელე სამოქალაქო და პოლიტიკური თანხმობის ფარგლებში მოაქციოს. არადა, როგორ გინდა პოლიტიკურ სტაბილურობას მიაღწიო იმგვარ საზოგადოებებში, სადაც პოლიტიკური ნაციონალიზმის მონოკულტურულ საყრდენებს ექმნება საფრთხე? ბევრისთვის ეს მართლაც XXI საუკუნითაურეს პოლიტიკურ თვსატენად იქცა. სიჭრელისა და თანხმობის გაწონასწორების მცდელობა, ჩვეულებრივ, მრავალკულტურულობის წახალისების ფორმას იღებს, ეს მრავალკულტურულობა კი ძალზე ფართო და ხშირად არასწორად ხმარებული ცნებაა, რაც შესაძლოა ბევრი დღევანდელი საზოგადოებისთვის დამახასიათებელ, მხოლოდ კულტურულ სხვადასხვაობას უსვამდეს ხაზს. წესით კი, იგი არამართო ცნობს კულტურული მრავალსახეობის არსებობას, არამედ პატივისცემასა და საჯაროდ აღიარებასაც მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შერთებული შტატები, როგორც იმიგრანტთა საზოგადოება, უკვე დიდი ხანია მრავალკულტურულია, ამ ცნების შემოთქმული შინაარსით დატვირთვა მაინც არ ხდებოდა 60-იანი წწ. "შვიი ცნობიერების" გააქტიურებამდე და ე.წ. "შემობრუნების" ტალღის გაჩენამდე. 70-იანი წწ. ავსტრალია დაუფარავად დაადგა მრავალკულტურულობის გზას — საკუთარ ქვეყანაში აზიური ელემენტის მომძლეურების პასუხად. ახალ ზელანდიაში ოფიციალური მრავალკულტურულობა ეროვნულ თვითმყოფადობაში მართა აბორიგენული კულტურის წვლილის აღიარებამ განაპირობა. კანადაში ფრანგულენოვანი კვებეკისა და დანარჩენი ინგლისურენოვანი მოსახლეობის კულტურათა "დაზავებით" მრავალკულტურულობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი შეიქმნა და ამას დაემატა ადგილობრივ ესკიმოსთა უფლებების საყოველთაო აღიარებაც. დიდ ბრიტანეთში აღარავინ კამათობს მრავალრიცხოვანი ზანგურ-აზიური სამოსახლეობის უფლებებზე და არც აღარავინ ითხოვს მათ ასიმილირებას ძირძველ მოსახლეობასთან. იგივე ხდება გერმანიაში — თურქული წარმომავლობის ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებით.

მრავალკულტურულობის ნებისმიერი გამოვლინებისათვის უმთავრესი — პიროვნული მეობის კულტურული განპირობებულობის საკითხია: ადამიანები, ზოგადად, სამყაროს აღქმისას თუ ზნეობრივი კატეგორიების არჩევისას, იმ კულტურას ერთგულებენ ხოლმე, რომელშიც დაიბადნენ და გაიზარდნენ — შესაბამისად, ყველა კულტურა დაცვასაც და ხელშეწყობასაც ურთნაირად იმსახურებს. ასე და ამგვარად გაჩნდა უმცირესობის უფლებების ცნება, რასაც ხშირად "საგანგებო" უფლებებსაც უწოდებენ ხოლმე. უილ კიმ-ლიკამ (1995) უმცირესობების უფლებათა სამი ტიპი გამოყო: თვითმმართველობის უფლება, პოლიეთნიკური უფლებები და წარმომადგენლობითი უფლებები. მისი აზრით, თვითმმართველობის უფლება იმ ეროვნულ უმცირესობებს გააჩნია, ვინც ტერიტორიულად მჭიდროდა დასახლებული, ერთ ქნაზე საუბრობს და საზოგადოებრივი აქტივობის ნებისმიერ სფეროში, ასე უთქვავთ, "საკუთარი ხელწერა" გამოარჩევს. ამის მაგალითებად გამოდგებიან

ღიასპორა: (ებრ.) — გაბნევა, რაც — ზალხის ძალით გადასახლებას, გაფანტვას ნიშნავს. თუცა, დღესდღეობით ეს ტერმინი იმ მიგრანტ საზოგადოებებთან მიმართებაშიც გამოიყენება, რომელნიც ამ პროცესის შედეგად წარმოიშვნენ.

"შემობრუნების" ტალღა:

პირუკუ, ანუ "დადებითი დისკრიმინაცია", როცა უწინ ჩაკრულ ჯგუფებს, სხვებთან შედარებით, მეტი ყურადღება ექცევათ.

ასიმილაცია: პროცესი, რომლის დროსაც იმიგრანტი საზოგადოება "მასპინძელ" საზოგადოების ფასეულობებთან და ცხოვრების წესთან შეწყობით და მისდამი ლოიალობით, საკუთარ კულტურულ თვითმყოფადობას კარგავს.

მრავალკულტურულობა

ეს ცნება როგორც ნორმატიული, ასევე აღწერითი გაგებითაც გამოიყენება. როგორც აღწერითი, იგი იმგვარ კულტურულ მრავალფეროვნებას გულისხმობს, რაც საზოგადოების შიგნით ორი ან ორზე მეტი, განსხვავებული წესჩვეულებისა და მრწამსის მქონე ჯგუფის არსებობისას წარმოიშობა, და ასევე განსხვავებულ, კოლექტიური თვითშეგნების განცდას აჩენს. როგორც ნორმატიული ცნება, მრავალკულტურულობა საზოგადოებაში მრავალფეროვნების დადებით აღქმას გულისხმობს, და ამა თუ იმ ჯგუფის თვითმყოფადობის უფლებას აღიარებს, ანუ უფლებას, იქონიოს საკუთარი, სხვისაგან განსხვავებული ზნეობრივი, ქცევითი თუ კულტურული ფასეულობანი. ამ დებულების კრიტიკოსების მტკიცებით, მრავალკულტურული საზოგადოებები იმთავითვე კონფლიქტებისა და არასტაბილურობისათვის არიან განწირულნი, ხოლო მის ნორმატიულ გაგებაში მხოლოდ პოლიტიკორექტულობის გამოვლინებას ხედავენ.

ამერიკელი ინდიელები, კანადელი ესკიმოსები, ახალზელანდიელი მაორები და ავსტრალიელი აბორიგენები. ამ შემთხვევებში, კიმილიკას თქმით, "მათ არა მხოლოდ ფედერალურ მოწყობაზე, ვინძლო ცალკე, დამოუკიდებელ ქვეყნად დაფუძნებაზეც კი არ უნდა ეთქვათ უარბ. რაც შეეხება პოლიეტიკურ უფლებებს, ისინი იმიგრანტთა ეთნიკურ ჯგუფებსა და რელიგიურ უმცირესობებს საკუთარი კულტურული გამორჩეულობის გამოხატვასა და შენარჩუნებაში ეხმარებიან; სწორედ მათი წყალობით შეუძლიათ, მაგალითად, ებრაელებსა და მაჰმადიანებს, დაიცვან საქონლის დაკვლის საკუთარი წესები, სიქხებმა — უჩაფხუტოდ მართონ მოტოციკლეტი, მაჰმადიანმა გოგონებმა კი არ ჩაიცვან სასკოლო ფორმა. საგანგებო წარმომადგენლობითი უფლებები იქითაა მიმართული, რომ უმცირესობის წარმომადგენლებსა თუ ხეობრებს სრულყოფილი განათლებისა და საპასუხისმგებლო თანამდებობების დაკავება შეეძლოს. სწორედ ესაა ამერიკული "შემობრუნების" პრინციპი, როცა ე.წ. პოზიტიური, ანუ, ამ შემთხვევაში, უკუდისკრიმინაციით, ადრინდელი ჩაგვრისა თუ კულტურული უუფლებობის კომპენსირება ხდება. ამ უფლებების დაცვის შედეგად, არა მარტო სრული და თანასწორი თანამონაწილეობა მიიღწევა, არამედ სწორედ ისინი უზრუნველყოფენ საჯარო პოლიტიკაში ნებისმიერი ჯგუფისა თუ ადამიანის, და არა მხოლოდ ტრადიციულად დაწინაურებულების, ინტერესთა გათვალისწინებას.

მრავალკულტურულობის 3 ძირითადი მოდელი არსებობს:

- < ლიბერალური
- < პლურალისტური
- < კოსმოპოლიტური

ლიბერალური მრავალკულტურულობა თავისუფლებისა და შემწყნარებლობის პრინციპის აღიარებას ემყარება: ზნეობრივი მრწამსის, კულტურული ფასეულობებისა და ცხოვრების სტილის არჩევის თავისუფლებას — მიუხედავად იმისა, იზიარებენ ამ არჩევანს სხვები თუ არა. იგივე კიმილიკა, მაგალითად, ლიბერალზმისა და მრავალკულტურულობის მორიგებას ცდილობდა და სწორედ მას ეკუთვნის მრავალკულტურული მოქალაქეობის იდეა, რასაც საფუძვლად ის შეხედულება უდევს, რომ ნებისმიერი კულტურა თავისთავად ფასეული და თვალსაჩინოა. თუმცა, მრავალკულტურულობის ლიბერალურ მოდელს ისეთი ჭრელი თანა-ცხოვრების პრინციპი შემოაქვს, რაც თავისთავად ააშკარავებს იმ საფრთხეებს, რაც შეიძლება თვითგამორკვევის პოლიტიკას ახასიათებდეს. ჯერ ერთი, ამ მოდელისათვის შემწყნარებლობაა უმთავრესი, რაც შენთვის მიუღებელი აზრის მოთმენას გულისხმობს. ლიბერალებისათვის ეს საუკეთესო საშუალებაა საკუთარი თვალსაზრისის სისწორის საპირისპირო მოსაზრებებით შესამოწმებლად; მაგრამ შემწყნარებლობა შეუძლებელია ცალმხრივი იყოს — ანუ ის ვერ იარსებებს ზოგადად პიროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარეშე. ამავე დროს, შესაძლოა ლიბერალური მრავალკულტურულობა მანინცადამანინც ვერ შეწყვიტოს ზოგიერთ ჯგუფშიფართოდ გავცელებულ და კულტურული თვით-მყოფადობის დამადასტურებელ იმგვარ ადათებს, როგორიცაა გარიგებითა თუ მაჭანკლობით ქორწინების, ანდა ქალებისთვის მკაცრად დადგენილი ჩაცმულობის პრაქტიკა.

ისაია ბერლინი (1909-97)

ბრიტანელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი. ბერლინი ლატვიანში, რიგაში დაიბადა და ინგლისში 1921 წელს გადასახლდა. იგი ლიბერალური პლურალიზმის იმეგარი ნაირსახეობის ფუძემდებლად ითვლება, რაც ეპიზოდიზმის ურყევ რწმენას ემყარებოდა და განმანათლებლობის მოწინააღმდეგე ბანაკის ისეთი მოაზროვნების იდეებით იყო ნასაზრდოები, როგორებიც უნდატიცა ვიკო (1668-1744), ჰერდერი (იხ. გვ. 111) და ალექსანდრე გერცენი (1812-70) იყვნენ. ბერლინის ფილოსოფიური მრწამსის ძირითადი მახასიათებელია ზნეობრივი პლურალიზმი და ის საზრისი, რომ

ღირებულებათა გადაფასება ადამიანური ყოფის ბუნებრივი თანამდევია. მის ყველაზე ცნობილ პოლიტიკურ ნაშრომში — "ოთხი ესეი თავისუფლების თაობაზე" (1958), მიმოხილულია ე.წ. "უარყოფითი" თავისუფლების უპირატესობა "დადებით" თავისუფლებასთან შედარებით. ბერლინის ნაშრომები დასავლური ლიბერალიზმის ტოტალიტარიზმისაგან დაცვის ერთგვარი მცდელობაცაა.



მეორეც, ლიბერალები მკვეთრად მიჯნავენ ერთმანეთისაგან პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებას — პირველი თავისუფლების იმ სფეროდ მიაჩნიათ, სადაც ადამიანებმა მაქსიმალურად უნდა მოახერხონ საკუთარი ენის, რელიგიისა თუ კულტურული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნება, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე თანაზიარი სამოქალაქო ვალდებულებანი უნდა ბატონობდნენ. აქედან გამომდინარე, მრავალკულტურურობის ეს ფორმა ერთგვარ **სამოქალაქო ნაციონალიზმადაც** გვევლინება ხოლმე. მოქალაქეობა შესაძლოა "დიფერენცირებულ" აღმოჩნდეს, იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სამოქალაქო ვალდებულებებსაც უწევდეს ანგარიშს, და ამა თუ იმ კერძო ჯგუფისა თუ ტრადიციის კულტურულ მემკვიდრეობასაც ინარჩუნებდეს. საფრანგეთისთვის დამახასიათებელ აშკარად "რესპუბლიკურ" მრავალკულტურულობაში ეს სკოლებში ჩადრით სიარულის კრძალვაში გამოვლინდა, 2003 წლის შემდეგ კი ფრანგულ სკოლებში საერთოდ აიკრძალა ხაზგასმულად რელიგიური აქსესუარების ტარება, თუმცა სკოლის გარეთ მსგავსი აკრძალვები არ ვრცელდება. და მესამე: ლიბერალური მრავალკულტურურობის მომხრეები ერთადერთ კანონიერ პოლიტიკურ სისტემად ლიბერალურ დემოკრატias მიიჩნევენ და მასში ხედავენ პიროვნული თავისუფლებისა და შემქმნარებლობის ერთადერთ გარანტიას. ამიტომ, ცხადია, ისინი ვერანაირად ვერ გაიზიარებდნენ, ვთქვათ, შარიათის კანონებზე დაფუძნებული ისლამური სახელმწიფოს დაარსებისაკენ მოწოდებებს და ალბათ, აკრძალვადნენ კიდევ ამგვარი მიზნის მქონე ნებისმიერი ჯგუფისა თუ ჰოდრაობის საქმიანობას.

პლურალისტური მრავალკულტურულობა მრავალფეროვნების თეორიის კიდევ უფრო მყარ წინაპირობებს მოითხოვს, რამდენადაც **ღირებულებათა პლურალიზმის** იდეას ეფუძნება. ეს თეორია, რომელიც ძირითადად ისაია ბერლინის ნაშრომებიდან იღებს სათავეს, იმთავითვე გულისხმობს ადამიანთა განსხვავებულ შეხედულებებს საკუთრივ ცხოვრების

სამოქალაქო

ნაციონალიზმი:

ნაციონალიზმის ფორმა, რომელიც ეროვნების მიუხედავად, ქვეყნის მოქალაქეობის საერთო განცდას ეფუძნება და კულტურული ერთგვაროვნების ნაცვლად, გამაერთიანებელ პრინციპად პოლიტიკური ღირებულებები გაუხდია.

კოსმოპოლიტიზმი

პირდაპირი გაგებით — კოსმოპოლისის, ანუ ერთიან „მსოფლიო სახელმწიფოს“ შექმნის სურვილი — რაც, თავის მხრივ, ეროვნული ნიშან-თვისებების წაშლასა და მთელი კაცობრიობის გამაერთიანებელი, საერთო-პოლიტიკური ერთობის ჩამოყალიბებას გულისხმობს. ჩვეულებრივ, ამ ტერმინით ერთა შორის შვეიციის მიდევნის მიზანსაც აღნიშნავენ. XIX საუკ. ე.წ. "მანჩესტერელი ლიბერალები" — რიჩარდ კობდენი და ჯონ ბრაიტი სწორედ კოსმოპოლიტიკური მოსაზრებებით უჭერდნენ მხარს თავისუფალ ვაჭრობას: საერთაშორისო თანხმობისა და ეკონომიკური ურთიერთსარგებლობის გამოიხატოთ იმ პერსპექტივას ხედავდნენ, რაც ომს სრულ უაზრობად გადააქცევდა. კოსმოპოლიტიკური იდეალი მომხიბლავია ზე-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციებისთვისაც, რომლებიც უფრო ერთა შორის თანამშრომლობის წახალისებას ისახავენ მიზნად, ვიდრე თავად ეროვნული სახელმწიფოს სახეცვლილებას.

ღირებულებათა

პლურალიზმი:

თეორია, რომლის მიხედვით, არსებობს "ღირსეული ცხოვრების" არა ერთადერთი სწორი გაგება, არამედ — ბევრი სხვადასხვა, თანაბარუფლებიანი საზრისი.

საზრისთან დაკავშირებით და ღირებულებათა შეჯახება უცილობლად იწვევს ზნეობრივ კონფლიქტებსაც: ამ გაგებით, პიროვნულ თავისუფლებაზე, დემოკრატიაზე და რელიგიური და საერო ცხოვრების გამიჯვნის პრინციპზე აგებული ლიბერალური, ანუ დასავლური მსოფლმხედველობა სრულებითაც არაა შეტად ზნეობრივი, ვიდრე ესა თუ ის საპირისპირო მრწამსი. აქედან გამომდინარე, ჩნდება მრავალკულტურულობის თავისებური ფორმა: ერთგვარი პოლიტიკური გულგრილობა, რომლის ამოსავალიც ყველასთვის თავის ნებაზე ცხოვრების პრინციპია. მაგრამ რამდენადაც ბერლინი ბოლომდე ლიბერალად დარჩა და ღირებულებათა პლურალიზმსაც მხოლოდ პიროვნული თავისუფლების პატივისცემელი საზოგადოების ნიშან-თვისებად მიიჩნედა, მან ვერ მოახერხა ნათლად დაესაბუთებინა, როგორ შეეძლოთ უმტკივნეულო თანაარსებობა ლიბერალურ და არალიბერალურ კულტურულ ფასეულობებს ერთი და იგივე საზოგადოების ფარგლებში. პლურალისტური მრავალკულტურულობის ალტერნატიული საფუძვლები კი ბიკულტურულ ფარგლებში ჩამოაყალიბა (2006) — მისი აზრით, კულტურული მრავალფეროვნება თავისი არსით ადამიანის ბუნებისა და კულტურას შორის მუდმივი შიდა ბრძოლის ანარეკლია. თუმცა ადამიანი ბუნებითი არსებაა, და თავისი სახეობისთვის დამახასიათებელი ფიზიკური და გონებრივი წყობით გამოირჩევა, ამჟამად დროს იგი კულტურულადაც "დაპროგრამებულია" ამ ჯგუფის მიდრეკილებებით, ქცევებითა თუ ცხოვრების წესით, რომელსაც თავად მიეკუთვნება. ადამიანის ბუნების სირთულის ცნობა, ფარეკის აზრით უკვე თავისთავად აღიარების პოლიტიკის საკმარისი საფუძველია. პლურალისტური მრავალკულტურულობის გარდა, არსებობს მისი "პარტიკულარიზტულ" (კუთხური) ფორმაც. ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ თანაარსებობენ სხვადასხვაგვარი ღირებულებები ცხოვრების განსხვავებული წესები და უპირატესი მნიშვნელობა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას ეძლევა, რაც ხშირად რატონდაც იმპერიალიზმთან და რასიზმთან გაიგივებულ დასავლური ღირებულებებისა და წეს-ჩვეულებების უარყოფით აღქმაში ვლინდება ხოლმე.

კოსმოპოლიტიკური მრავალკულტურულობა კულტურულ მრავალფეროვნებასა და თვითგამორკვევის პოლიტიკას კი ცნობს, ოღონდ ერთიცა და მეორეც გარდამავალ ეტაპად მიაჩნია ზოგადი პოლიტიკური პრიორიტეტების გაგებით, მრავალკულტურულობის ეს ფორმა "სიჭრელეს" იმ თვალსაზრისით მიესალმება, რამდენად შეუძლია ერთ კულტურას მეორის გამდიდრება, რამდენად შეუწყობს ხელს თვითგანვითარებას — საკუთარი კულტურის "განხილობისა" და ცხოვრების სტილის არჩევანის მეტი შესაძლებლობით თვალსაზრისით, კულტურა ირეკლავს და ეპასუხება ცვალებად პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გარემოებებს, იგი არაა გაქვევებული და ისტორიულად ჩაკიდებული, როგორც ამას შეიძლება პლურალისტები ან პარტიკულარიზტები ამტკიცებდნენ. ამ გაგებით, საზოგადოება უფრო ყველაფერს გადამხარშავი ქვაბია, და არა დაცალკეებული ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების "კულტურული მოზაიკა". პიროვნების გადასახედვადან, ახალი ახალი კულტურული აღმოჩენები თუ ცხოვრების წესის გამოვლინება მარტო მისაღება, არამედ სასურველიც. ზოგჯერ ეს მოდელი აშკარად უკავშირდება პლურალისტურს და რაღაც დონეზე, ლიბერალურ მრავალკულტურულობაშიც არ "ჯდება" — იგი პრინციპულად ამკვიდრდება.

არაერთგვაროვანი მეობისა და ჰიბრიდულობის იდეებს, რაკიდა კულტურული ფესვების მიუხედავად, ადამიანები ერთ პლანეტაზე ვსახლობთ და მეტ-ნაკლებად, ერთნაირი სატკივარი გვტკივა. აქედან გამომდინარე, მრავალკულტურულობის ეს ბოლო ფორმა კოსმოპოლიტიზმსა და გლობალურ ცნობიერებასთანაა წილნაყარი.

მრავალკულტურულობის ნაკლოვანებანი

ცხადია, მრავალკულტურულობა ყველასათვის ერთნაირად მისაღები არაა. თუკი ზოგს ძალიანაც ახარებს მრავალკულტურული საზოგადოებების ჩამოყალიბება, სხვები ამაში თავისუფლების დაკარგვის, პოლიტიკური არასტაბილურობისა და საზოგადოების გახლეჩის საფრთხეს ხედავენ. მისი უპირველესი მოწინააღმდეგენი კი ლიბერალური ინდივიდუალიზმის დამცველები არიან. ლიბერალიზმისა და მრავალკულტურულობის დაზავების არაერთი მცდელობის მიუხედავად, ინდივიდუალისტები ამტკიცებენ, რომ პიროვნული თვითმყოფადობა არ არსებობს ამა თუ იმ ჯგუფისა თუ საზოგადოების თვითმყოფადობის გარეშე, — და მრავალკულტურულობაც, ისევე როგორც ნაციონალიზმი და რასიზმი, უბრალოდ, კოლექტივიზმის კიდევ ერთი ნაირსახეობაა — მისი ნებისმიერი გამოვლინება კი პიროვნების უფლებებსა და მოთხოვნილებებს საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესებს უქვემდებარებს, რითაც თავისუფლებასა და პიროვნულ განვითარებას უქმნის საფრთხეს. ამარტია სენმა (2006) განსხვავებულ კულტურათა მშვიდობიანი თანარსებობის თავად შესაძლებლობა დააყენა ეჭვქვეშ, ვინაიდან, ადამიანის შუობას ერთი რომელიმე ცალკე სოციალური ჯგუფის წევრობა აყალიბებს და სხვა ჯგუფთან გათქვეფას და მისი უფლებების აღიარება უჭირსო. გარკვეულწილად სენი ამგვარი დაქუცმაცებული ცნობიერების გამოვლინებად მიიჩნევს "ცივილიზაციათა ჯახის" ჰანთინგტონისეულ თეორიასაც. სხვათა შორის, ზოგადად მრავალკულტურულობის მომხრე ლიბერალებსაც კი აღიზიანებთ პლურალისტური და განსაკუთრებით, პარტიკულარისტული მიდგომა, რამდენადაც მასში ანტი-დემოკრატიული და პიროვნების დამთრგუნველი პოლიტიკური იდეების დაკანონების საშუალებას ხედავენ.

თავის მხრივ, კონსერვატორები და ნაციონალისტები ამტკიცებენ, რომ საერთო კულტურა და თანაზიარი ღირებულებები მყარი საზოგადოების აუცილებელი წინაპირობაა — მათი გაგებით, მრავალკულტურულობა ამთავითვე ნაკლოვანია, ვინაიდან ამ პრინციპზე აგებული საზოგადოება უცილობლად დახლეჩილი და კონფლიქტისკენაა მიდრეკილი. ეს შეხედულება კი იქიდან მომდინარეობს, რომ ადამიანები როგორც შეზღუდული და სხვაზე დამოკიდებული არსებები, ბუნებრივად თავის მსგავსთ ეძებენ და ამდენად, განსხვავებულთა მიმართ შიშსა თუ უნდობლობას განიცდიან. შესაბამისად, მრავალკულტურულობა, როგორც "სიჭრელის ერთიანობა" — მითია, ცარიელა ტყუილი, რასაც სოციალური ფსიქოლოგია, მარტევი ფაქტების მუშევრებით, სულ იოლად ააშკარავენს. ამავე პოზიციიდან, იმიგრაცია მკაცრად უნდა შეიზღუდოს და პარტიკულარისტული თვითშეგნების გაძლიერების ნაცვლად, ეროვნული თვითშეგნება უნდა გაძლიერდეს

ჰიბრიდულობა:

სოციალური და კულტურული აღრევის მდგომარეობა. ტერმინის გაჩენა გენეტიკურად განსხვავებული ცხოველებისა და მცენარეების შეჯვარებას უკავშირდება.

გლობალური ცნობიერება:

გლობალური ურთიერთკავშირების გაზარება; როგორც წესი, ზე-ეროვნულ ზნეობრივ პასუხისმგებლობასა და უნივერსალისტურ ეთიკაში აისახება.

10. პოლიტიკური კულტურა, თვითგამორკვევა და ლეგიტიმურობა

ეთნიკური უმცირესობების ასიმილირების ხარჯზე. ხშირად სწორედ მრავალკულტურულობის ნიშნით ხდება მკვიდრი, ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობის გაუცხოება — ვისი კულტურაც, კოლონიალიზმის პირობებში, დაკნინებული იყო და ახლა "განსაკუთრებული უფლებებისა" და "უკუდისკრიმინაციის" ხარჯზე ცდილობს საკუთარი თავის დამკვიდრებას.

ზემოჩამოვლილის გარდა, კიდევ ერთი საფრთხეც არსებობს: პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოებებით განპირობებული კონფლიქტები. ეთნიკური შუღლის გაღვივების პოლიტიკური მიზეზები ნათლად გამოვლინდა XX საუკუნის 90-იან წწ., იუგოსლავიის დაშლის შემდგომ სერბები, ხორვატები, სლოვენელები, ბოსნიელები, მაკედონელები და სხვები გვერდი-გვერდ, შედარებით მშვიდად ცხოვრობდნენ II მსოფლიო ომიდან მოყოლებული, თუმცა კომუნისტების კრახს აქ ეთნიკური გათიშულობა და ნაციონალისტური შუღლის გაღვივება მოჰყვა, რისი ყველაზე ტრაგიკული გამოვლინებაც 1992-95 წწ. სამოქალაქო ომი გახდა ბოსნიაში — ბოსნიელ სერბების მიერ მაჰმადიანთა ეთნიკური წმენდის მიზანმიმართული პროგრამით. ეთნიკური შუღლი ხშირად ეკონომიკურ და სოციალურ წნეხსაც უკავშირდება — უმუშევრობის ზრდას თუ ცხოვრების დონის მკვეთრ სწვავობას მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის. მართლაც, გლობალიზაციის გამო ეკონომიკური ხასიათის დაძაბულობებმა შეიძლება იმატოს კიდევ. ამის ორი მიზეზი არსებობს: ჯერ ერთი, როგორც ემი ჩუა (2003) ამტკიცებდა, ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, მსოფლიო ბაზრის უპირატესობების გამოყენებით, სწორედ ეთნიკურმა უმცირესობებმა ჩაიგდეს ხელს ეკონომიკური ბერკეტები. ბაზარზე გაბატონებული ამგვარი "ეკონომიკური უმცირესობების" მაგალითია ჩინელები თითქმის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, და ინდოელები — აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე ამის საწინააღმდეგოდ, განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური და ეთნიკური დაძაბულობის ურთიერთდამთხვევის ტენდენცია გამოიკვეთა — როგორც ეთნიკური უმცირესობები, ჩვეულებრივ, დაბალ-ანაზღაურებად არაპარესტიფულ სამუშაოს ასრულებენ. შედეგად, სულ უფრო გახშირდა ეთნიკური უმცირესობის ახალგაზრდა წარმომადგენელთა სამოქალაქო პროტესტისა თუ სულაც ამბოხის ფაქტებიც — 1981წ. დიდ ბრიტანეთში, 1992წ. — ლოს-ანჯელესში, 2004წ. — ქუინსლენდში (ავსტრალია), 2005წ. — თითქმის მთელს საფრანგეთში.

სხვანი იმასაც ამტკიცებენ, მრავალკულტურულობა ვერ ახერხებს სათანადოდ წაადგეს საზოგადოების დაჩაგრულ ფენებსა თუ ჯგუფებს იმის მაგივრად, სოციალური სამართლიანობისათვის იბრუნონ, ხალხი კულტურული თუ ეთნიკური თვითდამკვიდრებისათვის იბრძვისო. ბრაიან ბერნსი (2002) აცხადებს, კულტურულ თავის-თავადობაზე ყურადღების გამახვილებით, მრავალკულტურულობა უფრო თიშავს, და შესაბამისად, ასუბანი კიდევ მათ, ვისაც ერთნაირი ეკონომიკური ინტერესი გააჩნიათ და წინააღმდეგობის მოსპობასა და სოციალური რეფორმების გატარებაზე ფიქრობდნენ — ანუ, განსხვავებებს კი არ უნდა ეძებდნენ ერთმანეთს არამედ — მსგავსებასო. და ბოლოს, მრავალკულტურულობას იმიტომ აკრიტიკებენ, რომ ის იმ პატრიარქალურ და ტრადიციულ რწმენებს იცავს და აკანონებს, რომლებიც თავად ეთნიკური უმცირესობის ფარგლებში

გარკვეულ ჯგუფებს უთანასწორო პირობებში აყენებს. კერძოდ, ძნელია მოვარგოთ ქალების, ან ვთქვათ, სექსუალური უმცირესობების ინტერესები მრავალკულტურულობის ძალზე ბევრ მოდელს.

ლეგიტიმურობა და პოლიტიკური მდგრადობა

ლეგიტიმურობის, ანუ მმართველობის სისტემისა თუ რეჟიმის კანონიერების საკითხი უძველეს და ერთ-ერთ უმთავრეს თემას — პოლიტიკური ვალდებულების პრობლემას უკავშირდება. რატომ უნდა იგრძნონ მოქალაქეებმა თავი ვალდებულად — ცნონ ხელისუფლების ავტორიტეტი? მოვალენი არიან თუ არა, პატივი სცენ სახელმწიფოს და დაემორჩილონ მის კანონებს? თუმცა, ღღეს ლეგიტიმურობას უკვე არა იმდენად ზნეობრივი ვალდებულების თვალსაზრისით უდგებიან, რამდენადაც პოლიტიკური ქცევისა და შეზღუდვებების კუთხით. სხვაგვარად თუ ვიტყვი, საკითხავი ის კი არ არის, რატომ უნდა დაემორჩილოს მოქალაქე სახელმწიფოს ზოგადად, არამედ — რატომ ემორჩილება ამა თუ იმ კონკრეტულ ხელისუფლებასა თუ მმართველობის სისტემას, რა გარემოებებიდან თუ პროცესებიდან გამომდინარე მიიჩნევს იგი ხელისუფლებას კანონიერად და შესაბამისად, რა შემთხვევებში უჭერს მხარს არსებული რეჟიმის მდგრადობას? საკითხის ამგვარად დასმა აქცენტების ფილოსოფიიდან სოციოლოგიისკენ გადანაცვლებას ნიშნავს, და ამავე დროს, ამკარად წარმოაჩენს ლეგიტიმურობის ცნების სადაო ხასიათს.

ლეგიტიმურობა

(ლათ. legitimare, რაც სიტყვა-სიტყვით "კანონიერად ცნობას" ნიშნავს). ფართო გაგებით, იგი ძალაუფლებას ხელისუფლებად გარდაქმნის. უბრალოდ "კანონიერისაგან" ის იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი ხელისუფლების უპირობოდ პატივისცემას და მოქალაქეთა მხრიდან მის მორჩილებას არ გულისხმობს. პოლიტიკის თეორეტიკოსების თვალსაზრისით, სწორედ ლეგიტიმურობაა ის ზნეობრივი თუ რაციონალური პრინციპი, რომლის საფუძველზეც ხელისუფლებას უფლება აქვს მოქალაქეთაგან მორჩილება მოითხოვოს — შესაბამისად, ლეგიტიმურობის აღიარება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მორჩილების ფაქტი. ამავე დროს, ბევრი პოლიტოლოგი ლეგიტიმურობას სოციოლოგიური კუთხითაც განიხილავს: ანუ, მმართველობის ამა თუ იმ სისტემისათვის მხარდაჭერის მზადყოფნად — მიუხედავად იმისა, თუ რა მეთოდებით იქნა იგი შექმნილი. ვებერის მიხედვით, ლეგიტიმურობა სწორედაც რომ კანონიერების შინაგან რწმენას, ასე ვთქვათ, მმართველის "მართვის უფლებას" ნიშნავს.

მაქს ვებერი (1864-1920)

გერმანელი პოლიტიკური ეკონომისტი და სოციოლოგი. ითვლება თანამედროვე სოციოლოგიის ფუძემდებლად. სამეცნიერო მოღვაწეობისადმი იგი მკაცრი და მიუკერძოებელი მიდგომის დამცველია და საზოგადოებრივად აქტიური ცნობიერების მნიშვნელობას უსვამდა ხაზს. უაღრესად ფართოა ვებერის ინტერესთა სფერო: იკვლევდა ისეთ განსხვავებულ საკითხებს,

როგორცაა საზოგადოების დანაწევრება, კანონმდებლობა, ძალაუფლების სტრუქტურა, თუ რელიგია. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მისმა ნაშრომებმა "პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის არსი" (1902), "რელიგიის სოციოლოგია" (1920) და "ეკონომიკა და საზოგადოება" (1922).



ძალაუფლების ლეგიტიმაცია

ლეგიტიმურობის, როგორც სოციოლოგიური ფენომენის კვლევას, სათავე მაქს ვებერმა დაუდო. მას სურდა "ბატონობის სისტემა" გარკვეულ კატეგორიებში მოექცია და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამოეყენებინა ის საფუძველი, რასაც ლეგიტიმურობა ემყარებოდა. ამისათვის მან სამი იდეალური ტიპი, ანუ კონცეპტუალური მოდელი შექმნა, რაც, მისი აზრით; პოლიტიკური მმართველობის უაღრესად რთული ბუნების ამოხსნაში უნდა დახმარებოდა. ეს იდეალური ტიპები ავტორიტეტის სამკვარ ხასიათს აამკარავებენ:

- < ტრადიციულს
- < ქარიზმატულს
- < კანონიერ-რაციონალურს

ყოველ მათგანს პოლიტიკური ლეგიტიმურობის საკუთარი წყარო აქვს და შესაბამისად, განსხვავებული მიზნებიც, თუ რატომ უნდა დაემორჩილოს ხალხი კონკრეტულ რეჟიმს. კვლევის პროცესში ვებერი შეეცადა თავად საზოგადოების სახეცვლილების არსშიც გარკვეულიყო და შედარებით მარტივ, ტრადიციულ საზოგადოებებში არსებული ბატონობის სისტემები ინდუსტრიულ, უაღრესად ბიუროკრატიული საზოგადოებებისათვის დამახასიათებელ, ტიპურ მოდელებს შეუდარა.

პოლიტიკური ლეგიტიმურობის ვებერისეული პირველი ტიპი დროით გამოცდილ ადათ-წესებსა და ტრადიციებს ეფუძნება. ფაქტიურად, ტრადიციული ავტორიტეტი იმიტომ ითვლება კანონიერად, რომ იგი "მუდამ არსებობდა": თავად ისტორია აძლევდა მას არსებობის უფლებას, როგორც წარსულ თაობათა დანატოვარ მემკვიდრეობას. როგორც წესი, ამგვარ ავტორიტეტს შეუვალი კანონების წყება უმაგრებს ზურგს — დადგენილი და ეჭვმიუტანელი ადათები, რომელთაც გადახედვა არ ჭირდება, ვინაიდან "ესე ყოველი იმთავითვე ასე ყოფილა და ასე იქნება". ტრადიციული ავტორიტეტის ყველაზე აშკარა გამოვლინება პატრიარქალურობაა, როცა ამა თუ იმ ტომსა თუ ოჯახში ბატონი ან მამა-მარჩენალი ყველაფრის თავი; ანდა გერონტოკრატია

ტრადიცია

ჯეოლოგიური, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა (ადათ-წესები, ურთიერთობები, სოციალური თუ პოლიტიკური სისტემები, ღირებულებები, მრწამსი, და ა.შ.). ერთიც ითქვას, ტრადიცია იმით განსხვავდება რეტროგრადობისგან, რომ უწყვეტ კავშირს ინარჩუნებს წარსულთან და "საათის უკან გადაწევას" არ ცდილობს. ეს უწყვეტობა, ჩვეულებრივ, თაობათა კავშირდადა გაგებული, თუმცა სხვაობა ტრადიციულსა და უბრალოდ, შეჩვეულს შორის, ხშირად საკმაოდ ბუნდოვანია. ეს ტერმინი აგრეთვე იხმარება "ტრადიციულ" და "თანამედროვე" საზოგადოების ურთიერთდასაპირისპირებლად. პირველი, როგორც წესი, სტატუსის (იხ. გვ. 197) და "ბუნებრივ" იერარქიის საფუძველზეა ჩამოყალიბებული, მეორე კი — თანხმობისა და დემოკრატიული პროცესების შედეგია.

(უხუცესთა მმართველობა). ტრადიციული ავტორიტეტი მჭიდრო კავშირშია მმართველობისა და პროვილგეების მემკვიდრეობით სისტემებთან, ანუ — ღინასტიური მმართველობის იმგვარ შემთხვევებთან, რისი მაგალითებიც ლექსში გვხვდება საუდის არაბეთში, კუვეიტსა და მაროკოში. მიუხედავად ამისა, რომ განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში მონარქიას დღეს უკვე პირობითი მნიშვნელობა აქვს — მით უმეტეს, იმგვარი კონსტიტუციური ფორმით, რაც დღესდღეობით გაერთიანებულ სამეფოში, ბელგიაში, პოლანდიაში თუ ესპანეთში არსებობს — იგი მაინც ხელს უწყობს პოლიტიკური კულტურის დახვეწას და იმგვარი ღირებულებების შენარჩუნებას, როგორებიცაა პატივება, პატივისცემა და მოვალეობა.

ლეგიტიმური მმართველობის ვებერისეული მეორე ფორმა ქარიზმატულ ავტორიტეტს გულისხმობს და იგი ადამიანის პიროვნულ ხიბლს, ანუ "ქარიზმას" ემყარება. ამგვარი ლიდერი — სტატუსის, თანამდებობის თუ საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად — უშუალოდ მიმართავს თავის მიმდევრებს — როგორც რომ სახალხო გმირი ანთუ წმინდანი. მართალია, იმ ტიპის პოლიტიკური მოღვაწეები, როგორებიც იყენენ დე გოლი, კენედი და ტეტჩერი, უეჭველად იმყარებდნენ ავტორიტეტს პიროვნული თვისებებისა და ხიბლის წყალობით, მათი ხელისუფლება მაინც არ შეიძლება ქარიზმატულ ლეგიტიმურობად ჩაითვალოს, რამდენადაც შესაბამისი ფორმალური იერარქიული თანამდებობებიც ეკავათ. ამ თვალსაზრისით, უფრო თვალნათელი მაგალითებია ნაპოლეონი, მუსოლინი, ჰიტლერი, აიათოლა ჰომეინი, ფიდელ კასტრო და პოლკოვნიკი კადაფი.

ასეა თუ ისე, ქარიზმატული ავტორიტეტი არ შეიძლება უბრალოდ ბედის საჩუქრად ჩაითვალოს: ერთმმართველობის ნებისმიერი სისტემა პიროვნების კულტსაც უეჭველად გულისხმობს, რაც თავის მხრივ, ქარიზმის ხელოვნურად შექმნას ისახავს მიზნად. როდესაც ლეგიტიმურობა ძირითადად ან მთლიანად ლიდერის პიროვნულ თვისებებზეა მორგებული, ჩვეულებრივ ამას ორგვარი შედეგი მოსდევს ხოლმე: ჯერ ერთი, რამდენადაც ქარიზმატული ავტორიტეტი არ ემყარება ფორმალურ წესებსა და პროცედურებს, ის ხშირად ზღვარსაც გადადის; ლიდერი შეუმცდარ და უპირობო მესიად გარდაისახება,

ქარიზმა

ქარიზმა, თავდაპირველად, საღვთისმეტყველო ცნება გახლდათ და "ღვთიურ მადლს" აღნიშნავდა. სწორედ ის იყო იმ ძალაუფლების წყარო, რაც მაცხოვარმა საკუთარ მოწაფეებს გარდასცა და იგივე ძალა მიეწერებოდათ წმინდანებს კათოლიკურ თეოლოგიაშიც. როგორც სოციალ-პოლიტიკური ფენომენი, ქარიზმა "ხიბლსა" თუ პიროვნულ მიმზიდველობას ნიშნავს, ანუ — სხვებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზით ლიდერის უნარის გამოქვადვას. შესაბამისად, ქარიზმატული ავტორიტეტიც ლამის მისტიურ საბურველში ეხვევა ხოლმე და არათუ მოწინააღმდეგეა და ემოციურ კეთილგანწყობას, ხშირად "გაღმერთების" სურვილსაც კი ბადებს. თითქოს ბუნებრივ უნარად მიჩნეული, ქარიზმატულობა ყველა პოლიტიკური ლიდერისათვის აუცილებელი ატრიბუტია, და მის დახვეწას მუდმივად ცდილობენ პროპაგანდის, მჭევრმეტყველების, თავის დაჭერისა თუ სხვა ხერხებით. ვებური ერთმანისაგან განასხვავებდა "პიროვნულ" და "თანამდებობრივ" ქარიზმას.

ხალხის მასა კი — მიმდევრებად თუ მოწაფეებად, ვისაც მხოლოდ ერთგულება და მორჩილება მოეთხოვება. და მეორე: ხელისუფლება იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტულ პიროვნებასთან, რომ სისტემა მის გარეშე აღარ მუშაობს. სწორედ ასე დაემართა მაგ., ნაპოლეონის, მუსკოლინისა და პიტლერის რეჟიმებს.

ვებურის მიერ გამოვლენილი პოლიტიკური ლეგიტიმურობის მესამე ტიპი, ანუ კანონიერ-რაციონალური ავტორიტეტი, ხელისუფლებას კანონების ნათლად და იურიდიულად ჩამოყალიბებულ კოდექსთან აკავშირებს. ვებურის აზრით, ამგვარი ავტორიტეტი ხელისუფლების ტიპიური ფორმაა თანამედროვე სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობაში. საბოლოო ჯამში, პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა თუ მთავრობის წევრების ძალაუფლება დადგენილი, კონსტიტუციური ნორმებითაა განპირობებული, რაც განსაზღვრავს და ზღუდავს შემთხვევაში ხელისუფალის ქმედებების არეალს. რამდენადაც ამ შესაბამისად, ნაკლებია მისი ბოროტად გამოყენების ალბათობაც. შესაბამისად, კანონიერ-რაციონალური ავტორიტეტი შეზღუდულ მმართველობას გულისხმობს და ამავე დროს, პასუხისმგებლობათა გონივრული განაწილებით მართვის უფრო ეფექტიან მოდელსაც წარმოადგენს. ოღონდ ვებური პოლიტიკური ლეგიტიმურობის ამ ტიპის უარყოფით მხარეებსაც ხედავს: მეტი ეფექტიანობის სახელაური შეიძლება განუპიროვნებელი სოციალური გარემო იქცეს, და როგორც წესი, ორგანიზების ბიუროკრატიული ფორმების საყოველთაოდ მისაღები გახდეს.

ლეგიტიმურობის ტიპების ვებურისეული კლასიფიკაცია დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელობას, თუმცა გარკვეულ ფარგლებში. ის მაგალითად ბევრს არაფერს გვეუბნება იმ გარემოებებზე, როცა არაპოპულარული პოლიტიკისა თუ ლიდერისა ან მთელი ხელისუფლების დისკრედიტაციის შემთხვევაში, ხელისუფლებას რეალური საფრთხე ემუქრება. როგორც

იურგენ შპბერმასი (დაიბ. 1929 წ.)

გერმანელი ფილოსოფოსი და სოციალური ნაციონალისტური ეპოქაში დაბადებულ შპბერმასზე მძაფრი შთაბეჭდილება მოახდინა ნიურბერგის პროცესმა. ჰორნოსა (1903-69) და ჰორცკაიმერთან (1895-1973) სწავლის შემდეგ შპბერმასი კრიტიკული თეორიის "ფრანკფურტის სკოლის" ახალი თაობის ერთ-ერთი ფაქტორი წარმოადგენელი გახდა. მისი შრომები ისეთ დარგებს ეხება, როგორცაა: შემეცნების თეორია (ეპისტემოლოგია), განვითარებული კაპიტალ-

იზმის დინამიკა, რაციონალურობის ბუნება და დამოკიდებულება ფილოსოფიასა და სოციალურ მეცნიერებას შორის. 1970-იან წლებში შპბერმასი ორთოდოქსულ მარქსიზმს სცილდება და საკუთარ, "კომუნიკატიური ქმედების" თეორიას აყალიბებს. შპბერმასის მთავარ ნაშრომთა შორისაა: "თეორია და პრაქტიკა" (1974), "გზა გონიერი საზოგადოებისაკენ" (1970), "კომუნიკატიური დამაჯერებლობის თეორია" (1988).



(1991) შენიშნა, თუ ლეგიტიმურობაში ვებერივით მხოლოდ "კანონიერებისადმი რწმენას" დავინახავთ, ვერც მისი წარმომავლობის მიზეზებს ავხსნით. შესაბამისად, იმას თუ რა განაპირობებს ლეგიტიმურობას, უკვე ძალაუფლების მქონენი გადაწყვეტენ, მათ კი ყოველთვის ექნებათ შესაძლებლობა, სხვადასხვაგვარი პიარ-კამპანიების საშუალებით, საკუთარი ხელისუფლების კანონიერება გაამართლონ და დაასაბუთონ კიდევ.

ბოთეში ხელისუფლების კანონიერებას მხოლოდ სამი პირობის დაცვის შემთხვევაში აღიარებს: ჯერ ერთი, მმართველობა დადგენილ წეს-კანონებს უნდა მისდევდეს — სულერთია, დაწერილ კოდექსს თუ სიტყვიერ შეთანხმებებს; მეორეც, ეს წეს-კანონები სამართლიანად უნდა ცნონ როგორც მმართველმა, ისე მართულმა უმრავლესობამაც; და მესამე: ლეგიტიმურობა უნდა გამოვლინდეს მართულთა უპირობო თანხმობის სახით. აქ აშკარად ჩანს ლეგიტიმაციის პროცესის ორი მთავარი ნიშან-თვისება: არჩევნებისა და პარტიული კონკურენციის არსებობა და კონსტიტუციური ნორმებით განსაზღვრული, ხალხისთვის სასურველი მმართველობის ფორმა.

ლეგიტიმაციის კრიზისი

ლეგიტიმურობის ვებერისაგან განსხვავებული მიდგომა ნეო-მარქსისტების კუთვნივით. ორთოდოქსი მარქსისტებისაგან განსხვავებით, რომელნიც ლეგიტიმურობას საერთოდ ჩირად არ აგდებდნენ და "ბურჟუაზიულ მითად" ნათლავდნენ, თანამედროვე მარქსისტები აღიარებენ, რომ კაპიტალიზმში, ნაწილობრივ მაინც, პოზიციებს პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფით ინარჩუნებს. ისეთმა ნეო-მარქსისტებმა, როგორებიც იურგენ შპბერმასი და კლაუს ოფე არიან, ყურადღება არა მხოლოდ კლასობრივ სისტემაზე გაამახვილეს, არამედ იმ მექანიზმებზეც, რისი საშუალებითაც ლეგიტიმურობა მიიღწევა (დემოკრატიული პროცესი, პარტიული კონკურენცია, სოციალური დაცვისა თუ სხვა რეფორმები). თავის ნაშრომში "ლეგიტიმაციის კრიზისი" (1973) შპბერმასმა კაპიტალისტურ საზოგადოებებში არსებული იმ კრიზისული ტენდენციების მთელს სერიაზე მიათითა, რაც საკმაოდ ართულებს პოლი-

10. პოლიტიკური კულტურა, თვითგამორკვევა და ლეგიტიმურობა

რეკოლუცია

ძირისძირში, ციკლორ ცვლილებებს ნიშნავს (სიტყვა-სიტყვით ბრუნვა-ტრიალი). როგორც, მაგალითად, 1688წ. ინგლისში "დიად შემობრუნებად" მონათლული რეკოლუციის შემთხვევაში. თუცა, უკვე პირველი ფრანგული რეკოლუციის დროს ჩამოყალიბდა რეკოლუციის თანამედროვე კონცეფცია, რაც ძირულ და შორსმიმავალ ცვლილებებს, არსებული წესრიგის მსხვერვასა და ახლით შეცვლას გულისხმობს. აუცილებელი არაა, რეკოლუცია ყოველთვის ძალადობრივი იყოს და ის ამით განსხვავდება "პუტჩისაგან". რეკოლუცია ასევე, ჯანყისაგან განსხვავებით, მხოლოდ მმართველ ელიტას კი არ ცვლის, არამედ უფრო ძირულ პოლიტიკურ გარდაქმნებს ისახავს მიზნად, არსებული სისტემის მთლიანად შეცვლის ჩათვლით.

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ფისკალური კრიზისი:
კრიზისი სახელმწიფოს ფინანსურ სისტემაში — როცა სოციალური ხარჯების ზრდა საგადასახადო შემოსავლების კლებას ემთხვევა.

ტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას მხოლოდ საერთო თანხმობის საფუძველზე. როგორც ის ამტკიცებდა, დაძაბულობის თავი და თავი იმ დაპირისპირებებსა და კონფლიქტებშია საძიებელი, რაც არსებობს ერთი მხრივ, კაპიტალისტური "მონვეჭის ლოგიკასა" და მეორეს მხრივ, იმ სახალხო ზეწოლას შორის, რასაც დემოკრატიული პოლიტიკა განაპირობებს.

სხვა მხრივ, ზოგადად 1980-90-იანი წწ. პოლიტიკა სწორედ რომ ლეგიტიმურობის კრიზისის გამოძახილი გახლდათ. პრიორიტეტების ცვლილებებს ყველაზე ხმაძალდა ახალი მემარჯვენეთა ითხოვნა. ასე მაგალითად, თეორეტიკოსი სემუელ ბრიტანი **კეთილდღეობის სახელმწიფოს ფისკალურ კრიზისზე** მიათითებდა და "დემოკრატიის ეკონომიკურ წინააღმდეგობრიობაზე" საუბრობდა. 1990-იან წწ. რიგანისა თუ ტექნერის მთავრობები ცდილობდნენ რეალური დაპირებებით ნაკლებად გაქვბილებინათ მოსახლეობის მოლოდინი და პასუხისმგებლობა ხელისუფლებიდან თითოეული მოქალაქის მხრებზე გადაეტანათ. კეთილდღეობა, პრინციპში, ყველას კერძო საზრუნავი უნდა გამხდარიყო — მუყაითი შრომის, გონიერული დანაზოგების, სამედიცინო დაზღვევის გაფორმებისა და სხვა პრაქტიკული ნაბიჯების ხარჯზე. უმუშევრობის პრობლემას კი ხელისუფლება უკვე მხოლოდ საკუთარ პასუხისმგებლობად აღარ მიიჩნევდა: არსებობდა უმუშევრობის "ბუნებრივი ღონე" რასაც ხელოვნურად თუ აამაღლებდა იმ მუშების სიხარბე, სამუშაოს შეუსაბამო ანაზღაურებას რომ მოითხოვდნენ.

ახალი მემარჯვენეთის კიდევ უფრო რადიკალური ფრთა ცდილობდა ეჭვქვეშ დაეყენებინა და საბოლოო ჯამში, შეეცავლა კიდევ ის თეორიები და ღირებულებები, რამაც ადრე სწორედ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ზრდა "დააკანონა". ამ მხრივ, მათ პიროვნებასა, ბაზარზე ორიენტირებულ ღირებულებებსა და თეორიებზე დამყარებული, განსხვავებული პროექტი ლიმიტაჟებს. მათი აზრით, აუცილებელი გახლდათ მკაცრი ინდივიდუალიზმის საზოგადოებრივი ფილოსოფიის რანგში აყვანა და "შიდა-სახელმწიფოზე" ერთხელ და სამუდამოდ უარის თქმა. ამ პროექტის წარმატებულობა მარტივ იმამიც გამოვლინდა, რომ სოციალისტურმა პარტიებმაც კი ისეთ განსხვავებულ ქვეყნებში, როგორიც ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრალია და ახალი ზელანდიაა, მსგავსევი მიზნები და ამოცანები დაისახეს. შედეგად, პოლიტიკური კულტურა, რაც ერთ დროს სოციალური სამართლიანობის სოციალური დაცვისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის პრინციპებს მიიჩნევდა უმთავრესად, ახლა უკვე არჩევანის, კერძო ინიციატივის, კონკურენციისა და პიროვნული პასუხისმგებლობისაკენ გადაიხარა.

რა იწვევს რეკოლუციებს?

თუ ლეგიტიმაციაზეა საქმე, ის ცხადია, პოლიტიკურ მდგრადობასა და რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობას უწევს ხელს, მაგრამ როცა ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, მაშინ ან რეპრესიები იწყება, ან დაგუთვალისწინებული პოლიტიკური ცვლილებები. ხოლო ცვლილება ზოგადად, პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი თვისებაა და მას ყველა პოლიტიკური მოაზროვნე თავისებურ მნიშვნელობას ანიჭებს: თუ კონსერვატორებისათვის არსებულის შენარჩუნება და ცვლილებებისათვის წინააღმდეგობა ტრადიციის მუდმივი ერთგულების გამოვლინებაა, ლიბერალები და სოციალისტები, როგორც წესი, ცვლილებებს მიესალმებიან და მათ პრი-

ურის გამოვლინებად მიიჩნევენ, პროგრესის რწმენა კი ადამიანის გონისა და ზღვის, როგორც "ისტორიის შემოქმედის", აღიარებას ემყარება.

ცვლილება თავისთავად, უკეთესობისკენ იქნება თუ უარესობისკენ, პროგრესს შეუწყობს ხელს თუ რეგრესს, მუდამ ორიდან ერთ-ერთი პროცესის შედეგია: ევოლუციის ან რეოლუციის. ევოლუციური ხასიათის ცვლილებები, წყლებრივ, რეფორმებად განიხილება ზოლიმე, ანუ — ზომიერ და თანდათანობით გარდაქმნებად თავად არსებული საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური სისტემის ფარგლებში. რეფორმა, ასე ვთქვათ, ამა თუ იმ ინსტიტუტის სახეცვლილებას ისახავს მიზნად, და არა მის მოსპობასა თუ გაუქმებას. მეორეს მხრივ, რეოლუცია ძირფესვიანი ცვლილებაა — ის მთლიანად სპობს არსებულ პოლიტიკურ წესრიგს, და როგორც წესი, ძალზე სწრაფად და მზარდ ძალადობრივი გზით წყვეტს კავშირს წარსულთან. ძალზე ბევრი უკმათაით იმ საკითხზე, თუ როგორია რეოლუციის ბუნება, და რა ისტორიული, სოციალურ თუ პოლიტიკურ ვითარებაშია იგი ყველაზე უფრო მოსალოდნელი.

რეოლუციის მარქსისტული თეორიები

მარქსისტები რეოლუციის ცნებას მეტად თავისებურად მოიხმარებენ: მიუხედავად იმისა, რომ რეოლუციებს ისინი მმართველობის შემცვლელ თუ სრულიად ახალი მმართველობის დამამკვიდრებელ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენებად მიიჩნევენ, თავად რეოლუციურ ცვლილებებში მაინც უფრო ღრმა საზოგადოებრივი გარდაქმნების ანარეკლს ხედავენ. ამ თვალსაზრისით, რეოლუციის თავი და თავი ძირეული სოციალური ცვლილებაა, ანუ — ერთი ეკონომიკური სისტემის მეორეთი შეცვლა. აქედან გამომდინარე, მარქსისტებისთვის შეიძლება საკამათოც იყოს, მოჰყვა თუ არა 1776 წლის ამერიკულ რეოლუციას შესაბამისი ცვლილებები, რადგან ბრიტანეთის ამერიის კოლონიიდან დამოუკიდებელ კონსტიტუციურ რესპუბლიკად გარდაქმნის შემდეგ, საკუთრების სისტემის და საზოგადოებრივი წყობის ერთობისაგან გამიჯვნა ამერიკაში არავის მოსვლია აზრად. და მაინც, მარქსისტთა უმრავლესობა ინგლისურ, ამერიკულ და ფრანგულ რეოლუციებს "ზურჟუაზიულ" რეოლუციებად იხსენიებს, ვინაიდან მათ წარმოების ფეოდალური საშუალებებიდან კაპიტალისტურზე თანდათანობითი გადასვლა მოჰყვა. ამ კუთხით, რეოლუციები არა უბრალოდ პოლიტიკური მღელვარების ხანმოკლე და დაძაბული პერიოდებია, არამედ საზოგადოებრივი გარდაქმნების გრძელი და ღრმა პროცესი. არსებობს მოსაზრება, რომ ვთქვათ, 1917წ. დაწყებული რუსეთის რეოლუცია მხოლოდ 1991-ში, საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა, მაგრამ "კომუნისმის აშენების" უმთავრეს მიზანს მაინც ვერ მიაღწია.

მარქსისტული თეორიის თანახმად, რეოლუციებს სოციო-ეკონომიკურ ღონეზე არსებული წინააღმდეგობები იწვევს — პრინციპში, რეოლუცია ჰაგერელისა და ჩაგრელის, ექსპლუატატორისა და ექსპლუატირებულის დაპირისპირების ანარეკლია და, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი კლასობრივი საზოგადოება დასაღუპადაა განწირული. მარქსს მიაჩნდა, რომ სწორედ რეოლუცია იქნებოდა დუდილის ის წერტილი, როცა კლასობრივი ბრძოლა

კლასობრივი თვითშეგნება
ესაა კლასის მიერ საკუთარი ობიექტური მდგომარეობისა და ინტერესების სუბიექტური გაცნობიერება. ამდენად, კლასობრივი თვითშეგნება ხაზს უსვამს კლასიკურ მარქსისტულ სხვაობას ორ ცნებას შორის: "კლასი თავისთავად" და "კლასი საკუთარი თავისთვის". ეს უკანასკნელი კლასის საერთო მიზნების დაცვაში აქტიურად ჩართული კლასობრივი სოლიდარობის მაგალითია. ამდენად, კლასობრივი თვითშეგნება "ყალბი ცნობიერების" ანტიონიმია, რაც თავის მხრივ დამახინჯებული გაგებაა, რომელიც დამორჩილებული კლასებისთვის მათი ექსპლუატაციის ფაქტის მიჩქმალვას ისახავს მიზნად და შედეგად, პოლიტიკურ პასიურობას იწვევს. მარქსს სჯეროდა, რომ სოციალური კონფლიქტის გაძლიერებას თავისთავად მოჰყვებოდა კლასობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება, ლენინი კი ამტკიცებდა, რომ პროლეტარიატში აუცილებელი იყო კლასობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება რეოლუციური პარტიის ხელმძღვანელობითა და წინამძღოლობით.

რევოლუციის არა-მარქსისტული თეორიები

ამგვარი თეორიები ორ საკითხში ვერ თანხმდებიან მარქსის დებულებებთან: მათ ძალა არ ყოფნით აღიარონ, რომ რევოლუციები ღრმა ეკონომიკური და საზოგადოებრივი პროცესების ანარქულია და მათ უფრო პოლიტიკური სისტემის გარდაქმნად მიიჩნევენ, ვიდრე სოციალური სისტემის საზოგადოებრივად. მეორეც, რევოლუცია განიხილება არა როგორც ისტორიულ-ლოგიკური, გარდაუვალი პროცესი, არამედ როგორც გარკვეული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ვითარების შედეგი.

რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული თეორია პოლიტიკისადმი სისტემათა თეორიის მიყენებაში გამოიხატა. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური სისტემა ხანგრძლივად შეინარჩუნებს მდგრადობას, თუკი ხელისუფლების "სარგებელმ" გაწონასწორებულია "წვლილით", ანუ იმ გარეგანი წნეხით, რასაც ხელისუფლება მუდმივად განიცდის. ამგვარად, რევოლუცია შესაძლოა გავიზნოთ როგორც პოლიტიკური სისტემის ერთგვარი "დისბალანსი", რასაც ეკონომიკური, კულტურული თუ სერთაშორისო ცვლილებები იწვევს და რასაც არსებული სისტემა ადეკვატურად ვერ ეპასუხება. თავის "რევოლუციურ ცვლილებაში" (1966) ჩალმერს ჯონსონი ამტკიცებდა, რომ რევოლუციები "ფუნქციონალური მორღვევის" დროს ხდება, როცა პოლიტიკურ სისტემა ვეღარ უძლებს ცვლილებების ჯიუტი მოთხოვნის წნეხს. მაგ., ცარიზმის თვითმყრობელური რეჟიმი რუსეთში, ვერც ადრეული ინდუსტრიალიზაციის წნეხს გაუმკლავდა და ვერც I მსოფლიო ომის დამანგრეველ შედეგებს. სწორედ ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ XX საუკ. ბოლოს, კომუნისტური რეჟიმები საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში ვეღარ პასუხობდნენ ურბანიზებული, უკეთ განათლებული და პოლიტიკურად გათვითცნობიერებული მოსახლეობის მოთხოვნილებებს. ასეა თუ ისე, აგვარი სისტემური ანალიზი რევოლუციების გამომწვევს, სუბიექტურ თუ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს მაინც ვერ ითვალისწინებს.

რევოლუციის მეორე თეორია აღმოცენდა სოციალური ფსიქოლოგიის გამოცდილების გათვალისწინებით და მის ერთ-ერთ ფუძემდებლად ალექსის დე ტოკვილი უნდა მივიჩნიოთ, რომელიც 1789წ. საფრანგეთის რევოლუციის მიზეზების ახსნას შეეცადა. შემდგომში, სწორედ მისი მოსაზრებები დაედო საფუძვლად ე.წ. "შხარდი მოლოდინის რევოლუციის" მოდელს. თავის წიგნში "ძველი რეჟიმი და საფრანგეთის რევოლუცია" (1856) ტოკვილმა მიაჩინა, რომ რევოლუცია მხოლოდ იშვიათად ხდება სრული სილატაკისა და უსამართლობის პირობებში, ანუ მაშინ, როცა სწორედ რომ უფრო ბუნებრივი სასოწარკვეთა და პოლიტიკური ინერტულობა ისადგურებს ხოლმე. პირიქით, რევოლუცია მაშინაა მოსალოდნელი, როცა ჩაგვრის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, ხელისუფლება ცოტათი მაინც მიუშვებს მართვის სადავებს. ტოკვილის თქმით, "ცუდი მთავრობისთვის გარდატეხა მაშინ დგება, როცა რაღაცის გამოსწორებას ცდილობს". სწორედ ეს მოხდა საფრანგეთშიც, 1788 წელს, როცა ლუი XVI გენერალური ასამბლეის მოწვევას დათანხმდა და საკრავოდ, მთელს აღმოსავლეთ ევროპაშიც, XX საუკ. ბოლოს — გორბაჩოვისეული რეფორმების შედეგად. პოლიტიკური

სისტემათა თეორია:

თეორია, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი პოლიტიკური სისტემა თვითრეგულირებადი მექანიზმია, და "წვლილზე" (საზოგადოების მოთხოვნებსა თუ მხარდაჭერაზე) შესაბამისი ქმედებით, ანუ ე.წ. "სარგებლით" (მართვის ხერხებით) რეაგირებს.

10. პოლიტიკური კულტურა, თვითგამორკვევა და ლეგიტიმურობა

ალექსის დე ტოკვილი (1805-59)

ფრანგი პოლიტიკოსი, პოლიტიკის თეორეტიკოსი და ისტორიკოსი. 1830 წლის ივლისის რევოლუციის შემდეგ ა.შ.შ.-ს გაემგზავრა, იქაური მართლმსაჯულების სისტემის შესასწავლად, რასაც შედეგად მოჰყვა ფუნდამენტური ნაშრომი "ამერიკული დემოკრატია" (1835-40), სადაც ე.წ. "თანაბარი შესაძლებლობების" კრიტიკა და "უმრავლესობის ტირანიის" წინააღმდეგ გაფრთხილებაა გაჟღერებული. დე ტოკვილის პოლიტიკურ კარიერას 1849 წელს



ლუი ნაპოლეონის დამხობამ დაუსვა წერტილი. მისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომია "ძველი რეჟიმი და ფრანგული რევოლუცია" [1856]. ჯ.ს. მილისადმი მიწერილ წერილებში აშკარა ხდება დე ტოკვილის მეტად ორაზროვანი დამოკიდებულება პოლიტიკური დემოკრატიის მომავლის თაობაზე. მისმა იდეებმა გავლენა იქონია როგორც ლიბერალიზმის და კონსერვატიზმის თეორეტიკოსებზე, ასევე მეცნიერ-სოციოლოგებზეც.

ცვლილებების მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაცვლად, რეფორმამ შესაძლოა კიდევ უფრო გააღვივოს საერთო-სახალხო მოლოდინი და რევოლუციური მისწრაფებებიც გააძლიეროს.

რევოლუციის ამ თეორიის კლასიკური დებულება მოცემულია ტედ გარის ნაშრომში "რატომ ჯანყდება ადამიანი?" (1970). მისი აზრით, ჯანყი იმ იმედგაცრუების შედეგია, რასაც მოლოდინისა და რეალურად მიღებულის შეუსაბამობა იწვევს. აქედან გამომდინარე, რევოლუციის ვეზულზე მეტი ალბათობა მაშინ ჩნდება, როდესაც ეკონომიკური და სოციალური განვითარების გარკვეულ პერიოდს, უცვლელი ვარდნა და დაპრესია მოყვება ხოლმე.

რევოლუციის მესამე თეორია ყურადღებას არა პოლიტიკურ სისტემაში არსებულ ამა თუ იმ სახის წინააღმდეგობას, არამედ საკუთრივ სახელმწიფოს ძლიერ და სუსტ მხარეებზე ამახვილებს. გარკვეულ დონეზე სახელმწიფოს შეუძლია წინ აღუდგეს ნებისმიერი ხასიათის შიდა პრობლემებს, ვიდრე მას კონტროლის ბერკეტები უჭყრია ხელთ და ამ ბერკეტების გამოყენების პოლიტიკური ნებაც გააჩნია. მსგავს შემთხვევებში ლეგიტიმურობის დაკარგვის შედეგი ან რევოლუციაა, ან რეპრესიების მართლაც, ამგვარი რეჟიმები ჰიტლერის გერმანიაში, სტალინის საბჭოთა კავშირში და ჰუსეინის ერაყში არსებობდა, სანამ მათ შიდა ოპოზიციის ტერორისა და რეპრესიების მეშვეობით დათრგუნვა შეეძლოთ. ასეთ შემთხვევებში პოლიტიკური ცვლილება უფრო მოსალოდნელია პოლიტიკური თუ სამხედრო ელიტის აჯანყებას, და არა სახალხო რევოლუციის მოქვეყნებას.

ფრანგული, რუსული და ჩინური რევოლუციების შედარებით ანალიზის შედეგად, ტედა სკოტპოლმა რევოლუციების სოციო-სტრუქტურულ

რული ახსნა შემოგვთავაზა, რომლის მიხედვითაც, რეჟიმის კრახს საერთაშორისო ასპარეზზე მისი სისუსტე და საშინაო პრობლემების მოუგვარებლობა იწვევს. ასე მოხდა ჩინეთში 1911 და 1949წწ., და რუსეთში — 1905 და 1917 წწ. ამის საწინააღმდეგოდ, რეპრესიების პოლიტიკაზე უარის თქმამ (გერმანიის 1949, უნგრეთის 1956 და ჩეხოსლოვაკიის 1968წწ. მოვლენებისაგან და 1989წ. ჩინეთში, ტიანანმინის მოედანზე დატრიალებული ტრაგედიისაგან განსხვავებით) გორბაჩოვის სსრკ დაშლამდე მიიყვანა.

შეჯამება

◀ პოლიტიკური კულტურა ადამიანთა ფსიქოლოგიური დამოკიდებულების გამოხატულებაა იმგვარი პოლიტიკური სუბიექტების მიმართ, როგორცაა პარტიები, ხელისუფლება, და კონსტიტუცია. და ეს დამოკიდებულება მათ სიმპატიებში, შეხედულებებში, მიდრეკილებებსა და ღირებულებებში აისახება. პოლიტიკური კულტურა საზოგადოებრივი აზრისაგან იმით განსხვავდება, რომ მას დროით გამოცდილი ღირებულებები აყალიბებს, და არა რეაქცია ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენასა თუ პოლიტიკური ფიგურის ქმედებაზე.

◀ პიროვნებებიცა და ჯგუფებიც პოლიტიკურ შეხედულებებსა და ღირებულებებს სწორედ პოლიტიკური ურთიერთობების პროცესში იძენენ. ეს ან პიროვნების მთელი ცხოვრების განმავლობაში ხდება და ან აღზრდითაა განპირობებული — ოჯახური თუ რელიგიური, ან — მას-მედიის ზეგავლენით შეთვისებული.

◀ სამოქალაქო კულტურის ცნება დიდი კამათის საგანი იყო მუდამ. მასში იმგვარ ფსიქოლოგიურ პრიორიტეტებს მოიაზრებდნენ, როგორც მართვაში მანამონაწილეობა და მყარი დემოკრატიული წესრიგის შენარჩუნებისათვის უცილებელი, ხელისუფლების კანონიერების აღიარებაა. თუმცა, სამოქალაქო კულტურა შეიძლება უფრო დემოკრატიის შედეგი იყოს, და არა მისი წინაპირობა. მარქსისტებისა და სხვა რადიკალების აზრით, "გაბატონებულმა კულტურამ მუდამ თავსმოხვეულია, პრივილეგიურებულ ჯგუფთა ინტერესების დასაცავად.

◀ სამოქალაქო პასიურობით გამორჩეული თანამედროვე საზოგადოებები, ზოგის აზრით, სამოქალაქო კაპიტალის ნაკლებობასაც განიცდიან და ამას ბოლოდროინდელი ცვლილებებით, მზარდი ინდივიდუალიზმითა და სულ უფრო გაღრმავებული უთანასწორობით ხსნიან.

◀ ლეგიტიმურობა პოლიტიკურ მდგრადობას განაპირობებს, რამდენადაც ხელისუფლებას მართვის მანდატს ანიჭებს საერთო-სახალხო აღიარების საფუძველზე. ლეგიტიმურობა შეიძლება ტრადიციულ, ქარიზმატულ თუ კანონიერ-რაციონალურ ავტორიტეტს ემყარებოდეს. ეს უკანასკნელი

10. პოლიტიკური კულტურა, თვითგამორკვევა და ლეგიტიმურობა

თანამედროვე საზოგადოებებში ლეგიტიმურობის ყველაზე გავრცელებულ საფუძვლად მიიჩნევა, რამდენადაც კონსტიტუციონალიზმისა და არჩევითი დემოკრატიის შედეგად ჩამოყალიბებულ მმართველობის ფორმებს უკავშირდება.

« თანამედროვე საზოგადოებების სტრუქტურულმა უთანასწორობამ, ვაითუ, უფრო გართულს ლეგიტიმურობის მიღწევა. ლეგიტიმაციის კრიზისი, შესაძლოა, ერთის მხრივ დემოკრატიული წყობისათვის დამახასიათებელმა, ეკონომიკაში "ჩარევის" აუცილებლობამ და მეორეს მხრივ, საბაზრო ეკონომიკის დაწერილ თუ დაუწერელ კანონებს შორის უთანხმოებამ გამოიწვიოს.

« რეველუციები პოლიტიკური სისტემის შესაცვლელად გამიზნული საერთო-სახალხო ჯანყია და მათ ზოგი უფრო ღრმა საზოგადოებრივი გარდაქმნების სიმპტომად, სხვები კი — პოლიტიკური სისტემის თანამდევითანასწორობის გამოვლინებად, იმედგაცრუების შედეგად თუ ხელისუფლების უნიათობის დასტურად მიიჩნევა.

კითხვები განსახელოვად

< სამოქალაქო კულტურა — წარმატებული დემოკრატიული მმართველობის წინაპირობა თუ — მისი შედეგი?

< სახელმწიფო მმართველობაში სახალხო თანამონაწილეობის ხვედრითი წილი შემცირდა თუ, უბრალოდ, სხვა ფორმები შეიძინა?

< შესაძლებელია თუ არა მრავალკულტურულობის დაზავება ნაციონალიზმის რომელიმე ფორმასთან?

< საზოგადოებები უნდა დავიცვათ კულტურული მრავალფეროვნებისაგან თუ პირიქით?

< რა ჭირდება ლეგიტიმურობის შენარჩუნებას თანამედროვე საზოგადოებებში?

< ემუქრება თუ არა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ლეგიტიმურობის მუდმივი კრიზისი?

< რა უფრო სწორია — რეველუციის სოციალურ, თუ პოლიტიკურ ფენომენად გააზრება?

დამატებითი საკითხავი

Almond, G.A. and S. Verba (eds), *The Civic Culture Revisited* (Boston, MA: Little, Brown, 1989).

Bauman, Z., *Identity* (Cambridge: Polity, 2004).

Cohen, A., *Theories of Revolution: An Introduction* (London: Nelson, 1975).

Parekh, B., *Rethinking Multiculturalism: Cultural Diversity and political Theory* (Basingstoke and New York: Palgrave Macmillan, 2006).

Putnam, R., *Bowling Alone: The Collapse and revival of American Community* (New York: Simon&Schuster, 2000).

მას-მედია და პოლიტიკური ბერკეტები

"ადამიანი, როგორც წესი, თვალს უფრო უჯერებს, ვინემ ხელს; ხილულს ყველა ხედავს, რეალობის შვერძნება კი ყველას როდი გააჩნია".
ნიკოლო მაკიაველი, *მოთავარი* [1531]

ურთიერთობის ხელოვნება პოლიტიკის საფუძველთა-საფუძველია და ავტორიტარი მმართველებიც კი, თუნდაც მოქვენებითი ლეგიტიმურობის მიუხედავად, იძულებულნი არიან ხალხს "ელაპარაკონ". დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ურთიერთობის რთული და მრავალმხრივი პროცესი ისეთი ხერხებით მიმდინარეობს, როგორცაა ფართომასშტაბიანი კამპანიები, საზოგადოებრივი აზრის კვლევა, დებატები თუ საჯარო გამოსვლები. თავისთავად დემოკრატია მართლაც შეიძლება პოლიტიკური ურთიერთობის ერთგვარ ფორმადაც მივიჩნიოთ, რამდენადაც იგი წარმოდგენილია მუდმივი დიალოგის გარეშე ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. ოღონდ ეგეცაა — პოლიტიკურ ურთიერთობებს, როგორც წესი, შუამავალი სჭირდება და იშვითად რომ პოლიტიკურ ინფორმაციას თავად პოლიტიკოსებისაგან ვიღებდეთ; ძირითადად, პოლიტიკის შესახებ ის ვიცით, რასაც ჟურნალ-გაზეთებში ამოვიკითხავთ, ტელევიზიის ეკრანზე ვხედავთ, რადიოთი ვისმენთ და ბოლო დროს, ინტერნეტში მოვიძიებთ ხოლმე. აქედან გამომდინარე, მას-მედია უბრალოდ კომუნიკაციის საშუალება კი არაა, არამედ თავად პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ნაწილი, რომელიც არა მარტო ასახავს, გავლენასაც ახდენს მთლიანად საზოგადოებაში ძალთა გადანაწილებაზე.

ამ თავში შემდეგი ძირითადი საკითხებია განხილული:

საკვანძო საკითხები:

- < რა თეორიები არსებობს პოლიტიკისა და მას-მედიის ურთიერთკავშირის თაობაზე?
- < მას-მედია აძლიერებს თუ ძირს უთხრის დემოკრატია?
- < როგორ აისახა მართვის პროცესებზე მედიის მნიშვნელობის ზრდა?
- < რამდენადაა მას-მედია პასუხისმგებელი გლობალიზაციის შემოტევაზე?
- < რამდენად წარმატებით იყენებს ხელისუფლება მას-მედიას როგორც პროპაგანდისტულ მანქანას?
- < გარდაუვალია თუ არა "დაპირების" ტექნოლოგიები მედიის ეპოქაში?

11

თავი

შინაარსი

მას-მედიის მოდელები
პლურალისტური.
გაბატონებულ-იდეოლოგიური.
ელიტის მორჩილი თავისუფალ-საბაზრო.

მედია, დემოკრატია და მართვა
დემოკრატია გუსაგი?
მას-მედია და მართვა.
მედიის გლობალიზაცია.

პოლიტიკის ბერკეტები
პროპაგანდის ხერხები.
პიარ-ტექნოლოგიები.

შეჯამება/კითხვები
განსახელოვად/
დამატებითი საკითხავი

მას-მედიის მოდელები

მას-მედია

მედია იმ საზოგადოებრივი ინსტიტუტების ერთობლიობაა, რომლებიც დაკავებულნი არიან ფაქტების, ინფორმაციებისა და მოვლენების შეკრება-გავრცელებით. მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენების წყალობით, მედია ადამიანთა უდიდეს როლდენობასთან ამყარებს კავშირს, რაც მისი "მასიურობის" საწინდარია. ინფორმაცია ვრცელდება როგორც სამუშაოებლო (ტელევიზია, რადიო), ასევე ბეჭდური (ჟურნალ-გაზეთები) მედია-საშუალებებით. თავის მხრივ, "ყვირულ" და "სოლიდურ" გაზეთები შესაძლოა, განსხვავებულ სიმათია-ანტიმათიებს გამოხატავენ. მას-მედიის როლი და გავლენა განსაკუთრებით გაიზარდა ე.წ. "ახალი მედიის" (საკაბელო და სატელევიზიო ტელეკომუნიკაციები, ინტერნეტი და ა.შ.) შექმნის შემდგომ.

მედია პოლიტიკურად მას შემდეგ გახდა მნიშვნელოვანი, რაც XIX საუკ. ბოლოს, საგრძნობლად იმატა წერა-კითხვის მცოდნეთა და, შესაბამისად, ჟურნალ-გაზეთების რაოდენობამ. ახლა აღარაფერ კამათობს იმაზე, რომ თანდათანობით, სოციალური და ტექნოლოგიური ცვლილებების კვალად, მასმედია გავლენიანი პოლიტიკური ძალა გახდა და ზოგჯერ პოლიტიკური პროცესების წარმმართველიც კი. საგულისხმოა სამი უმთავრესი მომენტი: ჯერ ერთი, შესუსტდა პოლიტიკური სოციალიზაციის იმგვარი "პირველადი რგოლების გავლენა, როგორებიცაა ოჯახი და საზოგადოებრივი კლასი. თუკი ადრე ადამიანი იშვიტად თუ შეიცვლიდა — ყოველ შემთხვევაში, რადიკალურად მაინც — ბავშვობაში ან სიჭაბუკის დროს ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ შეხედულებებსა და სიმათიებს, თანამედროვე საზოგადოებაში ინდივიდუალისტური და სამომხმარებლო ღირებულებების გავრცელების შემდეგ, უწინდელი ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. შესაბამისად, გაფართოვდა მედიის პოლიტიკური გავლენის არეალიც — რადგან სწორედ იგია ის უმთავრესი მექანიზმი, რომელიც პოლიტიკურ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას და მის არჩევანსაც განაპირობებს.

მეორეც: ტელეკომუნიკაციებისა და ინტერნეტში ჩართულთა რიცხვის განუხრელი ზრდის შდეგად, საინფორმაციო საშუალებებმა ლამის თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში დაიდოს ლომის წილი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ დღეს ხალხი უფრო მეტადაა მიჯაჭვული მედიაზე. ვიდრე ეს აქამომდე იყო. მაგალითად, ტელევიზია ახლა უფრო მნიშვნელოვანი წყაროა პოლიტიკური ინფორმაციის თვალსაზრისით, ვიდრე ნებისმიერი თავყრილობა თუ ნაბეჭდი ტექსტი; სხვათა შორის, სპორტული გადაცემების ყურებაც გაცილებით მეტს ურჩევნია, ვიდრე ვარჯიში თუ რაიმე სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა. ეგ კი არა, თანდათან საყიდლებზე გასვლაც გვეზარება და საჭირო საქონელს ინტერნეტით ვუკვეთავთ. გასათვალისწინებელია ინტერნეტის მზარდი პოლიტიკური მნიშვნელობაც: 2006 წ. უკვე მილიარდზე მეტ ადამიანს მიუწვდებოდა მასზე ხელი: ამერიკაში — 62%, ავსტრალია/ოკეანიაში — 51%, ევროპაში — 36%; თუმცა მომხმარებლების რიცხვი იზრდება აფრიკაშიც, ლათ. ამერიკასა და ახლო აღმოსავლეთშიც.

მესამე: მედია გავლენიან ეკონომიკურ ფიგურადაც ჩამოყალიბდა. არამცთუ მთავარი მედია-კორპორაციები გახდნენ მსოფლიო მნიშვნელობის „მოთამაშებები“, არამედ უამრავი წვრილ-წვრილი კომპანია ჩაერთო ერთ დიდ „ინფონდუსტრიაში“, რაც საგამომცემლო საქმეს, ტელევიზიას, კინოს, მუსიკას, კომპიუტერების წარმოებასა და ვიდეოკომუნიკაციებს მოიცავს. მაიკროსოფტის, უორნერის, დისნეისა და სხვა მსგავსმა კორპორაციებმა ისეთი ეკონომიკური გავლენა და ძალაუფლება მოიპოვეს, არც ერთ ხელისუფლებას არ ძალუძს მათი უგულვებელყოფა.

აღარაფერ დაობს, რომ თუ მთლიანად მედია არ განსაზღვრავს პოლიტიკურ სიმათიებსა და ღირებულებებს, ყოველ შემთხვევაში, მოქალაქეთა პოლიტიკურ არჩევანზე მაინც დიდ გავლენას ახდენს. საკამათო

მხოლოდ ამ გავლენის პოლიტიკური წონაა. პოლიტიკაზე მედიის ზემოქმედების რამდენიმე განსხვავებული მოდელი არსებობს და მათგან ოთხი ჩვენთვის საინტერესო:

- < პლურალისტური
- < გაბატონებულ-იდეოლოგიური
- < თავისუფალ-საბაზრო
- < ელიტის მორჩილი

პლურალისტური მოდელი

პლურალიზმი ზოგადად, განსხვავებულობასა და მრავალფეროვნებას ნიშნავს. მას-მედიის პლურალისტური მოდელი მედიას განიხილავს როგორც ერთგვარ იდეოლოგიურ ბაზარს, სადაც პოლიტიკური შეხედულებების ფართო სპექტრია გამოტანილი. მართალია, ბოლომდე არავინ უარყოფს მოსაზრებას, რომ მედიას შეუძლია ზეგავლენაც მოახდინოს პოლიტიკურ შეხედულებებსა და სიმპათიებზე, მაგრამ მაინც იმთავითვე იგულისხმება, რომ გავლენა არსებითად მიუკერძოებელია, ანუ — მედია საზოგადოებაში განსხვავებული ძალების გაწონასწორებას ცდილობს.

პლურალისტური თვალსაზრისის თანახმად, მედია განსაკუთრებით დადებით როლს თამაშობს — როგორც საზოგადოების "ინფორმატორში", ის დემოკრატიის ხარისხსაც უზრუნველყოფს და ხელისუფლების მაკონტროლებელიცაა. მისი, როგორც "დემოკრატიის დარაჯის" ფუნქცია კარგად გამოჩნდა 1974წ., როცა "უოშინგტონ პოსტმა" უოტერგეიტის სკანდალი გამოიძია და პრეზიდენტი ნიქსონი აიძულა, თანამდებობიდან გადადგარიყო. უფრო მეტიც, ბევრი ამტკიცებს რომ ინტერნეტის წყალობით, პლურალიზმი და პოლიტიკური კონკურენცია კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან დღეს ნებისმიერ პროტესტანტ ჯგუფს, ვთქვათ, თუნდაც ანტი-გლობალიზტებს, საკმაოდ იაფად და შედეგიანად შეუძლიათ საკუთარი ინფორმაციის გაერცვლება და კამპანიების წარმოებაც. თუმცა, პლურალისტურ მოდელს სერიოზული ხარვეზებიც ახასიათებს: ასე მაგალითად, შედარებით სუსტ და არაორგანიზებულ ჯგუფებს ხელი არ მიუწვდებათ მთავარ გამოცემებზე თუ საეთერო "პრაიმ-ტაიმებზე", რადგან მედიის იდეოლოგიური ბაზარი მაინც შედარებით ვიწროა და ისტებლიშმენტზე ორიენტირებული. მით უმეტეს, კერძო საკუთრება და ხელისუფლებისგან ფორმალური დამოუკიდებლობა შეიძლება საკმარისი საფუძველი ვერ გამოდგეს მედიის ოპოზიციურობისათვის, თუკი გავითვალისწინებთ საკმაოდ არაერთგვაროვან ურთიერთობებს ხელისუფლებას, ჟურნალისტებსა და მედია-მაგნატებს შორის.

პოლიტიკური სოციალიზაცია

ესაა პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი გარკვეულ პოლიტიკურ მრწამსსა თუ ღირებულებებს ეზიარებიან და შემდგომ თაობიდან თაობას გადასცემენ ხოლმე. ამ პროცესის "პირველად რგოლებად" ჩვეულებრივ, ოჯახებსა და სკოლებს მიიჩნევენ, ხოლო ვთქვათ, კოლეჯებს, სამეცობროს თუ იგივე მას-მედიას — "შეორად საფეხურად" განიხილავენ. პოლიტიკური სოციალიზაციისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა ე.წ. ბიპოფიორ-ისტული რევოლუციის დროს, როცა მასში პოლიტიკური მიდრეკილებებისა თუ ქცევის ამხსნელი (შესაძლოა, განმაპირობებელი) დამატებითი სტიმული დაინახეს. თუმცა კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ სოციალიზაცია ადამიანის ფსიქოლოგიის გამართლებულ მოდელს გვთავაზობს, რაკილა მას დასწავლის უბრალო შედეგად განიხილავს და თავისუფალი აზროვნების უნარს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

ნოამ ხომსკი (დაიბ. 1928)



რადიკალურად განწყობილი ამერიკელი ინტელექტუალი, ენათმეცნიერი. აღმოსავლეთ ვეროპიდან ემიგრირებულ ოჯახში დაიბადა და პირველი აღიარება ლინგვისტიკის განხრით მოიპოვა. მისმა "სინტაქსურმა სტრუქტურებმა" (1957) მთელი გადატრიალება მოახდინა ამ დარგში — იმ რეკოლუციური თეორიის შედეგად, რაც ენების შესწავლისადმი ადამიანის თანდაყოლილი უნარის არსებობას ასაბუთებდა. მისი რადიკალიზმი ვიეტნამის ომის დროს გამოვლინდა და თანდათანობით ხომსკი ამერიკული

საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს კრიტიკოსად იქცა. მისი შეხედულებები ასახულია სრულიად განსხვავებული ტიპის ნაშრომებში: „ამერიკული ძალაუფლება და ახალი არისტოკრატია“ (1969), „დღევანდელი სამხედრო ჰუმანიზმი“ (1999), „ჰეგემონია და თეოთგადარჩენა“ (2004). ეღვარდ ჰერმანთან ერთად დაწერილ წიგნში "თანხმობის ფაბრიკა" (1988) მან მკაცრად გააკრიტიკა მას-მედია როგორც ადამიანთა დამარზმველი — იმპერიალისტური აგრესიის მხარდასაჭერად.

გაბატონებულ-იდეოლოგიური მოდელი

ამ მოდელის თანახმად, მედია პოლიტიკურად კონსერვატიულ ძალად აღიქმება, რადგანაც ძირითადად ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი ელიტის ინტერესებს ასახავს და მასების მორჩილებასა და პოლიტიკურ პასიურობას უწყობს ხელს. გრამშის აზრით, მედია მხოლოდ ბურჟუაზიული იდეების პროპაგანდას ეწევა და კაპიტალისტურ ჰეგემონიას განამტკიცებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას-მედიის მფლობელობა განაპირობებს მის მიერ გავრცელებული პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების ხასიათს, მფლობელებად კი, როგორც წესი, მცირერიცხოვანი საერთშორისო მედია-კორპორაციები გვევლინებიან. მათგან ყველაზე გავლენიანი — ექვსია: AOL-Time Warner, News Corporation, Viacom, Disney, Vivendi Universal, Bertelsmann. ამ გაგებით მედია უდიდეს როლს ასრულებს გლობალიზაციის ხელშეწყობის მხრივ.

გაბატონებულ-იდეოლოგიური მოდელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვერსიაა ნოამ ხომსკისა და ედ ჰერმანისეული "პროპაგანდისტულ ფორმა, რაზეც ისინი წერენ წიგნში "თანხმობის ფაბრიკა" (1994). ავტორები საუბრობენ იმ 5 ფილტრზე, რაშიც თავად მედია ატარებს პოლიტიკურ "ნიუსებს":

- < მფლობელთა ბიზნეს-ინტერესები
- < რეკლამის დამკვეთთა და სპონსორთა ინტერესები
- < ხელისუფლების წარმომადგენელთა და საქმიანი წრეების ლობისტთა ინტერესები
- < ჟურნალისტთა მიმართ საჯარაულო მუქარა თუ წნები
- < საბაზრო კონკურენციისა და სამომხმარებლო კაპიტალიზმის უპირატესობათა ურყევი რწმენა.

ხომსკის ანალიზი ნათლად წარმოაჩენს, რამდენად შესწევს მას-მედიას ძალა, დემოკრატიის სახელით უზრუნველყოს, ვთქვათ, საერთო-სახალხო მხარდაჭერა ამერიკის იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკის

მიმართ. თუმცა კრიტიკას ვერც ეს მოდელი გაექცა, რაკილა იგი სათანადოდ არ აფასებს იმ პროგრესულ პროექტებს, რაც სოციალური, რასობრივი, თუ ეკონომიკური სფეროების მიმოხილვას ისახავს მიზნად — კონკრეტულად, საზოგადოებრივი მაუწყებლობების ეთერში. მეტიც, იმის თქმა რომ მხოლოდ მედია აყალიბებს ხალხის პოლიტიკურ შეხედულებებს, ძირშივე არასწორია — ვინაიდან უარყოფს პიროვნების მიერ კრიტიკული შეფასების უნარს და შესაძლებლობას, საკუთარ ფილტრში გაატაროს მედიის ესა თუ ის ინფორმაციული გზავნილი.

ელიტის მორჩილი მოდელი

ეს მოდელი იმაზეა მომართული, თუ ვინ აკონტროლებს, ასე ვთქვათ, არა ნელეულს, არამედ უკვე მზა პროდუქციას: რედაქტორები, ჟურნალისტები, თუ მიმოხილველები საკმარისად დამოუკიდებელი არიან, რათა ნებისმიერმა მედია-მაგნატმა მათ ყოველდღიურ საქმიანობაში პირადად ვერ ჩაყოს ცხვირი და მხოლოდ ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრით შემოიფარგლოს. საქმეც ისაა სწორედ, რომ ნებისმიერ საბჭოში თუ მთავარ სავარძელში ის ხალხი ზის, ვინც საკუთარ პოლიტიკურ სიმპათიანტიპათიებს მისდევს. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ზოგის აზრით, გაზულუქებულ ელიტას არაფერზე თავის შეწუხება აღარ უნდა, ხოლო კონსერვატორები კი სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებენ — უნივერსიტეტებში განათლებამიღებული, ლიბერალი ინტელექტუალების ღირებულებები შორს დგას ხალხის მასების მოთხოვნებისაგანო. ცალკე ფემინისტები გაიძახიან — ტელეარხებზე მამრთა ბატონობა სუფევსო.

მოკლედ, ე.წ. "ელიტარული მოდელ" უკეთ კი გვიხსნის, რატომ შეიძლება მას-მედიის მიერ ასახული პოლიტიკური შეხედულებების სპექტრი უფრო შეზღუდული იყოს, ვიდრე ამას პლურალისტები ისურვებდნენ, მაგრამ მას მაინც გარკვეული ნაკლიც გააჩნია. უპირველეს ყოვლისა, იგი საკმარისად ვერ ითვალისწინებს იმ წნეხის არსებობას, რასაც მედიაში დასაქმებული პროფესიონალები განიცდიან — თუნდაც მფლობელთა ინტერესებს, კომერციულ მოსაზრებებს და ე.წ. "სარეიტინგო მონაცემებს".

საბაზრო მოდელი

მას-მედიის საბაზრო მოდელი დანარჩებებისაგან იმით განსხვავდება, რომ საერთოდ არ აღიარებს მედიაში რაიმე მიკროძობას. ამ მოდელის თანახმად, გაზეთები თუ ტელევიზია კი არ განაპირობებს, არამედ მხოლოდ ასახავს საზოგადოების განწყობილებებს. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ მფლობელებისა თუ წამყვანი პროფესიონალების პირადი სიმპათიანტიპათიების მიუხედავად, მედიის საქმიანობა უპირველეს ყოვლისა ბიზნესია და ბაზარზე ადგილის შესანარჩუნებლად, მაქსიმალური მოგების უზრუნ-

11. მას-მედია და პოლიტიკური ბერკეტები

ველყოფას ცდილობს. შესაბამისად, მედია იმას აძლევს ხალხს, რაც "მომხმარებელს სურს" და არა მისთვის საკამათო ან მიუღებელ პოლიტიკურ ინფორმაციას. ასეთი მოსაზრება შესაძლოა ნაკლებად სამართლიანი იყოს იმგვარ საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით, როგორცაა, ვთქვათ, ბი-ბი-სი, სადაც ნაკლებად იგრძნობა კომერციული თუ სარეკლამო წნეხი, მაგრამ იქაც კი სულ უფრო აშკარა ხდება რეიტინგების მზარდი "ტირანია".

და მაინც, იმის მიუხედავად, რომ ეს მოდელი არანაირად არ განიხილავს მედიის კერძო საშუალებებს პოლიტიკური პროცესის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად, მაინც გვეხმარება უკეთ ავსხნათ პოლიტიკური ცხოვრების გარკვეული ტენდენციები. ერთი მათგანია პოლიტიკისადმი სულ უფრო მზარდი გულაცრუება შესაბამისი თემების დუნედ, ერთფეროვნად გაშუქების ფონზე. ბაზარზე ადგილის დაკარგვის შიშით, სატელევიზიო კომპანიებმა საგრძნობლად შეამცირეს სერიოზული პოლიტიკური დებატების ხვედრითი წილი ეთერში და, ასე ვთქვათ, "ინფოსეირის" სასარგებლოდ, მოქალაქეების გათვითცნობიერების ვალდებულებაზეც ხელი აიღეს.

მედია, დემოკრატია და მართვა

დემოკრატიის გუშაგი?

მას-მედიის წვლილი დემოკრატიულ პროცესებზე ერთ-ერთი ყველაზე საკამათო საკითხია მედიისა და პოლიტიკის ურთიერთობის თვალსაზრისით. ბევრისათვის თავად **თაგისუფალი პრესის** არსებობა უკვე დემოკრატიული მართვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშან-თვისებაა. და მაინც, რაში ვლინდება მედიის, როგორც "დემოკრატიის გუშაგის" როლი? რატომ ხდება სათუო მას-მედიის დემოკრატიულობა და რატომ ხედავენ მასში გარკვეულ საფრთხეს თავად დემოკრატიისათვის? მას-მედია დემოკრატიულ პროცესს ოთხი საშუალებით შეიძლება შეუწყოს ხელი:

- < პოლიტიკური დებატებისა და თანამონაწილეობის ხელშეწყობით
- < ხელისუფლების გადაცდომებისაგან საზოგადოების დამცველის როლის შესრულებით
- < ძალაუფლებისა და პოლიტიკური გავლენის გადანაწილებით
- < დემოკრატიისათვის ხელსაყრელი სამოქმედო მექანიზმის ამუშავებით.

მას-მედიის დემოკრატიულ ფუნქციას ბევრი იმაში ხედავს, რომ სწორედ მას შეუძლია შექმნას ასპარეზი საქმიანი და სერიოზული პოლიტიკური პაექრობის გასამართლად. ამის მთავარი სიკეთე კი ის გახლავთ, რომ უკეთ გათვითცნობიერებული, უფრო დამოუკიდებლად მოაზროვნე მოქალაქეები პოლიტიკურადაც მეტად აქტიურნი იქნებიან. ამ მხრივ მედიას პოლიტიკური განათლების ფუნქციაც აკისრია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას-მედია, როგორც დემოკრატიული პოლიტიკისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე პროცესის — დიალოგის ასპარეზი, მნიშვნელოვნად "შეუბიდა"

თაგისუფალი პრესა:

როგორც წესი, კერძო მფლობელობაში მყოფი გაზეთები თუ ზოგადად სხვა მედია-საშუალებები, რომლებიც ცენზურისა და სახელმწიფო ჩარევისაგან თავისუფალნი არიან.

ასამბლეის, პარლამენტისა თუ ადგილობრივი სათათბიროს მსგავს ოფიციალურ წარმომადგენლობით ინსტიტუტებს. იგი ასე ვთქვათ, უკეთაც კი მოერგო ამ როლს, ვინაიდან, ზემოხსენებული ინსტიტუტებისაგან განსხვავებით, შემოსაზღვრული არაა მხოლოდ არჩევითი პოლიტიკური ფიგურებით და შესაბამისად, ინტერვიუებისა თუ პოლიტიკური შოუების შექმნებით, უფრო ფართო სპექტრის შეხედულებებისა თუ თემების ტირაჟირება შეუძლია. ამგვარად, მეცნიერნი, ბიზნესმენები, პროფკავშირული ლიდერები, სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფთა ლობისტები სწორედ პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ახერხებენ საკუთარი აზრისა თუ არგუმენტების მოსახლეობამდე მიტანას. თავის მხრივ, მოსახლეობასაც აქვს საშუალება, საკუთარი აზრი დააფიქსიროს ეთერში პირდაპირი ჩართვების, ეს-ემესების გავზავნისა თუ ინტერნეტ-ფორუმებში გაწვერიანებით. სწორედ ეთერში კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლაა უფრო ცოცხალი და საინტერესო, ვიდრე ამა თუ იმ სპეციფიურ საკითხთან დაკავშირებით, პოლიტიკოსთა ფორმალური და ხშირად, მოსაბეზრებელი გამოსვლები ლამის ყველა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებში. ამ მხრივ, მას-მედიის როლი სწორედ ისაა, რომ რაკილა პოლიტიკაში საკუთარი ინტერესები არ გააჩნიათ, ჟურნალისტები და ტელეწმევანები უფრო იმით არიან დაკავებულნი, არაკომპეტენტურობის, კორუფციისა თუ უბრალოდ, სიბეცის მაგალითები გამოამჩხურონ და საზოგადოების გათვითცნობიერების გზით, პოლიტიკოსებს საკუთარი მდგომარეობით ბოროტად სარგებლობის საშუალება აღარ მისცენ. ცხადია, ამ მოვალეობის შესრულება მხოლოდ მთლიანად დამოუკიდებელ, ხელისუფლების გავლენისაგან თავისუფალ მედიას ძალუძს. შესაბამისად, დემოკრატიული მართვა ან საზოგადოების მიერ დაფინანსებული მედიის ანგარიშვალდებულებას გულისხმობს სწორედ ამ საზოგადოების მიმართ, ანდა კერძო მედიისათვის შესაბამისი თავისუფალი კონკურენციის საშუალების მიცემას.

მას-მედია იმითაც უწყობს ხელს დემოკრატიას, რომ საზოგადოებაში ძალაუფლებისა და პოლიტიკური გავლენის წონასწორობის დაცვას ცდილობს. ყველაზე უკეთ ეს "ახალი მედიის" საშუალებით ხერხდება, რომელიც გაცილებით აადვილებს როგორც ინფორმაციის მოპოვებას, ასევე მის გაცვლა-გამოცვლას. კომუნიკაციის საშუალებების შექმნის მთელი ისტორია — საბეჭდი დაზვის გამოგონებიდან, ვიდრე კომპიუტერის შექმნამდე, უფრო ხელისუფლების გაძლიერების ტენდენციებს ამჟღავნებდა, ვიდრე ზოგადად საზოგადოებრივი პოზიციებისა. მაგრამ კომუნიკაციების საშუალებათა რევოლუციის ე.წ. "მესამე ტალღამ" XX საუკ. 90-იან წწ., კერძოდ კი სატელევიზიო და საკაბელო ტელევიზიების, მობილური ტელეფონებისა და ზოგადად, ციფრული ტექნოლოგიების გაჩენამ "ინფორმაციული საზოგადოების" ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. შეუდარებლად მრავალფეროვანი ინფორმაციის იოლად ხელმისაწვდომობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეები დღეს უკვე აღარ არიან დამოკიდებულნი მხოლოდ ხელისუფლებისათვის სასურველ ინფორმაციაზე და პოლიტიკის ავანსცენაზეც — ეროვნული ხელისუფლებებისა და ტრადიციული პოლიტიკური ელიტების გვერდით — სულ უფრო ხშირად ჩნდებიან არასახელისუფლებო აქტიორები — არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფები და დამოუკიდებელი ექსპერტები. მათი წყალობით საზოგადოება

ინფორმაციული საზოგადოება

ესაა საზოგადოება, სადაც ინფორმაციის შექმნა, განაწილება და მართვა უმთავრესი ეკონომიკური და კულტურული საქმიანობაა, რასაც კერძოდ, კომპიუტერიზებული პრეცედენტისა და ინტერნეტის სულ უფრო ფართო გამოყენება უწყობს ხელს. ინფორმაციულმა საზოგადოებებმა ინდუსტრიული საზოგადოებები ჩანაცვალეს, რამდენადაც ფიზიკური კაპიტალის, როგორც დღევანდელი უმთავრესი წყაროს ადგილი უკვე ინფორმაციამ და ცოდნამ დაიკავა. საინფორმაციო ეპოქაში ხელისუფლებათა უმთავრეს პასუხისმგებლობად ცოდნა-განათლების მიღების ხელშეწყობა იქცა, როგორც არა მხოლოდ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის, ასევე ნებისმიერი მოქალაქისათვის მეტი შესაძლებლობების მიცემის პირობა. თანამედროვე "უსაზღვრებო" კომუნიკაციების წყალობით, ამგვარი საზოგადოება გლობალურობისაკენ იხრება, თუმცა შესაძლოა, მასაც უთანასწორობის ახალი ფორმები ახასიათებდეს (ზოგი ინფორმაციულად უფრო "მდიდარია" და ზოგიც — შედარებით "ღარიბი").

უკვე განსხვავებულ, არა მხოლოდ ოფიციალურ წყაროებიდან მომდინარე ინფორმაციას იღებს უამრავ საკითხთან დაკავშირებით — იქნება ეს გარემოს დაცვისა თუ გლობალური სიღატაკის პრობლემები, ჯანდაცვა თუ სამოქალაქო უფლებები. ასევე, სწორედ მობილურებითა და ინტერნეტით შეიარაღებულმა ანტიგლობალისტებმა და კაპიტალიზმის შეურიგებელმა მოწინააღმდეგეებმა დარაზმვა და იმგვარი ორგანიზაციებზე ზეგავლენის მოხდენა მოახერხეს, როგორცაა მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაცია და ე.წ. "დიდი რვიანზ".

დღესდღეობით ფართოდ გავრცელებული "ელექტრონული დემოკრატიის" მეშვეობით, მედიის დემოკრატიული პოტენციალი კარგად გამოჩნდა სახელმწიფოთა მართვაში სამოქალაქო თანამონაწილეობის ზრდის თვალსაზრისით. შესაბამისად, ზემოხსენებული ერთგვარი "გაუცხოება" თუ პოლიტიკისადმი გულაცრუება ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, შეიძლება ავხსნათ არა როგორც დემოკრატიით უკმაყოფილება, არამედ — დემოკრატიული პროცესის უუნარობად, ფეხი აუწყოს დღევანდელი ინფორმირებული საზოგადოების შეხედულებებს — როგორ და რა სახით სურს ხალხს პოლიტიკაში ჩართვა და საკუთარი თვალსაზრისის დაფიქსირება. ელექტრონული დემოკრატია, რომლის იარაღებიც სატელევიზიო ინტერაქტივი და ინტერნეტის მეშვეობით ხმის მიცემაა, სულ ცოტა, სამი უპირატესობით გამოირჩევა: ჯერ ერთი, პოლიტიკური აქტივობის გამოსახატავად, აუცილებელი აღარაა ხალხმრავალი თავყრილობები; მოქალაქეებს და თავისუფლად უზიარებენ საკუთარ თვალსაზრისს; საკუთარი აზრის დაფიქსირება სულ იოლად — შინიდან გაუსვლელად შეუძლიათ თუცა, კრიტიკას ვერც ამგვარი დემოკრატია გადაურჩა და ზოგიერთის აზრით, ის პრაქტიკული სირთულეები, როგორცაა, ვთქვათ, არჩევნების გააღება — სულ უფრო იოლი ხდება ელექტრონიკაზე დამყარებული მეთოდებით. უფრო სერიოზული კრიტიკული მოსაზრებებიც არსებობს როცა შინ მჯდომი კაცი დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობას დილაკვითითის დაჭერით გამოხატავს, ამან შესაძლოა პოლიტიკური თანამონაწილეობის არსი თავდაყირა დააყენოს და მოქალაქეობრივი ვალდებულების განცდაც უბრალო სამომხმარებლო არჩევანის დონემდე დაიყვანოს.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ მედია, პირდაპირ ითქვას, „ხელისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე“ (კურანი და სიტონი, 2003). რაოდენ გათვითცნობიერებულნიც არ უნდა იყვნენ ჟურნალისტები, როგორც არ უნდა ცდილობდნენ თავი "ხალხის ხმა" წარმოაჩინონ, არჩეული პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, ისინი საკუთარი თავის გარდა არაფერს წარმოადგენენ და ამიტომ, ვერც საზოგადოებრივი აზრის გამოხატვას დაინეშებენ. ბევრი მიზეზი არსებობს, ხელისუფლებისაგან მედიის დამოკიდებულებაშიც შევიტანოთ ეჭვი: როგორც უკვე ვთქვით, მედიის წარმომადგენლებსა და პოლიტიკურ ელიტას შორის, ძალზე ხშირად, არაერთგვაროვანი ურთიერთობები მყარდება ხოლმე, რაც დაღს ასვამს მედიის პოლიტიკურ შეხედულებებს და მისი "გუსმაგობის" უნარსაც სათუოდ ხდის.

მას-მედია და მართვა

ასეა თუ ისე, ამ ჩვენს "ინფორმაციულ ხანაშ" მას-მედია გვარიან გავლენას ახდენს მართვის პროცესებზე. აღსანიშნავია მას-მედიის მხრიდან სერიოზული განსჯის მაგორად, პოლიტიკოსთა პირად ცხოვრებაზე აქცენტის გადატანა. გაერთიანებულ სამეფოში და სხვა საპარლამენტო ქვეყნებში უკვე პოლიტიკის "პრეზიდენტიზაციას" და "ამერიკანიზაციას" კი ალაპარაკდნენ. აქ მედიის რამე აკვირებასთან კი არა გვაქვს საქმე, უბრალოდ, იგი ცდილობს მასიურ მომხმარებელს კარგად შეეფუთოს პოლიტიკოსი მიახალის, რადგან მისი პლატფორმა და პროგრამა ნაკლებად რომ ვინმეს აღელვებდეს. მსგავსი ტენდენცია მოჩანს არჩევნების დოღთან დამსგავსებაშიც, როცა ამომრჩევლის ყურადღებას იქით მიმართავენ, პირველი ვინ მივა ფინიშთან და არა გამარჯვებულის სამომავლო გეგმებზე. პოლიტიკური კონკურენცია სილამაზის კონკურსს ემსგავსება და ლიდერებიც საკუთარ პარტიათა საფირმო ნიშნების ფუნქციას ასრულებენ ხოლმე. მათი შესაფხვებისას, გადამწყვეტი "ტელე-ვიზუალური" უნარ-ჩვევები ხდება (თავისუფალი მიხვრა-მოხვრა, მოსწრებული სიტყვა, "ხალხთან სიახლოვე" და ა.შ.) და არა მათი პოლიტიკური ხედვის ავ-კარგაიანობა თუ სერიოზული პოლიტიკური კამათის ნიჭი.

იმთავითვე ნათელი იყო, რომ მედიის ეპოქაში, პოლიტიკურ ლიდერთა ქცევა შეიცვლებოდა და მათი კარიერაც ბევრად იქნებოდა დამოკიდებული პრესისა თუ ტელევიზიის კეთილგანწყობაზე. ჩაცმულობა, ვარცხნილობა, თუ მიხვრა-მოხვრა სულ უფრო მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიების გამოკვეთის დროს. ყოველივე ამან უბრალოდ კი არ შეცვალა თანამედროვე პოლიტიკის "სახე", არამედ მის "ხასიათსაც" იქონია გავლენა. "ვარსკვლავურ" სენი მრავალ პოლიტიკოსს შეეყარა და უკვე ბევრი პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და პარტიის ლიდერი საკუთარ "საეურო ლიდერობას" ამკვიდრებს. ისინი უკვე უშუალოდ, ტელეკრანიდან "ელაპარაკებთან" მოსახლეობას. ამ ტენდენციის ერთ-ერთი შედეგი ისაა, რომ პოლიტიკური ძალაუფლების საფუძველი ცალკეული პოლიტიკოსის/ლიდერის "ცნობადობა", მის მიმართ მედიის მიერ გამოჩენილი ყურადღება ხდება — რაც მეტია ინტერესი მედიის მხრიდან, მით მეტია პოლიტიკური წონაც. ოღონდ მედალს მეორე მხარეც აქვს: საჯაროდ არა მარტო წარმატებების დემონსტრირება ხდება, შეცდომებიცა და გადაცდომებიც საყოველთაო განსჯის საგანად იქცევა ხოლმე.

მედია პოლიტიკურ კულტურასაც ამჩნევს თავის კვალს და ქვეყნის მართვის მეთოდებზე ამითაც ახდენს გავლენას. ზოგჯერ მედიას ცინიკური განწყობების დანერგვასაც აბრალებენ, რაც ხალხის მზარდ უნდობლობას იწვევს როგორც ზოგადად პოლიტიკის, ასევე ყველა ჯურის მთავრობებისა თუ ცალკეული პოლიტიკოსების მიმართ (ლოიდი, 2004). შესაძლოა, სწორედ ამან გამოიწვია მყარი დემოკრატიებისათვის დამახასიათებელი ბოლო-დროინდელი ის ტენდენციები, რაც არჩევნებისადმი გულგრილობაში და პარტიათა რიგების შეთხლეებაში გამოიხატა. და რაა ამის მიზეზი? ზოგადად პოლიტიკოსებისა და კონკრეტული ხელისუფლებისადმი ჯანსაღი კრიტიკული დამოკიდებულება ცხადია, სასიცოცხლოდ აუცილებელია დემოკრატიული მართვის პრინციპების უზრუნველსაყოფად, ოღონდ წონას-

პოლიტიკური მიკრომეცხე

ესა ერთი ჯგუფის ლიდერებულებისა თუ ინტერესებისათვის მუდმივად უპირატესობის მინიჭება სხვათა საზარ-ალოდ. მიკრომეცხე ზოგჯერ უფრო მოსაზრებების გაშუქებაა, ვიდრე ფაქტების, და ასეთ დროს მის საპირწონედ "ობიექტურობა" მოიპოვება; მაგრამ როცა ფაქტები და მოსაზრებები თვალშისაცმედაა ერთმანეთზე გადაბმული, მაშინ მიკრომეცხის საპირისპირო ცნებად უკვე "ბალანს" ითვლება. მიკრომეცხის განსხვავებული ფორმები არსებობს: შეუნიღბავი მიკრომეცხე აშკარა და გამიზნული (მაგ., სარედაქციო მინაწერი თუ კომენტარი); პრო-პაგანდისტული მიკრომეცხე მიზანმიმართული და შეგნებული, ოღონდ კლიშეების დონე ვერ ცდება (მაგ., "ზარმაცის სტუდენტობა", ანდა "პირ-სისხლიანი მაჰმადიანებ"); უნებლიე — როცა პროფესიულ საქმიანობას აკვირებული წინასწარგანწყობით წარმართავ (ეთქვათ, ახალი ამბების "შერჩევისას"); იდეოლოგიური მიკრომეცხე შენიღბული და სუბიექტურია — იგი ვარკვეული მრწამსით განპირობებულ მოსაზრებებსა და ლიდერებულებებს ემყარება (როცა მაყენს მიაჩნია, რომ კრძო საკუთრება, არჩევნის უფლება და სეკულარიზმი — პოლიტიკური ცხოვრების "წორ-მალურ" ნიშან-თვისებებია).

წირობის დაცვა სამართლიან კრიტიკასა და ლანძღვას შორის რეალურად საკმაოდ ძნელი საქმეა. ბოლო-ბოლო, მედია მინც კომერციაა, და ეს თავის დაღს აჩენს ახალი ამბებისა თუ მოვლენების გაშუქებას. კომენტარებისა და ინტერპრეტაციის კორიანტელში ხალხს სულ უფრო უჭირს "ქატო ფქვილისაგან განასხვავოს". ასევე, სულ უფრო და უფრო მოსაწყენი ხდება საკვლევებელი პოლიტიკური დებატები თუ პოლიტოლოგიური ანალიზები და მედიასაც მთელი ყურადღება სხვადასხვაგვარ სკანდალებსა და ინტრიგებზე გადააქვს.

მედია თავად "პოლიტიკის კუთხის" პროცესშიც არ თამაშობს უკანასკნელ როლს: მთელი საზოგადოებისა არ იყოს, ხელისუფლებაც მყისიერად დებულობს ინფორმაციას დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან. არადა, ზოგჯერ ბევრის ცოდნა, ვინძლო, უცოდინრობაზე სახიფათოც აღმოჩნდეს. ამის მაგალითად გამოდგება ამერიკის შეერთებული შტატების უძღურება წინასწარ განუჭვრიტა და თავიდან აეცილებინა 2001წ. 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები. პრობლემა ის კი არ იყო, რომ ა.შ.შ. მწირ იფორმაციას ფლობდა ალ-ქაიდას გეგმებსა და ზრახვებზე, — უბრალოდ, ზღვა მასალის დაგროვებამ გონიერული ანალიზი გახადა შეუძლებელი. მეტიც, რაც უფრო სწრაფად ედება მსოფლიოს ახალ-ახალი ინფორმაცია, მთავრობებიც იძულებულნი ხდებიან დაუყოვნებლივ, ზოგჯერ ბოლომდე გაუაზრებლად მოახდინონ მათზე რეაგირება. იმ ეპოქაში, როცა კვირამი შეიდი დღე ეთერიდან 24 საათის განმავლობაში უწყვეტად ვადევნებთ თვალს ახალ ამბებს, ხელისუფლებებსაც ზუსტად ანალოგიურ რეჟიმში უწევთ მუშაობა. იმის შიშით, ინერტულობა არ დაგვწყამონო, პოლიტიკოსები იძულებულნი ხდებიან ხშირად წინასწარი ანალიზისა და სამომავლო შედეგების გაუთვალისწინებლად გადადგან ესა თუ ის ნაბიჯი. მას-მედიის გავლენის ზრდამ ხშირ შემთხვევაში სწორედ მედია და არა ხელისუფლება აქცია პოლიტიკური დღის წესრიგის დამდგენად და პოლიტიკური გეზის განმსაზღვრელად. ასე მაგალითად, როდესაც 2004წ. დეკემბერში, აზიური ცუნამის კადრებს მთელი მსოფლიო პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალს, და თანაგრძნობით გამსჭვალული რიგითი ადამიანები მზად იყვნენ დაზარალებულთა დასახმარებლად უკანასკნელი დანახოვები გაეღოთ, წამყვანი ქვეყნების ხელისუფალნი იძულებულნი შეიქნენ, სერიოზულად გაეზარდათ დახმარების ფინანსური მასშტაბები.

მედიის გლობალიზაცია

მედიის მზარდი პოლიტიკური გავლენის შედეგია მსოფლიო გლობალიზაციის პროცესის გააქტიურებაც. ყველაფერი რადიომ და ტელევიზიამ წამოიწყეს, და სულ უფრო გართულდა ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობისთვის სხვა ქვეყნების სამაუწყებლო კომპანიების მიერ გავრცელებული ცხელ-ცხელი ამბებისა თუ მათი ანალიზის დამალვა. სწორედ ამან განაპირობა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური რეჟიმების რყევა და 1989-91წწ. მოვლენები. პროცესი უფრო გააღრმავა სატელიტური ტელევიზიის, ინტერნეტისა და მობილური ტელეფონების გავრცელებამ. მართალია, ჩინეთი და სინგაპური ჯერ კიდევ ცდილობენ ინტერნეტის კონტროლირებას, მაგრამ

საეთრო ლიდერობა:

თანამედროვე პოლიტიკურ ლიდერთათვის დამახასიათებელი ტენდენციაა, "გაემიჯნონ" თავის პარტიასა თუ მთავრობას, და ძირითადად ტელეკრანის მეშვეობით, საკუთარი პოლიტიკური ხაზისა თუ იდეოლოგიური პლატფორმის რეკლამირებას მიჰყონ ხელი.

დროთა განმავლობაში, ეს სულ უფრო და უფრო სათუო ხდება. შესაბამისად, მას-მედია ხელს უწყობს გლობალიზაციას და იმგვარ შორსმიმავალ პოლიტიკურ ტენდენციებს, რაც გლობალური კაპიტალისტური ეკონომიკის შექმნას, სახელმწიფოს როლის დაკნინებასა თუ ერთგვაროვანი მსოფლიო კულტურის ჩამოყალიბებას გულისხმობს.

დავა-კამათის საგანი გახდა მედიის როლიც კულტურის გლობალიზაციის საქმეში. მაგალითად, სამომხმარებლო და მატერიალისტურ ღირებულებათა საყოველთაო გავრცელება მზარდი გლობალური კაპიტალიზმის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და როგორც ბენჯამინ ბარბერმა (1995) შენიშნა, ეს ახალი სამყარო სულ უფრო ემსგავსება ერთგვარ "მაკ-მსოფლიოს" — მასობრივი კომუნიკაციებისა და თანამედროვე კომერციის უახლესი ტექნოლოგიებით გაზავებულ იმ ერთ დიდ გასართობ პარკს, სადაც სწრაფი მუსიკის, სრაფი ინტერნეტისა და სწრაფი კვების მოყვარულები, მაკ-დონალდსის სასაიდლოებში მაკინტოშის ეკრანებს მისჩერებიან. ამ თვალსაზრისს თუ გავიზიარებთ, მსოფლიო კულტურათა, სარწმუნოებათა და ტრადიციათა მრავალფეროვნება ერთგვარმა "ვესტერნიზაციის" თუ "ამერიკანიზაციის" პროცესმა ჩაანაცვლა, რაც სწორედ ე.წ. "მედია იმპერიალიზმის" მეშვეობით ხორციელდება. კულტურული გლობალიზაციის დასავლური, კონკრეტულად — ამერიკული ხასითი არა მხოლოდ სამომხმარებლო კაპიტალიზმის "დასავლურობითაა" განპირობებული, არამედ გლობალური მედიის ამერიკული წარმომავლობითაც, რაც იმაშიც შედგენილია, რომ ინგლისური ლამის მსოფლიო ენად გადაიქცეს, ხოლო პოლიუდის ფილმებსა თუ ამერიკულ ტელეპროგრამებს კაცობრიობის უდიდესი ნაწილი უყურებს.

ოღონდაც, ამ პროცესს თავისი საწინააღმდეგო დინებაც ახლავს: მედია კი ცდილობს კულტურული განსხვავებების "შერბილებას", მაგრამ ამავე დროს, მეორე, სწორედ განსხვავებისა და მრავალფეროვნების გამოკვეთის ძლიერი ტენდენციაც არსებობს და ეს უკვე არაერთხელ გამოქვეყნდა სხვადასხვა სახით. ჯერ ერთი, როგორც იგივე ბარბერი ამტკიცებს, "მაკ-მსოფლიოს" გაჩენამ იმავდროულად, მებრძოლი ისლამის, ანუ ბარბერისავე ტერმინოლოგიით, ჯიჰადის ფენომენის გააქტიურება გამოიწვია, და აქვე სახსენებელია ალ-ჯაზირას — კატარში დაფუძნებული ერთი პატარა ტელესადგურის მზარდი პოპულარობა არაბულ სამყაროში, რომელიც, როგორც სი-ენ-ენ-ის, ამერიკის ხმისა და ბი-ბი-სი-ის საპირწინე, ანტი-დასავლური მსოფლმხედველობისა და შუქდულელების პროპაგანდას ქვეყნად ამაღის, ყველა საზოგადოება, თვით ძლიერი და უზრუნველყოფილიც კი, გლობალიზებულ კულტურულ ბაზარზე ცდილობს საკუთარი გამორჩეულობისა თუ განსხვავებულობის შენარჩუნებას. კოკა-კოლას, MTV-სა თუ მაკდონალდსის გარდა, განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო და უფრო მეტად იკიდებს ფეხს "ბოლიუდის" ინდური ფილმებიც, აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებების ეპოსებიც, "ეთნომუსიკა" თუ არადასავლური რელიგიური მიმდინარეობები და მედიცინის არატრადიციული მეთოდები.

მომხმარებლობა

ეს ის ფსიქოლოგიური და სოციალური ფენომენია, როცა ბედნიერების პიროვნული განცდა მატერიალური სიმდიდრის მოხმარებასთანაა გაიგივებული და მას ე.წ. "სამომხმარებლო საზოგადოების" გაჩენას უკავშირებენ. ამგვარ საზოგადოებაში ამოსავალი მოხმარებაა და არა წარმოება თუ მოსახურება. თუკი "მწარმოებელმა საზოგადოებებში უმთავრეს მნიშვნელობას დისციპლინას, მკაცრობასა და მუყაითობას ანიჭებენ, აქ უფრო მატერიალიზმი, კედონიზმი და სურვილთა მუყაული აღსრულებაა მთავარი. მომხმარებლობითი ფსიქოლოგიის გამართლება იმით შეიძლება, რომ ჩვეულებრივი ადამიანი მით უფრო ბედნიერია, რაც უფრო მეტი სურვილის სწრაფად დაკმაყოფილებას ახერხებს. თუმცა, მეორეს მხრივ, ეს თავსმოხვეული პროცესია — როდესაც კაპიტალისტები რეკლამისა და მარკეტინგის მეშვეობით, საკუთარ ინტერესებს მისდევენ და ადამიანებს არწმუნებენ, თითქოს ხარისხიანი და პრესტიჟული საქონლის შექმნით (ე.წ. "შოპინგ") ისინი საკუთარი თავის პატივისცემასაც განიმტკიცებენ და საზოგადოებრივ მდგომარეობასაც.

კულტურის

გლობალიზაცია:

პროცესი, როცა დედამიწის ამა თუ იმ კუთხეში დაგროვლი ინფორმაცია ან მატერიალური თუ კულტურული პროდუქცია იმ ერთიანი ტენდენციის ნაწილი ხდება, რომელიც თავის მხრივ, ერებსა თუ ქვეყნებს შორის კულტურული სხვაობების "წაშლას" ცდილობს.

პოლიტიკის ბერკეტები

პროპაგანდა

ინფორმაცია ან დემონსტრაცია, რომელიც შეგნებულად ვერცხლდება საზოგადოების გარკვეული განწყობის შესაქმნელად ან პოლიტიკური ქმედებების გამოსაწვევად. ტერმინი იმთავითვე უარყოფითი ნიშნის მატარებელია, რადგან სიცრუესა და სიყალბეს, საზოგადოებრივი აზრით უხეშ მანიპულირებას გულისხმობს. პროპაგანდა პოლიტიკური მიკროძველულობისაგან იმით განსხვავდება, რომ მას სისტემატური და მიზანმიმართული ხასიათი აქვს. ზოგჯერ ერთმანეთისაგან განასხვავებენ "მაჟ" (მაძალი ტყუილი), "რუხ" (ნახევარსიმართლე) და "თეთრ" (თითქმის სიმართლე) პროპაგანდას.

ცენზურა:

ნათქვამის, დაწერილის, დაბეჭდილისა თუ წარმოდგენილის ერთჯერადი ან მიზანმიმართული კონტროლი — ზნეობრივი ან პოლიტიკური მიზანშეუწონლობის საბაბით.

გლასნოსტ:

(რუსული სიტყვაა, "სიმართლის გაცხადებას" ნიშნავს); პოლიტიკური გაგებით, განსხვავებულად მოაზროვნეებისა თუ მედიის კონტროლის შესუსტება.

პროპაგანდის ხერხები

მცდარია შეხედულება, თითქოს მას-მედია და ხელისუფლება მუდამ კრიჭაში ედგნენ ერთმანეთს და პირველი მეორის შეცდომებისა და გადაცდომების მოდარაჯე იყოს (საზოგადოების, ან თუნდაც საკუთარი კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე). პირიქით — მედია ხშირად ყოფილა უშუალოდ თუ არაპირდაპირად კონტროლირებადი ხელისუფლების მხრიდან და მას პროპაგანდისტული მიზნებისთვისაც მშვენივრად იყენებდნენ. ამის კლასიკური მაგალითი იოზეფ გებელსის მიერ შექმნილი პროპაგანდისტული მანქანა იყო ნაცისტურ გერმანიაში, სადაც საზოგადოების "შედუღება" მძლავრი იდეოლოგიური წნეხის მეშვეობით ხდებოდა. 1933წ. გებელსმა ახალი სპეციალური დეპარტამენტიც კი დაარსა — ინფორმაციისა და პროპაგანდის რაიხსამინისტრო და ცენზურის უმკაცრესი სისტემა შემოიღო. ცენზურას ექვემდებარებოდა ყველაფერი — მწერლობა, მუსიკა, თეატრი, ოპერა, მხატვრობა, ქანდაკება, კინოწარმოება თუ რადიომაუწყებლობა. ამ უკანსკნელს გებელსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და საგანგებოდ იაფი, "სახალხი" რადიომაუწყებლობის პროპაგანდისტული ქსელიც შექმნა. მისივე ხელმძღვანელობით, 1935წ. დაიწყო მსოფლიოში პირველი ტელევიზიული ემისიებიც. მართალია, არეალი მხოლოდ ბერლინს მოიცავდა, მაგრამ მაუწყებლობა ლამის II მსოფლიო ომის დამთავრებამდე არ შეწყვეტილა.

მედია-პროპაგანდა კომუნისტური რეჟიმების დამახასიათებელი ნიშან-თვისებაც გახლდათ. საბჭოთა კავშირში, მაგალითად, არა მარტო პრესისა და რადიო-ტელევიზიის მკაცრი ცენზურა მოქმედებდა, არამედ დაინერგა განსაკუთრებული "ჟურნალისტური ეთიკაც" — ერთგვარი "შინაგანი ცენზურის" სახით, რაც კომუნისტური პარტიის იდეოლოგიისა და პოლიტიკის სრულ და უპირობო მხარდაჭერას მოითხოვდა. 1985წ. გორბაჩოვის მიერ წამოწყებულმა გლასნოსტის კამპანიამ სათავე დაუდო სერიოზულ ცვლილებებს საბჭოურ მედიაში, რასაც შეუქცევადი პოლიტიკური შედეგები მოჰყვა. მედიის გავლენამ პიკს 1991წ. აგვისტოში მიაღწია, როცა სწორედ ჟურნალისტებმა და მაუწყებლებმა გაუწიეს წინააღმდეგობა პუტჩს, რომელიც გორბაჩოვის გადაყენებასა და ქვეყანაში კვლავ ავტორიტარული მმართველობის აღდგენას ისახავდა მიზნად. ამით მათ არა მარტო პუტჩი "ჩაშალეს", არამედ იმავე წლის ბოლოს, საბჭოთა რეჟიმის დასამარბასაც შეუწყვეს ხელი. თუმცა, რუსეთში მედიის თავისუფლება პოსტ-კომუნისტურ ხანაშიც არ აღმოჩნდა სრული და უღრუბლო: რუსული მედია, კერძოდ კი ტელევიზია, დღემდე არსებული ხელისუფლების ინტერესების გამომხატველად მოიხრება.

სიმართლე ითქვას, მედიის პროპაგანდისტულ იარაღად გამოყენება მხოლოდ ტოტალიტარულ რეჟიმებსა თუ ახალ დემოკრატიებს არ ახასიათებს. შეგახსენებთ, რომ იტალიაში დიდ ეჭვებსა და მითქმა-მოთქმას იწვევდა სილვიო ბერლუსკონის პრემიერ-მინისტრობა ჯერ 1994, ხოლო შემდგომში — 2001-6 წლებშიც. იტალიის უმდიდრესი ადამიანი, ბერლუსკონი დიდი მედია-

ხელის მფლობელია და იტალიის 6 კერძო ტელევიზიიდან სამს აკონტროლებს. 1993 წელს, საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, მან წამოაყალიბა პოლიტიკური მოძრაობა "წინ, იტალია!" (ფორცა იტალია) და ღელ წარმატებასაც მიაღწია არა მხოლოდ საზოგადო უკმაყოფილების გამო — დაზავებული იტალიური პარტიული სისტემისადმი — არამედ იმ დადებითი ტელეკაპპანიების მეშვეობითაც, რასაც საკუთარი არხებით ეწეოდა. თუმცა, 2000 ხელისუფლებაში მეორედ მოსვლის დროს, ბერლუსკონის ძალზე ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ გავლენის გავრცელებას სხვა არხებზეც აპირებდა — კერძოდ, საზოგადოებრივ მფლობელობაში მყოფ RAI-ს ტელევიზიაზე. კრიტიკოსების აზრით, ეს ბერლუსკონის ყველა საინფორმაციო საშუალების კონტროლის შესაძლებლობას მიცემდა და არა მარტო თვითონ, არამედ მისი მემარჯვენე-ცენტრისტული "ფორცაც" არაკონკურენტულ პარტიებში ჩაიყენებდა თავს. მეორეს მხრივ, ბერლუსკონის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ იგი მხოლოდ იმ ტენდენციური, მემარცხენე-ცენტრისტული პროპაგანდის გაწინასწორებას ცდილობდა, რასაც საზოგადოებრივი ტელევიზია ეწეოდა. მართალია, იტალიის მაგალითი უჩვეულოა, რამდენადაც ბერლუსკონი ერთდროულად ითავსებდა მედია-მაგნატიისა და პოლიტიკური ლიდერის ფუნქციებს, მაგრამ თუნდაც დემოკრატიულად განწყობილი პოლიტიკოსების მედიაზე გავლენის მოპოვების მცდელობა, მაინც საყოველთაო მისულენაა.

პიარ-ტექნოლოგიები

დღევანდელი გადასახედიდან, სულ უფრო საინტერესო ხდება ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთობის ფორმები, ანუ — როგორ იყენებენ ისინი ერთმანეთს, საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე. აშკარაა, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკური კომუნიკაციების სტილმაც და შინაარსმაც საკმაოდ იცვალა სახე, და ეს არა მარტო საზოგადოებრივ აზრს, არამედ უფრო ფართოდ — პოლიტიკურ კულტურასაც ამჩნევს კვალს. ნებისმიერი ხელისუფლება, მე თუ მკითხავთ, სიმართლესთან მწყვრალადაა: პოლიტიკოსები, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების მოპოვებასა და შენარჩუნებაზე ზრუნავენ და შესაბამისად, ხალხის მხარდაჭერა ჭირდებათ. აქედან გამომდინარე, წარმატების გაბუქვა და შეცდომების მიჩურმაოება უწყვეტ ლიბერალურ-დემოკრატიულ გარემოში, სადაც თავისუფალი მედიის არსებობა სახელმწიფო პროპაგანდასა თუ უხეშ იდეოლოგიურ მანიპულაციებს გამორიცხავს, ხელისუფალნი იძულებულნი ხდებიან ინფორმაციის ახალ-ახალ ტექნოლოგიებს მიმართონ ინფორმაციის კონტროლისა თუ გავრცელების განხრით, რასაც "ნიუსების მართვის" თუ "პოლიტიკური მარკეტინგის" სახელით იხსენიებენ ხოლმე. ამდენად, დღევანდელ ხელისუფალთა ძირითად საქმედ ინფორმაცია და პოლიტიკური კურსის მომგებიანად წარმოჩენა, ასე ვთქვათ, "გაპიარება" იქცა.

„პიარის" ხელოვნება, რასაც ე.წ. პიარ-ტექნოლოგიები ახორციელებენ, შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება:

- < ინფორმაციის სრული "გაცხრილვა" მედიაში მის გაშვებამდე
- < ინფორმაციის წყაროების კონტროლი სახელისუფლებო პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით
- < საინფორმაციო გადაცემებში, ყურადღების უმნიშვნელო დეტალებზე შეგნებულად გადატანა
- < ინფორმაციის მხოლოდ სასურველ არხებისათვის მიწოდება
- < ინფორმაციის ბოლო წუთამდე "დაკონსერვება" — მისი გადამოწმებისა თუ უარყოფის შესაფერხებლად
- < "სკანდალურ" ამბების გაშუქება რეალურად უფრო მნიშვნელოვანი მოვლენების გადასაფარავად.

საინფორმაციო პოლიტიკის ამგვარად წარმოება ყველაზე წარმატებით ა.შ.შ.-ში ხორციელდება, სადაც არჩევნების მოგების შემთხვევაში, ამა თუ იმ პრეზიდენტის პიარ-ტექნოლოგები მუდამ მაღალ თანამდებობებს იკავებენ თუთრ სახლში. კლინტონის ადმინისტრაციამ, საერთო აზრით, პიარისა და პოლიტიკოსის რეკლამირების საქმე სრულიად ახალ, დახვეწილ საფეხურზე აიყვანა. პოლიტიკის კარგად "შეფუთვის" მნიშვნელობას დიდ ყურადღებას ანიჭებდნენ ბლერის მთავრობაშიც, რამაც ზოგიერთ კრიტიკოსს ისიც კი აფიქრებინა — ბლერს საკუთარი გარეგნობა უფრო ადარდებს, ვიდრე სათქმელიო. სწორედ ბლერის დროს მოხდა ხელისუფლების საკომუნიკაციო საშუალებების ცენტრალიზაცია — პრემიერ-მინისტრის პრეს-სამსახურის თაოსნობით; ამ დროს დაინერგა ჟურნალისტებისადმი შერჩევითი მიდგომის პრაქტიკაც და მათი წახალისება მოვლენების დადებითად გაშუქების, ხოლო უგულბელოყოფა — კრიტიკული შეფასებების შემთხვევაში; 1998-2006 წლებში სამჯერ გაიზარდა საბიუჯეტო დანახარჯები პიარ-კამპანიებსა თუ მთავრობის საქმიანობის "რეკლამირებაზე".

ოღონდაც დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს მედია მთლად უცოდველი იყოს ამ საქმეში. მედიას ისევე ჭირდება ხელისუფლების კეთილგანწყობა, როგორც ხელისუფლებას — მედია საშუალებების თანადგომა და ზოგ შემთხვევაში, გამოძცემლები, რედაქტორები თუ ჟურნალისტები თავად ურიგდებიან ხოლმე პიარ-ტექნოლოგებს — ორმხრე სასარგებლო შეთანხმებების საფუძველზე. დიდ ბრიტანეთში ამის მაგალითი იყო ბლერის მთავრობისა და მედია-მაგნატ მერდოკის ურთიერთობა: როცა მისი ყველაზე პოპულარული გაზეთები — როგორც "მოყვითალო" Sun, ისე უსერიოზულესი The Times — ლეიბორისტულ მთავრობის კურსის ამკარა მხარდამჭერად მოგვევლინენ.

ზოგიერთის აზრით, მთავრობისათვის მედიაზე ორიენტაციის აღება დემოკრატიულ პროცესს აძლიერებს, რადგან ხელისუფლება უფრო უშუალოდ ურთიერთობს საზოგადოებასთან და სწრაფადაც რეაგირებს მის გუნება-განწყობაზე. თუმცა, სხვები პირიქით — ამაში სწორედ დემოკრატიისათვის ხედავენ საფრთხეს, რადგან ეჩვენებათ, რომ მედიასა და მთავრობას შორის ამგვარი დამოკიდებულება მხოლოდ მანიპულირებისა და არაგულწრფელობისაკენ უბიძგებს ორთავეს — რითაც წარმომადგენლობითი ორგანოების როლის დასუსტება ხდება. საბოლოოდ, შედეგად შეიძლება

პიარი:

არც მთლად ეჭვშეუთანელი ინფორმაციის სასურველ შედეგზე გათვლით მიწოდება.

მედიოთ პოლიტიკური აპათია და ამომრჩევლის ინტერესის გაქრობა თავად არჩევნების მიმართ — თუნდაც იმიტომ, რომ "პიარულმა" სტილი მედიისათვის უმთავრესი ხდება და მთავრობაც რაღაც თვითკმარ, უბრალო მოკვდავთაგან გამოიწუნებულ მექანიზმად იქცევა.

შეჯამება

◀ მედიის პოლიტიკური მნიშვნელობის თაობაზე რამდენიმე, ურთიერთსაწინააღმდეგო თეორია არსებობს. პლურალისტებისთვის მედია ის იდეალთა ბაზარია, სადაც განსხვავებულ აზრთა თუ არჩევანთა ფართო სპექტრია გამოტანილი; სხვანი ხაზს უსვამენ მედიისთვის დამახასიათებელ მიკროძოვბულობას, რასაც საფუძვლად ზოგჯერ მედიასა და ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი ელიტების ურთიერთკავშირი უდევს, ზოგჯერ კი — რედაქტორ-გამომცემელთა თუ ჟურნალისტთა პირადი მოსაზრებები. საბაზრო მოდელის თანახმად, მედია ნაწარმი, უბრალოდ, საზოგადოების განწყობის ანარეკლია.

◀ მედია 4 თვალსაზრისით ასრულებს გადამწყვეტ როლს დემოკრატიულ პროცესში: როგორც სერიოზული და აუცილებელი განსჯის საზოგადოებრივი ასპარეზი, მოსახლეობის პოლიტიკურ გათვითცნობიერებას ემსახურება; როგორც საზოგადოებრივი "გუშაგბი", დაუფიქრებლო რეაგირებს ხელისუფლების გადაცდომებზე; საკუთარი "ახალი ტექნოლოგიების" წყალობით, იგი გაცილებით ხელმისაწვდომს ხდის ნებისმიერ ინფორმაციას და პოლიტიკურ აქტიურობასაც უწყობს ხელს. საბოლოო ჯამში, სწორედ ისაა დემოკრატიის უმთავრესი ინსტრუმენტი. თუმცა, არსებობს მოსაზრება, თითქოს მედია ბოლომდე ნეიტრალური ვერ რჩება და არც მთლად გულწრფელია ხელისუფლებასთან ზედმეტად "ჩახუტების" გამო.

◀ მას-მედია სხვადასხვა ფორმით მონაწილეობს ქვეყნის მართვაში: მან სახე უცვალა პოლიტიკური ლიდერობის მოდელს და ამავე დროს, ხელისუფლების გადანაწილებაზეც ახდენს გავლენას. მედიამ თავად პოლიტიკური კულტურაც კი შეცვალა — პოლიტიკოსებისა და ზოგადად პოლიტიკისადმი პატივისცემის შესუსტებაშიც დაიდო წვლილი. და ბოლოს, მისი მზარდი გავლენა ჩანს "პოლიტიკის კეთების" პროცესშიც, რადგან პოლიტიკოსებისათვის აუცილებელი ხდება მოუღებებზე სწრაფი რეაგირება და ზღვა ინფორმაციის დახარისხება.

◀ ცალკე დავის საგანი გახდა მედიის როლი გლობალიზაციის საკითხთან დაკავშირებით. ზოგნი "მედია-იმპერიალიზმის" საფრთხეზეც კი ალაპარაკდნენ; სხვები მასში გლობალური სამომხმარებლო კულტურის გავრცელების, ვესტ-ერნიზაციისა თუ ამერიკანიზაციის ბრმა ინსტრუმენტს ხედავენ. მაგრამ კულტურათა ურთიერთგავლენა, რასაც მედიაც უწყობს ხელს, თავისთავად არაა ერთგვაროვანი და ერთმნიშვნელოვანი პროცესი.

◀ ხელისუფლება მედიას ხშირად პროპაგანდისტული მიზნებით იყენებს, რაც მასზე უშუალო კონტროლით ხორციელდება და "ოფიციალურ" თვალსაზ-

11. მას-მედია და პოლიტიკური ბერკეტები

რისი ტირაჟირებაში ვლინდება. ამის კლასიკური მაგალითი ნაციონალური გერმანია და კომუნისტური რეჟიმებია. თუმცა, დემოკრატიულ ქვეყნებშიც გაჩნდა ახალი ამბებით მანიპულირებისა და პიარ-კამპანიების აგორების ტენდენციები, რაც ხელისუფლებისა და მედიის საკმაოდ "ჩახლართულ" ურთიერთობების მაჩვენებელია.

კითხვები განსასჯელად

- < რითაა ახალი "ახალი მედია"?
- < მას-მედია საზოგადოებრივ აზრს ასახავს თუ აყალიბებს?
- < სასიცოცხლოდ აუცილებელია თუ არა დემოკრატიული მმართველობისათვის თავისუფალი მედიის არსებობა?
- < როგორ შეცვალა მედიამ პოლიტიკური ლიდერობის ხასიათი? შედეგად, უფრო ძლიერი თუ უფრო სისტი ლიდერები მოვიდეთ?
- < არის თუ არა მედია კულტურული "გაერთგმაროვნების" იარაღი?
- < ყველა ხელისუფლება იყენებს პროპაგანდას, თუ მხოლოდ ზოგიერთი?
- < თანამედროვე ხელისუფლებებს პოლიტიკური იმიჯის რეკლამირება უფრო ადვილვით თუ საკუთარი ქმედებების ობიექტური გაშუქება?

დამატებითი საკითხავი

- Axford, B. and R. Huggins (eds), *The New Media and Politics* (London and Thousand Oaks, CA: Sage, 2001).
- Bartle, J. and D. Griffiths (eds), *Political Communications Transformed: From Morrison to Mandelson* (Basingstoke: Palgrave Macmillan, 2001).
- Meyer, T. and L. Hinchman, *Media Democracy: How the Media Colonize Politics* (Cambridge and New York: Polity, 2002).
- Street, J., *Mass Media, Politics and Democracy* (Basingstoke and New York: Palgrave Macmillan, 2001).

პოლიტიკური წარმომადგენლობა, არჩევნები და ხმის მიცემა

"ხმის მიცემა რომ რაიმს ცვლიდეს, ვინ დაგვაცვლიდა..."

კენ ლეინგსტონის წიგნის სათაური (1987)

არჩევნებს ხშირად პოლიტიკური პროცესის უმთავრეს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ. ალბათ ერთ-ერთი უმწვავესი კითხვა ისაა — მართლა ხალხის რჩეულები არიან ჩვენი მმართველები თუ არა? და მეორე — რა წესების თანახმად ტარდება არჩევნები? ბოლო-ბოლო, არჩევნების პროცესი ხომ იგივე დემოკრატიის მოქმედებაში: ამ გზით შეიძლება ხალხმა საკუთარი ხელისუფლება აკონტროლოს და უკმაყოფილების შემთხვევაში, დაითხოვოს კიდევ. ამის წინაპირობა კი პოლიტიკური წარმომადგენლობაა. მარტივად თუ ვიტყვით, პოლიტიკოსი ხალხის მსახურია, რომელსაც ამომრჩეველი საკუთარ პასუხისმგებლობას გადააბარებს ხოლმე. ადრინდელი დემოკრატია, როცა მართვაში ხალხის თანამონაწილეობა პირდაპირ და მუდმივ ხასიათს ატარებდა, უიმედოდ მოძველდა, დღეს სწორედ პოლიტიკური წარმომადგენლობა უნდა მივიჩნიოთ სახალხო მმართველობასთან ყველაზე უფრო მონაზღოვებულ ფორმად. ოღონდ ისიც ითქვას, რომ არ არსებობს საერთო თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რეალურად როგორ მივადწიოთ ამას, როგორ გავაკეთოთ არჩევანი და სინამდვილეში რას ასახავს არჩევნების შედეგები.

ამ თავში შემდეგი ძირითადი საკითხებია განხილული:

საკვანძო საკითხები:

- < რა არის პოლიტიკური წარმომადგენლობა? რა ფორმით შეიძლება ერთი პიროვნება მეორის "წარმომადგენელ" იყოს?
- < როგორ მიიღწევა წარმომადგენლობა?
- < რას ემსახურება არჩევნები? რა არის მათი დანიშნულება?
- < რით განსხვავდება ერთმანეთისაგან საარჩევნო სისტემები და რა უპირატესობები თუ ნაკლოვანებები ახასიათებს ყოველ მათგანს?
- < რას ასახავს არჩევნების შედეგები?
- < რატომ ანიჭებენ უპირატესობას ადამიანები ხმის მიცემის ამა თუ იმ წესს? რა განსაზღვრავს ამომრჩევლის ნებას?

შინაარსი

პოლიტიკური წარმომადგენლობა

პოლიტიკური წარმომადგენლობის თეორიები.

არჩევნები

არჩევნების დანიშნულება. საარჩევნო სისტემები: ღირსებები და ნაკლოვანებანი. რა მოაქვს არჩევნებს?

როგორ და რატომ

ვაძლევთ ხმას

ხმის მიცემის მოდელები.

შეჯამება/კითხვები

განსახეულად/დამატებითი საკითხავი

წარმომადგენლობა

როგორც პოლიტიკური პრინციპი, წარმომადგენლობა საზოგადოებრივი საქმიანობის ისეთი ფორმაა, როდესაც პიროვნება ან ჯგუფი ადამიანთა უფრო დიდი რაოდენობის სახელით ლაპარაკობს ან მოქმედებს. დემოკრატიისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ თუკი წარმომადგენლობა აღიარებს მიჯნას მმართველთა და მართულთ შორის, დემოკრატია — მისი კლასიკური ფორმით — ამ მიჯნის გაუქმებას და სახალხო თვითმმართველობის დამკვიდრებას ესწრაფვის. თუმცა, წარმომადგენლობითი დემოკრატიაც შესაძლოა, დემოკრატიული მმართველობის შეზღუდულ და არაპირდაპირ ფორმად მოგვევლინოს, თუკი ისეთ კავშირს დაამყარებს მართველთა და მართულთ შორის, როცა ხალხს საკუთარი აზრის გამოხატვისა და ინტერესთა დაცვის შესაძლებლობა ეძლევა.

პოლიტიკური წარმომადგენლობა

წარმომადგენლობის საკითხი იმთავითვე ღრმა პოლიტიკური წინააღმდეგობების მიზეზი გახლდათ. აბსოლუტური მონარქიების დროსაც კი ხელმწიფეს სხვათა ინტერესების გათვალისწინება უხდებოდა (ფეოდალთა, სამღვდლოების, და ა.შ.); ანგარიშგასაწევ ჯგუფებისა თუ ინტერესთა წარმომადგენლობის შეზღუდვამ გამოიწვია სწორედ XVII საუკუნის ინგლისში სამოქალაქო ომი მეფესა და პარლამენტს შორის. ასევე, XIX და XX საუკუნეებში დემოკრატიის გავრცელებასთან დაკავშირებული შეხლა-შემოხლაც იმის გამო ხდებოდა, თუ რა ძალები უნდა ყოფილიყვნენ წარმომადგენლობის ქვეყნის მმართველობაში: მხოლოდ იმათთვის უნდა ყოფილიყო ეს უფლება დაშვებული, ვისაც პოლიტიკაზე სერიოზულად საფიქრელად ცოდნაც, განათლებაც და თავისუფალი დროც საკმარისი ჰქონდა (ვოქვათ, მხოლოდ მამაკაცებს, შეძლებულ ხალხს, ან ამა თუ იმ რასობრივი და ეთნიკური ჯგუფის წევრებს), თუ წარმომადგენლობაში ყველა ზრდასრული მოქალაქე უნდა ევლისხმდათ.

დღეს ეს პრობლემა ძირითადად, გადაჭრილია პოლიტიკური თანასწორობის პრინციპის საყოველთაოდ გავრცელების წყალობით — ერთი ამომრჩეველი, ერთი ხმა. ასე მაგალითად, არათანაბარი საარჩევნო ხმის წესი დიდ ბრიტანეთში 1949წ. გააუქმეს; შვეიცარიაში ქალები სარჩევნო ურნებთან 1971წ. მიუშვეს, ხოლო 1994წ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში რასობრივი კრიტერიუმით ხმის მიცემა მოისპო. თუმცა, ეს მაინც პოლიტიკური წარმომადგენლობის გამართლებული გაგებაა — რადგან წარმომადგენლობას არჩევნებთან და ხმის მიცემასთან აიგივებს და პოლიტიკოსებს მხოლოდ იმიტომ განიხილავს "წარმომადგენლებად", რომ არჩევნებში გაიმარჯვეს. ამ შემთხვევაში არ ითვალისწინებენ, თუ რა ნიშნით წარმოადგენს ერთი პიროვნება მეორეს და რისი წარმომადგენელია იგი — წარმადგენის შეხედულებების, მისწრაფებების, ჯგუფური ინტერესების, თუ რას კონკრეტულად?

პოლიტიკური წარმომადგენლობის თეორიები

არ არსებობს ერთი, ყველასათვის მისაღები თეორია — ყველა ერთ რომელიმე იდეოლოგიასა თუ პოლიტიკურ მრწამსს გამოხატავს. ასე მაგალითად, წარმომადგენლობითი ხელისუფლება იმას გულისხმობს, რომ მთავრობამ ხალხზე "უკეთ იცის"; ხალხმა "მიუთითა" რა და როგორ გააკეთოს; თუ ხელისუფლებაც ხალხს "ჰგავს", რამდენადაც სწორედ მისი ხასიათისა და ბუნების ანარეკლია? ამ კითხვებზე პასუხი მხოლოდ სამეცნიერო ინტერესის საგანი არაა და წარმომადგენლობის ესა თუ ის მოდელი წარმომადგენელთა სრულიად განსხვავებული ქმედებების წინაპირობა ხდება: ვოქვათ, არჩეული პოლიტიკოსები მხოლოდ წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთა მიერ ნაკარნახევი ხაზის ერთგულად გატარებით უნდა შემოიფარგლონ, თუ მათი საქმე სწორედ საზოგადოებრივი აზრის შექმნაა და მერე თავად განსაზღვრონ, რაში მდგომარეობს უმთავრესი პოლიტიკური ინტერესი?

მეტიც, ჩვეულებრივ, ერთი და იმავე პოლიტიკური სისტემის ფარგლებში, წარმომადგენლობის რამდენიმე პრინციპი მოქმედებს ხოლმე, რაც ალბათ იმის მანიშნებელია, რომ ცალკე აღებული, ვერც ერთი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის წარმომადგენლობით მმართველობას. გამოყოფენ 4 ძირითად მოდელს:

- < მინდობილობითი
- < დელეგირებითი
- < მანდატორივი
- < იგივეობრივი

მინდობილობითი მოდელი

მინდობილობა, როგორც წესი, იმ პიროვნებას გადაეცემა ხოლმე, ვინც სხვის საკუთრებასა თუ საქმეებზე პასუხისმგებლობა უნდა იკისროს და გადაიბაროს. წარმომადგენლობის, როგორც მინდობილობის გადაცემის კლასიკური განმარტება ედმუნდ ბერკის სიტყვამ შემოგვინახა, რომელიც მან ბროსტოლის ამომრჩეველთა წინაშე წარმოთქვა 1774 წელს:

თქვენ წარმომადგენელს ირჩევთ, ცხადია. ოღონდ არჩევისთანავე, ის უკვე მხოლოდ ბრისტოლის წარმომადგენელი კი არა, პარლამენტის წევრი ხდება — მან არა მარტო საქმით უნდა გიერთგულოთ, არამედ მრწამსითაც! და თუ ბრმად დაგემორჩილათ, კეთილ სამსახურს კი აღარ გაგიწევთ, დაგაღალატებთ...

ბერკისათვის, წარმომადგენლობის არსი ნდობის გამოცხადებულთა სამსახურში მდგომარეობდა — ნათელი გონებითა და მტკიცე რწმენით მოქმედებაში. მოკლედ რომ ვთქვათ, წარმომადგენლობა ზნეობრივი ვალდებულებაა: ანუ, ვისაც გონება უჭრის და ბედმა გაუღიმა — შესაბამისი განათლებაც მიიღო — საკუთარი მდგომარეობა სწორედაც რომ ბედისგან დაჩაგრულთა ინტერესების დასაცავადაც უნდა გამოიყენოს. ამ ხედვას ამკარად ელიტარისტული აზროვნების ელფერი დაკრავს: იგულისხმება რომ არჩეულთ უკეთესად ესმით, რა სურს, რა სჭირდება ხალხს, ვიდრე თავად ამომრჩეველებს. იგივე აზრზე იდგა ჯ.ს. მილი, რომლის წარმომადგენლობის ლიბერალური თეორიის თანახმად, ყველა პიროვნებას კი ჰქონდა უფლება. ყოფილიყო წარდგენილი, ოღონდ ყველა პოლიტიკური მოსაზრება თანაბრად ფასეული ვერ იქნებოდა; შესაბამისად, მან "არათანაბარი ხმის წესის" იდეა წამოაყენა: როცა 4-5 ხმა განათლებულ, დიპლომიან ამომრჩეველს, 2-3 — ოსტატებსა და მაღალი კვალიფიკაციის ხელოსნებს, და მხოლოდ ერთი — რიგით მუშებს მიეკუთვნებოდა. როგორც ის ამტკიცებდა, გონიერი ამომრჩეველი მისი სახელით ჭკვიანურად მომქმედ პოლიტიკოსს დაუჭერდა მხარს, და არა უბრალოდ "სიტყვით მისი გულის მომგებს". ასე რომ, მინდობილობითი წარმომადგენლობა იმ რწმენას ემყარება, თითქოს ცოდნა და გონიერება საზოგადოებაში არათანაბრადაა გადანაწილებული და ყოველი მოქალაქე ვერ ხვდება, რა იქნება მისთვის უმჯობესი.

12. პოლიტიკური წარმომადგენლობა, არჩევნები და ხმისმიცემა

თუმცა, წარმომადგენლობის ბერკისეული გაგებაც მკაცრად გააკრიტიკეს მისი ანტიდემოკრატიული ტენდენციების გამო. თუკი პოლიტიკოსებმა ერთპიროვნულად უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები იმ მიზეზით, რომ ხალხი უმეცარია, მაშინ უკვე ისიც შეცდომაა, ხალხს საკუთარი წარმომადგენლის არჩევის უფლება რომ ეძლევა. მეორეც, საკამათოა რაიმე კავშირის არსებობა წარმომადგენლობასა და განათლების დონეს შორის — ერთია რამდენად უწყობს ხელს სათანადო განათლება რთული პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გაგებას, მაგრამ სათუთა, რამდენად წაადგება იგი პოლიტიკოსს სწორი ზნეობრივი ნაბიჯის გადადგმაში, როცა საქმე სხვათა ინტერესების დაცვას ეხება. სამწუხაროდ, ცოტაა მაგალითი, როცა განათლება ალტრუიზმს ბადებს და ადამიანებს საზოგადოებრივი პასიხის-მგებლობის გაცდასაც უმძაფრებს. და ბოლოს, ტომას პეინის მსგავსი, რადიკალურად განწყობილი დემოკრატები ტრადიციულად შიშობდნენ, რომ მხოლოდ თავის ნებაზე მიშვებული პოლიტიკოსები მინიჭებულ ძალაუფლებას კერძო ინტერესებისათვის გამოიყენებდნენ, თავის პაფლეტში "სალი აზრი" (1776) პეინმა საპირისპირო "დელეგირებით" წარმომადგენლობის მოდელი წამოაყენა და ამტკიცებდა, რომ "არჩეულმა პირმა არასოდეს არ უნდა იქონიოს ამომრჩევლისგან განსხვავებული რაიმე ინტერესი".

დელეგირებითი მოდელი

დელეგატი ის არჩეული პირია, რომელიც უშუალო მითითებით და სხვისი სახელით მოქმედებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი სხვათა შეხედულებების უბრალო გამხმომანებელია და ფაქტიურად, უფლება არა აქვს პირადი მოსაზრებები და სიმპათიები გამოხატოს. ამის ყველაზე ნათელი მაგალითებია, ვთქვათ, რომელიმე ფირმის წარმომადგენელი ან ამა თუ იმ ქვეყნის ელჩი, ვისაც საკუთარი სახელით ლაპარაკი, უბრალოდ, ეკრძალება. ასევე, პროფკავშირის მავანი წევრი, რომელიც რაიმე შეხვედრას ესწრება და წინდაწინაა დარიგებული, რა ილაპარაკოს და რას დაუჭიროს მხარი, ზუსტად ისევე მოქმედებს, როგორც დელეგატი და არა ბერკისეული წარმომადგენელი. ამ მოდელის მომხრეები მასში პოლიტიკოსთა მიერ მისი წარმდგენლის შეხედულებების მაქსიმალურად უკეთ გამოხატვის მექანიზმს ხედავენ. მისთვის დამახასიათებელია "ხშირი ურთიერთმონაცვლეობა" წარმომადგენლებსა და წარმდგენთა შორის, და ეს მონაცვლეობა არჩევნების გზით თანამდებობის პირთა ხშირ ცვლაში გამოიხატება. ამავე დროს, რადიკალი დემოკრატები მხარს უჭერენ ინიცირების და გამოხმობის პრაქტიკას, რაშიც პოლიტიკოსთა მეტი პასუხისმგებლობის წინაპირობას ხედავენ.

"დელეგირებადი წარმომადგენლობის" ღირსებად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ იგი საერთო-სახალხო თანამონაწილეობისა და პროფესიული პოლიტიკოსების პირადი ინტერესების მოთოკვის მეტ შესაძლებლობას იძლევა, ანუ მაქსიმალურად უახლოვდება წარმომადგენლობით ხელისუფლებაში ხალხის უზენაესობის იდეალს.

ალტრუიზმი:

სხვათა კეთილდღეობაზე ზრუნვა, რაც საერთო სიკეთის გააზრებაზეა დამყარებული.

ტომას პეინი (1737-1809)

ბრიტანელი მოაზროვნე და რევოლუციონერი. 1774წ. ამერიკაში გაემგზავრა — დამოუკიდებლობისათვის ომში კოლონისტების მხარეს იბრძოდა. შემდეგ საფრანგეთს მიაშურა, სადაც ბევრზე გადაურჩა გილოტინას — დიდი ტერორის ვაჟს. მისი რადიკალიზმი პოლიტიკური თავისუფლების იდეით იყო ნასაზრ-

ღობი და ღრმად სწამდა სახალხო თვითმმართველობის აუცილებლობა. მისი მსოფლმხედველობა ახლოს იყო როგორც ლიბერალურ რესპუბლიკანიზმთან, ასევე — სოციალისტურ ევალიტარიანიზმთანაც. პეინის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია "საღი აზრი" (1776), "ადამიანის უფლებები" (1791) და "კონის საუკუნე" (1794).



საყურადღებოდ:

რეფერენდუმი: ღირსებები და ნაკლოვანებები

რეფერენდუმი ხმის მიცემის იმგვარი ფორმაა, როდესაც ამომრჩეველს შეუძლია საკუთარი აზრი გამოხატოს ამა თუ იმ კონკრეტულ, საზოგადოებისთვის საჭირობო საკითხთან დაკავშირებით. არჩევნებისაგან ის იმით განსხვავდება, რომ მიზნად არ ისახავს ხელისუფლების ამა თუ იმ შტოს დაკომპლექტებას და შეუძლია ერთჯერადად და უშუალოდ მოახდინოს ზეგავლენა ქვეყნის პოლიტიკურ კურსზე. შესაბამისად, რეფერენდუმი პირდაპირი დემოკრატიის იარაღია და მას, ჩვეულებრივ, წარმომადგენლობითი ინსტიტუტების გასამყარებლად მიმართავენ და არა მათ ჩასანაცვლებლად. რეფერენდუმი შეიძლება კრძალავდეს რაიმეს ან გარკვეული რჩევის მიცემას ისახავდეს მიზნად; მას შესაძლოა საზოგადოების სამსჯავროზე სხვადასხვა საკითხი თუ ინიციატივა გამოჰქონდეს განსახილველად, ანდა უკვე პლებისციტის სახით, ამა თუ იმ პოლიტიკური პრობლემის გადაჭრას ცდილობდეს.

რეფერენდუმს შემდეგი ღირსებები გააჩნია:

- < მისი საშუალებით შეიძლება გაირკვეს, რამდენად მყარია არჩეული ხელისუფლება და რამდენად ერთგულებს საზოგადოებრივ აზრს.
- < იგი ხელს უწყობს პოლიტიკურ თანამონაწილეობას და უფრო გათვითცნობიერებულ ამომრჩეველს ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.
- < განამტკიცებს ლეგიტიმურობას — საზოგადოებისთვის ყველა საჭირობო საკითხზე აზრის გამოთქმის შესაძლებლობის მიცემით.
- < ის შეიძლება როგორც უმთავრესი კონსტიტუციური საკითხების მოგვარების საშუალებად იქცეს, ასევე საზოგადოების განწყობის საზომად იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რაზეც ძირითადი პარტიები, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, არჩევნების დროს ყურადღებას არ ამახვილებენ.

უარყოფითი მხარეები კი შემდეგია:

- < პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება არცთუ გათვითცნობიერებულ და გამოცდილ ხალხს უწევს — იმათ, ვინც იოლად ექცევა მედიისა თუ სხვათა გავლენის ქვეშ.
- < იგი უკეთეს შემთხვევაშიც მხოლოდ დროის ერთ მონაკვეთში არსებულ საზოგადოებრივ განწყობას ასახავს.
- < პოლიტიკოსებს, პოლიტიკური აქცენტებით მანიპულირების საშუალებას აძლევს და რთულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობისაგანაც ათავისუფლებს.
- < რეფერენდუმს პოლიტიკური საკითხების გამარტივება ახასიათებს და პასუხების შესაძლებლობა მხოლოდ კო/არა-მდე დაყავს.

ჯორჯე შუმპეტერი (1883-1950)

წარმოშობით მორავიელი, ამერიკელი ეკონომისტი და სოციოლოგი. I მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ერთხანს ავსტრიის ფინანსთა სამინისტროს ედგა სათავეში, შემდეგ ამერიკაში დაბრუნდა და 1932წ. ეკონომიკის პროფესორი გახდა ჰარვარდის უნივერსიტეტში. მისი ეკონომიკური შუბეღულებები, რაც "ეკონომიკური განვითარების თორიასა" (1912) და "ბიზნესის ციკლებშია" (1939) ჩამოყალიბებული, კაპიტალისტური სის-

ტემის გრძელვადიან დინამიკასა და რისკის მოყვარე მეწარმეების როლზე ამახვილებს ყურადღებას. 1942წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში "კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია" შუმპეტერმა გამოთქვა ცნობილი მოსაზრება, რომ არნახული წარმატების შედეგად, დასავლური კაპიტალიზმი სოციალიზმის გარკვეული ფორმისკენ გადაიხარა.



ყურადღებას და ძნელად ახერხებს სწრაფ რეაგირებას ისეთ გაუთვალისწინებელ მოვლენებზე, როგორცაა მაგალითად, საერთაშორისო თუ ეკონომიკური კრიზისები. და ბოლოს, მანდატობრივი მოდელი მხოლოდ მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემებში გამოიყენება, მაგრამ იქაც კი კარგავს აზრს, თუკი გამარჯვებული პარტია ხმების 50%-ზე ნაკლებს აგროვებს.

იგოეობრივი მოდელი

ამ მოდელისათვის უმთავრესი ის კი არაა, რა ნიშნით აირჩევიან წარმომადგენლები, არამედ — რამდენად იგოედებიან ისინი საკუთარ ამომრჩეველთან. ამ გაგებით, წარმომადგენლობითი ხელისუფლება მთლიანი საზოგადოების შემცირებულ ასლია — მასში შემავალი ყოველი ჯგუფისა და სემენტის წევრებს აერთიანებს კლასობრივი, სქესობრივი, რელიგიური, ეთნიკური, ასაკობრივი ცენზის მიუხედავად, და რაოდენობრივადაც საზოგადოებაში არსებული ვითარების პროპორციული უნდა იყოს. ე.წ. "მიკროკოსმური წარმომადგენლობის" ეს იდეა, როგორც წესი, უფრო სოციალისტებსა და რადიკალურად განწყობილ მოაზროვნეებს ხიბლავთ მათი აზრით, მხოლოდ ამით მიიღწევა მშრომელი კლასის, ქალების, რასობრივი უმცირესობების წარმომადგენლობა უმაღლეს სახელისუფლებო დონეებზე.

მოკლედ, ამ მოდელის არსი იმაში მდგომარეობს, რომ წარმომადგენელი უთუოდ თავის "წარმდგენს" უნდა ჰკავდეს, მაგრამ ამასაც თავისი სირთულეები ახლავს: ასე გამოდის, მხოლოდ ზანგს შეუძლია ზანგის ინტერესები დაიცვას, ქალმა — ქალისა, მუშამ — მუშის და.ა.შ. ასეთ დროს, მთლიანად საზოგადოებრივ ინტერესებს ვიღა დაიცავს? მეტიც, თუკი ხელისუფლება საზოგადოების "შემცირებულ ასლს" წარმომადგენს და ეს საზოგადოებაც ძირითადად აპათიური, გაუთვითცნობიერებული და უმეცარია, რამდენად ეფექტური იქნება მსგავსი ხელისუფლების საქმიანობა?

მანდატი

ესა ზემდგომის მითითება ან დაჯლება, რომლის შესრულებაც საუღლებულა. "სახალხო მანდატის" იდეა მომდინარეობს არჩევნებში გამარჯვებული პარტიის განცხადებიდან, რომ მისი წინასაარჩევნო დაპირებები ხალხის მიერ იქნა გაზიარებული და შესაბამისად, უფლებამოსილებაც შეიძინა, უკვე სახელისუფლებო პროგრამად ქცეულიყო. ამგვარად, მანდატის ცნება პასუხისმგებლობით გამსჭვალული პარტიული მმართველობის გარანტიაა, რამდენადაც სახელისუფლებო პარტიას მხოლოდ მინიჭებული მანდატის შესაბამისად შეუძლია მოქმედება. ეს ე.წ. "პოლიტიკური მანდატია", თუმცა არსებობს "სახელისუფლებო" და — კონკრეტულ ლიდერთან მიმართულებაში — "პირიონული მანდატიც". ოდინდ ძნელი სათქმელია, როგორ შეიძლება პოლიტიკოსთა უფლებების შეზღუდვა ხელისუფლებამო მათი მოსვლის შემდგომ.

არჩევნები

თავისთავად არჩევნები იქნებ არც იყოს საკმარისი პირობა პოლიტიკური წარმომადგენლობისათვის, ოღონდ აუცილებელ პირობად კი უთუოდ უნდა მივიჩნიოთ. ბევრისთვის სწორედ არჩევნებია დემოკრატიის საფუძველთა-საფუძველი. თავის წიგნში "კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია" (1942) ჯონზეფ შუმპეტერმა დემოკრატიას "ინსტიტუციური მოწყობის" ის იარაღი უწოდა, რომელიც ხალხის ხმებისთვის კონკურენტული ბრძოლის გზით სახელისუფლო ინსტიტუტებს აკომპლექტებს. მისი თქმით, "დემოკრატია მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს შეუძლიათ აღიარონ ან უარყ-ტია მათი მართვის მსურველები. როცა დემოკრატიას მხოლოდ პოლიტიკურ მეთოდად მიიჩნევდა, შუმპეტერი რეალურად მას არჩევნებთან აიგივებდა, ოღონდ ცხადია, კონკურენტულ არჩევნებთან. მართალია, დემოკრატიის თანამედროვე თეორეტიკოსთაგან ბევრი არ აღმოჩნდა მზად, დემოკრატიის ცნება მხოლოდ კონკურენტულ არჩევნებამდე დაეყვანა, მაგრამ ბევრი მაინც, შუმპეტერის კვალად, დემოკრატიულ მმართველობას სწორედ არჩევნების ჩატარების წესებისა და მექანიზმების კუთხით განიხილავს. ამიტომ, განსაკუთრებით საყურადღებო ხდება არჩევნების განსხვავებული ფორმების მნიშვნელობა.

ჯერ ერთი, რომელი ინსტიტუტები და თანამდებობები უნდა იყოს არჩევითი? მართალია, არჩევნები ფართოდ გამოიყენება იმ საზოგადოებრთა უწყებების დასაკომპლექტებლად, რომლის წევრებიც პოლიტიკური კურსის გატარებაზე აგებენ პასუხს (კერძოდ, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები), მაგრამ ზოგჯერ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინსტიტუტები ამ მხრივ გამოჩაკლის წარმომადგენელ ხოლმე — მაგ., დიდი ბრიტანეთისა თუ კანადის საკანონმდებლო ქვედა პალატები, რამდენადაც იქ სახელმწიფოს მეთაურად ჯერ ისევ კონსტიტუციური მონარქი ითვლება. მეორეც, ვისა აქვს ხმის უფლება მინიჭებული, ვინ ითვლება ამომრჩეველად? როგორც უკვე ითქვა, ხმის უფლების შეზღუდვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა კერძო საკუთრება, განათლება, სქესი თუ წარმომავლობა, სახელმწიფოთა უდიდეს უმრავლესობაში აღარ არსებობს. და მაინც, შეიძლება ჯერაც შეგვხვდეს არაფორმალური შეზღუდვები: არაერთ ამერიკულ შტატში, მაგალითად, საარჩევნო რეგისტრაციის საქმე მთლიანად მოქალაქესაა მიწოდებული, რის გამოც ძალზე ხშირია რეგისტრაციის გაუ-ვლელობისა თუ არჩევნებზე მიუსვლელობის შემთხვევები. თავის მხრივ, ავსტრალიაში, ბელგიაში და იტალიაში ხმის მიცემა სავალდებულოა.

მესამე: სად და როგორ აძლევენ ხმას? მართალია, 1999 წლამდე საბჭოთა კავშირში ღია კენჭისყრა ნორმად ითვლებოდა და ხელის უბრალე აწევით ხმის მიცემა დღესაც ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის პატარა-პატარა ორგანიზაციებში, თანამედროვე პოლიტიკური არჩევნები როგორც წესი, მაინც ფარული ხმის მიცემის საფუძველზე ტარდება. სწორედ ხმის ამგვარად მიცემა ითვლება "სამართლიანი" არჩევნების გარანტიად. რამ-დენადაც კორუფციისა თუ გაყალბების შესაძლებლობებს ამცირებს. ცხადია, არჩევნების სამართლიანობა მხოლოდ იმაზე არაა დამოკიდებული, როგორ აძლევს ხალხი ხმას. უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რამდენად მიუწვდებო-

არჩევნები:

არჩევითი თანამდებობების დაკავების საშუალება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის — ამომრჩევლის — გადაწყვეტილების თანახმად.

ხელი ამომრჩევლებს სარწმუნო და დაბალანსებულ ინფორმაციაზე, რამდენად ფართოა არჩევანის შესაძლებლობა, რა ვითარებაში ტარდება საარჩევნო კამპანია და ბოლოს, რამდენად გულდასმით ითვლება მიცემული ხმები.

და მეოთხე: კონკურენტულია არჩევნები თუ არა? ყველაზე ხშირად სწორედ ამაზე ამახვილებენ განსაკუთრებულ ყურადღებას, რამდენადაც მხოლოდ ქვეყნების ნახევარში სთავაზობენ ამომრჩევლებს როგორც ცალკეულ კანდიდატს, ასევე პარტიების რეალურ არჩევანს. ერთადერთი კანდიდატის "არჩევა" საერთო წესად ჰქონდათ კომუნისტური რეჟიმების დროს, რაც იმის გარანტიას იძლეოდა, რომ მხოლოდ კომუნისტები იქნებოდნენ ყველა თანამდებობაზე. წინასაარჩევნო ბრძოლა არა მარტო ამომრჩევლის ინტერესს აღვივებს ანდა პარტიებს აძლევს შესაძლებლობას, კანონის საფუძველზე წარმოაჩინონ საკუთარი კანდიდატები და აწარმოონ კამპანია, არამედ ამა თუ იმ პარტიის დაფინანსების წყაროებსა და მედიასთან მის ურთიერთობებსაც უფრო გამჭვირვალეს ხდის. თავისთავად, მრავალპარტიული სისტემის არსებობა აუცილებელია ნამდვილი კონკურენციისთვის, ისევე როგორც ის, თუ ვისა აქვს არჩევნებში მონაწილეობისა თუ ხმის მიცემის უფლება. და ბოლოს: როგორ იმართება არჩევნები? როგორც შემდგომში დავინახავთ, უამრავი საარჩევნო სისტემა არსებობს, და ყოველ მათგანს თავისებური პოლიტიკური და კონსტიტუციური მახასიათებლები გააჩნია.

არჩევნების დანიშნულება

დემოკრატიზაციის პროცესის დაჩქარებამ, რასაც ნაწილობრივ XX საუკ. 80-90-იან წწ. კომუნიზმის კრახმაც შეუწყო ხელი, ლამის უკრიტიკოდ მიანიჭა უპირატესობა იმგვარ ლიბერალურ-დემოკრატიულ საარჩევნო სისტემებს, რომელთაც საყოველთაო ხმის უფლება, ფარული კენჭისყრა და საარჩევნო კონკურენცია ახასიათებთ. პაროპისა მილერის (1987) აზრით, არსებობს ორი განსხვავებული შეხედულება კონკურენტულ არჩევნებთან დაკავშირებით: უფრო გავრცელებული მოსაზრების თანახმად, არჩევნები ის მექანიზმია, რისი მეშვეობითაც პოლიტიკოსებს პასუხი მოეკითხებათ და ვალდებულებაც ეკისრებათ, საზოგადოებრივი აზრის თანხმიერი პოლიტიკა გაატარონ. ამ შემთხვევაში ყურადღება არჩევნების არსის ეტაპობრიობაზე მახვილდება — მხარდაჭერის მოპოვება, არჩევნებში გამარჯვება, მთავრობის დაკომპლექტება, პოლიტიკური კურსის გატარება და ა.შ. მეორეს მხრივ, ისეთი თეორეტიკოსების მიერ გამოთქმული რადიკალური მოსაზრებების თანახმად, როგორცაა ვთქვათ, გინზბერგი (1982), არჩევნები ის იარაღია ხელისუფლებათა და პოლიტიკელების ხელში, რითაც ისინი საკუთარ მოსახლეობას აკონტროლებენ და მას მორჩილ, დუნე და, საბოლოო ჯამში, მართვად მასად აქცევენ. ამ შემთხვევაში ეტაპობრივი ფუნქციები ყირაზე დგება — ჯერ ლეგიტიმურობის განაღდება, მერე საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და ბოლოს, ელიტების გაძლიერება. სინამდვილეში კი არჩევნები ბოლომდე არც ერთი ამ ნიშან-თვისების მატარებელი არაა; ისინი არც უბრალოდ საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულების მექანიზმებია და არც პოლიტიკური კონტროლის უზრუნველმყოფი საშუალებები. პოლიტიკური

12. პოლიტიკური წარმომადგენლობა, არჩევნები და ხმისმიცემა

ურთიერთქმედების ნებისმიერი არხის მსგავსად, არჩევნებსაც "ორმხრივი მოძრაობის" პრინციპი ახასიათებს და ერთმანეთზე ზემოქმედების საშუალებას აძლევს ხელისუფლებასაცა და ხალხსაც, ელიტასაც და მასსაც. არჩევნების უმთავრესი დანიშნულება შემდეგ ფაქტორებში ვლინდება:

< **პოლიტიკოსების შერჩევა:** დემოკრატიულ სახელმწიფოებში პოლიტიკოსების "დაქირავების" უმთავრესი წყარო სწორედ არჩევნებია და პარტიებიც ცდილობენ მაქსიმალურად პერსპექტიული კანდიდატები შეარჩიონ. კამპანიის წარმოებისას, პოლიტიკოსებს ისეთი თვისებები გამოარჩევს, როგორცაა *ქარიზმა*, მჭვერმეტყველება, შესაბამისი ქცევა — რაც სულაც არაა ის თვისებები, სინამდვილეში კანონშემოქმედებას, მთავრობაში საქმიანობას ან რაიმე უწყების ხელმძღვანელობას რომ სჭირდება. საჯარო სამსახურისა თუ სასამართლოს სფეროსაგან განსხვავებით, არჩევნები, როგორც წესი, სულაც არაა მოწოდებული სპეციალური ცოდნა-გამოცდილების ნიშნით შეარჩიოს ხალხი ამა თუ იმ თანამდებობაზე.

< **მთავრობის ჩამოყალიბება:** ხელისუფლების ყველა შტო არჩევნების გზით მხოლოდ *ა.შ.შ.*-ში, საფრანგეთსა და ვენესუელაში კომპლექტდება და ამ ქვეყნებში პირდაპირად ირჩევენ აღმასრულებელ ხელისუფლებასაც. უფრო გავრცელებულ საპარლამენტო სისტემებში მთავრობის საბოლოო შემადგენლობას არჩევნების შედეგები განსაზღვრავს: უფრო მკაფიოდ კი იმ დროს, როდესაც ერთი რომელიმე პარტია აშკარა უმრავლესობით მოდის პარლამენტში. *პროპორციული წარმომადგენლობის* გამოყენების შემთხვევაში, შესაძლოა მთავრობის დაკომპლექტების საკითხი არჩევნების შემდგომი მოლაპარაკებების გზით გადაწყდეს.

< **წარმომადგენლობის უზრუნველყოფა:** სამართლიანობისა და კონკურენტუნარიანობის პირობებში სწორედ არჩევნებია ის საშუალება, რითაც მოთხოვნა საზოგადოებიდან ხელისუფლებამდე მიდის. თუმცა, როცა *ინციტირებისა* და *გამოხშობის* მექანიზმები სათანადოდ ვერ მუშაობს, ამომრჩეველს არაფერი რჩება იმის გარდა, შემდგომ არჩევნებს დაელოდოს. და საერთოდ, არჩეული ხელისუფლებები პრაქტიკულად არსად გვევლინება მთელი საზოგადოების სარკედ.

< **პოლიტიკაზე ზეგავლენა:** არჩევნები ნამდვილად აიძულებს ხელისუფლებებს თავი შეიკავონ რადიკალური და აშკარად არაპოპულარული პოლიტიკის გატარებისაგან, მაგრამ უშუალოდ პოლიტიკაზე ისინი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ზემოქმედებენ, როცა პოლიტიკური კამპანიის დროს, მთავარი განმსაზღვრელი ერთი რომელიმე კონკრეტული საკითხი ხდება. თუმცა, ბევრის აზრით, სახელისუფლებო პოლიტიკა ნებისმიერ შემთხვევაში მაინც პრაქტიკული მოსაზრებების — მაგალითად, ეკონომიკის მდგომარეობის ანარეკლია, და არა საარჩევნო ბატალიებისა.

< **ამომრჩეველთა გათვითცნობიერება:** წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩეველს ზღვა ინფორმაცია მიეწოდება პარტიების, კანდიდატების, პროგრამების, არსებული ხელისუფლების საქმიანობის, პოლიტიკური სისტემისა თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ოღონდ ეს გათვითცნობიერებას მხოლოდ მაშინ უწყობს ხელს, თუ სწორად მოწოდებული ინფორმაცია საზოგადოების ინტერესის გადვლევას, აზრთა ჯანსაღ გაცვლა-გამოცვლას ემსახურება და არა აპათიისა თუ გაუცხოების დანერგვას. მაგრამ რამდენადაც

კანდიდატები და პარტიები უმეტესად მკანთა დარწმუნებას ისახავენ მიზნად და არა გათვითცნობიერებას, ძალაუნებურად, ინფორმაციასაც შერჩევით და არასრულად ავრცელებენ ხოლმე.

< ლეგიტიმურობის განადღება: ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ავტორიტარული რეჟიმებიც კი იწუხებენ თავს თუნდაც არაკონკურენტული არჩევნების ჩატარებით, ის გახლავთ, რომ ლეგიტიმურობის, ანუ მმართველი ხისტემის არსებობის გამართლება მაინც მხოლოდ არჩევნებითაა შესაძლებელი, თავად საარჩევნო კამპანიის ერთგვარი "რიტუალურობა" მას ღამის ცერემონიალურ სტატუსსა და მნიშვნელობას ანიჭებს. პოლიტიკაში მონაწილეობისაკენ მოწოდებით, თუნდაც ხმის მიცემის ფორმები შეზღუდული იყოს, არჩევნები მაინც მეტ-ნაკლებად აქტიური თანხმობისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

< ელიტების გაძლიერება: არჩევნები შეიძლება იმ საშუალებადაც მივიჩნიოთ, რითაც ელიტებს მასებით მანიპულირება და მათი გაკონტროლება შეუძლიათ. სწორედ ამაზე მიუთითებდა პრუდონი, როცა ამბობდა — ხმის მიცემის საყოველთაო უფლება იგივე კონტრრევოლუციააო. არჩევნებით შესაძლებელია პოლიტიკური უკმაყოფილებისა და ოპონირების კონსტიტუციური კალაპოტში მიშვება, ანუ — ხელისუფლების შეცვლა თავად რეჟიმის შენარჩუნების პირობებში. ამ თვალსაზრისით, არჩევნები იმითაცაა განსაკუთრებულად შედეგიანი, რომ ხალხს იმის განცდასაც უჩენს, თითქოსდა ხელისუფლებას თავის ნებაზე ატარებდეს.

საარჩევნო სისტემები: ღირსებები და ნაკლოვანებანი

საარჩევნო სისტემა არჩევნების ჩატარების წესთა ერთობლიობაა. ისინი რამდენიმე თვალსაზრისით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან:

< ამომრჩეველს ზოგჯერ არჩევანის გაკეთება კანდიდატებს შორის უწევს, ზოგჯერ კი — პარტიათა შორის.

< ზოგჯერ ერთ კანდიდატს ირჩევენ, სხვაგან — უფლება აქვთ რამდენიმე აირჩიონ — რიგითობის მიხედვით.

< ამომრჩეველი ზოგ ქვეყანაში საარჩევნო უბნად ან ოლქად ჯგუფდება და ამგვარ ჯგუფებს ერთი ან რამდენიმე წარმომადგენლის არჩევა შეუძლიათ.

< კანდიდატის ასარჩევად საჭირო მხარდაჭერის დონე უბრალო უმრავლესობით, აბსოლუტური უმრავლესობით, ანდა ამა თუ იმ ტიპის ქვოტით განისაზღვრება.

ზოგადად, არსებული სისტემები ორ მთავარ კატეგორიად შეიძლება დაიყოს — იმისდა მიხედვით, როგორ იქცევა ხმა — მანდატად. ერთის მხრივ, არსებობს *მაჟორიტარული* სისტემები, როცა მრავალრიცხოვანი პარტიები, როგორც წესი, პროპორციულად მეტ ადგილებს იღებენ — არჩევნებში მოპოვებული ხმების პროპორციასთან შედარებით. ეს ზრდის ამა თუ იმ პარტიის შანსებს, უმრავლესობით მოვიდეს პარლამენტში და ხელისუფლებაც მხოლოდ თვითონ დააკომპლექტოს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ერთპარტიული მთავრობა თითქმის წესად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ 1935 წლი-

12. პოლიტიკური წარმომადგენლობა, არჩევნები და ხმისმიცემა

პროპორციული წარმომადგენლობა

ეს პრინციპი გულისხმობს, რომ პარტიები საკანონმდებლო ორგანოში ამომრჩევლის საყოველთაო მხარდაჭერის პროპორციულად უნდა იქნენ წარმოდგენილი, და მიღებული ადგილების პროცენტული ადგილები მიღებული პროცენტის თანაზომიერი უნდა იყოს. პროპორციული წესით არჩევის რამდენიმე მექანიზმი არსებობს — მათგან ყველაზე ცნობილია პარტიული სიების სისტემა და შერეული სისტემა. თუმცა, ზოგჯერ არცთუ მკაფიო ზღვარი გაუღებული პროპორციულ და მაჟორიტარულ სისტემებს შორის. კონტინენტურ ევროპაში ხშირად გამოყენებული პროპორციული წარმომადგენლობის მოდელი უფრო პარტიების წარმომადგენლობას გულისხმობს, ვიდრე ინდივიდუალური კანდიდატებისა და მრავალფეროვანი საზოგადოებებისათვის, ალბათ, ხელსაყრელადაც უნდა ჩაითვალოს.

დან მოყოლებული, არჩევნებში დიდი უპირატესობით ჯერ არც ერთ პარტიას არ გაუმარჯვია. მეორეს მხრივ, არსებობს პროპორციული სისტემები, რომლებიც მიღებულ ხმებსა და პარტიის მიერ საკანონმდებლო ორგანოში დაკავებულ ადგილებს შორის, თანასწორ ან შედარებით თანასწორ პროპორციას უზრუნველყოფენ. პირწმინდად პროპორციული წარმომადგენლობის შემთხვევაში, პარტია, რომელიც ხმების 45% იღებს, შესაბამისად, მანდატების 45% იღებს. პირწმინდად პროპორციული წარმომადგენლობის შემთხვევაში, პარტია, რომელიც ხმების 45% იღებს, შესაბამისად, მანდატების 45% იღებს. პირწმინდად პროპორციული წარმომადგენლობის შემთხვევაში, პარტია, რომელიც ხმების 45% იღებს, შესაბამისად, მანდატების 45% იღებს. პირწმინდად პროპორციული წარმომადგენლობის შემთხვევაში, პარტია, რომელიც ხმების 45% იღებს, შესაბამისად, მანდატების 45% იღებს.

ზოგ ქვეყანაში საარჩევნო სისტემები არანაირ დაუკამათს არ იწვევს, სხვაგან კი ეს საკითხი ლამის უმთავრეს პოლიტიკურ და კონსტიტუციურ მნიშვნელობას იძენს ხოლმე. საფრანგეთში, მაგალითად, იმდენჯერ შეიცვალა საარჩევნო სისტემა, რომ მასზე საუბარი უხერხულიც კია და ვთქვათ, ორტურნიანი საპარლამენტო არჩევნები 1985წ. რომ გააუქმეს, კვლავ აღადგინეს 1993 წელს; გაერთიანებულ სამეფოში დღემდე "ერთი გამარჯვებული" მაჟორიტარული სისტემა გამოიყენება საერთო არჩევნებისათვის, ხოლო უფრო პროპორციულსკენ გადახრილი სისტემები, ისიც 1999 წლიდან — შოტლანდიის, უელსის, ჩრდ. ირლანდიისა და "დიდი ლონდონის საკრებულოს" არჩევნებსა თუ ევროპარლამენტის წარმომადგენლობის არჩევის დროს. საარჩევნო რეფორმების თაობაზე კამათს ისიც ამძაფრებს, რომ ბოლოდროინდელი ცვლილებები არანაირ მიზანმიმართულ ხასიათს არ ატარებს. 1994წ., როცა "ერთი გამარჯვებული" სისტემა ახალ ზელანდიაში პროპორციულ წარმომადგენლობას დაუთმო ადგილი, იტალია, მაგალითად, საპირისპირო გზას დაადგა და დამატებითი წევრის ნაკლებად პროპორციული სისტემით ადრე ჩანაცვლებული პარტიული სიების სისტემა, 2005 წლიდან ისევ აღადგინა.

ოღონდაც პრობლემა ისაა, რომ "საუკეთესო" საარჩევნო სისტემა საერთოდ არ არსებობს, და ამიტომაც კამათი საარჩევნო სისტემების თაობაზე, საბოლოო ჯამში, მმართველობის სასურველ ხასიათზე და "კარგ ხელისუფლებისთვის აუცილებელი პრინციპების შესახებ მსჯელობამდე" დადის. ასე მაგალითად, ხელისუფლების წარმომადგენლობითობა თუ მისი შედეგიანობა უფრო მნიშვნელოვანი? დათმობისა და თანხმობის მიღწევა მთავარი, თუ სიმტკიცე და დარწმუნების უნარი? ეს რიტორიკული შეკითხვები ალბათ არც გულისხმობს ობიექტურ პასუხს, უფრო მეტიც — იმ რთული როლის გათვალისწინებით, რაც არჩევნებს ეკისრება. ეს პროცესი ვინმე ურთიერთდაპირისპირებული, სრულიად განსხვავებული კრიტერიუმებითაც შეაფასოთ, მაგრამ ნებისმიერი კრიტერიუმში ორ ზოგად კატეგორიამდე დაიყვანება: რამდენად განაპირობებენ არჩევნები წარმომადგენლობის ხარისხს და რამდენად უკავშირდებიან ხელისუფლების შედეგიანობას.

მაჟორიტარული სისტემების უარყოფითი შეფასებები ძირითადად მათ წარმომადგენლობით ფუნქციებთან დაკავშირებით გაისმის ხოლმე. მეტ-ნაკლებად, მაგრამ ნებისმიერი მათგანი მაინც მრუდვდ ასახავს ხალხის

საყურადღებოდ:

საარჩევნო სისტემები:

უბრალო უმრავლესობით არჩეული ერთწევრიანი სისტემა ("ერთი გამარჯვებულის" პრინციპი)

გამოყენება:

გაერთიანებულ სამეფოში (თქმთა პალატა), ა.შ.შ.-ში, კანადაში, ინდოეთში და სხვ.

ტყიპი:

მაჟორიტარული.

განმასხვავებელი ნიშნები:

- < ქვეყანა, ჩვეულებრივ, თანაბარი ზომის ერთმანდატიან ოლქებად იყოფა.
- < საარჩევნო სიაში ჯვრის დასმით ამომრჩევლები ერთ კანდიდატს აძლევენ ხმას.
- < კანდიდატს გამარჯვებისთვის უბრალოდ, სხვებზე მეტი ხმის დაგროვება ესაჭიროება ("ერთი გამარჯვებულის" წესი).

უპირატესობები:

- < ამომრჩევლის მოვალეობების პირნათლად მოხდის შემთხვევაში, ეს სისტემა უშუალო კავშირს ამყარებს არჩეულსა და ამომრჩევლებს შორის.
- < იგი ამკარად სთავაზობს ხალხს შესაძლო მმართველი პარტიების არჩევანს.
- < მისი წყალობით ხელისუფლება ამომრჩევლის უპირობო მანდატს ეუფლება უმრავლესობის მხარდაჭერის საფუძველზე.
- < ხელს უწყობს უკიდურესობების თავიდან აცილებას, რამდენადაც პატარ-პატარა, რადიკალური პარტიების ხელისუფლებაში მოსვლას ართულებს.
- < უზრუნველყოფს მტკიცე და შედეგიან მმართველობას, რამდენადაც წარმომადგენლობით ორგანოში ერთი პარტიის უმრავლესობა ამინდის შემქმნელი.
- < იშვიათად თავდება კრახით — რამდენადაც ერთპარტიული მმართველობა გათშუალებისა თუ შინაგანი დაპირისპირების გამოისობით გამოწვეულ მთავრობების ხშირი ცვლის საშუალებას არ იძლევა.

ნაკლოვანებები:

- < ამ დროს ბევრი ამომრჩევლის ხმა "იკარგება" — როგორც დამარცხებული კანდიდატისთვის მიცემული, ისე გამარჯვებულისთვის — უკვე გამარჯვების განაღდების შემდეგ.
- < ამ დროს ამომრჩევლის ხმა იფანტება კიდევაც, ვინაიდან საერთოდაც არ აისახება მომცრო და იმ პარტიების მხარდაჭერა, რომლებმაც ყველაზე თუნდაც სტაბილურად საშუალო შედეგები აჩვენეს (ე.წ. "შესამე პარტიის ეფექტი").
- < ბიპოლარული (ორი ძირითადი პარტია) ტენდენციების გამო მხოლოდ შეზღუდულ არჩევანს გეთავაზობს.
- < უბრალო უმრავლესობის წესიდან გამომდინარე, ეჭვქვეშ აყენებს ხელისუფლების კანონიერებას, რომელიც, რეალურად, შესაძლოა მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით არც სარგებლობდეს.
- < იწვევს დესტაბილიზაციას, ვინაიდან ხელისუფლების შეცვლამ შესაძლოა პოლიტიკური კურსის რადიკალური ცვლილებაც გამოიწვიოს.
- < მას არაანგარიშვალდებული მმართველობისაკენ მივყავართ, რამდენადაც საკანონმდებლო ხელისუფლება, ჩვეულებრივ, ადამსრულებელი ხელისუფლების გუფუნის ქვეშ ექცევა ხოლმე, რისი მიზეზიც მის წევრთა მმართველი პარტიისადმი კუთვნილება ხდება.
- < ზღუდავს კანდიდატთა მრავალფეროვნებას, ვინაიდან ამომრჩევლთა უმცირესობის არჩევანი გაუთვალისწინებელი რჩება.

12. პოლიტიკური წარმომადგენლობა, არჩევნები და ხმისმიცემა

ნამდვილ განწყობილებებს იმ თვალსაზრისით, რომ პარტიის წარმომადგენლობა არ შეესატყვისება ამომრჩევლის აქტიურობას. მაგალითად, 2001წ. გაერთიანებულ სამეფოში ლეიბორისტებმა მიღებული ხმების 41% საფუძველზე საპარლამენტო მანდატების 63% მოიპოვეს; 31% მქონე კონსერვატორებმა — 25; ხოლო ლიბერალ-დემოკრატებმა, 18%-იანი მხარდაჭერის მისუხედავად, პარლამენტში მხოლოდ ადგილების 8% დაიკავეს.

შესაბამისად, ორპარტიული სისტემები და ერთპარტიული მთავრობა თავად საარჩევნო სისტემის მაჟორიტარული მიკერძოებების "შედგენა" და ხალხის რეალურ განწყობას სულაც არ ასახავს. მეტიც, თავად ის ფაქტი,

საყურადღებოდ:

საარჩევნო სისტემები: ორტურიანი სისტემა

გამოიყენება: როგორც წესი, საფრანგეთში (თუმცა, იქ საარჩევნო სისტემის ცვლილება ჩვეულებრივი ამბავია).

ტიპი: მაჟორიტარული.

განმასხვავებელი ნიშნები:

< "ერთი გამარჯვებულის" სისტემის მსგავსად, აქაც ერთ კანდიდატს ირჩევენ ერთმანდატიან ოლქებში.

< პირველივე ტურში გასამარჯვებლად, კანდიდატს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა ესაჭიროება.

< თუ პირველივე ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ იმარჯვებს, იმართება მეორე — ორ საუკეთესოს შორის.

უპირატესობები:

< სისტემა არჩევანის მეტ საშუალებას იძლევა: პირველ ტურში ამომრჩევლებს შეუძლია გულის კარნახით მიანიჭოს უპირატესობა სასურველ კანდიდატს, მეორეში კი — ცფო გონებით აირჩიოს ნაკლებად უარესი.

< რამდენადაც გამარჯვება მხოლოდ უმრავლესობის მხარდაჭერითაა შესაძლებელი, კანდიდატები მაქსიმალურად ეცდებიან, ყველას ერთნაირად მოაწონონ თავი.

< მეტია მტკიცე და მდგრადი ხელისუფლების მიღების ალბათობა.

ნაკლოვანებები:

< რამდენადაც ეს სისტემა მხოლოდ ოდნავ უფრო პროპორციულია "ერთი გამარჯვებულის" სისტემასთან შედარებით, ისიც ბევრის სიმპათიას უგულებელყოფს და "შესამქ პარტიებისადმიც არასამართლიანია.

< მეორე ტურში ერთი-ერთზე დარჩენილმა კანდიდატებმა ხანმოკლე პოპულარობის, ანდა ბრძოლას გამოკლებულთან გაჭრობა-გარიგებების გამო, შესაძლოა, საკუთარ პრინციპებს გადაუხვიონ.

< მეორე ტურის ჩატარებამ შესაძლოა ამომრჩევლის მოღუნება და პოლიტიკისადმი ინტერესის შესუსტებაც გამოიწვიოს.

რომ პარტიებს ხელისუფლებაში მოსვლა ამომრჩევლის ხმების სულ რაღაც 2/5-ით შეუძლიათ (ასე მოხდა გაერთიანებულ სამეფოში 2005წ., როცა 35% მქონე ლეიბორისტებმა თუმთა პალატაში ადგილების უმრავლესობა მოიპოვეს), მთელი პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობას უქმნის საფრთხეს და ისეთ ვითარებას უწყობს ხელს, როცა რადიკალურ, ზედმეტად იდეოლოგიზირებულ პარტიებს ძალაუფლების ხანგრძლივად შენარჩუნება

საყურადღებოდ:

საარჩევნო სისტემები:

- I — ხმის დიფერენცირებული მიცემა;
- II — ერთი დამატებითი ხმის უფლება.

გამოიყენება: I — ავსტრალიაში, წარმომადგენლობითი პალატის არჩევისას;
II — გაერთიანებულ სამეფოში, ლონდონის მერის არჩევისას.

ტიპი: მაჟორიტარული.

განმასხვებელი ნიშნები:

- < ერთმანდატიანი ოლქები.
- < ხმის მიცემა შერჩევითია. I ვარიანტში, ამომრჩეველი რიგითობის მიხედვით ანიჭებს უპირატესობას სასურველ კანდიდატებს: პირველ ადგილს აძლევს ყველაზე მისაღებს, მეორეს — ნაკლებ სასურველს და ა.შ. II ვარიანტში ამომრჩეველს "ყველაზე მისაღების" გარდა, დამატებით მხოლოდ ერთი კანდიდატის შემოხაზვის უფლება ეძლევა.
- < გამარჯვებულმა საერთო ხმების 50% უნდა დააგროვოს.
- < ხმები პირველი ადგილების მიხედვით ითვლება. თუკი ვერც ერთი კანდიდატი ვერ აგროვებს 50%, აუტსაიდერები ბრძოლას ეთიშებიან და მათი ხმები დარჩენილებზე პროპორციულად ნაწილდება. ეს იქამდე გრძელდება, ვიდრე ვინმეს ამკარა უპირატესობა არ გამოიკვეთება. II ვარიანტში ბრძოლას ეთიშება ყველა — ორი დაწინაურებულის გარდა.

უპირატესობები:

- < "ერთი გამარჯვებულის" სისტემისგან განსხვავებით, აქ ნაკლები ხმა იკარგება.
- < მეორე ტურის სისტემისაგან განსხვავებით, ვერანაირი ურთიერთგარიგებანი კანდიდატებს შორის, შედეგზე ვერ იმოქმედებს.
- < იმის მიუხედავად, რომ გამარჯვებულმა კანდიდატებმა მინიმუმ 50% მხარდაჭერა უნდა მოიპოვონ, ერთპარტიული უმრავლესობის მმართველობა გამოირიცხული მაინც არაა.

ნაკლოვნებები:

- < "ერთი გამარჯვებულის" სისტემასთან შედარებით, არც ეს სისტემა მთლად პროპორციული და ამდენად, მოსალოდნელია მიკროძიება დიდი პარტიების სასარგებლოდ.
- < შედეგზე შესაძლოა იმ ამომრჩევლის სიმპათიებმა იმოქმედოს, ვინც მცირერიცხოვან, საკარაულოდ ექსტრემისტული მიმართულების პარტიებს უჭერს მხარს.
- < გამარჯვებული კანდიდატები, შესაძლოა, არც აღმოჩნდნენ ბევრი პირველი ადგილის ამღებები და უბრალოდ, "ნაკლებად არაპოპულარულთა" კატეგორიას განეკუთვნებოდნენ.

შეეძლებათ. XX საუკ 80-90-იან წწ. ბრიტანელმა კინსერვატორებმა ისე შემოიღეს თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე ორიენტირებული რეფორმები, რომ 43% მეტი მხარდაჭერით არასოდეს უსარგებლიათ. არადა, როდესაც ამომრჩეველთა უმრავლესობა სახელისუფლებო პარტიის ოპონენტია, ძნელია მტკიცება, თითქოს ამ პარტიას რაიმე საკითხში ჰქონდეს ხალხის მანდატი.

12. პოლიტიკური წარმომადგენლობა, არჩევნები და ხმისმიცემა

ამ კუთხით თუ შეეხედავთ, პროპორციული სარჩევნო სისტემები, თითქოსდა, ამკარად უფრო წარმომადგენლობითია. თუმცა არც მთლად მასეა საქმე. მაგალითად, პროპორციული წარმომადგენლობის სისტემების კრიტიკა იმას ემყარება, რომ ასეთ დროს მეტი შანსია კოალიციური მთავრობა შეიქმნას. ოღონდ ისიც ვთქვათ, რომ ერთპარტიული მმართველობისაგან განსხვავებით, კოალიციები სულ ცოტა, ამომრჩეველთა 50%-ის მხარდაჭერით მაინც სარგებლობენ. მაგრამ აქ უკვე იმის ხიფათი იმალება, რომ მცირე ცენტრისტული პარტიები (როგორცაა ვთქვათ, "თავისუფალი დემოკრატები" გერმანიაში) უფრო მსხვილ პარტიებს თავიანთ სურვილებს მოახვევენ თავს — იმის მუქარით, სხვას შეევეკვრებითო. ასე გამოდის, "ძალი კი აღარ იქნევს კუდს, კუდი იქნევს საკუთარ პატრონს".

მაფორთხარულ სისტემას, როგორც წესი, იმიტომ იცავენ ხოლმე, რომ მასში მყარი და შედეგიანი მმართველობის წინაპირობას ხედავენ. ანუ — პროპორციულობის ნაკლებობას ძლიერი მთავრობის არსებობით ამართლებენ. საკანონმდებლო ორგანოში მყარი უმრავლესობის საყრდენი საშუალებას აძლევს ამგვარ მთავრობას, ბოლომდე მშვიდად ჩაამთავროს საარჩევნო ვადა. ამის საწინააღმდეგოდ, კოალიციური მთავრობები სუსტია და არამყარი — მათ მუდამ უწევთ განსხვავებულ აზრთა შეჯერება და შინაგანი სიჭრელისა და განხეთქილებების გამო, დროზე ადრეც ხშირად ამთავრებენ ფუნქციონირებას. ამის კლასიკური მაგალითია ომის შემდგომი იტალია, სადაც 2001 წლამდე 59 მთავრობა შეიცვალა.

მეორის მხრივ, პროპორციული წარმომადგენლობის დამცველები ამტკიცებენ, რომ ძლიერი, საკუთარი პოლიტიკის ხისტად გამტარებელი მთავრობაც დიდი ვერაფერი ხეირია, ვინაიდან იგი ზღუდავს კრიტიკულ აზრს და აღარც საპარლამენტო საქმიანობის გამჭვირვალობას უწყობს ხელს. მათი აზრით, მთავრობის სიძლიერეს სახალხო მხარდაჭერა და მოქალაქეთა გულწრფელი პატივისცემა განსაზღვრავს და ამიტომაც ფართო კოალიცია შეიძლება უკეთ პასუხობდეს ამ მოთხოვნებს, ვიდრე ერთპარტიული მმართველობა. ძლიერი მართველობა ალბათ სახელისუფლო პოლიტიკის მუდმივ სრულყოფას უნდა გულისხმობდეს, თუნდაც მთავრობების ცვლის ხარჯზე, და არა საკუთარი ვადის როგორმე ბოლომდე "მიყვანას".

საარჩევნო რეფორმებზე კამათისას, ამა თუ იმ სისტემის მნიშვნელობას მაინც გადაძებულად აფასებენ ხოლმე. სინამდვილეში არჩევნები მხოლოდ ერთი ფაქტორია იმ უამრავთა შორის, რაც პოლიტიკურ პროცესებს განსაზღვრავს და შესაძლოა, არცთუ გადამწყვეტი. ასე მაგალითად, კოალიციური მთავრობების აკარგვიანობის განზოგადება იმთავითვე არასწორია: თუკი იტალიაში კოალიციები, როგორც წესი, სუსტი და უდღეური იყო, გერმანიაში სწორედ კოალიციები უზრუნველყოფდა მდგრად და შედეგიან მმართველობას. ასევე, იტალიის ყბადაღებულ პოლიტიკური არასტაბილურობის მიუხედავად, რის მიზეზადაც ხშირად უკვე გაუქმებულ, პარტიული სიებით არჩევნის სისტემას მიიჩნევდნენ, II

საგურაღლებოდ:

საარჩევნო სისტემები: შერეული სისტემა

გამოიყენება: გერმანიაში, იტალიაში, რუსეთში, ახ. ზელანდიასა და გაერთიანებულ სამეფოში (შოტლანდიის პარლამენტის და უელსის ასამბლეის არჩევისას).

ტიპი: პროპორციული.

განმასხვავებელი ნიშნები:

< მანდატების გარკვეული რაოდენობა (50% გერმანიაში, და უფრო მეტი — შოტლანდიაში, უელსსა და იტალიაში) ერთმანდატიან ოლქებში, "ერთი გამარჯვებულის" პრინციპით გამოვლენილ კანდიდატებზე ნაწილდება.

< დარჩენილი მანდატები ნაწილდება პარტიული სიების მიხედვით.

< თითოეული ამომრჩეველი ორჯერ აძლევს ხმას — ერთხელ კანდიდატს პიროვნულად, და ერთხელაც — პარტიულ სიას.

უპირატესობები:

< ამგვარი "ნაჯვარბ" სისტემა ამომრჩეველთა კერძო ინტერესებსა და სარჩევნო სამართლიანობას აბალანსებს, ხოლო პარტიული სიის არსებობა საკანონმდებლო ორგანოში პროპორციულ წარმომადგენ ლობას უზრუნველყოფს.

< შედეგის თვალსაზრისით, სისტემის სრული პროპორციულობა ერთპარტიული მმართველობის შესაძლებლობას არ გამოიციხავს.

< ამომრჩეველს შეუძლია პიროვნულად ერთი პარტიის წარმომადგენელს დაუჭიროს მხარი, და ამავე დროს, სხვა პარტიის სიას მისცეს ხმა.

< ითვალისწინებს, რომ წარმომადგენლობით ორგანოსა და აღმასრულებელ ზელისუფლებაში საქმიანობა ერთმანეთისაგან განსხვავდება და ორივე თვისებურ უნარსა და გამოცდილებას მოითხოვს.

ნაკლოვანებები:

< ერთმანდატიანი ოლქების ძალაში დატოვება სრული პროპორციულობის მიღწევას უშლის ხელს.

< სისტემა წარმომადგენელთა ორ ტიპს გვთავაზობს და ერთს თუ საკუთარი ამომრჩეველის წინაშე პასუხისმგებლობის ტვირთი აწევს, მეორეს — უფრო მაღალი სტატუსი და მინისტრის საგარძღის პერსპექტივა ხიბლავს.

< ოლქში არჩეულ კანდიდატს ბევრად უფრო მეტი ამომრჩეველის იმტერესის დაცვა უხდება (როგორც წესი, ორჯერ მეტის, ვიდრე "ერთი გამარჯვებულის" შემთხვევაში).

< პარტიული პოლიტიკა უფრო მკაცრი და ცენტრალიზებულია: სწორედ პარტია წყვეტს, ვინ იყაროს კენჭი ინდივიდუალურად, ვინ შეიყვანოს სიაში და რა რიგითობით.

მსოფლიო ომის შემდგომ, ყოველ შემთხვევაში, ამ ქვეყნის ჩრდილოეთში მაინც, ეკონომიკური ზრდის ისეთ მასშტაბებს მიაღწიეს, რამაც 1990 წლისთვის იტალია ევროკავშირის რიგით შესაძენ, ყველაზე აყვავებულ სახელწიფოდ აქცია.

რა მოაქვს არჩევნებს?

ყველაფერ ამის მიუხედავად, არჩევნების მნიშვნელობაზე არაფერია დაობს. სხვა თუ არაფერი, საზოგადოებას იმის განცდა მაინც უჩნდება, რომ პოლიტიკურ პროცესებზე ახდენს გავლენას და უშუალოდ თუ არაპირდაპირად განსაზღვრავს, ვინ იქნება ხელისუფლების სათავეში. ამ კუთხით,

საყურადღებოდ:

საარჩევნო სისტემები: პარტიული სიების სისტემა

გამოიყენება: ისრაელში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, შვეიცარიასა და ევროპარლამენტში.
ტიპი: პროპორციული.

განმასხვავებელი ნიშნები:

- < ან მთელი ქვეყანა ერთ საარჩევნო ოლქად განიხილება, ანდა რეგიონალური პარტიული სიების არსებობის შემთხვევაში, იქმნება რამდენიმე დიდი, მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი.
- < პარტიები ამომრჩევლებს საკუთარი კანდიდატების სიებს წარუდგენენ უპირატესი თანმიმდევრობის ნიშნით.
- < ამომრჩეველი ხმას აძლევს პარტიას, და არა კანდიდატს.
- < პარტიები არჩევნებში მიღებული ხმების პირდაპირპროპორციულად ირიგებენ საპარლამენტო მანდატებს და ადგილებსაც სიის მიხედვით ინაწილებენ.
- < შესაძლოა დაწესდეს ზღვარი (მაგ. 5% — გერმანიაში) რათა გამოირიცხოს მცირერიცხოვანი, სავარაუდოდ ექსტრემისტული პარტიების წარმომადგენლობა.

უპირატესობები:

- < ესაა ერთადერთი, თეორიულად მაინც, წმინდად პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა, და შესაბამისად, ყველა პარტიისადმი სამართლიანი.
- < იგი ხელს უწყობს ამომრჩევლებს, თავი ეროვნულ ერთობასთან გააგიფოს და მხოლოდ საკუთარი კუთხური ინტერესებით არ შემოიფარგლოს.
- < პარტიულ სიაში მოხვედრის შემთხვევაში, ქალებსა და უმცირესობების წარმომადგენელ კანდიდატებს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის მეტი შესაძლებლობა ეძლევათ.
- < არჩევნებში მონაწილე პატარ-პატარა პარტიათა სიმრავლე თავისთავად უსვამს ხაზს მოლაპარაკებების და შეთანხმებების მნიშვნელობას.

ნაკლოვანებები:

- < მრავალი პატარ-პატარა პარტიების არსებობამ შესაძლოა სუსტი და არამყარი ხელისუფლება წარმოშვას.
- < არ არსებობს არანაირი უშუალო კავშირი არჩევნულთა და ამომრჩევლთა შორის.
- < პარტიულ სიაში მოხვედრილი არაპოპულარული კანდიდატების გამოხმობა შეუძლებელია.
- < პარტიები ცენტრალიზებულად იმართებიან, რამდენადაც სიას ლიდერი ამტკიცებს, და რიგითი წევრები, დაწინაურების იმედით, წრეგადასულ ერთგულებას ავლენენ ხოლმე.

არჩევნებში გადამწყვეტი — შედეგია, ანუ — მოგებულ-წაგებულის გამოვლენა. ამგვარ შეხედულებას ამძაფრებს მედიის საქმიანობაც, რომელიც ეგზოთ-პოლების დახმარებით, არჩევნებს სულ უფრო და უფრო მეტად ამსგავსებს დოდს. თუმცა, პოლიტიკოსებს თუ ჰკითხავთ, არჩევნები საზოგადოებრივი ინტერესების ნათელი გამოხატულება და "ერის ხმის გაგონების" საშუალებაა; პოლიტოლოგთა აზრით კი — ხალხის ცვალებადი განწყობილებების სარკე. არადა, ნებისმიერი მსგავსი ახსნა საკამათოა, მეტი რომ არა ვთქვათ. ხალხმა იქნებადა კი ამოიღო ხმა, მაგრამ რა თქვა, არც ისე ადვილი გასარკვევია.

არც ეს "ხალხის ინტერესებია" ერთმნიშვნელოვანი ცნება. მსგავსი რამ ბუნებაში რომც არსებობდეს, იგი ყოველი მოქალაქის ერთობლივ, კოლექტიურ ნებას უნდა გამოხატავდეს; სწორედ ამ აზრს დებდა რუსო ცნებაში "საყოველთაო ნება" და მას კერძო ინტერესებისაგან თავისუფალი, ყოველი მოქალაქის ნებისთ ქმედებად მიიჩნევდა. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანს საერთო ნების კარნახით საკუთარ ინტერესებზე უარის თქმა ნაკლებად ახასიათებს, და არც იმგვარი რამ არსებულა, რასაც "ერთიანი საზოგადოებრივი ხელვა" შეიძლება ვუწოდოთ. ამიტომაც ეჭვით უნდა მივუდგეთ "ხალხისა" და "ამომრჩევლის" ცნებების ნებისმიერ განზოგადებას. არ არსებობს ერთ ჭკუაზე მოსიარულე რაღაც "ელექტორატ" — არიან უბრალოდ, ამომრჩეველთა გარკვეული ჯგუფები და ნებისმიერ მათგანს საკუთარი ინტერესი, სიმპათია თუ ხელვა გაჩნია. საუკეთესო შემთხვევაშიც კი, არჩევნების შედეგი უმრავლესობის, გნებათ — დიდი უმრავლესობის, ნების ანარეკლია. თუმცა, ამ დროსაც კი ბოლომდე ამოუცნობია, რაზე მიანიშნებს ეს არჩევანი.

პოლიტიკური მეცნიერებების მკვლევართა არაერთი თაობა იტყენდა თავს იმის გასარკვევად, რა მოტივაცია განსაზღვრავს ამომრჩევლის ქცევას, თუმცა ყველასთვის მისაღები თეორიის შექმნა დღემდე ვერ მოხერხდა. ხმის მიცემა — ერთი შეხედვით, საკმაოდ მარტივი ქმედება — უამრავი გააზრებული თუ ქვეცნობიერი, გონივრული თუ ირაციონალური, ეგოისტური თუ უანგარო ფაქტორითაა განპირობებული. შესაბამისად, ნებისმიერი თეორია კნინია და მათი აუ-კარგიანობაც ათასნაირად უნდა იქნას შემოწმებული. ეს კარგად ჩანს ენტონი დაუნსის (1957) ე.წ. "დემოკრატიის ეკონომიკურ თეორიაში", რომლის მიხედვითაც ხმის მიცემა იმ ამომრჩეველთა კერძო ინტერესის გამოხატულებაა, რომლებიც თითქმის ისევე აირჩევენ პარტიებს, როგორც მომხმარებელი — საქონელს.

მეორეს მხრივ, არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ მწირად ინფორმირებული ამომრჩეველი არა იმდენად თავად "ყიდულობს" პოლიტიკას, რამდენადაც ბევრი იმგვარი "ირაციონალური" ფაქტორის ტყვეობაშია, როგორიცაა ჩვეულება, სოციალური გარემო, პარტიების სახელწოდება, თუ მათი ლიდერების პიროვნული ხიბლი. მეტიც, მთავარი ის კი არაა, რას ყიდიან, არამედ — როგორ: რეკლამის, პოლიტიკური კამპანიებისა თუ პროპაგანდის მეშვეობით. და თუ ეს მოსაზრება სწორია,

საზოგადო ინტერესი

ესაა საყოველთაო ან კოლექტიური ინტერესები, რაც მოთიანად საზოგადოებისთვისაა სასარგებლო. არსებობს ორი შეხედულება ამ ცნებასთან დაკავშირებით: ერთის თანახმად, აშკარადაა გამოიჯნული საზოგადო და კერძო ინტერესები, და რუსოსა და ბუერი სოციალისტის მოსაზრებით, საზოგადოებრივი ინტერესები "უზენაესი" და ზნეობრივად აღმატებულია კერძო პრიონების ინტერესებთან შედარებით. მეორე შეხედულების მიხედვით, ღირებული მხოლოდ კერძო ინტერესია და საზოგადო ინტერესიც მხოლოდ და მხოლოდ კერძო, ყოველი ცალკეული პიროვნებისათვის სასრგებლოდ მიჩნეული ინტერესების ჯამია; ლიბერალი ინდივიდუალისტები კი — საერთოდ უარყოფენ საზოგადო ინტერესის ცნებას, როგორც აბსურდულს.

მაშინ — არჩევნების შედეგად არა იმდენად ამომრჩეველთა უმრავლესობის ინტერესების, არამედ კონკურენტი პარტიების მარიფათისა და ფინანსური შესაძლებლობების დემონსტრირებაა და სხვა არაფერი. ამ გაგებით, ზოგადად არჩევნების უმთავრესი დანიშნულება ალბათ ისაა, მაქსიმალურად მისაღები ხელისუფლება აირჩეს და ხალხსავე მისცეს საშუალება განსაზღვროს, ვინ ილაპარაკოს ხალხის სახელით.

როგორ და რატომ ვაძლევთ ხმას

ამომრჩეველის ქცევას აშკარად განსაზღვრავს როგორც მიმდინარე პროცესები, ასევე სამომავლო პერსპექტივა. პირველი — ერთ კონკრეტულ არჩევნებზე ახდენს გავლენას და ზოგად-საარჩევნო საკითხებში ძნელად თუ გაგვარკვევს: აქ მთავარი ეკონომიკური სიტუაციაა ქვეყანაში, და ხელისუფლების პოპულარობა უშუალო კავშირშია უმუშევრობის, ინფლაციის, თუ შემოსავლების დონესთან. აქ გადამწყვეტი — ამომრჩეველის მატერიალური კმაყოფილებაა (ე.წ. "კარგად ყოფნა"), და ხელახლა არჩევის იმედად, ხელისუფლებებიც, სწორედ წინასაარჩევნოდ, ეკონომიკური სატყუარის მაქსიმალურად გამოყენებას ცდილობენ ხოლმე. პოლიტიკური და ეკონომიკური აქტიურობის თანხვედრა მით უფრო გააღვილებულია, რომ არჩევნების წინდაწინ დადგენილი თარიღის წყალობით, ხელისუფლებამ უკვე იცის, როდის "შემობრუნდეს" ხალხისკენ.

ასევე, ხმის მიცემისას დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიების ლიდერთა პიროვნულ თვისებებს და საზოგადოებრივ შეფასებას. მედიის მეშვეობით, სწორედ ლიდერები იქცევიან ხოლმე პარტიათა "საფორმო ნიშნად" და პარტიებიც, ხალხის გულის მოსაგებად, წინასაარჩევნოდ ლიდერთა შეცვლასაც კი არ ერიდებიან: ასე მოიქცნენ, მაგალითად, 1990 წ. კონსერვატორები გაერთიანებულ სამეფოში მარგრიტ ტეტჩერთან, ხოლო 1991-ში — ავსტრალიელი ლეიბორისტები — ზობ ჰოუკთან დაკავშირებით. კიდევ ერთი ფაქტორი — პარტიათა წინასაარჩევნო კამპანიის სტილი და სიმძაფრეა. კამპანიების ხანგრძლივობა, შესაძლოა, სამი კვირიდან ორ წლამდეც კი მერყეობდეს, როგორც მაგალითად, წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანია ამერიკაში. ასეთ დროს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები ძალზე დიდ როლს თამაშობს, რაც კანდიდატსა თუ პარტიას რეალური სურათის დანახვაში ეხმარება.

რაც შეეხება მედიას, მან შეიძლება არჩევნებზე არა მარტო იმწუთიერი, არამედ შორსმომავალი ზეგავლენაც იქონიოს, თუკი მოვლენების მიკროობული გაშუქება იმ ფაქტორების შედეგია, რასაც საინფორმაციო საშუალებების კერძო მფლობელობა ჰქვია. თუმცა მედია-მაც შეიძლება იოლად იცვალოს ნირი არჩევნებიდან არჩევნებამდე: ასე მაგალითად, ლეიბორისტული პარტიის მცდელობებმა მერდოკ-პრესის მისამხრობად, სერიოზული დახმარება გაუწია ტონი ბლერს 1997 წ.

ხელისუფლებაში მოსასვლელად. ნებისმიერი ხსენებული მაგალითისას, გასათვალისწინებელია ის ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ეკონომიკური და იდეოლოგიური გავლენა, რაც ნებისმიერ არჩევნებს ახლავს თან და სწორედ ამ კუთხით გამოიკვეთა არჩევანის 4 ძირითადი მოდელი:

- < პარტიაზე ორიენტირებული
- < სოციოლოგიური
- < ხელსაყრელი არჩევანის
- < იდეოლოგიური

არჩევანის მოდლები

პარტიაზე ორიენტირებული მოდელი

ამ შემთხვევაში ამომრჩეველი განიხილება როგორც პარტიასთან ფსიქოლოგიურად გაიგივებული პიროვნება, ანუ — მის ხანგრძლივ მხარდამჭერად, ვინც ამა თუ იმ პარტიას "თავისაღ" მიიჩნევს. შესაბამისად, ზმის მიცემაც, უბრალოდ, ერთგულების გამოვლენებაა, და პოლიტიკურ პროგრამას, ლიდერის პიროვნებას, კამპანიის ხასიათსა თუ მედიის პოზიციას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. ამგვარი მოდელი გულისხმობს, რომ პიროვნების პოლიტიკურ მიკუთვნებულობას გარკვეული წარსული და ოჯახური მემკვიდრეობითობაც ახასიათებს, ხანგრძლივი პოლიტიკური სიმპათიები კი ერთგვარი მდგრადობისა და მუდმივობის განცდას ბადებს, რაც ზოგჯერ მთელი ცხოვრება, არჩევნებიდან არჩევნებამდე გაყვება ხოლმე ადამიანს. ამ კუთხით, შეიძლება წინასწარვე განისაზღვროს — ერთგულ მხარდამჭერთა საგარაუდო რაოდენობის დადგენის შემთხვევაში — ხმების რა "ბუნებრივ" პროცენტს მოიპოვებს ესა თუ ის პარტია, ხოლო "ბუნებრივ" პროცენტის ცდომილებანი კი მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ რაღაც მოკლევადიანმა ფაქტორებმა იმოქმედა. ამ მოდელის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო დროს ბევრ ქვეყანაში ე.წ. "ერთგულთა გაუცხოება" ხდება. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების რეგისტრირებულ წევრთა კლება და "შესამე პარტიებში" გაერთიანებულთა რაოდენობის ზრდა შეინიშნება: 1952წ. მათი ხვედრითი წილი 6% იყო, რაც 1992 წლისათვის ორჯერ გაიზარდა, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში კონსერვატიული და ლეიბორისტული პარტიების "სიკვდილამდე ერთგულ" მხარდამჭერთა ოდენობა 1966-2005 წწ. 43%-დან 15%-მდე დავიდა.

"ერთგულთა" გაუცხოება
ეს ის შემთხვევაა, როცა ამა თუ იმ პარტიის მომხრე ადამიანს თანდათანობით გული უცრუდება და აქტიურ მონაწილეობას აღარ იღებს არჩევნებში. შესაბამისად, შესაძლოა უფრო "ძველმა" პარტიებმა თანდათანობით დათმონ პოზიციები და ახალ-ახალი პარტიები გამოვიდნენ ასპარეზზე. ჩნდება ე.წ. "მოხეტიალქ ამომრჩევლის ტიპიც. ამგვარი გაუცხოების მთავარი მიზეზები მოსახლეობის მეტი გათვითცნობიერებულობა, გვიგრაფიული და სოციალური მობილურობის ზრდა და ტელევიზიის, როგორც პოლიტიკური ინფორმაციის ძირითადი წყაროს, მზარდი გავლენაა. ზოგიერთის აზრით, ამგვარი გაუცხოება იმიტაცა გამოწვეული, რომ ხალხმა ზოგადად პოლიტიკის მიმართ დაკარგა ინტერესი და პარტიული სისტემებიც სათანადოდ ვერ პასუხობენ პოსტინდუსტრიულ რეალობებს.

12. პოლიტიკური წარმომადგენლობა, არჩევნები და ხმისმიცემა

სოციოლოგიური მოდელი

კლასობრივი გაუცხოება ესაა კავშირის შესუსტება სოციალურ კლასსა და მისი ინტერესების გამომხატველ პარტიას შორის. თუმცა, სოციალური კლასი მაინც ალბათ ამომრჩევლის ნების ყველაზე მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორად რჩება. კლასობრივი გაუცხოებას, ჩვეულებრივ, საზოგადოების სტრუქტურის ცვლილებებით ხსნიან, რამაც კლასობრივი კუთვნილების განცდა შეასუსტა. ამის მიზეზად შეიძლება მუშათა კლასის "გაბურჯუაზიულება" ჩათვალოს, რაც ცხოვრების დონის ამაღლებამ და აქცენტის წარმოებიდან მომსახურების სფეროზე გადანაცვლებამ გამოიწვია.

ეს მოდელი ამომრჩევლის გადაწყვეტილებას მის ჯგუფურ კუთვნილებას უკავშირებს: იგულისხმება, რომ არჩევანი იმ ჯგუფის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე განისაზღვრება, რომელსაც ესა თუ ის ადამიანი წარმოადგენს. ამ შემთხვევაში არა მემკვიდრეობით მიღებული, პარტიისადმი ფსიქოლოგიური ერთგულება გამოდის წინა პლანზე, არამედ სოციალური ნიშანი — რაც თავის მხრივ, საზოგადოებაში არსებული დაყოფისა თუ დაძაბულობის ანარეკლია. დაყოფა კი, უმთავრესად — კლასობრივი, სქესობრივი, ეთნიკური, რელიგიური და კუთხურობის ნიშნით ხდება.

ძალზე ხშირად, პარტიულ სისტემებში კლასობრივი სისტემის გამოხატულებას ხედავენ და მემარჯვენე პარტიების პოტენციურ ამომრჩევლად საშუალო კლასს, მემარცხენეთათვის კი — მუშათა კლასს მიიჩნევენ. ტრადიციულად, ამ კუთხით ესმოდათ ლეიბორისტებად და კონსერვატორებად ჩამოყალიბებული ორპარტიული სისტემა გაერთიანებულ სამეფოში, რამაც პიტერ პალზერს 1967წ. ცნობილი ფრაზა ათქმევინა: "ბრიტანული პარტიული პოლიტიკის ქვაკუთხედი კლასია: სხვა ყველაფერი — დეკორატიული დეტალები". თუმცა, სოციოლოგიურ მოდელს სწორედ საზოგადოებრივ ჯგუფებზე ინტერესის გამახვილების გამო აკრიტიკებდნენ და პიროვნებისა და კერძო ინტერესის უგულვებელყოფას უთვლიდნენ ნაკლად. მით უმეტეს, რომ თანამედროვე საზოგადოებებში სულ უფრო თვალნათელია კავშირის შესუსტება სოციოლოგიურ ფაქტორებსა და ამა თუ იმ პარტიის მხარდაჭერას შორის. გამოიკვეთა კლასობრივი გაუცხოების ფენომენიც, და დასავლურ საზოგადოებებში ამის არაერთი მაგალითი არსებობს. ასე მაგალითად, მთლიანად კლასობრივი ნიშნით მიცემული ხმების რაოდენობა (იმ ამომრჩევლებისა, ვინც "თავიანთი პარტიას უჭერენ მხარს) გაერთიანებულ სამეფოში 1966წ. 66% შეადგენდა, 1983-ში კი — მხოლოდ 47%. 1997 წელს, პირველად ისტორიაში, ლეიბორისტულმა პარტიამ გონებრივი შრომით დაკავებულთაგან მეტი ხმა მიიღო, ვიდრე ფიზიკურად მშრომელი ამომრჩევლისაგან.

ხელსაყრელი არჩევანის მოდელი

ამგვარი მოდელში ზოგი სახელისუფლებო პარტიის ქმედებათა ამომრჩევლის მიერ შეფასებას ხედავს, ზოგიც ამომრჩეველს — სუპერმარკეტში სავაჭროდ შესულ მომხმარებელს ადარებს. მეორე შემთხვევაში ე.წ. "მომგებანი თემების" მნიშვნელობაა ხაზგასმული; ანუ — პარტიებს შეუძლიათ თემატურად "მომხმარებლის" გემოვნებას მოარგონ საკუთარი პოლიტიკური რიტორიკა და სწორედ ამ ნიშნით სცადონ წინასაარჩევნო კამპანიის წაყვანა. ასეთი მოდელის გავრცელება ბუნებრი-

ედ ერთგულ მხარდამჭერთა კლებასა და კლასობრივ გაუცხოებას მოჰყვა. თავის მხრივ, პოსტმოდერნიზმით გამოწვეულმა პლურალიზმმა და ინდივიდუალიზმმაც ითამაშა თავისი როლი. ხელსაყრელი არჩევანის თეორიების სისუსტე ისაა, რომ კონკრეტულ ამომრჩეველს მისი საზოგადოებრივი თუ სოციალური კონტექსტიდან მოწყვეტილად განიხილავენ.

იდეოლოგიური მოდელი

შედარებით რადიკალური შეხედულებები არჩევანის მოტივაციებთან დაკავშირებით იმას უსვამს ხაზს, რამდენად ზემოქმედებს პიროვნების არჩევანზე იდეოლოგიური ზეგავლენა თუ პირდაპირი წნეხი. სოციოლოგიური მოდელის მსგავსად, აქაც არჩევანის გაკეთება სოციალურ კიბეზე ადამიანის მიერ დაკავებული მდგომარეობის გამოვლინებად მიიჩნევა, თუმცა არსებობს განსხვავებაც: ეს თეორიები იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, თუ რამდენადაა განპირობებული პიროვნების მიერ საკუთარი მდგომარეობის შეფასება განათლების სისტემის, ხელისუფლების, და რაც მთავარია, მას-მედის გავლენებით.

ადრე ფართოდ გავრცელებული შეხედულებებისაგან განსხვავებით, როცა მედია უბრალოდ, დაგროვილი განწყობილებების გაძლიერებით შემოიფარგლებოდა, იდეოლოგიური მოდელის თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ მედიას ძალუძს საერთოდ დაამახინჯოს პოლიტიკური განწყობილებანი, სასურველ კალაპოტში მიმართოს დებატები და ხელოვნურად მართოს საზოგადოების სიმპათია-ანტიპათიები. ამის შეეგად, თუ ამომრჩეველთა განწყობა გაბატონებული იდეოლოგიის მიმართ კეთილმოსურნია, პარტიები უკვე თავს უფლებას ვეღარ მისცემენ, ამ იდეოლოგიას გადაუხვიონ. ანუ — საარჩევნო პროცესი უკვე არაა "არსებულის გაუმჯობესებას", არამედ არსებულის შენარჩუნებას ემსახურება. ამ მოდელის სისუსტე ისაა, რომ არ ითვალისწინებს ცალკეული პიროვნების მოსაზრებებს და მის კერძო ინტერესებს სრულიად უგულებელყოფს.

"მომგებიანი თემებში:

არჩევანი იმისდა მიხედვით, რამდენად თანმხვედრია ამა თუ იმ პარტიის პროგრამა პიროვნების კერძო ინტერესებთან.

12. პოლიტიკური წარმომადგენლობა, არჩევნები და ხმისმიცემა

შეჯამება

◀ წარმომადგენლობა საზოგადოებრივი საქმიანობის ისეთი ფორმაა, როდესაც პიროვნება ან ჯგუფი ადამიანთა უფრო დიდი რაოდენობის სახელით ლაპარაკობს ან მოქმედებს. წარმომადგენლობის უფლება ენიჭება ან განათლებული ელიტის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ან ხალხის მანდატით აღჭურვილ დელეგატს, ანდა რომელიმე ჯგუფის რჩეულს.

◀ თანამედროვე პოლიტიკაში წარმომადგენლობა მუდამ არჩევნებს უკავშირდება. არჩევნები შეიძლება საკმარისი პირობა არც იყოს პოლიტიკური წარმომადგენლობისათვის, თუმცა აუცილებელი კია. თავის მხრივ, არჩევნები წარმომადგენლობით მიზნებს რომ ემსახურებოდეს, კონკურენტულობა, თავისუფლება და გამჭვირვალობა, ზრდასრული მოსახლეობის საყოველთაო ხმის უფლება — ამის აუცილებელი წინაპირობაა.

◀ არჩევნებს რამდენიმე დანიშნულება გააჩნია. ერთის მხრივ, პოლიტიკური თანამდებობების შევსება, წარმომადგენლობითობა, მთავრობის დაკომპლექტება და პოლიტიკურ კურსზე ზეგავლენის მოხდენა. მეორეს მხრივ, რადიკალი თეორეტიკოსების აზრით, არჩევნებმა უნდა შექმნას ლეგიტიმურობის საფუძველი, ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი აზრი და ხელი შეუწყოს ელიტების გაძლიერებას.

◀ საარჩევნო სისტემებ, როგორც წესი, მაჟორიტარული ან პროპორციული ნიშნით ჯგუფდება. მაჟორიტარულ სისტემებში, მსხვილი პარტიები ჩვეულებრივ, მიღებულ ხმებთან შედარებით პროპორციულად მეტ ადგილს იკავებენ საკანონმდებლო ორგანოებში, რითაც იზრდება ერთპარტიული მმართველობის შესაძლებლობა. პროპორციულ სისტემებში თანაბარი ან თითქმის თანაბარი შეფარდებაა მოპოვებულ ადგილებსა და მიღებულ ხმებს შორის, რითაც კოალიციური მთავრობის ალბათობა საგრძნობლად მატულობს.

◀ მაჟორიტარულ სისტემებს, ჩვეულებრივ, იმ მოსაზრებით ანიჭებენ უპირატესობას, რომ აშ დროს ამომრჩეველი ნათლად ხედავს სავარაუდო ხელისუფლების ავ-კარგიანობას, გამარჯვებული პარტიის პოლიტიკური ხედვა მეტი მხარდაჭერით სარგებლობს, მეარი და ძლიერი მმართველობის გარანტიაც შეტია. საპირისპიროდ, პროპორციულ სისტემის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ამ პრინციპით არჩეული ხელისუფლება ამომრჩეველთა უფრო ფართო ფენების ნებას გამოხატავს, პარტიების თანამშრომლობასა და თანხმობას უწყობს ხელს და სასურველ წონასწორობას ამყარებს ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს შორის.

◀ არჩევნების მნიშვნელობა მჭიდროდ უკავშირდება ამომრჩეველის გადაწყვეტილებების განმსაზღვრელ ფაქტორებს, და ამომრჩეველის

ქცევის შემსწავლელი თეორიებიც სხვადასხვა მომენტებზე ამახვილებენ ყურადღებას: პარტიასთან გაიგივებასა და ჩვევად ქცეულ "ერთგულებას", ამა თუ იმ ჯგუფის წევრობასა და სოციალურ მიკუთვნებულობაზე, გონივრულ არჩევანსა და პირად ინტერესზე და იმაზეც, იდეოლოგიური წნეხი რამდენად ახდენს გავლენას პიროვნულ არჩევანზე.

კითხვები განსასჯელად

- < შეიძლება თუ არა წარმომადგენლობა უშუალოდ გააიგივოთ დემოკრატიათთან?
- < ყველაზე მეტად რა გარემოებანი უწყობს ხელს წარმომადგენლობით მმართველობას?
- < რა უფრო მნიშვნელოვანია — არჩევნებმა პოლიტიკოსთა ანგარიშვალდებულობა უზრუნველყოს თუ რეჟიმის არსებობა გაახანგრძლივოს?
- < რამდენად თვალსაჩინოა მიზეზ-შედეგობრიობა არჩევნების გამჭვირვალობასა და მყარ, ძლიერ ხელსუფლებას შორის?
- < რამდენად გამოხატავს არჩევნები საზოგადოებრივ ინტერესებს?
- < რამდენადაა ხმის მიცემა გააზრებული და მიზანმიმართული ქმედება?

დამატებითი საკითხავი

Birch, A.H., *The Concepts and Theories of Democracy*, 2nd edn (London: Routledge, 2000).

Farrell, D. M., *Electoral Systems: A Comparative Introduction* (Basingstoke: Palgrave, 2001).

Gallagher, M. and P. Mitchell (eds), *The Politics of Electoral Systems* (Oxford: Oxford University Press, 2005).

პარტიები და პარტიული სისტემები

13

თავი

შინაარსი

"პოლიტიკაში, როგორც წესი, მეგობრობას საერთო სიძულვილი უდევს საფუძვლად".

ალექსის დე ტოკვილი, ამერიკული დემოკრატია [1835]

თანამედროვე პოლიტიკას იმდენად განსაზღვრავს პარტიათა საქმიანობა, მათ როლსა და მნიშვნელობაზე უკვე აღარაფერია დასაზრუნავი. კაცს აღარ ახსოვს, რომ პარტიები არცთუ ისე დიდი ხნის წინ გაჩნდა. როგორც არჩევნებში გასაპარჯებლად და ხელისუფლების შესანარჩუნებლად შექმნილი ინსტრუმენტი, პარტიული სისტემები XIX საუკ. გარიჟრაჟზე ჩამოყალიბდა, დღესდღეობით კი ისინი მხოლოდ იქ არ არსებობენ, სადაც დიქტატურა ან სამხედრო რეჟიმი გაბატონებული. მოკლედ რომ ვთქვათ, პოლიტიკური პარტია თანამედროვე პოლიტიკის მთავარი ღერძია და დემოკრატის იარაღია თუ ტირანიისა და ჩაგვრის წყარო — სულ ერთია, ის მაინც აუცილებელი რგოლია სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. არადა, თანდათანობით პარტიებსა და პარტიულ სისტემებს სულ უფრო მეტი მოწინააღმდეგე უჩნდება. კრიტიკოსების აზრით, პარტიები ვეღარ გამოხატავენ თანამედროვე საზოგადოებებში გაჩენილ ახალ-ახალ მოთხოვნოლებებს და სერიოზული პრობლემების გადაჭრაც სულ უფრო უჭირთ.

ამ თავში შემდეგი ძირითადი საკითხებია განხილული:

საკვანძო საკითხები:

- < რა არის პოლიტიკური პარტია და რა ნიშნით შეიძლება პარტიათა დაჯგუფება?
- < რა უმთავრესი დანიშნულება გააჩნია პარტიას?
- < როგორ ხდება პარტიის ორგანიზება და როგორ ნაწილდება ძალაუფლება მის შიგნით?
- < რა და რა პარტიული სისტემები არსებობს?
- < რამდენად განსაზღვრავს ესა თუ ის პარტიული სისტემა ზოგადად პოლიტიკურ პროცესს?
- < კნინდება თუ არა პარტიების როლი, და რით შეიძლება დამთავრდეს ეს პროცესი?

პარტიული პოლიტიკა
პარტიათა ტიპები.

პარტიათა დანიშნულება.
პარტიული ორგანიზაცია:
საიდან მოდის
ძალაუფლება?

პარტიული სისტემები
ერთპარტიული სისტემები.

ორპარტიული
სისტემები.
წამყვან პარტიათა სისტემები.
მრავალპარტიული სისტემები.

ზომ არ კნინდება
პარტიათა როლი?

შეჯამება/კითხვები
განსასჯელად/დამატებით
საკითხავი

13. პარტიები და პარტიული სისტემები

პოლიტიკური პარტია

პოლიტიკური პარტია არჩევნების, ან რაიმე სხვა გზით სახელისუფლებო ძალაუფლების მოპოვების მიზნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფია. ხშირად პარტიები ინტერეს-ჯგუფებსა თუ საზოგადოებრივ მოძრაობებში ერეკათ ხოლმე.

სხვა ტიპის გაერთიანებებისაგან პარტიებს, ჩვეულებრივ, 4 ნიშნ-თვისება გამოარჩევს:

◀ პარტიები მიზნად ისახევენ ძალაუფლების მოპოვებას ხელისუფლებაში მოსვლის შედეგად (თუმცა, მომცრო პარტიები არჩვენებს, შესაძლოა, უფრო ტრიბუნის და არა ძალაუფლების ხელში ჩაგდების საშუალებად მიიჩნევენ).

◀ პარტიები ორგანიზებული გაერთიანებებია და "საბუთიან მწვერუბლებსაგან შედგება. სწორედ ეს განასხვავებს მათ უფრო ფართო და ჭრული საზოგადოებრივი მოძრაობებისაგან.

◀ როგორც წესი, პარტიებს საკითხთა ფართო წრე აინტერესებთ და ცდილობენ, სახელისუფლო პოლიტიკის ყველა ძირითადი მიმართულება მოიცვან (თუმცა, იგივე მომცრო პარტიები — ინტერეს-ჯგუფების მსგავსად — შესაძლოა ყურადღების ერთ კონკრეტულ საკითხზე გამახვილებით კმაყოფილდებოდნენ).

◀ განსხვავებული ხარისხით, მაგრამ მაინც ყოველი კონკრეტული პარტია გაზიარებული პოლიტიკური სიმპათიებისა და ერთგვარი იდეოლოგიური მრწამსის გამომხატველია.

პარტიული პოლიტიკა

პოლიტიკური პარტიები სახელმწიფოთა უდიდეს უმრავლესობაში და პოლიტიკური სისტემების უმეტესობაში არსებობს. პარტია შეიძლება იყოს ავტორიტარულიც და დემოკრატიულიც; ძალაუფლებას შეიძლება ესწრაფოდეს არჩევნების ან რევილუციის გზით; ატარებდეს მემარცხენე მემარჯვენე თუ ცენტრისტულ იდეოლოგიას ანდა საერთოდ შორს იდგეს პოლიტიკისაგან (მაგ., "იტალიური ოპერის მეგობრებმა და ა.შ.). პოლიტიკური პარტიების გაჩენა და პარტიული სისტემების ჩამოყალიბება პოლიტიკური გათანამედროვეობის ნიშნად იქნა აღიარებული. XX საუკ. 50-იანი წწ. ბოლოსათვის, მსოფლიოში სახელმწიფოთა 80% პოლიტიკური პარტიებს მართავდნენ. თუმცა, 60-70-იან წლებში, ეს რაოდენობა შემცირდა განვითარებად სამყაროში სამხედრო რეჟიმების მომრავლების ხარჯზე პოლიტიკურ პარტიებს ხშირად გათიშულობასაც აბრალებდნენ, და მათში ვედარ ხედავდნენ იმ ძალას, რომელიც სილატაკისა თუ ეთნიკური და ტომობრივი დაპირისპირებების პრობლემებს გადაჭრიდა. მათ ამრეხით უყურებდნენ ეკონომიკური და სამხედრო ელიტების. და მაინც, 80-90-იანი წწ. დემოკრატიზაციის ტალღამ პარტიათა გააქტიურების ახალი წინაპირობები შექმნა. სამხედრო რეჟიმების შესუსტებას თუ საერთოდ გაქრობას ახლის აფრიკისა და სამ. ამერიკის ქვეყნებში, თითქმის დაუყოვნებლივ მოჰყვა ძველ

ფრანკია, ფრაქციონალიზმი

თავიდან, ცნებები ფრაქცია და პარტია ერთი და იგივე მნიშვნელობით მოიხმარებოდა. დღესდღეობით "ფრაქცია" ჩვეულებრივ, უფრო დიდი გაერთიანების, როგორც წესი, პოლიტიკური პარტიის შიგნით შექმნილ დაჯგუფებას ნიშნავს და იდეოლოგიურად, ამ პარტიის გენერალურ ხაზს არ ეწინააღმდეგება. ხოლო თუ ასე არაა, მაშინ ფრაქციულ ჯგუფებს უკვე "პარტიის შიდა პარტიას" უწოდებენ ხოლმე. "ფრაქციონალიზმში კი ან ფრაქციებად რღვევას, ანდა მძაფრ ფრაქციათაშორის დაპირისპირებას ნიშნავს. ფრაქციის ცნება ხშირად უარყოფითი დატვირთვის მატარებელია, "ფრაქციონალიზმში კი, როგორც შიდა უთანხმოების სინონიმი — ყოველთვის.

თუ ახალი პარტიების ასპარეზზე გამოსვლა. ბევრ ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოშიც მმართველობის ერთპარტიული სტილი კონკურენტული პარტიული სისტემით შეიცვალა.

პოლიტიკური პარტია როგორც ასეთი, ზოგადად პოლიტიკური ორგანიზმის ერთი შემადგენელი ნაწილია მხოლოდ, და მისი მნიშვნელობის ზრდა წარმომადგენლობითი ხელისუფლებისა და XIX საუკ. დაწყებული საარჩევნო უფლებების თანდათანობითი გაფართოების შედეგია. მანამდე ე.წ. "ფრაქციები" თუ "პარტიები" მხოლოდ ერთნაირად მოაზროვნე პოლიტიკოსთა მცირე გაერთიანებას ნიშნავდა და ეს გაერთიანებები, ჩვეულებრივ, რომელიმე ლიდერისა თუ სულაც ოჯახის ირგვლივ იქმნებოდა. ასე მაგალითად, ცნობილი "კარის პარტიები" ხშირად თვითმპყრობელური მონარქიის პირობებშიც იქმნებოდა — წარჩინებულთა მხრივ კარზე მეტი გავლენის მოსაპოვებლად. ასე რომ, როდესაც ედმუნდ ბერკმა XVIII საუკ. ბოლოს პარტიას "კონკრეტული პრინციპის საფუძველზე შეთანხმებულ ადამიანთა გაერთიანება" უწოდა, ის ვიგებისა და თორების არამყარ, არაფორმალურ დაჯგუფებებს გულისხმობდა და არა იმ კარგად ორგანიზებულ მექანიზმებს, რადაც შემდგომში ეს დაჯგუფებები ჩამოყალიბდნენ (ლეიბორისტები და კონსერვატორები).

თანამედროვე ტიპის პარტიები ყველაზე ადრე ა.შ.შ.-ში შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის კონსტიტუციის შემქნელი "დამფუძნებელი მამები" ეჭვის თვალით უცქერდნენ "ძველი სამყაროს" პარტიებს, უკვე 1800 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ფედერალისტური პარტია (მოგვიანებით — რესპუბლიკურ პარტიად წოდებული), საერთო-სახალხო მხარდაჭერით სარგებლობდა. ბევრი კონსერვატიული და ლიბერალური პარტია თავის დროზე საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ ამა თუ იმ ფრაქციის სახით იყო ხოლმე წარმოდგენილი, და მხოლოდ მოგვიანებით, სულ უფრო მზარდი ელექტორატის გავლენით, იმ რთულ ორგანიზაციებად გადაიქცნენ, რომელნიც უკვე პარლამენტს გარეთაც საქმიანობდნენ და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში საკუთარ წარმომადგენლობებსაც აარსებდნენ. ამის საპირისპიროდ, სოციალისტური და სხვადასხვა რელიგიური, ეთნიკური თუ ენობრივი

13. პარტიები და პარტიული სისტემები

ჯგუფების ინტერესთა დამცველი პარტიები, როგორც წესი, საზოგადოებრივი მოძრაობებისა თუ ინტერეს-ჯგუფების სახით არსდებობდნენ და თავიდან არც სახელისუფლებო ბერკეტები გააჩნდათ. XX საუკ. დასაწყისში, პოლიტიკური პარტიები და სისტემები უკვე იმ სახით ჩამოყალიბდნენ, რომ შესაძლებლობა მიეცათ, საზოგადოების სოციალური თუ სხვა სახის პრობლემების გამოძახატველებად ქცეულიყვნენ.

პარტიათა ტიპები

პოლიტიკურ პარტიებს სხვადასხვა ნიშნით აჯგუფებენ ხოლმე. ძირითადად, შემდეგი პრინციპებით:

- ◀ საკადრო და სახალხო პარტიები
- ◀ წარმომადგენლობითი და ე.წ. "დამრავლავი" პარტიები
- ◀ კონსტიტუციური და რევოლუციური პარტიები
- ◀ მემარცხენე და მემარჯვენე პარტიები.

ყველაზე ხშირად პარტიები საკადრო და სახალხო ნიშნით იყოფა. ტერმინი "საკადრო პარტია" თავიდან ნიშნავდა "წარჩინებულთა გაერთიანებას" და მას, როგორც წესი, წინამძღოლთა არაფორმალური ჯგუფი ედგა სათავეში, ხოლო მასობრივი ორგანიზაციის შექმნას სულაც არ ისახავდა მიზნად. ამგვარი პარტიები საპარლამენტო ფრაქციების საფუძველზე ჩამოყალიბდა იმ დროს, როცა ხმის უფლება შეზღუდული იყო. თუმცა, დღესდღეობით, კადრი (მაგ. კომუნისტური პარტიების შემთხვევაში) უკვე პარტიის გაწვრთნილ, ასე ვთქვათ, პროფესიონალ წევრებთან მიმართებით იხმარება, ვისაც პოლიტიკური ერთგულებისა და დისციპლინის მაღალი დონე გამოარჩევს. ამ გაგებით, ყოფილი სსრკ-ს კომპარტია, ნაცისტური პარტია გერმანიაში, იტალიის ფაშისტური პარტია და დღევანდელი ჩინეთის კომპარტია — სულ საკადრო პარტიებია. ამ ტიპის პარტიათა განმასხვავებელი ნიშანი მასში პოლიტიკურად აქტიური (თითქმის გასამხედროებულ დისციპლინას დამორჩილებული) ელიტის გადამწყვეტი როლია. სწორედ ის იღებს საკუთარ თავზე მასების იდეოლოგიურ წინამძღოლობას მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ პარტიებში გასაწევრიანებლად მკაცრი კრიტერიუმებია შემოღებული, კარიერიზმი და უბრალო გამორჩენა ხშირად ხდება პარტიაში მასიურად გაწევრიანების მიზეზი.

მეორეს მხრივ, სახალხო პარტიისთვის უმნიშვნელოვანესია რაც შეიძლება მეტი მომხრის მიზიდვა და ფართო საარჩევნო საყრდენის შექმნა. საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლების მოპოვებამ ლიბერალური და კონსერვატიული პარტიები მასობრივი მხარდაჭერის აუცილებლობის წინაშე დააყენა, თუმცა თავიდან, სახალხო პარტიების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები ევროპული ტიპის სოციალისტური, ძირითადად მუშათა კლასის მხარდაჭერაზე ორიენტირებული გერმანიის სოციალ-დემოკრატიული და ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიები იყვნენ. ასეთი პარტიების ძირითადი მახასიათებლებია წევრების მოზიდვა და დარაზმვა, ხოლო იდეოლოგიას

პოლიტიკურ მრწამსს შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა. ფორმალურად ემოკრატიული ორგანიზების მიუხედავად, წევრთაგან ცოტანი თუ იღებენ გადაწყვეტილებებს უშუალოდ პარტიულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

თანამედროვე პარტიათა უმეტესობა მაინც ოტო კირხაიმერისეულ (1966) "განურჩევლად შეძკრებთა" კატეგორიას განეკუთვნება. ისინი სულ უფრო იოლად თმობენ იდეოლოგიურ პრინციპებს — რაც შეიძლება მეტი ამომრჩევის გულის მოსაგებად. ამის კარგი მაგალითია თანამედროვე დეიდოლოგიზირებული სოციალისტური პარტიები — სახალხო პარტიის კლასიკური ტიპისაგან განსხვავებით, მათ აქცენტი ლიდერის პიროვნებასა და პარტიის დარაზმულობაზე გადაიტანეს და დააკინნეს პარტიის ცალკეულ წევრთა როლი, როცა გეზი მტკიცე კოალიციების შექმნაზე აიღეს და "სოციალური კლასის ინტერესთა" დაცვა უკანა პლანზე გადაწიეს.

1956წ. ზიგმუნდ ნოიმანმა პარტიები სხვა ნიშნითაც დაყო და ერთმანეთისგან გამიჯნა ე.წ. „წარმომადგენლობითი“ და "დამრავზმევი პარტიები. პირველი ტიპი ის პარტიებია, რომლებიც მთავარ მიზნად არჩევენბში მიღებული ხმების დაცვას ისახავენ; შესაბამისად, არა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, არამედ ასახვას ცდილობენ. ამ თვალსაზრისით, წარმომადგენლობითი პარტიებიც "განურჩევლად შეკრების" სტრატეგიას ირჩევენ — პრინციპზე მდლბა პრაგმატიზმს, ხოლო ხალხის მობილიზებაზე წინ — საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევას აყენებენ. თანამედროვე პოლიტიკაში მსგავსი პარტიების მომრავლებამ ბვერი არგუმენტი გააჩინა პოლიტიკური ქცევის **გონივრული არჩევანის** მოდელის სასარგებლოდ. სწორედ ამ მოდელს იშველიებდნენ ჯოზეფ შუმპიტერი და ენტონი დაუნსი, როცა პოლიტიკოსებს ძალაუფლებას დახარბებულ იმგვარ არსებებად მიიჩნევდნენ, ვისთვისაც სულ ერთია, რა პოლიტიკა მოუტანთ წარმატებას არჩევენბში.

დამრავზმევი პარტიები — პირიქით — პოლიტიკურ სტრატეგიად არა საზოგადოების განწყობაზე პასუხს, არამედ ამ განწყობის შექმნას ირჩევენ. მათ სურთ დარაზმონ, გაათვიცნობიერონ და ადაგზნონ მასები, და არა — უბრალოდ გამოეპასუხონ მათ მოთხოვნებს. მართალია, ნოიმანი ამგვარი პარტიის ტიპიურ ნიშუშად იდეოლოგიურად ნაცად საკადრო პარტიას მიიჩნევდა, დამრავზმევი ტენდენცია სახალხო პარტიასაც შეიძლება ახასიათებდეს. სანამ ამომრჩეველთა ხმებს დაკარგავდნენ, სოციალისტური პარტიები, ხალხის გულის მოსაგებად, ბვერს საუბრობდნენ საზოგადოებრივი საკუთრების, სრული დასაქმების, სამართლიანი გადანაწილებისა თუ სოციალური კეთილდღეობის უპირატესობებზე. ღიმილის მომგვრელია, მაგრამ იგივე გზას დაადგა გაერთიანებული სამეფოს კონსერვატიული პარტია მარგრიტ ტეტჩერის მეთაურობით — XX საკ. 80-იან წწ. მისი პარტიისთვის ტრადიციულად მიუღებელი იდეოლოგიზირებისა და აბსტრაქტული პრინციპების ქადაგების მიუხედავად, ტეტჩერი სწორედ დამრავზმევი სტრატეგიის გამოყენებით შეეცადა იმ "დარწმუნების პოლიტიკის" კურსის გატარებას, რაც გადასახადების შემცირების მხარდაჭერას, მეწარმეობის წახალისებას, პიროვნული პასუხისმგებლობის გაძლიერებას, პროფკავშირთა ძალაუფლების მოთოკვას და სხვა მსგავს ინიციატივებს გულისხმობდა.

გონივრული არჩევანი: პოლიტიკის ერთგვარი გაგება, რაც იმ მოსაზრებას ემყარება, რომ ყოველი პიროვნება საკუთარი ინტერესის გაცნობიერების კარნახით მოქმედებს; იგივე პოლიტიკის "ეკონომიკური" თეორია.

13. პარტიები და პარტიული სისტემები

არსებობს მესამე ტიპის დაყოფა — კონსტიტუციურ და რევოლუციურ პარტიებს შორის. კონსტიტუციური პარტიები აღიარებენ სხვა პარტიათა უფლებებსა და პრეტენზიებს, და შესაბამისად, დადგენილი წესებისა თუ შეზღუდვების ფარგლებში მოქმედებენ. კერძოდ, საკამათოს არ ხდიან დაყოფას პარტიასა და სახელმწიფოს შორის, სახელისუფლებო პარტიასა და იმ სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის, რომლებიც კანონიერ დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ და პოლიტიკურად ნეიტრალურნი არიან. რაც მთავარია, ისინი ცნობენ და პატვის სცემენ საარჩევნო კონკურენციის პირობებს. ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებში ყველა ძირითადი პარტია სწორედ ამგვარი, კონსტიტუციური ხასიათისაა.

თავის მხრივ, რევოლუციური პარტიები სისტემასა თუ კონსტიტუციას დაპირისპირებული ორგანიზაციებია, როგორც მემარჯვენე, ასევე მემარცხენე ყაიდისა. ისინი ხელისუფლებაში მოსასვლელად არც დაუმორჩილებლობასა და სახალხო აჯანყებას ერიდებიან და არც ისეთ ვითომ კანონიერ საშუალებებს, რასაც თავის დროზე ნაცისტებმა და ფაშისტებმა მიმართეს. ზოგჯერ ამგვარი პარტიები მათი ექსტრემისტული თუ ანტიდემოკრატიული ბუნების გამო, კანონითაც კი იკრძალება: ასე მოხდა მაგალითად, გერმანიაში — მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. არადა, როცა ისინი ძალაუფლებას იგდებენ ხელში, უცილობლად ერთმმართველ პარტიებად ყალიბდებიან და ფაქტიურად, სახელმწიფო მანქანასთან აიგივებენ თავს. რა დროშიმაც არ უნდა მოვიდეს სათავეში ერთპარტიული სისტემის ზღვარი პარტიასა და სახელმწიფოს შორის მაინც იშლება და მმართველ პარტია, სინამდვილეში, ნებისმიერი სახელისუფლებო ბერკეტის მფლობელი ხდება. სწორედ ასეთი პარტიულ-სახელმწიფო აპარატი შეიქმნა საბჭოთა კავშირში, სადაც პარტიის გენერალური მდივანი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიც იყო და სრულებით არ ანალვლებდა, რამდენად "კანონიერად" ითავსებდა ამ თანამდებობას.

და ბოლოს, პარტიები იდეოლოგიური მიმართულებითაც განსხვავდებიან და მემარჯვენეობა-მემარცხენეობის ნიშნით ჯგუფდებიან. მემარცხენე პარტიებს (პროგრესულს, სოციალისტურს, და კომუნისტურს) ცვლილებისკენ მიდრეკილება ახასიათებს, როგორც სოციალური რეფორმების, ასევე სრულმასშტაბიანი ეკონომიკური გარდაქმნის გზით. მათი ტრადიციული მხარდამჭერები ღარიბები და უუფლებოები არიან ხოლმე (ურბანულ საზოგადოებებში — მუშათა კლასის წარმომადგენლები); მემარჯვენე პარტიები (კერძოდ, კონსერვატიული თუ ფაშისტური ყაიდისა), ზოგადად უკვე არსებული სოციალური წესრიგის შენარჩუნებას ცდილობენ და მთავალსაზრისით, ცვლილებებისადმი ლტოლვა ნაკლებად სჩვევიათ. მხარდამჭერთა შორის, ჩვეულებრივ, საქმიანი წრეები და მატერიალურ უზრუნველყოფილი საშუალო კლასი მოიაზრება. და მაინც, მემარჯვენე მემარცხენეობად პარტიათა მკვეთრი გამოჯვანა, უკეთეს შემთხვევაში გამარტივებული ხედვის მაგალითია, უარეს შემთხვევაში კი — დღეს შემცდომა. ისინი მუდმივად ავლენენ მათი ვითომდა ანტიპოდებისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, და თავის მხრივაც მემარჯვენე-მემარცხენე "ქვეფრთხვად" იყოფიან. რაც მთავარია, საარჩევნო კონკურენციამ მკვეთრ

იდეოლოგიური განსხვავებებიც შეარბილა და "ხმებზე ნადირობამ" ერთ დროს ურყევი პრინციპების გადასინჯვაც გამოიწვია. სიმართლე ითქვას, თუად ეს მემარცხენე-მემარჯვენედ დაყოფაც პირობითია — სხვადასხვა ქვეყნებსა თუ პოლიტიკურ სისტემებში. და ბოლოს: ძველი კლასობრივი პოლარიზების გაქრობამ და ისეთი ახალი პოლიტიკური თემების წამოწევამ, როგორცაა გარემოსა თუ ცხოველთა უფლებების დაცვა ან ფემინიზმი, იქნებადა საერთოდ გაახუნა ამგვარი დაყოფების აქტუალობა.

საყურადღებოდ:

პოლიტიკური სპექტრი

პოლიტიკური სპექტრის მემარცხენეობა-მემარჯვენეობად დაყოფა ყველაზე იოლია პოლიტიკური იდეებისა და შეხედულებების წარმოსაჩენად. ეს დაყოფა საფრანგეთის რევოლუციის დროიდან მოდის, როცა 1789წ. გენერალური შტატების პირველ სხდომაზე, განსხვავებული მიმართულების ჯგუფები დარბაზის მარჯვნივ-მარცხნივ განლაგდნენ. შესაბამისად, ტერმინებს — მემარცხენე და მემარჯვენე — იმთაყიდან არანაირი ვადატანითი მნიშვნელობა არ გააჩნდა. ვიწრო გაგებით, სწორხაზოვანი პოლიტიკური სპექტრი (იხ. ნახ. 13.1) წარმოაჩენს განსხვავებულ დამოკიდებულებებს ეკონომიკისა და სახელმწიფოს როლის თაობაზე: მემარცხენე თვალსაზრისით, მისასაღებელია სახელმწიფოს მეტი ჩარევა და მართვის მეტი კოლექტივიზმი; მემარჯვენეობა კი უპირატესობას საბაზრო ეკონომიკასა და ინდივიდუალიზმს ანიჭებს. ოღონდ დღესდღეობით, მემარცხენეობამ და მემარჯვენეობამ კიდევ უფრო ღრმა იდეოლოგიური თუ ღირებულებითი განსხვავებები შეიძინეს:

მემარცხენეობა

თავისუფლება
თანასწორობა
ძმობა
უფლებები
პროგრესი
რეფორმიზმი
ინტერნაციონალიზმი

მემარჯვენეობა

ავტორიტეტი
იერარქია
წესრიგი
მოვალეობები
ტრადიცია
რეაქციონიზმი
ნაციონალიზმი

II მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც ფაშიზმის, ასევე კომუნიზმისათვის დამახასიათებელი ანტი-პლურალისტური ტენდენციების ხაზგასასმელად, შეიქმნა ალტერნატიული, ე.წ. "ნალისებრ" პოლიტიკური სპექტრის მოდელი. უფრო მოგვიანებით, ჰანს აიზენკამ (1964) და სხვებმაც, კიდევ ერთი პოლიტიკური სპექტრის ორგანოზომილებიანი მოდელი შექმნეს, და შეეცდნენ ადრე არსებული მემარცხენეობა-მემარჯვენეობის არასრულყოფილი სპექტრისთვის ვერტიკალური, ავტორიტარულ-ლიბერტარიანული ელემენტიც შეემატებინათ.

პარტიათა დანიშნულება

პარტიათა უმთავრეს დანიშნულებად სახელისუფლებო თანამდებობების შეესება და ძალაუფლების შენარჩუნება ითვლება, თუმცა მათი ზეგავლენა

13. პარტიები და პარტიული სისტემები

პოლიტიკურ სისტემაზე, გაცილებით უფრო ფართოა და მრავალმხრივი. ცხადია, შეცდომა იქნებოდა პარტიათა დანიშნულების განზოგადება: ასე მაგალითად, კონსტიტუციური პარტიები მხოლოდ საარჩევნო კონკურენციის პირობებში საქმიანობენ და დემოკრატიის ქვაკუთხედის პრეტენზიაც გააჩნიათ; მართლაც, სწორედ ამ ტიპის პარტიათა არსებობა ხდება ხოლმე დემოკრატიული სისტემის სიჯანსაღის ლაკმუსის ქაღალდი. მეორეს მხრივ, ერთპარტიულ რეჟიმებში, პარტია საზოგადოებაზე ზეგავლენისა და პოლიტიკური კონტროლის იარაღად მიიჩნევა ხოლმე. და მაინც, შესაძლებელია გამოიყოს პარტიათა ზოგადი ფუნქციებიც:


- < წარმომადგენლობითობა
- < პოლიტიკური ელიტის შექმნა-შეესება
- < მიზნის გამოკვეთა
- < პოლიტიკური ინტერესების განსაზღვრა
- < ურთიერთობათა დამყარება და მობილიზაცია
- < მთავრობის ფორმირება.

წარმომადგენლობითობა

წარმომადგენლობითობა ხშირად პარტიათა უმთავრეს დანიშნულებად მიიჩნევა. სწორედ მისი მეშვეობით შეუძლიათ პარტიებს როგორც საკუთარი წევრების, ასევე ამომრჩეველთა აზრის გაგებაცა და

ნახ. 13.3
ორგანზომილებიანი პოლიტსპექტრი

სწორხაზოვანი სპექტრი



ნალისებრი სპექტრი



ნახ. 13.3 ორგან-
ზომილებიანი
პოლიტსპექტრი



ნახ. 13.3

ორგანოზომილებიანი
პოლიტსპექტრი

გამოხატვაც. სისტემური თეორიის თანახმად, სწორედ პოლიტიკური პარტიებია ის უმთავრესი "წვლილის შემტანი წყარო, რაც ხელისუფლების მიერ ფართო საზოგადოების თხოვნნიღებებისა და სურვილების გაზრებასა და შესრულებას უზრუნველყოფს. რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები, მაგ. ენტონი დაუნსი (1957) ამ პროცესს იმით ხსნიან, რომ პოლიტიკური ბაზარი ეკონომიკურ ბაზარს გაეს, რამდენადაც პოლიტიკოსები ზუსტად შეწარმელებით იქცევიან და მოგებაზე ორიენტირებული ბიზნესმენებივით ცდილობენ მეტი და მეტი ხმის "მოხვეჭას".

საბოლოო ჯამში, ძალაუფლებაც ამომრჩეველის, ანუ იგივე "მომხმარებლის" ნებაზეა დამოკიდებული. თუმცა, მსგავსი "ეკონომიკური მოდელმ საორჭოფოა: ჯერ ერთი, პარტიები არა მარტო პასუხობენ საზოგადოებრივ აზრს, არამედ მის შექმნასაც ცდილობენ; მეორეც, თავისთავად საკამათოა, რამდენად გათვითცნობიერებული, გონიერი და მომგებიან თემებზე ორიენტირებული "მომხმარებელია" ეს ამომრჩეველი; და ბოლოს: სამომხმარებლო (ელექტორალური) არჩევანიც ხშირად ძალზე მწირია ხოლმე.

პოლიტიკური ელიტის შექმნა-შეცვლა

ნებისმიერი ყაიდის პარტია მოვალეა სახელმწიფოს პოლიტიკური ლიდერები შესთავაზოს. ამ მხრივ იშვიათი გამონაკლისი იყო გენერალ დე გოლის მმართველობა, ვინც როგორც "ერის მხსნელმ, პიროვნულად, პარტიული კუთვნილების გარეშე ჩაუდგა ქვეყანას სათავეში 1944წ. როგორც წესი, საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატები სწორედ პარტიის ლიდერები

**შიდა-პარტიული
არჩევნები
(ე.წ. პრაიმერი)**

ეს იმგვარი პროცედურაა, როდესაც პარტია თავისი რიგებიდან მომავალ "ოფიციალურ" არჩევნებში წარსადგენ კანდიდატებს ირჩევს. XX საუკუნეში ძირითადად სწორედ ასე ავლენდნენ ა.შ.შ.-ში როგორც საკანონმდებლო ორგანოთა სფარაულო დელეგატებს, ასევე პარტიათა ლიდერებსაც. განასხვავებენ ე.წ. "დახურულ" და "ღია" პრაიმერებს: პირველში მონაწილეობის უფლება მხოლოდ პარტიის რეგისტრირებულ მხარდამჭერებს (არა-წევრებს) ეძლევათ; მეორეში კი ყველა მსურველი მონაწილეობს, პარტიასთან მისი მიკუთვნებულობის მიუხედავად. პრაიმერი იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც რიგით ამომრჩეველს პარტიის საქმეებში მეტად ჩარევის საშუალებას აძლევს და უფრო კანდიდატზე, ვიდრე პარტიაზე ორიენტირებული პოლიტიკის სტილის დამკვიდრებას უწყობს ხელს. პრაიმერში მოპოვებული წარმატება შესაძლებლობას აძლევს კანდიდატს, პარტიული მანქანის სამართავი ბერკეტები იგდოს ხელთ.

13. პარტიები და პარტიული სისტემები

არიან ხოლმე, საპარლამენტო სისტემებში კი საკანონმდებლო ორგანოში ყველაზე ფართოდ წარმოდგენილი პარტიის ლიდერი პრემიერ-მინისტრის საპარტელს იკავებს. მინისტრთა კაბინეტში დანარჩენ პოსტებსაც, ჩვეულებრივ, გამარჯვებული პარტიის მოწინავე ფიგურები ინაწილებენ. თუმცა გამონაკლისია ამერიკის საპრეზიდენტო სისტემა, რომელიც არა-პარტიული მინისტრების დანიშვნას არ გამოიცხადებს.

უმრავლეს შემთხვევაში, პარტიებია ის საცდელი პოლიგონი, სადაც პოლიტიკოსები აუცილებელ ჩვევებს ეუფლებიან, ცოდნას იდრმაყვებიან და გამოცდილებას იძენენ. მეორის მხრივ, ამის ნაკლი ისაა, რომ საკანონმდებლობებს მცირე ჯგუფიდან შერჩეული ხალხი იკავებს — ძირითადად, წამყვანი პარტიების ზედა ეშელონი. თუმცა ამერიკაში ამ პრობლემის მოგვარება წინასწარი არჩევნების დაკანონებით სცადეს, როცა კანდიდატთა შერჩევა უკვე მხოლოდ პარტიის გადასაწყვეტი აღარაა.

მიზნის განსაზღვრა

ტრადიციულად, სწორედ პოლიტიკური პარტიები წარმოადგენდნენ იმ საშუალებას, რითაც საზოგადოება თავის პოლიტიკურ ნებას გამოხატავდა და ხშირად მის აღსრულებასაც უზრუნველყოფდა. პარტიები ამ როლს ახლაც იმითომ ასრულებენ, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლის პროცესში, სახელისუფლებო პროგრამების სამსჯავროზე გამოტანა და მათი მეშვეობით სახელხო მხარდაჭერის მოპოვება ესაჭიროებათ. ეს არა მარტო იმას ნიშნავს, რომ პარტიები პოლიტიკური ინიციატივის მთავარი წყაროა, მათ იმის გათვალისწინებაც უწევთ, რამდენად რეალისტურად მიიჩნევენ ამომრჩეველთა ამ თუ იმ პარტიის მიერ დასახულ მიზანს.

პარტიათა ეს ფუნქცია ყველაზე ნათლად საპარლამენტო სისტემებში ჩანს, როცა ძალაუფლებაში მოსული და მანდატით აღჭურვილი პარტია უფრო თამამად ნერგავს საკუთარ პოლიტიკას. თუმცა, მსგავსი რამ საპრეზიდენტო სისტემებშიც ხდება, სადაც ჩვეულებრივ, აქცენტი პარტიულ პროგრამებზე არაა გადატანილი და ამის მაგალითია რესპუბლიკელი "ამერიკასთან დადებული შეთანხმება" კონგრესის 1994 წლის არჩევნების წინ და მაინც, დე-იდოლოგიზირებული, "ყოველთა შემკრებ პარტიების რაოდენობის ზრდამ, საარჩევნო კამპანიებში სულ უფრო მეტი ყურადღების პიროვნებასა და იმიჯზე გადატანამ პოლიტიკური საკითხების საპირწონედ, ზოგადად მაინც შეამცირა ის გავლენა, რასაც პარტიები პოლიტიკური კურსის განსაზღვრაზე ახდენდნენ. მეტიც, პარტიული პროგრამები ბოლო დროს უკვე საზოგადოებრივი თუ ინტერეს-ჯგუფების გავლენის გათვალისწინებით იწერება და დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამწუთიერ საშინაო თუ საერთაშორისო ვითარებას. პოლიტიკის "კეთბაც", უკვე უფრო ბიუროკრატიის საქმეა, ვიდრე პარტიების - ცხადია, არა კომუნისტურ ერთპარტიულ სახელმწიფოებში, სადაც მმართველი პარტია, ამავე დროს, სახელმწიფო აპარატის ყველა დონეს აკონტროლებს.

საყურადღებოდ:

ოლიგარქიის რკინის კანონი

ოლიგარქია მცირედთა მმართველობა ან ბატონობაა. მიხელსის (1911) მიერ დადგენილ "ოლიგარქიის რკინის კანონის" თანახმად, ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას, საერთოდ ნებისმიერ ორგანიზაციას, ოლიგარქიულობისაკენ მიდრეკილება ახასიათებს, წარმომადგენლობით თუ დემოკრატიულ სტრუქტურებს კი ოლიგარქიული ტენდენციების აღმოფხვრა არ შეუძლიათ, მათ მხოლოდ ამ ტენდენციების სასურველ კალაპოტში მიმართვა ხელწიფებათ.

ამ კანონის სასარგებლოდ მიხელსმა რამდენიმე საბუთი მოიტანა:

< ელიტარული ჯგუფები ამა თუ იმ საქმეში დახელოვნების აუცილებლობის შედეგად ჩნდება. ელიტის წვერებს მეტი ცოდნა-გამოცდილება გაჩნიათ საზოგადოების რიგით წევრებთან შედარებით.

< ლიდერები მომხრეთა ჯგუფებს ქმნიან, რაც ხელისუფლების შენარჩუნების მეტ გარანტიად მიაჩნიათ.

< ამა თუ იმ ორგანიზაციის რიგითი წევრებს გულგრილობა ახასიათებთ და შესაბამისად, უსიტყვოდ მორჩილებენ ზემდგომთანებს.

პოლიტიკური ინტერესების გამოკვეთა

საერთო მიზნების განსაზღვრისას, პარტიები ასევე ხელს უწყობენ საზოგადოებაში არსებული განსხვავებული ინტერესების გამოკვეთასა და შეჯერებას. სწორედ პარტიების მეშვეობით ახმოვანებენ და იცავენ საკუთარ განსხვავებულ ინტერესებს ბიზნეს, მშრომელთა, რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა ჯგუფები. ასე მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს ლეიბორისტული პარტია იმ პროფკავშირული მოძრაობის მიერ შეიქმნა, რომელიც მუშათა კლასის პოლიტიკური წარმომადგენლობის მიღწევას ისახავდა მიზნად. სხვა პარტიები ცდილობდნენ — საკუთარი საარჩევნო ბაზის გასაფართოებლად — განსხვავებული ჯგუფების ინტერესები შეეჯერებინათ. ასე ხდებოდა, მაგალითად, XIX საუკ. ბოლოსა და XX საუკ. დასაწყისის ა.შ.შ.-ში, სადაც პარტიებმა დიდი ყურადღება დაუთმეს იმიგრანტი ჯგუფების პრობლემებს.

თავად ის ფაქტი, რომ ეროვნული მასშტაბის პარტიებს უამრავი სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნილებათა გათვალისწინება უწევთ, ისინი იძულებულს ხდით განსხვავებულ ინტერესთა შეჯერებით მიაღწიონ საყველთაო თანხმობას და დაპირისპირებული ინტერესებიც დააბალანსონ. საარჩევნო კონკურენციის გამო ამ ნაბიჯის გადადგმა უწევთ კონსტიტუციურ პარტიებსაც, მაგრამ იგივე ხდება მონოპოლისტური პარტიების შემთხვევაშიც, სახელმწიფო აპარატთან და ეკონომიკასთან მათი მჭიდრო კავშირის გამო.

პარტიული დემოკრატია

ესაა სახალხო მმართველობის ფორმა, სადაც შუამუხლად პარტია მოიაზრება, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტი. ამ მიზნის მიღწევა ორგანოდ შეიძლება: შიდაპარტიული დემოკრატით — როცა პარტიის შიგნით ძალაუფლება ფართოდ და თანაბრადაა გადანაწილებული; ეს გულისხმობს, მაგალითად, ფართო მონაწილეობას ლიდერებისა და კანდიდატების არჩევაში. მეორე შემთხვევაში კი — სწორედ დემოკრატიის ინტერეებიდან გამომდინარე, პოლიტიკის განსაზღვრის უფლება პარტიის არჩეულ და შესაბამისად, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულ წევრთა პრეროგატივაა.

ურთიერთობათა დამყარება და მობილიზაცია

შიდაპარტიული დისკუსიებისა თუ საარჩევნო კამპანიების მეშვეობით პარტიები პოლიტიკური გათვითცნობიერებისა და ურთიერთობათა დამყარების მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა. პარტიებისათვის განსაკუთრებით საყურადღებო საკითხები პოლიტიკურ დღის წესწრივსაც განსაზღვრავს. მათ მიერ გაცხადებული ღირებულებები და პრიორიტეტები კი ზოგადად პოლიტიკური კულტურის ნაწილი ხდება. მონოპოლისტური პარტიების შემთხვევაში, ოფიციალური იდეოლოგიის პროპაგანდა დაუფარავადაა აღიარებული პარტიის მთავარ, ან სულაც უმთავრეს, დანიშნულებად.

კონკურენტულ სისტემებშიც, ძირითადი პარტიები არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როცა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს თამაშის დემოკრატიული წესების დაცვის მაგალითს აძლევენ და ამგვარად, თავად არსებული რეჟიმის მხარდაჭერას უზრუნველყოფენ. მაგალითად, XIX საუკ ბოლოსა და XX საუკ. დასაწყისში, სოციალისტური პარტიების გაჩენამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მუშათა კლასის ინტეგრირებას ინდუსტრიულ საზოგადოებაში. ოღონდაც, საქმე ისაა, რომ პარტიებმა, საზოგადოდ, ნდობა დაკარგეს, და ერთგული მომხრეებისა და მხარდამჭერების შენარჩუნებაც სულ უფრო უჭირთ.

მთავრობის ფორმირება.

ხშირად ამტკიცებენ, თითქოს პოლიტიკური პარტიების არარსებობის პირობებში არაერთგვაროვანი თანამედროვე საზოგადოებები უძარბოვანად გახდებოდა. მაგრამ ჯერ ერთი, პარტიები მთავრობის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფენ, და საპარლამენტო სისტემებში საერთოდაც "პარტიული მმართველობის" მოდელი მოქმედებს. სწორედ პარტიები მატებენ ხელისუფლებას სიმყარისა და მთლიანობის ხარისხს - მით უმეტეს, როდესაც მთავრობის წევრები ერთი პარტიის წარმომდგენლები არიან და საერთო ხედვა თუ სიმპათიები გააჩნიათ. თუნდაც მთავრობა კოალიციური იყოს, მაშინც მეტი მიდრეკილება ახასიათებს ერთობისა და თანხმობისაკენ. ვიდრე განსხვავებული პრიორიტეტების მქონე, ცალკეული ინდივიდებისაგან დაკომპლექტებულ აღმასრულებელ ხელისუფლებას.

ისიც აღსანიშნავია, რომ სწორედ პარტიები უზრუნველყოფენ თანამშრომლობას ხელისუფლების ორ უმთავრეს შტოს — საკანონმდებლო და აღმასრულებელს შორის. საპარლამენტო სისტემებში ამის წინაპირობა ხელისუფლების დაკომპლექტება საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობის მოსული პარტიისა თუ პარტიების მიერ. თუმცა, საპრეზიდენტო სისტემებში კი, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს გავლენისა თუ კონტროლის სერიოზული ბერკეტები სწორედ პარტიული მხარდაჭერის იმედად გაჩნდა და ბოლოს: ისევ პარტიები, განსაკუთრებით კი კონკურენტულ სისტემებში, ოპონირებისა და კრიტიკის მთავარ წყაროდ გვევლინებიან — როგორც

ხელისუფლების შიგნით, ასევე გართაც. პოლიტიკური დებატების წახალისებისა და ამომრჩევლის გათვითცნობიერების მსგავსად, ესეც უბიძგებს ხელისუფლებას პოლიტიკის რაც შეიძლება გონიერულად დაგვემეცინა და შესაბამისად, მეტი ქმედითუნიანობისაკენ.

პარტიული ორგანიზაცია: საიდან მოდის ძალაუფლება?

პოლიტიკური პარტიების უდიდესი როლიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, როგორ ნაწილდება ძალაუფლება თავად პარტიათა შიგნით. შეუძლიათ თუ არა პარტიებს შეასრულონ იმ დემოკრატიული სტრუქტურების დანიშნულება, რაც პოლიტიკაში თანამონაწილეობის ხარისხს გაზრდის და უფრო მრავალფეროვან წარმომადგენლობასაც შეუწყობს ხელს? თუ უბრალოდ, ლიდერებისა და ელიტების პოზიციათა გამყარებას ემსახურებიან?

ერთი უპირველესთაგანი, ვინც პარტიათა შინაგანი დემოკრატიულობის კვლევა სცადა, მოუწეს ოსტროვოროსკი იყო: 1902წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში — "დემოკრატია და პოლიტიკურ პარტიათა ორგანიზება" იგი ამტკიცებდა, რომ პარტიული მანქანის და პარტიის ხელმძღვანელობის ვიწრო წრის გავლენამ თანდათანობით რიგით წევრთა კერძო ინტერესები ჯადაფარა. ეს თვალსაზრისი უფრო გამოკვეთა რობერ მიშელმა წიგნში "პოლიტიკური პარტიები (1911); სწორედ მას ეკუთვნის ფრაზა: "ვამბობთ — ორგანიზაცია და ვეგულისხმობთ — ოლიგაქიას". და მაგალითად გერმანიის სდპ მოჰყავდა, რომელშიც, მისი თქმით, ფორმალურად დემოკრატიული ორგანიზების მიუხედავად, მთელი ძალაუფლება პარტიის ლიდერთა მცირე ჯგუფს ეპყრა ხელთ.

მიშელის აზრით, მისი "კანონმ ნათლად ადასტურებდა დემოკრატიული სოციალიზმის გარდაუვალ მარცხს და საერთოდ, პოლიტიკური დემოკრატიის მითსაც ამსხვრევდა. თუმცა მისი კრიტიკოსები იმაზეც შიანინებდნენ, რომ მიშელის თეორია დროის ერთ კონკრეტულ მონაკვეთში ერთ კონკრეტულ პარტიაზე დაკვირვების განზოგადების მცდელობა და საეჭვო ფსიქოლოგიურ მოდელებს ემყარებოდა. სინამდვილეში, პარტიული ელიტები ბევრად უფრო ამჟღავნებდნენ ფრაქციულობას, ვიდრე ეს მიშელს ეჩვენებოდა.

1970-80-იან წწ. ა.შ.შ.-ში არაერთი მცდელობა იყო უფრო დემოკრატიული და წარმომადგენლობითი გაეხადათ პარტიები — რეფორმების გზით. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამერიკული პარტიები მრავალი თვალსაზრისით განსხვავდებიან მათი ევროპული ანალოგებისაგან. თუ საპრეზიდენტო არჩევნებს გამოერიცხავთ, ისინი ფაქტიურად, არცთუ ისე მტიკიცე კოალიციებისაგან შედგება, სადაც სუსტია ცენტრალიზებული მართვის ხარისხი და პროგრამებსაც, როგორც წესი, ფორმალური მნიშვნელობა ენიჭება. ტრადიციულად, XX საუკ. დასაწყისიდან, **პარტიული მანქანის პოლიტიკა** სხვადასხვა დონის პოლიტიკურ ბოსებს საშუალებას

"პარტიული მანქანის" პოლიტიკა:
პოლიტიკური მართვის იმგვარი სტილი, როცა პარტიული ბოსები, "შამა-მარჩენალის" პოზიციიდან აკონტროლებენ მრავალრიცხოვან ორგანიზაციებს.

13. პარტიები და პარტიული სისტემები

აძლედა პარტიის საქმეები ურთიერთშეთანხმების წესებით ემართათ. თუმცა, 1968 წლიდან, დემოკრატიული პარტიაში ძლიერი საპროტესტო მოძრაობა დაიწყო ადგილობრივი პარტიული ლიდერების ძალაუფლების შეზღუდვისა და რიგითი წევრების მნიშვნელობის გაძლიერების მოთხოვნით.

საბოლოოდ, მიზანი მიღწეულ იქნა — კანდიდატთა წინასწარი დასახელების (პრაიმერების) და დახურული შიდა პარტიული თავყრილობების (ე.წ. კოკუსების) პრაქტიკის დანერგვით. მაგრამ ორივე წამყვანმა პარტიამ — დემოკრატებმა და რესპუბლიკელებმა ამ ინიციატივას იმით უპასუხეს, რომ საკუთარი საკომიტეტო სტრუქტურები გააძლიერეს და გადაახალისეს — გამსაკუთრებით ეროვნულ, კონგრესისა თუ სენატის დონეებზე. და თუმცა ყოველივე ეს "პარტიის განახლების" პროცესად მოინათლა, სინამდვილეში აქ უფრო კერძო კანდიდატთათვის ამომრჩევლის მეტი მხარდაჭერის მოპოების სურვილი გამოსჭვავის, ვიდრე პარტიებზე ორიენტირებული, ევროპული ტიპის არჩევნების დანერგვის ტენდენცია.

დემოკრატიზაციისაკენ მსგავსი გადახრა ახასიათებდა გაერთიანებული სამეფოს ლეიბორისტულ პარტიასაც — XX საუკ 80-იანი წწ დასაწყისში. 1979წ. არჩევნებში დამარცხების შემდეგ, საპარლამენტო ლიდერთა მხრიდან "სოციალიზმის იდეალთა დაღაღის" გამო პარტიის აქტივისტების მხარედი უკმაყოფილება უკვე ღია კონფლიქტში გადაიზარდა. ამას კი **სამომრჩევლო კოლეჯის** დაფუძნება მოჰყვა — ლიდერისა და მისი მოადგილის ასარჩევად. თუმცა, არჩევნებში სერიულმა დამარცხებებმა ლეიბორისტები ისევ ცენტრალიზებული მმართველობის პრინციპისაკენ აქმევინა პირი და აქ ოლიგარქიული ტენდენციები არა პარტიის მეტად და უკეთ ორგანიზების მოთხოვნით იყო განპირობებული, არამედ ამომრჩევლის ნდობის დაბრუნების სურვილით.

თუმცაღა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, რამდენად ძალუძთ პარტიებს მართვის შიდა სადპეუების შენარჩუნება. ფრაქციულობა, გარკვეულწილად, ის ფუფუნებაა, რისი უფლებაც თავს მხოლოდ ხელისუფლებაში დიდი ხნით მოსულმა პარტიებმა შეიძლება მისცენ. სწორედ ამიტომ არ ახასიათებს ფრაქციულობა მონოპოლისტურ კომუნისტურ პარტიებს, რომლებიც **დემოკრატიული ცენტრალიზმის** მეშვეობით უზრუნველყოფენ შიდაპარტიულ დისციპლინას. არადა, სწორედ ხელისუფლებაში ხანგრძლივად ყოფნით აიხსნება იაპონიის ლიბერალ-დემოკრატიული თუ იტალიის ქრისტიან-დემოკრატიული, "გაბატონებულმა" პარტიების უკიდურესი ფრაქციულობა. გაერთიანებული სამეფოს კონსერვატიული პარტია კი ადრე სწორედ ერთიანობასა და ერთგულებას აქცევდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მაგრამ როცა XX საუკ 80-90-იან წწ უფრო იდეოლოგიზირებული ხასიათი შეიძინა და 1979წ. შემდეგ, საარჩევნო წარმატებებით "განებდებდა" თანდათანობით, ისიც ფრაქციულობისაკენ გადაიხარა. ქვემოდან წამოსულ ინიციატივებმა პარტია უფრო გაადემოკრატიულა, რაც "ძლიერი ლიდერის" პიროვნებაზე აწვობილი სტრუქტურის პირობებში, თითქოს ძნელი წარმოსადგენი უნდა ყოფილიყო. ამის საუკეთესო ილუსტრაციად მარგარეტ ტეტჩერის პარტიული ლიდერობიდან გადარჩევა 1990წ., იმის მიუხედავად რომ მანამდე პარტიაში ზედიზედ სამ არჩევნებში გაიმარჯვა.

კოკუსი:

დახურული, შიდაპარტიული თავყრილობები, სადაც საარჩევნო კანდიდატურები დგინდება ან საკანონმდებლო ინიციატივები მუშავდება მათ ოფიციალურ, პროცესუალურ განხილვამდე.

სამომრჩევლო

კოლეჯი:

არაპირდაპირი საარჩევნო მექანიზმი; პარტიული თუ საზოგადოებრივი თანამდებობების დაკომპლექტირებაზე პასუხისმგებელ პირთა გაერთიანება.

დემოკრატიული

ცენტრალიზმი:

პარტიული ორგანიზაციის ლენინური პრინციპი, რომელიც სასურველ წინასწარობას ემყარება აზრის თავისუფლებასა და მკაცრად კოორდინირებულ მოქმედებას შორის.

პარტიული სისტემები

პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობა არა მარტო მათი დანიშნულების ფართო სპექტრით განისაზღვრება, არამედ იმ რთული ურთიერთ-კავშირითაც, რაც თავად პარტიებს შორის არსებობს და პოლიტიკური სისტემების ნაირგვარობასაც განაპირობებს. პარტიული სისტემა სწორედ პარტიათა-შორის ურთიერთდამოკიდებულების შედეგია. სხვადასხვა სისტემები ერთურთისაგან განსხვავდებიან მათში შემავალი, ძალუფლებისათვის მებრძოლი პარტიების რაოდენობით. ამ დებულების საფუძველზე, დუვერჟემ (1954) ერთმანეთისაგან განასხვავა "ერთპარტიულ", "ორპარტიულ" და "მრავალპარტიულ" სისტემები.

მართალია, ეს დაყოფა უკვე საყოველთაოდაა გაზიარებული, მაგრამ პარტიული სისტემები მაინც არ შეიძლება მხოლოდ "რიცხვით თამაშებამდე" დაიყვანოს.

ძალაუფლებისთვის მებრძოლ პარტიათა რაოდენობასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია საარჩევნო მხარდაჭერითა თუ საკანონმდებლო წარმომადგენლობით გამოხატული მათი მეტ-ნაკლები გავლენიანობა. როგორც სარტორიმ (1976) აღნიშნა, გადამწყვეტია დადგინდეს პარტიათა "წონა" — იმისდა მიხედვით, რამდენად შეუძლიათ მათ ხელისუფლებაში მოსვლა ან, როგორც მინიმუმ, მთავრობის დაკომპლექტებაზე ზეგავლენის მოხდენა. ამ თვალსაზრისით, გამოყოფენ "წამყვან", ხელისუფლებაზე ორიენტირებულ პარტიებსა და უფრო "მცირე", ადგილობრივი მნიშვნელობის პოლიტიკურ ორგანიზაციებს. საგულისხმოა აგრეთვე, რა ურთიერთობა მყარდება ამ განსხვავებული ტიპის პარტიებს შორის — თანამშრომლობა და თანხმობა ახასიათებთ, თუ დაპირისპირება და პოლარიზაცია. ეს საკითხიც პარტიული სისტემის იდეოლოგიურ თავისებურებასა და მასში შემავალი პარტიების ისტორიასა და ტრადიციას უკავშირდება.

ოღონდ ისიც ითქვას, პარტიების არსებობა თავისთავად პარტიული სისტემის გარანტიას როდი ნიშნავს. პარტიათა ურთიერთობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ქმნის სისტემას, როცა ეს ურთიერთობანი სტაბილურობითა და წესრიგის გარკვეული ხარისხითაა გამორჩეული. იქ, სადაც არც ერთი არსებობს და არც მეორე, პარტიული სისტემა ჩანასახოვან მდგომარეობაშია, ან ერთი ტიპის პარტიული სისტემის მეორეთი ჩანაცვლება ხდება. ამის კარგი მაგალითია პოსტ-კომუნისტური რუსეთი. 1991წ., ძველი წესრიგის მსხვერვის პირობებში, უკიდურესად გართულდა სიცოცხლისუნარიანი პარტიული სისტემის ჩამოყალიბება; ქვეყანაში არაერთი პარტია თუ პოლიტიკური დაჯგუფება გაჩნდა, ოღონდ არც ერთი მათგანი არ სარგებლობდა მასიური მხარდაჭერით. 1995წ. დეკემბერში, საპარლამენტო არჩევნებში 43 პარტია მონაწილეობდა და მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანმა, რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ, ხმების მხოლოდ 22% მოაგროვა. საზოგადოდ, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა — პარტიებისადმი ერთგული მხარდაჭერის განელება თუ ხმის მიცემის წესების გაუთავებელმა ცვლამ — ის აზრიც გააჩინა, რომ უკვე შეუძლებელია ერთი სისტემის მეორისაგან განსხვავება. შეტიც, იქ სადაც ზე-ეროვნული ორგანიზაციები მნიშვნელოვან გავლენას

13. პარტიები და პარტიული სისტემები

იმენენ, პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა დონეზე, შესაძლოა, სხვადასხვა ვაგვარი პარტიული სისტემები იქნენდნენ თავს.

და მაინც, თანამედროვე პოლიტიკაში 4 ძირითადი პარტიული სისტემა შენარჩუნებული:

- < ერთპარტიული სისტემა
- < ორპარტიული სისტემა
- < წამყვანი პარტიის სისტემა
- < მრავალპარტიული სისტემა.

ერთპარტიული სისტემები

თავისთავად, "ერთპარტიული სისტემა", შესაძლოა, უაზრობადაც მოგვეჩვენოს, ვინაიდან ნებისმიერი სისტემა რამდენიმე შემადგენელ ურთიერთკავშირს გულისხმობს. რამდენადაც მონოპოლიური პარტიული წარმატებით ახერხებენ მუდმივად ხელისუფლების შენარჩუნებას, და პუტჩისა თუ რევოლუციის გარდა მათს შესაცვლელად არანაირი სხვა მექანიზმი არ არსებობს, დროთა განმავლობაში ისინი ფაქტიურად, სახელმწიფო მანქანის ფუნქციებსაც ითავსებენ. ერთპარტიული სისტემის რა განსხვავებული ტიპი არსებობს:

მათგან პირველი — სახელმწიფო სოციალიზმის იმგვარ რეჟიმებში გვხვდება, სადაც მმართველი კომუნისტური პარტიები საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა ინსტიტუტსა და სფეროს განაგებენ და აკონტროლებენ. ამგვარი პარტიები მკაცრად იდეოლოგიზირებულნი არიან და "დემოკრატიული ცენტრალიზმის" პრინციპზე აგებული შიდა ორგანიზაციული სტრუქტურით ხასიათდებიან. როგორც წესი, ესაა საკადრო პარტიები, იმ გაგებით, რომ მათში გაწევრიანებას გარკვეული პოლიტიკური და იდეოლოგიური კრიტერიუმები ესაჭიროება. ჩინეთის კომპარტიის წევრად დაახლოებით მოსახლეობის 5%, ხოლო სკპპ წევრი — 9% გახლდათ. ამგვარ პარტიის ბირთვის ე.წ. "აპარატიკები" შეადგენენ, რომლებიც ბიუროკრატიულ აპარატსაც უძღვებიან და როგორც სახელმწიფო მანქანას ასევე საზოგადოებრივ ინსტიტუტებსაც მეთვალყურეობას უწევენ. შემდგომ სწორედ ამგვარი ლენინური "აპარატული" გახდა კომპარტიის ელიტის რიგისა და მისგან გამომდინარე, სტალინიზმის მიხეზიც.

მეორე ტიპის ერთპარტიული სისტემა განვითარებადი სამყაროს იმ ქვეყნებში გავრცელდა, სადაც ანტიკოლონიური ნაციონალიზმია მოღებულ და სახელმწიფოს გამთლიანების მოთხოვნილებაც გაჩნდა. ასე მაგალითად, განაში, ტანზანიასა და ზიმბაბვეში მმართველი პარტიები სწორედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წიაღში ჩაისახა.

აფრიკული და აზიული ერთპარტიული სისტემები, ჩვეულებრივ, ერთი ქარიზმატული ლიდერის ფიგურის გარშემო იქმნება ხოლმე და მათი იდეოლოგიაც სწორედ ამ ლიდერთა მსოფლმხედველობის გამოხატულებაა.

"აპარატული": ლენინური რწმენა, რომ პროლეტარიატს უცილობლად ესაჭიროება წარმმართველი ძალა — რევოლუციური ამოცანების მისაღწევად.

კომუნისტური ერთპარტიული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, აქ პარტიები ხშირად ძალზე სუსტად არიან ორგანიზებულნი და პოლიტიკის "კუთხის" პროცესშიც, უკეთეს შემთხვევაში, მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ. სწორედ ამტომ, მათი "მონოპოლისტურ" მდგომარეობა ავტორიტარიზმის მიზეზი ხდება.

ორპარტიული სისტემები

კლასიკური გაგებით, ამგვარი სისტემა სამი ნიშნით ხასიათდება:

< სხვა, მცირე პარტიების არსებობის პირობებშიც, მხოლოდ ორი პარტია ახერხებს იმ საარჩევნო და წარმომადგენლობითი რესურსით ისარგებლოს, რაც ხელისუფლებაში მოსვლის პერსპექტივას იძლევა.

< უფრო გავლენიანი პარტია ახერხებს მარტომ მართოს ქვეყანა (საკანონმდებლო უმრავლესობის საფუძველზე), მისი მეტოქე კი — ოპოზიციონერობას იწყებს.

< ძალაუფლება ხელიდან ხელში გადადის მხოლოდ ამ ორ პარტიას შორის, წაგებული კი "ჩრდილოვანი მთავრობის" სტატუსს სჯერდება.

ორპარტიული სისტემების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები, თუმცა მათ რიცხვს უნდა მთავაკუთვნოთ კანადაც, ავსტრალიაცა და ახალი ზელანდიაც.

ერთ დროს ორპარტიული პოლიტიკა ანგარიშვალდებულებისა და წესრიგის, წარმომადგენლობითობისა და შედეგიანობის საუკეთესო საშუალებად მიიჩნეოდა. მისი უმთავრესი უპირატესობა ისაა, რომ შესაძლებელს ხდის პარტიულ მმართველობას, რაც თავის მხრივ, ვითომდა სტაბილურობით, არჩევანის შესაძლებლობითა და ხელისუფლების მეტი პასუხისმგებლობით ხასიათდება. ორ ძირითად პარტიას ამომრჩევლის სამსჯავროზე ორი განსხვავებული პროგრამა და კურსი გამოაქვს. ამომრჩეველს სჯერა, რომ არჩევნებში გამარჯვებულ ერთ-ერთ მხარეს უფრო თავდაჯერებით შეეძლება საკუთარი დანაპირების შესრულება — კოალიციურ პარტნიორებთან გარიგებებისა თუ კომპრომისების გარეშე. ორპარტიულ სისტემებს იმ უპირატესობასაც ანიჭებენ, რომ მათი წყალობით, მმართველი და ოპოზიციური პარტიების მუდმივი ქიშპის პირობებში ყალიბდება ძლიერი, ოღონდ ამავე დროს, ანგარიშვალდებული ხელისუფლება: მმართველ

ძალას არასოდეს ეძლევა მოდუნების საშუალება, რამდენადაც "ჩასაფრებულ" ოპოზიცია თავის დროს ელოდება.

თითქოსდა ზომიერებისაკენ მიდრეკილ ორპარტიულ სისტემასაც თავისი ნაკლი გააჩნია: პერიოდულად, იგი შეიძლება უკიდურესი დამაბულობის მიზეზიც გახდეს — რისი მაგალითიც აშკარა იყო XX საუკ. 80-იანი წწ. გაერთიანებულ სამეფოში. ამ დროს კონსერვატიული პარტია ერთიანად "გატეჭრიდა" — უკიდურესად მარჯვნივ გადაიხარა და ასევე რადიკალიზებულ, ოღონდ მემარცხენე ლეიბორისტულ პარტიას მკვეთრად დაუპირისპირდა. იდეოლოგიურმა პოლარიზაციამ სრულიად გამორიცხა

პარტიული მმართველობა

ესაა სისტემა, როცა ერთ კონკრეტულ პარტიას შეუძლია მთავრობის ფორმირება და პოლიტიკური პროგრამების განხორციელებაც.

კონკურენტულ სისტემებში არასდროს არ გვეხდება წმინდად პარტიული მმართველობის ფორმა; ამდენად, უფრო მართებული იქნება ვისაუბროთ მეტად თუ ნაკლებად პარტიულ მმართველობებზე. მათ შემდეგი ნიშან-თვისებანი ახასიათებთ:

< ძირითადი პარტიები მკაფიო პროგრამებით წარსდგებიან ამომრჩევლის წინაშე და კონკრეტულ არჩევანს სთავაზობენ შესაძლო ხელისუფლების თვალსაზრისით.

< მმართველი პარტია უფლებამოსილია სახალხო მხარდაჭერის პრეტენზია იქონიოს და მას საკმარისი იდეოლოგიური სიმწყობრეცა და ორგანიზაციული მთლიანობაც გააჩნია, დანაპირების შესასრულებლად.

< ამომრჩევლის წინაშე პასუხისმგებლობას ხელისუფლების ანგარიშვალდებულება და სერიოზული დამაბალანსებელი ძალის ფუნქციით აღჭურვილი ოპოზიციის არსებობა განაპირობებს.

13. პარტიები და პარტიული სისტემები

შეთანხმებისა და კომპრომისის შესაძლებლობა და ამგვარი სიტუაცია თითქმის 10 წლის განმავლობაში შენარჩუნდა, ვიდრე თავად მარგრიტ ტუტჩერი არ გადადგა.

ასევე, დაახლოებით თანაბარი ძალის ორი პარტია იძულებული ხდება წინასაარჩევნოდ მეტ-ნაკლებად მაინც მსგავსი დაპირებებით წარსდგეს ამომრჩევლის წინაშე და ხშირად უპასუხისმგებლო განცხადებებიც გააკეთოს. და ბოლოს, დღეს, ინდივიდუალიზმისა და სოციალური მრავალფეროვნების ეპოქაში, როდესაც საკმაოდ შესუსტებულია პარტიებისადმი ერთგულებისა თუ კლასობრივი სოლიდარობის ხარისხი, პოლიტიკური სპექტრის მხოლოდ ორ, შავ-თურ ფერებად დაყოფა და პროგრამათა შესაძლო ვარიანტების მხოლოდ ორამდე დაყვანა, უკვე არასაკმარისია.

წამყვან პარტიათა სისტემები

ამგვარი სისტემები ერთპარტიულ სისტემებში არ უნდა აგვერიოს — მიუხედავად იმისა, რომ მათ ზოგჯერ საკმაო მსგავსებაც ახასიათებთ. წამყვან პარტიათა სისტემა მაინც კონკურენტულია, რადგან აქ პერიოდულ სახალხო არჩევნებში ძალაუფლებისთვის რამდენიმე პარტია იბრძვის. უბრალოდ, ამ შემთხვევაში ყოველთვის გამოირჩევა ერთი უძლიერესი, რომელიც, საბოლოო ჯამში, ხანგრძლივად ინარჩუნებს ხელისუფლებას. თავისთავად საკამათოა ხელისუფლებაში ყოფნის რა ხანგრძლივობა ნიშნავს პარტიის "წამყვან" როლს. იაპონიაში მაგალითად, წამყვანი ლიბერალ-დემოკრატიული პარტია 38 წელი ინარჩუნებდა აბსოლუტურ უმრავლესობას იქაურ პარლამენტში და ამის უმთავრესი მიზეზი "იაპონური ეკონომიკური სასწაული" გახლდათ. პარტია ერთნაირი მხარდაჭერით სარგებლობდა როგორც კონფუციური იდეებისადმი დღემდე ტრადიციულად ერთგულ პროვინციებში, ასევე ეკონომიკურად დაწინაურებულ ინდუსტრიულ ქალაქებშიც.

იგივე შეიძლება ითქვას ინდოეთზეც, სადაც 1947წ., დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანას 30 წლის განმავლობაში უწყვეტად მართავდა "კონგრესის პარტია". ევროპაში წამყვანი პარტიის სისტემის საუკეთესო გამოხატულებაა შვედეთი — იქ სოციალ-დემოკრატიულმა "შრომის პარტიამ" ხელისუფლება 65 წლის განმავლობაში შეინარჩუნა; იტალიაში კი ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ II მსოფლიო ომის შემდეგ მთავრობის 52 კაბინეტი ჩამოაყალიბა, სანამ 92-94წწ. სერიოზულ კორუფციულ სკანდალებში გაქვავდა.

ამ სისტემისთვის დამახასიათებელია პარტიული კონკურენციიდან აქცენტის გადანაცვლება შიდაფრაქციულ დაპირისპირებებზე, თავად წამყვანი პარტიის რიგებში. ასე მაგალითად, იტალიური ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, რეალურად, იტალიურ საზოგადოებაში პროვინციული ინტერეს-ჯგუფების ფრაქციათა გაერთიანებას წარმოადგენს და თავად პარტიის როლიც ამ ფრაქციათაშორის ურთიერთობების დაბალანსებაზე დაყვანება. ხშირად შიდაფრაქციული დაპირისპირებები უკიდურესად

ევროსკეპტიციზმი:
ევროპასთან შემდგომი ინტეგრაციის წინააღმდეგობა — ძირითადად, დამოუკიდებლობასა და ეროვნულ თვითმყოფალობაზე აქცენტით.

შეკვდება ხოლმე — აი, იაპონიაში 70-80-იან წწ. დაწყებული, მძაფრი შებლა-შემოხლა ფუკუდასა და ტანაკას ფრაქციებს შორის, მათი ლიდერების სკენიდან წასვლის შემდეგაც კარგა ხანს გაგრძელდა.

ნებისმიერ კონკურენტულ პარტიულ სისტემას ჰყავს თავისი გულ-მხურვალე მხარდამჭერები თუ არა, დამცველები მაინც, მაგრამ რაც შეეხება წამყვანი პარტიის" სისტემას, მას ყველა აღმაცერად უყურებს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას სახელმწიფოსა და ხელისუფლებაში მყოფი მმართველი პარტიის გაიგივება ახასიათებს, რითაც მნიშვნელოვანი კონსტიტუციური გარანტიები ილახება; მეორეც, ხელისუფლებაში დიდხანს ყოფნა შესაძლოა, წამყვანი პარტია შიგნიდან გახრწნას და გზა მიეცეს კორუფციასა და დაუსჯელობის სინდრომს. როცა პარტიებს არჩევნების "აღარ ეშინიათ, აღარც ანგარიშვალდებულების საკითხი აწუხებთ და საკუთარი იდეოლოგიის მძველებად იქცევიან ხოლმე (იგივე იტალია და იაპონია). თვით გაერთიანებულ სამეფოშიც კი, კონსერვატორთა ხანგრძლივმა მმართველობამ "ტექნიკურიზმის" დაღი დაასვა ამ პარტიის შემდგომ პოლიტიკას, რაც იმაში გამოიხატა, რომ ვერც საკუთარ ფეროსკეპტიციზმს დააღწიეს თავი და ვერც საბაზრო ეკონომიკის დოგმატური გააზრებისგან განთავისუფლდნენ.

და მესამე — წამყვან პარტიათა სისტემაში ოპოზიცია მუდამ სუსტია და არაფექტიური, რაკიდა შეიძლება თავს ნება მისცე და ყურადღება არ მიაქციო კრიტიკას, თუკი ამით მომავალ არჩევნებში არაფერი გემუქრება. არადა, ჭეშმარიტად დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა სწორედ ნებისმიერი პარტიისადმი ჯანსაღ კრიტიკასა და, რაც მთავარია, წარუმატებელი ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნილებას გულისხმობს.

მრავალპარტიული სისტემები

მრავალპარტიულ სისტემებს ორზე მეტი პარტიის კონკურენცია ახასიათებს, რაც ამცირებს ერთპარტიული მმართველობის შესაძლებლობას და კოალიციათა შექმნის ალბათობას ზრდის. თუკი კოალიციური მთავრობების ჩამოყალიბებას მრავალპარტიულობის მთავარ ნიშნად მივიჩნევთ, აქ ერთ მომენტსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება: გერმანიაში, მაგალითად, 1990 წლამდე 2+1 სისტემა მუშაობდა, როცა ქდკ და სდპ დაახლოებით თანაბარი მხარდაჭერით სარგებლობდნენ და იძულებულნი იყვნენ შედარებით მცირე, "თავისუფალ დემოკრატიულ პარტიასთან" შეექმნათ კოალიცია. იტალიაში ქრისტიან-დემოკრატები კი იშვითად სარგებლობენ ამომრჩეველთა 40% მეტი მხარდაჭერით, რაც იქაურ მრავალპარტიულ სისტემაში გაცილებით მეტ, შედარებით მცირერიცხოვან პარტიას უხსნის გზას. სარტორიმ (1976) მრავალპარტიული სისტემის ორი ტიპი განასხვავა — ზომიერი და პოლარიზებული პლურალისტური მოდელები. ამგვარი დაყოფის თანახმად, ზომიერი პლურალიზმი არსებობს ბელგიაში, ჰოლანდიაში და ნორვეგიაში, სადაც იდეოლოგიური განსხვავებანი ძირითად პარტიებს შორის მცირეა და რაც ცენტრისტულ საფუძველზე კოალიციების შექმნას უწყობს ხელს; პოლარიზებული პლურალიზმი კი თავს იჩენს იქ, სადაც იდეოლოგიური უთანხმოებანი ძირითად პარტიებს შორის საკმარისად მკვეთრია და ზოგიერთი პარტია

კოალიცია

კოალიცია პოლიტიკურ კონკურენტთა იმგვარი დაჯგუფებაა, რასაც ან საერთო საერთოხის განცდა, ან ცალ-ცალკე მოქმედების უპერსპექტივობა იწვევს; წინასწარჩენო კოალიციები პარტიათა შეთანხმების საფუძველზე იქმნება — არ წართვან ერთმანეთის ხმები და შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოში მაქსიმალურ წარმომადგენლობას მიაღწიონ. ამგვარი შეთანხმება ორ ან მეტ პარტიას შორის იდება, თუკი კეული განაცხადისა თუ პროგრამის მხარდასაჭერად. კოალიციური მთავრობა კი გაფორმებული შეთანხმებაა ორ ან მეტ პარტიას შორის — მინისტრთა პორტფელის გადანაწილების თაობაზე. ე.წ. "დიდი კოალიცია" ან "ეროვნული მთავრობა" ყველა ძირითად პარტიას აერთიანებს, ოღონდ მხოლოდ სახელმწიფო კრიზისის ან ეკონომიკური აუცილებლობის შემთხვევებში თუ იქმნება.

ტომას ჯეფერსონი (1743-1826)



სახელმწიფო მოღვაწე და ამერიკული პოლიტიკური ფილოსოფიის ფუძემდებელი. მდიდარი ვირჯინელი პლანტატორი, ჯერ შტატის გუბერნატორი (1779-81), შემდეგ კი ა.შ.შ.-ს პირველი სახელმწიფო მდივანი (1789-94). ჯეფერსონი ამერიკის მესამე პრეზიდენტად აირჩიეს და მან პრეზიდენტობა ორი ვადით შეინარჩუნა (1801-09). იგი

დამოუკიდებლობის დეკლარაციის ერთი უმთავრეს ავტორთაგანია გახლდათ და მასვე ეკუთვნის არაერთი პუბლიცისტური წერილი თუ მიმართვა. ჯეფერსონი მონათმფლობელობის გაუქმების, სოციალური რეფორმების, საყოველთაო განათლებისა და მეტი ეკონომიკური თანასწორობის მომხრე იყო.

საერთოდ კრიჭაში უდგას ხელისუფლებას (იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი).

ამგვარი სისტემის ძლიერი მხარე იმთავითვე ნაგულისხმევი "კონტროლისა და დაბალანსების" მექანიზმები და "კამათის, მოლაპარაკების და შეთანხმების" პრინციპის უპირატესობის აღიარებაა. ასე მაგალითად, შეგონება/დარწმუნების პოლიტიკა და იდეოლოგიური რადიკალიზმი, რაც ტექნიკური ახსიათება, სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა მრავალპარტიულ სისტემაში. ოღონდაც, მრავალპარტიული სისტემის ნაკლოვანებანი კოალიციური მთავრობების შექმნის თავისებურ სირთულეებს უკავშირდება: მოლაპარაკებებმა (ისრაელისა და იტალიის მსგავსად) შესაძლოა, თვეობით გასტანოს; გარდა ამისა, ამგვარად შეკოწიწებულ მთავრობებს არამდგრადობაც თან სდევს და დრო ხშირად არა სახელმწიფო საქმეებზე, არამედ კოალიციაში პარტნიორობთან კინკლაობაზე მიდის. ამის კლასიკური მაგალითი ისევ იტალიაა, სადაც II მსოფლიო ომის შემდეგ, ვერც ერთმა კოალიციურმა მთავრობამ 10 თვეზე მეტი ვერ გაძლო. თუმცა, არც ამ მაგალითის სრული განზოგადება შეიძლება, რადგან გერმანიისა და შვედეთის კოალიციური მთავრობები სწორედ სტაბილურობით გამოირჩევიან. ოღონდ ეგვიპტა — მეტისმეტად "ცენტრისტულ" ტენდენციები სხვა იდეოლოგიური ალტერნატივების შესაძლებლობას ამცირებს, რადგან კოალიციურ პოლიტიკას მოლაპარაკებების შედეგად საერთო აზრის შეჯერების სურვილი კი ახსიათებს, მაგრამ ხშირად ამას პრინციპულობა და საკუთარი მრწამსის ერთგულება ეწირება.

ზომ არ კნინდება პარტიათა როლი?

პოლიტიკური პარტიების კრიტიკა ახალი ხილი არაა. თავის დროზეც, მათ შექმნას დიდის უნდობლობით შეხვდნენ. მაგალითად, ამერიკული კონსტიტუციის სხვა ავტორთა მსგავსად, ტომას ჯეფერსონიც მკაცრად აკრიტიკებდა პარტიებსა და ფრაქციებს, რადგან მათში საზოგადოების მთლიანობის დამანგრეველ ძალას ხედავდა.

თანამედროვეობაშიც, ერთიანი საზოგადოებრივი თუ ეროვნული ინტერესის სახელით, ბევრ ერთპარტიულ სისტემაში სხვა პარტიების დათრგუნვას ამართლებდნენ და სამხედრო რეჟიმებიც სწორედ ამით ხსნიდნენ პარტიების საერთოდ აკრძალვის მოთხოვნებს. მეორეს მხრივ, ჯ.ს. მილის მსგავსი ლიბერალებიც არ წყალობდნენ პარტიებს, როგორც კოლექტიურ ორგანიზაციებს და მათში აზრის თავისუფლებისა და პიროვნული პასუხისმგებლობის პოლიტიკის შექმნადაც იარაღს ხედავდნენ. დღესდღეობით, პარტიების დაკნინებაზე საუბარს ორი მიზეზი განაპირობებს: ისინი ნაკლებად ახერხებენ წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფას და ხალხსა და ხელისუფლებას შორის მეკავშირობასაც უწყნებენ.

პარტიული პოლიტიკის კრიზისის გამოვლინებაა როგორც პარტიათა წვერების, ასევე ერთგული მხარდამჭერების რიცხობრივი კლება: ასე მაგალითად, 1950 წლის შემდეგ, გაერთიანებულ სამეფოში 2/3 შემცირდა ლეიბორისტული პარტიის წვერთა რაოდენობა; კონსერვატიული პარტიისა — განახევრდა. ასევე მნიშვნელოვანია ასაკობრივი მაჩვენებელიც: 1998წ. კონსერვატიული პარტიის წვერების საშუალო ასაკი უკვე 63 წელს აღწევდა. იკლო არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობამაც: გაერთიანებულ სამეფოში (2001წ. არჩევნები) საარჩევნო ყუთთან ამომრჩეველთა მხოლოდ 59% მივიდა (ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1945წ. შემდგომ).

რით შეიძლება პარტიათა როლის დაკნინება ავხსნათ? ერთი — რომ პარტიები ოლიგარქიულ მიდრეკილებებს ამჟღავნებენ და ამ ბიუროკრატიზირებულ პოლიტიკურ ორგანიზაციებში რიგითი წვერები ან საერთოდ უფუნქციოდ რჩებიან, ანდა მოსაწყენ, უპერსპექტივო საქმიანობას ქევიან. მათ საპირისპიროდ, ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ საპროტესტო ჯგუფებში ადამიანები მეტი ხალისით წვერიანდებიან და განსაკუთრებით — ახალგაზრდები, ვისაც მათთვის საინტერესო საქმიანობაში აქიურად ჩართვის მეტი შესაძლებლობა ეძლევათ. საზოგადოების თვალში პარტიათა იმიჯის გახუნებას ხელისუფლებასთან თუ პროფესიონალ პოლიტიკოსებთან მათმა გაიგებებამაც შეწყო ხელი. მოკლედ, პარტიები, უმრავლესობის აზრით, "ხალხზე არ ფიქრობენ": ძალზე ხშირად, ისინი შიდაპოლიტიკური ინტრიგებით და ძალაუფლებისათვის ბრძოლით არიან დაკავებულნი და ჩვეულებრივი ადამიანების ინტერესები განზე რჩებათ.

მეორეს მხრივ, თანამედროვე, სულ უფრო და უფრო დაშრევებული საზოგადოებები თანდათანობით ძნელი სამართავი ხდება — არადა, პარტიები სწორედ იმას გაიძახიან, ყველა პრობლემის გადაჭრის გასაღები გვიდევს ჯიბეშიო. არც ის დავიფიწყოთ, რომ უკვე აღარ არსებობს იმგვარი სოციალური მიკუთვნებულობის თუ ტრადიციისადმი ერთგულების განცდა, რამაც თავის დროზე პოლიტიკური პარტიების შექმნის აუცილებლობა განაპირობა. ამის დადასტურებაა პოსტ-ფორდიზმის ფენომენთან დაკავშირებული კლასობრივი პოლიტიკის როლის მნიშვნელოვანი შესუსტებაც. თუკი ადრე გაუღენიანი, საკუთარი პროგრამების მქონე პარტიები წარმატებით ახერხებდნენ ამომრჩეველის ძირითადი სვემენტის მიზნების გახშიანებას, დღეს იმგვარი პრობლემების დღის წესრიგში დასაყენებლად, როგორიცაა სქესთა თანასწორობა, ბირთვული საფრთხე,

13. პარტიები და პარტიული სისტემები

ცხოველთა უფლებები თუ გარემოს დაბინძურება, შესაძლოა, უკვე სხვაგვარი პოლიტიკური გაერთიანებები იყოს საჭირო.

შეჯამება

◀ პოლიტიკური პარტია ადამიანთა გარკვეული იდეოლოგიური თანხმობის საფუძველზე ჩამოყალიბებული იმგვარი ჯგუფია, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლას ისახავს მიზნად. ისინი სხვადასხვა ნიშნით ჯგუფდებიან: არსებობს საკადრო და სახალხო, წარმომადგენლობითი და დამრავლავი, კონსტიტუციური, რევოლუციური, მემარცხენე თუ მემარჯვენე პარტიები.

◀ ამა თუ იმ პოლიტიკურ სისტემაში პარტიებს სხვადასხვა დანიშნულება გააჩნიათ: წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფა, პოლიტიკური ელიტის შექმნა და მეტი ხალხის მოზიდვა პოლიტიკაში, საზოგადოებრივი მიზნებისა და სახელისუფლებო პოლიტიკის გამოკვეთა, ინტერესთა გამოხატვა და შეჯერება, ამომრჩევლის დარაზმვა და მიმხრობა, სახელისუფლებო პროცესებისა და ინსტიტუციონალური ურთიერთობების მართვა.

◀ პარტიათა ორგანიზება და აგებულება დიდად განაპირობებს ძალთა გადანაწილებას თავად საზოგადოებაში. პარტიის დემოკრატიულობა მიიღწევა როგორც მის შიგნით ძალაუფლების ფართო ადანაწილებით, ასევე ამ ძალაუფლების თავმოყრით პარტიის არჩეულ და საზოგადოების წინამძღვანარში გადასაცემად. ოლიგარქიული ტენდენციები კი შესაძლოა თავად პარტიათა ორგანიზების აუცილებელი პირობაც იყოს, ანდა ამგვარი ტენდენციები მოვლანებით გაჩნდეს — შიდაპარტიული სიმტკიცის შესანარჩუნებლად თუ ამომრჩეველთა ხმების მოსაზიდვად.

◀ პარტიული სისტემა — ესაა ურთიერთობათა მთელი ქსელი, რომლის მეშვეობითაც პარტიები პოლიტიკურ პროცესს წარმართავენ. ერთპარტიულ სისტემებში მმართველი პარტია მუდმივად ინარჩუნებს ხელისუფლებას. ორპარტიულ სისტემებში სათავეში ხან ერთი "მთავარ" პარტიაა, ხან — მეორე. "წარმმართველ" პარტიათა სისტემაში ერთი ძირითადი პარტია ხანგრძლივად მართავს ქვეყანას; მრავალპარტიულ სისტემებში კი ვერც ერთი პარტია ვერ სარგებლობს იმგვარი მხარდაჭერით, მარტოდ-მარტომ მართოს სახელმწიფო და შესაბამისად, იქმნება კოალიციური მთავრობები.

◀ პარტიული სისტემები სხვადასხვაგვარად ზემოქმედებენ ზოგადად პოლიტიკურ პროცესზე: სწორედ ისინი განსაზღვრავენ ამომრჩევლის შესაძლებლობას არჩევანის ხასიათსა და მრავალფეროვნებას, და მათზევეა დამოკიდებული ხელისუფლებათა სიმყარე და ეფექტიანობა.

◀ ზოგადად პარტიული პოლიტიკის კრიზისის მაჩვენებელია როგორც წარმომადგენლობისა და მხარდაჭერების კლება, ასევე "ანტიპარტიულ" ჯგუფებისა და მოძრაობების მომრავლება. ეს იმით აიხსნება, რომ პარტიები თანდათანობით გარყვნა ძალაუფლებამ, ამპარტყუნობამ და აღღებ-მიცემობამ; ამომრჩევლისათვის მიცემული დანაპირების შესრულებაც მათ სულ უფრო უჭირთ.

კითხვები განსასჯელად

- < შეიძლება თუ არა ყველა თანამედროვე პოლიტიკური პარტია "ყოველთა შემკრება" კატეგორიას მიეკუთვნოს?
- < თანამედროვე ვითარებაში შეძლება თუ არა საქმიანობას ხელისუფლება პოლიტიკურ პარტიათა გარეშე?
- < როგორ და რამდენად უწყობენ პარტიები ხელს დემოკრატიას?
- < რატომ ჩნდება პარტიებში გამოკვეთილი ლიდერის მოთხოვნილება?
- < რა კრიტერიუმებით ფასდება პარტიული სისტემები?
- < რამდენად აუწყვეს თანამედროვე პარტიებმა ფეხი კლასობრივი პოლიტიკის დაკნინებისა და ტრადიციულ მხარდამჭერთა შემცირების პროცესს?

დამატებითი საკითხავი

- Castles, F. and R. Wildmann (eds), *The Future of Party Government*, vol. 1 (Berlin: Gruyter, 1986).
- Graham, B.D., *Representation and Party Politics: A Comparative Perspective* (Oxford: Blackwell, 1993).
- Sartori, G., *Parties and Party Systems: A Framework for Analysis* (Cambridge: Cambridge University Press, 1976).

ჯგუფები, ინტერესები და საზოგადოებრივი მოძრაობები

"ათი მოლაყბე მეტს ხმაურობს ხოლმე, ვინემ ათასობით მღუმარე".
ნაპოლეონი, მაქსიმები

შინაარსი

ჯგუფური პოლიტიკა

ჯგუფების სახეობები.
ჯგუფური პოლიტიკის მოდელები.
ჯგუფური პოლიტიკის საკითხები.

საზოგადოებრივი მოძრაობები

ახალი საზოგადოებრივი მოძრაობები.

შეჯამება/კითხვები განსასჯელად/ დამატებითი საკითხავი

XX საუკ. პოლიტიკურ ურთიერთობათა საკითხებმა მნიშვნელოვნად იცვალა სახე და ორგანიზებულ ჯგუფთა და ინტერესთა მზარდი გავლენის შესაბამისად, განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან, ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე მომართული საპროტესტო ჯგუფების რაოდენობამაც მკვეთრად იმატა. ისინი ზოგჯერ უფრო ფართო საზოგადოებრივ მოძრაობებადაც კი გარდაიქმნებოდნენ ხოლმე და აქტივობისა თუ კამპანიების წარმართვის იმგვარ სტილს ნერგავდნენ, რასაც ხშირად "ახლებურ პოლიტიკასაც" კი უწოდებენ. დღემდე არ წყდება კამათი ამგვარი ჯგუფებისა და მოძრაობების მნიშვნელობის თაობაზე — განსაკუთრებით, დემოკრატიულ პროცესზე მათი გავლენის თვალსაზრისით.

ამ თავში შემდეგი ძირითადი საკითხებია განხილული:

საკანძო საკითხები:

- < რას ნიშნავს "ინტერეს-ჯგუფი" და რა განსხვავებულ ფორმებს იძენს იგი?
- < რა უმთავრესი თეორიები არსებობს ჯგუფური პოლიტიკის თაობაზე?
- < ამგვარი ჯგუფების არსებობა ხელს უწყობს თუ პირუკუ — აფერხებს დემოკრატიულ პროცესებსა და წარმატებულ მმართველობას?
- < რა გზებით ვრცელდება ინტერეს-ჯგუფთა გავლენა?
- < რა განაპირობებს მათ წარმატება-წარუმატებლობას?
- < რატომ გაჩნდა ახალი საზოგადოებრივი მოძრაობები და რა ზოგადი მნიშვნელობა შეიძინეს მათ?

ჯგუფური პოლიტიკა

დღესდღეობით, ინტერეს-ჯგუფები, ისევე როგორც პოლიტიკური პარტიები, უმთავრესი მეკავშირის ფუნქციას ასრულებენ ხელისუფლებასა და დანარჩუნ საზოგადოებას შორის. თუმცა, პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით, ისინი უფრო მკაფიო პოზიციას იკავებენ ხოლმე და უმთავრესად, იმ ხალხის მისწრაფებებისა და ღირებულებების გამოხატულებები არიან, რომელსაც თავად წარმოადგენენ.

ზოგიერთი ამგვარი ჯგუფი ჯერ კიდევ წარმომადგენლობითი ხელისუფლების გაჩენამდე ჩამოყალიბდა. ასე მაგალითად, აბოლიციონისტთა საზოგადოება დიდ ბრიტანეთში, რომელიც 1787 წლიდან იბრძოდა მონებით ვაჭრობის წინააღმდეგ, ხოლო უკვე 1830 წელს, ამერიკაში ჩასული ალექსანდრე ტოკვილი წერდა, რომ რასაც თვითონ უბრალო ასოციაციად იხსენიებდა, იქ უკვე ზეგაუგებების ძლიერ იარაღად ქცეულიყო. ასევე, საფრანგეთში 1866წ. დაარსებულმა "ქალთა უფლებების საზოგადოებამ" ლამის მთელ მსოფლიოში მისცა ბიძგი ქალთა თანასწორობის მოძრაობებს. XIX საუკუნეში, ინდუსტრიული საზოგადოებების მეტ ნაწილში, მზარდი პროფკავშირული მოძრაობების პარალელურად არსებობდა ფერმერთა ინტერესების დამცველი ბევრი ორგანიზაციაც. თუმცა, დღევანდელი ინტერეს-ჯგუფების დიდი უმრავლესობა შედარებით ხანმოკლე ისტორიას ითვლის და ძირითადად, XX საუკ. 60-იანი წწ. ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების შედეგია. გარკვეული თვალსაზრისით, მათი რიცხვის ზრდა, შესაძლოა, პოლიტიკური პარტიების დაკნინების გამოძახილიც იყოს.

ჯგუფების სახეობები

ჯგუფების სახეობების განსაზღვრა და კლასიფიცირება საკმაოდ საჩოთირო საქმეა: აქ მათი შემადგენლობა მთავარი თუ მათი ინტერესები? ანუ — ჯგუფად ჩვენ მხოლოდ იმგვარ ასოციაციებს მივიჩნევთ, რომელთაც თანხმობისა და მოტივაციის გარკვეული დონე ახასიათებს, თუ იმ ხალხის უბრალო გაერთიანებას, ვისაც ერთნაირი ინტერესები ამოძრავებთ? ისიც საკითხავია: ინტერეს-ჯგუფებს მართლა საზოგადოებრივი მიზნის ერთიანობა აკავშირებს თუ მხოლოდ კერძო მატერიალური გამორჩენა? ყოველთვის დამოუკიდებელია მსგავსი ჯგუფი, თუ იგი ხელისუფლებასთან შეხმატკბილებულად მოქმედებს და თავად სახელისუფლებო მანქანის ნაწილადაც გვევლინება ხოლმე?

ასოციაცია:

ნებაყოფლობითი, წვერთა საერთო ინტერესებისა თუ მიზნების გამოხატველი ორგანიზაცია.

ინტერესი:

პიროვნებისა თუ ჯგუფის სარგებელი; უბრალო სურვილისაგან განსხვავებით, ობიექტური ანუ "რეალურ" საფუძველი გააჩნია.

საკმაო დაბნეულობაა ტერმინოლოგიასთან დაკავშირებითაც: ასე მაგალითად, ა.შ.შ.-ში "ინტერეს-ჯგუფს" უწოდებენ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ ნებისმიერ გაერთიანებას, მაშინ როცა გაერთიანებულ სამეფოში ამ ცნებაში მხოლოდ საკუთარი წევრების ინტერესების გამოხატველი/დამცველი ჯგუფი მოიაზრება. ამიტომაც იქ უფრო ტერმინ "ლობისტურ ჯგუფებს" ანიჭებენ უპირატესობას და ინტერეს-ჯგუფსაც ამ ფართო გაგების ერთ შემადგენლად თვლიან.

ამგვარი ჯგუფები სამ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ:

- ◀ წარმომავლობითი ჯგუფები
- ◀ ინსტიტუციური ჯგუფები
- ◀ ასოცირებული ჯგუფები

წარმომავლობითი ჯგუფები

ამგვარი ჯგუფების მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ ისინი ოჯახური, გვარ-ტომობრივი, კასტური თუ ეთნიკური ნიშნით ყალიბდებიან. იმ სტრუქტურირებული და ორგანიზებული ინტერეს-ჯგუფებისაგან განსხვავებით, სადაც ადამიანები არჩევანის საფუძველზე წვერიანდებიან, წარმომავლობითი ჯგუფები საერთო მემკვიდრეობისა და ტრადიციული კავშირების საფუძველზე იქმნება. ისინი ჯერაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ განვითარებადი სახელმწიფოების პოლიტიკაში: ეთნიკური, ტომობრივი და ნათესაური მიკუთვნებულობა, ვთქვათ, აფრიკაში, ხშირად გადამწყვეტ მნიშვნელობასაც კი იძენს ინტერესთა გამოსაკვეთად. თუმცა, მსგავსი ჯგუფები, გნებავთ, იტალიასა თუ ირლანდიაშიც მონიხება — სადაც ძალზე ძლიერია კათოლიკური მიმართულების დაჯგუფებები.

ინსტიტუციური ჯგუფები

ამგვარი ჯგუფები, ძირითადად, სახელისუფლებო მანქანის ნაწილია და სწორედ ამ მანქანის მეშვეობით ცდილობენ საკუთარი გავლენა გააძლიერონ. ბიუროკრატია და სამხედრო წრეები ამის მშვენიერი მაგალითია. ავტორიტარულ თუ ტოტალიტარულ სახელმწიფოებში, სადაც ჩვეულებრივ, დამოუკიდებელი ჯგუფები და მოძრაობები მკაცრად ითრუნება, ინსტიტუციურ ჯგუფთა დაპირისპირება შესაძლოა, ინტერესთა გამოხატვის უმთავრეს ფორმად იქცეს. მაგალითად, სტალინურ საბჭოთა კავშირსა თუ ნაცისტურ გერმანიაში გარუვანი მონოლი-თურობის მიუხედავად, უწყვეტი შიდა დაპირისპირება მიმდინარეობდა ბიუროკრატულ თუ სამხედრო ელიტებს შორის.

ამ ტიპის ჯგუფები დემოკრატიულ სისტემებშიც არსებობს. ზოგი იქამდეც კი მიდის, რომ ამტკიცებს — სამინისტროების, დეპარტამენტებისა თუ ათასგვარი სააგენტოების კერძო ინტერესები უშუალოდ განსაზღვრავს პოლიტიკურ პროცესებს. ამგვარი ჯგუფები ხშირად კლასიკურად გაგებულ ინტერეს-ჯგუფებს უკავშირდებიან და შედეგად ე.წ. "სამხედრო-ინდუსტრიულ კომპლექსს" ვიღებთ. 17-18 თავებში საუბარი სწორედ იმაზე იქნება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბიუროკრატისა და სამხედრო წრეების ურთიერთკავშირი.

ასოცირებული ჯგუფები

მსგავსი ჯგუფები იმ ხალხის ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად იქმნება, ვისაც რაღაც საერთო, კონკრეტული მიზანი აქვთ დასახული. თუმცა ასოცირებული ჯგუფების მნიშვნელობა განვითარებად სახელმწიფოებშიც სულ უფრო და უფრო იზრდება, ისინი მაინც ინდუსტრიული საზოგადოებების მახასიათებელია: ინდუსტრიალიზაცია ხელს უწყობს

14. ჯგუფები, ინტერესები და სზოგადოებრივი მოძრაობები

როგორც მეტ სოციალურ დაშრეებას და განსხვავებულ ინტერესთა გაჩენას, ასევე ადათ-წესებითა და ტრადიციით განპირობებული ქცევის კერძო და ინდივიდუალისტური ტენდენციებით ჩანაცვლებას, ხოლო როცა ამგვარი ინტერესების მქონე ხალხი ერთი რაიმე კონკრეტული მიზნით ერთიანდება, მათ უკვე ინტერეს-ჯგუფებს ეძახიან. მათი სიჭრელე თვალშისაცემია: ერთნი რომ სახელისუფლო პროგრამებს აშეულებენ ხელს, მეორენი — სამოქალაქო დაუმორ-ჩილებლობისა და სახალხო პროტესტის ტალღას აგორებენ ხოლმე. თუმცაღა, არც ერთ ამ კლასიფიკაციაში ადგილი არ მოინახება ანტიკონსტიტუციური და გასამხედროებელი ჯგუფებისათვის ("მაგი ავაზე-ბჭ ა.შ.შ.-ში ანდა ირა — ირლანდიის რესპუბლიკური არმია). ვერც ერთი მათგანი ვერ ჩაითვლება ინტერეს-ჯგუფად, რადგან საბოლოო პოლიტიკური სისტემის ნგრეუას ისახევენ მიზნად და არა — მასზე შემოქმედებას, ტაქტიკურ იარაღად კი ტერორიზმს თუ უშუალო შემოქმედებას იყენებენ — ლობირების პოლიტიკის ნაცვლად. ინტერეს-ჯგუფთა სფერო ორ ძირითად ნაწილად შეიძლება დაიყოს:

- ◀ სექტორული და საინიციატივო ჯგუფები
- ◀ შიდა და გარე ჯგუფები

სექტორული ჯგუფები (ზოგჯერ მათ "დამცაჟ ან "ფუნქციონალურ" ჯგუფებსაც უწოდებენ ხოლმე) საკუთარი წევრების მატერიალური ინტერესების დასაცავად იქმნება და მათი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია პროფკავშირები, ბიზნეს-კორპორაციები, სავაჭრო ასოციაციები თუ პროფგაერთიანებები. მათი "სექტორულმ" ხასიათი კი იმ ფაქტითაა განპირობებული, რომ ნებისმიერი ამგვარი ჯგუფი საზოგადოების ამა თუ იმ სექტორს წარმოადგენს: მუშებს, მეწარმებს, მომხმარებლებს, ეთნიკურ თუ რელიგიურ ერთობებს და ა.შ. რაც შეეხება "ფუნქციონალურ" ჯგუფებს, მათ რიცხვს მხოლოდ საქონლისა თუ მომსახურების მწარმოებლები და გამაერცვლებლები შეიძლება მივაკუთვნოთ. ამერიკაში სექტორულ ჯგუფებს ხშირად "კერძო ინტერესთა ჯგუფებსაც" ეძახიან, იმის ხაზგასასმელად, რომ მათთვის გადამწყვეტი საკუთარი წევრების კეთილდღეობა და არა მთელი საზოგადოებისა.

ინტერეს-ჯგუფი

ამგვარი ჯგუფი ადამიანთა ის კავშირია, რომელიც ხელისუფლების პოლიტიკასა თუ ქმედებებზე ზეგავლენას ისახავს მიზნად და პოლიტიკურ პარტიებისაგან განსხვავებით, ამ გავლენას "გარედან" ახორციელებს და ნაკლებად ცდილობს საამისოდ ძალაუფლების მოპოებას თუ გამოყენებას. მათ, როგორც წესი, საკითხთა ვიწრო წრე აინტერესებთ და ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის ამა თუ იმ ინტერესს გამოხატავენ.

უშუალო შემოქმედება:

პოლიტიკური ქმედება, რომელიც კონსტიტუციურ და საკანონმდებლო ჩარჩოებს ცდება. მას განსხვავებული ფორმები ახასიათებს — პასიური წინააღმდეგობიდან, ტერორიზმის ჩათვლით.

საპირისპიროდ, **საინიციატივო ჯგუფები** (მათ ხშირად "მიზნობრივსაც" უწოდებენ) თანაზიარი ღირებულებების, იდეალებისა თუ პრინციპების გასახმოვანებლად იქმნება და იმგვარი საკითხების ლობირებას ემსახურება, როგორცაა სამოქალაქო თავისუფლების დაცვა, სექსისა და ძალადობის ჩვენების აკრძალვა ტელევიზიაში, აბორტის თემა, გარემოს დაბინძურების პრობლემები, და სხვ. და სხვ. იმავე ა.შ.შ.-ში ამგვარ ჯგუფებს უკვე "საზოგადოებრივი ინტერესების ჯგუფებმ" ჰქვიათ — იმის ხაზგასასმელად, რომ მათთვის საყოფელთაო და არა კერძო პრობლემატიკაა უმთავრესი. საერთაშორისო პოლიტიკაში ჩართულ ამგვარ ჯგუფებს ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციებად იხსენიებენ. **საინიციატივო კი იმ ნიშნით არიან, რომ ვთქვათ, "უშუველოთ ვეშაპებს!" — კარგად თუ ჩვეუკვირდებით. ვეშაპების ბედზე მზრუნველ ადამიანთა ინიციატივია, და არა — თავად ამ სიმპატიური ძუძუმწოვრების. ცხადია, ზოგიერთი ორგანიზაცია საკუთარ თავშივე მოიცავს როგორც სექტორულ, ასევე საინიციატივო ნიშან-**

თვისებებს. ასე მაგალითად, "ფერადკანიანთა ხელშეწყობის ეროვნული ასოციაცია", ერთის მხრივ, ამერიკელი ზანგების სექტორულ ინტერესებსაც იცავს, მაგრამ თან ზოგადად სოციალური სამართლიანობისა და რასობრივი პარმონიის საკითხებიც არანაკლებ აინტერესებს.

კლასიფიკაციის მეორენაირი სისტემა იმ მდგომარეობას ემყარება, რაც ამა თუ იმ ჯგუფს ხელისუფლებასთან მიმართებაში უკავია. შიდა ჯგუფები მუდმივად პრივილეგიით სარგებლობენ და ჩვეულებრივ, ხელისუფლებასთან ინსტიტუციური კავშირიც აქვთ დამყარებული. ხელისუფლება შესაძლოა დაინტერესებულიც იყოს სათანადო ცოდნით აღჭურვილ ამა თუ იმ ჯგუფს მოეთათბიროს და მისი რჩევა ყურად იღოს, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუკი მათი ზოგადი პოლიტიკური ხედვა ერმთანეთისაა ემთხვევა.

გარე ჯგუფები კი პირიქით — ხელისუფლების ყურადღებით ნაკლებად სარგებლობენ და თუკი მათ ვინმე ეთათბირება კიდევც, მხოლოდ ხელისუფლების დაბალი ემელონების დონეზე. უკვე თავად სტატუსი თითქოს ამ ჯგუფების სისუსტეზე მიუთითებს და ხელისუფლებასთან გაუცხოების გამო, იძულებულნი ხდებიან "ხალხში გაეიდნენ" და ასე სცადონ გარკვეული ზეგავლენა იქონიონ პოლიტიკურ პროცესებზე. ბევრი ჯგუფი შეგნებულადაც ამჯობინებს ხელისუფლებისაგან გარიყულად დარჩენას, რაშიც იდეოლოგიური სიმტკიცისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების გარანტიას ხედავს.

ჯგუფური პოლიტიკის მოდელები

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ჯგუფური პოლიტიკის მნიშვნელობა და ხასიათი მთლიანად ყოველი პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელი ფაქტორებიდან მომდინარეობს. შესაბამისად, ამა თუ იმ ჯგუფის დანიშნულება კონკრეტული პოლიტიკური კულტურის, პარტიული სისტემისა თუ ინსტიტუციური მოწყობის ანარეკლია; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯგუფური პოლიტიკის ხასიათის განზოგადება შეუძლებელია. მეორეს მხრივ, პოლიტიკური პროცესისა და საზოგადოებაში ძლავუფლების გადანაწილების ზოგადი სურათის გარეშე, მისი შინაარსიც გაუგებარი რჩება. ინტერეს-ჯგუფთა პოლიტიკისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იმ სამი პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელი ხედავა, რითაც *პლურალიზმი*, *კორპორატივიზმი* და *ახალი მემარჯვენეობა* გამოირჩევა.

პლურალისტური მოდელი

პლურალისტურ თეორიებში ჯგუფური პოლიტიკა ყველაზე უფრო მომხიბლავად წარმოგვიდგება. ეს თეორიები ხაზს უსვამენ ჯგუფების უნარს, ხელისუფლებისაგანაც დაიცვან პიროვნება და დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებასაც მეტი წონა შესძინონ; პლურალიზმის ამოსავალი პრინციპი კი პოლიტიკური ძლავუფლების დაყოფასა და ფართო გადანაწილე-

არასამთავრობო ორგანიზაცია

ესაა კერძო, არა-კომერციული ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომელიც საკუთარი მიზნის მიღწევას არაძალადობრივი საშუალებებით ესწრაფვის. მათი აქტიურობა, ჩვეულებრივ, განსაკუთრებით შესაძინევი საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში და ბევრ მათგანს სათანადო უფლებებიც კი აქვს მინიჭებული გაეროსა თუ ევროკავშირის მიერ. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მთავარი დანიშნულებაა პროექტების შექმნა და მათი განხორციელება; სხვების მოქმედების არე უფრო ვიწროა და რჩევა-კონსულტაციებით იფარვლება. ამ ა.ს.ო.-ებს ზოგჯერ ახლადგაჩენილი გლობალური საზოგადოების ქვაკუთხედაც კი მიიჩნევენ, თუმცა ბევრი მათში ტრანსნაციონალური კორპორაციების საპირ-წონესაც ხედავს.

14. ჯგუფები, ინტერესები და სოციალური მოძრაობები

რობერტ დალი (დაიბ. 1915)



ამერიკელი პოლიტოლოგი. იელის უნივერსიტეტის პოლიტმეცნიერებათა პროფესორი. 1953წ., ჩარლზ ლინდბლომთან ერთად დაამკვიდრა ტერმინი "პოლიარქია" (მრავალთა მმართველობა) და თანამედროვე საზოგადოებების კლასიკური დემოკრატიისაგან განმასხვავებელი ნიშან-თვისებები გამოკვეთა. თავიდან იგი პოზიტივიზმისა და ბიპოლიორალიზმისაკენ იხრებოდა და 50-60-იან წწ. ტრადიციულ პლურალისტურ პოზიციებზე იდგა, თუმცა 60-იანი წწ. ბოლოდან, იმავე ლინდბლომსა და გელბრაიტთან ერთად, ლიბერალიზმის

რადიკალიზირებული, ე.წ. ნეოპლურალიზმის თეორია განავითარა და წამყვანი კაპიტალისტური კორპორაციების მხარდ პოლიტიკურ გავლენაზე გაამახვილა ყურადღება. მისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომებია: "დემოკრატიული თეორიის შესავალი" (1956), "ვინ მართავს?" (1961) და "პლურალისტური დემოკრატიის დილემა" (1982).

ბას გულისხმობს — ანუ, გადაწყვეტილებები უფრო მეტი ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით მიიღება. პლურალისტური "ჯგუფური თეორიის" შექმნა პირველმა არტურ ბენტლიმ სცადა თავის ნაშრომში "მართვის პროცესი" (1908). რა მნიშვნელობას ნიჭებდა იგი ორგანიზებულ ჯგუფებს, როგორც პოლიტიკური პროცესის ქვაკუთხედს, კარგად ჩანს მის ცნობილ გამონათქვამში: *თუ ჯგუფს სწორადა აქვს ადგილი მოქმედნით, შენობაც მყარი იქნებაო*. სხვათა შორის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯგუფების მნიშვნელობა რობერტ დალმაც აღნიშნა, რომლის აზრით, "მოსახლეობის ნებისმიერ აქტიურ და კანონიერ ჯგუფს შესაძლებლობა ეძლევა ხმა მიაწვდინოს ხელისუფლებას და გარკვეულწილად, მის გადაწყვეტილებებზეც იქონიოს ზეგავლენა" (1956).

ჯგუფური პოლიტიკის ამგვარი, უაღრესად ოპტიმისტური ხედვა ელიტისტებისა და მარქსისტების მკაცრ კრიტიკას მაინც ვერ გადაურჩა: პირველნი ძალაუფლების გადანაწილებაზე პლურალისტურ შეხედულებას არ იზიარებდნენ და ამტკიცებდნენ — სინამდვილეში მთელი ძალაუფლება "სახელისუფლებო ელიტის" — ბიზნეს-კორპორაციების ხელმძღვანელების, პოლიტიკური ლიდერებისა და მაღალჩინოსანნი სამხედროების ხელშია და სწორედ მათი გავლენით ხდება ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაო. მარქსისტები, თავის მხრივ, გამოუმეობით კაპიტალისტთა მმართველი კლასის პოლიტიკურ ძალაუფლებაზე და სოციალურ უთანასწორობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. გლობალიზაციის ტენდენციებმა კრიტიკული მუხტი კიდევ უფრო დაძაბა: ჩარლზ ლინდბლომის ნაშრომში "პოლიტიკა და თავისუფალი ბაზარი" (1977) ხაზგასმულია ის განსაკუთრებულად პრივილეგირებული მდგომარეობა, რაც დასავლურ პოლიარქიებში ბიზნეს-ჯგუფებმა დაიკავეს და ამგვარი საზოგადოებების თავად დემოკრატიულობასაც კი ეჭვქვეშ აყენებს.

კორპორატიული მოდელი

კორპორატივში სოციალური თეორიაა, რომელიც ხელისუფლებასთან ურთიერთობაში გარკვეული ჯგუფების იმ გამორჩეულ მდგომარეობაზე აკეთებს აქცენტს, რაც მათ საჯარო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და გატარებაზე ზეგავლენის საშუალებას აძლევს. ზოგიერთის აზრით, კორპორატივში სპეციფიურად სახელმწიფოებრივი ფუნქციონირება და მისი გაჩენას კონკრეტული ისტორიული და პოლიტიკური გარემოებები უწყობს ხელს. ასე მოხდა მაგალითად, ავსტრიაში, შვედეთში, ჰოლანდიაში და მეტ-ნაკლებად, გერმანიაში და იაპონიაშიც — სადაც, როგორც წესი, ხელისუფლება ცდილობდა ეკონომიკის მართვის პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აეღო.

განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, XX საუკ. 60-70-იანი წლებიდან მოყოლებული, კორპორატივიზმისკენ აღებულმა გეზმა საფუძვლიანი ეჭვი გააჩინა ინტერეს-ჯგუფთა როლისა და ზეგავლენის თაობაზე. ჯერ ერთი, კორპორატივიზმმა თანდათანობით შეამცირა იმგვარი ჯგუფების რაოდენობაცა და არჩევანიც, რომლებსაც ხელისუფლებაში "მიესვლებოდა": იგი გამორჩეულად უპირატესობას მხოლოდ ეკონომიკურ თუ ფუნქციონალურ ჯგუფებს ანიჭებდა, ამას კი **სამწვერიანობამდე** მივყავართ, რაც ერთის მხრივ ხელისუფლებასა და მეორეს მხრივ, ბიზნესსა და ორგანიზებულ შრომას შორის ამყარებს კავშირებს. შედეგად, მომხმარებელთა თუ სხვა საინიციატივო ჯგუფები თამაშგარე რჩებიან და ხელისუფლებასთან ინსტიტუციური კავშირის შესაძლებლობა მხოლოდ ე.წ. "ნაღებმ ასოციაციების ვიწრო წრეს ეძლევა. სწორედ ისინი ხდებიან ორგანიზაციებისა და ჯგუფების ფართო სპექტრის გამხმარებლები. ამ როლს ავსტრიაში *საეკონომიკური პალატა* და *პროფკავშირთა ფედერაცია*; გაერთიანებულ სამეფოში — *ბრიტანეთის ინდუსტრიის კონფედერაცია* და *ტრედ-უნიონების კონგრესი*; ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — *მწარმოებელთა ეროვნული ასოციაცია* და *შრომის ამერიკული ფედერაცია* — *ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესი* (AFL - CIO) ასრულებენ.

მეორე პრობლემა ისაა, რომ პლურალისტური მოდელისაგან განსხვავებით, კორპორატივში ინტერეს-ჯგუფებს ხელმძღვანელთა მიერ იერარქიულად აწყობილ და მართულ გაერთიანებებად აღიქვამს და მათი ხელმძღვანელები უშუალოდ ანგარიშგაღებულნი არ არიან საკუთარ წევრთა წინაშე — ხელისუფლებასთან "ჩახუტების" სანაცვლოდ; ისინი საკუთარ სურვილებს ამა თუ იმ ჯგუფის სასიცოცხლო ინტერესად ასაღებენ; ამ მხრივ, თავად ამ ჯგუფების ვითომდა "სათათბიროს" პრინციპით მართვა მხოლოდ იმ ფაქტს ნიღბავს, რომ კორპორატივში თავისთავად, საზოგადოებაზე კონტროლის მექანიზმია. და მესამეც: არაერთხელ გამოითქვა შემოთქვა, თითქოს კორპორატივში წარმომადგენლობით დემოკრატიასაც უქმნის საფრთხეს. მაშინ როცა პლურალიზმში ჯგუფურ პოლიტიკაში წარმომადგენლობითობის პროცესის დამატებით სტიმულს ხედავს, კორპორატივში იმგვარ გადაწყვეტილებათა მიღებას უწყობს ხელს, რომლებიც დემოკრატიულ კონტროლს არ ექვემდებარება და ათასგვარ გარიგებათა პროცესიც ვერ ხდება ხოლმე საზოგადოებისათვის გამჭვირვალე. და ბოლოს — როდესაც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, საჭიროზე მეტი სახელისუფლებო

კორპორატივში

ფართო გაგებით, კორპორატივში ორგანიზებულ ინტერესთა გათვალისწინებაა მართვის პროცესში. მას ორგვარი სახე აქვს: *ავტორიტარული* კორპორატივში იტალიურ ფაშისთან მჭიდროდ დაკავშირებული იდეოლოგია თუ ეკონომიკური მოდელია, რომელსაც მრეწველობაში პოლიტიკური ჩარევა და დამოკიდებულ პროფკავშირთა შევიწროება ახასიათებდა. *ლიბერალური* კორპორატივში (იგივე "ნეოკორპორატივიზმ") *ლიბერალური* დემოკრატიების თვისებაა და ორგანიზებულ ინტერესთა ინსტიტუციონალურ მონაწილეობას ითვალისწინებს პოლიტიკის გამოკვეთის განხრით. *ავტორიტარულ* ვარიანტისაგან განსხვავებით, *ლიბერალური* კორპორატივში ინტერეს-ჯგუფებს აძლიერებს და არა ხელისუფლებას.

სამწვერიანობა:

ხელისუფლების, ბიზნესისა და პროფკავშირთა ურთიერთობის კავშირი — ერთობლივი სათათბიროს ასამოქმედებლად.

14. ჯგუფები, ინტერესები და სზოგადოებრივი მოძრაობები

საზოგადოებრივი არჩევანი
 საზოგადოებრივი არჩევანის თეორია გონივრული არჩევანის თეორიის ერთ-ერთი განშტოებაა და ნეოკლასიკური ეკონომიკის თვალსაზრისს ემყარება. მისი მთავარი დებულების თანახმად, პოლიტიკურ საკითხებში გარკვევა უფრო იოლი ხდება, თუკი ადამიანთა ქცევას მათი გონივრული კერძო ინტერესის მოტივებით ავხსნით. ამ თეორიის "საზოგადოებრივ" ხასიათი იმითაა განპირობებული, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფას და მის წყაროდაც უფრო ხელისუფლება ითვლება, ვიდრე თავისუფალი ბაზარი, რადგან ამ კეთილდღეობით (ისევე როგორც სუფთა ჰაერით) ყველა სარგებლობს — საკუთარი წვლილის მიუხედავად. საზოგადოებრივი არჩევანის თეორეტიკოსები, როგორც წესი, ამ მიმართულებით ყურადღებას ხელისუფლების წარუმატებლობასა და შეცდომებზე ამახვილებენ, ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებად კი პოლიტიკურ პროცესზე ბიუროკრატის არაჯანსაღ გავლენას და ლობიერებისა თუ ინტერეს-ჯგუფთა საქმიანობის შედეგებს მიიჩნევენ.

თუ არასამთავრობო სუბიექტი იღებს მონაწილეობას, ხელისუფლება შესაძლოა გარკვეულ ინტერეს-ჯგუფთა მძევლადაც იქცეს და მათი გავლენის ქვეშ მოექცეს. სწორედ ამგვარი სიტუაციის წინააღმდეგ გამოდის ახალი *მემარჯვენეობა*.

ახალი მემარჯვენეობის მოდელი

ახალი მემარჯვენეობის მიერ ინტერეს-ჯგუფებისადმი სკეფსისი იდეოლოგიურად იმ ინდივიდუალიზმის შედეგია, რაც ნეო-ლიბერალურ ეკონომიკას უდევს საფუძვლად და ისინი ნებისმიერი ჯურის საზოგადოებრივ ჯგუფებსა და კოლექტიურ ორგანიზაციებს ეჭვის თვალით უყურებენ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ახალი მემარჯვენეობა კერძო ინიციატივასა და მეწარმეობაზე აღმოცენებულ საბაზრო ეკონომიკას ანიჭებს უპირატესობას. თუმცა, გარკვეული კავშირი კორპორატივიზმსა და საზოგადოებრივი დანახარჯების ზრდას შორის მათაც აღიარეს, და ჭარბ მმართველობასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც მიაქციეს ყურადღება.

ეს საკითხები საგანგებოდ განიხილა მანკურ ოლსონმა ნაშრომში "სახელმწიფოს აღზევება და დაცემა" (1982). მან საფუძვლიანად შეისწავლა ინტერეს-ჯგუფთა საქმიანობა და სწორედ მათ მიანიჭა განმსაზღვრელი როლი ამა თუ იმ სახელმწიფოს ეკონომიკურ აღმასვლასა თუ დაკნინებაში. მისი აზრით, გაერთიანებული სამეფო და ავსტრალია სწორედ იმ "ინსტიტუციონალურ სკლეროზს" განიცდიან და ეს მას მერე მოხდა, რაც ინტერეს-ჯგუფთა ფართო ქსელი მოედო ამ ქვეყნებს — ტრედ-უნიონების, ბიზნეს ორგანიზაციებისა და პროფესიული ასოციაციების კოალიციათა სახით, რომელთაც თავიანთი ვიწრო, სპეციფიური მიზნები ამოძრავებდათ. სწორედ ოლსონისეული დებულება ისაბუთეს კორპორატივიზმს (რონალდ რიგანის წლებში ნამდვილი ომი გამოუცხადეს კორპორატივიზმს (რონალდ რიგანის პოლიტიკა ა.შ.შ.-ში და მარგრიტ ტეტჩერისა — გაერთიანებულ სამეფოში). პოლიტიკა ა.შ.შ.-ში და მარგრიტ ტეტჩერისა — გაერთიანებულ სამეფოში — ჯერ ფაქტიურად უფუნქციოდ დატოვეს, შემდგომ კი საერთოდ გააუქმეს ისეთი კორპორატიული ორგანიზაციები, როგორიც იყო *ეროვნული ეკონომიკის განვითარების საბჭო* და შეეცადნენ ტრედ-უნიონების გავლენაც შეესუსტებინათ.

ჯგუფური პოლიტიკის საკითხები

რამდენად მნიშვნელოვანია ინტერეს-ჯგუფთა არსებობა? საყოველთაო აზრით, ინტერეს-ჯგუფების საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. აგრარულ და ტრადიციულ საზოგადოებებში მათი აქტიუბის სპექტრი შედარებით მცირეა, ინდუსტრიულად დაწინაურებულ საზოგადოებებში კი — უფრო მრავალფეროვანი. ტრადიციულად დაწინაურებულ საზოგადოებებში კი — უფრო მრავალფეროვანი ინტერეს-ჯგუფთა როლიც აქ უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და

საყურადღებოდ

ინტერეს-ჯგუფები: ღირსებები და ნაკლოვანებები

ინტერეს-ჯგუფთა სასარგებლოდ შემდეგი არგუმენტები მოჰყავთ:

« პოლიტიკურ პარტიათა მიერ უყურადღებოდ დატოვებული ინტერესებისა და შეხედულებების წინ წამოწევით, არჩევნებს შორის ხელისუფლებაზე ზემოქმედებით ისინი წარმომადგენლობითობას აძლიერებენ.

« მათთვის კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლაა დამახასიათებელი, რაც ამომრჩევლის მეტად გათვითცნობიერებას და საჯარო პოლიტიკის ხარისხობრივ ზრდას უწყობს ხელს.

« აფართოებენ პოლიტიკური თანამონაწილეობის არეალს — როგორც არსებული პარტიული პოლიტიკის ალტერნატივის გამოკვეთით, ასევე მეტი შესაძლებლობების შექმნით რიგითი აქტივისტებისათვის.

« ისინი აკონტროლებენ ხელისუფლებას და სახელმწიფოს, ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ინტერესთა დაბალანსებით, პოლიტიკურ უფლებათა დაცვას უზრუნველყოფენ.

« ხელისუფლებასა და ხალხს შორის მუდმივი კავშირის უზრუნველყოფით, პოლიტიკური მდგრადობის შენარჩუნებას უწყობენ ხელს.

ინტერეს-ჯგუფთა უარყოფით მხარეებს განეკუთვნება:

« პოლიტიკური უთანასწორობისაკენ მიდრეკილება, რისი მიზეზიც იმ შემდგომი და პრივილეგირებული ჯგუფებისთვის მეტ "ხმის უფლებაში გამოიხატება, ვისაც ფინანსურ, საგანმანათლებლო, ორგანიზაციულ თუ სხვა რესურსებზე უშუალოდ მიუწვდება ხელი.

« უფრო კერძოთი და არა საზოგადოთი დაინტერესება, მათ სოციალურად და პოლიტიკურად ანაწევრებს და ხშირად უმცირესობის მიზნები მთელი საზოგადოების ინტერესზე წინ დგება ხოლმე.

« მათი ძალაუფლება არალეგიტიმურია რამდენადაც, პოლიტიკოსთაგან განსხვავებით, ჯგუფების ლიდერები საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულნი არ არიან და მათი გავლენა წარმომადგენლობითი პროცესების მიღმა რჩება.

« ისინი ცდილობენ პოლიტიკური პროცესი "ჩაკეტილად" და უფრო გასაიდუმლოებულად აქციონ, რამდენადაც მოლაპარაკებები და გარიგებები საზოგადოებისათვის დაფარული რჩება.

ისინი საზოგადოებას სულ უფრო უმართავს ხდიან, რამდენადაც საკუთარი გაზრდილი ინტერესებისდა კვალად, სამთავრობო ინიციატივების დაბლოკვა და მართვის მთელი სისტემის არაქმედითუნარიანად ქცევაც შეუძლიათ.

დამრევებულ საზოგადოებას შორის კავშირის დამყარების თვალსაზრისით. მით უფრო, რომ განათლების დონის ზრდა მეტ პოლიტიკურ გათვითცნობიერებასა და ორგანიზაციული უნარების დახვეწას უწყობს ხელს. და მაინც, სწორედ ორგანიზებულ ინტერესთა გავლენა სრულიად სხვადასხ-

14. ჯგუფები, ინტერესები და სზოგადოებრივი მოძრაობები

გაგვარია განსხვავებულ სისტემებსა და სახელმწიფოებში, თანაც, დროის სხვადასხვა მონაკვეთში. ჯგუფების გავლენის განმსაზღვრელი ოთხი ძირითადი ფაქტორი არსებობს:

- ◀ პოლიტიკური კულტურა
- ◀ ინსტიტუციონალური სტრუქტურა
- ◀ პარტიული სისტემის ჩასიათი
- ◀ საჯარო პოლიტიკის თავისებურება.

პოლიტიკური კულტურა ორი მიზეზის გამოა გადამწყვეტი: ჯერ ერთი, განსაზღვრავს რამდენად კანონიერ თუ კანონგარეშე სუბიექტებად იქნებიან აღქმული ესა თუ ის ინტერეს-ჯგუფები, წახალისებენ თუ შეზღუდვენ მათ; მეორეც — პოლიტიკურ კულტურაზეა დამოკიდებული, რამდენად მოისურვებენ ადამიანები ამა თუ იმ ინტერესის მიხედვით დარაზმ-ვას და ჯგუფურ პოლიტიკაში ჩართვას. ზოგ შემთხვევაში რეჟიმი, შესაძლოა, მონიზმისკენ იხრებოდეს და ჩანასახშივე ახშობდეს ნებაყოფლობითი აქტიურობის ყოველგვარ ფორმას, სახელმწიფო ძალაუფლების ერთადერთი, უალტერნატივო ცენტრის შესანარჩუნებლად. ამის ტიპური მაგალითებია სამხედრო რეჟიმები და ერთპარტიული სახელმწიფოები. მართალია, ვერც ერთმა თანამედროვე თუ ისტორიულმა რეჟიმმა ვერ შესძლო ჯგუფური თუ ფრაქციული საქმიანობის ყოველგვარი ფორმის ბოლომდე აღმოფხვრა, ოღონდ მონისტურმა მმართველობებმა ის მაინც მოახერხეს, რომ ჯგუფების აქტივობა ან იატაკქვეშეთში გადაატანინეს, ანდა პარტიულ-სახელმწიფო აპარატის მეშვეობით, საკუთარ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მიზნებს მორაგეს.

მეორეს მხრივ, პლურალისტური რეჟიმები არა მარტო დასაშვებად მიიჩნევენ ჯგუფურ პოლიტიკას, არამედ ხელს უწყობენ და ზოგჯერ მოითხოვენ კიდევ მის არსებობას და გარკვეულ ჯგუფებს შეიძლება საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა თუ მპრ-ებში ჩართვა შესთავაზონ, ანდა, ასე განსაჯეთ, პოლიტიკური კურსის განსაზღვრაშიც კი მიაღებინონ მონაწილეობა. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალზე მაღალია ჯგუფური აქტივობის დონე, ისიცაა რომ იქაურ პოლიტიკური კულტურა აუცილებლად მიიჩნევს კერძო ჯგუფების აზრს მოსმენას და ამის კონსტიტუციური გარანტიებიც არსებობს — სიტყვის პრესის, თუ შეკრებების თავისუფლების სახით. იაპონიაში კი, სადაც განსხვავება საჯარო და კერძო სფეროებს შორის საკმაოდ ბუნდოვანია, იმგვარ პოლიტიკური კულტურა ჩამოყალიბდა, რომელიც როგორც ადრეულ, ასევე თანამედროვე დემოკრატიულ პირობებშიც ერთნაირად ბუნებრივად მიიჩნევს მჭიდრო კავშირის არსებობას ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის.

მონიზმი:

მხოლოდ ერთადერთი თეორიისა თუ ფასეულობის მართებულობის რწმენა; პოლიტიკურად მისი გამოვლინება იძულებითი მორჩილებაა უნიტარული ძალაუფლებისადმი და შესაბამისად, ეს მოძღვრება იმთავითვე ტოტალიტარული ბუნებისაა.

ამის საპირისპიროდ, ზოგიერთ ვეროპულ სახელმწიფოში ეკვლით უკუჩვენებენ ნებისმიერი ორგანიზებული ინტერესის გამოვლინებას ამის ტრადიციული მაგალითია საფრანგეთი, სადაც იაკობინური იდეოლოგია ის გავლენით, ჯგუფებს ყოველთვის ხალხის "საერთო ნების" და ფრანგულ სახელმწიფოს სიძლიერისა და ერთიანობისათვის საფრთხედ აღიქვამდნენ ასე მაგალითად, 1975 წელს, თავისი მაქსიმალური აქტიურობის პერიოდში

ა. ფრანგი მუშახელის მხოლოდ 24% იყო ორგანიზაციულად გაერთიანებული, ხოლო 1989 წლისთვის ეს მონაცემი სულაც 13%-მდე დავიდა. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ფრანგული პოლიტიკური კულტურისათვის მეტად დამახასიათებელია "ბარიკადებზე ბრძოლის" ტრადიცია: ასე მოხდა, როცა ფერმერებმა ბეტონის ფილებითა და საბარგო მანქანებით გადაკეტეს პარიზის ქუჩები, ანდა როცა აჯანყებული სტუდენტობა და პროფკავშირული აქტივისტები მოედნენ ქლაქს 1968 წელს.

ინტერეს-ჯგუფთა საქმიანობის თვალსაზრისით, უადრესად მნიშვნელოვანია ხელისუფლების ინსტიტუციონალური აგებულება, ვინაიდან სწორედ ეს განსაზღვრავს, რამდენად მაღალი იქნება პოლიტიკურ პროცესში თანამონაწილეობის ხარისხი. გაერთიანებული სამეფოს ტიპის უნიტარული და ცენტრალიზებული პოლიტიკური სისტემები, როგორც წესი, ჯგუფური პოლიტიკის მასშტაბის შეკვეცას ცდილობენ და მის თაემოყრას ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს ირგვლივ. მართალია, ამის შედეგად ჯგუფები არც მთლად სიმბოლური ფუნქციის მატარებელი ხდებიან, მაგრამ რაკილა აქცენტი მაინც "შიდა" ჯგუფებზე გადააქვთ, ამით ხელისუფლებას მეტი არჩევანი რჩება, გაუწიოს თუ არა ანგარიში ჯგუფური პოლიტიკის წინეს. ეს ყველაზე ნათლად გამოჩნდა 80-იან წლებში, ტეტერის მმართველობის დროს, როდესაც კორპორატიული ორგანიზაციების გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდა და ტრედ-უნიონებიც პოლიტიკოსთა ხუმტურებს დაემორჩილნენ.

მეორეს მხრივ, ამერიკაში ხელისუფლება დანაწილებული და დეცენტრალიზებულია. ეს მის ორპალატიანობაშიც გამოიხატება, უფლება-მოსილებათა გამიჯვნაშიც, ფედერალიზმშიცა და საკონსტიტუციო შესწორებების პრაქტიკაშიც. ყოველივე ეს ინტერეს-ჯგუფებს პოლიტიკურ პროცესთან შეხების მეტ წერტილებს უტოვებს და შესაბამისად, ამერიკული სისტემაც გამორჩეულად დაუცველია ჯგუფური წნების ზეგავლენისაგან. ასე მაგალითად, ნებისმიერი ჯგუფი დარწმუნებულია რომ კონგრესთან "ბრძოლის წაგების" მიუხედავად, პოზიციების აღდგენა მათ ფედერალური თუ ადგილობრივი სასამართლოების მეშვეობით შეუძლიათ. და მაინც, თუკი ამგვარი ვითარება, ერთის მხრივ, მეტი და მეტი ჯგუფების გაჩენას უწყობს ხელს და გავლენიანი ჯგუფების რაოდენობასაც ზრდის, მეორეს მხრივ არსებობს თვითგანადგურების საფრთხეც, როდესაც ჯგუფებმა, საბოლოოდ, შესაძლოა ერთერთის აქტიუობა გააბათილონ და ერთ მშვენიერ დღეს იქნებ მხოლოდ ვეტოს უფლების მქონე დაჯგუფებებად იქცენ.

ურთიერთობა პოლიტიკურ პარტიებსა და ინტერეს-ჯგუფებს შორის მუდამ რთულია და არაერთგვაროვანი. ზოგჯერ ისინი ამკარა მეტოქეებადაც კი გვევლინებიან. თუკი პარტიები ცდილობენ ინტერესთა შეჯვრებას და ჩვეულებრივ, ზოგადი იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე ქმნიან პოლიტიკურ პროგრამებს, ინტერეს-ჯგუფები ყურადღებას საკითხთა უფრო სპეციფიურ და ვიწრო სპექტრზე ამახვილებენ ხოლმე. და მაინც, ინტერეს-ჯგუფები ხშირად ცდილობენ როგორც პარტიების მეშვეობით საკუთარი გავლენის გაერცელებას, ასევე პოზიციების გამაგრებას თავად ამ პარტიების შიგნით, და ახალ პარტიებსაც კი ქმნიან უშუალოდ ხელისუფლებაში

14. ჯგუფები, ინტერესები და სოციალიზაციური მოძრაობები

მოსვლის მიზნით. არაერთი სოციალისტური მიმართულების პარტია — ვთქვათ, ბრიტანული ლეიბორისტული — შექმნილა პროფესიული კავშირების მიერ, და ეს ინსტიტუციური თუ ფინანსური ურთიერთობები, თუმცა კი სახეცვლილი, დღემდე არსებობს.

ინტერეს-ჯგუფთა პოლიტიკის თავისებურებებზე ასევე ახდენს გავლენას პარტიული სისტემები. მაგალითად, წამყვან პარტიათა სისტემებში ბუნებრივად ჩნდება ჯგუფური პოლიტიკის ფოკუსირება მმართველ პარტიაზე — წამყვანი ინდუსტრიული თუ კომერციული მთავარძეგები იტალიასა და იაპონიაში სწორედ ქრისტიან-დემოკრატიულ თუ ლიბერალ-დემოკრატიულ მემკვიდრეობით ცდილობენ საკუთარი ინტერესების ლობირებას. მეორეს მხრივ, მრავალპარტიულ სისტემებში გაცილებით უფრო ნოყიერი ნიადაგია ინტერეს-ჯგუფთა საქმიანობისათვის, ვინაიდან ხელისუფლებასთან შეხების მეტი საშუალება ჩნდება. ყველაზე დიდი საკანონმდებლო გავლენა ინტერეს-ჯგუფებს, ალბათ, ა.შ.შ.-ს ტიპის პარტიულ სისტემებში გააჩნიათ, რამდენადაც — როგორც ორგანიზაციული, ასევე დისციპლინარული თვალსაზრისითაც — პოლიტიკური პარტიები იქ მოიკოჭლებენ. ეს კარგად გამოჩნდა XX საუკ. 70-იანი წწ. ბოლოს, როდესაც გარკვეულმა ბიზნეს-ინტერესებმა წარმატებით მოახერხეს პრეზიდენტ კარტერის ენერგეტიკული პროგრამის "ჩაგდება", მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენლობით პალატაშიც და სენატშიც უმრავლესობას დემოკრატები შეადგენდნენ.

და ბოლოს, ჯგუფური აქტივობის ხარისხი იმისდა მიხედვით მერყეობს, თუ საით იხრება საჯარო პოლიტიკა; კერძოდ, რამდენად აქტიურად ერევა სახელმწიფო ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. როგორც წესი, ინტერვენციონიზმი (ანუ, სახელმწიფოს ჩარევა) და კორპორატივიზმი წვეილად მოქმედებენ, თუმცა საკამათია, რომელი რომელს განაპირობებს. როგორც არ უნდა იყოს პასუხი, ერთი ცხადია: დასავლურ სახელმწიფოთა შორის, ორგანიზებულ, კერძოდ კი ფუნქციონალურ ინტერესთა ჩართვა სოციალურ ცხოვრებაში ყველაზე მაღალი დონით იქ ხდება, სადაც პოლიტიკური ვექტორი სოციალ-დემოკრატიისაკენ იხრება და ამის კლასიკური მაგალითი შვედური მოდელია: აქ ინტერეს-ჯგუფები პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა — ჩამოყალიბდა ძალზე მჭიდრო, თითქმის ინსტიტუციონალური ურთიერთკავშირი პროფკავშირებსა და სოციალ-დემოკრატიულ შრომის პარტიას შორის. კორპორატიული წარმომადგენლობითობის მსგავსი ნიმუში შეიქმნა ავსტრიის "საპალატო" სისტემაშიც, რაც ოფიციალურ წარმომადგენლობას უზრუნველყოფს ძირითადი ინტერეს-ჯგუფებისათვის, რომლებიც ვაჭრობის, სოფლის მეურნეობისა და დასაქმების სფეროებს წარმოადგენენ; გერმანიაშიც, მთავარი ეკონომიკური ჯგუფები იმდენად არიან ჩართულნი სოციალურ პოლიტიკის განსაზღვრის საქმეში, რომ იქაური სისტემა "პოლიარქიულ ელიტიზმად" კი მოიაზრება.

ინტერვენციონიზმი:

ხელისუფლების პოლიტიკა, მიმართული ეკონომიკის მაქსიმალურად კონტროლირებისა და მართვისაკენ; უფრო ზოგადი გაგებით, "სხვის საქმეში ჩარევის პოლიტიკა."

როგორ აფართოებენ ჯგუფები საკუთარ გავლენას?

ინტერეს-ჯგუფებს ტაქტიკისა და პოლიტიკური სტრატეგიის დიდი არსენალი გააჩნიათ, ხოლო კონკრეტულად რა სამოქმედო გეზს აირჩევენ, ეს უკვე რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, ორგანიზაცია *სამოქალაქო თავისუფლებათა ეროვნული საბჭო* მუდმივად ზრუნავს "შიდა" ჯგუფის სტატუსის შენარჩუნებაზე, და საამისოდ ყურადღებას საკუთარ სპეციალისტთა პროფესიონალიზმსა და პოლიტიკურ "წონაზე" ამახვილებს. სწორედ ამა თუ იმ ჯგუფის პროფილი და მის ხელთ არსებული რესურსები განსაზღვრავს, საბოლოო ჯამში, მის პოლიტიკურ სტრატეგიას. ამ რესურსთა შირის საყურადღებოა:

- ◀ თავად ჯგუფისა თუ მისი მიზნებისადმი საზოგადოების თანაგრძნობა
- ◀ წვერთა რაოდენობა და წრე
- ◀ ფინანსური და ორგანიზაციული შესაძლებლობები
- ◀ უნარი, გარკვეული სანქციები გამოიყენოს ხელისუფლების გადაწყვეტილებათა გადასასინჯად
- ◀ პირადი თუ ინსტიტუციონალური კავშირები პოლიტიკურ პარტიებთან თუ სახელისუფლებო ორგანიზაციებთან.

ბიზნეს-ჯგუფები უფრო ხშირად ქირობენ ხოლმე პროფესიონალ ლობისტებს და ძვირადღირებულ პიარ-კამპაინებსაც მიმართავენ, ვიდრე ვთქვათ, პროფკავშირები ან მომხმარებელთა ჯგუფები — რადგან მათ, უბრალოდ, მეტი ფინანსური სახსრები გააჩნიათ. მაგრამ ინტერეს-ჯგუფთა მიერ გამოყენებული მეთოდები იმ არხებზეცაა დამოკიდებული, რითაც ისინი საკუთარი გავლენის გაფართოებას ცდილობენ. მათ შორის უმთავრესია:

- ◀ ბიუროკრატია
- ◀ საკანონმდებლო ორგანოები
- ◀ სასამართლოები
- ◀ პოლიტიკური პარტიები
- ◀ მას-მედია
- ◀ ზეეროვნული ორგანიზაციები

ნებისმიერ სახელმწიფოში, ინტერეს-ჯგუფები ცდილობენ საკუთარი აქტივობა ბიუროკრატისაკენ მიმართონ, რამდენადაც სწორედ იგი წარმოადგენს პოლიტიკის "კეთების" უმთავრეს ინსტიტუტს. უფრო ხშირად, მოლაპარაკებების პროცესი არაფორმალური, თუმც კი ინსტიტუციონალიზებულია; ამგვარი ურთიერთობანი კი ნაკლებად მუქდება და შესაბამისად, ფართო საზოგადოებისთვის გაუმჭვირვალეა.

მოლაპარაკების მაგიდასთან, ჩვეულებრივ, მაღალი რანგის ჩინოსნები და წამყვანი ბიზნეს თუ ინდუსტრიული ინტერეს-ჯგუფების ხელმძღვანელები სხდებიან ხოლმე. ბიზნეს-ჯგუფთა ინტერესი კი ეკონომიკაში წამყვანი მდგომარეობის მოპოვებაა — უმაღლეს ჩინოსნებთან უშუალო კონტაქტების მეშვეობით. თანდათანობით ეს გარკვეულ რწმენასაც

14. ჯგუფები, ინტერესები და სზოგადოებრივი მოძრაობები

ლობი, ლობირება
 ლობირება ნიშნავს საკუთარი წარმომადგენლის მეშვეობით პოლიტიკოსს საკუთარი მოსაზრებები თუ მოთხოვნა მიაწოდო. თავად ცნება "ლობი" კი, ფართო გაგებით, იგივე ინტერეს-ჯგუფია, რამდენადაც ისიც საჯარო პოლიტიკაზე ზემოქმედებას ისახავს მიზნად. ამის მაგალითებია ფერმერთა ლობი, გარემოს დამცველთა ლობი და სხვ. უფრო ვიწრო აზრით, კონკრეტულად ამერიკული პრაქტიკის გათვალისწინებით, ლობისტი — პროფესიონალი "მომგვარებელია", ვისაც ინტერეს-ჯგუფები თავიანთი მიზნების მისაღწევად ქირაობენ. თუმცა, ამ საქმიანობას ბევრი აკრიტიკებს კიდევ — ასე ვთქვათ, პოლიტიკური გავლენით "ვაჭრობის" გამო.

ბადებს, რომ რაც კარგია, ვთქვათ, ინვესტორისთვის ან მეწარმისთვის, უცილობლად კარგია სახელმწიფოსთვისაც (შდრ. ცნობილი გამონათქვამი: "თუ იგებს ჯენერალ მოტორსი, ამერიკაც მოგებულნი რჩება"). ამგვარ ურთიერთობათა შედეგია სწორედ ე.წ. "ესკალატორის" პრინციპი, როცა ბიუროკრატები პენსიაზე გასვლის შემდეგ, მაღალ-ანაზღაურებად პოსტებს იკავებენ კერძო ბიზნეს-კომპანიებში. იაპონიაში, მაგალითად, მსგავსი პრაქტიკა უკვე წესადაა ქცეული და საგანგებო სახელიც კი მოუგონეს ამაკუდარი რაც სიტყვა-სიტყვით, "ზეციდან დაშვებას" ნიშნავს.

საკუთარი გავლენის გაფართოება საკანონმდებლო ორგანოს მეშვეობით, რასაც ხშირად "ლობირებას" უწოდებენ, ინტერეს-ჯგუფთა აქტიურობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. უკანასკნელ ხანს ამ სახელწოდების პროფესიაც კი გაჩნდა და 1990 წელს 11 000 ოფიციალურად რეგისტრირებული ლობისტი არსებობდა ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში. ამ თვალსაზრისით, საკანონმდებლო ორგანოს მნიშვნელობა ორ ფაქტორზე დამოკიდებულია: რა როლს თამაშობს იგი პოლიტიკურ სისტემაში და რა დონით განსაზღვრავს პოლიტიკურ კურსს; და მეორე — რამდენად ძლიერი და დისციპლინირებულია პარტიული სისტემა. ამერიკული კონგრესის კონსტიტუციონალური დამოუკიდებლობა და ძლიერი საკომიტეტო სისტემა, ისევე როგორც პარტიათა დეცენტრალიზებული ხასიათი, შეასძლებლობას იძლევა ჯგუფებმა საკუთარი მიზნებისთვის უფრო იოლად "დაიქირაონ" საკანონმდებლო ორგანოს წევრები. ეს, ძირითადად, სააარჩევნო კამპანიების დროს, ფინანსური დახმარებების გაწევით ხორციელდება. თუმცა, 90-იან წლებიდან, საარჩევნო კამპანიის ფინანსირების კანონების გამკაცრების შედეგად, ოფიციალურად შეწირული თანხები შემცირდა და გაიზარდა არაპირდაპირი და შემოვლითი დოტაციების ხვედრითი წილი.

პოლიტიკური "ბადებები", ინსტიტუციონალიზებული კავშირების მეშვეობით, კანონმდებლებსა (ძირითადად, კომიტეტების ხელმძღვანელებს) და ინტერეს-ჯგუფებს შორის იხლართება. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს ქმნის ე.წ. "რკინის სამკუთხედს" (მესამე კუთხედ აქ აღმასრულებელი ორგანოები მოიაზრება) და მთელ საშინაო პოლიტიკასაც სწორედ იგი განსაზღვრავს. საკანონმდებლო ორგანოზე გადატანილი ლობისტური საქმიანობა ნაკლებად ინტენსიურია ვთქვათ, კანადასა თუ გაერთიანებულ სამეფოში, სადაც პარტიული დისციპლინაც ძლიერია და პარლამენტების როგორც წესი, აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლქვეშ ექცევიან.

იმ სისტემებში, სადაც სასამართლოები მხოლოდ კანონმდებლობის უკვე მკაცრად დადგენილ ჩარჩოებში უნდა დარჩნენ, ინტერეს-ჯგუფთა ყურადღება მართლმსაჯულების ორგანოების მიმართ მინიმალურია; ხოლო იქ სადაც დაწერილი კონსტიტუციები არსებობს და მოსამართლეები კანონის რევიზიის უფლებით არიან აღჭურვილნი (როგორც მაგალითად, ავსტრალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში) სასამართლო სისტემებში ინტერეს-ჯგუფთა განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევიან. ა.შ.შ.-ში არაერთი მაგალითი არსებობს, როდესაც სასამართლოებმა სწორედ ინტერეს-ჯგუფების აქტიურობისა და ზეწოლის შედეგად, ამა თუ იმ კანონის კონსტიტიციურობა ან უარყვეს, ანდა პირიქით — დაადასტურეს (მაგ. 1954

ანტიკონსტიტუციურად გამოცხადდა რიგი სეგრეგაციული კანონებისა; ხოლო 80-იან წწ. აბორტის მოწინააღმდეგეთა ლობიმ უმაღლეს სასამართლოს მთელი ბრძოლა გაუმართა 1974წ. მიღებული კანონის გასაუქმებლად).

ინტერეს-ჯგუფთა გავლენა ხშირად პოლიტიკური პარტიების მეშვეობითაც ხორციელდება. ზოგჯერ პარტიები და ჯგუფები იმდენად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, რომ უფრო ერთი და იგივე საზოგადოებრივი მოძრაობის ორ განშტოებას ემსგავსებიან ხოლმე (მაგ., ქრისტიან-დემოკრატიული პარტიები ცენტრალურ ევროპაში უფრო ფართო, კათოლიკურ მოძრაობის განხრად შეგვიძლია მივიჩნიოთ). სხვა შემთხვევებში, მათი ურთიერთობა უფრო პრაგმატული შეიძლება იყოს: საარჩევნო კამპანიების დაფინანსება, მაგალითად, პირდაპირ ასახავს ცნობილი გამონათქვამის მართებულობას: ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკეთავსო. მთელ მსოფლიოში, კონსერვატიულ თუ მემარჯვენე ვადის პარტიებსა და კანდიდატებს მეტწილად დიდი ბიზნესები აფინანსებენ; სოციალისტურ თუ მემარცხენე პარტიებს კი — შრომელთა ორგანიზებული ჯგუფები უჭერენ მხარს. ასე მაგალითად, ჯორჯ ბუშის მეორედ არჩევა 2004 წელს, არა მარტო ისტორიულად ყველაზე ძვირადღირებული კამპანია იყო, არამედ ფინანსური დოტაციების მხრივ ყველაზე წარმომადგენლობითიც. თუმცა, ჯგუფებმა შესაძლოა თავიც შეიკავონ პარტიებთან მეტისმეტად დაახლოებისაგან: თუ "მათქ პარტია ოპოზიციაშია, არსებულმა ხელისუფლებამ ვაითუ ამრუხით შეხედოს მათ ინტერესებს. მეორეს მხრივ, ზოგჯერ თავად პარტიები ცდილობენ ინტერეს-ჯგუფებისაგან დისტანცირებას: 90-იან წწ. დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტია ცდილობდა "პროფკავშირთა ჯიბის პარტიის" იმიჯისაგან განთავისუფლებულიყო და ბიზნეს წრეებთან გაება კავშირები — იდეოლოგიურად საკუთარი ცენტრისტული პოზიციების დასაფიქსირებლად.

ჯგუფები, რომლებიც არაპირდაპირი გზებით — მას-მედიისა და პიარ-კამპანიების მეშვეობით ცდილობენ ხელისუფლებაზე ზემოქმედება იქონიონ — განსხვავებულ მეთოდებს მიმართავენ ხოლმე. ამ დროს მათი ტაქტიკა ქმედებათა ძალზე ფართო სპექტრს მოიცავს — პეტიციებით, საპროტესტო აქციებითა და დემონსტრაციებით დაწყებული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობითა თუ თვით ძალადობრივი ფორმების გამოყენებითაც კი. ამის ერთი მიზეზი შესაძლოა ჯგუფის გარე სტატუსიც იყოს, როცა მას სხვანაირად პოლიტიკურ პროცესებზე ხელი არ მიუწვდება, ანდა თავად ჯგუფის იდეოლოგიური მიზნები გულისხმობდეს მსგავს სტრატეგიას. ტრადიციულად, პოლიტიკის ამგვარი ფორმა დამახასიათებელი იყო პროფესიული კავშირებისათვის, რომლებიც ძალის დემონსტრირებას გაფიცვებით, პიკეტებითა და მსვლელობებით ახდენდნენ.

თუმცა, XX საუკ. 60-იანი წწ. საინიციატივო და მიზნობრივი ჯგუფების განუხრელმა მატებამ, აქტიური პოლიტიკის ახლებური სტილიც დანერგა, რასაც ფართოდ იყენებენ მშვიდობის, გარემოს, ცხოველთა უფლებების დაცვის და სხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციები. ამგვარი ჯგუფების საერთო მიზანია როგორც მედიის ყურადღების მიპყრობა, ასევე საზოგადოე-

14. ჯგუფები, ინტერესები და სზოგადოებრივი მოძრაობები

სამოქალაქო

დაუმორჩილებლობა

ეს იმგვარი ქმედებაა, როცა სარწმუნოებრივი, ზნეობრივი თუ პოლიტიკური პრინციპების მოშველიებით, კანონის დარღვევა სურთ. ესაა ღია და საჯარო აქცია და კანონის დარღვევა თვითმიზანი კი არა, უკიდურესი აუცილებლობაა, მოსალოდნელი სასჯელის მიუხედავად. სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ზნეობრივი ხასიათი კარგად ჩანს ძალადობაზე უარის თქმით, რისი კლასიკური მაგალითიცაა განდისეული (1869-1948) სატიკრაპა — სიტყვა-სიტყვით: "სიმართლის დაფინება", ანუ არაძალადობრივი წინააღმდეგობა. სამოქალაქო დამოურჩილებლობის სხვა თვალსაჩინო მომხრეთა შორის უნდა ვახსენოთ დ. პ. თორო (1817-62) და მარტინ ლუთერ კინგი (1929-68).

ბის გათვითცნობიერებაცა და მიმხრობაც. ასე მაგალითად, "გრინფისმა" და "დედა-პლანეტის მეგობრებმა" უშრეტი ფანტაზია გამოავლინეს იმ საპროტესტო აქციების დაგეგმვის თვალსაზრისით, რაც ბირთვული იარაღის გამოცდის, ჰაერის დაბინძურების, ტყეების გაჩეხვის და ენერჯის ერთჯერადი წყაროების გამოყენების წინააღმდეგ იყო მიმართული.

XX საუკ. ბოლო ათწლეულებიდან, ინტერეს-ჯგუფთა აქტიურობა სულ უფრო მეტად ეხმიანება გლობალიზაციის პროცესს და ზე-ეროვნული ორგანიზაციების გაძლიერებას. თანამედროვე ტენდენციებს ყველაზე უკეთ გარემოს დამცველმა ორგანიზაციებმა აუწყვეს ფეხი, რომელთაც ტრანსნაციონალური სტრუქტურები ჩამოაყალიბეს და მხარდამჭერები მსოფლიოს ყველა კუთხეში შეიძინეს. "გრინფისმა", მაგალითად, დაარსების დღიდან (1971) საკუთარი ოფისები 30-ზე მეტ სახელმწიფოში დაარსა და მისი წლიური შემოსავალი უკვე 50 მლნ. დოლარს შეადგენს. ამგვარი ცნობილი "არასამთავროებო" უკვე ყველგან ეწვეიან ლობისტურ საქმიანობას, თვით გაეროსა და ევროკავშირის ჩათვლით.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შექმნილმა ინტერეს-ჯგუფებმა ის ფაქტიც მშვენივრად გაათვითცნობიერეს, რომ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები ძალზე ბევრ სფეროში უკვე არა რომელიმე სახელმწიფოს, არამედ სწორედ ევროკავშირის ინსტიტუტების დინეზე მიიღება. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს ტრედ-უნიონისტულმა მოძრაობამ სახელმწიფოებრივ დონეზე საკუთარი პოზიციების შესუსტების კომპენსირება ევროკავშირის ინსტიტუტებში გააქტიურებით სცადა და სწორედ იქ წამოიწყო ბრიტანელ მშრომელთა სოციალური უფლებების დასაცავი კამპანიები.

საზოგადოებრივი მოძრაობები

საზოგადოებრივი მოძრაობების გაჩენა XIX საუკ. დასაწყისს უკავშირდება და მათ სათავედ ის ლეიბორისტული კამპანიები შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომლებიც მზარდი მუშათა კლასის პირობების გაუმჯობესებას ისახავდნენ მიზნად; სწორედ ამავე დროს ჩაეყარა საფუძველი სხვადასხვაგვარ ეროვნულ მოძრაობებსაც, რომლებიც, როგორც წესი, მრავალეროვნულ ევროპულ იმპერიებში დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ. ცენტრალურ ევროპაში გაჩნდა კათოლიკური მოძრაობაც. XX საუკუნეში, ჩვეულებრივ, ფაშისტურ და მემარჯვენე ყაიდის ავტორიტარულ ჯგუფებსაც უფრო "მოძრაობებო" განიხილავდნენ, ვიდრე პოლიტიკურ პარტიებად - ამ ცნების კლასიკური გაგებით.

საზოგადოებრივი მოძრაობა

ესაა ერთობლივი მოქმედების კონკრეტული ფორმა, როდესაც საქმიანობის მოტივაცია უპირატესად ამა თუ იმ მოძრაობის წევრთა შინაგანი მოთხოვნებით აიხსნება. ამგვარ მოძრაობებს არ ახასიათებთ მკაცრი ორგანიზაციული ჩარჩოები და წევრობაც ნებაყოფლობითი და არაფორმალურია. ამჟებ დროს, საზოგადოებრივი მოძრაობები განსხვავდება სპონტანური, მასობრივი აქციებისაგან (ჯანყისა თუ ქუჩის აქციებისაგან), რამდენადაც მიზანმიმართულ და დაგეგმილ ქმედებებს გულისხმობს — დასახული საზოგადოებრივი მიზნის მოსაღწევად. არცთუ ისე იშვიათად, საზოგადოებრივი მოძრაობები ინტერეს-ჯგუფებსაც აერთიანებენ და შესაძლოა, პოლიტიკური პარტიებიც კი "ჩაითრიონ". ასე მაგალითად, პროფკავშირები და სოციალისტური პარტიები შეიძლება უფრო ფართო, მშრომელთა მოძრაობის შემაღგენელ ნაწილად მივიჩნიოთ.

ახალი საზოგადოებრივი მოძრაობები

რითაა "ახალმ" XX საუკ. ბოლო ათწლეულებში შექმნილი საზოგადოებრივი მოძრაობები? უპირველეს ყოვლისა, თუკი მათი წინამორბედები ჩაგრულთა და უუფლებოთა დასაცავად ირაზმებოდნენ, თანამედროვე საზოგადოებრივი მოძრაობები, ძირითადად, ახალგაზრდა, განათლებულ და შედარებით შეძლებულ ხალხს აერთიანებენ. ეს უშუალო კავშირშია მეორე განსხვავებასთანაც: ეს ახალი მოძრაობები ხაზგასმულად პოსტმატერიალისტური მიმდინარეობისაა — მათ არა იმდენად სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება აინტერესებთ, რამდენადაც "ცხოვრების ხარისხის" საკითხი.

ახალი მემარცხენობა

"ახალი მემარცხენობა" იმ თეორეტიკოსებსა და ინტელექტუალურ მოძრაობებს აერთიანებს, რომლებიც სოციალისტური მსოფლმხედველობისთვის ახალი ძალის შთაბერვას ცდილობენ და განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებას რადიკალურად აკრიტიკებენ. ამ მიმართულებამ უარყო ძველი მემარცხენეობის ორივე ალტერნატივა — საბჭოური ტიპის სახელმწიფო სოციალიზმიცა და დერადიკალიზირებული დასავლური სოციალური დემოკრატიაც. ახალი მემარცხენეობის თეორია ხშირად საკმაოდ არაერთგვაროვანია, რამდენადაც ერთდროულად განიცდის ადრეული მარქსის, ანარქიზმისა და ფენომენოლოგიისა და ეგზისტენციალიზმის რადიკალური ფორმების ზეგავლენას. თუმცა, რამდენიმე ფუნდამენტური მოსაზრება მაინც ზოგადი მახასიათებელია ახალი მემარცხენეობისათვის — ის ნებისმიერ "სისტემაში" ჩაგვრის იარაღს ხედავს, პირთნულ დამოკიდებულებას და თვითრეალიზებას ქადაგებს, უარს ამბობს იმ ილუზიაზე, რომ მუშათა კლასი რევიოლუციური ძალაა და უპირატესობას დეცენტრალიზებულ და წარმოამდგენლობით დემოკრატიას ანიჭებს.

14. ჯგუფები, ინტერესები და საზოგადოებრივი მოძრაობები



ნაომი კლაინი

(დაიბ. 1970)

კანადელი ჟურნალისტი, მწერალი და აქტიური ანტიკორპორატივისტი. იგი მკაცრად აკრიტიკებს "ამერიკული ცხოვრების წესის" თავსმოხვევას, ამხელს თანამდებობრივი შევიწროების ფაქტებს, და იკვლევს წინააღმდეგობის იმ ახლად გაჩენილ ფორმებს, რაც გლობალიზაციამ და კორპორაციების გაბატონებამ მოიტანა შედეგად. კლაინი ცნობილი ტელეკომენტატორია და მას ხშირად ნახვით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში,

სადაც მუდმივად მონაწილეობს ანტიკორპორატიულ აქციებსა თუ გლობალიზაციის უარყოფითი ტენდენციების წინააღმდეგ გამართულ კამპანიებში. მისი გახმაურებული ნაშრომია "ყრუ კედლები და ღია სარკმელები" (2002).

ასე მაგალითად, ქალთა მოძრაობები ერთის მხრივ, თანაბარი ანაზღაურებისა და შესაძლებლობების მატერიალურ თემებს კი უტრიალებენ, მაგრამ ეს პრობლემებიც ღირებულებათა უფრო ფართო სპექტრიდან მომდინარეობს, სადაც უმთავრესი სქესთა შორის თანასწორობა და პატრიარქალურობის წინააღმდეგ ბრძოლაა. და მესამეც: ტრადიციულ მოძრაობებს ცოტა ჰქონდათ საერთო და იშვიათად იბრძოდნენ მხარდამხარ; "ახალ" მოძრაობები კი უპირატესად ზიარი იდეოლოგიის ერთ ჩარჩოში მოიაზრებიან.

ფართო გაგებით, მათი იდეოლოგიური პლატფორმა ახალ მემარცხენეობასთანა დაკავშირებული: ისინი გაბატონებულ საზოგადოებრივ მიზნებსა და პოლიტიკის დადგენილ წესებს უპირისპირდებიან და უმთავრესად, ისეთ ლიბერტარიანულ მისწრაფებებს აღიარებენ, როგორცაა პირიქული სრულყოფა და თვითგამოხატვა. ამიტომ ალბათ გასაკვირიც აღარაა ის საერთო სიმპათია და ერთდროულად ისეთი განსხვავებული ორგანიზაციების წევრობა, როგორებიც ვთქვამთ, ქალთა, გარემოს, ცხოველთა უფლებების, მშვიდობის დაცვის, ანტი-კაპიტალისტური თუ ანტი-გლობალისტური მოძრაობებია.

ახალი საზოგადოებრივი მოძრაობები იმითაც განსხვავდებიან წინამორბედებისაგან, რომ მათი ორგანიზაციული სტრუქტურა დეცენტრალიზაციითა და ერთობლივი გადაწყვეტილებებით გამოირჩევა, რაც პოლიტიკური აქტივობის ახალ ფორმებსაც აჩენს, ე.წ. "ახალი პოლიტიკის" სტილს, ეს კი ჩამოყალიბებული პარტიებისაგან, ინტერეს-ჯგუფებისაგან და წარმომადგენლობითი პროცესებიდან გამიჯვნას და უფრო ახლებური, მეტად თეატრალიზირებული, სანახაობრივი საპროტესტო ფორმებისკენ გადახრას ნიშნავს. ხშირად უწესრიგობებში გადაზრდილი ეს მანიფესტაციები დამახასიათებელია როგორც გარემოს დამცველთა, ასევე ეთნიკური, ნაციონალისტური, ანარქისტული და სხვადასხვა რევოლუციური თუ სოციალისტური ჯგუფებისათვის, რომლებიც ურთიერთკავშირის მთავარ საშუალებად დღეს ინტერნეტსა და მობილურ კავშირებს იყენებენ. თავად ანტი-გლობალისტური იდეები განსაკუთრებით კარგად გაახმოვანეს ნოამ ხომსკიმ და ნაომი კლაინმა.

საქმიანობის ახალი სტილით გამორჩეულმა "ახალმა" საზოგადოებრივმა მოძრაობებმა მნიშვნელოვნად შეცვალა შეხედულება თავად ამ ფენომენის ხასიათის თაობაზე. ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში, ტოტალიტარული გამოცდილების გათვალისწინებამ, **მასობრივი საზოგადოების** მკვლევარებს — ერის ფრომსა (1900-80) თუ ჰანა არენდტს საფუძველი მისცა საკმაოდ კრიტიკულად შეფასებინათ ამგვარი მოძრაობების როლი. სწორედ მასიური საზოგადოების გადასახედიდან, საზოგადოებრივი მოძრაობები "თავისუფლებისაგან გაქცევის" (ფრომი, 1941) სურვილის მანიშნებელნი არიან და ესაა სწორედ გაუცხოებულ ინდივიდთა მცდელობა, უსაფრთხოებისა და პიროვნულობის განცდა, იდეის ერთგულებითა და როგორც წესი, ფაშისტური ყაიღის ლიდერისადმი მორჩილებით შეიძინონ. ჟოველივე ამის საპირისპიროდ, ახალი საზოგადოებრივი მოძრაობები იმ რაციონალურ და მოწესრიგებულ სუბიექტებად განიხილება, რომლებიც, ხსნა რესურსების არქონის გამო, არაფორმალურ და არასაყოველთაოდ მიღებულ ხერხებს ეტანებიან (მაკარტი და ზალდი, 1973). ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ახალი საზოგადოებრივი მოძრაობების გაჩენა ნათლად ადასტურებს, რომ **პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებებში** ძალაუფლება სულ უფრო და უფრო მეტად ქუცმაცდება და ნაწევრდება. შესაბამისად, ძველი დროის კლასებზე დამყარებული პოლიტიკა ახლა ახალ, "დემოკრატიულ პლურალიზმზე" აღმოცენებულ პოლიტიკას უთმობს ადგილს.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ საზოგადოებრივ მოძრაობათა შეფასება ბევრად ძნელია, ვიდრე პოლიტიკური პარტიებისა თუ ინტერეს-ჯგუფების. ეს ალბათ იმიტომ, რომ მათ უფრო ფართო მიზნები ამოძრავებთ და ზოგჯერ საკუთარ გავლენასაც ნაკლებად გააზრებული სტრატეგიის მეშვეობით აფართოებენ. და თუმცა კი საერთაშორისო სახელისუფლებო სამიტების მშვიდობიანად ჩათაყვება ბევრად გართულდა, დაბეჯითებით არც იმის თქმა შეიძლება, თითქოსდა მთავრობებს თუ წამყვან პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივი მოძრაობების გავლენით, ბევრად შეეცვალათ პოზიციები უმთავრეს (ვთქვათ, თავისუფალი ვაჭრობისა ან ეკონომიკის დარეგულირების) საკითხებთან დაკავშირებით.

მასობრივი

საზოგადოება:

ესაა საზოგადოება, რომელსაც კულტურული და პოლიტიკური ფესვების არარსებობა ახასიათებს; თავად კონცეფცია კი ხაზს უსვამს თანამედროვე საზოგადოებებში გაჩენილ პესიმისტურ ტენდენციებს.

პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოება:

საზოგადოება, რომელიც უკვე აღარაა დამოკიდებული მანუფაქტურულ წარმოებაზე, და ცოდნასა და კომუნიკაციებზე აკეთებს აქცენტს; იგივე ინფორმაციული საზოგადოება.

შეჯამება

« ინტერეს-ჯგუფი ადამიანთა ის ორგანიზებული გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს ზეგაყენა მოახდინოს ხელისუფლების პოლიტიკასა და ქმედებებზე. სექტორიული ჯგუფები გამოხატავენ და იცავენ საკუთარი წევრების (როგორც წესი, მატერიალურ) ინტერესებს, ხოლო საინიციატივო ჯგუფებს ერთნაირი ღირებულებების, იდეალებისა თუ პრინციპების თანაზიარობა ამთლიანებს. შიდა ჯგუფებს პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობის პრივილეგირებული უფლება ეძლევათ, მაშინ როცა გარე ჯგუფებს ნაკლებად აქვთ შესება ხელისუფლებასთან და იძულებულნი ხდებიან, "ხალხში გავიდნენ".

« ჯგუფური პოლიტიკის რაობა სხვადასხვაგვარად ესმით ხოლმე: პლურალიზმი ხაზს უსვამს ძალაუფლების გადანაწილებას და ჯგუფების უნარს, უზრუნველყონ დემოკრატიული ანგარიშგადღებულება. კორპორტივიზმში ყურადღებას აქცევს იმ პრივილეგირებულ მდგომარეობას, რაც ხელისუფლებასთან ურთიერთობაში ენიჭება ამა თუ იმ ჯგუფს. ახალი მემარჯვენეობისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის საფრთხე, რაც ჯგუფებმა შეიძლება გამოიწვიონ "ჭარბი" ხელისუფლებისა და ეკონომიკური არაფექტიანობის თვალსაზრისით.

« ორგანიზებული ჯგუფები პოლიტიკურ სისტემას ხევენ წარმომადგენლობის გაფართოებით, კამათისა და მსჯელობის ხელშეწყობით, პოლიტიკური თანამონაწილეობის ზრდითა და სახელისუფლებო ძალაუფლების გაკონტროლებით. თუმცა, შესაძლოა ისინი გარკვეულ საფრთხესაც შეიცავდნენ — როგორც პოლიტიკური უთანაბრობის გამაღრმავებელი, სოციალურად და პოლიტიკურად დაყოფილი, არალეგიტიმური და არაფორმალური ძალაუფლების მქონენი და მთლიანად პოლიტიკური პროცესისათვის "ჩაკეტილი" და გაუმჭვირვალე ფორმის მიმცემი ერთობები.

« ინტერეს-ჯგუფები საკუთარ გავლენას სხვადასხვა არხებით ავრცელებენ: ბიუროკრატია, საკანონმდებლო ორგანოები, სასამართლო, მას-მედია, პოლიტიკური პარტიები და საერთაშორისო ორგანიზაციები. ოღონდ ჯგუფის გავლენის დონე კონკრეტულ სისტემაში იმავთა დამოკიდებული, რამდენად მისაღებია ამ სისტემისათვის ჯგუფთა აქტიურობა ზოგადად და რამდენად ითვლისწინებს მათ მონაწილეობას პოლიტიკის "კეთების" პროცესში.

« ინტერეს-ჯგუფებს პოლიტიკური ტაქტიკისა და სტრატეგიის ფართო არჩევანი გააჩნიათ. მათი ძალა შეიძლება გამოიხატოს იმ თანაგრძნობით, რასაც საზოგადოება მათ მიმართ ამჟღავნებს; მათი წევრებისა და აქტივისტების რაოდენობით, ფინანსური სიმდიერითა და ორგანიზაციული შესაძლებლობებით, იმ უნარით, რამდენად შეუძლიათ სანქციების გამოყენება ხელისუფლების წინააღმდეგ და პიროვნული ან ინსტიტუციური კავშირებით პოლიტიკურ პარტიებთან თუ სახელისუფლებო ორგანიზაციებთან.

◀ საზოგადოებრივი მოძრაობა კოლექტიური ორგანიზაციაა, რომლის დარაზ-
მულობისა და პოლიტიკური აქტიურობის ხარისხი სრულებითაც არაა
დამოკიდებული ფორმალურ სტრუქტურაზე. ახალი საზოგადოებრივი
მოძრაობები იმ უნარით გამოირჩევა, რომ ძალუძს ფართოდ მიზიდოს ახალ-
გაზრდა, განათლებული და მეტ-ნაკლებად შეძლებული ადამიანები, ვისი
მსოფლმხედველობაც, ზოგადად, პოსტ-მატერიალისტურია და შესაბამისად,
მათი პოლიტიკური აქტიურობაც ე.წ. "ახალი პოლიტიკის" ფორმებით ხორ-
ციელდება.

კითხვები განსასჯელად

- ◀ რატომაა ზოგჯერ ძნელი განსხვავების დანახვა ინტერეს-ჯგუფსა და პოლიტიკურ პარტიას შორის?
- ◀ არის თუ არა ორგანიზებული ჯგუფები ინტერესთა გამოხატვის ერთადერთი საშუალება თანამედროვე საზოგადოებებში?
- ◀ კორპორატივიზმში ჯგუფებისთვის უფროა ხელსაყრელი, თუ ხელისუფლებისთვის?
- ◀ ინტერეს-ჯგუფები ძირს უთხრიან დემოკრატიას თუ — პირიქით, აძლიერებენ მას?
- ◀ რატომაა ზოგიერთი ინტერეს-ჯგუფი სხვაზე ძლიერი?
- ◀ რა დონით აისახა ახალი საზოგადოებრივი მოძრაობების გავლენა საჯარო პოლიტიკაზე?

დამატებითი საკითხავი

Cigler, C. and B. Loomis (eds), *Interest Group Politics* (Washington, DC: Congressional Quarterly Press, 1998).
Jordan, G., *Interest Group Politics: Enhancing Participation?* Basingstoke and New York: Palgrave Macmillan, 2006).
Tarrow, S., *Power in Movement: Social Movements and Contentious Politics* (Cambridge and New York: Cambridge University Press, 1998).
Wilson, G., *Interest Groups* (Oxford: Blackwell, 1990).

კონსტიტუციები, კანონმდებლობა და მართლმსაჯულება

15
თავი

შინაარსი

"მმართველობა კონსტიტიციის გარეშე იგვიფა, რაც ძალაუფლება კანონ-იერების გარეშე".

ტომას ჰეინი, ადამიანის უფლებები (1795)

XX საუკ. 50-60-იან წწ. კონსტიტუციური საკითხების კვლევა ინტელექტუალთა ინტერესების პერიფერიაზე აღმოჩნდა. პოლიტიკურ ანალიზში ყურადღება უფრო სიღრმისეულ რეალიებზე გამახვილდა — პოლიტიკურ კულტურასა და ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი ძალების გადანაწილებაზე. კონსტიტუციებით დაინტერესება პოლიტიკისადმი დრომოკმულ მიდგომად განიხილებოდა, აქაოდაა აქცენტი იმაზე კეთდება, როგორ წარმოაჩენს საკუთარ თავს ესა თუ ის პოლიტიკური სისტემა და არა იმაზე, სინამდვილეში როგორ "მუშაობს". თუმცა, უკვე 70-იანი წწ. პოლიტიკურ აენსცენაზე მთავარი ადგილი ისევ კონსტიტუციურმა საკითხებმა დაიკაფა. ახალი კონსტიტუციები მიიღეს როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად სახელმწიფოებში და პოლიტიკური კონფლიქტების გადაწყვეტის გზების ძიებასაც კონსტიტუციური რეფორმებით ცდილობდნენ. ამან, თავის მხრივ, კანონმდებლობის როლი გაზარდა და მოსამართლეებსაც განსაკუთრებული წონა შესძინა. თორიულად, სასამართლო და მართლმსაჯულება მკაცრად გამიჯნულია პოლიტიკისაგან, ოღონდ მსოფლიოს ბევრ კუთხეში ისინი პოლიტიკურ ინსტიტუტებად იქცნენ და სულ უფრო მეტ გავლენას ახდენენ საჯარო პოლიტიკის ფორმირებაზე.

ამ თავში შემდეგი ძირითადი საკითხებია განხილული:

საკვანძო საკითხები:

- ◀ რა არის კონსტიტუცია და რა ფორმები შეიძლება შეიძინოს მან?
- ◀ რა მიზანს ისახავს კონსტიტუცია?
- ◀ რამდენად განსაზღვრავს კონსტიტუციები პრაქტიკულ პოლიტიკას?
- ◀ რა ურთიერთობა არსებობს კანონმდებლობასა და პოლიტიკას შორის?
- ◀ რაში მდგომარეობს სასამართლოთა პოლიტიკური მნიშვნელობა?
- ◀ ძალუძთ თუ არა მოსამართლეებს პოლიტიკის მიღმა დარჩენა და რამდენად სწორია ეს?

კონსტიტუციები

კონსტიტუციათა კლასიფიკაცია.

კონსტიტუციის დანიშნულება.

აქვს თუ არა კონსტიტუციებს რაიმე მნიშვნელობა?

კანონმდებლობა

კანონი, ზნეობა და პოლიტიკა.

მართლმსაჯულება

არიან თუ არა მოსამართლეები პოლიტიკური ფიგურები? ქმნიან თუ არა მოსამართლეები პოლიტიკას?

შეჯამება/კითხვები

განსასჯელად/დამატებითი საკითხავი

კონსტიტუციები

კონსტიტუცია

კონსტიტუცია, ზოგადი გაგებით, დაწერილ თუ დაუწერილ კანონთა კრებულებაა, რომელიც ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტთა დანიშნულებასა თუ უფლება-მოვალეობებს ადგენს, აწესრიგებს ურთიერთობას მათ შორის, და განსაზღვრავს დამოკიდებულებებს სახელმწიფოსა და პირიქედ შორის. შეფარდება დაწერილ (ლექალიზებულ) კანონთა და დაუწერილ, ანუ (საყოველთაოდ მიჩნეულ) წეს-კანონთა შორის სხვადასხვა სახელმწიფოებრივ მოწყობებში სხვადასხვაგვარია. აქედან გამომდინარე, კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია. რამდენადაც შეუძლებელია ერთ დოკუმენტში ყველა უმთავრესმა ნორმამ მოიყაროს თავი, კონსტიტუცია ამ გაგებით, არ შეიძლება საკონსტიტუციო სამართალთან იქნას გაიადგილებული.

ოდითგანვე, კონსტიტუციას ორი გარემოების გამო მიიჩნევენ მნიშვნელოვნად: ჯერ ერთი რომ, საყოველთაო აზრით, იგი მმართველობის სარკედ და მმართველი ინსტიტუტების როლის განმანაწილებლად მიიჩნეოდა; მეორეც — ლიბერალური დემოკრატიის ქვაკუთხედად და მისი სიცოცხლისუნარიანობის საზომად. სამწუხაროდ, არც ერთი ამათგან მართლაც არ გამოდგა. იმისდა მიუხედავად, რომ კონსტიტუციები, შესაძლოა, მართლაც ისახედნენ მიზნად იმ ჩარჩოს შექმნას, რომლის ფარგლებსაც არ უნდა გასცდეს მმართველობა და პოლიტიკური საქმიანობა, ბოლომდე წარმატებით ეს მიზანი მაინც ვერ ხორციელდებოდა. უზუსტობა, ორაზროვნება და ნაკლებლოვნება ნებისმიერ კონსტიტუციას ახასიათებს. სწორედ ასევე, ერთის მხრივ კონსტიტუციონალიზმის იდეა თავისთავად მჭიდროდაა დაკავშირებული ლიბერალურ ღირებულებებთან და მისწრაფებებთან, მაგრამ არ არსებობს არანაირი შემაკავებელი ფაქტორი რაც კონსტიტუციას არადემოკრატიულობისა თუ ავტორიტარულობისაკენ დაიცვავდა. კომუნისტური და ზოგიერთი განვითარებადი სახელმწიფოს შემთხვევაში, კონსტიტუციები მართლაც ძირითადად არალიბერალური ხასიათისაა. მაშინ რაღა საჭიროა მათ შესაქმნელად თავის ატკიება? რატომ ვიწყებთ მმართველობის მექანიზმებზე საუბარს მაინცდამაინც კონსტიტუციებით? მიზეზი ისაა, რომ კონსტიტუციის დანიშნულება პოლიტიკური სისტემისათვის რაღაც უზენაეს კანონთა ერთობლიობის შეთავაზებაა და სინამდვილეში, ეს თავად "ხელისუფლების სამართალ კანონებია. სწორედ ისე, როგორც ხელისუფლება უწყესებს საზოგადოებას გარკვეულ წესრიგს, კონსტიტუციაც მიზნად ისახავს სიმყარე, სიმწიფობა და წესრიგი შესძინოს ხელისუფლების საქმიანობას.

იმ დაწერილ კანონთა შექმნის იდეა, რომლებიც ხელისუფალი მმართველობას გარკვეულ კალაპოტში მოაქცევდა, უხსოვარი დროიდან მოდის. ტრადიციულად, ამგვარი კოდექსები უზენაესი ზნეობრივი ძალის (ჩვეულებრივ, რელიგიური ხასიათის) აღიარებას ემყარებოდა და მიწიერი საქმეებიც ამ მორალურ კრიტერიუმებს უნდა მორგებოდა. ასე მაგალითად, ეგვიპტელი ფარაონები აღიარებდნენ "მატის", ანუ სამართლიანობის უზენაესობას; ჩინელი იმპერატორები "ტიენს" — ანუ ზეცას მორჩილებდნენ. ებრაელთა მეფენი მოსეს კანონს იცავდნენ, ხოლო მაჰმადიანი ხალიფები — შარიათის კანონს მიაგებდნენ პატივს. ჩვეულებრივ, ამგვარი "უზენაესი ღირებულებები" რიგით კანონმდებლობაშიც პოულობდნენ ასახვას და ამას მაგალითთა, ვთქვათ, აიუენლოთა კანონმდებლობა, სადაც გამიჯნულია ნომოხი (კანონები, რომელთა შეცვლაც მხოლოდ განსაკუთრებული პროცედურით შეიძლებოდა) და პსეფიზმათა (დეკრეტები, რომელთა მიღებაც კრების გადაწყვეტილებით ხდებოდა). თუმცა, ამგვარი უძველესი კოდექსები ვერ იქცა კონსტიტუციებად ამ ცნების თანამედროვე გაგებით, რადგან განსაზღვრავდნენ სხვადასხვა ინსტიტუტთა უფლება-მოვალეობებს და იშვიათად თუ ქმნიდნენ იმგვარ მექანიზმებს, რითაც უფლებათა გადამეტება დაიცავებოდა.

შესაბამისად, კონსტიტუციები შედარებით გვიანდელი მონაპოვარია. მართალია, ბრიტანული კონსტიტუციონალიზმის ათვლას ზოგჯერ ლამის პირდაპირ "დიადი ქარტიდან" (1215) იწყებენ, უფრო მართებული იქნებოდა კონსტიტიციათა გაჩენის ათვლა XVIII საუკ. ბოლოდან დაგვეწყო. "კონსტიტუციათა ხანას" სათავე დაუდო "დაწერილ" კონსტიტუციების შექმნამ: 1787წ. — ამერიკაში დაიწერა პირველი კონსტიტუცია, ხოლო 1789წ. გამოცხადდა "ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა" ფრანგული დეკლარაცია. ამერიკისა და რევოლუციური საფრანგეთის მაგალითებმა არა მარტო ფორმასა და შინაარსზე მიუთითა მომავალ კონსტიტუციათა შექმნელებს, არამედ ნათელი გახადა, თუ საერთოდ როგორ და რატომ იქმნება მსგავსი დოკუმენტი.

სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, კონსტიტუცია ის იარაღია, რომელიც ახალი პოლიტიკური წესრიგის დამყარებას უწყობს ხელს — ძველის უარყოფის, მსხვერველსა თუ მარცხის შედეგად. ამ თვალსაზრისით, XX საუკ. 70-იანი წწ. კონსტიტუციებისადმი ინტერესის შემობრუნება (ახალი კონსტიტუციები მიიღეს ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა პორტუგალია, ესპანეთი, კანადა, შვედეთი და ჰოლანდია, ხოლო ვეთქვათ, გაერთიანებულ სამეფოში, ინდოეთსა და ავსტრალიაში დღის წესრიგში დადგა კონსტიტუციური რეფორმების საკითხი) არსებული პოლიტიკური სისტემებისადმი გულაცრუებაზე თუ არა, მზარდ უკმაყოფილებაზე მაინც მიუთითებს. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური კონფლიქტი კონსტიტუციურ განზომილებაში მხოლოდ მაშინ გადადის, როცა ცვლილების მსურველნი ცდილობენ არა უბრალოდ დახვეწონ, არამედ ახლად გადაწერონ პოლიტიკური თამაშის წესები. შესაბამისად, კონსტიტუციური ცვლილება ძალაუფლებისა და პოლიტიკური გავლენის ხელახალ გადანაწილებას გულისხმობს.

კონსტიტუციათა კლასიფიკაცია

კონსტიტუციების კლასიფიცირება რამდენიმე ნიშნის მიხედვით ხდება:

◀ მათი ფორმის მიხედვით (ანუ, კოდექსის სახითაა დაწერილი თუ მხოლოდ დეკლარირებულია)

◀ რამდენად იოლია მასში ცვლილებების შეტანა, ანუ — ხისტი თუ მოქნილი.

◀ რამდენად ქმედიოუნარიანია რეალობასთან მიმართებაში (გამოყენებადია, ფორმალური თუ სულაც — დეკორატიული)

◀ რამდენად შეესაბამება იგი მის მიერვე დადგენილ ინსტიტუციონალურ სტრუქტურას (მონარქისტულია თუ რესპუბლიკური, ფედერალური თუ უნიტარული, საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო).

ტრადიციულად, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა განსხვავებას დაწერილსა და დაუწერელ კონსტიტუციებს შორის. თეორიულად, დაწერილი კონსტიტუცია კანონებშია განსახიერებული, ხოლო დაუწერელი —

კონვენცია (შეთანხმება)

ან ოფიციალური პოლიტიკური თავყრილობა ანდა კამათისა და მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმება. თუმცა, საკონსტიტუციო კონვენცია — ესაა ქმედებისა თუ ქცევის წესი, რომელიც არა კანონს, არამედ ჩვეულებასა და პრეცედენტს ემყარება. ეს არალეგალიზებული წეს-კანონები დაცულია ან კონსტიტუციური მიზანშეწინილობის, ანდა პრაქტიკული გარემოებების გამო. ისინი ნებისმიერ საკონსტიტუციო გარემოში არსებიან და სახელმძღვანელოდ ითვლებიან, თუკი ესა თუ ის დადგენილი კანონი ბუნდოვანია, ან არასრული. განსაკუთრებული მნიშვნელობა კონვენციებს დაუწერელი კონსტიტუციების შემთხვევაში ენიჭებათ, რამდენადაც ისინი განსაზღვრავენ უმთავრესი ინსტიტუტების უფლება-მოვალეობებს და დაწერილი კოდექსის მაგაფრობას სწევენ.

სავარაუდოდ, ადათსა და ტრადიციებში აისახება ხოლმე. პირველი — ადამიანთა შემოქმედების ნაყოფია; მეორე — ისტორიის მანძილზე დახვეწილი, ბუნებრივი მოცემულობა. თუმცა ისიც ითქვას, ამჟამად კლასიფიკაციის ეს სისტემა ძირითადად, უარყოფილია. ჯერ ერთი, სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა დღესდღეობით უმთავრესი კონსტიტუციური ნორმების განმსაზღვრელი ამა თუ იმ წერილობითი დოკუმენტებით სარგებლობს და სამადსამი ლიბერალური დემოკრატიის აღმსარებელი ქვეყანა რჩება დაუწერელი კონსტიტუციების ერთგული: ესაა ისრაელი, ახალი ზელანდია და გაერთიანებული სამეფო; ასევე, რამოდენიმე არადემოკრატიული წყობის მქონე სახელმწიფო: ბუტანი, საუდის არაბეთი, ომანი. და რაც მთავარია, თავად ამგვარი კლასიფიკაცია იმთავითვე პირობითია: არ არსებობს პრინციპულად დაუწერელი კონსტიტუცია — იმ თავლსაზრისით, თითქოს არც ერთ მის ნორმას არ გააჩნდეს კანონის ძალა და მხოლოდ შეთანხმებას, წესსა თუ ტრადიციას ასახავდეს. თავის მხრივ, ვერც დაწერილი კონსტიტუცია მოიცავს პოლიტიკური ცხოვრების ყველა შესაძლო ასპექტს: ასე მაგალითად, ძალზე ცოტა მათგანი ასახავს ან თუნდაც ახსენებს პოლიტიკური პარტიებისა და ინტერეს-ჯგუფების როლს.

შესაბამისად, ნებისმიერი კონსტიტუცია შეგვიძლია დაწერილი და დაუწერელი კანონების ნაზავად მივიჩნიოთ, როლმელთა შორისაც წონასწორობა მკვეთრად მერყეობს. გერმანიისა და საფრანგეთის მსგავს ქვეყნებში, სადაც კონსტიტუციური მნიშვნელობის დოკუმენტებს სახელმწიფოებრივი კოდექსების დანიშნულება აქვთ და მაქსიმალურად დაწერილებით ასახავენ პოლიტიკური ინსტიტუტების უფლება-მოვალეობებს, აქცენტი ცალსახად დაწერილ კანონებზეა გადატანილი. მეორეს მხრივ, ამერიკული (მსოფლიოში პირველი წერილობითი) კონსტიტუცია მხოლოდ 7000 სიტყვისაგან შედგება, მხოლოდ ზოგად პრინციპებზე ამახვილებს ყურადღებას და არც ხელისუფლებას სათავაზობს მმართველობის მკაცრ ჩარჩოებს: უეჭველი საკონსტიტუციო მნიშვნელობის ამერიკული ინსტიტუტები (კოგრესის კომიტეტები, პირველადი არჩევნების სისტემა თუ ბიუროკრატიული აპარატი) უბრალოდ, თანდათანობით ჩამოყალიბდნენ დროთა განმავლობაში. სხვა ტიპის კონსტიტუციები დიდ ყურადღებას აქცევენ შეთანხმებებს: ასე მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში მინისტრების მხრივ მონარქის ძალაუფლების წარმომადგენლობა პარლამენტში, დღემდე ძირძველი შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება.

დაწერილი კონსტიტუცია (იგივე კოდექსი) ნებისმიერი პოლიტიკური ინსტიტუტისათვის საუღლებლო დოკუმენტია იმ თვალსაზრისით, რომ იგი სახელმწიფოს უზენაეს კანონს წარმოადგენს და კანონთა იერარქიულობას იცავს; ასე მაგალითად, უნიტარულ სახელმწიფოებში არსებობს სამართლის ორსაფეხურიანი სისტემა, სადაც კონსტიტუცია ეროვნული საკანონმდებლო კრების მიერ მიღებულ ჩვეულებრივ კანონებზე მაღლა დგას: ფედერალური მოწყობის მქონე ქვეყნებში კი არსებობს მესამეც — შედარებით "დაბალ" საფეხური — შტატისა თუ ადგილობრივი კანონების სახით. წერილობითი კონსტიტუციის უზენაესობა იმითაცაა განმტკიცებული, რომ მისი ნორმების უმეტესობა ძნელი შესაცვლელი თუ გასაუქმებელია — ბევრად ძნელი, ვიდრე მისი ქვემდებარე კანონებისა და ამის უფლება

მხოლოდ უმაღლეს, ანდა კონსტიტუციურ სასამართლოს აქვს მინიჭებული.

დაუწერელ კონსტიტუციებს სრულიად განსხვავებული ნიშან-თვისებები ახასიათებს. ბრიტანეთის კონსტიტუცია, მაგალითად, რამდენიმე წყაროს ეყრდნობა: პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს, **ზოგად კანონმდებლობას**, კონვენციებს და ორგანულ კანონში არმითითებული წესების სხვადასხვა იურიდიულ განმარტებებს. დაწერილი დოკუმენტის არარსებობა გულისხმობს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება დამოუკიდებელი და უპირობო ავტორიტეტით სარგებლობს. მას მინიჭებული აქვს უფლება შექმნას ან გააუქმოს ნებისმიერი კანონი და ვერც ერთი სხვა ინსტიტუტი მის გადაწყვეტილებას ვერ აღუდგება. სწორედ საკანონმდებლო უზენაესობის წყალობით, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტიცა და ისრაელის კნესეტიც საბოლოო კონსტიტუციური არბიტრის უფლებებით სარგებლობენ, ანუ — კონსტიტუცია ისე "წაიკითხება", როგორც ისინი დაადგენენ.

გაერთიანებულ სამეფოში ამგვარი ვითარება აზრთა სხვადასხვა-

საყურადღებოდ:

დაწერილი კონსტიტუციის ძლიერი და სუსტი მხარეები

ძლიერ მხარეებს განეკუთვნება:

◀ ძირითადი პრინციპებისა და უმთავრესი საკონსტიტუციო ნორმების დაცულობა, ხელისუფლებათა ცვლის მიუხედავად.

◀ საკანონმდებლო ხელისუფლების მოთოკვა და მისი ძალაუფლების განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცევა.

◀ არაპოლიტიზირებული მოსამართლეების პოლიტიკური უფლებამოსილება, თვალი მიადგინონ კონსტიტუციის ნორმების დაცვას სხვა ინსტიტუტების მხრიდან.

◀ პიროვნული თავისუფლების მეტი უზრუნველყოფა და ავტორიტარიზმის შესაძლებლობის მინიმუმადე დაყვანა.

◀ ამგვარი კონსტიტუციის საგანმანათლებლო ღირებულება, რამდენადაც იგი ხაზს უსვამს მოცემული პოლიტიკური სისტემის უმთავრეს ფასეულობებსა და საერთო მიზნებს.

სუსტ მხარეებად მიიჩნევა:

◀ დაწერილ კონსტიტუციათა სიხისტე და ერთგვარი მოუქნელობაც.

◀ სახელისუფლებო ძალაუფლების მოთოკვა უფრო "შემოვლითმ", ანუ არჩევნების გზით ხდება და არა კონსტიტუციური დოკუმენტის ზეგავლენით.

◀ დაწერილი კონსტიტუციის არსებობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო უზენაესობას საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული პოლიტიკოსები კი არ უზრუნველყოფენ, არამედ დანიშნული მოსამართლეები.

◀ კონსტიტუციურ ნორმებად გარდასახული ადამ-წესები და წეს-კანონები შესაძლოა, მეტი პატივისცემით სარგებლობდნენ, მათი არა "გამოვლილმ, არამედ ისტორიული ხასიათიდან გამომდინარე.

◀ ამგვარ დოკუმენტებს აშკარა მიკროძოება გამოარჩევთ, რამდენადაც ღირებულებებისა თუ პრინციპების ამა თუ იმ ერთობას ამჯობინებენ სხვას, რაც არა თანხმობის, არამედ დაპირისპირების საბაბიც შეიძლება გახდეს.

ზოგადი კანონი:

ჩვეულებასა და პრეცედენტზე დამყარებული კანონი, რომელიც, საჯარაუ-დოდ, ყველასთვის სავალდებულოა.

15. კონსტიტუციები, კანონმდებლობა და მართლმსაჯულება

ბისა და სერიოზული კრიტიკის საგნად რჩება. სწორედ პარლამენტის უზენაესობას ადანაშაულებენ ხოლმე იმ ფენომენის გაჩენაში, რასაც ლორდ-მა ჰეილშემმა (1976) **არჩევითი დიქტატურა** უწოდა, ანუ მთავრობისათვის საკუთარი ნებასურვილით მოქმედების თავისუფლება მანამ, სანამ იგი უმრავლესობას ინარჩუნებს თქმთა პალატაში. ყოველივე ამას ძალაუფლების აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში კონცენტრირებისა და პიროვნული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფრთხისაკენ მიეყვართ, რაც ბევრს იმის თქმის საფუძველსაც აძლევს, გაერთიანებულ სამეფოში კონსტიტუცია საერთოდ არ არსებობსო. თუკი არჩეულ მთავრობას შეუძლია როგორც უნდა ისე იმოქმედოს, ცხადია ის საკუთარი ძალაუფლების გაფართოებას შეეცდება და მის მოთხოვას ვერანაირი საკონსტიტუციო ნორმები ვერ შეუშლის ხელს. გრიფიტის (1991) ფრაზას თუ გავიგებოთ, გაერთიანებულ სამეფოში კონსტიტუცია ისაა, "რაც ხდება". სწორედ ამგვარმა შეხედულებებმა მისცა მეოცე საუკუნის 80-90-იან წლებში ბიძგი ფართო კამპანიას რადიკალური საკონსტიტუციო რეფორმის მოთხოვნით და მის მოთავეებად დიდი ხნის მანძილზე (1979-97წწ.) ოპოზიციაში მყოფი ლეიბორისტები იქცნენ. 1997 წლიდან ბლერის მთავრობამ ბრიტანული კონსტიტუციის არაერთ ასპექტს უცვალა სახე. შოტლანდიაში, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში დაინერგა დელეგირების პრინციპი, უფრო ფართოდ დაიწყო რეფერენდუმებისა და პროპორციული საარჩევნო სისტემების გამოყენება; გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობაში, ადამიანის უფლებათა აქტის (1998) მეშვეობით, ამუშავდა "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია", ლორდთა პალატაში გაუქმდა მემკვიდრეობითი პეროების ტრადიცია და მიღებული იქნა ინფორმაციის თავისუფლების კანონი. მართალია, ამ პროგრამის განხორციელებას შედეგად მთლად "დაწერილმა კონსტიტუცია არ მოჰყოლია, მაგრამ ბევრის აზრით, ის პარლამენტის უზენაესობიდან ხალხის უზენაესობისკენ შემობრუნების მანიშნებელი ნამდვილად იყო (პაზელი, 1999).

კლასიფიკაციის სხვა ფორმა ერთმანეთისგან მიჯნავს ხისტ და მოქნილ კონსტიტუციებს. რა პროცედურები არსებობს კონსტიტუციის შესაცვლელად? რამდენად იოლად "ერგება" იგი ცვალებად ვითარებებს? ერთი შეხედვით, დაწერილი კონსტიტუცია თითქოს შედარებით მოუქნიელი უნდა იყოს, რამდენადაც მისი ნორმები ერთგვარ "უზენაეს" წესრიგში ქვერება. იგივე აზრით, დაუწერელი კოდექსები მეტი მოქნილობით და ცვლილებებთან უკეთ მორგების უნარით უნდა გამოირჩეოდნენ, ვინაიდან კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე კანონების შეცვლა უბრალო საკანონმდებლო პროცესით შეიძლება და კონვენციებიც (პირობითი შეთანხმებები), ზოგადად, პრაქტიკულ აუცილებლობებს ეფუძნება. თუმცა, სინამდვილეში სულაც არ არსებობს მარტივი ურთიერთკავშირი დაწერილ კონსტიტუციებსა და სიხისტეს, დაუწერელსა და მოქნილობას შორის.

არჩევითი დიქტატურა:

კონსტიტუციური დისბალანსი, როცა

აღმასრულებელი ხელისუფლება მხოლოდ მომდევნო არჩევნების მოკების აუცილებლობიდან გამომდინარე, კონტროლდება.

მოქნილობის ხარისხი ყველა ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულია და რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, არც საკონსტიტუციო პროცედურებისა თუ წესების ფორმალური დაცვის პირდაპირპროპორციულია. მასში შეტანილი შესწორებების მიუხედავად, 1787 წლიდან ამერიკული კონსტიტუცია ფაქტიურად პირვანდელ სახეს ინარჩუნებს, არადა დროის იგივე

პერიოდში, საფრანგეთმა სულ ცოტა, 17 კონსტიტუცია გამოიცვალა. თავის მხრივ, შესწორებების შეტანის პროცედურა შესაძლოა მეტ-ნაკლებად რთული და წინააღმდეგობრივი იყოს. ასე მაგალითად, ავსტრალიაში, დანიაში, ირლანდიაში და ესპანეთში სახალხო რეფერენდუმმა უნდა მოიწონოს არა მარტო საკონსტიტუციო ცვლილებები, არამედ ამ ხასიათის საკანონმდებლო ინიციატივების რატიფიცირებაც კი რეფერენდუმით ხდება. სხვა შემთხვევებში, აუცილებელია განსაზღვრული უმრავლესობა თავად საკანონმდებლო ორგანოში, როგორც ამას, მაგალითად, გერმანიის "ძირითადი კანონი" მოითხოვს — იქ საკონსტიტუციო შესწორება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღება, თუკი მას როგორც ბუნდესტაგის, ასევე ბუნდესრატის ორი მესამედი დაუჭერს მხარს. ა.შ.შ.-ში, კონგრესის ორივე პალატის ორი მესამედის გარდა, აუცილებელია შესწორებების რატიფიცირება შტატების სამი მეოთხედის მიერ. ამერიკაში სწორედ ამ პირობების დაცვით განხორციელდა 26 საკონსტიტუციო ცვლილება და მათგან 10 (ე.წ. "ბილი უფლებათა შესახებ") კონსტიტუციის მიღებიდან სულ რაღაც ორიოდ წელიწადში.

ოლონდ, ამ პროცედურების ერთგვარი სიხისტე მაინც მოჩვენებითია. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულ თუ სხვა დაწერილ კონსტიტუციებში სიტყვები შესაძლოა დიდად არც იცვლებოდეს, მათი შინაარსი მუდმივი გადახედვისა და განახლების საგნად რჩება იურიდიული ინტერპრეტაციების მეშვეობით. და როგორც დაწერილი კონსტიტუციები ამჟღავნებენ მოქნილობას, სწორედ ასევე, ზოგჯერ დაუსწრელი კოდექსებიც ინარჩუნებენ ხოლმე ვიუტ სიხისტეს. თუკი, მაგალითად გაერთიანებულ სამეფოში მინისტრთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული კონვენციები (პირობითი შეთანხმებები) იმდენად იოლად ერგება ვითარებას, რომ არსებულ ხელისუფლებას ლამის მთლიანად შეუძლია მათი სახეცვლილება, სხვა ტიპის შეთანხმებების შეცვლა თუ განახლება პრაქტიკულად წარმოუდგენელია, იმდენად ღრმად აქვთ გადგმული ფესვი პოლიტიკურ კულტურასა და საზოგადოების ცნობიერებაში. ეს განსაკუთრებით იმ პირობით შეთანხმებებს ეხება, რომლებიც სამეფო ტახტის პოლიტიკურ გავლენას ზღუდავს და პარლამენტის უპირობო უზენაესობას უზრუნველყოფს.

კლასიფიკაციის მესამე სისტემა ითვალისწინებს ურთიერთობას ერთის მხრივ, კონსტიტუციურ წესებსა და პრინციპებს, მეორეს მხრივ კი — ხელისუფლების პრაქტიკულ საქმიანობას (კონსტიტუციის "მუშაობას") შორის. ჯერ კიდევ 1867 წელს უოლტერ ბეიჯპოთმა თავის "ინგლისურ კონსტიტუციაში" ერთმანეთისგან გამოიჯნა კონსტიტუციის "საპატიო" (მონარქია და ლორდთა პალატა), ანუ — ხალხის პატივისცემით, მაგრამ რეალურად მცირე ძალაუფლებით მოსარგებლე ნაწილი მეორე, "ქმედით" ნაწილისაგან (მინისტრთა კაბინეტი და თემთა პალატა). "ქმედით" კონსტიტუცია ორ მოთხოვნას უნდა პასუხობდეს: მთავრობის პრაქტიკული საქმიანობა, ძირითადად მაინც, კონსტიტუციურ ნორმებში უნდა ჯდებოდეს და მეორეც, კონსტიტუციას, ამა თუ იმ საშუალებით, აუცილებლად უნდა შეეძლოს მთავრობის ქმედებების მოთოკვა.

შესაბამისად, კონსტიტუციის ქმედითუნარიანობას არა უბრალოდ

15. კონსტიტუციები, კანონმდებლობა და მართლმსაჯულება

საკონსტიტუციო წესების არსებობა განაპირობებს, არამედ ამ წესებით ხელისუფლების "კალაპოტში მოქცევისა" და კონსტიტუციონალიზმის დამყარების შესაძლებლობაც. როგორც ქვემოთ დაინახავთ, მეტ-ნაკლებად ყველა კონსტიტუცია ირღვევა; საქმე ისაა, რამდენად ხშირად და რა მიზეზით ხდება ხოლმე ამგვარი რამ. ზოგიერთ კონსტიტუციას შეიძლება ფორმალურიც კი ეწოდოს იმ აზრით, რომ მისი შინაარსი თუ პრინციპები ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრავდეს ხელისუფლების უფლება-მოვალეობებს, მაგრამ სინამდვილეში ვერანაირად ვერ ზღუდავდეს მის საქმიანობას. ასე მაგალითად, საბჭოთა კავშირის ყაიდის კომუნისტურ სახელმწიფოებში იმგვარი კონსტიტუციები არსებობდა, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, კომუნისტური პარტიების მიერ ძალაუფლების მონოპოლიზირებას აღიარებდნენ და ამ კონსტიტუციათა პოლიტიკურ აბსურდულობაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებდა, რომ საკონსტიტუციო ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი მართლმსაჯულება მკაცრი პარტიული კონტროლის წნების ქვეშ იყო. ბევრ ქვეყანაში ჯერაც მოჩვენებითი, ასე ვთქვათ, ფასადური კონსტიტუციაა და ისინი არა პოლიტიკურ, არამედ წმინდა პროპაგანდისტულ როლს ასრულებენ. ასეა კერძოდ, დიქტატორულ თუ ავტორიტარულ სახელმწიფოებში, სადაც პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების კონსტიტუციური ნორმები ფარატიანა ქაღალდზე დაწერილ უაზრობებად რჩება.

კონსტიტუციებს ასევე განასხვავებენ შინაარსობრივ თვალსაზრისითაც, ანუ იმისდა მიხედვით, როგორ ინსტიტუციურ მოწყობას მიესადაგება თითოეული მათგანი. ამ კუთხით რამდენიმენიანი დაყოფა ხდება. მაგალითად, კონსტიტუციებს ტრადიციულად აჯგუფებდნენ მონარქიულობისა თუ რესპუბლიკურობის ნიშნით. თორიულად, პირველი ტიპი დინასტიური მმართველის კონსტიტუციურ უზენაესობას გულისხმობს, მაშინ როცა მეორის მიხედვით, პოლიტიკური ხელისუფლების წყაროდ ხალხი ითვლება. თუმცა, კონსტიტუციური მონარქიების მომრავლებისა და ძალაუფლების წარმომადგენლობითი ინსტიტუტებისათვის გადაცემის ტენდენციის გახშირების შემდგომ, ამგვარმა დაყოფამ თითქმის ყველგან პირობითი ხასიათი მიიღო, გარდა ნეპალისა თუ საუდის არაბეთის ტიპის აბსოლუტური მონარქიებისა. დღეს უფრო ფართოდაა გავრცელებული დაყოფა უნიტარულ და ფედერალურ კონსტიტუციებს შორის (რაზეც ვრცლად მერვე თავში ვისაუბრეთ), ანუ იმისდა მიხედვით, ერთი სრულიად ეროვნულ ორგანო ფლობს ძალაუფლებას, თუ იგი მმართველობის ორ დონეზეა გადანაწილებული.

განსხვავება არსებობს საპარლამენტო და საპრეზიდენტო კონსტიტუციებს შორისაც. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ურთიერთობის ფორმის ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოთა შორის. საპარლამენტო სისტემებში, აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენლობას საკანონმდებლო ორგანო ირჩევს და მთავრობაც, შესაბამისად, პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული. საპრეზიდენტო სისტემებში ორივე შტო დამოუკიდებლად საქმიანობს ძალაუფლების გამიჯვნის (იხ. გვ. 339) პრინციპის საფუძველზე. და ბოლოს, შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპიროთ პლურალისტურ და მონოპოლისტური კონსტიტუციები.

ერთი, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების "დანაწილების", წარმომადგენლობითი უფლებებისა და პარტიული კონკურენციის გარანტი, ლიბერალური ემოკრატიებისთვისა და დამახასიათებელი; მეორე კი კომუნისტური თუ ავტორიტარული ყაიდის სახელმწიფოებში, სადაც ფაქტიურად დაკანონებულია "მმართველმა" პარტიისა და უმაღლესი ხელისუფლების უპირობო ავტორიტეტი და ამდენად, ამ ქვეყნების ფორმალური კონსტიტუციები, ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის პრინციპების არსებობას სულაც არ გულისხმობს.

კონსტიტუციის დანიშნულება

კონსტიტუციები არა მარტო სახელმწიფოთა უდიდეს უმრავლესობას გააჩნია — ძალიან ბევრი ინსტიტუტი თუ ორგანიზებული ჯგუფიც ერთგვარი საკონსტიტუციო ძალის მქონე წესების თანახმად მოქმედებს. ეს იმ ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციებსაც ეხება, როგორცაა გაერო და ევროკავშირი, აგრეთვე რეგიონალურ თუ ადგილობრივ ხელისუფლებებს, პოლიტიკურ პარტიებს, ინტერეს-ჯგუფებს, კორპორაციებს, ეკლესიებს, კლუბებს და ა.შ. ამგვარი საკონსტიტუციო წესების პოპულარობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ კონსტიტუცია ზოგადად, გადაწყვეტს როლს თამაშობს ნებისმიერი ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობაში. რატომღაც ასე ძნელი, თუ შეუძლებელი არა, სახელმწიფოსა და სხვა ორგანიზებული ინსტიტუტის საქმიანობა კონსტიტუციის გარეშე? ამ კითხვაზე პასუხს ისიც ართულებს, რომ კონსტიტუციას მხოლოდ ერთი და მარტოეი მიზანი არ გააჩნია. პირიქით, მას რამდენიმე დანიშნულება აქვს და რამდენიმენიარადაც გამოიყენება. კონსტიტუციის დანიშნულებებიდან, შემდეგ უმთავრესთა გამოყოფა შეიძლება:

- ◀ სახელმწიფოს გაძლიერება
- ◀ გამაერთიანებელი ღირებულებებისა და მიზნების გამოკვეთა
- ◀ ხელისუფლების მდგრადობის უზრუნველყოფა
- ◀ თავისუფლების დაცვა
- ◀ რეჟიმის ლეგიტიმაცია.

სახელმწიფოს გაძლიერება

საყოველთაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, კონსტიტუციები მმართველობის საზღვრებს უნდა ადგენდნენ, თუმცა მათი უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია სახელმწიფოს არსებობის ხაზგასმა და მისი დამოუკიდებელი ხელისუფლების გავრცელების სფეროს შემოფარგვლაა. ახალი სახელმწიფოების შექმნას უცილობლად კონსტიტუციის ამოქმედებაც ახლავს თან. მართლაც, საკამათო არ უნდა იყოს, რომ სახელმწიფო მხოლოდ მაშინ "შედგება", როცა საკუთარ კონსტიტუციას მიიღებს, რადგან მის

კონსტიტუციონალიზმი:
 ვიწრო გაგებით, ესაა შეზღუდული ხელისუფლება, რასაც კონსტიტუციის არსებობა უზრუნველყოფს. მისი უმთავრესი პირობაა სახელისუფლებო ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პროცესების ეფექტიანი შეზღუდვა საკონსტიტუციო ნორმების მიხედვით. უფრო ფართო გაგებით, კონსტიტუციონალიზმი არის პოლიტიკურ ღირებულებათა და მისწრაფებათა სისტემა, რომელშიც ასახულია თავისუფლების დაცვის-სურვილი ხელისუფლების შიგა თუ გარე შემაკავებელი ბურჟუაზიების ჩამოყალიბების გზით/. ამ გაგებით, კონსტიტუციონალიზმი პოლიტიკური ლიბერალიზმის გამოვლინებაა. მისი მიღწევის საუკეთესო საშუალებაა: დაწერილი კონსტიტუცია, უფლებათა დეკლარაცია, ხელისუფლების გამიჯვნა, ორპალატიანი პარლამენტი, ფედერალიზმი და დეცენტრალიზაცია.

15. კონსტიტუციები, კანონმდებლობა და მართლმსაჯულება

გარეშე ვერც ერთ კონკრეტულ ტერიტორიაზე მისი კანონიერი იურისდიქცია ვერ გავრცელდება და ვერც ამ იურისდიქციის გამტარებელი მმართველი აპარატი ჩამოყალიბდება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვთქვათ, ინდოეთის სახელმწიფო როგორც ასეთი, 1947 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, 1950 წლამდე იქმნებოდა, სანამ ქვეყნის ფედერალური კონსტიტუცია არ იქნა მიღებული: რადგან ამ სამი წლის განმავლობაში, უზენაეს ზედამხედველობას ჯერ ისევ გაერთიანებული სამეფოდან დანიშნული გენერალ-გუბერნატორი ახორციელებდა. სწორედ ასევე, 1776 წლის "ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციამ" მხოლოდ სათავე დაუდო სახელმწიფოებრიობის მოპოვების პროცესს, რომელიც საბოლოოდ 1789 წელს დასრულდა ა.შ.შ.-ს კონსტიტუციის რატიფიცირებით. სახელმწიფოებრიობის გაძლიერების მოთხოვნილებას განიცდიან რეგიონალური თუ ზეეროვნული პოლიტიკური სუბიექტებიც: ასე მაგალითად, ფედერალურ სისტემაში არსებული პროვინციები თუ შტატები საკუთარ კონსტიტუციებს ქმნიან მმართველობის საკუთარი სფეროს განსასაზღვრად ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში; ხოლო *ვეროკაჟი*ის "კონსტიტუცია", რომელიც არაერთი პაქტისა და შეთანხმებისაგან შედგება, მის ორგანიზაციებს უფლებას აძლევს, სხვადასხვა ფორმით ჩაერიონ წვერი სახელმწიფოების საქმეებში.

ღირებულებებისა და მიზნების გამოკვეთა

ხელისუფლებისთვის ჩარჩოების დადგენის გარდა, კონსტიტუციები უთუოდ გულისხმობენ პოლიტიკური ღირებულებების, იდეალებისა და მიზნების ფართო სპექტრის არსებობას. სწორედ ამოტომ ვერ იქნება ვერცერთ მათგანი მიუკერძოებელი; ნებისმიერი კონსტიტუცია, მეტ-ნაკლებად, იდეოლოგიური პრიორიტეტების გამომხატველია. შესაბამისად, მათი ავტორებიც გარკვეული გამაერთიანებელი ღირებულებების სისტემის, იდეოლოგიური დანიშნულების მქონე პრინციპების და იმ ლექსიკონის შემუშავებას ისახავენ მიზნად, რაც ქვეყნის პოლიტიკურ მართვაშიც პოვნასახვას. მსგავსი მიზნები ხშირად კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების პრეამბულებებშია ხოლმე გამოხატული — ზოგადეროვნული იდეალების გაცხადების ფორმით. ცხადია, იდეალები ურთიერთ-განსხვავებულია, ზოგან უპირატესობა დემოკრატიის ერთგულებას, თავისუფლებასა და საყოველთაო კეთილდღეობას ენიჭება, სხვანაირად — სოციალიზმის, ფედერალიზმისა თუ ისლამური ფასეულობების შეუქცევადობის რწმენას. მაგალითად, 1977 წლის კონსტიტუცია საბჭოთა კავშირს "განუყოფელი სოციალისტურ საზოგადოებად" სახავდა, გერმანიის ძირითად კანონში "მსოფლიო მშვიდობაზე ზრუნვის" განზრახვაა გაცხადებული.

თუმცა, სხვა შემთხვევებში, ეს ღირებულებები და იდეოლოგიური პრიორიტეტები ძირითადად შეფარულია, მხოლოდ ნაგულისხმევია სტატუსი. ბერდი (1913) ამტკიცებდა, რომ ამერიკის კონსტიტუციის ნორმები, უფრო ლეს ყოვლისა ეკონომიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი — უქონელთა სულ უფრო მზარდი მასებისაგან ქონების დაცვის სურვილი.

სწორედ ასევე შეიძლება ვთქვათ, რომ თუკი ამერიკის კონსტიტუციის XIV და XV შესწორებები რასობრივი დაყოფის პრობლემას აღიარებს, მიუღწეოდა კონსტიტუციაში სიტყვა არსადაა ნათქვამი კლასობრივი თუ გენდერული ნიშნით გაჩენილ დაყოფებზე. ბრიტანული კონსტიტუციის შემთხვევაში, ბევრი პარლამენტის უზენაესობის დოქტრინას პარლამენტსმიღმა პოლიტიკური აქტიურობის ფორმების დაკნინებისა თუ სულაც გაუფასურების საშუალებად მიიჩნევს.

ხელისუფლების მდგრადობის უზრუნველყოფა

ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის ვალდებულებების, უფლებებისა და დანიშნულებების გადანაწილების გამო, კონსტიტუციებს "ორგანიზაციულ ქარტიებს", "პოლიტიკურ გზამკვლეებსა" თუ "ინსტიტუციურ ყალიბსაც" კი უწოდებენ ხოლმე. როგორც ყველა ამ ფუნქციის შემსრულებელი, კონსტიტუცია აკანონებს და წარმართავს ურთიერთობებს პოლიტიკურ სუბიექტთა შორის და კონფლიქტებშიც მომრიგებელ და მომგვარებელ როლს ასრულებს. ასე მაგალითად, ინდოეთის კონსტიტუციაში თითქმის 400 მუხლად, დაწერილებითაა ჩამოყალიბებული ინსტიტუციური უფლებები და ურთიერთობები. ცხადია, ყველა საკუთარი რეალობის გათვალისწინებით და მეტ-ნაკლები ეფექტიანობით, მაგრამ მაინც ნებისმიერი კონსტიტუცია სტაბილურობის, წესრიგისა და ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს. ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციური მმართველობის საპირწონედ მხოლოდდა უსისტემო, თავნება თუ დესპოტური ხელისუფლება გვრჩება. სწორედ ამიტომ, რომ კონსტიტუცია უკვე თავისთავად გულისხმობს მოწესრიგებულობას. საზოგადოებრივი ურთიერთქმედების რთულ საკითხებში გარკვევა მხოლოდ მაშინ ხერხდება, როცა ყველა მონაწილემ იცის "თამაშის წესები" და ისიც წინასწარაა გარკვეული, ვისგან რას შეიძლება ელოდე.

თავისუფლების დაცვა

ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემებში თავისთავად იგულისხმება, რომ კონსტიტუციის ძირითადი დანიშნულება ხელისუფლების მოთოკვა და პიროვნული თავისუფლების დაცვაა. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ ხოლმე კონსტიტუციებს **შეზღუდული მმართველობის** დამყარებისა და შენარჩუნების საშუალებად. მართლაც, სწორედ კონსტიტუცია აწესრიგებს ურთიერთობას სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის, მკაფიოდ მიჯნავს სახელისუფლებო მართვისა და პიროვნული თავისუფლების სფეროებს. ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის წყალობაა, რომ ძალზე ბევრ შემთხვევაში ისეთი "კლასიკურ" თუ ტრადიციული სამოქალაქო თავისუფლებები როგორცაა აზრის გამოხატვის, რელიგიური აღმსარებლობის, შეკრებებისა თუ გადაადგილების თავისუფლება, "ფუნდამენტურადაა" აღიარებული იმ თვალსაზრისით, რომ მათ სწორედ კონსტიტუცია უზრუნველყოფს. ეს ე.წ. **უარყოფითი უფლებები** იმდენადაა ლიბერალური, რამდენადაც სახელმწიფო

უფლებათა დეკლარაცია

ესაა საკონსტიტუციო დოკუმენტი, რომელიც ასახავს პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებს და განსაზღვრავს სამოქალაქო თავისუფლების მოქმედების კანონიერ არეალს. მისი დამცველები ამტკიცებენ, რომ მხოლოდ მსგავსი ტიპის დეკლარაციებს შეუძლიათ კანონიერად და კონსტიტუციურად დაიცვან მოქალაქენი სახელმწიფოსაგან, და მათ საგანმანათლებლო ღირებულებაც გააჩნიათ, პიროვნების უფლებების კულტურის დანერგვის თვალსაზრისით. მოწინააღმდეგენი კი მოუთხოვენ, რომ ეს დეკლარაციები არჩეულ პოლიტიკოსებთან შედარებით, მოსამართლეებს ანიჭებენ მეტ ძალაუფლებას, ხოლო თავისთავად მოუქნელი და ხელეწიური ეს დეკლარაციები "მომხირობის" ჩვევს ამკვიდრებენ.

შეზღუდული ხელისუფლება:

ჩვეულებრივ კანონის, კონსტიტუციისა თუ კონტროლისა და ბალანსის ინსტიტუციურული ჩარჩოებით მკაცრად შეზღუდული ხელისუფლება.

15. კონსტიტუციები, კანონმდებლობა და მართლმსაჯულება

მათში ვერ ერევა და შესაბამისად, ისინი სახელისუფლებო აქტიურობის სფეროს არ განეკუთვნება.

ამავე დროს, სულ უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო აფართოვების ისეთი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სპექტრის როგორცაა ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და თვით შრომის უფლებაც კი. თუმცა, ეს დადებითი უფლებები აზრთა სხვადასხვაობას იწვევს რადგანაც ისინი არა სახელმწიფოს როლის შეზღუდვას, არამედ მის გაფართოებას უკავშირდება და ამგვარი უფლებების უზრუნველყოფის კონკრეტული ხელისუფლების ეკონომიკურ და სოციალურ რესურსებზე დამოკიდებული. შეგვიძლია თუ არა ყველა ესენი ფუნდამენტურად მივიჩნიოთ, როდესაც მათი გარანტირებული დაცვის არანაირი პრაქტიკული გზა არ არსებობს? ასე მაგალითად, ინდოეთის კონსტიტუციაში ნათქვამია რომ "შრომის უფლება დაცულია მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებისა და განვითარების დონის შესაბამისად".

რეჟიმის ლეგიტიმაცია

ბოლო-ბოლო, ნებისმიერი კონსტიტუციის მიზანი არსებული სისტემის დაკანონებაა. სწორედ ამით აიხსნება კონსტიტუციების ღამის საყოველთაო გაფრთხილება — ისეთ სახელმწიფოებშიც კი, სადაც მათ უბრალოდ, ფიქტიური ან დეკორატიული დანიშნულება აქვთ. ლეგიტიმაციის ამ პროცესს ორი მხარე აქვს: ერთი რომ კონსტიტუციის მიღება წინაპირობაა ნებისმიერი ქვეყნისათვის, რათა ის საერთაშორისო თანამეგობრობის წევრად იქცეს; თუმცა, უფრო მნიშვნელოვანია მისი ავტორიზაცია თავად სახელმწიფოს შიგნით ლეგიტიმაციის უზრუნველსაყოფად და ადგილობრივ მოსახლეობაში ნდობისა და პატივისცემის მოსაპოვებლად. ამის მიღწევა კი იმისდა მიხედვით ხდება შესაძლებელი, რამდენად გამოხატავს კონსტიტუცია მმართველი ელიტის ღირებულებებს და კანონიერების რა ატრიბუტებს ანიჭებს მმართველობის სისტემას. ამ თვალსზარისით, კონსტიტუციების მეტი ეფექტიანობისათვის, ხშირად თავად ამ დოკუმენტის წონის გაზვიადებას ცდილობენ და მის მიღებას ან ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენად, ანდა ეროვნული მისიისა და მეობის გამომხატველ სიმბოლოდ სახავენ.

უარყოფითი უფლებები:
იმ შეუზღუდავი მოქმედების სფეროს განმსაზღვრელი უფლებები, რომლებშიც ხელისუფლებას ჩარევა არ შეუძლია.

დადებითი უფლებები:
სახელმწიფოსაგან რესურსებისა თუ დახმარების მოთხოვნის უფლება, რაც მის პასუხისმგებლობას ზრდის.

აქვთ თუ არა კონსტიტუციებს რაიმე მნიშვნელობა?

კონსტიტუციის მიმართ მოწინააღმდეგეობა არსად ისე არ იგრძნობა, როგორც შეერთებულ შტატებში, სადაც ლუის პარტის (1955) სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთგვარი "კონსტიტუციის კულტი" არსებობს. ეს კარგად გამოჩნდა უოტერგეიტის სკანდალის შემდგომ, ჯერალდ ფორდის გამონათქვამში: "კონსტიტუცია მოქმედებს!" რაც კონსტიტუციონალიზმის

დღევანდის თავისუფალი გადამდერება: "ჩვენთან კანონი მართავს, და არა ადამიანები!" თუმცა, კონსტიტუციის არსებობა თავად ხელისუფლების კონსტიტუციურობას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. იმის არანაირი უტყუარი საბუთი, რომ თითქოსდა კონსტიტუცია ტირანიის საწინააღმდეგო მთავარი გარანტი, მით უფრო — "უტოპიის ბილეთი" იყოს, არ არსებობს.

კონსტიტიციის "მოქმედებას" გარკვეული პირობები სჭირდება. ანუ — კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოებანი. სწორედ ამოტომაა, რომ ახალგაძორეკელ "დემოკრატიულ" ქვეყნებში ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუციის მოდელი "არ მუშაობს". პიროვნული უფლებებისა და პოლიტიკური კონკურენციის უზრუნველყოფი წესები შესაძლოა სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდეს იმგვარ საზოგადოებებში, სადაც კოლექტივისტური ღირებულებები და ტრადიციები ფესვგადგმული — მით უმეტეს, თუ ამგვარი საზოგადოებები ჯერ კიდევ ცდილობენ, ეკონომიკური და სოციალური განვითარების რაღაც დონეს მიაღწიონ.

ასე იყო საბჭოთა კავშირში — სადაც 74 წლის განმავლობაში, სხვადასხვა კონსტიტუციების მეშვეობით ამოდ ცდილობდნენ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის უცხო და მიუღებელი სოციალისტური ღირებულებების დანერგვას. მეორეს მხრივ, იაპონიის 1947წ. კონსტიტუცია, რომელიც ასევე თავსმოხვეული გახლდათ შტატების მიერ და ძირითადი აქცენტი პიროვნების უფლებებზე გადაჰქონდა — უფრო ტრადიციული, მოვლუობის კულტის საპირწონედ, უაღრესად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და საკმაოდ მყარი საფუძველიც შექმნა ომისშემდგომი აღმშენებლობისა და პოლიტიკური განვითარებისათვის. თუმცა, გერმანიისა არ იყოს, აქაც "ეკონომიკურმა სასწაულმა" ითამაშა თავისი როლი.

მეორე მნიშვნელოვანი ამბავია, რამდენად სცემენ პატივს კონსტიტუციას მმართველი წრეები და რამდენად ეხმიანება იგი გაბატონებულ ჯგუფთა ინტერესებსა და ღირებულებებს. ასე მაგალითად, გერმანიის ვაიმარის კონსტიტუცია, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად აფართოვებდა უფლებებსა და თავისუფლებებს, ძალზე იოლად გაუქმდა 1930წ. ჰიტლერის მიერ ნაცისტური რეჟიმის დამყარებისთანავე. ამის მიზეზი ის იყო, რომ მისი კონკურენტული დემოკრატიის პრინციპები აშკარად წინააღმდეგობაში მოდიოდა ნაცისტების ამბიციებთან და ბიზნეს თუ სამხედრო წრეების ელიტათა კონსერვატიულ ინტერესებთან, და ამჟღად დროს, ვერც მოსახლეობის მხრიდან პოულობდა მხარდაჭერას ეკონომიკური კრიზისისა და წარმომადგენლობითი მმართველობის ტრადიციის უქონლობის გამოისობით. 1075-77 წწ. ინდოეთში, ინდირა განდის მმართველობის დროს, და 1977-81წწ., როცა პაკ-ისტანს გენერალი ზია ულ-ჰაკი მართავდა, კონსტიტუციათა მთავარი ნორმები შეიცვალა "საგანგებო მდგომარეობის" გამოცხადების მოტივით. ორივე ამ შემთხვევაში სამხედრო სარდლობის მხარდაჭერა და არა კონსტიტუციათა ხელშეუხებლობის დეკლარაცია აღმოჩნდა გადამწყვეტი.

ბოლო, თუმცა არა უკანასკნელი ფაქტორია — რამდენად ერგება კონსტიტუცია ცვალებად პოლიტიკურ ვითარებას. თავისთავად, არცერთი მათგანი არ ასახავს პოლიტიკურ რეალებს და ცოტა თუ იქნება საგანგე-

თავისუფლება

თავისუფლების ცნება, ფართო გაგებით, შენს ნებაზე ფიქრსა და მოქმედებას ნიშნავს. თუმცა ხშირად განასხვავებენ "უარყოფით" და "დადებით" თავისუფლებას: ანუ, რაღაცისაგან თუ რაღაცისთვის თავისუფლად ყოფნას. უარყოფითი თავისუფლება სხვის საქმეში ჩაურევლობას ნიშნავს, როცა ადამიანი არანაირ გარეგულ სადაცვეებს არ გრძნობს; ასეთ დროს მას შეუძლია ისე მოიტყეს, როგორც თავად სურს. დადებითი თავისუფლება დაკავშირებულია გარკვეული მიზნისა თუ შედეგის მიღწევასთანა დაკავშირებული, რაც ყველაზე ხშირად თვითგანვითარებას, საკუთარი თავის რეალიზებას თუ სრულყოფას გულისხმობს.

15. კონსტიტუციები, კანონმდებლობა და მართლმსაჯულება

პარლამენტის უზენაესობა

ესაა პარლამენტისა თუ კანონმდებლობის სრული და შეუზღუდავი უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ შექმნას, შეასწოროს თუ გააუქმოს ნებისმიერი კანონი. პარლამენტის უზენაესობის პრინციპი უმთავრესია ბრიტანული კონსტიტუციისათვის და ეს რამდენიმე ფაქტორის შედეგია — გაერთიანებულ სამეფოში არ არსებობს დაწერილი კონსტიტუცია, კანონის ყველა სხვა ფორმასთან შედარებით, უზენაესი პარლამენტის საკანონმდებლო აქტია, საკანონმდებლო უფლებამოსილება მხოლოდ პარლამენტს აქვს მინიჭებული და ვერცერთი პარლამენტი ვერ მოახვედრს თავს ამა თუ იმ კონვენციის თავის შემცველს. ამ პრინციპის მომხრეებისათვის მთავარი ღირსება, სრული კონსტიტუციური უფლებამოსილების სწორედ წარმომადგენლობითი ინსტიტუტისთვის, და არა დანიშნული მოსამართლეებისათვის გადაცემაში მდგომარეობს. რაც შეეხება კრიტიკოსებს, ისინი ხსენებული პრინციპის სრულ ავტორიტარულობაზე საუბრობენ, რამაც პარლამენტში აღმასრულებელი ხელისუფლების გაუღუნის გაძლიერების შემთხვევაში, შესაძლოა საქმე "არჩევით დიქტატურამდეც" მიიყვანოს.

კანონმდებლობა:
სახელმწიფოს მთელ პოლიტიკურ სივრცეში გამოყენებულ საჯარო და საუბლოდებულ წესთა ერთობლიობა.

ბოლო ამ მიზნით. ზოგადად, წარმატებული კონსტიტუციები ცვლილებებისადმი მეტ მოქნილობას ამჟღავნებენ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ამერიკული კონსტიტუცია: იგი ზოგად პრინციპებს ქადაგებს და არა კონკრეტულ რეცეპტებს, რაც ხელისუფლებას ყოველთვის აძლევდა საშუალებას, სწრაფი პასუხი მოენახა ახალი გამოწვევებისა თუ მოთხოვნების შესაბამისად. საქმეც ისაა, რომ უმთავრესი ღირებულებანი — ძალაუფლების განაწილება, ფედერალიზმი და პიროვნული თავისუფლება — მუდამ ხელშეუხებელი რჩებოდა.

კანონმდებლობა

კანონი, ზნეობა და პოლიტიკა

დამოკიდებულება კანონსა და ზნეობას შორის, პოლიტიკური თეორიის ერთი უმწვავეს პრობლემათაგანია. ერთი შეხედვით, ისინი სრულად განსხვავებული ცნებებია: კანონი, ესაა საზოგადოებრივი კონტროლის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც იძულების საშუალებით მოქმედებს; ის მკაფიოდ განსაზღვრავს — რა შეიძლება გააკეთოთ და რა — არა. მეორე მხრივ, ზნეობა ეთიკურ საკითხებს უკავშირდება და "სწორსა" და "არასწორს" განასხვავებს; ის გეკარნახობს რა უნდა გააკეთოთ და — რა არ უფრო მეტიც, რამდენადაც კანონი საზოგადოებრივი ფაქტია, მას ობიექტური ხასიათი გააჩნია, ზნეობას კი, როგორც წესი, სუბიექტურ მოცულობად განიხილავენ ხოლმე: პიროვნული შეხედულებისა თუ მრწამსის საგნად. და მაინც, იმ ბუნებრივი კანონების თეორიათა თანახმად, რომელიც სათავეებთანაც პლატონი და არისტოტელე იდგნენ, კანონი ამა თუ იმ ზნეობრივ სისტემაშია (ან უნდა იყოს) ფესვგადგმული. ახალი ისტორიის გარიჟრაჟზე მსგავსი თეორიები ხშირად დვითე-ბოძებულ "ზნეობითი უფლებების" იდეას ეფუძნებოდა და უკვე მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე კანონსა და ზნეობას შორის სავარაუდო ურთიერთკავშირის დანახვა ჩვეულებრივ ამბად იქცა — სამოქალაქო თავისუფლებებისა და ადამიანის უფლებების გაფართოებიდან გამომდინარე.

თუმცა, XIX საუკუნეში შექმნილი "პოზიტიური კანონის მეცნიერების" ჭრილში, ურთიერთობა კანონსა და ზნეობას შორის, სულ სხვაგვარად მოიაზრებოდა. ეს მოძღვრება მიზნად ისახავდა კანონის გაგებას სრულად გაეთავისუფლებინა ზნეობრივი, რელიგიური და მისტიკური ელემენტებისაგან. ჯონ ოსტინმა (1790—1859) "კანონიერი პოზიტივიზმის" თეორიაც შექმნა, რომელიც კანონს განმარტავდა არა მისი შესაბამისობის მიხედვით უფრო მაღალ ზნეობრივ თუ რელიგიურ პრინციპებთან, არამედ იმ ფაქტორს, რომელიც გამოდინარე, რომ ის დადგენილია და საუბლოდებულ: ანუ, კანონი იმიტომ არსებობს, რომ მას ემორჩილებიან. ამგვარი შეხედულება კიდევ უფრო დააკონკრეტა ჰარტმა თავის "კანონის კონცეფციაში" (1961). მისი აზრით,

ადამიანის უფლებები

უფლებები, რაც უკვე ადამიანად გაჩენის გამო თავისთავად გვენიჭება — ბუნებითი უფლებების თანამედროვე და საერო ვარიანტი. ამგვარი უფლებები "საყოველთაოა" იმ გაგებით, რომ ნებისმიერ პიროვნებაზე ვრცელდება მიუხედავად მისი სახელმწიფოებრივი, რასობრივი, რელიგიური თუ გენდერული კუთვნილებისა. ამავე დროს, მათ "ფუნდამენტური" ხასიათიც გააჩნიათ, რამდენადაც, სამოქალაქო უფლებებისგან განსხვავებით, შეუძლებელია მათი ჩამორთმევა. დამცველები ადამიანის უფლებებში იმ საყოველთაოდ მისაღებ ზნეობრივ პრინციპებს ხედავენ, რომლებიც ტრადიციულ იდეოლოგიურ დაყოფაზე მალლა დგანან. თუმცა, კრიტიკოსები თავის მხრივ ამტკიცებენ, სისულელეა იმაზე საუბარი, თითქოს ადამიანებს თავიანთი ტრადიციებისაგან, კულტურებისაგან და საზოგადოებებისაგან გამოცალკევებული რაიმე უფლებები ჰქონდეთო.

კანონი "პირველად" და "მეორად" წესების ერთობლიობიდან მომდინარეობს, რომელთაც, თავის მხრივ, კონკრეტული დანიშნულება გააჩნია. პირველადი კანონები საზოგადოებრივ ქცევას აწესრიგებენ და ისინი შეიძლება საკანონმდებლო სისტემის "შინაარსად" მოვიაზროთ: ამის მაგალითია სისხლის სამართლის კოდექსი; მეორადი კი ის წესებია, რომლებიც ძალაუფლებას ანიჭებენ სახელისუფლებო ინსტიტუტებს. ისინი ადგენენ, როგორ შეიქმნას, შესრულდეს და შეფასდეს პირველადი წესები და მათ იურიდიულ არეალსაც განსაზღვრავენ.

კანონმდებლობა იმდენად გადამწყვეტ როლს ასრულებს საზოგადოებრივი ქცევის რეგულირების საქმეში, აღარავის ეპარება ეჭვი, თუ რამდენად დიდია მისი პოლიტიკური მნიშვნელობა. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა კანონმდებლობისა და პოლიტიკის რეალურ თუ სასურველ ურთიერთობათა თაობაზე, რამაც კანონების ხასიათში, მათ დანიშნულებასა და სწორ გამოყენებაში უნდა ჰპოვოს ასახვა. კანონმდებლობის ჩვენეული

კანონის მმართველობა

პრინციპი, რომლის თანახმადაც უნდა "მართავდეს" მხოლოდ კანონი და სწორედ ის უნდა ადგენდეს ჩარჩოებს, რასაც ნებისმიერი პიროვნების ქმედება თუ ქცევა უნდა მოერგოს — სულერთია, საზოგადოების რიგითი წევრი იქნება ის, თუ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელი. შესაბამისად, ესაა უმთავრესი ლიბერალ-დემოკრატიული პრინციპი, რომელიც თავის თავში მოიცავს კონსტიტუციონალიზმისა და შეზღუდული ხელისუფლების იდეებს. ევროპაში მას ხშირად გერმანულ "რუტშმატან" — კანონზე დამყარებული სახელმწიფოს ცნებასთან — აიგებენ. ა.შ.შ.-ში კანონის მმართველობა მჭიდროდ უკავშირდება კონსტიტუციის, როგორც "უზენაესი" კანონის სტატუსს. გაერთიანებულ სამეფოში იგი ზოგადი კანონიდან იღებს სათავეს და დაწერილი კონსტიტუციის ერთგვარ ალტერნატივადაც გვევლინება.



თომას ჰობსი (1588—1679)

ინგლისური პოლიტიკური ფილოსოფიის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. დაიბადა ხელმოკლე ღვთისმსახურის ოჯახში და მამამ ადრევე მიატოვა. იყო სამშობლოდან განდევნილი უელსის პრინცის, ჩარლზ სტიუარტის პირადი მასწავლებელი და კაენდისების ოჯახის მფარველობით სარგებლობდა. წერა ინგლისური რევოლუციის შემდგომ, შიდააშლილობისა და სრული გაურკვევლობის ჟამს დაიწყო და არისტოტელეს შერე, ალბათ პირველი ფუნდამენტური თეორია

შექმნა ბუნებასა და ადამიანურ ქცევასთან დაკავშირებით, მის კლასიკურ ნაწარმოებში "ლევიათანში" (1651), განხილულია პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხები და აშკარად იგრძნობა სამოქალაქო ომის გამოძახილი. ჰობსი მმართველობის აბსოლუტიტურ ფორმას კი ემხრობოდა, მაგრამ როგორც გონიერული განსჯისა და საზოგადოებრივი თანხმობის პრინციპების მიმდევარი, მაინც ვერ გადაურჩა **ღვთაებრივი უფლების** დამცველთა გულისწყრომას.

გაგება უმთავრესად ლიბერალური თეორიიდან იღებს სათავეს და ამ გაგებით კანონი ცივილიზებული და მოწესრიგებული არსებობის უპირველესი გარანტიაა — ეს შეხედულება მილიანად ჯდება **სოციალური კონტრაქტის** თეორიის დებულებებში: როცა არ არსებობს სახელმწიფო და საკანონმდებლო სისტემა, ანუ — "ბუნებრივ მდგომარეობაში" — ნებისმიერ ცალკეულ პიროვნებას თავისუფლად შეუძლია სხვას დაემუქროს თუ შეურაცხოს. ახვ რომ, კანონის დანიშნულებაა საზოგადოების ყოველი წევრი დაიცვას თანამოქალაქეთაგან და მისი უფლებებისა თუ თავისუფლებების ხელშეუხებლობა უზრუნველყოს.

კანონი თავისთავად პოლიტიკაზე "მალა" დგას, და აუცილებელია მათი მკაფიო გამიჯვნა, რათა სახელმწიფომ — პიროვნების, მდიდარმა — ღარიბის, მამაკაცმა — ქალის, თეთრკანიანმა — ფერადკანიანის დაჩაგვრა ვერ მოახერხოს. სწორედ ამიტომაც ანიჭებენ ლიბერალები განსაკუთრებულ მნიშვნელობას კანონის უზენაესობას, რაც კანონიერი მმართველობის პრინციპშია ჩადებული. კანონის ამგვარ გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულებისათვის, რომელსაც ევალება კიდევ კანონის განმარტება და მოდავეთა განსჯა. საქმე ისაა, რომ მოსამართლეები უცილობლად დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ, ანუ — სახელისუფლებო მანქანის "ზემოთ" თუ "მიღმა" დარჩნენ, და არავითარ პოლიტიკურ ზეგავლენას არ განიცდიდნენ.

მართალია, კანონის მთავარი მიზანი თავისუფლების დაცვაა, ოღონდ ისიც საგულისხმია, რომ თავად კანონმდებლობის სფერო შემოსაზღვრული უნდა იყოს, ანუ — იგი თავისუფლებების არეალის გაფართოებას უნდა მსახურებდეს და არა შეზღუდვას. ამ პროციპის ერთი ნათელი დადასტურებაა ჯ.ს. მილის ლიბერალური განცხადება: "პიროვნება თვითონაა საკუთარი თავის, სხეულისა და გონების უფალნი. მილისათვის კანონის სამართლიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო მისაღები, როდესაც "სხვათათვის ზიანის მიყენებას" გამორიცხავდა. ალბათ ამიტომაც ვერ ჰპოვა მის ნააზრევში ასახვა იმ ტიპის კანონებმა, რომლებიც ადამიანს საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენებას აუკრძალავდა (ლოთობა, თვითმკვლელობა, მეძაჟობა და ა.შ.).

ღვთაებრივი უფლება: შეხედულება, თითქოს მიწიერი მმართველები ღვთის რჩეულნი არიან და შეუზღუდავ ძალაუფლებასაც სწორედ ამიტომ უნდა ფლობდნენ; მონარქიული აბსოლუტიზმის გამართლების მცდელობა.

კანონმდებლობის ალტერნატიული თვალსაზრისი კონსერვატიულმა თეორეტიკოსებმა ჩამოაყალიბეს: ისინი უფრო მეტად იმ აზრისკენ იხრებოდნენ, რომ კანონი წესრიგთანაა დაკავშირებული - ზოგჯერ იმდენადაც კი, მათი გაცალკევება ვერც ხერხდებაო. მსგავსი შეხედულება ორი წყაროდან საზრდოობს: პირველი მართალია ჰობსისეული, მაგრამ მაინც უკიდურესად ჰესიმისტური ხედვაა ადამიანის ბუნებასთან მიმართებაში. "ლევიათანში" (1651) ჰობსმა ადამიანის უმთავრეს მოთხოვნილებად "სიკვდილდე ღალაუფლებისაკენ მუდმივი და ჯიუტი ლტოლვა" მიიჩნია, და მისი აზრით, საზოგადოებრივი უწყსრიგობის საფუძველი ადამიანის ბუნებაშივე იყო საძიებელი. გარკვეულწილად, ამაში ქრისტიანული "პირველცოდვის" გამოძახილიც შეგვიძლია დავინახოთ. აქედან გამომდინარე, წესრიგი მხოლოდ მკაცრი კანონებით, იძულებითა და შესაბამისი სასჯელით მიიღწევა; ანუ, ჰობსისათვის ქაოსისა და ბარბაროსობისაგან გადარჩენის ერთადერთი საშუალება კანონმდებლობა გახლდათ.

კანონმდებლობის მნიშვნელობის კონსერვატიული გაგების მეორე წყარო ის რწმენაა, რომლის თანახმადაც სზოგადოებრივი მდგრადობა თანახმარი ღირებულებებისა და საერთო კულტურის არსებობაზეა დამოკიდებული. ამ შეხედულების კლასიკური გამოხატულება პატრიკ ლეკლინის "მორალის დაკანონებაში" (1968) შეგვიძლია ამოვიკითხოთ. ლეკლინის აზრით, საზოგადოებას უფლება აქვს იძულებით დააკანონოს "საზოგადოებრივი ზნეობა" — საკანონმდებლო ინსტრუმენტების მეშვეობით. ცხადია, მსგავსი პოზიცია ახლოსაც არაა მილკისეულ **ლიბერტარიანიზმთან**, რამდენადაც გულისხმობს, რომ საზოგადოებას უფლება აქვს თავი დაიცავს იმგვარი მანკიერებისაგან, როგორცაა ვთქვათ, მამათმავლობა თუ ნარკომანია. მსგავსი შეხედულებები გამოხატეს XX საუკ 80-990-იან წწ. ახალმა მემარჯველებმაც, რომლებიც "ტრადიციული ზნეობისა" თუ "ოჯახური ღირებულებების" მედროშეხად გამოვიდნენ და ამ მცნებათა დაცვაც კანონს მანდეს.

მართლმსაჯულება

მართლმსაჯულება ხელისუფლების ის შტოა, რომელიც უფლებამოსილია საკანონმდებლო დაფა გადაჭრას. შესაბამისად, მოსამართლეთა მთავარი დანიშნულებაც კანონის "ამოკითხვა", ანუ ამა თუ იმ ქმედებისათვის მისი მართებულად მიყენებაა. ამ ფუნქციის მნიშვნელობა სხვადასხვაგვარია განსხვავებულ სახელმწიფოებსა თუ სისტემებში. თუმცა, ეს განსაკუთრებით საყურადღებოა დაწერილი კონსტიტუციის მქონე ქვეყნებში, სადაც საჭირო ხდება თავად კონსტიტუციის განმარტებაც და მოსამართლეები არბიტრებად გამოდიან უკვე სახელისუფლებო ინსტიტუტთა შორის წარმოქმნილ დავებშიც და სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის დაპირისპირების დროსაც.

მართლმსაჯულებამ კიდევ უფრო დიდი დატვირთვა შეიძინა საერთაშორისო სამართლის მზარდი მნიშვნელობის პირობებში. ჰააგის საერთაშორისო სასამართლო გაეროს საკანონმდებლო შტოა — სწორედ იგი

ლიბერტარიანიზმი: რწმენა, რომ პიროვნული თავისუფლების სფერო მაქსიმალურად უნდა გაფართოდეს, რაც თავის მხრივ, ხშირად საზოგადოებრივი გავლენის შემცირების მცდელობებთანაც ასოცირდება.

15. კონსტიტუციები, კანონმდებლობა და მართლმსაჯულება

ავგარებს სახელმწიფოთა შორის სადაო საკითხებს, მაგრამ რამდენადღაც საერთაშორისო სამართალი პატოვს მიაგებს სუვერენიტეტის პრინციპს, ასევე დროს ყოველი მოდავე მხარის ნდობა აუცილებელი პირობა ხდება ხოლმე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ, ერთგვარად გაა- ცოცხლა 1945-6 წწ. ნიურნბერგის პროცესის იდეა და **სამხედრო დანაშაულებათა** ანუ "კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებას ქვევა. სწორედ მან აღძრა საქმე და დააპატიმრა კიდევ მასობრივ დანაშაულებებში ეჭვმიტანილი არაერთი პიროვნება, მათ შორის — იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი, სლობოდან მილოშევიჩი. ამას გარდა არსებობს რამდენიმე რეგიონალური მასშტაბის საერთაშორისო სასამართლოც, მაგალითად — ევროგაერთიანების საერთაშორისო სასამართლო ლუქსემბურგში და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლო - სტრასბურგში.

მართლმსაჯულების ერთი უმთავრესი ნიშანი — ლიბერალურ დემოკრატიულ სისტემებში კი განმსაზღვრელიც — მოსამართლეთა სრულ დამოუკიდებლობა და არაპოლიტიზირებაა. სწორედ ამაში ხედავენ კანონმდებლობისა და პოლიტიკის გამიჯვნის სასიცოცხლოდ აუცილებელ წინაპირობას; ოღონდ, მართლმსაჯულების ამგვარი ხატი მუდამ მაცდურია ალბათ უფრო სწორი იქნებოდა მასში არა უბრალოდ საკანონმდებლო არამედ სწორედ პოლიტიკური ინსტიტუტი დაგვეჩახა — როგორც სასამართლო პროცესების მთავარი მოქმედი პირები, მოსამართლეები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ისეთ აშკარად პოლიტიკურ ქმედებებში, როგორიცაა კონფლიქტის გადაჭრა და სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაცია. მოკლედ, აქ ორი შეკითხვა ჩნდება: ა) განისაზღვრება თუ არა მსაჯულთა ქმედება პოლიტიკური მოტივებით და ბ) ზემოქმედებენ თუ არა ისინი პოლიტიკურ პროცესზე — იმ გაგებით, რომ პოლიტიკოსებს აიძულებენ პასუხი აგონ საკუთარ ქმედებებზე?

არაიან თუ არა მოსამართლეები პოლიტიკური ფიგურები?

ზოგიერთი პოლიტიკური სისტემა საერთოდ აინუნში არ აგდებს სასამართლოს მიუკერძოებლობისა და არაპარტიულობის მოთხოვნებს მაგალითად, კომუნისტურ რეჟიმებში "სოციალისტური კანონიერების" პრინციპი პირდაპირ ავალდებულებდა მოსამართლეებს კანონი მარქსიზმ-ლენინური გადასახედიდან წაეკითხათ. ამგვარად, მოსამართლეები მხოლოდ ფუნქციონერებად იქცნენ და რეჟიმის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დაკვეთას ასრულებდნენ. ამის მკაფიო დადასტურება გახლდათ 30-იან წწ. გამართული "საჩვენებელი პროცესები". ნაცისტური მმართველობის პერიოდში, გერმანული სასამართლოებიც ზუსტად ასევე, იდეოლოგიურ რეპრესიების და პოლიტიკური დევნის იარაღს წარმოადგენდნენ. თუმცა, სხვა სახელმწიფოებში, მოსამართლეებს მკაცრი პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა მოეთხოვებოდათ. ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის ამა თუ იმ ფორმასთან წილნაყარ ქვეყნებში, კანონის უზენაესობა უშუალოდ

სამხედრო დანაშაულებანი: ქმედება, რაც ომის წარმოების წესებთან დაკავშირებულ საერთაშორისო შეთანხმებებს წინააღმდეგება — ჩვეულებრივ სამოქალაქო პირებისა და სამხედრო ტყვეების მიმართ განხორციელებული სისასტიკე.

უკუშორდება მის არაპოლიტიკურ ბუნებას, რაც, თავის მხრივ, იმ რწმენას უკუყვარება, რომ კანონის დამცველი და აღმსრულებელი — დამოუკიდებელი და არაპარტიული მოსამართლე უნდა იყოს.

მოსამართლეთა "გაპოლიტიკურება" ორ შემთხვევაშია სავარაუდო: გარეგანი ზეწოლისა თუ შინაგანი გაორების შედეგად. პირველი ფაქტორი მაშინ ჩნდება, როდესაც პოლიტიკური პარტიები, პარლამენტი და მთავრობა აზერხებენ საკუთარი ნება მოახვიონ თავს სასამართლო ხელისუფლებას; შინაგანი გაორება კი თავად მოსამართლეთა მიეკროძობის თუ სიმპატიანტიპატიების გამოძახილია. გარეგანი ზეწოლის შეკავება სწორედ **სასამართლო დამოუკიდებლობის** პრინციპის პატივისცემის შემთხვევაშია შესაძლებელი: ლიბერალურ დემოკრატიათა უმრავლესობაში ამგვარი დამოუკიდებლობა დაცულია მოსამართლეთა თანამდებობრივი ხელშეუხებლობითა და მათი ავტორიტეტით. თუმცა, ამ სისტემაშიც შესაძლებელია პოლიტიკური ინსტიტუტების ჩარევა მართლმსაჯულების სფეროს დაკომპლექტებისას — განსაკუთრებით, არჩევნებისწინა პერიოდში.

ა.შ.შ.-ში, მაგალითად, "კეთილსინდისიერი სამსახურის" შემთხვევაში მოსამართლემ სიცოცხლის ბოლომდე შეიძლება შეინარჩუნოს თანამდებობა; ოღონდ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეებს ამერიკის პრეზიდენტი ნიშნავს, ხოლო სენატი ამტკიცებს და ამ შემთხვევაში, მათი პოლიტიკური შეხედულებები თუ პარტიული სიმპატიები არცთუ უმნიშვნელო ამბავია. გაერთიანებულ სამეფოში ყველა მოსამართლეს არსებული ხელისუფლება ამტკიცებს/ნიშნავს, უზენაეს მსაჯულებს კი — უშუალოდ პრემიერ-მინისტრი, ლორდ-კანცლერის წარდგინების თანახმად, და პოლიტიკურ მოტივაციებს აქაც დიდი ყურადღება ექცევა.

საფრანგეთის საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც უფლებამოსილია დაადგინოს კანონების კონსტიტუციურობა და შესაბამისად, გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცოს როგორც ასამბლეა, ისე აღმასრულებელი ხელისუფლებაც, განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი პოლიტიკური უღფერით. მისი წევრების უმრავლესობა საკმაო გამოცდილების მქონე პოლიტიკოსები არიან და არა პროფესიონალი მოსამართლეები. ამ სასამართლოს ერთ მესამედს პრეზიდენტი ირჩევს, ერთს — ნაციონალური ასამბლეა და ერთსაც — სენატი, რაც ძალზე ხშირად, პარტიული სიმპათიების ნიშნით ხდება.

ოღონდაც, პრობლემა მარტო ის კი არაა, ვინ და როგორ ნიშნავს, არამედ ვის ნიშნავენ. ბრიტანული მართლმსაჯულების უმაღლესი ეშელეონები მთლიანად თურქანთან, საშუალოზე მაღალი სოციალური სტატუსის მქონე, კემბრიჯ/ოქსფორდ დამთავრებული მამაკაცებისაგან შედგება და ბევრის აზრით, ისინი იმთავითვე არ არიან მიუყვარებელი ქალების, რასობრივი უმცირესობების თუ საერთოდ, საზოგადოებრივად მათთვის უცხო წრეების წარმომადგენელთა მიმართ.

მართალია, ამერიკის უზენაეს სასამართლოში, XX საუკუნე 50-იანი წლებიდან ერთი ადგილი შავკანიან მოსამართლეს ეკუთვნის, დღესდღეობით კი იქ ორი ქალია წარმოდგენილი, წევრებს შორის ზოგადად მაინც

ნეიტრალიტეტი

სრული ჩაურევლობა თუ მიუძვრობლობა; უარის თქმა "რომელიმე მხარეს" დადგომაზე. საერთაშორისო წრეთა შორის, ნეიტრალიტეტი კანონიერი მდგომარეობაა, როცა სახელმწიფო აშკარად აცხადებს კონფლიქტსა თუ ომში საკუთარი ჩაურევლობის შესახებ და უარს ამბობს მხარი დაუჭვროს ან დამხაროს ამა თუ იმ მონაწილეს. როცა პიროვნულ დონეზეა საუბარი და საქმე მოსამართლეების, საჯარო მოხელეების, სამხედროების თუ სხვადასხვა თანამდებობის პირთა ნეიტრალურობას ეხება, ასეთ დროს, ზოგადად, პოლიტიკური სიმპატიებისა და იდეოლოგიური კავშირების არქონა, ერთგვარი პოლიტიკური "საჭურისობა" იგულისხმება ხოლმე. თუმცა, პრაქტიკულად მსგავსი რამ თითქმის გამორიცხვულია და პოლიტიკური სიმპატიანტიპატიების თემაც მაშინ ხდება აქტუალური, როცა არაჯანსაღად აისახება უშუალო მოკალეობების შესრულებაზე.

სასამართლო დამოუკიდებლობა:

კონსტიტუციური პრინციპი, რომელიც მკაცრად მიჯნავს ხელისუფლების სასამართლო შტოს, ორი დანარჩენისაგან; ძალაუფლების დანაწილების აუცილებელი პირობა.

15. კონსტიტუციები, კანონმდებლობა და მართლმსაჯულება

სასამართლო ზედამხედველობა

ესაა მართლმსაჯულების უფლება, "გადახედოს" და საჯაროდ გააუქმოს კიდევ ხელისუფლების ორი სხვა შტოს მიერ მიღებული კანონები, დეკრეტები და სხვა სამართლებრივი აქტები. კლასიკური გაგებით, სასამართლო ზედამხედველობის პრინციპი მომდინარეობს დაწერილი კონსტიტუციის არსებობიდან და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოებს აღკვეთონ "არაკონსტიტუციური", სახელმწიფოს უზენაეს კანონთან შეუსაბამოდ მიჩნეული ქმედებანი. რაც შეეხება იმ ტიპის სახელმწიფოებს, სადაც არ არის დაწერილი კონსტიტუცია, აქ სასამართლო ზედამხედველობა იმის დადგენით შემოიფარგლება, გადააჭარბა თუ არა დადგენილ უფლებამოსილებას აღმასრულებელი ხელისუფლების ამა თუ იმ წარმომადგენელმა. როგორც "კანონის მმართველობის" უმთავრესი წინაპირობა, სასამართლო ზედამხედველობის პრინციპი ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის ქვაკუთხედად ითვლება და, ავად თუ კარგად, მართლმსაჯულების უზენაესობას უწყობს ხელს.

თეთრკანიანი ანგლო-საქსი პროტესტანტები ჭარბობენ, რომლებიც ამერიკის საშუალო და მაღალ კლასებს განეკუთვნებიან. ავსტრალიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც, მსგავსი ტენდენციების საპირწონედ სცადეს მართლმსაჯულებაში სოციალურად უფრო მრავალფეროვანი წარმომადგენლობა შეექმნათ ასე მაგალითად, XX საუკ. 80-იანი წლებიდან ავსტრალიაში მოსამართლეებად არა მხოლოდ პრაქტიკოს-ადვოკატებს ირჩევენ, არამედ — სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებსაც კი.

ქმნიან თუ არა მოსამართლეები პოლიტიკას?

რამე რომ იყოს, მოსამართლეთა, როგორც "კანონთა ქურუმების" ამბავი, რბილად ითქვას, გადაჭარბებულია. მათ არ ძალუძთ ბრმად მიეყნენ კანონებს, რადგან არც ერთი დაწერილი კანონი არაა ერთმნიშვნელოვანი. ფაქტიურად, ისინი აზრს "ანიჭებენ" კანონს იმისდა მიხედვით, თუ რომელს ამოირჩევენ ყველა შესაძლო წაკითხვიდან. ამ გაგებით, ნებისმიერი კანონმდებლობა მოსამართლეთა "შემოქმედების" ნაყოფია. აქ ორი მოძენითა გადაძვევები: ერთი, რომ რამდენად ცხადია და დეტალურად გაწერილი ესა თუ ის კანონი — როგორც წესი, ზოგადი ნორმები თუ საკონსტიტუციო პრინციპები სამართლებრივი ინტერპრეტირების უფრო ფართო შესაძლებლობას იძლევა; მეორე კი "დაწერილი" კონსტიტუციის არსებობაა: სწორედ ამგვარი ტიპის დოკუმენტი ანიჭებს მართლმსაჯულებას კანონების სამართლებრივი გადახედვის შესაძლებლობას.

მართალია, ზოგჯერ ათვლის წერტილად ინგლისურ კანონმდებლობაში 1610 წელს განხილულ დრ. ბონემის საქმეს მიიჩნევენ, მაგრამ რეალურად, სამართლებრივი შესწორებები ამერიკული მონაპოვარია და იგი შედეგად მსოფლიოში პირველი დაწერილი კონსტიტუციის მიღებას მოჰყვა. თავად ამერიკულ კონსტიტუციაში შესწორებების თაობაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ მისი შინაგანი ლოგიკა იმთავითვე გულისხმობდა მსგავსი შესწორებების შეტანის გარდუვალობას. რამდენადაც კონსტიტუცია სახელისუფლებო ინსტიტუტების ქმედებათა ზოგად ნორმებს ადგენდა, მათ ამკარად სჭირდებოდათ ზედამხედველობა, რასაც მხოლოდ მართლმსაჯულება (კონკრეტულად — უზენაესი სასამართლო) გაართმევდა ყველაზე უკეთ თავს. სამართლებრივი შესწორების ძალის პირველი გამოცდა გახლდათ სასამართლოს თავმჯდომარის, ჯონ მარშალის გადაწყვეტილება "მარბერისა და მედისონის" საქმესთან დაკავშირებით (1803წ.); სწორედ მაშინ განაცხადა საჯაროდ უზენაესმა სასამართლომ, რომ 1789 წლის სამართლებრივი აქტი შეუთავსებელი იყო ამერიკული კონსტიტუციის "უზენაეს ნორმებთან" და სწორედ ამან აქცია ეს სასამართლო პოლიტიკურ ინსტიტუტად, რომელიც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სადაო საკითხებს განსჯიდა და საბოლოო განაჩენსაც გამოიტანდა.

ხშირ შემთხვევაში, სწორედ უზენაესი სასამართლო უსწრებდა წინ კონგრესსა თუ პრეზიდენტს და სამომავლო საკანონმდებლო ინიციატივებს უშზადებდა ნიადაგს — როგორც მაგალითად, XX საუკ. 60-იან წწ. სამო-

პლაქო უფლებების რეფორმებთან დაკავშირებით. ასევე, სწორედ უზენაესმა სასამართლომ დააყენა აბორტის აკრძალვის კონსტიტუციურობის საკითხი 1973 წელს, როცა არჩევითი ორგანოები თავს არიდებდნენ ამ უაღესად წინააღმდეგობრივ თემაზე საუბარს. მართალია, იმ პერიოდის **სამართლებრივი აქტივობის** ინტენსივობა თანდათანობით შემცირდა — რესპუბლიკელ პრეზიდენტსა — ნიქსონის, რიგანისა და მამა-ბუშის კონსერვატორული შეხედულებების გავლენით, ოღონდ სასამართლო მაინც აგრძელებდა სიკვდილით დასჯისა თუ აბორტის შეზღუდვის საკითხების განხილვას. თუმცა, უზენაესი სასამართლოს პოლიტიკურად ვეღვაზე უფრო პრინციპული გადაწყვეტილება ალბათ 2000 წლის ის ვერდიქტი გახლდათ, რომელმაც გააუქმა ფლორიდის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება და სადაო საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად ჯორჯ ბუში-უმცროსი გამოაცხადა: ბევრის აზრით, ამ შემთხვევაში სასამართლომ სწორედ რომ "ამერიკელი ხალხის ნებასთან" გააიგივა თავი.

საქმეც ისაა, რომ ამგვარი სამართლებრივი შესწორებები მხოლოდ იმ შემთხვევაშია შედეგიანი, სანამ მოსამართლენი მთლიანად დამოუკიდებელი რჩებიან სხვა სახელისუფლებო ინსტიტუტებისაგან. ეს კი, როგორც აღვნიშნეთ, რეალურად ძალზე იშვიათად ხერხდება. ასე მაგალითად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე მსჯელობისას, თავად უზენაესი სასამართლოში აზრი სწორედ პარტიული ნიშნით გაიყო ორად და საბოლოო გადაწყვეტილებაც რესპუბლიკელთა მცირე უმრავლესობამ განაპირობა. ეგვიპტე არ იყო, თუკი მოსამართლეს არა მარტო კანონების, არამედ თვით კონსტიტუციის თავისებურად "წაკითხვა" შეუძლიათ, მათ კანონების შექმნასა და ზედამხედველობაზე ხელი არ მიუწვდებთ: მაგალითად, 1958წ. პრეზიდენტი ეიზენჰაუერი იძულებული გახდა ფედერალური საჯარისო ნაწილები შეეყვანა არკანზასის შტატში, რათა 1954წ. სკოლებში სწავლების თაობაზე მიღებული, მანამდე უგულვებელყოფილი დესეგრეგაციული კანონი ძალით აემოქმედებინა.

ოღონდ ეგაა — ნებისმიერ შემთხვევაში, როცა მოსამართლეები პოლიტიკის "კეთების" სურვილს ამჟღავნებენ, მათ დიდი სიფრთხილე და არსებული პოლიტიკური კულტურისა თუ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება მართებთ. 1970-იან წწ. პრემიერ-მინისტრ ინდირა განდის ავტორიტარული მმართველობის სტილით უკმაყოფილო ინდოეთის უმაღლესმა სასამართლომ განდი არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა და პოლიტიკური საქმიანობა 5 წლით აუკრძალა. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ უზენაესმა სასამართლომ განდი არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა, რის შედეგადაც ასობით მისი მისი პოლიტიკური ოპონენტი ციხეში აღმოჩნდა. მართალია, თავის მხრივ, მართლმსაჯულებამ 1977 წლის მარტში საგანგებო მდგომარეობის გაუქმებით, დაკარგული ავტორიტეტის აღდგენა კი მოახერხა, მაგრამ შემდგომში ბევრად მეტი სიფრთხილით ეკიდებოდა არსებულ ხელისუფლებასთან ღიად დაპირისპირების შესაძლებლობას.

სამართლებრივი აქტივობა:
მოსამართლეთა სურვილი, არა მარტო განმარტონ კანონის არსი, არამედ არბიტრებადაც იქცნენ პოლიტიკური დაჯანჯანის დროს

ის, რომ ვითომცდა მოსამართლეები გავლენას ახდენენ პოლიტიკის პროცესებზე, კიდევ უფრო ნაკლებ სარწმუნოა დაწერილი კონსტიტუციების

15. კონსტიტუციები, კანონმდებლობა და მართლმსაჯულება

არარსებობის პირობებში, რადგან ასეთ დროს არ არსებობს არანაირი კანონიერი სტანდარტი, რაც პოლიტიკური ნაბიჯებისა თუ სამთავრობო გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობას განსაზღვრავდა. ასე მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს პარტლამენტი აბსოლუტურად დამოუკიდებელი და უზენაესი ორგანოა, ხოლო მართლმსაჯულება მას ექვემდებარება. 1688 წლის ბრიტანული "ღიად რევოლუციამდე" მოსამართლეებს შეეძლოთ გვერდზე გადაედოთ საპარლამენტო აქტები, თუკი ისინი ზოგადი კანონის პრონციპებს არ ეთანხმებოდა; მაგრამ რევოლუციის მერე პარლამენტის მიერ მიღებული კანონების უზენაესობა დამყარდა და ეს პრაქტიკა შემდგომში არც არასოდეს შეცვლილა.

შეჯამება

« კონსტიტუცია კანონთა კონაა, რომელიც მიზნად ისახავს სახელისუფლებო ინსტიტუტების დანიშნულებისა თუ უფლება-მოვალეობების დადგენას და ურთიერთობათა განსაზღვრას სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის.

« კონსტიტუციას ეკისრება სახელმწიფო ძალაუფლების ლეგიტიმაცია, კერძო მოქალაქეთა დაცვა სახელმწიფოს მხრივ ძალადობისაგან, სახელისუფლებო მიზნებისა და ღირებულებების გამოკვეთა, დამოუკიდებელი სახელისუფლებო საქმიანობის სფეროს განსაზღვრა.

« თუმცა, გვარიანი სხვაობაა კონსტიტუციის შინაარსსა და რეალურ პოლიტიკას შორის. კონსტიტუცია მხოლოდ მაშინაა ქმედითი, თუკი მას პოლიტიკური კულტურა უმაგრებს მხარს, როცა მას იცავენ და პატივს სცემენ მმართველები, როცა იგი ეხმიანება გაბატონებული ჯგუფების ინტერესებს და შესაძლებელი ხდება მისი "მორგება" ცვალებად პოლიტიკურ გარემოებებთან.

« უადესად წინააღმდეგობრივია ურთიერთობები კანონმდებლობასა და პოლიტიკას შორის. სამოქალაქო თავისუფლებებსა და ადამიანის უფლებებზე მომართული ლიბერალური თეორიები კანონის მოქმედების არეალურ შემოფარგვლაზე ამახვილებს ყურადღებას და კანონმდებლობაშიც "მონერეგული ყოფის" გარანტს ხედავს. თუმცა, კონსერვატორული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კავშირი კანონმდებლობასა და საზოგადოებრივ მდგრადობას შორის: მათი აღიარებით, კანონი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საზოგადოებრივი ზნეობის დამკვიდრების მხრივ.

« კანონმდებლობის პოლიტიკისაგან გამოცალკეება მართლმსაჯულებას დამოუკიდებლობისა და არაპარტიულობის დაცვით ხერხდება. თუმცა, დამოუკიდებლობა არცთუ ისე იოლი მისაღწევია — მართლმსაჯულებას სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე დანიშნვის პროცესში პოლიტიკური ინსტიტუტების ხშირი ჩარევის შედეგად. მართლმსაჯულებას მიუკერძოებლობას ისიც ართულებს, რომ თითქმის არსად მოსამართლე

"კასტა" საზოგადოების ფართო ფენების "სარკე" არაა. ასე მაგალითად, ღასაველეთ პოლიარქიებში ამ თანამდებობაზე, როგორც წესი, თუთრკანიანი, მატერიალურად უზრუნველყოფილი, შედარებით ასაკოვანი მამაკაცები ანიშნებიან.

◀ რამდენადაც კანონს შინაარსით სწორედ მოსამართლენი „ტვირთავენ“, ისინი ძალაუნიებურად პოლიტიკურ პროცესშიც ერთვებიან. მათი გავლენა იმისდა მიხედვით განიზომება, რამდენად მკაფიოდ და დეტალურადაა ჩამოყალიბებული კანონი, რამდენად იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას, დაწერილი თუ დაუწერიელი კონსტიტუცია მოქმედებს ქვეყანაში, და აქვთ თუ არა მოსამართლეებს სამართლებრივი შესწორებების შეტანის უფლება შინიჭებული.

კითხვები განსასჯელად

◀ რამდენად სასარგებლოა კონსტიტუცია, როგორც პოლიტიკური „გზამკვლევი“?

◀ რა ფაქტორები განაპირობებს მმართველთა პატივისცემის ხარისხს საკუთარი კონსტიტუციებისადმი?

◀ მიფყავართ თუ არა დაწერილ კონსტიტუციებსა და უფლებათა დეკლარაციებს უშუალოდ მართლმსაჯულების ტირანიისაკენ?

◀ რა ვითარებაში შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად კანონდარღვევა?

◀ სასურველია თუ არა კანონმდებლობის პოლიტიკისაგან გამიჯვნა და თუ ასეა, რატომ?

◀ რამდენად საიმედოდაა დაცული მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა რეალურ ცხოვრებაში?

◀ რამდენად ანგარიშგასაწვეია, რომ მართლმსაჯულების სოციალური შემადგენლობა მთელი საზოგადოების სპექტრს არ ასახავს?

დამატებითი საკითხავი

Alexander, L. (Ed.), *Constitutionalism: Philosophical Foundations* (Cambridge and New York: Cambridge University Press, 1998).

Bogdanor, V. (Ed.), *Constitutions in Democratic Politics* (Aldershot: Gover, 1988).

Davis, R., *Electing Justice: Fixing the Supreme Court Nomination Process* (Oxford and New York: Oxford University Press, 2005).

Lane, J.-E., *Constitutions and Political Theory* (Manchester: Manchester University Press, 1996).

საკანონმდებლო ორგანოები

"პარლამენტი სხვა არაფერია, თუ არა მეტ-ნაკლებად მოცლილი ხალხის დიდი თავყრილობა"
უოლტერ ბეიჯპოთი, ინგლისური კონსტიტუცია (1867)

საკანონმდებლო ორგანოებს (პარლამენტი ერქმევა მას თუ ასამბლეა) საკანძო ადგილი უკავიათ სახელისუფლებო იერარქიაში. ტრადიციულად, ისინი განსაკუთრებული პატივისცემითა და სტატუსით სარგებლობდნენ, როგორც ხელისუფლების საჯარო, დემოკრატიული ბუნების გამოხატულები. ასე მაგალითად, ყველა დაწერილ კონსტიტუციაში აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებთან შედარებით, მათ უპირატესი, უფრო საპატიო ადგილი ეთმობათ. ამგვარი პატივისცემის მიზეზი კი ისაა, რომ უმთავრესად, საკანონმდებლო ორგანოებში ხალხის რჩეული, ღირსეული ადამიანებია წარმოდგენილი და არა გამოჯეკილი მოხელეები. მეტიც, ისინი ეროვნული სათათბიროს, საზოგადოებრივი ფორუმის ფუნქციას ასრულებენ, სადაც ღიად ხდება სამთავრობო პოლიტიკისა და საჭირობოროტო საქვეყნო საქმეების განხილვა. უმრავლეს შემთხვევებში, მათ კანონის შექმნის ოფიციალური უფლება აქვთ მინიჭებული, რაც შესაძლებლობას აძლევთ ზეგავლენა მოახდინონ და განსაზღვრონ კიდევ საჯარო პოლიტიკის გეზი. თუმცა, ფართოდ გავრცელებული აზრის თანახმად, XX საუკუნეში საპარლამენტო ძალაუფლება თანდათანობით შესუსტდა და საკანონმდებლო ორგანოთა მნიშვნელობაც, ზოგადად, დაკნინდა. ზოგიერი მათგანი, მართალია, ჯერაც სერიოზულ გავლენას ინარჩუნებს პოლიტიკურ პროცესზე, საკანონმდებლო ორგანოთა უმრავლესობა მაინც უბრალო "სალაყბოების" დონემდე დავიდა და დღეს სხვა ინსტიტუტებში მიღებული გადაწყვეტილებების "ნოტარიალურად დამმოწმებლის" როლს თუღა ასრულებს.

ამ თავში შეძვევი ძირითადი საკითხებია განხილული:

საკანძო საკითხები:

- < რა არის "საკანონმდებლო ორგანო"?
- < რით განსხვავდება მმართველობის საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემები?
- < რა ძირითადი დანიშნულება გააჩნია საკანონმდებლო ორგანოს?
- < რა პრინციპით ხდება მათი მოწყობა და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მათი შიდა სტრუქტურები?
- < ძირითადად, რა განაპირობებს საპარლამენტო ძალაუფლებას?
- < რამ გამოიწვია საკანონმდებლო ორგანოთა დაკნინება და რამდენად სერიოზულია ეს პროცესი?

საკანონმდებლო ორგანოთა მნიშვნელობა
საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემები.
საკანონმდებლო ორგანოთა დანიშნულება.

საკანონმდებლო ორგანოთა სტრუქტურა
ერთი პალატა თუ ორი?
საკომიტეტო სისტემები.

საკანონმდებლო ორგანოთა საქმიანობა
რამდენად განსაზღვრავენ პოლიტიკას საკანონმდებლო ორგანოები?
რატომ შესუსტდა საკანონმდებლო ორგანოთა როლი?
მოსალოდნელია თუ არა მათი ხელახალი აღზევა?

შეჯამება/კითხვები
განსახველად/
დამატებითი საკითხავი



შარლ-ლუი დე მონტესკიე (1689-1775)

ფრანგი ფილოსოფოსი, არისტოკრატი, ვეჟილი და მწიგნობარი. პირველი აღიარება “სპარსულმა წერილებმა” (1721) მოუტანა. მისი შედეგები — “კანონთა გონი” (1748) პოლიტიკურ და საკანონმდებლო საკითხთა ფუნდამენტურ კვლევას

წარმოადგენს. მონტესკიე საპარლამენტო ლიბერალიზმს უჭერდა მხარს და ლოკის იდეებს იზიარებდა. მისი აზრით, მმართველობის შესაძლო ტირანიის წინააღმდეგობა მხოლოდ ხელისუფლების ძალაუფლების დანაწევრებით თუ მოხერხდებოდა.

პარლამენტო ორგანოთა მნიშვნელობა

თითქმის ერთი და იგივე დანიშნულების მქონე პოლიტიკურ ინსტიტუტებს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელი ჰქვიათ: კონგრესი (ა.შ.შ.), ეროვნული ასამბლეა (საფრანგეთი), წარმომადგენლობითი პალატა (იაპონია), პარლამენტი (სინგაპური, საქართველო, გაერთიანებული სამეფო) და სხვ. შედარებით პოლიტიკის მკვლევარები ჩვეულებრივ, ამგვარ ორგანოებს ასამბლეად, საკანონმდებლო ორგანოდ ან პარლამენტად მოიხსენიებენ ხოლმე.

საპარლამენტო მმართველობა

მმართველობის საპარლამენტო სისტემა აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების შერწყმას გულისხმობს და შემდეგი ნიშან-თვისებებით გამოირჩევა:

- ◀ მთავრობა საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით, ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსული პარტიის წევრებისაგან ყალიბდება და ცალკე მთავრობის არცერთი წევრის არჩევა არ ხდება.
- ◀ მთავრობაში, ჩვეულებრივ, უმრავლესობის მქონე პარტიის ან პარტიათა ლიდერები მოდიან.
- ◀ მთავრობა პასუხისმგებელია საკანონმდებლო ორგანოს წინაშე იმ თვალსაზრისით რომ მისი ნდობით სარგებლობს და ამ ნდობის დაკარგვის შემთხვევაში, ჩვეულებრივ მისი გადადგომაც ხდება.
- ◀ მმართველობის ამგვარ მოდელში აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა “კოლექტიურად” ხორციელდება, კაბინეტური პრინციპის შესაბამისად.
- ◀ რამდენადაც მთავრობის მეთაური (უფრო ხშირად – პრემიერ-მინისტრი), საპარლამენტო ნომენკლატურაა, ქვეყანაში სხვა სახელმწიფო მეთაურიც უნდა არსებობდეს — კონსტიტუციური მინარქი თუ არააღმასრულებელი ფუნქციებით აღჭურვილი პრეზიდენტი.

სახელის მიუხედავად, მსგავსი ორგანოს უპირველესი დანიშნულება კანონშემოქმედებაა; საერთოდ კი, სულ სამი სახელისუფლებო შტო გამოიყოფა, რომელთაგანაც:

საკანონმდებლო *ქმნის* კანონს, და უზრუნველყოფს კანონმდებლობის ამოქმედებას.

აღმასრულებელი *აღასრულებს* კანონს.

სასამართლო — *განმარტავს* კანონს და არბიტრის ფუნქციას ასრულებს.

ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებზე დაყოფა ძალაუფლების დანაწილების პრინციპს ემყარება და მონტესკიეს დროიდან იღებს სათავეს. თუმცაღა, საქმე აქ უფრო რთულადაა: ფორმალურად “საკანონმდებლოდ” მიჩნეული ინსტიტუტები ამჟამად სარგებლობენ კანონშემოქმედების ერთპიროვნული უფლებით. ასე მაგალითად, კანონის შექმნის შესაძლებლობა გააჩნია აღმასრულებელ ხელისუფლებასაც, რომელიც თავისი დეკრეტებით თუ განკარგულებებით ძალზე ხშირად არათუ ზეგავლენას ახდენს, არამედ მთლიანად განსაზღვრავს კიდევ რეალურ საკანონმდებლო პროცესს. თანაც, კანონმდებლობის ამოქმედება საკანონმდებლო ორგანოს მხოლოდ ერთ-ერთი და არა მანინ-გადამაინც უმნიშვნელოვანესი დანიშნულებაა.

საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემები


ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის უმთავრესი მახასიათებელი საპარლამენტო და მთავრობას, ანუ — საკანონმდებლო ორგანოსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ურთიერთობაა. განსაკუთრებულ შემთხვევებში კი შეიძლება “საკანონმდებლო მმართველობა” ჩამოყალიბდეს, როცა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ძალაუფლება მთლიანად საკანონმდებლო ორგანოში იყრის თავს და ცალკე აღმასრულებელი ხელისუფლება არც არსებობს. ასეთი სისტემა იყო, მაგალითად, მცირე ხნის მანძილზე, საფრანგეთში, როცა ქვეყანას, საფრანგეთის რევოლუციის დროს, რუსოს რადიკალური დემოკრატიის იდეების გამტარებელი რობესპიერი და აკობინელები ჩაუდგნენ სათავეში. რაც შეეხება კომუნისტურ რეჟიმებს, იქ როგორც ეს შტო ერთნაირად მორჩილებდა მმართველი პარტიის უპირობო ავტორიტეტს. თუმცა, როგორც წესი, ეს ურთიერთობები ორიდან ერთი ინსტიტუციონალური მოწყობის პრინციპს ერგება ხოლმე: მმართველობის საპარლამენტო ან საპრეზიდენტო სისტემას.

ღებერალური დემოკრატიის ქვეყნების უმრავლესობა საპარლამენტო მმართველობის ამა თუ იმ ფორმას ანიჭებს უპირატესობას. ხშირად ეს ბრიტანული პარლამენტის მოდელის ერგვარი ასლია. “პარლამენტთა დედად” წოდებული *უესტმინსტერის პარლამენტი* XIII საუკ. შეიქმნა, როდესაც მეფის კარზე ქალაქის შეძლებული ფენის წარმომადგენლები დაუშვეს. XIV საუკ. განმავლობაში ორი სხვადასხვა (თემთა და ლორდთა) პალატა ყალიბდებოდა — სადაც წარმოდგენილნი იყვნენ როგორც რაინდები და შეძლებულნი, ასევე დიდგვაროვანი და ღვთისმსახურნი. თუმცა, პარლამენტის უზენაესობა სამეფო ხელისუფლებასთან მიმართებაში მხოლოდ 1688

16. საკანონმდებლო ორგანოები

წლის “დიადი რევილუციის” შემდეგ აღიარეს, ხოლო მის წინაშე მთავრობის ანგარიშ-ვალდებულება მხოლოდ XIX საუკ. დემოკრატიულმა ძვრებმა უზრუნველყო.

ნახ. 16.1 მმართველობის საპარლამენტო სისტემა



მსგავსი საპარლამენტო სისტემები ჩამოყალიბდა გერმანიაში, შვედეთში, ინდოეთში, იაპონიაში, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში. მათი მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება შერწყმულია: მთავრობა საპარლამენტოა იმ თვალსაზრისით, რომ მას საკანონმდებლო ორგანო აყალიბებს და ანგარიშსაც მოითხოვს მისგან. ამგვარ სისტემათა უპირატესობა ქმედიოუნარიან და თან **პასუხისმგებელ ხელისუფლებაში** უნდა ვეძიოთ. მისი ქმედიოუნარიანობა განპირობებულია საკანონმდებლო ორგანოს მიერ გაცხადებული ნდობით, რაც ხშირ შემთხვევაში, უზრუნველყოფს კიდევ მისი საკანონმდებლო პაკეტის “გატანას”. მოკლედ, ამგვარ მთავრობას “ხელი არ ეშლება”. თუმცა, პასუხისმგებელი ხელისუფლება საკუთარ მდგომარეობას მხოლოდ მანამდე ინარჩუნებს, სანამ საკანონმდებლო ორგანოს ნდობით სარგებლობს თეორიულად, სწორედ მას აქვს უზუნაესი ძალაუფლება და საბოლოო სიტუაც მას ეთქმის — ანუ მთავრობის დათხოვნა შეუძლია.

“პასუხისმგებელ მთავრობა: მთავრობა, რომელიც არჩეული საკანონმდებლო ორგანოსა და შესაბამისად, ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული.

სამწუხაროდ, საპარლამენტო სისტემები ხშირად ვერ ამართლებენ ხოლმე ამ დიდ მოლოდინს: რა თქმა უნდა, არსებობს შვედეთის მაგალითი, სადაც იქაურ რიკსდაგს ძლიერი პოლიტიკური გავლენა აქვს და მუქარის

მთავრობასთან ლაპარაკი არ სჭირდება, მაგრამ საპარლამენტო მართველობა ხშირად აღმასრულებელი ხელისუფლების უპირატესობის ნაშთიაა ხოლმე დაღდასმული. ასეა, ვთქვათ, გაერთიანებულ სამეფოში, სადაც მკაცრი პარტიული დისციპლინისა და არაპროპორციული საარჩევნო სისტემის ერთობლიობა თითქმის ყველა მთავრობას აძლევს პარლამენტის კონტროლის საშუალებას — თუმცა პალატაში მორჩილი და ერთგული უფლებსობის წყალობით. ამან ათქმევინა ლორდ ჰეილშემს (1976): ბრიტანელი მთავრობა, უბრალოდ, არჩეული დიქტატორიაო.

სხვაგან საპარლამენტო სისტემებს მთავრობის სისუსტესა და პოლიტიკურ არასტაბილურობასაც ხშირად აბრალებენ. ჩვეულებრივ, ეს იქ ხდება, სადაც პარტიული სისტემა ფრაქციული ტიპისაა და პროპორციული საარჩევნო სისტემა ბატონობს. ასე მაგალითად, საფრანგეთის IV რეპუბლიკის არსებობის პერიოდში (1945-58), 12 წელიწადში 25 მთავრობა შეცვალა. ამ დროის მანძილზე ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მოიპოვა მყარი ურთიერთობის მხარდაჭერა ეროვნულ ასამბლეაში, სადაც მემარცხენე ფრაქციის სტიმული და მემარჯვენე გოლისტებიც ერთნაირი სიმწვავეით უპირისპირდებოდნენ არსებულ რეჟიმს. მსგავსი პრობლემები იყო იტალიაშიც — იქ 1945-2001 წწ. არც მეტი, არც ნაკლები, 59 მთავრობა შეიცვალა. ოღონდ ამგვარი პოლიტიკური უძრაობა შესაძლოა, მრეწველობით იყოს: იმავე იტალიის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, მთავრობის შეცვლა არა პოლიტიკურ ციებ-ცხელებას, არამედ მხოლოდ მინისტრების პორტფელის გადანაწილებას იწვევდა და ისიც — არა ყოველთვის რეგულარულ არჩევნების შედეგად.

საპარლამენტო სისტემის ალტერნატიული მოდელი საბრეზიდენტო მართველობაა და ის ძალაუფლებათა მკაცრი დანაწილების პრინციპს ეფუძნება. იგულისხმება, რომ პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება კანონით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია — ორივე ცალ-ცალკე არჩეული. ამის კლასიკური მაგალითი ა.შ.შ. გახლავთ, სადაც “დამფუძნებელი მამები” იმდენად უფრთხოდნენ საბრეზიდენტო ინსტიტუტი ბრიტანულ მონარქიას არ ჩანაცვლებოდა, რომ იმათივე მეტისმეტად ზღვიერი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმოქმნის შესაძლებლობა მინიმუმადე დაიყვანეს. ამის შედეგად მიღებული სისტემა ე.წ. კონტროლისა და ბალანსის თარგზუა აწყობილი. კონგრესი, ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაცია და უზენაესი საამართლო ცალ-ცალკე ინსტიტუტებია იმ თვალსაზრისით, რომ თანამდებობრივი შეთავსებები აქ გამორიცხებულია, თუმცა ურთიერთკონტროლი კი — შესაძლებელი. ასე რომ, თუ კონგრესს კანონის მიღება შეუძლია, პრეზიდენტს — მისი დაბლოკვის უფლება აქვს; თუმცა კონგრესი მაინც გაიტანს იგივე კანონს იმ შემთხვევაში, თუკი მას ორივე პალატის 2/3 დაუჭერს მხარს. სწორედ ასევე, პრეზიდენტს უფლება აქვს დანიშნოს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი რანგის მოხელეები, თუმცა საამისოდ მას ზედა პალატის — სენატის თანხმობა ესაჭიროება.

ძალაუფლებათა გამიჯვნა

ეს დოქტრინა გულისხმობს, რომ ხელისუფლების სამივე ფუნქცია (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) სამმა შტომ დამოუკიდებლად უნდა განახორციელოს. საბოლოო მიზანი თავისუფლების დაცვა და ტერაინის საფრთხის აღმოფხვრაა. ძალაუფლების გამიჯვნა დამოუკიდებლობის გარდა, იმგვარ ურთიერთდამოკიდებულება საც გულისხმობს, რამაც შტოებს შორის კონტროლი და ბალანსი უნდა უზრუნველყოს. ეს პრინციპი ყველაზე მკაცრად ამერიკის შეერთებულ შტატებშია დაცული, სადაც ძალაუფლების გამიჯვნა კონსტიტუციის ქვაკუთხედაა. თუმცა, ამა თუ იმ ფორმით, ეს დოქტრინა ყველა ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქმედებს.

უძრაობა: პოლიტიკური “დამბლა”


რასაც ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლების არარსებობა იწვევს და თავის მხრივ, ამის მიზეზი საკანონმდებლო ორგანოსა თუ თავად საზოგადოების დიდი სიჭრულება.

კონტროლი და ბალანსი:

ინსტიტუციური დანაწილების შედეგად, სახელისუფლებო სისტემაში დამყარებული შიდა ურთიერთობანი.

16. საკანონმდებლო ორგანოები

ნახ. 16.2 ძალაუფლების დანაწილება



ამერიკის გარეთ, ამ ტიპის საპრეზიდენტო სისტემების იმიტაცია ხდება ლათინურ ამერიკაში; საფრანგეთში კი, V რესპუბლიკის დროს, “ნაჯვარი” ე.წ. ნახევრად-საპრეზიდენტო სისტემა ჩამოყალიბდა. ამ სისტემაში “ორმაგი აღმასრულებლის” ფუნქციას ასრულებენ ცალკე არჩეული პრეზიდენტი და პრემიერ მინისტრი თავისი კაბინეტით, რომელიც ეროვნული ასამბლეის წევრებისაგან ყალიბდება და მინისტრებიც უშუალოდ ამ საკანონმდებლო ორგანოს წინაშე არიან ანგარიშვალდებულნი. მსგავსი სისტემის ქმედითუნარიანობა დიდადაა დამოკიდებული პრეზიდენტის პიროვნულ ავტორიტეტსა და პოპულარობაზე და ეროვნული ასამბლეის პოლიტიკურ შემადგენლობაზეც.

საპრეზიდენტო სისტემის მთავარი ღირსება ისაა, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების გამიჯვრებით ისინი პიროვნულ უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას უწყობენ ხელს. პობსის თქმით “თავისუფლება — დაქუცმაცებული ძალაუფლებაა”. ა.შ.შ.-ში მაგალითად აღმასრულებელი ხელისუფლების გაბატონების საფრთხეს კონგრესისათვის მინიჭებული ფართო უფლებების სპექტრი ანეიტრალებს: კონგრესს უგფლება აქვს არა მარტო გადასახადები გაზარდოს, არამედ ომიც კი გამოუცხადოს ვინმეს; სენატს ხელშეკრულებათა რატიფიცირება და საპრეზიდენტო განკარგულებების დადასტურება ეკისრება, ხოლო ორივე პალატას ერთად — შეუძლიათ საქმე აღძრან პრეზიდენტის წინააღმდეგ და სრული უნდობლობა გამოუცხადონ. თუმცა, მსგავსი “დაქუცმაცება” შესაძლოა, გარკვეულ საფრთხეებსაც შეიცავდეს.

ამ სისტემის კრიტიკოსნი ამტკიცებენ, რომ რაკილა პრეზიდენტ შეთავაზების, კონგრესს კი — უარყოფის უფლება გააჩნიათ, ამან შესაძლოა ინსტიტუციური ჩინისკენ, ანუ სახელისუფლებო კრიზისისკენ წაიყვანოს ქვეყანა. ამის შესაძლებლობა მით უფრო სავარაუდო ხდება, როცა ერთი

მხრე თეთრ სახლს, მეორეს მხრე კი — კაპიტოლიუმის ბორცვზე მოკალათებულ კონგრესს, ურთიერთდაპირისპირებული პარტიები აკონტროლებენ. თუმცა, როგორც კარტერის პრეზიდენტობისას აღმოჩნდა, ბოლომდე იდილიური ვითარება არც მაშინაა, როცა ორივე სახელისუფლებო შტო ერთი და იმავე პარტიის ხელშია. მსგავსი პრობლემა საფრანგეთშიც, სადაც პოლიტიკური თანაარსებობის აუცილებლობა ჩნდება, როცა პრეზიდენტი იძულებულია პრემიერ-მინისტრის პოსტზე პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს შეეჯუოს — როგორც ეროვნული ასამბლეის ოპოზიციური უმრავლესობის რჩეულს.

საკანონმდებლო ორგანოთა დანიშნულება

მართალია, საკანონმდებლო ორგანოს როლი განსხვავებულ სახელმწიფოებსა და სისტემებში სხვადასხვაგვარია, ის ნებისმიერ შემთხვევაში მაინც საკმაოდ რთულ საქმეს ასრულებს. უპირველეს ყოვლისა, ასეთი ორგანო აკავშირებს ხელისუფლებასა და ხალხს; მას შეუძლია როგორც ხელისუფლების მხარდაჭერა და რეჟიმის გამტკიცება, ასევე — იგივე ხელისუფლების იძულება, საზოგადოების სურვილები და მოთხოვნები გაითვალისწინოს. საკანონმდებლო ორგანოთა ძირითადი დანიშნულებაა:

კანონმდებლობის შექმნა
წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფა
პოლიტიკური პროცესების ხელამხედველობა
პოლიტიკური ინსტიტუტების დაკომპლექტება
კანონიერების შენარჩუნება.

კანონშემოქმედება

კანონების შექმნა ზშირად პარლამენტისა თუ ასამბლეის უმთავრეს დანიშნულებად მიიჩნევა, თუნდაც მათი სახელწოდებიდან გამომდინარე. ეს ორი მიზეზითაა განპირობებული: ჯერ ერთი, საკანონმდებლო ორგანო ის საკრებულოა, სადაც ღიად შეიძლება შემოთავაზებულ კანონპროექტებზე მსჯელობა და კამათი; და მეორე: თავად მათი მოწყობის წესი გულისხმობს, რომ კანონებს უშუალოდ “ხალხი ქმნის”. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკანონმდებლო ორგანო იშვიათად ფლობს ერთპიროვნულ საკანონმდებლო უფლება-მოსილებას და საკონსტიტუციო სამართალი, როგორც წესი, მისი კომპეტენციის მიღმა რჩება. ასე მაგალითად, ირლანდიაში საკონსტიტუციო შესწორებები რეფერენდუმების, ბელგიაში კი — განსაკუთრებული საკონსტიტუციო შეთანხმებების საფუძველზე ხორციელდება. აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს პირებს (მაგ. საფრანგეთის პრეზიდენტს) შეუძლია კანონის ძალით აღჭურვოს საკუთარი დადგენილება, ხოლო ამერიკის პრეზიდენტს — უკვე მიღებულ კანონებზე ვეტოს დადების უფლება აქვს. ევროპარლამენტი საერთოდ არ წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოს, რამდენადაც საერთოეუროპულ კანონებს, ძირითადად, მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს. თვით გაერთიანებულ

თანაარსებობა: ნახევრად-საპრეზიდენტო სისტემებისათვის დამახასიათებელი იმგვარი ვითარება, როცა პრეზიდენტს ოპოზიციური პარტიისა თუ პარტიების კონტროლქვეშ მყოფ მთავრობასთან და საკანონმდებლო ორგანოსთან უწყვეს თანამშრომლობა.

სამეფოშიც კი, სადაც პარლამენტს უზენაესი სახელისუფლებო ორგანოს სტატუსი კანონითა აქვს მინიჭებული, მინისტრები ხშირად დამოუკიდებლად, ოღონდ შესაბამისი პროცედურების გავლით, იღებენ კანონებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ პარლამენტებს, ზოგადად, საკანონმდებლო ინიციატივის მცირე რესურსი გააჩნიათ. კანონპროექტებს, როგორც წესი, აღმასრულებელი ხელისუფლება ქმნის — რომელსაც მეტი ორგანიზაციული ერთგვარონება ახასიათებს და უშუალოდ შეუძლია მიიღოს სპეციალისტების რჩევა თუ აუცილებელი ინფორმაცია მართვის კურსის შესამუშავებლად. ბრიტანელ პარლამენტის წევრებს კერძო საკანონმდებლო ინიციატივის უფლება კი აქვთ, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში განიხილება, თუკი მთავრობა დროს გამონახავს საკუთარი საკანონმდებლო პროგრამებზე მსჯელობის შემდეგ. ამჟამად, განვითარებული მსოფლიოს ყველაზე დამოუკიდებელ და ძლიერ საკანონმდებლო ორგანოში — ამერიკის კონგრესში განხილული კანონების 80% პრეზიდენტის ინიცირებულია. ასევე შეზღუდულია პარლამენტის უფლება-მოსილება უარყოს, ან შესწორება შეიტანოს შემოთავაზებულ კანონებში. ასე მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში პარლამენტი უფრო კანონების მიღების საშუალებაა, ვიდრე წყარო.

წარმომადგენლობითობა

საკანონმდებლო ორგანო, როგორც დამაკავშირებელი რგოლ-ხელისუფლებასა და ხალხს შორის, თეორიულად მაინც, მნიშვნელოვან როლს თამაშობს წარმომადგენლობის თვალსაზრისით. ეს კარგად გამოჩნდა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, როცა 13 ამერიკულმა კოლონიამ ჯანყი წამოიწყო ბრიტანეთის მმართველობის წინააღმდეგ, დევიზით “თუ ჩვენი წარმომადგენლობა არ გვეყოფა, არც ბეგარას გადავიხდით!” ასევე, მისი ძალა პოლიტიკურ სისტემაში დემოკრატიულობის დონის განსაზღვრის უტყუარ ნიშნადაც ითვლება. თუმცა, ჯერ კიდევ საკითხავია, სინამდვილეში რამდენად წარმატებით ხორციელდება ეს წარმომადგენლობითი ფუნქცია.

წარმომადგენლობა თავისთავად, რთული პრინციპია და მას რამდენიმე ურთიერთდაპირისპირებული ნიშანთვისება გააჩნია. ასე მაგალითად, საპარლამენტო სისტემის ბრიტანული, ამ ქვეყნის ტრადიციებზე აღმოსცენებული, *წ. უესტმინსტერული მოდელი* პარლამენტის წევრებს იმ ნდობით აღჭურვილ პირებად განიხილავს, რომელთა უპირველესი პასუხისმგებლობაც საკუთარი ჭკუა-გონებით მოქმედებაა — ამომრჩეველთა ნების შესაბამისად. თუმცა, ბერკისეული ეს გაგება, რაც დეპუტატს დამოუკიდებელ მოთამაშედ სახავს, თანამედროვე ვითარებაში აშკარა წინააღმდეგობაში მოდის იმ პარტიულ დისციპლინასთან, რაც დღევანდელ საკანონმდებლო ორგანოების უმრავლესობაში შეინიშნება. წარმომადგენლობის საპირისპირო თეორია, ანუ *სამანდატო დოქტრინა*, წარმომადგენლობის პრინციპის განხორციელების მთავარ საშუალებად სწორედ პარტიებს მიიჩნევს და არა ზოგადად საკანონმდებლო ორგანოს.

მაგალითად, ამერიკის კონგრესსა თუ სენატში ერთი სული აქვთ, მოცემულ ორწლიან ვადაში მოასწრონ და საკუთარი ამომრჩევლებისთვის “გააკეთონ რამე” — პირადი ურთიერთობებისა თუ შეთანხმებების ხარჯზე; მათვის ასახლი პოლიტიკური ინიციატივებით გამოსვლაზე უფრო უპრიანი პრეზიდენტის პროგრამების დაბლოკვაა. საკანონმდებლო ორგანოები, საბოლოო ჯამში, კერძო ინტერესთა წარმომადგენლობად იქცევა ხოლმე — და განსაკუთრებით ეს პ.შ.შ.-ზე ითქმის, სადაც 1999-2000 წწ. კონგრესის არჩევნები ძირითადად, კერძო ბიზნესის მხრიდან დაფინანსდა და ამაზე 1,2 მილიარდი დოლარი დაიხარჯა.

საბჭოთა კავშირსა და სხვა კომუნისტურ ქვეყნებში, სადაც არ არსებობდა არჩევანის მრავალფეროვნება და პარტიული კონკურენცია, წარმომადგენლობა იმისდა მოხედვით განისაზღვრებოდა, საზოგადოების რამდენად უარყოფითი ფენები იყვნენ წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოებში. შესაბამისად, უზენაესი საბჭო უფრო მეტად ასახავდა საბჭოთა საზოგადოების “მიკროკოსმოსს” (სქესთა, ეროვნებათა, პროფესიათა თვალსაზრისით) ვიდრე რომელიმე განვითარებული დასავლური სახელმწიფოს პარლამენტი.

ზედამხედველობა და მეთვალყურეობა

რაკიდა პარლამენტთა საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი დანიშნულება მნიშვნელოვნად დაქვეითდა, მეტი ყურადღება იქნა გადატანილი მათ უნარზე, “მოთოკონ” თუ გააკონტროლონ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა. ამ მიზნით, საკანონმდებლო ორგანოთა უმრავლესობამ შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმებიც კი შექმნა. ასე მაგალითად, საპარლამენტო სისტემებში საყოველთაოდ გავრცელებულია მინისტრების პერიოდული ზეპირი თუ წერილობითი “დაკითხვა” და ბრიტანულ თემთა პალატაში სამისოდ საგანგებო “კითხვა-პასუხების” დროცაა გათვალისწინებული. გერმანიასა და ფინეთში უფრო შორსაც წავიდნენ და პარლამენტში კენჭისყრის მეთოდით ამოწმებენ მინისტრთა პასუხების დამაჯერებლობას.

ოლინდ ეგეცაა, ეგ ამბავი ყველგან როდი გასდით: ჩინეთის უროვნული სახალხო კრების მაგალითზე კარგად ჩანს, როგორ გადაიქცევა საკანონმდებლო ორგანო უბრალო პროპაგანდისტულ იარაღად ურთიპარტიული კონტროლის შედეგად და სამთავრობო პოლიტიკაც ხელის აწევის საფუძველზე, თითქმის მუდამ ბრმა მხარდაჭერით სარგებლობს ხოლმე. საპარლამენტო ზედამხედველობის მასშტაბები სხვაგანაც გვარიანად იზღუდება — პარტიული დისციპლინის ინტერესებიდან გამომდინარე. დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი ზედამხედველობის განხორციელება, რეალურად, ოპოზიციურ პარტიებს უწევთ, თუმცა, რამდენადაც მთავრობა საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობს, ოპოზიციას ძალა აღარ შეეწევს მის შესაცვლელად.

საკანონმდებლო ორგანოს უფლება-მოხილებებს განეკუთვნება ნებისმიერი ინფორმაციის გამოთხოვა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან;

პასუხისმგებლობა: ეს ტერმინი ორგანოდ შეიძლება იქნას გაგებული — ერთი მნიშვნელობით, ესაა გულისხმიერი, გონივრული ან ზნეობრივად გამართლებული მოქმედება, სხვა იძულებითი ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში; შესაბამისად, ხელისუფლებამ შეიძლება თავი “პასუხისმგებლობის მქონედ” მიიჩნიოს, როცა იგი წინააღმდეგობას უწევს ამომრჩევლის წნეხს, სასწორზე ადგებს საკუთარ პოპულარობას და იმ გეხს ირჩევს, რომელიც საბოლოო ჯამში, უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდება საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით. მეორეს მხრივ, პასუხისმგებლობა ანგარიშვალდებულებას ნიშნავს: ასეთ დროს მოიაზრება რაღაც უფრო მაღალი ავტორიტეტის არსებობა, რომელიც პიროვნებასა თუ ინსტიტუტს იქვემდებარებს და აკონტროლებს. ასეთ დროს ხელისუფლება პასუხისმგებლობის მქონედ ითვლება, თუკი მისი ქმედება გამჭვირვალეა და პარლამენტს მთავრობის გადაწყვეტის უფლებაც გააჩნია.

ასე ვთქვათ, ცოდნა — ძალაა: სრული და ზუსტი ინფორმაციის გარეშე წარმატებული ზედამხედველობის განხორციელება შეუძლებელია. ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, პოლანდიაში, კანადასა და ავსტრალიაში რა ხანია მიიღეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონი. რამაც საზოგადოებისთვის სამთავრობო საქმიანობა გამჭვირვალე უნდა გახადოს; მაგრამ ეს ზედამხედველობა ექსპერტთა კონსულტაციებს, მეცნიერთა დახმარებასა და ათასგვარ საინფორმაციო-საძიებო სამუშაოებს მოითხოვს და ცხადია, გარკვეულ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს საჭიროებს; ეს კი ყველგან ერთნაირად ხელმისაწვდომი როდია. თუ მაღალანაზღაურებადმა, თანამშრომლების მთელი შტაბით აღჭურვილმა ამერიკელმა კონგრესმენმა შეიძლება თავს ამის უფლება მისცეს, თუნდაც ბრიტანეთის პარლამენტის წევრი იმდენად გადატივირებულია და “ხელმოკლე”, რომ ამაზე ფიქრიც კი ზარავს.

პოლიტიკური ისტიტუტების დაკომპლექტება

წესით და რიგით, საკანონმდებლო ორგანო პოლიტიკოსების “სამჭედლო” უნდა იყოს, მაგრამ ავტორიტარულ სახელმწიფოებში სერიოზულ პოლიტიკოსებს ნაკლებად მიუწევთ გული ფორმალური პარლამენტებისაკენ, ხოლო საპრეზიდენტო სისტემებში, ძალუფლების დაყოფის გამო, იმთავითვე გამორიცხულია აღმასრულებელი ხელისუფლების შევსება არსებული პარლამენტის თუნდაც გამორჩეულ წევრთა ხარჯზე. ამერიკაში ბოლოდროინდელი ტენდენციის თანახმად, პრეზიდენტებად ძირითადად, ყოფილი გუბერნატორები ზდებიან, თუმცა კენედიმ და ნიქსონმა პირველი ნათლობა კონგრესის წევრთა რანგში მიიღეს. რაც შეეხება საპარლამენტო სისტემებს, აქ დეპუტატობა მინისტრებისა და პრემიერ-მინისტრებისათვის კარიერის კიბეზე აღმასვლის აუცილებელი წინაპირობაა, რაც ხშირად ორივე სკამის შენარჩუნების შესაძლებლობასაც კი არ გამორიცხავს. ბევრ სახელმწიფოში სწორედ საკანონმდებლო ორგანოში არჩევენ და ამზადებენ პოლიტიკური ლიდერების ახალ თაობას — რაც მათი პოლიტიკური წარმატებისთვის საუკეთესო სკოლაა.

სხვა მხრივ, შესაძლოა საკანონმდებლო ორგანო ვერც იქცეს ამგვარ სკოლად: ცხადია, პარლამენტის წევრები, პოლიტიკური რიტორიკის დიდ გამოცდილებას კი იძენენ, მაგრამ ამავე დროს, ნაკლებად ახერხებენ იმ ბიუროკრატიული და სამეურნეო უნარის შეთვისებას, რაც გადაწყვეტი ამბავია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მართვისა და პოლიტიკის “შექმნის” პროცესში. უფრო მეტიც, ზოგჯერ იმასაც იტყვიან, თითქოს საკანონმდებლო ორგანო “რევენის” კიდევ პოლიტიკოსს იმ თვალსაზრისით, რომ საკუთარი ამომრჩევლის მოთხოვნებს აშორებს და პარლამენტსმიღმა დარჩენილი თანაპარტიელებისაგან მის ჩამოშორებას უწყობს ხელს.

რიტორიკა:

მჭვერემტყველების ხელოვნების გამოყენება ვინმეს დასარწმუნებლად ან მასზე ზეგავლენის მოსახდენად. შესაძლოა იგულისხმებოდეს მაღალფარდოვანი, თუმცა უმნიარსო ლაპარაკიც.

ჯეიმზ მედისონი (1751-1836)

ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი. 1787წ. ჰაკონსტიტუციო სათათბიროში ვირჯინიის შტატიდან დელეგატად არჩეული მედისონი ამერიკის სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის თავგადასვლით მომხრე გახლდათ. მოგვიანებით, ის იყო პრეზიდენტ ჯეფერსონის სახელმწიფო მდივანი, შემდგომ კი — 1809 წელს, თავადვე გახდა ამერიკის IV პრეზიდენტი. პლურალიზმისა და ძალაუფლების დანაწილების უმთავრესი მხარდამჭერი, სწორედ მედისონი მოგვევლინა ფედერ-

ალიზმის, ორპალატიანობისა და ხელისუფლებათა გამიჯვნის მთავარ ინციატორად. თუმცა, ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ, მან უკვე სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერებაზე იწყო ზრუნვა. მის საუკეთესო ნაშრომებს განეკუთვნება “ფედერალისტური ჩანაწერების” კრებულში ელიგზანდერ ჰემილტონთან და ჯონ ჯეისთან თანაავტორობით გამოქვეყნებული პოლიტიკური სტატიები (1787-89).

ანონიერების შენარჩუნება

პარლამენტ/სამსბლეების საბოლოო როლი, სიმართლე ითქვას, მაინც არსებული ხელისუფლებისათვის ლეგიტიმურობის მინიჭებამდე დაყვით. ამიტომაცაა, რომ ავტორიტარული და თვით ტოტალიტარული სახელმწიფოებიც კი ეგუებიან საკანონმდებლო ორგანოს არსებობას, თუმცა ცხადია — ასეთ ქვეყნებში მათ არანაირი საკანონმდებლო დამოუკიდებლობა თუ პოლიტიკური ძალა არ გააჩნიათ. განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებშიც კი, განსაკუთრებით რადიო-ტელევიზიის ინდუსტრიის განვითარების შემდგომ, საკანონმდებლო ორგანოთა პროპაგანდისტული ფუნქციები მას-მედიაში გადაინაწილა და ხელისუფლებას საშუალება მიეცა, უშუალოდ მიემართა მილიონობით ამომრჩევლისადმი — რაღა საპარლამენტო დებატებში ჩაეხლინა ხმა. ასე რომ, საკანონმდებლო ორგანოთა გავლენა სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება არა მათ კონსტიტუციურ სტატუსზე, არამედ იმ ყურადღებაზე, რასაც მედია აქცევს საპარლამენტო საქმიანობას.

საკანონმდებლო ორგანოთა სტრუქტურა

საკანონმდებლო ორგანოების შემადგენლობა შესაძლოა არჩევითი იყოს, დანიშნავი ან სულაც, შთამომავლობითი. როცა არჩევითობას ეხება საქმე, მას ან მოსახლეობის რაოდენობა განსაზღვრავს — თანაბარი ზომის საარჩევნო ოლქების, შტატებისა თუ რეგიონების სახით; ხოლო საარჩევნო ხმის უფლება შესაძლოა შეზღუდული ან საყოველთაო იყოს, სხვადასხვა ტიპის საარჩევნო სისტემის ფარგლებში. განსხვავებულია მათი რიცხობრივი შემადგენლობაც: ასე მაგალითად, ჯუჯა რესპუბლიკა ნაურუს პარლამენტში სულ 18 წევრია, და თითოეული მათგანი, დაახლოებით, 440 ამომრჩეველს წარმოადგენს. მეორეს მხრივ, ჩინეთის სახალხო კონგრესი 3000 წევრს მოითვლის და თითოეული დეპუტატის უკან 350.000 ამომრჩეველი “დგას”.

თუმცა საკანონმდებლო ორგანოთა ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მხოლოდ მათში პალატების რაოდენობა და მათი საკომიტეტო სისტემათა მოწყობის წესია.

ერთი პალატა თუ ორი?

იშვიათი გამონაკლისის გარდა, მსოფლიო პარლამენტთა უდიდესი უმრავლესობა ერთ ან ორპალატიანია. ერთპალატიანი საკანონმდებლო ორგანოები ჩვეულებრივ, გვხვდება აფრიკაში, ჩინეთში და იმ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, სადაც ეს ტრადიცია წარსულის გადმონაშთად შემორჩა. თუმცა, II მსოფლიო ომის შემდეგ, აშკარად იკვეთებოდა ერთპალატიანობის ტენდენცია: 1948წ. ისრაელში ერთპალატიანი კნესეტი შეიქმნა; ახალ ზელანდიაში (1950), დანიაში (1954) და შვედეთში (1970) მეორე პალატები გააუქმეს. ამის მიზეზი უთუოდ ის იყო, რომ ბევრის აზრით, ერთპალატიანი პარლამენტი უფრო მიზანდასახული და ქმედითუნარიანია, ორპალატიანთან შედარებით — განსაკუთრებით, როცა საქმე შედარებით მცირერიცხოვან და “შეკრულ” საზოგადოებებს ეხება. და მაინც, მსოფლიო სახელმწიფოთა თითქმის ნახევარი ორპალატიანი სისტემის ერთგული რჩება.

როგორც კონტროლისა და დაბალანსების მექანიზმი, **ორპალატიანობა**, ჩვეულებრივ, ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის ქვაკუთხედად მიიჩნევა. სწორედ ეს საკითხი იქცა ამერიკის “მამა-დამფუძნებელთა” კამათის ძირითად საგნად 1787წ. ამერიკული კონსტიტუციის შექმნისას: თუკა

საყურადღებოდ:

ორპალატიანობა: ძლიერი და სუსტი მხარეები

ორპალატიანობის მთავარი ღირსებებია: მეორე პალატა პირველის ძალაუფლებას აკონტროლებს და უმრავლესობის “ერთპიროვნული” მმართველობის საფრთხეს აქარწყლებს. ამ შემთხვევაში უკეთ ხერხდება აღმასრულებელთა საქმიანობის ზედამხედველობა, რამდენადაც მთავრობის შესაძლო გადაცდომა ორმაგი ინტერესის საგანი ხდება.

ფართოვდება წარმომადგენლობითობის არეალი, და ყოველ პალატას როგორც ინტერესთა სხვადასხვა სპექტრის ასახვა, ასევე ამომრჩეველთა განსხვავებული ჯგუფების პოზიციების დაცვაც შეუძლია.

მეორე პალატის არსებობა კანონმდებლობის დახვეწას უზრუნველყოფს, რამდენადაც ერთი პალატის საკანონმდებლო ბირთვის გადანაწილებასა და დაშვებული შეცდომებისა თუ გადახრების გამოსწორებას უწყობს ხელს.

მეორე პალატა ერთგვარი საკონსტიტუციო “ფილტრის” როლსაც ასრულებს — მას შეუძლია გადაავადოს საკამათო კანონის მიღება და მეტი დრო დაუთმოს მასზე საზოგადოებრივ აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ორპალატიანობა:
საკანონმდებლო ხელისუფლების ორ, თანაბარი უფლებებით აღჭურვილ დარბაზად დანაწევრება; “შეზღუდული ძალაუფლების” ერთგვარი ინსტრუმენტი.

ორპალატიანობის ნაკლოვანებებზე შეიძლება ჩაითვალოს:

საკანონმდებლო პროცესის ხელოვნური გაჭიანურება, ერთპალატიან სისტემასთან შედარებით.

ჭურჭე პალატა შესაძლოა, დემოკრატიული მმართველობის მკაცრ გამოცდად იქცეს, როცა მისი წევრები საერთოდ არ არიან არჩეულნი, ან არჩეულნი არიან არაპირდაპირი გზით.

ამ სისტემაში უფრო ხშირია როგორც ინსტიტუციური კონფლიქტი თავად საკანონმდებლო ორგანოში, ასევე სამთავრობო კრიზისებიც.

ორპალატიანმა პარლამენტმა, შეიძლება, პოლიტიკის “შეეთხელთა” სპექტრი დააეიწროოს და საბოლოო საკანონმდებლო გადაწყვეტილება მხოლოდ ერთობლივ კომიტეტებს მიანდოს.

ჭურჭე პალატა პოლიტიკური კონსერვატიზმისაკენ მიდრეკილებით ხასიათდება, რამდენადაც არსებული კონსტიტუციური მოწყობის

შხარდამჭერად და ხშირად საზოგადოებრივი ელიტების ინტერესთა გამომხატველად იქცევა ხოლმე.

ადრეული ხანის მეორე პალატები (მაგ. ლორდთა პალატა დიდ ბრიტანეთში) ხელისუფლებაში მძლავრი ეკონომიკური და საზოგადოებრივი ინტერესების გამოხატვის საშუალებად ითვლებოდა, ჯეიმზ მედისონი და მისი თანამოაზრე ლეგისლაციები ამერიკულ სენატში ხედავდნენ ადმასრულებელი ძალაუფლების დანაწილების იარაღს, რასაც ადმასრულებელი ხელისუფლების სრული გაბატონებისათვის უნდა შეეშალა ხელი.

ორპალატიანობის უპირატესობანი წარმომადგენლობითობის თვალსაზრისით განსაკუთრებით თვალშისაცემია ფედერალურ სახელმწიფოებში, სადაც უფლებამოსილებათა განაწილება მუდმივად ქმნის გადაუჭრელი კონფლიქტის საფრთხეს ცენტრსა და პერიფერიას შორის. სწორედ ამის გამოა, რომ მსოფლიოს 16-ე ფედერალურ სახელმწიფოში ორპალატიანი საკანონმდებლო ხელისუფლებაა და მათგან 14-ში — მეორე პალატა ქვეყნის პროვინციებისა და მასში შემავალი შტატების წარმომადგენლობისთვისაა გათვალისწინებული. ამგვარი წარმომადგენლობა შეიძლება იყოს თანაბარიც — როგორც ავსტრალიაში, შვეიცარიაში და ბ.შ.შ.-ში, და შეიძლება მოსახლეობის რაოდენობაზეც იყოს დამოკიდებული — როგორც ვიეტნამში, ავსტრალიაში და გერმანიაში. ზოგიერთ არაფედერალურ სახელმწიფოში ქვედა პალატას ასევე იყენებენ რეგიონალური მოთხოვნების გასათვალისწინებლად: საფრანგეთში ქვედა პალატის უმრავლესობას, პოლანდიაში კი ყველა წევრს, არაპირდაპირად ირჩევენ ადგილობრივი ხელისუფლებების წარმომადგენელთაგან.

ქვედა პალატების უმეტესობა კონსტიტუციურად და პოლიტიკურადაც ზედა პალატებსა დაქვემდებარებული, რამდენადაც სწორედ პირველი პალატა ითვლება სახალხო ხელისუფლების სარკედ. კერძოდ, ასეა საპარლამენტო სისტემაში, სადაც მთავრობას ქვედა პალატის წარმომადგენელთაგან ირჩევენ.

საკანონმდებლო ორგანოს ამგვარი დაყოფის ერთი უმთავრესი ნაკლოვანებათაგანი ისაა, რომ პალატათა დაპირისპირებისას, როცა ისინი

16. საკანონმდებლო ორგანოები

ძირითადად თანაბარი უფლებებით არიან აღჭურვილნი, აუცილებელი ხდება გარკვეული მექანიზმი აზრთა სხვადასხვაობისა და ინსტიტუციური ჩიხიდან გამოსასვლელად. ამგვარი მექანიზმის ნათელი დადასტურებაა ამერიკულ საგანგებო ერთობლივი კომიტეტი კონგრესში, რომლის შემადგენლობაშიც ორივე პალატის წინიანი დეპუტატები შედიან და სწორედ ისინი გამოიმუშავენ ხოლმე ურთიერთმისაღებ შეთანხმებებს. გერმანიაში, მართალია, ქვედა პალატა (ბუნდესტაგი) საკანონმდებლო უპირატესობით სარგებლობს, სამაგიეროდ ზედა პალატას (ბუნდესრატს) ვეტოს დადების ფართო უფლება აქვს საკონსტიტუციო თუ რეგიონალურ საკითხებთან დაკავშირებით, სადაო საკითხებს კი ერთობლივი სათათბირო კომიტეტი წყვეტს და მასში ორივე პალატის წევრები თანაბრად არიან წარმოდგენილნი. ორპალატიანობის კრიტიკის კიდევ ერთი მიზეზი პოლიტიკური კონსერვატიზმისაკენ მისი მიდრეკილებაა. რამდენადაც ქვედა პალატა კონსტიტუციური მოწყობის დაცვას უწყობს ხელს, ამას მიესალმებიან კიდევ; ოღონდ როცა ქვედა პალატას შეუძლია დაბლოკოს ან დროში გაწელოს დემოკრატიულად არჩეული ზედა პალატის მიერ მოწონებული კანონების მიღება, იგი შესაძლოა, კანონშემოქმედებითი პროცესის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ელიტების სურვილებზე მორგებას უწყობდეს ხელს – საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად. გაგვიცინებთ, მაგრამ საპირისპირო ტენდენციაც ამკარაა: ა.შ.შ.-ს სენატი დღესდღეობით თუ უფრო მეტად არა, თითქმის ისევე ლიბერალურია, როგორც წარმომადგენლობითი პალატა, XX საუკ. 80-იან წწ. კი ბრიტანეთის ლორდთა პალატა გაცილებით უფრო მკაცრი იყო ტექტიკის მთავრობის მიმართ, ვიდრე იმავე დროის თემთა პალატის შემადგენლობა.

საყურადღებოდ:

კომიტეტები და მათი ღირსება-ნაკლოვანებანი

კომიტეტი ამა თუ იმ დიდი ორგანიზაციის შემადგენლობიდან შერჩეული და გარკვეული უფლება-მოსილებით აღჭურვილი წევრების მცირე მუშა ჯგუფია; მიზნობრივი (ad hoc) კომიტეტები გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით იქმნება და საქმის დასრულებისთანავე იშლება. მუდმივმოქმედ კომიტეტებს კი დიდ ხნით ეკისრებათ პასუხისმგებლობა და ინსტიტუციური უფლება-მოსილებითაც ხანგრძლივად სარგებლობენ.

კომიტეტებს შემდეგი ღირსებები გაჩნიათ:

იქ შესაძლებელია აზრთა გაცვლა-გამოცვლა, დებატები და განსხვავებულ ინტერესთა დიად წარმოჩენა.

დავა-კამათი ხანგრძლივად, დეტალურად და საფუძვლიანად მიმდინარეობს ხოლმე.

განსხვავებულ მოსაზრებათა მკაფიოდ გამოკვეთით, ოპტიმალური გადაწყვეტილებაც შედარებით სწრაფად მიიღება.

საკომიტეტო საქმიანობა შრომის ერთგვარ გადანაწილებასა და ექსპერტებისა და სპეციალისტების გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებს.

შემცა, კომიტეტები გარკვეული ნაკლოვანებებითაც ხასიათდება:

მათ შემქმნელებს იოლად შეუძლიათ კომიტეტის საქმიანობით მანიპულირება.

ვითომდა “მოთათბირების” ნიღბით, თავმჯდომარეს შეუძლია სხდომები საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით წარმართოს და ამით ამ ორგანოს ცენტრალიზებას შეუწყოს ხელი.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა თვალსაზრისი და ინტერესი, შესაძლოა, არც იქნას გათვალისწინებული.

ნებისმიერი კომიტეტი საკუთარ წევრებს გამოზშირავს დეპუტატთა ძირითადი მასიდან, და ერთგვარი “მოჩვენებითი” წარმომადგენლობის მოღვლს ქმნის.

საკომიტეტო სისტემები

კომიტეტების როლი საკანონმდებლო ორგანოსა თუ სადმე სხვაგან, ხშირად თანამედროვე პოლიტიკის გამორჩეულ ნიშან-თვისებად ითვლება: თუ პარლამენტის სხდომათა დარბაზს ერთგვარ “სალაყოსაც” კი უწოდებენ, კომიტეტები შეიძლება გადაწყვეტილებების “სამჭედლოდ” მოვისხსენიოთ. როგორც ამერიკის პრეზიდენტმა, ვუდრო უილსონმა შენიშნა 1885 წელს, *კონგრესის მმართველობა — საკომიტეტო მმართველობაა, კონგრესის სესია — საჯარო სანახაობა; საქმე სწორედ კომიტეტებში კეთდება*. შესაბამისად, ის საკანონმდებლო ორგანო ითვლება ძლიერად, რომელსაც კომიტეტებიც ძლიერი ჰყავს.

საპარლამენტო კომიტეტები, ჩვეულებრივ, სამი შესაძლოდან ერთ რომელიმე ფუნქციას ასრულებენ: ჯერ ერთი, მათ შეუძლიათ საკანონმდებლო და ფინანსური პროექტების დეტალური გეგმა შეიმუშაონ, ამ საქმეს კი დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში სწორედ მიზნობრივი კომიტეტები ასრულებენ, რომელთა შემადგენლობაც უფრო ფართოა და ხშირად ცვალებადიც; გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში — მუდმივმოქმედი და ძირითადად, ამა თუ იმ პროფილის სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომიტეტები. მეორეც, კომიტეტები შესაძლოა შეიქმნას სამთავრობო ადმინისტრაციის ზედამხედველობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის გასაკონტროლებლად. მესამეც, ე.წ. ად ჰოკ კომიტეტები საზოგადოებისათვის საჭირობო საკითხების გამოსამიებლად იქმნება ხოლმე. ამერიკაში მსგავსი კომიტეტების შექმნა ყველაზე ხშირი პრაქტიკაა — მათ შორის საყოველთაოდ ცნობილია უოთერგეითის სკანდალთან დაკავშირებით შექმნილი “ირვინის კომიტეტი” და “ანტიამერიკული საქმიანობის გამომძიებელი კომიტეტი”, რომელიც XX საუკ. 50-იან წწ. შეიქმნა, გაქანებული მაკკარტიზმის პერიოდში.

თუკი ძლიერი კომიტეტები ძლიერსავე საკანონმდებლო ორგანოს წინაპირობაა, საინტერესოა, რა ანიჭებს ძალას კომიტეტს? ასე მაგალითად, ამერიკის კონგრესის კომიტეტების საყოველთაოდ აღიარებული სიმდიერის მიზეზი ისაა, რომ მათი მუდმივმოქმედი წევრები პროფესიული ნიშნით

მაკკარტიზმი:

ანუ “კუდიანებზე ნადირობა”; ეს ტერმინი 1950-იან წწ. ამერიკაში სენატორ მაკკარტის მიერ კომუნისტების დევნის პერიოდში აღიღებს სათავეს.

16. საკანონმდებლო ორგანოები

ირჩევან, ძლიერი დაფინანსება გააჩნიათ და ნებისმიერ ინფორმაციაზეც მიუწვდებოთ ხელი. ეს მათ ბიუროკრატიის სრული კონტროლის საშუალებას აძლევთ და საკანონმდებლო პროცესშიც გადამწვევთ როლს აკისრებთ. თუკი გაერთიანებულ სამეფოში, საფრანგეთსა და იაპონიაში კანონპროექტები პარლამენტის დარბაზში განხილვა-მსჯელობის შემდეგ შედის კომიტეტებში, ამერიკულ კონგრესში — პირიქით, ჯერ სწორედ საკომიტეტო მოსმენები იმართება. სწორედ ამიტომ, ბევრი კანონპროექტი ძირფესვიანად იცვლება. ბევრი კი საერთოდ ვერ ნახულობს დღის სინათლეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კონგრესისათვის დამახასიათებელი, სუსტად გამოხატული პარტიული სისტემის გამო, კომიტეტები თავისუფლების საკმაო ხარისხს ინარჩუნებენ პრეზიდენტის ინსტიტუტთან მიმართებაში. სადაც უფრო მკაცრი პარტიული დისციპლინა მოქმედებს (ავსტრალია, ახალი ზელანდია, გაერთიანებული სამეფო) იქ კომიტეტეთა წევრების უმრავლესობა იძულებულია არსებული ხელისუფლების პოლიტიკური ხაზის ერთგული დარჩეს. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი გერმანიაა — მართალია იქ ქმედითუნარიანი პარტიული სისტემაა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ძლერი საკანონმდებლო კომიტეტების არსებობას, რისი მიზნებიც, ალბათ, გერმანიის ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი, კოალიციური მთავრობების პრაქტიკაშია საძიებელი.

გაერთიანებულ სამეფოში, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შედარებით პარლამენტის ძალის გაზრდის მიზნით, 1979წ. ამერიკული ყაიღის არჩევით დარგობრივი კომიტეტების სისტემა შემოიღეს, რასაც სამთავრობო დოკუმენტების ხელმისაწვდომობისა და მინისტრებისა თუ სხვა მაღალი თანამდებობის მოხელეთა “დაკითხვის” უფლების მინიჭებით, გამჭვირვალე მმართველობის სტილის დამკვიდრება უნდა უზრუნველყო. თუმცა, ეს ექსპერიმენტი რამდენიმე მიზეზით აღმოჩნდა წარუმატებელი: ჯერ ერთი, კომიტეტებმა სრულ დამოუკიდებლობას მაინც ვერ მიაღწიეს, რადგან მთავრობამ მათი მუშაობის პარტიული დისციპლინისათვის დაქვემდებარება მოახერხა; მეორეც, შერჩევითი კომიტეტები, როგორც წესი, არ არიან ხოლმე სათანადოდ აღჭურვილნი და უფლებებიც შეკვეცილი აქვთ. მართალია, მათ შეუძლიათ გამოიხმონ ესა თუ ის პიროვნება, ანდა საჭირო დოკუმენტები ილიონ კანცელარიიდან, მაგრამ ისინი მაინც ვერ აიძულებენ საჯარო მოხელეებსა თუ მინისტრებს, დათქმულ დროს გამოცხადდნენ და ვერც იმპროვიზებულად დარწმუნებულნი, რომ ყველა კითხვაზე მიიღებენ ამომწურავ პასუხს. და მესამე: კომიტეტებში მუშაობა პოლიტიკოსს ალტერნატიულ კარიერის კიბეზე ზეასვლის არანაირ გარანტიას არ აძლევს; პარლამენტის წევრები უფრო პერსპექტიულად სამთავრობო სტრუქტურებში დაწინაურებას მიიჩნევენ და ამდენად, მათთვის პარტიული წესები უფრო ანგარიშგასაწევად ვიდრე საპარლამენტო.

რამდენად განსაზღვრავენ პოლიტიკას საკანონმდებლო ორგანოები?

საკანონმდებლო ორგანოთა საქმიანობის შეფასება კიდევ იმიტომაცაა რთული, რომ მათი მოქმედების არე მეტად ფართოა. რის მიხედვით უნდა განსაზღვროს მათი მოღვაწეობის ხარისხიანობა — მიღებული კანონების ავტორიტეტით, თანხმობის მიღწევით, საზოგადოებრივი აზრის გამოხატვითა თუ სხვა რამ საზომით? პოლიტიკური თვალსაზრისით, უმთავრესი მაინც ის უნდა იყოს, რამდენად განსაზღვრავენ ან რა გავლენას ახდენენ ისინი მთავრობის რეალურ საქმიანობაზე, რა ურთიერთობა მყარდება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა შორის და როგორ ინაწილებენ ისინი ძალაუფლებას. ამ კუთხით, მსოფლიოში არსებული ყველა საკანონმდებლო ორგანო სამ ძირითად კატეგორიად შეგვიძლია დაყოფოთ:

პოლიტიკის “მკეთებელი” საკანონმდებლო ორგანოები, რომელთაც დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი გააჩნიათ;

პოლიტიკურ პროცესზე ზეგავლენის მქონე საკანონმდებლო ორგანოები, რომელთაც მხოლოდ პროცესის სახეცვლილება შეუძლიათ — აღმასრულებელთა ინიციატივებზე რეაგირების გზით;

საკანონმდებლო ორგანოები, რომლებზეც აღმასრულებელ ხელისუფლებას დიდი გავლენა აქვს და ფაქტიურად, სიმბოლური პარლამენტი მთავრობის გადაწყვეტილებების ბრმად დაკანონების ფუნქციით კმაყოფილდება.

პირველი კატეგორიის საკანონმდებლო ორგანოები იშვიათობაა. პოლიტიკურ პროცესზე დადებითი ზეგავლენის მოსახდენად ამგვარი ორგანო სამ მოთხოვნას უნდა პასუხობდეს: უნდა გაჩნდეს საკმარისი საკონსტიტუციო დამოუკიდებლობა; უნდა გააჩნდეს საკმარისი დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან; უნდა გააჩნდეს საკმარისი ორგანიზაციული სიმტკიცე — მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად. თუ ბრიტანეთის პარლამენტის მაგალითზე ვიმსჯელებთ, იგი სამივე ამ მოთხოვნას მხოლოდ ე.წ. “ოქროს ხანაში” თუ ასრულებდა — 1832 წლს “დიადი რეფორმიდან” 1867 წლის II რეფორმამდე. სწორედ მაშინ, როცა საარჩევნო ხმის უფლება თანდათან უფრო მეტად ხდებოდა საყოველთაო, ოღონდ ძლიერი პარტიული დისციპლინა ჯერაც ჩანასახოვან მდგომარეობაში გახლდათ, პარლამენტი მართლაც ცვლიდა მთავრობებს, ცალკეულ მინისტრებს გადადგომას აიძულებდა ხოლმე, იწუნებდა მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივებს და ბევრ მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზეც დამოუკიდებლად იღებდა პასუხისმგებლობას.

თანამედროვე ეპოქაში, პოლიტიკის მკეთებელი საუკეთესო საკანონმდებლო ორგანო ამერიკის კონგრესია და მისი უნიკალურობა შესაძლებლობათა საოცარი სიმრავლით აიხსნება. ხელისუფლების დაყოფა/დანაწევრება კონგრესს კონსტიტუციურ დამოუკიდებლობასა და შეუზღუდავ უფლებებს ანიჭებს, ძლიერი საკომიტეტო სისტემა კი კონგრესს ორგანიზაციულ ქმედითუნარიანობას მატებს. და ბოლოს: ა.შ.შ.-ს კონგრესს საკმაოზე მეტად

16. საკანონმდებლო ორგანოები

ჰყავს საკუთარი კადრები და იმის ინფორმაციული რესურსიც გააჩნია, აღმასრულებელი შტოს დაუხმარებლად იმოქმედოს.

და მაინც, ამ უპირატესობათა მიუხედავად, დღესდღეობით კონგრესის გავლენა საგრძნობლად შესუსტდა. 'რეზველტის' "ახალი კურსიდან" მოყოლებული, ამერიკული საზოგადოება და შესაბამისად, თავად კონგრესიც პოლიტიკური წინამძღოლობის ფუნქციას სულ უფრო და უფრო მეტად აკისრებს თეთრ სახლს (ე.ი. პრეზიდენტის ადმინისტრაციას). აქედან გამომდინარე, კონგრესის საქმიანობაც ძირითადად პრეზიდენტის საკანონმდებლო პროგრამის რევიზიით იფარგლება. ამან, ცხადია, ერთგვარად შეასუსტა კონგრესის, როგორც პოლიტიკის "ინიციატორის" როლი და ისეთი ვითარება შექმნა, როცა "პრეზიდენტი სთავაზობს, ხოლო კონგრესი — დასტურჰყოფს".

საბჭოთა კავშირში კომუნისტური რეჟიმის კრახისა და ახალი, პოსტ-კომუნისტური სისტემის წარმოქმნამ ასევე ნათლად აჩვენა პარლამენტის ძალის მნიშვნელობა. სსრკ-ს დაშლის მერე, პრეზიდენტ ელცინს დიდად დაუპირისპირდა პარლამენტის უმრავლესობა, რომელსაც ლიბერალური რეფორმები არ ეხატებოდა გულზე. ელცინი იძულებული გახდა გადაეყენებინა მინისტრები და არა მარტო შეენელებინა, არამედ საერთოდ შეეწყვიტა კიდევ ბევრი ეკონომიკური რეფორმა. თუმცა, პარლამენტის მმართველობის ეს პერიოდი დიდი არეულობით დასრულდა: რადიკალები ელცინის გადაწყვეტილებას აუჯანყდნენ პარლამენტის დათხოვნის თაობაზე და 1993 წ. ოქტომბერში, შეიარაღებულმა ძალებმა რუსეთის პარლამენტს ("თეთრ სახლს") შეუტეეს. ქვეყანაში შემოღებულ იქნა საპრეზიდენტო მმართვე

საყურადღებოდ:

კონკურენტული პოლიტიკა: დადებითი და უარყოფითი მხარეები

კონკურენტული პოლიტიკა ძირითად პარტიათა და პირისპირებით ხასიათდება. რაც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას მუდმივ საარჩევნო ბრძოლად გადააქცევს შესაბამისად, საპარლამენტო კამათი საზოგადოებრივი აზრის მიმხრობის მიზანდასახავს ხოლმე.

მომხრეები ორ არგუმენტს იშველიებენ:

კონკურენტული პოლიტიკა ამომრჩეველს მკაფიო ალტერნატივებს სთავაზობს და შესაბამისად, დემოკრატიულ ანგარიშგაღებულულებას განაპირობებს. იგი ხელს უწყობს მთავრობის ქმედებების კონტროლს, რამდენადაც ოპოზიცია მის ყოველ ნაბიჯს ადევნებს თვალს.

თუმცა, არსებობს საფრთხეებიც:

კონკურენტული პოლიტიკა ნაკლებად გულისხმობს მშვიდ და გონივრულ აზრობას. გაცვლა-გამოცვლას და ვერც კომპრომისს ეგუება მაინცა და მაინც იგი პოლიტიკურ იზებისაკენ მიდრეკილებით ხასიათდება, რაც მთავრობათა შეცვლის დროს, პოლიტიკური არასტაბილურობის მიზეზი ხდება ხოლმე.

ლობა. იმავე წელს ამოქმედებული ახალი კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტი ფედერალური ასამბლეით შეიცვალა, რომელიც სახელმწიფო დუმისა და (ქვედა პალატა) და ფედერალური საბჭოსაგან (ზედა პალატა) შედგებოდა. მართალია, ამ საკანონმდებლო ორგანომ კანონშემოქმედების უფლებას მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მისი წარმომადგენლობითი და ზედამხედველობითი ფუნქციები მაინც სუსტად გამოხატული დარჩა.

საპარლამენტო სისტემებში საკანონმდებლო ორგანოები ზოგადად, პოლიტიკას კი არ “ქმნიან”, არამედ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის ფუნქციით იფარგლებიან. გამონაკლისები ამ წესიდან, როგორც მაგალითად იტალიასა და საფრანგეთში, ჩვეულებრივ, სუსტი კოალიციური მმართველობის და დანაწევრებული პარტიული სისტემების შედეგია ხოლმე. უფრო ხშირად, საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოთა ურთიერთობა მათი პარტიული შემადგენლობითაა განპირობებული, რაც ნათლად მაშინ ჩანს, როცა მაჟორიტარული ან სუსტად გამოხატული პროპორციული საარჩევნო სისტემები ერთი პარტიის უმრავლესობით მოსვლას იწვევს, რაც ტრადიციულად, გაერთიანებულ სამეფოში, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში ხდება. ასეთ დროს, საპარლამენტო სისტემის საქმიანობის უმთავრესი განმსაზღვრელი ხდება დაპირისპირება მმართველ ძალასა და ოპოზიციას შორის, და ამ ურთიერთობას “კონკურენტულ პოლიტიკას” უწოდებენ. მთავრობა მართავს ქვეყანას იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ ისაა პასუხისმგებელი საკანონმდებლო პროგრამების როგორც შემუშავებაზე, ასევე შემდგომ განხორციელებაზეც; საკანონმდებლო ორგანო კი არსებითად ამ ინიციატივებზე “მოპასუხის” როლს ასრულებს.

ასეთ ვითარებაში ძირითადად ორი ფაქტორი განსაზღვრავს საკანონმდებლო ორგანოს გავლენას სახელმწიფო პოლიტიკაზე: რამდენად ძლიერია ამ ორგანოში მმართველი პარტია და რამდენად შეუძლია მას შინაგანი მთლიანობის უზრუნველყოფა. მაგალითად, 1990წ. მარგრიტ ტეტჩერი მოულოდნელად გადააყენეს კონსერვატორთა პარტიის ლიდერობიდან და შემდგომ პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვებაც მოუხდა, მიუხედავად იმისა, რომ თემთა პალატაში ის კონსერვატორთა უმრავლესობას ედგა სათავეში.

იმ საპარლამენტო სისტემებში, სადაც ტრადიციულად ერთი პარტია დომინირებს, საკანონმდებლო ორგანოები ხშირად სუსტია და აღმასრულებელთა ნებას მორჩილებს. საფრანგეთის V რესპუბლიკის დროს, შეგნებულად შეეცადნენ პარლამენტის შესუსტებას, რათა თავიდან აეცილებინათ ის კონფლიქტი და ობსტრუქციონიზმი, რამაც IV რესპუბლიკას გამოუთხარა ძირი. ამგვარად, პრეზიდენტს საშუალება მიეცა, მთავრობა ძირითადად პარტიული კონტროლის მეშვეობით ემართა და ამავე დროს, უფლება მიეცა დაეთხოვა ნაციონალური ასამბლეა, ახალი უმრავლესობის ჩამოსაყალიბებლად. ასე მოიქცა დე გოლი 1962 და 1968წწ., ხოლო მიტერანი — 1981 და 1988წწ. დე გოლმა ასევე შეზღუდა ნაციონალური ასამბლეის ძალაუფლება პოლიტიკური კონტროლის განხრით, და მისი საკანონმდებლო უფლება-მოხილებაც შეასუსტა საკონსტიტუციო საბჭოს შექმნით,

რათა ასამბლეის მიღებული კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა უზრუნველყო.

იაპონური პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოს დაქვემდებარებულიობის კიდევ ერთი მაგალითია. 80-იან წლებამდე იაპური დიეტი ფაქტიურად, აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებათა უბრალო დამადასტურებელი იყო, რაც 1955 წლიდან ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ერთპიროვნული პოლიტიკური ზეობის შედეგი გახლდათ. მაგრამ როცა **ლდპ-ს** გაუღენა საპარლამენტო პროცესზე უკვე თანდათანობით შესუსტდა და მიზნობრივ კომიტეტებში სულ უფრო და უფრო მეტი მცირე პარტიების წარმომადგენელი გამოჩნდა, პარტიამ სრული მარცხი განიცადა არჩევნებში (1993წ).

აზიის, აფრიკისა და სამხრ. ამერიკის განვითარებად ქვეყნებში საკანონმდებლო ორგანოები უფრო გამაერთიანებელ როლს ასრულებდნენ, ვიდრე პოლიტიკაზე ზემოქმედებისა. მათი უმთავრესი დანიშნულება ხელისუფლების კანონიერების განმტკიცება და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესის ხელშეწყობა გახლდათ. ამიტომაც იყო ხოლმე, რომ სამხედრო რეჟიმების დამყარებას მუდამ თან ახლდა მათი მოქმედების დროებითი ან სრული შეწყვეტა. ასე მოხდა XX საუკ. 70-იან წწ. ჩილეში, პაკისტანსა და ფილიპინებზე; 80-იან წლებში კი — თურქეთსა და ნიგერიაში.

რატომ შესუსტდა საკანონმდებლო ორგანოთა როლი?

XIX საუკ. დასასრულიდან ბევრი გამოთქვამდა შემოფოთებას საკანონმდებლო ორგანოთა შესუსტების ხარჯზე აღმასრულებელი ხელისუფლების, კერძოდ კი ბიუროკრატის, გაძლიერების გამო. ლოკისა და მონტესკიეს დროიდან მოყოლებული, საკანონმდებლო ორგანო ხომ პასუხისმგებლობის მქონე წარმომადგენლობითი მმართველობის უმთავრეს წინაპირობად მიიჩნეოდა. არადა, საკამათოა თავისთავად ის დებულება, რომ კარგი მმართველობისათვის აუცილებელია ძლიერი საკანონმდებლო ინსტიტუტი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს ლამის იმდენივე კრიტიკოსი ჰყავს, რადენიც — მეხოტბე. თუმცა, იმაზე მაინც აღარაფერ კამათობს, რომ XX საუკ. განმავლობაში, საკანონმდებლო ორგანოთა გაუღენაც და სტატუსიც შეიცვალა და თან — უარესობისკენ. სხვა საქმეა, ნიშნავს თუ არა ეს ზოგადად ამ ორგანოთა დაკნინებას თუ, უბრალოდ, მათ მიზანი და დანიშნულება შეიცვალა? რაც შეეხება თავად ცვლილებებს, ამ რამდენიმე ძირითადი ფაქტორია აღსანიშნავი:
დისციპლინირებული პოლიტიკური პარტიების გაჩენა;
“ძლიერი” მთავრობების ჩამოყალიბების ტენდენცია;
საკანონმდებლო ორგანოთა ორგანიზაციული სისუსტე
ინტერეს-ჯგუფთა და მედიის გაუღენის ზრდა.

დისციპლინირებული პოლიტიკური პარტიები

XIX საუკ. ბოლოდან მოყოლებული, მრავალრიცხოვანი პარტიების გაჩენა რამდენიმე თვალსაზრისით ასუსტებდა საკანონმდებლო ორგანოს. უპირველეს ყოვლისა, სუსტად შეკავშირებული ფრაქციებიდან გაწვრთნილ და დისციპლინირებულ პარტიულ დაჯგუფებებზე გადასვლამ, ინდივიდუალური წარმომადგენლობითობის დასუსტება გამოიწვია. პარტიული მიკუთვნებულობის პრინციპმა ასევე დაასუსტა საკანონმდებლო ორგანოების, როგორც საპირისპირო აზრთა განსჯის ასპარეზის, დანიშნულება. თავის დროზე რიჩარდ კობდენმა (1804-65) შენიშნა ბრიტანეთის თქმთა პალატასთან დაკავშირებით: ამ დარბაზში ბევრი გულისშემძვრელი სიტყვა მომისმენია, მაგრამ კენჭისყრაზე გაკლენა ვერც ერთმა ვერ მოახდინაო. თუმცა, უფრო შნიშვნელოვანი უმრავლესობის პარტიული შეკავშირების ის ტენდენციაა, რაც აღმასრულებელთა გაბატონებას უწყობს ხელს. ასე მაგალითად, საპარლამენტო სისტემებში დეპუტატთა უმრავლესობისათვის პარტიული ერთგულება არსებული მთავრობის ერთგულებასაც იმთავითვე ნიშნავს, რადგან იქ პარტიის წამყვანი ფიგურები არიან თავმოყრილნი. შესაბამისად, ბევრი საკანონმდებლო ორგანო აღმასრულებელთა კონტროლისა თუ “შეფუცხუნების” ნაცვლად, აქეთ მათი პოზიციების დაცვითაა დაკავებული.

“ძლიერი” მთავრობა

მთავრობის როლის ზრდას — განსაკუთრებით სოციალური კეთილდღეობისა და ეკონომიკური მართვის სფეროებში — ჩვეულებრივ, ძალაუფლების სიმძიმის ცენტრის საკანონმდებლოდან აღმასრულებელი ხელისუფლებისაკენ გადანაცვლებას უკავშირებენ ხოლმე. ეს კი სამი მიზეზით ხდება: ჯერ ერთი, იზრდება ბიუროკრატის როლი, რომელიც სამთავრობო პოლიტიკის ადმინისტრირებასა და საზოგადოების მზარდი მოთხოვნების გათვალისწინებაზე ხდება პასუხსმცებელი; მეორეც, აქცენტები პოლიტიკის ინიცირებისა და განსაზღვრის პროცესზე გადადის. მართალია, საკანონმდებლო ორგანოთა წვერებს პიროვნულად შეუძლიათ ამა თუ იმ კანონის შემოტანა გარკვეულ სფეროებში, მაგრამ ზოგადი და შეთანხმებული სამთავრობო პროგრამის შექმნა მათი საქმიანობის ჩარჩოებს სცდება. აქედან გამომდინარე, XX საუკ. განმავლობაში, საკანონმდებლო ორგანოთა უმრავლესობამ დაკარგა საკანონმდებლო ძალაუფლება და მათი როლი ზედამხედველობითა და კრიტიკით, და არა უშუალოდ “პოლიტიკის კუთხით” შემოიფარგლა; და მესამე: ძლიერი მთავრობა იმასაც ნიშნავს, რომ სახელისუფლებო პოლიტიკა სულ უფრო და უფრო რთულდება, რაც თავის მხრივ, ნებისმიერ სფეროში პროფესიული ცოდნით აღჭურვილი, გამოყვანილი ბიუროკრატული კადრების მოთხოვნას აჩენს, და არა “მოყვარული” პოლიტიკოსებისა.

ლიდერობის დეფიციტი

ასამბლეებსა თუ პარლამენტებს ერთი ორგანიზაციული სისუსტეც ახასიათებთ: ჩვეულებრივ, დეპუტატთა რიცხვი რამდენიმე ასეულს აღწევს და მათ ფორმალურად ერთნაირი ხმის უფლება და კამათში ერთნაირად მონაწილეობის საშუალება გააჩნიათ. თუმცა, სხვა თვალსაზრისით ყოველმხრივ

მისაღები ინსტიტუტი, საკანონმდებლო ორგანო—თავისი უგალიტარული და დანაწევრებული წყობის გამოისობით, ლიდერების გამოკვეთის საშუალებას აღარ იძლევა და “ერთ ხმაში სიმღერისაკენ” უბიძგებს საკუთარ წევრებს პარტიული ნიშნით არჩეული პარლამენტები. ცხადია, უკეთ ახერხებენ მკაფიო და შეთანხმებული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის კურსის გამოძევა და მაგრამ ასეთ დროსაც კი, ლიდერთა გამოკვეთა პარტიების მიერ ხდება და არა საკანონმდებლო ორგანოს მეშვეობით — ლიდერი, როგორც წესად აღმასრულებელი და არა საკანონმდებლო ორგანოდან ჩნდება, რაკილსწორედ აღმასრულებელი ხელისუფლება გამოირჩევა პარტიულ ორგანიზებითა და სათავეშიც ერთი კონკრეტული პიროვნება უდგას — პრეზიდენტი ან თუ პრემიერ-მინისტრის სახით.

ინტერეს-ჯგუფებისა და მედიის გავლენა

საკანონმდებლოდან აღმასრულებელი ხელისუფლებისაკენ არა მარტო გავლენის სიმძიმის ცენტრისა და საზოგადოების ყურადღების გადატანა მოხდა, არამედ პარლამენტებს ინტერეს-ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სახითაც გამოუჩნდნენ სერიოზული მეტოქეები. ინტერეს-ჯგუფთა მომრავლებამ ორი თვალსაზრისით შეუქმნა საფრთხე საკანონმდებლო ორგანოებს: ჯერ ერთი, ჯგუფებმა საზოგადოებას წარმომადგენლობითობის ალტერნატიული მექანიზმი შესთავაზეს: ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შექმნილი ეს ჯგუფები საზოგადოების სულ უფრო მეტი ნდობით სარგებლობენ და შეხედულებების თუ მხარეების სულ უფრო მეტი ნდობით სარგებლობენ და შეხედულებების თუ მხარეების უკეთ გამოხატვის საშუალებასაც იძლევიან. დღეს ამა თუ იმ საკითხის გამო შექმნილი ჯგუფის საქმიანობა იმ სფეროებსაც მოიცავს, რაც ადრე მხოლოდ პარლამენტის მსჯელობის საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო. მეორე ფაქტორი ის გახლავთ, რომ რაც უფრო ნაკლებად დებულა საკანონმდებლო ორგანოები მონაწილეობას პოლიტიკური კურსის შემუშავებაში, მით უფრო ძლიერდება ინტერეს-ჯგუფთა გავლენა. მას-მედიის, კერძოდ კი ტელევიზიისა და ელექტრონული კავშირების ახალი ფორმების აღზევებამ ასევე შეუწყო ხელი საკანონმდებლო ორგანოების “დრომოჭმულობის” განცდის განქანას. ამის მიზეზი ისაა, რომ ამგვარ ორგანოებს, როგორც პოლიტიკური სჯა-ბაასის უმთავრეს ასპარეზს, პრესა და ტელევიზია ჩაენაცვლა და პოლიტიკური ლიდერებიც სულ უფრო ხშირად ამჯობინებენ საზოგადოებასთან ურთიერთობას მედია საშუალებებით და ასამბლეისა თუ პარლამენტის დარბაზიდან.

მოსალოდნელია თუ არა საკანონმდებლო ორგანოთა ხელახალი აღზევება?

მართალია, საკანონმდებლო ორგანოთა, როგორც კანონ შემოქმედებითი და პოლიტიკის განმსაზღვრელი ინსტიტუტების როლი მნიშვნელოვნად დაკნინდა, ბევრი იზიარებს ბლონდელის (1973) აზრს, რომ სხვა თუ არაფერი, ისინი დღეს “კომუნიკაციის მექანიზმების” როლს მართვასრულებენ. მსოფლიო პარლამენტთა დიდი უმრავლესობა სხდომების

საკლავიზო რეპორტაჟების მომხრეა. რამაც ნამდვილად შეუწყო ხელი საზოგადოებასთან მათ დაახლოებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ მას-მედიას შეუძლია საკანონმდებლო ორგანოს პრესტიჟის ამაღლება და ლეგიტიმაცია.

საერთოდ, გაერთიანებულ სამეფოსა და ბევრ სხვა ქვეყანაშიც, პარლამენტი აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი სულ უფრო კრიტიკული და მასგან დამოუკიდებელი ხდება, რაც პარტიების, როგორც მტკიცე ერთობების ფენომენის შესუსტებამ გამოიწვია. პოლიტიკაში სულ უფრო მეტი გათვითცნობიერებული ამომრჩეველი არა მარტო მეტს მოელის პარლამენტის ყოველი ცალკეული წევრისაგან, არამედ თავად ეს წევრებიც, უკვე პოლიტიკაში გამოჯეკილნი და სათანადოდ აღჭურვილნი, ცდილობენ პარტიული ხაზისაგან მეტი დამოუკიდებლობა გამოამჟღავნონ და მხოლოდ ლობისტების როლში არ დარჩნენ. სხვა თუ არაფერი, თავად ის საყოველთაოდ აღიარებული აზრი, რომ პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობა და სიმტკიცე საკანონმდებლო ორგანოს წარმატებულ საქმიანობასთანაა დაკავშირებული, ამ ორგანოს შესუსტების შემთხვევაში, აუცილებლად ზრდის საპროტესტო განწყობების გაჩენის ალბათობას. თუცა, საბოლოო ჯამში, სასურველი წინასწრობა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა შორის იმ მარტივ ტრეშმარიტებამდე დაიყვანება, რომ ერთის მხრივ აუცილებელია წარმომადგენლობითობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვა, მეორეს მხრივ კი — ლიდერისა და ძლიერი მთავრობის ხელი.

შეჯამება

«ასამბლეა», «საკანონმდებლო ორგანო» თუ «პარლამენტი», ჩვეულებრივ, ერთი შინაარსის მატარებელი ცნებებია. ასამბლეა ნიშნავს, რომ ეს ორგანო ხალხის წიაღიდან გამოსული, მისივე ნების გამოხატველ პოლიტიკოსთა კრებულია, და არა გამოცდილ და საქმის მცოდნე სამთავრობო მოხელეების თაყვრილობა. ტერმინი «საკანონმდებლო ორგანო» არც მთლად ზუსტია, უინაიდან კანონშემოქმედების მონოპოლია მას არასოდეს გააჩნია. რაც შეეხება ცნება «პარლამენტს», იგი არჩევით ორგანოში კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

«საპარლამენტოა სისტემა, სადაც მთავრობა ასამბლეისა თუ პარლამენტის მეთვალყურეობითა და მეშვეობით მოქმედებს, და მისი წევრებიც, საკანონმდებლო ორგანოს რიგებიდან არჩეულნი, სწორედ ამ ორგანოს წინაშე არიან ანგარიშვალდებულნი; ხოლო საპრეზიდენტო სისტემა საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოთა შორის ძალაუფლების განაწილებას ემყარება. შედეგად, მყარდება ურთიერთობა, რომელსაც ამ შტოთა დამოუკიდებლობისა და ურთიერთდამოკიდებულების კომბინირებული ხასიათი გამოარჩევს.

16. საკანონმდებლო ორგანოები

« საკანონმდებლო ორგანო მთავრობისა და ხალხის დამაკავშირებელი რელია; ესაა ურთიერთობის საშუალება, რომელიც მხარს უჭერს მთავრობას რეჟიმის სიმტკიცესაც უზრუნველყოფს, ამავე დროს კი აიძულებს მთავრობას, საზოგადოების მოთხოვნებსაც მიუგდოს ვური. საკანონმდებლო ორგანოს უმთავრესი დანიშნულებაა შექმნას კანონმდებლობა, იმოქმედოს როგორც წარმომადგენლობითი ინსტიტუტმა, ზედამხედველობა გაუწიოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, შეარჩიოს და გამოზარდოს პოლიტიკური კადრები, და პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობის შენარჩუნებას შეუწყოს ხელი.

« საკანონმდებლო ორგანო, ჩვეულებრივ, ერთი ან ორი პალატიზაციაში შედგება. ორპალატიანობის უპირატესობა ისაა, რომ იგი კონტროლისა და ბალანსის შესაძლებლობას ზრდის და აფართოებს წარმომადგენლობითობას რაც განსაკუთრებით ფედერალურ სისტემებშია აუცილებელი. ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს მისი მიდრეკილება სახელისუფლებო კრიზისებისადმი. საკანონმდებლო პროცესში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკომიტეტო სისტემებს, და მათი სიძლიერე თავად პარლამენტისა თუ ასამბლეის წარმატებულობის წინაპირობაა.

« საკანონმდებლო ორგანო იშვიათად სახაკს პოლიტიკის კურსს; უფრო ხშირად იგი უბრალოდ ზეგაულებნას ახდენს მასზე, ანდა საერთოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ნებას ემორჩილება. საკანონმდებლო ორგანოს სიძლიერე და სისუსტე რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული — მისი კონსტიტუციური ავტორიტეტით, აღმასრულებელი ხელისუფლებასთან პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხით, პარტიული სისტემის ხასიათით, და ორგანიზაციული სიმტკიცის საერთო დონით.

« საკანონმდებლო ორგანოთა დაკნინება შემოთუბნას იწვევს, რამდენადაც იგი უშუალოდ უკავშირდება პასუხისმგებლობით გამსჭვალულ წარმომადგენლობითი მმართველობის ავ-კარგიანობას. თავისთავად დაკნინება პარტიული დისციპლინით შეკრული, პოლიტიკური ორგანიზაციების გაჩენამ, მთავრობის როლის ზრდამ, აღმასრულებელი ხელისუფლების შეტმა შესაძლებლობებმა — განსაზღვრონ პოლიტიკა და ლიდერებით “მოამარაგონ” ქვეყანა, და ასევე, ინტერეს-ჯგუფებისა და მასმედიის გავლენის გაძლიერებამ გამოიწვია.

კითხვები განსასჯელად

« გულისხმობს თუ არა საპარლამენტო მმართველობის ფართოდ გავრცელება თავად ამა თუ იმ სისტემის წარმატებულობასა და ქმედითუნარიანობას?

« რატომ ითვლება ხელისუფლების დანაწილება ესოდენ მნიშვნელოვან ლიბერალ-დემოკრატიულ პრინციპად?

« რა პირობებში ყალიბდება “პასუხისმგებლობის გრძნობის” მქონე ხელისუფლება?

- < ზოგელთვის სჯობს თუ არა ორპალატიანი მოდელი ერთპალატიანს?
- < თანამედროვე საზოგადოებებში, განწირულია თუ არა საკანონმდებლო ხელისუფლება აღმასრულებელთან დასამარცხებლად?
- < ნიშნავს თუ არა საკანონმდებლო ორგანოების დაკნინება წარმომადგენლობითობისა და ანგარიშვალდებულობის დასუსტებას?

დამატებითი საკითხავი

- Davidson, R. and W. Oleszek, *Congress and Its Members* (Washington, DC: Congressional Quarterly, 1999).
- Lijphart, A. (Ed.), *Parliamentary Versus Presidential Government* (Oxford: Oxford University Press, 1992).
- Olson, D., *Legislative Institutions: A Comparative View* (Armonk, NY: M.E. Sharpe, 1994).

აღმასრულებელი ხელისუფლება

“მმართველი სიძველეზე გაღლა უნდა დადგეს”.

ნიკოლო მაკიაველი, მთავარი (1513)

აღმასრულებელი ხელისუფლება მმართველობის აუცილებელი შემადგენელია. პოლიტიკურმა სისტემამ შეიძლება იმუშაოს კონსტიტუციის, საკანონმდებლო ორგანოს, მართლმსაჯულებისა და თვით პარტიების გარეშეც კი, ოღონდ წარმოუდგენელია სისტემა, სადაც აღმასრულებელი შტო არ განსაზღვრავს პოლიტიკურ კურსს და მის გატარებას არ უზრუნველყოფს. პოტენციურად, აღმასრულებელი ხელისუფლების ძალა იმდენად დიდია, რომ ზოგადად პოლიტიკის ისტორიაში ხშირად მიუმართავთ მისი შეკავებისა თუ მოთოკვის ამა თუ იმ ფორმისათვის — იქნებოდა ეს კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცევის მცდელობა თუ აუცილებელი ანგარიშვალდებულების დაწესება სახალხო კრებისა თუ ამომრჩევლის წინაშე. პოლიტიკური აღმასრულებელი, კერძოდ კი ამ შტოს ძალაღობის თანამდებობის პირნი, მართლაც რომ პოლიტიკის სახეს და საზოგადოებისათვის ყველაზე ცნობად პიროვნებებს წარმოადგენენ. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ზოგადად პოლიტიკურ ლიდერთა, ასე ვთქვათ, “სამჭედლოა”. მათი როლი კი მით უფრო გაიზარდა, რაც უფრო გაფართოვდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა როგორც საგარეო, ისე საშინაო ასპარეზზე, და მედიამაც პოლიტიკის გაშუქება სწორედ პიროვნებების კუთხით წარმართა. თუმცა, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან დაკავშირებული იმედები და მოლოდინი, შესაძლოა, მათთვისვე დამოწმდეს საზიანო, ვინაიდან ძალზე ბევრ პოლიტიკურ სისტემაში ლიდერებს “ველას გულის მოგება” უკვე უჭირთ. ეს პრობლემა კი ზოგადად პოლიტიკის კერძოდ, პოლიტიკოსებისადმი მზარდ იმედგაცრუებასთანაა დაკავშირებული.

აღმასრულებელი ხელისუფლების მნიშვნელობა
ვინ ვინაა აღმასრულებელი ხელისუფლებაში?
აღმასრულებელთა პოლიტიკური ფუნქციები.

ძალუფლება აღმასრულებელ შტოში: ვინ დგას საჭესთან?
პრეზიდენტები.
პრემიერ-მინისტრები.
კაბინეტები.

ლიდერობის პოლიტიკა
ლიდერობის თეორიები.
ლიდერობის ნაირსახეობანი.

შეჯამება/კითხვები
განსახილვად/დამატებით
საკითხავი

ამ თავში შემდეგი ძირითადი საკითხებია განხილული:

საკანძო საკითხები:

- < რას ნიშნავს აღმასრულებელი ხელისუფლება?
- < რა როლი აკისრია მას?
- < რით განსხვავდება აღმასრულებელი ხელისუფლება საპრეზიდენტო და საპარლამენტო მოდელეებში?
- < ვინ სარგებლობს ყველაზე დიდი გავლენით ხელისუფლების აღმასრულებელ შტოში?
- < რას გულისხმობს “პოლიტიკური ლიდერობის” ცნება?
- < ხომ არ შეინიშნება ლიდერობის კრიზისი თანამედროვე პოლიტიკაში?

აღმასრულებელი ხელისუფლების მნიშვნელობა

აღმასრულებელი ხელისუფლება

ზოგადი გაგებით, აღმასრულებელი ხელისუფლება საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ კანონთა აღსრულებასა და შემუშავებული პოლიტიკის გატარებაზე აგებს პასუხს. ხელისუფლების ეს შტო მთავრობის მეთაურით იწყება და ძალიან სტრუქტურებს, მინისტრებსა და საჯარო მოხელეებს მოიცავს. დღესდღეობით ეს ტერმინი უფრო ვიწრო გაგებით იხმარება და გადაწყვეტილების მიმღებთა იმ მცირე წრეს აღნიშნავს, რომლებიც სამთავრობო პოლიტიკის კურსსა და კოორდინაციასზე აგებს პასუხს. უმაღლეს თანამდებობის პირთა ეს კრებული ხშირად “პოლიტიკურ აღმასრულებლად” იხსენიება, რაც იგივე არსებული მთავრობაა, რაც — საპრეზიდენტო სისტემებში — “ადმინისტრაციად” იწოდება. საპარლამენტო არსებობს ფორმალური აღმასრულებელიც, ანუ — ბიუროკრატია.

ვინ ვინაა აღმასრულებელ ხელისუფლებაში?

ხელისუფლების ეს შტო, პირდაპირი გაგებით, პოლიტიკის აღსრულებასა თუ გატარებაზე პასუხისმგებელია. თუმცა, სინამდვილეში მისი საქმიანობა გაცილებით უფრო ფართოა და რთულია. რთულადაა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული შემადგენლობაც — მისი წევრების დაჯგუფება რამდენიმე ნიშნის მიხედვით ხდება: ჯერ ერთა, ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავებულ “პოლიტიკურ” და “ბიუროკრატიულ” აღმასრულებლებს; ამ შემთხვევაში ხაზგასმულია განსხვავება პოლიტიკოსებსა და საჯარო მოხელეებს, უფრო ზოგადად კი — საკუთრივ პოლიტიკასა და ადმინისტრირებას შორის. მეორეც, თავად აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, მდგომარეობისა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, სხვადასხვა საფეხურზე დგანან. თუკი საკანონმდებლო ორგანო საკუთარი წევრების ფორმალურ თანასწორობას მინც აღიარებს, აღმასრულებელი შტოს წევრთა გამოკვეთილად პირამიდულია და აშკარად იერარქიულ ხასიათს ატარებს.

აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკურ და ბიუროკრატიულ თანამდებობებს შორის განსხვავება განსაკუთრებით თვალშისაცემად საპარლამენტო მოდელის შემთხვევაში, სადაც აშკარაა სხვაობა კადრების შერჩევას, პასუხისმგებლობის განაწილებას, სტატუსისა და პოლიტიკურ ორიენტაციის თვალსაზრისით. აქ ხელისუფლების ეს შტო არცაა პოლიტიკოსთაგან შედგება: მინისტრების კანდიდატურას საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობიდან ირჩევენ და ისინიც ამ ორგანოს წინაშე არაა ანგარიშვალდებულნი. მათ ევალუატიონით საკუთარი პარტიის პრიორიტეტებს შესაბამისად განსაზღვრონ პოლიტიკა და მის გატარებაზეც იზრუნონ. აღმასრულებელი ხელისუფლების ბიუროკრატიული აპარატი დანიშნულია და პროფესიონალი საჯარო მოხელეებისაგან შედგება, რომელთა უმუშაო მოვალეობა რჩევების მიცემა და პოლიტიკის ადმინისტრირებაა — ე.ი. მათ საკუთარი მინისტრების ერთგულებაც მოეთხოვებათ — თუმცა უცილობლად პარტიული ნიშნით.

რაც შეეხება საპრეზიდენტო სისტემებს (მაგ. ა.შ.შ.), აქ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ერთადერთი არჩევითი პირი — თავად პრეზიდენტია. კაბინეტის წევრები, ფაქტურად, დანიშნული მოხელეები არიან; ხელისუფლება სხვა მაღალი თუ საშუალო თანამდებობის პირები — პოლიტიკურ მიუკერძოებელი საჯარო მოხელეები და მხოლოდ ამა თუ იმ ადმინისტრაციის შემადგენლობაში დროებით დასაქმებული ხალხია. რაც შეეხება კომუნისტურ ქვეყნებს, მაგალითად ჩინეთსა თუ ყოფილ საბჭოთა კავშირს, აქ ნებისმიერ განსხვავებაზე საუბარი მხოლოდ პირობითია — მმართველი კომუნისტური პარტიის საყოველთაო გავლენის გამო. შესაბამისად, ჩინურ ბიუროკრატია “პოლიტიკურია” იმ თვალსაზრისით, რომ ის ნებისმიერ შემთხვევაში, ჩინეთის კომპარტიის წევრებისა და იდეოლოგიის მხარდამჭერებისაგან შედგება.

პოლიტიკურ-ბიუროკრატიულ დაყოფასთან შედარებით, აღმასრულებელი ხელისუფლების შიდა იერარქიული წყობა უფრო თვალშისაცემია. ჯერ ერთი, ამგვარი ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც წესი, ერთი პიროვნების, ლიდერის ირგვლივ ირაზმებიან. ჯერ კიდევ მონტესკიემ შენიშნა, რომ “ხელისუფლების ამ შტოს, რომელსაც სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება ევალება, ჯობია ერთი პირი მართავდეს, და არა რამდენიმე”. თუმცა, აღმასრულებელ ხელისუფლებაში არსებობს ორი განსხვავებული თანამდებობა, რომლებიც, თეორიულად, შესაძლოა ერთსა და იმავე პიროვნებასაც ეკავოს: ერთის მხრივ, ესაა სახელმწიფოს მეთაური და ამ პოსტს ოფიციალური ავტორიტეტი, თუმცა ძირითადად, სიმბოლური ლატივითაა გააჩნია; მეორეს მხრივ, არსებობს მთავრობის მეთაური, ანუ — აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირი, რომელიც “აკეთებს” პოლიტიკას და პოლიტიკური პასუხისმგებლობის მატარებელია. თუკი პრეზიდენტები, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურები — უთქვამთ, ამერიკაში, რუსეთისა და საფრანგეთში — ასე მაგალითად, “ორ სკაშზე სხედან”, საპარლამენტო სისტემებში სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის თანამდებობები გაშიჯნულია. უმაღლეს აღმასრულებლად, ასეთ დროს, პრემიერ-მინისტრი გვევლინება, ხოლო სახელმწიფოს მეთაური, რიგობრც წესი, პარტიული თვალსაზრისით დამოუკიდებელი ფიგურაა ხოლმე.

საყურადღებოდ:

სახელმწიფოთა მეთაურები

სახელმწიფოს თავი ქვეყნის ძალაუფლებისა და კანონის განსახიერებაა. როგორც ქვეყნის უზენაესი პირი, იგი უმაღლესი სტატუსით სარგებლობს, თუმცა ძალზე ხშირად, მას მხოლოდ სიმბოლური ან ფორმალური გავლენა გააჩნია, რამდენადაც რეალურ ძალაუფლებას მთავრობის ხელმძღვანელ ფლობს (გამორიცხული არც ისაა, ორფე ეს თანამდებობა ერთმა პიროვნებამ შეითავსოს). მისი საქმიანობის სფერო, ძირითადად, წარმომადგენლობით/ცერემონიალური უფლება-მოვალეობებით შემოიფარგლება: დაჯილდოებები, ხელმოწერები, იმავე რანგის სტუმართა დახვედრა/მასპინძლობა და ა.შ. ოღონდაც, საპარლამენტო სისტემებში მას მთავრობის მეთაურის დანიშვნის უფლებაც აქვს, რაც გარკვეულწილად, მის პოლიტიკურ გავლენასაც ზრდის. როგორც წესი, სახელმწიფოს მეთაურები პრეზიდენტები ან მონარქები არიან ხოლმე.

მინისტრები თუ დეპარტამენტის ხელმძღვანელები პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაზე აგებენ პასუხს — თავიანთ კინკრეტულ სფეროებში. ხშირად თავად დეპარტამენტების ხელმძღვანელებიც იერარქიული კიბის სხვადასხვა საფეხურზე დგანან იმისდა მიხედვით, რამდენად მნიშვნელოვანია ეს სფერო (როგორც წესი, მოწინავე პოზიციები კაბინეტში ეკონომიკისა და საგარეო საქმეთა მინისტრებს უკავიათ). აღმასრულებელი ხელისუფლების ქვედა ეშელონების შემადგენლობასა და ფუნქციებზე ვერცლად შემდგომ გვექნება საუბარი.

კაბინეტი: წამყვან მინისტრთა მუდმივი საკრებულო, რომელსაც აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირი თავმჯდომარეობს. კაბინეტი, შესაძლოა, კიდევ წარმართავდეს პოლიტიკას, ანდა მხოლოდ სათათბირო ორგანოს ფუნქციებით იფარგლებოდეს.

17. აღმასრულებელი ხელისუფლება

აღმასრულებელთა პოლიტიკური ფუნქციები

მარტივად რომ ვთქვათ, პოლიტიკურ აღმასრულებელთა საქმე — წინამძღოლობაა. მათ წარმომადგენლებს რამდენიმე ფუნქცია აკისრიათ და ზოგჯერ — ერთდროულადაც. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ◀ წარმომადგენლობით/ცერემონიალური მოვალეობები
- ◀ პოლიტიკის შემუშავების ზედამხედველობა
- ◀ ხალხის პოლიტიკური წინამძღოლობა
- ◀ ბიუროკრატიისმიერი მართვა
- ◀ კრიზისებზე რეაგირება

წარმომადგენლობით/ცერემონიალური მოვალეობები

სახელმწიფოს მეთაურები, აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირები და ზოგჯერ წამყვანი მინისტრებიც კი — სახელმწიფოს “სახეს” წარმომადგენენ. თუმცა, ეს მოვალეობანი, ძირითადად, ფორმალურ და ცერემონიალური ხასიათისაა და ისეთ ვითარებებში სრულდება, როგორც იცაა, მაგალითად, ეროვნული დღესასწაულები, უცხოელ კოლეგათა ვიზიტები, საერთაშორისო ღონისძიებები თუ საკანონმდებლო აქტებისა და შეთანხმებების რატიფიცირება. ამ ფუნქციებს საპარლამენტო სისტემებში პრეზიდენტები და კონსტიტუციური მონარქები ასრულებენ, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველდღიურ მმართველობის კონკრეტული საქმეებით არიან დაკავებული. თუმცა, ფორმალური ვალდებულებებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, იკვეთება ქვეყნის მთლიანობისა და პოლიტიკური სიმტკიცის ორიენტირი, რომელიც არსებული რეჟიმის ლეგიტიმურობას განამტკიცებს და მეორე: სახელმწიფოს მეთაურთა “ერის ლიდერებად” აღქმა საზოგადოებაში მნიშვნელოვანია საზოგადოების მხარდაჭერისა თუ ამომრჩევლების მოსაპოვებლად.

პოლიტიკის შემუშავების ზედამხედველობა

აღმასრულებელი ხელისუფლების უმთავრესი დანიშნულება პოლიტიკის პროცესის წარმართვა და კონტროლია. მოკლედ რომ ვთქვათ, მთავრობისგან “მართვას” მოელიან და მთავრობის პასუხისმგებლობის უფრო და უფრო გაძლიერების პასუხად, XX საუკუნეში მისი ეს როლი საგრძნობლად გაიზარდა. სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლებისგან მოელიან იმ მწყობრი ეკონომიკური და სოციალური პროგრამების შექმნას რამაც თანამედროვე რთული და პოლიტიკურად არაერთგვაროვანი საზოგადოებების მოთხოვნილებებს უნდა უპასუხოს; დღევანდელ უკიდურეს ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში მან უნდა “გაიყვანოს სამშვიდობო სახელმწიფო და მისი საგარეო ურთიერთობები დაარეგულიროს. ყველა ამის ერთი მნიშვნელოვანი შედეგი გახდა აღმასრულებელი ხელისუფლების

საკანონმდებლო უფლება-მოსილების გაზრდა და მის მიერ ტრადიციულად საკანონმდებლო ორგანოსათვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობების გადანაწილება.

აღმასრულებელი ხელისუფლება, ჩვეულებრივ, არა მარტო საკანონმდებლო პროგრამების ინიციატორად გამოდის, არამედ ხშირად თავადვე იღებს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, ბრძანებულებებს, თუ სხვა სახის დადგენილებებს. თუმცა შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პოლიტიკურ პროცესში აღმასრულებელ ხელისუფლებას გაბატონებული მდგომარეობა უკავია: პოლიტიკის მეტი წილი მაინც პარტიებისა და ინტერეს-ჯგუფების მიერაა განსაზღვრული.

ხალხის პოლიტიკური წინამძღოლობა

აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე პოლიტიკური სისტემის ნებისმიერი სხვა განსტოებისათვის, სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია ხალხის მხარდაჭერა, რაც ზოგადად რეჟიმის სტაბილურობის აუცილებელი წინაპირობაა. უბრალოდ, საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე, ძალზე ძნელი, ფაქტიურად შეუძლებელიც კი ხდება დასახული პოლიტიკური კურსის გატარება. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, აღმასრულებელი ხელისუფლების პოპულარობა უშუალოდაა დაკავშირებული ზოგადად რეჟიმის ლეგიტიმურობასთან. მართალია, ამა თუ იმ კონკრეტული მთავრობის არაპოპულარობა არ ასუსტებს თავად პოლიტიკური სისტემის მხარდაჭერას, მაგრამ ეს გარდაუვალი იქნებოდა მთავრობის შეცვლისა და გადაყენების მექანიზმების არსებობის გარეშე. სწორედ ამით აიხსნება პერიოდული და კონკურენტული არჩევნების სულ უფრო ფართო გავრცელება. ცხადია, არ შეიძლება ითქვას, რომ ხალხისთვის მიუღებელი, და ამავე დროს, კაბინეტში “დახაკსებული” მთავრობა ყოველთვის სისტემის მსხვერვეის მიზეზი ხდება. რეჟიმი ასეთ დროსაც შეიძლება მეტნაკლებად გამძლე აღმოჩნდეს, თუკი ავტორიტარობის გზას დაადგება და ხალხის მხარდაჭერის მოპოვებას რუპრესიებისა თუ იდეოლოგიური მანიპულაციების მეშვეობით ეცდება.

ბიუროკრატიისმიერი მართვა

რამდენადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას პოლიტიკური კურსის შემუშავება და გატარება ევალება, მას ძალზე დიდი ბიუროკრატიული და ადმინისტრაციული ვალდებულებებიც ეკისრება. ამ თვალსაზრისით, მთავრობის მეთაურები, მინისტრები და დეპარტამენტთა ხელმძღვანელები ერთგვარ “დირექტორატს” წარმოადგენენ, რომელიც მთავრობის მანქანის გამართულად მუშაობაზე აგებს პასუხს. მსგავსი საქმიანობა, ძირითადად, დარგობრივი დეპარტამენტების მეშვეობით ხორციელდება და მაღალი თანამდებობის პირები პოლიტიკის გარკვეულ სფეროზე აგებენ პასუხს, ხოლო ამ სფეროების ადმინისტრირებისათვის საგანგებოდაა შექმნილი ბიუროკრატიული აპარატი. ცხადია, მაღალ დონეზე პოლიტიკის კოორ-

17. აღმასრულებელი ხელისუფლება

დინირების აუცილებლობაც არსებობს, რაც ჩვეულებრივ, ამა თუ იმ ტიპის კაბინეტური სისტემის მეშვეობით ხორციელდება.

და მაინც, ბევრჯერ გამოითქვა ეჭვი, რამდენად შედეგიანია ამგვარი ბიუროკრატიისმიერი მართვა. ჯერ ერთი, რამდენადაც აღმასრულებელი ხელისუფლება პროფესიონალი პოლიტიკოსებისაგან შედგება, მათ ზშირად არც ყოფნით კომპეტენცია, მართვის გამოცდილება და ადმინისტრაციული ცოდნა — რთული ბიუროკრატიული მანქანის ეფექტურად გასაკონტროლებლად; მეორე: ესა თუ ის სამთავრობო დეპარტამენტი, შესაძლოა, საკუთარი ინტერესების ტყვეობაშიც აღმოჩნდეს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი რომელიმე ძლიერ ინტერეს-ჯგუფს “შეეხმატკბილება”; და მესამე: მთლიანად ბიუროკრატია, როგორც ასეთს, შესაძლოა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან განსხვავებული ინტერესები გაუჩნდეს და ზემდგომი ორგანოების პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნებასაც კი გაუძლიანდეს.

კრიზისებზე რეაგირება

ძირითადი უპირატესობა, რაც აღმასრულებელ ხელისუფლებას საკანონმდებლოსთან შედარებით გააჩნია, ეს სწრაფი და ქმედითი ნაბიჯების დაუყოვნებლო გადადგმის უნარია. როდესაც საშინაო თუ საერთაშორისო პოლიტიკაში კრიზისი დგება, სწორედ ხელისუფლების ეს შტო რეაგირებს დაუყოვნებლოვ, საკუთარი იერარქიული მოწყობისა და პიროვნულ ლიდერზე მორგებული სტრუქტურის წყალობით. ამიტომაც ხდება, რომ საკანონმდებლო ორგანო აღმასრულებელ ხელისუფლებას ლამის დიქტატორულ ძალაუფლებას ანიჭებს ხოლმე ომის დაწყების შემთხვევაში და მასვე ევალება საგანგებო მდგომარეობის უზრუნველყოფა, როცა ქვეყანაში ამა თუ იმ სახის კრიზისი იჩენს თავს — იქნება ეს სტიქიური მოვლენა, ტერორიზმის საფრთხე, ეკონომიკური ვარდნა თუ სამოქალაქო დაუმორჩილებლობა.

თუმცა, არცთუ ისე იშვიათია, როცა მთავრობა მსგავს უფლებებს პოლიტიკური ოპოზიციის შესასუსტებლად ანდა გასანადგურებლად იყენებს — კონსტიტუციონალიზმის დაცვის საბაბით.

ძალუფლება აღმასრულებელ შტოში: ვინ დგას საჭესთან?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენა და პასუხისმგებლობა სულ უფრო და უფრო გაიზარდა XX საუკ. მანძილზე. სულ უფრო მეტი პოლიტიკური წონა და საკანონმდებლო პასუხისმგებლობა შეიძინა, ბიუროკრატიული მანქანის მართვაც იკისრა და საჯარო პოლიტიკისა თუ მედიის ყურადღების ცენტრშიც მოექცა. ყოველივე ამან, თავის მხრივ, დიდი გავლენა იქონია ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს შიდა მოწყობაზე და ძალთა განაწილებაზე ამ იერარქიულ სტრუქტურაში. საყოველთაო აზრით, ყოველივე ამით მოგებული აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური დარჩა — დღესდღეობით, მთავრობის ხელმძღვანელებს

საპრეზიდენტო მმართველობა

მმართველობის საპრეზიდენტო სისტემას ძალაუფლებათა კონსტიტუციური და პოლიტიკური გაშიჯვნა ახასიათებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოთა შორის. შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლება დამოუკიდებლად არჩეული პრეზიდენტის ხელშია, რომელიც უშუალოდ ანგარიშვალდებული არ არის პარლამენტის წინაშე და ამ უკანასკნელს არც მისი გადაყენება შეუძლია.

საპრეზიდენტო სისტემას შემდეგი ძირითადი ნიშან-თვისებები ახსიათებს: აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება ცალ-ცალკე ირჩევა და ორივე დამოუკიდებელი კონსტიტუციური უფლებებითაა აღჭურვილი. ხელისუფლების ამ ორი შტოს შემადგენლობა ფორმალურად ერთმანეთისაგან გამიჯნულია (თუმცა არა ნახევრად-საპრეზიდენტო სისტემებში). აღმასრულებელი ხელისუფალი კონსტიტუციურად ანგარიშვალდებული არაა საკანონმდებლო ორგანოს წინაშე და თუ არა **იმპიჩმენტის**, სხვა შემთხვევაში ამ ორგანოს მისი გადაყენების უფლება არცა აქვს. პრეზიდენტს თუ აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა მეთაურს, არ შეუძლია საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნა; ორივე შტოს არჩევის პირობები მკაცრადაა დადგენილი. აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტის ხელშია თავმოყრილი; კაბინეტი და მინისტრები კი უბრალოდ, მის წინაშე ანგარიშვალდებული მრჩეველების როლში გამოდიან. პრეზიდენტის თანამდებობა აერთიანებს სახელმწიფოს მეთაურისა და აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირის ფუნქციებს — ასე ვთქვათ, იგი "ორ სკამზე ზის".

ისეთი ინსტიტუციური პასუხისმგებლობა ეკისრებათ, იმგვარი პოლიტიკური სტატუსი გააჩნიათ და იმდენად ცნობად სახეებადაც იქცნენ, რომ უკვე ამჟამად გამოირჩევენ საკუთარი კაბინეტის დანარჩენი მინისტრებისაგან და გარკვეულწილად, კიდევ გაემიჯნენ მათ და მაინც, ეს ერთი შეხედვით, უკიდურესად ცენტრალიზებული სტრუქტურა, სადაც პიროვნული ალაუფლების გაძლიერება შეინიშნება, ამჟამად არ შეესაბამება ლიდერობის ცნების ხარისხობრივ დაკნინებას თანამედროვე პოლიტიკაში, რამდენადაც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურები სულ უფრო ნაკლებად ამართლებენ ამომრჩეველთა თავდაპირველ მოლოდინს.

აღმასრულებელი ხელისუფლების რთული საქმიანობისათვის თვალის გადაკეცვა უფრო გაგვიადვილებს, თუკი დაწვრილებით განვიხილავთ, რა როლი ეკისრებათ პრეზიდენტებს, პრემიერ-მინისტრებსა და მინისტრთა კაბინეტებს. ოღონდ უნდა გვახსიოდეს, რომ სამივე ამ შემთხვევაში ძალაუფლების სამი განსხვავებული გაგება მოიაზრება:

- ◀ **კანონიერი** — როცა აღმასრულებელთა ფუნქციები და პასუხისმგებლობის ინსტიტუციონალური ჩარჩოები თავად კონსტიტუციითაა განსაზღვრული
- ◀ **არაფორმალური** — როდესაც ძლიერია პიროვნების ზიბლი, მისი პოლიტიკური აღღო და გამოცდილება, და აგრეთვე, ისეთი ფაქტორების გავლენა, როგორებიცაა პარტიებისა და მას-მედისის როლი
- ◀ **რეალური** — ანუ პოლიტიკური, ეკონომიკური, და დიპლომატიური გარემოებების ერთობლიობა.

იმპიჩმენტი:

თანამდებობის პირის გადაყენების ოფიციალური პროცედურა, პიროვნული თუ პროფესიული გადაცდომის მოტყობი.


პრეზიდენტი

პრეზიდენტი სახელმწიფოს ფორმალური, კანონიერი მეთაურია, ისევე როგორც მეფე თუ იმპერატორი სხვა ტიპის მმართველობებში. თუმცა, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ კონსტიტუციური და აღმასრულებელი პრეზიდენტები. კონსტიტუციური პრეზიდენტი ჰყავს, მაგალითად, ინდოეთს, ისრაელსა და გერმანიას, ანუ — საპარლამენტო სისტემის მქონე ქვეყნებს, სადაც პრეზიდენტის მოვალეობები, ძირითადად, წარმომადგენლობით/ცერემონიალური ხასიათისაა. ასეთ დროს აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში პრემიერ-მინისტრი და/ან კაბინეტი დგას. ამ ქვეყანაში ჩვენ აღმასრულებელ პრეზიდენტებზე ვისაუბრებთ, რომლებიც სახელმწიფო მეთაურის ფორმალურ ვალდებულებებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირის პოლიტიკურ ძალუფლებას ითავსებენ. ამ ტიპის პრეზიდენტი ე.წ. საპრეზიდენტო მმართველობის (იხ. ნახ. 17.1) აუცილებელი წინაპირობაა — საპარლამენტო მმართველობის საპირისპიროდ.

ამგვარი მმართველობა შეზღუდული ან შეუზღუდავია. როგორც წესი, შეზღუდული აღმასრულებელი უფლება-მოსილებით აღჭურვილ პრეზიდენტი კონსტიტუციით, დემოკრატიული პოლიტიკის მოთხოვნებით პარტიული კონკურენციითა და ძალაუფლების განაწილების ამა თუ იმ მოდელით დადგენილ ჩარჩოებში მოქმედებს და რაც მთავარია, პრეზიდენტს ძალაუფლება გაწონასწორებულია ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანოს მიერ. შეზღუდული საპრეზიდენტო მმართველობის ყველაზე ცნობილი მაგალითია ა.შ.შ., თუმცა ფრანგული და ფინური ყაიდის ნახევრად-საპრეზიდენტო სისტემაც ამავე მოდელში ჯდება. თავის მხრივ, შეუზღუდავ საპრეზიდენტო მმართველობის დროს, პრეზიდენტი ლამის უსაზღვრო ძალაუფლებითაა აღჭურვილი და რეჟიმიც, შესაბამისად, დიქტატორული ხოლმე. ამგვარი ვითარება ზოგადად ერთპარტიულ სახელმწიფოებში იწვევს თავს და შეიარაღებული ძალების სრულ მხარდაჭერას გულისხმობს.

შეუზღუდავი აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში მყოფ ამგვარი პრეზიდენტები არიან ლიბიასა და ინდონეზიაში, ამის მაგალითი იყო აგრეთვე, სადამ ჰუსეინის მმართველობაც ერაყში. საპრეზიდენტო მმართველობის ამერიკულ მოდელს მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ მიბაძა განსაკუთრებით — სამხრეთ ამერიკაში; ბოლო დროს კი ისეთ პოსტ-საბჭოურ ქვეყნებში, როგორებიცაა პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და რუსეთი. თუმცა ამ სივრცეში (რუსეთის გარდა) ყველა პრეზიდენტს საპარლამენტო სისტემის ფარგლებში აზორციელებს მმართველობას. როგორცაც “დამფუძნებელი მამები” აღმასრულებელ ძალაუფლებას ანიჭებდნენ პრეზიდენტის ინსტიტუტს, ისინი ცდილობდნენ როგორმე თავიდან აეცილებინათ, მათი აზრით, ბრიტანეთის მონარქიისათვის დამახასიათებელი ერთპიროვნული მმართველობა და ამიტომაც თავიდანვე გამოიჯნეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები. ამგვარად თუკი ერთის მხრივ, პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურად, აღმასრულებელი ხელისუფლების პირველ პირად, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად

ნახევრად-საპრეზიდენტო სისტემა:
მმართველობის სისტემა, როდესაც ცალკე არჩეული პრეზიდენტი საკანონმდებლო ორგანოდან არჩეულ და მის წინაშე ანგარიშვალდებულ მთავრობას თავმჯდომარეობს.



ნახ. 17.1 მმართველობის საპრეზიდენტო სისტემა (შეზღუდული უფლებებით)

და ქვეყნის უპირველეს წარმომადგენლად იქნა აღიარებული, თუკი მას მიეცა ვეტოს უფლება საკანონმდებლო საქმიანობაში, მეორეს მხრივ, კონგრესსაც ძალზე დიდი გამაწონასწორებელი უფლება-მოსილება დაეკისრა. კერძოდ, კონგრესის გადასაწყვეტი გახდა ომის გამოცხადება, პრეზიდენტის ვეტოს გაზიარება თუ უარყოფა, სენატს კი — დანიშვნებისა და ხელშეკრულებების რატიფიცირების უფლება მიენიჭა. მართლაც, XX საუკ. დასაწყისამდე, პრეზიდენტის ინსტიტუტი ზოგადად, მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა, ვინაიდან სახელმწიფოსთვის აუცილებელ პოლიტიკურ წინამძღოლობას კონგრესი იღებდა საკუთარ თავზე.

შემდგომში, ამერიკის პრეზიდენტის სტატუსის სახეცვლილება ორმა მთავარმა მოვლენამ განაპირობა: ჯერ ერთი, ეროვნული ეკონომიკის განვითარებამ მთავრობისაგან ტრადიციული, თავისუფალი საბაზრო პოლიტიკის უარყოფა და ხელისუფლების მეტი ჩარევა მოითხოვა ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში; და მეორე: ამერიკა იძულებული გახდა უარი ეთქვა იზოლაციონიზმის პოლიტიკაზე და მსოფლიო მასშტაბის მოთამაშედ ქცეულიყო — განსაკუთრებით, II მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მან ზე-სახელმწიფოს სტატუსი შეიძინა ბიპოლარულ (ორპოლუსიან) მსოფლიო სისტემაში. პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტის ე.წ. “ახალი კურსის” დროიდან მოყოლებული, ამერიკის პრეზიდენტები უკვე უზენაესი კანონმდებლის ფუნქციას ასრულებენ, ხოლო 1945 წლიდან, მათ თავისუფალი სამყაროს ლიდერთა მანტიაც მოიხსეს. როდესაც ჯერ პრეზიდენტმა ჯონსონმა, შემდგომ კი ნიქსონმა ისე მოახდინეს ვიეტნამის ომის ესკალაცია, რომ ფაქტიურად, კონგრესის თანხმობა არც მიუღიათ, ამ ფაქტმა ბევრი შეაშფოთა და ართურ შლეზინგერს (1974) ისიც კი ათქმევინა, ამერიკაში ერთგვარი “იმპერიული პრეზიდენტობის” მოდელი დამკვიდრდაო — ანუ, გაჩნდა საფრთხე, რომ პრეზიდენტი კონსტიტუციური ნორმებისაგან გათავისუფლებულიყო და ხელისუფლების დანარჩენ ორ შტოზეც გავერცყელებინა საკუთარი გავლენა.

და მაინც, საპრეზიდენტო მმართველობა ხშირად მყიფეა: რიჩარდ ნიშტადტის (1964) თქმით, “ამერიკის პრეზიდენტის მთავარი უფლება —

17. აღმასრულებელი ხელისუფლება

დარწმუნების უფლებაა”, ანუ — არა დიქტატის, არამედ მოლაპარაკებების გამართვის, დაყოლების, გადმობირების ხელოვნების გამოყენება. მიზნის მისაღწევად კი მას 4 მიმართულებით უწევს ურთიერთობების დალაგება:

- ◀ კონგრესთან
- ◀ ფედერალურ ბიუროკრატიასთან
- ◀ უზენაეს სასამართლოსთან
- ◀ მას-მედიასთან.

ცხადია, უმნიშვნელოვანესი აქ კონგრესია: ამა თუ იმ პრეზიდენტის წარმატების ხარისხი ხშირად სწორედ კონგრესში მის რეიტინგზეა დამოკიდებული. ანუ — რამდენად გაუძლებს პრეზიდენტის საკანონმდებლო პროგრამა კონგრესის მკაცრ გამოცდას. თუმცა, ვიეტნამის ომისა და უოთერგეიტის სკანდალის შემდეგ, პრეზიდენტებს სულ უფრო და უფრო “გაჯიუტებულ” კონგრესთან უწევთ ურთიერთობა, რომელიც, გარკვეულწილად, დაკარგულ ძალაუფლების აღდგენას ცდილობს. უფრო მნიშვნელოვანი კიდევ ისაა, რომ ამერიკული პარტიული სისტემის შედარებითი სისუსტის პირობებში ამერიკის პრეზიდენტს, საპარლამენტო სისტემის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურისაგან განსხვავებით, საკანონმდებლო კონტროლს უმთავრესი ბერკეტი — ანუ პარტიული ერთიანობის სიმტკიცის იმედი არ აქვს. მაგ., ჯიმი კარტერმა 1970-იან წწ., მისდა სამწუხაროდ აღმოაჩინა, რომ კონგრესს “ბრჭყალების გამოჩენა” მაშინაც კი შეუძლია, როცა ორივე პალატაში პრეზიდენტის პარტიის წევრები დომინირებენ.

პრეზიდენტების სისუსტე კიდევ უფრო თვალნათელია, როცა მათ უმრავლესობით მოსული ოპოზიციური პარტიის მიერ კონტროლირებულ კონგრესი უპირისპირდება. მსგავსი პრობლემის წინაშე დადგა, მაგალითად, პრეზიდენტი კლინტონი, როდესაც 1994წ., კონგრესის არჩევნებში დიდ უპირატეობით გაიმარჯვეს რესუბლიკელებმა. ურთიერთობათა დაძაბვის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ პარტიული კუთვნილებისდა მიუხედავად კონგრესმენთათვისაც და სენატორთათვისაც უპირველესი ამოცანა საკუთარი ამომრჩევლის იმედების გამართლებაა — შესაბამისად, დიდ მნიშვნელობა ენიჭება საშინაო საკითხებს, რამაც ბევრ პოლიტიკოსს ისევ კი ათქმევინა, ა.შ.შ-ში პრეზიდენტობას ორი სახე აქვსო — “საშინაო და საგარეო”. პრეზიდენტთა უმრავლესობა მეტ-ნაკლებად ცდილობს თავი აარილოს უფრო პრობლემატურ და “ჩინში შეყვან” საშინაო საკითხებს, რადგან გული უფრო საგარეო პოლიტიკისაკენ მიუწევთ, სადაც საკუთარი ღირსეული პოტენციალის გამოძვლავნების მეტი იმედი აქვთ. თვით პრეზიდენტმა კლინტონმაც კი, რომელიც იმ დაპირებების გამო აირჩიეს, რომ უმთავრეს ყურადღებას ეკონომიკაზე გაამახვილებდა, თავი ვერ აარიდა “ქულების დანერვის” მცდელობას საერთაშორისო ასპარეზზე, და ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა 2001 წლის II სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდგომ.

თუორიულად, ფედერალური ბიუროკრატია პრეზიდენტს უნდა მხარულებდეს; სინამდვილეში კი ის ხშირად დამატებით პრობლემებს უქმნის.

ზოლმე, რადგან საკუთარ ადმინისტრაციაში, მაღალ თუ საშუალო თანამდებობებზე, პრეზიდენტი დაახლოებით 4000 კაცს ნიშნავს, ოღონდ ეს პროპორციულად ძალზე მცირე რაოდენობაა ამერიკის პროფესიონალ ბიზნესელთა საერთო რიცხვთან შედარებით, რამაც უკვე 2 მილიონს გადააჭარბა. ბევრის აზრით, ბიუროკრატია ხშირად საერთოდ უგულვებლყოფს ადმინისტრაციის პრიორიტეტებს: ასე მაგალითად, როდესაც პრეზიდენტ ვუდრო უილსონის დროს, ფრანკლინ დელანო რუზველტს სამხედრო-საზღვაო მინისტრის პოსტი ეკავა, მან საკუთარი გავლენა ამ სამინისტროზე ზემოქმედების ლეიბის ბერტყვას შეადარა — ურტყავ, ურტყავ და ის მინც ახეთივეათ. მსგავსი პრობლემა იგულისხმება პრეზიდენტ ტრუმენის ცნობილ სიტყვებში, რაც მან თავისი მექვიდრის, გენერალ ეიზენჰაუერის მსამართლით თქვა:

“ზის და ბრძანებებს იძლევა — ასე ქენით და ისე ქენითო; არადა, რაფერიც არ ხდება! ვეღარ გაიგო საწყალმა აიკმა, ჯარში რომ აღარ მსახურობს...”

არანაკლები სირთულე იჩენს თავს უზენაეს სასამართლოსთან ურთიერთობაშიც: XX საუკ. 50-იანი წლებიდან, სასამართლო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში და კონკრეტულად, პრეზიდენტზე საკუთარ გავლენას იყენებს ქვეყნის პოლიტიკური “დღის წესრიგის” შემუშავებისას. მართალია, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს პრეზიდენტი ნიშნავს, სენატს შეუძლია არც დაამტკიცოს მისი კანდიდატები (ასე მოხდა 2-ჯერ ნიქსონის, და ერთხელაც — რიგანის მმართველობისას) მაგრამ სენატის მიერ დამტკიცების შემთხვევაშიც, მოსამართლე უკვე თანამდებობრივად დაცულია საპრეზიდენტო ზეწოლისაგან.

და ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელი საკითხია პრეზიდენტსა და მსახურის შორის ურთიერთობა. როცა ამერიკის პრეზიდენტს სურს უშუალოდ საზოგადოებას მიმართოს, ასე ვთქვათ, “კონგრესს გადაახტეს თავზე”, მედიას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით, რინალდ რიგანი — ყოფილი მსახიობი და ჟურნალისტი — განსაკუთრებით წარმატებით ატარებდა მასთან “თბილი” ურთიერთობის დამყარებას. თუმცა, მედია შესაძლოა პრეზიდენტის მებოტბედ ან მის “მესაფლავედაც” იქცეს. ასე დაემართა პრეზიდენტ ნიქსონს 1974წ., როცა უოშინგტონ პოსტმა მარილიში გააშუქა უოთერგეიტის სკანდალი, ან როცა კლინტონის ადმინისტრაციას შეერყა რეპუტაცია — მონიკა ლევისკისთან პრეზიდენტის “ახლო ურთიერთობის” პრესაში გაშუქების გამოცხადებით.

საპრეზიდენტო მმართველობის განსხვავებული ფორმებია იმ ნახევრად-საპრეზიდენტო სისტემებში, რომლებიც საფრანგეთში, ავსტრიაში, ფინეთსა და პორტუგალიაში მოქმედებს. ესაა ნაჯვარი მოდელი, როცა ცალკე არჩეული პრეზიდენტი მთელი რიგი აღმასრულებელი უფლებებითაა აღჭურვილი და საპარლამენტო სისტემის მსგავსად, მთავრობა (საკანონმდებლო ორგანოდან არჩეული პრემიერ-მინისტრი და კაბინეტი) პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული. მაგალითად, ფინეთსა და ავსტრიაში აღმასრულებელი ფუნქციები გამიჯნულია, რაც პრეზიდენტს საშუალებას

17. აღმასრულებელი ხელისუფლება

აძლევს ყურადღება ძირითადად საგარეო და ზოგად-საკონსტიტუციო საკითხებზე გაამახვილოს, საშინაო პოლიტიკაზე კი პრემიერ-მინისტრი და მისი კაბინეტი იღებენ პასუხისმგებლობას.

თუმცა, ის სისტემა, რომელიც ვთქვით, საფრანგეთში მოქმედებს, გაცილებით რთულია. ჯერ ერთი, პრეზიდენტს იმ ფუნქციების გარდა, რასაც ამერიკის პრეზიდენტის მსგავსად ასრულებს, როგორც სახელმწიფოს მეთაური, აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირი და “თანამდებობების დამნაწილებელი”, საფრანგეთის პრეზიდენტი 7 წლით ინარჩუნებს პოსტს და საკანონმდებლო ორგანოც ხელში უჭირავს, რამდენადაც მისი დათხოვნა შეუძლია. მეორეს მხრივ, მას საერთო-სახალხო მხარდაჭერა სჭირდება — დე გოლმა 1958-69, პომპიდუმ — 1969-74 და ჟისკარ დ'ესტენმა 1974-81 წწ. სწორედ თავადაკლული გოლისტების წყალობით მოიპოვეს ეროვნულ ასამბლეაში ძლიერი გავლენა. ოღონდ ერთიცაა — საერთო-სახალხო არჩევნების დანიშვნა თავისთავად არაა ეროვნული ასამბლეის დამორჩილების გარანტია: სოციალისტი პრეზიდენტი მიტერანი ჯერ 1986, შემდეგ კი 1993 წლებში, იძულებული გახდა თანაარსებობის გზები ეძებნა გოლისტურ მთაწარმის კაბინეტებთან. ასევე ლამის არჩეული მონარქის ძალაუფლებით ადჭურვილი დე გოლი იძულებული გახდა გადამდგარიყო — 1968 წლის სტუდენტური გამოსვლებისა და ფინანსური კრიზისის შედეგად.

საყურადღებოდ:

კამათი მონარქიის თაობაზე

მონარქია მმართველობის ის სისტემაა, სადაც ერთი პიროვნება ზეობს (სიტყვა-სიტყვით: *ერთპიროვნული მართვა*). თუმცა კი, ზოგადი გაგებით ეს იმგვარი ინსტიტუტია, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო მეთაურის პოსტი მეშვეობით ან დინასტიური მონაცვლეობით გადადის. აბსოლუტური მონარქიის შემთხვევაში, მონარქი პოლიტიკური ძალაუფლების მონოპოლიაზე აცხადებს პრეტენზიას (მაგ., საუდის არაბეთი, მაროკო, ნეპალი). კონსტიტუციური მონარქი კი ძირითადად, იმგვარ ცერემონიალურ ფუნქციებს ასრულებს, რასაც ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური მნიშვნელობა არც ენიჭება ხოლმე (ესპანეთი, ჰოლანდია, გაერთიანებული. სამეფო).

კონსტიტუციურ მონარქიას შემდეგი უპირატესობები გააჩნია:

სახელმწიფოს მეთაური მიუკერძოებელია და პარტიულ პოლიტიკაზე მადგას.

როგორც ტრადიციულ ღირებულებათა მატარებელი, იგი პატრიოტიზმისა და ეროვნული მთლიანობის სიმბოლოდ რჩება.

მონარქის სიბრძნე-გამოცდილება არჩეულ მთავრობას იძულებულს ხდის მუდმივ პასუხისმგებლობით მოეკიდოს საკონსტიტუციო ცვლილებებს.

მეცა მას გარკვეული ნაკლოვანებებიც ახასიათებს:

რევუს დემოკრატიულ პრინციპებს, რამდენადაც მისი პოლიტიკური გულენა არ მომდინარეობს საერთო-სახალხო თანხმობიდან და თავად მონარქიც, კანონით, ანგარიშვალდებული არაა საზოგადოების წინაშე. იგი განასახიერებს და შესაძლოა, იცავდეს კიდევც, იმგვარ კონსერვატიულ ღირებულებებს, როგორიცაა იერარქიულობა, მოწიწება, მემკვიდრეობით მიღებული ქონებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის პატივისცემა. მონარქია წარსულის დრომოჭმული ადათებითა და სიმბოლოებით "ამძიმებს" ერს და შესაბამისად, პროგრესის შემაფერხებელი ინსტიტუტია.

პრემიერ-მინისტრები

ადმასრულებელი ხელისუფლების ფორმა და აგებულება საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემებში მნიშვნელოვნად განსვადდება ერთმანეთისაგან. საპარლამენტო სისტემებში ადმასრულებელ შტოს სამი არსებითი ნიშანი გამოარჩევს: პირველი — რამდენადაც ადმასრულებელი ხელისუფლების წყარო საკანონმდებლო ორგანოა და მნიშვნელოვანი კავშირი აქვს პარტიულ პოლიტიკასთან, სახელმწიფოს მეთაურს (კონსტიტუციურ მონარქსა თუ არა-ადმასრულებელი უფლებებით აღჭურვილ პრეზიდენტს) მხოლოდ წარმომადგენლობით/ცერემონიალური ვალდებულებების შესრულება ევალება; მეორე — ადმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები პარლამენტის წევრთა რიგებიდან ინიშნებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ საპარლამენტო სისტემაში, საპრეზიდენტო სისტემებისაგან განსხვავებით, არ ხდება თანამდებობრივი გამიჯვნა საკანონმდებლო და ადმასრულებელ მოხელეთა შემადგენლობას შორის; და მესამე — ადმასრულებელი ხელისუფლება სრული შემადგენლობით, საკანონმდებლო ორგანოს, ყოველ შემთხვევაში, მისი ქვედა პალატის, წინაშეა უშუალოდ ანგარიშვალდებული, ვინაიდან მისი წევრები მთავრობაში მხოლოდ მანამდე ინარჩუნებენ ადგილს, სანამ საკანონმდებლო ორგანოს ნდობით სარგებლობენ.

პრემიერ-მინისტრი (იგივე *კანცლერი* — გერმანიაში, *პირველი მინისტრი* — ნიდერლანდებში, ან სულაც ძირძველი ადგილობრივი ტიტულატურით შემკობილი, როგორც, ვთქვათ, *ტიშეკი* — ირლანდიაში) მთავრობის თავია, რომელსაც ეს თანამდებობა საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობით მოსული პარტიის, ან პარტიათა კოალიციის ლიდერობის გამო აქვს ბოძებული. პრემიერ-მინისტრსა და მის კანცელარიას შედარებით უფრო მოკრძალებული უფლებები გააჩნიათ, ვიდრე ადმასრულებელი ხელისუფლების მეთაურ პრეზიდენტებს. რაც მთავარია, მათ არ შეუძლიათ ამა თუ იმ

საყურადღებოდ:

პრემიერ-მინისტრის მმართველობა: დადებითი და უარყოფითი მხარეები

ამგვარ მმართველობას ორი ნიშანი ახასიათებს: ჯერ ერთი, პრემიერ-მინისტრის კანცელარია ხელისუფლების სჯავანდებლო და აღმასრულებელი შტოების მთავარი დამაკავშირებელი რგოლია და მისი მეთაური, როგორც პარლამენტის რჩეული და მის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი, აღმასრულებელი ხელისუფლების თავმჯდომარე და ბიუროკრატიის ხელმძღვანელია; და მეორე: ასეთი მმართველობა პრემიერ-მინისტრის ხელში მთელი აღმასრულებელი ძალაუფლების ცენტრალიზებისა და როგორც კაბინეტის წევრების, ასევე დეპარტამენტის ხელმძღვანელების დაქვემდებარებულ მდგომარეობას ასახავს. ამ თვალსაზრისით, პრემიერ-მინისტრის მმართველობა აღმასრულებელი პრეზიდენტისას ემსგავსება.

პრემიერ-მინისტრთა მმართველობის კრიტიკოსები რამდენიმე საბუთს იშველიებენ:

იგი ცენტრალიზებული მმართველობის სტილს უწევს ხელს; ნაკლებად აღიარებს პოლიტიკური დებატების აუცილებლობას და შესაბამისად, საწინააღმდეგო აზრსაც ძნელად ჰკუთნებს.

თუმცა, ამგვარი მმართველობის დასაცავად შეიძლება ითქვას, რომ: კარგად წარმოაჩენს, ამომრჩევლის რა რეალური მხარდაჭერით სარგებლობს პრემიერ-მინისტრი და მისი პოლიტიკური “ზურგი;” სამთავრობო პოლიტიკას უფრო მკაფიო მიმართულებას აძლევს, რამდენადაც დეპარტამენტალიზმისათვის დამახასიათებელ ცენტრიდანულ პროცესებს არეგულირებს და გადაწყვეტილებების კოლექტიურად მიღების ზედმეტ “იწილო-ბიწილოზე” დროს არ კარგავს.

მინისტრის დანიშვნა-გათავისუფლება, დაწინაურება ან დაქვეითება. ზოგადად, პრემიერ-მინისტრის საქმიანობის სფერო კონსტიტუციურად საკმაოდ დაუკონკრეტებელია და ამიტომაც, სიმართლე ითქვას და, ეს თანამდებობა სწორედ იმდენ წონას იძენს, რამდენსაც კონკრეტული პრემიერ-მინისტრი “ასწევს”.

პრემიერ-მინისტრს ორი მიმართულებით უხდება ურთიერთობების დარეგულირება: ჯერ ერთი, კაბინეტთან, ცალკეულ მინისტრებთან და სამთავრობო დეპარტამენტებთან; და მეორე: საკუთარ პარტიასთან და მისი მემკვიდრით, საკანონმდებლო ორგანოსთან და მთელ საზოგადოებასთან. კაბინეტის მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისთვის, რამდენადაც პრემიერ-მინისტრი “პირველია თანასწორთა შორის” (primus inter pares), როგორც მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, ინდოეთსა და ავსტრალიაში. სწორედ ეს გამორჩეული მდგომარეობა ავალდებულებს მას კოლექტიური, კაბინეტური მმართველობის სისტემის ფარგლებში იმოქმედოს. თუმცა, გერმანიის კანცლერს, ძირითადი კანონის 65-ე პარაგრაფის თანახმად, უფლება ენიჭება პიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება სამთავრობო პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების თაობაზე.

აშკარაა, რომ პრემიერ-მინისტრის ძალაუფლებისა და გავლენის წინაპირობა ისაა, თუ რამდენად ძლიერია მისი, როგორც პარტიის ლიდერის პოზიცია და მისი პარტიის მონოლითურობაც, რაღა თქმა უნდა, გარკვეულ დღეს ასევე მის მოქმედებებს. მაგალითად, იტალიის დანაწევრებული პარტიული სისტემა ხშირად აიძულებს მათ ერთგვარი “შომრიგებელი შოსამართლის” როლი იკისრონ მყიფე სამთავრობო კოალიციების პირობებში. თავის მხრივ, გერმანიის კანცლერები მეტ-ნაკლებად შეზღუდულნი არიან მეორე პალატის, ე.წ. ბუნდესრატის დამოუკიდებლობისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გავლენის გამო, ეროვნული ბანკის სრულ ავტონომიურობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

და მაინც, განსხვავებული საკონსტიტუციო და პოლიტიკური უფლებების მიუხედავად, საერთო აზრით, ბოლო წლებში პრემიერ-მინისტრების გავლენა საკმაოდ გაიზარდა. ნაწილობრივ ეს იმ ტენდენციის შედეგია, რომ ელექტრონული მედია სულ უფრო და მეტ ყურადღებას პიროვნებებს უთმობს, პრემიერ-მინისტრები კი საკუთარი პარტიების ერთგვარ “საფირმო ნიშნად” აღიქმება. განხილულმა საერთაშორისო შეხვედრებმა და ვიზიტებმა ასევე მეტი წონა შესძინეს მათ როგორც სახელმწიფო მოღვაწეებს და გარკვეული საფუძველიც კი მისცეს, თავი ეროვნულ ლიდერებად წარმოეჩინათ. მათ თანდათანობით დააღწიეს თავი კაბინეტის ჩარჩოებს და განსაკუთრებული “საპრემიერ-მინისტრო მმართველობის” ახალი ფორმებიც კი დაამკვიდრეს. მაგალითად, ინდოეთში, 1975-77წწ. საგანგებო მდგომარეობის დროს, ჯერ პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ, ხოლო შემდგომ მისმა ვაჟმა, რაჯივმა, პრემიერ-მინისტრობის ლამის “იმპერიული სტილიც” კი შემოიღეს, რაშიც ალბათ, ინდური საზოგადოების გავლენიან ფენებში მათი გავრცელები განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამაც ითამაშა გარკვეული როლი.

რაც შეეხება გაერთიანებულ სამეფოს, აქ პრემიერ-მინისტრის ძალაუფლების უჩვეულოდ მაღალი ხარისხი რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული:

- < პატრონაჟის მაღალი დონით
- < კაბინეტურ სისტემაზე გავლენის ქონით, კერძოდ — კომიტეტების შექმნისა და დაკომპლექტების უფლებით
- < ძლიერი პოზიციებით საკანონმდებლო ორგანოში, რაც უმრავლესობის ლიდერობითაა განპირობებული
- < მთელი ბიუროკრატიული მანქანის ხელმძღვანელობით
- < მედიის უშუალო დანტერესებით, რაც მას საშუალებას აძლევს პირადად, საკუთარი სახელით ელაპარაკოს ამომრჩევებს.

პრემიერ-მინისტრები ხელისუფლების ადმინისტრაციული და პოლიტიკური განშტოებების სათავეში დგანან, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი კაბინეტები ერთგვარ ამერიკული ტიპის სათათბირო ორგანოებად იქცნენ და პოლიტიკის “კეთებაზე” პასუხისმგებლობას ნაკლებად ინაწილებენ. პრემიერ-მინისტრის მმართველობითი ფუნქციების განსაკუთრებულ გაძლიერებაზე XX საუკ. 80-იანი წლების ბრიტანეთში აღაპარაკდნენ,

17. აღმასრულებელი ხელისუფლება

როდესაც მარგერიტ ტეტჩერმა ლამის მთლიანად გარდაქმნა ამ ინსტიტუტის საქმიანობა და მისი ავტორიტეტიც განუზომლად აამაღლა. ტეტჩერის პრემიერ-მინისტრობას ის გამოარჩევდა, რომ თავის უპირველეს ღირსებად “დარწმუნების უნარს” მიიჩნევდა და უშუალო მოვალეობების გარდა, ქვეყნის იდეოლოგიურ ლიდერობასაც ითავსებდა — რაც შემდგომ მედიამ ტეტჩერიზმად მონათლა. დაახლოებით იგივე ვითარება შენარჩუნდა ტონი ბლერის მმართველობის პერიოდშიც, რამაც მაიკლ ფოლის (2000) ათქმევინა კიდევ, ბრიტანეთში განსაკუთრებული ტიპის “საპრეზიდენტო ინსტიტუტი” ჩამოყალიბდაო. აღმასრულებელი ხელისუფლების პრეზიდენტიზმთან მიახლოებულ ამგვარ მოდელს შემდეგი ნიშან-თვისებები ახასიათებს:

- ◀ **ზოგადი წინამძღოლობა:** პრემიერ-მინისტრთა ტენდენცია, ერთგვარად დაშორდნენ თავიანთ პარტიებსა და მთავრობას — ასე ვთქვათ, “ცალკე დადგნენ” და საკუთარი იდეოლოგიური ხაზი გაატარონ.
- ◀ **პოპულისტური მიდგომა:** ანუ, პრემიერ-მინისტრთა მცდელობა, უშუალოდ მიმართონ საზოგადოებას და მისი იმედებისა და პრობლემების “ჭირისუფლობა” პიროვნულად იკისრონ.
- ◀ **პერსონიფიცირებული სარჩევნო კამპანიები:** იგულისხმება თანამედროვე მედიის განსაკუთრებული ინტერესი კონკრეტული პიროვნებებისადმი და პარტიებისა თუ მთავრობების საფორმო ნიშნად მათი ლიდერების წარმოჩენა.
- ◀ **პირადი ნდობის მანდატი:** პრემიერ-მინისტრების მიერ ამომრჩევლის წინაშე თავის წარმოჩენა პარტიისა და მთავრობის იდეოლოგიურ “მესაჯვად”.
- ◀ **პროფესიონალ მრჩეველთა მოწვევა:** პრემიერ-მინისტრებისათვის დამახასიათებელი ტენდენცია, როდესაც ისინი თავიანთსავე არჩეულ პოლიტიკურ მრჩეველებს უფრო ეყრდნობიან, ვიდრე კაბინეტის წევრებს, დანარჩენ მინისტრებსა თუ მაღალი თანამდებობის სხვა საჯარო მოხელეებს.

მართალია, მყარი საპრლამენტო უმრავლესობით ზურგამაგრებულ პრემიერ-მინისტრებს შეიძლება ბევრი პრეზიდენტიზმისათვის საოცნებო ძალაუფლება და გავლენა ჰქონდეთ, მათ ბევრი სერიოზული წინააღმდეგობაც ხვდებათ. ასე მაგალითად, თანამდებობაზე დანიშნისა თუ განთავისუფლების არანაირი კანონიერი უფლება მათ არ გააჩნიათ, ხოლო პარტიული მთლიანობის შენარჩუნების აუცილებლობა მათ ძალაუფლებას მნიშვნელოვნად ზღუდავს, რის გამოც პარტიის შიგნით არსებული სხვადასხვა ფრაქციისა თუ იდეოლოგიური ფრთის წარმომადგენლების კაბინეტში დასაქმება უწევთ, ანდა კანადის მსგავსად, რეგიონალური თუ ენობრივი ფაქტორების გათვალისწინება — წარმომადგენლობის თვალსაზრისით. საბოლოო ჯამში, ნებისმიერი პრემიერ-მინისტრი იმდენ ძალაუფლებას ფლობს, რამდენის საშუალებასაც საკუთარი კაბინეტი, პარტია თუ ზოგადად, პოლიტიკური ვითარება აძლევს, რისი კარგი მაგალითია, მიუხედავად ყველაფრისა, მარგერიტ ტეტჩერის თანამდებობიდან გადაყენება 1990 წლის ნოემბერში. ამის საწინააღმდეგოდ, ტონი ბლერის მმართველობა წარმატებული აღმოჩნდა არა მხოლოდ ორივე პალატაში უმრავლესობის ყოლის და კონსერვატიული პარტიის საარჩევნო მარცხის გამო, არამედ იმ ფაქტის გათვალისწინებითაც, რომ 18 წლის განმავლობაში ოპოზიციაში ყოფნის შემდგომ, ლეიბორისტები უკვე პასუხობდნენ ძლიერი ლიდერისა და პარტიული მთლიანობის საზოგადო მოთხოვნებს.

ტეტჩერიზმი: მარგერიტ ტეტჩერის მიერ დანერგილი “თავისუფალი ბაზრის” ძლიერ სახელმწიფოსთან გაიგივების იდეოლოგიური დოქტრინა; ასე ვთქვათ, ახალი მემარჯვენიობის პოლიტიკური ხედვის ბრიტანული ვერსია.

პრეზიდენტიზმი: პარტიებისა თუ სხვა ინსტიტუტებისაგან გამიჯნული პიროვნული წინამძღოლობის ერთგვარი ფორმა, როცა პრეზიდენტი ქვეყნის უზენაესი აღმასრულებელია.

კაბინეტები

კაბინეტი წამყვან მინისტრთა საკრებულოა, რომელნიც, თავის მხრივ, სხვადასხვა სამთავრობო დეპარტამენტსა თუ სამინისტროს წარმოადგენენ. უპირველეს ყოვლისა, კაბინეტი შესაძლებლობას აძლევს მთავრობას, კოლექტიური სახით წარსდგეს საკანონმდებლო ორგანოსა თუ საზოგადოების წინაშე და კაბინეტური სისტემის გარეშე მთავრობა შეიძლება მხოლოდ მარაღად იქცეს ერთი რომელიმე პიროვნების ხელში. მეორეც, კაბინეტი აღმინისტრაციული ინსტრუმენტია, რომელიც სამთავრობო პოლიტიკის ვინაიერულ კოორდინაციას უზრუნველყოფს. მოკლედ, კაბინეტის გარეშე მთავრობა, შესაძლოა, ურთიერთდაპირისპირებულ ბიუროკრატიულ „სამთავრობად“ დაიქსაქსოს და მათმა მეტოქეობამ ისეთივე მოშურნე სახე შეიძლოს, როგორც ეს პიტლერის დროინდელ ნაცისტურ გერმანიაში მოხდა.

კაბინეტის როლი და პოლიტიკური მნიშვნელობა სხვადასხვა სისტემასა და სახელმწიფოში სხვადასხვაგვარია. ამერიკაში, მაგალითად, ის პრეზიდენტის პოლიტიკური მრჩეველის ფუნქციას ასრულებს და პოლიტიკის „კეთება“ არ ევალება. ამის საწინააღმდეგოდ, კაბინეტი, თეორიულად მაინც, აღმასრულებელი ხელისუფლების თავია იმ სახელმწიფოებში, რომლებიც კაბინეტური მმართველობის პრინციპებს აღიარებენ — გაერთიანებულ სამეფოში, თანამეგობრობის უმეტეს ქვეყნებში, იტალიაში, შვედეთში, ნორვეგიაში და ა.შ. თუმცა სინამდვილეში, რეალურად ძნელი მოსაძებნია იმგვარი კოლექტიური აღმასრულებელი ორგანოს მაგალითი, რომელიც კაბინეტის ან მისი მსგავსი რაიმე ინსტიტუტის მეშვეობით ახორციელებდეს საქმიანობას: ვთქვათ, გერმანიაში, დარგობრივი დეპარტამენტების ტრადიციის არსებობის გამო, მინისტრები საკუთარ თავს ერთიანი გუნდის წევრებად ნაკლებად აღიქვამენ და უფრო კონკრეტული სფეროებით არიან დაკავებულნი. თვით გაერთიანებულ სამეფოშიც კი, სადაც კაბინეტური მმართველობა იმთავითვე მოსდგამთ, ძნელია ამ ორგანოში გადაწყვეტილებების მიმღები ინსტიტუტის და მით უმეტეს, დემოკრატიული სათათბიროს კვალი დავინახოთ.

მეორეს მხრივ, შეცდომა იქნებოდა კაბინეტის, მხოლოდ ფასადურ ინსტიტუტად მიჩნევა. ბევრ პრემიერ-მინისტრს ძვირად დაუჯდა კოლექტივიზმის პრინციპის უგულებელყოფა: ზოგადი შეხედულების თანახმად, გერმანიის კანცლერი კიდევ უფრო ძლიერი პოლიტიკური ფიგურაა, ვიდრე გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი, რადგან ბუნდესტაგს მისი და მისი მთავრობის შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი არა მხოლოდ არსებულს გამუცხადებს უნდობლობას (როგორც ეს გაერთიანებულ სამეფოში ხდება) არამედ პარალელურად, ალტერნატივასაც დაასახელებს და კენჭისყრით მაშინვე აირჩევს კიდევ; და მაინც, 1982 წელს, კანცლერი შიშვლტი იძულებული გახდა გადამდგარიყო, როცა მცირერიცხოვანი, დამოუკიდებელ დემოკრატთა პარტია გამოეყო იმ კოალიციურ კაბინეტს, რომელსაც სათავეში სოციალ-დემოკრატები ედგნენ, და ჰელმუტ კოლის ქრისტიან-დემოკრატებს შეუერთდა. ასე რომ, კოალიცია დამატებით სირთულეებს ქმნის კაბინეტის მართვის დროს, რაც ბევრმა იტალიელმა პრემიერ-მინისტრმაც არაერთხელ იწვინა საკუთარ თავზე. თუმცა,

17. აღმასრულებელი ხელისუფლება

აღმასრულებელი ხელისუფლების პირველ პირთათვის ერთპარტიული კაბინეტიც შეიძლება დიდ თავის ტკივილად იქცეს: ამის ნათელი მაგალითია მარგერიტ ტეტჩერის პრემიერ-მინისტრობიდან გადაყენება 1990 წელს როდესაც მან თავისივე ერთპარტიულ კაბინეტში დაკარგა მხარდაჭერა, რაც მისივე თქმით, იმის შედეგი იყო, რომ როგორც პარტიის ლიდერმა, შიდა არჩევნების I ტურშივე ვერ უსრუნველყო საკუთარი დამაჯერებელი გამარჯვება.

ლიდერობის პოლიტიკა

ერთი შეხედვით, პოლიტიკოსებზე, როგორც ქვეყნის ლიდერებზე საუბარი, თითქოს უკვე ანაქრონიზმად იქცა. საზოგადოების დაყოფა ლიდერებად და მათ მიმდევრებად, იმ “დემოკრატიამდელ” კულტურაში იღებს სათავეს, როდესაც აღიარებული და საყოველთაოდ პატივცემული ლიდერი ყველაფრის უკეთესად მცოდნედ მიიჩნეოდა, ხალხს კი წინამძღოლი, ბელადი და მეგზური სჭირდებოდა. დემოკრატიულმა პოლიტიკამ, შესაძლოა, თავად ლიდერობის ინსტიტუტი მთლიანად ვერ აღმოფხვრა, თუმცა მნიშვნელოვანი წინაღობები კი შექმნა ნებისმიერი ლიდერისათვის, როცა იგი საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული გახდა და მისი გადაყენების კანონიერი მექანიზმებიც შეიმუშავა. თავისთავად, ლიდერობის პოლიტიკა იმითაცაა საინტერესო, რომ შესაძლებლობას იძლევა სრულიად განცალკევებული, პოლიტიკური ფსიქოლოგიის დისციპლინის შესასწავლად, რომლის საგანიც სწორედ “პოლიტიკურ ლიდერთა ფსიქოლოგიური წყობისა და მოტივაციების კვლევა” (კრესელი, 1993).

დღეს-დღეობით ლიდერობაზე ყურადღების ფოკუსირებას რამდენიმე მიზეზი გააჩნია: გარკვეული თვალსაზრისით, თავად დემოკრატია საკმაოდ ახასიათებს პიროვნების მნიშვნელობის წინააღმდეგობას — ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად. თანამედროვე სამყაროში მას-მედიის, განსაკუთრებით ტელევიზიის გავლენის ზრდის პირობებში, სწორედ პიროვნებებზე, და არა ამა თუ იმ პოლიტიკურ პლატფორმაზე ყურადღების გამახვილების ტენდენცია გამოიკვეთა, და სწორედ მას-მედია იქცა ლიდერებისთვის იმ იარაღად, რომელიც პოლიტიკოსის საზოგადო იმიჯის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მეტიც, რაც უფრო დანაწევრებული და არაერთგვაროვანია საზოგადოება, ადამიანებს მით უფრო მეტად უჩნდებათ მოთხოვნილება, გაითავისონ აღიარებული ლიდერის საზრისი და მისი თვალთახედვის პრიზმიდან აღიქვან გარემომცველი სინამდვილე. მით უფრო პარადოქსულია, რომ ლიდერის სახელის გამართლება ამგვარ საზოგადოებაში სწორედ რომ უფრო საძნელედდება.

ლიდერობის თეორიები

პოლიტიკური ლიდერობის საკითხი ყოველთვის დიდი დავის საგანი გახლდათ. რამდენად შეთავსებადია ლიდერობა თავისუფლებასა და

ცენტრალური

აღმასრულებელი ხელისუფლება: ესაა იმ ინსტიტუტებისა და პიროვნებების ერთობლიობა, რომლებიც გამაყვედრებენ როდესაც ასრულებენ სამთავრობო პოლიტიკის კურსის განსაზღვრისა და კოორდინირების საქმეში; ჩვეულებრივ, იგი პრემიერ-მინისტრის, მთავარი პოლიტიკური მრჩევლების, კაბინეტის წამყვანი წევრების, საკაბინეტო კომიტეტებისა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სახელისუფლებო დეპარტამენტების თანამშრომლებისაგან შედგება.

მთავრობის კაბინეტი: დირსებები და ნაკლოვანებები

კაბინეტურ მმართველობას ორი მთავარი თვისება გამოარჩევს: ჯერ ერთი, მინისტრთა კაბინეტი მთავარი რგოლია ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოთა შორის. პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული მისი წევრები ამ პარლამენტის რიგებიდანვე არიან არჩეულნი, თუმცა თან სხვადასხვა დეპარტამენტს უდგანან სათავეში, როგორც პოლიტიკური ფიგურები. მეორეც, კაბინეტი უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა, მასში პოლიტიკური პასუხისმგებლობა თანაბრადაა გადანაწილებული და პრემიერ-მინისტრი “პირველია” მხოლოდ სახელდებით. ამ სისტემის საფუძველი კოლექტიური პასუხისმგებლობაა: ყოველ ცალკეულ მინისტრს “ერთ ხმაში სიმღერა” და ხელისუფლების ოფიციალური კურსის მხარდაჭერა ევალება.

მინისტრთა კაბინეტს შემდეგი უპირატესობები გააჩნია: კაბინეტის სხდომების დემოკრატიულობა ხელს უწყობს გულახდილ და საფუძვლიან პოლიტიკურ სჯაბაასს, როდესაც ნებისმიერი წინადადება ყოველმხრივ განიხილება და მოწმდება. იგი მთავრობის ერთიანობისა და სიმტკიცის გარანტიაა, რამდენადაც კაბინეტის წევრები გადაწყვეტილებებს ერთობლივად იღებენ და ერთობლივადვე იცავენ საკუთარ პოზიციას.

თუმცა, ამგვარ მმართველობას რამდენიმე მიზეზის გამო აკრიტიკებენ კიდევ: კაბინეტი უბრალოდ, პრემიერ-მინისტრის ძალაუფლების “ნიღაბი” და დანარჩენი მინისტრებიც მხოლოდ წინასწარშეთანხმებული პოლიტიკის საჯარო დამცველების როლით იფარგლებიან. სამთავრობო პოლიტიკა ბუნდოვანი და არათანმიმდევრულია, რამდენადაც გადაწყვეტილებები დაპირისპირებულ მინისტრთა და სხვადასხვა დეპარტამენტთა ინტერესების კომპრომისული შეჯერებით მიიღება.

დემოკრატიასთან? ლიდერი ხალხის ენერჯის სწორ კალაპოტში მომქცევა თუ ამ ენერჯის დამთრგუნველი და ჩამხშობი? უნდა მივესალმებოდეთ თუ უნდა ვუფრთხოდეთ ძლიერ ლიდერებს? აზრთა ამ სხვადასხვაობის მიზეზი თავად პოლიტიკური ლიდერობის ფენომენისადმი განსხვავებული დამოკიდებულებაა. რას გულისხმობს

ეს ფენომენი? საიდან მოდის? ამ საკითხთან დაკავშირებით, 4 განსხვავებული თეორია შეგვიძლია განვიხილოთ:

- ◀ ლიდერობა, როგორც პიროვნული ნიჭი
- ◀ იგივე, როგორც სოციოლოგიური ფენომენი
- ◀ იგივე, როგორც ორგანიზაციული აუცილებლობა
- ◀ იგივე, როგორც პოლიტიკური იარაღი.



ფრიდრიხ ნიცშე (1844-1900)

გერმანელი ფილოსოფოსი. 25 წლის ასაკში ბავშვლის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა ბერძნული ენისა და კულტურის კათედრაზე. შემდგომში იგი შოპენაუერის (1788-1869) იდეებითა და ვაგნერის (1813-83) მუსიკით დაინტერესდა. ნიცშეს უაღვესად როული და წინააღმდეგობრივი მემკვიდრეობა ადამიანის ნების, განსაკუთრებით, "ძალაუფლების წყურვილის" მნიშვნელობას წარმოაჩენს და მისმა შეხედულებებმა თანამედროვე კვხის

ტენციალიტეტებს საფუძველი მისცა ემტიციებიანათ — ადამიანი თავად ქმნის საკუთარ სამყაროს და ფასეულობების საკუთარ სისტემასო. ნიცშე ღმერთზე, ჭეშმარიტებასა და ზნეობაზე დამყარებულ ტრადიციულ ღირებულებებს გმობდა და ახალი, ე.წ. "ზეკაცის" იდეალით ცდილობდა მათ ჩანაცვლებას. მის ყველაზე ცნობილ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია "ასე ამბობდა ზარათუსტრა", "კეთილსა და ბოროტს მიღმა", "ზნეობრიობის საწყისები".

ტრადიციული თვალსაზრისით, ლიდერობის უნარი იშვიათი, თუმცადა, თანდაყოლილი ნიჭია. არისტოტელეს (იხ. გვ. 7) თქმით, "ადამიანს დაბადებისთანავე შუბლზე აწერია — მმართველი იქნება თუ მართული". ამგვარი გაგებით, ლიდერობა უაღრესად პიროვნული ნიშან-თვისებაა, რაც ტრადიციული შეხედულების თანახმად, ე.წ. "გამორჩეულ" ადამიანებს ახასიათებთ. ამ თეორიის რადიკალური ვარიანტი ფაშისტური "ლიდერობის თეორია" (Fuhrerprinzip) რომლის ამოსავალიც ერთპიროვნული, უზენაესი, უცილობლად მამრობითი სქესის წინამძღოლის იდეაა, და მხოლოდ მას შეუძლია მასების დასახულ მიზანმდე მიყვანა. ამგვარი მსოფლმხედველობა ნაწილობრივ, ფრიდრიხ ნიცშესეულ "ზეკაცის" (Übermensch) ცნებიდან მომდინარეობს, ვინც დადგენილი ზნეობის "ჯოგურ" ინსტინქტს სძლევს და თავად ახერხებს საკუთარი პიროვნების სრულყოფას. ლიდერობის იგივე თეორია, უფრო ზომიერი ფორმით, ქარიზმის იდეაშია გამოხატული, რაც ზოგადი გაგებით, "პიროვნულ ხიბლს" ნიშნავს. ქარიზმატული ლიდერობის კლასიკურ მაგალითებად ძლიერ, "შემტვე" პიროვნებებს ასახელებენ (ვთქვათ, პიტლერს, სტალინს, კასტროს) თუმცა, უფრო ზომიერი, ოღონდ არანაკლებ თვალსაჩინო მაგალითებია ფ.დ. რუზველტი, ტეტჩერი, რიგანი. თუ არაერთი სხვა თანამედროვე ლიდერი. ოღონდ ეგაა რომ, სამწუხაროდ მაჰატმა განდის, ნელსონ მანდელასა თუ დალაი ლამას ტიპის გამორჩეულ ზნეობრივი წინამძღოლები დიდი იშვიათობაა.

თანამედროვე პოლიტიკური ფსიქოლოგია იზიარებს ლიდერობაზე ამგვარ შეხედულებას, რამდენადაც ამ საკითხს იხიცი ადამიანის პიროვნებიდან გამომდინარე იკვლევს. ამის ერთი ადრეული ცდა XX საუკ. 20-იან წწ. ერთობლივად განახორციელეს ზიგმუნდ ფროიდმა (1856-1939) და უილიამ ბულიტმა, როდესაც პრეზიდენტ ვუდრო უილსონის ფსიქოტიპი შეისწავლეს ხოლო ჰაროლდ ლასველის შთამბეჭდავ ნაშრომში "ფსიქოპათოლოგია და პოლიტიკა" (1930) ლიდერთა მოტივაციად სულაც კერძო, ლამაზ პათოლოგიური ხასიათის კონფლიქტები დასახელდა, რომლებსაც შემდგომში საზოგადოებრივი ინტერესის საკეთილდღეოდ გადადგმული ნამჯების სახელით უძებნიან ხოლმე გამართლებას.

განსხვავებული თვალსაზრისი ამ ფენომენს უფრო სოციოლოგიური კუთხით განიხილავს, ვიდრე ფსიქოლოგიურით — სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიდერს ესა თუ ის სოციო-ისტორიული გარემოება “ქმნის”. ისინი არა იმდენად საკუთარ ნებას “კარნახობენ” სამყაროს, რამდენადაც “ინსტრუმენტს” წარმოადგენენ ობიექტურ ისტორიულ ძალთა ხელში. ამგვარი მიდგომა სწორედ მარქსისტებს ახასიათებთ, ვისი აზრითაც, ისტორიული განვითარება უმთავრესად ეკონომიკური ფაქტორებითაა განპირობებული და კლასთა ბრძოლის პროცესით დაღდასმული. შესაბამისად, ასეთ დროს კონკრეტულ ლიდერებს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებათ, ვიდრე იმ ზოგად კლასობრივ ინტერესებს, რომელთაც ისინი გამოხატავენ. თუმცა, მარქსიც კი აღიარებდა, რომ **ბონაპარტიზმი**, ზოგადად, გამონაკლისი იყო. ეს ფენომენი იმით გახლდათ განპირობებული, რომ 1851 წელს, როცა ლუი ბონაპარტეს სამხედრო გადატრიალების შემდეგ, დიქტატურა დამყარდა, საფრანგეთში ბურჟუაზიამ კი დაკარგა ძალაუფლება, მაგრამ პროლეტარიატი ჯერ იმდენად ჩამოყალიბებული არ იყო, ეს ძალაუფლება თავად გადაეხარებინა. სოციოლოგიური ფაქტორები ასევე უმაგრებს ზურგს იმ განსხვავებულ მოსაზრებას, რომ პოლიტიკური წინამძღოლობა, ძირითადად, კოლექტიური ქცევის შედეგია. თავის ცნობილ წიგნში — “ბრბო” (1895), გუსტავ ლე ბონმა ბრბოს ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება გაანალიზა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლიდერს მასების კოლექტიური ქცევა ქმნის და არა — პირუკუ.

მესამე თეორიის თანახმად, ლიდერობა უბრალოდ ტექნიკური მომენტია — ბიუროკრატიული მართვის ეფექტური ხელსაწყო. ამ თვალსაზრისით, ლიდერობა არსებითად ის ორგანიზაციული აუცილებლობაა, რაც ნების-

პიროვნების კულტი:
 ესაა პროპაგანდისტული მეთოდი, როდესაც პოლიტიკური ლიდერი გმირულ, ან სულაც “ღვთაებრივ” ფიგურად წარმოიჩინდება; ხოლო როდესაც ლიდერს პოლიტიკური სიბრძნის გამოხატულებად და ეროვნული ინტერესების უდრეკ დამცველად სახავენ, მისი კრიტიკისა თუ ოპონირების ნებისმიერი მცდელობა დალატად ან სიგიჟედ ითვლება. პიროვნების კულტი, ჩვეულებრივ, ტოტალიტარულ სახელმწიფოებში იქმნებოდა (სტალინი), პრესის შეზღუდვისა და სახელმწიფო რეპრესიული აპარატის გამოყენების მეშვეობით.



ნახ. 17.2 პრეზიდენტი ნელსონ მანდელა და დალაილა მანდელა ქეიპთაუნში (სამხრ. აფრ.), 1996წ.

ბონაპარტიზმი:
 მმართველობის სტილი, როდესაც პიროვნული ლიდერობა კონსერვატიულ ნაციონალიზმთანაა შერწყმული.

17. აღმასრულებელი ხელისუფლება

მიერი რთული ინსტიტუტის ერთიანობის, დარაზმულობისა და მიზანმიმართულებისთვისაა გადამწყვეტი. შესაბამისად, ლიდერობა და ბიუროკრატია — ხელი ხელს ბანენ. თანამედროვე რთული ორგანიზაციები სპეციალიზაციასა და დროის დანაწილებას მოითხოვს, რაც, თავის მხრივ, თანამდებობებისა და პასუხისმგებლობის იერარქიას აჩენს. ამგვარი ბიუროკრატიული ლიდერობა ვებერისეულ “კანონიერ-გონივრული მართვის” იმგვარ სტილთან იგივდება, რომლისთვისაც ძირითადად, არა-პიროვნული, წინასწარ დადგენილი და ჩვეულებრივ, დაწერილი წესების დაცვაა დამახასიათებელი. კონსტიტუციური მმართველობის შემოდებამ, ცხადია, პოლიტიკურ ლიდერობას ძლიერი ბიუროკრატიული ხასიათი შესძინა, რამდენადაც ძალაუფლება თავად პოლიტიკური ინსტიტუტის და არა ამ ინსტიტუტის სათავეში მდგომი პიროვნების ხელშია თავმოყრილი.

საბოლოოდ, მეოთხე თეორიის თანახმად, ლიდერობა მხოლოდ ერთგვარი ხელოვნური იარაღია, იმ პოლიტიკურ უნარ-ჩვევათა ერთობლიობა, რომელთა შესწავლაცა და გამოყენებაც პრაქტიკულად, ნებისმიერს შეუძლია. ამ გაგებით, პოლიტიკური ლიდერობა მანიპულირების ხელოვნებასთან იგივდება, რაც თვის მხრივ, დემოკრატიული პოლიტიკის აუცილებელ თვისებად იქცა მასობრივი კომუნიკაციების ეპოქაში. მართლაც, ქარიზმატული ლიდერობის ბევრი მაგალითი სინამდვილეში შეიძლება მანიპულაციებით შექმნილი ბელადის კულტით იქნას ახსნილი: სტალინი საკუთარ პოპულარობას 20-იან წწ. ლენინის კულტის ხელოვნურად დაკანონებით იმტკიცებდა, დგამდა ძეგლებს, სახელებს უცვლიდა ქუჩებსა და ქალაქებს, და ბოლოს, ლენინის მუმიას მაუზოლეუმშიც მიუჩინა ადგილი; ხოლო მოგვიანებით, უკვე 30-იან წლებში, საკუთარი თავის ლენინის ერთადერთ მემკვიდრედ გამოცხადების შემდეგ, უკვე “შხა კულტი” წარმატებით მოირგო თვითონვე.

და ასევე იყო ჰიტლერის შემთხვევაშიც: ნიურბერგის აგბედით მიტინგზე მისი გამოსვლა, როგორც ამბობენ, სულ ალბერტ შპეერის გათვლილი და დაგეგმილი სპექტაკლი გახლდათ — ფიურერის ყოველი ფესტი თუ სიტყვა იმისკენ იყო მიმართული, ბრბო ემოციურად დაემუხტა. თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებშიც, პოლიტიკოსებს არნაკლებ სჭირდებათ მომგუბიანი კუთხით წარმოაჩინონ საკუთარი თავი, უკვე იმ საშუალებების გამოყენებით, რაც ტელეკომუნიკაციების ეპოქას გააჩნია. ასე რომ, ლიდერობა კვლავ რჩება აუცილებელ ინსტრუმენტად — უბრალოდ, დღეს მეტი მნიშვნელობა ტელევენურობას, იმიჯმეიკერების რჩევებსა თუ პიარ-ტექნოლოგიებს ენიჭება.

ლიდერობის ნაირსახეობანი

სამოქმედო სტილს ნებისმიერი ლიდერი იმისდა მიხედვით ირჩევს, რა საბოლოო მიზანი აქვს დასახული. ბარნსის (1978) მიხედვით, სამ ძირითადი სტრატეგია განირჩევა:

- < ჩაურევლობის პრინციპის
- < მომწესრიგებელი მმართველობის
- < გარდამქნელი ხელმძღვანელობის

პირველი ტიპის სტრატეგია გულისხმობს, რომ ლიდერი ისეთ საკითხებში არ ერევა, რაც მის პირად პასუხისმგებლობას არ განეკუთვნება. მსგავს ლიდერს “თავი შორს უჭირავს” კაბინეტისა თუ დეპარტამენტების საქმიანობიდან; მსგავსი ტიპის ლიდერობის მაგალითად რიგანის დროინდელი თეთრი სახლი გამოდგება, როდესაც პრეზიდენტი შედარებით ნაკლებ ინტერესს ამჟღავნებდა ადმინისტრაციის ყოველდღიური საქმიანობისადმი. ასევე იქცეოდა ჯორჯ ბუში-უმცროსიც, რომელსაც პასუხისმგებლობა საკუთარ მრჩეველებზე ჰქონდა გადანაწილებული, სანამ 2001წ. ე.წ. “ტერორიზმთან ომის” გამო, იძულებული არ გახდა, ლიდერობის უფრო გამოკვეთილი სტილი მიერგო. მმართველობის ამგვარი სტილის დადებითი მხარე ისაა, რომ ამ დროს ხელქვეითთა ინიციატივა მეტად ფასდება, იზრდება გუნდური თამაშის როლი, და ლიდერებს მეტი საშუალება რჩებათ, მთელი ჟურნალდება პოლიტიკურ და საარჩევნო საკითხებზე გადაიტანონ. მეორეს მხრივ, ამან შესაძლოა, სამთავრობო პოლიტიკის კოორდინირების შესუსტებაც გამოიწვიოს, თუკი მინისტრები და სხვა მაღალი თანამდებობის პირები საჭიროზე მეტად “გაერთობიან” პირადი ინტერესებითა თუ ინიციატივებით. ასე მაგალითად, ე.წ. ირან-კონტრას საქმის შემთხვევაში, ნათლად გამოჩნდა, რა ცოტა იცოდა პრეზიდენტმა რიგანმა გამოძიების ფედერალური ბიუროს ოფიცერებისა და თეთრი სახლის ფუნქციონერების თანამშრომლობის შესახებ, თუმცა კი მთელი პასუხისმგებლობა, თითქოსდა, მის მხრებზე რჩებოდა.

ამის საპირისპიროდ, მომწესრიგებელი სტილი ლიდერისაგან მეტ “ხელების დაკაპიწებას” მოითხოვს. ამ ტიპის ლიდერი დადებით ზეგავლენას ახდენს როგორც პოლიტიკის კეთების, ასევე მთავრობის ხელმძღვანელობის პროცესზე და არსებითად, პრაგმატული მიზნებითა და მოსაზრებებით ხელმძღვანელობს. ამ მიზნათაგან კი უმნიშვნელოვანესი — პარტიის სიმტკიცისა და მთავრობის ერთიანობის შენარჩუნება, საზოგადოების მხარდაჭერისა და ამომრჩევლის ნდობის მოპოვებაა. ამგვარი ლიდერები ერთგვარ “მომრიგებლებად” გვევლინებიან — მოლაპარაკებებისა და კომპრომისების მეთოდების გამოყენებით, მთავრობის ერთსულოვნების უზრუნველყოფას ცდილობენ და ერთმანეთთან “არიგებენ” დაპირისპირებულ პიროვნებებს, ფრაქციებსა თუ ინტერეს-ჯგუფებს. ამგვარ ლიდერებად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლინდონ ჯონსონი და ჯორჯ ბუში-უმცროსი შეიძლება მივიჩნიოთ, გაერთიანებულ სამეფოში კი — ჰაროლდ უილსონი და ჯონ მეიჯორი. ლიდერობის ეს სტილი, გარკვეულწილად, “ტექნოკრატულიცაა” და მენეჯმენტის უნარს მოითხოვს, მისი უპირატესობა კი ისაა, რომ უაღრესად პრაქტიკულია და ტაქტიკური მანევრირების ფართო შესაძლებლობას იძლევა. რაც შეეხება ნაკლს — ამგვარი ლიდერი, გამორიცხული არაა, საკუთარი მკაცრი პრინციპებისა და ჩამოყალიბებული შეხედულებების არმქონე, ერთი უბრალო “შეურნე” ვინმე აღმოჩნდეს.

პოპულიზმი:

ლათინური სიტყვიდან *populus*, რაც “ხალხს” ნიშნავს. ტერმინი იხმარება როგორც გარკვეული პოლიტიკური მიმართულების, ასევე პოლიტიკური აზროვნების გარკვეული წყობის აღსანიშნავად. პოპულისტურად განწყობილი მოძრაობები თუ პარტიები საკუთარ თავს მუდამ კორუმპირებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური ელიტის წინააღმდეგობად და ხალხის ნების გამომხატველებად სახავენ.

17. აღმასრულებელი ხელისუფლება

ლიდერობის მესამე, ანუ გარდამქნელი ხელმძღვანელობის სტილი, ლიდერისაგან არა იმდენად კოორდინირებისა თუ მართვის ხელსაწყოებს მოითხოვს, რამდენადაც სხვათა დამუხტვისა და მოვლენების განჭვრეტის უნარს. ამგვარი ლიდერი არა მარტო ძლიერი იდეოლოგიური რწმენის კარნახით მოქმედებს, არამედ შეუძლია პიროვნულად გადაწყვიტოს სერიოზული პრობლემები და საკუთარი პოლიტიკური ნებაც გამოავლინოს. დათმობისა და თანხმობის მიღწევის ნაცვლად, მისთვის მთავარი მხარდაჭერის მოპოვებაა მთვარობის წვერთა, საკუთარი პარტიისა თუ საზოგადოების მხრიდან. ჰაუარდ გარდნერის განმარტებით (1996), “ამგვარი ლიდერი პიროვნებაა, რომელიც ზღაპარს ყვება” და მისი წარმატებაც იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგი მთხრობელი აღმოჩნდება და რამდენად დააინტერესებს ხალხს მისი ნაამბობი.

თავისთავად, იმგვარი ტერმინების არსებობა, როგორცაა *გოლიზმი* ან *ტეტჩერიზმი*, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ დე გოლისა და ტეტჩერის იდეოლოგიურმა ხედვამ დროის გამოცდას გაუძლო, ანუ — სხვაგვარად რომ ვთქვათ, საზოგადოებამ მათი “ზღაპარი” დაიჯერა. ხშირად, ლიდერობის “გარდამქნელი” სტილი *პოპულიზმს* უკავშირდება, რამდენადაც ამ ტიპის ლიდერები განსაკუთრებით იმას უსვამენ ხაზს, თუ როგორ ცდილობენ “ხალხის ინტერესებისა და მისწრაფებების” გამომხატველებად იქცნენ. ერთის მხრივ, ეს სტილი ხელს უწყობს რადიკალური სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური პროგრამების დაუბრკოლებელ გატარებას, მაგრამ მეორეს მხრივ, მუდამ არსებობს ავტორიტარიზმისა თუ იდეოლოგიური სიხისტის საფრთხეც.

მიუხედავად იმისა, თუ კონკრეტულად რომელ სტილს აირჩევენ, ლიდერები, ზოგადად, თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში გაცილებით უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდებიან, ვიდრე მათი წინამორბედები. თანამედროვე ლიდერებს უკვე არა ხალხის დამრავლავ და მისი მისწრაფებების გამომხატველ, არამედ რაღაც გაუცხოებულ, და მხოლოდ საკუთარ თავზე შერუნულ პიროვნებად აღიქვამენ. სამწუხაროდ, ამგვარ შეხედულებას ხშირად გააჩნია საფუძველი, რამაც ადამიანებს საერთოდ პოლიტიკისადმი აუცრუგული და სულ სხვა ტიპის წინამძღოლების ძებნა დააწყებინა.

შეჯამება

« ხელისუფლების აღმასრულებელი შტო პოლიტიკის გატარებაზეა პასუხისმგებელი. იგი ფაქტიურად, არსებულ მთავრობასა და ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს. აღმასრულებელი შტოს ბიუროკრატიული აპარატი მთავრობის პირებისა თუ საჯარო მოხელეებისაგან შედგება, თუმცა პოლიტიკური/ბიუროკრატიული დაყოფა ხშირად პირობითია — პოლიტიკის „კუთხის“ პროცესის თანამდგვე სირთულეების გამო.

« აღმასრულებელი ხელისუფლება სახელმწიფო აპარატის ერთგვარი „მართავი პულტია“ და არაერთი წამყვანი ფუნქცია აკისრია: სახელმწიფოს წარმომადგენლობა სხვადასხვაგვარ ცერემონიებზე, პოლიტიკის მართვა სტრატეგიული პრიორიტეტების თანახმად, მთავრობისა თუ ადმინისტრაციისათვის მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ბიუროკრატიულ მანქანაზე ზედამხედველობა, და ინიციატივის გამოჩენა საშინაო თუ საერთაშორისო კრიზისების დროს.

« საპრეზიდენტო სისტემებში აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტის ხელთაა, რომელიც ერთდროულად წარმომადგენს სახელმწიფო მეთაურსაც და მთავრობის ხელმძღვანელსაც; თუმცა მის საქმიანობას კონსტიტუციურად და პოლიტიკურად დამოუკიდებელი საკანონმდებლო ორგანო აკონტროლებს. საპარლამენტო სისტემებში პრემიერ-მინისტრებს ურთიერთობების დალაგება უზღვევთ ერთის მხრივ თავიანთ კაბინეტთან, მინისტრებთან და დეპარტამენტებთან, მეორეს მხრივ კი — საკუთარ პარტიებთან და საკანონმდებლო ორგანოსთან.

« ბოლო დროს, აღმასრულებელთა ძალაუფლების გაზრდას ხელი შეუწყო მედიის მხრიდან ყურადღების გადატანამ პიროვნულ მონაცემებზე, საერთაშორისო შეხვედრების მომრავლებამ, და სხვ. თუმცა, პარტიული და სამთავრობო ერთობის მოთხოვნები, ისევე როგორც საკანონმდებლო ორგანოს მხარდაჭერის აუცილებლობა და უზომოდ გაფართოებული ბიუროკრატიული აპარატის მართვის სიმძლავრეები, თავის მხრივ, მის გავლენას აწონასწორებს.

« პოლიტიკური ლიდერობა, როგორც ასეთი, სხვადასხვაგვარად ესმით: ზოგი მას პიროვნულ ნიჭად და ქარიზმატულ ხიბლად აღიქვამს, ზოგი — სოციოლოგიურ ფენომენად, ზოგიც — ორგანიზაციულ აუცილებლობად თუ პოლიტიკურ უნარად, რომელიც ნებისმიერმა შეიძლება შეიძინოს, ვისაც კი თავისი კოლეგებისა თუ მასების ხელმძღვანელობის პრეტენზია გააჩნია.

« მიზნის მისაღწევად ლიდერები განსხვავებულ სტრატეგიას ირჩევენ: ჩაურევლობის პრინციპი ლიდერისაგან შეთანხმებული გუნდური თამაშისა და ხელქვეითთა პასუხისმგებლობის გაფართოების უზრუნველყოფას გულისხმობს. მომწესრიგებელი ლიდერი ერთგვარი შუამავალია დაპირისპირებულ ფრაქციებსა თუ ინტერესებს შორის. გარდამქმნელი ლიდერი კი განსაკუთრებულ ყურადღებას მხარდაჭერის მოპოვებას აქცევს და ცდილობს, საკუთარი პიროვნული ხედვის თანახმად წაიყვანოს საქმე.

17. აღმასრულებელი ხელისუფლება

კითხვები განსასჯელად

- ◀ რა შემთხვევაში შეუძლიათ მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლის შესრულება სახელმწიფოს მეთაურებს?
- ◀ მხოლოდ დარწმუნების ძალა გააჩნია აღმასრულებელი ხელისუფლების პირველ პირს?
- ◀ ვინ მეტ ძალაუფლებას ფლობს — პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი?
- ◀ სამომავლოდ, შესანარჩუნებელია თუ არა კოლექტიური კაბინეტური მართვის ფორმა?
- ◀ ძლიერი მმართველი უნდა გვიყვარდეს, თუ უნდა ვუფროთხოდეთ მას?
- ◀ პიროვნების კულტი მხოლოდ დიქტატორულ პოლიტიკურ სისტემასახასიათებს, თუ ნებისმიერ სხვასაც?
- ◀ მართლა ისეთი ლიდერები გვყავს, როგორსაც ვიმსახურებთ?

დამატებითი საკითხავი

- Gardner, H., *Leading Minds* (London: HarperCollins, 1996).
Rhodes, R. and P. Dunleavy (eds), *Prime Minister, Cabinet and Core Executives* (Basingstoke: Palgrave Macmillan, 1995).
Rose, R., *The Postmodern Presidency: The White House Meets the World*, 2nd edn (New York: Vhartham House, 1991).

ბიუროკრატიული აპარატი

18

თავი

შინაარსი

“ბიუროკრატია გოლიათური მექანიზმია, რომელსაც ჯუჯები მართავენ”.

ონორე დე ბალზაკი, ეპიგრამები

ბუერისთვის ტერმინი “ბიუროკრატია” უშედეგო და უაზრო ფორმალობებზე დროის ფლანგვასთან ასოცირდება — ანუ, უბრალოდ, “ჩინოვნიკობასთან”. პოლიტიკის სფეროში ბიუროკრატიას სახელმწიფოს ადმინისტრაციულ მანქანას უწოდებენ, საჯარო მოხელეთა და თანამდებობის პირთა იმ ერთიან გუნდს, რომელიც მთავრობის საქმიანობაზე აგებს პასუხს. სხვები, მაქსიმუმის კვლად, ბიუროკრატიაში ორგანიზების განსაკუთრებულ ფორმას ხედავენ, რომელიც არა მხოლოდ ხელისუფლებაში, თანამედროვე საზოგადოების მოწყობის ყველა სფეროში რომ შეინიშნება. თუმცა, ერთი რამ უკველია: რაც უფრო გაიზარდა მთავრობათა გავლენა და მათი პასუხისმგებლობის ხარისხი, მით უფრო მეტ როლს თამაშობს ბიუროკრატია პოლიტიკურ ცხოვრებაში. უკვე შეუძლებელი ხდება საჯარო მოხელეთა უბრალო ადმინისტრატორებად მიჩნევა — დღეს ისინი მთელი პოლიტიკური პროცესის საკანძო ფიგურებს წარმოადგენენ და ზოგჯერ სახელმწიფოსაც კი თავად მართავენ. ჩინოსანთა მმართველობის რეალური ძალა, შესაძლოა, წარმომადგენლობისა და დემოკრატიული ანგარიშ-ვალდებულებების ფასადს მიღმა იმალება. შესაბამისად, ამ ბიუროკრატიული ძალის ორგანიზება და მოთოკვა თანამედროვე პოლიტიკის ერთი უმთავრეს პრობლემათაგანია და მისი გადაჭრა ნებისმიერი პოლიტიკური სისტემისთვის გარკვეულ ხირთულეს წარმოადგენს.

ამ თავში შექმნილი ძირითადი საკითხებია განხილული:

საკანძო საკითხები:

- < რას წარმოადგენს ბიუროკრატია?
- < რა ძირითადი თეორიები არსებობს მასთან დაკავშირებით?
- < რა მოვალეობები ეკისრება მას?
- < როგორ ხდება და როგორ უნდა ხდებოდეს ბიუროკრატის მოწყობა?
- < რა არის ბიუროკრატია ძლიერების საიდუმლო, და რატომ გაიზარდა < ბიუროკრატის გავლენა?
- < როგორ და რამდენად წარმატებით ხერხდება ბიუროკრატის გაკონტროლება?

ბიუროკრატის მოდელები

გვერდ-ადმინისტრაციული.

მონოლითური ძალაუფლების.

“გაბერილი” ბიუროკრატის.

ბიუროკრატის როლი ბიუროკრატის დანიშნულება.

ბიუროკრატის ორგანიზების ფორმები.

სად გადის ბიუროკრატის ძალაუფლების ზღვარი?

ბიუროკრატიული ძალაუფლების წყაროები.

როგორ მოთოკოთ ბიუროკრატია?

შეჯამება/კითხვები განსასჯელად/დამატებითი საკითხავი

ბიუროკრატიის მოდელები

ბიუროკრატიის კრიტიკა ყველა მხრიდან ისმის: ლიბერალები მას გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულობის ნაკლებობას საყვედურობენ; სოციალისტები მასში კლასობრივი დაქვემდებარების იარაღს ხედავენ; ახალი მემარჯვენეთა კი თავის მხრივ, ბიუროკრატებს “თავ-კერძა და უსარგებლო” ელემენტებად იხსენიებს. მოკლედ, თავად ეს ცნება იმდენი განსხვავებული მნიშვნელობით იქნა გამოყენებული, რომ შეჯერებული განსაზღვრების დადგენა თითქმის უიმედო საქმედ იქცა. მაგალითად, ელბროუმ (1970) ბიუროკრატიის, სულ ცოტა, შვიდი თანამედროვე გაგება შემოგვთავაზა:

- ◀ ბიუროკრატია, როგორც რაციონალური სტრუქტურა
- ◀ ბიუროკრატია, როგორც არაეფექტური წარმონაქმნი
- ◀ ბიუროკრატია, როგორც მოხელეთა მმართველობა
- ◀ ბიუროკრატია, როგორც საჯარო ადმინისტრირება
- ◀ ბიუროკრატია, როგორც ზედამხედველობა მოხელეთა მიერ
- ◀ ბიუროკრატია, როგორც თავისთავადი ორგანიზაცია
- ◀ ბიუროკრატია, როგორც თანამედროვე საზოგადოების სახე.

გარკვეული აზრით, ეს ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები იმის გამოვლინებაა, რომ სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინა სხვადასხვაგვარად აღიქვამს ბიუროკრატias. ხელისუფლების თეორიის სპეციალისტები, მაგალითად, მას პირდაპირი გაგებით იაზრებენ, როგორც მართვას დანიშნულ მოხელეთა, ანუ — “ბიუროს” მიერ. თავის ნაშრომში “მოსაზრებები წარმომადგენლობითი ხელისუფლების თაობაზე” (1861) ჯ.ს. მილმა ერთმანეთისაგან გამიჯნა ბიუროკრატია და მართვის წარმომადგენლობითი ფორმები — არჩეული და ანგარიშვალდებული პოლიტიკოსების მმართველობა. სოციოლოგიის სფეროში ბიუროკრატია, როგორც წესი, ორგანიზაციის განსაკუთრებულ ტიპად ესმოდათ, მას უფრო ადმინისტრირების სისტემად იაზრებდნენ, ვიდრე მმართველობისად. ამ თვალსაზრისით ბიუროკრატია არსებობს არა მარტო დემოკრატიულ თუ ავტორიტარულ სახელმწიფოებში, არამედ ბიზნეს-კორპორაციებშიც, პროფესიულ თუ პოლიტიკურ კავშირებშიც და ა.შ. თავის მხრივ, ეკონომისტებს ბიუროკრატია ზოგჯერ სპეციფიურად “საჯარო” ორგანიზაციად ესახებოდათ, რამდენადაც იგი საგადასახადო სისტემის მეშვეობით ფინანსდება, მის საქმიანობას არც მოგუბის წყურვილი ამომრავებს და არც ბაზრის კონიუნქტურაზე დამოკიდებულები. ამ განსხვავებულ შეხედულებებში გასარკვევად, ბიუროკრატიის სამი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორია უნდა განვიხილოთ.

- ◀ ბიუროკრატია როგორც გვემიურ-ადმინისტრაციული მანქანა
- ◀ ბიუროკრატია, როგორც ძალაუფლების კონსერვატიული, შემზღუდავი მექანიზმი
- ◀ ბიუროკრატია, როგორც ჭარბი მმართველობის წყარო.

გვმურ-ადმინისტრაციული მოდელი

ბიუროკრატის ფენომენის მეცნიერულ კვლევას დიდი ადგილი უჭირავს მაქს ვებერის ნაშრომებში. ვებერისათვის ბიუროკრატია მმართველობის ის “იდეალური ტიპი” გახლდათ, რომელიც არა ტრადიციას თუ ქარიზმას, არამედ გონივრული წეს-კანონების სისტემას ემყარება. მან საგანგებოდ გამოყო იმ პრინციპთა ერთობლიობა, რითაც, საგარაუდოდ, ბიუროკრატიული სტრუქტურები ხასიათდება:

- < იურისდიქციის სფეროები განსაზღვრული და გამოკვეთილია და სათანადო წესებითა თუ კანონებით იმართება.
- < არსებობს მკაცრად ჩამოყალიბებული იერარქია, როდესაც ქვემდგომ ორგანოს ზემდგომი უწევს მეთვალყურეობას, საფეხურებრივად.
- < საქმიანობა წერილობითი დოკუმენტების მეშვეობითა და საკანცელარიო პრინციპით ხორციელდება.
- < თანამდებობის პირთა გავლენა მათ მიერ დაკავებული თანამდებობებით განისაზღვრება, და არა პიროვნული ღირსებებით.
- < მკაცრი ბიუროკრატიული კანონები მაქსიმალურად ამცირებს პიროვნული გადაცდომის შესაძლებლობას.
- < დანიშნავს და ბიუროკრატიულ კიბეზე აღმასვლაც ისეთ პროფესიულ კრიტერიუმებზეა დამოკიდებული, როგორიცაა უნარ-ჩვევები, გამოცდილება და ადმინისტრაციული აღლო.

ვებერის თვალსაზრისით, ბიუროკრატის მთავარი მახასიათებელი რაციონალურობაა, რადგან ბიუროკრატიზაცია საზოგადოებრივი მოწყობის საიმედო, გონივრულ და რაც მთავარია, ქმედით-უნარიან საშუალებას წარმოადგენს. მისთვის ბიუროკრატია თანამედროვე საზოგადოების მოწყობისათვის დამახასიათებელი ის ფორმა გახლდათ, რომელიც მომავალში კიდევ უფრო ფართოდ და მყარად მოიკიდებდა ფეხს. ბიუროკრატიული აპარატის განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული კაპიტალისტური ეკონომიკის გაჩენასთან — კერძოდ, ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდისა და ფართო-მასშტაბიანი ბიზნეს-გაერთიანებების შექმნის აუცილებლობასთან. თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ და მისი პასუხისმგებლობის ზრდამ სოციალურ თუ ეკონომიკურ სფეროებში, სახელისუფლებო ბიუროკრატიების გავლენის გაფართოებაც განაპირობა.

ვებერის აზრით, ბიუროკრატიზაციას ერთგვარად, დემოკრატიზაციის წინემატე შეუწყო ხელი, როდესაც ტრადიციისა თუ პრივილეგიის უცილობლობის იდეები გაცვდა და ადგილი დაუთმო ღია კონკურენციისა და მერიტოკრატიის უპირატესობების რწმენას. ვებერს სჯეროდა, რომ “რაციონალიზაციის” პროცესი ნებისმიერ ინდუსტრიულ საზოგადოებას, კაპიტალისტურსა თუ კომუნისტურს, საბოლოოდ, აუცილებლად ერთიმეორეს დაამსგავსებდა, რამდენადაც ისინი მაინც ადმინისტრირების ბიუროკრატიულ ფორმებზე გადავიდოდნენ. ე.წ. **თანხედომის თეორიის** ეს

ბიუროკრატია

ბიუროკრატია (სიტყვა-სიტყვით) “მოხელეთა მმართველობა” — ყოველდღიურ მეტყველებაში, უაზრო ადმინისტრაციული რუტინის აღმნიშვნელ კნინობით ცნებად იქცა. საზოგადოებრივ მეცნიერებებში ეს ტერმინი უფრო ვიწრო და მიუკერძოებელი გაგებით ხასიათდება და ისეთ განსხვავებულ მოვლენებს აღნიშნავს, როგორიცაა არა-არჩევითი მოხელეების საქმიანობა, მთავრობის ადმინისტრაციული მანქანა თუ ორგანიზების გონივრული მოდელი.

თანხედომის თეორია:

ამ თეორიის თანახმად, ზოგად პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორების კარნახით, საბოლოო ჯამში, კაპიტალისტური და სოციალისტური სახელმწიფოები სულ უფრო მეტად დაემსგავსებიან ერთმანეთს.

18. ბიუროკრატიული აპარატი

ვერსია შემდგომში ჯეიმზ ბარნემაც (1905-87) განავითარა თავის “მენეჯერთა რევოლუციაში” (1941), სადაც **მენეჯერიალიზმი** განმარტებული იყო როგორც გარდაუვალი პერსპექტივა, როცა იდეოლოგიურ განსხვავებათა მიუხედავად, ნებისმიერი ინდუსტრიულ-საზოგადოების მმართველი კლასი მენეჯერების, ტექნოკრატებისა და სახელმწიფო მოხელეებისაგან დაკომპლექტდებოდა და მათი ძალაუფლების წყარო ტექნიკურ/ადმინისტრაციული უნარ-ჩვევები გახდებოდა.

მართალია, ვებური აცნობიერებდა ბიუროკრატთა მისწრაფებას საკუთარი პოზიციების გაძლიერებისა და ადმინისტრაციული ფუნქციების გაფართოებისაკენ, მაგრამ სჯეროდა, რომ ამის შეკავება იმგვარი ლებერალური საშუალებებით მოხერხდებოდა, როგორც საარჩევნო კონკურენცია და ინსტიტუციური დანაწევრებაა. კიდევ ერთი საფრთხე, რაზეც ვებური მიანშივებდა, ისიც გახლდათ, რომ ბიუროკრატის როლის გაიდეალებას, შესაძლოა, საზოგადოების სულიერად დაკნინება გამოეწვია, თუკი სოციალური გარემო პიროვნულობისაგან სულ უფრო და უფრო დაცლილი და მექანიცისტური გახდებოდა. შესაბამისად, ცივი გონება და ბიუროკრატია იმ “რკინის გალიად” იქცეოდა, რომელშიც ადამიანური განცდები და პიროვნული თავისუფლება აღმოჩნდებოდა დატყვევებული.

მონოლითური ძალაუფლების მოდელი

ნეო-მარქსისტები, როგორც მაგალითად, რალფ მილიბანი (1969) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ბიუროკრატის წარმომადგენელ მაღალჩინოსან საჯარო მოხელეთა უფლება-მოხილებას, ველო დაედოთ ან სულაც შეგნებულად დაებლოკათ სოციალისტი მინისტრებისა და მთავრობების რადიკალური ინიციატივები. მილიბანის აზრით, ეს ჩინონები კონსერვატორები არიან იმ გაგებით, რომ მათდამი დაქვემდებარებულ სფეროებში, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მუდამ არსებული ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი ელიტების მოკავშირეებად რჩებიან. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს: აშკარაა, რომ პოლიტიკური მიუკერძოებლობის აუცილებელი მოთხოვნის მიუხედავად, მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელეებს, განათლებისა თუ სოციალური წარმომავლობის თვალსაზრისით, იგივე მდგომარეობა უკავიათ, რაც ბიზნესში დაკავებულ მენეჯერებს, და შესაბამისად, თანაზიარი იდეები, ცრურწმენები თუ ზოგადი წარმოდგენები ახასიათებთ. საჯარო მოხელეთა მხრივ ნებისმიერი რადიკალური თუ სოციალისტური სიმპათიების გაზიარების ალბათობას ისიც ამცირებს, რომ სამსახურში მიღების დროს, განსაკუთრებული ყურადღება მათ იდეოლოგიურ “სიმწიფეს” ეთმობა.

მილიბანის ღრმა რწმენით, საჯარო მოხელეთა კონსერვატიულ მსოფლმხედველობას კორპორატიული კაპიტალიზმის სამყაროსთან მათი სულ უფრო მზარდი სიახლოვეც განაპირობებს. ეს თავისთავად გამოიწვია სახელმწიფოს მხრიდან სულ უფრო მეტმა ჩარევამ ეკონომიკაში, რის შედეგადაც უშუალო და ყოველდღიური ურთიერთობა დამყარდა ბიზნეს-ჯგუფებსა და საჯარო მოხელეთა შორის, და ისინი სახელმწიფო ინტერესებს

მენეჯერიალიზმი: თეორია, რომლის მიხედვითაც თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურა არა კლასებად, არამედ ბიუროკრატთა და მენეჯერთა ფენებად დაყოფას ემყარება; იგივე ტექნოკრატია (ექსპერტთა თუ სპეციალისტთა მმართველობა).

ლეონ (ლევ) ტროცკი (1879-1940)

ზრალი წარმოშობის რუსი მარქსისტი და რევოლუციონერი. 1917წ. ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, ჯერ საგარეო ურთიერთობათა, მოგვიანებით კი სამხედრო კომისრის პოსტი ეკავა. 1924წ., ლენინის სიკვდილის შემდეგ, მუდმივ დევნას განიცდიდა სტალინის მხრიდან და 1929 წელს საბჭოთა კავშირიდანაც გაასახლეს; 1940 წ., სტალინისავე ბრძანებით, მექსიკაში მიკლეს.

ტროცკის ეკუთვნის ე.წ. “პერმანენტული რევოლუციის” თეორია; მხარს უჭერდა ინტერნაციონალიზმს და სტალინის ინიციატივით “ბიუროკრატიული დეკენერაციის ფორმას” უწოდებდა. მისი ცნობილი ნაშრომებია “შედეგები და პერსპექტივები” (1906); “რუსული რევოლუციის ისტორია” (1931) და “რევოლიუციის დალატი” (1937).



უკვე კერძო კაპიტალიზმის შორს გამიზნულ ინტერესებთან აიგივებენ. საბოლოო ჯამში, ამგვარ ანალიზს იმ დასაკვნამდე მიყვავართ, რომ თუკი ბიუროკრატიის მაღალი ეშელონები, ნებისთ თუ უნებლიედ, კაპიტალიზმის ინტერესებს ემსახურებიან, კონსტიტუციური გზით სოციალიზმამდე მისვლა, ფაქტიურად, წარმოუდგენელი ხდება.

მარქსისტული პოზიციებიდან, პოსტ-კაპიტალიზტური ბიუროკრატიის ყველაზე საფუძვლიანი ანალიზი ლეონ (ლევ) ტროცკის სახელს უკავშირდება. თავის ნაშრომში “რევოლუციის დალატი” (1937) ტროცკიმ ბიუროკრატიის გადაგვარების პრობლემას მიაქცია ყურადღება. მისი აზრით, ზოგადად რუსეთის ჩამორჩენილობისა და პროლეტარიატის პოლიტიკური უმწიფრობის ერთობლიობამ ისეთი ვითარება შექმნა, როდესაც სახელმწიფო ბიუროკრატია შეგნებულად აფერხებდა სოციალიზმისაკენ შემდგომ წინსვლას. სტალინის დიქტატურა სხვა არაფერი იყო, თუ არა სწორედ ამ გაბატონებულ ბიუროკრატიულ ინტერესთა პოლიტიკური გამოხატულება, რასაც მასების მისწრაფებებთან არაფერი ჰქონდა საერთო. თუკი ტროცკისათვის ბიუროკრატია ის საზოგადოებრივი ბალასტი იყო, რაც პოლიტიკურ რევოლუციას უნდა მოეშორებინა თავიდან, იუგოსლავი დისიდენტი, მარშალ ტიტოს ყოფილი თანამებრძოლი, მილოვან ჯილასი (1911-95) ბიუროკრატიას საერთოდ “ახალ კლასად” იხსენიებდა და მისი წრეგადასული გავლენიდან გამომდინარე, სოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო კაპიტალიზმის სულ უფრო მეტ და მეტ ნიშანს ხედავდა.

“გაბერილი” ბიუროკრატიის მოდელი

თავის ნაშრომში “ბიუროკრატია და წარმომადგენლობითი მმართველობა” (1971) უილიამ ნისკანენი ამტკიცებდა, რომ მაღალი რანგის ბიუროკრატები, საჯარო მოხელეთა სახელს ამოფარებულობისდა მიუხედავად, ძირითადად კერძო კარიერისტული ინტერესებით ხელმძღვანელობენ და შესაბამისად, ცდილობენ გაათართოონ როგორც საკუთარი უწყების გავლენა, ასევე რაც შეიძლება მეტი დაფინანსება მიიღონ ბიუჯეტიდან. ამის

18. ბიუროკრატიული აპარატი

მიზეზი ისაა, რომ ბიუროკრატიული აპარატის გაბერვა ნომენკლატურისათვის დასაქმების სერიოზული გარანტი, ხელფასის და საზოგადოებრივი გავლენის ზრდის უტყუარი წინაპირობაა.

ახალი მემარჯვენეობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, სახელმწიფო ბიუროკრატიაში მისი არასაბაზრო-ჭასიათის გამოც აკრიტიკებს და შესადარებლად ერთმანეთს უპირისპირებს კერძო სექტორისა და საზოგადოებრივი სექტორის ინსტიტუტებს. ამ თვალსაზრისით, კერძო სექტორის იმგვარი ინსტიტუტები, როგორებიცაა, ვთქვათ, ბიზნეს-კორპორაციები, გარე და შიგა ფაქტორების ერთობლიობის გათვალისწინებით იმართება. უმთავრეს შინაგან სტიმულთა შორის ბიზნესი მაქსიმალური მოგების მიღებას მიიჩნევს. გარეგანი გავლენის თვალსაზრისით, კონკურენტულ საბაზრო პირობებში მოქმედი ბიზნესი სამომხმარებლო წნეხს ემორჩილება, რაც მას პროდუქციის განახლებასა და ოპტიმალური ფასების გამონახვას აიძულებს.

ამის საპირისპიროდ, ბიუროკრატიაში მოგების მიღების მოტივაცია არ აწუხებს. თუკი ხარჯი იზრდება, გადასახადის გადამხდელი შეაყვებს დანაკლისს, და ეგეც არ იყოს, ბიუროკრატია, როგორც წესი, მონოპოლიური ინსტიტუტია და მას არც ბაზრის მოთხოვნებისთვის ანგარიშგაწევა ევალება. ყოველივე ამის შედეგად, ბიუროკრატია, ისევე როგორც ფაქტიურად საზოგადო სექტორის ყველა ინსტიტუტი, იმთავითვე ხარჯიანი და არაეფექტური წარმონაქმნია, მით უმეტეს, რომ მათ მიერ გაწეული საქმიანობა ხარისხობრივი თვალსაზრისითაც მოიკოჭლებს და არც მომხმარებლის დიდი სიმპათიით სარგებლობს. ახალი მემარჯვენეობისათვის დამახასიათებელი ამგვარი ფილოსოფია — კერძო კარგია, საზოგადო კი უვარგისი — თავისთავად გულისხმობს, რომ არა მარტო სახელმწიფო ბიუროკრატია აპარატი უნდა შეიკვეცოს, არამედ, თუკი ეს შესაძლებელია, კერძო სექტორის მენეჯმენტის ელემენტებიც გაითავისოს.

ბიუროკრატიაში როლი

ბიუროკრატიაში დანიშნულება

ერთი შეხედვით, ბიუროკრატიაში ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი დანიშნულება გააჩნია: მისი უპირველესი მოვალეობა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული კანონების დაცვა-აღსრულება და პოლიტიკური აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემუშავებული კურსის გატარების უზრუნველყოფაა. მართლაც, თუკი ხელისუფლების ყველა სხვა ფუნქციას (წარმომადგენლობითობა, პოლიტიკური გეზის განსაზღვრა თუ ინტერესთა გაცხადება) უამრავი სხვადასხვა ინსტიტუტი ასრულებს, უშუალოდ პოლიტიკის გატარება მხოლოდ თავიანთი პოლიტიკური ხელმძღვანელების მეთვალყურეობის ქვეშ მომუშავე საჯარო მოხელეთა პასუხსაგებია. მეტიც, ბიუროკრატიაში, როგორც ვებერისეული, გონიერ-

ლად აწვობილი მექანიზმის მოდელი, საერთოდ ერთმანეთისაგან მიჯნავს ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ სფეროებს. ამ თვალსაზრისით, ბიუროკრატები უბრალოდ, საიმედო და გამართული ადმინისტრაციული მანქანის ჭანჭიკები არიან და დადგენილი იერარქიის ფარგლებში, მკაცრად განსაზღვრული წესების თანახმად მოქმედებენ. თუმცა, რეალობა სრულიად სხვაგვარია: ფორმალური დაქვემდებარებისა და პარტიული კუთვნილებითაგან თავისუფლების მიუხედავად, ბიუროკრატები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკურ პროცესზე და შესაბამისად, არაერთ საკვანძო ფუნქციას ასრულებენ ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში. ამ ფუნქციათაგან ყველაზე საყურადღებოა:

- < ადმინისტრირება
- < პოლიტიკური რჩევების მიცემა
- < ინტერესთა გამოკვეთა და მათი გაცხადება
- < პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება

ადმინისტრირება

ბიუროკრატის არსებითი დანიშნულება კანონის და პოლიტიკური კურსის დაცვა-აღსრულებაა. შესაბამისად, სწორედ მას ეკისრება პასუხისმგებლობა ხელისუფლების საქმიანობის ადმინისტრირებაზე. ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ ბიუროკრატის უბრალოდ “ადმინისტრაციასაც” უწოდებენ, ხოლო პოლიტიკურ აღმასრულებელ ხელისუფლებას — მთავრობას. ამგვარი გამიჯვნიდან ნათელია, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან პოლიტიკოსთა, როგორც პოლიტიკის “მკეთებელთა” და ბიუროკრატთა, როგორც პოლიტიკის “გამტარებელთა” დანიშნულება. აქედან გამომდინარე, ბიუროკრატის რაოდენობრივი შემადგენლობა მჭიდროდ უკავშირდება მთავრობის პასუხისმგებლობათა არეალს. ასე მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში ბიუროკრატთა რიცხვმა XX საუკ. 70-იან წწ. 755.000 მიაღწია, თუმცა შემდგომში, 80-იანი წწ. აღებული ნეოლიბერალური პოლიტიკის კურსის შედეგად, მიზანმიმართულად დაიწყო შტატების შემცირება და 1996წ. ეს რიცხვი უკვე მხოლოდ 499.000 შეადგენდა. ასევე, ე.წ. “ახალი კურსის” პოლიტიკის გატარებისდა კვალად, ამერიკის ფედერალური ბიუროკრატიაც მნიშვნელოვნად გაიზარდა და დღეისათვის 2.5 მილიონ საშტატო ერთეულს გადააჭარბა.

ოღონდ ისიც სათქმელია, რომ ბიუროკრატთა მხოლოდ სხვათა მიერ გაცემული ბრძანებების უბრალო შემსრულებლებად წარმოდგენა, მცდარი იქნებოდა. ჯერ ერთი, რამდენადაც ადმინისტრაციული დეტალების დიდი უმრავლესობა იმთავითვე მოხელეთა გადასაწყვეტია, საჯარო თანამდებობის პირებს, შესაძლოა, უფლებაც ჰქონდეთ, თავად განსაჯონ როგორ და რა გზით “გაატარონ” ესა თუ ის პოლიტიკური კურსი; მეორე: ბიუროკრატის კონტროლის ხარისხი სხვადასხვა სახელმწიფოში დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუკი ჩინეთში თანამდებობის პირები მუდმივად გრძნობენ მკაცრ პარტიულ ზედამხედველობას, საფრანგეთსა და იაპონიაში მათი სტატუსი და საქმის მცოდნე ხალხის რეპუტაცია გარკვეული დამოუკიდებლო-

ადმინისტრაცია
ეს ტერმინი მრავალი მნიშვნელობით გამოიყენება. შესაძლოა აღნიშნავდეს აღმასრულებელი შტოს მაღალი თანამდებობის პირთა ერთობლიობას — მაგალითად, “კლინტონის ადმინისტრაცია”; ზოგადად კი პოლიტიკის კოორდინირებისა და აღსრულების პროცესს აღნიშნავს. იგულისხმება, რომ ადმინისტრირება სხვათა დახმარება თუ მომსახურებაა, და ამ გაგებით, ყველა საჯარო მოხელე ადმინისტრაციის ნაწილად მოიაზრება. უფრო კონკრეტული მნიშვნელობით, ადმინისტრაცია ინფორმაციის განკარგვისა და კონტროლის უზრუნველყოფაზე აგებს პასუხს.

ბის გარანტია ხდება. და მესამეც: როგორც პოლიტიკურ მრჩეველებს, ყოველ შემთხვევაში, მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელეებს მაინც, ბიუროკრატებს შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობაც მიიღონ იმ პოლიტიკის შემუშავებაში, რაც შემდგომში მათივე გასატარებელი ხდება.

ბიუროკრატია, როგორც პოლიტიკური მრჩეველი

ბიუროკრატის პოლიტიკურ მნიშვნელობას დიდად განაპირობებს მისი როგორც პოლიტიკური ინფორმაციის მიმწოდებლისა და ხელისუფლებისათვის საჭირო რჩევების მიმცემის როლი. თუმცა აქ უნდა განვასხვაოთ მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელეები, ვისაც პოლიტიკოსებთან ყოველდღიური შეხება აქვთ და უშუალოდ ვვალდებთ კიდევ პოლიტიკური მრჩეველობა, და საშუალო თუ დაბალი რგოლის ჩინოსნები, რომლებიც ჩვეულებრივი ადმინისტრაციული საქმეებით არიან ხოლმე დაკავებული. ამდენად, როდესაც საუბარი ბიუროკრატის პოლიტიკურ მნიშვნელობაზეა, მაღალჩინოსანთა სწორედ ეს ელიტარული ჯგუფი იგულისხმება ხოლმე. თეორიულად, ერთერთისაგან მკვეთრად შეიძლება გაიმიჯნოს ბიუროკრატთა და პოლიტიკოსთა პასუხისმგებლობა: ზოგადად პოლიტიკოსს პოლიტიკოსები ქმნიან, ბიუროკრატები, უბრალოდ, რჩევებს სთავაზობენ მათ.

ინტერესთა გაცხადება

თავისი ყოველდღიური საქმიანობით, ბიუროკრატისა მუდმივი ურთიერთობა აქვს სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფებთან, და ეს ურთიერთობა სულ უფრო ღრმავდება იმ კორპორატიული ტენდენციების შედეგად, რომლებმაც ფაქტობრივად წაშალა განსხვავება ორგანიზებულ ინტერესებსა და სამთავრობო უწყებებს შორის. სხვადასხვა დარგობრივი ჯგუფები თანდათანობით ე.წ. “კლიენტთა” ჯგუფებად იქცნენ, რომელთაც შესაბამისი უწყებრივი ორგანიზაციები ემსახურებიან და რომელნიც, თავის მხრივ, ინფორმაციის ძალზე ღირებულ წყაროს წარმოადგენენ. ამგვარი კლიენტილიზმი შესაძლოა, ძალზე წაადგეს პოლიტიკურ სისტემას — თანხმობის შენარჩუნების თვალსაზრისით — რადგან პოლიტიკის კურსის გამოკვეთაში მონაწილეობით ამგვარი ორგანიზებული ინტერეს-ჯგუფები, როგორც წესი, სახელისუფლო პოლიტიკას იზიარებენ ხოლმე. მეორეს მხრივ, კლიენტილიზმმა ასევე შეიძლება გავლენა მოახდინოს საჯარო მოხელეთა საზოგადოებრივ ვალდებულებებზე და პასუხისმგებლობაზე, ხოლო როდესაც ჯგუფური ინტერესები ემთხვევა ბიუროკრატისას, ამგვარი პოლიტიკური ძაფები იბმება, რომელთა გაწყვეტასაც დემოკრატიულად განწყობილი პოლიტიკოსები უკვე ვეღარ ახერხებენ.

პოლიტიკური სტაბილურობა

ბიუროკრატის საბოლოო დანიშნულება მაინც პოლიტიკური სისტემის მდგრადობისა და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფაა. თუმცა, ზოგჯერ ამა თუ იმ სისტემის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, შესაძლოა, არც კი იყოს გამართლებული: თუკი არ არსებობს საზოგადოებრივი

კლიენტილიზმი:

ურთიერთობის იმგვარი ფორმა, როცა სინამდვილეში, სამთავრობო სააგენტოები სწორედ იმ გარე ინტერეს-ჯგუფებს ემსახურებიან, ვისი ზედამხედველობაც ევალებათ.

ზედამხედველობა და ანგარიშვალდებულება, სისტემა უთუოდ კორუფციამდე მიდის და ეს პრობლემა დღეს ძალზე ბევრ განვითარებად სახელმწიფოში დგას, სადაც მაღალია სიღარიბისა და სოციალური უთანაბრობის დონე. შორეს მხრე, თუკი საჯარო მოხელეს შეუცვლელი ილუზია გაუჩნდება, შესაძლოა დანაშაულზეც წაუცდეს ხელი, და ყველა დონე იხმაროს საკუთარი სკამის შესანარჩუნებლად. შესაძლოა ისიც კი ირწმუნოს, რომ მას უკეთ ესმის რაში მდგომარეობს საზოგადოება თუ საყოველთაო სიკეთე, ვიდრე ნებისმიერ არჩეულ პოლიტიკოსს და არც ისაა გამორიცხული, ყველანაირად წინაღუდგეს პროგრესულ, რეფორმისტულ პოლიტიკურ ტენდენციებს და ამავე დროს, საკუთარი თავი სწორედაც რომ სახელმწიფო ინტერესთა ერთგულ დამცველად წარმოიდგინოს.

ბიუროკრატის ორგანიზების ფორმები

ბიუროკრატის ვებერსეული თეორიის ერთი ნაკლოვანებაც ისაა, რომ ბიუროკრატია, საკუთარი ერთგვაროვნების გამოისობით, მალე მთელს მსოფლიოში მსგავს სტრუქტურებად ჩამოყალიბდება. ვებერის “იდეალური ტიპი” უგულვებელყოფს ბიუროკრატული აპარატის მოწყობის განსხვავებულ გზებს და იმ პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ნაირგვარობას, რომლის ფარგლებშიც უწევს საქმიანობა. ბიუროკრატის ორგანიზებას ორი მიზეზის გამო აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა: იგი ზეგაუდუნას ახდენს მთავრობის ადმინისტრაციულ ქმედითუნარიანობაზე და საჯარო ანგარიშვალდებულებისა და პოლიტიკური ზედამხედველობის შესაძლო ხარისხს განსაზღვრავს. ბიუროკრატის ორგანიზებისა და მოცულობის საკითხი მას მერე კიდევ უფრო საჭირობოროტო გახდა, რაც XX საუკ. 80-იანი წწ. მოყოლებული, მისი დაფინანსების შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა. ეს, ნაწილობრივ, “ახალი მემარჯვენეობის” იდეების შედეგია, თუმცა ამ ტენდენციის გაღრმავებაში არანაკლები წვლილი ეკონომიკურ გლობალიზაციასაც მიუძღვის. ახლა ბევრი სახელმწიფო ცდილობს, საკუთარი ადმინისტრაციული მანქანის ოპტიმიზაცია მოახდინოს, და ამ პროცესს ზოგჯერ “მთავრობის მოდერნიზებასაც” უწოდებენ ხოლმე.

ნებისმიერი ბიუროკრატული აპარატი შესაბამისი დეპარტამენტების, სამინისტროებისა და სააგენტოებისაგან შედგება, რომლებიც პოლიტიკის ამა თუ იმ სფეროზე აკებენ პასუხს: განათლებაზე, მშენებლობაზე, თავდაცვაზე, ნარკომანიასთან ბრძოლაზე თუ გადასახადების აკრეფაზე. ბიუროკრატული აპარატის ძირითადი მახასიათებელი კი მისი შინაგანი ცენტრალიზაციისა თუ დეცენტრალიზაციის ხარისხია. ლიბერალურ-დემოკრატიულ ბიუროკრატიათაგან, ტრადიციულად, ყველაზე ცენტრალიზებული ფრანგულია: მაშინ როცა ბრიტანული და გერმანული ბიუროკრატები რეფორმებისა და პოლიტიკურ რეალობებთან მორგების პროცესში ყალიბდებოდნენ, ფრანგული სისტემა იმთავითვე ადმინისტრირების ნაპოლეონისეულ მოდელზე აიგო. აქ ზედმიწევნით ცენტრალიზებული და მკაცრად იერარქიული იმგვარი სტრუქტურის შექმნა იგულისხმებოდა, რომელიც ტექნიკური ექსპერტების ცოდნა-გამოცდილებას დაყრდნობდა — ფრანგული სახელმწიფოს შორსმძიავლ ინტერესთა საკუთილდღეოდ.

კორუფცია:

ზოგადი გაგებით, ესაა ბიწიერებისა და უწყსობის ის მდგომარეობა, როცა ძალაუფლების წყურვილი ბატონობისა და სხვათა ინტერესების იგნორირების მოთხოვნილებას ბადებს. უფრო ვიწრო გაგებით — ესაა პირადი გამორჩენის ხარჯზე საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის დაუიწყება. უძრავლეს შემთხვევაში ეს მატერიალური, კონკრეტულად კი — ფინანსური დაინტერესებით გამოიხატება და პოლიტიკური თვალსაზრისით, მექრთამეობას და პროტექციონიზმს უწყობს ხელს.

დეპარტამენტალიზმი

ესაა ცენტრიდანული ტენდენცია ბიუროკრატიული სტრუქტურის მიხედვით, რომელიც უმთავრესად ამა თუ იმ დეპარტამენტისა და სააგენტოს ვიწრო უწყებრივი ინტერესების დაცვას გულისხმობს. შედეგად, ისინი უკვე ძნელად ემორჩილებიან როგორც პოლიტიკურ კონტროლს, ასევე ზოგად ადმინისტრაციულ დისციპლინას. ამას ასევე, მინისტრთა თუ სხვა დიდჩინოსანთა “შუნდირის დაცვის” ტაქტიკაზე გადასვლაც შეიძლება მოჰყვეს.

ანღლებური საზოგადოებრივი მართვა

ეს ტენდენცია კერძო სექტორისათვის დამახასიათებელი მენეჯერული ტექნიკის სამთავრობო სტრუქტურებში დანერგვას უჭერს მხარს; მეორეს მხრივ კი — სამთავრობო ფუნქციების კერძო ინსტიტუტებისათვის გადანაწილებას. იგულისხმება, რომ მთავრობა უნდა “მესაჭვობდეს”, (პოლიტიკურ კურსს განსაზღვრავდეს), ხოლო კერძო ინსტიტუტები — “შენიშნებოდნენ”, ანუ — გადაწყვეტილებებს ანხორციელებდნენ. კრიტიკოსების აზრით, ეს ანღლებური საზოგადოებრივი მართვა მხოლოდ იმას ქადაგებს, რომ “კერძო — კარგია, საზოგადოებრივი — ცუდი”, რაც ძირისძირშივე მცდარი საზრისია.

საფრანგეთში უზენაესი ადმინისტრაციული ორგანო სახელმწიფო სათათბიროა, იგი მრჩეველის ფუნქციას ასრულებს საკანონმდებლო ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით და ქვეყნის უმაღლესი ადმინისტრაციული არბიტრის უფლებამოსილებითაა აღჭურვილი.

ამის საპირისპიროდ, ამერიკის შერთებული შტატები სწორედ რადიკალიზებული ბიუროკრატიის მაგალითია. ფედერალური ბიუროკრატია უშუალოდ პრეზიდენტის, როგორც უზენაესი ზედამხედველ ხელმძღვანელობით საქმიანობს; თუმცა, ამერიკული ბიუროკრატია იმდენად გაბნეული და ძნელად სამართავია, ნებისმიერ პრეზიდენტს დიდი ძალისხმევა სჭირდება მისი კოორდინირებისა და საერთო კალაპოტში მოსაქცევად. სირთულის ერთი შედეგი იმისაა, რომ ფედერალური და ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობა ერთმანეთს ემთხვევა; მეორე კი — ხელისუფლების დაყოფის პრინციპის უშუალო ზეგავლენა. როცა ერთს მხრივ, აღმასრულებელი დეპარტამენტები თუ სააგენტოები უშუალოდ პრეზიდენტის ხელმძღვანელობით მოქმედებენ, კონგრესის მიერ პარალელურად იქმნება უამრავი დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიები მართალია, ამ კომისიების წევრებს პრეზიდენტი ამტკიცებს, მაგრამ მას არც მათი გათავისუფლება და არც კონგრესის მიერ მათთვის განსაზღვრულ უფლებამოსილებებში ჩარევა შეუძლია.

XX საუკ. 70-იანი წწ., სამთავრობო ბიუროკრატიათა ჩვეული წყობა სერიოზული ეჭვისა და გადასინჯვის საგანი გახდა. მაგალითად, კლინტონის ადმინისტრაციამ ყურად იღო 90-იან წწ. პოპულარული ოსბორნისა და გეძლერის იდეები, რომელთა თანახმადაც, მთავრობის საქმე “მესაჭვობაა” და არა “ნიშბების მოსმა”. სხვანაირად რომ ვთქვათ, აღმასრულებელი ხელისუფლება სწორედ მაშინაა ყველაზე წარმატებული, როცა პოლიტიკის “კეთებითაა” დაკავებული და ამ პოლიტიკის გატარების ტვირთს იმ ორგანოებს გადააბარებს, რომლებიც სახელმწიფო სააგენტოების სტატუსით მოქმედებენ.

ამგვარი იდეები საფუძვლად დაედო ე.წ. “ახალი საზოგადოებრივი მართვის” სტილს, როცა ჯერ ტექტიკისა და მეიჯორის, ხოლო შემდგომ კი ბლერის მთავრობებმა საჯარო სამსახურის სერიოზული რეფორმები გაატარეს — ერთგვაროვანი სახელმწიფო ადმინისტრაცია საკუთარ მინისტრებს მხოლოდ პოლიტიკურ ფუნქციებს უტოვებდა და ამ პოლიტიკის გატარების პასუხისმგებლობას სხვადასხვა აღმასრულებელ სააგენტოებს უნაწილებდა — მათ შორის, კერძო სექტორის წარმომადგენლებსაც.

კერძოდ, ბლერის მთავრობა ცდილობდა ე.წ. ვააოების როლის გაზრდით, მხოლოდ შედეგზე ორიენტირებული პროგრამები დაეფინანსებინა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ჯანდაცვა, განათლება, და ქალაქდაგეგმარება. თუმცა, სახელმწიფოს როლის შეზღუდვის ყველაზე რადიკალური მცდელობა მაინც ტექტიკისეული პროვატინების პოლიტიკაში გამოიხატა, როდესაც ისეთი დარგები, როგორიცაა ტელეკომუნიკაცია, ელექტრომომარაგება, გაზომომარაგება, წყალმომარაგება თუ ტრანსპორტი, საზოგადოებრივი საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში გადავიდა.

პაპი — დადებითი და უარყოფითი მხარეები

თავისთავად საკმაოდ საორჭოფო ტერმინი *პაპი* — “ვიტომ-ავტონომიური არასამთავრობო ორგანიზაციის” აბრევიატურაა. ზოგადი გაგებით, იგი მოიცავს ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც ხელისუფლების მიერ-აა ჩამოყალიბებული და თავის მხრივ, მუდამ მხარში უდგას მას; რაც შეეხება მის შემადგენლობას, ამ ტიპის ორგანიზაციებში ვითომ სრულიად “დამოუკიდებელი” პიროვნებები და არა საჯარო მოხელეები ინიშნებიან. შესაბამისად, ვააოები სხვადასხვა ხასიათის აღმასრულებელი ფუნქციების მატარებელ ორგანიზაციებს აერთიანებენ, ისევე როგორც სათათბირო კომიტეტებსა თუ სხვადასხვაგვარ საარბიტრაჟო კოლეგიებს. მათი მოჩვენებითი დამოუკიდებლობის მიზეზი კი ისაა, რომ მაინც მთავრობის მეთვალყურეობის ორბიტაზე რჩებიან.

პაპი-ებს შემდეგი ღირსებები გააჩნია:

-მათი არსებობა მთავრობას შესაძლებლობას აძლევს გარედან მოიწვიოს გამოცდილი მრჩევლები, ექსპერტები თუ სხვადასხვა დარგის სპრეციალისტები.

-ისინი “ოფიციალური” სამთავრობო დეპარტამენტებისა და სააგენტოების პასუხისმგებლობის ტვირთს ინაწილებენ.

თუმცა, ამ ორგანიზაციებს რამდენიმე მიზეზის გამო აკრიტიკებენ კიდევ: -სამინისტროთა გაუღუნის ქვეშ დარჩენილი ვააოები პოლიტიკური ალაუფლების ცენტრალიზაციას უწყობენ ხელს.

-მნიშვნელოვნად ამცირებენ წარმომადგენლობითი ინსტიტუტების მხრიდან მთავრობის საქმიანობის უშუალო ზედამხედველობას, რითაც დემოკრატიული ანგარიშვალდებულების პრინციპს ასუსტებენ.

-საჯარო ადმინისტრირების ამორფულობისა და დაქსაქსულობის გამო, ისინი ე.წ. **ბალკანიზაციის** ტენდენციისაკენ უბიძგებენ ბიუროკრატიულ აპარატს.

მართალია, მსგავსი ტიპის რეორგანიზაცია, ერთის შეხედვით, სახელმწიფოს მხრიდან უკანდახევას ჰგავს, მაგრამ რეალურად, ამან მეტ ცენტრალიზაციამდე და სწორედაც რომ სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებამდე შეიძლება მიგვიყვანოს: ამის მიზეზი კი ისაა, რომ გარკვეული ტიპის სოციალურ მომსახურებაზე მთავრობის მიერ უშუალო პასუხისმგებლობის მოხსნა თავისთავად აჩენს იმ ახალ-ახალ ორგანიზაციულ შექმნის აუცილებლობას, რომლებმაც მომსახურების ამ სფეროთა დაფინანსება და ზედამხედველობა უნდა იკისრონ. ასე რომ, სწორედ “ეკონომიკის ეკონომიურობისა” და მიზანშეწონილობის სახელით გადადგმული ნაბიჯები, შესაძლოა, სინამდვილეში უკუეფექტის მომცემი აღმოჩნდეს. მაგალითად,

პრივატიზაცია:

სახელმწიფო საკუთრების საზოგადოებრივიდან კერძო სექტორისათვის გადაცემა, რაც სახელმწიფო პასუხისმგებლობათა შემცირების გამოხატულებაა.

ბალკანიზაცია:

ამა თუ იმ პოლიტიკური ორგანიზმის ურთიერთდაპირისპირებულ ნაწილებად დახლეწა, რისი მაგალითიც ხშირად გვხვდება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

18. ბიუროკრატიული აპარატი

იგივე საბჭოთა კავშირის მაგალითზე ნათლად გამოჩნდა, რომ ყველაფრის დაგეგმვის მანიას რესურსების უყაირათო ხარჯვასა და შედეგად, სრულ “უძრაობამდე” მიყვარო.

სად გადის ბიუროკრატიის ძალაუფლების ზღვარი?

ბიუროკრატიული ძალაუფლების წყაროები

მართალია, ბიუროკრატიას წესით და კანონით, საზოგადოების უანგარო სამსახური ევალება, მაგრამ საყოველთაო აზრის თანახმად, ის გაელენიანი ადამიანების იმ ერთიანობად ჩამოყალიბდა, რომელსაც დღეს უკვე ხელისუფლების “მეოთხე შტოსაც” კი უწოდებენ. ბიუროკრატიული ძალაუფლების ფენომენს ისეთმა განსხვავებულმა თეორეტიკოსებმა მიაქციეს ყურადღება, როგორებიც იყვნენ ვებერი, ბარნეი და ტროცკი. იაპონიაში მაგალითად, საჯარო მოხელეები, განსაკუთრებით პრესტიჟული *საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის* თანამშრომლები, იმ “შეუცვლელ” პოლიტიკურ ფიგურებად ითვლებიან, ვისაც 1930-იანი და 1960-იანი იაპონური “ეკონომიკური სასწაული” მიეწერება; გაერთიანებულ სამეფოში კი საჯარო მოხელეებს სულაც “ბრიტანეთის მმართველ კლასს” უწოდებენ.

ბიუროკრატიის ძალაუფლებას ეჭვის ქვეშ ადარც მემარჯვენეები და ადარც მემარცხენეები ადარ აყენებენ, და ადარც საჯარო მოხელეთა მიუკერძოებლობის მითისა სჯერა ვინმეს. თუმცა, უნდა გვანსოდეს, რომ თავისთავად ეს ბიუროკრატიული ძალაუფლება საკმაოდ შეფარული და შენიღბულია, რადგან მისი წყარო, უმთავრესად, იმ მინისტრებთან კულუარული გარიგებებია, რომელნიც საზოგადოებრივ ზედამხედველობას არ ექვემდებარებიან. აქედან გამომდინარე, ბიუროკრატიის ძალა შემდეგ ფაქტორებზეა დამოკიდებული:

- ◀ რა სტრატეგიული მდგომარეობა უკავია ბიუროკრატიას პოლიტიკურ პროცესში
- ◀ რა უწყებრივი ურთიერთობები მყარდება ბიუროკრატებსა და მინისტრებს შორის
- ◀ როგორია ბიუროკრატთა სტატუსი თუ გამოცდილება.

თავისთავად, პოლიტიკური პროცესი ნებისმიერ თანამედროვე სახელმწიფოში იმგვარად წარმართება, რომ საჯარო მოხელეთა გაელენის გაძლიერების ბვერი წინაპირობა იმთავითვე ჩნდება. რაც მთავარია, როგორც პოლიტიკურ მრჩეველებს, მათ ძირეულ ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი და თავადვე წყვეტენ, როგორ და რა დოზით მიაწოდონ იგი ზემდგომებს. შესაბამისად, პოლიტიკური წინადადებები იმგვარი შერჩევითა და განზრახვით შეიძლება იქნას მიწოდებული, რაც მათთვის სასურველი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას შექმნის. ცხადია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოსდა ბიუროკრატები შეგნებულად მანიპულირებდნენ, ან ღიად

აფიქსირებდნენ პოლიტიკურ სიმპათიებს — უბრალოდ, მათი სურვილები, ნებისთი თუ უნებლიედ, პოლიტიკურ დისკურსზეც აისახება და საბოლოო გადაწყვეტილებებზეც ახდენს ზეგავლენას.

სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფებთან დამყარებულმა კავშირებმა კიდევ უფრო განამტკიცა ბიუროკრატიის მდგომარეობა: როგორც ხელისუფლების “სახე”, ამ ჯგუფებთან ურთიერთობისას იგი გადამწყვეტ როლს თამაშობს გადაწყვეტილებების მიღებაში; გარდა ამისა, როცა პოლიტიკოსები ახერხებენ რჩევის სხვა წყაროებიდან მიღებას, მიღებული გადაწყვეტილებების პოლიტიკური განხორციელება მაინც იგეგვ ბიუროკრატიის საქმედ რჩება — გინდა სახელმწიფო სტრუქტურა იყოს, გინდა შპს-ი. სწორედ საჯარო მოხელეები წყვეტენ, როგორ განახორციელონ ესა თუ ის პოლიტიკური გადაწყვეტილება, ანთუ შეაფერხონ და დროში გაწელონ იგი.

ბიუროკრატიის მეორე წყარო მათი მინისტრებთან ურთიერთობის ოპერატიულობა და მათ შორის პასუხისმგებლობათა გადანაწილებაა. წესით, მინისტრები პოლიტიკური ხელმძღვანელები არიან, დანიშნული ბიუროკრატები კი — მათი მორჩილი ხელქვეითები. თუმცა, ბევრი საბუთი არსებობს საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად: ჯერ ერთი, მაღალი რანგის ბიუროკრატები რაოდენობრივად ბევრად ჭარბობენ პოლიტიკოსებს; ამიტომაც, ამოღენა არმიის მუდმივი ზედამხედველობა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.

მეორე ისაა, რომ არჩეული პოლიტიკოსისა და საჯარო მოხელის კარიერის კიბე თვისობრივად განსხვავებულია: თუკი მინისტრები და სხვა არჩევითი თანამდებობის პირები მხოლოდ დროებით ინარჩუნებენ პოსტებს, საჯარო მოხელეები ყველა დროსა და ხელისუფლებაში პოულობენ თავიანთ ადგილს.

მესამეც, გაგლენის კიდევ ერთი სერიოზული საფუძველი ის მდგმარეობა და ნდობაა, რითაც საჯარო მოხელენი სარგებლობენ ხოლმე. ბევრგან ბიუროკრატიის ზედა ეშელონების წარმომადგენლებს მერიტოკრატიულ ელიტად მიიჩნევენ, და პასუხისმგებლობასაც აკისრებენ ზოგად-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. სწორედ ამის გამოვლინებაა ის განსაკუთრებული ყურადღება, რაც საჯარო მოხელის თანამდებობაზე დანიშნვისას მის ცოდნასა და უნარს ენიჭება. ევროპის ბევრ ქვეყანაში, ბიუროკრატიულ სისტემაში ამა თუ იმ პოსტის დასაკავებლად, რამდენიმესაფეხურიანი გამოცდებისა და კონკურსების გავლაა აუცილებელი; გაერთიანებულ სამეფოში, მაგალითად, საჯარო სამსახურში “ოქსბრიჯელები” (ოქსფორდ/კემბრიჯ დამთავრებულების) აშკარა სიმრავლე შეინიშნება.

მათთან შედარებით, მინისტრები ხშირად ამა თუ იმ სფეროში სათანადო ცოდნის გარეშე, მოუწხადებლები იკავებენ პოსტებს, რაც სპეციალისტთა რჩევებსა და დახმარებას განსაკუთრებულ წონას მატებს. რაკიდა მინისტრები პოლიტიკური ნიშნით იბარებენ თანამდებობებს, თვალსაჩინო ხდება განსხვავება პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილებასა და ეფექტიან ადმინისტრირებას შორის. კერძოდ, საპარლამენტო სისტემებში მინისტრთა

არჩევანი საკმაოდ მწირია: სავარაუდო კანდიდატები ხომ მხოლოდ უმრავლესობით მოსული პარტიის რიგებშია საძიებელი, მათგან კი ძალა ცოტა თუა ამა თუ იმ დარგის სპეციფიკაში ჩახედული და არც დიდი რაზმის ნიშანცეების მართვის გამოცდილება გააჩნიათ.

როგორ მოეთოკოთ ბიუროკრატია?

პოლიტიკური დემოკრატია უშინაარსო ცნებად რომ არ იქცეს, დანიშნულ მოხელეები უცილობლად ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ ამ პოლიტიკოსთა წინაშე, რომელნიც თავის მხრივ, მთელი საზოგადოების წინაშე აგებენ პასუხს. არადა, ლიბერალური დემოკრატის მუდმივი ტიკოსები სწორედ იმ არგუმენტს იშველიებენ, რომ სინამდვილეში, პარტიული კონკურენციისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ფასადს მიღმა, ბიუროკრატის უკონტროლო და უპასუხისმგებლ ძალაუფლება იმალება. შესაბამისად, აუცილებელია კორუფციის, მანკიერი ადმინისტრირებისა თუ/და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო გარანტიების შექმნა. თავად ბიუროკრატები შესაძლოა ამტკიცებდნენ — არავითარი გარეგანი კონტროლი არ გვჭირდება, ვინაიდან ჩვენი პროფესიული ჩვევები და საჯარო მოხელის “შუნდირის ღირსება” იმთავითვე გარანტიას — მაგრამ ბიუროკრატული განვითარებულ ქვეყანაში, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული საჯარო სამსახურის კულტურა, შესაძლოა, პრობლემას კი არ აგვარებდეს, უკონტროლო ართულებდეს კიდევ: ასეთ დროს ჩნდება რწმენა იმისა, რომ ასე ვთქვათ “საქმის მცოდნე ხალხს არ ესწავლება”. ბიუროკრატის კონტროლის უმთავრეს ფორმებად უნდა ჩაითვალოს:

- ◀ პოლიტიკური ანგარიშვალდებულების მექანიზმების შემუშავება
- ◀ საჯარო სამსახურის პოლიტიზაცია
- ◀ ბიუროკრატის საპირწონე მექანიზმები.

პოლიტიკური ანგარიშვალდებულება

სახელმწიფო ბიუროკრატია შესაძლოა ანგარიშვალდებულად გავხადოთ აღმასრულებელი ხელისუფლების, პარლამენტის, სასამართლო ხელისუფლებისა თუ საზოგადოების წინაშე. ჩამოთვლილთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი, ცხადია, ხელისუფლების აღმასრულებელი შტო უნდა იყოს, რადგან ქვეყნის მართვის ადმინისტრირებაზე სწორედ ისაა მთლიანად პასუხისმგებელი და საქმიანობასაც საჯარო სამსახურებთან უშუალო კავშირით ახორციელებს. აღმასრულებელი კონტროლის ყველაზე სრულყოფილი სისტემა სახელმწიფო სოციალიზმის ისეთ რეჟიმებს ახასიათებს, როგორებიც ჩინეთსა თუ ყოფილ საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა, სადაც პარტიულ ორგანოთა მკაცრად იერარქიზებული სტრუქტურები სახელმწიფო ადმინისტრაციის პარალელურად მოქმედებდნენ და ზედამხედველობასაც უწევდნენ მას. თუმცა, ამ ქვეყნებში სახელისუფლებო მანქანა იმდენად მოუქნელი და ხისტი იყო, რომ “მმართველი” პარტიის

მანკიერი ადმინისტრირება:
ძალაუფლების მახინჯი გამოყენება, კანონების საკუთარ თარგზე “შორება”, კანონიერი პროცედურების უგულებელყოფა, ან უბრალოდ, უმეცრება.

მარად ფხიზელი თვალის მიუხედავად, კომუნისტური ბიუროკრატები, საბოლოო ჯამში, საკუთარი კერძო ინტერესების ტყვეობაში აღმოჩნდნენ ანდა, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალური და რეგიონალური ვიწრო ინტერესების გამტარებლებად იქცნენ.

რაც შეეხება ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით ისეთებს, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტიდან ყალიბდება, პოლიტიკური კონტროლი დიდადაა დამოკიდებული მინისტრთა პასუხისმგებლობის დოქტრინის დაცვაზე. ამ დოქტრინის თანახმად, მხოლოდ და მხოლოდ მინისტრები აგებენ პასუხს საკანონმდებლო ორგანოს წინაშე საკუთარი თანამშრომლების ქმედებებსა და მათ დაქვემდებარებაში არსებული დეპარტამენტების მიერ გატარებულ პოლიტიკაზე. მინისტრთა ამგვარი პასუხისმგებლობა ყველაზე უკიდურესი ფორმით გაერთიანებულ სამეფოში ვლინდება ხოლმე, სადაც დღეს უკვე თავისთავად იგულისხმება, რომ საჯარო მოხელეები პასუხს მხოლოდ საკუთარი მინისტრების და, შესაბამისად, არსებული მთავრობის წინაშე აგებენ. თუმცა, ბიუროკრატის კონტროლი ამ დოქტრინის პირობებშიც საკმაოდ გამწვანებულია სამი რამის გამო: ერთი რომ, თანამედროვე ბიუროკრატიული აპარატის გამოჯგვილობა, მრავალრიცხოვნება და სტრუქტურული სირთულე პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მინისტრებისთვის მის ეფექტიან ზედამხედველობას. მეორეც — თავად მინისტრებს მაინცდამაინც არ ეჭაშნიკებათ თანამდებობიდან გადადგომა და კარიერაზე ჯვარის დასმა — საკუთარი თანამშრომლების გადაცდომების გახმაურების გამო — და მსგავსი გადადგომები და მათი თანამდევნი საზოგადოებრივი აუთოტაჟი არც პრემიერ-მინისტრებისთვისაა სასარგებლო. მესამე: როგორც წესი, საკანონმდებლო ორგანოებიც ვერ გამოიჩინებენ ხოლმე ვერც სათანადო გათვითცნობიერებულობით და ვერც პოლიტიკური ნებით, მკაცრი მეთვალყურეობა გაუწიონ გნებავთ მინისტრებს და გნებავთ საჯარო მოხელეებს ზოგადად.

არადა, საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან მკაცრი მეთვალყურეობა, ბიუროკრატის პოლიტიკური ანგარიშვალდებულების კიდევ ერთი აუცილებელი პირობაა. სხვათა შორის, 1979 წელს გაერთიანებულ სამეფოში მიღებული გადაწყვეტილება, მაშინ ახლად შექმნილი სადეპარტამენტო დარგობრივი კომიტეტებისათვის მაღალი თანამდებობების საჯარო მოხელეთა და თავად მინისტრთა გამოძახებისა და “დაკითხვის” უფლება მიეცათ, სწორედ მინისტრთა პასუხისმგებლობის სისტემის არაქმედიოუნარიანობის შეფარული აღიარება გახლდათ. თუმცა, საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან წარმატებული მეთვალყურეობა უშუალოდ უკავშირდება დაფინანსების საკითხს: ამერიკის კონგრესი ყურადღებით აკვირდება პრეზიდენტის ბიუჯეტს და კონსტიტუციური უფლებაც აქვს გამოითხოვოს დამატებითი თანხები სხვადასხვა აღმასრულებელი დეპარტამენტისა თუ სააგენტოსათვის. ეს კონგრესის კომიტეტებს შესაძლებლობას აძლევს შეისწავლონ და გამოიძიონ ყოველი დეპარტამენტის საქმიანობა, აკონტროლონ მათი ხარჯთ-აღრიცხვა და გამოაუღინონ მანკიერი ადმინისტრირებისა თუ გაფლანგვის ფაქტები. თუმცა, სწორედ კონგრესის მეთვალყურეობამ, შესაძლოა, განაპირობოს ძლიერი კავშირების, ე.წ. “რკინის სამკუთხედების”, ანუ — იმგვარი პოლიტიკური ალიანსების შექმნა, როცა აღმასრულებელი

მინისტრის

პასუხისმგებლობა

ეს ცნება განსაზღვრავს ურიდებულებას მინისტრებსა და მათ დეპარტამენტებს შორის, და საბოლოო ჯამში, საჯარო სამსახურის საზოგადოებრივ ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს. მინისტრი პასუხს აგებს საკუთარი დეპარტამენტის ქმედებებსა და შეცდომებზე; ამავე დროს, ის ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ორგანოს წინაშე და მისი თანამდებობიდან განთავისუფლება შესაძლებელია ნებისმიერი დაქვემდებარებული დეპარტამენტის საჯარო მოხელის გადაცდომისა თუ არა კომპენეტურობის მოტივით. თეორიულად, სწორედ მინისტრის ეს პასუხისმგებლობა განსაზღვრავს ანგარიშვალდებულების იმ ჯაჭვის რაობას, რომელიც საჯარო მოხელეებს საზოგადოებასთან აკავშირებს — მინისტრებისა და საკანონმდებლო ორგანოების მეშვეობით.

18. ბიუროკრატიული აპარატი

სააგენტო, კონგრესის შესაბამისი კომიტეტი და ესა თუ ის ინტერეს-ჯგუფი საერთო ენას ნახულობენ და ერთმანეთში რიგდებიან კიდევ.

ბიუროკრატიის სასამართლო ზედამხედველობა იმ ტიპის სისტემებისათვისაა დამახასიათებელი, სადაც სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანოების უფლება—მოვალეობათა დამდგენი ადმინისტრაციული კანონმდებლობა, თავად ზოგადი სამოქალაქო სამართლის ცანც განშტოებად არსებობს. კონტინენტური ევროპის ბევრ ქვეყანაში, ამის შედეგად ადმინისტრაციულ სასამართლოთა თუ ტრიბუნალოთა მთელი სისტემებია შექმნილი, რომლებსაც სამთავრობო ბიუროკრატია და კონკრეტულ მოქალაქეთა შორის წარმოქმნილი დაპირების გადაჭრა ევალებათ.

ბიუროკრატია პასუხი შესაძლოა თავად საზოგადოებამაც მოკითხოს და ამის არაერთი ფორმალური თუ არაფორმალური გზა არსებობს. ერთ მათგანია თავიდან სკანდინავიაში შექმნილი, თუმცა შემდგომ ბევრ სხვა ქვეყანაში გაზიარებული ომბუდსმენის სისტემა. მართალია, ეს სისტემა კერძო საჩივრების დაკმაყოფილების მრავალგვარ საშუალებას გულისხმობს, მაგრამ უშუალოდ ომბუდსმენს იშვიათად აქვს უფლება კანონის ძალით იმოქმედოს და არც საკუთარი გადაწყვეტილებების უშუალოდ აღსრულების მექანიზმები გააჩნია. რაც შეეხება გაერთიანებული სამეფოს ადმინისტრაციის საპარლამენტო კომისიას, იგი უაღრესად არაქმედითუნარიანია, რამდენადაც საჩივრის შეტანა საზოგადოებას მხოლოდ პარლამენტის წევრის მეშვეობით შეუძლია და არა პირდაპირი გზით; ეგეც არ იყოს, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ფაქტიურად საერთოდ არც არაფერი სმენია ამ კომისიისა და მისი დანიშნულების შესახებ.

ბიუროკრატიაზე არაფორმალური ზემოქმედების მთავარი ინსტრუმენტებია მასმედია და სხვადასხვაგვარი ინტერეს-ჯგუფები. საჯარო მოხელეებს შესანიშნავად ესმით, რომ ფორმალური ანგარიშვალდებულების მექანიზმების გარდა, მათი მდგომარეობა და საზოგადოებრივი იმიჯი მნიშვნელოვნად შეიძლება დააზარალოს კორუმპირებულობისა თუ ადმინისტრაციული გადაცდომების გამო ატეხილმა ყალიბამ. ასე მაგალითად, XX საუკუნის 70-იანი წლების უოთერგეითის სკანდალმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, უკიდურესობამდე გააძლიერა ისეთ სამთავრობო სააგენტოებზე ზედამხედველობა, როგორებიცაა დაზვერვის ცენტრალური სააგენტო (CIA) და გამოძიების ფედერალური ბიურო (FBI). 1985 წელს, როცა ფრანგულმა გაზეთმა “ლე მონდმა” გრინფისის გემის, “რეინბოუ უორიორის” ჩაძირვის მიზეზითაღებულ ამბავი გაახმაურა, ამას საბოლოოდ თავდაცვის მინისტრის გადადგომა მოჰყვა შედეგად. თუმცა, მეორეს მხრივ, შესაძლოა მსგავსი ტიპის გამოძიებებს ძალიან შეუშალოს ხელი გამჭვირვალე მმართველობის (იხ. გვ. 436) არარსებობამ და გასაიდუმლოების იმ საყოფელთათო მანიამ, რაც ზოგადად ყველა სახელმწიფო ადმინისტრაციას მეტ-ნაკლებად ახასიათებს.

პოლიტიზაცია

პოლიტიკური კონტროლის განხორციელების ერთ-ერთი გაურცვლებული ფორმა — არსებული ხელისუფლების იდეოლოგიური მხარდაჭერის ნიშნით ბიუროკრატიული აპარატის მაღალჩინოსანთა შერჩევაა. ცხადია, ეს მიმდინარეობს ამცირებს სხვაობას როგორც პოლიტიკასა და ადმინისტრირებას, ასევე პოლიტიკოსებსა და საჯარო მოხელეებს შორის. ამგვარი კონტროლი პოლიტიკური დანიშნულების სისტემის მეშვეობით ხორციელდება — ამ ე.წ. “ნადავლის განაწილების” სისტემას, ამერიკაში ენდრიუ ჯეკსონმა ინსტიტუციური ხასიათი მიანიჭა XIX საუკ., როდესაც ქვეყნის ფედერალური საჯარო სექტორის 20% დაითხოვა და საკუთარი პარტიული კადრებით ჩაანაცვლა. პრეზიდენტის შეცვლასთან ერთად, ამერიკაში ადმინისტრაციაც იცვლება და დაახლოებით 4000 საკვაძო პოსტზე მოხელეები პოლიტიკური ნიშნით შეირჩევიან. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად ნოემბრის არჩევნებსა და პრეზიდენტის იანვრის ინაუგურაციის შუა პერიოდში მიმდინარეობს. ამ თანამდებობზე 200 ადამიანი ინიშნება უშუალოდ პრეზიდენტის მიერ, დანარჩენებს კი უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფალნი წარადგენენ, პრეზიდენტის თანხმობის მისაღებად.

გაერთიანებულ სამეფოში, საჯარო სამსახურის დეპარტამენტის გაუქმებების შემდეგ, ბიუროკრატიის კადრების ფაქტიურად სრული “ტერტიზაცია” მოხდა. ქ-ნ პრემიერ-მინისტრს იმასაც კი აბრალებდნენ, თანამდებობაზე დანიშნვის წინ ნებისმიერ კანდიდატზე იმას კითხულობს — ჩვენთანია თუ არაო. პოლიტიზაციის ჭია ფრანგულ ადმინისტრაციასაც შეუჩნდა: ამჟამად 500 უმაღლეს თანამდებობაზე უშუალოდ წამყვანი პოლიტიკური ფიგურების მითითებითაა ხალხი დანიშნული, და ახლა ფრანგული ბიუროკრატიის ნაღები პოლიტიზირებულ კლანთა ერთგვარ კოქტილს უფრო წააგავს, ვიდრე ნებისმიერ პარტიულ პოლიტიკაზე მაღლა მდგომ, ერთ მტკიცე მონოლითს.

ცხადია, ამგვარი პოლიტიზაცია ძირისძირშივე ეწინააღმდეგება საჯარო მოხელის, როგორც თავისი პროფესიული ნიშნით ყველა ხელისუფლებისათვის ერთნაირად საჭირო ფიგურის იდეას. როცა ბიუროკრატია პოლიტიკური ნიშნითაა შერჩეული, ანდა არსებული ხელისუფლების იდეოლოგიური მხარდაჭერის გამო — მისი საქმიანობაც ისეთივე დროებითი ხდება, როგორც მათი პოლიტიკური ბოსებისა. აქედან გამომდინარე, აღარც მაღალი კლასის სპეციალისტებს მიუწვეთ გული დროებით და სათუთ თანამდებობებისაკენ; მეორეს მხრივ, იდეოლოგიურმა ალტკინებამ შესაძლოა, საჯარო მოხელეებს ობიექტურად ვერც დაანახოს მისაღები პოლიტიკური გადაწყვეტილებების ყველა ნაკლი თუ შესაძლო საფრთხე. სწორედ ამიტომაცაა ღირებული მიუკერძოებლობა, რაც ბიუროკრატიას პოლიტიკოსებთან მეტისმეტი “დამძობილების” საშუალებას არ აძლევს და უფრო საღად აფასებინებს იმ პოლიტიკური კურსის ძლიერ და სუსტ მხარეებს, რომლის აღსრულებაც მათი უშუალო მოვალეობაა.

ომბუდსმენი

ომბუდსმენი (იგივე სახალხო დამცველი) სკანდინავიური წარმოშობის სიტყვაა და ზუსტი ანალოგია არც ერთ ენაში არ მოეპოვება. იგი სახელმწიფო მოხელეა, რომელსაც მოქალაქის უფლებების დაცვა და მანკიერი ადმინისტრირების შემთხვევებზე რეაგირება ევალება. თუმცა, არავითარი საკანონმდებლო/აღმასრულებელი უფლება-მოხსილება მას არ გააჩნია.

ბიუროკრატიის საპირწონე

პოლიტიკური კონტროლის ბოლო მექანიზმად იმგვარი სტრუქტურები შეიძლება ჩაითვალოს, რომლებიც პოლიტიკოსთა დასახმარებლად ანდა ოფიციალური ბიუროკრატიის საპირწონედ იქმნება. ამგვარი სისტემის უმარტივესი მაგალითია პოლიტიკურ მრჩეველთა ინსტიტუტი, რაც დღესდღეობით ლამის ყველა თანამედროვე სახელმწიფოს აპარატის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. გაერთიანებულ სამეფოში ეს ad hoc (დროებითი) კომისიების წესით ხორციელდება. მარგერიტ ტეტჩერი, მაგალითად, ხშირად მიმართავდა რჩევისთვის პოლიტიკურ კვლევათა ცენტრსა თუ ედამ სმიტის ინსტიტუტს; ბლერი კი — საკუთარი კაბინეტის ადმინისტრაციის გასადღიერებლად — საჯარო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტსა თუ Demos ცენტრს. საფრანგეთში დიდი ხანია არსებობს, და ეს იტალიამ და ავსტრიაშიც გადაიღეს — ე.წ. “მინისტრის პირადი შტაბის” პრაქტიკა: ესაა დაახლოებით მრჩეველთა 15-კაციანი გუნდი, რომელიც ამა თუ იმ მინისტრს პოლიტიკის შემუშავებაში, დეპარტამენტთა საქმიანობის ზედამხედველობასა და სხვა არა ერთი ფუნქციის შესრულებაში ეხმარება.

ბიუროკრატიის საპირწონეს იდეა ყველაზე წარმატებულად ამერიკის შერთებულ შტატებში განხორციელდა, ე.წ. პრეზიდენტის აღმასრულებელი ოფისის სახით. პირველი ამგვარი ოფისი რუზველტმა შექმნა იმ მოტივით, პრეზიდენტს მხარში ამოდგომა სჭირდებოდა. დღესდღეობით პრეზიდენტის ეს პირადი ბიუროკრატია რამდენიმე საბჭოსა და ოფისისაგან შედგება და თითქმის 1400 თანამშრომელს მოითვლის. ამ სტრუქტურის უმთავრესი შემადგენელი რგოლებია: თეთრი სახლის ოფისი, ანუ პრეზიდენტის უახლოესი პოლიტიკური მრჩეველები; მენეჯმენტისა და საბიუჯეტო ოფისი, რომელიც პრეზიდენტს საბიუჯეტო და საკანონმდებლო წინადადებების მომზადებაში ეხმარება; ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, რომელსაც რჩევების მიცემა ევალება თავდაცვისა და საგარეო ურთიერთობათა საკითხებში, და ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭო, რომელიც პრეზიდენტს საკუთარ მოსაზრებებს აწვდის ეკონომიკურ პოლიტიკისადმი დაკავშირებით.

ბიუროკრატიის ამგვარ საპირწონეთა შექმნის მიზანი იმ დისბალანსის აღმოფხვრაა, რაც თავს იჩენს ერთის მხრივ, არაპროფესიონალ დროებით დასაქმებულ, რიცხვმრავალ პოლიტიკოსებსა და მათ საქმის მცოდნე, მუდმივ, პროფესიონალ მოხელეთა ურთიერთობებში. თუმცა, პოლიტიკური კონტროლის ამგვარ ფორმას თავისი ნაკლიც გააჩნია: ამერიკის პრეზიდენტის აღმასრულებელი ოფისის შემთხვევაში, ეს მთავრობის ორგანოთა დუბლირებას იწვევს, რაც თავის მხრივ, უფლებამოსილებათა კონფლიქტს და შიდაბიუროკრატიულ დაპირისპირებებს აღვივებს. ამის ყველაზე აშკარა გამოვლინებაა ის ლამის მუდმივი ანტაგონიზმი, რაც ეროვნულ უსაფრთხოების საბჭოსა და სახელმწიფო დეპარტამენტს შორის შეინიშნება. განსაკუთრებული საფრთხის შემცველი კი მაინც ის გარემოებაა, რომ უშუალოდ საკუთარი ნება-სურვილით შერჩეული მრჩეველებით გარემოცულ პოლიტიკოსები პოლიტიკური რეალობის თაობაზე მხოლოდ იმას გაიგებენ რისი მოსმენაც თავად სურთ.

შეჯამება

« ტერმინი “ბიუროკრატია” რამოდენიმე მნიშვნელობით მოიხმარება: თავდაპირველად იგი მოხელეთა და არა არჩეულ პოლიტიკოსთა მიერ მართვას აღნიშნავდა. საზოგადოებრივ მეცნიერებებში ბიუროკრატია, ჩვეულებრივ, ორგანიზების მოდელს აღნიშნავს. თუმცა, თანამედროვე პოლიტოლოგები ამ ტერმინს სახელმწიფოს ადმინისტრაციული მანქანის მნიშვნელობით ხმარობენ, თავად ბიუროკრატები კი ის არა-არჩევითი სახელმწიფო თუ საჯარო მოხელეები არიან, რომლებიც, შესაძლოა, ექვემდებარებოდნენ ან არც ექვემდებარებოდნენ პოლიტიკურ კონტროლს.

« ბიუროკრატის თაობაზე სამი ძირითადი თეორია არსებობს: ვებერისეული მოდელის თანახმად, ბიუროკრატია გონივრული მართვის ადმინისტრაციული მექანიზმია, და იგი თანამედროვე საზოგადოების მოწყობის დამახასიათებელ ფორმას წარმოადგენს. კონსერვატიული მოდელი განსაკუთრებულ ყურადღებას იმაზე ამახვილებს, თუ რამდენად ასახავს ბიუროკრატია კლასობრივ ინტერესებს და რამდენად შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს პოლიტიკურ კონტროლს. “გაბერილი” ბიუროკრატის მოდელის თანახმად, აშკარად იგრძნობა ტენდენცია ჭარბი მმართველობისაკენ, რისი მოზეზიც საჯარო მოხელეთა კარიერისტული კერძო ინტერესებია.

« ბიუროკრატის ძირეული დანიშნულება კანონისა და პოლიტიკის დანერგვა თუ აღსრულებაა სამთავრობო საქმიანობის ადმინისტრირების გზით; თუმცა, საჯარო მოხელეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მინისტრებისთვის პოლიტიკური რჩევის მიცემისა თუ სხვადასხვა ინტერესების გამოკვეთის მხრივ, და ასევე, პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებისას მთავრობისა თუ ადმინისტრაციის ცვლილების დროს.

« ბიუროკრატიული მანქანა ყოველთვის გარკვეული მიზნისა თუ დანიშნულების საფუძველზე ეწყობოდა, რაც მის დეპარტამენტებად, სამინისტროებად და სააგენტოებად დაყოფას განაპირობებს. ამ სტრუქტურაში, ცენტრალიზაციისა თუ დეცენტრალიზაციის ხარისხი მნიშვნელოვნად მერყეობს: თუმცა, დღესდღეობით, პოლიტიკის “კეთებისა” და მისი “გატარების” ურთიერთგამიჯვნის ტენდენციაც გამოიკვეთა და კერძო სექტორისთვის დამახასიათებელი შენეჯმენტის ათვისების სურვილიც.

« ბიუროკრატის გავლენის ზრდას შიშით უყურებენ, როგორც გარკვეულ საფრთხეს დემოკრატიული ანგარიშვალდებულებებისათვის. ბიუროკრატიული ძალაუფლების უმთავრეს წყაროთა შორის აღსანიშნავია საჯარო მოხელეთა კონტროლი ინფორმაციის შემოსვლაზე, მიწოდებასა და მიღებულ გადაწყვეტილებათა გატარებაზე. ბიუროკრატის გაკონტროლების რამდენიმე გზა არსებობს: შესაძლოა შემუშავებულ იქნას ანგარიშვალდებულების მექანიზმები სამინისტროთა, საკანონმდებლო ორგანოთა, სასამართლოთა თუ სახალხო დამცველთა (ომზუდსმენტთა) წინაშე. ასევე, შეიძლება შეიქმნას ბიუროკრატის საპირწონე — არჩევით პოლიტიკოსთა ალტერნატიული მრჩეველების ინსტიტუტის სახით.

კითხვები განსასჯელად

- ◀ მართლა თუ ბიუროკრატები მართავენ ქვეყანას?
- ◀ შესაძლებელია თუ არა მკაფიოდ გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან პოლიტიკის “კეთება” და პოლიტიკური რჩევის მიცემა?
- ◀ იდეაში მაინც თუა შესაძლებელი საჯარო მოხელეთა პოლიტიკური მიუკერძოებლობა?
- ◀ იმთავითვე არაქმედითუნარიანია თუ არა საჯარო ბიუროკრატია?
- ◀ პოლიტიზებულ საჯარო სამსახურს სიკეთე მეტი მოაქვს თუ ვნება?
- ◀ რომელია ბიუროკრატიის მოსათოკავი საუკეთესო მექანიზმი?

დამატებითი საკითხავი

- Beetham, D., *Bureaucracy* (Milton Keynes: OPen University Press, 1987).
- Guy Peters, B., *The Politics of Bureaucracy* (White Plains: NT: Longman, 2001).
- Self, P., *Government by the Market? The Politics of Public Choice* (Basingstoke: Palgrave Macmillan, 1994).

სამხედრო და პოლიციური ძალები

19

თავი

“პოლიტიკური ძალაუფლება ისე ამოდის თოფის ლულიდან, როგორც ჯინი — ბოთლის ყელიდან”.

მაო ძე-დუნი, *ომისა და სტრატეგიის საკითხები* (1938)

შინაარსი

ვერც ერთი რეჟიმი ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას მხოლოდ პოლიტიკური რეჟიმიზმის საფუძველზე თუ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით: მმართველობის ნებისმიერი სისტემა მეტ-ნაკლებად დამოკიდებულია იძულების ისეთ ინსტიტუტებზე, როგორცაა ჯარი და პოლიცია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მათი ძალა, პოლიტიკური თვალსაზრისით, მრავალმხრივ შეიძლება იქნას გამოყენებული — შეიარაღებული ძალები შეიძლება უბრალოდ საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის როლს ასრულებდეს, ანდა პირიქით — საშინაო პოლიტიკაში ეკისრებოდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა — სამოქალაქო ამბოხის ჩახშობისა თუ არაპოპულარული რეჟიმის დაცვისა თუ დამხობის თვალსაზრისით. სამხედროები, შესაძლოა, უადესად გავლენიან ინტერეს-ჯგუფად ჩამოყალიბდნენ, ანდა, სამხედრო რეჟიმის შექმნის პირობებში, სამოქალაქო მმართველობის სერიოზული ალტერნატივა შექმნან. სწორედ ასევე, პოლიციაც ერთის მხრივ შეიძლება საზოგადოებრივი წესრიგისა და სამოქალაქო თავისუფლების დაცვას ემსახურებოდეს, ანდა პოლიტიკური რეპრესიის იარაღად იქცეს, უკიდურეს შემთხვევებში კი — პოლიციური სახელმწიფოს შექმნის მოთავე.

ჯარი და პოლიტიკა
სამხედროების როლი.
შეიარაღებული ძალების კონტროლირება.
როდის იღებენ ხელში ძალაუფლებას სამხედროები?

პოლიცია და პოლიტიკა
პოლიციის ფუნქციები.
პოლიტიკური ზედამხედველობა და ანგარიშვალდებულებები.

აქ შეძვევი ძირითადი საკითხები იქნება განხილული:

საკანძო საკითხები:

- ◀ რა დამახასიათებელი ნიშნები გამოარჩევს შეიარაღებულ ძალებს, როგორც პოლიტიკურ ინსტიტუტს?
- ◀ როგორ და რა შემთხვევებში შეიძლება ჯარი პოლიტიკაში ჩაეროს?
- ◀ რა გზებით შეიძლება სამხედროთა მოქცევა პოლიტიკური კონტროლის ქვეშ?
- ◀ რა განსხვავებაა პოლიციის სამოქალაქო და პოლიტიკურ ფუნქციებს შორის?
- ◀ როგორ მიიღწევა პოლიციური ძალების საჯარო ანგარიშვალდებულება?

შეჯამება/კითხვები
განსასჯელად/დამატებითი საკითხავი

ჯარი და პოლიტიკა

XIX საუკ. ბოლოს შეიარაღებული ძალები განსაკუთრებულ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა, რომელსაც დანარჩენი საზოგადოებისაგან განცალკევებულ პროფესიონალთა კადრები ედგა სათავეში. ამ ინსტიტუტის გამორჩეულობას 4 ფაქტორი განაპირობებს: ჯერ ერთი, როგორც ომის წარმოების საშუალებად არმია შეიარაღების სრულ მონოპოლიას ფლობს, და რამდენადაც მის რეჟიმის როგორც დაცვა, ასევე დამხობაც შეუძლია, მის ერთგულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს სტაბილურობის თვალსაზრისით; მეორე — შეიარაღებული ძალები მკაცრად ორგანიზებული და უაღრესად დისციპლინირებული ორგანიზაციაა, რომელიც წოდებულ იქნა იერარქიულობითა და უსიტყვო მორჩილების კულტურით ხასიათდება. შესაბამისად, ვებერისეული გაგებით, სწორედ ეს ინსტიტუტი ბიუროკრატიულობის უკიდურესი გამოვლინება, რაც შეიარაღებულ ძალებს ორგანიზაციული ქმედითუნარიანობის განსაკუთრებულ ხარისხს ანიჭებს. მესამე — სამხედროებს საკუთარი, განუმეორებელი მრწამსი და ღირებულებათა სისტემა გააჩნიათ — ის “მეომარი სულისკვეთება”, რაც ბრძოლისა და თავგანწირვის მუდმივ მზადყოფნას გულისხმობს; მეოთხე — შეიარაღებულ ძალებს ხშირად “პოლიტიკის მიღმა” მდგომ ფუნქციონალი მოიაზრებენ ხოლმე, იმ გაგებით, რომ ვითომდა სწორედ მათ ეკისრება პასუხისმგებლობა სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და ერთიანობაზე, რაც სწორედ ისინი არიან ეროვნული ინტერესების უპირველესი დამცველები. ბევრ ქვეყანაში ამან სამხედროებს განსაკუთრებული სტატუსი და პატივიც უწყობდა შესძინა, თუმცა ხშირად სამხედროები პოლიტიკაშიც ერევიან იმ დროს როდესაც, მათი აზრით, სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებს ემუქრება საშინაო თუ საგარეო საფრთხე.

მეორეს მხრივ, შეცდომა იქნებოდა შეიარაღებული ძალებს ამ ერთიან, შეკავშირებულ ინსტიტუტად წარმოდგენა, რომელსაც ვერა საზოგადოებაში ერთნაირი პოლიტიკური ნიშან-თვისებები ახასიათებს. შეიარაღებული ძალების სიჭრელეს ბევრი მიზეზი განაპირობებს: მკვლევართა მკვლევართა, არცთუ იშვიათია დაპირისპირება მაღალი წოდების იმ სამხედრო ჩინოსანთა, რომელნიც ძირითადად, კონსერვატიულ და ელიტარულ წრეებში წარმოადგენენ, და მათ უმცროს კოლეგათა შორის, ვისაც ან სწრაფი აზრების წყურვილი კლავს, ანდა უფრო პროგრესული და რადიკალური იდეები აწუხებს. არმიაში განხეთქილება შეიძლება პრესტიჟისა თუ რესურსების განაწილების გამო მეტოქეობამაც გამოიწვიოს; აგრეთვე, რეგიონალური თუ ეთნიკური განსხვავებებიც კიდევ ერთი მნიშველლოვანი ფაქტორია.

ამა თუ იმ ქვეყნის შეიარაღებული ძალების ხასიათს კი ბევრი შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორი განაპირობებს: მათ შორის, არმიისა თუ მისი რომელიმე შენაერთის ისტორიული ტრადიცია, ზოგადად პოლიტიკური სისტემის ბუნება, პოლიტიკური კულტურა და არსებული რეჟიმის ფასეულობათა სპექტრი. ასე მაგალითად, ჩინეთის სახელმწიფო განმათავისუფლებელი არმიის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას განსაკუთრებულ დაღს აძენევს ის გადამწყვეტი როლი, რაც მან 1949 წელს

ნისტური რეჟიმის დამყარებისას შეასრულა და ასევე, ჩინეთის კომპარტიის შკაცრი კონტროლი შეიარაღებული ძალების ყველა დონეზე. ისრაელში არმია განსაკუთრებული ნდობითა და პატივისცემით სარგებლობს, რადგან სწორედ იგი უწყობს ხელს იმიგრანტთა შეკავშირებას, სახელმწიფოებრივ ინტეგრაციასა და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ზოგადად, პოლიტიკურ ცხოვრებაში შეიარაღებული ძალები განსხვავებულ როლს შეიძლება ასრულებდეს და მათს შორის აღსანიშნავია:

- ◀ ომის წარმოება
- ◀ პოლიტიკური წესრიგისა და მდგრადობის უზრუნველყოფა
- ◀ საკუთარი ინტერესების გამოკვეთა
- ◀ სამოქალაქო მმართველობის ალტერნატივის შექმნა

სამხედროების როლი

ომის წარმოება

შეიარაღებული ძალების მთავარი ამოცანა ომის წარმოებაა. შესაბამისად, მას ან თავდაცვითი, ან თავდასხმითი ფუნქციები ეკისრება. სწორედ სამხედროთა უნარი, საგარეო საფრთხისაგან დაიცვან ქვეყანა, განაპირობებს მათს აუცილებლობას პრაქტიკულად ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, და იგი ყველგან ისეთივე აუცილებელი შემადგენელია, როგორც პოლიცია, სასამართლო თუ ფოსტა. ერთის მხრივ, შეიარაღებული ძალებს მინიმუმ შესაძლო აგრესორზე არანაკლები პოტენციალი უნდა გააჩნდეს, რათა იმთავითვე აღკვეთოს ზიფათი; სწორედ ამიტომაც, ამგვარი გათვლა შეიარაღების ზრდას იწვევს და, საბოლოო ჯამში, ომის მიზეზიც ხდება, რადგან თავდაცვითი სამხადისი საერთაშორისო დამაბულობას აღვივებს, თუკი მეზობელმა სახელმწიფოებმა ამგვარი რამ თავიანთთვის საფრთხედ მიიჩნიეს. თუმცა, ისიც აღსანიშნია, რომ გარკვეულ შემთხვევებში, გამალებული შეიარაღება ძალთა ბალანსის შენარჩუნებასა და სამხედრო აგრესიისაგან თავის შეკავებასაც უწყობს ხელს — რაც ნათლად გამოჩნდა “ცივი ომის” ეპოქაში.

როდესაც არმია თავდასხმითი მიზნებით გამოიყენება, მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება: სხვა სახელმწიფოებთან ომის საწარმოებლად აუცილებელი შეიარაღებული ძალები მზად უნდა იყვნენ აგრესიული ქმედებებისთვის და მათი შეტევითი ოპერაციებიც ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერით უნდა სარგებლობდეს. ექსპანსიონისტური სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, სამხედრო ხარჯების მაღალი დონით, მაღალჩინოსან ოფიცერთა ჩართვით პოლიტიკის “კეთების” პროცესში, და სამოქალაქო საზოგადოებაში მილიტარისტული იდეებისა თუ ღირებულებების საყოველთაო პოპულარობით ხასიათდებიან. მილიტარისტული რეჟიმის კლასიკური მაგალითი გახლდათ ჰიტლერის “მესამე რაიხი”, რომლის

ომი

ესაა ღია შეიარაღებული დაპირისპირების მდგომარეობა ორ ან მეტ მხარეს (ჩვეულებრივ, სახელმწიფოს) შორის. ტერმინი შეტაფორულად გამოიყენება — ეთქვით, “კლასობრივი ომი”, “საგაჭრო ომი”, თუ “ცივი ომი”. ცივი ომის შემდგომ პერიოდში გაჩნდა “ახალი ომების” ცნება, რითაც შიდა-სახელმწიფოებრივი ეთნიკური კონფლიქტები, უახლესი სამხედრო ტექნოლოგიების გამოყენება და ასპარეზზე იმგვარი, არასახელმწიფოებრივი ჯგუფების გამოჩენა აღინიშნება, როგორებიცაა “ზე-ერონული ტერორისტული ორგანიზაციებია.

მილიტარიზმი

ეს ტერმინი ორი გაგებით მოიხმერება: ჯერ ერთი, იგი მიზნის მიღწევას შეიარაღებული ძალის გამოყენებით და ზოგადად პრობლემათა სამხედრო ძალით გადაწყვეტას ნიშნავს; მეორე და უფრო ფართო გაგებით, მილიტარიზმი იმგვარი კულტურული თუ იდეოლოგიური მოვლენაა, როცა სამხედრო პრიორიტეტები, იდეალები და ღირებულებები საზოგადოების ფართო ფენებს მოიცავს: ხდება მეომრის განდიდება, პატრიოტული გრძნობების გაღვივება, ომის აღიარება პოლიტიკის კანონიერ იარაღად, და გამირობისა თუ თავგანწირვის გაიდვალება. ზოგჯერ, თუმცა არა ყოველთვის, მილიტარიზმს სამხედროთა მიერ საკუთარი უფლებამოსილების გადამეტება და იმ პასუხისმგებლობის უზურპაცია ახასიათებს, რაც ჩვეულებრივ, სამოქალაქო პოლიტიკოსებს ეკისრებათ.

სამოქალაქო ომი:

შეიარაღებული დაპირისპირება პოლიტიკურად ორგანიზებულ ჯგუფთა შორის ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, რაც ჩვეულებრივ, ხელისუფლების მოპოვებას (ან დაბრუნებას) ანდა ახალი მმართველობის დამყარებას ისახავს მიზნად.

ტოტალიტარულობა ნაწილობრივ განპირობებული იყო სამხედრო თუ სამოქალაქო ინსტიტუტებს შორის განსხვავების წაშლით და პოლიტიკური ცხოვრების მილიტარიზაციით. თუმცა, მილიტარიზმი არ უნდა გაავივიოთ სამცხედრო ინტერესების პრიორიტეტულობასა და სამხედრო ხელმძღვანელებისადმი სამოქალაქო ხელმძღვანელობის დაქვემდებარებასთან — გერმანული მილიტარიზმი XX საუკ. 30-იან წწ. სწორედაც რომ არმიის დამორჩილებას და ნაციისტური იდეოლოგიური მიზნებისათვის მის გამოყენებას ისახავდა მიზნად.

თუმცა ისიც ითქვას, შეიარაღებული ძალების როლი აშკარად შეიცვალა “ცივი ომის” შემდგომ პერიოდში, როდესაც თავად ომის წარმოების მეთოდებმა იცვალა სახე. 1990-იანი წწ. ეთნიკურმა კონფლიქტებმა და შიდა სახელმწიფოებრივმა შეხლამ იჩინა თავი, რაც ზოგან სამოქალაქო ომებშიც კი გადაიზარდა. ამას შედეგად მოჰყვა სამხედრო ძალისა და რესურსების ჰუმანიტარული ჩარევის სახით გამოყენება, და მშვიდობისმყოფელთა მნიშვნელობის ზრდა გაერთიანებული ერების ეგიდით. ზოლო თავად ომის წარმოების ფორმების შეცვლაზე დიდად იმოქმედა სამხედრო ტექნოლოგიების დახვეწამ: იმ ტიპის სატელიტური მეთვალყურეობისა თუ საჰაერო-თავდაცვითი სისტემების გამოყენებამ, რაც პირველად 1991 წ. სპარსეთი ყურეში ომის დროს გამოიყენა. ტექნოლოგიურმა პროგრესმა შესაძლებელი გახადა სანახევროდ გაწვრთნილ სამოქალაქო პირებზე აწყობილი არმიების პროფესიული შეიარაღებული ძალებით ჩანაცვლება და ქვეითი ჯარების საჭიროება და, შესაბამისად, მათი რაოდენობაც უკიდურესად შეზღუდა. ომის წარმოების სრულიად ახალი ფორმები გამოიკვეთა 2001 წლის 11 სექტემბერს, გლობალური ტერორიზმის გააქტიურების შემდგომ. ზენაციონალურ ტერორისტულ ჯგუფებთან თუ ისეთ პარტიზანულ რაზმებთან ბრძოლამ, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე, შახიდების არატრადიციულ (თვითაფეთქების) ტაქტიკას იყენებენ, მსოფლიოს ბევრი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს უკიდურესად გაურთულა საქმე.

საშინაო წესრიგის უზრუნველყოფა

შეიარაღებული ძალების პოტენციალსა და ოპერატიულობას არა მარტო საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით აქვს მნიშვნელობა. მართალია, მათი ძალა, ჩვეულებრივ, გარეგანაა მიმართული, იგი შესაძლოა შიდა პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორადაც იქცეს. ასევე, შესაძლოა მისი გამოყენება ბუნებრივი კატაკლიზმებისა თუ სხვა საგანგებო სიტუაციების დროს. ოღონდ ამგვარი ჩარევა სრულიად დაცლილია პოლიტიკური საზრისისაგან, რისი თქმაც არ შეიძლება იმ შემთხვევებზე, როდესაც არმია შიდა არეულობების ჩასახშობად გამოყვით ქუჩებში. რა თქმა უნდა, მსგავსი ქმედებები მძაფრი კრიტიკის საგანი ხდება ხოლმე — არა იმიტომ, სამხედროები პოლიცისათვის განკუთვნილ ფუნქციებში რომ იჭრებიან, არამედ იმიტომაც, ისინი შეიარაღებული ძალების ტრადიციული ნეიტრალიტეტის პრინციპს რომ არღვევენ. ასეთ დროს ძნელი გასარჩევი ხდება, არმია ეროვნული ინტერესების დამცველი “საზოგადოებრივი ინსტრუმენტი” თუ არსებული ხელისუფლების ბრმა “პოლიტიკური იარაღი”. გამიჯვნა მაშინ

უფრო რთულდება, როცა შეიარაღებულ ძალებს არსებული ხელისუფლების წინააღმდეგო სახალხო პროტესტის ჩასახშობად იყენებენ ხოლმე.

ზოგიერთ სახელმწიფოში პოლიტიკური დაძაბულობა ისეთ დონეს აღწევს, რომ მუნიციპალური პოლიცია უძლებს მასთან გასამკლავებლად. ამგვარი ვითარება, ჩვეულებრივ, სერიოზული რელიგიური, ეთნიკური თუ ეროვნული შუღლის გაღვივებისას იჩენს ხოლმე თავს. ამგვარ შემთხვევებში სახელმწიფოს მთლიანობის ერთადერთ გარანტიად შეიარაღებული ძალები რჩება და სწორედ ამ მთლიანობის შესანარჩუნებლად შესაძლოა, სამოქალაქო ომშიც კი მოუწიოს ჩართვა. 1969წ. გაერთიანებულ სამეფოს ჯარები ჩრდ. ირლანდიაში შევიდნენ — თავიდანმხოლოდ რელიგიურ ნიადაგზე ატეხილი ჯახის შესაჩერებლად, მაგრამ შემდგომში, კარგა ხანს მოუწიათ იქ დარჩენა — მთელი რიგი ტერორისტული აქტების გასაუვნებელყოფად, რასაც ირლანდიის რესპუბლიკური არმია (IRA) და მსგავსი ტიპის სხვა ჯგუფები პერმანენტულად ანხორციელებდნენ. ასევე, სიქხ სეპარატისტებსა და პინდუ ფუნდამენტალისტებს შორის გაუთავებელი დაპირისპირებების გამო არაერთხელ გახდა საჭირო ინდოეთის არმიის გამოყვანაც, ქვეყანაში პოლიტიკური წესრიგის შესანარჩუნებლად. 1994 წელს რუსეთმაც შეიყვანა ჯარები ამბოხებულ ჩეჩნეთში, რომელიც დამოუკიდებლობას ითხოვდა, ეს ყველაფერი კი შემდგომ სრულმასშტაბიან ომში, მოგვიანებით კი უსასრულო პარტიზანულ ბრძოლებში გადაიზარდა.

ხელისუფლების პოლიტიკური ლეგიტიმურობის კრიზისის დროსაც, მხოლოდ არმია რჩება რეჟიმის ერთადერთ საყრდენად და მას სახალხო აჯანყებისაგან თუ რევოლუციისაგან იცავს. ასეთ შემთხვევებში, კონსტიტუციონალიზმის ყველა ნორმა უგულებელყოფილია, რამდენადაც ხელისუფლება შეუნიღბავი დიქტატურის გზას ირჩევს. ასე მაგალითად, 1989წლის მისსში, ჩინეთის კომპარტიამ მხოლოდ ტიანანმენის მოედანზე ტანკების გამოყვანით შეძლო რეჟიმის შენარჩუნება. მსგავს შემთხვევებში გადამწყვეტი ხდება ჯარისკაცებისა და ოფიცრების ერთგულება და სანდოობა. იმავე ჩინეთში, ხელისუფლებამ დედაქალაქში მხოლოდ პერიფერიებზე განთავსებულ იმ ნაწილებს მოუყარა თავი, რომელთა პოლიტიკურ მხარდაჭერაშიც ეჭვი არ ეპარებოდა. ამის საპირისპიროდ, 1989წლის დეკემბერში, რუმინელი ჯარისკაცები ამბოხებული დემონსტრანტების მხარეს გადავიდნენ, რითიც საბოლოო განაჩენი გამოუტანეს დიქტატორ ჩაუშესკუს რეჟიმს.

გამოკვეთილი ინტერესები

შეიარაღებული ძალები პოლიტიკის იმ იარაღად მოიაზრება, რომლის გამოყენებითაც ხელისუფლება, შესაძლოა, საკუთარ მიზანს აღწევდეს საშინაო თუ საგარეო ასპარეზზე. თუმცა, არ შეიძლება მათი მიჩნევა მიუკერძოებელ ძალად, რომელსაც ამ მიზნებში საკუთარი ინტერესი არ გააჩნია — პირიქით, ბიუროკრატიისა არ იყოს, სამხედროებიც ერთგვარ ინტერეს-ჯგუფს ქმნიან, და პოლიტიკის ზოგად შინაარსს, გარკვეულწილად, განსაზღვრებენ კიდევ. ამ თვალსაზრისით, მათ არაერთი უპირატესობაც გააჩნიათ: უპირველეს ყოვლისა, ესაა ანგარიშგასაწევი ტექნიკური არსენალი

დიქტატურა

დიქტატურა, ვიწრო გაგებით, მმართველობის იმგვარი ფორმაა, როდესაც აბსოლუტური ძალაუფლება ერთი პიროვნების ხელშია თავმოყრილი, და ამ გაგებით, დიქტატურა ავტოკრატიის სინონიმია. თავდაპირველად, ეს ტერმინი იმ შეუზღუდავ უფლებებთან ასოცირდებოდა, რასაც რომის რესპუბლიკის ადრეულ პერიოდში, უზენაეს ხელისუფალს ანიჭებდნენ საგანგებო მდგომარეობის დროს და კონსტიტუციური ერთმმართველობის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა. თუმცა, თანამედროვე მნიშვნელობით, დიქტატორი უკვე კანონზე მაღლა მდგომი და კონსტიტუციური ნორმებით შეუზღუდავი მმართველია. პირველ დიქტატორებად რომში სულა, იულიუს კეისარი და იმპერატორი ავგუსტუსი იყვნენ. უახლეს ისტორიაში დიქტატორთა კლასიკურ მაგალიტებად ჰიტლერი, მუსოლინი, სტალინი, ფიდელ კასტრო და სადამ ჰუსეინი შიძლება ჩაითვალოს. არსებობს აგრეთვე, “კლასობრივი დიქტატურის”, “პარტიული დიქტატურის”, “სამხედრო დიქტატურის” ჯგუფური ფორმებიც.

ჯანფი:

სახალხო ამბოხი დადგენილი წესრიგის მიმართ, როგორც წესი (რევოლუციებისაგან განსხვავებით), იგი კონკრეტულ მმართველთან და არა თავად პოლიტიკური სისტემის შეცვლას ისახავს მიზნად.

ტერორიზმი

ფართო გაგებით, ტერორიზმი შიშის თესვაა — პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, მისი ყველაზე გავრცელებული ფორმებია მკვლელობა, აფეთქებები, მძევლების აყვანა და თვითმფრინავის გატაცება; თუმცა, 7/11-ის მერე, სრულიად ახალ ტაქტიკურ ხერხებზეც შიშდება ლაპარაკი. რამდენადაც ამ ტერორის აშკარად უარყოფითი დატვირთვა გააჩნია, მას ხშირად შერჩევითი მოიხმარენ სუბიექტური შეხედულებებისა და მიხედვით: ერთისთვის ტერორისტი, მეორისთვის შესაძლოა, "თავისუფლების მებრძოლი" იყოს.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი:

ურთიერთობათა სისტემა შეიარაღებულ ძალებსა და თავდაცვით მრეწველობას შორის, რაც სამხედრო ხარჯების ზრდის ერთობლივ ინტერესს ეფუძნება.

და მომზადება. მართალია, შეიარაღებულ ძალებს, ჩვეულებრივ, სამოქალაქო პოლიტიკოსებისადმი მორჩილება და პოლიტიკური ნეიტრალობის დაცვა ევალებათ, რეალურად ხელისუფლებას მაინც არ შეუძლია ყურად არ იღოს უმაღლესი ჩინის სამხედროთა რჩევები სტრატეგიულ, თავდაცვით, თუ ზოგადად საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

მეორეც, სამხედროები ერთგვარი "შიდა ჯგუფია" იმ აზრით, რომ მას საკუთარი წარმომადგენლები ჰყავთ პოლიტიკის შემქმნელ ორგანოებში და შესაბამისად, ძალაუფლების ინსტიტუციური ბაზაც გაჩნიათ. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს საკუთარი გავლენის გავრცელება შეუძლიათ თავდაცვის დეპარტამენტის (პენტაგონის) ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსა და ასევე, კონგრესის შეიარაღებული ძალების კომიტეტების მეშვეობით. მესამე: სამხედროები, როგორც ეროვნული უსაფრთხოებისა თუ ქვეყნის მთლიანობის დამცველნი, განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ მოსახლეობაში და შესაბამისად, ვაითუ ხელისუფლებამაც გათვალოს, რომ შეიარაღებაზე ხარჯების ზრდა პირდაპირპროპორციულად აისახება ხოლმე ამომრჩეველთა ხმების მიღებაზე.

როგორც "საზოგადოებრივი არჩევანის" თეორეტიკოსები აცხადებენ, საჯარო მოხელენი, უმთავრესად, საკუთარი კარიერისტული ინტერესებით ხელმძღვანელობენ და სწორედ ასევე, მავანმა შეიძლება განაცხადოს, რომ უმაღლესი ჩინის სამხედროებს პოლიტიკის ის ხაზი "გაყავთ", რაც შეიარაღებული ძალების მასშტაბის გაზრდასა და მდგომარეობის განმტკიცებას, ანთუ მათ მეტ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს. ამ თვალსაზრისის თანახმად, შეიარაღებული ძალები იმგვარ ლობისტურ ჯგუფად აღიქმება, რომელიც სამხედრო ბიუჯეტის განუხრელი ზრდითაა დანტერესებული. ამ საქმეში მათ არაერთი გავლენიანი მხარდამჭერი მოეპოვებათ იმათი სახით, ვინც პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, თავის 1961 წლის გამოსათხოვარ მიმართვაში, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლებად მოიხსენია. მაგრამ მაშინ როცა ა.შ.შ.-ს თავდაცის ხარჯები მთლიანი ეროვნული პრიდუქტის 6% არ აღემატებოდა, ყოფილ საბჭოთა კავშირში XX საუკ. 80-იანი წწ. იგივე ხარჯებმა 40% შეადგინა.

და საერთოდ, ზოგიერთის აზრით, 1991წ. ერაყში ომი სულაც სამხედროებისა და იარაღის მწარმოებლების ატეხილი იყო — იმის დასადასტურებლად, რომ უდიდესი ინვესტიციები ტყუილად არ იყო ჩადებული იმ ტიპის ახალ ტექნოლოგიებში, როგორებიც "სტელზის" ბომბდამშენები და "კრუზისა" და "პეტრიოტის" ტიპის რაკეტები გახლდათ. თუმცა, თავდაცვითი კოლინ პაუელი, სახელმწიფო მდივანი და პრეზიდენტ ბუშის ყველაზე გავლენიანი სამხედრო მრჩეველი, "ტერორიზმთან ომს" მხოლოდ გამიზნულ სტრატეგიულად გამოკვეთილი მოწინააღმდეგის მიმართ მოუწოდებდა, რაც ა.შ.შ., როგორც სსრპ ავღანეთში, გრძელვადიან ოპერაციებში გახლართულიყო.

თავის მხრივ, თუმცა რუსეთის სამხედროები კი დათანხმდნენ ბალტიისპირა ქვეყნებიდან ჯარების გამოყვანას, მათ მაინც მოახერხდა

დღეის დაყოლიება და ფაქტიურად, ეწ. “ახლო საზღვარგარეთზე” საკუთარი გავლენის გავრცელებას შეეცადნენ, რასაც საქართველოსა და ტრანსკასპიანთან დაძაბულობის ესკალაცია მოჰყვა. ასევე, ჩეჩნეთის ომი იმის ნათელი დასტური გახლდათ, რომ რუსი სამხედროები ცოცხალი თავით არ შეგუბოდნენ რუსეთის ფედერაციის რღვევას, მით უფრო — 1989 წლიდან დაწყებული საბჭოური გავლენის სივრცის დაშლისა და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების დაკარგვის შემდეგ.

სამოქალაქო მმართველობის ალტერნატივა

შვიარაღებაზე კონტროლი და სამხედრო ძალა არმიას შესაძლებლობას აძლევს ხოლმე თავად აიღოს ხელში პოლიტიკის სადავეები, რაც უკიდურეს შემთხვევებში, სამხედრო რეჟიმის დამყარებით მთავრდება. ამგვარ რეჟიმს რამდენიმე მახასიათებელი გააჩნია: ერთ-ერთი ასეთია სამხედრო **ხუნტა**. იგი ერთიანი სამხედრო მმართველობისაგან შედგება, რომელიც როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო და საჰაერო ძალთა სარდლობის უმადლეს ხელისუფლებიდან მთლიანად განდევნეს სამოქალაქო პირები და პროფკავშირებისა თუ სხვა პოლიტიკური გაერთიანებების ნებისმიერი აქტივობაც აკრძალეს. სხვა შემთხვევებში, მყარდება სამხედრო დიქტატურა, როდესაც თავად ხუნტის რიგებიდან ერთი კონკრეტული პიროვნება დაწინაურდება ხოლმე და უკვე ერთპიროვნულად მართავს ქვეყანას — როგორც, უთქვამთ, პოლკოვნიკი პაპადოპულოსი საბერძნეთში (1974-80), გენერალი პინოჩეტი ჩილეში (1973წ. გადატრიალების შემდეგ) და გენერალი აბაჩა ნიგერიაში — 1993-98წწ.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ სამხედროები დიდხანს ვერ ინარჩუნებენ მმართველობას: მართალია, ქვეყნის სათავეში მათი მოსვლა სამოქალაქო ხელისუფლების სისუსტის, დაქსაქსულობისა თუ კორუპციულ ბულობის შედეგია, ამ პრობლემების გადაჭრას ვერც სამხედროები ართმევენ თავს და ლეგიტიმურობასაც მხოლოდ დროებითი, სახელმწიობრივი კრიზისებისა თუ პოლიტიკური აუცილებლობის პერიოდში ინარჩუნებენ. ამას თავად სამხედროებიც გრძნობენ და ამიტომაც მკაცრად კრძალავენ დემონსტრაციებს, აუქმებენ პოლიტიკურ პარტიებსა თუ პროფკავშირებს, მედიას კი უმკაცრეს ცენზურას უწესებენ. ამის გამოა სწორედ, რომ სმახედროებს “კულისებიდან მართვა” ურჩენიათ, ფასადად კი ვინმე სამოქალაქო, ფაქტიური ლიდერის დასმა. ასე მოხდა ზაირში, როცა 1965 წლის გადატრიალების შემდგომ, მობუტუმ “სახალხო მოძრაობა” ჩამოაყალიბა, ანდა XX საუკ. 60-70-იან წწ. ეკვატორში, აშკარა სამხედრო ხელისუფლება რომ ავტორიტარულმა სამოქალაქო მმართველობამ შეცვალა, თუმცა ეს ვითომ სამოქალაქო ხელისუფალნი — გამალ ნასერიცა და ანვარ სადათიც — სამხედრო წრეებიდან იყვნენ გამოსულნი.

ისედაც მყიფე სამხედრო რეჟიმებისთვის მთლად კატასტროფულად საქმე მაშინ მთავრდება, თუკი მათ ავტორიტეტს შეიარაღებულ კონფლიქტში განცდილი მარცხიც არყვეს და/ან სახალხო უკმაყოფილება და მოუთოკავი

სამოქალაქო თავისუფლება
ესაა მოქალაქის და არა სახელმწიფოს კუთვნილი კერძო საარსებო არეალი, რაც ხელისუფლებისათვის შეუვალ, ე.წ. “უარყოფით უფლებათა” ფართო სპექტრს მოიცავს. კლასიკური გაგებით, სამოქალაქო უფლებები სიტყვის, პრესის, რწმენისა და აღმსარებლობის, გადაადგილებისა და გაერთიანების თავისუფლებას გულისხმობს. ამგვარი, შეიძლება ითქვას, საკვანძო თავისუფლებანი სასიცოცხლოდ აუცილებელია ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოების ქმედითუნარიანობისათვის, რამდენადაც ისინი პიროვნებას ხელისუფლებისაგან იცავენ. ხშირ შემთხვევაში, სამოქალაქო თავისუფლების პრინციპები კონსტიტუციურადაა ჩამოყალიბებული უფლებათა დეკლარაციების მსგავსი ტიპის დოკუმენტებში.

ხუნტა: სიტყვა-სიტყვით: საბჭო ან სათათბირო (ესპანურია); ხელისუფლების სათავეში მყოფ სამხედრო ოფიცერთა ჯგუფი.

19. სამხედრო და პოლიციური ძალები

ოპოზიცია. პირველის კარგი მაგალითია არგენტინა, სადაც 1983წ. ფოლკ-ლენდის ომის ერთი წლის თავზე, ხუნტამ სამარცხვინოდ დაასრულა თავისი მოღვაწეობა. მეორეს მხრივ, ფილიპინებზე პრეზიდენტ მარკოსს ჯარი კი უჭერდა მხარს, ოღონდ დემოკრატიზაციის მოთხოვნებმა და ა.შ.შ.-ს ზეწოლამ ხელისუფლებაში მაინც კორასონ აკინო მოიყვანა (1986).

შეიარაღებული ძალების კონტროლირება

პოლიტიკაში სამხედროების უშუალო ჩარევის შემთხვევები მაინც იშვიათია. თუ არ ჩავთვლით ლათინურ ამერიკას, აფრიკას და ნაწილობრივ, აზიას. როგორც დასავლურ ლიბერალურ დემოკრატიებს, ასევე კომუნისტურ სახელმწიფოებს ნაკლებად ახასიათებთ სამხედრო გადატრიალებების წარმატებული თუ წარუმატებელი ცდები. 1945 წლიდან, ამგვარი რამ ვეროპაში სულ რამდენჯერმე მოხდა: ვოტკათ, 1958წ. საფრანგეთში, რასაც მეოთხე რუსკუბლიკის დაცემა მოჰყვა, ან თუნდაც გენერალ იარუხელსკის ზეობა 1981წ. და ისიც რუსების მხარდაჭერით.

სამოქალაქო კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე ორგვარად შეიძლება იქნას განხორციელებული. სემუელ ჰანტინგტონმა (1957) ამ მეთოდებს “ობიექტური” და “სუბიექტური” უწოდა: პირველი ყველაზე უკეთ დასავლურ პოლიარქიებში მუშაობს, რადგან კონტროლის ამ ფორმას პოლიტიკური და სამხედრო ვალდებულებებისა თუ პასუხისმგებლობების მკაფიო გამოიჯვანა ახასიათებს. უბრალოდ, შეიარაღებული ძალები პოლიტიკის მიღმა რჩებიან და ესეც რამდენიმე გზით მიიღწევა: უპირველესად, შეიარაღებული ძალები, კანონის თანახმად, სამოქალაქო ხელმძღვანელობას ემორჩილებიან, ისინი კი თავის მხრივ, პარლამენტისა თუ საზოგადოების წინაშე არიან ანგარიშგაღებულნი; მეორე: ზოგადად, თავდაცვითი თი სამხედრო პოლიტიკის სფეროებზე სამოქალაქო პოლიტიკოსთა პასუხისმგებლობას განეკუთვნება, სამხედროებს კი მხოლოდ რჩევის მიცემა და გადაწყვეტილებების უყოყმანოდ აღსრულება მოეთხოვებათ. არსებობს მესამე წინაპირობებიც: ესაა შეიარაღებული ძალების უპირობო პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, რის გამოც მათ ქვეყნის სათავეში მყოფი ნებისმიერი პარტიისა თუ ხელისუფლების ერთგულება უნდა შეინარჩუნონ.

როგორც ჰანტინგტონმა აღნიშნა, შეიარაღებული ძალების სამოქალაქო ხელისუფლების მხრიდან კონტროლის მეორე, “სუბიექტური” მეთოდიც არსებობს: როდესაც სამოქალაქო ხელისუფლება “ჯიბეში ისვამს” არმიას და საკუთარი ღირებულებებისა და იდეალების მსახურად აქცევს. თუკი ლიბერალური მოდელი შეიარაღებული ძალების პოლიტიკიდან გამოიჯვანა გულისხმობს, ამ მეორე შემთხვევაში პირიქით – მისი სისტემატიურად მიზანმიმართული პოლიტიზაცია ხდება. პიტლერმა მაგალითად, მოახერხა გერმანული არმიის “პოლიტიკურ ჯარისკაცებად” გადაქცევა, როცა 1934წ. აგვისტოში, მისი როგორც ფიურერის (ბელადის) წინაშე ეთგულების ფიცი დაადებინა; ხოლო 1941წ. ყველაფერთან ერთად, თავი უზენაეს მთავარსარდლადაც გამოაცხადა. სტალინმა კიდე – პირიქით, 37წლის “წმენდების” შედეგად, ხუთიდან – სამი მარშალი, თხუთმეტიდან – არმიის

13 მეთაური, უამრავი გენერალი, პოლკოვნიკი და უმცროსი შემადგენლობის ოფიცერი გამოასალმა სოცოცხლეს, რითაც არმიის პროფესიული პოტენციალი კი შეამცირა, მაგრამ მასზე პოლიტიკური კონტროლის განხორციელება მთლიანად საკუთარ ხელში აიღო.

თუმცა, ამ მეთოდის უმთავრესი მიზანი არასასურველი კადრების მოშორება კი არა, “სწორი” იდეებისა და იდეების დანერგვაა — სრულმასშტაბიანი აგიტაცია-პროპაგანდის მეშვეობით. ასე მაგალითად, ერაყის არმიაში, სადა მ პუსეინის დროს, ბაჰთის პარტიის პან-არაბული ნაციონალისტური მსოფლმხედველობა ინერგებოდა, როგორც დასავლური იმპერიალიზმისა და სიონიზმის იდეოლოგიის საპირწონე. სწორედ ამ პარტიის მრწამსით გახლდათ იდეოლოგიურად გამართლებული ჯერ ირანში შეჭრა 1980 წელს, ხოლო შემდგომ — კუვეიტის ანექსიაც (1990).

რა შემთხვევაში იგდებენ ხელში ძალაუფლებას სამხედროები?

ექვსგარეშეა, რომ პოლიტიკაში არმიის ყველაზე აშკარა და დრამატული ჩარევა მაშინ ხდება, როდესაც არმია სახელმწიფო გადატრიალებას აწყობს და სამოქალაქო მთავრობას ჩაენაცვლება ხოლმე. ამ შემთხვევაში ან ღია სამხედრო დიქტატურა მყარდება, ან სამოქალაქო პოლიტიკოსების ადგილს არმიის „მომხრე“ პოლიტიკოსები იკავებენ — მაშინ, შეასძლოა, არმიამ არც კი განაცხადოს პრეტენზია ძალაუფლებაზე, როგორც ეს მოხდა ვთქვათ, ფილიპინებში პრეზიდენტ მარკოსის დროს. პოლიტიკაში სამხედროთა ჩარევა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში იმდენად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რომ ის უკვე ვერც გამონაკლისად ჩაითვლება და ვერც გარდამავალი ხასიათის მოვლენად. სამხედრო გადატრიალება ძალაუფლების “ჩამორთმევის” ერთ-ერთ საშუალებად იქცა, და ამგვარი რამ ხდებოდა როგორც მექსიკაში, ჩილეა და პერუში, აგრეთვე ესპანეთსა და ბალკანეთში.

სამხედრო გადატრიალებები გარკვეულ გარემოებებში ხდება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები:

- < ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობა
- < სამოქალაქო ხელისუფლების მიერ საზოგადოების თვალში ლეგიტიმურობის დაკარგვა
- < სამხედროებსა და სახელმწიფოს (მთავრობას) შორის წარმოქმნილი კონფლიქტი.
- < ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა კავშირი გადატრიალებებსა და ეკონომიკურ ჩამორჩენილობას შორის. პინკნიმ (Pinkney, 1990) სრულიად დამაჯერებლად აჩვენა, რომ იმ 56 ქვეყნიდან, სადაც 1960 წლის შემდეგ მოხდა სამხედრო გადატრიალებები, უმრავლესობა სწორედ „მესამე სამყაროს“ მიეკუთვნება. უფრო მეტიც, ზოგჯერ გადატრიალებები სრუ-

სიონიზმი: “ებრაული სამშობლოს”

დაფუძნებისაკენ მიმართული მოძრაობა; დღესდრეობით, ისრაელის სახელმწიფო ინტერესებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვასთანა დაკავშირებული.

პუტინი: ხელისუფლებაში მოსვლა ძალადობის გზით — უძრავეს შემთხვევაში, სამხედროთა მიერ ან მათი დახმარებით. პუტინს ხშირად სისხლისღვრა ახასიათებს, თუმცა არსებობს უსისხლო შემთხვევებიც; რევოლუციებისაგან განსხვავებით, პუტინმა როგორც წესი, ადამიანთა შედარებით მცირე ჯგუფი მონაწილეობს (სახელმწიფო ბიუროკრატის, პოლიციისა თუ შეარაღებული ძალების წარმომადგენლები), ვისაც მმართველი ბირთვის შეცვლა აინტერესებს და შესაძლოა, თავად რეჟიმის შეცვლას ან ფართომასშტაბიანი სოციალური ცვლილებების განხორციელებას სრულიადაც არ ისახავდეს მიზნად.

ლიად კონკრეტულ ეკონომიკურ ვითარებათა გამოცხადებით ხდება. მაგალითად, 1983წ. ნიგერიაში, სამოქალაქო ხელისუფლება ნათობზე ფასების ვარდნით გამოწვეული ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისის შემდეგ შეიცვალა. ამის საპირისპიროდ, დადებით ეკონომიკურ ტენდენციებს შედეგად პოლიტიკაში სამხედროთა ჩარევის წინააღმდეგ თავისებური იმუნოტეტის გამოშუქება მოჰყვება ხოლმე, რასაც 1970-იანი წლების ლათინური ამერიკის გამოცდილება ადასტურებს. ნებისმიერ შემთხვევაში, მასიურ სიღარიბესა და გაღრმავებულ სოციალურ უთანასწორობას შედეგად ხელისუფლებაში მყოფი მთავრობის მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერის კლება მოსდევს, რაც საბაბს აძლევს სამხედროებს, ეროვნული ეკონომიკის გადარჩენის ლოზუნგებით გამოვიდნენ ყაზარმებიდან. თუმცა უნდა გავსოვდეს, რომ სამხედრო გადატრიალებებს მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორები როდი განაპირობებს. მაგალითად, ინდოეთი ყოველთვის განიცდიდა სიღატაკესა და გაჭირვებას, მაგრამ მისი შეიარაღებული ძალები მუდამ ინარჩუნებდნენ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს და სამოქალაქო მთავრობის წინააღმდეგ არასოდეს გამოსულან.

სამხედრო გადატრიალებები გარკვეულწილად ერთ რამეზეც მიუთითებს: ისინი ხდება იმიტომ, რომ შესაძლებელია მოხდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არმია პოლიტიკაში მაშინ ერევა, როდესაც ამჩნევს — რომ მმართველი ელიტა კარგავს ლეგიტიმურობას, და გადატრიალებას წარმატების კარგი შანსი აქვს. სისტემაში, სადაც მყარი დემოკრატია კულტურა არსებობს, შეიარაღებული ძალების პირდაპირი ჩარევა პოლიტიკაში იშვიათია. ამის მიზეზი ისაა, რომ სამხედრო დიქტატურა სისტემური რეპრესიული მეთოდების გამოყენებით ხორციელდება, ამგვარი ვითარების შენარჩუნება კი იოლი არ არის, რადგან ყოველთვის იწვევს განხეთქილებას თავად არმიის შიგნით. იმიტომ გასაკვირი არაა, რომ სამხედრო რეჟიმები ყველაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში სწორედ დედამიწის იმ ნაწილებში ძლებს, რომლებიც ოდესღაც კოლონიებს წარმოადგენდა: ლათინურ ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთს, აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ახალ სახელმწიფოებს პოლიტიკური სისუსტე და არასტაბილურობა ახასიათებს, რასაც იყენებენ კიდევ სამხედროებს. საქმე აქ მართლ ის კი არაა, რომ საზოგადოებამ ჯერ კიდევ ვერ მოასწრო დემოკრატიათან გაშინაურება, არამედ ამ შემთხვევაში უფრო ხშირად ისინი ფაქტორები მოქმედებს, როგორცაა გადაჭრადებული საზოგადოებრივი მოლოდინები, ახლადჩამოყალიბებული პოლიტიკური ინსტიტუტების

რეპრესია

პოლიტიკური თვალსაზრისით, რეპრესია მუდმივი დევნისა თუ ღია ძალადობის გზით განხორციელებული დათრგუნვაა. თვისობრივად იგი წინააღმდეგობის არა მარტო შეზღუდვას, არამედ ძირფესვიანად აღმოფხვრას ცდილობს. რეპრესიების მეშვეობით, რეჟიმს თუ მმართველ ელიტას მდგომარეობის შენარჩუნება სურს და ამიტომ მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას პოლიტიკაში ჩაბმისა და საკუთარი აზრის გამოხატვის ყოველგვარ შესაძლებლობას ართმევს. რეპრესიული რეჟიმები ასუსტებენ ან საერთოდ აუქმებენ წარმომადგენლობითი პოლიტიკის მექანიზმებს (არჩევნები, პარტიები, პროფკავშირები, თავისუფალი მედია და ა.შ.) და შიშისა თუ უიმედობის ატმოსფეროს ქმნიან.

სიმიფე, კოლონიური წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული რეგიონული და ეთნიკური დაპირისპირებები.

ამ მხრივ თვალსაჩინოა ნიგერიის მაგალითი, რომელსაც, 1960წ. დიდი ბრიტანეთისაგან განთავისუფლების შემდეგ, სამოქალაქო მმართველობის მოკლევადიანი გამოცდილება ჰქონდა. თავის დროზე კოლონიურმა ხელისუფლებამაც ყველაფერი გააკეთა, რათა დაესუსტებინა და გაეზღინა ეროვნული მოძრაობა ნიგერიაში, ქვეყნის ძირითადი ეთნოსები წაეკიდებინა და დაეპირისპირებინა ერთმანეთისათვის: ჩრდილოეთში ჰაუსა, დასავლეთში იორუბა, აღმოსავლეთში კი იბო. ამიტომაც დამოუკიდებელმა ნიგერიამ მემკვიდრეობით მიიღო უადრესად დაქსასული ელიტა, რომლისთვისაც პრინციპულად მიუღებელი აღმოჩნდა სოციალური კონსენსუსი, რაც პოლიტიკური სტაბილურობისათვის სრულიად აუცილებელი რამაა. გამალებულმა სამოქალაქო უწყესრიგობებმა, რაც ეთნიკური დაპირისპირების პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა, ის შედეგი გამოიღო, რომ 1966წ. ძალაუფლება არმიამ ჩაიგდო ხელში; მაგრამ რეგიონული დაპირისპირება კვლავ გრძელდებოდა და მომდევნო წელს ნამდვილი სამოქალაქო ომი გაჩაღდა მას შემდეგ, რაც ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი (შემდგომში ბიაფრად წოდებული) შეეცადა ფედერალური მთავრობის დაქვემდებარებიდან გამოსულიყო. ქვეყნის წინაშე მდგომი საჭირობოროტო საკითხების მოგვარება არმიამ არათუ ვერ შეძლო, პირიქით — კიდევ უფრო გაამწვავა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეთნიკურმა, რეგიონულმა და რელიგიურმა კონფლიქტებმა, თავად არმიის რიგებში შეაღწია იმ დროს, როცა სამხედროებმა თავი ხელისუფლებაზე მალლა დააყენეს, რაკილა ვკონათ, მოვლენათა განვითარებას ასე უფრო მტკიცედ გავაკონტროლებთო.

მესამე მიზეზი, რაც პოლიტიკაში სამხედროთა ჩარევას, იწვევს იმ გარემოებას უკავშირდება, თუ რამდენად ემთხვევა ან პირიქით — განსხვავდება ერთმანეთისაგან არმიისა და არსებული პოლიტიკური რეჟიმის ღირებულებები, მიზნები და ინტერესები. ზემოთ ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ინდოეთის მაგალითი — მიუხედავად ქვეყანაში არსებული მასობრივი სიღარიბისა და აგრეთვე, შინაგანი რელიგიური, რეგიონული და ენობრივი განსხვავებებისა, ინდოეთის შეიარაღებული ძალები პოლიტიკისაგან განზე იდგა იმის წყალობით, რომ ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი დრმა მოწიწება ეროვნული კონსტიტუციის მიმართ. ნებისმიერ ქვეყანაში ჯარი მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლებს ორ შესაძლო შემთხვევაში აწვობს: ან

19. სამხედრო და პოლიციური ძალები

მიიჩნევს, რომ უშუალოდ მისი ინტერესები ზარალდება, ან კიდევ თავს ვალდებულად თვლის, ქვეყნის მართვაში ჩაერიოს. მრავალ განვითარებად ქვეყანაში, რომელმაც არც თუ დიდი ხნის წინ მოიპოვა დამოუკიდებლობა, არმია არაერთხელ გამოსულია „მამულის გადარჩენის“ ლოზუნგით, თვითნებურად მოურგია რა საკუთარ თავზე „მოდერნიზაციის“ ან „ვესტერნიზაციის“ მამოძრავებელი ძალის როლი და ტრადიციული აგრარული, პოლიტიკურად ჩამორჩენილი და ხშირად გახლეჩილი ელიტის წინააღმდეგ გამოსულა. ამგვარი რამ არაერთგზის მომხდარა, მაგალითად, ნიგერიაში, ინდონეზიასა და პაკისტანში.

სხვა შემთხვევაში კი პირიქით — სამხედრო ელიტა დიდ ბიზნესთან და საშუალო კლასთან ალიანსში გამოსულა რეფორმისტული ან კიდევ სოციალისტური მთავრობის წინააღმდეგ. 1964 წელს ბრაზილიის უსისხლო გადატრიალება დიდწილად სწორედ იმიტომ მოხდა, რომ სამხედროებს დიდად არ ეპიტნავებოდათ მაშინდელი მთავრობის მემარცხენე მიდრეკილებები. ზემოთქმულის კიდევ უკეთესი მაგალითია ჩილე, სადაც საღვადო ალიენდე, მსოფლიოში პირველი დემოკრატიული გზით არჩეული მარქსისტი პრეზიდენტი, ჩამოაგდეს და მოკლეს კიდევ 1973 წელს. საზოგადოდ, არმია ყოველთვის ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ამგვარ შემთხვევებში, იგი უადრესად კეთილშობილური მიზნებით — ვთქვათ, კორუფციასთან ბრძოლის აუცილებლობით, საზოგადოებაში არსებულ განხეთქილებების აღმოფხვრის, ანდა სულაც, ერის გადარჩენის მოტივით ხელმძღვანელობს. ძნელია იმის მტკიცება, რომ ამგვარ შემთხვევებში ადგილი არ ჰქონია უშუალოდ სამხედროთა ინტერესების დაკმაყოფილებას. რადგან სამხედრო გადატრიალებები ხშირად მხოლოდ არსებულ პრივილეგიებისა თუ პრესტიჟის შენარჩუნების მცდელობას წარმოადგენს; ან — კიდევ მეტი, საქმე შეიძლება სერიოზულ პოლიტიკურ ამბიციებსაც შეეხებოდეს.

და ბოლოს, არმიის გადაწყვეტილება, ძალაუფლება აიღოს ხელში, შესაძლებელია საერთაშორისო ვითარებასთან დაკავშირებულმა მოსაზრებებმაც განაპირობოს. უკიდურესად მცირეა იმის მაგალითები, როდესაც სამხედრო გადატრიალებები სრულიად თავისუფალია მეზობელი ქვეყნების, რეგიონული ან საერთაშორისო ორგანიზაციებისა ან კიდევ სულაც საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესების გავლენისაგან. ზოგჯერ სამხედროები იმიტომაც გამოდიან ასპარეზზე, რომ მათზე გარედან ხორციელდება ზეწოლა. სწორედ ამგვარია ჩილეს მაგალითი: ა.შ.შ.-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (CIA) ალიენდეს პერსონაში ხელადა პროკუბურად განწყობილ კომუნისტს, რომლის რეფორმები ამერიკულ მულტინაციონალურ კორპორაციებს უქმნიდა საფრთხეს ჩილესა და მთელს ლათინურ ამერიკაში. იმაედროულად, პინოჩეტი ცხს-ისაგან არა მხოლოდ რჩევებითა და კონსულტაციებით მარაგდებოდა, არამედ პირდაპირი დიპლომატიური მხარდაჭერის გარანტიებით — გადატრიალების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში.

სხვა ვითარებაში კი პირიქით, გადატრიალებები სწორედ იმის გამო არ შემდგარა, რომ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან წამოსულ

უარყოფით რეაქციას უფრთხოდნენ. ასე მაგალითად, 1989 წელს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არმიები ძირითადად პასიურად აკვიდრდებოდნენ იმას, თუ როგორ ინგრეოდა კომუნისტური რეჟიმები მასობრივი სახალხო დემონსტრაციებისა და საზოგადოებრივი ენთუზიაზმის თანხლებით. აქ არა მხოლოდ ის გარემოებაა აღსანიშნავი, რომ ამ ქვეყანათა კომუნისტურმა მმართველებმა სრულიად დაკარგეს პოლიტიკური ნება, არამედ ისიც, რომ შეიარაღებული ძალები განზე გადგნენ, რადგანაც არც გორბაჩოვის მხრიდან ელოდნენ რაიმე სახის მხარდაჭერას და იმპედროულად, ა.შ.შ.-სა და მილიანად დასავლეთის მხრიდან უარყოფით რეაქციასაც უფრთხოდნენ. თუმცა, სამხედრო რეჟიმების მიერ საგარეო დიპლომატიური ზეწოლის მიმართ მგრძობილების გახვიადებული, გადაჭარბებული აღქმაც არ უნდა იყოს მართებული. სადამ ჰუსეინი დიდად არ აუღელვებია საქათაშორისო კრიტიკას 1991 წელს, რაც მას თავს დაატყდა სპარსეთის ყურეში ქურთებისა და მუსლიმ-შიიტთა მიმართ ჩადენილი ქმედებების გამო. ასევე, არც ნიგერიელ დიქტატორ აბაჩაზე მოუხდენია ძლიერი შტაბეჭდილება 1995 წელს ბრიტანული თანამეგობრობის მცდელობას, როგორმე სიკვდილით დასჯისგან ეხსნათ ადამიანის უფლებათა დამცველი ნიგერიელები.

პოლიცია და პოლიტიკა

პოლიცია, ისევე როგორც ჯარი, სახელმწიფო აპარატის იძულების ნაწილს წარმოადგენს, ოღონდ მათ შორის განსხვავებაც სრულიად აშკარაა: შეიარაღებული ძალების როლი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობაში ელინდება, ხოლო პოლიციის დანიშნულება — მის შიგნით წესრიგის დამყარების უზრუნველყოფა. პოლიცია, თანამედროვე სახით, საწყისს მე-19-ე საუკუნეში იღებს, როდესაც ინდუსტრიალიზაციის პროცესებმა დასავლურ საზოგადოებაში სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობების უკიდურესი გამწვავება გამოიწვია. ასე მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ამგვარი — სახელფასო ანაზღაურებით, საგანგებოდ გაწვრთნილ-მომზადებული, სპეციალური უნიფორმით შემოსილი და სრული სამუშაო დღის მქონე ძალები — ლონდონში ჩამოყალიბდა 1829 წელს, ხოლო მთელს ბრიტანეთში კი 1856 წელს შემოიღეს. სხვა ქვეყნებმა მის მაგალითს შედარებით, მოკვიანებით მიბაძეს.

მიუხედავად იმისა, რომ არმია და პოლიცია მრავალი თვალსაზრისით მსგავსია, მათ შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებებიც უნდა აღინიშნოს. ჯერ ერთი, არმია, უწინარეს ყოვლისა, საგარეო მიზანდასახულებისაა, და მისი ამოქმედება ომიანობის, საგანგებო მდგომარეობისა თუ მსხვილმასშტაბიანი კატასტროფების შემთხვევაში ხდება; პოლიცია კი საშინაო ვითარებიდან გამომდინარე მოქმედებს ყოველდღიურ რეჟიმში. გარდა ამისა, საპოლიციო ძალებს, ჯართან შედარებით, გაცილებით მჭიდრო ურთიერთობა აქვთ საზოგადოებასთან: მისი თანამშრომლები, საკუთარი ოჯახებით, იმავე გარემოში სახლობენ, სადაც მუშაობენ — თუმცა, როგორც ქვემოთ წარმოვაჩინო, გარკვეულ პოლიციურ

წესრიგი

როგორც პოლიტიკური პრინციპი, წესრიგი ქცევის მყარ, დადგენილ ფორმებს გულისხმობს, რაც პიროვნულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, უწესრიგობა ქაოსსა და ძალადობას ნიშნავს. მართალია, წესრიგი საყოველთაოდ სასურველია, მას მაინც ორი საკმაოდ განსხვავებული პოლიტიკური ასპექტი ახლავს თან: ზოგადი გაგებით, მისი წყარო პოლიტიკური ხელისუფლებაა, მიღწევის გზა კი — “ზემოდან” წამოსული კანონების სისტემის დაცვა. შესაბამისად, კანონიერება და წესრიგი, ფაქტიურად, ერთ ცნებად ერთიანდება. საპირისპირო შუქდულების თანახმად, წესრიგი თანასწორობასა და სოციალურ სამართლიანობასთანაა წილნაყარი და ამდენად, “ქვემოდან” მომდინარეობს — თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის შედეგად.

დანაშაული

ეს იმგვარი სამართალდარღვევაა, როცა მოქსერიგებულ და შვიდობიან საზოგადოებრივ თანაარსებობას ექმნება საფრთხე. დანაშაუნი, საზოგადო აზრის თანახმად, საკუთარი კერძო გამორჩენისა თუ ვნებების კარნახით მოქმედებენ და არა პოლიტიკური თუ ზნეობრივი მოსაზრებებით. დაუ იმაზეა, ეს პირადი პასუხისმგებლობის საკითხია — ანუ, კონკრეტული პიროვნების დასჯით უნდა დასრულდეს, თუ — ამაში საზოგადოებაა დანაშაუნი და საზოგადოებრივი რეფორმებითვე უნდა ვებრძოლოთ მას.

კულტურაზეც შეიძლება საუბარი: საზოგადოება ძირითადად, ცნობს მხოლოდ როლს და თანაუგრძობს მას, ამიტომ იგი ან შეუიარაღებელია (მაგალითად გაერთიანებულ სამეფოში), ან კიდევ მხოლოდ თავდაცვის საშუალებებს იყენებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ჯარსა და პოლიციას შორის ზღვარი გარკვეულწილად იშლება ხოლმე: არმიას ხელუფრო და უფრო ხშირად იყენებენ შიდა უწყსრიგობების აღმოსაფხვრელად როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 1992 წელს ლოს-ანჯელესში; მეორეს მხრივ კი, პოლიციური ძალები თითქმის სამხედრო აღჭურვილობას ღებულობენ და ზოგიერთ სახელმწიფოში ლამის უკვე სამხედრო ყაიდაზეც კი მოქმედებენ.

პოლიციის როლი

სამგვარი — ლიბერალური, კონსერვატიული და რადიკალური თვალსაზრისები არსებობს პოლიციის ხასიათისა და საზოგადოებაში მისი როლის თაობაზე:

ლიბერალური თვალსაზრისის თანახმად, პოლიციის სტატუსი ნეიტრალურია. მისი ამოცანაა, დაიცავს საზოგადოებრივი წესრიგი და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებების დაცვა უზრუნველყოს. ანუ — პოლიცია ყრდნობა ფართო საზოგადოებრივ თანხმობას და ლეგიტიმურობას მალალი ხარისხით ხასიათდება, ვინაიდან მოქალაქენი დარწმუნებულნი არიან, რომ პოლიცია ხელს უწყობს საზოგადოების სტაბილურობას და ხალხის პირად უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფს, იცავს რა მათ ერთობისაგან. ამასთანავე, რადგან მართლწესრიგის უზრუნველყოფითა დაკავებული, მას არ გააჩნია და არც უნდა გააჩნდეს სხვა რაიმე სახის პოლიტიკური ფუნქციები.

კონსერვატიული თვალსაზრისის თანახმად, პოლიციის როლი იმით განისაზღვრება, რომ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს ძალაუფლების განმტკიცებას და კანონების აღსრულება უნდა უზრუნველყოს; იგი ხაზს უსვამს პოლიციის მნიშვნელობას, როგორც საზოგადოების ძალისმიერ ინსტიტუტს, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლია იმოქმედოს უკიდურესად მკვეთრად — საზოგადოებრივი მღელვარებისა თუ სამოქალაქო უწყსრიგობების შემთხვევაში. ანუ — პოლიცია განიხილება, როგორც პოლიტიკური კონტროლის მექანიზმი.

რადიკალური თვალსაზრისი გაცილებით კრიტიკულია პოლიციის ძალაუფლებასთან მიმართებაში. ამგვარი მიდგომა მას განიხილავს, როგორც ჩაგვრის ინსტრუმენტს, რომელიც პირველ რიგში სახელმწიფოს უპყრია ხელთ და არა საზოგადოებას, და იგი პირველ რიგში ელიტას ემსახურება და არა — მასას. ამ მიდგომის მარქსისტული ვერსიის თანახმად, პოლიციის ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე ისიც, რომ იგი საკუთრებისა და საზოგადოდ, კაპიტალის ინტერესების სადარაჯოზე იდგეს.

და ბოლოს, მკვლევარები შენიშნავენ, რომ პოლიტიკური ძალების როლი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ პოლიტიკურ სისტემაზე,

რომელსაც იგი განეკუთვნება; ასევე იმაზე, თუ კონკრეტულად რომელი ამოცანების გადასაჭრელად იყენებს მას სახელმწიფო ან არსებული ხელისუფლება. ამ თვალსაზრისით, განარჩევენ სამოქალაქო პოლიციას და პოლიტიკურ პოლიციას, ეს განსხვავება კი ასახულია უფრო ზოგად დაყოფაში, რომელიც ერთი მხრივ, ლიბერალურ და მეორე მხრივ, ე.წ. პოლიციურ სახელმწიფოს გულისხმობს.

სამოქალაქო პოლიცია

სამოქალაქო პოლიციასთან მიმართებაში იმ ძალებზეა საუბარი, რომელთა მოქმედების სფერო სისხლის სამართლითაა განსაზღვრული, ანუ — „პოლიცია იმისთვის არსებობს, დანაშაულობას ებრძოდეს“. თუმცა უნდა გვესმოდეს — ერთია საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება, ვთქვათ, ინდურ სოფლებში და სრულიად სხვაა თანამედროვე ნიუ-იორკში, პარიზსა თუ სანკტ-პეტერბურგში. ცნობილია, რომ მცირერიცხოვან და ერთგვაროვან საზოგადოებებში საკმაოდ წარმატებულად ახერხებენ საკუთარი ძალებით მართლწესრიგის უზრუნველყოფას, ხოლო სრულიად განსხვავებული სურათია უფრო მასშტაბურსა და დანაწევრებულ საზოგადოებებში, სადაც ხალხს შორის ურთიერთობა დეპერსონიზებულია. სრულიად განსხვავებული ქვეყნების პოლიცია, დანაშაულთა ინტერნაციონალიზაციის შედეგად, ერთი და იმავე მოდელებისაგან გამომწვეულ, არსობრივად მსგავს ამოცანებს აწელება, როგორცაა საგზაო დარღვევები, მანქანის გატაცება, ქუჩის დანაშაული, ორგანიზებული დანაშაული და ამიტომაც, პოლიციური ძალების ორგანიზაცია და ტაქტიკა ასევე მსგავსი თვისებებით ხასიათდება.

შესაძლებელია განვიხილოთ სამოქალაქო პოლიციის სხვადასხვა სახეები:

არსებობს კონკრეტული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პოლიციის მოდელი — კერძოდ, ამგვარ საზოგადოებებში იგულისხმება პოლიციის მუდმივი ყოფნა ადამიანთა კომპაქტური სახლობის სხვადასხვა ადგილებში, ამასთანავე, მოქალაქეთა მხრიდან ივარაუდება თანამშრომლობა გამოძიების და დანაშაულის გახსნის პროცესში. ამას გარდა, დასახულია უფრო ზოგადი ამოცანები სამართალდამრღვევთა პროფილაქტიკის მიზნით და ამისათვის საზოგადოებაში ისეთი ღირებულებები და ურთიერთობები ინერგება, რაც ამ ამოცანათა მისაღწევად აუცილებელი. ეს კონცეფცია გაერთიანებულ სამეფოსა და კიდევ მეტად იაპონიას ახასიათებს. იაპონელები პოლიციელისაგან მოელოან, რომ ის საკმაოდ კარგად იცნობს იმ საცხოვრისებს ან ორგანიზაციებს, რომელიც მის უბანს ეკუთვნის და ამიტომაც ხშირად სტუმრობს მათ. ამ ყოველივეს სპეციალური პოლიციური ჩინი (კობანი) ემსახურება ან კიდევ მუდმივი საპოლიციო განყოფილებები (ჩუბაისო). თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ მეთოდის წარმატება პირდაპირ უკავშირდება იმას, თუ საზოგადოების რამდენად პატივცემულ წევრად აღიქმება პოლიციელი ან კიდევ რამდენად მზადაა მოქალაქე, მუდმივად ამგვარი მეთავალყურეობის ქვეშ იმყოფებოდეს.

მეორეს მხრივ, არსებობს პოლიციის განსხვავებული მოდელი, რომელიც „სახანძრო ბრიგადის“ პრინციპით მოქმედებს. აქ მთავარი ისაა, რომ მას შეუძლია უსწრაფესი რეაგირება მოახდინოს სამართალდარღვევებზე და ამის წყალობით არა მხოლოდ ოპერატიული, არამედ პროფილაქტიკური ხასიათის ამოცანებიც გადაწყვეტოს. როგორც წესი, ამგვარი მოდელისათვის უფრო ძალისმიერი, ხისტი, მკვეთრი, თითქმის სამხედრო მეთოდებისა და უახლესი ტექნოლოგიებისა თუ უახლესი ტიპის იარაღის გამოყენებაა დამახასიათებელი. ეს მოდელი უპირატესად ავტორიტარული და ტოტალიტარული სახელმწიფოებისთვისაა მისაღები, თუმცა არც ზოგიერთი ლიბერალური სახელმწიფოებისთვისაა მთლად უცხო. მაგალითად, ნიუ-იორკის პოლიცია მსხვილკალიბრიანი რევოლვერებითა და ხელკეტებითაა შეიარაღებული, პარიზის პოლიცია — მცირეკალიბრიანი, ოღონდ ნახევრად ავტომატური პისტოლეტებით, ზელკეტებითა და ჯავშანფილეტებით, ხოლო კაიროს პოლიცია — ავტომატებითა და ავტომატური შაშხანებით

პოლიტიკური პოლიცია

პოლიცია „პოლიტიკური“ ორი გაგებით შეიძლება იყოს: ერთ შემთხვევაში, როცა მის საქმიანობაში შესაძლებელია მუდმივად არსებობდეს გარკვეული ტენდენცია, რომლის თანახმადაც იგი კეთილგანწყობილად გარკვეული ჯგუფების მიმართ, ხოლო სხვა ჯგუფების მიმართ კი საპირისპიროდ მოქმედებს. მეორეც, იგი შეიძლება გასცდეს საკუთარ სამოქმედო საზღვრებს და შეეცადოს, საკუთრივ პოლიტიკურ პროცესებზე მოახდინოს ზემოქმედება. რადიკალური და სოციალისტური შეხედულებების მქონე კრიტიკოსების აზრით, რომლებსაც სრული უნდობლობა ახასიათებთ იმის მიმართ, რომ შესაძლებელია პოლიტიკური ძალები (ან კიდევ სახელმწიფოს ნებისმიერი ორგანო) ნეიტრალური იყვნენ და სამართლიანად და ყოველგვარი დაინტერესების გარეშე მოქმედებდნენ, საქმე გვაქვს სპეცმოშადადებასთან და პოლიტიკური ძალების დისციპლინირებულად თავად წარმოშობს იმგვარ კულტურას, რომელიც არსით ავტორიტარულია და პოლიტიკურად კონსერვატიული, და აქედან გამომდინარე, ისინი ჯგუფებთან მიმართებაში, როგორცაა მუშები, გაფიცულები, ეთნიკურ უმცირესობები — მათი მოქმედება საგრძნობლად უფრო მწვევა და ძალისმიერი.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად პოლიცია საზოგადოებრივ კონტროლს ექვემდებარება, ამგვარი ბრალდებები მთლად უსაფუძვლ ნამდვილად არაა. ლიონდონ ჯონსონის მიერ 1967 წლის ე.წ. „გრძელ ცხელი ზაფხულის“ არეულობებისა და უწყსრიგოებების გამოსაძიებლად შექმნილმა საკონსულტაციო კომისიამ სამოქალაქო უწყსრიგოების თაობაზე გამორკვია, რომ შესლა-შემოხლა, ხშირ შემთხვევაში, სწორედ რომ ზანგთა უბნებში პოლიციის აგრესიულმა და დისკრიმინაციულმა ქმედებებმა გამოიწვია. 1992 წელს მთელს ქვეყანაში მების გაგარდასა და გაურცელდა ოთხი თეთრკანიანი პოლიციელის მიერ როდნი კინგის ცხენ ამბავი, და რომელთა გამართლებამ არეულობათა ხელახალი

აგორება გამოიწვია. გაერთიანებულ სამეფოში იგივე პრობლემები გახდა მაკფერსონის მოხსენების თემა, სადაც დადასტურდა, რომ 1999 წელს პოლიციის მხრიდან გამოვლენილმა რასიზმმა ვინმე სტივენ ლორენსი იმსხვერპლა. დასკვნა კი პოლიციის ცენტრალური სამმართველოს **ინსტიტუციონალური რასიზმი** იყო. ეს მოხსენება სხვა საკითხებთან ერთად რეკომენდაციას აძლევდა პოლიტიკურ ძალებს, რათა სპეციალური პროცედურები გამოეყენებინათ რასისტულად განწყობილი პოლიციების გამოსაუღუნად და მათ რიგებში უფრო ფართოდ მოეზიდათ შუკანინანი თანამშრომლები.

პოლიციური ძალების პოლიტიზაციის დონე განუხრელად იზრდება იმის კვალობაზე, თუ რამდენად უფრო რთული და დანაწევრებული ხდება საზოგადოება. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც კი ამტკიცებს, რომ პოლიციის საქმიანობაში საერთოდ შეუძლებელია მკვეთრი ზღვარის გაღლება სამოქალაქო და პოლიტიკური მოქმედების სფეროებს შორის. ასევე აღნიშნავენ, რომ ნებისმიერი დანაშაული „პოლიტიკურია“ იმ თვალსაზრისით, რომ ამა თუ იმ სახით ის საზოგადოებაში მატერიალური დოვლათის, ძალაუფლებისა და სხვა რესურსების არათანაბარ განაწილებას უკავშირდება და აქედან გამომდინარე, ყოველთვის „პოლიტიკურია“ პოლიციური საქმიანობაც, ვინაიდან პოლიცია ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი სისტემის სადარაჯოზე დგას. ხშირად პოლიციის ნეიტრალურობისა თავად საზოგადოებასაც არ სჯერა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიციას გაფიცვების, დემონსტრაციებისა და სამოქალაქო არეულობების საწინააღმდეგოდ იყენებენ. ამგვარი მოვლენები კი ხშირია იმ რეგიონებში, სადაც მწვავე ეთნიკური ან ეროვნული პრობლემები არსებობს — მაგალითად, ესპანეთის ჩრდილოეთში, ბასკთა ქვეყანაში ან ჩრდილოეთ ირლანდიაში, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს პოლიცია სულაც არ მიაჩნია „კანონიერ ძალად“.

ხშირად „პოლიტიკურად განსაკუთრებით საჩოთირო სახელმწიფო ოპერაციების“ შესასრულებლად ნახევრად სამხედრო სპეციალურ პოლიციურ რაზმებს ქმნიან. ამის კლასიკურ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ უშიშროების რესპუბლიკური სამსახური საფრანგეთში, რომელიც სამხედრო ყაიდაზეა ორგანიზებული და მისი თანამშრომლები სპეციალურ გარნიზონებში ცხოვრობენ. იმავე მიზნით, გაერთიანებულ სამეფოში შეიქმნა პატრულირების სპეციალური ჯგუფი (SPG). და ბოლოს, პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს ჰყავს თავისი დაზვერვისა და უშიშროების საიდუმლო სამსახური, რომელთა ფუნქციები ცალსახად პოლიტიკური ხასიათისაა: მათი საქმიანობა იმ ადამიანებისა თუ ჯგუფების თვალთვალსა და ხანდახან კი „დესტაბილიზაციასაც“ მოიცავს, რომელთა ქცევაც, საგარეოდ, საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს. საუბარია შინაგანი უსაფრთხოების იმგვარ სამსახურებზე, როგორიცაა MI5 დიდ ბრიტანეთში, CSI და FBI ა.შ.შ.-ში თუ ყოფილი KGB ს.ს.რ.კ.-ში.

ინსტიტუციური რასიზმი:
რასიზმის ის ფორმა, რომელიც გარკვეულ კულტურებსა თუ პოლიტიკურ ინსტიტუტებშია გაბატონებული და ფაქტიურად, პიროვნული რასიზმის ერთგვარ სახესხვაობას წარმოადგენს.

პოლიციური სახელმწიფო

ტერმინი „პოლიციური სახელმწიფო“ იმგვარ პოლიტიკურ რეჟიმს მიესადაგება, სადაც ყოველგვარი სამოქალაქო თავისუფლებები ფაქტობრივად გათვლილი, პოლიცია არავითარ კანონს არ ემორჩილება, პასუხს არ აკისრებს არც სასამართლოსა და არც ზოგადად საზოგადოებრიობის წინაშე მოქმედებს უადრესად უხეში, საეჭვო და ბინძური მეთოდებით. პოლიციური სახელმწიფოები ტოტალიტარიზმის პირდაპირი გამოვლინებაა. იქ პოლიცია რომელსაც სრულიად გადამეტებული ძალაუფლება აქვს მინიჭებული სპეციალურად ნერგავს მუდმივი შიშის ატომოსფეროს, რათა მმართველიტას კიდევ უფრო მტკიცედ ეპყრას ხელთ და სრული კონტროლი განახორციელოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. თუკი ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ამგვარ პოლიციურ სახელმწიფოში თავად პოლიციას მაინც არ უჭირავს ის ადგილი, როგორც არმიას — სამხედრო დიქტატურის დროს, ანუ პოლიცია მხოლოდ პოლიტიკურ ელიტის სამსახურში იმყოფება.

სწორედ ამგვარი ვითარება იყო ნაცისტურ გერმანიაში, სადა უზარმაზარი აპარატი შეიქმნა დაშინებისა და თვალთვალის განსახორციელებლად. SA-ს რაზმები (იგივე „ყავისფერი პერანგები“) მზად იყვნენ ერთ დამახეზაზე სასტიკად გასწორებოდნენ რეჟიმის ნებისმიერ მოწინააღმდეგეს. გესტაპო საიდუმლო პოლიციის ამოცანებს ასრულებდა. SD-ს ქვედანაყოფები პასუხისმგებელი იყვნენ დაზვერვასა და უსაფრთხოებაზე, ხოლო SS-ი ნამდვილ სახელმწიფოდ გადაიქცა სახელმწიფოს შიგნით. ანალოგიური სურათი შექმნა სსრკ-შიც. ლენინმა 1917 წელს შექმნა ჩეკა — ბურჟუაზიასა და საკუთარ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად, შემდეგ მის ადგილზე აღმოცენდა ОГПУ — ყველა სხვა ამოცანებთან ერთად, ის კოლექტივიზაციის პროცესზეც იყო პასუხისმგებელი. მას მოჰყვა НКВД — სტალინის მიერ განხორციელებული პირადი ტერორის ინსტიტუტი; და ბოლოს, 1953 წლიდან — КГБ — რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად, საზღვრის დაცვის სამსახურზე და შრომაგამასწორებითი ბანაკების სისტემაზე კონტროლის განხორციელების ფუნქციას ითავსებდა. კომუნისტურ სახელმწიფოებში საიდუმლო პოლიციის სხვა მაგალითებს წარმოადგენს „შტაზი“ გერ-ში და „სეკურიტატე“ რუმინეთში, რომელთაც ინფორმატორთა ფართო ქსელი შექმნეს, საზოგადოების ყველა წრეებში შეადღიეს და მუდამ მზად იყვნენ საჭიროების შემთხვევაში რეჟიმის ნებისმიერი მოწინააღმდეგე „გაენეიტრალებინათ“.

სახელმწიფო უშიშროების ამგვარი სისტემის პარალელურად შესაძლებელია არსებობდეს „ჩვეულებრივი“ პოლიციური ძალებიც. მაგალითად, იმავე ნაცისტურ გერმანიაში, ფაშისტური დიქტატურის დროს ჩვეულებრივი ტერიტორიალური პოლიციაც არსებობდა, რომელიც მართლწესრიგზე ახორციელებდა მეთვალყურეობას — ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით. სსრკ-ში კი კავებუსთან განცალკევებით არსებობდა მილიციაც, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებოდა, და რომელიც პასუხისმგებელი იყო სისხლის სამართლებრივი დანაშაულებათა

გამოვლენაზე, დაძაბუებულა შეპყრობაზე, ზოგადად მართლწესრიგის უზრუნველყოფაზე და საპასპორტო რეჟიმზეც თავად ანხორციელებდა მუღალყურეობას.

თუმცა ე.წ. „ლიბერალურ“ სახელმწიფოებსაც ყავთ თავიანთი საიდუმლო პოლიცია. მაგალითად, CIA ა.შ.შ.-ში არაერთგზის იღებდა მონაწილეობას სახელმწიფოს გარეთ საიდუმლო ოპერაციებში — მათ შორისაა პინოჩეტის მიერ განხორციელებული გადატრიალების მხარდაჭერა ჩილეში, კუბელი ლიდერის, ფიდელ კასტროს მკვლელობის მცდელობა, იარაღის მიწოდება იმ ძალებისათვის, რომლებიც სალვადორში იბრძოდნენ კანონიერად არჩეული მთავრობის წინააღმდეგ. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათ არაერთგზის ჩაუტარებიათ საიდუმლო ოპერაციები ქვეყნის შიგნითაც, და გარკვეული როლიც ითამაშეს (თუმცა ეს დამტკიცებული არაა) პრეზიდენტ კენედის მკვლელობაში 1963 წელს. „პოლიციური ტერორის“ მეთოდები იქნა გამოყენებული ჩრდილოეთ ირლანდიაშიც 1960-იანი წლების ბოლოს, სადაც დიდი ბრიტანეთის პოლიციის სპეციალური ბრიგადები არა მარტო აკონტროლებდნენ სამოქალაქო დემონსტრაციებს და ებრძოდნენ IRA-ს (ირლანდიის რესპუბლიკურ არმიას), არამედ ყველაფერს აკეთებდნენ ოლსტერის კათოლიკურ უბნებში მცხოვრები მოსახლეობის დასაშინებლად. ეს ბრიგადები 1969 წელს დაშალეს, თუმცა ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც პოლიციური ფუნქციები ბრიტანული არმიის ქვედანაყოფებს გადაეცა.

პოლიტიკური კონტროლი და ანგარიშვალდებულება

როდესაც პოლიციურ კონტროლზე ვსაუბრობთ, გასახსენებელია არისტოტელეს ცნობილი რიტორიკული შეკითხვა ვინ დაგვიცავს დამცველთაგან? — ეს უადრესად რთული პრობლემაა, რომელსაც ორი მხარე აქვს — დადებითი და უარყოფითი. პოზიტიური თვალსაზრისი გულისხმობს პოლიციის ანგარიშგებას საზოგადოების წინაშე, მასზე განხორციელებული ზედამხედველობის პოლიტიკური და სამართლებრივი მექანიზმების არსებობას და აგრეთვე, იმ მრავალგვარ შესაძლებლობებს, რომლებიც ამასთან დაკავშირებულ პრობლემებს ხსნის და აგვარებს წინასწარ დადგენილი წესით. თუმცა პოლიციურ ძალებზე კონტროლი შესაძლებელია მის პოლიტიზაციაში გადაიზარდოს, ანუ სწორედ ესაა პრობლემის ნეგატიური ასპექტი — მისი იმ ინტრუმენტად გადაქცევის შესაძლებლობა, საკუთარი შეხედულებისამებრ რომ გამოიყენებს მოქმედი ხელისუფლება.

ამ ორი პოლუსის გაწონასწორების საქმეში ვადამწვევტ ფაქტორად პოლიციის ორგანიზების ორი — ცენტრალიზებული ან დეცენტრალიზებული ფორმა გვევლინება. დეცენტრალიზაციის დადებითი და მიმზიდველი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მისთვის ბუნებრივი და ორგანულია იმგვარი სტრუქტურების ქონა, რომლებიც „ქვემოდან ზემოთ“ პრინციპით მუშაობენ და ამიტომაც მეტ-ნაკლებად მაინც დამოუკიდებელი არიან ცენტრალური ხელისუფლებისაგან; ნებისმიერ შემთხვევაში ეს გარემოება საშუალებას აძლევს პოლიციას, ადგილობრივი პრობლემები, ინტერესები და მოთხოვნები გაითვალისწინოს და უფრო ადექვატურად იმოქმედოს. ამიტომაც

ანგარიშვალდებულება

ესაა საკუთარ ქმედებათა ახსნის ვალდებულება და სხვათა მხრიდან კრიტიკის მიღების მზადყოფნა. იგი მოითხოვს, რომ ნებისმიერი რგოლის უფლება-მოვალეობანი და ფუნქციები იმგვარად განისაზღვროს, შესაზღვრელი იყოს ქვემდგომთა საქმიანობის წარმატებით ზედამხედველობა და ობიექტურად შეფასება ზემდგომთა მიერ. ამ გაკებით, ანგარიშვალდებულება მხოლოდ კონსტიტუციონალიზმისა და წესების პატივისცემის პირობებშია შესაძლებელი.

დეცენტრალიზებული პოლიცია, რომელიც ადგილობრივი საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი, პრობლემათა იდეალურ მომგვარებლად ითვლება. ოლონდაც, საზოგადოებისავე მხრიდან არსებობს ცენტრალიზაციისაკენ მიმართული ძლიერი ზეწოლა, რადგანაც ცენტრალიზაცია უკეთ ესადაგება საერთო-ეროვნულ მმართველობას და უფრო ეფექტურიცაა, როგორც ადმინისტრაციული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

კონტინენტური ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობაში პოლიცია ცენტრალიზებულია. ამის კლასიკური ნიმუშია საფრანგეთი, სადაც ისტორიულად პოლიციის ორი სახეობა ჩამოყალიბდა: *ეროვნული პოლიცია*, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოქალაქო კონტროლის ქვეშ იმყოფება და *ჟანდარმერია*, რომელიც თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კონტროლს ექვემდებარება. პირველის მოვალეობაში შედის ქალაქებში კანონისა და წესრიგის უზუნველყოფა, ხოლო მეორე კი იმავეს უზრუნველყოფს სოფლებსა და დაბებში. ერთი ვეაა, მათი პასუხისმგებლობის სფეროები ისე ხშირად იკვეთება, რომ ხანდახან ნამდვილი „პოლიციური ომიც“ კი ჩადდება, მაგრამ საზოგადოებას ყველაზე მეტად სხვა რამ აწუხებს: თუ რა ვითარებაა პოლიტიკური კონტროლის თვალსაზრისით, ვის ექვემდებარება ეროვნული პოლიცია; კერძოდ, საფრანგეთში შინაგან საქმეთა მინისტრი უფლებამოსილია თავად დანიშნოს მაღალჩინოსნები, პრეფექტები კი, რომლებიც ქვეყნის 96 დეპარტამენტის საპოლიციო განყოფილებებს ხელმძღვანელობენ, პრაქტიკულად შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებთა უბრალო შემსრულებლად გვევლინებიან, რადგანაც ადგილზე მათი ქმედებების თავისუფლების ხარისხი მეტად უმნიშვნელოა.

აღნიშნული პრობლემა იმის გამოც რთულდება, რომ ქვეყანაში შედარებით სუსტია იუსტიციის სამინისტრო, რის გამოც პოლიციის ანგარიშგება სასამართლოს წინაშე ასევე სუსტადაა გამოხატული, ამიტომაც ეროვნული პოლიცია ხშირად აღიქმება, როგორც იარაღი მთავრობის ხელში ანუ როგორც ინსტიტუტი, რომელიც მაღალი მგრძობელობით არ გამოირჩევა სამოქალაქო თავისუფლებების მიმართ, ანდა როგორც მემარჯვენე პარტიების უპირობო მხარდამჭერები; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 1981 წელს მიტერანის გამარჯვების შემდეგ, ქვეყანაში სოციალისტური მთავრობა ჩამოყალიბდა, რასაც ღრმა ცვლილებები მოჰყვა პოლიტიკურ სისტემაში: გადაიხედა მაღალჩინოსანთა პირადი შემადგენლობა, შეიცვალა პოლიციის პრეფექტი და ეროვნული პოლიციის გენერალური დირექტორი, მკაცრი შეზღუდვები დაწესდა სატელეფონო საუბრების მოსმენაზე.

მეორეს მხრივ, სკანდინავიის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ცენტრალიზებული პოლიციის პრინციპისა და მისი ანგარიშგების მაღალი დონის წარმატებული შეთავსება სავსებით შესაძლებელია. დანიაში პოლიციის კომისარი ინიშნება ცენტრალური ხელისუფლების მიერ, და იგი ძირითადად სტრატეგიული ხასიათის საკითხებზეა პასუხისმგებელი. იმედროულად, 72 ადგილობრივი მთავარი კონსტებლიც ასევე საკმარისად დამოუკიდებელია — საკუთარი შეზღუდულებისამებრ აკომპლექტებენ მომსახურე პერსონალს და შესაბამის რესურსებსაც თავადვე განკარგავენ.

შვეიციაში პოლიცია ცენტრალიზებული 1965 წელს გახდა, მაგრამ აქ ადგილობრივი საპოლიციო კომიტეტების სისტემა მოქმედებს, რომელიც საშუალებას აძლევს ადგილობრივ ხელისუფალთ, საპოლიციო სამსახურები მკაცრად აკონტროლონ.

ყველაზე დეცენტრალიზებული პოლიცია, ალბათ, ისევ ამერიკის შვერთებულ შტატებშია. ქვეყნის მრავალშრიანი ფედერალური სისტემის გამოისობით, იგი არანაკლებ ხუთი სახეობის პოლიციური სტრუქტურისაგან შედგება. ესენია: FBI (გამოძიების ფედერალური ბიურო), იუსტიციის სამინისტროსთან არსებული ფედერალური ორგანოები, 50 შტატის პოლიციური ძალები, შტატების დონეზე არსებული შერიფები და შერიფების თანაშემწენი, დიდი და მცირე ქალაქების პოლიცია და სოფლებისა და რაიონების პოლიცია. ამ სისტემის ძლიერი მხარე ისაა, რომ იგი საკმაოდ ადექვატურად რეაგირებს ადგილობრივ საჭიროებებზე; მართლაც, აქ პოლიცია იმგვარადაა ორგანიზებული, რომ სრულად შეესატყვისება ადგილობრივი საზოგადოების მოთხოვნილებებს, რომელთაც ემსახურება კიდევ. თუმცა თვალსაჩინოა მისი ნაკლიც: ესაა 40 ათასზე მეტი პოლიციური ორგანოს საქმიანობის დუბლირება და მათი პასუხისმგებლობის სფეროთა გადაკვეთა, რაც ბუნებრივია, ართულებს ბალანსის დაცვას საზოგადოების წინაშე პოლიციის მიერ ანგარიშგების პრინციპსა და მისი პოლიტიკური მიუკერძოებლობის პრინციპს შორის. ისეთ მსხვილ ამერიკულ ქალაქებში, როგორცაა ნიუ-იორკი და ლოს-ანჯელესი, პოლიცია ვერ ახერხებს პოლიტიკური ზეწოლისაგან თავის დაღწევას თვით ყოველდღიურ საქმიანობაშიც კი. კერძოდ, პოლიციის კომისრებს გარკვეული ვადით ნიშნავს ქალაქის მერი და ბუნებრივია, ამ ვადის გახანგრძლივების მცდელობაც ადვილი შესაძინეია.

ზოგიერთ ქვეყანაში კი საერთოდ უარი თქვეს ნებისმიერი სახის დეცენტრალიზაციაზე — მაგალითად, გერმანიასა და იაპონიაში. 1950 წლისათვის დასავლეთ გერმანიის პოლიცია დაუბრუნდა რეგიონების, ე.წ. "მიწების" პრინციპზე დაფუძნებულ ორგანიზებას და შესაბამისად, შეიქმნა საერთო-ეროვნული ორგანოებიც, ისეთი, როგორცაა კრიმინალური პოლიციის ფედერალური ბიურო და სასაზღვრო პოლიცია. იაპონიაში 1954 წელს ყველა პოლიციური ძალა ნომინალურად ეროვნულ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომისარს დაექვემდებარა, თუმც კი დღემდე, უპირატესად, პრეფექტურის დონეზე ახორციელებს თავის საქმიანობას.

დიდი ბრიტანეთი ოდითგანვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დეცენტრალიზებული სისტემის კლასიკურ მაგალითად ითვლებოდა, რადგანაც აქ საერთო-ეროვნული პოლიცია არასოდეს არსებულა. გამონაკლისს მხოლოდ ლონდონის პოლიცია წარმოადგენდა, რომელიც უშუალოდ შინაგან საქმეთა მინისტრს ემორჩილება. დანარჩენი ქვეყნის პოლიცია ადგილობრივ საწყისზეა ორგანიზებული და მთავარი კონსტებლები უშუალოდ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიმართ არიან ანგარიშვალდებულნი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, დეცენტრალიზაციის იდეალისაგან მაინც შორსა ვართ: დავიწყეთ იმით, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის კომპეტენცია რეალურად დედაქალაქის პოლიციის საზღვრებს

19. სამხედრო და პოლიციური ძალები

სცდება და სამართალქმედების ყველა სფეროს მოიცავს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მუდმივი კონტროლის ქვეშ ამყოფებს ნაციონალური პოლიციის ხელმძღვანელ რეოლს — სხვადასხვაგვარი ინსტრუქციების, დირექტივებისა და ცირკულარების, ასევე, საპარლამენტო კანონმდებლობის მეშვეობით; გარდა ამისა, ცენტრალიზაციისკენ მიმართული ტენდენცია ნელი-ნელ საერთო ეროვნული ტექნოლოგიების დანერგვის გზითაც მკვიდრდება. მხედველობაში გვაქვს ეროვნული პოლიციის გამოთვლითი ცენტრი და მონაცემთა ბაზის შენახვის ეროვნული ცენტრი. სწორედ ცენტრალიზებული განვითარების ტენდენციამ მოიტანა ის შედეგი, რომ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, პოლიციაში სულ უფრო დიდი იშვიათობა გახდა თანამდებობათა არჩევითობის პრაქტიკა. და ბოლოს, საკითხთა უაღრესად ფართო წრე საერთოდ გამოვიდა საზოგადოებრივი კონტროლის სფეროდან და ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, საუბარია M15-ზე, რომლის კომპეტენციის სფეროც 1996 წელს გაფართოვდა და სისხლის სამართალსა და სამართალქმედების საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებაც მოიცავს; ამას ემატება ყველა ის საქმე, რომელიც „ეროვნულ უსაფრთხოებას“ უკავშირდება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ M15-ის ყველა ოპერაცია საიდუმლო ხასიათს ატარებს, მისი ბიუჯეტი არ ექვემდებარება საპარლამენტო კონტროლს და ბრიტანული უშიშროების სამსახურის ერთად-ერთ რეოლს წარმოადგენს, რომელსაც უფლება აქვს „დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი მიზნები და ამოცანები“. შეიძლება ითქვას, რომ თეორიულად მაინც, ეს შემდეგს ნიშნავს: მას შეუძლია ვინც უნდა, ის ამოიღოს მიზანში, აკეთოს ყველაფერი რაც ნებაჲს და როდესაც ნებაჲს.

შეჯამება:

« არმია წარმოადგენს განსაკუთრებული სახის პოლიტიკურ ინსტიტუტს; დანარჩენი საზოგადოებრივი ინსტიტუტებისაგან შეიარაღებული ძალები იმით გამოირჩევა, რომ მათ მფლობელობაშია შეიარაღება, ხელთ უპყრიათ იძულებითი ხასიათის უზარმაზარი ძალაუფლება, გამოირჩევიან შინაგანი დისციპლინითა და ურთიერთდაქვემდებარების პრინციპზე აგებული სტრუქტურებით, მათთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული კულტურა და იმ ხასიათის ღირებულებები, რაც უცხოა სამოქალაქო საზოგადოებისათვის. ისინი საკუთარ თავს სართო-ეროვნული ინტერესების მატარებლად განიხილავენ, რაც მათ „პოლიტიკაზე მაღლა“ აყენებს.

« შეიარაღებული ძალები მთავარი იარაღია გარეშე სახელმწიფოების საწინააღმდეგოდ წარმოებულ ომში. ამის პარალელურად, ჯარი წარმოადგენს ინტერესთა უმძლავრეს ჯგუფს, რომელიც ძლიერ ზეგავლენას ახდენს ზოგადად პოლიტიკასა და კონკრეტულად, საგარეო და თავდაცვით პოლიტიკაზე. ამას გარდა, მას იყენებენ როგორც დამატებით საშუალებას შინაგანი წესრიგისა და სტაბილურობის დასამყარებლად იმ ვითარებაში, როდესაც სამოქალაქო სამსახურებს არ ძალუძთ აღნიშნული ამოცანების შესრულება. და ბოლოს, ჯარი ის ძალაა, რომელსაც შეუძლია გადააყენოს სამოქალაქო მთავრობა და საკუთარი დიქტატურა დაამყაროს.

« ისტორიულად, ჯართან დაკავშირებით კონტროლის ორი ფორმა ჩამოყალიბდა: ლიბერალური, ანუ „ობიექტური“ მოდელის თანახმად, არა მარტო სასურველია, არამედ საჭიროც კია, რომ არმია პოლიტიკის გარეგან იდგეს სამოქალაქო კონტროლის მექანიზმების გამოყენებით, ექვემდებარებოდეს სამოქალაქო ხელმძღვანელობას და ანგარიშვალდებული იყოს მის წინაშე. „სუბიექტური მოდელის“ თანახმად კი ჯარი სამოქალაქო მმართველობაზეა მიბმული და მას იდეოლოგიურად უქვემდებარებენ მმართველი ელიტის მიზნებსა და ღირებულებებს.

« სამხედრო გადატრიალებები მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში ხდება, და ამის მთავარი ფაქტორებია: ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობა, რომელსაც თან ახლავს მოქმედი ხელისუფლების მხარდაჭერის დაბალი დონე, საზოგადოების თვალში სახელისუფლებო ინსტიტუტებისა და მმართველი ელიტის მიერ ლეგიტიმურობის დაკარგვა, ინტერესთა კონფლიქტი სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელობს შორის და ბოლოს, საერთაშორისო ვითარება, რომელიც უბიძგებს სამხედროებს, გადატრიალება მოახდინონ და სულ მცირე, ძალაუფლების ხელში ჩაგდებას უადვილებს მათ.

« პოლიციის მთავარი ამოცანა, სამართალქმედების განხორციელება და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაა. თუმცა შესაძლებელია, ეს პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებდეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ

19. სამხედრო და პოლიციური ძალები

მას სამოქალაქო არეულობებთან ან პოლიტიკურ უთანხმოებებთან მიმართებაში იყენებენ, ან კიდევ მაშინ, როცა იგი იარაღად იქცევა პოლიციური სახელმწიფოს ხელში და პოლიტიკური ელიტის სამსახურში ჩამდგარ, რაღაც გაურკვეველ პარამილიტარულ ფორმირებად ყალიბდება.

« პოლიციის ქმედითი კონტროლი გულისხმობს ბალანსის დაცვას ერთი მხრივ, მის პოლიტიკურ ანგარიშვალდებულებათა პრინციპსა და მეორე მხრივ, მისი პოლიტიზაციის პრინციპს შორის. ზემოთქმული, თავის მხრივ, იმაზეა დამოკიდებული, თუ რაა მისი ორგანიზებულობის საფუძველი — ანუ, ცენტრალიზებულია იგი თუ დეცენტრალიზებული. დეცენტრალიზებული პოლიციური ძალები ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობით სარგებლობენ და ვალდებულნი არიან, მკაფიო რეაგირება მოახდინონ ადგილობრივ საჭიროებებზე. ცენტრალიზებული კი უფრო ადექვატურად პასუხობს საერთო-ეროვნული მმართველობის მოთხოვნებს.

კითხვები განსასჯელად:

მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახელმწიფოს საფუძველთა-საფუძველს იძულება წარმოადგენს, რატომ ხდება, რომ სამხედროები ასე იშვიათად ერევიან პოლიტიკაში?

რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად შიდა პოლიტიკაში ჯარის ჩარევა? შესაძლებელია თუ არა, ზოგადად, ამგვარი რამ გამართლებულად მივიჩნიოთ?

მართალია თუ არა, რომ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი უკვე თავისთავად წარმოადგენს საფრთხეს დემოკრატიული პროცესის მიმართ?

შესაძლებელია თუ არა ითქვას, რომ არმია ყველგან და ყოველთვის „მემარჯვენე“ ან ავტორიტარულ პოლიტიკურ ორიენტაციას ემხრობა? ყოველთვის პოლიტიკურია თუ არა პოლიცია?

რა უმჯობესია — ცენტრალიზებული თუ დეცენტრალიზებული პოლიცია?

დამატებითი საკითხავი:

Brewer, J., A. Guelke, I.Hume, E. Moxon-Browne and R. Wilford, *The Police Public Order and the State* (Basingstoke: Macmillan, 1988).
Nordlinger, E., *Soldiers in Politics: Military Coups and Governments* (Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall, 1977).
Brooker, P., *Non-Democratic Regimes: Theory, Government and Politics* (Basingstoke and New York: Palgrave Macmillan, 2000).

საქართველო

პოლიტიკური კურსი
და
მისი გატარება

პოლიტიკის შემუშავება და მისი სისტემური დანერგვა

20
თავი

შინაარსი

“ჩემი პოლიტიკური კურსი — ყოველგვარი კურსის უარყოფა”.

აბრაამ ლინკოლნი, მდინისთვის ნათქვამი ფრაზა (1861)

გარკვეული აზრით, პოლიტიკური კურსი — იგივე პოლიტიკური პროცესის “ამონაგებთა” ერთობლიობაა და საზოგადოებაზე აისახება, როგორც მმართველობის შედეგი; ანუ — უკეთესობისაკენ წავა საქმე, თუ — უარესობისაკენ. ოღონდაც პოლიტიკური ანალიზი სულაც არ ნიშნავს მხოლოდ ეფექტიურობისა თუ შედეგიანობის ასახვას, ანუ — “პოლიტიკის კეთების” კვლევას, არამედ იმასაც, თუ “რანაირად უნდა გაკეთდეს” ზოგადად, პოლიტიკა. ასევე, იგი იმ ნორმატიულ საკითხებსაც მოიცავს, თუ რისთვისაა საჭირო მთავრობა და როგორია თავად იდეალური საზოგადოება. ამ მხრივ, იმის საჩვენებლად, თუ როგორ მოქმედებს ესა თუ ის მმართველობა ან პოლიტიკური სისტემა, ჯერ თავად პოლიტიკური ანალიზის, როგორც კერძო დარგის, ზოგადი მიზნები უნდა გავარკვიოთ.

ამ თავში შეძვეი ძირითადი საკითხებია განხილული:

საკვანძო საკითხები:

- < რას ნიშნავს პოლიტიკური კურსი?
- < როგორ ხდება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება? რა თეორიები არსებობს ამასთან დაკავშირებით?
- < რა მთავარი ეტაპები ახასიათებს პოლიტიკურ პროცესს?
- < რა სასურველ შედეგებს მოელიან ხოლმე პოლიტიკური პროცესის-აგან?
- < რა გზებს ირჩევენ კონკრეტული სახელმწიფოები და განსხვავებული პოლიტიკური სისტემები ამ შედეგების მისაღწევად?

პოლიტიკის შემუშავება

გადაწყვეტილებების მიღება.

პოლიტიკის შემუშავების საფეხურები.

პოლიტიკის სისტემური ამოქმედება

სტაბილურობის მიღწევა მატერიალური უზრუნველყოფა.

მოქალაქეობრიობის დანერგვა.

დემოკრატიის განმტკიცება.

შეჯამება/კითხვები

განსახველად/დამატებითი საკითხავი

პოლიტიკის შემუშავება

პოლიტიკური კურსი
ზოგადი გაგებით, ესაა პიროვნების, ჯგუფის, ბიზნეს-სტრუქტურისა თუ ხელისუფლების მიერ არჩეული სამოქმედო გეგმა. ამა თუ იმ კურსის გასატარებლად, ოფიციალურად შეთანხმებული გადაწყვეტილებების შემუშავება აუცილებელი. *საჯარო პოლიტიკა* კი — ესაა სახელისუფლო ორგანოთა მიერ კანონიერი გზით მიღებული და ოფიციალურად გაცხადებული გადაწყვეტილება.

პოლიტიკის შემუშავება იმ მექანიზმებთანაა დაკავშირებული, რომელთა მეშვეობითაც საჯარო (სამთავრობო) პოლიტიკური კურსი ხორციელდება. ზოგადად “პოლიტიკის კეთება” — ესაა პროცესი ორი გაგებით: ჯერ ერთი, იგი ქმედებათა თუ ხდომილებათა ურთიერთდაკავშირებულ ჯაჭვს გულისხმობს: პროცესი იწყება იდეების გამოკვეთითა და წინადადებების წამოყენებით, გრძელდება მათზე კამათით, მათი ანალიზითა და შეფასებით, ხოლო სრულდება საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებითა და მათი ცხოვრებაში გატარებით, ანუ — მიზანმიმართული ქმედებების სახით. მეორეც: ესაა პროცესი იმ გაგებით, რომ ერთმანეთისაგან მიჯნავს მართვის ხასიათსა და საგანს — მას უფრო აინტერესებს თუ “როგორ კეთდება” პოლიტიკა, და არა ამ პოლიტიკის “შინაარსი” თუ მისი შედეგები. საბოლოო ჯამში, პოლიტიკური კურსი მხოლოდ მისი რეალური გავლენის კუთხით შეიძლება შეფასდეს: “კეთილი” თუ “ხენეში” ნაყოფის მიხედვით. ამ თავის პირველ მონაკვეთში გადაწყვეტილებების მიღების გზებზე და ამა თუ იმ პოლიტიკური პროცესის სხვადასხვა ეტაპის მნიშვნელობაზე გვექნება საუბარი.

გადაწყვეტილებების მიღება

პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება უთუოდ პოლიტიკური პროცესის უმთავრესი ნაწილია. თუმცა, რამდენადაც უცნაურად უნდა მოგვეჩვენოს, ყოველთვის იოლი როდია იმის დადგენა, როდის და რატომ მიიღეს ესა თუ ის გადაწყვეტილება, რადგან ადამიანები და ჯგუფები, მცირე და დიდი ორგანიზაციები, დემოკრატიული და ავტორიტარული სახელმწიფოები გადაწყვეტილებებს სხვადასხვაგვარად იღებენ. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების რამდენიმე თეორია არსებობს, რომელთა შესაბამისად, ამ პროცესში შემდეგ ფაქტორები გამოიყოფა:

- ◀ რაციონალური საწყისი
- ◀ გარემოებათა გათვალისწინება
- ◀ ბიუროკრატიული მექანიზმების როლი
- ◀ იდეოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობა

რაციონალური საწყისი

გადაწყვეტილებათა მიღების ისეთი კონცეფციები, როდესაც პოლიტიკურ პროცესში რაციონალურ საწყისს მიიჩნევენ უმთავრესად, იმ ეკონომიკურ თეორიებს უკავშირდება, რომლებიც უტილიტარიზმის საზრისიდან მომდინარეობს. იგივე იდეები დაედო საფუძვლად “საზოგადოებრივი არჩევანის” თეორიას, ენტონი დაუნზმა რომ ჩამოაყალიბა 1957წ. და შემდგომ ახალმა მემარჯვენეობამაც დიდი ხალისით აიტაცა. მიდგომის საფუძველში იმ

გადაწყვეტილება: არჩევანის გაკეთება რამდენიმე შესაძლო ვარიანტს შორის.

„ეკონომიკური ადამიანის“ იდეა ძვეს, რომელიც ყველგან და ყველაფერში საკუთარ ინტერესებს იცავს, რასაც თავად „სარგებელს“ უწოდებს. ამ გაგებით, გადაწყვეტილების მიღება შემდეგი თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმით ხდება:

◀ პრობლემის არსის გააზრება.

◀ პიროვნების ღირებულებათა სისტემის საფუძველზე, სასურველი მიზნის გამოკვეთა.

◀ მიზნის მიღწევის საშუალებებისა და მეთოდების შეფასება მათი უწყქტიურობის, სანდოობის, შესაძლო ხარჯების და ა. შ.

◀ კათვალისწინებით.
◀ უმოკლესი გზის არჩევა დასაზული მიზნის მისაღწევად.

ამ მიდგომას ერთი მთავარი თავისებურება ახასიათებს: იგულისხმება, რომ ყველა საქმეში ყოველთვის არსებობს სრულიად ნათელი მიზნები და ადამიანები გააზრებულად და თანამიმდევრულად მიისწრაფიან მათკენ. რაციონალური არჩევანის მოდელი ნაწილობრივ იმითაცაა მიზიდველი, რომ ნათლად გვიჩვენებს ადამიანთა უმრავლესობის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, როგორ უნდა იქნას ეს გადაწყვეტილებები მიღებული. ცხადია, პოლიტიკოსები ყოველნაირად ცდილობენ ხოლმე, საკუთარი ქმედებები გამიზნულ და გააზრებულ ნაბიჯებად წარმოაჩინონ, ოღონდ პრობლემას თუ უფრო ყურადღებით დააკვირდებით, მივხედვებით, რომ გადაწყვეტილებების მიღების ეს მოდელი არცთუ მთლად დამაჯერებელია: ის შესაძლოა ცუდად არ მუშაობს ცალკე აღებული ინდივიდის დონეზე, მაგრამ ბევრად უარესად — ჯგუფების დონეზე, რომელთა შიგნით შესაძლოა, საპირისპირო ინტერესები და მისწრაფებებიც გამოიკვეთოს. რაც შეეხება უფრო მასშტაბურ ორგანიზაციებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზემოაღნიშნული მეთოდით გადაწყვეტილებები იქ მხოლოდ მაშინ მიიღება, თუ მკაცრად ცენტრალიზებული არიან და უმკაცრეს შინაგან დისციპლინას ემორჩილებიან.

ამგვარი მიდგომის მეორე პრობლემა ისაა, რომ რეალობაში გადაწყვეტილებებს ყველაზე ხშირად არაზუსტი და არასრული ინფორმაციის საფუძველზე იღებენ: მაგალითად, როგორ შევადაროთ ერთმანეთს გადასახადების გაზრდით გამოწვეული სოციალურად უარყოფითი შედეგები და ჯანდაცვის დაფინანსების შემცირებით გამოწვეული უარყოფითი სოციალური შედეგები? ამგვარ სირთულეებთან დაკავშირებით პ. საიმონმა (1983) „შეზღუდული რაციონალობის“ ცნება წამოაყენა: იგულისხმება, რომ ვინაიდან განზორციელებული ქმედების ყველა შესაძლო ვარიანტის გათვლა შეუძლებელია, გადაწყვეტილებების მიღება არსებითად ყოველთვის წარმოადგენს არჩევანს განსხვავებულად აღქმულ და უცილობლად არაზუსტად გათვლილ შედეგებს შორის. და ბოლოს, განხილული მოდელის ნაკლი ისაა, რომ მასში სუბიექტური ხასიათის ფაქტორებია იგნორირებული, ანუ — კათვალისწინებული არაა, ამა თუ იმ ქმედებას თავად რეალობა, თუ ამავე რეალობაზე შექმნილი წარმოდგენა განაპირობებს.

უტილიტარიზმი — ეთიკური მიმართულება, რომლის ფუძემდებლები და მთავარი წარმომადგენლები არიან ჯერემი ბენტამი და ჯეიმზ მილი. უტილიტარიზმის ფილოსოფია იქიდან ამოდიოდა, რომ ადამიანებს სიამოვნების მიღების ბუნებრივი სურვილი ამოძრავებთ და ასევე ბუნებრივია, ცდილობენ ტანჯვას აარიდონ თავი; ამიტომ, სიამოვნება „სიკეთია“, ხოლო ტანჯვა და უბედურება — „პოროტუბა“. უტილიტარიზმის თანახმად, „ბედნიერება“ შეიძლება „სასარგებლომდე“ დაიყვანოთ — ძირითადად, მატერიალური დოვლათის მოხმარების სიამოვნებამდე. უტილიტარიზმის სოციალური ფილოსოფია საზოგადოებრივი „სარგებლიანობის“ პრინციპს ეყარება — „რაც შეიძლება მეტი ადამიანის დაკმაყოფილება“. ამ კრიტერიუმით, უტილიტარიზმის თანახმად, შესაძლებელია როგორც კანონების ვარგისიანობის შეფასება, ასევე — საზოგადოებრივი ინსტიტუტების და პოლიტიკური სისტემებისაც. პოლიტიკურ სფეროში უტილიტარიზმი მჭიდროდ უკავშირდებოდა კლასიკურ ლიბერალიზმსა და თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიას და მათ თავისებურ თეორიულ-ეთიკურ საფუძველსაც წარმოადგენდა.

გარემოებათა გათვალისწინება (ე.წ. “ინკრემენტულ” მოდელი)

ინკრემენტალიზმი ჩვეულებრივ, რაციონალური არჩევანის მოდელის უმთავრეს ალტერნატივად ესახებათ. იგი იმ დებულებას ეყრდნობა, რომ პრაქტიკაში გადაწყვეტილებები ყოველთვის არაადექვატური ინფორმაციის საფუძველზე და პრობლემის იმთავითვე არასათანადო დონეზე გაგების პირობებში მიიღება, რის გამოც ადამიანები თავს უფლებას ვერ მისცემენ განსაკუთრებით ორიგინალური და გაბედული გადაწყვეტილებები მიიღონ. ამიტომ, ამ მიდგომის თანახმად, პოლიტიკა ყოველთვის ცდებისა და შეცდომების პრინციპით გამომუშავდება: როცა მკაფიოდ გამოკვთილი მიზანი არ ჩანს, ადამიანები უკვე ჩამოყალიბებული სიტუაციის ფარგლებში მოქმედებას ამჯობინებენ და მხოლოდ ადრე მიღებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ცვლიან პოზიციებს. თავის დროზე ამ მოდელის დასაბუთებით გამოვიდა ჩარლზ ლინდბლომი (1963), რომელმაც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ამგვარი მეთოდი „პატარა ნაბიჯებით წინსვლის მეცნიერებად“ მონათლა. ლინდბლომი თვლის, რომ მოდელი სრულად ადექვატურად ასახავს საქმის არსს და გარდა ამისა, იდეალურად ესადაგება პლურალისტურ საზოგადოებებს, სადაც პოლიტიკა ყველაზე ხშირად იგება, როგორც კომპრომისის შედეგი. თუმცა, ეს მოდელი ბევრჯერაც გააკრიტიკეს, როგორც შეფარული კონსერვატიზმის მატარებელი და ინოვაციების უარყოფელი: ამ მიდგომის მიმდევარი პოლიტიკოსები სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას, დღესინდელ თავსატეხვართა მოგვარებას ამჯობინებენ, ხოლო მთელი მათი ენერჯია იმაზე იხარჯება, სახელმწიფოს გეში წყლის ზედაპირზე შეინარჩუნონ, და არა იმაზე, ახალი კურსით მიმართონო.

ამ მოდელის ერთი ნაკლი ისიცაა, რომ არ ხსნის, როგორ მიიღება რადიკალური ტიპის გადაწყვეტილებები: მაგალითად, სტალინის გადაწყვეტილება საბჭოთა ეკონომიკის ხუთწლიან დაგეგმვაზე გადაყვანასთან დაკავშირებით 1928წ., კასტროს გადაწყვეტილება ხელში ჩაეგდო ძალაუფლება კუბაში 1959წ., ტუტჩერის გადაწყვეტილება კი — ნეოკონსერვატიული პროგრამის განხორციელება დაქვო 1980-იან წლებში — ყოველივე ამის „მცირე ნაბიჯებით წინსვლის“ ტერმინებით ახსნა შეუძლებელია. ამასთან დაკავშირებით ამიტაი ეციონიმ (1967) კომპრომისული ვარიანტი წამოაყენა რაციონალურ და ინკრემენტულ მოდელებს შორის. იგი თვლის, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას ჯერ ამოცანის ყველაზე ეფექტურად გადაწყვეტის ყველა შესაძლო ვარიანტის „სკანირება“ ხდება, რის შემდეგაც დეტალებთან და კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში უფრო ვიწრო, ე.წ. „ნელი წინსვლის“ მიდგომა გამოიყენება. ვთქვათ, მთავრობა ჯერ საკუთარი ხარჯების გრძელვადიანი შემცირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, შემდეგ კი გადაწყვეტილებათა სერიას იმასთან დაკავშირებით, რომელი სახელმწიფო პროგრამების შემცირებაა შესაძლებელი და რამდენად.

ინკრემენტალიზმი:

ესაა თეორია, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილებები მიიღება არა წინასწარი გამოკვთილი მიზნის შესაბამისად, არამედ ცვალებადი ვითარებების კვალდაკვალ.

ბიუროკრატიული მექანიზმების როლი

შიდილება ითქვას, რომ პირველი ორი მოდელი გადაწყვეტილებების მიღების პროცესს განიხილავს, როგორც „შავ ყუთს“, ისე რომ ამ „ყუთში“ არც იხედება და არ სვამს კითხვას — რა გავლენას ახდენს პოლიტიკის კუთხის პროცესის რაობა საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებაზე. ამათგან განსხვავებით, ორგანიზაციულ-ბიუროკრატიული მოდელი სწორედ იმის გაგებას ცდილობს, რა არის ამ „ყუთში“, ანუ — როგორ ახდენს გავლენას პროცესი შედეგზე. პირველად ეს მიდგომა გრემ ელისონმა (1971) წარმოადგინა თავის გამოკვლევაში იმის თაობაზე, კუბის სარაკეტო კრიზისის დროს (1962წ.) ა.შ.შ.-სა და სსრკ-ს პოლიტიკური ელიტები როგორ იღებდნენ შესაბამის გადაწყვეტილებებს. გამოკვლევამ ორი განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული მომენტი გამოავლინა: „ორგანიზაციულ“ ასპექტში აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე უზარმაზარ გავლენას ის ღირებულებები, მოსაზრებები და ჩამოყალიბებული ქცევის მოდელები ახდენს, რაც ყოველთვის არსებობს დიდ ორგანიზაციებში; ანუ — ხშირად გადაწყვეტილებები არა დასახული მიზნებისა და მათი შესაბამისი სიტუაციის აწონ-დაწონილი ანალიზით განისაზღვრება, არამედ შესაბამისი სამთავრობო ორგანოს ხელწერით. „ბიუროკრატიულ“ ასპექტში აღმოჩნდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ყოველთვის წარმოადგენს „ვაჭრობის“ შედეგს სხვადასხვა მონაწილეთა (ადამიანებსა და სტრუქტურებს) შორის, რომელთაგან თითოეული, არსებითად, საკუთარ ინტერესებს იცავს. ამ მოდელის მიხედვით, მთავრობა ერთ მთლიანობად კი არ წარმოგვიდგება, რომელიც გარკვეული მიზნების გარშემო გაერთიანებული, არამედ კონკურენტული ძალების რაღაც კონგლომერატად, რომელთა შორის ბალანსი გამუდმებით იცვლება.

თუმცა გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გასაგებად ეს მოსაზრებები, უდავოდ, ინტერესს არაა მოკლებული, ის მაინც უნდა აღინიშნოს, რომ თავად მოდელი საკმაოდ საკამათოა. დაიწყოთ იქიდან, რომ „ორგანიზაციული“ მოდელი ძალზე მცირე ადგილს ტოვებს პოლიტიკური ლიდერობისთვის, მაშინ, როცა ხშირად ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სწორედ ლიდერები იღებენ ხოლმე. შეცდომა იქნებოდა იმის დაშვება, რომ ყველა პოლიტიკური გააწყვეტილება მხოლოდ ორგანიზაციებში მწიფდება და მათ შინაგან ლოგიკას ექვემდებარება: მაშინ რა ყუყუთ ფ. დ. რუზველტის „ახალ კურსზე“ გადასვლისა ან, ვთქვათ, პიტლერის პოლონეთზე თავდასხმის გადაწყვეტილებას? საკითხის მეტისმეტად გამარტივება იქნებოდა ასევე, იმის მტკიცება, თითქოსდა ადამიანები მხოლოდ იმას იზრახავენ, რასაც ამა თუ იმ ორგანიზაციისადმი მათი კუთვნილება კარნახობთ. რა თქმა უნდა, თავისებური ჭეშმარიტება ძვეს აფორიზმში „რა თვალსაზრისზეც ადამიანი დგას, იმაზეა დამოკიდებული, თუ სად ხის“, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში წმინდად ინდივიდუალური ფაქტორების უგულვებელყოფაც არ შეიძლება. და ასევე, ყველა გადაწყვეტილების მხოლოდ იმით ახსნა, რაც „შავ ყუთში“ ხდება, გარე სამყაროს იმ ფაქტორების იგნორირებას ნიშნავს, რომლებიც უფრო ფართო ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური კონტექსტით ზემოქმედებს ნებისმიერ გადაწყვეტილებათა მიღებაზე.

იდეოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობა

„ეთნოცენტრიზმი“

ამ ცნებაში შეიძლება ორი მხარე გამოვყოთ: უპირველესად, ესაა რწმენა, რომ „საკუთარი“ ეთნიკური ჯგუფი, „საკუთარი“ ხალხი ყოველთვის სხვებზე უკეთესი და უფრო სრულყოფილია: ასეთი რწმენა, როგორც წესი, აბსოლუტურად შეუვალელია და რაღაც გაგებით რასიზმს უახლოვდება. მეორე, „ეთნოცენტრიზმი“ აღნიშნავს ცნობიერების თვისებას — სხვა ჯგუფებისა და ხალხების მოქმედება და გადაწყვეტილებები საკუთარი კულტურის ღირებულებებისა და ტრადიციების პრინციპად შეაფასოს. ხანდახან ამგვარი წარმოდგენა ქვეცნობიერის დონეზე მოქმედებს, რაც ხელს უშლის ადამიანს რეალურად არსებული განსხვავებები გააცნობიეროს ადამიანებს, ეთნოსებსა და კულტურებს შორის. ეთნოცენტრიზმი ხელისშემშლელ ფაქტორად გველინება ძალზე ბევრი შედარებითი გამოკვლევისთვის, რაც სხვა კულტურების გაგებასა და უნივერსალური ხასიათის თეორიების დამუშავებას ართულებს.

და ბოლოს, არსებობს მიდგომა, რომელიც გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში იდეოლოგიურ ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას, ანუ — განსხვავებულ თვალსაზრისებზე, რწმენაზე, პოლიტიკური პრობლემების აღქმის სხვადასხვაობაზე. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: რასაც ადამიანები ხედავენ და ესმით — ეს ისაა, რისი გავების საშუალებასაც მათ უკვე ჩამოყალიბებული ღირებულებები და მოსაზრებები აძლევს. ხშირად ეს ყველაფერი წმინდა ქვეცნობიერ დონეზე ხდება. ადამიანები, რომლებიც გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებენ, იმ წუთს შესაძლოა ფიქრობდნენ რომ სრულიად რაციონალურად მოქმედებენ, რომ ყველაფერი მიუკერძოებლად აქვთ გათვლილი-აწონილი — მიუხედავად ამისა, მათ ცნობიერებაში არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური მრწამსი თავისებური იდეოლოგიური ფილტრის როლს ასრულებს და სწორედ ის წვეტს, რა არის მათთვის შეუძლებელი და რა — მიღწევადი, რაა სასურველი და რა — მიუღებელი. ყველაზე ხშირად პროცესი ისე მიდის, რომ ზოგ ფაქტებს საერთოდ არ ექცევა ყურადღება, ზოგზე კი მთელი გათვლები და ვარაუდები იგება. კენეთ ბოულდინგმა (1956) თავის დროზე სამართლიანად აღნიშნა, ეს მექანიზმი რომ არა, ადამიანები საერთოდ ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ და უბრალოდ, ინფორმაციის ზღვაში ჩაიხრჩობოდნენ.

პოლ საბატიემ (1968) სცადა გაეერთიანებინა სხვადასხვა მიდგომები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების იმ პროცესის მიმართ, რომელიც იდეოლოგიურ გავლენებს ითვალისწინებს და მას ძირითადად ერთი პრობლემა აინტერესებდა — როგორ ხდება ცვლილებები პოლიტიკურ კურსში. ამასთან დაკავშირებით, მან „პოლიტიკურ ქვესისტემებს“ მიაქცია ყურადღება — ადამიანთა იმ ჯგუფებს, რომლებსაც ასე თუ ისე, პოლიტიკურ პროცესში შეაქვთ თავიანთი წვლილი. აქ იმაზეა საუბარი, რომ ნებისმიერ პოლიტიკურ სტრუქტურას არა მხოლოდ პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოხელეები და ინტერეს-ჯგუფთა წარმომადგენლები ექნინან, არამედ ამ სფეროში მომუშავე მკვლევარები, მეცნიერები, ჟურნალისტები. საბატიეს მტკიცებით, ამგვარ ქვესისტემებში საკუთარი კოალიციები დგება — ჯგუფებს საერთო შეხედულებები, ღირებულებები თუ მრწამსი აერთიანებთ. ეს ყველაფერი კი სამ დონეზე ფუნქციონირებს:

- ◀ ძირეულზე (ფუნდამენტური მორალური ან ფილოსოფიური პრინციპები);
- ◀ შუალედურზე (პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიები)
- ◀ მეორადზე (შეხედულებები გადაწყვეტილებათა დანერგვის თაობაზე).

თუმცა, სხვა თეორეტიკოსები სულ სხვაგვარად აჩვენებენ ამ ფილტრის მოქმედებას. მაგალითად, რობერტ ჯერვისმა (1968) ყურადღება მიაქცია ემპირიულად ადვილად დასამტკიცებელ ფაქტებს პოლიტიკოსების „ხედვის გამრუდებისა“ ამა თუ იმ საერთაშორისო რეალებთან დაკავშირებით — მოვლენას, რომელიც, შესაძლოა, თანამედროვე პოლიტიკური კულტურის ეთნოცენტრიზმისაგან მომდინარეობდეს. ასე მაგალითად, 1956წ. სუეცის კრიზისის დროს, გენერალ ნასერს დიდ ბრიტანეთში მეორე პიტლერად აღიქვამდნენ, ა.შ.შ.-ში კი კასტროს დღემდე წმინდა წყლის მარქსისტად თვლიან. თავის მხრივ, ირენგ ჯანისის (1972) აზრით, საერთაშორისო

პოლიტიკაში მიღებული ბევრი გადაწყვეტილების ახსნა იმით შეიძლება, რომ ისინი ჯგუფური აზროვნების მეთოდით მიიღებინა, როცა ყველა ფაქტორი – ფსიქოლოგიურიცა და პროფესიონალურიც – აიძულებს პოლიტიკოსებს რაღაც ერთ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ და ზოგჯერ ეს „უხერხული“ ფაქტების სრული იგნორირების ფონზე ხდება.

საბატიეს თანახმად, ყოველივე ამის აზრი იმაშია, რომ ამგვარ კოალიციებში პოლიტიკის ერთგვარი „ღულაბი“ გამოიშვა, რაც ადამიანებს თანაზიარი ღირებულებებისა და სიმპათიების მიხედვით აკავშირებს ერთმანეთთან. თუმცა, აქ მნიშვნელოვანია შემდეგი: მაშინ როცა ძირულ დონეზე ცვლილებები ძნელად ხდება, ორ დანარჩენზე ადამიანებმა, შესაძლოა, უფრო იოლად გამონახონ საერთო ენა. საბატიე აქედან ამოდის და ამტკიცებს, რომ პოლიტიკაში ცვლილებები ხდება მაშინ და იმ დროით, როდესაც და რამდენადაც იცვლება ძალთა ბალანსი პოლიტიკურ ქვესისტემაში – როცა ინიციატივა და ლიდერობა ერთი კოალიციიდან მეორის ხელში გადადის. შესაბამისად, აქ უკვე როგორც „რაციონალური“, ასევე „იდეოლოგიური“ მოდელის ნიშნებს ვხედავთ.

პოლიტიკური პროცესის საფეხურები

პოლიტიკური პროცესის გაგება შეუძლებელი იქნება, თუ მხოლოდ იმას დაუკვირდებით, როგორ მიიღება გადაწყვეტილებები. პოლიტიკური კურსის გატარება ამა თუ იმ სფეროსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მხოლოდ რაოდენობაზე კი არაა დამოკიდებული, არამედ გადაწყვეტილებების ხასიათსა და ნაირგვარობაზეც. დაიწყოთ იქიდან, რომ ყოველთვის არსებობს, ასე ვთქვათ, „გადაწყვეტილება გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობის თაობაზე“ – ანუ იმის გააზრება, რომ რაღაც სფეროში პრობლემები წარმოიშვა და შესაბამისად, „რაღაც უნდა გაკეთდეს“. შემდეგ პროცესი წინ მიდის – უკვე იმ საკითხებთან დაკავშირებით, კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს, როგორ და როდის. ოღონდ საქმე ამით არ ამოიწურება: მას შემდეგაც კი, როცა „ყველაფერი გაკეთებულია“ და ყველა გადაწყვეტილება – განხორციელებული, ჩნდება შეკითხვა – შეესაბამება თუ არა შედეგები თავდაპირველ მიზნებს და სამომავლოდ როგორ შეიძლება პოლიტიკური კურსისა და თავად გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გაუმჯობესება. ასე და ამგვარად, პოლიტიკური პროცესი შეიძლება ოთხ საფეხურად დავყოთ:

- ◀ საკითხის დასმა
- ◀ კურსის განსაზღვრა
- ◀ ცხოვრებაში გატარება
- ◀ შედეგების შეფასება.

საკითხის დასმა

როგორ გამოიკვეთება ხოლმე პოლიტიკური კურსი? ეს შეკითხვა არსებითია არა მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკური კურსის შემუშავება ყოველთვის რალაციით უნდა დაიწყოს — საკითხი თუ არ დაისვა, ცხადია, ვერც კურსი განისაზღვრება და ვერც ცხოვრებაში მისი გატარება მოხერხდება. ეს პირველი საფეხური იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ სწორედ ამ სტადიაზე იწყება პრობლემათა გადაჭრის გზების ძიება. მაგალითად, გარემოს დაცვის პრობლემები, რომელთა შესახებ ადრე არც არაფერი გაგვეყო, უცებ რატომ გახდა ასე მნიშვნელოვანი 1980-იან წლებში? ან უმუშევრობის პრობლემამ, რომლის გადაჭრა 1950-60-იან წლებში მხოლოდ საზოგადოებრივი ხარჯების აუცილებლობას უკავშირდებოდა, რატომ მოიტანა უცებ პროფკავშირების ძალაუფლების ასეთი მკვეთრი დასუსტება? გასული წლების სხვა პოლიტიკური გადაწყვეტილებები — მაგალითად, მუშების თვითმმართველობის გაფართოება, საერთოდ რატომ არ იქცა პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ საკითხად?

ამასთან, პოლიტიკის თავად *ინიცირების* ანალიზი საკმაოდ რთულია, ახალი პოლიტიკური იდეა ხომ პოლიტიკური სისტემის ნებისმიერ სემენტში შეიძლება გაჩნდეს. ის შეიძლება „ზემოდან“ ჩამოუშვან — ქვეყნის პოლიტიკური ლიდერისაგან ან მინისტრთა კაბინეტისგან მოდიოდეს, ან ნებისმიერი სახელმწიფო სააგენტოდან, თუმცა იგივე „ქვევიდანაც“ შესაძლებელია — ფართო საზოგადოებიდან, მასმედიიდან, პოლიტიკური პარტიებიდან, ინტერეს-ჯგუფებიდან, კვლევიითი ინსტიტუტებიდან და ა.შ. თუ პოლიტიკური ქმედების ინიციატორად ლიდერი გამოდის, მაშინ მისი იდეის რაც შეიძლება ფართო მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე იქნება ლაპარაკი: როგორც პარტიული, ასევე იდეოლოგიური გაგებით. არსებითად, ამ მომენტიდან შეიძლება სწორედ ამა თუ იმ კურსის ინიცირებაზე საუბარი.

თუმცა, ორიგინალური იდეები პოლიტიკური ლიდერების სტიქია არაა: ჭეშმარიტი სიახლის ინიციატორებად ისინი იშვიათად გამოდიან. უფრო ხშირად, პოლიტიკის ინიცირებაში მნიშვნელოვან როლს ყურნალისტები, მეცნიერები, ფილოსოფოსები ასრულებენ. სწორედ ისინი წამოსწევენ ხოლმე ახალ იდეებს, რომლებსაც პოლიტიკოსები და პარტიები აიტაცებენ და შემდეგ უკვე „პოლიტიკურ კურსად“ აქცევენ. ასე მაგალითად, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა II მსოფლიო ომის შემდეგომ პერიოდში ძალზე ბევრს უნდა უმაღლოდეს ჯონ მეინარდ კეინზის იდეებს, ხოლო „ახალი მემარჯვენეების“ იდეოლოგია მათი „სახელმწიფოს მოთოკვის“ იდეებით, გადასახადების შემცირებით, სოციალური ხარჯების ოპტიმიზირებით და ა.შ. — ფრიდრიხ ფონ ჰაიეკისა და მილტონ ფრიდმანის შრომებს.

როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკის ქვემოდან ინიცირება მნიშვნელოვანია ნებისმიერი პოლიტიკური სისტემისათვის. როცა ჰაროლდ მაკმილანს ჰკითხეს, რა მიაჩნდა მას პოლიტიკის გადამწყვეტ ფაქტორებად, მან ასე პასუხა: *ყოველდღიური ამბები, შვილო, ყოფითი ამბებით*. ეს ამბები კი

შესაძლოა სულ სხვადასხვა ხასიათისა იყოს – გაფიცვებიდან, ქუჩის არეულობიდან და ბუნებრივი კატასტროფებიდან დაწყებული, ბირჟის კრახით თუ რომელიმე მრავალეროვანი კორპორაციის მნიშვნელოვანი ფინანსური გადაწყვეტილებებით დამთავრებული. საერთო წესი კი ისაა, რომ რაც უფრო დემოკრატიული და პლურალისტურია პოლიტიკური სისტემა, მით უფრო დიდაი მიწოლა „ქვევიდან“. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ დემოკრატია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკური დღის წესრიგი უფრო „ქვევიდან“ განისაზღვრება, ვიდრე „ზევიდან“. ამ პროცესში, ბუნებრივია, უზარმაზარი როლი ეკუთვნის საზოგადოებრივ აზრს, რომელიც თავად ამ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებსა და მისწრაფებებს აირეკლავს. ეს მისწრაფებები ხშირად ამორფული რჩება, ვიდრე მათ უფრო მკაფიო ფორმით არ გაახმოვანებს შესაბამისი ჯგუფი. მას-მედიას უთუოდ დიდი წვლილი შეაქვს ამ პროცესში: სწორედ ის არჩევს და ახარისხებს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას. მაგალითად, პოლიტიკური აღებ-მიცემობა იტალიასა და იაპონიაში უმნიშვნელოვანეს საკითხად სწორედ ბეჭდურმა მედიამ აქცია.

პოლიტიკური დღის წესრიგის შემუშავება ასევე დიდადა დამოკიდებული პარტიებსა და ინტერეს-ჯგუფებზე. ვთქვათ, ოპოზიციური პარტიები არა მარტო ხელისუფლების პოლიტიკური კურსის კრიტიკით კმაყოფილდებიან, არამედ ალტერნატიულ გზებსაც სთავაზობენ საზოგადოებას, რითაც ხელისუფლებისაკენ საკუთარი სწრაფვის გამართლებას ცდილობენ. ხოლო ინტერეს-ჯგუფები, როგორც ზემოთ ვთქვით, თავის მხრივ საზოგადოების სხვადასხვა ფენისა თუ სემენტის იდეებისა და სურვილების გამოძხატველნი ხდებიან. საერთოდ, XX საუკ. 70-იანი წწ. მოყოლებული, სამეცნიერო წრეებში უკვე ოფიციალური, წარმომადგენლობითი როლის დაკნინებისა და პოლიტიკაში ახალი იდეების წყაროდ არაფორმალური მოძრაობების უპირატესობის წარმოჩენის ტენდენციაც კი გამოიკვეთა.

პოლიტიკური კურსის განსაზღვრა

როგორც კი პოლიტიკურ დღის წესრიგში ახალი საკითხი ან საკითხთა ერთობლიობა ჩნდება, იწყება პილიტიკური პროგრამის შემუშავება, ანუ — პოლიტიკური კურსის განსაზღვრა. ეს არა მხოლოდ აბსტრაქტული იდეებისა და მოსაზრებების კონკრეტულ და მკაფიო ფორმულებში გადაყვანას, არამედ, შესაძლოა, თავდაპირველი მოსაზრებების გადასინჯვასაც გულისხმობდეს. პოვეუდმა და განმა (1984) „პოლიტიკური ციკლის“ ანალიზისას, პოლიტიკური კურსის განსაზღვრის რამდენიმე საფეხური გამოყვეს. პირველია იმ მექანიზმებისა და პროცედურების არჩევა, რომელთა საფუძველზეც წარმართება შემდგომი პროცესი. მაგალითად, რაღაც გადაწყვეტილებები მხოლოდ მინისტრთა კაბინეტმა უნდა მიიღოს, თუ მათი გადაბარება სახელმწიფო მოხელისთვისაც შეიძლება? ეს გადაწყვეტილებები ჩვეულებრივი წესით უნდა მიიღონ, თუ რაღაც სპეციალური კომისიების შექმნა საჭირო? მოცემული შემთხვევისთვის აუცილებელია თუ არა საზოგადოებრივ ასოციაციებთან და კვლევით ინსტიტუტებთან კონსულტაციები და თუ საჭიროა, მაინც რომლებთან? გასაგებია, რომ აქ მთელი პროცესის

საკითხი: პოლიტიკურ დღის წესრიგში შეტანილი თემა, რომელიც საზოგადოების კამათსა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

დღის წესრიგის განსაზღვრა: პოლიტიკური კამათის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის შესაძლებლობა და განსახილველ საკითხთა თანმიმდევრობის დადგენა მათი აქტუალობიდან გამომდინარე.

20. პოლიტიკის შემუშავება და მისი სისტემური დანერგვა

მეტად მნიშვნელოვან ფაზაზეა საუბარი, რომელიც განსაზღვრავს, მომავალში რა მიმართულება შეირჩევა, ვისი ინტერესები იქნება გათვალისწინებული და ვისი — არა.

მეორე ფაზა საკითხის უფრო ზუსტ ჩამოყალიბებას გულისხმობს — იგი შესაძლოა, საფუძვლიანად გადაფასდეს, რამდენადაც ისინი, ვინც პოლიტიკის კურსს განსაზღვრავენ, სულაც არაა აუცილებელი, პრობლემას ისევე ხედავდნენ, როგორც ამ საკითხის თავად ინიციატორები. მესამე ფაზა — მიზნების დასახვა და პრიორიტეტების გამოკვეთაა. თუმცა, საზოგადოებრივმა აზრმა თუ ინტერეს-ჯგუფებმა, შესაძლოა, აქაც თავისი კორექტივები შეიტანონ.

და ბოლოს, პოლიტიკური გეზის ვარიანტების შეფასების დრო დგება — პროცესი, რომელიც ერთ-ერთი ვარიანტის არჩევამდე მიგვიყვანს. ამ ფაზაში პროცესზე ზემოქმედებას სხვადასხვა ფაქტორები ახდენს — შესაძლო შედეგთან დაკავშირებული მოსაზრებებით დაწყებული, ზოგადპოლიტიკური და ელექტორალური ხასიათის მოსაზრებებით დამთავრებული. ისიც უნდა გვესმოდეს, რომ გარკვეულ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილება, რომლითაც პოლიტიკური გეზის გამოკვეთის პროცესი სრულდება, შესაძლოა ცარიელი ფორმალობა იყოს — განსაკუთრებით, თუ მის გარშემო ყველაზე მნიშვნელოვანი დისკუსიები შედარებით ადრინდელ ფაზებზე ჩატარდა. ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილება უბრალოდ „იშტამპება“ — სულ ერთია, მინისტრთა კაბინეტი აკეთებს ამას, საკანონმდებლო ორგანო, ან თუნდაც რომელიმე საერთაშორისო სამიტი.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოსდა პოლიტიკის კურსის განსაზღვრა ერთნაირად ხდებოდეს განსხვავებულ პოლიტიკურ სისტემებსა და ქვეყნებში. თავის დროზე რიჩარდსონმა (1984) სცადა გაეანალიზებინა აქ არსებული განსხვავებები, და პოლიტიკური კურსის განსაზღვრის პროცესი ეროვნული ხელწერის ნიშნით განესხვავებინა. კერძოდ, მან პრობლემის ორ განზომილებაში ხედავს შემოგვთავაზა — რა არის პოლიტიკის კურსის განსაზღვრის მთავარი მეთოდი: ა) კონსულტაციები და დირექტივები ზევიდან, თუ ბ) მთავრობები პოლიტიკის ხანგრძლივ დაგეგმვას ახორციელებენ ან, უბრალოდ, ყოველდღიურ მოვლენათა მსვლელობას ეხმაურებიან. შედეგით და იაპონია მკვლევარმა ისეთი ქვეყნების რიგს მიაკუთვნა, რომლებიც პოლიტიკურ პროცესში კონსულტაციებსაც მიმართავენ და პერსპექტივების გათვალისწინებითაც მოქმედებენ: ორივე შემთხვევაში არსებობს სხვადასხვა ჯგუფებთან კონსულტაციების მეშვეობით, კონკრეტული მიზნებსა და პრიორიტეტებზე გამიზნული, განვითარებული ფორმალიზებული სისტემა. საპირისპიროდ, ა.შ.შ.-ს პოლიტიკური სისტემა — ძალაუფლების დაყოფის მისი მკაცრად დაცული პრინციპისა და მიუხედავად, რაც პოლიტიკური კურსის მიღებასთან დაკავშირებით, ფართო თანხმობას საჭიროებს — პრობლემებზე წმინდა „სახანძრო“ რეაგირების მაგალითია. ყოველ შემთხვევაში, აქ შეუძლებელია პოლიტიკის რაიმე ხანგრძლივ დაგეგმვაზე საუბარი.

დიდი ბრიტანეთი სხვა შემთხვევის ილუსტრაციაა — დროში როგორ იცვლება პოლიტიკური კურსის თავისებურებანი. ბრიტანულ პოლიტიკურ სისტემაში მკვლევარმა როგორც კონსულტაციებისადმი მიდრეკილება, ასევე პრობლემებზე რეაგირების და არა მათი პროგნოზირების ტენდენცია დაინახა. მიუხედავად ამისა, 1980-იან წლებში, მარგერიტ ტეტჩერის დროს აქ არსებობდა ე.წ. „თავისუფალ ეკონომიკასა და ძლიერ სახელმწიფოზე“ ორიენტირებული გრძელვადიანი სტრატეგია. ამ მიზნებისკენ სწრაფვამ კი კონსულტაციების პრაქტიკის შემცირება და მართვის უფრო მძრძანებლური სტილი მოიტანა, რასაც ბუნებრივია, პრემიერ-მინისტრის ძალაუფლების გაფართოება მოყვა. ჯონ მეიჯორი უწინდელ, მართვის უფრო კოლეგიალურ სტილს დაუბრუნდა: მის დროს აღდგა კონსულტაციების პრაქტიკა მთავრობასა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან; მაგრამ უკვე ტონი ბლერის დროს, პოლიტიკური მმართველობა კვლავ უფრო ცენტრალიზებული გახდა — სპეციალურ მრჩეველთა როლი გაიზარდა, ხოლო მინისტრთა კაბინეტისა კი შემცირდა.

პოლიტიკის კურსის განსაზღვრის ძირითადი თვისება, მისი ნაციონალური სპეციფიკისდა მიუხედავად, ისაა რომ იგი მნიშვნელოვნად ამცირებს პროცესის მონაწილეთა რაოდენობას. მაშინ როცა პოლიტიკური პროცესის საწყის წერტილში ინტერესთა მრავალ ჯგუფს ვხვდავთ, პოლიტიკის განსაზღვრა მაინც „ინსაიდერთა“ საქმეა — ანუ მათი, ვინც „მიგნითა“ (სახელმწიფო ფუნქციონერების, წამყვანი მრჩეველების, პოლიტიკოსების). სწორედ ესაა პროცესის ის „აქილევსის ქუსლი“, საითაც მიმართავენ ისრებს კრიტიკოსები. მათგან ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ პოლიტიკური კურსის განსაზღვრისას მეტისმეტად დიდ როლს ასრულებენ ჩინოვნიკები, რომლებიც მთელ პროცესს საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ; სხვები მიუთითებენ, რომ ამ დროს იმთავითვე გამოირიცხება მწვავე ალტერნატივები, რადგან სახელმწიფო ფუნქციონერები, როგორც წესი, არანაირი რადიკალიზმისკენ არ იხრებიან; ხოლო ნეოკონსერვატიული ტიპის კრიტიკოსებს არ მოსწონთ, როცა პოლიტიკის ფორმირებაში ინტერესთა ბევრი ჯგუფი მონაწილეობს — მათი აზრით, ეს იმას მოასწავებს, რომ პროცესი ამა თუ იმ ცალკეული სექტორის, და არა ფართო სტრატეგიული ინტერესებით განისაზღვრება.

და ბოლოს, არიან კრიტიკოსები, ვინც პირიქით — პოლიტიკური კურსის განსაზღვრის პროცესში „დემოკრატიის დეფიციტს“ ხედავს. ისინი ამტკიცებენ, რომ დემოკრატიულად არჩეულ პოლიტიკოსებს, თუმც კი თავად არიან პოლიტიკურ პროცესში ჩართულნი, საკმაოდ ცოტა შესაძლებლობა აქვთ მასში რამდენადმე მნიშვნელოვანი წვლილის შესატანად. დღეს ეს პროცესი იმდენად შრომატევადია, ისეთ პროფესიონალიზმსა და სპეციალურ/დარგობრივ ცოდნას მოითხოვს, რომ დემოკრატიული პოლიტიკის კლასიკური მეთოდებით მისი გაკონტროლება უკვე შეუძლებელი ხდება.

• პოლიტიკური კურსის გატარება

იყო დრო, როცა პოლიტიკური კურსის გატარების საკითხებისადმი პოლიტოლოგები დიდ ინტერესს არ ამჟღავნებდნენ: იგულისხმებოდა, რომ ეს თითქმის ავტომატურად ხდება და საერთოდ, არა პოლიტიკის, არამედ ადმინისტრირების პრობლემაა. მას შემდეგ მრავალი რამ შეიცვალა და ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურმა მეცნიერებამ სწორედ ამ პრობლემის კვლევის განხრით გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი. 60-იანი წწ. ე.წ. „ფართო საზოგადოების პროგრამამ“ ა.შ.შ.-ში ნათლად წარმოაჩინა, რამდენად შეიძლება პოლიტიკის შედეგები პოლიტიკოსთა თავდაპირველ მიზნებს დაშორდეს. ჰუდის გამოკვლევაში (1976) ის პირობები და პრინციპებია მითითებული, რომელთა დროსაც პოლიტიკის კურსის გატარება ეგემების შესაბამისად ხდება:

- ◀ ერთიანი და მკაფიოდ მომუშავე ადმინისტრაციული სისტემა, რომელიც გადაწყვეტილებების შესრულების სანდო კონტროლს უზრუნველყოფს;
- ◀ პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სისტემაში ნორმებისა და წესების ერთიანობა;
- ◀ შესრულების მაღალი დისციპლინა და სრული კონტროლი;
- ◀ ზუსტი ინფორმაცია, სრულყოფილი კომუნიკაცია და მაქსიმალური კოორდინაცია; საკმარისი დრო ადმინისტრაციული რესურსების მობილიზაციისთვის.

რადგან ნებისმიერი ასეთი პირობის უზრუნველყოფა ადვილი არაა (რომ აღარაფერი ვთქვათ ყველაზე ერთად), ნებისმიერ გადაწყვეტილებასა და შესრულებას „შუა უძევს დიდი შხდვარი“. სრული კონტროლი და დისციპლინა არათუ უბრალოდ არარეალურია, უფრო მეტიც, ზოგჯერ – არასასურველიც. ისინი, ვინც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ცხოვრებაში ატარებენ (სახელმწიფო მოხელეები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების თანამშრომლები, ექიმები, მასწავლებლები, პოლიციელები და ა. შ.), ხშირად პოლიტიკოსებზე უკეთ, ასე ვთქვათ, „ტანით გრძნობენ“, რომელი გადაწყვეტილებები იმუშავენ და რომელი – არა. პოლიტოლოგიაში ერთგვარი ტრადიციაა კი მკვიდრდება, გააანალიზონ პრობლემები პრინციპით „ქვევით“ და „ზევით“; აქ ითვლება, რომ პოლიტიკაში ბევრი რამ აღმასრულებელთა გადასაწყვეტია. საწინააღმდეგო პოლუსად, ბუნებრივია, გადაწყვეტილებათა შესრულების გავრცელებული პრაქტიკა გამოდის – „ზევით“ ქვევით“ ექტორის თანახმად, ანუ ის ტრადიცია, რომელიც აქცენტს ერთგვარონებასა და მკაცრ კონტროლზე აკეთებს.

ოღონდ პრობლემა ისაა, რომ „ქვევით“ პრინციპი შესრულების დაბალ დისციპლინას მოასწავებს – სიტუაცია, გამომდინარე იქიდან, რომ შემსრულებლები შესაძლოა პირადი, კარიერული ამბიციებით ხელმძღვანელობდნენ. სახელმწიფო მოხელეები და საზოგადოებრივი სამსახურების თანამშრომლები ასეთ შემთხვევაში ამჯობინებენ „ყველაფერი თავისებურად გაიგონ“ და ყურადღება არ მიაქციონ პოლიტიკური გადაწყვეტილებების იმ ასპექტებს, რომლებიც მათ კეთილდღეობას ემუქრება. არსებობს კიდევ ერთი მიდგომა პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესრულების პრობლემისადმი, სადაც მთავარი ყურადღება ეთმობა არა

პოლიტიკის „შემქმნელებს“, არამედ „მომხმარებლებს“ — საზოგადოებას. ამ თვალსაზრისით, პრობლემა შემდეგ სახეს იღებს: სახელმწიფო მართვის დაბალი დონე (განსაკუთრებით, როცა საქმე საზოგადოებრივ მომსახურებას ეხება) განპირობებულია იმით, რომ მთავრობები მოქმედებენ ბაზრის გარეთ და არსებითად, თავიანთი მომსახურების მონოპოლისტი „მწარმოებლები“ არიან. სახელმწიფო მოხელეები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირები, საზოგადო სექტორის მუშაკები თავს უფლებას აძლევენ სრული დატვირთვით არ იმუშაონ, რადგან კერძო სექტორისგან განსხვავებით, მომხმარებლის დაკმაყოფილების საკითხი მათ არ აწუხებთ.

თანამედროვე სახელმწიფოები ამ პრობლემის გადაწყვეტას იმით ცდილობენ, რომ ე. წ. „ახალი საზოგადოებრივი მართვის“ ტექნოლოგიებს ნერგავენ. ეს ნიშნავს კერძო სექტორისთვის სახელმწიფოს ამა თუ იმ ტრადიციული ფუნქციის გადაცემას პრივატიზაციისა და კონტრაქტების საფუძველზე; ასევე, გამოიყენება კერძო სექტორის მუშაობის სხვა მეთოდებიც, მაგალითად, „ხარისხის შეფასება“, ასე რომ ამ დროს ზოგიერთმა სტრუქტურამ შესაძლოა მოიგოს, ზოგიერთმა კი წააგოს — ზუსტად როგორც ბაზარზე. ყველაზე დიდ ენთუზიზმს ეს იდეები ახალ ზელანდიაში, დიდ ბრიტანეთში, ა.შ.შ.-სა და სკანდინავიაში იწვევს. ახალი სამოქალაქო მართვის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ის ეფექტურობის უდიდესი პოტენციალის მატარებელია, კრიტიკოსები კი ამბობენ, რომ ეს არსებითად ტრადიციული — საზოგადოების სამსახურისა და მის წინაშე ანგარიშვალდებულების სულისკვეთებით გამსჭვალული სახელმწიფოს დასასრულია.

შედგების შეფასება


პოლიტიკური პროცესი შესაბამისი პოლიტიკური პროგრამის შეფასებით მთავრდება. თეორიულად, ამ სტადიაზე იღებენ (ან უნდა იღებდნენ) გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, გააგრძელონ თუ არა მოცემული პროგრამა, შეცვალონ თუ დაამთავრონ. ეს პოლიტიკური ციკლის დასასრულია — იმ გავებით, რომ შეფასების პროცედურებიდან მიღებული ინფორმაცია შესაძლოა, ახალი ციკლის დასაწყისი გახდეს, სადაც ინიცირებული იქნება ახალი პოლიტიკური იდეები და შემუშავდება ახალი პოლიტიკური სტრატეგიები; ამავ დროს, ყოველივე ეს შეიძლება მოქმედი პოლიტიკური პროგრამების დახვეწას ემსახურებოდეს (იხ. ნახ. 20.1).

შეფასება მნიშვნელოვანია პოლიტიკის კურსის არა მხოლოდ შინარსობრივი ასპექტებისთვის, არამედ მისი გატარების პროცედურისთვისაც, რადგან ყოველთვის სასარგებლოა ცოდნა, სწორედ იყო თუ არა ორგანიზებული პოლიტიკური პროცესების წინა სტადიები, რამდენად სასარგებლო იყვნენ კონსულტანტები, საიმედო იყო თუ არა კონტროლი პროგრამის შესრულების სტადიაზე. სამწუხაროდ, მთავრობები უხალისოდ გამოყოფენ სახსრებს პოლიტიკური პროცესის ამ ფაზისთვის და ამას ზოგჯერ თავისი საფუძველი გააჩნია. ა.შ.შ.-ში, მაგალითად, პრეზიდენტი კარ-

20. პოლიტიკის შემუშავება და მისი სისტემური დანერგვა

ტერი თავის დროზე მოითხოვდა, რომ თითოეული ამგვარი პროექტის თაობაზე ბიუჯეტიდან არანაკლებ 1%-ისა მისი შედეგების შეფასებაზე დახარჯულიყო — ეს, რა თქმა უნდა, გაბედული და მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო, მაგრამ პრაქტიკულად მხოლოდ საქალაქების ზრდა მოიტანა, რაიმე საგრძნობი შედეგის გარეშე. მსოფლიო სახელმწიფოებიდან პოლიტიკური პროცესის ამ ფაზას, როგორც ჩანს, სერიოზულად მხოლოდ ისინი ეკიდებიან, რომლებიც საკუთარი პოლიტიკის შორეულ პერსპექტივაში დაგეგმვას ახორციელებენ.

პოლიტიკური გეზის შეფასების პრობლემისადმი ბევრად უფრო დიდ ინტერესს მკვლევარები ამჟღავნებენ: 1960-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, ამ თემაზე ნაშრომთა უზარმაზარი რაოდენობა დაიბეჭდა, განსაკუთრებით ა.შ.შ.-ში. თეორეტიკოსებს ძირითადად ორი მომენტი აინტერესებდათ: ჯერ ერთი, კონკრეტულად რას აკეთებს მთავრობა — როგორ კანონებს ღებულობს, როგორ პროგრამებს ახორციელებს ე.წ. (“შენატანი”) და მეორე — ამას რა შედეგები მოჰყვება („ამონაგები“).



ყველა ამ საკითხში ერთია ნათელი: ძალიან ხშირად პოლიტიკური პროცესების ამონაგები ძირულად განსხვავდება იმ ადამიანების თავდაპირველი მიზნებისგან, ვინც მის სათავეებთან იდგა. ამასთან დაკავშირებული მაგალითი უამრავია. თავის დროზე შემწეობისა და სოცდახმარების სისტემა იქითკენ იყო მიმართული, რომ მოსახლეობის უღარიბესი ფენებისათვის ყოფა შეემსუბუქებინა და ყველა მოქალაქისთვის საშუალება მიეცა, აქტიურად მიეღო მონაწილეობა საკუთარი საზოგადოების ცხოვრებაში. მაგრამ ეს ყველაფერი დამთავრდა საშუალო კლასების ხარჯზე უზარმაზარი რაოდენობის

საყურადღებოდ...

ღია მთავრობა: პლუსები და მინუსები

„ღია მთავრობა“ — პოლიტიკური დოქტორინაა, რომლის თანახმად, მთავრობის საქმიანობა გამჭვირვალე უნდა იყოს საზოგადოებისთვის, და კრიტიკის შესაძლებლობასაც იძლეოდეს. ასეთ ვითარებას უზრუნველყოფს ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა ერთი მხრივ, სახელმწიფო ორგანოებს შორის, და მეორეს მხრივ, წარმომადგენლობით ინსტიტუტებს, მასმედიასა და მთლიანად საზოგადოებას შორის. მაგრამ ვინაიდან გარკვეული ინფორმაცია შეიძლება დახურულიც იყოს (მაგ., ეროვნული უსაფრთხოების საკითხები) პრაქტიკაში „ღია მთავრობის“ პრინციპი მაინც საზოგადოების მაქსიმალური გათვითცნობიერებისაკენ იხრება.

„ღია მთავრობის“ დადებით მხარეს განეკუთვნება:

◀ მთავრობის არაკომპეტენტურობასთან, კორუფციასთან თუ თვითნებობასთან ბრძოლა

◀ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება და ელექტორატის პოლიტიკურად მეტი ინფორმირებულობა.

მეორეს მხრივ, მას უარყოფითი ნიშან-თვისებები აქვს:

◀ შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს პოლიტიკურ პროცესზე საზოგადოების მხრიდან მუდმივი და ამავე დროს, არაკომპეტენტური ჩარევის გამო.

◀ არაპოპულარული, თუცა კი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვა/მიღების პროცესი გაართულოს.

დეკლასირებული ადამიანების გამოჩენით, რომლებიც, როგორც მიუჩიუნი (1984), „შემწეობებზე სხედან“. თავის მხრივ, ბატლერი, აღონისი და ტრავერსი (1994) გაერთიანებული სამეფოს მაგალითზე ასახელებენ სახელმწიფო პოლიტიკის წარუმატებლობებისა და შეცდომების მთელ სიას, რაც დაშვებულ იქნა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხარჯვით ნაწილზე კონტროლის დაწესებისას: თავისთავად არცთუ ურიგო იდგა ძალზე სერიოზული პრობლემებით დასრულდა, და საქმე სამოქალაქო არეულობამდეც კი მივიდა. სწორედ ამან განაპირობა მარგერიტ ტეტჩერის პოლიტიკური კარიერის დასასრული და პოლიტიკური გეზის ცვლა მისი მემკვიდრის, ჯონ მეიჯორის მიერ. ანალოგიურად, ტონი ბლერის დროს 1997 წელს საჯარო უნივერსიტეტებში სწავლის გადასახადის შემოღებამ, რომლის მიზანი უმაღლესი განათლების სისტემის გაფართოებისთვის საფუძვლის მომზადება იყო, იმით დამთავრდა, რომ მრავალი სტუდენტი, განსაკუთრებით ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებიდან, საერთოდ უარს ამბობს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებაზე.

ბევრი თვლის, რომ ეს ყველაფერი მაინც კიდევ ერთი დადასტურებაა ღია მთავრობის და საზოგადოების წინაშე მისი ანგარიშვალდებულების სასარგებლოდ: ამონაგები რომ შენატანს ესადაგებოდეს, პოლიტიკური პროცესი „გამჭვირვალე“ უნდა იყოს საზოგადოებრივი კონტროლისთვის — მეტისმეტად ხშირად, გასაიდუმლოებულობის ფარდა, რომელშიც იგია გახვეული, სინამდვილეში ელემენტარულ არაკომპეტენტურობას ან სულაც, თვითნებობას ფარავს.

პოლიტიკის სისტემური ამოქმედება

ზემოთ პოლიტიკური პროცესი უმეტესად მართვის კატეგორიებით გავანალიზეთ — განვიხილეთ, როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება, რა სტადიებს გადის პოლიტიკური პროცესი, რამდენად ეფექტურად და ეფექტიანად “შუშავდება” თავად პოლიტიკური კურსი. მაგრამ ყოველივე ამის უკან უფრო ღრმა პოლიტიკური პრობლემები დგას — ნორმატიული ხასიათის პრობლემები, რომლებიც, თავისთავად, პოლიტიკის არსს უკავშირდება. საუბარი ამ შემთხვევაში არა იმაზე უნდა იყოს, რასაც სახელმწიფო აკეთებს, რამდენადაც იმაზე, რასაც იგი უნდა აკეთებდეს. ცხადია, რომ აქ სულ სხვა საკითხები წარმოიშვება, მაგალითად: რა არის სამართალი, საზოგადოებაში როგორი უნდა იყოს ბალანსი თავისუფლებასა და ძალაუფლებას შორის — ერთი სიტყვით, რა უნდა გავიგოთ როგორც „კარგი საზოგადოება“.

რადგან ამ საკითხებზე უამრავი თვალსაზრისი არსებობს, შესაბამისად, სრულიად განსხვავებული კრიტერიუმები გამოიყენება არსებული პოლიტიკური სისტემების შესაფასებლად. პოლიტოლოგები, ჩვეულებრივ, შემდეგ ოთხ კრიტერიუმს იყენებენ:

- ◀ პოლიტიკური სისტემის შესაძლებლობა, წესრიგი და სტაბილურობა უზრუნველყოს.
- ◀ პოლიტიკური სისტემის როლი საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევაში.
- ◀ სამოქალაქო თავისუფლებები.
- ◀ დემოკრატიული მმართველობა.

სტაბილურობის კრიტერიუმი

სტაბილურობისა და წესრიგის უზრუნველყოფა ტრადიციულად სახელმწიფოს მთავარ ამოცანად ითვლება. თუ არ ჩავთვლით ანარქისტებს, ვისაც სჯერა, რომ თავისუფალი ადამიანები ყოველთვის თვითონ იპოვიან საშუალებებს მოასწავონ საკუთარი თანაცხოვრება, ყველა ფილოსოფოსი და პოლიტიკის თეორეტიკოსი მხოლოდ სახელმწიფოში ხედავდა დაცვას საერთოდ იმ ყველაფრისგან, რაც საზოგადოების სტაბილურ არსებობას ემუქრება. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს მთავარი ამოცანა — ყველა თავისი ძალაუფლებრივი რესურსების გამოყენება საზოგადოებრივი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ეს, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს საშუალება უნდა ჰქონდეს საკუთარი არსებობაც უზრუნველყოს და ამასთანავე — პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირებაც მის შიგნით. ამიტომ აქ უპირველესად საუბარი იმაზე უნდა იყოს, რამდენად მყარია პოლიტიკური სისტემა, რამდენად ძლიერია მისი ისტორიული ფესვები; რამდენად დიდი ხანია არსებობს — რადგან ყოველივე ამაზე და მოკიდებული სახელმწიფოს შესაძლებლობა შეაკაოს, ან გადაწყვიტოს საზოგადოებაში

წარმოშობილი კონფლიქტები. ეს უდავოა – განსხვავება მხოლოდ პრობ-
ლემათა დონეზეა.

ზოგადად, აქ ორ მიდგომაზეა საუბარი. პირველი სწორედ იმ ლიბერ-
ალური რწმენიდან მომდინარეობს, რომ სტაბილური მმართველობისთვის
ფართო და მყარი საზოგადოებრივი თანხმობაა აუცილებელი. ამ კონცეფციის
მიხედვით, პოლიტიკური რეჟიმი საკუთარ თავს გრძელვადიანი პერსპექტივით
მაშინ უზრუნველყოფს, როცა ადექვატურად რეაგირებს საზოგადოების
მოთხოვნებზე. სისტემური ანალიზის ერთი რომ ვთქვათ, ესაა ხელისუფლების
უნარი, “შენატანი” და “ამონაგები” შეუსაბამოს ერთმანეთს. ამის უნარი,
ტრადიციულად, დასავლური ლიბერალური დემოკრატიების ყველაზე ძლიერ
მხარედ ითვლება. ლიბერალური დემოკრატიის ერთუზიანობები ყოველთვის
ხაზს უსვამენ, რომ სწორედ საზოგადოებრივი კონსენსუსის არსებობა ანიჭებს
რეჟიმს მოქნილობასა და სიმყარეს: იმ მექანიზმებს ქმნის, რომელთაც
ძალაუფლებას სახელმწიფოში ისინი დებულობენ, ვინც კონკურენტული
არჩევნების პროცესში საზოგადოებების ნდობა მოიპოვა და კარგავენ ისინი,
ვინც საზოგადოების იმედები არ გაამართლა. აქ ლაპარაკია ძლიერ სამო-
ქალაქო საზოგადოებაზე, სადაც მოქალაქეები სხვადასხვა ჯგუფებისა და
ასოციაციების მეშვეობით, მუდმივ გავლენას ახდენენ არსებულ ხელისუფლე-
ბაზე.

ბევრი თვლის, რომ ლიბერალური დემოკრატიების სწორედ ეს
შესაძლებლობა, საკუთარი პოლიტიკური სტაბილურობა უზრუნველყოს,
ხსნის კიდევ იმ ფაქტს, რომ მისი ცალკეული ელემენტები, უპირველესად კი
კონკრეტული არჩევნები და მრავალპარტიულობა პოსტკომუნისტურმა და
განვითარებადმა ქვეყნებამაც მიიღეს. მაგრამ ერთი უნდა გვესმოდეს – პოლი-
ტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით, ნაკლი ლიბერალურ დემოკრატიე-
საც აქვთ. დესტაბილიზაციის საშიშროებას სწორედ სისტემის ეს მისწრაფე-
ბა შეიცავს – საზოგადოების ყველა და ყოველგვარ ზემოქმედებაზე მოახდი-
ნოს რეაგირება; ჩნდება ილუზიები, რომ პოლიტიკურ სისტემას ძალა შესწევს
საერთოდ ყველა მოთხოვნას ადექვატური პასუხი გასცეს. ამიტომაც, სის-
ტემის მოქნილობა მხოლოდ სურვილებისა და შესაძლებლობების
გაწონასწორებით მიიღწევა. არაერთ კამათობს, რომ სახელმწიფო ყურს უნდა
უგდებდეს საზოგადოებას, მაგრამ იმის შესაძლებლობაც უნდა ჰქონდეს,
მკაცრად დაიკავოს ესა თუ ის პოზიცია, თუკი საზოგადოებრივი მოთხოვნები
გადაულახავი კონფლიქტის წყაროდ შეიძლება იქცეს.

სწორედ ეს ბოლო მომენტი ყოველთვის ხაზგასმული იყო საპირისპირო,
კონსერვატიულ პოზიციაში. კონსერვატიული ტიპის მოაზროვნეები სტაბილ-
ურობის საფუძველს იმაში კი არ ხედავენ, როგორ რეაგირებს პოლი-
ტიკური სისტემა გარეგან ზემოქმედებაზე, არამედ იმაში, თუ როგორია
ძალაუფლების ავტორიტეტი. ოდესღაც ტომას ჰობსი ამ საკითხს
ერთმნიშვნელოვნად აყენებდა: საზოგადოება ან უპირობოდ აღიარებს სახ-
ელმწიფოს აბსოლუტურ ძალაუფლებას, ან მიექანება „ბუნებრივი მდგომარე-
ობისკენ“ – ქაოსსა და ომისკენ ყველას წინააღმდეგო. კონსერვატიზმისთვის
ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, თუ რამდენად განაპირობებს პოლიტიკურ
ავტორიტეტს საერთო ღირებულებები და კულტურული ერთიანობის განცდა.
ამ გაგებით, სტაბილურობა და წესრიგი სოციალური და კულტურული საზო-

რელატივიზმი

ფილოსოფიური
შეხედულება, რომელიც
ობიექტური – „აბსოლუ-
ტური“ საზომის არსებობას
უარყოფს და ამტკიცებს,
რომ „ყველაფერი
შეფარდებითია“, ხოლო
ნებისმიერი მსჯელობა
აზრს იძენს მხოლოდ
საკუთარ კონტექსტთან
მიმართებაში. მორალური
რელატივიზმი იმას ამტ-
კიცებს, რომ ადამიანი
მორალურ არჩევანში
თავისუფალია, და ამიტომ
არ არსებობს და არც
შეიძლება არსებობდეს ქცე-
ვის ყველასათვის
ერთნაირად აუცილებელი
ნორმები. რელატივიზმი
შემეცნებაში – გნოსე-
ოლოგიური რელატივიზმი
– ამტკიცებს, რომ სამ-
ყაროს შემეცნების ყველა
შესაძლო საშუალებებს
აქვთ არსებობის უფლება
და ამით თავად მეცნიერების
საფუძვლებს აყენებს
კითხვის ქვეშ. რელა-
ტივიზმის კრიტიკოსები
მიუთითებენ, რომ იმის
მტკიცება, თითქოს
სამყაროში ყველაფერი
შედარებითია, თავდაც
არანაკლებ „შედარებით
ჭეშმარიტებას“ წარმოად-
გენს, და აგრეთვე იმაზეც,
რომ იგი საზოგადოების
ზნეობრივ საფუძვლებს
ასუსტებს, რითაც ადამიანს
საკუთარი ცხოვრების
გზაზე ყოველგვარი მკაფიო
„საგზაო ნიშნების“ გარეშე
ტოვებს, თუმცა, რელა-
ტივიზმის პირდაპირ
საწინააღმდეგოდ,
დღესდღეობით, ფუნდამენ-
ტალიზმის სხვადასხვა
ფორმები გამოდიან.

20. პოლიტიკის შემუშავება და მისი სისტემური დანერგვა

გადოების ორგანულობის “ბუნებრივ პროდუქტად” წარმოგვიდგება: საზოგადოების წევრები აღიარებენ ძალაუფლების ავტორიტეტს და სათუოდ არ ხდიან ძირძველი ტრადიციებისა და დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული ინსტიტუტების მნიშვნელობას.

ბოლო დროს ყველა ეს იდეა ნეოკონსერვატორებთან აღორძინდა, რომელთათვისაც მორალური თუ კულტურული რელატივიზმი მიუღებელია და „ტრადიციული“, „ოჯახური“ და „ქრისტიანული“ ღირებულებების აღდგენის გზით სვლისკენ მოუწოდებენ. თეორიულად ამ პოზიციის სისუსტე ისაა, რომ ძალაუფლება მასში ყოველთვის ზვედან ხორციელდება და არსებითად, საზოგადოების მხრიდან ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. მაგრამ თუ სტაბილურობას როგორც თვითმიზანს განვიხილავთ, და არაფერს ვამბობთ მთავრობის კონტროლის დემოკრატიულ მექანიზმებზე, ვეიწყებთ საზოგადოებრივ სამართლიანობასა და ადამიანის უფლებების დაცვას, სადა იმის გარანტია, რომ საზოგადოება ტირანიაზე არ დაეცემა?! სხვათა შორის, სადამ პუსენის ეკონომიკური სანქციების, სამხედრო თავდასხმების, თუ შიიტური და ქურთული ოპოზიციების აქტიურობის პირობებშიც არ გასჭირვებია რეჟიმის სტაბილურობის შენარჩუნება — ოღონდ ის მას სისტემატური ტერორისა და სასტიკი რეპრესიების გზით ახერხებდა.

საყურადღებოდ...

სოციალური უზრუნველყოფის პრობლემა

ზოგადად სოციალური უზრუნველყოფისა და ასევე, საზოგადოების ეკონომიკურად ჩამორჩენილი ფენების სოციალური დაცვის დასავლურ დოქტრინას საფუძვლად უდევს ცნება „welfare“, რაც აყვავებას, კეთილდღეობას, ცხოვრებით კმაყოფილებას ნიშნავს. როგორც პოლიტიკური პრინციპი, იგი სოციალური უზრუნველყოფისა თუ მხარდაჭერის სისტემების საფუძველზე, მთელი საზოგადოების ეკონომიკური დაცულობის წარმოდგენებთან ასოცირდება — ყოველივე იმასთან, რასაც „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“ ქვოდა.

ამგვარი სისტემების მომხრენი მასში შემდეგ ღირსებებს ხედავენ:

- ◀ იგი ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის საერთო ზრდას: სამუშაო ძალა ასეთ საზოგადოებაში ყოველთვის უფრო უზრუნველყოფილი და ნასწავლია.
- ◀ პიროვნების განვითარებას უწყობს ხელს, რადგან ადამიანს აქ სრული გალატაკება არ ეშუქება;
- ◀ საზოგადოების შინაგან ერთიანობას ამყარებს, რადგან ყველამ იცის, რომ საზოგადო სიმდიდრეში მასაც უდევს წილი.

მოწინააღმდეგეები კი მიიჩნევენ, რომ:

- ◀ იგი ადამიანს სახელმწიფოზე დამოკიდებულებას აჩვენებს: როდესაც სიღარიბე აღარ ეშუქებათ, ადამიანები ნაკლებს მუშაობენ;
- ◀ გადასახადების ზრდით, იგი ეკონომიკის წინსვლასა და განვითარებას აფერხებს.
- ◀ იგი სიღარიბის მხოლოდ ზედაპირულ გამოვლინებებს ებრძვის, და არა მის ძირეულ მიზეზებს.

მატერიალური კეთილდღეობის კრიტერიუმი

იდეა იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური სისტემის შესახებ მსჯელობა იმის მიხედვით შეიძლება, როგორ ეხმარება იგი საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებას, ახალი არაა – მაგალითად, თვალნათლივ ეხედავთ, თუ რამდენად დიდია ეკონომიკური საკითხების როლი ელექტორალურ პროცესებში, სადაც მკაფიოდ იკვეთება შემდეგი კანონზომიერება: ეკონომიკური ზრდის პერიოდში ელექტორატი, როგორც წესი, მოქმედ მთავრობას ირჩევს შემდეგი ვადით, შეფერხების პერიოდებში კი ეს მთავრობა მარცხდება. მთლიანობაშიც ეჭვს არ იწვევს, რომ პოლიტიკური სისტემის წარმატება და მარცხი ყოველთვის პირდაპირაა დაკავშირებული იმასთან, თუ როგორ და რით „უზრუნველყოფს“ იგი საკუთარ მოქალაქეებს. განვითარებადი ქვეყნების მასობრივი სიღარიბე უმწვავესი სოციალური და ეთნიკური წინააღმდეგობებით შემოგვიბრუნდა, ასევე საყოველთაო კორუფციით, კონსტიტუციური და წარმომადგენლობითი მართვის თანამედროვე სისტემებზე გადასვლისთვის მინიმალურად აუცილებელი პირობების არარსებობით. სსრკ-სა და აღმოსავლეთ ვეროპის კომუნისტური რეჟიმების კრახი ასევე აიხსნება ცენტრალური დაგეგმვის სისტემის უუნარობით – უზრუნველყო კეთილდღეობის ის დონე, რომელსაც კაპიტალიზმურმა დასავლეთმა მიაღწია. და რაღა თქმა უნდა, სრულებითაც არაა შემთხვევითი ის ფაქტი, რომ განვითარებულმა სამრეწველო ქვეყნებმა ერთდროულად მყარი პოლიტიკური სტაბილურობის მოპოვებაც შეძლეს და ცხოვრების დონის ყველაზე მაღალ სტანდარტებსაც მიაღწიეს. ამიტომაც მათ, “შესაძე სამყაროსაგან” განსხვავებით, პირველ ადგილზე აყენებენ.

გასაკებია, რომ ეკონომიკური აყვავებისკენ მიმავალ გზებზე კამათობდნენ, კამათობენ და კვლავაც იკამათებენ. მთავარი იდეოლოგიური წყაღვამყოფი აქ ოდესღაც კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იყო გადებული: პირველს თეორეტიკოსები თავისუფალი ბაზრისა და თავისუფალი კონკურენციის არსებობის გამო ასხამდნენ ხოტბას, მეორეს – ნაციონალიზაციასა და დაგეგმვის სისტემას უქებდნენ; ოღონდ 1981-1991 წწ. აღმოსავლეთ ვეროპის რევოლუციების გამარჯვებასთან ერთად, ამ დისკუსიამ ყოველგვარი აზრი დაკარგა: თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიამ გაიმარჯვა და ადგილი არ დაუტოვა სოციალიზმის არცერთ ანტისაბაზრო ფორმას. დღეს ყველაზე თავგადაკლულმა სოციალისტებმაც კი მგონი შეიგნეს, რომ მხოლოდ ბაზარი, ან უკიდურეს შემთხვევაში, საბაზრო კონკურენციის ესა თუ ის ფორმა ერთადერთი საიმედო მექანიზმია მატერიალური დოვლათის საწარმოებლად. თუმა – „კაპიტალიზმი თუ სოციალიზმი“ შეიცვალა თემით „როგორი უნდა იყოს კაპიტალიზმი“. ამასთან, საუბარი მხოლოდ იმაზე კი არაა, როგორ ვაწარმოოთ, არამედ იმაზეც, როგორ უნდა გავანაწილოთ მატერიალური დოვლათი და შესაბამისად, როგორი უნდა იყოს ბაზრისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, რა ფარგლებში შეუძლია სახელმწიფოს და რამდენადაა იგი ვალდებული საბაზრო პროდუქტის გადანაწილება განახორციელოს – საყოველთაო კეთილდღეობის პრინციპის დასაცავად.

ამდენად, როცა პოლიტიკური სისტემების შეფასებას ეკონომიკური კრიტერიუმების საფუძველზე ვუდგებით, ჩნდება შესაბამისი შეფარდების დილე-

თანასწორობა

ეს ცნება ადამიანებისადმი ერთნაირ მიდგომას გულისხმობს, მაგრამ არა მათი სრული ერთგვარონებისა თუ მსგავსების გამო. პოლიტიკურ ფილოსოფიაში თანასწორობის სხვადასხვა ფორმებზე საუბრობენ: ფორმალური თანასწორობა ნიშნავს ადამიანების თანასწორობას პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროებში – ანუ, ყველა ადამიანი „თანასწორად იბადება“; თანასწორი შესაძლებლობების ცნება გულისხმობს, რომ ადამიანები ცხოვრებას ერთი და იგივე „სასტარტო პირობებით“ იწყებენ; ეს პრინციპი გარკვეულწილად ამართლებს კიდევ საზოგადოებრივ უთანასწორობას, რამდენადაც ნორმალურად მიიჩნევა, რომ ნიჭი და პირობები საზოგადოებაში არათანაბრადაა განაწილებული. და ბოლოს, საუბრობენ შედეგების თანასწორობაზე – რაც თავისთავად ყველაზე საკამათო პრინციპია, რადგან თანასწორობის ეს გაგება შემოსავლების, სიმდიდრისა და სხვა საზოგადოებრივი დოვლათის თანაბარ განაწილებას გულისხმობს. მისი მომხრეები დარწმუნებულნი არიან, რომ შედეგების თანასწორობა სამართლიანობას და საზოგადოების შინაგანი მთლიანობის გამტკიცებას უწყობს ხელს, მოწინააღმდეგეები კი თვლიან, რომ მას, როგორც საზოგადოებით მანიპულირების საშუალებას, მხოლოდ ზიანის მოტანა თუ შეუძლია.

20. პოლიტიკის შემუშავება და მისი სისტემური დანერგვა

მოქალაქეობა

ესა ურთიერთკავშირი პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის, განმტკიცებული საერთო უფლება-მოვალეობებით. მოქალაქე იმით განსხვავდება ქვეშევრდომისგან თუ უცხოელისაგან, რომ ძირეული უფლებების გამო, იგი საკუთარი პოლიტიკური ერთობისა თუ სახელმწიფოს სრულფასოვანი წარმომადგენელია. არსებობს “უფლებბრივი” და “მოვალეობრივი” მოქალაქეობის ნორმები: პირველი ლიბერალიზმთანაა დაკავშირებული, მეორე კი — უფრო სოციალისტური თუ კონსერვატიული გაგების გამოძახილია.

მა ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ სამართლიანობას შორის. ანუ, აქ ერთდროულად საჭიროა ნამცხვრის ზომამდე ფიქრი და იმამდეც, ეს ნამცხვარი როგორ გავანაწილოთ. დროთა განმავლობაში, ორი მიდგომა ჩამოყალიბდა: თავისუფალი ბაზრის თეორეტიკოსები — ვოქსატო, ჰაიეკი და ფრიდმენი ამტკიცებენ, რომ საყოფლათო აყვავების მიღწევა მხოლოდ შეუზღუდავი კაპიტალიზმის გზით მიიღწევა. ამ მოდელის მიხედვით, ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალად გამოდის ყველაფერი ის, რაც ადამიანებს აჯილდოებს გამოჩენილი ინიციატივისთვის და იმაედროულად, სიზარმაცისა და მცონარობისთვის სჯის მათ. სახელმწიფოს ამ დროს უფლება აქვს მხოლოდ საზოგადოების უღარიბესი ფენების მინიმალური სოციალური დანაშრების იმ პრინციპით შემოიფარგლოს, რომ „მიმდლით არავინ მოკვდეს“. თუმცა ასეთი სისტემა ამკარად აღრმავებს სოციალურ უთანასწორობას, მისი თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ საბოლოო ჯამში აქ ყველა გამარჯვებულია — ეკონომიურად ჩამორჩენილი ფენების ჩათვლით რა თქმა უნდა, „ნამცხვრის“ მათი ულუფა კლებულობს, მაგრამ რადგან თავად „ნამცხვარი“ სულ უფრო იზრდება, ასე თუ ისე, მაინც მეტი ერგებათ.

საწინააღმდეგო მიდგომას ე.წ. „ინსტიტუციონალურ-გადამანაწილებელ“, იგივე სოციალ-დემოკრატიულ მოდელში, ეხედავთ, რომელიც ამოსავალ წერტილად საზოგადოებრივი თანასწორობის ზნეობრივი და ეკონომიკური პრინციპის უპირატესობას მიიჩნევს. ამ კონცეცფიაში მტკიცდება, რომ შეუზღუდავი კონკურენცია არა მხოლოდ ეთიკურად მიუღებელია — არაეფექტურია ეკონომიკური მოსაზრებებითაც. როცა ამოსავალი წმინდა საბაზრო კრიტერიუმები ხდება, საზოგადოებამში ფართოვდება ეკონომიკური არაკეთილდღეობის ზონა, სულ უფრო მეტი ადამიანი მიექანება ფსკერისკენ, რაც მუდამ დანაშაულის ზრდასა და სხვა პრობლემებს მოასწავებს; ხოლო როცა ეკონომიკა სამართლიანობის პრინციპზეა ორიენტირებული, საზოგადოებრივი პროდუქტის უფრო გონივრული განაწილება ხდება, ყველა მოქალაქეს ერგება საკუთარი წილი და ისინიც მზად არიან საკუთარი წვლილი შეიტანონ საერთო საქმეში. ამ მოდელის მიხედვით, სწორედ ასე შენდება საფუძველი ეკონომიკის ხანგრძლივი და მყარი განვითარებისთვის.

სამოქალაქო უფლებების კრიტერიუმი

იღეა, რომ სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში მისი მოქალაქე უნდა იდგეს, სათავეს ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთიდან იღებს. ასე მაგალითად, ძვ. წ. აღ. 434წ., პერიკლე აცხადებდა:

...არც ერთი ათენელი არ უგულვებლყოფს სახელმწიფოს, რამეთუ საკუთარ კერიაზე ზრუნავს და ნებისმიერი ჩვენგანს, ვინც სულ სხვა საქმით ვჭამთ ჩვენს წილ პურს, პოლიტიკაზე მართალი აზრი მაინც გავაკანია; ოღონდ იმ კაცს კი, ვისაც საზოგადო საქმე არ აღელვებს, არათუ უწყინარ, უმაღ

უსარგებლოდ მივიჩნევთ — და თუმცე პოლიტიკას მცირედნი ქმნიან, მათი ნაღვანის საღად განსჯა მრავალს შეგვიძლია.

მოქალაქე — პოლიტიკური საზოგადოების, იგივე სახელმწიფოს წევრია, რომელსაც გარკვეული უფლებები და მოვალეობები აქვს. თავის კლასიკურ გამოკვლევაში თ. მარშალმა (1950) ადამანის უფლებები სამი კატეგორიის მიხედვით დააჯგუფა: სამოქალაქო უფლებები, პოლიტიკური უფლებები და სოციალური უფლებები. სამოქალაქო უფლებები, მარშალის თანახმად — „ადამიანის თავისუფლებისთვის აუცილებელი უფლებებია“: სიტყვის თავისუფლება, შეკრებების, გადაადგილების, სინდისის; ამათვე მიეკუთვნება ყველა მოქალაქის თანასწორობა კანონის წინაშე და საკუთრების უფლება. სამოქალაქო უფლებები ის უფლებებია, რომლებიც ადამიანის, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრის კუთვნილებაა; ეს „ნეგატიური“ უფლებებია იმ გაგებით, რომ სახელმწიფოს ძალუფლებას ზღუდავს. მეორე ჯგუფი — პოლიტიკური უფლებები — ადამიანს საშუალებას აძლევს პოლიტიკურ ცხოვრებაში მიიღოს მონაწილეობა. ეს უმეტესად საარჩევნო უფლებებია — ხმის უფლება, უფლება აირჩიოს და არჩულ იქნას. უფლებების ეს ჯგუფი გულისხმობს, რომ სახელმწიფოში არსებობს ხმის მიცემის საყოველთაო უფლება, პოლიტიკური თანასწორობა და დემოკრატიული მმართველობა. და ბოლოს, მარშალი ამტკიცებს, რომ მოქალაქეობა გარკვეულ სოციალურ უფლებებსაც გულისხმობს, რომლებიც ადამიანს ამა თუ იმ, თუნდაც მინიმალური სოციალური სტატუსის გარანტიას აძლევს, რათა საშუალება ჰქონდეს როგორც სამოქალაქო, ისე პოლიტიკური უფლებები გამოიყენოს. ამ უფლებებს მან „პოზიტიური“ უწოდა, თუმცა საკმაოდ ზოგადი ფორმით კი დაახასიათა როგორც „ცივილიზებული ცხოვრების უფლება — მოცემულ საზოგადოებაში გაბატონებული სტანდარტების შესაბამისად“.

მოქალაქეობის კონცეფცია ისტორიულად დასავლეთში იქნა გამოშუშავებული, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ლიბერალური დემოკრატიების პოლიტიკურ კლიმატში სრულიად ორგანულად ჩაქვერა. მართალია, უმთავრესად ეს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ეჭება: დასავლურ პოლიარქიებში ისინი სრულად უზრუნველყოფილი არიან კონსტიტუციური და წარმომადგენლობითი მართვის ყველა ინსტიტუტით. ბევრად რთულადაა საქმე სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით: დასავლური ტრადიციისთვის ის ნამდვილ განხეთქილების ვაშლად იქცა. ვინაიდან ეს უფლებები საზოგადოებრივი პროდუქტის საფუძვლიან განაწილებას გულისხმობს საზოგადოების უღარიბესი ფენების სასარგებლოდ, ბევრი მათ ზედმეტ ფუფუნებად და ეკონომიკისთვის პირდაპირ საშიშროებად აღიქვამს. ასე უყურებდნენ ამ პრობლემას კლასიკური ტიპის ლიბერალები, ასე უყურებენ დღეს მათ „ახალი მემარჯვენეებიც“.

მოქალაქეობის პრობლემატიკაში არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს — ეს უფლებებისა და მოვალეობების, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებაა. 1980-იანი წლებში სწორედ ამის საფუძველზე დაიწყო დისკუსია ლიბერალიზმის და კომუნისტურიზმის თეორეტიკოსებს შორის. ამ უკანასკნელების წარმომადგენლებმა — ალისტერ მაკინტიარმა (1981) და მაიკლ სანდელმა (1982) სერიოზულად

20. პოლიტიკის შემუშავება და მისი სისტემური დანერგვა

ავტონომია

სახელმწიფო ინსტიტუტი თუ ვადუფი ავტონომიურად ითვლება, თუკი მას დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხი გააჩნია. ზოგჯერ სულაც არაა აუცილებელი სრული დამოუკიდებლობა, და ავტონომიურობის მისაღწევად თვითმმართველობის სათანადო ხარისხიც საკმარისია.

გააკრიტიკეს „ყოველმხრივ თავისუფალი ადამიანის“ იდეა და ამტკიცებდნენ, რომ “უფლებათა პოლიტიკა” „საყოველთაო კეთილდღეობის პოლიტიკით” უნდა შეცვლილიყო. მათი აზრით, ლიბერალური ინდივიდუალიზმი „საკუთარ თავს შთანთქავს” — საზოგადოებაში სუსტდება ტრადიციული კავშირები, იგი სულ უფრო გაზღვრილი ხდება, ხოლო ადამიანი — სულ უფრო მარტოსული. ამის საწინააღმდეგოდ, ზოგიერთმა არადასავლურმა საზოგადოებამ საკუთარ პოლიტიკურ კულტურაში ბევრად მყარი სოციალური კავშირები შეინარჩუნა, რაც ადამიანს საერთო საქმეში მონაწილეობის ცოცხალ შეგრძნებას აძლევს — თუნდაც იქ უმეტესად არც იყოს გადაწყვეტილი ადამიანის უფლებების პრობლემა ისე, როგორც ეს დასავლეთს ესმის.

დემოკრატიულობის კრიტერიუმი

ყოველივე შემოთქმული მეტ-ნაკლებად მაინც ასახავს პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების შედეგებს, მაგრამ როცა სისტემის დემოკრატიულობაზე ვსაუბრობთ, შედეგზე კი არ ვფიქრობთ, არამედ პროცესზე — იმაზე, თუ როგორც ხდება გადაწყვეტილებების მიღება. დემოკრატია ძალაუფლების რაც შეიძლება ფართო განაწილებას გულისხმობს საზოგადოებაში; ამ თვალსაზრისით, პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი თითოეული მოქალაქის „პოლიტიკური წონის“ გაზრდა და მისი პიროვნული თავისუფლების სფეროს გაფართოება უნდა იყოს, ეს აღიქმებოდა როგორც თვითმიზანი და ასევე, როგორც მიზნისავე მიღწევის საშუალება. ფ. ფ. რუსოსა და ჯ. მილისეული დემოკრატიის კლასიკური თეორიებიდან მოყოლებული, პოლიტიკაში თანამონაწილეობას განიხილავდნენ, როგორც პიროვნული განვითარებისა და თვითრეალიზების წყაროს. დემოკრატია თავისუფლების არსია, მისი უმთავრესი შემადგენელი: რუსოსავე თქმით, “თავისუფლება — საკუთარი თავის ბატონობას ნიშნავს”.

ოდესღაც დემოკრატია პირდაპირი ხასიათის იყო და ყოველმხრივ სახალხო თვითმმართველობას გულისხმობდა — არ არსებობდა განსხვავება სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. ათენური დემოკრატია სახალხო კრებების მეშვეობით ხორციელდებოდა, სადაც მოქალაქეებს პოლისის (ქალაქ-სახელმწიფოს) მართვაში პირდაპირი მონაწილეობის საშუალება ჰქონდათ. დემოკრატიის თანამედროვე თეორიები, ცხადაა, საკმაოდ დაშორდა „დემოკრატიის ოქროს საუკუნეს“. დღეს დემოკრატია ესმით უფრო როგორც საშუალება და არა პოლიტიკის მიზანი. ითვლება, რომ სისტემის დემოკრატიულობას მეტნაკლებად საიმედოდ უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი დემოკრატიის მექანიზმები — საყოველთაო საარჩევნო უფლება, ფარული კენჭისყრა, კონკურენტული არჩევნები. როცა დღეს დემოკრატიაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ, რომ ხალხს საშუალება ეძლევა, ასე ვთქვათ, “ვიგინდარები კინწისკრით გაყაროს” და შესაბამისად, ხელს უფლებას ღაგამი ამოსდოს და მეტი ამნგარიშვალდებულებისაკენ უბიძგოს.

ეს ყველაფერი კი იქამდე დაიყვანება, რასაც შუმპეტერმა „კენჭისყრის უბრალო მანქანა უწოდა“ — „ჭეშმარიტი“ დემოკრატიის თეორეტიკოსები ხომ ხშირად ამბობდნენ, ამგვარი „მანქანის“ გამო ელექტორალური პროცესი უაზრო რიტუალამდე დადისო: რამდენიმე წელიწადში ერთხელ ადამიანები ხმას მხოლოდ იმისთვის აძლევენ, რომ პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფი მეორემ შეცვალოს. ერთი სიტყვით, დღეს საზოგადოება არ მართავს: ამის შვენიერი დამამტკიცებელია ისეთი საყოველთაო მოვლენები, როგორიცაა ამომრჩევლების აპათია და ინერტულობა. ლაპარაკიც კი დაიწყო რადიკალური, რევოლუციური ცვლილებების აუცილებლობის შესახებ პოლიტიკაში — რომ სახელმწიფოს ძალაუფლება იმდენად დეცენტრალიზებული უნდა იყოს, საზოგადოებისთვის უფრო „ახლობელი“ გახდეს. ყველაფერთან ერთად, კითხვის ქვეშ აყენებენ, აგრეთვე, ერი-სახელმწიფოს ტრადიციულ კონცეფციას, რადგან თანამედროვე სახელმწიფოს მასშტაბებში პრაქტიკულად შეუძლებელია საზოგადოების თვითმმართველობა პირდაპირი და მუდმივი თანამონაწილეობის უზრუნველყოფით. მაგრამ საუბარი უფრო ფართო ამოცანებზეცაა, რაც წმინდა პოლიტიკურ სფეროს სცილდება: თუ დემოკრატიას დაუეკავშირებთ ადამიანის შესაძლებლობებს — საკუთარი ბედის მმართველი იყოს, საზოგადოებაში ეკონომიკური ძალაუფლებაც დემოკრატიზირებული უნდა იქნას — შესაძლოა თვით მუშათა თვითმმართველობისა და მათ მხრიდანვე კონტროლის მექანიზმების მეშვეობით.

ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, თანამედროვე დემოკრატიის პრობლემატიკა საკუთარ შინაგან დილემებსა და წინააღმდეგობებსაც შეიცავს. მათგან მთავარია: როგორ დავადგინოთ სათანადო ბალანსი ხალხისმიერ მართვასა და ხალხისთვის მართვას შორის. პოლიტიკური მონაწილეობის იდეას ხომ (და მასთან ერთად პირდაპირი დემოკრატიის იდეასაც) ხშირად აკრიტიკებენ ერთადერთი მიზეზის გამო: მოქალაქეთა მასას არასდროს ექნება არც დრო, არც ცოდნა, არც პოლიტიკური სიმწიფე პოლიტიკაში სრულფასოვანი მონაწილეებისთვის. თავის დროზე სწორედ ამაზე მიუთითებდა პლატონი: პრობლემის გადაწყვეტას იმაში ხედავდა, რომ ქვეყანა ყველაზე ღირსეულებმა — მეფე-ფილოსოფოსებმა მართონ. მაგრამ ამ შემთხვევაში ხალხისთვის მართვამ ადვილად შეიძლება განათლებული დესპოტიზმის მსგავსი ფორმა მიიღოს. სხვა დილემა — სათანადო ბალანსი ინდივიდსა და საზოგადოებას შორის: როგორ უნდა გაკეთდეს, რომ მოქალაქის პოლიტიკური პოზიციების გაძლიერებამ საჯარო ძალაუფლების დასუსტება არ გამოიწვიოს და პირიქით, ყოველივე ამის უკან უამრავი პრობლემა იმალება, რომელთა პრაქტიკაში გადაჭრა ძალზე რთულია. მეტიც, მრავალი თეორეტიკოსი თვლის, რომ სწორედ ეს პრობლემა — ინდივიდსა და საზოგადოებას შორის სათანადო ბალანსის საკითხი — სინამდვილეში პოლიტიკური თეორიის ცენტრალური პრობლემაა.

შეჯამება

« საჯარო პოლიტიკა სახელისუფლებო ორგანოების კანონიერად მიღებული და გაცხადებული გადაწყვეტილებებისაგან შედგება. პოლიტიკის “კეთება” თავისთავად პროცესია ორი გაგებით: ჯერ ერთი, იგი ურთიერთდაკავშირებულ ქმედებათა ერთობლიობას მოითხოვს, რომლის მეშვეობითაც პოლიტიკური განზრახულობანი პოლიტიკურ შედეგებად იქცევა ხოლმე; და მეორე: პოლიტიკის “კეთებისას”, ყურადღება უპირატესად იმას ექცევა, თუ როგორ იღებს ხელისუფლება ამა თუ იმ გადაწყვეტილებას და ნაკლებად აინტერესებს თავად გადაწყვეტილების არსი.

« გადაწყვეტილება თავისებური არჩევანია შესაძლო ვარიანტებს შორის. მის მიღებას ადამიანების რაციონალური ქცევის კატეგორიებით ხსნიან: წინასწარ დასახული მიზნითა თუ რეაქციების ერთობლიობით ცვალებად გარემოებებზე; და ბოლოს, იმ ღირებულებებითა და მრწამსით, რომლებიც ამ გადაწყვეტილებებს მიმღები ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი.

« პოლიტიკურ პროცესში ოთხი სტადიის გამოყოფა შეიძლება: პოლიტიკის ინიცირების, ანუ საკითხის დასმის ფაზაში – თავდაპირველი იდეების გამოკვეთა და დღის წესრიგის შემუშავება ხდება; კურსის განსაზღვრის ეტაპზე ზოგადი მოსაზრებები კონკრეტულ და დეტალურ რეკომენდაციებად იქცევა; კურსის ცხოვრებაში გატარების დროს – პოლიტიკური გადაწყვეტილებების რეალური ამოქმედება ხდება; შეფასების სტადიაზე კი მიღებული პოლიტიკური შედეგების კრიტიკული ანალიზის მეშვეობით, სამომავლოდ კურსის კიდევ უფრო დახვეწას ცდილობენ.

« საბოლოო ჯამში, პოლიტიკური კურსის შეფასება მხოლოდ იმისდა მიხედვით ხდება, რამდენად სასიკეთო თუ უარყოფით გავლენას მოახდენს იგი მთლიანად საზოგადოების ყოფაზე. საყოველთაო აზრის თანახმად, ნებისმიერი ხელისუფლებისა თუ სისტემის წარმატებულობა იმისდა მიხედვით ფასდება, შეუძლია თუ არა მას სტაბილურობისა და წესრიგის უზრუნველყოფა, მატერიალური კეთილდღეობის მიღწევა, სამოქალაქო უფლებების დაცვა და დემოკრატიული მმართველობის დანერგვა.

« თუცა, პოლიტიკური სისტემების ერთმნიშვნელოვნად შეფასებაც საკმაოდ რთული საქმეა, რადგან თავისთავად სტაბილურობის მიღწევა ან უზრუნველყოფა არა მარტო “ქვემოდან” ზეწოლის, არამედ ხელისუფალთა მხრივ “ზემოდან” იძულების გზითაცაა შესაძლებელი; და ასევე, საყოველთაო დოვლათის დაგროვებას რაც შეეხება, იგი, შესაძლოა, მისი თანაბრად გადანაწილებისაგან მისწრაფებამ გახადოს სათუო; სამოქალაქო უფლებების ზრდამ შესაძლოა საამოქალაქო პასუხისმგებლობის თუ ერთიანობის განცდა შეასუსტოს, დემოკრატიული მმართველობის უკიდურესმა გავრცელებამ კი – პიროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა შეზღუდოს.

კითხვები განსასჯელად

- < შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ადამიანები ყოველთვის რაციონალურად და გააზრებულად იღებენ გადაწყვეტილებებს?
- < პოლიტიკურ პროცესში რომელი სტადიაა უმნიშვნელოვანესი და რატომ?
- < არსებობს თუ არა ზნეობრივი ან ეკონომიკური წინაპირობები მეტი საზოგადოებრივი თანასწორობის მისაღწევად?
- < შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ „ადამიანთა უფლებების პოლიტიკა“ „საყოველთაო კეთილდღეობის პოლიტიკას“ უქმნის საფრთხეს?
- < არსებობს თუ არა აშკარა წინააღმდეგობა დემოკრატიათა თავისუფლებას შორის?
- < განა ხალხმა მართლა უკეთ იცის, რა სჯობს მისთვის?
- < რომელი პოლიტიკური სისტემა უახლოვდება ყველაზე მეტად „იდეალური საზოგადოების“ მოდელს?

დამატებითი საკითხავი

Bertsch, G., R. Clarke and D. Wood, *Comparing Political Systems: Power and Policy in Three Worlds* (New York: Macmillan, 1992).

Parsons, W., *Public Policy: Introduction to the Theory and Practice of Policy Analysis* (aldershot: Edward Elgar, 1995).

Roller, E., *The Performance of Democracies: Political Institutions and Public Policy* (Oxford and New York: Oxford University Press, 2005).

WWW.FACEBOOK.COM/GROUPS/ELLIB